

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის
მასალების კრებული

ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების
ბანკოთარების თანამედროვე ტენდენციები
(6-7 ივლისი, 2018)

**Proceedings of Materials
of International Scientific Conference
Dedicated to the 95th birth anniversary of Professor George Papava**

**MODERN TENDENCIES OF DEVELOPMENT OF
ECONOMY AND ECONOMIC SCIENCE
(6-7 July, 2018)**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**

თბილისი Tbilisi
2018

UDC (უპკ) 338(47+57)33(479.22)(063)

პ – 645

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში 2018 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

Materials of reports made at the international scientific conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2018

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), ნ. არევადე, თ. არნანია-კეპულაძე, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლ. დათუნაშვილი, გ. ერკომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ალ. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ს. პარტიცკი, ა. სილაგაძე, დ. სოროკინი, ქ. ქველაძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, თ. ჩხეიძე

Scientific-editorial Board: R. Abesadze (Editor-in-Chief), N. Arevadze, T. Arnania-Kepuladze, N. Bibilashvili (Executive Secretary), T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, E. Kakulia, K. Kveladze, N. Khaduri, M. Khuskivadze, Al. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, V. Papava, S. Partycki, S. Pavliashvili, A. Silagadze, D. Sorokin

რეცენზენტები: ემდ გ. ბურდული

ემდ გ. ბერულავა

Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli

Doctor of Economic Sciences G. Berulava

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2018

© IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS, 2018

ISBN 978-9941-13-690-0

სამეცნიერო-საორბანიზაციო კომიტეტი:

- რამაზ აბესაძე (*თავმჯდომარე*) – ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი
- ვლადიმერ პაპავა – აკადემიკოსი, თსუ პროფესორი
- ავთანდილ სილაგაძე – აკადემიკოსი, თსუ პროფესორი
- ნოდარ ჭითანავა – საქ. ს/მ მეცნიერებათა აკადემია
- ნოდარ ხადური – საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, თსუ პროფესორი
- ანზორ აბრალავა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი
- როზეტა ასათიანი – თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი
- ევგენი ბარათაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი
- გივი ბედიანაშვილი – ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი
- თეიმურაზ ბერიძე – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, პროფესორი
- გიორგი ბერუღავა – თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი
- ვახტანგ ბურდული – თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი
- რუსლან გრინბერგი – რუსეთის მა ეკონომიკის ინსტიტუტი, რუსეთის მა წევრ-კორესპონდენტი
- ელდარ ისმაილოვი – კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი, პროფესორი (აზერბაიჯანი)
- მურმან კვარაცხელია – თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი
- ალფრედ კურატაშვილი – თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი
- ელგუჯა მექვაბიშვილი – თსუ პროფესორი
- სოლომონ პავლიაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი
- სლავომირ პარტიცკი – ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი, პროფესორი (პოლონეთი)
- მიხეილ როკეტლიშვილი – საქ. მეც. ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (აშშ)
- დიმიტრი სოროკინი – რუსეთის მა ეკონომიკის ინსტიტუტი, რუსეთის მა წევრ-კორესპონდენტი
- ავთანდილ სულაბერიძე – დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, პროფესორი
- თეიმურაზ შენგელია – თსუ პროფესორი
- ლალი ჩაგელიშვილი – გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- თინა ჩხეიძე – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი
- ეთერ ხარაიშვილი – თსუ პროფესორი
- მიხეილ ჯიბუტი – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი, პროფესორი
- ნანული არევაძე – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
- თამილა არნანი-კეპულაძე – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი)
- ნანა ბიბილაშვილი – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
- ბადრი გეჩბაია – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ლინა დათუნაშვილი – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
- გულნაზი ერქომაიშვილი – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
- გონა თუთბერიძე – ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი
- დავით კურტანიძე – პროფესორი (აშშ)
- ეთერ კაკულია – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
- ნაზირა კაკულია – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
- თეა ლაზარაშვილი – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
- გივი ლემონჯავა – ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- მარინა მუჩიაშვილი – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
- დადი სოლოლაშვილი – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი)
- ფატი შენგელია – სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემია (ზუგდიდი)
- ნათია წიკლაშვილი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- მამუკა ხუსკივაძე – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
- რევაზ ჯავახიშვილი – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კონფერენციის საორბანიზაციო ჯგუფი:

- თეიმურაზ გოგოხია (*ხელმძღვანელი*)
- ნინო კელია
- ეთერ ჯაბანაშვილი
- მარიკა ბაღათურია

ORGANIZATIONAL-SCIENTIFIC COMMITTEE:

Ramaz Abesadze (*Chairman*) – Director of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU, Professor
Vladimer Papava – Academician, Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
Avtandil Silagadze – Academician, Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
Nodar Chitanava – Academician of Academy of Agricultural Sciences of Georgia
Nodar Khaduri – Chairman of Competition Agency of Georgia, Professor of Iv. Javakhsishvili Tbilisi State University
Teimuraz Beridze – Faculty of Economics and Business of Ivane Javakhsishvili Tbilisi State University, Professor
Anzor Abralava – Georgian Technical University, Professor
Rozeta Asatiani – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU, Professor
Evgeni Baratashvili – Georgian Technical University, Professor
Givi Bedianashvili – European University, Professor
George Berulava – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU, Professor
Vakhtang Burduli – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU, Professor
Lali Chagelishvili – Guram Tavartkiladze University, Professor
Tina Chkheidze – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU, Professor
Ruslan Grinberg – the member-correspondent of the Institute of Economics of the Russian Academy of Sciences (Russia)
Eldar Ismailov – Caucasus Institute of Strategic Research, Professor (Azerbaijan)
Eter Kharashvili – Ivane Javakhsishvili Tbilisi State University, Professor
Mikheil Jibuti - St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia University (SANGU), Professor
Alfred Kuratashvili – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU, Professor
Murman Kvaratskhelia – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU, Professor
Elguja Mekvabishvili – Ivane Javakhsishvili Tbilisi State University, Professor
Slawomir Partycki – John Paul II Catholic University of Lublin, Professor (Poland)
Solomon Pavliashvili – Georgian Technical University, Professor
Mikhail Roketlishvili – full foreign member of the National Academy of Sciences of Georgia (USA)
Teimuraz Shengelia – Ivane Javakhsishvili Tbilisi State University, Professor
Dmitri Sorokin – the member-correspondent of Institute of Economics of the Russian Academy of Sciences (Russia)
Avtandil Sulaberidze – Institute of Demography and Sociology of Ilia State University, Professor
Nanuli Arevadze – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU
Tamila Arnania-Kepuladze – Akaki Tsereteli State University (Kutaisi)
Nana Bibilashvili – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU
Lina Datunashvili – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU
Gulnaz Erkomaishvili – Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
Badri Gechbaia – Shota Rustaveli Batumi State University
Revaz Javakhsishvili – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU
David Kurtanidze – Professor (USA)
Eter Kakulia – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU
Nazira Kakulia – Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
Mamuka Khuskivadze – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU
Tea Lazarashvili – Paata Gugushvili Institute of Economics of TSU
Givi Lemonjava – Associated Professor of Georgian University
Marina Muchiashvili – Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
Fati Shengelia – Teaching University European Academy (Zugdidi)
Dali Sologashvili – Akaki Tsereteli State University (Kutaisi)
Natia Tsiklashvili – Shota Rustaveli Batumi State University
Gocha Tutberidze – European University, Professor

ORGANIZING GROUP OF THE CONFERENCE:

Teimuraz Gogokhia (*Head*)
Nino Kedia
Eter Jabanashvili
Marika Bagaturia



გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და პედაგოგი გიორგი ვლადიმერის ძე პაპავა სულ ცოტა ხნის წინ ჩვენ გვერდით იყო და გვაგვებდა თავისი განუმეორებელი ადამიანური სითბოთი, გამორჩეული ნიჭიერებით, ერუდიციით, მდიდარი გამოცდილებითა და ოპტიმიზმით. იგი 89 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან და დატოვა კვალი ნათელი, რომლითაც სამართლიანად იამაყებს ქართველ ეკონომისტთა მრავალათასიანი არმია და საქართველოს საზოგადოებრიობა.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და პედაგოგი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ვლადიმერის ძე პაპავა დაიბადა 1923 წლის 3 იანვარს სამტრედიის ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის ვლადიმერ თადეოზის ძე პაპავას ოჯახში. იყო. 1926 წლიდან პაპავების ოჯახი საცხოვრებლად გადადის თბილისში. ბატონი გიორგი 1941 წელს ამთავრებს თბილისის 21-ე საშუალო სკოლას და პირდაპირ სასკოლო მერხიდან იწვევენ სამხედრო სამსახურში. 1942 წელს იგი ჩავარდა ტყვედ და 1944 წლის ნოემბრამდე, რასაკვირველია, მძიმე პირობებში, იმყოფებოდა ტყვეთა სხვადასხვა ბანაკში. 1945 წლის აპრილში იგი სიცოცხლის რისკის ფასად ახერხებს ციხიდან გაქცევას და საბჭოთა ჯარებამდე მიღწევას, რის შემდეგ იგი იბრძოდა ფრონტზე.

1945 წელს დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნდა თბილისში.

1946 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1958 წლამდე ბატონი გიორგი მუშაობდა ჯერ ჩაქვის № 2 და ლაითურის ჩაის ფაბრიკებში უფროს ეკონომისტად, შემდგომ კი ანა-

სეულის ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში ლაბორატორიის განყოფილების გამგედ და კვლევითი ლაბორატორიის უფროსად. 1958 წლის ივნისიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ კი უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ითავსებდა რა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კათედრის დოცენტის თანამდებობას. 1967 წლიდან იგი საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეა, 1974 წლიდან კი საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის, 1978 წლიდან საკავშირო შრომის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, 1982 წლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო-საწარმო-სასწავლო გაერთიანების განყოფილების გამგე.

1994 წლიდან მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომლად.

1996 წლიდან ბატონი გიორგი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში, სადაც იგი მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. მთელ ამ პერიოდის განმავლობაში იგი შეთავსებით მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად. განსაკუთრებით ეკონომიკის ინსტიტუტში მუშაობის წლებში გამოვლინდა ბატონი გიორგის, როგორც მეცნიერისა და როგორც მეცნიერების ორგანიზატორის ნიჭი. ამ დროს შექმნა მან თავისი ყველაზე საუკეთესო ნაშრომები. ყველას გვახსოვს განყოფილების, როგორც სამეცნიერო ერთეულის, მისეული მართვის სტილი. განყოფილების სხდომებზე სამეცნიერო პრობლემების სისტემატური ცხარე განხილვების ტრადიციის დამკვიდრება.

1959 წელს ბატონმა გიორგიმ წარმატებით დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1973 წელს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

პროფესორი გიორგი პაპავა არის 150-მდე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი (მათ შორის, 20-ზე მეტი მონოგრაფიის). მისი მეცნიერული კვლევის სფერო მოიცავს სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკის, ორგანიზაციის, მართვის თეორიისა და ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიის პრობლემებს; მან დასაბამი მისცა ეკონომიკის ახალ მიმართულებას, შეიმუშავა რა მეცნიერული შემეცნების სისტემური მეთოდოლოგია "პერიოდანტულ-გენეტიკური მიდგომის" სახით და შექმნა რა ეკონომიკურ მახასიათებელთა მულტიპლიკაციური მთლიანობითი სისტემა, რითაც შესაძლებელი გახდა მენეჯმენტის ორგანიზებულობის გაზომვა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი 2009 წელს შედგენილი ერთ-ერთი ბოლო მონოგრაფია – "Методология познания качеств реальных смешанной рыночной экономики и паралогизмы", რომელმაც აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სამეცნიერო პრემია დაიმსახურა. 1987 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს პრემია მიენიჭა ასევე შვილთან, პროფესორ ვლადიმერ პაპავასთან ერთად გამოცემულ წიგნს – "სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა". გარდა ამისა, ბატონი გიორგი თანაავტორებთან ერთად არის გამოგონების (გამოგონებათა და აღმოჩენათა საკავშირო კომიტეტის 1957 წ. №105622 საავტორო მოწმობა) ავტორი.

მისი ნაშრომებიდან შეიძლება გამოიყოს მონოგრაფიები: „სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა“ (ორ ტომად, 1998), „საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღებისა და ნორმალიზაციისათვის საქართველოში“ (2000), „ეკონომიკური ანალიზის პერიოდანტული მეთოდი (სამრეწველო მეწარმეობრივი ფირმის მაგალითზე“ (2001), „საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია საქართველოში“ (2003), „მეწარმეობის საფუძვლები“ (2004), ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერულ-კვლევითი მონოგრაფია – «Методология познания качеств реальных смешанной рыночной экономики и паралогизмы» (სტოქჰოლმი, 2009).

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პროფესორ გიორგი პაპავას ღვაწლი ეკონომისტთა და მეცნიერ-ეკონომისტთა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. მისი პედაგოგიური

მოდვაწეობის პერიოდში აღიზარდა ეკონომისტთა არაერთი თაობა, იგი სამეცნიერო კონსულტაციას უწევდა მრავალ ასპირანტს და მეცნიერების ხარისხის მაძიებელს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა 12 მაძიებელს.

განსაკუთრებით უნდა ითქვას ასევე ბატონი გიორგის ადამიანურ თვისებებზე. მასთან ვერასდროს მოიწეენდი, დადებითი მუხტი წამსვე გადმოგედებოდა. იგი იყო შეუპოვარი მოწინააღმდეგეებისა და, საერთოდ, ცხოვრების მიმართ. მიუხედავად ასაკისა და ავადმყოფობისა, იგი ბოლომდე არ წყვეტდა სამეცნიერო მუშაობას, სიახლეების ძიებას.

პროფ. გიორგი პაპავა გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით და 9 მედლით, საქართველოს ღირსების ორდენით.

ბატონი გიორგი მადლიერი და ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან და სამუდამო სასუფეველში დაიღო ბინა, იგი საუკუნოდ შეუერთდა ქართული ეკონომიკური მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენლებს.

ბატონმა გიორგიმ ქალბატონ რუსუდან ჩხეიძესთან ერთად შესანიშნავი ოჯახი შექმნა და სახელოვანი შთამომავლობა დატოვა: ვაჟიშვილი, ვლადიმერ პაპავა – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე; ქალიშვილი, მაია პაპავა – მუსიკოსი; ასევე ოთხი შვილიშვილი.

პროფესორ გიორგი პაპავას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულში, მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.

რამაზ აბესაძე – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კლენარული სხლომა

რამაზ აბესაძე

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ზოგიერთი ტენდენციის შესახებ

ანოტაცია. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები განსხვავებულია განვითარებული, განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის. მაგრამ, ვინაიდან ტონის მიმცემი განვითარებული ქვეყნებია, ამიტომ ნაშრომში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში არსებული ტენდენციებია განხილული. დანარჩენი ქვეყნებისათვის ორიენტირი განვითარებული ქვეყნებია.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ბლოკეინი, მაღალი ტექნოლოგიები.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება ცვლის ადამიანის როგორც კეთილდღეობის დონეს, ისე მის სოციალურ მდგომარეობას საზოგადოებაში; განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს თვისებრივად ახალი პოსტინდუსტრიული საზოგადოების სრულყოფა; განვითარებადი ქვეყნებში ადგილი აქვს მრავალწახნაგოვან ტრანსფორმაციულ პროცესებს. მათმა ნაწილმა შეძლო განვითარებული ქვეყნების რიგებში გადასვლა, ნაწილი ახლოს დგას ამ ნიშნულთან ან აშენებს ინდუსტრიულ საზოგადოებას, ნაწილი კი ისევ უკიდურესად ჩამორჩენილი რჩება; მაღალგანვითარებული ქვეყნების გვერდით არსებობენ ისეთი სახელმწიფოები, რომელთა მოსახლეობა სიღარიბის ზღვარზეა ან მის მიღმაა, ქვეყნები, რომელთა მთლიანი შიდა ნაშთი თანამგზავრია შიმშილი, სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი მაჩვენებელი, სასმელი წყლისა და სანიტარიული კეთილმოწყობის უქონლობა, ახალშობილთა სიკვდილიანობის მაღალი დონე და ა.შ.; პოსტკომუნისტური ქვეყნების ერთმა ნაწილმა განვითარების შედარებით მაღალ დონეზე მიაღწია, ნაწილისათვის კი, მეტნაკლებად, კვლავ დამახასიათებელია საბაზრო ურთიერთობების განვითარების დაბალი დონე, ეკონომიკის არაეფექტიანი სტრუქტურა, დაბალი კონკურენტუნარიანობა, უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე და ა.შ.; მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპებმა ისეთ ნიშნულს მიაღწიეს, რომ მათმა შემდგომმა მატებამ შესაძლებელია კაცობრიობა ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროებისა და რესურსული უკმარისობის პრობლემის წინაშე დააყენოს; მსოფლიო ეკონომიკა განვითარების სულ ახალ და ახალ საფეხურზე გადის – გლობალიზაციის პროცესი იჭრება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, რომელსაც პოზიტიურთან ერთად თან ახლავს ნეგატიური მოვლენებიც.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები განვითარებულ ქვეყნებში

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციებიდან შეიძლება გამოიყოს:

1. საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს თვისებრივი ძვრები ეკონომიკაში. ეკონომიკური განვითარების ანუ ეკონომიკის ახალ, უფრო მაღალ თვისებრიობაში გადასვლა, ცვლის ეკონომიკური ზრდის ანუ ეკონომიკის რაოდენობრივი მატების არსს. იცვლება რა წარმოებული პროდუქციის სტრუქტურა, ღირებულებითი ფორმით ეკონომიკური ზრდის გამოთვლა ზუსტი ვერ იქნება, ვინაიდან **ერთი და იგივე ღირებულების პროდუქციას მიმდინარე წელს მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ვიდრე წინა წლებში**. ეს კანონზომიერება ისტორიული ხასიათისაა, მაგრამ ყველაზე მეტედ იგი ვლინდება თანამედროვე ეტაპზე არსებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მოძველებული პროდუქციის მოხმარებიდან ამოღებისა და პროდუქციის ახალი სახეობების მოხმარებაში შემოსვლის სულ უფრო სწრაფი ტემპების გამო. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის დაბალი ან, თუნდაც, ნულოვანი ტემპების არსებობის შემთხვევაშიც კი შესაძლებელია საზოგადოების კომფორტის, მისი სარგებლიანობის ზრდა.

2. ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორია, მაგრამ იგი, ეკოლოგიურ მოთხოვნებთან ერთად, ეკონომიკური ზრდის შენელებისკენაცაა მიმართული [აბესაძე რ. 2014], რასაც განაპირობებს:

2.1. კონკურენცია აიძულებს მეწარმეებს, აამაღლონ მწარმოებლურობა და გააიაფონ პროდუქცია (აქეთაა მიმართული სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკაც), რაც ამცირებს პროდუქციის ზრდის ტემპებს ღირებულებითი ფორმით;

2.2. წარმოების პროცესში იცვლება ასევე პროდუქციის ფიზიკური მახასიათებლებიც. წარმოებული პროდუქციის მასა ხდება უფრო “მსუბუქი” (მაგალითად, ლითონის დეტალების შეცვლა პლასტმასის დეტალებით, და ა.შ.), რაც ასევე ამცირებს პროდუქციის ზრდის ტემპებს ღირებულებითი ფორმით;

2.3. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის რაოდენობრივ კლება-საც (მაგალითად, ქსეროქსის, სკანერისა და პრინტერის ერთ კომპაინში გაერთიანება, და მრავალი

სხვ.), რაც, ბუნებრივია, აისახება მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაზე შემცირების მიმართულებით;

2.4. არსებული რესურსების შეზღუდულობა მოითხოვს არა განახლებადი ბუნებრივი წყაროები გამოვიყენოთ რაციონალურად, რათა შევძლოთ რაც შეიძლება დიდი ხნით შევინარჩუნოთ ისინი (მასალა- და კაპიტალტევადობის, ენერგოტევადობის შემცირება და ა. შ.) მაგალითად, კომპიუტერის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მოხმარებული რესურსების რაოდენობას ადამიანთა საქმიანობის მრავალ სფეროში (საჯარო და სამოქალაქო რეესტრი, ბიბლიოთეკები, არქივი და ა. შ.) რაც, ასევე აისახება მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაზე შემცირების მიმართულებით;

2.5. მდგრადი ეკონომიკური განვითარება ანუ საზოგადოების ბუნებასთან ურთიერთკავშირი მოითხოვს ეკონომიკის ზრდა შეესაბამებოდეს ბუნებაში მიმდინარე კვლავწარმოების პროცესებს, რაც დღემდე მნიშვნელოვნად ირღვევა და რასაც არა ერთი გლობალური ხასსიათის ნეგატიური პრობლემა წარმოშვა. მაშასადამე, განახლებადი რესურსები უნდა გამოვიყენოთ ისე, რომ ბუნებაში მიმდინარე კვლავწარმოების კანონზომიერებები არ დაირღვეს. ცხადია, ეს მოთხოვნაც მიმართულია ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებისაკენ;

2.6. ეკონომიკური განვითარება აძლიერებს რა ქალთა ემანსიპაციას ამცირებს შობადობას და, მაშასადამე, მოსახლეობის ზრდის ტემპებს, რაც ასევე მიმართულია ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებისაკენ;

2.7. სასურების დიდი ნაწილი მიედინება ბუნების დაცვის ღონისძიებებზე, რაც ასევე ამცირებს ეკონომიკური ზრდის ტემპების.

3. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ ცვლილებებს იწვევს მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში, ცვლის რა მისი განვითარების ტენდენციებს როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბით. იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში, ზრდის რა ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და კეთილდღეობის დონეს.

მათ საფუძველზე წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, საქონლისა და მომსახურების ახალ სახეობათა შექმნის შედეგად, მცირდება ტრანსაქციური და ტრანსფორმაციული დანახარჯები, იზრდება რესურსების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები. იცვლება წარმოების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანის ადგილი და როლი როგორც წარმოებაში, ისე ყოფა-ცხოვრებაში. იცვლება თვით საზოგადოების ორგანიზაციის არსი, ფორმები და მეთოდები.

თანამედროვე ეტაპზე მაღალი ტექნოლოგიების დარგებიდან გამოირჩევა **ელექტრონიკა** (მისი ქვედარგი – **მიკროელექტრონიკა**), **ბიოტექნოლოგია** (რომელიც თავისთავად ეფუძნება **გენეტიკას**, **მიკრობიოლოგიას**, **მოლეკულურ და უჯრედულ ბიოლოგიას**, **ბიოქიმიას**, **ემბრიოლოგიას** და ა. შ.), **კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა**, **ნანოტექნოლოგიები**, **რობოტოტექნიკა**, **ტელეკომუნიკაციები**, **საავიაციო-კოსმოსური ტექნოლოგიები**, **ფოტონიკა**, **ატომური ფიზიკა**. მაღალ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება ასევე **ხელოვნური ინტელექტი**.

4. ცალკე უნდა გამოიყოს **ინფორმაციული ტელეკომუნიკაციური და ქსელური ტექნოლოგიები**, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკაში ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებას რომელშიც მოიცავენ ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება კომპიუტერული ტექნოლოგიები, მობილური ტელეფონები და ინტერნეტი. მათი გამოყენება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დღეს საუბარია **ციფრულ-ტექნოლოგიურ რევოლუციაზე**, რომელიც შეუდარებლად სწრაფად ვითარდება, ვიდრე ადრე არსებული ტექნოლოგიური რევოლუციები.

5. დღეისთვის განვითარებულ ქვეყნებში, დაიწყო **“მოაზროვნე ტექნოსფეროს ეპოქა”** [Abesadze R. 2014]. ტექნოსფერო, შექმნილია ადამიანების მიერ და აქ მთავარ როლს ასრულებს ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური და მოაზროვნე ტექნოლოგიები, მოაზროვნე ტექნოსფერო ისარგებლებს გაცილებით დიდი შესაძლებლობებით, ვიდრე ცალკეული ინტელექტუალური თუ მოაზროვნე მანქანა, ვინაიდან იგი იქნება ასეთი მანქანების მოწვესრიგებული ერთიანობა საერთო ხელოვნური გონის გარშემო [სიჭინავა დ... 2011]. ასეთ პირობებში მნიშვნელოვნად შეიცვლება ადამიანთა მდგომარეობა, ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ უკვე საქმე ექნებათ მოაზროვნე ხელოვნურ ინტელექტუალურ მანქანებთან, რომელთაც შეეძლებათ საუბარი გარკვეულ თემებზე და გადაწყვეტილებების მიღება სიტუაციიდან გამომდინარე. ძირეულად შეიცვლება წარმოების ორგანიზაციისა და სახელმწიფო მართვის ფორმები და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბდება სრულიად ახალი საზოგადოება სრულიად ახალი ეკონომიკური სისტემით. ამ საზოგადოების ზოგიერთი ნიშანი შეიძლება შემდგენაირად ჩამოყალიბდეს:

5.1. ადამიანთა მასობრივი გათავისუფლება როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომისაგან;

5.2. ადამიანთა მასობრივი გადასვლა შემოქმედებით სფეროში (მწერლობა, მუსიკა, მხატვრობა, თეატრი, კინო, სპორტი და ა.შ.);

5.3. ადამიანთა უშუალო კავშირი ინტელექტუალურ, მოაზროვნე მანქანებთან, რომელნიც ფლობენ ადამიანისათვის დამახასიათებელ თვისებებს (მოძრაობას, საუბარს, მწუხარებისა და

სიხარულის განცდასაც კი და სხვ.) და რომლებთანაც ურთიერთობა მოითხოვს შესაბამის ახალ ცოდნას და ჩვევებს;

5.4. სახელმწიფოსა და ეკონომიკის მართვაში მოაზროვნე მანქანების გამოყენება შეამცირებს ნეგატიური პროცესების წარმოშობას;

5.5. გაიზრდება პროგრამების როლი, რაც გაზრდის დაგეგმვის მნიშვნელობას ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში;

5.6. გაიზრდება ადამიანის თავისუფალი დრო და სულიერი დაკმაყოფილების დონე და ა.შ.

6. თანამედროვე ეტაპზე სწრაფად ვითარდება რევოლუციური ბლოკჩინ-ტექნოლოგიები, რომელიც თავიდან შექმნილი იქნა ციფრული ვალუტის – ბიტკოინისათვის, მაგრამ ამჟამად განიხილება მისი გამოყენების ახალი ვარიანტები.

7. გლობალიზაციის, ინტერნაციონალიზაციის და ტრანსნაციონალიზაციის გაძლიერება. ტრანსეროვნული კორპორაციები წარმოადგენენ მთავარ ძალას მსოფლიო ეკონომიკაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების დასახქარებლად. სწორედ მათი საქმიანობა გარდაქმნის მსოფლიო მეურნეობას საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალის და ცოდნის ერთიან ბაზრად; საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში დომინირებს არა საერთაშორისო ვაჭრობა, არამედ წარმოების და გასაღების ორგანიზება უშუალოდ საზღვარგარეთ; ხორციელდება მსოფლიო საფინანსო ბაზრების ფორმირება და მათი არნახული დივერსიფიკაცია. ძლიერდება უნიფიკაციის ტენდენცია ტექნოლოგიის, ეკოლოგიის, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში; ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების, ელექტრონული სისტემების დანერგვის მეშვეობით ხორციელდება მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელის დივერსიფიკაცია; ყალიბდება მძლავრი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც მთელ მსოფლიოში ნერგავენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კრიტერიუმებს და თანდათან ახდენენ გლობალიზაციის ინსტიტუციურ გაფორმებას. მათი გადაწყვეტილებები სულ უფრო ხშირად ხდება იურიდიულად აუცილებელი ნომინალურად სუვერენული სახელმწიფოებისათვის; გლობალიზაცია შეიჭრა შიგასახელმწიფოებრივ სფეროშიც და თანდათან ხდება შიგა ცხოვრების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის სიძლიერე ბევრად აჭარბებს ეროვნული სახელმწიფოს შესაძლებლობებს; ძლიერდება საერთაშორისო კონკურენცია ისეთ სუბიექტებს შორის, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სახელმწიფოებრივი წარმოშობა და რომლებიც კონკურენციას უწევენ ეროვნულ კომპანიებს, დევნიან რა მათ საკუთარი ბაზრებიდან; სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ებმება გლობალიზაციის პროცესებში, ყალიბდება გლობალური ცივილიზაციის შესაბამისი საერთო ჩვევები, გემოვნებები, ფასეულობები, შეხედულებები, აზროვნება და ა.შ.

8. მდგრადი განვითარება თანამედროვე ეკონომიკის მთავარი მოთხოვნა. ამისათვის აუცილებელია განხორციელდეს საზოგადოებასა და ბუნებას შორის ნივთიერებათა და ენერჯის რაციონალური გაცვლა, რომ ეკონომიკის განვითარება დაემყაროს ბუნების თვითაღდგენისა და აღწარმოების მკაცრ კანონზომიერებებს, ანუ მოხდეს საზოგადოებისა და ბუნების განვითარების **კოევილუცია**, რომლის დროსაც ხდება ჩვენი პლანეტის **ბიოსფეროს** გადასვლა ახალ თვისებრიობაში – **ნეოსფეროში**, **მოაზროვნე გარსში**, სადაც ადამიანები ამცირებენ ბიოსფეროსადმი არა მხოლოდ მის, არამედ ბუნების დამანგრეველი ძალების მიერ მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შედეგებს.

დასკვნა

1. თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს თვისებრივი ძვრები ეკონომიკაში. ღირებულებითი ფორმით ეკონომიკური ზრდის გამოთვლა ზუსტი ვერ იქნება, ვინაიდან ერთი და იგივე ღირებულების პროდუქციას მიმდინარე წელს მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ვიდრე წინა წლებში. ამიტომ, ეკონომიკური ზრდის დაბალი ან, თუნდაც, ნულოვანი ტემპების არსებობის შემთხვევაშიც კი შესაძლებელია საზოგადოების კომფორტის, მისი სარგებლიანობის ზრდა.

2. ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორია, მაგრამ იგი, ეკოლოგიურ მოთხოვნებთან ერთად, ეკონომიკური ზრდის შენელებისკენაცაა მიმართული.

3. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ ცვლილებებს იწვევს მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში, ცვლის რა მისი განვითარების ტენდენციებს როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბით. იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში, ზრდის რა ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და კეთილდღეობის დონეს.

4. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება კომპიუტერული ტექნოლოგიები, მობილური ტელეფონები და ინტერნეტი. მათი გამოყენება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დღეს საუბარია **ციფრულ-ტექნოლოგიურ რევოლუციაზე**, რომელიც შეუდარებლად სწრაფად ვითარდება, ვიდრე ადრე არსებული ტექნოლოგიური რევოლუციები.

5. დღეისთვის განვითარებულ ქვეყნებში, დაიწყო “მოაზროვნე ტექნოსფეროს ეპოქა”. მოაზროვნე ტექნოსფერო ისარგებლებს გაცილებით დიდი შესაძლებლობებით, ვიდრე ცალკეული ინტელექტუალური თუ მოაზროვნე მანქანა, ვინაიდან იგი იქნება ასეთი მანქანების მოწესრიგებული ერთიანობა საერთო ხელოვნური გონის გარშემო.

6. თანამედროვე ეტაპზე სწრაფად ვითარდება რეკოლუციური ბლოკების ტექნოლოგიები, რომელიც თავიდან შექმნილი იქნა ციფრული ვალუტის – ბიტკოინისათვის, მაგრამ ამჟამად განიხილება მისი გამოყენების ახალი ვარიანტები.

7. გლობალიზაციის, ინტერნაციონალიზაციის და ტრანსნაციონალიზაციის გაძლიერება. ტრანს-ეროვნული კორპორაციები წარმოადგენენ მთავარ ძალას მსოფლიო ეკონომიკაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების დასაჩქარებლად. სწორედ მათი საქმიანობა გარდაქმნის მსოფლიო მეურნეობას საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალის და ცოდნის ერთიან ბაზრად.

8. მდგრადი განვითარება თანამედროვე ეკონომიკის მთავარი მოთხოვნა. ამისათვის აუცილებელია განხორციელდეს საზოგადოებასა და ბუნებას შორის ნივთიერებათა და ენერჯის რაციონალური გაცვლა, რომ ეკონომიკის განვითარება დაემყაროს ბუნების თვითაღდგენისა და აღწარმოების მკაცრ კანონზომიერებებს

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. 2014. ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”.
2. სიჭინავა დ., ნაკაშიძე გ. 2011. ინტერნეტის, ხელოვნური გონისა და ადამიანთა საზოგადოების ახალ ეპოქაში გადასვლის შესახებ. ე: “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2011, № 1.
3. Abesadze R. 2014. High technologies – the most important factor of economic development. wignSi: MOANDRY WSPÓŁPRACY SIECIOWEJ W EUROPIE ŚRODKOWEJ I WSCHODNIEJ, “Copyright by Wydawnictwo KUL”, Lublin.
4. Bell D. 1976. The social framework of the information society. In M. Dertouzas & J. Moses (Eds), Cambridge: MIT Press.
5. Toffler Alvin. The Third Wave (1980). Bantam Books ISBN 0-553-24698-4

Ramaz Abesadze

MODERN TREND OF ECONOMIC DEVELOPMENT

Annotation. *The modern trends of economic development are different for developed, developing and post-Communist countries. But since developed countries set the fashion, the trends in economics of the developed countries are discussed. Other countries are oriented to developed countries.*

Keywords: *economic development, economic growth, Sustainable development, Blockchain, high technology.*

Introduction

In the modern world: the use of the latest techniques and technologies changes the level of well-being of the person as well as its social position in society; The development of a qualitatively new postindustrial society occurs in developed countries. In developing countries there are many versatile transformational processes. Some of them have been able to move to developed countries, part of them is close to this or builds up an industrial society, while others remain far behind. Most developed countries have in neighborhood countries whose population is on the poverty line or beyond, countries where permanent companions are hunger, low life expectancy, lack of drinking water and sanitation, high levels of newborn death, etc. ; Some of the post-Communist countries have achieved a relatively high level of development, and some have, more or less low level of market relations, the inefficient structure of economics, low competitiveness, high unemployment and poverty levels. The number of world population and economic growth rates have reached the point that their subsequent growth can cause humanity to face the threat of ecological catastrophe and resource deficiency; The world economy is going through a new and new level of development - the process of globalization cuts in all areas of human activity, which is accompanied by positive as well as negative effects.

Modern trends in economic development in advanced countries

From the modern tendencies of economic development in advanced countries can be distinguished:

1. A decisive role in the promotion of public sector development play qualitative changes in the economy. Economic development, or transition to a new, higher level of economy changes the essence of qualitative economic growth, i.e. economy. Changing the structure of the manufactured product in a value form, calculating the economic growth can not be precise, since the product of the same value can benefit more this year than the previous years. This regularity is historic, but most of it is manifested because of the rapid growth of the quality of the existing products in the modern stage, withdrawal from the consumption of outdated products and rapid introduction of new species of products. Consequently, in case of the low or even zero-tempo economic growth, the growth of the comfort of the public and its benefits is possible.

2. Economic development is a major factor in economic growth but it, together with ecological requirements, is directed slowing economic growth, stipulated by the following:

2.1. Competition provides for entrepreneurs to increase productivity and cheapen the products (innovative policies of the state is the same), thus reducing production growth rates in value form;

2.2. The physical characteristics of the product shall also be changed in the manufacturing process. The weight of the finished products becomes more "light" (for example, replacement of metal details with plastics details, etc.), which also reduces product growth rates in value form;

2.3. In many cases the quantitative decrease of certain items of production takes place (the xerox, the scanner and the printer combination, and many others) Which, naturally, will be reflected in the reduction of gross domestic product value;

2.4. Restriction of existing resources requires nonrenewable sources to be used rationally so that we can keep them up for a long time (material - and capital-intensive, energy-intensive reduction, etc.) The use of computer significantly decreases amounts of resources used in many fields of human activity (state and civil registry, libraries, archives, etc.), which is also reflected on the reduction of GDP value;

2.5. Sustainable economic development, or interconnection of society with the nature requires economic growth to comply with the ongoing reproduction processes in nature, which is still significantly disrupted and has caused many negative problems of global character. Obviously this demand is also directed towards reducing economic growth rates;

2.6. Economic development when strengthening emancipation of women reduces birth rate and therefore, the rate of population growth;

2.7. A small part of the funds flows into the protection of nature, which also reduces ecological growth rates.

3. At the modern stage, special changes are applied to the use of high technology in the economy, changing the trends of its development both locally and globally. It significantly determines the place of national economy in the world economy, increasing the level of competitiveness and well-being of the country.

As a result of the development of production organization, the creation of new species of goods and services, the transformation and transformation costs will be reduced, and the rational use of resources will be increased. The forms and methods of the organization of the organization are changing, and the most important thing is the place and role of the human being as well as in the life of the living. The essence, forms and methods of the civil society organization are changing.

Nowadays among high tech industries the electronics (the subsector 'Microelectronics'), biotechnology (which itself is based on genetics, microbiology, molecular and cellular biology, biochemistry, embryology. etc.), computer software, nanotechnologies, robot techniques, telecommunications, aviation-space technology photonics, atomic physics are distinguished. High technologies also include artificial intellect.

4. Information telecommunication and networking technologies should be underlined separately they stipulate the development of new structures in the economy, which cover almost all areas of economic and social activities. Computer technologies, mobile phones and the Internet are especially rapidly developing. Their use is so important that today we are talking about the digital technological revolution that is unprecedentedly evolving than the earlier technological revolutions.

5. Today in developing countries, the "**Era Thinking Technosphere**" [Abesadze R. 2014.] started. Technosphere is created by people and here the main role play telecommunications and thinking technologies. The thinking technosphere will have great opportunities, rather than an intellectual or thinking machine, because it will be the regulated unity of such machines around a common artificial intellect [Sichinava D... 2011]. In these conditions, the state of people will be significantly changed, in everyday life they will have to deal with the artificial intellectual machines that are able to talk about certain topics and solve problems according to situations. Forms of production organization and state management etc will be fundamentally changed; It might be said that the entirely new society with a completely new economy will be created. Some signs of the society may be as follows;

5.1. Mass release of people from both physical and mental labor;

5.2. Mass movements of people to the creative work (literature, music, painting, theater, cinema, sport, etc.);

5.3. The direct human interaction with the intellectual and thinking machines that have the characteristic features of the human being (the feeling of moving, talking, even sadness and joy, etc.) and the relations with which requires adequate new knowledge and skills;

5.4. The use of machines in the state and economy management will reduce the occurrence of negative processes;

5.5. The role of programs will be increased that will increase the importance of planning in all fields of human affairs;

5.6. The leisure time and inner satisfaction level of human beings will be increased etc;

6. At the modern stage rapid revolutionary Blockchain technologies have been developed, which have been created for digital currency - bitcoin, but are currently considered new options of its use.

7. Strengthening globalization, internationalization and transnationalization. Transnational corporations provide the mainstream power to speed up internationalization processes in the world economy. Their activities transform the world economy into a single market of goods, services, capital, workforce and knowledge; In international economic relations dominates not international organizations, but the organization and production and realization directly abroad; The formation of the world finance markets and their diversification will be solved. Unification trends in technology, ecology, statistics, accounting education, culture and other fields become powerful; The introduction of new information technologies and electronic systems will be implemented by the world communications network; Strong international economic organizations will be established, which will cover the entire macroeconomic policy criteria and gradually make a globally insistent signature. Their counterparts are becoming juridically necessary to the nominally

sovereign state; Globalization has been involved in the interstate area and become one of the defining facts within the country surpassing the strength of the national government to a greater extent; international cooperation is strengthening between the subjects that have not determined their state origin and compete with national companies exempting them from their own markets; Increasingly, more and more countries are engaged in globalization processes, acquiring adequate habits thinking and values of global civilization.

8. Sustainable development is the main demand for the modern economy. For this purpose, to do this, it is necessary to make a rational exchange of substances and energy between society and nature, so that the development of the economy is based on strict laws of nature's self-reproduction, that is, the co-evolution of society and nature takes place, during which the biosphere of our planet goes to a new quality - the neosphere, the thinking shell, where people reduce the results not only of them, but of the destructive natural force of negative influence on the biosphere

Conclusion

1. A decisive role in the promotion of public sector development play qualitative changes in the economy. Economic development, or transition to a new, higher level of economy changes the essence of qualitative economic growth, i.e. economy. Changing the structure of the manufactured product in a value form, calculating the economic growth can not be precise, since the product of the same value of can benefit more this year than the previous years.

2. Economic development is a major factor in economic growth, but it, together with ecological requirements, is directed slowing economic growth.

3. At the modern stage, special changes are applied to the use of high technology in the economy, changing the trends of its development both locally and globally. It significantly distinguishes national economics in the world economy, raising the level of competitiveness and well-being of the country.

4. Computer technologies, mobile phones and the Internet are especially rapidly developing. Their use is so important that today we are talking about the digital technological revolution that is unprecedentedly evolving than the earlier technological revolutions

5. Today in developing countries, the "Era Thinking Techno Sphere" started. Techno sphere is created by people and here the main role play telecommunications and thinking technologies. The thinking techno sphere will have great opportunities, rather than a intellectual or thinking machine, because it will be the regulated unity of such machines around a common artificial intellect.

6. At the modern stage, rapid revolutionary Blockchain technologies have been developed, which have been created for digital currency - bitcoin, but are currently considered new options of its use.

7. The process of globalization, internationalization and transnationalization of the modern stage of development is strengthened.

8. Sustainable development is the main demand for the modern economy. The process of economic and energy exchange between society and nature is undertaken to develop the economy in the strictest nature of self-development and reproduction of nature.

References

1. Abesadze R. , 2014. Economic development and economic regress. Tbilisi, "Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics ".

2. Abesadze R. 2014. High technologies – the most important factor of economic development. wignSi: MOANDRY WSPÓŁPRACY SIECIOWEJ W EUROPIE ŚRODKOWEJ I WSCHODNIEJ, "Copyright by Wydawnictwo KUL", Lublin.

3. Sichinava D., Nakashidze G. 2011. On Internet, Artificial Intellect and the Transition of Human Society to a New Epoch. J. "Economy and Business", 2011, № 1 (in georgian).

4. Bell D. The social framework of the information society. In M. Dertouzas & J. Moses (Eds), Cambridge: MIT Press, 1976.

5. Toffler Alvin. The Third Wave (1980). Bantam Books ISBN 0-553-24698-4

*ანზორ აბრამაშვილი
რუსუდან ქუთათელაძე*

სახელმწიფო ინტეგრაციული პოლიტიკის ფაქტორული კლასიფიკაცია

ანოტაცია. თანამედროვე პერიოდში წარმოიშვა ინტეგრაციის ახალი დონე. იგი განიხილავს არა მარტო ქვეყნების ინტეგრაციას, არამედ ეროვნული მეურნეობის რევიონებს.

საჭიროა განვსხვავოთ ერთმანეთისაგან ქვეყნების ინტეგრაციისა და რევიონების ინტეგრაციის პროცესები.

რევიონების განვითარების დონე დამოკიდებულია როგორც ეკონომიკურ, ასევე ენდოგენურ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უწყობს რევიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტურ წინამძღვრებს შეადგენს.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ინტეგრაციული პოლიტიკის ფაქტორების კლასიფიკაცია.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრაცია, სავაჭრო და საინვესტიციო ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობის ზონა, დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა, სუბსიდირება.

* * *

საქონლისა და მისი წარმოებისათვის საჭირო ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობის განვითარება ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას იწვევს, რაც გულისხმობს ქვეყნებს შორის უფრო მეტად საიმედო საწარმო-სარეალიზაციო კავშირების არსებობას, საერთაშორისო ვაჭრობასა და წარმოების ფაქტორებთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი დაბრკოლებების მოხსნას. ეს შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სახელმწიფოთაშორისო ინტეგრაციული გაერთიანების ფარგლებში, რომელიც მრავალმხრივ პოლიტიკურ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს ეყრდნობა.

ეკონომიკური ინტეგრაცია არის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთშემოქმედების პროცესი, რომელიც ერთმანეთთან აახლოვებს მათ სამეურნეო მექანიზმებს სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე და სახელმწიფოთაშორისი ორგანოების მიერ რეგულირდება. ინტეგრაციის წარმატებული განვითარებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინამძღვრები:

1) ინტეგრირებული ქვეყნების საბაზრო სიმწიფის ხარისხის და ეკონომიკური განვითარების დონის სიახლოვე.

2) ინტეგრირებული ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე, ხშირ შემთხვევაში საერთო საზღვრები და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირები.

3) საერთო ეკონომიკური და სხვა პრობლემები განვითარების, ფინანსების, ეკონომიკის რეგულირების და პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროებში. ეკონომიკური ინტეგრაცია მოწოდებულია, გადაჭრას იმ კონკრეტული პრობლემების ნაკრები, რომელიც რეალურად დგას ინტეგრაციაში მონაწილე ქვეყნების წინაშე. ამ მიზეზით ის ქვეყნები, რომელთა მთავარი პრობლემაც საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაა, ვერ ინტეგრირდებიან იმ სახელმწიფოებთან, რომელთა ბაზრის განვითარებაც ერთიანი ვალუტის შემოღებას მოითხოვს;

4) დემონსტრაციული ეფექტი – ქვეყნებში, რომლებიც ქმნიან ინტეგრაციულ დაჯგუფებებს, დადებითი ეკონომიკური ძვრები მიმდინარეობს, რაც თავისებურ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს სხვა ქვეყნებზე, რომელნიც თვალყურს ადევნებენ მიმდინარე ცვლილებებს;

5) “დომინოს ეფექტი”. მას შემდეგ, რაც ამა თუ იმ რეგიონის ქვეყნები ქმნიან ინტეგრაციულ დაჯგუფებებს, მის ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქვეყნები გარდაუვლად განიცდიან სიმწიფეებს, რაც გამომდინარეობს ინტეგრაციის წევრი ქვეყნების ორიენტაციის შეცვლიდან, ეს კი იწვევს ამ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების შესუსტებას. პრობლემის თავიდან ასაცილებლად არაწევრი ქვეყნები ინტერესდებიან ინტეგრაციულ გაერთიანებაში ჩართვის საკითხით.

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკაში აღმოცენებული ინტეგრაციული დაჯგუფებები მიზნად ისახავენ მსგავსი ამოცანების გადაჭრას: 1. ეკონომიკური მასშტაბის უპირატესობებით სარგებლობა, რაც ნიშნავს ბაზრის მასშტაბების გაფართოებას, დანახარჯების შემცირებას და სხვა უპირატესობების გამოყენებას ეკონომიკის მასშტაბის თეორიის საფუძველზე; 2. ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური გარემოს შექმნა; 3. სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტა. რეგიონული ინტეგრაცია ხშირად გვევლინება, როგორც მონაწილე ქვეყნების პოზიციათა გამყარების საშუალება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სავაჭრო შეთანხმების ფარგლებში. რეგიონული ბლოკის საშუალებით იქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები ურთიერთშორის ვაჭრობაში, ვიდრე მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების დროს; 4. ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე ზემოქმედება; 5. ეროვნული მრეწველობის ახალგაზრდა დარგების მხარდაჭერა.

საერთაშორისო ეკონომიკაში ინტეგრაციის ეფექტი ფასდება იმის მიხედვით, თუ რა შედეგს გვაძლევს ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება: მიუხედავად იმისა, რომ მას თავისუფალი ვაჭრობისკენ და პირიქით, რამდენად ზღუდავს სავაჭრო ნაკადებს. ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT) თანახმად, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პირობებში შესაძლებელია საბაჟო კავშირის და თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა. წესების მიხედვით, ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნამდე შესაძლებელია გარდამავალი მოლაპარაკებების წარმოება, რომელმაც უნდა მოამზადოს საფუძველი საბაჟო კავშირის შესაქმნელად.

1990-ანი წლების დასაწყისში მსოფლიო ბანკის სპეციალისტებმა ჩამოაყალიბეს კრიტერიუმების ნუსხა, რომლის მიხედვითაც შეისწავლება ინტეგრაციული დაჯგუფებების ეფექტიანი ფუნქციონირების ხარისხი საერთაშორისო ეკონომიკის ინტერესებთან მიმართებაში: 1. რეგიონულმა შეთანხმებებმა ეკონომიკის ყველა დარგი უნდა მოიცვას გამონაკლისის გარეშე; 2. გარდამავალი პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 10 წელზე მეტ ხანს და უნდა შედგეს ვაჭრობის ლიბერალიზაციის მკვეთრად განსაზღვრული გრაფიკი; 3. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პირობებში ვაჭრობის ლიბერალიზაცია წინ უნდა უსწრებდეს ან თან უნდა სდევდეს ნებისმიერი ახალი ინტეგრაციული დაჯგუფების ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ საწყისი ტარიფები საკმაოდ მაღალია; 4. საბაჟო კავშირის ფარგლებში შემოღებული ერთიანი საბაჟო ტარიფი არ უნდა აღემატებოდეს ყველაზე მცირე ტარიფს შესაბამის დარგში; 5. ინტეგრაციულ დაჯგუფებებში ახალი წევრების მიღების წესები ლიბერალური უნდა იყოს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანების გაფართოებას; 6. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა უნდა იყოს გამჭვირ-

ვალე და არ უნდა წარმოადგენდეს პროტექციონიზმის იარაღს დაჯგუფების შიგნით; 7. აუცილებელია, ინტეგრაციული დაჯგუფების დაბალი ფორმებიდან დროულად მოხდეს გადასვლა განვითარების მაღალ ფორმებზე, რაც უზრუნველყოფს წარმოების ფაქტორთა რაციონალურ გადანაწილებას და გამოყენებას; 8. ინტეგრაციული გაერთიანების ჩამოყალიბების შემდეგ ანტიდემპინგური წესები იკრძალება, ხოლო არაწევრ ქვეყნებთან ურთიერთობაში მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული ვაჭრობის წესი.

ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის ფუძემდებლად გვევლინება კანადელი მეცნიერი ჯეკობ (იაკობ) ვაინერი, რომელმაც ანალიზის საფუძველში ჩადო ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობის შედარება ინტეგრაციაში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდგომ. ვაინერის მიხედვით, საბაჟო კავშირის შექმნის შედეგად არსებობს ეკონომიკაში მოსალოდნელი ეფექტების ორი სახე: სტატიკური და დინამიკური. სტატიკური ეფექტი არის ეკონომიკური შედეგი, რომელიც ვლინდება ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნის ადრეულ ეტაპზე მისი უშუალო შედეგის სახით. დინამიკური ეფექტი არის ეკონომიკური შედეგი, რომელიც ვლინდება ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნის გვიანულ ეტაპზე, როგორც დაჯგუფების ფუნქციონირების შედეგი.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ჩარჩოებში მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელებული სამეურნეო ორგანიზაციული რეგულირება წევრი ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს უწყობს ხელს. ეკონომიკური ინტეგრაცია მიზნად ისახავს ბაზრების გაფართოებისა და ვაჭრობის დისკრიმინაციის აღმოფხვრის საფუძველზე სხვადასხვა სახელმწიფოს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის განსხვავების წაშლას. ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი დამოკიდებულია ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმებზე.

თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ვაჭრობის 60%-ზე მეტი ხორციელდება თავისუფალი ვაჭრობის მოქმედი ან დაგეგმილი რეგიონული მექანიზმების ჩარჩოებში. რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების ფარგლებში ხორციელდება ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესი, რომელიც 1940-ანი წლების ბოლოს დაიწყო და, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პოზიციების გამყარების მიუხედავად, დღემდე აქტიურად ვითარდება. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის განსხვავებული ფორმები რეგიონული ორგანიზაციების და დაჯგუფებების ჩარჩოებში ურთიერთკავშირების სახეებსა და ხარისხს ახასიათებს.

სრული ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში ფულად-საკრედიტო და სოციალური პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, დაბეგვრის სისტემის უნიფიცირება ხდება; იქმნება ზენაციონალური ორგანოები, რომელთა გადაწყვეტილებებიც სავალდებულოა ეკონომიკური კავშირის ყველა წევრისთვის. ეკონომიკური კავშირი აგრეთვე გულისხმობს პოლიტიკური ინტეგრაციის განსაზღვრულ დონეს, მაგალითად, ევროპარლამენტის დაფუძნება ევროპის პოლიტიკური გაერთიანებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ეკონომიკური ინტეგრაცია.

ეკონომიკური ინტეგრაცია ხელს უწყობს რესურსების გადანაწილების ეფექტიანობის ამაღლებას, გააღწიას ახდენს წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურაზე, უზრუნველყოფს ეკონომიკას, რომელიც განპირობებულია ცალკეული ფირმების წარმოების მასშტაბების ზრდით, გარდა ამისა, კონკურენციის გაძლიერების ხარჯზე იზრდება წარმოების ეფექტიანობა, რაც, თავის მხრივ, იწვევს მწარმოებელი ფირმების გაფართოებას შთანთქმისა და შერწყმის გზით. საბოლოოდ, ეკონომიკურ ინტეგრაციას მივყავართ რეგიონული სამეურნეო კომპლექსების შექმნისაკენ.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ქვეყნების ჯგუფებს შორის მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების გაფორმება. დღეისათვის ემ-ის (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის) თითქმის ყველა წევრი ქვეყანა ერთი ან რამდენიმე რეგიონული შეთანხმების წევრია.

რეგიონული ლიბერალიზაცია თავისთავად არ წარმოადგენს მრავალმხრივი სისტემის მომხრეთა შემოფოტების მიზეზს, რეგიონულმა ინიციატივებმა შეიძლება არსებითი წვლილი შეიტანოს მრავალმხრივი წესებისა და ვალდებულებების განვითარებაში, ძლიერი იმპულსი მისცეს ეროვნულ მეურნეობებში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას უფრო ფართო ეკონომიკური სივრცის ფარგლებში, თუმცა აუცილებელია მტკიცე ვალდებულებებით გამყარებული პრინციპების მკვეთრი ფორმულირება. ეს უკანასკნელი თავიდან აგვაცილებს რეგიონული სქემების გარდაქმნას მრავალმხრივი სისტემის დამანგრეველ ცენტრიდანულ ძალებად. ამ პრობლემის გადაწყვეტა კი შეიძლება „ღია რეგიონალიზმის“ პრინციპის გატარებით, კერძოდ:

1. პრეფერენციული ვაჭრობის ყოველი რეგიონული ზონა უნდა შეესაბამებოდეს მრავალმხრივი სისტემის სამართლებრივ მოთხოვნებს; 2. რეგიონული გაერთიანებების წევრი ქვეყნების ურთიერთშემხვედრ ვაჭრობაში სავაჭრო ბარიერების თანდათანობითი აღმოფხვრა უნდა ხორციელდებოდეს ზუსტად შესაბამის მოცულობასა და ვადებში. აღნიშნული პირობების საფუძველზე რეგიონული ლიბერალიზაცია შესაბამისობაში მოვა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პირობებთან.

რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მდგომარეობს შემდეგში: წევრი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში შეთანხმებული მოქმედება მდგრადი ზრდის ტემპების, საქონლისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის უზრუნველსაყოფად; ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების გეგმებისა და პერსპექტივების

კოორდინირება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ფინანსების, ტრანსპორტისა და სხვა სფეროებში; ეკონომიკური დაჯგუფებებისა და ცალკეული ქვეყნების ფარგლებში ინვესტიციური და ინოვაციური საქმიანობის სფეროში თანამშრომლობა – ცალკეული ფირმების დონეზე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა; კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა; საკუთრების უფლებისა და ბიზნესის წარმოების თავისუფლების დაცვა.

ეკონომიკური დაჯგუფების ჩარჩოებში მეწარმეობის რეგულირება ხორციელდება ორგანიზაციული სტრუქტურების სხვადასხვა დონეზე. უმაღლეს დონეზე – ქვეყნების უმაღლეს ხელისუფალთა შეხვედრებისა და ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის გზით; მინისტრების დონეზე – ფუნქციონალური საკითხების გადაწყვეტა შესაბამის სფეროებში; კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების დონეზე – სამეურნეო საქმიანობის რეგულირების კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის გზით; ფირმების დონეზე – მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის გზით.

სამეურნეო ინტეგრაცია, როგორც საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციის ფორმა, აისახება სახელმწიფო პოლიტიკაში და რეალიზდება საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობაში.

რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის ურთიერთდაკავშირებული სისტემა ეყრდნობა ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციებს, როგორცაა გაეროს სისტემის სპეციალიზებული ორგანიზაციები, რეგიონული ორგანიზაციები, განვითარების ფონდები და რეგიონული ბანკები, მათ შორის განვითარების ამერიკათაშორისი ბანკი (1949), განვითარების აფრიკული ბანკი (1964), განვითარების აზიური ბანკი (1966) და სხვ. განვითარების რეგიონული ბანკების დამახასიათებელი ნიშნებია საერთო მიზნების და დაფინანსების მსგავსი მეთოდების არსებობა.

საყოველთაოდ მიღებული მიდგომების შესაფერისად, რეგიონები არ წარმოადგენს ინტეგრაციის ეკონომიკურ სუბიექტებს, არ შეუძლიათ დამოუკიდებელი ეკონომიკური არჩევანის გაკეთება. ამას ახორციელებენ ფირმები სახელმწიფო კორპორაციათაშორისი (მიკროდონე) და სახელმწიფო (მაკროდონე) ინტეგრაციის დონეზე.

გთავაზობთ მიდგომას, რომელიც ასაბუთებს ინტეგრაციის ახალი დონის წარმოშობას, რომელიც, თავის მხრივ, განიხილავს არა მარტო ქვეყნების ინტეგრაციას, არამედ ეროვნული მეურნეობის რეგიონებს გლობალიზაციის პირობებში. იგი გვიჩვენებს განსხვავებას ქვეყნების ინტეგრაციისა და რეგიონების ინტეგრაციის პროცესებს შორის (ცხრილი 1)

ცხრილი 1

ქვეყნების ინტეგრაციისა და რეგიონების ინტეგრაციის პროცესებს შორის განსხვავება

ქვეყნების ინტეგრაცია	რეგიონების ინტეგრაცია
<ol style="list-style-type: none"> 1. ხორციელდება მაკროდონეზე, ქვეყნებს შორის დონეზე, ეროვნული მეურნეობის დონეზე. 2. სახელმწიფოთაშორისი ინტეგრაცია. 3. თან ახლავს მართვის ზეეროვნული ორგანოების შექმნა. 4. გადის განვითარების ოთხ ეტაპს: სავაჭრო, ეკონომიკური, სავალუტო და პოლიტიკური ინტეგრაციის. 5. მთავარი მიზანია: სრული სავალუტო-პოლიტიკური ინტეგრაცია. 6. ინტეგრირებული ქვეყნების ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა მეურნეობის ერთიანი ერთობლივი დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურით. 	<ol style="list-style-type: none"> 1. ხორციელდება მეზოდონეზე, რეგიონთაშორისი, მსოფლიო ქვეყნების რეგიონებს შორის, რეგიონული მეურნეობის დონეზე, როგორც ეკონომიკის დამოუკიდებელი სუბიექტი. 2. კერძო-კორპორაციული ინტეგრაცია. 3. არ გულისხმობს მკაცრ ზეეროვნულ მართვას, დეცენტრალიზებულ მართვას; 4. ბაზირების საფუძველს წარმოადგენს სავაჭრო და ეკონომიკური კავშირი, მაგრამ სავალუტო და პოლიტიკური ინტეგრაცია პრინციპულად შეუძლებელია 5. ძირითადი მიზანია: რეგიონული ვაჭრობის და ინვესტიციის წესების განსაზღვრა, სავაჭრო და საინვესტიციო ლიბერალიზაციის შესაბამისობა 6. თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა, თავისუფალი ინვესტიციების ზონის, პირდაპირი უცხოური ინვესტირება, „ქსელური“ თანამშრომლობა თითოეული რეგიონის შესაძლებლობის გათვალისწინებით

ამრიგად, რეგიონი (მეზოდონე) უცხოური კაპიტალით დაფინანსებული საწარმოს განთავსებისას ერთვება ინტეგრაციის პროცესში. საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესში რეგიონის ჩართვის ხარისხი და სიღრმე პირდაპირაა დამოკიდებული რეგიონის განვითარების დონეზე, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ქვეყნის საინოვაციო და საინვესტიციო პროცესებთან: რეგიონებს შორის ფინანსური რესურსების განაწილება, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური ნიველირება, კაპიტალური სახელმწიფო დაბანდებები მსხვილ ინდუსტრიულ და სოციალურ პროექტებში და ა.შ. ჩვენი აზრით, რეგიონების განვითარების დონე დამოკიდებულია როგორც ევზოგენურ, ასევე ენდოგენურ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უწყობს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტურ წინამძღვრებს შეადგენს (ცხრილი 2).

სახელმწიფო ინტეგრაციული პოლიტიკის ფაქტორების კლასიფიკაცია

	მასტიმულირებელი ინსტრუმენტები	შემზღვეველი ინსტრუმენტები
რეგიონის განვითარების ეგზოგენური ფაქტორები	- საგარეო ვაჭრობის განვითარება (საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები); - უცხოური კაპიტალის მოზიდვა, საწარმოს შექმნა უცხოური ინვესტიციებით; - საფინანსო, საბანკო სფეროს განვითარება; - სახელმწიფო სუბსიდირება; - სახელმწიფო შეკვეთა (სახელმწიფო შესყიდვები); - კერძო-კორპორაციული ინტეგრაციის სტიმულირება.	- ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობის აკრძალვა და არსებულის გაფართოება; - სამრეწველო განვითარების „სერტიფიკატების“ შემოღება; - სამართლებრივი ნორმების გამკაცრება მიწათსარგებლობის, ქალაქმშენებლობის, გარემო ბუნების დაცვის სფეროში; - სუბსიდიები მრეწველობის დეცენტრალიზაციისათვის.
რეგიონის განვითარების ენდოგენური ფაქტორები	სპეციალური ეკონომიკური ზონების, ინდუსტრიული პარკების შექმნა; რეგიონის მეწარმეებისთვის სხვადასხვა პრეფერენციების (საბაჟო, საგადასახადო, ადმინისტრაციული), შეღავათიანი კრედიტების, დაჩქარებული ამორტიზაციის პირობების შეთავაზება; საქმიანი და სოციალური პარტნიორობის ფორმირება;	გადაჭარბებულ ავლომერაციებში მიწის ნაკვეთების იჯარაზე საგადასახადო განაკვეთების ზრდა; გადასახადების ზრდა მიწათსარგებლობისათვის (წყლით სარგებლობისათვის); საწარმოს მშენებლობისათვის გადასახადის შემოღება; აკრძალვები, ჯარიმები, ნებართვები;

რეგიონული განვითარების მასტიმულირებელი ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლებელია როგორც პოლარიზებული, ასევე გამაწონასწორებელი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ არჩევითი ზემოქმედების ობიექტებში: პოლარიზებული რეგიონული პოლიტიკა მიმართულია ეგრეთ წოდებული „ზრდის ტერიტორიული პოლუსების“ განვითარების სტიმულირებაზე, გამაწონასწორებელი რეგიონული პოლიტიკის გამოყენებისას სტიმულირების ობიექტად გამოდიან აგრეთვე დეპრესიული (ჩამორჩენილი) რეგიონები.

რაც უფრო მაღალი იქნება ქვეყნების და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, მით უფრო მარტივად წარიმართება ინტეგრაციის პროცესი, და პირიქით, დეპრესიულ ქვეყნებსა და რეგიონებში ინტეგრაციის გზაზე იარსებებს წინააღმდეგობები: ეკონომიკის სუსტი კომპლემენტარულობა, სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობა, განუვითარებელი ინფრასტრუქტურის სიმრავლე, განსხვავებული განვითარების დონისა და პოტენციალის არსებობა, პოლიტიკური არასტაბილურობა.

ამრიგად, როცა ეროვნულ ეკონომიკაში ჩნდება ინტეგრაციის ზონები - მკვეთრად განვითარებული რეგიონები, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვან საინვესტიციო და სოციალურ-ეკონომიკურ პოტენციალს უმნიშვნელო ეკონომიკური და პოლიტიკური რისკებით, აქვთ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ტრანსნაციონალური კაპიტალის მიზიდველი ბაზარი, მაშინ უფრო ეფექტურად ხორციელდება ეროვნული სისტემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი.

დასკვნა

რეგიონი (მეზოდონე) უცხოური კაპიტალით დაფინანსებული საწარმოს განთავსებისას ერთ-ვეება ინტეგრაციის პროცესში. საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესში რეგიონის ჩართვის ხარისხი და სიღრმე პირდაპირაა დამოკიდებული (დაკავშირებული) რეგიონის განვითარების დონეზე, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ქვეყნის საინოვაციო და საინვესტიციო პროცესებთან: რეგიონებს შორის ფინანსური რესურსების განაწილება, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური ნიველირება, კაპიტალური სახელმწიფო დაბანდებები მსხვილ ინდუსტრიულ და სოციალურ პროექტებში და ა.შ. ჩვენი აზრით, რეგიონების განვითარების დონე დამოკიდებულია როგორც ეგზოგენურ, ასევე ენდოგენურ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უწყობს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტურ წინამძღვრებს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები. თბ., 2014.
2. Regional Autonomy and International Relations / Ed. A. Pacheco. - Paris, L'Harmattan, 2011. - 329 p.
3. Schiff M. Regional integration and development. Washington: World Bank, 2003.-321 p.
4. Whose World Order?: Uneven Globalization and the End of the Cold War / N.N. Holm, G. Sorensen (eds.). Boulder; San Francisco; Oxford, 1995. - 90 p.
5. Гранберг А. Г. Проблемы стратегии территориального развития России. М.:СОПС,2007.-145с.

- III
6. WTO Discussion Papers, WTO, N2, Improving Availability of Trade Finance during Financial Crisis, 2009 –
 7. WTO Discussion Papers, WTO, N1, Industrial Tariffs and the Doha Development Agenda, 2009-I

*Anzor Abzalava
Rusudan Kutateladze*

FACTORIAL CLASSIFICATION OF STATE INTEGRATION POLICY Summary

Development of the international movement of the goods and its production causes the deepening of integration processes, which implies the existence of more reliable enterprise-selling links between countries, the removal of numerous barriers to international trade and production factors. This is only possible within the frames of intergovernmental integration union, which is based on multilateral political contracts and agreements.

Economic integration is the process of economic interaction between the countries that are closer to their economic mechanisms on the basis of interstate agreements and regulated by interstate agencies.

The effect of integration into the international economy is measured depending on the outcome of the economic union of the countries: whether it leads to free trade, and on the contrary, how much does it limit the trade stream. Under the General Agreement on Trade and Tariffs (GATT), it is possible to establish a customs union and free trade zone under the conditions of the most promising regime. Under the rules, before the creation of an integrative group it is possible to conduct transitional negotiations, which should prepare the basis for the creation of a customs union.

The founder of the Economic Integration Theory is Canadian scholar Jakob (Jacob) Viner, who analyzed the volume of trade between the countries before and after joining the integration. As a result of the creation of the Customs Union according to the Viner there are two types of impacts in the economy: Static and Dynamic. Static effect is an economic outcome that appears in the early stage of the creation of an integral group as its immediate result. The dynamic effect is the economic outcome that emerges in the late stage of the creation of the integration group as the function of the group.

We deal with the origin of a new level of integration that will not only integrate the countries but the national economy of the regions as well within the frames of globalization. It shows the difference between countries' integration and integration of regions.

The region (Mezolevel) is involved in the process of integration of a foreign-funded enterprise. The degree and depth of the involvement of the region in the international integration process depends directly on the level of development of the region, which in turn relates to the country's innovation and investment processes.

The higher will be the level of socio-economic development of countries and regions, the easier it will be the process of integration, and on the contrary, there will be resistance to depressive countries and regions.

When the integration zones are formed in the national economy - the sharply developed regions with significant investment and socio-economic potential, with minor economic and political risks, having a favorable geographical location, attractive market of transnational capital, the process of social and economic development of the national system is performed more efficiently.

David Aslanishvili

BANKING OLIGOPOLY, CURRENCY ISSUE AND REFINANCING LOANS – THE MAIN PROBLEMS AT MONETARY POLICY IN GEORGIA (2013-2017)

"Developed Banking Services does not Mean the Banking Market Development in Georgia"

The banking system is the most successful Georgian business sector - in recent years such a statement has been made by almost all the officials. At this time around 70 percent of the consolidated assets are controlled by two banks - "Bank of Georgia" and "TBC Bank". This indicates to the existence of oligopoly on the sector that doesn't afford the rest of banks, whose number is not small, to develop.

Indeed, the banking sector has developed but at the expense of service delivery, which in fact does not mean the market's development. Real situation indicates that the market competition is limited and all market players are not able to develop the way as the two leading banks.

There are different views - One part of the financiers say that the development of the banking market is hampered for several reasons, the first is the lack of the central bank's support, and the second – support provided by high-ranking officials to the two leading banks since their foundation to the present day.

Banking market development means low interest rates, long-term and available resources, which doesn't exist in Georgia: Therefore, to say that today the banking sector is well developed is wrong. A large number of branches fully equipped with modern technology does not mean the market development.

Businesses need to be freed from the burden of commercial banks

According to the regulation of the National Bank of Georgia (NBG), commercial banks are prohibited from owning non-core assets but only on paper. Most of them have their holding companies, which are present in a variety of businesses. Commercial banks own construction and insurance companies, trading centers.

American Based Georgian Financier - Temuri Basilia mentioned: "The Georgian banks invested available financial resources (including individuals and legal entities deposits, attracted funds, loans taken from foreign banks and international institutions, etc.) in various businesses, non-banking sector, including in the less profitable or high risk businesses. They bought less liquid or illiquid assets that has created liquidity problems. So in reality the bank's lending resources have decreased, which is why they set high interest rates.

The international practice shows that the banks have the right to only engage in banking activity- that is, take deposits and lend loans.

The banks must be deprived of the right to carry non-banking activity both at law and in reality. This, on the one hand, will strengthen the economy, increase competition and cheapen credit resources. In addition, it will be a step forward on the path to a healthy banking system". Business law expert Akaki Chargeishvili says that today commercial banks manage the country's economy and it is essential to impose the restrictions on their activity.

"Businesses need to be freed from the burden of commercial banks and the depositors should be allowed to deposit funds to other alternative financial institutions. But there is no alternative to this, as the Georgian banks oppose to this," - Chargeishvili notes.

According to him, about a year ago the central bank urged commercial banks not to engage in non-core activities, but in reality it has not happened.

In our view, the law abolished in 2008, according to which the banks were given all the rights, needs to be restored. Banks must not invest money in everything. This is the money of depositors and the depositors do not really want the banks to invest their money in risky activities, but the law allows them to do it.

Refinance Loan Volume Negatively Affects the Lari

US-based financier Temur Basilia believes that one of the reasons for the lari depreciation is a volume of refinance loans issued by the National Bank of Georgia (NBG). According to Basilia, in recent months the central bank has increased a volume of loans from 250 million to 1.3 billion, which led to the weakening of the national currency.

"The recent depreciation of the lari was caused by putting into circulation extra, unjustified mass of the laris by the National Bank, - Basilia notes.

In his words, NBG issues refinance loans as commercial banks do not have sufficient cash resources to cover their obligations.

"The National Bank doesn't issue one-week refinancing loans, which are really necessary and important tool, in fact, this is an emergency loans to avoid delays in the activities of commercial banks, which eventually may lead to a collapse of the banking system. That is, the National Bank is helping the banks putting into the circulation additional money mass, which has a negative impact on the exchange rate of the lari", - Basilia adds.

In our view, especially in the period of 2014 – 2016 the growth in the volume of refinancing loans was associated with the increased internal debt. And now, the increased in the last months volume of loans indicates that the banks are facing liquidity problems. We believe that the fall in the exchange rate may be one of the reasons for the increased volume of refinancing loans.

In April 2017 the National Bank has twice bought 20 million dollars. According to the leadership of the National bank, the purpose of acquiring foreign currency is to prevent affecting the temporary foreign exchange surplus on the exchange rate - in other words, the national bank considers a large inflow of dollars into the country as a temporary phenomenon, does not consider it necessary to overly strengthen the lari, and prefers to replenish the reserves of foreign exchange reserves exhausted during devaluation.

In our opinion, the purchase of currency by the National Bank in April was the right step. We believe the main problem of the financial market is the dominance of large banks. As of today, Georgian banks have received more than GEL 1.9 billion of short-term refinancing loans, and no one knows what these funds were spent on. This is too much for such an economy as Georgia. Georgia's economic growth is 3-4%, and the money supply has increased by 20-22%. This is what causes inflation, which is clearly beyond the target.

In our view, the National Bank should stop building refinancing pyramid. If an uncontrolled issuance of refinancing loans is not stopped, the national currency will face serious problems. If we want the lari exchange rate to be stable and inflation to not exceed the target figure, then all this is in the hands of the National Bank.

Loan Interest Rates Rise, Banks' Profits Grow

At the same time, representatives of banks continue to say that they have problems with liquidity, while experts claim that, consumers are mostly suffering from the oligopoly in the banking industry.

In our view a problem with liquidity in the financial market that is evidenced by the growth of refinancing loans issued by the National Bank. The National Bank has already issued loans worth GEL 1.66 billion that is a direct consequence of the liquidity deficit- as a result, commercial banks can not get rid of refinancing loans, which negatively affect the lari exchange rate. In addition, there is no way to reduce the level of dollarization - only 30% of borrowed funds are in the national currency, the remaining 70% - in dollars. And this is very bad for the lari.

We do not expect the emergence of new players in the financial market, as due to the domination of several large banks in the market, foreign investors do not come in Georgia. The closure of the Societe Generale bank has a negative impact as a large French bank BNP PARIBAS closed all accounts of Georgian banks, apparently considering that it is impossible to deal with such a financial structure by civilized rules. In general, the situation in the country with the development of the banking sector is not ordinary. It's bad when the country does not have a global financial intermediary, for example, a universal banking system. Several financial institutions operated in Georgia, for example the British HSBC, but it did not stay here for a long time, and very soon left the market. It turns out that the whole country depends entirely on the proposals of the existing major banks, since no one has a choice.

The Currency Crisis has Exposed Fundamental Problems in the Banking Sector"

In our view, the income earned from the changes in the exchange rate positively affected the budget performance in 2016. Until December, 2016 the lari depreciated at a rapid pace. The national currency fluctuations last year were driven by many factors, including domestic and global. Depreciation was caused by incorrectly performed monetary credit policy, as well as inadequate and inappropriate actions, which were carried out during this period.

In December, the lari continued its free fall and then started to strengthen. The income received from changes in the rate positively affected the performance of the budget and the state budget *was executed* with a *surplus*. It is amid the country's chronic problems with economic growth.

Actually, the currency crisis demonstrated the fundamental problems in the banking sector.

What has led to such an abnormal situation in the fall? The elections, as well as closure and withdrawal of one of the largest commercial banks from Georgia. These two factors have created the effect of false expectations. The National Bank, to maintain a stable situation on the market, spent \$ 200 million during elections.

The central bank's interventions maintained the lari rate at the mark of 2.3 during the election period and the market accustomed to the fact that in case of need dollars could be purchased via Bloomberg electronic system. The transaction and elections completed and the National Bank simply evaporated from the market. For others it was found that there is no longer foreign currency on the market. This caused a shock in the foreign exchange market and the rate suddenly jumped. This is called currency speculation. The currency crisis has exposed the fundamental problems in the banking sector.

The exchange rate of the national currency continues to fluctuate from rising to falling, and vice versa

Let's look a bit into the past. After the war in 2008, Georgia received international assistance of about \$ 4.5 billion, which helped the country more or less calmly survive the subsequent global crisis. At the end of 2009, this money was spent, and the lari started to fall. To this was added an increase in the turnover of lari to 4.5 billion.

After that, in September-October 2014 the United States announced that it was stopping the mitigation policy, and in Georgia, the mass of money in circulation increased to GEL 6.5 billion. In Georgia a monetary mass increased by almost 50% in a situation when the national currency is deprived one of the main functions - accumulation.

As a result, the number of deposits in laris began to decline sharply, which is quite adequate to the level of devaluation of the national currency.

As for the recent events, at a certain period the lari rate fell to 2,7, and then sharply began to strengthen, and reached almost the mark of 2,4. Then fell again to about 2,50-2,55. In this case, the main role in these differences is played not by external factors, but by erroneous monetary and credit policy.

Refinancing credits play a big role in the devaluation of the national currency and this problem does not end from month to month. There are cases when the volume of loans reaches 1.5 billion, besides, we do not know which banks, and in what quantities receive these amounts.

It is very difficult to analyze which banks and in what quantities have refinancing loans. It is unclear why and who needs such amounts. In fact, we are dealing with money issue. That is, we have 6,5 billion lari in turnover, of which 1,5 billion is additional money that the National Bank issues to commercial banks.

While our economy needed no more than GEL 5 billion in turnover. In November 2015, refinancing loans worth GEL 1,1 billion were issued, in May 2016 this figure was reduced to 200 million - in percentage terms this is about as much as refinancing loans of the National Bank of Ukraine. Unfortunately, since June 2016 the National Bank has again begun to increase refinancing loans up to GEL 1.4 billion and the reserve requirements for both foreign and domestic currency have been tightened.

The internal debt of the Georgian government is GEL 2,2 billion, and commercial banks using the situation receive refinancing loans.

General situation in the financial sector of Georgia

It should be clarified that actually 100% of the financial sector of Georgia is in hands of commercial banks only. Banks hold the stock markets in their hands, none brokerage company is independent, all of them are the property of banks.

The real owners of Georgia's commercial banks are large international funds, whose main goal is to get the maximum profits.

There was a stock exchange in Georgia but with the permission of the National Bank, commercial banks created their own stock exchange. It turns out that the commercial bank controls the structure, the purpose of which is to peo-

vide alternative access to finance. Naturally, this is a direct violation of the principles of competition, since in theory the stock exchange must compete with banks.

Of course, the emergence of a new, large player could change the situation in the financial market that would exacerbate competition. But it turns out that no major international players are left in our financial market as Societe General is leaving, Procredit is cutting its lending. At the same time, most of the large foreign banks issued loans on Georgian standards. Georgia's financial market is very closed, banks have few shareholders, there is no stock exchange, everyone sells shares in London. At the same time, there are many people in Georgia who would gladly become shareholders of banks, but they do not have such an opportunity.

After the Rapid Fall, the National Currency Began to Strengthen

In our view the National Bank has to change the policy and limit the issuance of short-term debt refinancing within reasonable limits.

By international standards, the amount of refinancing of loans should not exceed GEL 200-250 million in the economy like Georgia's. GEL, but the amounts eight times higher are actually issued. In the last 3 weeks the issuance of such loans has stabilized and Ministry of Finance exceeded its Revenue plan by 500 mln Gel and now we see the result - the national currency is strengthening and normalized.

In our opinion, in November 2015, the National Bank gave out refinancing loans in the amount of GEL 1, 1 billion then in the period of January – May 2016, sharply reduced this figure to GEL 200-250 mln and then the lari immediately began to stabilize.

Accordingly, we can already determine the level of lending, which is safe for the national currency. The loan amount must not exceed GEL 200-250 million to provide stability for the lari.

References

1. Ministry of Finance of Georgia(<http://www.mof.ge/en/4547>);
2. The National Bank of Georgia (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>);
3. Central Bank's Policy Prevents the Strengthening of the Lari
(www.commersant.ge <http://www.commersant.ge/?m=27&kw=aslanishvili>);
4. <http://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2017/05/05/Georgia-Technical-Assistance-Report-Liquidity-Management-Operations-44881>
5. <http://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2017/04/13/Georgia-Request-for-Extended-Arrangement-Under-the-Extended-Fund-Facility-and-Cancellation-44834>
6. <http://www.imf.org/external/pubs/cat/longres.aspx?sk=43299.0>
7. <http://www.imf.org/external/pubs/cat/longres.aspx?sk=42586.0>
8. Loan Interest Rates Rise, Banks' Profits Grow
(www.commersant.ge <http://www.commersant.ge/?m=27&kw=aslanishvili>);
9. De-dollarization Program Actually Failed
(www.commersant.ge <http://www.commersant.ge/?m=27&kw=aslanishvili>);
10. Expert: Georgia's financial sector is in the hands of banks
(www.commersant.ge <http://www.commersant.ge/?m=27&kw=aslanishvili>);
11. After the Rapid Fall, the National Currency Began to Strengthen
(www.commersant.ge <http://www.commersant.ge/?m=27&kw=aslanishvili>);
12. De-dollarization Program – Government's Wrong Calculation or Deception of Citizens ?!
(www.commersant.ge <http://www.commersant.ge/?m=27&kw=aslanishvili>);
13. David Aslanishvili - "The Currency Crisis has Exposed Fundamental Problems in the Banking Sector"
(www.commersant.ge <http://www.commersant.ge/?m=27&kw=aslanishvili>);
14. "Developed Banking Services does not Mean the Banking Market Development in Georgia"
(www.commersant.ge <http://www.commersant.ge/?m=27&kw=aslanishvili>);
15. Businesses need to be freed from the burden of commercial banks,experts say
(www.commersant.ge <http://www.commersant.ge/?m=27&kw=aslanishvili>);
16. Refinance Loan Volume Negatively Affects the Lari
(www.commersant.ge <http://www.commersant.ge/?m=27&kw=aslanishvili>).

David Aslanishvili

BANKING OLIGOPOLY, CURRENCY ISSUE AND REFINANCING LOANS – THE MAIN PROBLEMS AT MONETARY POLICY IN GEORGIA (2013-2017)

Summary

Our study is the first attempt to overview the recent problems within monetary policy in Georgia, banking oligopoly and refinancing loans pyramid facing financial system in Georgia in the period of 2014 – 2017. The main goal of monetary policy of the sovereign country is to maintain its political and economic independence. In this regard, the cornerstone of any economic policy should be to reach stable economic growth and welfare of the population that will

ensure the steady and reliable integration into the world community as a successful, progress and innovation-based state.

In this regard, the economy and its main indicator - the monetary system is necessary for such a solid and predictable environment, which would be a reliable basis for further progress and development.

This model is called a strong asymmetry in financial societies. This is a model of the financial system where information from the past and present is available. It has a transparent and reliable statistics based on the environment and the most importantly, there is an opportunity to plan the future, its expected financial strategy, course and outcome.

Unfortunately, in Georgia we can observe the low level of financial and economic asymmetry, or in other words, the only one we have to study is the ability to analyze the past. The current situation in finance and economy shows non-transparent market conditions, subjectivity and emotional rule of management in economy, absence of developed financial and capital markets (and its actual liquidation). Such conditions do not allow us to analyze the current situation, which is totally groundless deprives future forecasts and their possible reflection model. This removes the basis for any attempt to establish real stability and ensure sustainable future-oriented, long-term and stable development of the financial strategy.

Our research aims to determine the relevance and regularity of GEL exchange rate and monetary policies conducted by the National Bank of Georgia.

*ევგენი ბარათაშვილი
დავით ბიბიჩაძე
თამარ ლავგილავა*

ექსტრიმ-მენეჯმენტის თავისებურებები მართვის თანამედროვე თეორიაში

ანოტაცია. დღეისათვის, ინოვაციური ეკონომიკის პირობებში, სისტემატურად წარმოიქმნება სრულიად ახალი პრობლემები და ამოცანები, რომლებიც გამოწვეულია გარე და შიდა გარემოს მკვეთრი ცვლილებებით, გაურკვეველობითა და არაპროგნოზირებადობით, საგანგებო და კრიზისული სიტუაციებით. ამ ამოცანების გადაჭრა დაკავშირებულია ისეთი არასტანდარტული მიდგომების ძიებასთან, რომელთა კოპირებაც უკვე არსებული თეორიული კონცეფციებიდან ან წარსული გამოცდილებიდან შეუძლებელია. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს კომპანების მართვაში კრეატიული მენეჯმენტის აქტიურ გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: ექსტრიმ-მენეჯმენტი, ორგანიზაციის მართვა, განუსაზღვრელობა.

შესავალი

მოცემული ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს კრეატიული მენეჯმენტის ერთ-ერთი უახლესი მიმართულების ექსტრიმ-მენეჯმენტის თავისებურებები და განსხვავებები მენეჯმენტის ტრადიციულ მიდგომებთან.

ექსტრიმ-მენეჯმენტი არის ორგანიზაციის მართვის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც დაფუძნებულია უკიდურესად შეზღუდულ ვადებში რისკის მაღალი ხარისხის მქონე არასტანდარტული ექსტრაორდინალური გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების შემუშავებასა და რეალიზებაში მართვის პროცესის ყველა მონაწილის აქტიურ ჩართვაზე. ასეთმა გადაწყვეტილებებმა, ორგანიზაციის საქმიანობისადმი მუდმივად ცვლადი მოთხოვნების არსებობის პირობებში, მისი დინამიური და მდგრადი განვითარება უნდა უზრუნველყოს.

ექსტრიმ-მენეჯმენტი – ეს არის მართვის მოქნილი, დინამიური მოდელი ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისთვის, რომელთა განვითარებისთვისაც დამახასიათებელია ტურბულენტურობა, არასტაბილურობა, განუსაზღვრელობა, არაპროგნოზირებადობა, ცვლილებების დიდი სიჩქარე.

ექსტრემალური მენეჯმენტის პრინციპული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელმძღვანელებს მზა შაბლონურ და ტიპურ პრაქტიკულ რეკომენდაციებს კი არ აძლევს, არამედ ყოველ ჯერზე, სადაც წარუმატებლობა დაუშვებელია, ახალი კრეატიული გადაწყვეტების შესაქმნელად ეფექტიანი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტებით აიარაღებს.

ექსტრემალური მენეჯმენტის პირობები, ამოცანები და შინაარსი კლასიკურისგან პრინციპულად განსხვავდება. კლასიკურ მენეჯმენტში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გათვალისწინებული საბაზო წინაპირობებია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა, ტექნოლოგიური ნოვაციების თაობაზე ცვლის ტემპების დაჩქარება; გამუდმებული სრულყოფისა და ინოვაციური პროდუქტების, ტექნოლოგიების და ა.შ. განახლების მოთხოვნილება.

ექსტრიმ-მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ექსტრემალური მმართველობითი გადაწყვეტილებების გენერირების, შემუშავებისა და მიღებისთვის დროის პერიოდის შემცირებაა. ექსტრემალური მმართველობითი გადაწყვეტილება – ესაა გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს მკვეთრად გამოხატული ექსტრემალური მიმართულებისა და რისკის მაღალი ხარისხის შემცველ აქტიურ, არასტანდარტულ (ზოგჯერ შოკის გამომწვევ და არაკოპირებად) ღონისძიებებსა და მოქმედებებს, რომელთაც, უმთავრესად, გადაწყვეტილების მიღების დიდი სიჩქარე და შედეგიანობა ახასიათებს.

ექსტრემალური მმართველობითი გადაწყვეტილებების უმნიშვნელოვანეს ნიშნებს ასევე მიეკუთვნება მათი მოქნილობის და მუდმივად ცვალებადი მოთხოვნებისა და პირობებისადმი ადაპტურობის მაღალი ხარისხი, აგრეთვე კრეატიულობისა და ინოვაციურობის მაღალი დონე.

კლასიკური და ექსტრემალური მენეჯმენტის თავისებურებები და სპეციფიკა

მართვის ტიპის, პირობებისა და ფუნქციების თავისებურებები	კლასიკური მენეჯმენტი	ექსტრემალური მენეჯმენტი
მართვის ტიპი	დაფუძნებულია სტრატეგიულ (გეგმიურ) განჭვრეტაზე სტაბილური, გეგმაზომიერი, თანმიმდევრული მართვა ხორციელდება წინასწარ ცნობილი და აპრობირებული თეორიული, მეთოდოლოგიური და მეთოდური დებულებებისა და მეთოდების საფუძველზე	დაფუძნებულია მოქნილ, სწრაფ რეაგირებაზე მოულოდნელი ცვლილებებისას მართვას რეაქტიული ხასიათი აქვს, მიუხედავად ადრე მიღებული და დამტკიცებული გეგმებისა, სწრაფად და მოქნილად რეაგირებს რეალობის ყველა ცვლილებაზე
მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პირობები	პროგნოზირებადობა, სტაბილურობა, გეგმაზომიერება, თანმიმდევრულობა; ბიუროკრატიზაცია და ზუსტი წესებისა და სხვადასხვა სახის მეცნიერულად დასაბუთებული გათვლების დაცვის აუცილებლობა. მოვლენათა განვითარების პირობების პროგნოზირებადი, დასაბუთებული და განჭვრეტადი ვარიანტები (ოპტიმისტური, ოპტიმალური, პესიმისტური)	ექსტრემალური პირობები, არაპროგნოზირებადობა, განუსაზღვრელობა, მოუწესრიგებლობა, ქაოსურობა. კრეატიულობა, ინოვაციურობა; არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღების დიდი სინქარე, სპონტანურობა და იმპროვიზაცია, ცდისა და შეცდომის მეთოდის ხშირი გამოყენება
დაგეგმვა	დაგეგმვის მთავარი მიზანი - დასაბუთებული მიზნების მაქსიმალური ეფექტიანობით მიღწევის პროგრამების, გეგმებისა და პროექტების გეგმაზომიერი შემუშავება და რეალიზაცია	დაგეგმვის მთავარი მიზანი - პრობლემების გადასაჭრელად ღონისძიებათა ადაპტიური სისტემის სწრაფი ფორმირება არსებული ამოცანების შესრულების მიზნით მისი გამუდმებული კორექტირებით
ორგანიზაცია	დასახული შედეგების მისაღწევად პროგრამების, გეგმებისა და პროექტების რეალიზაციის გეგმაზომიერი ეტაპობრივი პროცესი, მიმართული მათ განხორციელებაზე, თავდაპირველად დასახული მიზნებისა და პარამეტრებისგან მინიმალური გადახრით	პროგრამების, გეგმებისა და პროექტების რეალიზაციის პროცესი ხორციელდება სწრაფად ცვალებადი პირობების ექსტრაორდინალურობის გათვალისწინებით, მიზნებისა და ამოცანების და ცვალებადი ვადების, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების, შემსრულებლების, ხარჯების, რესურსების და ა.შ. კორექტირებით
მოტივაცია	დასახული შედეგების გეგმაზომიერი მიღწევის მიზნით მატერიალური და მორალური სტიმულირების ტრადიციული მეთოდების გამოყენება	მოტივირების ისეთი ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც ძირითადად დაფუძნებულია ემოციურ სურვილებზე, უარყოფითი და დადებითი ემოციების განენაზე, საკუთარი უპირატესობის შეგნებაზე, პრობლემის უჩვეულო გზით გადაჭრის ხერხებსა და მეთოდებზე
კონტროლი	კონტროლის მკაცრი სისტემა, რომელიც დამტკიცებული და დასახული გეგმებისა და პროგრამების გრაფიკის, რაოდენობის, ხარისხის, ვადების და ა.შ. მიხედვით ეტაპობრივად რეალიზების გადახრის ხარისხის კონტროლირების (დაკვირვების) საშუალებას იძლევა	მოქნილი, დიფერენცირებული, სიტუაციური კონტროლი, რომელიც შექმნილი რეალიების გათვალისწინებით მათი შემდგომი კორექტირების მიზნით მიღებული შედეგების დაეკავტურობის ხარისხის შეფასების საშუალებას იძლევა

ექსტრემალური მენეჯმენტი ეფუძნება მართვის სპეციფიკურ პრინციპებს, რომელთა შორის მთავარია:

– ანთროპოცენტრულობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ ექსტრემალური მენეჯმენტი იმ ადამიანთა ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, რომლებიც წარმატებისა და პრობლემების

შემოქმედებითი გადაწყვეტის უმთავრესი ფაქტორი არიან, მაშინ, როდესაც კლასიკური მენეჯმენტი აღამიანებს პროცესის მომსახურებას აიძულებს;

– შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნისა და მმართველობითი პროცესის (გამოყენებული ტექნოლოგიების, ინსტრუმენტების, მეთოდების და ა.შ.) მკაცრი კონტროლის მინიმიზაციის პრინციპი, ასევე კონტროლის ფუნქციის მისი ყველა მონაწილისთვის დელეგირება მუდმივი თვითკორექციის განხორციელებით;

– ექსტრემ-მენეჯერების (რომლებიც უბრალოდ კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ სათავეში უდგანან "ექსტრემალური გარდევის გუნდს"), ქარიზმატულობის პრინციპი;

– გაცნობიერებული რისკის პრინციპი (რისკიანი წინდახედულობის პრინციპი), რომელიც გულისხმობს, რომ შესაძლოა ორგანიზაციისთვის საფრთხის შემცველი იყოს ტრადიციული მმართველობითი მიდგომების, ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენება ტურბულენტურობის, განუსაზღვრელობისა და არაპროგნოზირებადობის პირობებში;

– ექსტრემალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მენეჯერის თავისუფლებისა და იმპროვიზაციის პრინციპი.

– ექსტრემალურ მენეჯმენტში მართვის ტრადიციული და ნოვაციური მეთოდების გამოყენების პროცესში ბალანსის მუდმივი ძიების პრინციპი და ა.შ.

დასახელებულთა გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგი პრინციპები:

– სინქრონულობა, ადაპტურობა და ავტომატიზმი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას;

– მიზნებისა და მათი რეალიზაციის გზების იტერაციული კორექცია;

– შესაძლო ცვლილებების განჭვრეტა;

– ექსტრემალური გადაწყვეტილებების მიღების სავარაუდო შედეგების გათვალისწინება;

– ექსტრემალურ სიტუაციებში მუდმივი ექსპრეს-მონიტორინგის განხორციელება.

ექსტრემალურ სიტუაციებში მართვის ტრადიციული მეთოდები ხშირად არ მუშაობს ან ნაკლებად ეფექტიანია, ყოველივე ეს ექსტრემალურ პირობებში მმართველობითი მიზნების მიღწევის პრინციპულად ახალი, ადრე გამოყენებული ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების ძიებასა და გამოყენებას მოითხოვს. რადგან ექსტრემ-მენეჯმენტი რისკის მაღალ დონესთან დაკავშირებულ ექსტრემალურ მოქმედებაზე, ექსტრემალურ მმართველობით გადაწყვეტილებებზეა დაფუძნებული, შესაბამისად, მისი მეთოდებიც არა იმდენად ტრადიციულ ინსტრუმენტებს მოიცავს, რამდენადაც კრეატიულს.

თავისი თავისებურებები აქვს ექსტრემალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ეტაპურობასაც, რომელიც შემდეგი თანმიმდევრობით ხორციელდება:

1) ექსტრემალური სიტუაციის ექსპრეს-შეფასება;

2) შექმნილი პრობლემის სისტემურ-კრეატიული მონიტორინგი;

3) კრეატიული იდეებისა და ინოვაციური მმართველობითი გადაწყვეტილებების სინქრონიზებული გენერირება და რეალიზება;

4) ექსტრემალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების შედეგების შეფასება;

5) ექსტრემალური მმართველობითი გადაწყვეტილებების კორექტირება ექსტრემალური სიტუაციის ექსპრეს-ანალიზის საფუძველზე.

მმართველობითი გუნდი ექსტრემალური მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის ყველა სტადიასა და ეტაპზე ემოციურ-ფსიქოლოგიური შემოქმედებითი აღმავლობის რეჟიმში მუშაობს, მუდმივად ახდენს ახალი აზრების, იდეების გენერირებას, შესთავაზებს აუცილებელი შედეგების მიღწევისაკენ მიმართულ არასტანდარტულ ღონისძიებებს.

ექსტრემალურ მენეჯმენტში განსაკუთრებული მოთხოვნები არსებობს მართვის პროცესის ცენტრალური ფიგურის – მენეჯერისადმი. ექსტრემალურ პირობებში მენეჯერის ძირითადი ამოცანა არის ორგანიზაციის მიზნებისა და მისიისადმი ერთგულება, აგრეთვე მმართველი გუნდის ყოველი მონაწილის მოტივირების ეფექტიანი სისტემის შექმნა. ამასთან, ექსტრემალური ტიპის მენეჯერის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც განსაზღვრავს ექსტრემალური მართვის წარმატებას, პირველ რიგში, თვითდისციპლინა, პოზიტიური ენერჯია და ქარიზმატიკაა.

ექსტრემალური ტიპის მენეჯერები – ეს არიან მენეჯერები, რომლებიც მიდიან რისკზე, იღებენ არსებული შესაძლებლობების ზღვარზე, ზოგჯერ კი მასზე აღმატებულ მმართველობით გადაწყვეტილებებს.

ექსტრემალური ტიპის მენეჯერი – ესაა მმართველი, რომელიც საკუთარი თავისთვის ნორმად აწესებს იმას, რასაც სხვები უკიდურესობად მიიჩნევენ.

ექსტრემალური მენეჯმენტის გამოყენების გამოცდილება დამაჯერებლად მოწმობს, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზების პროცესში წარუმატებლობის მთავარი მიზეზებია:

– "ექსტრემალური გარდევის ჯგუფში" აუცილებელი მომზადებისა და შესაბამისი თვისებების მქონე ეფექტიანი ექსტრემალური ტიპის ხელმძღვანელების და მენეჯერების არყოფნა;

– ორგანიზაციის გარშემო გარემოში მუდმივი ცვლილებების, მათ შორის ზოგადი ეკონომიკური სიტუაციის, ორგანიზაციის პერსონალის ემოციურ-ფსიქოლოგიური მოლოდინების გაუთ-

ვალისწინებლად მმართველობითი გუნდის ყურადღების კონცენტრაცია მხოლოდ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ დეტალებზე;

– მმართველი გუნდების მონაწილეთა კომუნიკაციური უნარების დაბალი დონე და, უპირველეს ყოვლისა, „ცოცხალ პლანში“ მმართველი გუნდების მონაწილეთა ეფექტიანი უშუალო ურთიერთქმედების უნარების არარსებობა;

– ხელმძღვანელების ავტორიტეტის წინაშე მმართველი გუნდების მონაწილეთა მეტისმეტი მოწიწება, უნიათობა, განკარგულებების ზედმიწევნითი შესრულება, საკუთარი თვალსაზრისის დაცვის უუნარობა;

– ორგანიზაციის მენეჯმენტის ბიუროკრატიზაცია და შაბლონურობა – მმართველი გუნდების მონაწილეთა შორის ნდობით აღსავსე ურთიერთობის არარსებობა.

ექსტრემალური მენეჯმენტის წარმატება, უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს არა იმდენად პროცესის მონაწილეთა დროისა და მოქმედების მართვის უნარში, რამდენადაც „ექსტრემალური გარღვევის ჯგუფების“ კრეატიულობის, შემოქმედებითი ენერჯის, განწყობილებისა და ემოციების მართვის უნარში.

ეფექტიანი ექსტრემალური მენეჯმენტი გვხვდება მუდმივად მიმდინარე ცვლილებებისადმი ადაპტაციის მაღალი შესაძლებლობების მქონე მოქნილ ორგანიზაციებში, მართვის მეგობრული მაღალი კორპორაციული კულტურის მქონე ორგანიზაციებში, რაც შექმნილი მოთხოვნილებებისა და ვითარების თანახმად, ორგანიზაციის მართვის კლასიკურიდან ექსტრემალურ, ექსტრემალურიდან კლასიკურ მოდელებზე სწრაფად და ეფექტიანად გადართვას ხდის შესაძლებელს.

თითოეული ორგანიზაციის ექსტრემ-მენეჯმენტის კონკრეტული მოდელი არაკომპირებადი მოდელებია. ასეთი მოდელები ინდივიდუალური, ექსკლუზიური და განუმეორებელია.

ექსტრემ-მენეჯერების პროფესიული მომზადება კრიზისული ეკონომიკის პირობებში ორგანიზაციების საქმიანობაში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას და ყურადღებას იძენს. კრიზისული სიტუაციების არასტაბილურობის, განუსაზღვრელობის და არაპროგნოზირებადობის პირობებში ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებლობა სწორედ ასეთ მენეჯერებს აწევთ. სწორედ მათი კვალიფიკაცია და სხვადასხვა სახის პრობლემებზე მყისიერი რეაგირება, მმართველობითი პერსონალის მუშაობის საჭირო მიმართულებით ორგანიზება არის ექსტრემალური სიტუაციის წარმატებული გადაჭრის გარანტია.

ექსტრემ-მენეჯერების სწავლების ეფექტიანი სისტემის ფორმირებას თან უნდა ახლდეს შესაბამისი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა, რომელიც მენეჯმენტის ზოგადი თეორიის, კრეატიული მენეჯმენტის, ექსტრემალური მენეჯმენტის და პრაქტიკული გამოცდილების ათვისების პროცესში სინერგიულ ეფექტს უზრუნველყოფდა.

ასეთი მეთოდოლოგიის საფუძველი სისტემურ-კრეატიული მიდგომა უნდა იყოს. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა მომავალ ექსტრემ-მენეჯერებს ჩამოუყალიბდეთ აზროვნების შესაბამისი ხასიათი, რომელსაც შეზღუდულ ვადებში ადრე გამოუყენებელი ინსტრუმენტებისა და მართვის მეთოდების გამოყენებით არასტანდარტული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველყოფა შეეძლება.

დასკვნა

ექსტრემალურ მენეჯმენტში, კლასიკურისგან განსხვავებით, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მთავარი წინაპირობებია: ქაოსურობა, შემთხვევითობა, არაპროგნოზირებადობა, ორგანიზაციის გარე და შიდა გარემოს გამუდმებული ცვალებადობა; ორგანიზაციის განვითარების გეგმებისა და პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში წარმოქმნილი განუსაზღვრელობა და მოულოდნელობა; მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის ვადების მკვეთრი შემცირება. რამდენადაც ექსტრემ-მენეჯერის მუშაობა კონკრეტული პროფესიული საქმიანობის პროცესში ხორციელდება, ექსტრემ-მენეჯერი, უპირობოდ, ვალდებულია გარკვეულ სფეროში მენეჯმენტის კონკრეტულ ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ თავისებურებებს ფლობდეს.

ექსტრემ-მენეჯერი, საგანგებო და კრიზისული სიტუაციების დაძლევის ექსტრემ-გეგმების შემუშავებისას, განსაზღვრავს თუ მმართველობითი სიტუაციის მიმართ როგორ, რა ვადებში და უშუალოდ ვინ ახორციელებს ამა თუ იმ მოქმედებას (პროცედურებს, ტექნოლოგიებს). ის პასუხს აგებს შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამოსავლის შემუშავებას, სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

ამასთან, ექსტრემ-მენეჯერი მის მიერ მენეჯმენტის ფუნქციების რეალიზაციის პროცესში ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენების ცოდნასა და უნარებს უნდა ფლობდეს და პირველ რიგში ისეთი საკითხების გადაჭრის, როგორიცაა:

– მიზნების დაზუსტება და მათი მიღწევის რაციონალური გზების არჩევა;

– პრიორიტეტული ამოცანების დასაბუთება, მოვლენების განვითარების პროგნოზისა და წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელი ინსტრუმენტების დაზუსტება;

– მკვეთრად ცვალებად პირობებში დაგეგმვაში, კოორდინაციაში, პროცესის ორგანიზაციაში, უფლებამოსილებათა დელეგირებაში მოქნილობის განხორციელება;

– როგორც ორგანიზაციის მმართველობითი პერსონალის, ისე მის გარეთ ეფექტიანი ურთიერთქმედების უზრუნველყოფა, ამასთან ერთად ეფექტიანი კონტროლის განხორციელებით და სხვა.

მოყვანილ დებულებებზე დაყრდნობით ცხადია, რომ ექსტრიმ-მენეჯერების მომზადების შინაარსი თავის თავში სამ ძირითად მიმართულებას უნდა მოიცავდეს:

1) პროფესიული მომზადება (პროფესიული საჭიროების სახეობების შინაარსი, ტიპური პროფესიული ამოცანები, სიტუაციები და მათი გადაჭრის ხერხები და სხვა);

2) პროფესიულ სფეროში ექსტრიმ-მენეჯერის წინაშე მდგომი ამოცანების ეფექტიანი შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო მისი პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებების განვითარება;

3) ექსტრემალურ სიტუაციებში პრობლემების გადასაჭრელად ექსტრიმ-მენეჯერის მომზადების დონისა და კრეატიული უნარების განვითარების ზრდა.

ექსტრემალური მენეჯერების მომზადებაში არსებითი როლი უნდა მიეკუთვნოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მის ფსიქიკაზე ნეგატიური ზემოქმედების მომხდენ სხვადასხვა ფაქტორზე მენეჯერის რეაქციასთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარებას. ეს სრულიად ნაირფეროვანი ფაქტორები შეიძლება იყოს:

– სიტუაციის არასტანდარტულობა, განუსაზღვრელობა და არაპროგნოზირებადობა;

– წარმოქმნილი, ადრე მენეჯერისთვის უცნობი პრობლემების განსაკუთრებული სირთულე;

– აუცილებელი უტყუარი ინფორმაციის არარსებობა;

საზოგადოების განვითარებამ XXI საუკუნეში კაცობრიობის წინაშე წინ წამოსწია ახალი მიზნები და ამოცანები, რომელიც ეფუძნება ფუნდამენტურად ახალი ტიპის განვითარებას, რაც ხასიათდება ტექნოლოგიური სტრუქტურების ცვლილებებით, საზოგადოებრივი წარმოების სფეროში მკვეთრად გამოიკვეთა მომსახურების, მეცნიერების და განათლების დარგების უპირატესობა. შეიცვალა ინდივიდის როლი სოციალურ - ის ინოვაციური იდეების გენერატორი და ინიციატორი გახდა და ამით უზრუნველყოფს ცოდნის გარდაქმნას ძირითად ეკონომიკურ ფაქტორად. პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები, მხოლოდ მისი პერსონალური მახასიათებლები აღარ არის, ის გახდა ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე და ფაქტორი მისი განვითარებისათვის. თანამედროვე საზოგადოებაში სულ უფრო აქტუალური ხდება ცნება - „ცოდნის ეკონომიკა“, რომელიც მოიხსენიება როგორც სამეცნიერო, ისე სოციალურ-პოლიტიკურ ლიტერატურაში. ეს განპირობებულია ტრანსფორმაციით, რომელიც მიმდინარეობს როგორც მთელ საზოგადოებაში, ასევე ეკონომიკაში, და რაც ასახავს პოვნებს მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებში. ეს პროცესები მთლიანობაში ყველაზე ნათლად შეინიშნება, მაგალითად, შეერთებულ შტატებში.

ცოდნის ეკონომიკა

რა არის ცოდნის ეკონომიკის არსი? ეკონომიკის ამგვარი განვითარების თეორია მიიჩნევს, რომ ეს არის ადამიანის ცოდნა და არა საქონელი ან წარმოება, რომელიც ეფუძნება განვითარებულ საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. კერძოდ, ცოდნა ხდება საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა. ცოდნის ეკონომიკა - ეს განვითარების უმაღლესი დონეა, რომელიც არ ცვლის ტრადიციულ სისტემას, მაგრამ ხდება მისი მომდევნო ლოგიკური ეტაპი. ცოდნის ეკონომიკის განვითარებით, საზოგადოებაში სრულფასოვანი საქონელი არის თავად ცოდნა, ის წარმოების ერთ-ერთი ფაქტორია და ის, თავისთავად, როგორც პროდუქტი, უნიკალურია.

ცოდნა ადამიანის აზროვნების შედეგია, რისი დახმარებითაც იგი აცნობიერებს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. ცოდნა იქმნება გარედან მიღებული ინფორმაციის წყალობით. თუმცა, აზროვნების პროცესში, თავად ინფორმაციაც არის ცოდნის შენახვის ფორმა. ამდენად, ცოდნა პროდუქტია, რომელიც, ერთი მხრივ, კერძოა, შეიძლება მისი მითვისება, მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივი, ყველას საკუთრება. მისი გაზომვა შეიძლება მის წარმოებაზე დახარჯული რესურსებითა და გაყიდული ცოდნის საბაზრო ღირებულებით. დანახარჯები მოიცავს კვლევასა და შემუშავებას, უმაღლეს განათლებასა და პროგრამულ უზრუნველყოფას.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს აღნიშნული ცნების ერთმნიშვნელოვანი, მკაფიო განმარტება. ამ საკითხებთან დაკავშირებით აღინიშნება აზრთა სხვადასხვაობა. ასე მაგალითად, ლ. მ. გოპბერგი მიიჩნევს, რომ „ცოდნის ეკონომიკა - არის ეკონომიკა დაფუძნებული ცოდნის ეფექტურ და ინტენსიურ გამოყენებაზე“; გ. კლეინერი გვთავაზობს შემდეგ განმარტებას - „ცოდნის ეკონომიკას ვუწოდებთ ეკონომიკის ისეთ მდგომარეობას, როდესაც: ა) ცოდნა ხდება სრულფასოვანი საქონელი; ბ) ნებისმიერი საქონელი უნიკალური ცოდნის მატარებელია; გ) ცოდნა ხდება წარმოების ფაქტორი.“

აღამ სმიტის, მარქსისა და შუმპეტერის გარდა, რომელთაც საქმე ჰქონდათ ცოდნასთან, მის შექმნასა და განაწილებასთან, მის გამოყენებასა და დანიშნულებასთან - ცოდნის ეკონომიკის თანამედროვე პიონერებად შეიძლება ჩავეთვალოთ: საიმონი, ჰაიეკი, აროუ, მაკლუპი. საიმონმა (1982) ცოდნის ეკონომიკასთან დაკავშირებული მრავალი საგანი შეისწავლა, მაგალითად, სწავლის პროცესში დამახსოვრების როლი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ საინფორმაციო ტექნოლოგიების ეკონომიკის ჭეშმარიტ წინამორბედად. ჰაიეკმა (1945) გამოიკვლია ცოდნის მასობრივ გაერცელებასთან დაკავშირებული პრობლემები და ცენტრალურ საგეგმო სააგენტოსთვის ცოდნის ტრანსფერის შეუძლებლობა. იმავე წელს გამოცემულ სტატიებში აროუმ განავითარა ცოდნის ეკონომიკა, რომელიც საფუძვლად დაედო კვლევის ორ ძირითად მიმართულებას: ცოდნის, როგორც საზოგადოებრივი საქონლის შესაქმნელად რესურსების განაწილების საკითხს და ენდოგენურ ტექნიკურ ცვლილებას. მაკლუპის ნაშრომი ძალზე ფართოა და მოიცავს: ცოდნის ეკონომიკის უაღრესად ფართო გაგებას - ინფორმაციის ეკონომიკას და გადაწყვეტილების მიღების თეორიულ პრობლემებს. განსაზღვრა რა ინფორმაცია „ცოდნის კონკრეტულ ფორმად“ მაკლუპმა (1984) ბუნებრივად გააფართოვა ცოდნის

ეკონომიკა და მოიცვა არა მხოლოდ საინფორმაციო სექტორებისა და მრეწველობის ანალიზი, ახალი ცოდნის წარმოების შესწავლა, უნარების შექმნისა და გადაცემის მექანიზმები, არამედ არჩევანისა და მოლოდინების ეკონომიკური თეორიაც ბუნდოვან სიტუაციასა და არასრულყოფილი ინფორმაციის პირობებში. ამ თვალსაზრისით მაჰლუპისა და ჰაიეკის მიდგომები მსგავსია: ისინი ტერმინებს „ცოდნა“ და „ინფორმაცია“ – შემცველებად იყენებენ, განსაკუთრებით, ფასების სისტემის, როგორც ინფორმაციის კომუნიკაციის მექანიზმის როლის შესწავლისას. რიჩარდსონის აზრით, პრობლემა უტოლდება ტექნოლოგიური ინფორმაციის არსებობას ბაზარზე აქტივობების კოორდინაციის სრულყოფისთვის. ეს ავტორები ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღებას ეკონომიკის ძირითად საკითხად მიიხსენებენ, ხოლო ცოდნისა და ინფორმაციის არსებობა-არარსებობას იმ ფაქტორებად, რომელიც განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღების პირობებს. ცოდნასა და ინფორმაციას შორის რეალური განსხვავება არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ცოდნის ეკონომიკის სახელები ძალზე ფართოა [Федотова В.Г., 2010:11].

აღნიშნული ტერმინის პოპულარობაში დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე ავსტრიული წარმოშობის ამერიკელმა მეცნიერმა პიტერ ფერდინანდ დრუკერმა (1909–2005), რომელიც გავლენიანი კონსულტანტი იყო და „მენეჯმენტის მამად“ მოიხსენიებდნენ. მან საკუთარი კვლევებით იწინასწარმეტყველა მე-20 საუკუნის მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა, მათ შორის „ინფორმაციული საზოგადოების აუცილებელი მოთხოვნა უწყვეტი განათლების მიმართ“. პირველად ტერმინი - ცოდნის ეკონომიკა გვხვდება 1966 წელს გამოცემულ წიგნში „The Effective Executive“, სადაც დრუკერი აღწერს განსხვავებას ხელით მომუშავეთა (manual worker) და ცოდნით მომუშავეთა (knowledge worker) შორის. პირველი მათგანი საკუთარი ხელებით აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას, ხოლო მეორე – საკუთარი თავით მუშაობს და ქმნის იდეებს, ცოდნასა და ინფორმაციას.

ცოდნის ეკონომიკის ზემოხსენებულ ორ მნიშვნელობას შორის არსებითი სხვაობა ის არის, რომ ცოდნის ეკონომიკაში ცოდნა პროდუქტია, ხოლო ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში – ინსტრუმენტი (იარაღი). თუმცა, ეს განსხვავება ჯერ კიდევ ორაზროვანია ეკონომიკურ ლიტერატურაში. ორივე მნიშვნელობა ინტერდისციპლინარულია, მათში ჩართულნი არიან ეკონომისტები, კომპიუტერული მეცნიერების წარმომადგენლები, ინჟინრები, მათემატიკოსები, ფსიქოლოგები და ა.შ.

ინფორმაციული ტექნოლოგიის სწრაფმა პროგრესმა შესაძლებელი გახადა ცოდნის ზრდა, ხელი შეუწყო მის ხელმისაწვდომობას, გააფართოვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ცოდნის გავრცელებისა და გამოყენების შესაძლებლობები. ამიტომაც საზოგადოების ინფორმირებამ გამოიწვია ცოდნის ეკონომიკის გაგება, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის წარმოებასა და მართვაზე და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის გაგება, რომელიც გულისხმობს ცოდნის ტექნოლოგიების გამოყენებას ეკონომიკური სარგებლისა და ზრდის უზრუნველსაყოფად.

ცოდნის ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლებია:

მომსახურების მაღალი წილი ეკონომიკის სტრუქტურაში. მაგალითად, აშშ-ში ამ სფეროში დასაქმებულია 75% -ზე მეტი;

განათლებისა და კვლევის გაზრდილი ხარჯები. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში განათლებისა და მეცნიერების ხარჯების თანაფარდობა მთლიანი შიდა პროდუქტის 6.5% -ია (ოთხმოცდაათიან წლებში - 5.4%). საქართველოში ეს მანევრებადი გასულ წელს 0,43% -ს შეადგენდა;

პროგრესი ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროში;

ქსელური ურთიერთობების განვითარება კორპორაციული და პირადი ქსელების სახით;

ეროვნული საინოვაციო სისტემის ჩამოყალიბება, მათ შორის ფუნდამენტური მეცნიერების ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები, საწარმოს ფონდები და სხვა;

განათლების განვითარება, როდესაც საშუალო განათლება გახდა უნივერსალური და უმაღლესი განათლება მასიური, რომელიც მოიცავს შესაბამისი ასაკის მოსახლეობის 60% -ს, როდესაც ხორციელდება გრძელვადიანი განათლების კონცეფცია;

სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია.

ცოდნის ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური განვითარების მთავარი წყარო

ცოდნის ეკონომიკა დღეისათვის წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ტრანსფორმაციის საბოლოო სტადიას. ტრადიციული მეურნეობა ანუ ინდუსტრიამდელი ეპოქა წინ უსწრებდა ინდუსტრიულ წარმოებას, რომელიც თავის მხრივ შეცვალა პოსტინდუსტრიულმა პერიოდმა და დღეს ხდება რესურსტევადი ტექნოლოგიების ჩანაცვლება სამეცნიერო ტექნოლოგიებით, როგორც მიკრო-, ასევე მაკროდონეზე.

ცოდნის ეკონომიკა მზარდ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ წარმატებაზე. თუ ადრეულ ეკონომიკურ ურთიერთობებში სახელმწიფოთა კეთილდღეობას წარმოების ექსტენსიური ტიპი განსაზღვრავდა, უკვე გვიანი შუასაუკუნეებიდან მოყოლებული ეკონომიკური წარმატების საწინდარი გახდა შრომის წარმოების გაიაფება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ადამიანი, როგორც ცოდნის ქარხანა, იქცა ახალი ტექნოლოგიების, ნოვატორული იდეების გენერატორად და სულის ჩამდგმელად. თუ დავესესებით ნეოკლასიკურ

თეორიას, ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს კაპიტალის დაგროვებისა და სამუშაო ძალის ზრდის შედეგს წარმოების ხარჯების შემამცირებელი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვასთან ერთად. ცოდნის ეკონომიკის გათვალისწინებით კი ეკონომიკური ზრდა დამოკიდებული გახდა ადამიანურ ფაქტორზე, რომელიც საწარმოო პროცესებში მონაწილეობს მუდმივად განახლებადი ცოდნის კაპიტალის სახით. ცოდნის ეკონომიკის კონცეპტუალურ საფუძველს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში წარმოადგენს ცოდნა და ადამიანური კაპიტალი, რომელთა ფუნქციონირების თავისებურებები დაფუძნებულია ძირითადად ორ ფუნდამენტურ საფუძველზე: 1. ცოდნა წარმოადგენს უმთავრეს წარმოების ფაქტორს და გააჩნია ღირებულება; 2. ცოდნა და ადამიანური კაპიტალი საწარმოო კაპიტალია. რაც მეტია და ახალი დაგროვილი ცოდნა და რაც უფრო შეესაბამება იგი ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, მით უფრო მაღალია კაპიტალში შეფასებული ადამიანური ცოდნის მაჩვენებელი [გელაშვილი მ., 2017:56].

ახალი ცოდნისა და ადამიანური კაპიტალის გენერირება ფაქტობრივად წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური განვითარების აუცილებელ წინაპირობას. ცხადია, ცოდნა და ადამიანური კაპიტალი ურთიერთდამოკიდებული კატეგორიებია: შექმნას ახალი ცოდნა და ეფექტიანად გამოიყენოს ეს ცოდნა - რეალობაში შეუძლია მხოლოდ მაღალკვალიფიციურ და განათლებულ სპეციალისტებს. აქედან გამომდინარე ადამიანური კაპიტალს ინოვაციურ ეკონომიკაში ენიჭება უმთავრესი ადგილი წარმოების ფაქტორთა შორის, რომლებიც ზემოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე, რადგანაც ადამიანური კაპიტალის განვითარების მაღალი დონე განსაზღვრავს კრეატიულობის მაღალ დონესაც, რაც თავის მხრივ აუცილებელია ახალი ცოდნის (ინოვაციის) შესაქმნელად. საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში უკვე კარგა ხანია დაიწვეს ეკონომიკურ ზრდასა და განათლებას შორის დამოკიდებულების შესწავლა. ართურ მედისონის ("კაპიტალისტური განვითარების დინამიური ძალების" ავტორი) მიერ დადგენილია, რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიციების 1%-ით ზრდა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.35%-ით ზრდას, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მის მიერ შეგროვილი ფაქტების ანალიზზე ასკვნის, რომ სწავლების საშუალო სტატისტიკური ხანგრძლივობის ზრდა ერთი წლით, იწვევს შესაბამისი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას 3-6%-ით [Gelashvili M., 2016:79].

ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, მთელ მსოფლიოში უმაღლესი განათლება აქვს შრომისუნარიანი მოსახლეობის 32%-ს. თუმცა მეტი წილი ე.წ. დიპლომიანი ადამიანებისა მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. განვითარებული ქვეყნები ლიდერობენ ასევე მთლიან შიდა პროდუქტში განათლების პროცენტული მაჩვენებლითა (საშუალოდ 5,75%) და უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯის მიხედვითაც (საშუალოდ 10655 დოლარი ერთ სტუდენტზე ერთი წლის განმავლობაში) [Gelashvili M., 2016:79].

მოყვანილი ფაქტები ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რაც მეტია განათლებული ხალხის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში, მით მაღალია ეკონომიკის დონე ამ ქვეყნებში. იმ მაგალითების რაოდენობა, რომელიც ასაბუთებს პირდაპირ კავშირს ტექნოლოგიურ ინოვაციებს (რომელიც მიღებულ იქნა სამეცნიერო კვლევებით) და ეკონომიკური გადაწყვეტილებების ეფექტიანობას შორის (რომელიც მოცემული კვლევების გამოყენების საფუძველზე იქნა მიღებული), კიდევ უფრო ამყარებს იმ დებულებას, რომ მეცნიერება ინტეგრირებს ეკონომიკასთან და სამეცნიერო ცოდნა გენერირებს დამატებით ღირებულებას უფრო დიდი დოზით ვიდრე სხვა წარმოების ფაქტორები. სამეცნიერო ცოდნა, რომელიც მიიღება კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე გამოიყენება როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური პროდუქტების შესაქმნელად. ამდენად, განათლება და სამეცნიერო ცოდნა ქმნის დამატებით ღირებულებას და ამით ზრდის პროდუქტიულ აქტივებს. ეკონომიკის ნებისმიერი სუბიექტის კონკურენტული უპირატესობა მდგომარეობს მის ინოვაციურ აქტივობაში, ანუ შესაძლებლობაში, განახორციელოს ახალი ცოდნის გენერირება ან ცოდნის გამოყენება ახალი მეთოდებით [Gelashvili M., 2013:14].

თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ცოდნა მუდმივად განახლებადია და გენერირდება რა ახალ პროდუქტსა და მომსახურებაში, ის იწვევს ინოვაციას. ინოვაცია კი არის ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების გამოყენება ახალი პროდუქტების, პროცესებისა და სერვისების შესაქმნელად. იგი მოიცავს ინოვაციების შექმნის არა მარტო კომერციულ მიზნებს, არამედ საზოგადოების კეთილდღეობასაც. არსებობს ინოვაციის სხვადასხვა კლასიფიკაცია.

განახლებადი ინოვაციების შემდეგ სახეობებს:

პროდუქტის ინოვაცია (მომსახურება) - სამომხმარებლო პრობლემის მოსაგვარებლად ახალი გზების დანერგვა;

პროცესის ინოვაცია - ახალი ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესებას, შემცირებულ ხარჯებს, წარმოების შემცირებას;

ინოვაციური სტრატეგია - ახალი მენეჯმენტის მეთოდები.

სხვადასხვა ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნით, საქართველო, სამწუხაროდ, მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ინოვაციების სხვადასხვა ინდექსის მიხედვით. ასე მაგალითად, 148 ქვეყნიდან შემდეგი ადგილები უკავია საქართველოს: ინოვაციების ათვისება-დანერგვის წარმადობით - 118-ე; ქვეყნის კომპანიების მიერ კვლევებსა და განვითარებისათვის დახარჯული სახსრებით - 128-ე;

უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობით მე-100; საწარმოების მიერ ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების აბსორბირების (ათვისების) უნარის მიხედვით - 117-ე.

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება მოითხოვს მეცნიერების რეფორმირებას, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში არათანმიმდევრულად მიმდინარეობს. ეს პროცესი უნდა დაიწყო, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობის მოზიდვით მეცნიერებში, რაც შესაძლებელია მეცნიერების პრესტიჟულ და პერსპექტიულ მიმართულებად წარმოჩინებით.

დასკვნა

ჩვენი აზრით, საქართველოს დღეისათვის გააჩნია მეცნიერული კვლევების შესაძლებლობის საკმაოდ პოტენციალი, სამეცნიერო სკოლა, ფართო საუნივერსიტეტო ქსელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გვაქვს ინოვაციური აქტივობის საკმაოდ დაბალი დონე. ინვესტიციებს განათლებასა და სამეცნიერო კვლევებში და მშპ-ს ზრდას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ამიტომ ჩვენი ქვეყნის მთავარ ამოცანას უახლესი პერსპექტივისათვის წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის განვითარების აქტივიზაცია. სწორედ ფირმის შესაძლებლობები, აწარმოოს და რეალიზება განახორციელოს იმ პროდუქციისა, რომელიც ინოვაციური ცოდნის შედეგადაა შექმნილი, წარმოადგენს ინოვაციური ეკონომიკის განმსაზღვრელ ფაქტორს.

ქვეყანას რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა აქვს, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია ინოვაციების განვითარებაში მნიშვნელოვანი პროგრესის მისაღწევად. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს შედეგებმა სწორედ იმ მიმართულებებით იკლო, რაც წინა წლებშიც ქვეყნის სისუსტეს წარმოადგენდა. კერძოდ, 100 ქულიდან 20-30 ქულებს შორის მერყეობს საქართველოს მაჩვენებლები ადამიანური კაპიტალისა და განათლების, ბიზნესის განვითარების მდგომარეობის, ცოდნისა და ტექნოლოგიური წარმოების კრიტერიუმებში. მართალია, ქვეყანას კარგი მაჩვენებლები ჰქონდა ინსტიტუციური მოწყობისა და მარეგულირებელი პოლიტიკის თვალსაზრისით, თუმცა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, კერძო სექტორის განვითარების დონე და სამეცნიერო ბაზისი მაინც ჩამორჩება განვითარების გლობალურ ტენდენციებს.

პროგრესის მისაღწევად საჭიროა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას განათლებისა და კვლევის განსაზღვრებლად. ასევე, სასურველია, კერძო ბიზნესის მეტი აქტიურობა ამ პროცესში, რაც ბიზნესკონკურენციის ხელშეწყობითა და ინოვაციების დასაწინააღმდეგებლად წამახალისებელი ღონისძიებების გატარებითაა შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Gelashvili M., 2017. Innovative Human Capital and its development characteristics, SSU IV international-practical conference, collections. Tbilisi "Homeland".
2. Gelashvili M., 2013. State Regulation of Investment Activities in Georgia. Nova Science Publishers. Georgian International Journal of Science and Technology. ISSN: 1939-5825 <https://www.novapublishers.com/catalog/index.php?cPath=125>; USA v. 5-9.
3. Gelashvili M., 2016. Competition and problems of monopolistic markets. "Global world" scientific anthology, volume 2 (II).
4. Хайек Ф. , 2001. Экономическая теория и знание [Текст] / Ф. Хайек // Индивидуализм и экономический порядок. - М., С. 51-71.
5. Федотова В.Г., 2010. Социальные инновации как основа процесса модернизации [Текст] // Вопросы философии. № 10. - С. 1-15.
6. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2015. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულება. საქართველო.
7. საქართველოს ეროვნული ანგარიშები. სტატისტიკური კრებული. 2015-2017.
8. Global Innovative Index 2016 Report. Available from: www.globalinnovationindex.org.
9. Research and Development Expenditure 2014. Available from: www.uis.unesco.org.

Madona Gelashvili

ECONOMICS OF KNOWLEDGE AS A FACTOR OF INNOVATION DEVELOPMENT

Summary

Knowledge (innovative) economics represents final stage of world economics transformation. Traditional economy or pre-industrial era preceded industrial production, which on the other hand was replaced by post-industrial period and today resource-technologies are replaced by scientific technologies at micro as well as macro levels.

Knowledge economics increasingly influences the state economic succession. It within the previous economic relationships, state prosperity was determined by extensive type of production, since late middle ages, the prerequisite for economic succession became the cheapening of labor production as a result of implementation of novel technologies. Therefore, human being, as a knowledge factory became a generator of novel technologies, innovative ideas. With the help of neoclassical theory, it can be said that economic growth represents the outcome of increasing labor workforce along with technological processes reducing the expenses. Taking into consideration knowledge economics, eco-

economic growth depends on human factors, which participates in production process in the form of constantly renewing knowledge capital. Conceptual basis of knowledge economics in post-industrial society represents knowledge and human capital, functional characteristics of which are based on two fundamental grounds: 1. Knowledge represents one of the major factor for production and possesses value; 2. Knowledge and human capital is a production capital. The more and novel knowledge is accumulated and the more it complies with the requirements existed on the market, the higher is the indicator of evaluated in capital human knowledge [Julakidze, 2016:1].

The relation between economic growth and education has already been investigated among scientific circles abroad. Artur Madison (the author of ~Dynamic Forces in Capitalist Development) found out that the increasing investments in education for 1% increases gross domestic product by 0.35%, and the organization of economic cooperation, on the basis of the facts analyzed by him, shows that increasing the statistical duration of teaching for one-year results in the increase of GDP by 3-6%.

On the basis of the information provided by the same organization, 32% of the population possess higher education. However, major part of this data is taken by the developed countries. Developed countries are leaders in terms of education percentage share in Gross Domestic Product (average 5.75%) and in terms of expenses directed to higher education (average 10 655 Dollars per student a year).

Given facts prove the opinion that the more educated people exist in a country, the higher is level of economic condition in these countries. The number of the examples, that prove direct relation between technological innovations, developed through scientific researches, and the efficiency of economic decisions, taken on the basis of given researches, strongly proves the provision that the science integrates with the economics and scientific knowledge generates additional value to the bigger extent compared to other production factors. Scientific knowledge, which is acquired through researches and analysis, is applied with the creation of material as well as non-material productions. Thus, education and scientific knowledge creates additional value and increases productive assets. Specific advantage of any economic entity exists in its innovative activity, opportunity to generate novel knowledge and employ it through novel methods.

Physical and spiritual firmness depends on various social factors – health, culture and rest, feeding levels. Therefore, the scientists of various countries reached the conclusion that except the investments in education, it is important to draw adequate attention to funding human capital, which will definitely reflect on the productivity and the increased efficiency of production. A wide range of approaches for study of human capital is given. All these approaches can be attributed to two directions: first – these are the works related to the increase of human conditions, the second – the works, which focus on human perfection, his/her intellectual and physical characteristics. A group of theories, which covers the analysis of improving human conditions, can be attributed to the coefficient of life quality (A. Campbell, S. Coul, I. Milze and others) and population quality (I. Pubin, A. Pechei and others).

And the groups of theories, which aim human characteristics perfection can be attributed to „Human Potential” and „Human Capital” concepts. All the theories, which exists in scientific literature and is based on „Human Capital” concept may be divided into two groups: 1) Economic Approach – which depends on human capital index and human development research concepts; and 2) sociological approach – which describes human capital as a characteristic of separate individual group, which characterizes the level of social development and the ones who support methodological individualism, which considers human capital in close relation to the individual.

World human capital is a part of national wealth and represents its 2/3. Development paradigm of human capital of USA and leading European countries has been developed on the basis theory and practice which is currently being refined. In 2012, the value of USA human capital equaled to 97 Trillion USD, which is 78% of national wealth of the country. 26% of human capital of the world is attributed to USA (its share in world economics is 21%), Russia – 8%, China 7%, Brazil and India 2-2%, Europe 67%. This indicator for Georgia represents 30%, Russia – 50%. For most of the countries, human capital is above half of the country’s wealth (except OPEC ones).

Major basis of human capital development is education. Major criteria of human capital development are the expenses in education. In overall, investments in human capital affects on the prospects of country’s development.

The share of the expenses on education is determined as the overall amount spent on education by state and private sector.

Ната Давлашеридзе

«УМНЫЕ ГОРОДА» КАК ОДНО ИЗ ОСНОВНЫХ НАПРАВЛЕНИЙ СОЦИАЛЬНЫХ ИННОВАЦИЙ

***Аннотация.** В работе рассматриваются актуальные вопросы одного из основных современных направлений социальных инноваций – «умного» города. Повышение комфорта и качества жизни через внедрение элементов «умного города» становится возможным благодаря развитию цифровой экономики, внедрению сетевых форм и блокчейна при организации инновационной деятельности.*

***Ключевые слова:** социальные инновации, «умные» города, блокчейн*

Введение

Одним из основных критериев социального развития считаются социальные инновации (англ. social innovation) – это новые идеи, стратегии, технологии, которые способствуют решению социально-значимых задач, вызывающие социальные изменения общества.

К социальным инновациям, можно отнести новые социальные системы, системы образования, здравоохранения, системы общественных коммуникаций, использующие инновационные подходы и/или технологии.

Социальные инновации присутствуют в множестве политических инициатив Европейской комиссии: европейская платформа борьбы с нищетой и социальной изоляцией, Социальная бизнес-инициатива Инновационного союза, пакеты занятости и социальных инвестиций, цифровая повестка дня, новая промышленная политика, инновационное партнерство для активного и здорового старения и политики сплочения.

Многие проекты социальных инноваций получили уже поддержку Европейского Структурного фонда. На 2014-2020 годы социальные инновации были четко интегрированы в Положения о структурных фондах, предлагая государствам-членам и регионам дополнительные возможности для инвестиций в социальные инновации.

* * *

Социальные инновации имеют огромное значение для экономического развития и улучшения качества жизни людей в городах. Согласно результатам исследования, проведенного Frost&Sullivan в сотрудничестве с компанией Hitachi Europe Ltd., к 2020 г. 56% населения Земли будет проживать в городской среде, а к 2025 г. более 35 городов станут гигантскими мегаполисами, появится также 26 «умных» городов, объем рынка технологий интеллектуальных городов достигнет феноменального объема 1,57 трлн. долл. США. По оценкам ООН, к 2050 году 67% населения Земли будут проживать в городах. Уже сейчас некоторые мегаполисы мира перенаселены. Муниципалитеты не всегда справляются с уборкой мусора, поставка коммунальных ресурсов и электроэнергии от района к району неоднородна и т.д. Чтобы предоставлять населению качественные городские услуги, администрации все чаще внедряют различные информационные системы. Это рождает потребность в новых инновационных решениях, и именно здесь на первый план выходят социальные инновации.

Для выявления технологических трендов «Умных городов» было проанализировано более 6 млн различных источников информации. По итогам исследования ТОП-10 сквозных технологий выглядит следующим образом:

- Интернет вещей
- 5G
- Биометрия
- Обработка неструктурированных данных
- Технологии поддержки принятия решений
- Дополненная и виртуальная реальность
- Распределенные базы данных
- Геоинформационные технологии и навигация
- Машинное обучение
- Облачные/туманные/граничные вычисления

За каждой сквозной технологией стоят конкретные решения для повышения качества жизни. Например, геоинформационные технологии и сверхточная навигация вместе с 5G являются основой для появления беспилотного общественного транспорта. Цифровые технологии поддержки принятия решений и обработки неструктурированных данных, машинное обучение необходимы для создания умных систем управления дорожно-транспортной инфраструктурой, включающей прогнозирование трафика, умные светофоры и даже контроль усталости водителей автобусов. Именно поэтому сквозные технологии должны быть в фокусе внимания при разработке и реализации концепций «Умных городов».

Рейтинг от исследовательской компании Juniper Research и производителя процессоров Intel оценивает города по таким критериям, как успехи в интернет-технологиях, их влияние на жизнь людей, здравоохранение и инфраструктуру в целом.

Авторы рейтинга отметили, что интеллектуальная система управления транспортом в победителе рейтинга – Сингапуре сокращает время простаивания в пробках на 60 часов в год в среднем для каждого водителя. Также Сингапур превзошел другие города по распространенности гаджетов среди пожилых людей. Это позволяет контролировать их состояние здоровья, продлевает жизнь и ее качество.

Второе место заняла мировая финансовая столица – Лондон. Далее следуют американские города: Нью-Йорк, Сан-Франциско и Чикаго. В десятку победителей вошли столицы Южной Кореи и Японии, причем Сеул опередил Токио. Из новичков в подобных рейтингах можно отметить Барселону – второй по численности испанский город. Он занял девятое место в рейтинге.

Проект «Умный город» развернут в Баку компания Huawei и министерство транспорта, связи и высоких технологий Азербайджана, как заявил 18 марта 2017 года вице-президент Huawei по центральной Азии и региону Кавказа Марко Ху. Он отметил: «В Азербайджане разработана Концепция развития «Азербайджан – 2020: взгляд в будущее» и стратегическая дорожная карта по развитию телекоммуникационных и информационных технологий. Мы как компания также стараемся внести свой вклад в превращение республики в регионального

лидера». Так, уже запущенный в столице Азербайджана проект «Общественный Wi-Fi» послужил началом для внедрения «Умного города». Роль, которую преследует компания Huawei, заключается в том, чтобы помочь Минсвязи республики в становлении проекта. В последующие этапы будут реализованы такие компоненты как «Умный транспорт», «Умный порт», «Умная торговля» и т.д., по каждому из которых имеются конкретные решения, которые будут внедряться поэтапно.

Помощь по развертыванию программы «умных городов» в Узбекистане окажет республике компания IBM Восточная Европа/Азия. Во время переговоров по налаживанию сотрудничества с Министерством по развитию информационных технологий и коммуникаций Узбекистана стороны определили в качестве основных направлений взаимодействия такие, как развитие технологии «умных городов», подготовка высококвалифицированных ИТ-специалистов, разработка программных продуктов, «облачные» технологии и поддержка и финансирование стартапов. Министерство также подписало меморандум о взаимопонимании и сотрудничестве с компанией SAP CIS (САП СНГ). Документ позволяет вендору обучать специалистов и участвовать в проектах по улучшению условий для развития информационных технологий в республике, при этом компания может рассчитывать на льготы, которые определены указом президента «О мерах по коренному улучшению условий для развития отрасли информационных технологий в республике».

К осуществлению нового проекта в Грузии «Smart City: Heat Wave — пилотный проект» приступил Фонд Your Forest. Пилотная версия проекта была запущена в городе Батуми.

Целью проекта является создание городской климатической сети высокого разрешения, осуществляющей непрерывный метеорологический мониторинг (с интервалом обновления данных от 10 до 30 минут).

Батуми является одним из первых «умных городов» в мире, в котором с помощью системы мониторинга климатического состояния можно будет планировать архитектурное развитие города, прогнозировать риск природных катаклизмов, улучшать туристическую инфраструктуру города, информировать водителей об изменении дорожной обстановки из-за погодных условий, а также развивать агропромышленный сектор.

Население, заинтересованные государственные органы и туристы будет иметь возможность получать в Интернете в непрерывном режиме метео-информацию относительно теплового индекса, представляющего огромный риск для больных людей, а также информацию о местах укрытия в «часы пик». В городе установлены семь высокотехнологических метео-станций, следующие три станции в ближайшее время планируется установить в городе Мцхета.

На базе алгоритма искусственного интеллекта планируется разработка и создание профессиональной версии системы для следующих секторов –

Здоровье: будет собрана анонимная база показателей здоровья, для выявления связи между метеорологическими явлениями и здоровьем, система оповещения об аллергенах, песчаных бурях, опасности для астматиков, для пожилых людей и для тех, кто принимает лекарства и имеет влияние на них климатических условий и так далее. Планируется разработать маршруты для укрытия (магазины, кафе, каньоны, рестораны) а также пункты ближайшей помощи. К системе будет подключена прямая связь с ближайшим врачом, который может оказать первую медицинскую помощь, а также, в экстренных случаях, к станциям скорой помощи.

Помощь муниципальным службам: заблаговременное оповещение соответствующих служб города о надвигающихся опасностях таких, как пожар, шторм, засуха, высокая эвапотранспирация, снегопад, опасность заражения и загрязнения и тд. для своевременного осуществления ими мероприятий, направленных на защиту людей от поражающих воздействий катастроф и стихийных бедствий, обеспечение смягчения этих воздействий и оказания помощи людям в условиях чрезвычайных ситуаций.

Урбанизация: система расчета для оптимального зеленого строительства с учетом климатических данных.

Туризм: умная маршрутизация путешествий и прогулок, а также расписание на ближайшие 12 часов для туристов с учетом климатических данных, и опасностях, которые могут оказать метеоявления.

Проведенный анализ позволил выделить несколько новейших и наиболее полезных элементов создания умных городов, которые могут быть использованы в Батуми, а также в других городах Грузии:

Модель не Smart, а 3DEXPERIEN City, разработанная Dassault Systèmes (целостный, то есть холистический подход – система систем, управление «жизненным циклом» города), которая позволит не повторить ошибок города-призрака Сонгдо. «Умный город» Сонгдо на северо-восточном побережье Южной Кореи, также известный как Международный бизнес-округ Сонгдо, должен был стать технологической столицей полуострова, городом будущего, больше похожим на утопию из научной фантастики, чем на рядовой город современности. Однако со старта проекта, запущенного в строительство в 2002 году, город остаётся полупустым и недостроенным. Сонгдо сравнивают с заброшенной тюрьмой и Чернобылем, сегодня в городе постоянно живут около семидесяти тысяч жителей, построенные жилищные площади заполнены меньше чем на четверть. Проект стоимостью 35 миллиардов долларов не смог найти достаточное количество инвесторов и привлечь представителя многих крупных мировых компаний.

Город, основанный на знаниях, как носитель культуры и компетенций, как субъект международных отношений и коллабораций (инициатива Альянса четырех городов, которая берет свое начало от Ричарда Найта).

Использование стандартов «умных городов» ISO 37120:2014 «Устойчивое развитие сообщества. Сбор данных от городов и их анализ осуществляет международная организация Всемирного совета по городским данным World Council on City Data (WCCD), выполняющая функции сертификации городов по соответствию

ISO-стандартам. Показатели городских услуг и качества жизни», который регламентирует 46 обязательных и 56 вспомогательных показателей по 17 направлениям; и ISO 37151:2015 «Интеллектуальные инфраструктуры коммунального хозяйства, в котором сформулированы принципы и требования к системе рабочих показателей», дана методика оценки производительности коммунальной инфраструктуры умных городов по 14 категориям основных потребностей сообщества (с точки зрения жителей, руководителей и окружающей среды).

Особое значение имеет работа в этом направлении на основе частно-государственного партнерства.

5) Наконец, одним из факторов развития «умного города» является использование технологий блокчейн.

В настоящее время Грузия рассматривается как успешный пример по внедрению технологий блокчейн. Так, Национальное агентство публичного реестра Грузии и компания Bitfury подписали меморандум о взаимопонимании, в соответствии с которым будет осуществлено массовое внедрение блокчейн-сервиса по покупке и продаже прав собственности на земельные участки, регистрацию новых прав, а также регистрацию складных на недвижимость и нотариальное оформление документов, чтобы граждане Грузии могли использовать систему круглосуточно, используя при этом даже смартфоны и чтобы все транзакции были безопасными, защищенными и подотчетными. Также в планах Bitfury стоит перевод в блокчейн таких сервисов, как нотариальные услуги и оформление эскроу (документ, приобретающий формальное качество документа за печатью лишь после исполнения указанного в нем условия).

В стране начинается строительство самого большого в мире центра для майнинга биткойнов. Этим занимается фонд GCF с капиталом в 6 млрд. долл. Фонд GCF финансируют Dhabi Group и Рас-эль-Хайма Investment Authority из Объединенных Арабских Эмиратов, Государственный нефтяной фонд Азербайджанской Республики, частные инвесторы из Турции. Также участвуют Industrial Holdings Limited (Батуми), дочерняя компания КазТрансОйл (Казахстан) и другие инвесторы.

Летом в Тбилиси пройдет главное криптособытие Грузии — Blockchain & Bitcoin Conference Georgia 2018. Участники и партнеры мероприятия — основатели и популяризаторы блокчейн-индустрии в стране: Association Blockchain Georgia, Bitcoin Embassy Georgia и Blockchain Systems Institute. Свою роль в направлении содействия таких систем в Грузии намерен сыграть Всемирный банк и другие международные финансовые организации.

Для развития проектов «умных городов» необходимо проведение активной политики по информированию населения и экспертного сообщества об успехах развития концепции умного города для усиления поддержки граждан, использование Big Data с целью оптимизации проведения инспекций в различных сферах городской жизни. Большое значение имеет участие в международной работе по развитию концепции умных городов для обмена опытом с ведущими городами мира и с компаниями-вендорами технологических решений. Для развития цифрового города надо переходить на работу платформ с целью интеграции разобщенных потоков функциональных данных и проведения интегрированного анализа и повышения качества решений.

Заключение

В целом можно сделать вывод, что в значительной мере привлекательность социальных инноваций исходит из того, что она может служить *зонтичной* концепцией для поиска решений современных проблем в творческом и позитивном ключе.

Региональные органы власти могут организовать этот процесс. Они могут взять на себя инициативу в продвижении социальных инноваций, предоставить средства, объединить различные заинтересованные стороны, проявить стратегическое мышление и поддержать создание свежих идей для преодоления социальных проблем.

Подготовка стратегии и плана действий для социальных инноваций, которая связана с стратегией умной специализации региона;

Создание потенциала для социальных инноваций путем поддержки новых организаций и адаптации существующих организаций. Это может включать поддержку независимых учреждений третьего сектора для социальных инноваций, а также создание подразделений в государственном секторе. Велика также роль обучения новым методам генерации идей, проблематизации и финансовому моделированию;

Укрепление рынка социальных инноваций и поощрение межсекторального сотрудничества путем использования возможностей государственных закупок для поощрения новаторских и межсекторальных подходов;

Поддержка инноваторов на стадия стартапов и развития посредством мер поддержки бизнеса и поощрения инноваций на рабочих местах;

Инвестирование в новые модели финансирования для каждого этапа инновационного процесса и, в частности, для финансирования пилотных проектов, внедрения и расширения. Изучение того, как новые финансовые инструменты могут поддерживать подходы, основанные на результатах (например, в рамках социальных облигаций или платежей по модели результатов);

Создание лучших структур для оценки результатов социальных инноваций, для оценки, сопоставления и сравнения существующих и предлагаемых стратегий и проектов;

Содействие обмену и изучению подходов к социальным инновациям.

Литература

1. Десять самых «умных» городов на земле. <http://uniqhotel.ru/10-samyh-umnyh-gorodov-na-zemle/>
2. 2017 Smart Cities Index. <https://easyparkgroup.com/smart-cities-index/>
3. Интеллектуальные города. Умные города. Smart cities. <http://www.tadviser.ru/index.php>
4. More About Smart Cities. [https://www.ces.tech/Topics/Internet-of-Things-\(IoT\)/Smart-Cities.aspx](https://www.ces.tech/Topics/Internet-of-Things-(IoT)/Smart-Cities.aspx)

Nata Davlasheridze

"THE SMART CITIES" AS ONE OF THE MAIN DIRECTIONS OF SOCIAL INNOVATIONS

Summary

One of the main criteria of social development is social innovations (in English - social innovation) are new ideas, strategy, technologies which promote the decision of socially important tasks, causing social changes of society.

New social systems, education systems might be considered as social innovations, health care, the systems of public communications using innovative approaches and/or technologies.

Social innovations have huge value for economic development and improving of quality of life of people in the cities. Therefore one of principal directions of social innovations are the "smart" cities. According to results of the research conducted by Frost & Sullivan in cooperation with the Hitachi Europe Ltd company., by 2020 56% of the population of Earth will live in the urban environment, and by 2025 more than 35 cities will become large megalopolises, there will be also 26 "smart" cities, the size of the market of technologies of the intellectual cities will reach the phenomenal volume of 1,57 trillion US dollars. By development and implementation of concepts of "The smart cities" it is necessary to consider open technologies among which are: the Internet of things, 5G, the Biometry, processing of unstructured data, technologies of support of decision-making addition and the virtual reality, distributed databases, geoinformation technologies and navigation, machine learning, etc.

The rating from the research company Juniper Research and the producer of Intel processors evaluates the cities by such criteria as achievements in internet technologies, their influence on life of people, health care and infrastructure in general. According to rating Singapore exceeded other cities on prevalence of gadgets among elderly people. It allows to control their state of health, prolongs life and its quality. The second place was taken by the world financial capital – London. Further the American cities follow: New York, San Francisco and Chicago. Among ten winners are included the capitals of South Korea and Japan, and Seoul outstripped Tokyo. From beginners in similar ratings it is possible to mark Barcelona – the second Spanish city in number. He took the ninth place in rating. The Smart City project has begun in Baku and in Uzbekistan.

To implementation of the new project in Georgia "Smart City: Heat Wave — the pilot project" has been started by Your Forest Fund. The pilot version of the project has been started in the city of Batumi.

The purpose of the project is creation of the city climatic network of high resolution which is carrying out continuous meteorological monitoring (with an interval of updating of these data from 10 to 30 minutes).

The carried-out analysis has allowed to allocate several latest and the most useful element of creation of the smart cities which can be used in Batumi and also in other cities of Georgia. Now Georgia is considered as a successful example on introduction of blockchain technologies. Also in Georgia the construction of the biggest center in the world for mining of bitcoins begins. The GCF fund with the capital in 6 bln. dollars is engaged in it.

In general it is possible to make the conclusion that development of projects of "the smart cities" requires carrying out active policy on informing the population and expert community about progress of development of the concept of the smart city for strengthening the support of citizens, use of Big Data for the purpose of optimization of conducting inspections in various spheres of city life.

ლია დავლაშივილი

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის თანამედროვე ტენდენციები

ანოტაცია. სტატიაში აღნიშნულია, რომ წარმოების სტრუქტურა მუდმივად იცვლება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენის გამო. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპი კი განაპირობა სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელიც, წარმოებასთან ერთად, სხვადასხვა დარგებს მოიცავს; ნახვენებია, რომ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება მათი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და საინფორმაციო რესურსები. მიმოხილულია თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ფაქტორები ტექნოლოგიები და ეკონომიკური ზრდის წყაროები გამოვლენებები და ნოვაციები; მითითებულია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ძირითადი მიმართულებების შესახებ; გამოკვეთილია ის სფეროები, სადაც ყველაზე მეტად გამოვლინდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევები.

საკვანძო სიტყვები. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ცოდნის ეკონომიკა, ეკონომიკის გლობალიზაცია, ტექნოლოგიური რღვევა, შრომის დანაწილება, მაღალტექნოლოგიური დარგი.

შესავალი

დღის წესრიგში დგას ცოდნასა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული განვითარება. სწორედ ამ მიზნით ხდება წარმოების ტექნიკურად პროგრესული მეთოდების შემუშავება და დანერგვა.

თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შინაარსი ისაა, რომ მეცნიერება უშუალოდ საწარმოო ძალად გარდაიქმნა, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკური და საინფორმაციო პოტენციალი კონკურენტუნარიანობის გადამწყვეტი ფაქტორი გახდა.

თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორებია ტექნოლოგიები, ხოლო ეკონომიკური ზრდის წყაროები გამოგონებები და ნოვაციები. ინოვაციები საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის რეალიზებაზეა მიმართული და მეცნიერებისა და ტექნიკის ეკონომიკურ გავლენას ახასიათებს. ტექნოლოგიური ცვლილების მიზანი კი ტექნოლოგიური პროგრესია რესურსების უცვლელი ხარჯების პირობებში გამოშვებების ზრდა. ტექნოლოგიური ინოვაციის საფუძველია სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება წარმოების, კონტროლის და მართვის კომპლექსური ავტომატიზაცია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია ყველაზე მეტად გამოვლინდა ისეთ სფეროებში, როგორცაა ნანოტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

* * *

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი შრომის დანაწილების გაღრმავების ერთ-ერთ ფაქტორად გვევლინება. შრომის დანაწილება ეკონომიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა. შრომის დანაწილების გაღრმავება შრომის მწარმოებლურობის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. იგი განაპირობებს ახალი პროდუქტების და დარგების წარმოშობას, ხოლო ბაზრების გაფართოება აიოლებს მწარმოებლებს შორის პროდუქტების გაცვლას და ხელს უწყობს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

მსოფლიო მეურნეობა ინარჩუნებს თავის მთლიანობას და ეყრდნობა შრომის საერთაშორისო დანაწილებას, რომელიც საწარმოო კოოპერაციის მეშვეობით უზრუნველყოფს ცალკეული დარგების ურთიერთკავშირს და ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტ ჯაჭვს - დაწყებული პირველადი სექტორით, რომელიც ნედლეულით ამარაგებს თანამედროვე ეკონომიკას საბოლოო პროდუქციის შესაქმნელად. სამრეწველო გადატრიალებამდე (XVIII საუკუნის დამლევი XIX საუკუნის პირველი ნახევარი) შრომის საერთაშორისო დანაწილება ეფუძნებოდა იმას, თუ როგორი იყო ბუნებრივი რესურსები: კლიმატი, ნიადაგები, წყალი, ტყის რესურსები და ა.შ. შემდეგ ძლიერდება სპეციალიზაცია, რომელიც ეფუძნება ქვეყნების მიხედვით წარმოების ცალკეულ ფაქტორებს (კაპიტალი, შრომა, სამეწარმეო უნარი, ცოდნა) შორის არსებულ განსხვავებას. სწორედ ეს განსაზღვრავს უმეტესწილად დღეს მსოფლიო ბაზრისათვის რა სახის საქონლის და მომსახურების წარმოებაზეა სპეციალიზებული ქვეყანა.

წარმოების სტრუქტურა მუდმივად იცვლება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენის გამო. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში ხდება სტრუქტურული ცვლილებები, რაც ტექნოლოგიებსა და ცოდნაზე დამყარებული დარგების ზრდასთან არის დაკავშირებული: იზრდება გადამამუშავებელი მრეწველობის მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი დარგების და მომსახურების სფეროს, პირველ რიგში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წილი. სწორედ საერთაშორისო შრომის დანაწილების გაღრმავებამ წარმოების ფრაგმენტაციის ფორმით, განაპირობა მრავალეროვნული საწარმოების მიერ ბიზნესის წარმოების ახალი მეთოდების გამოყენების ზრდა. შრომის საერთაშორისო დანაწილება ყალიბდება ცოდნასა და კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, კაპიტალზე, ტექნოლოგიებზე, ინოვაციებზე.

აღნიშნულ თემაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით გლობალიზაციის ფენომენს, რადგან გლობალიზაციამ მოიცვა კაცობრიობის ცხოვრების ყველა სფერო. თუმცა გლობალიზაციის ეკონომიკური უპირატესობა აშკარაა. მეცნიერების და ტექნიკის სწრაფმა პროგრესმა, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო დანახარჯთა შემცირებამ, აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებათა განვითარებამ განაპირობა ვაჭრობის, ფინანსების და ინვესტიციების ინტერნაციონალიზაციის ზრდა; გლობალიზაციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წარმოების მწარმოებლური ფაქტორების ზრდაში, მოსახლეობის ცხოვრების დონის მატებასა და შესაძლებლობათა გაფართოებაში. გლობალიზაცია განიხილება როგორც პროცესი, რომელიც ქმნის სასურველ წანამძღვრებს კაპიტალის მობილობის ზრდისათვის, ტექნოლოგიური ინოვაციების სწრაფად გავრცელებისა და ეროვნული ბაზრების მზარდი ურთიერთდამოკიდებულების და ერთგვაროვნებისათვის. ეკონომიკის გლობალიზაცია ესაა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე ეკონომიკური ინტეგრაციის ზრდის პროცესი და საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლა, აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობის და კაპიტალის მოძრაობის დარეგულირება და ლიბერალიზაცია. ეს ისტორიული პროცესია, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების და ნოვატორობის შედეგი.

ეკონომიკის გლობალიზაცია ვლინდება სხვადასხვა პროცესებში. მათ შორისაა ცოდნისა და ტექნოლოგიების გლობალური გავრცელება. დღეს ჭეშმარიტ კეთილდღეობას ის ქვეყნები და ის კომპანიები აღწევენ, რომლებიც სწრაფად ადიქვამენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ითვალისწინებენ გლობალიზაციის მოთხოვნებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მწარმოებლებისაგან ახლებურ აზროვნებასა და ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტვრას უკავშირდება. ცნობილია, რომ ტექნოლოგიამ და მისმა გადაადგილებამ ქვეყნებს შორის გამოაცოცხლა მთელი რიგი თეორიული მოდელები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევეხოთ რამდენიმე მათგანს.

ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების თეორიის ერთ-ერთი ავტორის, ფრანგი ელიულის აზრით, ტექნიკური პროგრესი ცვლის არა მარტო ეკონომიკური კანონების გამოყენებას, არამედ თავად კანონების არსსაც: უქმდება საკუთრების წამყვანი როლი, ეკონომიკური ძალაუფლება გადადის მსხვილ კორპორაციათა ხელში, სახელმწიფოს მეშვეობით ისპობა სიმდიდრისა და სიღატაკის პოლუსები (5, გვ. 81).

მსოფლიო ეკონომიკის თეორიებს შორის ცალკე კლასად გამოყოფილი ნაწილობრივი ტექნოლოგიურ-ფაქტორული თეორიის ავტორები გამოყოფენ რომელიმე ერთ, ჩვეულებრივი ტექნოლოგიური ან ბუნებრივი განვითარების ელემენტს, რომლის გამოყენებასაც სთავაზობენ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების მამოძრავებლად. ერთ-ერთი ტექნოლოგიური თეორიის მიხედვით, კაცობრიობის ევოლუციის აღწერილი შვიდი სტადიიდან თითოეული უკავშირდებოდა განსაზღვრულ ტექნოლოგიურ ინოვაციას ცეცხლის დაუფლებას, მშვილდ ისრის გამოგონებას და ა.შ. წმინდა ტექნოლოგიური მიდგომის გავრცელება გახდა ენერგეტიკული თეორია, რომელმაც კაცობრიობის ეკონომიკური განვითარება დაუკავშირა ენერჯის ახალი ფორმების ათვისებას: სხვადასხვა მოდიფიკაციაში არსებობს ბუნებრივი ფაქტორების თეორია, რომელიც ეკონომიკური სისტემების გენეზისს და ევოლუციას ხსნის არსებული ბუნებრივ-კლიმატური რესურსებით. ამ თეორიებში ერის ტექნოლოგიური და კულტურული განვითარება აისხნება მისი გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატური თავისებურებებით და სანაპირო რელიეფითაც კი. მალთუსიდან დაწყებული ყველა მეცნიერი ცდილობდა ეკონომიკური განვითარების ახსნას დემოგრაფიული ფაქტორებით. რუსი მეცნიერი მ. კლუჩევსკი ამტკიცებდა, რომ ქვეყნის მოსახლეობა ეს საერთოდ ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელია. დემოგრაფიულ თეორიებს ემიჯნება თეორიები, რომლებიც განვითარებას ხსნიან აგრარული ტექნოლოგიების სრულყოფითა და სასურსათო რესურსების შესაბამისი ზრდით.

მთელ რიგ თეორიებს სხვადასხვა ვარიანტში წინა პლანზე გამოაქვს საკომუნიკაციო-საინფორმაციო ფაქტორები. ლ. მეჩნიკოვმა განვითარების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად შემოგვთავაზა საწყალოსნო მიმოსვლის გზები. თანდათან ტრანსპორტის ფაქტორიდან პირველობა გადავიდა კავშირგაბმულობის ტექნოლოგიებზე. იქმნება სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ევოლუციის ჯაჭვი: გზები, რკინიგზა, ტრანსპორტი, ფოსტა, თვითმფრინავი, ტელეგრაფი, ტელეგრაფი, ტელეფონი, ელექტრონული ქსელი. XX საუკუნის ბოლოს გაბატონდა ინფორმაციული ფაქტორის თეორია. ბევრი მეცნიერი საზოგადოების განვითარებას ხსნის საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფით ჩვეულებრივი ადამიანის საკომუნიკაციო ენის გაჩენიდან საბუკდ დაზგამდე და შემდეგ კომპიუტერამდე, ინტერნეტამდე. აუცილებლად უნდა შევეხოთ ფინანსურ თეორიებსაც, რომლებიც აფუძნებენ კაცობრიობის საყოველთაო განვითარებას ფინანსურ ტექნოლოგიებზე, პირველი გადამცვლელიდან თანამედროვე კომპიუტერულ ბანკინგამდე.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპი განპირობებული იყო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციით, რომელიც, წარმოებასთან ერთად, სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, მედიცინას, განათლებას, საოჯახო მეურნეობებს მოიცავს. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შინაარსი კი იმაშია, რომ მეცნიერება უშუალოდ საწარმოო ძალად გარდაიქმნება, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკური და საინფორმაციო პოტენციალი კონკურენტუნარიანობის გადამწყვეტი ფაქტორი გახდა.

საწარმოო ძალების საფუძვლიანი, ძირფესვიანი გარდაქმნა იმის გამო მოხდა, რომ, როგორც აღინიშნა, მეცნიერება საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ფაქტორად და უშუალოდ საწარმოო ძალად იქცა. ეს პროცესი დაიწყო XX საუკუნის შუა წლებში, შესამჩნევად აჩქარებდა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია წარმოიშვა უდიდესი სამეცნიერო და ტექნიკური აღმოჩენების გავლენის, მეცნიერების, ტექნიკის და წარმოების ურთიერთქმედების ზრდის შედეგად. თავის მხრივ, მან გაზრდილი მოთხოვნები დააყენა მუშაკთა განათლების, კვალიფიკაციის, კულტურის, ორგანიზებულობის მიმართ.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება წარმოების, კონტროლის და მართვის კომპლექსური ავტომატიზაცია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე: ენერჯის ახალი სახეობების შექმნა და გამოყენება; სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია ყველაზე მეტად გამოვლინდა ისეთ სფეროებში, როგორცაა: ნანოტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები და საინფორმაციო ტექნოლოგიები. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება მათი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და საინფორმაციო რესურსები. ქვეყანას სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებისათვის უნდა გააჩნდეს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი ანუ ფინანსური, ეკონომიკური და სულიერი

რესურსების ერთობლიობა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მრავალწახნაგოვან ბუნებას და შინაარსს ახასიათებს ცოდნის ეკონომიკაზე მიმართული ადამიანური და ფინანსური რესურსები; ინოვაციები და ტექნოლოგიები; მეცნიერების და ტექნოლოგიების სოციალური გავლენა და მათი აღქმა საზოგადოების მიერ; ბიბლომეტრიული მანკვებლები; სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაობის მახასიათებელი მანკვებლები; საპატენტო სტატისტიკა და კავშირები დარგობრივ, საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო კვლევით ცენტრებს შორის; უმაღლესი განათლების და ინფორმაციული საზოგადოების სტატისტიკა. ამ პროგრესის ძირითადი ელემენტებია სამეცნიერო-ტექნიკური და საინჟინრო-ტექნიკური კადრები, დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, ფინანსური რესურსები და მატერიალურ-ლაბორატორიული ბაზა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველია ცოდნის ზრდა.

დღის წესრიგში დგას ცოდნასა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული განვითარება. საწარმოო ფაქტორების ეფექტური გამოყენება ნიშნავს მათი მწარმოებლურობის და პროდუქციის გამოშვებაში ჩადებული წილის მაქსიმიზაციას. სწორედ ამ მიზნით ხდება წარმოების ტექნიკურად პროგრესული მეთოდების შემუშავება და დანერგვა. თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორები არის ტექნოლოგიები ცოდნის ნაკრები იმის შესახებ, თუ როგორ ვაწარმოთ პროდუქცია ნედლეულის დამუშავების მეთოდებისა და პროდუქციის წარმოების ჩათვლით, ხოლო ეკონომიკური ზრდის წყაროები გამოგონებები და ნოვაციები. ისინი სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის განვითარების ორ ასპექტს წარმოადგენენ: გამოგონებების შედეგი ახალი ცოდნაა, ნოვაციები კი არსებული ცოდნის გამოყენების მეთოდების სრულყოფა. ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები რომ დიდ გამოგონებებთანაა დაკავშირებული. ინოვაციები საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის რეალიზებაზეა მიმართული და მეცნიერების და ტექნიკის ეკონომიკურ გავლენას ახასიათებს.

სამეცნიერო აღმოჩენა ახალი მიღწევა ბუნების და საზოგადოების შემეცნების პროცესში, ობიექტურად არსებული მატერიალური სამყაროს ადრე უცნობი კანონზომიერებების, თვისებების და მოვლენების დადგენა შემეცნების დროს ფუძემდებლურ ცვლილებებს იწვევს. გამოგონება ტექნიკური ამოცანის ახალი და მნიშვნელოვანად განსხვავებული გადაწყვეტა სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის ან თავდაცვის ნებისმიერ დარგში, დადებით სამეურნეო ეფექტს იწვევს.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში სწრაფი ტემპებით იზრდება ცოდნის ეკონომიკა. აქ თავმოყრილია ადამიანური, ინტელექტუალური და ფინანსური რესურსები. ცოდნის ეკონომიკის ადამიანურ რესურსებს წარმოადგენს ცოდნის და ტექნოლოგიური ინოვაციების შექმნაში მონაწილე პროფესიონალი მკვლევარები, საინჟინრო-ტექნიკური და დამხმარე მუშაკები. 2007 წელს, მკვლევართა რაოდენობის მიხედვით, მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა აშშ-მ (1425.6 ათ. ადამიანი), მეორე ადგილი ჩინეთმა (1423.4 ათ. ადამიანი), მესამე - იაპონიამ (710 ათ. ადამიანი), მეოთხე - რუსეთმა (469 ათ. ადამიანი). განვითარებულ ქვეყნებში სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში. საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებში პროფესიული და ტექნიკური მუშაკების რიცხვი მთელი დასაქმების 20-35%-ს შეადგენს (3, გვ. 253). ცოდნის თანამედროვე ეკონომიკა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს იზიდავს.

2000 წელს საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებში ცოდნაში ინვესტიციებმა მშპ-ს 4.8%-ს მიაღწია. ცოდნაში ინვესტიციების ყველაზე მაღალი დონე არის შვედეთში (7.2%), აშშ-ში (6.8%) და ფინეთში (6.2%), ხოლო ცენტრალური ევროპის ქვეყნებსა და მექსიკაში მათი ოდენობა მშპ-ს 2.5%-ზე ნაკლებია (3, გვ. 252).

გლობალური ეკონომიკის საქმიანობის საკვანძო მიმართულება გახდა სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების ინტერნაციონალიზაცია. სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა აშშ; 2000 წელს მის წილად მთელი ხარჯების 37.2% მოდიოდა. მეორე ადგილს აზია იკავებს, მის წილად კვლევა-ძიებაზე მიმართული მსოფლიო ხარჯების 30% მოდის. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კვლევა-ძიებებში მნიშვნელოვან როლს, როგორც მოცულობის, ასევე დაფინანსების თვალსაზრისით, ასრულებს საქმიანი სექტორი. საქმიანი სექტორის სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებში მცირე და საშუალო ბიზნესს საკმაოდ დიდი წილი აქვს ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: იტალია (65%), ნორვეგია (48%), საბერძნეთი და ირლანდია (60%). ევროკავშირში მისი წილი მხოლოდ -ს შეადგენს, ხოლო აშშ-ში 15%-ზე ნაკლებს. ყველაზე მცირე მანკვებელია იაპონიაში (7%) (3, გვ. 269).

სამეცნიერო-ტექნიკურ და საინფორმაციო სფეროებში განვითარებული ქვეყნები ლიდრობენ, ხოლო ინდუსტრიული ქვეყნები მნიშვნელოვან რესურსებს მიმართავენ ცოდნის ეკონომიკაში.

ინოვაციურ საქმიანობაში მსხვილი საწარმოების და მცირე ბიზნესის აქტიურობა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. მეწარმეობის წარმატების გარანტი ამ საწარმოთა სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური საიდუმლოს დაცვაა. ამასთან ერთად, იგი მეწარმეობის საიდუმლოების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაცაა. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ დღეს ტექნოლოგიური ბუმი ტრაექტორიას უცვლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და უდიდესი

პოზიტივი შეაქვს მასში. ცოდნის საყოველთაო და უნივერსალური ხასიათის მიუხედავად, თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში ის არათანაბრადაა განაწილებული. არსებობს უზარმაზარი ტექნოლოგიური რღვევა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის, ანუ სუსტად განვითარებული ქვეყნების ჩამორჩენა მოწინავე ქვეყნებისაგან როგორც მთლიანად ტექნიკის და ტექნოლოგიის, ასევე ცალკეული მიმართულებების მხრივ. ტექნოლოგიური განვითარების მიზანი ტექნოლოგიური პროგრესია რესურსების უცვლელი ხარჯების პირობებში გამოშვების ზრდა. ტექნოლოგიური განვითარების უმაღლეს ინოვაციურ საფეხურზე საწარმო, როგორც ტექნოლოგიური ლიდერი გეგმავს, ამუშავებს და გამოცდის აბსოლუტურად ახალ პროდუქტებს და პროცესებს, ქმნის ახალ ტექნოლოგიებს. თანამედროვე ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს არა მხოლოდ ტექნოლოგიური, ე.ი. პროდუქტებისა და პროცესების ინოვაციები, არამედ არატექნოლოგიური ინოვაციების მნიშვნელობაც შესამჩნევად იზრდება. ტექნოლოგიური ინოვაციის საფუძველი გახდა სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის ინტენსივობის ზრდა. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში აშკარად შესამჩნევი გახდა ამ საქმიანობის ზრდა. ინოვაცია და ტექნოლოგიური პროგრესი აუცილებელია ეკონომიკური ზრდისათვის, საზოგადოების განვითარებისათვის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის. ქვეყნის ზრდისა და განვითარების გარდა, ამ სფეროების სტაგნაციას დიდი გავლენა აქვს ინდივიდთა ცხოვრებისეულ გეგმებსა და მიზნებს. ინოვაციურმა პროგრესმა მძლავრი ბიძგი მისცა კრეატიული პოტენციალის ყოველმხრივ განვითარებას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და საზოგადოებრივი სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებას.

დღესდღეობით, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გრძელვადიან პერსპექტივებს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაში უკავშირებენ ინოვაციებს. დღეს მეცნიერება და ინოვაცია ქმნის ერთიან გლობალურ კომპლექსს, რომელშიც ახალი იდეები და აღმოჩენები, მიუხედავად შეზღუდვებისა და აკრძალვებისა, საკმაოდ სწრაფად ხდება მსოფლიო მეცნიერების კუთვნილება და საყოველთაო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გაძლიერების ფაქტორი.

უდავოა, რომ ადამიანთა საზოგადოების საქმიანობა, რომელიც წარმოების მოცულობაზეა მიმართული, ძლიერ გავლენას ახდენს ბუნებაზე და არახელსაყრელ ეკოლოგიურ შედეგებს იწვევს ერთი მხრივ, რესურსების ამოწურვას და, მეორე მხრივ, ბუნებრივი გარემოს გაუარესებას. ინდუსტრიული საზოგადოება მოიხმარს დიდი რაოდენობით განახლებად და არაგანახლებად ბუნებრივ რესურსებს და მნიშვნელოვან ანთროპოგენურ გავლენას ახდენს გარემოზე. აქედან გამომდინარე, ადამიანმა თავისი გამომგონებლობა და ტექნოლოგიები უნდა მიმართოს დედამიწის სასიცოცხლო სისტემების უსასრულოდ სამართავად ადამიანთა კეთილდღეობისათვის.

ეკონომიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობასთან ერთად, საზოგადოება და ბიზნესი ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას იღებს მომავალი თაობების წინაშე. მდგრადი განვითარების საზოგადოება „დღევანდელი მოთხოვნების დაკმაყოფილებით ეჭვქვეშ არ აყენებს მომავალ თაობათა მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას“. სწორედ ამიტომ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხარისხობრივად ახალი მიმართულება გახდა ეკოლოგიურად სუფთა, ტექნიკურად უსაფრთხო ტექნოლოგიების ფართო გამოყენება. ინოვაციური საქმიანობის სწორედ ამ სფეროში, როგორც არსად, საჭიროა სახელმწიფოს მუდმივად ორგანიზებული და ხელმძღვანელი საქმიანობა, ვინაიდან არასრულყოფილად ჩატარებული კვლევები და ასეთივე ტექნოლოგიების გამოყენება შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. უნდა ითქვას, რომ დღეისათვის, პირველ რიგში, მთავარი ამოცანაა არა მარტო „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“ ციკლის მუშაკთა ჯანმრთელობის შენარჩუნება და გადიდება, არამედ მთელი საზოგადოებისათვის იმავეს განხორციელება.

დასკვნა

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავების ფაქტორად გვევლინება. შრომი დანაწილება მიმდინარეობს არა მარტო ქვეყნებს შიგნით, არამედ მსოფლიო მეურნეობის დონეზეც. მსოფლიო მეურნეობა მოიცავს ქვეყნების ურთიერთქმედებას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას არა მარტო მიმოქცევის, არამედ წარმოების სფეროშიც.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება მათი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და საინფორმაციო რესურსები. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში სწრაფი ტემპებით იზრდება ცოდნის ეკონომიკა. აქ თავმოყრილია ადამიანური, ინტელექტუალური და ფინანსური რესურსები. სამეცნიერო-ტექნიკურ და საინფორმაციო სფეროებში განვითარებული ქვეყნები ლიდერობენ. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები მნიშვნელოვან რესურსებს მიმართავენ ცოდნის ეკონომიკაში. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ინფორმაციული საზოგადოების განვითარების უთანასწორობის შედეგად მსოფლიო ეკონომიკაში გაჩნდა „ციფრული წყვეტა“, რაც ცალკეული ქვეყნებისა და მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიის მიერ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისების და მათი შესაძლებლობების გამოყენების ჩამორჩენას ნიშნავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების თეორია, თბ., 2016.
2. ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, თბილისი, 2017.
3. გუროვა ი. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპ-იძემ. თბილისი, 2014.
4. დვალისვილი ლ. მეცნიერების და ინოვაციების გლობალიზაცია. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები, 23-24 ივნისი, 2017. გვ. 118-122.
5. ვეშაპიძე შ., ასლამაზიშვილი ნ., გრიშკაშვილი ა., ლეკაშვილი ე. მსოფლიო ეკონომიკა, თბილისი, 2008.
6. უიზინი ს., კრუპნოვა ვ. როგორ გახდეს ბიზნესმენი (ამერიკული გამოცდილება), თბილისი, 1992.

Lia Dvalishvili

MODERN TENDENCIES OF SCIENTIFIC-TECHNICAL PROGRESS

Summary

Production structure is constantly Changing due to scientific-technical progress influence. Structural changes are characteristic to the modern world economy, that is connected with the growth of sectors based on technology and knowledge.

The growth of use of new methods of business management by multinational enterprises is related to the deepening of international labor distribution.

Modern stage of scientific –technical progress was stipulated by scientific-technical revolution, which together with production includes agriculture, transport, communication, medicine, education, family farms.

The content of modern scientific –technical revolution is that science has directly transformed into productive forces and scientific-technical and information potential has become crucial factor of competitiveness.

In the conditions of scientific-technical revolution scientific-technical potential and information resources of the countries become a decisive factors of their competitiveness.

The development based on knowledge and technologies are on the agenda. Just for this purpose the working out and implementation of technically advanced methods of production occur. Technologies are the main factors of current economic development, and inventions and novation are economic growth sources. Innovations are directed at the realization of scientific-technical potential of society and characterize economic influence of science and technique.

The enterprise as a technological leader plans, elaborates and tests quite new products and processes, creates new technologies on the highly-innovative stage of technological development.

The knowledge growth is the bases for scientific-technical progress.

The knowledge economy is rapidly increasing in current world economy where there are concentrated human, intellectual and financial resources.

Developed countries are leaders in scientific-technical and information spheres. New industrial countries direct significant resources to knowledge economy.

Today, science and innovation create united global complex where new ideas and investigations (in spite of limitations and prohibitions) become quickly enough the factor of strengthening of scientific –technical progress.

Together with economic and social responsibilities society and business take ecological responsibility before future generation.

Sustainable development society makes no doubt of opportunity to satisfy the future generations demands by meeting the present demands.

ციცინო თეთრაული

კრიპტოვალუტის ზოგიერთი საკითხი ინოვაციური ეკონომიკის პირობებში

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ფულის წარმოშობა და მისი განვითარების ფორმები. გაშუქებულია ფულის ევოლუცია და მისი ფენომენი ეკონომიკურ თეორიაში. გაანალიზებულია კრიპტოვალუტის საკითხები და მისი გამოწვევები ინოვაციური ეკონომიკის პირობებში. დახასიათებულია ბიტკოინები, ბლოკჩეინი, მაინერი, ელექტრონული ფულის არსი და მისი ფორმები. აღნიშნულია კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული რისკები.

საკვანძო სიტყვები: კრიპტოვალუტა, ბლოკჩეინი, მაინერი, ბიტკოინი, რიპლი, ციფრული ვალუტა.

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკური განვითარება ინოვაციების განხორციელების გარეშე შეუძლებელია. ფულის განვითარების ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მან მეტად საინტერესო

გზა გაიარა დღევანდლამდე. კრიპტოვალუტა, ელექტრონული ფული თანამედროვეობის ახალი გამოწვევაა. მისი უამრავი სახე არსებობს დღესდღეობით, მის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ნაწილი სკეპტიკურად უყურებს, ნაწილი კი ენთუზიასითაა განწყობილი. საქართველო ბიტკოინების მოპოვებით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. ექსპერტთა ნაწილის აზრით, კრიპტოვალუტა მომავლის ფულია და ვარაუდობენ, რომ არცთუ ისე შორეულ მომავალში, მან შეიძლება მთლიანად ჩაანაცვლოს ქალაქის ფული და ბანკები.

* * *

გლობალიზაციისა და ინოვაციური ეკონომიკის პირობებში მსოფლიოს ქვეყნები ახალი გამოწვევების წინაშე დგანან. ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ყველა სიახლე და მეცნიერული მიღწევა სწრაფად ვრცელდება თითქმის მთელ მსოფლიოში. ყველა ქვეყანა – განვითარებული თუ განვითარებადი – შეძლებისდაგვარად პასუხობს ახალ გამოწვევებს. ეკონომიკა საზოგადოებრივი მეცნიერებაა და კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე უმნიშვნელოვანესი როლის მატარებელია თითოეული ინდივიდისათვის.

ადამიანი თავისი ბუნებით მოაზროვნე და შემოქმედი არსებაა. იგი არასდროს კმაყოფილდება მიღწეულით და მუდამ ესწრაფვის, სამყაროს საიდუმლოებებს ახადოს ფარდა. ადამიანთა მოთხოვნილებები უსაზღვროა და მრავალფეროვანი. აქ გვახსენდება დიდი პოეტის, ნ. ბარათაშვილის სიტყვები – „ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღეხოს და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, იგი ეკმაროს“. ადამიანი მუდამ ესწრაფვის თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას (შეზღუდული რესურსების პირობებში) და ცხოვრების კეთილდღეობის ამაღლებას.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების არსი ისაა, რომ სახელმწიფომ, საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, ხელი შეუწყოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების პროცესთა დაჩქარებას.

ფულის ფუნქციონირება ეკონომიკურ თეორიაში დღესაც თვალსაჩინო ადგილი უკავია. იგი იყო და არის ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთი საჭირობოროტო საკითხი. ორ ურთიერთსაპირისპირო შეხედულებას შორის დავა – „ფული ყველაფერია“ და „ფული არაფერია“ – დღესაც გრძელდება. ეკონომიკურ მეცნიერებებში არსებობს ფულის წარმოშობის ორი კონცეფცია: რაციონალისტური და ევოლუციური. რაციონალისტური კონცეფციის თანახმად, ფული ადამიანთა შეთანხმების პროდუქტია. ფულის წარმოშობის რაციონალისტური კონცეფცია პირველად არისტოტელესთან გვხვდება. იდეა ფულზე, როგორც შეთანხმებაზე, XVIII საუკუნის ბოლომდე ბატონობდა, თუმცა ეს მიდგომა თანამედროვე მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებებშიც არსებობს. ევოლუციური კონცეფცია მიიჩნევს, რომ ფული საქონელთა გაცვლის პროცესის განვითარების შედეგად წარმოიშვა. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი კ. მარქსი წერდა: „გაცვლის პროცესი, ამასთანავე ფულის შექმნის პროცესიც არის“. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს სამუელსონი და ნორდჰაუსი.

ბაზარზე საქონელთა გამრავალფეროვნებამ შემთხვევითი გაცვლა უაღრესად გაართულს, რადგან მიედევლთა და გამყიდველთა სურვილები ერთმანეთს აღარ ემთხვეოდა. საქონლის საქონელზე გაცვლა (ბარტერი) მათ ყველა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა და შეუსაბამო ხდებოდა. საქონელთა გაცვლის პროცესის გასაადვილებლად შეიქმნა ისეთი საქონელი, რომელიც ყველაზე უკეთ პასუხობდა გაცვლაში შუამავალი საქონლის მოთხოვნებს. ასეთ საქონელს ფულის ფუნქციები დაეკისრა. ფულის დანიშნულებას ყველაზე უკეთ კეთლშობილი ლითონი – ოქრო ასრულებდა, რომელსაც ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტის ყველა თვისება გააჩნია, ესაა: იშვიათობა, მცირე მოცულობა, მაღალი ღირებულება, გაყოფადობა, ცვეთა-მედვეობა, მდგრადობა. ოქროს თვითონ აქვს საკუთარი სტაბილური ღირებულება და ამიტომ ყველა სხვა საქონლის ღირებულების საზომ ეტალონად იქცა. თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე ფულმა შემდეგი ფორმები მიიღო: 1) საქონლური ფული, 2) ლითონ-ჭედიანი ფული, 3) ქალაქის ფული, 4) ელექტრონულ-დეპოზიტური ფული.

ფულის ისტორია მოწმობს, რომ ფული არ შეიძლება იყოს ერთგვაროვანი მასა, ფული თავისი წარმოშობის პერიოდთან დღემდე განიცდის არსებითი ხასიათის ცვლილებებს. საქონლური ფული (მსხვილფეხა პირუტყვი, მარილი, შრომის იარაღები, სამკაულები, მონები და ა.შ.) ევოლუციური განვითარების შედეგად უფრო მოხერხებული ლითონ-ჭედიანი ფულით შეიცვალა. საწყის ეტაპზე ფულის ეს ფორმა კეთილშობილი ლითონების, კერძოდ, ოქროს ზოდების სახით არსებობდა, რაც მოგვიანებით მონეტებით შეიცვალა, რომელსაც მთავრობები საკუთარი დამღით უშვებდნენ, ეს კი მათი გაცვლების შესაძლებლობებს ზღუდავდა. შემდგომში ქალაქის ფულმა ოქროსა და ვერცხლის მონეტები საბოლოოდ გამოდევნა XX საუკუნის დასაწყისში, იქამდე ისინი თანაარსებობდნენ და ერთმანეთზე თავისუფლად იცვლებოდნენ, „ოქროს ფულის სტანდარტი“ „ქალაქის ფულის სტანდარტით“ შეიცვალა.

ფულის ევოლუციური პროცესი ქალაქის ფულზე არ შეჩერებულა, XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ფულის ადეკვატური ფორმა ე. წ. ელექტრონულ-დეპოზიტური ფული წარმოშვა, რომელიც საკრედიტო ბარათების სახით წარმოგვიდგება. კომპიუტერული ქსელების ფართოდ გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ფულადი ოპერაციების განხორციელება ბანკების კომპიუტერული ელექტრონული კავშირების საშუალებით. ელექტრონულ-

დეპოზიტური ფული თავისი ბუნებით არამატერიალური, ინფორმაციული ფულია, რომელიც მხოლოდ აბსტრაქტული წარმოსახვითი ფორმით არსებობს, ფული უნივერსალური საქონელია. ფულის არსი და განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკონომიკური სისტემის შეუფერხებელ ფუნქციონირებაში გამოიხატება, ფულს აქვს ხუთი ფუნქცია: 1) ფული, როგორც ღირებულების საზომი; 2) ფული, როგორც მიმოქცევის საშუალება; 3) ფული, როგორც გადახდის საშუალება; 4) ფული, როგორც დაგროვების საშუალება; 5) ფული, როგორც მსოფლიო ფული. ფულის მიმოქცევის ნორმალური პროცესი შეიძლება დაირღვეს როგორც ინფლაციის, ისე დეფლაციის დროს. ინფლაცია ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური დაავადებაა. ფულის ფორმირების ისტორიული განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი ამ პროცესში თანდათანობით იშორებდა თავის გარსს და ამჟამად აბსტრაქტული, წმინდა ინფორმაციული ფორმა მიიღო. ფულის პირვანდელი სახეობა – საქონლური ფული ძირითადი დანიშნულების გარდა, სამომხმარებლო ფუნქციებსაც ასრულებდა, ამიტომ ფულის ამ ფორმას ყოფითი, მატერიალური ფული შეიძლება ეწოდოს. ოქროს ფორმაზე გადასვლით ფულს ჩამოსცილდა ყოფითი სამოსელი და შიშველი სახით იდეალური ფულის ფორმით მოგვევლინა. ქაღალდის ფულის შემოღებით კი მან მთლიანად დაკარგა თავისი მატერიალური გარსი და სიმბოლური ფულის, ანუ ფულის ნიშნის ფორმით მოგვევლინა, ელექტრონულ-დეპოზიტური ფული კი თავისი ბუნებით არამატერიალური, ინფორმაციული ფულია.

ფულის ფორმების განვითარების ტენდენციების შესწავლა საფუძველს ქმნის ვივარაუდოთ, რომ მომავალში ელექტრონული ფული მთლიანად გამოდევნის ქაღალდის ფულს და ფულის გაბატონებულ ფორმად აქცევს, ხოლო მისი წინამორბედი ქაღალდის ფული ისტორიის საკუთრებად იქცევა. დიდი ეკონომისტი ვ. კარლეილი წერს: „ფული ის ღერძია, რომლის ირგვლივაც ტრიალებს ეკონომიკა“. ეკონომიკურ თეორიაში ერთ-ერთი ძირითადი იყო ყოველთვის და არის ფულის ცნება.

ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად გვეხვები ისეთი სიტყვები, როგორცაა: „ციფრული ფული“ „ელექტრონული ფული“, „კრიპტოვალუტა“, „ბიტკოინი“, „ბლოკჩეინი“, ალტერნატიული ფული“ და ა. შ. ევროს პროექტის შემუშავებული ბერნარდ ლიეტერის შეფასებით, დღეისთვის მსოფლიოში მინიმუმ 2500 ალტერნატიული ფულადი სისტემა არსებობს, ზოგიერთი ავტორი მას „კერძო ფულს“ უწოდებს. ეკონომისტი ფ. ჰაიეკი თავის ნაშრომში აკრიტიკებს ოფიციალურ ფულად სისტემებს, ის ფულს განიხილავდა, როგორც ჩვეულებრივ „საბაზრო საქონელს“. იგი მხარს უჭერს დეცენტრალიზებული ფულადი ემისიის სისტემას და ცალკეული სახის კერძო ფულს შორის კონკურენციას. XVIII საუკუნეში აშშ-ში გამოშვებულ იქნა დაახლოებით 7 000 სხვადასხვა სახის ფული. ფულის გამოშვებით დაკავებული იყვნენ ცალკეული შტატები, მუნიციპალიტეტები, მაღაზიები, რესტორნები, კერძო ბანკები და ცალკეული ინდივიდებიც კი. მაშინდელმა ფულის ემინანტებმა მიიღეს „ველური ბანკების“ სახელწოდება. მსგავს პროცესებს ადგილი ჰქონდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

„ალტერნატიულ ფულს“ ხშირად „თავისუფალ ფულს“ უწოდებენ. ეს ტერმინი შემოიღო გერმანელმა ეკონომისტმა ს. ჰეხელმა, ავტორმა ნაშრომისა „თავისუფალი ეკონომიკა“. ტერმინ „თავისუფალი ფულის“ ქვეშ იგულისხმება ფული, რომელიც „თავისუფალია პროცენტებისაგან“. მას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი პროცენტები, რაც ამადლებს მის უნარიანობას, შეასრულოს მიმოქცევის ფუნქცია და ხელი შეუშალოს მის გადაქცევას განძად, უმოქმედო კაპიტალად. ჟ. კეინზი აღნიშნავს ჰეხელის გავლენას მის საკუთარ კონცეფციაში.

კრიპტოვალუტებიდან ყველაზე ცნობილი და პოპულარული ბიტკოინია. ბიტკოინის მიმართ ინტერესი მთელ მსოფლიოში იზრდება, კრიპტოვალუტა ბიტკოინი მთელ მსოფლიოში ვრცელდება. რამდენიმე წლის წინ იგი ერთი დოლარი ღირდა, ახლა კი 2800 დოლარი ღირს. კრიპტოვალუტა ბიტკოინი 2009 წელს შექმნეს უცნობმა პროგრამისტებმა. სავარაუდოდ, მასზე მუშაობდა ჯგუფი სახელწოდებით სატოში ნაკამოტო (Satoshi Nakamoto). დღემდე ზუსტად არავინ იცის, ვინ შექმნა ეს პროგრამა. მიუხედავად ჟურნალისტური გამოძიებისა და ბევრი მცდელობისა, სატოში ნაკამოტო ინკოგნიტოდ რჩება. დღემდე ზუსტად არავინ იცის, ვინ შექმნა ეს პროგრამა. აღსანიშნავია, რომ იგი შეიქმნა 2008 წელს ფინანსური კრიზისის შემდეგ. მისი იდეა იყო თვითრეგულირებადი ვალუტის შექმნა, ისეთის, რომლის რეგულაციებში ბანკები ვერ ჩაერეოდნენ. ბიტკოინი, შეიძლება ითქვას, რომ პირველი დეცენტრალიზებული ვალუტაა. შეიქმნა ვალუტა, რომელიც ყოველგვარი ჩარევისა და რეგულაციების გარეშე არსებობს. არც ერთ ხელისუფალს არ შეუძლია მისი სისტემიდან ამოღება. თითოეულ ბიტკოინს აქვს საკუთარი კოდი, სისტემის პირობების მიხედვით, 21 მილიონ ბიტკოინზე მეტი ვერ შეიქმნება. ახლა მოქმედებს მხოლოდ 16,5 მილიონი ბიტკოინი. ახალ ბიტკოინს მხოლოდ სისტემა ქმნის, მისი ხელოვნურად შექმნა შეუძლებელია. მთელი სისტემა აწყო-ბილია ბლოკჩეინზე, ანუ ჯაჭვის ბლოკებზე. ეს ჯაჭვი შეიცავს ყველა იმ ტრანსაქციას, რომელიც სისტემაში ხორციელდება. რას წარმოადგენს ბლოკი? ბლოკი არის ტრანსაქციების სია, თითოეული ტრანსაქცია შეიცავს ფაილს, სადაც ნაჩვენებია ბიტკოინის ერთი მისამართიდან სხვა მისამართზე გადაადგილება.

თითოეული ბიტკოინი შეიცავს ყველა იმ ტრანსაქციის შესახებ ინფორმაციას, რომელშიც მას მონაწილეობა მიუღია. ამ მხრივ ანონიმურობა არ არის დაცული, ნებისმიერ პირს შეუძლია ნახოს ნებისმიერი ბიტკოინის მოძრაობა, ნახოს ყველა ის მისამართი, სადაც ის „იმყოფებოდა“ და რა ოპერაციებშიც მონაწილეობდა, ბიტკოინის მოპარვის შემთხვევაში მისი გამოყენება ან ფულზე გად-

აცვლა თითქმის შეუძლებელი ხდება, მაშინაც კი თუკი ჰაკერები კომპიუტერების ბლოკირებას მოახდენენ ბიტკოინის გამოძალვის მიზნით, მათ შემდეგ მისი გამოყენება ძალიან გაუჭირდებათ. ბიტკოინის დეველოპერი ა. ბოტტემა, რომელიც თავიდან სკეპტიკურად იყო განწყობილი ბიტკოინის მიმართ, მისი შესწავლის შემდეგ აღნიშნავს, რომ ის, ინტერნეტის მსგავსად, ადამიანის მიერ შექმნილი ყველაზე მასშტაბური გამოგონებაა. ა. ბოტტემა ბიტკოინს ოქროს ადარებს, თუმცა ოქროსთან შედარებით ბიტკოინის შენახვა უფრო პრაქტიკულია, იგი ხომ ვირტუალურია. იგი იხსენებს, რომ ბიტკოინი იაპონიაში იყიდა და უკვე 10 წამის შემდეგ ის მის ჯიბეში იყო, ერთი ბანკიდან მეორე ბანკში ფულის გადაგზავნა და ალება კი ხშირად დიდ დროს მოითხოვს. ჟურნალმა Forbes-მა კრიპტოვალუტის ყველაზე მდიდარ მფლობელთა სია გამოაქვეყნა; პირველ ადგილზე Ripple-ს მთავარი აღმასრულებელი დირექტორი ლარსენი გავიდა, რომლის ქონებაც 7 მილიარდ დოლარს შეადგენს. მეორე ადგილზეა კანადელი მილიარდერი ლაბანი, ის Ethereum-ის ერთ-ერთი დამფუძნებელია, მესამე ადგილზეა მილიარდერი ჩანპენ ჩუაო. ძმები ქემერონ და ტაილერ უინკლკოსები, რომლებმაც 2008 წელს მარკ ცუკერბერგს Facebook-ის იდეისთვის სასამართლოში 65 მილიონი დოლარი მოუგეს, სხვადასხვა მონაცემებით, იყვნენ მსოფლიოში პირველი ადამიანები, რომელთა ბიტკოინების რაოდენობამაც მილიარდი დოლარის ღირებულებას გადააჭარბა. მათი ქონება 1,1 მილიარდი დოლარია. რეიტინგში ასევე ფიგურირებს კომპანია Bitfury-ის დამფუძნებელი ვალერი ვაილოვი, რომლის ქონებაც Forbesi 500 – 700 მლნ დოლარად აფასებს. Forbes-ის სიაში მოხვდა Ethereum-ის დამფუძნებელი ვიტალი ბუტერნი, რომლის ქონებაც 400 – 500 მლნ დოლარია. დღესდღეობით კი კრიპტოვალუტაზე და ბიტკოინებზე უკვე მსჯელობენ ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, უმაღლესი დონის პოლიტიკური მოღვაწეები. ამ თემას აქტიურად განიხილავენ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმებზე დავოსში. კრიპტოვალუტა არის ციფრული ვალუტის სახე, რომლის ემისია და აღრიცხვა ეფუძნება დაცვის სხვადასხვა კრიპტოგრაფიულ მეთოდებს, როგორცაა roof – of - Work და proof – of - Stake ასიმეტრიულ დაშიფრვასა და გამოყენებას. სისტემის ფუნქციონირება ხდება დეცენტრალიზებულად განაწილებულ კომპიუტერულ ქსელში, მარტივად რომ ვთქვათ, კრიპტოვალუტა ფულის ახალი სახეა, რომელიც პარალელურად არსებობს ფულთან ერთად, მაგრამ მათგან არსებითად განსხვავდება. ბიტკოინი (Bitcoin) ხშირად აღინიშნება ინგლისური აბრევიატურით BTC, მიუხედავად იმისა, რომ BTC ვირტუალური ერთეულია, მას უწოდებენ მონეტას და თვალსაჩინოებისთვის რეკლამებში გამოსახავენ ოქროს წრის სახით. 2009 წლის 3 იანვარს შეიქმნა პირველი ბლოკი ბიტკოინის ქსელში და ეს დღე ითვლება ბიტკოინის დაარსების დღედ და ბიტკოინის გაერთიანების მიერ აღინიშნება მთელ მსოფლიოში.

დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში გაჩნდა pos-ტერმინალი მაღაზიებში ბიტკოინის ანგარიშსწორებისთვის, ბანკომატები კრიპტოვალუტისათვის. ბიტკოინის გაერთიანება მილიონობით წევრს ითვლის, ბოლო დროს ხშირად შეხვდებით ინტერნეტსივრცეში შემოთავაზებებს მარტივად იშოვოთ ფული კრიპტოვალუტაში დაბანდებით. ბიტკოინი, ლაითკოინი, ეთერიუმი, რიპლი და ა.შ. მათი ათასზე მეტი ნაირსახეობაა და კიდევ ბევრი შეიქმნება. რამდენიმე თვის წინ ქართული კრიპტოვალუტა „ოქროს საწმისი“ შეიქმნა, ეროვნული ბანკი გვაფრთხილებს, რომ კრიპტოვალუტა არ წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებას, მისი რეგულაციების სფეროში არ შედის და შედეგებზეც, რაც შესაძლოა კრიპტოვალუტაში ფულის დაბანდებას მოჰყვეს, პასუხისმგებლობას იხსნის. ექსპერტების აზრით, ციფრული ვალუტური ფულის განვითარების თანამედროვე ეტაპია, თუმცა რისკები დიდია, ბევრ ქვეყანაში კრიპტოვალუტა არ არის მიღებული, როგორც გადახდის, გაცვლის საშუალება. მეტიც, ზოგ ქვეყანაში კრიმინალიზებულიც კი არის. კრიპტოვალუტა არ არის აღიარებული ცენტრალური ბანკების მიერ და არც არაფრით არის გამყარებული, ვინაიდან კრიპტოვალუტის შემქმნელები არიან კერძო პირები და არა სახელმწიფოები და ცენტრალური ბანკები; თუ კრიპტოვალუტის ფასი ნული გახდება, არავინ იქნება პასუხისმგებელი მათ წინაშე, ვინც თავის დროზე ვირტუალური ფული შეიძინა. მან შეიძლება სწრაფად დაკარგოს ღირებულება, რადგან ფასს განსაზღვრავს მოთხოვნა-მიწოდება, ის კი მკვეთრად იცვლება დროის მოკლე მონაკვეთში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ერთ წელიწადში ფასებმა ზოგ კრიპტოვალუტაზე 10 – 15-ჯერ მოიმატა და გაიზარდა ამ სექტორის პოპულარობაც, მათ შორის, საქართველოში. კრიპტოვალუტის მოპოვება საქართველოშიც ხდება. ამ ბაზრის სტატისტიკური ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, მაგრამ ცნობილია, რომ Bit Fury ჯგუფი ფლობს დეტა-ცენტრს თბილისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე, რომლის ძირითადი საქმიანობაა ე. წ. მაინინგი, ანუ კრიპტოვალუტის გამოშვება, აგრეთვე სხვა კომპანიებისთვის ბლოკჩეინ სერვისის მიწოდება, მაგალითად მონაცემთა ბაზის შერჩევა. არსებობს ინფორმაცია, რომ 2016 წელს Bit Fury-ზე მოდიოდა მსოფლიოში არსებული ყველა ბიტკოინის 15%, გარდა ამისა, საქართველოში ელექტრონულ ფულს სხვა კერძო სუბიექტებიც მოიპოვებენ. ეს სფერო იმდენად არაგამჭვირვალეა, არ არის ცნობილი რამდენი თანხა გავიდა ან შემოვიდა საქართველოში კრიპტოვალუტის ყიდვა-გაყიდვით თუ მათი გამოშვებით. საქართველო რომ მეორე ადგილზეა ბიტკოინების დამომუშავებით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ამაშია ჩართული, ამ კრიპტოვალუტის ფასის დაცემა-აწვევა დროებითია, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მათი ღირებულება აღარ გაიზრდება 2000%-ით, არამედ ის მიახლოებით 5%-ის ფარგლებში

დასტაბილურდება. ყველაზე სარისკო ის არის, რომ ადამიანმა სწრაფი ფულის შოვნის მიზნით შეიძლება შეიძინოს ე. წ. მაინერები, რაც კრიპტოვალუტას გამოიმუშავებს და ინვესტიციაც ჩადოს, აიღოს კრედიტიც, მაგრამ მაინერები, რომლებიც დღეს გაქვთ განსაზღვრული პროცენტით, უკუგებას გაძლევთ (ბიტკოინში, ეთერიუმსა და სხვა კრიპტოვალუტაში), რამდენიმე თვეში შესაძლოა აღარ იყოს მომგებიანი, რადგან ტექნოლოგიები მუდმივად ახლდება, რაც უფრო იმატებს ამა თუ იმ ელექტრონული ვალუტის მოპოვება, ეს პროცესი მით უფრო ძნელდება და სულ უფრო ძვირადღირებული ტექნოლოგიების ყიდვა ხდება საჭირო ისეთივე შედეგისთვის, როგორც დღეს აქვთ.

ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ფულის დაბანდება უფრო მომგებიანია ალტკოინებში, ეს არის სხვადასხვა კრიპტოვალუტა, რომლის ღირებულება დღეს მინიმალურია, თუმცა რისკი აქაც არის, ვინაიდან ბიტკოინის უკან არ დგას არც ერთი სუვერენული სახელმწიფო, სრულიად შესაძლებელია, იდგეს მაფიოზური სინდიკატი და ეს ფულის გათეთრებისა და გადასახადების გადაძალვის მიზნით გამოიყენოს.

მსოფლიო მასშტაბით რამდენიმე ბანკი უფრო და უფრო ართულებს კრიპტოვალუტების შექმნას კრედიტბარათებით. ისინი ცდილობენ, რომ საბოლოოდ აკრძალონ დეცენტრალიზებული მონეტის ყიდვა, რომელმაც ერთ დღეს შეიძლება საერთოდ ჩაანაცვლოს ბანკები. CITI Bank India არის ერთ-ერთი ბანკი, რომელმაც ახლახან აუკრძალა თავის მომხმარებელს კრიპტოვალუტის კრედიტ ბარათები ყიდვა. გლობალურ ბანკებს, როგორებიცაა Bank of Amerika, Lloyds Banking Group და Jp Morgan Chase, უკვე ბოლო პერიოდი აკრძალული აქვთ ციფრული ფულის ყიდვა, მაგრამ მხოლოდ საკრედიტო ბარათებით. ბლოკჩეინ ენთუზიასტი მ. პალეი (ვაშინგტონი), მსხვილი კრიპტოინვესტორი ს. არადვია (ინდოეთიდან) აცხადებენ, რომ ბანკებს არ აქვთ უფლება, გეიკარნახონ თუ სად ჩავდებთ ჩვენს მიერ ნაშონ ფულს. მათი მოსაზრებით ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს ამ ტექნოლოგიის სიძლიერეზე და იმაზე, რომ ერთ დღეს ის ბანკებს აუცილებლად ჩაანაცვლებს.

ბევრი ქვეყანა სხვანაირად რეაგირებს კრიპტოვალუტაზე. მაგ. ავსტრალიისა და ვეროპის ბევრი ბანკი უახლოეს მომავალში არ აპირებს არანაირი აკრძალვის შემოღებას კრიპტოვალუტაზე. მართლა ჩაანაცვლებს ბანკებს ბლოკჩეინის ტექნოლოგია თუ არა, ჯერ კიდევ მომავლის სქემა და დაზუსტებით პასუხი არ არსებობს. ლუგენდარული ამერიკელი მილიარდერი და ინვესტორი (რომლის ქონება 58 მილიარდია) უორენ ბაფეტი ციფრული ვალუტის პერსპექტივას სკეპტიკურად უყურებს. მისი მოსაზრებით, ბიტკოინი არის აქტივი, რომელსაც რეალური ღირებულება არ გააჩნია.

ბაფეტი ამბობს, რომ მისი კომპანია კვლავაც არავირტუალურ აქტივებზე მუშაობას განაგრძობს, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ბაფეტს ასეთივე სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდა ე.წ. დოტკომპანიების მიმართაც, თუმცა მაინც გახდა „ეპლისა“ და „აიბიემის“ ინვესტორი, რითაც უზარმაზარი მოგება ნახა. ბაფეტის განცხადებამ ციფრული ბაზრების კლება განაპირობა. ბაფეტის ცნობილი სიტყვებია: „არასდროს ჩადოთ ფული იმ სფეროში, რომელსაც არ იცნობთ“.

სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ბიტკოინის ბაზრის რეგულირებისთვის გზების ძიებას იწყებს. კორეა ციფრული ვალუტის ერთ-ერთი უმსხვილესი ბაზარია მსოფლიოში. ზოგიერთი ფინანსისტი ანალიტიკოსები თვლიან, რომ 2018 წელს ამჟამად არსებული კრიპტოვალუტის ნახევარი გაქრება, ყველაზე პოპულარულ ვალუტას ბიტკოინს კი „ზომიერი კლება“ ელოდება, იგი შესაძლებელია მალე აღმოჩნდეს ფინანსური ბაზრის აუთსაიდერის სიაში, რადგან დღეს მას წარმატებით ანაცვლებენ სხვა უფრო იაფი ვალუტით, მაგ., ეთერიუმით. ექსპერტების ვარაუდით, კრიპტოვალუტის 60% გაქრება; ამავე დროს, მათი თქმით, ბლოკჩეინის ტექნოლოგია, პირიქით, გახდება სულ უფრო და უფრო პოპულარული.

ბატონი ლ. პაპავა კრიპტოვალუტასთან დაკავშირებით (თავის ინტერვიუში) შემდეგ პროგნოზს აკეთებს – „2018 წელს ერთი საფრთხე არის მოსალოდნელი და განსაკუთრებით მინდა ჩვენი მოსახლეობა გააფრთხილო კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ. დიდია ალბათობა, რომ კრიპტოვალუტები, განსაკუთრებით ბიტკოინი, „აფეთქდებიან“ და ამაზე მსოფლიოს წამყვანი ფინანსისტები ლაპარაკობენ. არ არის გამორიცხული, ეს 2018 წელს მოხდეს. ეს ფინანსური პირამიდა რომ აუცილებლად აფეთქდება, ამას წყალი არ გაუვა, ხოლო საქართველოში საკმაოდ დიდია კრიპტოვალუტით გატაცება. ძალიან კარგია, რომ ეროვნულმა ბანკმა ცოტა ხნის წინ გააფრთხილა მოსახლეობა. რა თქმა უნდა, ჯობდა უფრო ადრე ეთქვა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ვიცით, შემდეგ როგორ ხდება ხოლმე – დაზაფრული ხალხის რიგები მთავრობის წინ ან ეროვნულ ბანკთან მოთხოვნა, რომ ზარალი აუნაზღაურონ“.

Ripple სან-ფრანცისკოში არსებული კომპანიაა, რომელსაც კრიპტობაზარზე საკუთარი მსხვილი კრიპტოვალუტა რიპლი აქვს გაშვებული. რიპლის დახმარებით ფულადი ტრანზაქციები ორ მხარეს შორის ძალიან სწრაფად ხორციელდება, რიპლის გენერალური დირექტორის ბრედ გარლინგჰაუსის აზრით, რიპლის უპირატესობა ბიტკოინთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ რიპლით ტრანზაქციის განხორციელება გაცილებით სწრაფად ხორციელდება. Bloekchain info-ზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ბიტკოინით ფულის ტრანზაქციას 4 წუთი სჭირდება, ხოლო რიპლით ფულის გადარიცხვა 4 წამში ხორციელდება.

საბაზრო კაპიტალიზმის მიხედვით (ბაზარზე არსებული ბიტკოინების რაოდენობა გამრავლებული ფასზე) ბიტკოინი უმსხვილესი კრიპტოვალუტაა. მეორე პოზიციაზე ეთერიუმი, ხოლო რიპლი მესამე ადგილს იკავებს.

დასკვნა

საბლოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ კრიპტოვალუტა თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკის პირმშოა, იგი დეცენტრალიზებული ფულია, ხოლო მომავალში ჩაანაცვლებს თუ არა ქალაქის ფულს და ბანკებს, ამაზე ცალსახა პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ინოვაციური-ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
2. თეთრაული ც. – ეკონომიკური ზრდის ფაქტორები და სამთავრობო პოლიტიკა. კადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის მასალების კრებული. მდგრადი განვითარების თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2017.
3. პაპავა ლ., „ეროვნული ბანკი გასულია მომსახურების ზონიდან“, გაზეთი კვირის პალიტრა, 1 – 7 იანვარი, 2018.
4. www.timer.ge

Tsitsino Tetrauli

SOME OF THE CRYPTOCURRENCY ISSUES UNDER THE INNOVATIVE ECONOMY

Summary

Money history shows that money can not be a homogeneous mass. Since the origin of money has been the subject of many changes, money was and is one of the most difficult issues in economic science, the study of the tendencies of money-generating trends creates the basis that electronic money will eventually deduct paper money and become a predominant form of money.

Recently we hear new words: "live money", "electronic money", "cryptocurrency", "bitcoin", "blockchain", "alternative money", etc. The best known and most popular of cryptocurrency is bitcoin. Bitcoin interest in the whole world is growing, it was created in 2009 by unknown programmers. It is noteworthy that after the financial crisis of 2008, their idea was to create a self-regulated currency, which can not interfere with regulations. It can be said that bitcoin is the first decentralized currency, no government can withdraw from its system, each bitcoin has its code. Cryptocurrency is a new type of money, which, in parallel with traditional cash, but substantially different from them.

Georgia is on the second place by producing bitcoins, but that does not mean that all are involved in it.

Several months ago, Georgian cryptocurrency "Golden Fleece" was created. According to experts, digital currencies are a modern stage of money development, although the risk is large, in many countries there is no cryptocurrency as a means of payment and exchange. It is not recognized by the central banks and has nothing to do with it.

All countries react differently to cryptocurrency. Many believe that it is an alternative to paper money, which will in the future expel the paper money and will replace it altogether.

ქეთევან კიწმარიშვილი

ტექნოლოგიური ინოვაციები საბანკანათლებლო სფეროში

ანოტაცია. „სოციალური სფერო“-ს ცნებას მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივი მნიშვნელობის ისეთი კატეგორიები, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება, დასაქმება, ეკოლოგია, კულტურა და სხვა, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების ჯანმრთელობასა და მის ეკონომიკურ მდგომარეობას.

საკვანძო სიტყვები. საბანკანათლებლო ტექნოლოგიები. ეკონომიკური ინოვაციები. პედაგოგიური ინოვაციები. ინსტიტუციური ფორმები.

შესავალი

თანამედროვე განათლების საფუძველს წარმოადგენს ტექნოლოგიური ინოვაციები, კერძოდ, კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები. თანამედროვე განათლების მენეჯმენტის მნიშვნელოვან თავისებურებას ქმნის ის ფაქტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტექნოლოგიების გამოყენებას თან სდევს რადიკალური ცვლილებები პედაგოგიკის მეთოდებსა და ხერხებში, პედაგოგთა

და სტუდენტების შრომის ორგანიზებაში, ეკონომიკურ მექანიზმში და განათლების თეორიასა და მეთოდოლოგიაშიც კი. ამასთან, ტექნოლოგიების არჩევა განიხილება არა როგორც ტექნოლოგიური საკითხი, არამედ როგორც ინოვაციური მენეჯმენტის პრობლემა განათლების სფეროში. მისი ეფექტურად გადაწყვეტისთვის საჭიროა განათლების სისტემის ყველა ქვესისტემასა და ელემენტებს შორის კავშირების რეგულირება.

* * *

განათლების სისტემაში მართვის პროცესებისადმი ახალი მიდგომები ვლინდება ისეთი ორგანიზაციული ინოვაციების ათვისებასა და გავრცელებაში, როგორიცაა:

პედაგოგიური შრომის დანაწილება (სწავლების შინაარსის მდგენლების გამოყოფა), სწავლების მეთოდების და სწავლების პროცესის მიმდინარეობის გაკონტროლების სპეციალისტთა გამოყოფა და ა.შ.);

პედაგოგთა, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტთა, სასწავლო პროცესის ორგანიზატორთა გაერთიანება ჯგუფებში, გუნდებში, რომლებიც მუშაობენ, ავითარებენ და ახორციელებენ დისტანციურ სწავლებას.

განათლების სისტემას დაწესებულებების და სასწავლებლების რთული იერარქიული სტრუქტურა გააჩნია. მის შემადგენლობაში შედის ზოგადი განათლება (დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო, სპეციალიზებული სკოლები ცალკეული საგნების გარდამავებული სწავლებით: ფიზიკა-მათემატიკური, ბიოლოგიური და სხვა, ასევე სკოლები, რომელთა სასწავლო ენას რომელიმე უცხოური ენა წარმოადგენს, გიმნაზიები და ლიცეუმები მოწინავე მოსწავლეთათვის, გონებრივად ჩამორჩენილი და ფიზიკურ განვითარებაში პრობლემების მქონე მოსწავლეთათვის, საღამოს სკოლები მომუშავე ახალგაზრდებისთვის). მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საშუალო და უმაღლესი პროფესიული განათლება, რომელიც ახალგაზრდებს ამზადებს ერთი კონკრეტული საქმიანობისთვის, შრომის სოციალური დანაწილების ჩათვლით. აქ შედის საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა კურსები. ინდივიდუალური, ჯგუფური სწავლება და სხვა. განათლების სტრუქტურაში მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს მეორე უმაღლესის დამთავრება, უმაღლესი განათლების მქონე პირების დოქტურანტურაში სწავლება, დისერტაციის დაცვა.

განსაკუთრებულ როლს თამაშობს უწყვეტი განათლება, როგორც ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნისა თუ უნარ-ჩვევების დაგროვებასა და განახლებას ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე – ბავშვობიდან მოხუცებულობამდე. წამყვანი როლი აქ უმაღლეს სასწავლებლებს აკისრიათ, რომელთა მოღვაწეობის შედეგია საგანმანათლებლო მომსახურება, სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია, სასწავლო-მეთოდური პროდუქცია, სამეცნიერო კვლევები და სხვა. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგები ინერგება სასწავლო პროცესში, რაც უზრუნველყოფს მომსახურების მაღალ დონეს და მისი სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივებას, უმაღლესი სასწავლებლის მხრიდან სიახლეებისადმი მაღალ მგრძობელობას.

განათლების სისტემაში ტექნოლოგიური ინოვაციების როლის მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა. ეს განპირობებულია ცოდნის რესურსების აუცილებლობით ინოვაციურ ეკონომიკაში. სწორედ ეს რესურსი, შემოქმედებითი მიდგომისა და ინოვაციების გამოყენებით, იძლევა ცოდნის გადაცემის მოდელის სრულყოფის საშუალებას.

დღეისთვის განათლების სფეროში მართვის საკითხში შემდეგი პრობლემები გამოიკვეთება:

საბაზრო მექანიზმის მოქმედებისათვის დასაშვები საზღვრების განსაზღვრა განათლებაში;

სისტემის დონეების მიხედვით განათლების სფეროში საბაზრო – და სახელმწიფო რეგულირების თანაფარდობის განსაზღვრა;

განათლების სისტემის განვითარების კონცეპტუალური მოდელის შემუშავება;

განათლების სისტემის რეფორმირების სტრატეგიის შემუშავება.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაწყვეტას ხელს შეუწყობს პრიორიტეტული ეროვნული პროექტის – „განათლება“ – რეალიზაცია. ამ პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია ინფორმატიზაცია, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას სრულიად ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე.

განათლების სფეროში ტექნოლოგიური ინოვაციების უმნიშვნელოვანეს ნაწილს ელექტრონული განათლება წარმოადგენს. ის განათლების თანამედროვე სისტემის აუცილებელი ატრიბუტია. ელექტრონული ფორმით განათლების მიღების უდავო პლუსი შემდეგში მდგომარეობს:

მოსწავლე მისთვის ჩვეულ გარემოში იღებს განათლებას; სწავლების ტემპი და ვადები ინდივიდუალურადაა შერჩეული. სწავლების პროცესში მოსწავლის დამოუკიდებლობა, საჭიროებისამებრ პედაგოგის დახმარებით და დამატებითი ლიტერატურის მოშველიებით ხდება. რაც მთავარია, დაძლეულია ტერიტორიული, დროის და ხშირად სოციალური შეზღუდვის ბარიერები.

ბოლო დროს აქტიურად გამოიყენება განათლებისადმი ტექნოლოგიური მიდგომა, მაგალითად, კეის-ტექნოლოგია, რაც მეტად პროდუქტიული, მაგრამ არ არის უნივერსალური საშუალება. კეის-ტექნოლოგიის იდეა ორიენტირებულია სასწავლო მასალების ელექტრონული ან ბეჭდვითი სახით მიწოდებაზე. ეს დღესდღეობით საეხებით მისაღებია, მაგრამ დღეს შესაძლებელია ტექნოლოგიური

მიღწევების უფრო ფართო მასშტაბით გამოყენება. ასე მაგალითად, სასწავლო-მეთოდური კომპლექტებით (ტესტები, პროგრამები, სახელმძღვანელოები) საგანმანათლებლო ტექნოლოგიის რეალიზაციის ამოცანების გადაწყვეტა აუდიტორიულ მეცადინეობებზე ან წამყვან სპეციალისტებთან ტელეკონფერენციების რეჟიმში ან პირადი შეხვედრების დროს.

ელექტრონული სასწავლო-მეთოდური კომპლექსი მოიცავს:
დისციპლინების პროგრამას.

სახელმძღვანელოებს ან დამხმარე სახელმძღვანელოებს, შემდეგ ატრიბუტებთან ერთად: დასახელება, ავტორთა სია, ინფორმაცია ავტორთა შესახებ, გამოშვების წელი, კლასიფიკატორის პოზიცია, რეცენზენტები, საავტორო უფლებები, დისციპლინის ანოტაცია, სასწავლო გეგმაში მისი ადგილის აღწერა, საგნებს შორის არსებული კავშირები, დისციპლინის მიზანი და ამოცანები, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, კურსის თემატური შინაარსი, უშუალოდ სასწავლო მასალები, ლიტერატურის სია, კითხვები თვითშეფასებისთვის, სარეფერატო ნამუშევრების თემები, ამოცანები საკონტროლო და დამოუკიდებელი სამუშაოებისთვის, პროექტებისთვის, ტერმინოლოგიის ნუსხა.

შესასწავლი დისციპლინის სახელმძღვანელოს ეფექტურად ათვისებისათვის განმარტებებს და რეკომენდაციებს;

დამატებით სასწავლო მასალებს;

ჰიპერენციკლოპედიას ან ენციკლოპედიურ ლექსიკონს;

პროგრამულ პროდუქტებს;

დისციპლინის უფრო მაღალ დონეზე შესასწავლად, კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად დამატებითი მასალებს, დამატებით ლიტერატურის ნუსხას.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტის არსებობისას, ასევე სხვა სტუდენტებთან აზრთა გაცვლის და პედაგოგებთან ტელეკონფერენციის, ფორუმის ან ჩატის რეჟიმში ურთიერთობისა თუ კონსულტაციების მიღების დროს, სტუდენტი იღებს კვალიფიციური საგანმანათლებლო მომსახურების მთელ კომპლექსს. დღეს, როცა ელექტრონული განათლება სულ უფრო იჭრება ჩვენს ცხოვრებაში და ოფიციალური სტატუსის მიღებას ცდილობს, სულ უფრო ხშირად გაისმის კითხვა მისი შესაძლებლობების, სპეციფიკისა და ხარისხის შესახებ. იმდენად, რამდენადაც ელექტრონული განათლების ერთ-ერთ საბაზისო ტექნოლოგიას ინტერნეტ-ტექნოლოგია წარმოადგენს, პროგრამული საშუალებების ხარისხი, რომელთაც იყენებენ სასწავლო პროცესის მართვისა და თანხლებისათვის, განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში გადაწყვეტ როლს თამაშობს. ელექტრონული განათლების სისტემაში სწორედ პროგრამული უზრუნველყოფა ახდენს სასწავლო ინფორმაციის მოწოდებასა და სასწავლო პროცესის ყველა მონაწილის ურთიერთქმედების ორგანიზებას. დღეისათვის მსოფლიოში არსებობს ასობით პროგრამული სისტემა ელექტრონული განათლების ორგანიზებისათვის და მათი რიცხვი ელვისებურად იზრდება. ამის გათვალისწინებით, პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონირების ხარისხის შეფასება ძალიან აქტუალური ხდება.

ელექტრონული განათლების განვითარების პრობლემების ჩამოყალიბებისას, მიზანშეწონილია ორიენტირება შემდეგ კონცეფციებზე:

განათლების ხარისხის სფეროში მნიშვნელოვანია ორიენტირება სახელმწიფო და საერთაშორისო სტანდარტებზე, რაც უზრუნველყოფს სამამულო საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის უნიფიკაციას, რომლებიც ელექტრონული განათლების სისტემაში მომსახურებას ახორციელებენ და ასევე სამამულო ინოვაციების მსოფლიო ბაზარზე გასვლას, მათ სერტიფიკაციას, უცხოურ ანალოგებთან თავსებადობას, გარანტიებს.

სტანდარტების გამოყენება ხარისხის მენეჯმენტის ერთ-ერთ საბაზისო კონცეფციას წარმოადგენს და ეს აუცილებელია ელექტრონული განათლებისათვის პროგრამული კომპლექსების სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე, და აგრეთვე მომუშავეთა, დამკვეთთა, სერტიფიცირების ორგანოსა და საგანმანათლებლო პროგრამული პროდუქტების სასიცოცხლო ციკლის სხვა მონაწილეთა შორის კორექტული ურთიერთობისათვის. უფრო მეტიც, სტანდარტები არის საფუძველი ელექტრონული განათლების პროგრამული კომპლექსების შემუშავების, ამორჩევისა და შეფასების პროცესების ფორმალიზებისათვის, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამული საშუალებების ობიექტურ შედარებას და ამაღლებს მათ კონკურენტუნარიანობას. გარდა ამისა, დაპროექტების ეტაპზე სტანდარტების გამოყენება ზრდის რთული პროგრამული კომპლექსების შემუშავების ეფექტიანობას, ასეთ კომპლექსს წარმოადგენს სწორედ ელექტრონული განათლების პროგრამული კომპლექსი, რომელსაც ქმნიან მომუშავეთა დიდი კოლექტივები ან იღებენ მთელი რიგი ორგანიზაციების გაერთიანებული ძალისხმევის შედეგად.

ელექტრონული განათლების პროგრამული კომპლექსის ხარისხის შეფასებისას აუცილებელია დავეყრდნოთ კომპლექსურ სისტემურ მიდგომას, რაც მიღებული შედეგების სრულფასოვნებასა და ობიექტურობას უზრუნველყოფს. ამასთან, მნიშვნელოვანია ელექტრონული განათლების პროგრამული კომპლექსების, განათლების სისტემის ფუნქციონირების სტრუქტურასთან მთლიანობაში არსებული კავშირების გათვალისწინება. ხარისხის შეფასების სისტემის ჩამოყალიბებისას ასეთი მიდგომა ელექტრონული განათლების მთელი სპეციფიკის გათვალისწინებას ხდის შესაძლებელს, მეთოდოლოგიურ, პედაგოგიურ, ეკონომიკურ, საორგანიზაციო, ფსიქოლოგიურ და ტექნოლოგიურ

ასპექტებთან ერთიანობასა და ურთიერთქმედებაში, რაც საბოლოოდ გვაძლევს ხარისხის მახასიათებლების სრულ და ობიექტურ სურათს. ელექტრონული განათლების ხარისხის შეფასებისადმი კომპლექსური მიდგომის რეალიზაციის შედეგს წარმოადგენს ელექტრონული განათლების სისტემაში სწავლების ყველა ასპექტის ამსახველი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და ინდიკატორების კომპლექსური სისტემა.

განსახილველი პრობლემის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მომხმარებელთა სურვილების გათვალისწინების აუცილებლობა, რადგან ელექტრონული განათლების სფეროში ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა დღეისათვის ჩამოყალიბების საწყის სტადიაზე იმყოფება. სასწავლო დაწესებულებათა უმრავლესობას საკუთარი ხედვა გააჩნია სასწავლო პროცესის ფორმირების თავისებურებებთან დაკავშირებით. ელექტრონული განათლების მართვის პროცესის რეალიზაციის ტექნოლოგიები კარდინალურად შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. განსხვავებები გვხვდება ასევე განათლების სფეროში ზოგიერთი ფუნქციების ტექნიკური რეალიზაციის არჩევანის გაკეთების დროს. მაგალითად, მეტამონაცემების საფუძველზე სასწავლო მასალების რეალიზაციისადმი მიდგომები შეიძლება ვარირებდეს მარტივი პიპერტექსტიდან ცოდნის რთულ, წინასწარ მოცემული, საგნობრივად ორიენტირებულ სემანტიკამდე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ხარისხის შეფასების პრობლემის გადაწყვეტისა და ელექტრონული განათლების პროგრამული კომპლექსის ამორჩევისას აუცილებელია შექმნისა და გვარად მაქსიმალურად გავითვალისწინოთ განათლების სისტემის მომხმარებელთა ყველა კატეგორიის მოთხოვნები და სურვილები, ცალკეული საგამანათლებლო ორგანიზაციისა და მისი თითოეული სტრუქტურული ელემენტის (კათედრა, კონკრეტული პროფესორი) ჩათვლით.

დასკვნა

ამგვარად, მოცემული მიდგომის გამოყენებით და სისტემური ანალიზის მეთოდებზე დაყრდნობით, პროგრამული საშუალებების ხარისხის შეფასების სფეროში შესაძლებელია ელექტრონული განათლების პროგრამული კომპლექსის ობიექტური და სრული შეფასების სისტემის მიღება, რომლის საფუძველზეც ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ელექტრონული განათლების ელემენტების მეცნიერულად დასაბუთებული არჩევა მოხდება.

ელექტრონული განათლების ხარისხის მართვის სისტემას საფუძველად შეიძლება ედოს პიროვნული რესურსის მართვის კონცეფცია და ელექტრონული სწავლების და სერტიფიცირების კონცეფცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კიწმარიშვილი ქ., ინოვაციური მენეჯმენტი. „ბეჭდვის სამყარო“. თბილისი, 2016.
2. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ., საინოვაციო მენეჯმენტი, თბ., 2015.
3. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
4. <http://www.russba.ru/>

Ketevan Kitsmarishvili

TECHNOLOGICAL INNOVATIONS IN EDUCATIONAL FIELD

Summary

Innovations in social field are directed towards meeting processes of society's needs and interests of each member. State, social and commercial organizations and citizens realize innovations in social field. Innovations in governmental institutions are shared between national, regional and municipal levels. Principal mechanism on realization state innovation in social field is state innovation policy that is state regulatory process of this field. Actually, social policy is collection of approved rules on social processes' regulation. Social innovations may be material, organizational and cultural. State, regional, domestic and local innovations differ according to the level of influencing society. Organizational and cultural innovations are equal on all levels, but material innovation mainly on local and domestic levels. Realization of innovations in social field means provision of financial, informational, organizational and human resources. radical changes are being noticed in various countries' educational systems for the last decade. Technological service of innovative processes are topical in modern educational system. Together with the creation, use and popularization of innovations in educational field is being established new, modern educational system with its new educational technologies – technological innovations. New economic mechanisms in educational field – economic innovations, new methods and modes of education and teaching – pedagogic innovations. New organizational structure and institutional methods in educational field – unity of organizational innovations.

**ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების
მაკროეკონომიკური ზეგავლენები**

ანოტაცია. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ინოვაციების და გლობალიზაციის მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკის განვითარების დონის განსაზღვრაში; ახალი იდეების, მეცნიერული აღმოჩენების და გამოგონების საფუძველზე ამ შედეგების კომერციალიზაციისა და ბიზნესად გადაქცევის პროცესი და სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელობა ინოვაციური პროექტების აქტივიზაციის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ინოვაციური გლობალიზაცია, ინოვაციური ეკონომიკა, ინდუსტრიული ეკონომიკა, ვენჩურული დაფინანსება, საინოვაციო ინფრასტრუქტურა, საინოვაციო პროგრამა.

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკის განვითარებას, პირველ რიგში, ინოვაციებისა და გლობალიზაციის განვითარების დონე განსაზღვრავს. ინოვაციები, ახალი იდეების, მეცნიერული აღმოჩენებისა და გამოგონებების საფუძველზე, ახალი მეთოდების, ტექნოლოგიების, მენეჯმენტისა და მარკეტინგული გადაწყვეტილებების რეალურ დანერგვას გულისხმობს. მაღალეფექტიან ინდუსტრიულ ეკონომიკებში დღეს განსაკუთრებულად განვითარებულია გამოგონებების და სამეცნიერო კვლევის შედეგების კომერციალიზაციის და სამრეწველო ბიზნესად გადაქცევის პროცესები. მეცნიერები თანამედროვე გლობალურ ეკონომიკას აღწერენ, როგორც “ინოვაციურ (ცოდნის) ეკონომიკაზე” გარდამავალს. ინოვაცია ინოვაციური საქმიანობის შედეგია, ინოვაციის სპეციფიკური შინაარსი გამოიხატება ცვლილებით, გარდაქმნით. ინოვაციური საქმიანობის მთავარი ფუნქცია კი ცვლილების განხორციელებაა. ინოვაციური პროცესი დაკავშირებულია ინოვაციის შექმნასთან, ათვისებასა და გავრცელებასთან. ინოვაციების შემქმნელები (ნოვატორები) იყენებენ ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი და ეკონომიკური ეფექტიანობა. მათი სტრატეგია მიზნად ისახავს კონკურენტებზე გამარჯვებას, უნიკალური სიახლის შექმნას, რომელიც აღიარებული იქნება მოცემულ სფეროში. განვითარებული ქვეყნები დამაჯერებლად გადადიან განვითარების პრინციპულად ახალ ეტაპზე – ინოვაციურზე. სიახლეთა გამოყენების პროცესი, გააზრებულ, მიზანდასახულ და სისტემურ საფუძველზე კვლავწარმოებით პროცესად იქცევა.

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, ინოვაცია არის იდეის ტრანსფორმაცია საბაზრო პროდუქტად ან მომსახურებად, წარმოების ან დისტრიბუციის ახალი, გაუმჯობესებული პროცესი, სოციალური უზრუნველყოფის ახალი მეთოდი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ინოვაცია არის წარმატებული ტექნოლოგიის დანერგვის, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში სიახლეების გამოყენების სინონიმი. ინოვაცია წარმოადგენს მატერიალიზებულ შედეგს იმ კაპიტალდაბანდებიდან, რომელიც ჩაიდო ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დამუშავების, წარმოების, შრომის, მომსახურებისა და მართვის ორგანიზაციის ახალი ფორმების შექმნის საქმეში.

ტერმინი “ინოვაცია”, როგორც ახალი ეკონომიკური კატეგორია, სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ავსტრიელმა (მოგვიანებით ამერიკელმა) მეცნიერმა იოზეფ ალიოზ შუმპეტერმა (1883-1950) XX საუკუნის დასაწყისში. თავის ნაშრომში “ეკონომიკური განვითარების თეორია” (1911) მან განიხილა განვითარებაში ცვლილებების შეტანის (ინოვაციის) საკითხები. გზა ინოვაციის იდეიდან მის საბაზრო რეალიზებამდე შეიცავს ქმედებათა თანმიმდევრობას, რომელთა გაერთიანება ერთიან თანმიმდევრულ ჯაჭვში ქმნის ინოვაციის პროცესის სტრუქტურას⁴.

ამ ჯაჭვის ელემენტებია:

- ინოვაციის ინიციატორი;
- ინოვაციის მარკეტინგი;
- ინოვაციის წარმოება;
- ინოვაციის რეალიზება;
- ინოვაციის დაწინაურება;
- ინოვაციის ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება;
- ინოვაციის გავრცელება (დიფუზია).

მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის გამოიხატება არა მარტო საფინანსო რესურსების მოცულობით, არამედ ცოდნის უკმარისობით. ამჟამად განვითარება განიხილება დაგროვილი ცოდნის დონის მიხედვით, კერძოდ, ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ცოდნის დონით. ცოდნის დეფიციტის დაძლევა თანამედროვე პირობებში საკმაოდ რთული ამოცანაა. განვითარებადმა ქვეყნებმა, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობიდან გამომდინარე, მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ცოდნის შექმნის, მისი ათვისების და გადაცემის

⁴ <http://www.dist-cons.ru/modules/innova/section1.html>

თანმიმდევრული მექანიზმი. ცოდნის შექმნის ამოცანები უნდა მოიცავდეს მსოფლიოში არსებული ცოდნის გამოყენებას საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად, რაც, საბოლოო ჯამში, ინოვაციური საქმიანობის განხორციელებასთანაა დაკავშირებული. ინოვაციური განვითარების მიზნებისა და ამოცანების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ინოვაციური ციკლები. ინოვაციური ციკლი მოიცავს პერიოდს, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ინოვაციური იდეის შექმნას, შემუშავებას და ამ სიახლის დანერგვას. ციკლის ძირეული რგოლებია: მეცნიერება ე წარმოება ე მოხმარება.

ინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში ინოვაციური საქმიანობა უპირატესად ეროვნული ეკონომიკის საზღვრებში მიმდინარეობდა, მაგრამ დღეს სიტუაცია რადიკალურად იცვლება, რადგან ისევე, როგორც ყველა სხვა სფერო, ინოვაციური საქმიანობაც გლობალიზაციის ზემოქმედებას განიცდის. ეს იმას ნიშნავს, რომ ინოვაციების წარმოება და გავრცელება დღეს სცდება ეროვნულ საზღვრებს და მრავალეროვნულ ხასიათს იძენს. ამასთან, ერთ ქვეყანაში შემუშავებული ინოვაციები ძალიან სწრაფად ვრცელდება სხვა ქვეყნებში, რაც, ბუნებრივია, მათი განვითარების ტემპს აჩქარებს.

ხეივანიდან ნათელია, რომ თანამედროვე პირობებში ინოვაციური გლობალიზაცია როგორც მიკრო, ასევე მაკრო და მეზოდონებზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება. აქედან გამომდინარე, ინოვაციური საქმიანობის შესწავლა გლობალიზაციის პირობებში ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ, თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემას წარმოადგენს.

ეკონომიკური გლობალიზაციის არსი გამოიხატება იმით, რომ დღეს უკვე შესაძლებელია ნებისმიერი ეკონომიკური რესურსის გადაადგილება, მოპოვება, წარმოება და მოხმარება დედამიწის ნებისმიერ წერტილში, მიუხედავად მისი რომელიმე ქვეყნისადმი კუთვნილებისა.

* * *

განვითარებული ქვეყნები დამაჯერებლად გადადიან განვითარების პრინციპულად ახალ ეტაპზე ე ინოვაციურზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სიახლეთა გამოყენების პროცესი იქცევა გააზრებულ, მიზანდასახულ და კვლავწარმოებით პროცესად სისტემურ საფუძველზე, ხოლო თვითონ ინოვაციები განიხილება საზოგადოებაში პრობლემათა გადაწყვეტის მთავარ ინსტრუმენტად. მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის გამოიხატება არა მარტო საფინანსო რესურსების მოცულობით, არამედ ცოდნის უკმარისობით. ამჟამად განვითარება განიხილება დაგროვილი ცოდნის დონის მიხედვით, კერძოდ, ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ცოდნის დონით. ცოდნის დეფიციტის დაძლევა თანამედროვე პირობებში საკმაოდ რთული ამოცანაა.

განვითარებადმა ქვეყნებმა, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობიდან გამომდინარე, მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ცოდნის შექმნის, მისი ათვისების და გადაცემის თანმიმდევრული მექანიზმი. ცოდნის შექმნის ამოცანები უნდა მოიცავდეს მსოფლიოში არსებული ცოდნის გამოყენებას საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, სალიცენზიო ხელშეკრულებების, პატენტების შექმნას და სხვა. შექმნილი ცოდნის ათვისების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საყოველთაო განათლების ხელმისაწვდომობა, მათ შორის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, განსაკუთრებით ტექნოლოგიებში, დასაქმებული მოსახლეობის უწყვეტი განათლების სისტემის არსებობა. ცოდნის გადაცემის მნიშვნელოვანი ეტაპის ორგანიზაციისათვის საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობისათვის გამოყენებული უნდა იქნეს საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ვაჭრობის, ფინანსებისა და საინფორმაციო ნაკადების გლობალიზაციას თან ახლავს შესაძლებლობები და ხიფათიც. ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის ზრდის შემთხვევაში მსოფლიო კიდევ უფრო გაიხლიჩება არა მარტო კაპიტალისა და სხვა რესურსების, არამედ ცოდნის გამო. პრობლემები იქმნება თვით განვითარებულ ქვეყნებს შიგნით ცოდნისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობათა არათანაბარი პირობების გამო. ყოველივე ამის გამო, ყველა ცალკე აღებულმა ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს ცოდნის მოპოვებისა და გამოყენების მრავალგვაროვანი ტექნოლოგიური ჩამორჩენილობისა და საინფორმაციო დეფიციტის შემცირების პრობლემები. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მართვის პრობლემა როგორც მაკრო, ასევე მიკროდონებზე.

მართვის ფუნქციის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს შიდა რესურსების გამოვლენა, მათი გამოყენება და მოწინავე გამოცდილების ძიება. ინოვაციური განვითარების მიზნებისა და ამოცანების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ინოვაციური ციკლები. ინოვაციური ციკლი მოიცავს მანძილს, რომელიც იწყება ინოვაციის შექმნის იდეის შემუშავებით და მთავრდება ამ სიახლის დანერგვით. ციკლის ძირეული რგოლებია: მეცნიერება ე წარმოება ე მოხმარება. ი. შუმპეტერის აზრით, ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს სიახლეთა გამოყენება. ინფორმაციული საზოგადოება ხასიათდება იმით, რომ მის ჩამოყალიბებაში აქტიური როლი ითამაშა და ამჟამადაც თამაშობს ახალი ტექნოლოგიები. ტექნოლოგიების განვითარებისათვის კი საჭიროა საერთო სპეციფიკური მიდგომის შემუშავება გამომგონებლის, მეწარმისა და მოხმარებლისათვის, რომელიც ორიენტირებული იქნება ინოვაციებზე. კომპანიები ვერ მოიპოვებენ წარმატებას გამაფრებული კონკურენციული ბრძოლის პირობებში თუკი დროულად არ შეიტანენ ინოვაციებს თავიანთ ტექნოლოგიურ პროცესში, არ მოახდენენ კომუნიკაციისა და მენეჯმენტის ოპტიმიზებას, კონკურენტებზე ადრე არ განახორციელებენ ახალ გამოგონებებს. ახალი ეკონომიკის ჩამოყალიბებაში მთავარ ფაქტორად ინოვაციების დინამიკა გვევლინება.

თანდათან ხმარებაში შემოდის ტერმინი „ინოვაციური ეკონომიკა“. ინოვაციური ეკონომიკა განვითარდა ინვესტირების სპეციფიკური სახეობის შედეგად, რომელიც თან ახლავს უახლოეს ტექნოლოგიურ პროგრესს. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი სახის ინვესტიციების დაბანდება ხდებოდა უშუალოდ წარმოების სარისკო სექტორში, მათ მიიღეს სახელწოდება სარისკო, ვენჩურული („Venture“-რისკი) ინვესტიციების სახით. ინდუსტრიული წარმოებისათვის დამახასიათებელი ინვესტიციებისაგან განსხვავებით, რომელთაც წლიურად მოაქვთ 2-3% ოდენობის მოგება, ვენჩურულ ინვესტიციებს ძალუბთ არნახულად დიდი მოგების მოტანა 20-30% -დან 200%-მდე. რა თქმა უნდა, ამავდროულად იზრდება წარუმატებლობის რისკიც. სწორედ ასეთი ინვესტიციები დაედო საფუძვლად მაღალი დონის ტექნოლოგიების კომერციულ ბუმს, ისინი მუდამ თან ახლდა მათ განვითარებას, განაპირობებდა როგორც მათ მასიურ კრახს, ასევე აღორძინებასაც.

ამჟამად ვენჩურული ინვესტიციები საფუძვლად უდევს ყოველი ახალი თაობის მაღალტექნოლოგიურ წარმოებას, ბიო და ნანოტექნოლოგიების ჩათვლით.⁵ ვენჩურული ინვესტირების ერთ-ერთი ცნობილი პიონერი, მენეჯერი გერმან ხაუზერი ასახელებს ხუთ მთავარ პირობას ვენჩურული კაპიტალის წარმატებული განვითარებისათვის. ესენია:

1. ქვეყანაში მენეჯერთა და გამომგონებელთათვის მაღალკვალიფიციური საგანმანათლებლო სისტემის არსებობა;
2. სამეწარმეო სულისკვეთება;
3. ვენჩურული კაპიტალის არსებობა;
4. სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა განათლების სისტემისა და ვენჩურული ინვესტირებისათვის სათანადო პირობების შექმნის თვალსაზრისით;
5. მსხვილი კომპანიების მუდმივად მზადყოფნა მცირე კომპანიებთან თანამშრომლობისათვის;

ინოვაციური ბიზნესის განვითარებისათვის მთავარი როლი ეკისრება სახელმწიფოს, მის მიერ გაცემულ პოლიტიკასა და შექმნილ პირობებს. ინოვაციების განვითარება ხორციელდება მაშინ, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებები, კომპანია-საწარმოები, კვლევითი ლაბორატორიები თავმოყრილია ერთ სივრცეში. ასეთი მაღალტექნოლოგიური ზონები ცნობილია როგორც „კლასტერები“.⁶ სწორედ ამგვარი ვითარების დროს ნებისმიერი ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის განვითარების დონეზე.

1990-იანი წლებიდან, განვითარებული ქვეყნების ინოვაციური საქმიანობის სფეროში შეინიშნება ორი უმნიშვნელოვანესი ტენდენცია: პირველი მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება სახელმწიფო სექტორიდან თანდათან გადადის კერძო სექტორში; მეორე – სამეცნიერო კვლევებისა და ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაში სულ უფრო და უფრო იზრდება ვენჩურული კაპიტალის როლი.⁷

ახალი ტექნოლოგიებისა და ცოდნის შექმნა და მათი გამოყენება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის განსაზღვრავს ქვეყნის როლსა და ადგილს, ეროვნული უსაფრთხოების დონეს მთელ მსოფლიოში. განვითარებული ქვეყნების მშპ-ს ზრდის 80-95% განპირობებულია ახალი ცოდნის გამოყენებით ტექნიკასა და ტექნოლოგიებში. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებში ვითარდება ინოვაციური ეკონომიკა. ინოვაციური ეკონომიკის მთავარი მახასიათებლებია:

- თანამედროვე ინფორმაციული და კომპიუტერული სისტემების არსებობა;
- განვითარებული ინფრასტრუქტურის არსებობა, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ეროვნული ინფორმაციული რესურსების შესაქმნელად;
- წარმოების ყველა სფეროს, დარგისა და მართვის სისტემის დაჩქარებული ავტომატიზაცია;
- სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ინოვაციების სწრაფი შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა;
- კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების მოქნილი სისტემის არსებობა;
- მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ბაზაზე შემუშავებული ტექნოლოგიების წარმოებაში ინტენსიურად დანერგვა;

ინტელექტუალური დარგების (მეცნიერება, განათლება, ხელოვნება, ფინანსური, იურიდიული და სამედიცინო მომსახურება, მენეჯმენტი, მარკეტინგი, კონსალტინგი და სხვა) დაჩქარებული განვითარება და მომსახურების სფეროს გადაქცევა შრომითი საქმიანობის ძირითად სფეროდ;

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების განვითარება, რის შედეგადაც გამოვლენებისა და სხვა ინოვაციების შესახებ ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება მთელ მსოფლიოში;

მსოფლიო ბაზარზე ცოდნის, როგორც სპეციფიკური სახეობის საქონლის ცენტრალური ადგილის დაკავება;

ეკონომიკის ინფორმაციული სექტორის დაჩქარებული ტემპით განვითარება.

განვითარებული ქვეყნების კომპანიებში სულ უფრო მეტად იზრდება დანახარჯები კვლევებზე. 2011 წლისათვის ინოვაციებზე ორიენტირებული კომპანიების პირველი ხუთეული ასე გამოიყურებოდა:

⁵ Олег Киреев. Инновационная Экономика. [http:// www.njp.ru/rignoogen:innovation pg2](http://www.njp.ru/rignoogen:innovation pg2).

⁶ Олег Киреев. Инновационная Экономика. [http:// www.njp.ru/rignoogen:innovation pg7](http://www.njp.ru/rignoogen:innovation pg7).

⁷ <http://www.montteki.ru/>. pg1.

№	კომპანიის დასახელება	დანახარჯები, მლრდ დოლ.
1	Roch Holding	9.6
2	Microsoft	9.0
3	Nokia	8.6
4	Toyota	7.8
5	Pfizer	7.7

ეროვნული საინოვაციო სისტემის შემადგენელი ნაწილია ქვეყნის საინსტიტუციო გარემო, ანუ საკანონმდებლო აქტების, ნორმების, წესების, უწყებრივი ინსტრუქციების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებს საინოვაციო საქმიანობას. ქვეყნების ეროვნული საინოვაციო სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა არსებობს საერთო ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ნებისმიერი სისტემის ფუნქციონირებისათვის:

1. კრეატიული ბლოკი, ანუ ცოდნის წარმოშობის ბლოკი (უნივერსიტეტები, სამეცნიერო ინსტიტუტები, ცალკეული სპეციალისტები - კერძო პირები, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების არაფორმალურად ურთიერთდაკავშირებული კოლექტივის ქსელი);

2. ტექნოლოგიების ტრანსფერის ბლოკი. კრეატიული აზროვნების შედეგად წარმოშობილი ახალი იდეა, როგორც წესი, შეუძლებელია განხორციელდეს მაშინვე და უშუალოდ ავტორის მიერ. საჭიროა შუამავალი, რომელიც, ერთი მხრივ, განმარტავს იდეის პერსპექტიულობას და განხორციელების შესაძლებლობას და, მეორე მხრივ, მყიდველს ჩაუნერგავს რწმენას პროდუქტის შექმნის მიზანშეწონილობაზე. ავტორსა და მყიდველს შორის შუამავლის როლს ასრულებს არაკომერციული ფონდები, რომლებიც მუშაობს იმავე პრინციპით, როგორც სამეცნიერო კვლევებზე გრანტების გამცემი ფონდები. ფაქტობრივად, ამ ტიპის არაკომერციული ფონდები ქმნიან ქსელს, უზრუნველყოფენ ავტორის კონტაქტს სხვადასხვა ობიექტებთან, ვისთვისაც კრეატიული იდეა შეიძლება წარმოადგენდეს ინტერესის საგანს;

3. წარმოების დაფინანსება. ვიდრე კომერციულ პროდუქტად იქცევა, იდეამ უნდა გაიაროს ტრანსფორმაციის ეტაპები, მათ შორის: მუშანახაზის შექმნა, მაკეტის გაკეთება, საცდელი ნიმუშის დამზადება. ამ ეტაპებზე საჭიროა, მოიძებნოს დაფინანსების წყარო. გამოყოფენ დაფინანსების რამდენიმე ტიპს:

ა). იდეის ავტორი ან მისი მხარდამჭერი ორგანიზაცია ქმნიან კომპანიას ახალი პროდუქტის შესაქმნელად და იღებენ ბანკის კრედიტს, რომელიც უნდა დააბრუნონ დათქმული დროის შემდეგ. დაფინანსების ეს მეთოდი საკმარისად სახიფათოა ახალი წარმოების ინიციატორებისათვის. იმის გამო, რომ ახალი პროდუქტის წარმოება შეიცავს დიდ რისკს, ბანკები თხოულობენ მაღალ საბანკო პროცენტს, რაც საინოვაციო საქმიანობას ნაკლებად მიმზიდველს ხდის.

ბ). ერთ-ერთი ვარიანტია ინოვაციის გაყიდვა, მაგალითად, მსგავსი პროდუქტის მწარმოებელ მსხვილ ფირმაზე, ასეთ შემთხვევაში მკვლევარი კარგავს ავტონომიის გარკვეულ ხარისხს.

გ). **ვენჩურული დაფინანსება.** ვენჩურული კომპანია, გულდასმით შეისწავლის რა ინოვაციის მიერ შეთავაზებულ ბიზნესგეგმას, ქმნის საწარმოს, რომლის ხელმძღვანელად ინიშნება ინოვაციური, ხოლო საწარმოს მუშაობაზე კონტროლს ახდენს ვენჩურული კომპანია. ამავდროულად, კომპანია თვალყურს ადევნებს ბიზნესგეგმის დროულად და ხარისხიანად შესრულებას და თუ ჩათვლის, რომ ის არ სრულდება ან წარმოიშობა შემდგომი წარმატებული მენეჯმენტის ეჭვი, კომპანიას უფლება აქვს, გაყიდოს საწარმო.

ვენჩურული დაფინანსების გამოყენებისას ინოვაციური იდეებს ზემოელების მნიშვნელოვან ნაწილს და შეუძლია დატოვოს საწარმო თავის შეხედულებისამებრ. თავისი მიმზიდველობის მიუხედავად, ვენჩურული დაფინანსება არ წარმოადგენს უნივერსალურ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციური პროდუქტის შექმნის სრულ დაფინანსებას. ამჟამად მიღებულია ინოვაციური პროდუქტის შექმნის საწყის სტადიაზე საკუთრივ ორგანიზაციის სახსრებით ან გრანტების მოზიდვით დაფინანსება, ხოლო ვენჩურული კაპიტალის გამოყენება საბოლოო ეტაპზე, საცდელი ნიმუშის შესაქმნელად და მის შემდეგ. ინოვაციური პროდუქტის შესაქმნელად ვენჩურული კაპიტალის გამოყენება წლითიწლობით იზრდება.

1995-2000 წლებში ვენჩურული კაპიტალი გაიზარდა აშშ-ში \$ 4,6-დან \$103,2 მლრდ-მდე, ინგლისში – \$ 19 მლნ-დან \$2,9 მლრდ-მდე, იაპონიაში – \$21 მლნ-დან \$ 1,7 მლრდ-მდე, გერმანიაში – \$ 13მლნ-დან \$ 1,2 მლრდ-მდე, საფრანგეთში – \$8 მლნ-დან \$ 1,1 მლრდ-მდე, შვეციაში – ნულიდან \$ 560 მლნ-მდე, ფინეთში – ნულიდან \$ 270 მლნ-მდე⁸.

4. ინოვაციის წარმოება. აქ განიხილება ორი ალტერნატივა.

პირველი - როდესაც ინოვაციური პროდუქტის წარმოება ინტეგრირდება უკვე არსებულ საწარმოსთან, რითაც მცირდება დამოუკიდებელი მენეჯერული კომპლექსის ორგანიზების დანახარჯები (ბუღალტერიის, კადრების აღრიცხვის და ა.შ.).

⁸ http://www.mgimo.ru/files/34545/doklad_politolog_1.doc

მეორე - როდესაც ინოვაციური პროდუქტის საწარმოებლად იქმნება დამოუკიდებელი ახალი საწარმო, სადაც მინიმუმამდე დაყვანილი დანახარჯები მისი მცირე სიდიდის გამო.

5. კადრების კვლავწარმოება. სამეცნიერო და ტექნიკური, ზოგადად, ინოვაციური კადრების მომზადება არ უნდა ხდებოდეს უსისტემოდ. ცოდნისა და კომპეტენციის სრულყოფას თან უნდა ახლდეს კადრების გონივრული და ფრთხილი შერჩევა, რადგან ექსტრაორდინალური ნიჭის გამოძვადანება რთული და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. სამეცნიერო ელიტის მომზადება უნივერსიტეტებისა და სპეციალიზებული სასწავლებლების გარდა უნდა ხდებოდეს ეროვნულ საინჟინრო დაწესებულებებში.

ინოვაციური საქმიანობა – ეს არის მეცნიერებისა და წარმოების სფეროს დამაკავშირებელი რგოლი, რომელიც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას. მსოფლიო ეკონომიკის განვითარება ცხადყოფს, რომ 150 ქვეყნიდან, რომლებიც ინოვაციური განვითარების გზაზე დგანან, მხოლოდ 10-15 ქვეყანას შესაძლოა დაერქვას მაღალგანვითარებული. მხოლოდ 7-8 ქვეყანა შეიძლება მივაკუთვნოთ მაღალტექნოლოგიურ ქვეყანათა რიგს, რადგანაც ისინი ინარჩუნებენ პირველობას მაკროტექნოლოგიების წარმოებით. მათ წილად მოდის მსოფლიოში მეცნიერებატევადი პროდუქციის ბრუნვის 92% (აშშ-39%, იაპონია-30%, გერმანია-16%, ჩინეთი-6%). ექსპერტთა აზრით, 2010 წელს მეცნიერებატევადი პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე შეადგენს 3,5 ტრლნ დოლარს. აქედან 1,2 ტრლნ დოლარი მოდის ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე⁹. ინოვაციური სტრატეგია წარმატებული ქვეყნების გამოცდილებისა და ცალკეული ქვეყნის ეროვნული თავისებურებით უნდა განხორციელდეს. უპირველესი მნიშვნელობა უპირატესად კერძო სექტორის ძალისხმევასა და სახელმწიფო მხარდაჭერაზე აგებული ინოვაციური სტრატეგიის სინთეზური გამოცდილების გამოყენებას ენიჭება. პირველის მაგალითია „სილიკონის ხეობა“ აშშ-ში, რომელიც უახლოესი ინოვაციებით ამარაგებს მთელ მსოფლიოს. სწორედ აქ მოქმედი ინოვაციური ფორმების ფილიალები, ერთობლივი ფორმები ინდოეთში, ჩინეთში, აზიის სხვა ქვეყნებში ასტიმულირებს მათ დაჩქარებულ განვითარებას. მეორის მაგალითია ფინეთი, რომელიც ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანი სახელმწიფო მხარდაჭერის გზით წავიდა და ერთ-ერთ ყველაზე უფრო მაღალგანვითარებულ ქვეყანად გადაიქცა¹⁰.

თანამედროვე პირობებში, როდესაც სულ უფრო მწვავედება საყოველთაო კონკურენციული ბრძოლა გასაღების ბაზრების მოსაპოვებლად, ძალიან სწრაფი ტემპებით იფიქტება ბუნებრივი რესურსები, მეტად უპერსპექტივო ხდება ეკონომიკური ზრდის „სანედლეულო სექტორზე“ ორიენტაცია, რასაც ადგილი აქვს თითქმის ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში დიდი ხანია ფეხი მოიკიდა ტერმინმა “ინტელექტუალური კაპიტალი”. ხშირად ვხვდებით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დღეს ეკონომიკური ზრდა იგივეა, რაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა და წარმოების ფაქტორების ინტელექტუალურიზაცია. სხვადასხვა მონაცემებით, უახლოესი 15-20 წლის განმავლობაში მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური საქონლის რეალიზაცია მსოფლიო მასშტაბით 10-ჯერ გადააჭარბებს “სანედლეულო სექტორის” პროდუქციის საერთო ღირებულებას. ყოველივე ეს მიუთითებს ეკონომიკის სწორედ სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური სექტორის პრიორიტეტული, წინმსწრები განვითარების აუცილებლობაზე. მეცნიერების განვითარება ეკონომიკური განვითარების საფუძველთა საფუძველია. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი - ეს არის ინოვაციათა განვითარების პროცესი¹¹.

ნიშანდობლივია, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავისი ერთ-ერთი პირველი სერიოზული მოსხენება სწორედ ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომაზე წარმოადგინა (2009 წლის 27 აპრილი) და ასე დაასათაურა: “მეცნიერება გვჭირდება, როგორც არასდროს”. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის ეკონომიკური განვითარების ტემპების შენელება მხოლოდ მეცნიერების და განათლების განვითარების ტემპების შენელებამ გამოიწვია. მისი აზრით, სამეცნიერო ინოვაციები იძლევა განვითარების და ზრდის შანსს და ეს შანსი არა მხოლოდ ამერიკამ, არამედ მთელმა მსოფლიომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს, ვიდრე გვიან არ არის. დღეს მეცნიერება ყველაზე მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი უშიშროების, ჩვენი ჯანმრთელობის და ჩვენი ცხოვრების ხარისხის შენარჩუნებისათვის¹².

მსოფლიო გამოცდილება გვჩვენებს, რომ სახელმწიფოები, რომლებიც ირჩევენ ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ მოდელს (გზას), ეფექტურად იყენებენ სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკას. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის ნაწილს, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ინოვაციური საქმიანობისადმი. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ინოვაციური პროცესების აქტივიზაციაზე ეკონომიკის ყველა სფეროში; საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე;

⁹ A. В. Барышева, К. В. Балдин, С. Н. Галдицкая, М. М. Ищенко, И. И. Передеряев. Инновации. Москва, 2006, p. 46.

¹⁰ A. В. Барышева, К. В. Балдин, С. Н. Галдицкая, М. М. Ищенко, И. И. Передеряев. Инновации. Москва, 2006, p. 46.

¹¹ რ. აბუსაძე, რ. სარჩიშვილი, ნ. არევაძე, მ. მელაშვილი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები, თბილისი, “უნივერსალი”, 2004. გვ.22.

¹² Remarks by the president at the National Academy of Sciences Annual Weeting The white Heuse Office of the Prek Secretary April 27, 2009.

ხელსაყრელი პირობების შექმნაზე სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისა და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების საბაზრო მექანიზმების ეფექტური გამოყენებისათვის; ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე; სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის შესაბამისი უნარების შესწავლასა და ეფექტურ გამოყენებაზე და ა.შ.

ეროვნული საინოვაციო სისტემის (ესს) კონცეფციის ფუძემდებლის კრისტოფერ ფრიმანის განმარტებით, ესს არის “სახელმწიფო და კერძო სექტორებში მოქმედი ინსტიტუტების ქსელი, რომლებიც ახდენენ ახალი ტექნოლოგიების ინიცირებას, იმპორტს, მოდიფიცირებას და გავრცელებას”¹³. სხვანაირად რომ ვთქვათ, ესს არის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომლებიც აწარმოებენ სამეცნიერო კვლევებსა და სამუშაოებს, ინოვაციური პროდუქციის შექმნასა და რეალიზაციას, აგრეთვე საინოვაციო საქმიანობის მართვასა და დაფინანსებას (უნივერსიტეტები და აკადემიები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საინოვაციო-ტექნოლოგიური ცენტრები, ტექნოლოგიური ინკუბატორები, ტექნოპარკები, სასწავლო-საქმიანი ცენტრები და სხვა სპეციალიზებული ორგანიზაციები, მსხვილი და მცირე ზომის კომპანიები და სხვ.).

პრაქტიკა ნათელყოფს, რომ ინოვაციური სფეროს განვითარება (მეცნიერება, ტექნოლოგიები, მეცნიერებატევადი დარგები) ქმნის ეკონომიკის განვითარების მყარ საფუძველს, განსაზღვრავს საზღვრებს ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის. ამიტომ ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება მსოფლიო ეკონომიკის ხანგრძლივი განვითარებისათვის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. იმისათვის, რომ ქვეყანა ინოვაციური განვითარების გზას დაადგეს, მას მოუწევს ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება და შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შექმნა. აუცილებელია ეროვნული მეურნეობის რეორგანიზება მეცნიერებატევადი წარმოების საფუძველზე, ამის შედეგად კი ქვეყანა შესძლებს თავისი პოზიციების გაძლიერებას მსოფლიო ბაზარზე.

მეცნიერებატევადი პროდუქციის წილი მსოფლიო ბაზარზე ცალკეული ქვეყნების მიხედვით შემდეგია: რუსეთი-0.3%, აშშ-36%, იაპონია-30%, ჩინეთი-6%¹⁴. ინოვაციური საქმიანობისათვის პრიორიტეტულია ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება, რომელიც მოიცავს იმ ინსტიტუტთა ერთობლიობას, რომლებიც ახდენენ ახალი საწარმოო საშუალებებისა და ახალი ცოდნის ტრანსფორმაციას ახალ კონკურენტუნარიან საქონელსა და მომსახურებაში. ამ სისტემის მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა წარმოების ორიენტაციის შეცვლის გზით. ნაცვლად ნედლეულის მოპოვებისა, გამოყენებისა და გადამუშავებისა, ცოდნით ცოდნის წარმოება და ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში ადამიანური და ტექნოლოგიური პროგრესი გახდა ეკონომიკის განვითარების მთავარი ფაქტორი. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ წარმატებულია ის ქვეყნები, რომლებმაც კაპიტალის ინვესტირება მოახდინეს ადამიანში - ახალ ცოდნაში, განათლებაში, ახალ ტექნოლოგიასა და მოწყობილობებში, ორგანიზაციასა და მართვაში. განვითარებული ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკის დონის განსაზღვრა ხდება იმის მიხედვით, თუ მრეწველობის დარგების ოთხი დონიდან რომელს ანიჭებენ ისინი პრიორიტეტს.

ეს დონეებია:

ნედლეულის მოპოვება და პირველადი გადამუშავება;

ტრადიციული, მძიმე მრეწველობა;

მაღალტექნოლოგიური მრეწველობის დარგები;

მეცნიერებატევადი წარმოება.

გლობალურ კონკურენციაში იმარჯვებენ ის ქვეყნები, რომლებიც სათანადო პირობებს ქმნიან ადამიანის განვითარებისათვის, მეცნიერული კვლევებისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებისათვის. ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია ინოვაციური სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც წარმატებული ქვეყნების გამოცდილებისა და ცალკეული ქვეყნის ეროვნული თავისებურებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ინოვაციური საქმიანობისათვის პრიორიტეტულია ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება. კომპანიები ვერ მოიპოვებენ წარმატებას გამაფრებული კონკურენციული ბრძოლის პირობებში, თუკი დროულად არ შეიტანენ ინოვაციებს თავიანთ ტექნოლოგიურ პროცესში, არ მოახდენენ კომუნიკაციისა და მენეჯმენტის ოპტიმიზებას, კონკურენტებზე ადრე არ მოიპოვებენ ახალ გამოგონებებს. ინოვაციური საქმიანობა ხელს უწყობს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციას, გვევლინება რა მათ დამაკავშირებელ რგოლად. გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ცალკეული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, პირველ რიგში, ტექნოლოგიური განვითარების დონით განისაზღვრება, მისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება ვენჩურული ბიზნესის განვითარების საფუძველზე. სახელმწიფოს, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ინდუსტრიის ერთიანი სტრატეგიით უნდა მოხდეს ვენჩურული ფონდებისა და ინსტიტუტების შექმნა; ხელი უნდა შეეწყოს ინდუსტრიული, საწარმოო და ტექნო პარკებისა და ზონების, კლასტერების ჩამოყალიბება-განვითარებას, რომელთა რეალური ამოქმედება უზრუნველყოფს ინოვაციური ეკონომიკის

¹³ National Innovation Systems. Paris: OECD Publications, 1997, p. 10.

¹⁴ Н. Л. Маренков. Инноватика. Москва, 2008. pg.,-194.

გაფართოებასა და გლობალურ სივრცეში ცალკეულ სახელმწიფოთა კონკურენტუნარიანობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ინოვაციური სფეროს განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები, პირველ რიგში, უნდა გამოყოს სახელმწიფომ, ასევე სარისკო ორგანიზაციებმა, საპენსიო ფონდებმა, ცალკეულმა პიროვნებებმა, სადაზღვევო კომპანიებმა და სხვამ. მიზანშეწონილია ვენჩურული (სარისკო) ფირმების შექმნა. ამასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამები უნდა დაფინანსდეს ბიუჯეტიდან და სპეციალური ფონდებიდან. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა შექმნას სათანადო სამართლებრივი ბაზა სარისკო ფირმების ფორმირება-განვითარებისათვის. მაშასადამე, აუცილებელია სახელმწიფომ ინოვაციური სფეროს განვითარებისათვის შექმნას ხელსაყრელი გარემო: საგადასახადო, საკრედიტო, საპატენტო, საბირჟო, სალიცენზიო, ექსპორტის, იმპორტის და სხვა სფეროებში. თანამედროვე პირობებში მტპ-ის მიღწევათა გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს ჩვენი ქვეყნის განვითარების სტრატეგია და ჩამოყალიბდეს მეცნიერული გამოკვლევებისა და დამუშავებების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები. საქართველოს სახელმწიფოებრივი სასიცოცხლო მნიშვნელობის ძირითადი პრობლემები (ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, სახელმწიფო უსაფრთხოება, ტრანსპორტის, კომუნიკაციური სისტემის, ენერჯეტიკის, კავშირგაბმულობის, ინფორმაციული სისტემის განვითარება და სხვა) უნდა გადაიჭრას მტპ-ის მიღწევათა გამოყენებით, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს გამოკვლევების პრიორიტეტული მიმართულებები (ე.ი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ინოვაციურ საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს).

საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის მისაღწევად ფართოდ უნდა დაინერგოს ახალი და უახლესი ტიპის ტექნიკა-ტექნოლოგიები. ეს კი მოითხოვს საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნას, ბირჟების, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, სპეციალიზებული მიზნობრივი ფონდების, სარისკო-ინოვაციური ფირმების, ლიზინგური, მარკეტინგული, აუდიტორული, ინჟინირინგული და სხვა სახეობის ფირმათა ჩამოყალიბებას. აუცილებელია, სახელმწიფომ, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისას, ორიენტაცია აიღოს ინოვაციური პროცესების დაჩქარებაზე, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე. ამასთან, მეცნიერებასა და წარმოებას შორის ურთიერთობა უნდა აიგოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმის საფუძველზე. სახელმწიფო რეგულირება ძირითადად ირიბი მეთოდებით (საგადასახადო, საბაჟო, საკრედიტო ინვესტიციები, შეღავათები და სტიმულები და სხვა) უნდა ხორციელდებოდეს. კომუნიკაციური სისტემების მეშვეობით ხდება სიახლეთა გავრცელება, ფირმებთან, შუამავლებთან, მყიდველებთან, საზოგადოების ფართო მასებთან ურთიერთობის დამყარება (რეკლამის, საკუთრივ გაყიდვის, გასაღების სტიმულირებით და სხვა). ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ აზრს, რომლის ჩამოყალიბება შესაძლებელია სემინარების ჩატარებით, სპეციალურად გამოცემული ლიტერატურით, საჯარო ჩვენებებით, გამოფენა-გაყიდვებით, საქველმოქმედო პროგრამების მეშვეობით და სხვა. ამრიგად, სიახლეთა გავრცელება უნდა ხორციელდებოდეს როგორც კომუნიკაციური, ასევე მასტიმულირებელი (პრემირება, გარანტიების მიცემა ფულის უკან დაბრუნებაზე, უფასო ნიმუშების წარდგენა, საქონლური კრედიტი და სხვა) ღონისძიებებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.dist-cons.ru/modules/innova/section1.html>¹
2. Олег Киреев. Инновационная Экономика. <http://www.njr.ru/rgnoogen:innovation> pg2.
3. Олег Киреев. Инновационная Экономика. <http://www.njr.ru/rgnoogen:innovation> pg7.
4. <http://www.montteki.ru/>.
5. http://www.mgimo.ru/files/34545/doklad_politolog_1.doc
6. А. В. Барышева, К. В. Балдин, С. Н. Галдицкая, М. М. Ищенко, И. И. Передеряев. Инновации. Москва, 2006. pg46.
7. რ. აბესაძე, რ. სარჩიშელია, ნ. არევაძე, მ. მეღაშვილი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები, თბილისი, "უნივერსალი", 2004. გვ22.
8. Remarks by the president at the National Academy of Sciences Annual Weeting The white Heuse Office of the Prek Secretary April 27, 2009.
9. National Innovation Systems. Paris: OECD Publications, 1997, p. 10
10. Н. Л. Маренков. Инноватика. Москва, 2008. pg194.

INNOVATIONS AND TECHNOLOGICAL DEVELOPMENTS ARE PROMOTING FACTORS

Summary

The development of modern economy, first of all, determines the level of innovation and globalization. Innovations are based on new ideas, technologies, management and marketing solutions based on new ideas, scientific findings and inventions. In the efficient industrial economics is highly development today the process of commercialization and transformation into industrialized buseness of innovations and scientific research results. Scientists describe modern global economy as a transition to an "innovative (knowledge) economy". Innovation is the result of innovative activity, the specific content of innovation is expressed by change, transforming. The main function of innovative activity is to make changes. The innovative process is related to the creation, development and dissemination of innovation. Innovation creators (innovators) use such criteria as product life cycle and economic efficiency. Their strategy is aimed at winning competitors, creating a unique novelty that will be recognized in the given field. Developed countries convincingly the development of the new stage of innovation. The use of the news becomes a repeat process based on thoughtful, purposeful and systematic basis.

In the industrial economy, innovative activity was predominantly in the borders of the national economy, but today the situation is radically changed, as all other spheres, innovative activities are also affected by globalization. This means that the production and distribution of innovations goes beyond the national boundaries and acquires multinational character. In addition, innovations developed in one country are very rapidly spread to other countries, which naturally accelerates their pace.

The two most important trends in the field of innovative activities developed in the 1990s are: the first is that funding of scientific-research works gradually shifts from the public sector into the private sector; The second –the role of venture capitalists is increasing in the elaboration of scientific research and new technologies.

The world experience shows that the states that choose the innovative model (the way) of economic development effectively use the state's innovation policy. The state innovation policy is a part of the socio-economic development program that expresses state attitude to innovative activity. State innovation policy should be directed to activation of innovative processes in all areas of economy. Improvement of investment climate; Creating favorable conditions for effective use of market mechanisms for the stimulation of scientific-technical potential and innovative activities; Development of innovative infrastructure; Research and effective use of relevant skills of scientific and technical personnel etc.

It can be said that important financial resources for the development of innovative sphere in Georgia should first of all be allocated by the state, as well as by risky organizations, pension funds, individual persons, insurance companies and others. It is advisable to create venture risky firms. In addition, scientific and technical programs should be funded from the budget and special funds. In addition, the state must create a proper legal framework for the formation and development of risky firms. Therefore, it is necessary for the state to create a favorable environment for the development of innovative sphere: tax, credit, patent, trading, licensing, export, import and other fields. In the modern conditions, taking into account the achievements of scientific-technical progress, we should define our country's development strategy and form the main priorities of scientific research and development. Main problems of the state vital development of Georgia (state defense, state security, development of transport, energy, communications, information system etc.) should be solved using STP achievements, on the basis of which should be defined the priority directions of investigations (ie, Georgia's economic development strategy should be formed on an innovative basis).

Practice makes clear that the development of innovative spheres (science, technology, and scientific fields) creates a solid foundation for economic development, determines borders between poor and wealthy countries. Therefore, the formation of the national innovation system is the main factor for the long-term development of the world economy. To make the country bollous an innovative development path, it will have to activate innovative activity and create relevant scientific-technical potential. It is necessary to reorganize national farming on the basis of science-intensive production, and as a result, the country will be able to strengthen its positions on the world market.

In the global competition, the countries that create appropriate conditions for human development, scientific research and scientific-technological progress are winners. To form an innovative economy, it is important to establish an innovative strategy that is to be derived from the experience of successful countries and national characteristics of individual countries. Priority for innovative activities is the formation of a national innovation system. Companies will not be able to achieve success in intensified competition, if they do not have time to introduce innovations in their technological process, will not be able to optimize communication and management and will not have new inventions earlier than competitors. Innovative activities promote the integration of science and production, as a connecting link. Under globalization, when the competitiveness of the individual national economy is primarily determined by the level of technological development, it is significant and important to for innovative economics based on the development of venture business. Creation of venture funds and Institutions shall be done by a unified strategy of state, educational institutions and industry; The formation and development of industrial and techno parks and zones, clusters must be promoted, the real implementation of which will enable the expansion of the innovative economy and maintain the competitiveness and identity of individual states in the global space.

To achieve the growth of Georgia's economy, the new and the latest techniques and technologies should be widely introduced. This requires the creation of market infrastructure, the establishment of exchanges, banks, insurance companies, specialized targeted funds, risky and innovative firms, leasing, marketing, audit, engineering and other firms. It is necessary that the State, in the process of improving the framework of the market infrastructure development, should accelerate innovative processes, prepare highly qualified personnel. In addition, the relationship between science and production should be built on the basis of mutual benefit, on the basis of merging personal and public interests. State regulation is mainly implemented by indirect methods (tax, customs, credit investments, benefits and incentives, etc.). Through communications systems occurs, dissemination of news, firms, mediators, buyers, establishing relationships with the general public (advertising, sales, stimulation, etc.). At this time, it is of great importance that the public opinion can be established through seminars, specially published literature, public expositions, exhibition-sales, charitable programs, etc. Thus news dissemination should be carried out both as communicative and stimulating (premiums, guaranteeing return of money, free sample submission, product credits, etc.) measures.

*ნუნუ ქისტაური
მედეა მელაშვილი
ქეთევან ქველადე*

**პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების
თანამედროვე ტენდენციები**

ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება ისეთ საინტერესო სფეროს, როგორცაა ინოვაციური ტექნოლოგიები-IT, კერძოდ კი პროგრამული უზრუნველყოფა. მასში განხილულია დარგის მოკლე ისტორია, მოყვანილია აღნიშნული ინდუსტრიის დღევანდელი TOP-ათეული. ნაშრომში ასევე განხილულია პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების თანამედროვე ტენდენციები.

საკვანძო სიტყვები. IT -სექტორი, პროგრამული უზრუნველყოფა, არალიცენზირებული პროგრამები, „პირატობა“.

პროგრამული უზრუნველყოფა IT (Information Technology) სექტორის ძირითადი კომპონენტია. იგი წარმოადგენს იმ კომპიუტერული პროგრამების ერთობლიობას, რომლებიც ექსპერტების მიერ მუშავდება ინდივიდუალური მომხმარებლების ან ორგანიზაციების დასახმარებლად, მათ მიერ კომპიუტერის გამოყენებით სხვადასხვა ფუნქციების შესრულების პროცესში ხელშეწყობის მიზნით.

პროგრამული უზრუნველყოფა წარმოადგენს ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ნათელ მაგალითს, ანუ მისი გამოყენება შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, თანაც იგი მხოლოდ მორალურად შეიძლება მოძველდეს, ფიზიკურად - არასოდეს.

თვითონ ტერმინი „პროგრამული უზრუნველყოფა“ XX საუკუნის 60-იან წლებში გაერცვლდა, ხოლო ამ დარგში პირველ კომპანიად ითვლება 1959 წელს რომი ნატის და ფლენერ ჯოუნსის მიერ დაფუძნებული Computer Sciences Corporation, რომლის საწყისი კაპიტალი 100 დოლარი იყო. კორპორაციის პირველ კლიენტებს შორის იყო ისეთი გიგანტი, როგორცაა NASA.

დღეს პროგრამული უზრუნველყოფის ინდუსტრიის TOP ათეული ასე გამოიყურება:

IBM – International Business Machine - გიგანტი კორპორაცია, რომლის შტაბბინა აშშ-შია, მაგრამ მუშაობს მსოფლიოს 200 ქვეყანაში, სადაც დასაქმებულია 40 000-ზე მეტი ადამიანი. IBM-ს გააჩნია 9 სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია მთელ მსოფლიოში. მას უზარმაზარი წვლილი შეაქვს მსოფლიო ბიზნესის ინოვაციური განვითარების პროცესში.

Microsoft - ამერიკული მრავალნაციონალური საზოგადოებრივი კორპორაცია, რომელიც დააფუძნა ბილ გეიტსმა 1975 წელს და რომლის შტაბბინაც ვაშინგტონშია. შეიძლება ითქვას, რომ ის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული კორპორაციაა, რომლის საოპერაციო სისტემაა ჭინდოწს-ი. დიდხანს ის მსოფლიო რეიტინგის პირველ ადგილზე იყო.

Oracle - ამერიკული მრავალნაციონალური კორპორაცია, რომელიც სპეციალიზებულია კორპორაციული პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავებაზე. მისი შტაბბინა კალიფორნიაშია.

SAP AG - გერმანული გლობალური კორპორაცია, რომელიც დააფუძნა IBM - ის ხუთმა ყოფილმა თანამშრომელმა გერმანიაში 1972 წელს და რომელიც აწარმოებს პროგრამულ უზრუნველყოფას საწარმოებისათვის. ითვლება, რომ ის ყველაზე სწრაფად მზარდი კორპორაცია იყო 2009 წელს. პროგრამული უზრუნველყოფის დარგში ის მსოფლიოში უმსხვილესი კორპორაციაა.

Symantec - კომპიუტერების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში უმსხვილესი მწარმოებელი, რომელიც დაფუძნებულია 1982 წელს აშშ-ში, მისი შტაბბინა კალიფორნიაშია. ყველაზე მეტად სახელი მოიხვეჭა ანტივირუსული პროგრამების შექმნით.

TCS-Tata Consultancy Services - ინდური უმსხვილესი კონგლომერატის Tata Group - ის შვილობილი კომპანია. იგი დაფუძნებულია 1968 წლიდან, შტაბბინა აქვს მუმბაიში, ინდოეთში, მუშაობს მსოფლიოს 42 ქვეყანაში და გააჩნია 142 ფილიალი.

Nintendo - ვიდეოთამაშების სფეროს უმსხვილესი იაპონური კომპანია, დაფუძნებულია 1889 წელს, როგორც ხელნაკეთი მისალაცი ბარათების საწარმო. ახლა კი ოფისები გააჩნია გერმანიაში, აშშ-ში, კანადაში და სხვ. მისი შტაბბინა კიოტოშია.

CA Technologies - რომელიც ადრე ცნობილი იყო როგორც Computer Associates Inc და შედის Fortune 500-ის შემადგენლობაში. იგი დაფუძნებულია 1976 წლიდან, მისი შტაბბინა ნიუ-იორკშია, ძირითადად სპეციალიზდება ანტივირუსული პროგრამების დამუშავებაზე, მაგრამ ასევე აწარმოებს უნივერსალურ კომპიუტერებს.

Adobe Systems - დაფუძნებულია 1982 წელს აშშ-ში. მისი პროდუქციის ძირითადი კატეგორიებია Desktop Software, Server Software, eLearning Software და მრავალი სხვა. კომპანია პოპულარული გახდა PDF Reader-ის და Photo Shop-ის გამოყენების შემდეგ.

Electronic Arts Inc - საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია 1982 წლიდან და შტაბბინა აქვს კალიფორნიაში, ახორციელებს ვიდეოთამაშების პროგრამულ უზრუნველყოფას.

პირველი მანქანური პროგრამა შექმნა ლედი ადა ლაკლუსმა XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ჩარლზ ბებიჯის მანქანისათვის, მაგრამ ეს მანქანა ვერ დასრულდა, ამიტომ ლედი ლაკლუსის პროგრამა წმინდა თეორიულად დარჩა. შემდეგ 1936 წელს ინგლისელმა მათემატიკოსმა ადან ტიურინგმა შექმნა პროგრამა თავისი ე.წ. „ტიურინგის მანქანისათვის“, ანუ ეს იყო აბსტრაქტული მანქანის მათემატიკური მოდელი, რომელსაც შეეძლო წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით სხვადასხვა თანმიმდევრული ოპერაციის შესრულება.

პირველი ელექტროგამომთვლელი მანქანები გაჩნდა 1940—50-იან წლებში. თანამედროვე კომპიუტერებისაკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ინგლისელმა ჯონ ფონ ნეიმანმა. მან გამოიყენა ალან ტიურინგის მანქანა და შექმნა შემოკლებული კოდირების სისტემა, რომელიც გამოიყენებოდა პერფოლენტაზე ტელეტაიპის ნიშნების სახით. შემდეგ 50-იან წლებში გაჩნდა პირველი მაღალხარისხიანი პროგრამირების ენები: ჯონ ბეკუსმა შექმნა Fortran, გრეის ჰოპერმა - COBOL-ი.

პირველ პროგრამულ ფირმად ითვლება კომპანია System Development Corporation, რომელიც 1956 წელს შეიქმნა ამერიკული ფირმა RAND Corporation-ის ბაზაზე.

თანამედროვე კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს მრავალი სახის პროგრამებს, რომლებიც პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

- სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა;
- გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- ინსტრუმენტული პროგრამული უზრუნველყოფა.

სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა - ეს არის კომპიუტერის მართვის სამუშაოთა პროგრამების ერთობლიობა, რომლებიც ასრულებენ სხვადასხვა დამხმარე ფუნქციას, მაგალითად, კომპიუტერის რესურსების მართვა, საცნობარო ინფორმაციის მიწოდება კომპიუტერის შესახებ და სხვ. ისინი ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისათვის.

სისტემურ პროგრამებში ცენტრალური ადგილი ოპერაციულ სისტემებს უჭირავს (Operating Systems –OS). ეს არის პროგრამების მთელი კომპლექსი, რომელიც შექმნილია სხვადასხვა სამომხმარებლო პროგრამების შესასრულებლად (ჩატვირთვა, გაშვება, გამორთვა) ანუ კომპიუტერის რესურსების მართვის მიზნით მისი ჩართვიდან გამორთვის მომენტამდე. OS პროგრამა ირთვება ავტომატურად კომპიუტერის ჩართვასთან ერთად. ამ პროგრამების გავრცელებული მაგალითებია: MS DOS, Unix, Windows 9x, Windows XP. ამ ჯგუფში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამსახურებრივ ე.წ. „Utilitas“ პროგრამებს. ეს არის დამხმარე პროგრამები, რომლებიც მომხმარებელს აწოდებს დამატებით მომსახურებას იმ სამუშაოებზე, რომელსაც იგი ყველაზე ხშირად ასრულებს. ესენია: არქივატორი (პროგრამული არქივული ფაილების პროგრამების შექმნა, ინფორმაციის დაარქივება); ანტივირუსული; მუშაობის ოპტიმიზაციის და ხარისხის კონტროლის პროგრამები; ინფორმაციის დამცავი და აღმდგენი პროგრამები; კომპაქტიდისკების ჩამწერი პროგრამები; საკომუნიკაციო პროგრამები.

გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა ეხმარება მომხმარებელს ძირითადი ამოცანის გადასაწყვეტად, ანუ - ეს არის ნებისმიერი პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს მოცემული პრობლემების ფარგლებში რაიმე ამოცანის წარმატებით გადაჭრას. ესენია: ტექსტური რედაქტორები (MS Word, Word Perfect); ცხრილური პროცესორები (MS Excel, Lotus 1-2-3, Quattro Pro), მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები (MS Access, Oracle, MS SQL Server, Informix); გრაფიკული რედაქტორები (Corel Draw, Adobe Photoshop); ელექტროლექსიკონები (Prompt, Cokrat, Lingvo); ოფისური პაკეტები (Microsoft Office, Star Office) და სხვ. იგი მოიცავს სხვადასხვა შინაარსის მქონე მომხმარებელთა გამოყენებითი პროგრამების პაკეტებს.

ინსტრუმენტულ პროგრამულ უზრუნველყოფას მიეკუთვნება: ახალი პროგრამების დასამუშავებლად საჭირო პროგრამირების სისტემები: პასკალი, ბეისიკი. ჩვეულებრივ, ისინი მოიცავენ ტექსტის რედაქტირებას, ტრანსლიატორს, ბიბლიოთეკას, ვიზუალური პროგრამირების საშუალებებს: Visual, Basic, Java, C++, Delphi; მოდელირების სისტემებს: MatLab, ბიზნესპროცესების მოდელირების სისტემებს: Bp Win და სხვ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია ის, რომ დღეს უკვე პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარი, მასშტაბების და ზრდის ტემპების მიხედვით, ერთ-ერთ პირველ ადგილზე გავიდა. ამასთან დაკავშირებით სულ უფრო აქტიური ხდება ამ ბაზრის სისტემური შესწავლა და მისი ფუნქციონირების განმსაზღვრელი პარამეტრების განსაზღვრა. დღეისათვის აღნიშნული ბაზრის სუბიექტებს, პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებლებსა და მომხმარებლებთან ერთად, არაღიჯენიებული ე.წ. „პირატული“ ვერსიების მწარმოებლებიც წარმოადგენენ.

ინტერნეტის ფართოდ გავრცელებამ აგრეთვე გამოიწვია ე.წ. „პირატობის“ გაჩენა, ანუ ციფრული პროდუქციის არასანქცირებული გამოყენება. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, როგორც პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელების და საერთოდ არსებობის, ასევე „პირატობის“, როგორც მოვლენის წარმოქმნის და გავრცელების ძირითად „მიზეზს“ ინტერნეტი წარმოადგენს.

პროგრამული უზრუნველყოფის არაღიჯენიებული გამოყენება ბოლო წლებში IT სფეროს ყველაზე დიდი და აქტუალური პრობლემაა. პირატული პროგრამების გამოყენებას მილიარდობით წაგება მოაქვს დარგისათვის, ხოლო ახალი ტექნოლოგიების განვითარება საკმაოდ მუხრუჭდება სწორედ მისი მიზეზით. ანალიტიკური კომპანია Business Software Alliance-ის ბოლო წლების მონაცემების მიხედვით პერსონალური კომპიუტერების მფლობელების 73% ადასტურებს მათ მიერ პირატული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას. კომპიის მომხმარებელი იღებს იმავე პროდუქციას, როგორსაც ორიგინალის მფლობელი, მაგრამ მისი დანახარჯები ძალიან მცირეა და შეადგენს პირატული კომპიის მოძიებისას გაწეულ მიზერულ დანახარჯებს და იშვიათად, შესაძლო ჯარიმას პირატული საქონლის გამოყენებისათვის.

კომპიუტერული „პირატობა“, რა თქმა უნდა, იდევნება კანონით, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, IDC -ის (International Data Corporation - მსოფლიოში ერთ-ერთი საერთაშორისო კვლევითი და კონსალტინგური კომპანია, რომელიც შეისწავლის საინფორმაციო ტექნოლოგიების და ტელეკომუნიკაციების მსოფლიო ბაზარს. მისი ფილიალები 110 ქვეყანაში მუშაობს) მონაცემებით, უკანასკნელ წლებში მთელი მსოფლიო პროგრამული უზრუნველყოფის 43% პირატული იყო (აქედან დასავლეთ ევროპაში - 34%, აშშ-ში - 20%, ჩინეთში - 79%) და კომპიუტერული პირატობის TOP ათეული ასე გამოიყურება

N	ქვეყანა	პროგრამული უზრუნველყოფის მთლიან მოცულობაში არაღიჯენიების %			
		2009	2011	2013	2015
1	ვიეტნამი	85	81	81	78
2	ზიმბაბვე	92	92	91	90
3	ინდონეზია	86	86	84	84
4	ჩინეთი	79	77	74	70
5	პაკისტანი	84	86	85	84
6	ყაზახეთი	78	76	74	73
7	უკრაინა	85	84	83	82
8	კამერუნი	83	83	82	82
9	რუსეთი	67	63	62	64
10	ბოლივია	80	79	79	79

დღეისათვის პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების ერთ-ერთ თანამედროვე ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს დარგის მასშტაბების უსწრაფესი ზრდა და ამ ზრდის ტემპების არნახული დაჩქარება, ხოლო ძირითად ტენდენციას „პირატობის“ განსაკუთრებულად სწრაფი ზრდა წარმოადგენს. ამიტომაც ბევრი ექსპერტული კვლევა ეძღვნება საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში პირატობის პრევენციული კონტროლის და აღმოფხვრის პრობლემებს. ყოველი მათგანი თითქმის ერთ დასკვნამდე მიდის - პირატობიდან სრული დაცვა მწარმოებელს ძალიან ძვირი დაუჯდება და თითქმის შეუძლებელია. დღევანდელ პირობებში თითქმის ნებისმიერი ტექნოლოგიური დაცვის „გატყევა“ შესაძლებელია, ამიტომ მისი ზედმეტი გართულება შედეგს ვერ მოიტანს, ეს მომხმარებლისათვის დამატებით სირთულეს ქმნის. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ოპტიმალურ გადაწყვეტილებად შეიძლება ჩაითვალოს ფირმების მიერ პირატობის მცირე ოდენობით დაშვება. ამ შემთხვევაში საკითხი დგება იმ „მცირე ოდენობის“ სიდიდის მოსაძებნად, რომელიც ოპტიმალური იქნება.

ბევრ ქვეყანაში, რომლებიც პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარზე წამყვან პოზიციებს იკავებენ, აუცილებელი გახდა პირატობასთან ბრძოლის შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ეს შეიძლება იყოს ტექნიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური მეთოდები.

მათი კომპლექსური გამოყენებით შესაძლებელია მეტ-ნაკლებად წარმატებული ბრძოლა ისეთ ურთულეს და ფართოდ გავრცელებულ მოვლენასთან, როგორცაა პროგრამული პირატობა. ჩვენ ვთვლით, რომ ამგვარი ღონისძიებების გატარება აუცილებლად სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა ხდებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://batop.ru/top-10-proizvoditeley-programmnogo-obespecheniya-v-mir>
2. https://ru.wikipedia.org/wiki/Программное_обеспечение
3. <https://studfiles.net/preview/6326866/page:12> Классификация программного обеспечения ПК
4. <https://disser.spbu.ru/disser2/320/disser/Saltan-Thesis.pdf> Математические методы и модели анализа рынка программного обеспечения при наличии внешнего сетевого эффекта и компьютерного пиратства
5. http://economy-ru.info/info/142003/Специфические_особенности_программного_обеспечения
6. <https://www.inventech.ru/lib/quality/quality-0040/> Разработка программного обеспечения и экономика
7. <http://prog.bobrodobro.ru/44553> Понятие программного обеспечения
8. <http://davaiknam.ru/text/sovremennii-tehnologii-razrabotki-programmnogo-obespecheniya-m> Современные технологии разработки программного обеспечения
9. <https://studfiles.net/preview/953377/page:33/> Современные методы и средства разработки программного обеспечения

*Nunu Kistauri
Ketevan Kveladze
Medea Melashvili*

MODERN TRENDS IN SOFTWARE DEVELOPMENT Summary

Software is an essential component of the IT sector. The term "software" was spread in the 60s of the 20th century, and today it is a huge industry. It is believed that the first computational program was created in the 30s by Lady Ada Laquias for Charles Bebege's car. Since then, information technologies have quickly invaded human life and are continuously taking the leading positions there.

Today, the software market is one of the world's top-rated according to its scale and growth rates. Its subjects are software manufacturers, users and non-licensed so-called manufacturers of "pirated" versions. With the development of the Internet, the Internet has grown tremendously and has become the fastest growing software industry, but in parallel with this, the Internet contributes to the wide spread and use of non-licensed programs that bring the loss of billions of dollars to the sector. Despite the fact that the "piracy" is punctuated by law according to BSA data, 43-45% of software was piratic in recent years.

Many expert researches are dedicated to the prevention of piracy control and its preventive measures in IT field. Almost all of them come to one conclusion - full protection from the piracy is associated with much expenses for the manufacturer and is almost impossible. Hence, the logical conclusion that can be considered to allow some amount of piracy by the manufacturer firms as the optimal decision. Consequently, the main task for these firms is to determine the optimal size of this "certain" amount.

მარინე ცუცქირიძე

ბიზნესის განვითარების ტენდენციები და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები

ანოტაცია. ნაშრომში გადმოცემულია ბიზნესის განვითარების პროცესისა და მისი თანამედროვე ტენდენციების აქტუალური საკითხები; განხილულია საბაზრო ურთიერთობებისა და ბიზნესის, კერძოდ მისი დარგობრივი საქმიანობის განვითარებაში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებები, რაც ძირითადს და ამავე დროს მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური სისტემების განვითარებისა და მათ შორის ინტეგრაციული ევროსაბაზრო ურთიერთკავშირების დამყარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, ბიზნესი, ეკონომიკური განვითარება, ბიზნესის ტენდენციები, ინოვაცია, ტექნოლოგია.

შესავალი

ეკონომიკისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის სფეროების განვითარებისათვის აუცილებელ ერთ-ერთ ძირითად ტენდენციას საქართველოში წარმოადგენს მეწარმეობის, ძირითადად მისი ევროსამეწარმეო დარგების მოწესრიგება, მათი გარდაქმნა საწარმოთა ინტეგრაციის პრინციპებთან ურთიერთდამოკიდებულებაში; ამით მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელშეწყობა და ბიზნესის საქმიანობაში – წარმოებისა და მომსახურების პროცესებში, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველყოფა. აღნიშნული თანამედროვე სამეცნიერო და ტექნიკური გამოკვლევებით, მათი ერთიანი ევროპული სტანდარტების შემუშავების გზითაა შესაძლებელი. ამ მიმართულებით განხილულია ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენ-

დენციის – მის საქმიანობაში, დარგობრივ და საბაზრო პროცესებში ახალი და პროგრესული ტექნოლოგიებისა და მათ ინოვაციურ სახეობათა გამოყენების თავისებურება და აქტუალური საკითხები.

* * *

თანამედროვე ეკონომიკური სისტემების განვითარების მთავარ ტენდენციას წარმოადგენს ბიზნესის საქმიანობის წარმართვა ევროინტეგრაციულ გარდაქმნებთან ურთიერთშესაბამისად. მიზანშეწონილი და შესაძლებელია ბიზნესის განვითარების ეს ტენდენცია ძირეულად დაუკავშირდეს მისი საქმიანობის ისეთ მიმართულებათა განხორციელებას, რომელიც საფუძველად უდევს სამეწარმეო სისტემის შედეგების ამაღლებას და ბიზნესის შემოსავლების გადიდებას. ასეთს თანამედროვე ვითარებაში წარმოადგენს – 1. ინოვაციური ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო წინაპირობების წარმოქმნა; 2. ინოვაციურ პოლიტიკასთან ურთიერთშესაბამისი ბიზნესის სისტემის ფუნქციონირება.

ბიზნესის სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის მთავარ საფუძველს წარმოადგენს ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება და გამოყენება, რაც აუცილებელია საწარმოთა თანამედროვე ევროინტეგრაციის ვითარებაში. ინოვაციური ტექნოლოგიები ევროკავშირის სამეცნიერო და ტექნიკური გამოკვლევებისა და გამოგონებათა შედეგების მიხედვით უნდა იქნეს შექმნილი, რომელიც ორმაგი დანიშნულებით გამოიყენება. ასეთი ორმაგი ტექნოლოგიები ძირითად ინოვაციურ რესურსს წარმოადგენს. იგი გამოიყენება ბიზნესის და მისი დარგობრივი სექტორების, განსაკუთრებით სამრეწველო ფირმების საქმიანობაში. ასეთი ტექნოლოგიები ბიზნესის ორგანიზებულობის უფრო მაღალი დონის მისაღწევად საჭირო და მისი დაცვის უახლესი ტექნიკური მეთოდების წარმატებით გამოყენების საშუალებაა.

მნიშვნელოვანია დამოკიდებული ბიზნესის სისტემის განვითარება პროდუქციისა და მომსახურების საბაზრო ეფექტიანობაზე, რაც ფირმათა ინტეგრირების შესაძლებლობას განაპირობებს. ფირმათა ევროინტეგრაციის პროცესში ერთ-ერთი ძირითადია ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება. იგი ეკონომიკური საფუძველების გაუმჯობესების მიზანს ემსახურება და წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფის აქტიურ შედეგს წარმოადგენს. მათ შორის ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის მთავარია პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციული სისტემისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზება. ეს ფირმებს შესაძლებლობას უქმნის ახალი და გაუმჯობესებული დიზაინის მქონე ტექნიკის, ასევე ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენებისათვის, რაც აუცილებელია ფირმის პროდუქციის ან მომსახურების საბაზრო ეფექტის გაზრდისათვის. აღნიშნული წარმოადგენს სწრაფად განვითარებადი და ორმაგი ტექნოლოგიების წარმოებაში გამოყენებისა და ტექნოლოგიური ზრდის მისაღწევად საჭირო წინაპირობას.

თანამედროვე პირობებში ბიზნესის სისტემაში ფუნქციონირებადი საწარმოების შიდა საბაზრო ინტეგრაციის მიზნებისათვის გამოიყენება:

1. რობოტების როგორც სწრაფად განვითარებადი, ასევე თავდაცვითი დანიშნულების ტექნოლოგიების წარმოება. ტექნოლოგიური ზრდა, როგორც ცნობილია, განაპირობებს რობოტოტექნიკის წარმოების გადიდებას, მის გამოყენებას ორმაგი დანიშნულებით – საწარმოო და სოციალური მომსახურების დარგებში;

2. კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა წარმოების გადიდება, რაც ტექნოლოგიური ზრდისათვის მნიშვნელოვანია და მისი მიზანია ტექნოლოგიურად განვითარებული ბიზნესის დარგებისათვის ფირმების ფუნქციონირების პროცესის რაციონალურად წარმართვა;

3. ევროსამეწარმეო სისტემისათვის აუცილებელი უახლესი ტექნოლოგიები, – ავტომატური გადახდისა და ავტომატიზებული მომსახურების სისტემები, რომელთა საფუძველზე განხორციელებული პროცესების დროს თავდაცვის მიზნით ფართოდ გამოიყენება თანამედროვე, უახლესი ინოვაციური ტექნიკა.

4. ფირმების საპატენტო სისტემა, რომელიც განაპირობებს სამეცნიერო გამოკვლევების გაფართოებას და წარმოადგენს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებისათვის აუცილებელს. იგი ინოვაციური საქმიანობის კომერციალიზაციის გზით ხორციელდება.

5. ტექნოლოგიური პროგრესის შედეგები, განკუთვნილი საბაზრო პროცესებისათვის, ანუ საბაზრო ტექნოლოგიები, მათ შორის მნიშვნელოვანია ფასწარმოქმნის ახალი სისტემის შემუშავება და სხვ.

ახალი ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა წარმოადგენს მნიშვნელოვან და მთავარ ფაქტორს, რომელიც მიაწინებს ევროგაერთიანებაში საქართველოს და სხვათა ეკონომიკების უპირატესობაზე და ასახავს მათი განვითარების ტენდენციას თანამედროვე ეტაპზე. ამდენად, მეცნიერებისა და ტექნიკის, ტექნოლოგიისა და წარმოების ურთიერთკავშირი წარმოადგენს ერთ-ერთ მართვად კონვენციას, რომელიც განაპირობებს ინოვაციური ბიზნესის განვითარებისათვის წინაპირობის წარმოქმნას. ამასთან აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიების გამოყენების ძირითად ობიექტებს წარმოადგენს თავდაცვითი და სამოქალაქო წარმოებათა საქმიანობის დარგები. მათი ინოვაციური აქტიურობის ამაღლება ეკონომიკის, კერძოდ ბიზნესის სისტემაში მოითხოვს ახალი

ტექნოლოგიების სექტორის გაძლიერებასაც. ეკონომიკური განვითარების მიზნების მისაღწევად ძირითადია „ორმაგი დანიშნულების“ ტექნიკისა და ტექნოლოგიების წარმოების ზრდა, რომელიც სახელმწიფოებრივ ხელშეწყობასაც მოიცავს. იგი დაკავშირებულია დიდ ფინანსურ დანახარჯებთან და მეცნიერებატევადს წარმოადგენს.

ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიებს მიეკუთვნება ისეთი ტექნოლოგიები, რომლებსაც ახასიათებს საწარმოო და თავდაცვითი ხასიათი და გამოიყენება ბიზნესის სისტემაში ინოვაციური სამრეწველო ტექნიკის შექმნისათვის, ასევე სამოქალაქო პროდუქციის წარმოებისათვის. ასეთი ტექნოლოგიები წარმოადგენს პოტენციურ საშუალებას თავდაცვითი ტექნიკის წარმოებაში გამოყენებისათვის. მნიშვნელოვანია მათი უპირატესობანი სხვა ტექნოლოგიებთან ურთიერთმიმართებაში, მათ შორის ძირითადია:

ორმაგი ტექნოლოგიები იძლევა მათი შემუშავების სტიმულირებისა და დანერგვისათვის საჭირო ვადების შემცირების საშუალებას და განაპირობებს მათთვის განკუთვნილი ფინანსური სახსრების ბრუნვადობის დაჩქარებას;

იგი ამცირებს ტექნოლოგიურ განსხვავებებს ბიზნესისა და ეკონომიკის სამრეწველო და სოციალურ სექტორებს შორის, რაც საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს თავდაცვითი მიზნებისთვის ბიზნესის სისტემაში არსებული სამრეწველო პოტენციალი;

ეს იძლევა მმართველობითი კაპიტალის ოპტიმიზების მინიმუმამდე დაყვანის საშუალებას, ასევე მთავარს წარმოადგენს ინოვაციური პოლიტიკისა და სამრეწველო პოტენციალის უზრუნველყოფისათვის საჭირო და პროდუქციის მისაღებად აუცილებელი დანახარჯების გაწვეისათვის;

მისი საშუალებით შეიძლება ორმაგი დანიშნულების ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნაზე დანახარჯების შემცირება და თავდაცვითი ტექნოლოგიის შემუშავება მისი ახალი სახეობის შექმნის მიზნით.

როგორც ცნობილია, ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების საფუძველს წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევების შედეგები. ასეთი ტექნოლოგიები სტანდარტული სამომხმარებლო თვისებებით გამოირჩევა, რაც განპირობებულია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე პროდუქტის მიღებისა და ტექნოლოგიის ჩამოყალიბების პროცესით. ამ ტექნოლოგიების ინოვაციურობა კი განაპირობებს მათ წარმოებაში დანერგვას და საბაზრო პროცესებში ფირმათა აქტიურობას.

მეცნიერული და ტექნიკური პოტენციალის გამოყენება ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების ჩამოყალიბებისათვის განაპირობებს ფირმების პროდუქტებისა და მომსახურების ზრდას, მათი საბაზრო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ფირმების ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს საპატენტო-სალიცენზიო პოლიტიკის გატარება ევრო-გაერთიანებაში არსებულ წარმოებებში ორმაგი ტექნოლოგიების გამოყენებისათვის, ასევე ტექნოლოგიების მომზადება კომერციონალიზაციის მიზნით, რაც ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფოების სტანდარტების მიხედვითაა მიზანშეწონილი.

ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების წარმატებით კომერციალიზაცია შესაძლებელია ევროგაერთიანებაში არსებულ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, საწარმოებისა და მეწარმეობის სექტორის ურთიერთშემოქმედებით, რაც შესაძლებელია ინოვაციური ინფრასტრუქტურის ობიექტების გზით. ამით განპირობებულია: 1. ინოვაციური პროექტების შერჩევა და კომერციული პოტენციალის გამოყენება; 2. საპატენტო გამოკვლევათა განხორციელება; 3. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ასეთს წარმოადგენს გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო პროგრამები, მონაცემთა ბაზარი და ინტეგრაციული მიკროსქემების ტექნოლოგიები; 4. ახალი მცირე ინოვაციური საწარმოების მმართველობის (მენეჯმენტის) განხორციელება მეცნიერული კვლევების შედეგების კომერციალიზაციის მიზნით; 5. კომერციალიზაციის პროცესის დაფინანსებისათვის ინვესტორების შერჩევა და მოზიდვა. ამ საკითხების გადაჭრით მნიშვნელოვნად იზრდება ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა. ამასთან ერთად აუცილებელს წარმოადგენს სპეციალიზებული ორგანიზაციის წარმოქმნა, რომელიც განახორციელებს საწარმოთა ინტეგრირებას, მიმართულს დიდი ტექნოლოგიური პროექტების რეალიზაციისთვის.

ტექნოლოგიური განვითარების პროცესი ბიზნესის სისტემისათვის მიანიშნებს ურთიერთკონკურენტობადი კომპანიების მმართველობის ინტერესის გაძლიერებაზე ინფორმაციული უსაფრთხოებისადმი. ამისათვის მნიშვნელოვანია: 1. ფასების პოლიტიკა, რეკლამების, მომსახურებისა და კომერციული საქმიანობის სხვა ფორმათა, ასევე კონკურენტის ინფორმაციის საიმედოობა, რაც კომერციული რისკის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენს; 2. ელექტრონული კომერცია, რომელიც ძირითადია საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობების დასამყარებლად. მათ მიეკუთვნება კომპენსაციების შესახებ ინფორმაციის კომპიუტერული უსაფრთხოება, რომელიც ემყარება ტექნოლოგიურ და ადმინისტრაციულ დონის დივიზიონებს და კომპიუტერული სისტემების ხარისხს, ასევე მონაცემებისა და კომუნიკაციების საიმედოობა და უსაფრთხოების დონე. იგი განაპირობებს ბიზნეს სისტემის ფუნქციონირებას არასტაბილური საბაზრო პროცესების წარმოქმნის დროსაც, აღმოფხვრის მატერიალური და ფინანსური სახსრებით დაზარალების

შესაძლებლობას და სხვ.; 3. ბიზნესი, რომელიც ორგანიზებულია საერთაშორისო უპირატესობათა საფუძველზე. ასეთი ბიზნესისათვის დამახასიათებელია კომპლექსურობის, საიმედოობისა და უწყვეტობის თვისებები, რაც მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპებით გამოიხატება. ამ თვისებების საშუალებით ბიზნესის სისტემაში იზრდება საფინანსო რენტაბელობა, გადახდისუნარიანობა, ინოვაციური აქტიურობა და ინვესტიციების დაბანდებისადმი მიზიდულობა; 4. ბიზნესისათვის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, ასეთს წარმოადგენს მმართველობითი პოზიციები და მეთოდები, რომლებიც დამყარებულია: მარეგულირებელი რესურსების გამოყენებისთვის საჭირო ინფორმაციის ავტომატიზებულ სისტემაზე და მისი გადაცემისათვის საჭირო საშუალებებზე; რეგლამენტაციაზე ინფორმაციული თავდაცვის პროცესში; როგორც მექანიკური, ასევე რადიომმართველობითი, კოდური, მიკროპროცესორული და ტელეკომუნიკაციური, ლაზერული ტექნოლოგიების გამოყენებაზე და სხვ. ამიტომ ინტელექტუალური საფუძველების განვითარება მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესის, ასევე საერთაშორისო და სახელმწიფოებრივი ეკონომიკის ტენდენციების გამოვლენისა და განხორციელების მიზნებისათვის.

ამრიგად, შესაძლებელია თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესის განვითარების მიზნით სახელმწიფოებრივი და კომერციული სახსრების საშუალებით განხორციელდეს. იგი ინოვაციური ბიზნესის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების წინაპირობასაც წარმოადგენს და დარგობრივ, საბაზრო პროცესებში მაღალტექნოლოგიური თვისებების პროდუქციისა და მომსახურების საფუძველზე მონაწილეობისა და ინტეგრაციული ეკონომიკური და კომერციული ურთიერთკავშირების დამყარებისთვისაა აუცილებელი.

დასკვნა

თანამედროვე ბიზნესის სისტემის განვითარების ერთ-ერთ ტენდენციას წარმოადგენს ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება მისი საწარმოო და მომსახურების პროცესების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ამისათვის მნიშვნელოვანია: თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესის დარგობრივ სექტორში, ამით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, სოციალური მომსახურების სისტემებში ბიზნესის ორგანიზებულობისა და ინოვაციური აქტიურობის ამაღლება, რაც განაპირობებს ინტელექტუალური საკუთრების საშუალებით წარმოქმნილი, მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების გზით ბიზნესის განვითარებას, ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოთა კომერციული საფუძველების გაუმჯობესებას.

ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელია: ევროკავშირის განვითარების სამეცნიერო და ტექნიკურ გამოკვლევებში ინტეგრაცია, ინოვაციური კონსორციუმების ჩამოყალიბება, ინოვაციური საქმიანობის განვითარება და სამეცნიერო-საწარმოო კოოპერაციული ურთიერთკავშირების საშუალებით მათი ორგანიზება, ინოვაციური საწარმოებისა და ფირმების ინტეგრაცია. ურთიერთკოოპერირებული კავშირის – „მეცნიერება და განათლება – ინოვაციური ბიზნესი – დარგობრივი საწარმოო და მომსახურების სისტემები“ – განვითარება, მათი შესაბამისი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგების განვითარების სტიმულირება. აღნიშნული განაპირობებს ბიზნესის სისტემისათვის ინფორმაციული, ფინანსური და მატერიალური საფუძველების გაუმჯობესებას, კომერციულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობას, ასევე შრომითი და ინტელექტუალური რესურსების უფრო სრულად გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რამაზი, ევროკავშირის ინოვაციური სისტემა, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. X, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017.
2. პაპავა ვლადიმერი, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევაში ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ინოვაციური სისტემების გამოცდილება, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. X, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017.
3. ბერულავა გიორგი, კაკულია ეთერი, გოგოხია თემურაზი, ინოვაციური მცირე ფირმების (ბიზნესის) ფუნქციონირების თავისებურებები ევროკავშირის ქვეყნებში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. X, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017.
4. მენქიუ გრ., ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, დიოგენე, 2000.
5. ცუცქერიძე მარინე, სლოვენის ინოვაციური სისტემა, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. X, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017.
6. <https://finlit.onfine/oshovyi-ekonomiki/technologii-dvoinogo-primeneniya-resurs-9518.html>

BUSINESS DEVELOPMENT TRENDS AND THE USE OF INNOVATIVE TECHNOLOGIES

Summary

The paper discusses the modern tendency of business development in the process of integration of firms. The issues of creation of innovative business are set out. Among them principle is the use of innovative technologies in business production and service, especially improvement of its state and commercial base with the use of security and dual-use technologies, necessary to regulate market relations.

Actual problems of analysis of business development trends are viewed in connection with innovative activity of Euro market relations, in relationship with new technologies, products and services developed through the participation of the European Union in scientific and industrial researches, and also with economic systems and market processes.

The basis for the analysis of the process of innovative and technological development is the expansion of high-tech products in the industrial and service sectors of business and the promotion of European integration which is the main strategic direction for business development in modern conditions.

When commenting on the use of security and dual-use technologies for business objects principal is the production of internal market integration and defensive technologies of business enterprises: production of rapidly developing and defensive technologies in the field of social service; enhancement of the production of computer equipment and automatic payment of taxes and automated service systems for business information security; branded patent systems and commercialization centres; the latest system of trading technology and pricing.

The basis for the analysis of the use of innovative technologies (especially security and dual-use), in the production and service market processes are the directions related to the innovative and activity level of economic and social sectors:

Strengthen innovative activity of small and medium firms through the use of new technologies and protection of information security in market processes;

Improve financial mechanism required for the innovative activities of the firms.

Use modern market incentives in the activities of firms manufacturing innovative techniques and production.

Increase participation in the European Union studies and the activity of mechanism of innovative technologies.

At the same time, the paper considers the introduction of new technological processes in business, which is one of the essential basis for the development of modern business and European relations.

ვასილ ხიზანიშვილი

**რელიგიური ეთიკა –
ეკონომიკურ ძვევათა მნიშვნელოვანი მსახვრემლი**

ანოტაცია. რელიგიები წარმოადგენს ახსნად სისტემებს შეუდარებლად მაღალი საყოველთაო მოთხოვნით. რელიგიური ახსნადი სისტემები ეხება „სრულ“ ჭეშმარიტებას. ამიტომ არის თითოეული რელიგიური ეთიკა იმანენტური, რათა წამოაყენოს პროტენზია „მოელ ადამიანზე“ და პქონდეს სურვილი, მოახდინოს ადამიანურ ქმედებათა ყველა სფეროს ნორმირება. ყოველი რელიგიური ეთიკა აუცილებლად შეიცავს ასევე საკუთარ შეხედულებებს ადამიანის ეკონომიკურ ქმედებებზე. მაშინაც კი, როდესაც რელიგიური საზოგადოების ეთიკაში არ ვხვდებით ეკონომიკურ აქტივობათა ექსპლიციტურ ან სპეციფიკურ მინიშებებსა თუ განმარტებებს, ის საბოლოოდ მაინც ხელს უწყობს მორწმუნეთა ეკონომიკურ ქმედებათა ნორმირებისა და ფორმირების პროცესს.

საკვანძო სიტყვები: რელიგია, რელიგიური ახსნადი სისტემები, რელიგიური ეთიკა, ეკონომიკა, ეკონომიკური რაციონალიტეტი, ბაზარი, სოციალური დიფერენცირება.

შესავალი

რელიგიები წარმოადგენს ახსნად სისტემებს შეუდარებლად მაღალი საყოველთაო მოთხოვნით. ისინი საკუთარ წიადში მყოფ მორწმუნეთ გადასცემენ „სრული“ ჭეშმარიტების კოპერენტულ სურათს, რაც თავად მათ სასრული ცხოვრების ელემენტარული ნეგატიური გამოცდილების ინტუიტური ახსნის შესაძლებლობას აძლევთ. რელიგიურ ახსნად სისტემებში თავმოყრილია ზეკომპლექსური ჭეშმარიტება და ქაოსური სისავსე. ამასთან, რელიგიები მორწმუნეთ უხსნიან მნიშვნელოვანი დროის ჰორიზონტს: დროისა და მარადისობის დიფერენცირებით ისინი მორწმუნეთათვის გასაგებს ხდიან დროისა და ისტორიის წესრიგს, რომელშიც რელიგიებს ძალუთ თითოეული მორწმუნის ინდივიდუალური ცხოვრების ისტორიის აღბეჭვდა. რელიგიური ახსნადი სისტემები სამყაროს განსაზღვრული სურათით გადმოსცემენ ასევე მორწმუნეთა იდეალური ცხოვრების წესის, შესაბამისად – განსაზღვრულ ქცევათა მაქსიმების ნიმუშს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაღალგანვითარებულ რელიგიურ ეთიკას (წმინდად ამქვეყნიური, შესაბამისად სეკულარული ეთიკისგან განსხვავებით) განსაკუთრებულობას სძენს ის გარემოება, რომ აქ ეთიკურ ვალდებულებათა შინაარსს არ განსაზღვრავს წარმატებები. მორწმუნესთვის ამოსავალი არის არა წარმატება, არამედ ქმედება ღვთის ნებისამებრ. რადიკალურ შემთხვევაში ის ღვთისადმი რწმენას იწენს იქამდე, ვიდრე არ ჩნდება კითხვა მისი ამქვეყნიური ხვედრის

მართლზომიერების შესახებ. ამიტომ ითვლება: მით უფრო ინტენსიურია ადამიანის ღვთისმოსაობის ხარისხი, რაც უფრო მკაცრად იცავს ის, როგორც წესი, თავისი რწმენის ინჰერენტულ ეთიკურ მაქსიმებს. სერიოზულად მიღებული რელიგიური რწმენა ბევრად ღრმა კვალს ტოვებს ადამიანის ცხოვრებაში, ვიდრე სხვა სახის მოსაზრებები თუ რეალობები. რელიგიური ახსნადი სისტემები ეხება „სრულ“ ჭეშმარიტებას. ამიტომ არის თითოეული რელიგიური ეთიკა იმანენტური, რათა წამოაყენოს პრეტენზია „მოელ ადამიანზე“ და ჰქონდეს სურვილი, მოახდინოს ადამიანურ ქმედებათა ყველა სფეროს ნორმირება. ყოველი რელიგიური ეთიკა აუცილებლად შეიცავს ასევე საკუთარ შეხედულებებს ადამიანის ეკონომიკურ ქმედებებზე. მაშინაც კი, როდესაც რელიგიური საზოგადოების ეთიკაში არ ვხვდებით ეკონომიკურ აქტივობათა ექსპლიციტურ ან სპეციფიკურ მინიშებებსა თუ განმარტებებს, ის საბოლოოდ მაინც ხელს უწყობს მორწმუნეთა ეკონომიკურ ქმედებათა ნორმირებისა და ფორმირების პროცესს. ეს ხდება იმიტომ, რომ ყოველ რელიგიურ ეთიკას საფუძვლად უდევს ღმერთთან ადამიანის ურთიერთობის განსაზღვრული ხედვა ისევე როგორც - მისი ადგილი კოსმოსში. ყველა რელიგიური ეთიკა აკეთებს გარკვეულ განაცხადს ადამიანის სამყაროსთან ურთიერთობაზე. ამიტომ, მატერიალური განსხვავებები რელიგიურ ეთიკებს შორის შეიძლება ასევე დახასიათდეს, როგორც ადამიანსა და სამყაროს შესაბამის დადგენილ ურთიერთობებს შორის სხვაობა. მიჩნეულია: ცალკეულ რელიგიათა ეკონომიკის ეთიკა ელემენტარულად იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, თუ რელიგიურ სიმბოლურ ენათა გარემოში, თითოეულ შემთხვევაში როგორ არის მოწყობილი ადამიანის ღმერთთან ურთიერთობა და თუ როგორ არის ასევე განსაზღვრული მისი ადგილი კოსმოსში, შესაბამისად - მისი დამოკიდებულება სამყაროსთან.

* * *

დასავლეთში გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ასევე ეკონომიკურ მეცნიერებაში შემოდის კულტურულ-თეორიული საკითხები [1]. „კულტუროლოგიური შემობრუნების“ პროცესში ძველი საკითხები ეკონომიკურ ქმედებათა მენტალურ თუ კოგნიტურ წინაპირობათა შესახებ ახლად გახდა განსჯის საგანი. „cognitive maps“ და „belief systems“ მართავენ ინდივიდთა და კოლექტიურ აქტიორთა აღქმად სტრუქტურებს და განსაზღვრავენ სინამდვილის მათეულ წარმოდგენებს. რეალურობის სუბიექტური ხატების („images“) მიხედვით ავითარებენ აქტიორები საკუთარ ქმედებათა ოპციონებს და გადაწყვეტილებებს იღებენ იმის თაობაზე, თუ აუცილებლობის შემთხვევაში რომელი მოქმედება არის რაციონალურად და ეფექტურად განსჯადი. მეცნიერ-ეკონომისტები, როგორებიც არიან ვიქტორ ვანბერგი, ჯიმს მ. ბუსანანი და ჰანსიორგ ზიგენტჰალერი, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოსა და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ხაზს უსვამდნენ მსგავსი ყოფითი თეორიების დიდ მნიშვნელობას ეკონომიკურ აქტიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის და მიანიშნებდნენ ე.წ. „rational choice modell“-ის საზღვარზე, აღნიშნული თეორიის დასაზღვრულობაზე. მათი აზრით, არც ერთი ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი, საკუთარ ინტერესებს გამოდევნებული, ეკონომიკური თვალსაზრისით საერთოდ არ მოქმედებს რაციონალურად, რადგან ინტერესებზე აქტიური გამოდევნება დამოკიდებულია გაგებაზე, რასაც ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად მოქმედი სუბიექტი ფლობს თავის ინტერესთა პოზიციიდან (ანუ განსხვავებულ ინტერესთა მიმდინარე კონსტელაციიდან) და შანსებიდან, საკუთარ ინტერესთა შესაძლო განხორციელებისთვის [2]. კულტურული თვალსაზრისით, სპეციფიკური წინასწარი გაგება განსაზღვრავს ეკონომიკურ აქტიორთა მოლოდინებს ე.ი. მათ წარმოდგენებს, რაც თავის კონკურენტებთან ურთიერთობისას ვლინდება და ასევე - ბაზრის პროცესის სურათს. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეკონომიკურ პროცესში ბევრად მეტი კულტურული წანამდგარია თამაშში, ვიდრე ეს პომო ოეცონომიკუს-ის კლასიკურ კონცეფციებშია მიღებული.

ახალი სენსიბელობა ეკონომიკური პროცესების კულტურული და ენობრივი საფუძვლებისთვის უწინარესად ე.წ. „ეგოლუციურ ეკონომიკაში“ ხელს უწყობს იმგვარი ხედვის ფორმირებას, რომ კონკურენციას ფინანსურ და სასაქონლო ბაზრებზე იღვათა, ჭეშმარიტების სურათთა, ადაპტაციის უნარიანობის, ფლექსიბელობის კომპეტენციათა და მომავლის ვიზიონების ელემენტარული კონკურენციის, შესაბამისად შიდა შერჩევის („internal selection“) წანამდგარები გააჩნია. სელექციონერები, რომლებიც ბაზრებზე ავითარებენ საკუთარ ეფექტებს, სჯიან ყველას, ვისაც არ ძალუძს ან არასაკმარისად შეუძლია თავისი სუბიექტური ჭეშმარიტების სურათი გამოცდილებაზე ორიენტირების მიხედვით გადაამოწმოს და აუცილებლობის შემთხვევაში შესწორებები შეიტანოს მასში. ამავე დროს, ისინი აჯილდოებენ იმ აქტიორებს, რომლებიც ზუსტ მოლოდინებს, ე.ი. კონკურენტების შესაძლო ქმედებებს უძებნიან ახსნას და ახდენენ მათ საკუთარ ქმედებათა ოპციონებისა და შანსების რევიზიონურ შეფასებას. რაც უფრო მეტად არის აქტიორი ცოდნისკენ მიდრეკილი, მით უფრო უკეთ შეძლებს ის კონკურენციის პირობებში თავისი მიზნების რეალიზებას. ცოდნის მიღების მზაობა და სწავლისუნარიანობა კი გადაჭრით არის დამოკიდებული მასზე, თუ როგორ არის კონსტრუირებული სუბიექტური ცოგნიტივე მასს, ყოფითი თეორიები და ჭეშმარიტების სურათი. რამდენად იძლევა კოგნიტური ნიმუშები გამოცდილებათა კონსტრუქციული მიღებისა და დამუშავების უფლებას, რომლებიც თავდაპირველ მიღებასთან „ჭეშმარიტების“

შესახებ მოდის კონფლიქტში? სთავაზობენ კი ისინი აქტიორებს შანსებს, განსაზღვრული მენტალური კონსტრუქციის უარსაყოფად, ან თავისი ყოფითი თეორიების ელემენტთა რევიზიონირებისთვის, რის გარეშეც თავად ისინი და მათი ცოგნიტივე მაკს მთლიანად უნდა დადგეს ეჭვქვეშ? შეიცავენ ისინი კორექტურის პოტენციალს? ითხოვენ თუ არა ისინი აქტიორებისგან მზადყოფნას კომუნიკაციის პროცესში სხვა აქტიორთა მსოფლმხედველობის შესამჩნევად და აუცილებლობის შემთხვევაში - ამ უცხო ჭეშმარიტების სურათთა ელემენტების თავის საკუთარი ჭეშმარიტების კონსტრუქციაში ინტეგრირებისთვის? ამარტივებენ ენობრივი ურთიერთგაგების პროცესებს, თუ ხელს უწყობენ მუდმივ გაუცხოებას სხვების მიმართ და უუნარობას - სხვათა რაიმე აზრს შესძინონ გამომსახველობა და მოუქებონ თვითახსნა?

კულტურული ასპექტებისკენ შემობრუნება ეკონომიკაში, რელიგიათა ეკონომიკის ეთიკოსებს ყოველ ჯერზე ასევე მათი ინჰერენტული რევიზიის და სწავლის შანსების მიხედვით რეკონსტრუირების ნებას რთავს. შეზღუდული ახსნადი სისტემის როგორც ყოვლისმომცველი, ზეკომპლექსური კონტინგენციის, ასევე cognitive maps აზრით იძლევა რელიგიური სამყაროს სურათების რეკონსტრუირების შესაძლებლობას, რაც ინდივიდთა ჭეშმარიტების აღქმებს წარმართავს და მონაწილეობას იღებს მათი შესაბამისი სამოქმედო შანსების რეპრეზენტაციის შესახებ ერთობლივ გადაწყვეტილებებში. რამდენადაც რელიგიას საქმე აქვს ხსნის ჭეშმარიტებასთან თუ სოციოლოგიის ენაზე, კონტინგენციის უკანასკნელად ვარგის გადაცემასთან, ის მათ სიმბოლურ ენებში განათავსებს თვითახსნისა და რეალურობის ინტერპრეტაციის საყოველთაო ნიმუშს, რაც ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ აქტიორებს მიღწეულ შემთხვევაში ახალ კრიზისულ გამოწვევებზე რეაგირების შესაძლებლობას აძლევს, რის გარეშეც მემკვიდრეობითი ავტორიტრეტი და ძველი რეპრეზენტაციები ერთობლივად უნდა იქნეს უარყოფილი. ამავე მოცულობაში, სადაც რელიგიური ახსნადი სისტემები რეპრეზენტირებენ სიმბოლურ იდენტობასა და საიმედო წესრიგის სტრუქტურებს, ისინი ინდივიდებსა თუ ჯგუფებს სთავაზობენ ამაღლებული სწავლისუნარიანობის შანსებს. რელიგია ასტაბილურებს წესებისადმი ნდობას და ელემენტარულ კრიზისულ სიტუაციებში, რომლებშიც აზროვნებისა და მოქმედების მემკვიდრეობითი წესები დისპოზიციაში იმყოფებიან, ხელს უწყობს ახალი ყოფითი თეორიების ფორმირებას. თუმცა, ამავე დროს რელიგიას ძალუძს თავის სიმბოლურ ენებში ასევე გაამყაროს სწავლის პათოლოგიები და ინდივიდებსა და ჯგუფებთან გამოცდილების ნიველირებას ადგილი ჰქონდეს არა მომატებული სწავლის მზაობით, არამედ მენტალური კონსტრუქციის გაამყარებით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს გამოცდილების რეზისტენტულობას. რელიგიური ახსნადი სისტემები ეკონომიკურად რელევანტურია სწორედ შემდეგ საკითხთან მიმართებით: რამდენად უწყობენ ხელს ან ბლოკავენ ისინი საჭირო სწავლის მზაობას ბაზრებზე წარმატების მისაღწევად.

ეურნალ „rchiv für Sozialwissenschaften und Sozialpolitik“-ის მიერ 1904 და 1905 წლებში გამოცემულ, ორი ნაწილისგან შემდგარ ესეში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“[3], მაქს ვებერმა მოახდინა მძაფრი დისკურსის პროვოცირება, რომელიც დღემდე არ კარგავს თავის აქტუალობას. კვლავაც კონტროვერსულად წარმართული დებატების საფუძველზე, რომლებშიც ისტორიკოსებისა და სოციოლოგების გვერდით მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილი კათოლიკე და პროტესტანტი სოციალ-ეთიკოსები, ასევე ეკონომისტების მიერ იქნა წამოყენებული საკითხი ეკონომიკური რაციონალიტეტის მენტალურ წინაპირობათა და კულტურული საფუძვლების შესახებ, რაც გლობალიზაციისადმი მიძღვნილ აქტუალურ დებატებში მნიშვნელოვანი მსჯელობის საგანს წარმოადგენდა, რადგან ნაჩვენები იქნა, რომ კაპიტალისტური მიზნის რაციონალიტეტს ძალუძს ღრმა გრავირება მოახდინოს კულტურულად ძლიერ განსხვავებულ ინსტიტუციათა წესრიგზე. როგორც სამუელ ჰანტინგტონის მიერ აღძრულ დებატებში „clash of civilizations“-ის შესახებ, ისე მიშელ ალბერტის ძლიერ შთაბეჭდავ დისკუსიაში „capitalisme contre capitalisme“ იკვეთება კაპიტალიზმის ურთიერთმეტოქე ძირითადი ტიპები, რომელთა შორის განსხვავებულობა განისაზღვრება კულტურული (შესაბამისად, რელიგიური) მენტალიტეტის კავშირით, ინსტიტუციების წესრიგითა (ინდუსტრიულ ურთიერთობათა ორგანიზაციის ჩარჩო-წესრიგი) და ბაზრით. ქვემოთ გთავაზობთ ინტერესთა ცენტრში მყოფ სამ ძირითად ტიპს:

- ა) ანგლო-ამერიკული კაპიტალიზმი, რომელიც მინიმალური პოლიტიკური ჩარჩო-სისტემითა და შესაბამისად, ეკონომიკური პროცესების ფართო დერეგულირებით ხასიათდება;
- ბ) „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ „წმინდა მოდელი“, შესაბამისად, სოციალურ-სახელმწიფოებრივი კორპორატიზმის კონცეპტი, რომელშიც მიზნებულია ლიბერალური კონკურენციული კაპიტალიზმისა და სოციალისტური გეგმიური ეკონომიკის მიღმა მყოფი მესამე გზა;
- გ) ე.წ. აზიური „crony capitalism“, რომელიც ძლიერ არის განსაზღვრული პატრიარქალურ ოჯახთა სტრუქტურებით, პირადი ურთიერთობით, კომპანიაში დასაქმებულთა სპეციფიკური მენტალური კავშირებითა და პოლიტიკური აპარატის თვითლევამიტაციის სტრატეგიებით, რომლის საფუძველსაც კონფუციანური ღირებულებები წარმოადგენს.

კაპიტალიზმის სამივე ეს ფორმა ხასიათდება ბაზრის პროცესებისა და სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუციების კონკურირებადი დონისძიებებით, რომლებიც თავისუფალ კონკურენციას ან ზღუდავს, ან აფართოებს, ისევე, როგორც ეკონომიკურ პროცესში მონაწილე აქტიორებს, რომლებსაც სძნეს ან აკარგინებს ფუნქციას. ბაზარსა და ინსტიტუციათა წესრიგს

შორის არსებული განსხვავებული დონისძიებები თავის მხრივ ძლიერ გავლენას განიცდის სამი კაპიტალისტური სამყაროს ყოველმხრივ განსხვავებული რელიგიური და სოციალურ-კულტურული ტრადიციებით.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მეცნიერ-ეკონომისტებისა და ისტორიული კულტუროლოგიის მეცნიერთა მიერ წარმოებულ კვლევებში წარმოდგენილ იქნა მრავალი მოდერნის რელიგიათა ისტორიების, მათი ადგილისა და როლის განმარტება თანამედროვე ეკონომიკურ მოდელებში და ახალი რელიგიური განვითარებების (როგორცაა კონვერსიების მატება, დიდი კონფესიების ეკლესიათა შინაგანი პლურალიზება, სექტების გაჩენა, მზარდი სინკრეტიზმი, ქარიზმატული ჯგუფების სწრაფი რეალიზება), ისევე როგორც ეკონომიკურ მეცნიერებათა ტერმინოლოგიაში „ფუნდამენტალისტური“ მოძრაობების წარამატებების ანალიზი, რის საფუძველზეც მათ სურდათ გრძელვადიან პერსპექტივაში „რელიგიური ბაზრების“ დიფერენცირების მთავარ მიმართულებათა, ძირითად ტენდენციებში გარკვევა.

საზოგადოებრივი მოდერნიზაციის წინააღმდეგობრივ, უმეტესად კრიზისულ პროცესებში რელიგია არ კარგავს თავის მნიშვნელობას; ორმოცდაათიანი წლების მოდერნიზაციის თეორეტიკოსების სეკულარიზაციის კონცეფტები აღმოჩნდა არასწორი. რაც უფრო ნათლად არის გაცნობიერებული ოქციდენტალის მიზნის რაციონალიტეტის ექსპანსიასთან დაკავშირებული დიდი წყება კულტურული და სოციალური პრობლემებისა და საცნობია მოდერნიზაციის პათოლოგიები, მით უფრო ასევე ბევრი ძველი რელიგიური ტრადიცია რვეიტალიზდება და ახალი, ხშირად თვითინტერპრეტაციისა და სამყაროს ახლისა და აზრის ფორმირების ახალ, ხშირად ფუნდამენტალისტურად აგრესიულ ფორმებს უწევს პროპაგანდას. რელიგია, თავისი მრავალფეროვნებით, პირველ რიგში ამერიკის მთელ კონტინენტზე, აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში გახდა შესამჩნევად მზარდი, მაგრამ, ამავე დროს, ის მრავალ ახალ ფორმაში დიფერენცირდა. მზარდი ფუნქციონალური დიფერენცირების თანამედროვე საზოგადოებრივი ლოგიკა შეესაბამება მრავალგვარი შინაგანი დიფერენცირების ძვრებს, შესაბამისად - რელიგიათა შინაგან პლურალიზებას. კლასიკური დასავლური თეზის საპირისპიროდ, რომ რელიგია მოდერნიზაციაში მზარდად პრივატიზებული ხდება, განსაკუთრებით ბევრ არადასავლურ საზოგადოებაში რელიგიებმა და რელიგიურმა ინსტიტუციებმა საჯარო რელევანტურობა მოიპოვა. მრავალი ფუნდამენტალისტური მოძრაობით დღეს რელიგიური ტრადიციები არის პოლიტიზებული და სახეზეა მორალური კრიტიკისთვის დასავლური კულტურული ფასეულობებითა და კაპიტალისტური მიზნის რაციონალიტეტით განპირობებული „გაძლიერებული გავლენის“ რეფორმულირება [4].

სოციალური დიფერენცირების პროცესებში და რელიგიათა შინაგანი პლურალიზებით ასევე იცვლება რელიგიური ეთიკის სისტემური ადგილი და ფუნქციათა ფორმები. ეს ხდება ზუსტად იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოებრივი დიფერენცირების პროცესში ერთმანეთს შორდებიან მისი შემადგენელი სუბსისტემები და მიჰყვებიან მხოლოდ მათ, სუბსისტემურისთვის სპეციფიკურ რაციონალიტეტს, რითაც არსებული რელიგიური ნორმები იძენს მხოლოდ ფორმალურ სახეს. ფუნქციონალური დიფერენცირების პირობებში სუბსისტემის ავტონომია თუ თავად ინსტიტუციის ფუნქციის ლოგიკა უზღუდებელყოფს ძლიერ მორალურ აქტიორს, რომელიც ფუნქციონალურ-ეფექტიანი მიზნის რაციონალიტეტის მიღმა, ზნეობრივი ნორმირების გზით ცდილობს სწორედ ეთიკური სტანდარტების აღიარებასა და მისი მასშტაბების საყოველთაო დამკვიდრებას. ამიტომ ყოველი რელიგიური ეთიკა მზარდ სოციალურ დიფერენცირებასთან მიმართებით წინააღმდეგობაში მოდის საკითხთან, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული ეთიკური ნორმატიულობა ავტონომიურად შედგენილი სუბსისტემის ფარგლებში. საერთოდ, რამდენად შეუძლია რელიგიურ ეთიკებს, რომ ჯეროვანი პასუხი გასცეს სოციალური დიფერენცირების ფენომენს? რამდენად შეუძლიათ მათ სუბსისტემური ავტონომიების აღიარება და, იდეალური, უკეთესი ადამიანისაკენ მიშველი მოწოდებისა და ზნეობრივ ვალდებულებათა მოთხოვნებისაგან განსხვავებით ეთიკური ნორმატიულობის იმგვარად მიღწევა, რომ ისინი თავსებადი იყოს ეკონომიკური პროცესების საკუთარ ლოგიკასთან? ეს საკითხები განსაკუთრებით რელევანტურია ბაზრის ინსტიტუციასთან მიმართებით, რომელიც მძაფრი ინტერესთა კონფლიქტებითა და ელემენტარული ანტაგონიზმებით ხასიათდება. „სადაც ბაზარი სრული ავტონომიურობით არის წარმოდგენილი, ის ცნობს მხოლოდ საქმის ავტორიტეტს, პიროვნების ავტორიტეტს, ძმობის და პატივისცემის ვალდებულებათა, საზოგადოებებში მიღებულ ადამიანურ ურთიერთობათა მიღმა“ [5]. ბაზარზე, სადაც საქონელგაცვლასა და კაპიტალის აკუმულაციას აქვს ადგილი, ბაზრის პროცესების საწინააღმდეგო ეთიკურ ვალდებულებათა გამოყენების ყოველი მცდელობა აღიქმება როგორც მხოლოდ დისფუნქციური, ბაზრის თავისუფლების შეზღუდვისა და მასზე უარყოფითი გავლენის მომხდენი კაპიტალისტური მიზნის რაციონალიტეტის პირობებში. ამიტომ, მასთან მიმართებით საჭიროა იმ მარტივი ჭეშმარიტების მიღება, რომ ბაზარი წარმოადგენს „პრაქტიკული ცხოვრების უპიროვნო ურთიერთობას, სადაც ადამიანებს ერთმანეთთან კავშირების დამყარება შეუძლიათ“ [Weber, 1985:382]. როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ეთიკური ნორმები ამგვარ მკაცრ პირობებში? შეუძლია თუ არა რელიგიური ეთიკა ფლობდეს ეკონომიკურად რელევანტურ მსახდრველ ძალას მხოლოდ მაშინ, როცა ის რელიგიის ფუნდამენტალისტური პოლიტიზებითა თუ მემკვიდრეობით მიღებული საზოგადოების საერთო-სოციალური ნორმირებისა და ინტეგრაციის პრეტენზიების

განხორციელებით, კაპიტალისტური მიზნის რაციონალიზაციის (შემდგომი) წინსვლის წინააღმდეგ იმუნიზირდება?

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიათმცოდნეებსა და ეკონომიკის/ბიზნესის ეთიკოსებს არ ძალუძთ ამ დავის გადაჭრა, მათ მაინც შეუძლიათ წამოაყენონ პირობითი კაცობრიობის მაღალდიფერენცირებულ რელიგიურ სამყაროსთან მიმართებით: კულტურულ-სამეცნიერო მიმართულებით ინფორმირებული რელიგიის კვლევის პერსპექტივაში, რელიგიისა და კულტურის კვლევა მეტყველებს იმ საგარაუდო ნიშნებზე, რომ ტექნიკური და ეკონომიკური კონვერგენციის პროცესები ასევე მუდამ იქნება კუბურული დიფერენცირების ახალი ძვრების თანამდგომი. ეკონომიკური მიზნის რაციონალიზაციის გაძლიერებული განხორციელება რელიგიურად მოტივირებული და არტიკულირებული საპირისპირო რეაქციებით, ყოველთვის წინააღმდეგობრივად უკავშირდება ადამიანის მოსალოდნელ ფართო ფუნქციონალიზაციას. ბაზრის რაციონალიზაციისა და მკაცრი კონკურენციის ექსპანსიის კვალდაკვალ, ბაზრის საზღვრები სულ უფრო და უფრო ცნობილი ხდება. ამასთან, გლობალიზაციის პროცესების მზარდი აჩქარება საცნაურს ხდის ყველა იმ რელიგიური საზოგადოების ძალას, რომლებიც მოითხოვენ როგორც ტრანსნაციონალური სტრუქტურების მშენებლობა-განვითარებასთან მიმართებით გარკვეულ რეგულირება-ნორმირებას, ისე ბაზრის დინამიკის შეზღუდვა-რეგლამენტირებას. ახალმა დებატებმა ე. წ. „ნეწ ინსტიტუციონალიზმ“-ის შესახებ ეკონომიკაში დამაჯერებლად გამოაჩინა ის, რომ მსგავსი წესები და წესრიგის სტრუქტურები თითქოსდა არა თავისთავად, წმინდად ბაზრის საკუთარი დინამიკიდან იწარმოება, არამედ ეკონომიკური პროცესების ევექტურობისთვის საჭიროებს ტრანსსაზღვრითი პოლიტიკური კონსენსუსის ფორმირებას, ბაზრებისა და ინსტიტუციების უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ითხოვს წესების დადგენას შესაძლო კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. McCloskey D. M., 1994. Knowledge and Persuasion in Economics. Cambridge., Siegenthaler H., 1993. Regelvertrauen, Prosperität und Krisen. Die Ungleichmässigkeit wirtschaftlicher und sozialer Entwicklung als Ergebnis individuellen Handelns und sozialen Lernens., Tübingen., Siegenthaler H., 1995. Wege zum Wohlstand: Das Beispiel der USA, der Schweiz und Brasiliens., Fischer, W. G. (Hrsg.): Lebensstandard und Wirtschaftssysteme, Frankfurt/Main.
2. Vanberg V., Buchanan J. M., 1989. Interests and theories in constitutional choice. ჟ.: Journal of Theoretical Politics, № 1, United States, Sage, გვ. 49-65
3. Weber, M., 1904, Die protestantische Ethik und der Geist des Kapitalismus(Das Problem).-ჟ.: “Archiv für Sozialwissenschaften und Sozialpolitik”., ტ.20, №1., გვ.1-54; Weber, M., 1905, Die protestantische Ethik und der Geist des Kapitalismus(Die Berufsethik des asketischen Protestantismus). ჟ.: “Archiv für Sozialwissenschaften und Sozialpolitik”., ტ. 21, №1., გვ.1-110
4. Kepel, G., 1994. Die Rache Gottes. Radikale Moslems, Christen und Juden auf dem Vormarsch., 3 Auflage, München.
5. Weber, M., 1985. Wirtschaft und Gesellschaft, Grundriss der verstehenden Soziologie, 5 Auflage, Tübingen, „Mohr“, გვ. 383

Vasil Khizanishvili

RELIGIOUS ETHICS: DETERMINANT OF ECONOMIC BEHAVIOURS

Summary

The Religions represent explainable systems with an incomparable high general demand, which concerns with a question of <<absolute>> verity. That's why every religious ethics are imminent in order to make pretensions to <<the whole human being>> and make a forming to the all spheres of human action, as well in economics.

In the West, by the end of the twentieth century also in economic science appears the cultural-theoretical themes, where point at issue is a question of economic actions about the mental and cognitive prerequisites. The <<cognitive maps>> and <<belief systems>> manage the perceptible structures of the individuals and collective actors and define their imaginations of the reality, which play an important role in the decision making process by economic actors. With such cultural assumptions conditioned <<rational choice model>> shows a certain restriction in economic processes.

Turning to the cultural aspects in economy gives economic ethicists of religions permission to do reconstruction of their inherent revision and learning chances every time.

The religious explainable systems offer to the individuals and groups the chances of elevated learning skills, as well as in their symbolic languages takes place the strengthening of learning pathologies. Thus, the religious explainable systems are economically relevant just to the following question: how they support or block the readiness of the necessary learning to achieve success in the markets ?

In the epoch of globalization an important point at issue represents a question about the mental prerequisites and cultural foundations of the economic rationality, because the rationality of the capitalist goal can be deeply engraved on

the order of culturally strongly different institutions. These are: a) The Anglo-American capitalism; b) << The pure model >> of <<the social market economy >> and c) So called Asian <<crony capitalism >>, and the difference between which is determined by the connectivity of cultural (accordingly, religious) mentality, the institution's order and the market.

In a process of social differentiation and with inner pluralization of religions are also changed systemic place and functions forms of religious ethics. From here arise the question: how can religious ethics give a proper answer to the phenomenon of social differentiation? And that's very important: how can they achieve a compatibility ethical normativity with the logic of the economic processes within their autonomously composite subsystem? This is particularly relevant to the market institution, which is characterized by the conflicts of intense interests and elemental antagonisms.

In order to determine the role of religion in the economy become important the existence of economically relevant determinant force of the religious ethics, connected with the formation of cross-border political consensus and the establishment of new rules for the effectiveness of economic processes and the peaceful decision of possible conflicts.

ნანოტექნოლოგიების ბანკითარების თავისებურებები
გლობალიზაციის პირობებში

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ტერმინის არსი, გაანალიზებულია მისი განვითარების პერიოდი XX საუკუნის ბოლოდან დღემდე, დასახელებულია ქვეყნები და რეგიონები, რომლებშიც ინტენსიური კვლევები ხორციელდება ნანოტექნოლოგიების მიმართულებით. გამოთქმულია ვარაუდი მისი პერსპექტიული განვითარების თაობაზე მთლიანად მსოფლიოში.

საკვანძო სიტყვები. ნანოტექნოლოგიები, ინოვაციური სექტორი, სამრეწველო რევოლუციები, მონოპოლიები, ნანოეკონომიკა, ეკონომიკური ინფრასტრუქტურა.

შესავალი

თანამედროვე გაღრმავებული გლობალიზაციის პირობებში ყოველი სახელმწიფოს წარმატებული განვითარება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელია მეცნიერებასა და ნანოტექნოლოგიებზე დაყრდნობის გარეშე. რამდენადაც, პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობა ისევე, როგორც საქართველო, ტექნოლოგიური თვალსაზრისით განვითარებულ ქვეყნებს ბევრად ჩამორჩება, მეტად მნიშვნელოვანია მათი მოწინავე გამოცდილების შესწავლა-გაანალიზება და ჩვენი სპეციფიკისა და არსებული პირობების შესაბამისად გამოყენება.

* * *

მეცნიერებაში “ნანო” რაიმე სიდიდის მემილიარდე ნაწილის აღმნიშვნელია და ბერძნულად ჯუჯას ნიშნავს, მაშასადამე, ნანომეტრი მეტრის მემილიარდე ნაწილს, ხოლო ნანოტექნოლოგია ნანომეტრის ზომის სისტემებისა და მოწყობილობების აგებას ცალკეული ატომებისა და მოლეკულებისაგან ატომური სიზუსტით წინასწარ განსაზღვრული თვისებების მიხედვით. ტერმინის –“ნანოტექნოლოგია”– გამოყენებაში პირველობა იაპონელ ნორიო ტანიგუჩის ეკუთვნის (1974). ნანოტექნოლოგიების ეპოქად კი, სავარაუდოდ, მეხუთე სამრეწველო რევოლუცია ჩაითვლება, რამდენადაც კაცობრიობის ცივილიზაციამ (განვითარებული ქვეყნები) უკვე გაიარა სამრეწველო რევოლუციების ოთხი ეტაპი: **“პირველი სამრეწველო რევოლუციის”** განვითარების ძირითად წლებად მიჩნეულია 1780-1840 წწ. ის დიდი ბრიტანეთიდან დაიწყო ორთქლის ამძრავ ძალად გამოყენებით, საფეიქრო მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის განვითარებით.

“მეორე სამრეწველო რევოლუციის” სტარტიც ევროპაში იქნა აღებული (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია), უპირატესად მეტალურგიისა და სარკინიგზო მიმოსვლის განვითარებით.

“მესამე სამრეწველო რევოლუციის” მშობელი აშშ იყო (1900-1950), შედეგი კი – ელექტროძრავები, ქიმიური პროდუქტები, ავტომობილები, ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი და სხვა.

“მეოთხე სამრეწველო რევოლუციის” (1950-დან დღემდე) წამყვანი ქვეყნებია – აშშ და იაპონია. ამ ეტაპზე შეიქმნა სინთეზური მასალები, კომპიუტერები და მრავალი სხვა ახალი პროდუქტი.

რაც შეეხება შემდგომ ეტაპს, ანუ **“მეხუთე სამრეწველო რევოლუციას”**, ჩვენ ახლა სწორედ ამ ეტაპზე ვიმყოფებით (იგულისხმება მოწინავე განვითარებული ქვეყნები), თუმცა ჯერაც არ არის საბოლოოდ დაზუსტებული რომელი ქვეყანაა ამ მხრივ წამყვანი. პრეტენდენტი კი ძალიან ბევრია (იაპონია, ჩინეთი, აშშ, ინდოეთი თუ სხვა?), არც ის არის ცნობილი რამდენ ხანს გაგრძელდება მისი ისტორია, სავარაუდოდ ის უფრო ხანგრძლივი იქნება თუ არა წინა პერიოდებთან შედარებით. დაზუსტებულად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს იქნება ნანოტექნოლოგიების შექმნისა და განვითარების, ნანონდუსტრიალიზაციის პერიოდი და აშენდება ყველაფერი, რისი აშენებაც შეიძლება მოლეკულების მანიპულირების გზით კომპიუტერების უშუალო კონტროლით. ატომურ-მოლეკულური ინჟინერიით შექმნილი ნანოსისტემების მაქსიმალური ზომები 100 ნანომეტრის, ანუ ადამიანის თმის სისქის მეათასედის ტოლია, ხოლო უმცირესი ერთეული ნანომეტრის კი – ატომთა ზომის. ასეთი მცირე ზომის მქონე მასალების თვისებები რადიკალურად განსხვავებულია მოცულობითი მასალების თვისებებისაგან, რაც ნანოტექნოლოგიებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ფასეულია. მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე დამახასიათებელი მოწყობილობების დიდი “ფართობი”, რომელიც დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვის საშუალებას იძლევა. ხოლო განსაკუთრებული ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, აღმოცენებული მისი ზომებიდან, შესაძლებელს ხდის ნანოტექნოლოგიების თვითორგანიზების პროცესის გამოყენებას სპეციალური სტრუქტურების შესაქმნელად.

ითვლება, რომ უახლოეს მომავალში ნანონაწილებით შექმნილი ტექნოლოგიები მთლიანად შეცვლის სამყაროს, კაცობრიობის ცხოვრების წესს. ნანოტექნოლოგიების დახმარებით შეიქმნება ბევრი ისეთი მოწყობილობა, რომელთა წარმატებით გამოყენება შესაძლებელი გახდება მედიცინაში, ელექტრონიკაში, ენერგეტიკაში და ჯერაც უცნობ სფეროებში, რამდენადაც ნანოტექნოლოგიებზე

მუშაობა სულ უფრო ძლიერდება მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში. განსაკუთრებით ინტენსიური კვლევები ხორციელდება ამერიკაში, იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში, რუსეთში და სხვაგან. ნანოტექნოლოგიები, რომელსაც ხშირად “მაღალ ტექნოლოგიებსაც” უწოდებენ, ემყარება მეცნიერულ და ექსპერიმენტულ საფუძვლებს, წარმოადგენს დარგთაშორის მეცნიერებას და აერთიანებს ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას, ელექტრონიკას, მედიცინას და სხვა დარგებს. ნანოტექნოლოგიურ კვლევებში მონაწილეობას იღებენ არანაკლებ ორი და უფრო მეტი მიმართულების ჯგუფები, მეცნიერები და არა მხოლოდ ერთი ქვეყნის, არამედ სულ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ამიტომ, სავარაუდოდ, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ მსოფლიო წარმოადგენდად შეიცვლება ნანოტექნოლოგიების წყალობით. მსოფლიო ეკონომიკა კი იმუშავებს სულ სხვა პრინციპის საფუძველზე და მასში ცენტრალურ ადგილს შემოქმედი ადამიანი დაიკავებს.

ნანოტექნოლოგიების შექმნის მიმართულებით მსოფლიოში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს ისეთ სფეროებში, როგორცაა ნანომასალების წარმოება, ნანობიოტექნოლოგიების ათვისება, ნანომოწყობილობების და ნანონისტრუმენტების შექმნა. რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ბაზისს ეკონომიკის ახალი ტექნოლოგიური წყობისათვის, ეს მუშაობა ათეული წლების წინ – 1981-1990 წლებში დაიწყო, როცა შეიქმნა ნანოტექნოლოგიების მწარმოებელი დაახლოებით 70 კომპანია. 1996 წელს ერთბაშად 30 კომპანია, 2000 წელს – 50.

2005 წლის გაზაფხულზე Nanoinvestor News-ის ბაზაზე დარეგისტრირდა 1000-მდე კომპანია. ნანოტექნოლოგიის სექტორის კომპანიათა ბრუნვა დიდი არ არის, მაგალითად გერმანიაში კომპანიათა ნახევარზე მეტის ბრუნვა 10 მლნ ამერიკულ დოლარზე ნაკლებია (2003), აშშ – 10-500 მლნ. გამონაკლისია იაპონია – კომპანიათა უმეტესობაში ბრუნვა 500 მლნ დოლარზე მეტია.

განვითარებული ქვეყნებიდან ნანოტექნოლოგიების სამეცნიერო დამუშავებაში აქტიურად მონაწილეობს აშშ, დასავლეთ ევროპა, იაპონია. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა, ძირითადად, ჯერ კიდევ რჩება არა ტექნოლოგიების შექმნეველ, არამედ იმპორტიორ ქვეყნებად (ჩინეთი, ტაივანი, სამხრეთ კორეა).

ნანოტექნოლოგიებით შექმნილი სხვადასხვა საქონელი დამკვიდრდა ბაზარზე და მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. თავიდან ეს იყო ნანობოჭკოთი არმირებული საბურავები, გოლფის ბურთები, მესხანძრეთა სპეცტანსაცმელი, აირის სენსორები, შუქლოდები, სუნის შთანთქმელი დანაფრები, შუშები, რომლებიც არ იჩერებს ჭუჭყს და მტვერს, თვითმფრინავის ფრთების გამამაგრებელი ნანობოჭკოვანი კომპოზიტები, ხისა და კედლების დამცავი საღებავები, რომლებიც წყალს არ იკარებს. ნანოტექნოლოგიების გამოყენებით ახლა დნმ-ის ანალიზი უფრო სწრაფად კეთდება და პროცესის ღირებულება იაფდება. სულ უფრო ფართოვდება ნანოტექნოლოგიების გამოყენების სფეროები, მაგალითად, ენერგეტიკაში ხორციელდება წყალბადის ენერგეტიკაზე გადასვლა, იქმნება სითბური ელემენტები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ნავთობისა და ბუნებრივი აირების გამოყენებას, რომელიც გამოიწვევს ბუნებრივი რესურსების გაყიდვაზე დამოკიდებული ზოგიერთი სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალის შესუსტებას, ნანოტექნოლოგიების გამოყენებით სავსებით შესაძლებელია, დედამიწამდე მოღწეული მზის ენერჯის ათვისების ამაღლება – 40%-მდე ახლანდელი 20%-ის ნაცვლად.

- Pride, William M., Hughes, Robert J., and Jack R. Kapoor. 2012. Business. South-Western, Cengage Learning. p.13-14
- Schwartz A. 1973. Interpreting the Effect of Distance on Migration, Journal of Political Economy. 81. September/October. p.1153–1167. p.1161.
- The Global Competitiveness Report 2014–2015. World Economic Forum, New York: Oxford University Press for World Economic Forum.

Nino Mikiashvili

SOME TRAITS OF THE LABOR MARKETS IN SMALL OPEN ECONOMIES IN THE GLOBALIZATION EPOCH

Summary

Free movement of labor resources in terms of globalization is a challenge of the XXI century for small developing countries. The age-sex distribution of active labor resources is changed artificially and forcedly. Therefore, the control of the migration processes is important to avoid mass and long labor flow.

Migration currents are more or less common for any country, with certain features in different countries. The economic growth and development need the supply of resources. The countries rich in human capital develop more swiftly and evenly. One of the main components of the success of economically developed countries of the world is the use of an efficient human resource management system in almost all fields of activity.

Today, the level of development of each country depends on the readiness of human capital to changes, as well as its skills to create and implement them. The leading role should be played by education and science. Nowadays, the fields of education and science must focus on the possibilities. The rational operation of the labor market is possible through permanent human capital investments by the state and private sectors, but with the state playing a leading role in the process. Evaluation of the labor productivity through a macro-economic approach is necessary as much as in this case, the national economy is considered as one single body. The modern system of economics incorporates many associated changes. For instance, an introduction of contemporary achievements in some or other branches of science or technology leads to the relevant changes in other sectors or sections.

Labor resource management and caring about the improvement of their productivity in low-income economies with the goal of the economic development must be one of the priorities. In addition, it must be noted that some of such countries (including Georgia) are not rich in human resources. This is why boosting the productivity and mastering and introducing the new technologies ensure the continuous growth of such countries. The rational management of human resources cannot be done locally, as the free movement of labor resources becomes an attribute of the modern world.

The movement of labor resources has many reasons, but most commonly, it is economic or military conflicts making the population leave their homeland in search of a better future. The work accents the economic aspects of migration and underlines the importance of the formation of a mobile, qualified and dynamic labor market and develop-

ment. Internal migration is putting the small economies face to face to special problems, contributing to an increased disproportion among the regions. Rational, regular and committed influence of the relevant state bodies on the labor market will make it possible to mitigate the negative outcomes, but the impact must be adequate and well-timed to support the improvement of the regional and global environment as well.

The population of the country always showed the aspiration to get a good education and the number of people with higher education is also great; however, there is incompliance between the knowledge and those skills of the labor resources, not in demand on the labor market. On the other hand, the incompliance is caused by the scarcity of the information about the abode-said market demands, i.e. there is a problem of information asymmetry. One of the reasons for such an asymmetry in the absence of regular research of the labor market.

The reduction in the unemployment level must be real and it must not be realized at the expense of external migration. This is a highly problematic issue for small open economies. It is the active labor mostly leaving the country using their efforts for the economic growth of some economically developed foreign countries, and consequently, the differentiation between the countries increases further resulting in certain humanitarian and other problems on the global scale.

რუსუდან პაპასკირი

ზოგი რამ ქვეყნის შიგა ინვესტიციური პოტენციალის შესახებ

ანოტაცია. სტატიაში ორი საკითხია დამუშავებული: 1. ინვესტიციური პოტენციალის არსი; 2. საინვესტიციო პოტენციალის განმსაზღვრელი პირობები საქართველოში და მათი გამოყენების პრობლემები.

პირველ საკითხში განმარტებულია ქვეყნის ინვესტიციური პოტენციალის არსი და მისი განსაზღვრის აუცილებლობა, დასაბუთებულია საზღვარგარეთიდან მხოლოდ საჭირო რესურსების მოზიდვით.

მეორე საკითხში ჩამოთვლილია შიდა ინვესტიციური პოტენციალის მდგენელები – ბუნებრივი რესურსები, კაპიტალი, შრომითი რესურსები, ფულის მასა და ნახევრებია მათი მოცულობები საქართველოში. ამავე საკითხში საუბარია შიდა ინვესტიციური პოტენციალის გაზრდის სიძნელებზე. ესენია უმუშევრობა, დანაზოგების სიმცირე, დაბალი ხელფასები და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციური პოტენციალი, ინვესტიციური პოტენციალის მდგენელები, ინვესტიციური კლიმატი

შესავალი

საქართველო ღარიბი ქვეყანაა. ის შემოსავალი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში შედის გადასახადების სახით, მთლიანად რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის დაიხარჯოს, არ იქნება საკმარისი. ასეთ დროს, ბიუჯეტის შემოსავლებიდან „ლომის წილი“ სჭირდება სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, საზოგადოებრივი საქონლის შექმნას და ა. შ. ამ ყოველივეს გამო საქართველოს ეკონომიკის აღმშენებლობას გარედან მოზიდული ინვესტიციები სჭირდება. მაგრამ გარედან ინვესტიციების მოზიდვამდე უპირველესად მისი საჭირო მოცულობა და ადგილობრივთან თანაფარდობა უნდა განსაზღვროს [შენგელია ნ. 2014, გვ. 81]. ეს საჭიროა იმისთვის, რომ მისმა სიჭარბემ ინვესტიციები არ გაყინოს, ხოლო სიმცირემ საქართველოს ეკონომიკის ზრდა არ შეანელოს.

გარედან მოსაზიდად აუცილებელი ინვესტიციების მოცულობის დასადგენად უპირველესად საჭიროა ქვეყნის შიდასაინვესტიციო პოტენციალის დადგენა.

* * *

1. საინვესტიციო პოტენციალის არსი

საინვესტიციო პოტენციალი – ეს არის ყველა სახის იმ საკუთარი რესურსების – ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური, სამეცნიერო-ტექნოლოგიური, შრომითი და ა. შ. – ერთობლიობა, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია საინვესტიციო საქმიანობის უზრუნველსაყოფად ქვეყანაში. მაშასადამე, საინვესტიციო პოტენციალი – ეს არის ქვეყნის უნარი, დაიკმაყოფილოს საინვესტიციო რესურსებზე საკუთარი მოთხოვნილებები. აქ იგულისხმება როგორც ბიუჯეტური დაფინანსების შესაძლებლობა, ისე იურიდიული პირების და ფიზიკური პირების შესაძლებლობები. ასეთი დაყოფა იძლევა იმის საფუძველს, რომ ჩვენ საინვესტიციო პოტენციალი წარმოვიდგინოთ [Катаханов В. 2005, გვ. 112]:

- სახელმწიფოს შიდა საინვესტიციო პოტენციალად;
- იურიდიული პირების საინვესტიციო პოტენციალად;
- ფიზიკური პირების (ცალკეული ადამიანების) საინვესტიციო პოტენციალად.

არსებობს საინვესტიციო პოტენციალის საბაზო საინვესტიციო და მიმდინარე საინვესტიციო პოტენციალად დაყოფაც. თითოეული ამ სახის პოტენციალის გამოთვლის მეთოდიკა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირია, რადგანაც ისინი მათ სხვადასხვა შინაარსით ტვირთავენ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ყველაზე გავრცელებულია ქვეყნის დონეზე საბაზრო საინვესტიციო პოტენციალის შემადგენლობაში ეროვნული სიმდიდრის ელემენტების – ფულადი რესურსი, შრომითი რესურსი, ძირითადი ფონდები, ბუნებრივი რესურსი – შეტანა. არადა, ამ ელემენტებიდან ზოგიერთი მათგანის (მაგალითად, შრომითი რესურსის) ფულად გამოსახლებაში გადაყვანა რთული, ხშირ შემთხვევაში კი შეუძლებელიცაა.

მიმდინარე საინვესტიციო პოტენციალი ქვეყნის დონეზე წარმოადგენს სიმდიდრის იმ ნაწილს, რომელიც იქმნება ეკონომიკის მიერ წლის განმავლობაში და შეიძლება პოტენციურად იქნეს გამოყენებული ძირითად კაპიტალში ინვესტირების მიზნით, მისგან მიმდინარე მოხმარების გამოკლებით.

ქვეყნის მიმდინარე საინვესტიციო პოტენციალის გამოყენების დონე ასახავს პოულობს ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვებისა და მთლიანი დანახოების ურთიერთდამოკიდებულებაში. ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება გულისხმობს ძირითად საშუალებებში ფულის დაბანდებას იქიდან შემოსავლების მიღების მიზნით. იგი შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

ახალი და არსებული ფონდების შექმნას;

არასაწარმოო მატერიალური აქტივების გაუმჯობესებაზე დანახარჯებს;

არასაწარმოო მატერიალურ აქტივებზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებაში ასევე აისახება არასაწარმოო, არაფინანსური აქტივების წმინდა შესყიდვა.

რაც შეეხება იურიდიული პირების საინვესტიციო პოტენციალს, იგი შედგება საფინანსო და არასაფინანსო ნაწილებისგან.

ფინანსურ საინვესტიციო პოტენციალში შედის: მოგება, საამორტიზაციო ანარიცხები და რეზერვები.

არასაფინანსო პოტენციალში კი ერთიანდება: არასაფინანსო ქონება (შენობა-ნაგებობები, პერსონალი, მიწა და სხვ.) და საინვესტიციო ქონება (პატენტები, ლიცენზიები, ნოუ-ჰაუ და სხვა).

2. საინვესტიციო პოტენციალის განმსაზღვრელი პირობები საქართველოში და მათი გამოყენების პრობლემები

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელია ბუნებრივი რესურსები, ძირითადი კაპიტალი, შრომითი და ფულადი რესურსები.

ბუნებრივი რესურსებით საქართველო მდიდარი ქვეყანაა. გაეროს გამოკვლევით საქართველოს ეროვნული სიმდიდრე 827 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც 150 მლრდ ბუნებრივი რესურსია [ყუფუნია გ. 2010, გვ. 291].

ბუნებრივია, რესურსების გვერდით შიდა ინვესტიციურ პოტენციალს ქმნის ძირითადი კაპიტალი, შრომითი რესურსები, კერძოდ, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა და ფულის მასა.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, 2016 წელს ქვეყნის ძირითადი კაპიტალი 28195,1 მლნ დოლარს შეადგენდა [მეწარმეობა საქართველოში, 2017., გვ. 94], შრომითი რესურსები (ვგულისხმობთ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას) კი – 1998,3 ათას კაცს [საქართველოს სტატისტიკური წელიწადი. 2017, გვ. 40]. მართალია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან 11,8% არ არის დასაქმებული, მაგრამ ისინიც იგულისხმებიან პოტენციალში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საინვესტიციო პოტენციალის ერთ-ერთი შემადგენელი ფულადი რესურსებია. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ცალკეული აგრეგატების მიხედვით ფულის მასა შეადგენს [საქართველოს სტატისტიკური წელიწადი. 2017, გვ. 228]:

ფართო ფული (M3) – 16045,2 მლნ ლარს.

ბანკების გარეთ არსებული ფული – 2383,2 მლნ ლარი.

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის გამოყენებაში მრავალი პრობლემაა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია არსებული ბუნებრივი რესურსების არაეფექტური გამოყენება. ყველასთვის ნათელია, რომ ამ რესურსს ან უცხოელები ყიდულობენ ანდა იჯარით იღებენ და მისგან მიღებული შემოსავალიც მათ ეკუთვნით (იჯარის გადასახდელი მინიმალურია). ასეა გაყიდვლ-გაიჯარებული ნავთობ-გაზის რესურსი, მინერალური წყლები (ბორჯომი, ნაბეღლავი), ქვანახშირი და სხვა მრავალი. ამით იმის თქმა გვიწევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უპირველესად არა უცხოელებს, არამედ ადგილობრივ ინვესტირებს უნდა შეუწყოს ხელი და პროტექციონისტური პოლიტიკა გაატაროს.

მეორე პრობლემაა დანახოვები. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით ირკვევა, რომ 2016 წელს საქართველოს მოსახლეობის დანახოვმა შეადგინა 1968 მლნ ლარი [საქართველოს სტატისტიკური წელიწადი. 2017, გვ. 49-52]. დანახოვი ის რესურსია, რომელიც ინვესტიციად გარდაიქმნება, მისი ზრდა ფაქტობრივად საინვესტიციო პოტენციალის ზრდაც არის. ამიტომ ხელისუფლებამ ამასაც უნდა შეუწყოს ხელი. ამის მიღწევა შეიძლება მოსახლეობის შემოსავლების ზრდით. ამ შემოსავლებში განსაკუთრებით გამოყოფთ ხელფასს. მისი

საშუალო თვიური სიდიდე საქართველოში მეტად დაბალია (2016 წ. – 938,3 ლარი) [მეწარმეობა საქართველოში, 2017, გვ. 119].

ხელფასზე გაწეული დანახარჯი კომპანიების მთლიან ხარჯებში კი აღემატება 67%-ს, მაშინ როდესაც უნგრეთში იგი – 62%-ია, გერმანიაში – 54%, ნორვეგიაში – 60%.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოიხატოს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ეკონომიკურ სუბიექტებს დაუდგინდებთ ხელფასის ხარჯების ქვედა ზღვარი (%-ად) და ეს უნდა გახდეს სავალდებულოდ შესასრულებელი. ასეთ შემთხვევაში დასაქმებულ მოსახლეობას დანაზოგი გაეზრდება და მათი ინვესტიციური აქტივობაც ამაღლდება.

მაშასადამე, საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის ფორმირება და მისი ეფექტიანი გამოყენება ბევრად და მოკიდებული სახელმწიფო მმართველობაზე. საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს ვეალება სწორად შეაფასოს ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი და ხელი შეუწყოს მის ამაღლებას. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უძრავი ქონების, კერძოდ, მიწის გასხვისებისგან დაცვა. როგორც ცნობილია, გარდაქმნის შემდეგ საქართველოს მიწების ნაწილი უცხოელებზე გასხვისდა, რამაც შეამცირა ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის ის შემადგენელი, რომელსაც ძირითადი ფონდები ეწოდება.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნის – გერმანია, იტალია, ინგლისი – გამოცდილების გაცნობაც საინვესტიციო პოტენციალის მობილიზებასა და გამოყენებისადმი. ისინი ამ მიზნით შემდეგ ღონისძიებებს ატარებენ [შენგელია ნ. 2014, გვ. 156]:

დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნის სტიმულირება;

ეკონომიკის რეალური სექტორიდან საინვესტიციო რესურსების გადინების შეზღუდვა;

ბანკებში განთავსებულ დანაზოგებზე საპროცენტო განაკვეთების გაზრდა;

ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა საინვესტიციო პროექტებისთვის;

განვითარების ბიუჯეტების და განვითარების ბანკების შექმნა, აგრეთვე სტაბილიზაციის ფონდის შექმნა.

დასკვნა

საქართველოს ინვესტიციების სააგენტო საჭიროა გაეცნოს საზღვარგარეთის ამ ქვეყნების გამოცდილებას აღნიშნულ სფეროში და დანერგოს იგი საქართველოშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეწარმეობა საქართველოში, 2017. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი. 2017. თბილისი.
3. ყუფუნია გ. 2010. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი.
4. შენგელია ნ. 2014. ინვესტიციების ოპტიმალური გამოყენებისა და თანაფარდობის თავისებურებანი, დადებითი და უარყოფითი შედეგები, ჟ. „ეკონომიკა“, №10-12.
5. Катанасов В. 2005. Инвестиционный потенциал экономики: механизм формирования и использовании. Москва.

Rusudan Papaskiri

SOME THINGS ABOUT THE COUNTRY'S INTERNAL INVESTMENT POTENTIAL

Summary

The article is dedicated to the own potential of the country. It is said in this article that Georgia is a poor country and foreign investments are mainly used for its economic growth. Despite the fact that there is an investment agency in the country, it is not estimated how much foreign investment needs Georgia.

In order to determine the size of the required investment, the potential of its investment must be determined. This is the unity of the resources that the country has to carry out investment activities. It includes financial resources, material-technical resources, scientific-technical, information, etc. These resources are actually elements of national wealth. It is true, that determining some of them and moving it to a monetary dimension is difficult, but it can be done approximately.

The country's investment potential is divided into:

1. State Investment Potential,
2. Investment Potential of Legal Entities,
3. Investment Potential for Individuals

The investment potential of the country is also the current potential. The latter differs from the first duration of the period. It implies the part of the wealth accumulated during the year, which does not apply to the current consumption.

The article reviews information about the internal investment potential of Georgia: National Wealth – \$ 827 billion (Natural Resources \$ 150 Billion); fixed capital - 28195.1 billion dollars Economically active population of 1998.3 thousand people, the volume of large amount – 16045,2 million lari; The volume of money outside the banks is 2383.2 million lari.

საბაღასახადო ტვირთის ოპტიმიზაცია დაყოფნებისა და მასშტაბის ეფექტების გათვალისწინებით

ანოტაცია. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ლაფერის კანონის ამსახველი ტრადიციული მრუდი და შესაბამისი კვადრატული პარაბოლას ფუნქცია სრულად ვერ ასახავს რეალურ ფისკალურ პროცესებს. იმის გამო, რომ გადასახადების განაკვეთების ცვლილებას ახასიათებს დაყოფნების ეფექტები, საწყის მომენტში ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავალი გაიზრდება არა მყისიერად, არამედ თანდათანობით, ხოლო 100%-თან მიახლოებისას იგი ასევე შენელებული ტემპით დაიკლებს. ეს დამოკიდებულება განსხვავებული ფუნქციებით აღიწერება მასშტაბის ეფექტის შესაბამისად.


საანალიზო დამოკიდებულების ამსახველი ფუნქცია და მრუდი არსებითად იცვლება გადასახადების ნაწილობრივი ოპტიმიზაციის პირობებში, როდესაც მას აქვს როგორც მაქსიმუმის, ისე მინიმუმის წერტილები. სწორედ ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობით აიხსნება ის გარემოება, რომ ლაფერის კანონის საფუძველზე განხორციელებული საგადასახადო რეფორმები ზოგჯერ სასურველ შედეგს ვერ იძლევა.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო ტვირთი, ოპტიმიზაცია, მასშტაბის ეფექტი.

1. ლაფერის კანონის კრიტიკული ანალიზი

ეკონომისტთა განსაკუთრებული ინტერესის მიუხედავად, პრობლემა იმის შესახებ, თუ კონკრეტულად როგორი უნდა იყოს ქვეყანაში ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი (სინონიმები: გადასახადების საშუალო დონე – პოზიტიური, გადასახადების საშუალო განაკვეთი – ნორმატიული თვალსაზრისით) როგორც მთლიანად ეკონომიკის მასშტაბით, ისე ცალკეული გადასახადებისათვის, თეორიულად და გამოყენებითი მიმართულებით ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. თუ მოხერხდება ქართული ეკონომიკის რეალობის გათვალისწინებით ასეთი ფუნდამენტური კვლევის განხორციელება და შესაბამისი ყოველმხრივ დასაბუთებული მეთოდის დამუშავება, ბევრი საგადასახადო-საბიუჯეტო გამოწვევა ადვილად გადაიჭრება.

გრაფიკი 1. ლაფერული დამოკიდებულება საბაღასახადო ტვირთსა და ბიუჯეტის შემსაბამის შემოსავლებს შორის



პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ზოგადი თეორიული ბაზა ეკონომიკის მეცნიერებაში უკვე არსებობს. ამერიკელმა ეკონომისტმა ლაფერმა გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაადგინა დამოკიდებულება გადასახადების საშუალო დონესა და ქვეყნის შესაბამის საბიუჯეტო შემოსავლებს შორის, რომელსაც პირველი მიახლოებითი კვადრატული პარაბოლას ფუნქციით და შესაბამისი ამოხსნეილი ე. წ. „ლაფერის მრუდით“ გამოსახავენ (იხ. გრაფ. 1). თუმცა ქვემოთ ვნახავთ, რომ მისი ფორმა არსებით დაზუსტებას საჭიროებს.

გრაფიკიდან ჩანს, რომ გადასახადების ნულლოვანი დონისათვის ასევე ნულის ტოლია ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებიც. მის მატებასთან დაკავშირებით შემოსავლები მყისიერად იზრდება, g^* -თვის აღწევს მაქსიმუმს, შემდეგ იკლებს და 100 პროცენტისათვის კვლავ მკვეთრად

ეცემა ნულამდე. ამ პირობებში არსებობს გადასახადების ისეთი ოპტიმალური საშუალო დონე, ე. წ. „ლაფერის წერტილი“, რომლისთვისაც შესაბამისი საბიუჯეტო შემოსავლები – „ლაფერის პიკი“ მაქსიმალურია. ეკონომიკურ ლიტერატურაში საანალიზო დამოკიდებულება ცნობილია ასევე „ლაფერის ეფექტისა“ და „ლაფერის კანონის“ სახელწოდებით. თუმცა, ტერმინოლოგიური ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნეს – „ლაფერის კანონი“, რადგან იგი ეკონომიკის კანონისადმი წაყენებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

საქართველოში ლაფერის კანონი ფუნდამენტურად აქვთ გამოკვლეული ი. ანანიაშვილსა და ვლ. პაპავას მონოგრაფიასა [ი. ანანიაშვილი, ვლ. პაპავა, 2009] და სამეცნიერო სტატიებში [უ. „ეკონომისტი“, 2009, № 1], [უ. „ეკონომისტი“, 2009, № 3], [უ. „ეკონომისტი“, 2010, № 5], [უ. „ეკონომისტი“, 2011, № 1], [უ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2016, № 4]. ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევები ეკუთვნით აგრეთვე გ. ლოლაძეს [უ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2002, № 9], ა. გაბელაიას [უ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2012, № 5], თ. კბილაძეს [უ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2014, № 1] და სხვებს.

ი. ანანიაშვილი და ვლ. პაპავა ლაფერულ დამოკიდებულებას ხსნიან დადებითი და უარყოფითი ეფექტებით, რომლებიც გადასახადების საშუალო დონის $0 - g^*$ და $g^* - 100$

შუალედებში განსხვავებული თანაფარდობით მოქმედებენ საბიუჯეტო შემოსავლებზე და შესაბამისი მრუდის ამოხსნეილ ფორმას განაპირობებენ [ი. ანანიაშვილი, ვლ. პაპავა, 2009, გვ. 38].

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ლაფერული დამოკიდებულების რეალურობა მწვავე დისკუსიის საგანია სწავლულ ეკონომისტებს შორის. ავტორთა ერთი ნაწილი მას ემპირიული თვალსაზრისით დაუდასტურებელ ჰიპოთეზად მიიჩნევს და, ამდენად, არსებობასაც კი უარყოფს, თუმცა ვერ მოაქვთ ვერც ერთი წონადი არგუმენტი, რომელიც გამორიცხავდა საანალიზო დამოკიდებულების ამოხსნეილი მრუდით გამოსახვის შესაძლებლობას. ეკონომისტთა მეორე ნაწილი ცდილობს, სრულყოფს იგი ობიექტურ ეკონომიკურ მოცემულობებთან შესატყვისობის თვალსაზრისით. ამ კანონის ჭეშმარიტებაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ნებისმიერი ეკონომიკური მოდელი თუ თეორია მხოლოდ ყველაზე არსებით კავშირებს, კანონზომიერებებს და ფაქტორებს ასახავს და, ამდენად, შესაძლოა ემპირიული დაკვირვების შედეგებს სრულად არ შეესაბამებოდეს. თეორიისა და რეალობის უფრო მაღალი დონის შესატყვისობა შემდგომი გადრმავებული კვლევით მიიღწევა.

ლაფერის კანონი მისმა ავტორმა მაკროეკონომიკის მიმართ დაადგინა, თუმცა ავტორთა ნაწილმა იგი ბიზნესსუბიექტებზეც გაავრცელა, რაც სავსებით ლოგიკურია, თუ გაითვალისწინებთ, რომ მისი გამომწვევი ეფექტები პირველ რიგში მიკროეკონომიკის დონეზე გამოვლინდება და შემდეგ ამ ფორმით მთელ მაკროეკონომიკაზე ვრცელდება. ეს კანონი ემყარება განსაზღვრულ ჰიპოთეზურ დაშვებებს, რაც სათანადო დაზუსტების გარეშე მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს ზღუდავს. ჩვენი აზრით ესაა:

პირველი. იგი წარმოადგენს თეორიულ-ლოგიკურ აზროვნების პროდუქტს, რომლის საფუძველიანი ემპირიული დადასტურება მოცემული ქვეყნის მასშტაბით უადრესად რთულია, რადგან არ არსებობს სრული ინფორმაცია გადასახადების საშუალო დონის ცვლილების მთელ 0-100% შუალედში. მიუხედავად ამისა, ცალკეული ავტორები, მათ შორის ჩვენშიც [ა. გაბელაია, უ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2012, № 5, გვ. 77], [თ. კბილაძე, უ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2014, № 1, გვ. 191], ცდილობენ არსებული უადრესად მწირი ინფორმაციის საფუძველზე ადადგინონ ლაფერული დამოკიდებულების მთლიანი სურათი და განსაზღვრონ ლაფერის წერტილისა და პიკის კონკრეტული პარამეტრები. ბუნებრივია, ასეთი გზით მიღებული შედეგები ხშირად წინააღმდეგობრივი და არაადეკვატური.

ფაქტობრივ მონაცემთა საფუძველზე პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ რეალურ გზად გვესახება მკვეთრად განსხვავებული საგადასახადო ტვირთის მქონე, მაგრამ განვითარების ერთი და იმავე დონეზე მყოფი ქვეყნების (ერთ დასაქმებულზე მოსული მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით), შესაბამის მონაცემთა ანალიზი, სადაც ლაფერის კანონის ამსახველ ფუნქციაში შედეგობრივი ცვლადი იქნება არა ბიუჯეტის, არამედ ქვეყნის მთლიანი კაპიტალის ერთეულზე მოსული საგადასახადო შემოსავლები. ასეთი შეფარდებითი მაჩვენებლის გამოყენების საჭიროება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საანალიზოდ აღებული ქვეყნები შესაძლოა განვითარების ერთიდაიგივე დონეზე კი იმყოფებოდნენ, მაგრამ მათი შემოსავლები მნიშვნელოვნად განსხვავებულდეს არა საგადასახადო ტვირთის, არამედ უპირატესად ეკონომიკის მასშტაბების გამო;

მეორე. ლაფერის მიერ აღწერილი პროცესი თავისი ბუნებით სტატიკურია. ამდენად, იგი მხოლოდ გადასახადების დონის ცვლილების მოკლევადიან ეფექტს ასახავს და მხედველობაში არ მიიღება პერსპექტიული შედეგები. კერძოდ, თუ ქვეყნის საგადასახადო სისტემა იმყოფება ლაფერის მრუდის მარცხენა მხარეს, ამ შემთხვევაში გადასახადის განაკვეთების შემცირებით ბიუჯეტის მიმდინარე შემოსავალი კი შემცირდება, მაგრამ ბიზნესს მეტი საინვესტიციო სახსრები დარჩება, რაც მომავალში ბიუჯეტის შემოსავალს გაზრდის. შესაბამისად, ბიუჯეტის მიმდინარე დანაკლისი განიხილება, როგორც სპეციფიკური **საგადასახადო ინვესტიცია**;

მესამე. ლაფერის კანონი უშვებს გადასახადების საშუალო ნულოვანი დონის შემდეგ შესაბამისი შემოსავლის მყისიერი ზრდის, ხოლო პიკის მომდევნო მონაკვეთში ასევე მისი მკვეთრი დაცემის შესაძლებლობას, რაც არარეალურად მიგვაჩნია შემდეგ გარემოებათა გამო:

– ეკონომიკისთვის, როგორც დიდი რთული სისტემისთვის, მათ შორის საგადასახადო ქვესისტემისთვის, ინერციულობის თვისებაა დამახასიათებელი. ეს გარემოება საწყისი მომენტიდან ეკონომიკის მყისიერი ამოძრავების შესაძლებლობას ზღუდავს. ამიტომ ამ ფაქტორის – **„ინერციული**

დაყოვნების ეფექტის” ზემოქმედებით, პირველი მონაკვეთის დასაწყისში საგადასახადო შემოსავლების ზრდა თანდათან აჩქარებული ტემპით მოხდება;

– დაყოვნების ეფექტს განაპირობებს ასევე პირდაპირი და ირიბი გადასახადების წინააღმდეგობრივი ბუნება – **„ურთიერთშემაფერხებელი დაყოვნების ეფექტი”**, რაც პროცესის დასაწყისში ანელებს მათ ერთობლივ ზრდას;

– პირველი მონაკვეთის სასტარტო წერტილიდან საგადასახადო შემოსავლების თანდათან აჩქარებული ტემპით ზრდას, ხოლო მეორე მონაკვეთის ბოლოს ამ შემოსავლების თანდათან შენელებული ტემპით შემცირებას იწვევს ის ვითარებაც, რომ გადასახადების დონის ცვლილება ბიზნესის საქმიანობაზე მყისიერად არ აისახება. შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, დაგეგმვას, განხორციელებას და სათანადო შედეგის მიღებას განსაზღვრული დრო სჭირდება. ამრიგად, ორივე აღნიშნულ გარემოებას, პროცესის დასაწყისსა და დასასრულს, **„ორგანიზაციული დაყოვნების ეფექტიც”** განაპირობებს.


განხილული ეფექტებიდან პროცესის დასაწყისში სამივე ერთობლივად მოქმედებს, ხოლო პროცესის ბოლოს მასზე მხოლოდ ორგანიზაციული დაყოვნების ეფექტი ახდენს გავლენას. ამ სიტუაციაში ლაფერის მრუდის ტრადიციული ფორმა მნიშვნელოვნად შეიცვლება. ამრიგად:

დაყოვნების ეფექტების ზემოქმედებით, ნულოვანი საგადასახადო ტვირთის შემდეგ, შესაბამისი საბიუჯეტო შემოსავალი გაიზრდება არა მყისიერად, როგორც ეს ლაფერის ტრადიციული მრუდით იგულისხმება, არამედ თანდათან აჩქარებული ტემპით, ხოლო ლაფერის წერტილის მომდევნო მონაკვეთში შემოსავლები დაიკლებს არა მკვეთრად, არამედ შენელებული ტემპით და სულ უფრო მიუახლოვდება ნულოვან ნიშნულს;

მეოთხე. კვადრატული პარაბოლას ფუნქციის გამოყენების პირობებში გადასახადების ოპტიმალური დონე მკაცრად განსაზღვრული და 50%-ს შეადგენს. შესაბამისად, ამ ფუნქციის ძირითადი თავისებურება მოცემული წერტილის მიმართ შესატყვისი გრაფიკის მკაცრი სიმეტრიულობაა, რაც გამორიცხავს ისეთი არასიმეტრიული ვარიაციების არსებობას, რომლებისთვისაც ლაფერის წერტილი 50%-ზე ნაკლები ან მეტი იქნება. შესაბამისად, როგორც თეორიული კვლევის, ისე გამოთვლების კონკრეტული შედეგები რეალობას მოწმდება. განსხვავებული შედეგი მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ საგადასახადო ტვირთის არსებობას 0-100%-ს შუალედის გარეთ, რაც შეუძლებელია.

ობიექტურ ეკონომიკურ პირობებში ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი – ლაფერის წერტილი შესაძლოა ნაკლები იყოს ან აღემატებოდეს 50%-ს. კერძოდ, დადგენილია, რომ დაბალგანვითარებულ ეკონომიკაში ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი 50%-ის მარცხნივ მდებარეობს, განვითარებულ ეკონომიკაში – მარჯვნივ, ხოლო 50%-იანი საგადასახადო ტვირთი ტიპურია მხოლოდ საშუალოდ განვითარებული ეკონომიკისათვის. ამასთან, თუ პროცესს განვიხილავთ სწრაფად განვითარებად ეროვნულ მეურნეობაში, ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით ლაფერის პიკი არა მარტო მარჯვნივ გადაადგილდება, არამედ ზემოთაც აიწევს. ამ გარემოებას განაპირობებს **მასშტაბის ეფექტი**, რაც გამოვლინდება როგორც წარმოების მოცულობისა და შემოსავლების აბსოლუტურ გადიდებაში, ისე ეკონომიკის ზოგადი ეფექტიანობის, მათ შორის, მომგებიანობის ამაღლებაში. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ **ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი დინამიკურია და ეკონომიკის მასშტაბების გაფართოების კვალობაზე ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, მარჯვნივ გადაადგილდება საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონეც.** შესაბამისად, დაყოვნებისა და მასშტაბის ეფექტების გათვალისწინებით, სამ ვარიანტად მოდიფიცირდება ლაფერის ტრადიციული მრუდიც (იხ. გრაფიკი 2).

ბრაზიკი 2. დამოკიდებულება საბადასახადო ტვირთსა და ბიუჯეტის შესაბამის შემოსავალს შორის განვითარების სხვადასხვა ფონზე მყოფი ეკონომიკისათვის



იგივე კანონზომიერება განსაზღვრავს ექსტრემუმის წერტილის კოორდინატებსაც სხვადასხვა ზომის ბიზნესში, სადაც მასშტაბის ზრდა გადახდისუნარიანობასაც აღიღებს. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მსხვილი და მაღალტექნოლოგიურია ბიზნესი, მით მეტია მისი ფინანსური შესაძლებლობები და ამდენად, უფრო დიდი საგადასახადო ტვირთის აწვევა შეუძლია. საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით განსაკუთრებით აქტუალურია საგადასახადო ტვირთის ცვლილების პირველი ნახევარი, სადაც მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლები მიღება;

მეხუთე, ლაფერის კანონის შესაბამისად გადასახადების თითოეული ფორმა და სახეობა ერთი და იმავე ზომითა და მიმართულებით რეაგირებს სხვა გადასახადების განაკვეთების ცვლილებაზე. ასეთი დაშვებაც არარეალურია, რადგან გადასახადების ცალკეული ფორმები და სახეები წინააღმდეგობრივია – ერთის გადიდება შესაძლოა სხვათა შემცირება განაპირობოს და პირიქით, რაც ლაფერის ტრადიციული მრუდის ფორმის გარდაუვალ შეცვლას გამოიწვევს;

მექექსე, ლაფერულ დამოკიდებულებაზე გავლენას ახდენს მრავალი ისეთი ფაქტორი, რომელთა ერთობლივ ზემოქმედებას შეუძლია შესაბამისი მრუდის ფორმა მეკეთრად შეცვალოს. ასეთია ბიზნესგარემოს გაუარესება, პოლიტიკური არასტაბილურობა, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმართაობა, სახელმწიფოს უხეში ჩარევა ეკონომიკაში, კრიზისი, კორუფცია, ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილის ცვლილება და სხვა. ამიტომ იგი, ისევე, როგორც ეკონომიკის კანონების უმრავლესობა, მხოლოდ სხვა თანაბარ პირობებში გამოვლინდება.

აღნიშნული შეუსაბამობის გარდა, ცალკეული ავტორები ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ გარემოებებზე: **პირველი,** ლაფერის კანონში აისახება მხოლოდ ბიუჯეტის ფაქტობრივი შემოსავლები და ყურადღების გარეშეა დატოვებული პოტენციური შემოსავლები, რომლის მიღება შესაძლებელია სრულყოფილი ადმინისტრირებით; **მეორე,** ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები იზრდება ინფლაციის გავლენით გადასახადების საშუალო დონის გადიდების გარეშე; **მესამე,** არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, რომ გადასახადების განაკვეთების ერთი ნაწილი პროპორციულია, მეორე – პროგრესული ან რეგრესული, ხოლო მესამე – ფიქსირებული [ი. ანანიაშვილი, ვლ. პაპავა, 2009, გვ. 45].


განხილული წინააღმდეგობები ლაფერის კანონის არსებობას კი არ გამორიცხავს, არამედ მათი გათვალისწინება მისი უფრო სრულყოფილად გამოსახვის შესაძლებლობას ქმნის რეალურ ეკონომიკურ პირობებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლაფერის ტრადიციული მრუდის მოდიფიცირება განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნებისათვის დაყოვნების და მასშტაბის ეფექტების გათვალისწინებით.

მე-2 გრაფიკზე წარმოდგენილი მრუდების შესაბამისი ფუნქციები მათემატიკურ ანალიზში არ განიხილება. ამ მიზნით დავეყრდენით გერმანელი მეკლავრის გ. ხაუშტაინის მონოგრაფიას, სადაც ისინი პროგნოზირების საჭიროებისათვის აპრიორი, სათანადო მათემატიკური ანალიზის გარეშეა გამოყენებული [გ. ხაუშტაინი, 1972, გვ. 178, 367]. ამიტომ, პრობლემის მიზნებიდან გამომდინარე, ქვემოთ შემოგთავაზებთ მათ გამოკვლევას ექსტრემუმსა და ზღვრებზე.

2. ლაფერის მრუდის მოდიფიკაცია განვითარებადი ეკონომიკისათვის

როგორც ღავერწმუნდით, ლაფერის მოდიფიცირებული მრუდების ფორმა და პიკის წერტილის კოორდინატები ეკონომიკის განვითარების დონესა და მასშტაბზეა დამოკიდებული. მე-3 გრაფიკზე წარმოდგენილი დაყოვნების ეფექტების მქონე ლაფერის მრუდის იმ მოდიფიკაციას, რომელიც განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს საგადასახადო სისტემის ადეკვატურია, მარცხენა მხარის ასიმეტრიული ამოხსნილი ფუნქცია შეესაბამება. მისი თავისებურებებია: პირველი, საბიუჯეტო შემოსავლის პიკის მდებარეობა საგადასახადო ტვირთის ცვლილების პირველ ნახევარში; მეორე, გაითვალისწინება დაყოვნების ეფექტები როგორც პროცესის დასაწყისში, ისე დასასრულს. საანალიზო პროცესს შემდეგი ფუნქცია შეესატყვისება:

გრაფიკი 3. დამოკიდებულება საგადასახადოს საშუალო დონესა და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავალს შორის განვითარებად ეკონომიკაში



$$G(g) = a \cdot g \cdot e^{-b \cdot g} = \frac{a \cdot g}{e^{b \cdot g}} \quad (1)$$

სადაც $G(g)$ არის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავალი; g – საგადასახადო ტვირთი – დამოუკიდებელი ცვლადი; a, b – მუდმივი კოეფიციენტები; e – ნატურალური ლოგარითმის ფუძე ე. წ. ნეპერის რიცხვი ($e \approx 2.718$).

ფუნქციის გამოკვლევა ექსტრემუმზე. საანალიზო ფუნქციის ძირითადი თავისებურება მასზე არგუმენტის ცვლილების წინააღმდეგობრივი გავლენაა – ერთი მხრივ ზრდის, ხოლო მეორე მხრივ, – შემცირების მიმართულებით. ამ გარემოებიდან და შესაბამისი გრაფიკის ფორმიდან გამომდინარე, არსებობს მისი კრიტიკული დონე, რომლისთვისაც ფუნქცია მაქსიმუმს აღწევს. არგუმენტის ასეთი მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით გამოვითვალოთ ფუნქციის პირველი რიგის წარმოებული და მიღებული შედეგი გავუტოლოთ ნულს:

$$\begin{aligned} \frac{dG(g)}{dg} &= [a \cdot g \cdot e^{-b \cdot g}]' = a \cdot g \cdot (e^{-b \cdot g})' + (a \cdot g)' \cdot e^{-b \cdot g} = a \cdot g \cdot e^{-b \cdot g} \cdot (-b) + a \cdot e^{-b \cdot g} = \\ &= a \cdot e^{-b \cdot g} - a \cdot b \cdot g \cdot e^{-b \cdot g} = a \cdot e^{-b \cdot g} (1 - b \cdot g) = \frac{a(1 - b \cdot g)}{e^{b \cdot g}} = 0 \end{aligned}$$

ამრიგად, (1) ფუნქციის პირველი რიგის წარმოებული შეადგენს:

$$\frac{dG(g)}{dg} = \frac{a(1 - b \cdot g)}{e^{b \cdot g}} = 0 \quad (2)$$

(2) გამოსახულებიდან გამომდინარეობს, რომ:

$$1 - b \cdot g = 0$$

საიდანაც, ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი განისაზღვრება ფორმულით:

$$g^* = \frac{1}{b} \quad (3)$$

არგუმენტის ამ მნიშვნელობისათვის საანალიზო ფუნქცია აღწევს მაქსიმუმს, რადგან მისი მეორე რიგის წარმოებული – G'' უარყოფითია:

$$G'' = \left[\frac{a \cdot (1 - b \cdot g)}{e^{b \cdot g}} \right]' = \frac{-a \cdot b \cdot (2 + b \cdot g)}{e^{b \cdot g}} < 0$$

ოპტიმალური საგადასახადო ტვირთისათვის ბიუჯეტის შესაბამისი შემოსავლის მაქსიმალური მნიშვნელობა იქნება:

$$G_{max} = a \cdot g^* \cdot e^{-b \cdot g^*} = a \cdot \frac{1}{b} \cdot e^{-1} = \frac{a}{b \cdot e} \quad (4)$$

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკის შესატყვისი საგადასახადო შემოსავლის ამსახველი ფუნქციის შესწავლა გვიჩვენებს, რომ თუ სათანადო სტატისტიკური გამოთვლებით, კერძოდ, უმცირეს კვადრატთა მეთოდით დავადგენთ a და b კოეფიციენტების მნიშვნელობებს, მაშინ მისი ოპტიმალური პარამეტრების გამოთვლა რაიმე სირთულეს არ წარმოადგენს.

ფუნქციის გამოკვლევა ზღვრებზე. მიღებული თეორიული დასკვნების შესატყვისი მე-3 გრაფიკის ფორმა და (1) ფუნქცია მართლზომიერი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც:

$$\lim_{g \rightarrow 0} G(g) = 0 \quad \text{და} \quad \lim_{g \rightarrow 100} G(g) = 0$$

მართლაც:

$$\lim_{g \rightarrow 0} G(g) = \frac{a \cdot g}{e^{b \cdot g}} = \frac{a \cdot 0}{e^{b \cdot 0}} = \frac{0}{1} = 0;$$

მეორე ზღვარში იგულისხმება რომ, როდესაც $g = 100$, მაშინ $G(g)$ საკმარისად მცირე უნდა იყოს და სტატისტიკური ცდომილების დასაშვებ საზღვრებს არ აღემატებოდეს:

$$\lim_{g \rightarrow 100} G(g) = \frac{a \cdot g}{e^{b \cdot g}} = \frac{a \cdot 100}{e^{b \cdot 100}} \approx 0$$


ბოლო ზღვარი სამართლიანია, რადგან რაიმე რიცხვი, მათ შორის ნეპერის რიცხვი, ხარისხად ასის ნამრავლი რაიმე სასრულ b რიცხვზე – $e^{b \cdot 100}$, განუზომლად აღემატება სასრული რიცხვის ნამრავლს ასზე. ამის გამო, ბოლო შეფარდება საკმარისად ახლოს იქნება ნულთან. ეს ნიშნავს, რომ შემოთავაზებული ფუნქცია და შესატყვისი მრუდი რეალური პროცესების ადეკვატურია.

საგადასახადო ტვირთის განსაზღვრის წარმოდგენილი მეთოდიკა ასევე შეიძლება იქნეს გამოყენებული ქვეყნის შიგნით მცირე ბიზნესის შესაბამისი განაკვეთების დასადგენად.

3. ლაფერის მრუდის მოდიფიკაცია საშუალოდ და მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის

როგორც ზემოთ მოყვანილი კვლევა აჩვენებს, საშუალოდ განვითარებული ეკონომიკის საგადასახადო სისტემას (ამდენად, საქართველოს მომავალ საგადასახადო სისტემასაც) დაყოვნების ეფექტის მქონე ამოზნექილი სიმეტრიული ფუნქცია შეესაბამება. მისი თავისებურებაა მაქსიმუმის ისეთი წერტილის არსებობა, რომლის მიმართ შესაბამისი მრუდი სიმეტრიულია და ამასთან, 0 და 100%-ის მიდამოებში მისი მიახლოება ორდინატთა ღერძთან თანდათან ხდება. ამ გარემოებათა გათვალისწინებით ფუნქციის მაქსიმუმი მიიღწევა მაშინ, როდესაც $g = 50\%$ (იხ. გრაფიკი 4).

ბრაზიკი 4. დამოკიდებულება საგადასახადო ტვირთისა და ბიუჯეტის შესაბამის შემოსავლებს შორის საშუალოდ განვითარებულ ეკონომიკაში



დავოვნების ეფექტის მქონე ამოზნექილი სიმეტრიული ფუნქცია შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$G(g) = a \cdot e^{-b^2(g-c)^2} = \frac{a}{e^{b^2(g-c)^2}} \quad (5)$$

სადაც a, b, c არის მუდმივი კოეფიციენტები განსაზღვრული მათემატიკური და ეკონომიკური შინაარსით.

ფუნქციის გამოკვლევა ექსტრემუმზე. საანალიზო ფუნქციის საფუძველზე საგადასახადო ტვირთის - g^* -ს ოპტიმალური მნიშვნელობის გამოსათვლელად გამოიყენება ზემოთ აღწერილი სტანდარტული მათემატიკური პროცედურა - განისაზღვრება ფუნქციის პირველი რიგის წარმოებული და მიღებული შედეგი უტოლდება ნულს:

$$\frac{dG(g)}{dg} = \left[a \cdot e^{-b^2(g-c)^2} \right]' = \frac{2ab^2(c-g)}{e^{b^2(g-c)^2}} = 0 \quad (6)$$

მოცემული გამოსახულებიდან გამომდინარე,

$$2ab^2(c-g) = 0.$$

განტოლების ამოხსნით მიიღება, რომ ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი c კოეფიციენტის ტოლია:

$$g^* = c \quad (7)$$

შესაბამისი გამოთვლები აჩვენებს, რომ საანალიზო ფუნქციის მეორე რიგის წარმოებული - G'' უარყოფითია, რაც ფუნქციის მაქსიმუმის არსებობას ამტკიცებს. მართლაც,

$$G'' = \left[\frac{2ab^2(c-g)}{e^{b^2(g-c)^2}} \right]' = \frac{-2ab^2 - 4ab^4(2gc - 2c^2)}{e^{b^2(g-c)^2}}$$

იმის გამო, რომ g -ს კრიტიკული მნიშვნელობისათვის აღვნიშნავთ $g^* = c$, ამ წერტილში საანალიზო ფუნქციის მეორე რიგის წარმოებული უარყოფითია:

$$G'' = \frac{-2ab^2 - 4ab^4(2gc - 2c^2)}{e^{b^2(g-c)^2}} = \frac{-2ab^2 - 4ab^4(2c^2 - 2c^2)}{e^0} = \frac{-2ab^2 - 4ab^4 \cdot 0}{1} = -2ab^2 < 0$$

ფუნქციის მაქსიმუმის გამოთვლის მიზნით არგუმენტის ოპტიმალური მნიშვნელობა ჩავსვათ (5) გამოსახულებაში და მოვახდინოთ გარდაქმნები:

$$G_{max} = \frac{a}{e^{b^2(c-d)^2}} = \frac{a}{e^{b^2 \cdot 0}} = \frac{a}{e^0} = \frac{a}{1} = a \quad (8)$$

ამრიგად, იმ შემთხვევაში, როდესაც არგუმენტის კრიტიკული მნიშვნელობა C კოეფიციენტის ტოლია, ფუნქცია მაქსიმუმს აღწევს და a კოეფიციენტს უტოლდება. ასევე, ფუნქციის მაქსიმალური მნიშვნელობისათვის, როდესაც $G_{max} = a$ -ს, არგუმენტის კრიტიკული მნიშვნელობა $g^* = c$. ამ გარემოების და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ $c = 50\%$ -ს, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლის ამსახველი (5) ფუნქცია შემდეგ სახეს მიიღებს:

$$G(g) = G_{max} \cdot e^{-b^2(g-50)^2} = \frac{G_{max}}{e^{b^2(g-50)^2}} \quad (9)$$

მოცემული ფუნქციის თავისებურებანი მის პრაქტიკულ გამოყენებას მნიშვნელოვნად ამარტივებს.

ფუნქციის გამოკვლევა ზღვრებზე. ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იმისა, რომ მე-4 გრაფიკზე გამოსახულმა მრუდმა და შესაბამისმა (9) ფუნქციამ განხილული ფისკალური პროცესი ადეკვატურად ასახოს, მისი მნიშვნელობა ნულისა და ასი პროცენტის მახლობლად მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს ნულს. გამოვითვალოთ შესაბამისი ზღვრები: $\lim_{g \rightarrow 0} \frac{a}{e^{b^2(g-d)^2}}$ და

$$\lim_{g \rightarrow 100} \frac{a}{e^{b^2(g-d)^2}}$$

$$\lim_{g \rightarrow 0} \frac{a}{e^{b^2(g-d)^2}} = \frac{a}{e^{b^2(0-50)^2}} = \frac{a}{e^{b^2 50^2}} \approx 0$$

მიღებული შედეგი სამართლიანია, რადგან $e^{b^2 50^2}$ გამოსახულების მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ნებისმიერი ეკონომიკურად შემოსაზღვრული რიცხვის მასთან შეფარდება პრაქტიკულად ნულის ტოლია. ამავე მიზეზის გამო:


$$\lim_{g \rightarrow 100} \frac{a}{e^{b^2(g-d)^2}} = \frac{a}{e^{b^2(100-50)^2}} = \frac{a}{e^{b^2 50^2}} \approx 0$$

ამრიგად, საანალიზო ფუნქციის გამოკვლევა ექსტრემუმზე და ზღვრებზე გვიჩვენებს, რომ იგი ადეკვატურად ასახავს რეალურ ფისკალურ პროცესს.

ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის გამოთვლის შემუშავებული მეთოდიკა სამართლიანია ქვეყნის შიგნით საშუალო ბიზნესისთვისაც.

ლაფერის კანონი განვითარებულ ეკონომიკისათვის. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, დაყოვნებისა და მასშტაბის ეფექტების გათვალისწინებით, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლის დამოკიდებულება საგადასახადო ტვირთზე ამოზნექილი მარჯვენა ასიმეტრიის რთული ტრანსცენდენტური ფუნქციით და შესაბამისი მრუდით გამოიხატება (იხ. გრაფიკი 5):

ბრაზილი 5. დამოკიდებულება გადასახადის საშუალო ღირებულება და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს შორის განვითარებული ეკონომიკისათვის



$$G_g = \frac{K(b+c)e^{(a+b\cdot g+c\cdot g^2)}}{[1+e^{(a+b\cdot g+c\cdot g^2)}]^2} \quad (10)$$

სადაც G_g არის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავალი; g – საგადასახადო ტვირთი; e – ნატურალური ლოგარითმის ფუძე; a, b, c, K – მუდმივი კოეფიციენტები.

მოცემული გამოსახულება სამართლიანია, თუ დაცული იქნება პირობები:

$$b < 0, c < 0, b^2 - 4ac = 0.$$

K კოეფიციენტი წარმოადგენს გაჯერების წერტილს მოცემული ფუნქციის პირველყოფილ ზედა ასიმეტრიის ლოგისტიკურ ფუნქციაში. შესაბამისად:

$$\int \frac{K(b+c)e^{(a+b\cdot g+c\cdot g^2)}}{[1+e^{(a+b\cdot g+c\cdot g^2)}]^2} dg = \frac{K}{1+e^{(a+b\cdot g+c\cdot g^2)}} + c \quad (11)$$

სადაც c შეიძლება იყოს ნებისმიერი ნამდვილი რიცხვი, მათ შორის ისეთი, რომელსაც განსაზღვრული ეკონომიკური შინაარსი აქვს.

გ. ხაუშტაინის მიხედვით, (10) ფუნქცია მაქსიმალურ მნიშვნელობას იღებს, როდესაც $g^* = \frac{b}{2a}$ [გ. ხაუშტაინი, 1972, გვ. 178]. ამ მიმართულებით უფრო საფუძვლიან გამოკვლევას ავტორი არ გვთავაზობს. საანალიზო ფუნქცია ასევე გამოყენებადია მსხვილი ბიზნესის ოპტიმალური საგადასახადო ნორმატივების განსაზღვრისთვისაც, რის გამოც, სირთულის მიუხედავად, მის დეტალურ ანალიზს პრინციპული მნიშვნელობა აქვს როგორც განვითარებადი, ისე საშუალოდ და მაღალგანვითარებული ქვეყნის ბიზნესისთვის.

4. საგადასახადო ტვირთის ნაწილობრივი ოპტიმიზაცია საქართველოს ეკონომიკაში

საგადასახადო ტვირთის ნაწილობრივი ოპტიმიზაციის პრობლემის დასმა. საგადასახადო ტვირთის ოპტიმიზაციის ერთ-ერთ შეუსწავლელ მიმართულებას წარმოადგენს მათი ცალკეული ფორმების (სახეების) ოპტიმიზაცია სხვათა უცვლელობისას. ამ შემთხვევაში, საკითხი, თუ რა გავლენას მოახდენს ეს გარემოება საბიუჯეტო შემოსავლებზე და როგორი იქნება მთლიანი გადასახადების საშუალო ოპტიმალური განაკვეთი, ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული. ამიტომ ამ პროცესს ზედაპირული მიდგომის საფუძველზე ლაფერის ტრადიციულ მრუდზე დაყრდნობით განიხილავენ, რაც მცდარ შედეგებს იძლევა. კერძოდ გულისხმობენ, რომ რომელიმე სახის გადასახადის განაკვეთის შემცირებით ან გაზრდით მრუდის ფორმა არსებითად არ შეიცვლება.

პრობლემის რეალობის ადეკვატური გადაწყვეტის შესაძლებლობას განაპირობებს ის გარემოება, რომ გადასახადები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაშია – რომელიმე მათგანზე განაკვეთის გადიდება სხვათა აბსოლუტური სიდიდის

შემცირებას იწვევს და პირიქით. კერძოდ, წინააღმდეგობრივია: პირველი, პირდაპირი და ირიბი გადასახადები, მეორე, პირდაპირი გადასახადების შიგნით საპირისპიროდ იცვლება როგორც მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები, ისე მოგებისა და ქონების გადასახადები. ამასთან, მათი ბუნება ისეთია, რომ სასურველი ზომით შესამების, მათ შორის, ოპტიმიზაციის პირობებს ქმნის.

ქვემოთ საკითხს განვიხილავთ საქართველოს ეკონომიკის რეალობების გათვალისწინებით შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: პირველი, მხედველობაში მიიღება, რომ პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტა გადასახადების განაკვეთის ცვლილების პირველ ნახევარში მიიღწევა, როდესაც წინააღმდეგობრივი გადასახადების ურთიერთზემოქმედება მაქსიმალურია (ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით); მეორე, ხელისუფლებას შესაძლებლობა აქვს, მხოლოდ ირიბი გადასახადების ერთ-ერთი კომპონენტის – აქციზის ოპტიმიზაცია მოახდინოს, რადგან სხვა სახის განაკვეთების გაზრდა კონსტიტუციითაა შეზღუდული.

ირიბი გადასახადების ოპტიმიზაცია. ჩამოვყალიბოთ ამოცანა: როგორი უნდა იყოს, ირიბი გადასახადების საშუალო ოპტიმალური განაკვეთი პირდაპირი გადასახადების უცვლელობის პირობებში (ვაფიქსირებთ პირდაპირი გადასახადების არსებულ დონეს), რათა ბიუჯეტში მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლები იქნეს მობილიზებული?

პრობლემის გადაწყვეტის საფუძველია დამოკიდებულება, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, ირიბი გადასახადების საშუალო განაკვეთსა და პირდაპირი გადასახადებიდან მისაღებ საბიუჯეტო შემოსავლებს, ხოლო, მეორე მხრივ, ირიბი გადასახადების საშუალო განაკვეთსა და ამავე წყაროდან – საბიუჯეტო შემოსავლებს შორის.

გადასახადების ამ ფორმების ბუნებიდან გამომდინარე, ირიბი გადასახადების (მაგალითად, აქციზის) საშუალო განაკვეთის გადიდება პირდაპირი გადასახადების აბსოლუტურ ოდენობას შეამცირებს, რასაც შემდეგი გარემოებანი განაპირობებს: პირველი, იმის გამო, რომ ირიბი გადასახადების განაკვეთების მომატება საქონელთა ფასების საშუალო დონეს ზრდის, შესაბამისად ქვეითდება ერთობლივი მოთხოვნა და ბიზნესის შემოსავლები და მოგება, რის გამოც ბიუჯეტში მოგების გადასახადის შედინება იკლებს; მეორე, ირიბი გადასახადების განაკვეთების ზრდა აძვირებს ბიზნესის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, რაც ბიზნესის მოგებას და ამდენად, შესაბამის საბიუჯეტო შემოსავალს ამცირებს; მესამე, ბიზნესის შემოსავლებისა და მოგების კლება ზღუდავს მის საინვესტიციო პოტენციალს და შესაბამისად, აფერხებს წარმოების ზრდას, რაც უარყოფითად აისახება დასაქმებასა და, ამდენად, ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის შედინებაზე.

დამოკიდებულება ირიბ და პირდაპირ გადასახადებს შორის. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, პირდაპირი გადასახადების არსებული საშუალო განაკვეთის უცვლელობის პირობებში, ირიბი გადასახადების საშუალო განაკვეთსა და ბიუჯეტში მობილიზებულ პირდაპირი გადასახადების აბსოლუტურ ოდენობას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს – ირიბი გადასახადების საშუალო განაკვეთის გაზრდა პირდაპირი გადასახადების ყველა ელემენტის კლებას გამოიწვევს, რაც ჰიპერბოლას ფუნქციით და შესაბამისი მრუდით გამოისახება (იხ. გრაფიკი 6):

$$P_B = \frac{a}{I_g} \quad (12)$$

სადაც P_B არის ბიუჯეტში პირდაპირი გადასახადის შედინება; a – მუდმივი კოეფიციენტი; I_g –


ირიბი გადასახადების საშუალო განაკვეთი პროცენტობით – დამოუკიდებელი ცვლადი.

ასევე, თუ პროცესს განვიხილავთ საპირისპირო მიმართულებით, უკუპროპორციული დამოკიდებულებაა პირდაპირი გადასახადების განაკვეთსა და ბიუჯეტში ირიბი გადასახადების შედინებას შორის – პირდაპირი გადასახადების განაკვეთის ზრდა ბიუჯეტში ირიბი გადასახადების შედინებას ამცირებს, რაც მე-6 გრაფიკის მსგავსად გამოისახება (იხ. გრაფიკი 8).


ასეთ დამოკიდებულებას ის გარემოება განაპირობებს, რომ პირდაპირი გადასახადების, კერძოდ, მოგების გადასახადის გადიდება, სხვა თანაბარ პირობებში, ამცირებს ბიზნესის საინვესტიციო პოტენციალს, რაც უარყოფითად აისახება ბიუჯეტში ირიბი გადასახადების შედინებაზე. მოცემულ შემთხვევაში საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: პირდაპირი და ირიბი გადასახადების ურთიერთზემოქმედება – ელასტიკურობა, გაცილებით მაღალია მათი ცვლილების პირველ შუალედში – I_g' -მდე, ვიდრე მეორე მონაკვეთში, როდესაც ასეთი

დამოკიდებულება მნიშვნელოვნად სუსტდება და არაელასტიკური ხდება.

ბრაზიკი 6. დამოკიდებულება ირიბი გადასახადის ბანაკვეთსა და ბიუჯეტში პირდაპირი გადასახადების შედინებას შორის




ბრაზიკი 7. დამოკიდებულება ირიბი გადასახადის ბანაკვეთსა და ბიუჯეტში ამავე გადასახადების შედინებას შორის




ამასთან, პირველი მონაკვეთი $0 - I_g'$ ნაკლებია მეორე $I_g' - 100\%$ მონაკვეთზე. იმის

გამო, რომ ლაფერის პიკი საქართველოს ეკონომიკისათვის გადასახადების საშუალო განაკვეთის ცვლილების პირველ ნახევარში მდებარეობს, აღნიშნული გარემოება მასზე განსაკუთრებით მკვეთრად აისახება.

ბრაზიკი 8. დამოკიდებულება პირდაპირი გადასახადის ბანაკვეთსა და ბიუჯეტში ირიბი გადასახადების შედინებას შორის



ბრაზიკი 9. დამოკიდებულება პირდაპირი გადასახადის ბანაკვეთსა და ბიუჯეტში ამავე გადასახადების შედინებას შორის



ამ ფაქტორის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, როდესაც პირდაპირი და ირიბი გადასახადების განაკვეთები ნულოვანი მნიშვნელობიდან ერთდროულად გაიზრდება, მათი ურთიერთშემამცირებელი ეფექტის გამო ბიუჯეტის მთლიანი საგადასახადო შემოსავლების ზრდა დაიწყება არა მყისიერად, როგორც ეს ლაფერის ტრადიციული მრუდით იგულისხმება, არამედ პირველ ეტაპზე ეს მოხდება ნელი ტემპით, რომელიც შემდეგ თანდათანობით გაძლიერდება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ასეთივე შედეგს იწვევს დაყოვნების სხვა ეფექტებიც, მაშინ ამ ფაქტორთა ერთობლივი ზემოქმედება აღნიშნულ ტენდენციას კიდევ უფრო მკაფიოდ გამოავლენს.

დამოკიდებულება ირიბი გადასახადების საშუალო განაკვეთსა და ბიუჯეტში ამავე გადასახადების შედინებას შორის. საქართველოს ეკონომიკის ახლანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით დამოკიდებულება ირიბი გადასახადების საშუალო განაკვეთსა და ბიუჯეტში ამავე სახის გადასახადის შედინებას შორის დაყოვნების ეფექტის მქონე მარცხენა ასიმეტრიის ფუნქციით და შესაბამისი ამოხსნეული მრუდით გამოისახება. კერძოდ, დასაწყისში ბიუჯეტში ირიბი გადასახადის შედინება თანდათან გაიზრდება, მიაღწევს მაქსიმუმს, შემდეგ შენელებული ტემპით შემცირდება და ასპროცენტური განაკვეთისათვის კვლავ ნულამდე დაეცემა (იხ. გრაფიკი 7). ასეთი დამოკიდებულება მოცემული კონკრეტული შემთხვევისათვის გამოისახება ზემოთ აღწერილი (1) ფუნქციით, რომელიც ახალ პირობებში შემდგენიარად ჩაიწერება:

$$P_B = b_1 \cdot I_g \cdot e^{-b_2 \cdot I_g} = \frac{b_1 \cdot I_g}{e^{b_2 \cdot I_g}} \quad (13)$$

სადაც P_B არის ირიბი გადასახადის შედინება ბიუჯეტში; b_1, b_2 – მუდმივი კოეფიციენტები; I_g – ირიბი გადასახადების საშუალო განაკვეთი პროცენტობით.

(12) და (13) ფუნქციების გათვალისწინებით ბიუჯეტში პირდაპირი და ირიბი გადასახადების ჯამური შემოსავლები იქნება:

$$f(P) = S_B + P_B = \frac{a}{I_g} + \frac{b_1 \cdot I_g}{e^{b_2 \cdot I_g}} \quad (14)$$

ფუნქციის გამოკვლევა ექსტრემუმზე. მიღებული ფუნქციის ექსტრემუმზე გამოკვლევის მიზნით გამოვითვალოთ მისი პირველი რიგის წარმოებული და შედეგი გავუტოლოთ ნულს:

$$\begin{aligned} \frac{df(P)}{dI_g} &= \left[\frac{a}{I_g} + \frac{b_1 \cdot I_g}{e^{b_2 \cdot I_g}} \right]' = -\frac{a}{I_g^2} + b_1 \frac{e^{b_2 \cdot I_g} - [e^{b_2 \cdot I_g}]' \cdot I_g}{(e^{b_2 \cdot I_g})^2} \\ &= -\frac{a}{I_g^2} + b_1 \frac{e^{b_2 \cdot I_g} - e^{b_2 \cdot I_g} \cdot b_2 \cdot I_g}{(e^{b_2 \cdot I_g})^2} = \\ &= -\frac{a}{I_g^2} + b_1 \frac{e^{b_2 \cdot I_g}(1 - b_2 \cdot I_g)}{(e^{b_2 \cdot I_g})^2} = -\frac{a}{I_g^2} + b_1 \frac{1 - b_2 \cdot I_g}{e^{b_2 \cdot I_g}} = -\frac{a}{I_g^2} + \frac{b_1 - b_1 \cdot b_2 \cdot I_g}{e^{b_2 \cdot I_g}} = \\ &= \frac{b_1 - b_1 \cdot b_2 \cdot I_g}{e^{b_2 \cdot I_g}} - \frac{a}{I_g^2} = \frac{(b_1 - b_1 \cdot b_2 \cdot I_g) \cdot I_g^2 - a \cdot e^{b_2 \cdot I_g}}{e^{b_2 \cdot I_g} \cdot I_g^2} = 0 \end{aligned}$$

ე. ი. მიიღება, რომ:

$$\frac{df(P)}{dI_g} = \frac{(b_1 - b_1 \cdot b_2 \cdot I_g) \cdot I_g^2 - a \cdot e^{b_2 \cdot I_g}}{e^{b_2 \cdot I_g} \cdot I_g^2} = 0 \quad (15)$$

(15) ტოლობიდან გამომდინარე, $(b_1 - b_1 \cdot b_2 \cdot I_g) \cdot I_g^2 - a \cdot e^{b_2 \cdot I_g} = 0$.

მოვახდინოთ მარტივი გარდაქმნები:

$$b_1 \cdot I_g^2 - b_1 \cdot b_2 \cdot I_g^3 - a \cdot e^{b_2 \cdot I_g} = 0, \quad -a \cdot e^{b_2 \cdot I_g} + b_1 \cdot I_g^2 - b_1 \cdot b_2 \cdot I_g^3 = 0.$$


ამრიგად, პრობლემის გადაწყვეტა დაიყვანება $e^{b_2 \cdot I_g}$ ტრანსცენდენტული კომპონენტის მქონე შემდეგი კუბური განტოლების ამოსხნაზე:

$$-a \cdot e^{b_2 \cdot I_g} + b_1 \cdot I_g^2 - b_1 \cdot b_2 \cdot I_g^3 = 0 \quad (16)$$

(16) განტოლების ფესვები განსაზღვრავს ირიბი გადასახადების განაკვეთების ისეთ კრიტიკულ მნიშვნელობებს, რომლისთვისაც ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამი ექსტრემალურია. მათემატიკური ანალიზიდან ცნობილია, რომ ჩვენი პირობების გათვალისწინებით (16) კუბურ განტოლებას ორი ნამდვილი კრიტიკული წერტილი აქვს – მინიმუმის და მაქსიმუმის. იმავე ვიზუალურ შედეგს გვიჩვენებს მე-6 და მე-7 გრაფიკების გაერთიანების შედეგად მიღებულ მე-10 გრაფიკზე გამოსახული მრუდი, რომლის შესაბამისად, ჯამური საგადასახადო შემოსავლების ამსახველ მრუდზე ირიბი გადასახადების განაკვეთს, როგორც მოსალოდნელი იყო, ორი კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. მათ შორის, I_{g1}^* წერტილში ჯამური საბიუჯეტო შემოსავლები

მინიმალურია, ხოლო I_{g2}^* წერტილში – მაქსიმალური.

ბრაზიკი 10. დამოკიდებულება ირიბი ბაღასახადის ბანაკმეთსა და ბიუჯეტში პირდაპირი და ირიბი ბაღასახადების ჯამურ შედინებას შორის



კუბური განტოლების ამოხსნა შესაძლებელია რამდენიმე მეთოდით, მათ შორის ვიეტას თეორემისა და კარდანოს ფორმულის საფუძველზე, რაც სპეციალურ ვრცელ შრომატევად გამოთვლებს მოითხოვს. ეს მეთოდები ასახულია შესაბამის მათემატიკურ ლიტერატურაში.

საგადასახადო ტვირთის ოპტიმიზაციის განხილული მეთოდით საკითხი ასევე შეიძლება დაისვას ირიბი გადასახადების განაკვეთის უცვლელობისას პირდაპირი გადასახადების ისეთი ოპტიმალური განაკვეთის განსაზღვრის შესახებ, რომლისთვისაც ბიუჯეტის ჯამური შემოსავლები მაქსიმალური იქნება. პროცესის განვითარების ლოგიკა აჩვენებს, რომ საბოლოო შედეგები წინა ამოცანაში მიღებული დასკვნების ანალოგიურია – ჯამური შემოსავლების ამსახველ მრუდს აქვს ექსტრემუმის ორი წერტილი აქვს. ცხადია, მათ განსხვავებული კოორდინატები ექნებათ ფაქტობრივი მონაცემების შესაბამისად.

ფუნქციის გამოკვლევა ზღვრებზე. იმისათვის, რომ მე-14 ფუნქციამ და მე-10 გრაფიკზე გამოსახულმა შესაბამისმა მრუდმა საანალიზო პროცესი ადეკვატურად ასახოს, ადგილი უნდა ჰქონდეს შემდეგ ზოგად პირობებს:

$$\lim_{I_g \rightarrow 0} f(P) = +\infty; \quad \lim_{I_g \rightarrow +\infty} f(P) = 0, \quad \lim_{I_g \rightarrow 100} f(P) \approx 0$$

მართლაც:

$$\lim_{I_g \rightarrow 0} f(P) = \frac{a}{0} + \frac{b_1 \cdot 0}{e^{b_2 \cdot 0}} = \frac{a}{0} + \frac{0}{1} = +\infty$$

$$\lim_{I_g \rightarrow +\infty} f(P) = \frac{a}{\infty} + \frac{b_1 \cdot \infty}{e^{b_2 \cdot \infty}} = 0$$

ხოლო ფუნქციის ზღვარი, როდესაც $I_g \rightarrow 100$, საკმარისად მცირე უნდა იყოს:

$$\lim_{I_g \rightarrow 100} f(P) = \frac{a}{100} + \frac{b_1 \cdot 100}{e^{b_2 \cdot 100}} = \frac{a}{100} + 0 = \frac{a}{100}$$


5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №249 დადგენილებით 2005 წლის 31 დეკემბერს.
6. შრომის ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №603 დადგენილებით, 2017 წლის 29 დეკემბერს.
7. „საქსტატის“ ინფორმაცია დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ.

Miron Tugushi

LAW „ABOUT EMPLOYEMENT“ - SIGNIFICANT COMPONENT OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT LAGISLATIVE BASE

Summary

During a lot of years, in Georgia, the significant components of Human Resource Managements Lagislative Base were: the Law «About Employment» and «Labour Code». In 2006 by adopting the "Labor Code" the Law of Georgia "About Employment" was declared invalid. Declaration of the above mentioned Law as invalid by adopting the "Labor Code" which caused cancellation of state and regional services of employment in the country was not a correct, adequate decision, which was not derived from the point of improvement of employment and unemployment state in the country.

Due to the above mentioned, registration of unemployment, granting the appropriate status of unemployed and preparation and retraining programs has been terminated for unemployed people. Accordingly, factual index of unemployment has been greatly increased due to especially great number of labor force for the labor market and a miserable number of demand in labor force in the country. It could be said, that within the period, when the Law «About Employment» was in force, the government employed a part of the unemployed, some of the employees have been defended from unemployment.

At present, in Georgia, there does not exist any kind of state structure (is not created and developed the net of private Employment Agencies as well), which could offer any Intermediary service free of charge for the purpose of employment of the unemployed and job seekers. A very pleasant exclusion is Activities of the International Organization for Migration Employment Service in Tbilisi, Kutaisi, Batumi and Telavi, the goal of which is to realize one or more of these projects for the purpose of employment.

Comparing the Articles and norms of the law «About Employment» and «Labour Code» it is clear, that we deal with the Laws of principally different aims and activities, which complete each other. The most important goal and designation of the law «About Employment» is arrangement of the problems of unemployment, as for the «Labour Code», it is designed for normalization of labour interrelationships. That's why the both of the laws together with the Law «About Trade Unions», other laws and together with appropriate Governmental structures coexist and are acting in almost all the developed and developing countries of the world.

Preparation of new edition of the law«About Employment» , it's timely reception and implementation is necessary for the purpose of successfully solving the employment and unemployment regulation tasks in the country. Due to the same aims it would be also necessary to expand the functions of «Labor Ring» at the Ministry of Health, Labor and Health Care. While processing the employment Policy the above mentioned Ministry should have taken responsibility for the realization of the policy itself. It implies coordination of activities carried out by the Government for the purpose of regulation the employment and unemployment processes.

თანამედროვე პროგნოზირება ეპონომიკაში

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ბიზნესპროგნოზირების ამოცანების მიმართ ახალი მიდგომა, რაც გულისხმობს პროგრამირების პარალელური მონაცემების პარადიგმის გამოყენებას. პარალელური მონაცემები სხვადასხვა ტიპის წინამორბედი მონაცემებია, რომლებითაც დინამიურ რეჟიმში ხდება გარკვეული ერთი მოვლენის პროგნოზირება. აგრეთვე განიხილება პროგნოზირების პროცესის ეტაპობრივად, ონლაინ რეჟიმში ფუნქციონირება. წარმოდგენილი მეთოდი იძლევა საშუალებას, რომ სუპერკომპიუტერები გამოყენებული იყოს არა მარტო თავდაპირველი დანიშნულებისათვის - დიდი მოცულობის დიდი რაოდენობის გამოთვლებისათვის, არამედ პარალელური მონაცემების ონლაინ რეჟიმში დამუშავებისათვის და, ასევე, გამოყენებული იყოს პარალელური მონაცემების პარადიგმის ძირითად ინსტრუმენტად.

საკვანძო სიტყვები: პარალელური მონაცემების პარადიგმა, სუპერკომპიუტერები, ბიზნეს-პროგნოზირება, ალგორითმები, დინამიური გაფართოებადი მატრიცა.

შესავალი

სუპერკომპიუტერები უზარმაზარი გამოთვლითი სიმძლავრის მქონე კომპიუტერებია, რომლებიც გამოიყენება ისეთ გამოყენებით პროგრამებთან სამუშაოდ, რომლებიც ითხოვს მეტად ინტენსიურ გამოთვლებს. სუპერკომპიუტერების წარმოშობამ, ასევე კლასტერული სისტემების ფართოდ გავრცელებამ, ცალკეული კომპიუტერების ერთმანეთთან ლოკალური და გლობალური ქსელებით დაკავშირებამ, გამოიწვია გამოთვლითი პროცესებისადმი მომხმარებელთა დიდი რაოდენობით მოხიფე და დღის წესრიგში დააყენა პროგნოზირების სხვადასხვა ამოცანები.

პროგნოზირების ტიპის ამოცანებს დარგების საკმაოდ ფართო ჩამონათვალი შეიცავს: ბიზნესი, მაკროეკონომიკა, ამინდი, არჩევნები, სპორტული შეჯიბრებების შედეგები, ფინანსები, დანაშაულებები და ა.შ.

ყველა ამ სფეროს აერთიანებს შემდეგი ბაზური პრინციპები (Makridakis, Hibon, 2000):

- რთული და სტატისტიკაზე დაფუძნებული მოდელები ყოველთვის არ აღმოჩნდება ხოლმე მარტივ მოდელებზე ზუსტი;
- მოდელების კომბინირება ან სხვადასხვა მოდელებით მიღებული კომპიუტერული პროგნოზირება საშუალოდ ამდლებს პროგნოზირების სიზუსტეს;
- პროგნოზირების ჰორიზონტის გაზრდის შესაბამისად პროგნოზის სიზუსტე მცირდება.

მოცემულ სტატიაში განვიხილავთ გამოთვლების ახალ პარადიგმას, რომელიც სუპერკომპიუტერებისა და მრავალბირთვიანი კლასტერებისთვის იქნა შეთავაზებული ავტორების მიერ და რომელსაც „პარალელური მონაცემების“ პარადიგმა ეწოდა (Pkhovelishvili, Archvadze, 2018). აგრეთვე განვიხილავთ ახალი ტიპის მოდელებს, როდესაც ხდება დინამიური მოდელების ბირთვებზე გადანაწილება (სუპერკომპიუტერზე გამოთვლების მიზნით).

ზოგადად, დაპროგრამების პარადიგმაში იგულისხმება იდეებისა და ცნებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს კომპიუტერული პროგრამების დაწერის სტილს (მიდგომას დაპროგრამებისადმი). ასევე განსაზღვრავს ის კომპიუტერის მიერ გამოთვლების ორგანიზაციასა და შესრულებული სამუშაოების სტრუქტურას.

სტატიაში განიხილება ახალი პარადიგმის პრინციპები და ალგორითმები ბიზნეს-პროგნოზირების ამოცანების გადასაწყვეტად.

1. ბიზნესპროგნოზირება

ბიზნესპროგნოზირების ამოცანებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი: მოთხოვნა, წყვეტილი მოთხოვნა, დროითი და სივრცითი იერარქიები, აქციები, მაკროეკონომიკური ინდიკატორები, საქონლის ჯგუფები, ახალი პროდუქტები და სხვა. განვიხილოთ მათგან ორი ამოცანა: მოთხოვნისა და წყვეტილი მოთხოვნის პროგნოზირება. სწორედ ამ ორი ამოცანის გადაჭრა იქნება მაგალითებში განხილული, როცა მოხდება „პარალელური მონაცემების“ პარადიგმის წარმოდგენა.

1.1. მოთხოვნის პროგნოზირება

მოთხოვნის პროგნოზირებისას საჭიროა გათვალისწინებული იყოს მომხმარებლის ინტერესი კონკრეტული საქონლი მიმართ, ისე, რომ თაროები არ უნდა დაცარიელდეს და თან საქონელი უნდა იყოს მოთხოვნადი, ანუ გაიყიდოს და არ გაფუჭდეს.

ეს კი ნიშნავს:

- რომ არჩეული უნდა იყოს სწორი სასაქონლო პოზიცია;
- საქონლის რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მოთხოვნას;
- გათვალისწინებული უნდა იყოს მიტანის დრო;

- გათვალისწინებული უნდა იყოს საქონლის ვარგისიანობის დრო;
- გათვალისწინებული უნდა იყოს აქციები.
- და ა.შ.

მოთხოვნის პროგნოზირების ამოცანის ამოხსნა გულისხმობს, რომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოხდეს საქონლის პოზიციების კლასიფიკაცია (მაგალითად, პარეტოს პრინციპზე (The Pareto principle) დაფუძნებული, რომელიც ძალზე პოპულარული ინსტრუმენტია მიწოდების ჯაჭვში). გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ:

- ზოგიერთ საქონელს აქვს გაყიდვების მსგავსი დინამიკა;
- სხვადასხვა საქონელს მოაქვს სხვადასხვა მოგება;
- ზოგიერთის პროგნოზირება ხორციელდება მარტივად, ზოგიერთის რთულად.

თუ განვიხილავთ პროგნოზირების ავტომატურ პროცესს, მოთხოვნის პროგნოზირებისათვის ჩვეულებრივ გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- ETS (Exponential Smoothing) - ექსპონენციალური გასწორება;
- SMA (Simple Moving Average) - სრიალა საშუალო;
- რეგრესია;
- ARIMA (AutoRegressive Integrated Moving Average).

ამჟამად ლიტერატურაში განიხილება კლასიფიკაციის თანამედროვე მეთოდები (Kang et al., 2017), ხოლო პროგნოზირების მთოდებიდან აღსანიშნავია შემდეგი სრულყოფილი მეთოდები:

- Theta (Fiorucci et al., 2016);
- MAPA (Kourentzes et al., 2014);
- CES (Svetunkov and Kourentzes, 2015);
- ნეირონული ქსელები.

ამასთან, გასათვალისწინებელია კავშირი პროგნოზირებასა და მარაგების მართვასთან (Rego and Mesquita, 2015).

12. წყვეტილი მოთხოვნა

როდესაც საქონელს არ ყიდულობენ ყოველდღიურად ან ინტერესი საქონლის მიმართ მცირდება ან/და საქონლის გაცნობას ახლა იწყებენ, მაშინ ადგილი აქვს წყვეტილ მოთხოვნას. განმარტება კი შემდეგია: წყვეტილია ის მოთხოვნა, რომელიც არ ხდება რეგულარულად. აღსანიშნავია, რომ აქ მარტივი მეთოდები არ მუშაობს (Svetunkov, Kourentzes, 2015). საჭირო ხდება სპეციალური მეთოდების გამოყენება, როგორცაა:

- კროსტონის მეთოდი (Croston, 1972);
- TSB, Teunter-Syntetos-Babai - (Teunter et al., 2011)
- INARMA, Integer ARMA (Mohammadipour and Boylan, 2012);
- ADIDA, Aggregate-Disaggregate Intermittent Demand Approach (Nikolopoulos et al., 2011).


თუმცა საჭიროა იმის გაგება, სად არის მარტივი მოთხოვნა და სად წყვეტილი. თუ როგორ განისაზღვროს, არსებობს თუ არა წყვეტილი მოთხოვნა (Perropoulos and Kourentes, 2015). ამ საკითხებთან დაკავშირებით კარგად მუშაობს პროგნოზირების შემდეგი ახალი მეთოდები და მიდგომები:

- iMAPA (Petropoulos and Kourentzes, 2015)
- iETS (Svetunkov, Kourentzes, 2015)
- ნეირონული ქსელები (Kourentzes, 2013).

2. დინამიური მონაცემების ბირთვებზე გადანაწილება

როგორც უკვე აღინიშნა, საუბარი ეხება ბიზნესპროგნოზირებას სუპერკომპიუტერების გამოყენებით. ამჟამად არსებული პროგრამირების პარადიგმა პარალელური პროგრამირება გულისხმობს პრობლემის, ამოცანის ამოხსნის ალგორითმის შესაძლო პარალელურ ნაწილებად დაშლას და თითოეული, დამოუკიდებელი პროცესის ცალკე ბირთვებზე, პროცესორებზე შესრულებას. ჩვენ მიერ შეთავაზებული იყო მიდგომა, რომ განხილულიყო ამოცანის არა ერთი ამოხსნა, არამედ ერთი ამოცანის ამოხსნის ორი, სამი ან მეტი მეთოდი და ერთდროულად, პარალელურად მომხდარიყო მათი გამოთვლა სუპერკომპიუტერის ცალკეულ ბირთვებზე. თეორიულად, ამოხსნის იმდენი მეთოდი შეიძლება იყოს განხილული, რამდენი ბირთვიც აქვს სუპერკომპიუტერს, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ერთ მეთოდსაც შეიძლება გამოეყოს ბირთვების დიდი რაოდენობა.

თუ ამ პროცესს მონაცემების „ენაზე“ წარმოვადგენთ, მაშინ სუპერკომპიუტერზე ამოცანის გადასაწყვეტად შესაძლებელია განვიხილოთ ამ ამოცანის შესაბამისი „მოდელი 1“, „მოდელი 2“ და ა.შ. „მოდელი n“ და დამატებით „სუპერმოდელი“, რომელიც წარმოადგენს მართვის „ჭკვიან“ (ხელოვნური ინტელექტის მქონე) სისტემას (სურ.1):




სურ.1. დინამიური მოდელების ბირთვებზე გადანაწილება

თითოეული მოდელი წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის ერთ მეთოდს. იგი ეყრდნობა სისტემის მახასიათებელ ერთი ტიპის მონაცემებს (გარკვეული კლასის ობიექტებს) და შედეგად იძლევა სხვა ტიპის მონაცემების კრებულს. სხვადასხვა მოდელისთვის საწყისი მონაცემები შეიძლება განსხვავებული იყოს, მთავარი მოთხოვნაა ის, რომ ასახავდეს ერთი და იმავე პრობლემის გადაწყვეტას. სუპერმოდელი, ერთი მხრივ, მართავს თითოეულ მოდელს, მეორე მხრივ, ეძებს კანონზომიერებებს მათ შორის.

მოდელებისათვის მონაცემები აირჩევა სუპერმოდელის მიერ დიდი მონაცემებიდან. ეს მონაცემები სხვადასხვა ტიპისაა და შესაძლებელია ერთმანეთზე გავლენაც ჰქონდეთ. ეს გავლენები შესაძლოა სუპერმოდელმა თვითონ „აღმოაჩინოს“ კიპოტეზების ავტომატური შექმნის თეორიის (Gaek, Gavranek, 1984) შესაბამისად.

სუპერმოდელის სქემა იხილეთ სურ. 2-ზე:




სურ. 2. სუპერმოდელი

3. მოვლენების ფუნქციები. დინამიური გაფართოებადი მატრიცა

ავაგოთ მატრიცა, რომელიც ასახავს პროგნოზირების ამოცანის ამოხსნის პროცესს სუპერკომპიუტერზე. მას ვუწოდოთ „დინამიური გაფართოებადი მატრიცა“.

მარცხენა მხარეს აბსცისის ღერძზე გადავზომოთ დრო, ორდინატაზე კი ვექტორები, რომელიც წარმოადგენს „მოვლენის ფუნქციებს“ (სურ. 3):



სურ. 3. დინამიური გაფართოებადი მატრიცა

მატრიცის თითოეული სვეტით წარმოდგენილია დროში მონაცემები, რომლებიც ახასიათებს მოცემულ საპროგნოზო გაზომვებს. მონაცემები სხვადასხვა ბუნების შეიძლება იყოს. თითოეული ვექტორი რეალურად ასახავს წინამორბედის კომპონენტების მნიშვნელობებს - ფუნქციას, რომელზედაც დამოკიდებულია საპროგნოზო მოვლენა. ამ ფუნქციას ვუწოდოთ „მოვლენის ფუნქცია“.

მატრიცის დასახელებაში სიტყვა „დინამიური“ აღნიშნავს იმას, რომ მატრიცის ელემენტების (ასევე, სტრიქონების და სვეტების) რაოდენობა არის დამოკიდებული დროზე. თითოეულ ვექტორში მონაცემები ასევე დალაგებულია დროის მიხედვით.

სიტყვა „გაფართოებადი“ აღნიშნავს, რომ მატრიცა მუდმივად ფართოვდება, ემატება ან აკლდება ახალი მონაცემები და იცვლება სვეტების რაოდენობაც. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი მატრიცა განსაკუთრებულია, რადგან არ იგულისხმება ერთი და იმავე ტიპის მონაცემების ერთობლიობა.

ბიზნეს პროგნოზირების კონკრეტული მოთხოვნის ამოცანისთვის სურ. 2-ში წარმოდგენილი ფუნქციები შეიძლება იყოს:

- F₁ - ETS (Exponential Smoothing) - ექსპონენციალური გასწორება;
- F₂ - SMA (Simple Moving Average) - სრიალა საშუალო;
- F₃ - რეგრესია;
- F₄ - ARIMA (Auto Regressive Integrated Moving Average).

მატრიცა გაფართოებადია, ამიტომ, თუ ვერ მოხერხდა შედეგის მიღება, შესაძლოა დაემატოს მეთოდები:

- F₅ - Theta;
- F₆ - MAPA ;
- F₇ - CES.


ბიზნესპროგნოზირების შემდეგი ამოცანისთვის - წვეტილი მოთხოვნის ამოცანისთვის ფუნქციებს წარმოადგენს შემდეგი მეთოდები:

- F₁ - კროსტონის მეთოდი (ჩროსტონ);
- F₂ - TSB, Teunter-Syntetos-Babai;
- F₃ - INARMA, Integer ARMA;
- F₄ - ADIDA, Aggregate-Disaggregate Intermittent Demand Approach.

4. პარადიგმა „პარალელური მონაცემები“

განხილული დინამიური მატრიცა გაფართოებადი სტრიქონებითა და სვეტებით საშუალებას იძლევა, შემოვიტანოთ პარალელური მონაცემების ცნება.

მოსალოდნელ ხდომილობაზე გავლენის მომხდენ სხვადასხვა ტიპის მონაცემებს (სხვადასხვა ვექტორზე მყოფ მონაცემებს) ვუწოდოთ პარალელური მონაცემები. თუ ასეთი მონაცემების რაოდენობა არის რამდენიმე და მათი ერთობლიობა ქმნის ჯგუფს, ვუწოდოთ პარალელური მონაცემების ნაკრები (ჯგუფი). იხ. სურ.4, სადაც პარალელური მონაცემები შემოხაზულია:



სურ. 4. პარალელური მონაცემები

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატრიცაში სვეტების განლაგებას. მარცხნივ უნდა იყოს პროგნოზირების ამოცანის უფრო ნაკლებად ალბათური „წინამორბედები“-მეთოდები. მარჯვნივ - უფრო მაღალი ალბათური მეთოდები.

დასკვნა

ბიზნესპროგნოზირების ამოცანები, რომლებიც მიეკუთვნება რთულად ამოხსნად ამოცანათა კლასს, წარმოდგენილი ალგორითმების შესაბამისად შესაძლოა ამოიხსნას სუპერკომპიუტერებზე.

განხილული პროგრამირების პარალელური მონაცემების პარადიგმა საშუალებას იძლევა მივიღოთ პროგნოზირების ახალი მეთოდი, რომელსაც ახასიათებს პროგნოზირების მაღალი ალბათობა. მისი საშუალებით შეიძლება ისეთი კანონზომიერებების აღმოჩენა, რომლებიც თანმიმდევრული ალგორითმების შეზღუდული შესაძლებლობების გამო დღემდე ვერ იქნა აღმოჩენილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Makridakis, S., Hibon, M., 2000. The M3-Competition: results, conclusions and implications. *International Journal of Forecasting* 16, 451-476.
2. Pkhovelishvili M., Archvadze N., 2018. Prognozirovaniye zemletryaseniy s pomoshch'yu parallel'nykh dannykh. *Proceedings of MITI (Informational Conference on Mathematics, Informatics and Information Technologies)*. ISBN 978-9975-3214-7-1. Apr 2018. (in Russian).
3. Svetunkov, I., Kourentzes, N., 2015. *Complex Exponential Smoothing*. Tech. rep., University Library of Munich, Germany. URL <https://ideas.repec.org/p/pramprapa/69394.html>
4. Kang, Y., Hyndman, R. J., Smith-Miles, K., Apr 2017. Visualising forecasting algorithm performance using time series instance spaces. *International Journal of Forecasting* 33 (2), 345-358. URL <http://linkinghub.elsevier.com/retrieve/pii/S0169207016301030>
5. Fiorucci, J.A., Pellegrini, T.R., Louzada, F., Petropoulos, F., Koehler, A.B., Oct 2016. Models for optimising the theta method and their relationship to state space models. *International Journal of Forecasting* 32 (4), 1151-1161. URL <http://linkinghub.elsevier.com/retrieve/pii/S0169207016300243>
6. Kourentzes, N., Petropoulos, F., Trapero, J.R., 2014. Improving forecasting by estimating timeseries structural components across multiple frequencies. *International Journal of Forecasting* 30(2), 291-302. URL <http://dx.doi.org/10.1016/j.ijforecast.2013.09.006>
7. Svetunkov, I., Kourentzes, N., 2015. *Complex Exponential Smoothing*. Tech. rep., University Library of Munich, Germany. URL <https://ideas.repec.org/p/pramprapa/69394.html>
8. Rego, J.R.D., Mesquita, M.A.D., Mar 2015. Demand forecasting and inventory control: A simulation study on automotive spare parts. *International Journal of Production Economics* 161, 1-16. URL <http://dx.doi.org/10.1016/j.ijpe.2014.11.009> <http://linkinghub.elsevier.com/retrieve/pii/S0925527314003594>
9. Croston, J.D., Sep 1972. Forecasting and Stock Control for Intermittent Demands. *Operational Research Quarterly (1970-1977)* 23 (3), 289. URL <http://www.jstor.org/stable/3007885?origin=crossref>
10. Teunter, R.H., Syntetos, A.A., Babai, M.Z., Nov 2011. Intermittent demand: Linking forecasting to inventory obsolescence. *European Journal of Operational Research* 214(3), 606-615. URL <http://linkinghub.elsevier.com/retrieve/pii/S0377221711004437>

11. Mohammadipour, M., Boylan, J.E., 2012. Forecast horizon aggregation in integer autoregressive moving average (INARMA) models. *Omega* 40 (6), 703-712. URL <http://dx.doi.org/10.1016/j.omega.2011.08.008>
12. Nikolopoulos, K., Syntetos, A.A., Boylan, J.E., Petropoulos, F., Assimakopoulos, V., mar 2011. An aggregate-disaggregate intermittent demand approach (ADIDA) to forecasting: an empirical proposition and analysis. *Journal of the Operational Research Society* 62 (3), 544-554. URL <http://link.springer.com/10.1057/jors.2010.32>
13. Petropoulos, F., Kourentzes, N., jun 2015. Forecast combinations for intermittent demand. *Journal of the Operational Research Society* 66(6), 914-924. URL <http://dx.doi.org/10.1057/jors.2014.62> <http://link.springer.com/10.1057/jors.2014.62>
14. Kourentzes, N., 2013. Intermittent demand forecasts with neural networks. *International Journal of Production Economics* 143 (1), 198-206. URL <http://dx.doi.org/10.1016/j.ijpe.2013.01.009>
15. Gaek P., Gavranek T. Avtomatizaciã obrazovaniã gipotez: matematiãeskie osnovy obšej teorii. - M.: Nauka. 1984 (in Russian).

Merab Pkhovelisvili
Mariam Giorgobiani
Natela Archvadze
Gaioz Pkhovelishvili

MODERN FORECASTING MODELS IN ECONOMY

Summary

A new approach for business forecasting is discussed in the article. This means usage of parallel data paradigm of programming. Parallel data are different kind of former data, which give us chance to predict an event in dynamic mode. Also, functioning of forecasting process online is being discussed. This method helps us to use super computers not only for original purpose - calculation big amounts, but for processing parallel data online.

Supercomputers are computers with a high level of performance, which are used to work with those applications, which require more intense computations. Creation of supercomputers, widespread adoption of cluster systems, connection of computers with each other by means of local and global networks, caused attraction of users to computation process and made possible to perform various tasks. This includes a tasks of economic forecast, simulation of nuclear test, etc. It can be said that supercomputers bring new possibilities for automation of prediction process.

Business-forecasting tasks may include: demand, intermittent demand, time and space hierarchies, shares, macroeconomic indicators, commodity groups, new products and more. Consider two tasks: predicting demand and interruption request. That's the solution of these two tasks will be discussed in the example when "parallel data".

In this article we consider, at the one hand, the models of new type of predictable processes (called conditional, temporal, expandable matrix of vectors) and, on the other hand, an new paradigm of programming (called parading of parallel data) for processing of these models.

For the computer presentation of mathematical models of prediction processes, we will use so-called conditional temporal expandable matrices of vectors (hereinafter – the expandable matrix). For the computer presentation of mathematical models of prediction processes, we will use so-called conditional temporal expandable matrices of vectors (hereinafter – the expandable matrix).

Each event impacting an event to be predicted, is represented in the form of separate vector of data. The word "conditional" in the name of matrix means that it is now known in advance, how many events impact an event to be predicted (i.e. how many vectors of data are contained in the matrix). The matrix is dynamical, therefore, some events (and respective vectors) are erased from it, some are added and some are moved into another place. The word "temporal" is used in the name of matrix because the number of row depends on the time. These vectors are shown on the figure by directions of arrows, which are directed from the bottom upwards. In each vector, the data is arranged according to the time

The matrix, corresponding to the model of predictable processes, as it was noted, is dynamically variable, which means a change of its sizes. Thus, the word "expandable" is its name. The matrix constantly expands upwards, new data is added to it and the number of columns varies, the data is added or taken away according to the event function, which will be considered below. It is also possible that a matrix is expanded downwards – the data is added, corresponding to old, already occurred events or archive data.

Each expandable matrix for each business forecasting task may describe the one territorial region, therefore, for the certain task of prediction, more than one expandable matrix can exist, which will be built for certain period of time.

კრიპტოვალუტების თანამედროვე ბენეფისი

ანოტაცია. ნაშრომში გაანალიზებულია ე.წ. კრიპტოვალუტების თანამედროვე გენეზისი. მიღებულია, ახალ კრიპტოინსტრუმენტებს ეწოდოს „ვალუტა“, „ფული“. მაგრამ ეს აშკარად გადაჭარბება. ნებისმიერი ფულის ძირითადი ფუნქცია „ღირებულების საზომის“ ფუნქციაა, ფულის დახმარებით განისაზღვრება ფასები საქონელზე, მომსახურებაზე, აქტივებზე, სამუშაო ძალაზე და ა.შ. თვით თანამედროვე ოფიციალური ვალუტები ცუდად ასრულებს ამ ფუნქციებს, რადგან მსოფლიოში ჩამოყალიბდა ქაღალდის ფულის სტანდარტი, ხოლო ვალუტების კურსი მკვეთრი რყევებით ხასიათდება. მით უფრო მერყეობით ხასიათდება კრიპტოვალუტების კურსიც.

ზუსტად ასევე საეჭვოა, რომ კრიპტოვალუტები ასრულებს ფულის ზუსტად ისეთ ფუნქციას, როგორცაა „გაცვლის საშუალებისა“ და „გადახდის საშუალების“ ფუნქციები. მრავალრიცხოვანი მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიყენება კრიპტოვალუტები საქონლისა და მომსახურების საყიდლად – რეკლამების კატეგორიებიდანაა. კრიპტოვალუტების გამოყენებით ყველა ოპერაციის ღირებულება – ესაა სხვა ვალუტებზე გაცვლა. თუ გავითვალისწინებთ კრიპტოვალუტების კურსის მკვეთრ რყევებს, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ესაა მარტოედენ სპეკულაციური ხასიათის ოპერაციები. მაშასადამე, კრიპტოვალუტები ფული არ არის, არამედ აზარტული თამაშების ინსტრუმენტი ე.წ. რულეტის ან სათამაშო კარტის მსგავსი.

საკვანძო სიტყვები: ალტერნატიული ფული, კერძო ფული, ცენტრალური ბანკი, თავისუფალი ფული, კრიპტოვალუტა, ციფრული ფული, ვირტუალური ვალუტა, ელექტრონული ფული, ბიტკოინები, ბლოკჩეინები.

* * *

დღეს სულ უფრო ხშირად გვეხმის ისეთი ახალი სიტყვები, როგორცაა „კრიპტოვალუტა“, „ციფრული ფული“, „ვირტუალური ვალუტა“, „ელექტრონული ფული“, „ბიტკოინები“, „ელექტრონული საფულეები“, „ბლოკჩეინები“, „ალტერნატიული ფული“, „ქსელური ფული“ და ა.შ. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მსგავსი ლექსიკონით სარგებლობდა ადამიანთა ძალიან ვიწრო წრე - მათემატიკოსები, პროგრამისტები, საგადახდო და საკომუნიკაციო სისტემის სპეციალისტები, გამშიფრებლები ბანკებიდან და სპეცსამსახურებიდან.

დღეისათვის კრიპტოვალუტებზე, ბიტკოინებსა და სხვა აბსტრაქტულ საგნებზე უკვე მსჯელობენ ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, უმაღლესი დონის პოლიტიკური მოღვაწეები. მაგალითად, ბოლო საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე დავოსში კრიპტოვალუტებზე, ბლოკჩეინებსა და ბიტკოინებზე თემა მრავალი მონაწილის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ თემაზე დავოსში თავისი აზრი გამოხატა კრისტინა ლაგარდმაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელმა. ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები აღწერს ნოვაციებს, რომლებმაც მოიცვა ფინანსების სამყარო XXI საუკუნეში. საუბარი ეხება ფინანსური ბაზრის უახლეს „ალტერნატიულ“ ოპერაციებსა და ინსტრუმენტებს. ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულია, ამიტომ ზოგჯერ დისკუსიის მონაწილეებს უჭირთ ერთმანეთის გაგება. არანაკლებ რთულია ფინანსების სამყაროში მიმდინარე ცვლილებების შეფასება სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის, რომლებიც გამოსცემენ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, ასევე სახელმწიფო ორგანოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას ფინანსურ სექტორზე და ფინანსურ ბაზრებზე. იზრდება ინტერესი „ალტერნატიული“ ინტერესებისა და „ალტერნატიული“ ოპერაციების მიმართ ფინანსურ ბაზრებზე ტრადიციული კერძო ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან, აგრეთვე მილიონობით ჩვეულებრივი მოქალაქეების მხრიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

მთელ ამ ნოვაციებში გარკვევა მარტივი არ არის პროგრამისტების, მათემატიკოსების, კომუნიკაციის სპეციალისტების საკმაოდ რთული, პროფესიული ენის გამოყენების გამო. მაგალითად, ვიკიპედიაში, რომელიც, პრინციპში, გათვლილია ფართო აუდიტორიაზე, ჩვენ ვპოულობთ ერთ-ერთი საკვანძო ტერმინის, „კრიპტოვალუტის“ (Cryptocurrency) შემდეგ განმარტებას: კრიპტოვალუტა – ციფრული ვალუტის სახეა, რომლის ემისია და აღრიცხვა ეფუძნება დაცვის სხვადასხვა კრიპტოგრაფიული მეთოდების, როგორცაა როოფ-ოფ-ტორკ და/ან როოფ-ოფ-შტაკე ასიმეტრიულ დაშიფვრასა და გამოყენებას. სისტემის ფუნქციონირება ხდება დეცენტრალიზებულად განაწილებულ კომპიუტერულ ქსელში [Катасонов В.Ю. 2016, 340].

მარტივად რომ ავსნათ, კრიპტოვალუტა, იმ პირთა გაგებით, რომლებმაც შექმნეს ეს ვალუტა და სარგებლობენ ამით, - ფულის ახალი სახეა, რომელიც არსებობს პარალელურად ტრადიციულ (ნაღდ და უნაღდო) ფულთან ერთად, მაგრამ მათგან არსებითად განსხვავდება.

პირველი, ასეთი „ალტერნატიული“ ფულით ოპერაციებს გააჩნია კარგი (ზოგიერთის მტკიცებით, 100 პროცენტისანი) ინფორმაციული დაცვა. აქედან მომდინარეობს ვალუტის სახელწოდებაც (ბერძნული სიტყვა „კრიპტო“ ნიშნავს ფარულს, საიდუმლოს).

მეორე, კრიპტოვალუტა – მხოლოდ და მხოლოდ კერძო ფულია (ე.ი., ის იქმნება და ეკუთვნის კერძო პირებს). ასეთი ფული სრულად „ემანსიპირებულია“ სახელმწიფოსგან, ამ უკანასკნელის მარეგულირებელი და სახელმძღვანელო ფუნქციებისგან.

მესამე, ის იქმნება და მიმოიქცევა დეცენტრალიზებულ სისტემაში. იგულისხმება, რომ ასეთი სისტემა წარმოადგენს მაქსიმალურად „დემოკრატიულს“, სისტემის რომელიმე მონაწილეს არ აძლევს საშუალებას, დაეუფლოს სისტემას ან დააწესოს მასზე თავისი ერთპიროვნული კონტროლი. ზოგიერთები ერთმანეთში ურევენ ოპერაციებს, რომლებიც ემყარება კრიპტოვალუტას, ინტერნეტ-ბანკინგთან (ელექტრონულ ბანკინგთან). მეორე შემთხვევაში გამოიყენება ჩვეულებრივი ვალუტები, ხოლო ოპერაციების დაცულობის ხარისხი უფრო დაბალია, რამდენადაც იქ სუსტ რგოლად იქცევა საბოლოო მოსარგებლებები; ასევე თვალთახედვიდან არ უნდა გამოგვრჩეს რისკები არაკეთილსინდისიერი შემუშავებლის სახით. კრიპტოვალუტის მომხრეები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ფულის ეს ახალი სახე ადამიანებს უზრუნველყოფს მაქსიმალური თავისუფლებით. ისინი გამოდიან სახელმწიფოს მეურვეობიდან. ცენტრალურ ბანკებსა და ფინანსური ზედამხედველობის სხვა ინსტიტუტებს, რომლებიც ეჭვით ადევნებენ თვალყურს იმას, რომ არაეინ ხელყოს საბანკო მონოპოლია ფულის ემისიის საქმეში, არ ძალუძთ გააკონტროლონ კრიპტოვალუტებთან დაკავშირებული ოპერაციები. კრიპტოვალუტებმა არ იცის ეროვნული საზღვრები, მათი გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევებშიც კი, როცა სახელმწიფოს შემოაქვს შეზღუდვები და აკრძალავს საერთაშორისო ანგარიშსწორებაზე. ფაქტობრივად, ესაა უახლესი, ელექტრონული ვერსია მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებული სისტემისა „ხავალა“ – არაფორმალური საფინანსო-საანგარიშსწორებო სისტემისა, რომელიც გამოიყენებოდა უპირატესად აღმოსავლეთში, აფრიკასა და აზიაში (ეს სისტემა საშუალებას იძლევა გვერდი ავუაროთ ჩვეულებრივ ნაღდი ფულისა და უნაღდო ფულის საზღვარზე გადაადგილებას).

განსაკუთრებით დაკმაყოფილებულნი არიან კრიპტოვალუტის გამომჩენი ავსტრიული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები, ლიბერტიარიანელები. ისინი მთელი XX საუკუნის განმავლობაში დაჟინებით იბრძოდნენ ცენტრალური ბანკების მონოპოლიის წინააღმდეგ ფულადი ემისიის საქმეში, მხარს უჭერდნენ კერძო ფულზე გადასვლას (ამ სკოლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლებია: მიზესი, ჰაიეკი, როტბარდტი).

დღეისათვის ყველაზე ცნობილი კრიპტოვალუტა ბიტკოინია (BitCoin). ხშირად ის აღინიშნება ინგლისური აბრევიატურით BTC. ეს არის ვირტუალური ფული, რომელიც შექმნილია კერძო პირების მიერ, ამასთან, ასეთი ფულის ემიტენტი შეიძლება იყოს ძალიან ბევრი. BTC-ის შექმნისას გამოიყენება გარკვეული ალგორითმები და პროგრამები, რომლებიც მოწყობილია ისეთნაირად, რომ მაქსიმალური რაოდენობა ბიტკოინებისა, რომლის შექმნაც შესაძლებელია, შეადგენს 21 მილიონს. BTC-ის გაერთიანების ყოველ ახალ წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ ახალი ვალუტის გამოყენებაში, არამედ მის შექმნაშიც (ასეთ შექმნას ეწოდება „მაინინგო“ - ოქროს მოპოვების ანალოგიით). ადგილი აქვს BTC-ის მორიგი ბლოკის შექმნას, რომელიც აგრძელებს ბლოკების ჯაჭვის („ბლოკ-ჩეინების“) აგებას. BTC-ის რაოდენობა, ამ ფულადი ერთეულის შემუშავებელთა ჩანაფიქრით, არ შეიძლება უსასრულოდ იზრდებოდეს. ბიტკოინი ამ თვალსაზრისით გვაგონებს ოქროს - ლითონის ფულს, რომელიც ხასიათდება შეზღუდული მარაგით ბუნებაში. BTC-ის შემუშავებლები, როგორც ჩანს, საიდუმლოდ იმედოვნებენ, რომ ახალი ვალუტა მოემსახურება საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის დიდ ბრუნვას და წინდახედულად არიდებენ თავს შესაძლო ინფლაციურ ეფექტებს, დებენ რა მასში BTC-ის დეფიციტს. მიუხედავად იმისა, რომ BTC ვირტუალური ფულადი ერთეულია, მას უწოდებენ მონეტას და თვალსაჩინოებისათვის სარეკლამო მასალებში გამოსახავენ ოქროს წრის სახით [ჩიქობავა მ., კაკულია ნ., 2017: 261].

BTC ჯერ კიდევ თავის პირველ ნაბიჯებს დგამს. ახალი ვალუტის შესახებ ადამიანებმა პირველად გაიგეს 2008 წლის 31 დეკემბერს, როდესაც სამყაროს მოველინა დოკუმენტი BTC-ის აღწერით, რომელსაც ჰქონდა პროექტის ავტორის, სატოში ნაკამოტოს (შატოსჰი აკამოტო) ხელმოწერა. მრავალი ვარაუდობს, რომ ეს არის ფსევდონიმი, რომლის მიღმა იმალება სხვა ადამიანი ან შემუშავებელთა ჯგუფიც კი. ამ წლების განმავლობაში განხორციელდა მრავალი ჟურნალისტური კვლევა, მაგრამ ვერაინ შეძლო საკუთარი თვალთ ენახა იდუმალი დამმუშავებელი სატოში ნაკამოტო. პროექტი დაიწყო 2009 წლის 3 იანვარს, როდესაც შეიქმნა პირველი ბლოკი BTC-ს ქსელში (ე.წ. გენეზის-ბლოკი). ეს დღე ითვლება ბიტკოინის დაბადების დღედ და BTC-ის გაერთიანების მიერ აღინიშნება მთელ მსოფლიოში.

დღეს უკვე მრავალ ქვეყანაში ჩამოყალიბდა BTC-ის სისტემის მონაწილეთა საკმაოდ ფართო ქსელი (BTC-ის საზოგადოება), რომელიც მოიცავს ე.წ. „მაინერებს“ (მათ, რომლებიც ქმნიან ვირტუალურ ფულს ბლოკების სახით), რიგით მოსარგებლებებს (რომლებიც აგროვებენ BTC-ს თავიანთ „ელექტრონულ საფულეებში“ და ხარჯავენ მას), რომლებიც სპეციალიზებული არიან ბირჟებზე. დასავლეთის ზოგიერთ ქვეყნებში გაჩნდა POS-ტერმინალები მაღაზიებში ბიტკოინებით ანგარიშსწორებისათვის, ბანკომატები კრიპტოვალუტებისათვის, აპარატული „საფულეები“ ბიტკოინისათვის. BTC-ის გაერთიანება ითვლის მილიონობით წევრს. სისტემა შეიძლება წარმოვადგინოთ დეცენტრალიზებული გამოთვლელი ქსელის სახით, რომლის მწარმოებლურობა რვაჯერ და უფრო

მეტად აღმატება მსოფლიოში „სუპერკომპიუტერის“ კლასის ყველა მანქანის ჯამურ გამოთვლით სიმძლავრეს.

BTC-ს ხშირად უწოდებენ ოქროს ელექტრონულ ანალოგს. ბიტკოინი – „მაინინგის“ – გამოთვლელი ოპერაციების პროდუქტია, რომელიც უზრუნველყოფს ტრანსაქციების გადაცემას ბლოკების ჯაჭვით. ადგილი აქვს ერთ ბლოკში ყველა ტრანსაქციის ჩაწერას, რომელიც შესრულებულია ქსელში წინა ბლოკის გამოშვების მომენტიდან (საშუალოდ, ბლოკების შექმნას შორის ინტერვალი შეადგენს დაახლოებით 10 წუთს), და ხდება მასზე „ბეჭდის დადება“ რთული კრიპტოგრაფიული ხელმოწერით. შემდეგი ბლოკი გამოითვლება წინამორბედის გამოწერის საფუძველზე. ყოველი მომდევნო ბლოკის „მოპოვების“ შრომატევადობა იზრდება. დასაწყისში 2009 წლის შემოდგომაზე ყველაფერი იყო ძალიან მარტივად და იოლად. 1 ერთეული BTC-ს ყიდვა შესაძლებელი იყო ერთ ცენტზე უფრო იაფად. მაგრამ BTC-ს ერთეულის „მოპოვების“ შრომატევადობა და მსყიდველობითუნარიანობა სწრაფად იზრდებოდა. BTC-ს გამოყენება დაიწყო თავდაპირველად ყველაზე უბრალო საქონლის (მაგალითად, ფინჯანი ყავის და პიცების) საყიდლად, შემდეგ ის გამოიყენებოდა ფიჭური ტელეფონებისა და კომპიუტერების საყიდლად. წარმოიშვა სპეციალიზებული ბირჟები, სადაც ვაჭრობდნენ BTC-ის „მონეტებით“ ჩვეულებრივ ვალუტაზე. იყო მომენტი, როცა BTC-ის საბირჟო კურსმა მიაღწია 1000 აშშ-ის დოლარს [Katacხოვ B.Ю. 2017, 165].

ამასთან, BTC არ წარმოადგენს ერთადერთ კრიპტოვალუტას მსოფლიოში. ზოგიერთი შეფასებით, არსებობს ათასზე მეტი მსგავსი ვირტუალური ვალუტა. მათგან ნაწილი წარმოებულია BTC-სგან, სხვები სრულიად ავტონომიურია, შექმნილი არიან „წულიდან“. კრიპტოვალუტების საერთო მოცულობა, რომლებიც გამოშვებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, დღეისათვის ითვლის თანხას, რომელიც რამდენიმე მილიარდი დოლარის ეკვივალენტურია. ჯერჯერობით ესაა ზღვაში წვეთი. მაგრამ, ვირტუალური ვალუტის მომხრეები არ დუნდებიან. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ კრიპტოვალუტების ემისიის მოცულობა სწრაფად გაიზრდება, რადგანაც კრიპტოვალუტებს უდავო უპირატესობა გააჩნია ჩვეულებრივ ფულთან შედარებით. გარდა ამისა, BTC და სხვა ვირტუალური ფული ხასიათდება დეფლაციური ეფექტით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი დღევანდელი მასაც კი გაზრდის თავის მსყიდველობითუნარიანობას.

2009 წლიდან, როცა ამოქმედდა კერძო ციფრული სავალუტო პროექტი „ბიტკოინი“, არ ცხრება კამათი იმასთან დაკავშირებით, თუ რას წარმოადგენს ეს ახალი ვალუტა და რამდენად ღეგალურია ის. ამ საკითხების განხილვაში ჩაერთო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მონეტარული ხელისუფლება. მათ უნდა ჩამოეყალიბებინათ პრაქტიკულად თავიანთი დამოკიდებულება ბიტკოინების და სხვა კერძო ციფრული ვალუტების მიმართ: აკრძალათ ისინი თუ მოეხდინათ მათი ღეგალიზება და მიეჩინათ მათთვის გარკვეული ნიშა, რომლის ფარგლებს არ უნდა გაცდენოდა ახალი ვალუტები. პირველი და ყველაზე ბუნებრივი რეაქცია მონეტარული ხელისუფლებების მხრიდან იყო კერძო ციფრული ვალუტების უკანონოდ გამოცხადება, რომლებიც არღვევდნენ არსებული კონსტიტუციებითა და დადგენილი კანონებით ფულის გამოშვებაზე ცენტრალური ბანკების მონოპოლიას. მაგრამ ასეთი აკრძალვები არაეფექტიანი აღმოჩნდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ახალი ვალუტები არსებობს „პარალელურ სამყაროში“, რომლებიც ხელმიუწვდომელია ცენტრალური ბანკებისა და სხვადასხვა ფინანსური რეგულატორებისთვის. ტყუილუბრალოდ არ უწოდებენ მათ „კრიპტოვალუტებს“, რომელთა მეშვეობით განხორციელებული ოპერაციები დახურულია მაკონტროლებელი და სახელმწიფო ორგანოების ფიზიკელი თვალისათვის, ხოლო ოპერაციების მონაწილეები დამატებით დაშიფრულნი არიან და ინარჩუნებენ ანონიმურობას. კერძო ციფრული ვალუტების ამგვარი ჩაკეტილობის დროს ირგვევა ფულის გამოშვებაზე ცენტრალური ბანკების არა მხოლოდ მონოპოლია, არამედ რთულდება სახელმწიფოს საგადასახადო ორგანოების საქმიანობა, ვინაიდან მათთვის დაფარულია გარიგებები, რომლებიც განხორციელებულია ახალი ვალუტებით.

სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ქვეყნის მონეტარულმა ხელისუფლებამ (საგადასახადო სამსახურებთან ერთად) დაიწყო უკანდახევა კერძო ციფრული ვალუტების მიმართ მკაცრად ამკრძალავი კურსიდან („აკრძალვების“ პოლიტიკისგან). კორექტირებული პოლიტიკა უკვე გამოიხატა იმისკენ, რომ გამოყვანილ იქნეს ციფრული ვალუტები იატაკქვეშეთიდან და განისაზღვროს მათთან დამოკიდებულების წესები.¹⁶ ამ კურსს შეიძლება ვუწოდოთ „მოშინაურების“ პოლიტიკა.

მაგრამ, ზოგიერთი ქვეყანა კიდევ უფრო შორს წავიდა. ამ ქვეყნებში, მონეტარული ხელისუფლების გადაწყვეტილებით, თუკი რაიმე ახალი მოძრაობის აკრძალვა ან აღმოფხვრა რთული ან შეუძლებელია, მაშინ საჭიროა მისი მოქცევა გარკვეულ ჩარჩოებში და მის სათავეში ჩადგომა. ზოგიერთი ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა გადაწყვიტა თავად შექმნას საკუთარი ციფრული ვალუტები და მოახდინოს მათი დახმარებით დამოუკიდებელი კერძო ციფრული ვალუტების განდევნა¹⁷. ქვეყნის ამგვარ მიმართულებას შეიძლება ვუწოდოთ „ლიდერობის“ პოლიტიკა.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნების უმრავლესობის პოლიტიკა კერძო ციფრული ვალუტების მიმართ ხასიათდება მონეტარული ხელისუფლების დაბნეულობით და მიღებული გად-

¹⁶ <http://www.fondsk.ru/news/2017/02/24/bitcoin-mikrob-iz-laboratorii-cifrovih-revolucionerov-43598.html>

¹⁷ <http://www.fondsk.ru/news/2017/03/11/centrobanki-vkljuchajutsja-v-cifrovuju-gonku-43662.html>

აწვევტილებების წინააღმდეგობრიობით. მრავალი ქვეყნის მთავრობების ფინანსურ-ეკონომიკური ბლოკის უწყებების ხელმძღვანელებსა და საქსპერტო საზოგადოებას შორის ციფრული ვალუტების ლეგიტიმურობის თაობაზე არათუ თანხმობა არსებობს, არამედ დიამეტრულად საწინააღმდეგო შეხედულებებს აქვს ადგილი. ექსპერტების შეფასებით, დღეისათვის მსოფლიოში დაახლოებით 600-მდე კერძო ციფრული ვალუტა არსებობს, მაგრამ ძირითადი ბიტკოინია (BTC). ბიტკოინების მონეტების ერთობლივი რაოდენობა 2017 წლისათვის შეადგენდა 16 მილიონს. თუ გამოვალთ იქიდან, რომ ერთი „მონეტა“ ეკვივალენტურია 10 ათასი დოლარის (გასული წლის საშუალო ფასის), მაშინ გამოდის, რომ ამ ვალუტის მსოფლიო მოცულობა ეკვივალენტურია 160 მლრდ დოლარის. ცენტრალური ბანკების მიერ ემიტირებული ნაღდი ფულის ასტრონომიული მოცულობის ფონზე (რომ არაფერი ვთქვათ იმ უნაღლო ფულზე, რომლებიც გამოშვებულია კომერციული ბანკების მიერ) ეს მიკროსკოპული მოცულობაა. და აი, ეს ფულადი „მიკრობი“, რომელსაც ბიტკოინი ეწოდება, იწვევს ასეთ ძლიერ შფოთვას ფულის სამყაროში. ბიტკოინების თემა შესულია ცენტრალური ბანკების, ხაზინების, საგადასახადო უწყებების, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (დავოსის) და ა.შ. სხდომების დღის წესრიგში. როგორც ჩანს, ბიტკოინად წოდებულ მიკრობს შეუძლია დააინფიციროს ფულის მთელი სამყარო, რითაც გამოიწვევს მტკივნეულ რეაქციებს. ან სულაც შეუძლია გამოიწვიოს ტრადიციული ფულის სამყაროს ლეტალური დასასრული [Катасонов В.Ю. 2017, 168].

ზოგიერთ ექსპერტთა აზრით, 2017 წლის 1 აპრილს ციფრული ფულის სამყაროში ადგილი ჰქონდა ძალზე მნიშვნელოვან მოვლენას. ამ დღეს იაპონიაში პარლამენტმა მიიღო კანონი კრიპტოვალუტებზე, რომლის პროექტი შემუშავებულ იქნა იაპონური ფინანსური რეგულატორების მიერ (Financial Services Agency, FSA). დოკუმენტი პარლამენტს წარედგინა 2016 წლის ოქტომბერში უმრავლესობის – იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მიერ კომიტოს პარტიასთან ერთად. ახალი კანონის არსი გამოიხატება იმაში, რომ ბიტკოინმა და სხვა კრიპტოვალუტებმა მიიღო ჩვეულებრივი ფულის სტატუსი, რომლებიც მიმოიქცევა ქვეყანაში ეროვნულ ფულად ერთეულთან – „იენასთან“ ერთად. კრიპტოვალუტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლისა და მომსახურების საყიდლად ან იჯარის ასანაზღაურებლად. ბუნებრივია, კერძო ციფრული ვალუტების გამოყენება შეიძლება მხოლოდ უნაღლო ფორმით ელექტრონული საგადახდო სისტემების მეშვეობით. ფორმალურად ნებადართულია კრიპტოვალუტების გამოყენება გადახდის საშუალებად. ამასთან, განისაზღვრა ბიტკოინის იენასთან მიმართებაში კურსის დადგენის პროცედურები. მაგრამ, ამ დროს ბიტკოინის იენაზე და სხვა კანონიერ ვალუტებზე გაცვლის ოპერაციებზე დაწესდა 8 პროცენტის გადასახადი, რამაც საშუალება არ მისცა კრიპტოვალუტას, ჩათვლილიყო სრულფასოვან ვალუტად. არსებული კანონი არ ითვალისწინებს გადასახადის დაუყოვნებლივ გაუქმებას. საჭიროა უამრავი ტექნიკური საკითხის გადაჭრა, რომლებიც უკავშირდება გადასახადებით დაბეგვრას და ოპერაციების კონტროლს, რაც განხორციელებულია ბიტკოინების გამოყენებით. აუდიტური სტანდარტის იაპონურ საბჭოს დაევადა, მოემზადებინა სრული ერთიანი საერთო წესები კრიპტოვალუტებზე ნახევარი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, კანონი ფაქტობრივად ამუშავდება. ტოკიოს ქვეყის ახლანდელ მიმართულებას კრიპტოვალუტებთან მიმართებაში შეიძლება ვუწოდოთ კერძო ციფრული ვალუტების „მოშინაურების“ პოლიტიკა. კრიპტოვალუტების გამოყენებას, მიღებული კანონის თანახმად, თან ახლავს სხვადასხვა საკმაოდ ხისტი მოთხოვნები. მოითხოვება ლიცენზიები კრიპტოვალუტებით ოპერაციების განსახორციელებლად, რისთვისაც კომპანიებს მოუწევთ შენატანების გადახდა 300 ათასი დოლარის ოდენობით (ამასთან, ლიცენზიაზე უარის თქმის შემთხვევაში ფული უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება). ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ლიცენზირების იაპონური მოდელი BitLicense-ის სისტემის მსგავსია, რომელიც შემოდებულ იქნა 2015 წელს ნიუ-იორკის შტატის მიერ. გარდა ამისა, კომპანიებისთვის, რომლებიც მუშაობენ კერძო ციფრული ვალუტით, აუცილებელი იქნება იქონიონ სარეზერვო საშუალებები 100 ათასი დოლარის ოდენობით, რეგულარულად მოახდინონ ანგარიშგება ფინანსური რეგულატორების მიმართ და გაიარონ გარე აუდიტი საგადასახადო სამსახურში.

აღსანიშნავია, რომ იაპონიაში ამჟამად კრიპტოვალუტების მასშტაბები მიკროსკოპულია. ბიტკოინებისა და სხვა კრიპტოვალუტების შიგა ბრუნვა იაპონიაში 2015 წლისათვის შეადგენდა 185 მილიონ იენს (1,67 მილიარდ დოლარს). მოსალოდნელია, რომ 2020 წლისათვის ის გაიზრდება ტრილიონ იენამდე. მაგრამ ეს ოდენობაც არ არის შთამბეჭდავი. მიუხედავად ამისა, ასეთ „მიკრობებს“ მიეძღვნა სპეციალური კანონები იაპონიაში, ხოლო გასული წლის 1 აპრილს მისმა მიღებამ გამოიწვია გაცხოველებული რეაქცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მთელ მსოფლიოში.

მრავალმა ექსპერტმა ნაადრევად განაცხადა, რომ კრიპტოვალუტების განვითარების პროცესს მსოფლიოში სათავეში ჩაუდგა იაპონია, რითაც მეორე პლანზე გადაინაცვლეს იმ ქვეყნებმა, რომლებიც აცხადებდნენ პრეტენზიას ამ როლზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთია. მართლაც, 2016 წლის ბოლოსათვის, ჩინეთი ითვლებოდა ბიტკოინების სამყაროს „ბირთვად“. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ამ ქვეყანაში ბიტკოინის მიმართ მონეტარული ხელისუფლება უკიდურეს სიფრთხილეს იჩენდა და თავს იკავებდა მისთვის ფულის სტატუსის მინიჭებისგან. ჩინურ ბანკებს კატეგორიულად აეკრძალებათ ბიტკოინებით ოპერაციები. მაგრამ, ჩინურმა ბირჟებმა მსგავსი უფლება მიიღეს. ზოგიერთი ბირჟა სპეციალურად ბიტკოინებით ოპერაციებისათვის შეიქმნა. ანალიტიკური ფორუმის

ჩაინანაღეს-ის შეფასების თანახმად, 2016 წლის პირველ ნახევარში მთელ მსოფლიოში ბიტკოინებით განხორციელებული ტრანსაქციების 42% განხორციელდა ჩინეთში, სადაც ბიტკოინები განიხილება არა როგორც ფული, არამედ საბირჟო ოპერაციების ინსტრუმენტი. დაახლოებით ისეთი, როგორცაა ფასიანი ქაღალდები ან ფინანსურ-წარმოებული ინსტრუმენტები, ან სულაც, როგორც მარცვლეულის ან ნავთობის მსგავსი საბირჟო საქონელი. მისი განსაკუთრებულობა მხოლოდ ის იყო, რომ წარმოადგენდა უფრო ვირტუალურ საქონელს. მისი ვირტუალურობა უფრო მაღალია, ვიდრე საფონდო ბირჟაზე მიმოქცევაში არსებული აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ვირტუალურობა. ბიტკოინის რეალურ აქტივთან არანაირი მიბმა არ გააჩნია. ეს არის ფაქტობრივად ფული „პაერიდან“. უფრო ზუსტად, ეს არის ფული კომპიუტერიდან, რომელიც კრიპტოვალუტების თავისებური „საბეჭდი მანქანა“ გახდა. ეგაა, რომ შექმნის პროცესს ეწოდება არა ემისია, არამედ მაინინგი („მოპოვება“ – რომელიც მიწიდან ოქროს მოპოვების მიმართ მიწისმცემს). ასე რომ, ჩინეთი მიმდინარე ათწლეულის შუა პერიოდში გადაიქცა ბიტკოინის მაინინგის მსოფლიო ცენტრად (ნებისმიერი შეფასებით, მსოფლიო „მოპოვების“ ნახევარზე მეტი მოდის ჩინეთზე).

მაგრამ, 2016 წლის ბოლოსა და 2017 წლის დასაწყისისათვის ჩინეთში კრიპტოვალუტის მიმართ პოლიტიკაში ძლიერი ცვლილებები მოხდა. განპირობებულია იმით, რომ ქვეყნიდან გააქტიურდა კაპიტალის გადინება, მათ შორის, არალეგალური არხებით და ბიტკოინების გამოყენებით. ზემოთ ნახსენები ფირმის Chainalysis-ის შეფასებით, 2016 წელს ბიტკოინების დახმარებით ჩინეთიდან გატანილ იქნა 2 მლრდ დოლარი. ამიტომ, ჩინეთის სახალხო ბანკმა და ქვეყნის სხვა ფინანსურმა რეგულატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, გაამკაცრონ კრიპტოვალუტების ბირჟების მუშაობის წესები. განსაკუთრებით სერიოზული გახდა ბიტკოინების გატანაზე შეზღუდვები საბირჟო მოედნების ფარგლებს გარეთ. როგორც ჩანს, ჩინეთმა ციფრული ვალუტების „მოშინაურების“ პოლიტიკიდან „ლიდერობის“ პოლიტიკაზე გადასვლა გადაწყვიტა. ეს გამოიხატება იმაში, რომ 2017 წლის მარტში ჩინეთის სახალხო ბანკმა განაცხადა იმის შესახებ, რომ მოქმედებაში უშვებს საკუთარი ციფრული ვალუტების შექმნის პროექტს, რომელიც მიმოქცევაში იქნება ოფიციალურ იუანთან ერთად. მაგრამ ამ განცხადებამ შედეგი ვერ გამოიღო. ჩინეთმა მკვეთრად დაკარგა თავისი მიმზიდველობა, როგორც ბიტკოინის მსოფლიო ცენტრმა. ასეთად შეიძლება იქცეს მისი მეზობელი იაპონია.

საინტერესოა ვნახოთ კრიპტოვალუტების მიმართ სხვა ქვეყნების დამოკიდებულებები. აშშ-ში ეს დამოკიდებულება შეიძლება შეფასდეს, როგორც მთლიანობაში საკმაოდ თავშეკავებული. ყოველ შემთხვევაში, ფედერალურ დონეზე ბიტკოინების ფულად აღიარებამდე საქმე არ მისულა. მეორე მხრივ, ამერიკაში კრიპტოვალუტების მიმართ ნორმატიული ბაზა ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, ამიტომ, დე-ფაქტო ბიტკოინი იქ საკმაოდ ფართოდ გამოიყენება. 2013 წლის ნოემბერში აშშ-ის სენატში იმსჯელეს ბიტკოინების თაობაზე, რომლის დროსაც გადაწყდა არ აკრძალულიყო კრიპტოვალუტების მიმოქცევა, არამედ დაწყებულიყო მუშაობა ამ ბიზნესის რეგულირებაზე. ადგილი აქვს ცდებს, მოხდეს ფირმების ლიცენზირება, რომლებიც დაკავებულნი არიან ოპერაციებით ბიტკოინების გამოყენებით. რამდენიმე ამერიკული გაცვლითი პუნქტი (მაგალითად, იტინსტანტ) იძულებული გახდა დახურულიყო სათანადო ფინანსური ლიცენზიის მიღებამდე. ბიტკოინების მიმართ გაზრდილ ყურადღებას იჩენს აშშ-ის საგადასახადო სამსახური. 2014 წელს მან გამოსცა სახელმძღვანელო ბიტკოინებითა და სხვა ვირტუალური ვალუტებით განსახორციელებელი ოპერაციების დანეგერის თაობაზე. ამ დოკუმენტის თანახმად, ფედერალური გადასახადების გამოთვლით, ბიტკოინები განიხილება როგორც ქონება ან საინვესტიციო აქტივი და არა როგორც ვალუტა. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი, რომლებიც ყიდულობენ ბიტკოინებს, მათი გაყიდვის დროს ღებულობენ მოგებას „კაპიტალის მატებიდან“ და არა „საკურსო სხვაობიდან“ (როგორც ამას აქვს ადგილი ჩვეულებრივი ვალუტებით ოპერაციების დროს). ბიტკოინების გამოშვებიდან მოგება ასევე იბეგრება გადასახადებით (მსგავსად იმისა, როგორც შექმნილი საქონელი და მომსახურება იბეგრება). მაგრამ ამერიკაში ყველა როდი ეთანხმება იმას, რომ ბიტკოინი მხოლოდ „ქონება“, „საქონელი“ ან „აქტივი“. ვაშინგტონში, კონგრესის როგორც ქვედა, ისე ზედა პალატაში არსებობენ „სახალხო რჩეულები“, რომლებიც ლობირებენ ამერიკული კანონების შესწორებებს, რათა მოხდეს ბიტკოინის, როგორც სრულფასოვანი ვალუტის ლეგალიზაცია, რომელიც იარსებებს აშშ-ის დოლართან ერთად (ანალოგიურად იაპონიაში მიღებული კანონისა). რაც შეეხება ცალკეულ შტატებს, მათ დონეზე კრიპტოვალუტების ლეგალიზაცია უფრო წინაა წასული, ვიდრე ვაშინგტონში. ჯერ კიდევ 2013 წლის აგვისტოში ტეხასის შტატის აღმოსავლეთი რეგიონის მოსამართლემ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ვინაიდან ბიტკოინების გამოყენება შესაძლებელია ფულის სახით საქონლის საყიდლად ან ჩვეულებრივ ვალუტებზე გადასაცვლელად, როგორცაა აშშ დოლარი, ევრო, იენი ან იუანი, მაშინ ბიტკოინი წარმოადგენს ვალუტას.

ექსპერტები პერიოდულად ადგენენ ქვეყნების რეიტინგებს სიმკაცრის ან, პირიქით, ლიბერალური მიდგომის მიხედვით კრიპტოვალუტებთან მიმართებაში ხელისუფლებების დამოკიდებულების მხრივ. 2016 წლის ბოლოსათვის, იმ ქვეყნების ხუთეულში, რომლებიც ყველაზე ლიბერალური რეჟიმით გამოირჩევიან კრიპტოვალუტებთან მიმართებაში, შედიოდა დიდი ბრიტანეთი, დანია, შვედეთი, ფინეთი, ნიდერლანდები. მაგრამ, თვით ამ ქვეყნებშიაც კი კრიპტოვალუტები

კვალიფიცირდება არა როგორც ფული, არამედ „აქტივი“, „ფინანსური მომსახურება“, „ვირტუალური საქონელი“ და ა.შ. შეფასების კრიტერიუმად გამოიყენება ბანკომატების რაოდენობა, რომლითაც ხორციელდება კრიპტოვალუტების გაცვლა; მაინინგების რაოდენობა; საბირჟო ოპერაციების ბრუნვა ვირტუალური ვალუტების გამოყენებით და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ზოგიერთმა (დიდმა ბრიტანეთმა და ნიდერლანდებმა) განაცხადეს ოფიციალური ციფრული ვალუტების გამოშვების გეგმების შესახებ. ყურადღება უნდა მივაქციოთ ევროპული სასამართლოს (European Court of Justice, ECJ) 2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებას კრიპტოვალუტების შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ ბიტკოინების ჩვეულებრივ ვალუტებზე გაცვლის ოპერაციები თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან. სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაზუსტებულია, რომ დღე-ზე კანონი ვრცელდება საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაზე. ბიტკოინებში განხორციელებული ტრანსაქციები მიეკუთვნა საგადახდო ოპერაციებს ვალუტებით, მონეტებითა და ბიტკოინებით და ამიტომ, ისინი არ უნდა დაექვემდებაროს აღნიშნულ დაბეგვრას. სასამართლომ ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას გაუწია რეკომენდაცია, გამოერიცხათ კრიპტოვალუტები აქტივების რიცხვიდან, რომლებიც ექვემდებარებიან გადასახადებით დაბეგვრას. მაგრამ, მრავალი ევროპული ქვეყანა ჯერჯერობით არ ჩქარობს ცხოვრებაში გაატაროს ევროპული სასამართლოს რეკომენდაცია. ვფიქრობთ, 2017 წლის 1 აპრილს იაპონიაში კრიპტოვალუტაზე მიღებული კანონის შემდეგ, ეს ქვეყანა შეიძლება შევიდეს კრიპტოვალუტების მსოფლიო ლიდერების ჯგუფში ან სულაც სათავეში ჩაუდგეს მას.

ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ამ მომენტამდე იაპონია განეკუთვნებოდა კრიპტოვალუტებთან მიმართებაში ყველაზე მკაცრი რეჟიმის მქონე ქვეყნების რიგებს. ეს აიხსნება იმით, რომ 8 პროცენტისი გადასახადი ვირტუალურ ვალუტაზე გაცვლაზე ძალიან უშლიდა ხელს იაპონურ ბიზნესს და იაპონელ მოქალაქეებს, ესარგებლათ ამგვარი ვალუტებით. მკაცრი რეჟიმების მქონე ქვეყნების ჯგუფში შედის აგრეთვე აშშ, ავსტრალია, ისლანდია, ჩინეთი. მაგალითად, ისლანდიას გააჩნია ევროპაში ყველაზე სერიოზული შეზღუდვები და აკრძალვები ბიტკოინებით ოპერაციებზე. კერძოდ, უცხოურ ვალუტაზე ეროვნული კანონი მოქალაქეებს უკრძალავს ბიტკოინების უცხოურ ვალუტებზე გაცვლის ოპერაციებს. მოცემული გადაწყვეტილება მიმართულია ისლანდიიდან ადგილობრივი ვალუტების გადინების აღსაკვეთად. მართალია, ეს აკრძალვა მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეებს ხელს არ უშლის, დაკავდნენ კრიპტოვალუტების მაინინგით, რომელმაც იქ დიდ მასშტაბებს მიაღწია. ისლანდიაში „მოპოვებული“ ბიტკოინები გაიტანება სხვა ქვეყნებში, სადაც შესაძლებელია კრიპტოვალუტების გაცვლა ჩვეულებრივ ვალუტებზე. ქვეყნების მოცემული ჯგუფი (მკაცრი რეჟიმის მქონე) ხასიათდება იმით, რომ ბიტკოინების ეროვნულ ვალუტაზე გაცვლის დროს აუცილებელია გადასახადების გადახდა. ბიტკოინებით ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ლიცენზიების არსებობისას. ასეთ ქვეყნებში ბანკებს ეკრძალებათ კრიპტოვალუტებით ოპერაციების განხორციელება. ზოგჯერ ბანკები უარს ამბობენ იმ კომპანიების მომსახურებაზე, რომლებიც ოპერაციებს ახორციელებენ ბიტკოინებით (როგორც ჩანს, აქ არსებობს საშიშროება იმისა, რომ ეს კომპანიები შეიძლება დაკავდნენ „გათეთრების“ უკანონო ოპერაციებით). ამგვარად, 2015 წლის სექტემბერში, ავსტრალიის უმსხვილესი ბანკების ჯგუფმა, რომელიც მოიცავს Westpac Banking Corporation-ს და CBA-ს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დახურა, სულ მცირე, 17 ბიტკოინ-კომპანიების ანგარიშები. კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კომისიას მოუწია გარკვეულიყო იმაში, თუ რამდენად შეესაბამებოდა ასეთი დემარში კანონს. რაც შეეხება საქართველოს, ის ასევე განეკუთვნება „მკაცრი“ რეჟიმების მქონე ქვეყნების ჯგუფს.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ მითითებულ რეიტინგებში არ ხვდება ქვეყნები, რომლებმაც შემიძღეს 100 პროცენტისი აკრძალვები კრიპტოვალუტების გამოყენებაზე. ასეთი „ლიქტატორული“ რეჟიმების სიაში ფიგურირებს ბოლოვია, ეკვადორი და ბანგლადეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქობავა მ., კაკულია ნ., 2017, გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ალტერნატიული ფული. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 261.
2. Катасонов В.Ю. 2016, Смерть денег. Куда ведут мир «хозяева денег». Метаморфозы долгового капитализма. - М.: Книжный мир, пмю 340.
3. Катасонов В.Ю. 2017, Закрытый мир финансов. Трасты и оффшоры. - М.: Книжный мир, გვ. 165.
4. Катасонов В.Ю. 2017, Закрытый мир финансов. Трасты и оффшоры. - М.: Книжный мир, გვ. 168.

*Malkhaz Chikobava
Nazira Kakulia*

THE MODERN GENESIS OF THE CRYPTOCURRENCIES

Summary

In the section we are talking only about this aspect of experience, like the creation of alternative money. Today, more and more often we hear such new words as "crypto-currency", "digital money", "virtual currency", "electronic

money", "bitcoins", "electronic wallets", "block money", "alternative money", " Network money ", etc. A few years ago a very narrow circle of people used such a lexicon - mathematicians, programmers, specialists in payment and communication systems, cryptographers from banks and special services.

New crypto-tools are called "currency", "money". However, this is an obvious exaggeration. The main function of any money is a "measure of value," with the help of money, prices for goods, services, assets, labor, etc. are determined. Even modern official currencies do not perform this function well, because the world has a paper-money standard, and currency rates "walk".

Similarly, it is doubtful that the crypto-currency would perform such a monetary function as a "means of exchange" and a "means of payment". Numerous examples of how the Crypto-currency is used to buy goods and services - from the category of advertising. The lion's share of all transactions using Crypto-currency is exchange for other currencies. Given the sharp fluctuations in the rate of the Crypto-currency, one can confidently say that these are purely speculative transactions. So, Crypto-currency is not money, but a gambling tool, like roulette or playing cards.

In general, it can be noted that the policy of most countries in relation to CW is characterized by the confusion of monetary authorities, and the contradictory nature of the decisions made. Among the expert community and heads of departments of the financial and economic block of governments of many countries there is not only agreement on the legitimacy of digital money, but even there are diametrically opposed opinions. Today in the world, according to experts, there are about 600 types of private digital currencies, but the main one is bitcoin (VTS). The aggregate number of "coins" of military-technical cooperation at the beginning of this year was 16 million. Assuming that one "coin" is equivalent to one thousand dollars (the average price last year), it turns out that the world volume of this currency is equivalent to \$ 16 billion. A ridiculously microscopic volume against the background of astronomical volumes of cash issued by the Central Banks (about non-cash money issued by commercial banks, I do not say at all). And this money "microbe", called bitcoin, causes such excitement in the world of money. The topic of the bitcoins was on the agenda of meetings of central banks, treasuries, tax departments, the International Monetary Fund, the World Economic Forum (Davos), etc. All this is no accident. Apparently, a microbe called bitcoin can infect the whole world of money, causing painful reactions in this world. Or even leading to a lethal outcome of the world of traditional money.

თინა ჩხეიძე
ქეთევან ქველავაძე

ეკოლოგიური კატასტროფების პრევენციისათვის

ანოტაცია. სტატიაში განხილულია კაცობრიობის განვითარების მეტად საყურადღებო თანამედროვე ტენდენცია, როგორცაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წარმართვა ეკოლოგიისა და ცივის პრინციპების გათვალისწინებით, რაც დღეისათვის მთელს მსოფლიოში მეტად აქტუალურ საკითხად იქცა და რომლის უგულვებელყოფაც საბოლოოდ ეკოლოგიური კატასტროფების წინაშე გვაყენებს.

სტატიაში ასევე გაანალიზებულია ეკოლოგიური კატასტროფების გამომწვევი მიზეზები, დახასიათებულია ეკოლოგიისა და ეკონომიკის ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები და ამოცანები. ნაჩვენებია ეკოლოგიური კატასტროფების გამომწვევი ანთროპოგენული ფაქტორები (ადამიანის ეკონომიკური სამეურნეო საქმიანობა), ასევე მოცემულია რეკომენდაციები ეკოლოგიური კატასტროფების.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგია, კატასტროფა, ეკონომიკური განვითარება, ეკოლოგიური კრიზისი, გლობალური დათბობა, რესურსი.

ეკოლოგიურ სამყაროზე ანთროპოგენულმა უარყოფითმა ზეწოლამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში გააძლიერა და გაახშირა დედამიწაზე ეკოლოგიური კატასტროფები. კაცობრიობა ისეთი გლობალური ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დააყენა, როგორცაა ოზონის შრის შემცირება, კლიმატის დათბობა, გაუდაბნობა, ბიომრავალფეროვნების შემცირება, შიმშილი, ავადმყოფობა, სიკვდილიანობის მატება და სხვა.

ნებისმიერი ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას საფუძვლად უდევს იმ ბუნებრივ-რესურსული (მიწა, წყალი, ტყე, სასარგებლო წიაღისეული, მცენარეული და ცხოველური სამყარო და სხვა) პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენება, რომელიც ქვეყანას გააჩნია.

ეკონომიკური განვითარება, ნაკარნახები პლანეტის მოსახლეობის ზრდით, ემყარება რესურსტევადი ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელიც უმოწყალო ექსპლუატაციით აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ბიოსფეროს.

ეკონომიკური ზრდა უშუალოდ არის დაკავშირებული პლანეტის ბუნებრივი რესურსების მზარდი სიჩქარით განადგურებასთან, რისი შედეგიც აღინიშნა ადღგენადი და არაადღგენადი ბუნებრივი რესურსების მარაგის შემცირებით და გარემოს მდგომარეობის გაუარესებით.

ეკოლოგიის ზეგავლენა ეკონომიკაზე განპირობებულია ბუნებაში მიმდინარე ცვლილებებით, რომლებიც გამოიწვია ადამიანის სამეურნეო საქმიანობამ, რაც ურთიერთგანპირობებული ეკოლოგიური და ეკონომიკური კრიზისების ერთ-ერთი წყარო და მიზეზი გახდა.

ეკონომიკა და ეკოლოგია ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომელებიც შეისწავლიან ერთი და იმავე ობიექტის სხვადასხვა მხარეს, რაზეც მეტყველებს მათი დასახელებაც. ტერმინებს - ეკონომიკა და ეკოლოგია - ერთი და იგივე ფუძე - „ოიკოს“ - აქვს, რომელიც ეტიმოლოგიურად ბერძნული წარმოშობისაა და „სახლს“, „საცხოვრებელ ადგილს“ ნიშნავს.

ეკოლოგია ბიოლოგიის ის ნაწილია, რომელიც შეისწავლის ეკოსისტემებს, ცოცხალი ორგანიზმების (მათ შორის ადამიანის) სასიცოცხლო გარემოს და ურთიერთკავშირს. ეკოლოგიის მიზანია ეკოსისტემების შესწავლა და შენახვა-შენარჩუნება.

ეკონომიკა არის სახალხო მეურნეობის გონივრული მართვის მეცნიერება. იკვლევს ადამიანის საცხოვრებელ პირობებს, საქმიანობას, ბუნებათსაგებობის კანონზომიერებებს. მისი მიზანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა-განვითარება დიდი მოგებითა და მინიმალური დანახარჯებით.

ამრიგად ვლინდება, რომ ეკონომიკას და ეკოლოგიას ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები გააჩნია. კაცობრიობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური დონე იმის მიხედვით უმჯობესდება, თუ რა ტემპით, რა რაოდენობით ხდება ბუნებრივი რესურსების გამოყენება და პროდუქციის წარმოება.

სამწუხაროდ, დღეს თანამედროვე ეკონომიკის განვითარება შეიძლება დაგახასიათოთ, როგორც ბუნებათდამანგრეველი ტექნოგენური ტიპის განვითარება, რომელიც ბუნებრივ რესურსებს იყენებს ეკოლოგიური შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე, რაც იწვევს არაადგენადი ბუნებრივი რესურსების (პირველ რიგში სასარგებლო წიაღისეულს) და ადგენადი რესურსების (მიწა, წყალი, ტყე და ა.შ.) ზეექსპლუატაციას, ბუნებრივი რესურსების აღწარმოებასა და ადგენას სწრაფად.

წინააღმდეგობა საზოგადოებასა და ბუნებას შორის ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან დაიწყო, როდესაც ადამიანი არ დააკმაყოფილა ბუნების მიერ ბოძებულმა ნობათმა (საკვებმა და ა.შ.) და უფრო მეტი ბუნებრივი რესურსის მიღების მიზნით მან პრიმიტიული შრომის იარაღებით დაიწყო მიწის დამუშავება.

ადამიანმა ბუნებაზე ძალის გამოყენებით მიღწია იმას, რომ ბუნებისაგან იღებდა იმაზე მეტ რესურსს ვიდრე ეკოსისტემის კვლავწარმოების ტემპი ამის საშუალებას იძლეოდა, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახა ეკოსისტემაზე, ნაციონალურ და მსოფლიო ეკონომიკაზე.

XX ს-ის მეორე ნახევარში აღინიშნა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის უპრეცედენტო ტემპი.

სახალხო მეურნეობის ბევრი დარგი დამოკიდებულია ბუნებრივი რესურსების რაოდენობასა და მიწოდების ტემპზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ეკოლოგიურ კანონზომიერებაზე. განსაკუთრებით XX ს-ის მეორე ნახევარში მსოფლიოში მრეწველობის განვითარებამ ეს დამოკიდებულება სულ უფრო ხშირი და მასშტაბური გახადა.

წინათ ეკონომიკის ბუნებრივი რესურსებით დაკმაყოფილება არ ითვლებოდა, როგორც ეკოლოგიაზე (დამოკიდებულება) ზეწოლა, მაგრამ XX ს-ის მეორე ნახევრიდან ეს დამოკიდებულება უფრო გამოიკვეთა და გამოჩნდა, რომ ეკოლოგიის ზეგავლენა ეკონომიკაზე მუდამდებია ბუნებაში ადამიანის სამეურნეო მოქმედების ცვლასთან დაკავშირებით.

კაცობრიობის განვითარების საწყის ეტაპზე საზოგადოების ზეწოლა გარემოზე უმნიშვნელო იყო, არ აღინიშნებოდა უარყოფითად. მაგრამ შემდგომ ადამიანის უსახლვრო და უკონტროლო შეჭრამ ბუნებაში სავალალოდ უარყოფითი შედეგი გამოიღო, რასაც თან მოჰყვა წარმოების ნარჩენების უწყურადღებოდ დატოვება, რამაც წარმოქმნა ნავის გროვები, რომლებიც დიდ ფართობებს აბინძურებს. შედეგად ვლდებულობთ ანთროპოგენული ზემოქმედების ან სტიქიური უბედურების ბუნებრივი სტრუქტურის და ფუნქციონირების მოშლას. ამრიგად დგება ეკონომიკური კრიზისი, რომელიც გადაიზრდება ეკოლოგიურ კრიზისში.

ეკოლოგიური კრიზისი არის წონასწორობის დარღვევა ეკოლოგიურ სისტემებში, მისი მახასიათებელია ის, რომ ადამიანი, საზოგადოება და სახელმწიფო უძღვრია, შეცვალოს ბუნების გაუარესებისაკენ მიმართული ტენდენცია.

ეკოლოგიური პრობლემების განსაკუთრებულობა მდგომარეობს მათ მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაში, ერთი რომელიმე ბიოლოგიური რგოლის დარღვევას (ჯაჭურით რეაქციით) მოსდევს უარყოფითი შედეგი მოდევნო რგოლებში (მაგ., ორგანული ტიპის საწვავის წვის გამო ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მომატება იწვევს კლიმატის ცვლილებას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია გლობალურ დათბობასთან, ეს კი ხელს უწყობს დედამიწის მოსახლეობის სიღარიბეს და შიმშილს და ა.შ.).

მრავალი ასეული წელი დასჭირდა იმას, რომ მზიდან შემოსულ და დედამიწის მიერ არეკლილ ენერგიას შორის წონასწორობა დამყარებულიყო, რის შედეგადაც დედამიწაზე ჩამოყალიბდა თანამედროვე კლიმატი.

რაც უფრო მაღალია „სათბური გაზების“ კონცენტრაცია ატმოსფეროში, მით მეტი სითბო რჩება დედამიწაზე. „სათბური გაზების“ კონცენტრაციის მიხედვით იცვლება კლიმატი (დგება გლობალური დათბობის რეალური საფრთხე).

გლობალურ დათბობას იწვევს ატმოსფეროში ე.წ. „სითბური გაზების“ ემისია, რომლის გააქტიურებასაც ხელს უწყობს ანთროპოგენული ფაქტორი, მაგალითად, როგორც არის ავტომობილი (თანამედროვე მსოფლიოში 500 მლნ-ზე მეტი ავტომობილია, ერთი ავტომობილი ყოველწლიურად მოიხმარს 4ტ ჟანგბადს და გამოყოფს 1 ტონაზე მეტ მავნე ნივთიერებას; დედამიწაზე, ყოველწლიურ-

რად 2 მლრდ ტონა წიაღისეული საწვავი იწვის, რაც 5,5 მლრდ ტ-ს ნახშიროჟანგს გამოყოფს ატმოსფეროში; გარემოს დაბინძურება სოფლის მეურნეობის საწარმოებიდანაც ხდება და ა.შ.).

გლობალური დათბობა დედამიწაზე კლიმატის ცვლილებას იწვევს. ჰაერის ტემპერატურის ზრდა უფრო და უფრო მძაფრ ხასიათს იღებს. კლიმატის გლობალურ ცვლილებას თან სდევს უამრავი არაორდინალური მოვლენა. ასე მაგ., ინტენსიურად დნება არქტიკისა და გრენლანდიის ყინულოვანი საფარი. სწრაფად მატულობს არქტიკის საშუალო წლიური ტემპერატურა. თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, საუკუნის ბოლოსთვის არქტიკა ზაფხულობით ყინულით დაფარული აღარ იქნება. არქტიკისა და გრენლანდიის ყინულის დნობის შედეგად ოკეანეში ჩაედინება ცივი წყალი, რომელიც ასუსტებს გოლფსტრიმის თბილ დინებას, რომელსაც სითბო ეკვატორიდან ჩრდილო განედისკენ გადააქვს, შედეგად, ბევრი კუნძული და ნახევარკუნძული წყლით დაიფარება და მოსახლეობის დიდი ნაწილი უსახლკაროდ და მშვიერი დარჩება.

ბოლო წლებში დედამიწაზე გახშირდა და გაძლიერდა სითბური ტალღები (სითბური ტალღები ეწოდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უკიდურესად ცხელ ამინდს), რომელსაც თან სდევს მაღალი სინოტივე (2003 წელს იენის-აგვისტოში ევროპაში განვითარებული სითბური ტალღები უკიდურესად ცხელი იყო, განსაკუთრებით საფრანგეთში. ამ წელს “სითბური ტალღების” შედეგად 37 ათასზე მეტი ევროპელი გარდაიცვალა, აქედან ყველაზე მეტი დაახლოებით 14 ათასი ადამიანი, საფრანგეთში, ისინი ძირითადად მარტოხელა მოსუცები იყვნენ).

“სითბურმა ტალღებმა” სამხრეთ ევროპაში მარცვლეულის უქმარისობა გამოიწვია. ევროკავშირის ქვეყნებში ხორბლის მოსავალი მოსალოდნელზე 10 მლნ ტონით ნაკლები აღმოჩნდა.

აღნიშნული კლიმატური ცვლილებები დედამიწაზე გამოწვეულია დამატებითი კვალსათბურის ეფექტით, რის გამოც 1860 წლიდან ტემპერატურამ აიწია 0,5⁰-0,7⁰ C-ით. კვალსათბურის ეფექტის გამომწვევ გაზებს მიეკუთვნება CO₂, N₂O და ფრეონი, რომელთა გააქტიურება დაკავშირებულია მრეწველობის განვითარებასთან.

XVIII ს. ბოლოდან ატმოსფეროში მოიმატა CO₂ და CH₄-ის შემცველობამ. 1960 წლიდან 1990 წლამდე CO₂-ის კონცენტრაცია გაიზარდა 315 PPM-დან 350 PPM-მდე. CH₄-ის კონცენტრაცია თითქმის გაორგუდა. CO₂-ის დამატებითი ზრდა დაკავშირებულია ძირითადად სათბობის წვასთან, ტყის მოსპობასთან, ჰუმუსის მინერალიზაციასთან და სხვა.

პროგნოზის მიხედვით, თუ ატმოსფეროში CO₂-ის კონცენტრაცია 600 PPM-ს მიაღწევს, მაშინ ბიოსფეროს ტემპერატურა 2025 წლისათვის 10⁰ C-ით აიწევს, ხოლო XXI ს-ის ბოლოს - 30⁰ C-ით, ამინდში ცვლილებები გამოიწვევს ექსტრემალური ცხელი დღეების რიცხვის მატებას, გვალვების ხანგრძლივობას, რომელსაც შეცვლის კოკისპირული წვიმები, ქარიშხლები, შტორმები და ა.შ. შეიძლება ნალექების რაოდენობა შემცირდეს ძირითადად მარცვლეულის მომყვან რაიონებში: აშშ, ჩინეთში, ყაზახეთში. მოხდეს ძლიერი გაუდაბნობა აფრიკასა და შიდა აღმოსავლეთში, რაც გახდება ტროპიკული ტყეების დაღუპვის მიზეზი.

აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურის 1⁰C-ით მომატების შემთხვევაში მოსალოდნელია ხორბლის და სიმინდის მოსავლიანობის 30%-ით შემცირება, ხოლო დასავლეთ საქართველოში ტემპერატურის დაკლება საგრძობლად შეზღუდავს ამ რეგიონში ტრადიციული ჩაის წარმოებას. ფოთი-სუფსის მონაკვეთზე გამოვლინდა ზღვის დონის ზრდის (წელიწადში 4-5,6 მმ-ით) ტენდენცია, რაც საფრთხეს უქმნის ამ ტერიტორიაზე დაგეგმილ უმნიშვნელოვანეს ობიექტებს და გამოიწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს.

მსოფლიო ოკეანის დათბობამ განაპირობა წყლის სიღრმული ცირკულაციის გაძლიერება შავ ზღვაში, რის შედეგადაც სანაპირო ზოლმა დაიწია. ზღვის ზედაპირის ტემპერატურამ კი აიწია (ბოლო 70 წლის განმავლობაში 10⁰C-ით), რამაც განაპირობა სარეკრეაციო პერიოდის შემცირება.

გლობალური დათბობა სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ქვეყნის მიწათსარგებლობის.

ბოლო პერიოდში დედამიწაზე მოსახლეობის ზრდამ, ტრანსპორტის განვითარებამ, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ, რაც მთავარია, კლიმატის შეცვლამ და სხვა ანთროპოგენულმა ფაქტორებმა მკვეთრად გააფართოვა და გააძლიერა ნიადაგზე ადამიანის ზემოქმედების მასშტაბები, რაც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ნიადაგს. ნიადაგი კარგავს მისთვის დამახასიათებელ ნაყოფიერებას, აღარ იძლევა მოსავალს და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის უვარგისი ხდება, რის გამოც დეგრადირებული მიწები ეთიშება სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, მაშინ როდესაც მიწა სიცოცხლის, ხალხთა კეთილდღეობის საფუძველია, მიწის გარეშე ვერ განვითარდება მრეწველობის ვერც ერთი დარგი.

კვლევებმა ცხადყო, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდის ტემპის შენელების ძირითადი მიზეზი მიწის რესურსების პოტენციალის კვლავწარმოებისადმი არასაკმარისი ყურადღებაა, რაც იწვევს ნიადაგის დეგრადირებას და მის თანმდევ ნეგატიურ შედეგებს.

მსოფლიო მიწათმოქმედებაში მიწის რესურსების დანაკარგისა და ნიადაგის დეგრადაციის შეუქცევადობის მკვეთრად გამოხატულმა ტენდენციამ, აგრეთვე ახალი მიწების ათვისების სიძნელეებმა, და რაც მთავარია სიძვირემ, წინა პლანზე წამოსწია პრობლემა დღეს არსებული მიწების დაცვისა და მათი პროდუქტიულობის ძირეულად გაუმჯობესების შესახებ.

ასეთ დროს ნიადაგის დეგრადაციისაგან დაცვის ერთ-ერთ საიმედო ფაქტორს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება წარმოადგენს, რაც უშუალოდ დაკავშირებულია „სასურსათო უსაფრთხოების“ უზრუნველყოფასთან.

შიმშილის პრობლემამ დღეისათვის გლობალური ხასიათი მიიღო. სასურსათო უსაფრთხოება განეკუთვნება ფუნდამენტურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემათა კატეგორიას. სურსათს, როგორც სიცოცხლის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, თანამედროვე მსოფლიოსათვის სასურსათო პრობლემა მეტად აქტუალურია, რადგან მოსახლეობის მატება ადეკვატურ ზეგავლენას ახდენს სურსათზე მოთხოვნილების ზრდაზეც.

1995 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში ნათლადაა ჩამოყალიბებული ქვეყნის გარემო ბუნების დაცვის პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას. ქვეყნის ეკოლოგიური პრობლემები უნდა გახდეს როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური განვითარების საფუძველი.

დასკვნა

ამრიგად, ბუნებრივი რესურსების გამოყენების თანამედროვე პრობლემები მოითხოვს ჩვენს განკარგულებაში არსებული რესურსების მოხმარების პოლიტიკის მთლიანად გადასინჯვას.

ეკოლოგიური კატასტროფების პრევენციისათვის საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი:

1. ბუნებრივი რესურსის ექსპლუატაცია და წარმოების ეკონომიკა უნდა დაექვემდებაროს ეკოლოგიურ მოთხოვნილებათა პრინციპების „ოპტიმალურობას“, „რაციონალური ბუნებათსარგებლობა“ – „ბუნებათსაგებლობის ღირებულების“ მკაცრ მოთხოვნებს.

2. უნდა შეიცვალოს წარმოების მაკროეკონომიკური მანველებლების ანგარიშსწორება ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიური ზარალის ჩვენებით, რაც ქვეყნის ეკოლოგიურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ანალიზის საშუალებას მოგვცემს.

3. ეკონომიკური ზრდა უნდა მოხდეს ტექნოლოგიის სრულყოფით, მცირენარჩენებიანი ენერგო და რესურსდამზოვი წარმოებით, ნარჩენების გამოყენებით, ბუნებრივი ეკოლოგიური ენერგეტიკის ეკონომიკით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Матвеева Е., Экологическая политика Евросоюза, Вестник нижегородского университета, 2010
2. ჩხეიძე თ., ქველაძე ქ., „მიწის რესურსი და მიწათსარგებლობის აქტუალური საკითხები საქართველოში“, 2015, შპს „გეოქტორი 2009“-ის გამომცემლობა.
3. ჩხეიძე თ., ქველაძე ქ., საქართველოს სოფლის მეურნეობა გლობალური დათბობის მოლოდინში – საერთაშორისო ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, №3, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2014.
4. ჩხეიძე თ., სასურსათო უსაფრთხოება და მიწის პრივატიზება საქართველოში, ე. „სოციალური ეკონომიკა“, თბ., 2003, №5.

*Tina Chkheidze
Ketevan Kveladze*

FOR ECOLOGICAL DISASTER PREVENTION Summary

In the article "Ecological Disaster Prevention", the causes of ecological catastrophe are considered, contradictory objectives and aims of ecology and economics are characterized. Anthropogenic factors causing ecological disasters are shown. (Human economic activity).

For the prevention of ecological disasters it is recommended that the economy of production be subjected to the ecology re-production requirements, and the ecological damage and the cost of the natural resources inflicted on the ecosystem be indicated during the settlement.

Thus, the modern conditions for the use of natural resources require a complete revision of the policy of consumption of resources available at our disposal.

გიორგი ხარშილაძე

მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ზომიერითი გამომწვინებანი ბარჯამავალი პერიოდის საქართველოში

ანოტაცია. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი ის მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორცაა მაკროეკონომიკური არასტაბილურობა. აღნიშნული პრობლემა მწვავედ დადგა და დგას გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე მდგარ თითქმის ყველა ქვეყანაში წარმოიშვა მრავალი პრობლემა, რომელთა დროული გადაწყვეტა წარმოადგენს პირველი რიგის ამოცანას.

საკვანძო სიტყვები: გარდამავალი პერიოდი, მაკროეკონომიკური პრობლემები, მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, სტაბილიზაციის პოლიტიკა.

შესავალი

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლო პერიოდიდან მსოფლიო ეკონომიკურ პროცესზე არსებითი გავლენა მოახდინა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ნგრევამ. ცნება „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“ განსაზღვრავს განსახორციელებელი გარდაქმნების მიმართულებას და ხარისხს. მისი, როგორც ცნების ჩამოყალიბება განპირობებულია იმის აუცილებლობით, რომ ერთი კონკრეტული ტერმინით აღინიშნოს იმ მოვლენების ერთიანობა, რომელიც მიმდინარეობს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, სადაც, ხელისუფლების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მოახდინოს სახელმწიფო საკუთრებაზე მონოპოლიის გაუქმება და კერძო საკუთრების განვითარებულ ინსტიტუტებზე დაფუძნებული საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ტიპის ეკონომიკური რეფორმა არსებობს. ერთ-ერთ ასეთი კლასიფიკაციის მიხედვით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რამდენიმე ისტორიული პროცესი შეგვიძლია განვიხილოთ: [პაპავა ვ., 2015:36].

კლასიკური გადასვლა, რომელიც გულისხმობს საბაზრო დემოკრატიის გაფართოებას კაპიტალისტური ქვეყნების მაგალითზე;

ნეოკლასიკური გადასვლა, რომელიც აისახა საბაზრო რეფორმების პროცესში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ;

ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები არაკომუნისტურ ქვეყნებში;

ახიური პოსტკომუნისტური ეკონომიკური რეფორმები.

დღევანდელ ეპოქაში საბაზრო ეკონომიკურ სისტემას ალტერნატივა არ გააჩნია. შესაბამისად, მისი უმთავრესი პრინციპების დამკვიდრება მთავარი წინაპირობაა ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის. კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული უფლებების არსებობა საბაზრო ეკონომიკის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. ამ უფლებათა დაკანონება წარმოადგენს გარდამავალი პროცესის მთავარი ინდიკატორია. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) ჩამოყალიბებული აქვს პროგრესის გამოთვლის ინდიკატორები გარდამავალ პერიოდში. კლასიფიკაციის სისტემა თავდაპირველად ამ უკანასკნელის 1994 წლის გარდამავალი პერიოდის ანგარიშში გამოქვეყნდა, თუმცა მომდევნო წლების ანგარიშებში ის რამდენჯერმე შესწორდა და დაიხვეწა. ეს ინდიკატორებია:

ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია;

მცირე ზომის საწარმოთა პრივატიზაცია;

მთავრობისა და სამეწარმეო რესტრუქტურისა;

ფასთა ლიბერალიზაცია; სავაჭრო და სავაჭრო გაცვლითი სისტემის რეორგანიზაცია;

კონკურენციის პოლიტიკის წახალისება;

საბანკო რეფორმა და საპროცენტო განაკვეთის ლიბერალიზაცია;

ფასიანი ქაღალდების ბაზრებისა და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების განვითარება;

ინფრასტრუქტურის რეფორმა.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნების დიდმა ნაწილმა ზემოთ აღნიშნული პრინციპების რეალობაში განხორციელება ვერ შეძლო. გარდამავალ პერიოდში ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის მთავარ თავისებურებად მისი გლობალური დაუბალანსებლობა უნდა მივიჩნიოთ [ბახტაძე ლ., 2006:15]. სწორედ აღნიშნული პრობლემა უნდა გადაწყდეს დროულად გარდამავალ პერიოდში სტრუქტურული გარდაქმნების საფუძველზე. ამ უკანასკნელის გადაწყვეტით არის განსაზღვრული იმ კონკრეტული ამოცანების სპეციფიკა, რომელიც დგას სახელმწიფოს წინაშე.

მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რომელსაც გამოვლენის მრავალი ფორმა გააჩნია, წარმოადგენს წარსულში და რეფორმების პერიოდში მოქმედი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ფაქტორების უცნაური გადახლართვის შედეგს [ბახტაძე ლ., 2006:15]. გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოთა უმრავლესობაში სასტარტო პირობები ერთმანეთისგან განსხვავდება, რომელიც გამოხატულებაში სწორედ მაკროეკონომიკური დაუბალანსებლობის ხარისხში უნდა ვეძებოთ. ეს უკანასკნელი კი გამოიხატება საბიუჯეტო და სავაჭრო ვაჭრობის დეფიციტის, ფულის ჭარბი მასის, შეზღუდული სავალუტო რეზერვების სავაჭრო ვალის ტვირთის არსებობაში.

ტრანზაქციული ეკონომიკის მკვლევარები განსხვავებულად აფასებენ გარდამავალ პერიოდში განსახორციელებელ რეფორმებს. ძირითადი აქცენტი გადატანილია ქვეყნების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურული თავისებურებებზე და მიზანშეწონილად მიიჩნევენ გარდაქმნის განსხვავებული სტრატეგიების დანერგვას ან დომინანტურ როლს ანიჭებდნენ იმ საერთო პოსტულატებს, რომლებიც ცნობილია როგორც „ვაშინგტონის კონსენსუსი“ (რომლის ავტორი ამერიკელი ეკონომისტი ჯონ ვილიამსონია) და რომელიც თავდაპირველად XX საუკუნის 80-იან წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის შეიქმნა. გარდამავალ ეტაპზე ახალი ეკონომიკური აზროვნებაც წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ძველ აზროვნებასთან.

1990-იანი წლებიდან „ვაშინგტონის კონსენსუსი“ პოსტსოციალისტური და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისის დასაძლევ ძირითად სარეკომენდაციო ბაზად იქცა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისთვის. „ვაშინგტონის კონსენსუსში“ მოცემულია 10 ძირითადი რეფორმა, რომელიც გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ უნდა განახორციელოს:

- ფისკალური დისციპლინის დამყარება (ბიუჯეტის მინიმალური დეფიციტი);
- სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვის, განათლების და ინფრასტრუქტურის პრიორიტეტულობა;
- არსებული საგადასახადო განაკვეთების შემცირება;
- ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაცია, რათა რეალური საპროცენტო განაკვეთი შენარჩუნდეს დაბალ, მაგრამ დადებით დონეზე
- ეროვნული ვალუტის თავისუფალი გაცვლითი კურსი;
- საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია (ძირითადად საიმპორტო ტარიფების შემცირების გზით);
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისთვის შეზღუდვების შემცირება;
- პრივატიზაცია;
- ეკონომიკის დერეგულირება;
- საკუთრების უფლების დაცვა.

ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებების შედეგად გამოვლენილი ზოგიერთი მაკროეკონომიკური არასტაბილურობა გარდამავალი პერიოდის საქართველოში

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ცალკეული თავისებურებანი საქართველოში არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ გავცეთ პასუხი ისეთ მნიშვნელოვან შეკითხვებს, როგორცაა, მაგალითად, როდის დასრულდება გარდამავალი პერიოდი, როდის გამოვა ეკონომიკა კრიზისული პერიოდიდან და როდის უზრუნველყოფს იგი მოსახლეობის ცხოვრების დონის არსებით გაუმჯობესებას. აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხი შეიძლება მოგვცეს მხოლოდ ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ანალიზმა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზების ძიებამ.

ტრანსფორმაციული ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის გზები შეგვიძლია განსხვავებულად აღვიქვათ, მაგრამ ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს უნდა გაავსვათ ხაზი – ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკა წარმოადგენს წარსულს, რომლის ადგილი წარმატებით დაიკავა საბაზრო ეკონომიკურმა სისტემამ. მართალია, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეს უკანასკნელი შორსაა სრულყოფილებისგან, მაგრამ ის ფაქტი, რომ ბაზარი არსებობს, არავის ეჭვს არ იწვევს.

დამოუკიდებლობის მოპოვების საწყისი პერიოდი მეტად მძიმე გამოდგა საქართველოსთვის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. შესაბამისად, ეკონომიკური ვარდნა ლოგიკურ პროცესად უნდა მივიჩნიოთ.

1990-1994 წლების ძლიერი დაცემის შემდეგ, 1994-1998 წლებში მთელი რიგი ეკონომიკური რეფორმები გატარდა იყო ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის მიმართულებით. შედეგად, გარკვეული ტიპის ცვლილებები განიცადა საბანკო სისტემამ, შემოდებულ იქნა ეროვნული ვალუტა ლარი, განხორციელდა მცირე და საშუალო ტიპის საწარმოების პრივატიზაცია, ვაჭრობის ლიბერალიზაცია. აღნიშნული წარმოდგენდა ეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების რეფორმას, რომლის მიზანი იყო ჰიპერინფლაციის შეჩერება, ეკონომიკის დაბალანსება და ინსტიტუციური პირობების შექმნა. შედეგად, სწრაფად გაიზარდა ეროვნული შემოსავლები, რაც განპირობებული იყო არა მხოლოდ გატარებული რეფორმებით, არამედ 1996-1998 წლებში ბაქო-სუფსის და 2003-2005 წლებში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობით.

მიუხედავად ამისა, განვითარების დონე არასაკმარისი აღმოჩნდა სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, რის მაგალითსაც წარმოადგენდა მსოფლიო ბანკის კვლევა, რომლის მიხედვითაც იმ ადამიანთა ოდენობა, რომელთა დღიური შემოსავალი 1.25 დოლარზე ნაკლები იყო 1997-2001 წლებში 5.3%-დან 6.0%-მდე გაიზარდა [„ლიბერალური აკადემია-თბილისი“, 2011: 11].

1998 წელს რუსეთში დაწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა ირიბი ზემოქმედება მოახდინა როგორც საქართველოს, ისე სხვა პოსტსაბჭოთა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკაზე. კრიზისის შედეგად ვალუტის კურსი მნიშვნელოვნად დაეცა, გაიზარდა ფასები და შემცირდა განვითარების ტემპები. ფინანსურმა კრიზისმა ეკონომიკური პროცესების მხრიდან წმინდა საბაზრო რეაქცია გამოიწვია: შემცირდა იმპორტი, გამოცოცხლდა სამრეწველო წარმოება და ამადლდა საქონლის კონკურენტუნარიანობა. საწარმოებმა შეძლეს იმ უპირატესობების გამოყენება, რომელიც მათ ეროვნული ვალუტის დევალვაციამ მისცა.

1999 წლიდან გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენციები ეკონომიკის განვითარებაში. 1998 წელთან შედარებით გაიზარდა მშპ, შემცირდა ინფლაცია, გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა, გაუმჯობესდა სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა, მაგრამ უკვე შემდგომი 2000 წლიდან, განსაკუთრებით კი წლის მეორე ნახევრიდან, განვითარების ტემპები შემცირდა. აღნიშნული ნეგატიური ტენდენციები რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წარმოების მატერიალური ბაზის დაბალი დონე.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში ფორმალურად საქართველო ღია ქვეყანა გახდა, რომელსაც ეკონომიკური კავშირები აქვს მთელ მსოფლიოსთან ძირითადი ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოს ეკონომიკის ზრდას, იყო ინვესტიციების დაბალი დონე და არასახარბიელო საინვესტიციო გარემო, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო კორუფციის მაღალი დონით, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებით გამოწვეული არასტაბილური გარემოთი, ჩრდილოეთი ეკონომიკის არსებობით და სხვა.

1990-იან წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმნიშვნელო იყო იქამდე, ვიდრე განხორციელება არ დაიწყო ენერგეტიკულმა პროექტებმა. 1997-1998 წლებში ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა შეადგინა მშპ-ს 6.9-7.3%, მაგრამ შემდგომ წლებში ინვესტიციების წილი 2%-მდე დაეცა. შემდგომ წლებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2003 წელს გაიზარდა და მან 8.4% შეადგინა [data.worldbank.org] ეს დაკავშირებული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან.

თუ კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის მილსადენის მშენებლობას არ მივიღებთ მხედველობაში, 2004 წლამდე სხვა სერიოზული ინვესტიციები საქართველოში არ განხორციელებულა. სწორედ ამ პერიოდთან აღინიშნება ინვესტიციების მკვეთრი მატება, რაც ძირითადად განპირობებული იყო შედარებით ფისკალური სტაბილურობით და ლიბერალური ეკონომიკური კურსით. გარდა ამისა, მოხდა 2004 წლამდე არსებული მიღებული უკანონო შემოსავლების ლეგალურ ჩარჩოში მოქცევა. ამ ფულის დიდი ნაწილის ინვესტირება მოხდა სამშენებლო, ფინანსურ სფეროში და ტელეკომუნიკაციებში, რამაც, თავის მხრივაც პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა მშპ-ს ზრდაზე.

2004 წლის შემდგომ საქართველოში საინვესტიციო ნაკადების მკვეთრი ტენდენცია შეინიშნებოდა. ამ ტენდენციას ძირითადად განაპირობებდა შედარებითი ფისკალური სტაბილურობა, ლიბერალური ეკონომიკური კურსი და ქვეყნის ხელისუფლების მიერ საერთაშორისო დონეზე განხორციელებული მასობრივი პიარ-კამპანიები. საინვესტიციო აქტივობის თვალსაზრისით, სიტუაცია გარკვეულწილად უარყოფითად იცვლება 2007-2008 წლებიდან. გარდა ამისა, მოხდა „ვარდების რევოლუციამდე“ მიღებული უკანონო შემოსავლების ლეგალურ ჩარჩოში მოქცევა. ამ ფულის დიდი ნაწილი ინვესტირდა სამშენებლო, ფინანსურ სფეროებში და ტელეკომუნიკაციებში, რამაც, თავის მხრივ, პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა მშპ-ს ზრდაზე.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის კავშირი რამდენიმე მიმართულებით უნდა იქნეს განხილული. უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვეყოთ ის ფაქტი, რომ 2004 წლიდან მოყოლებული, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ძირითად წყაროს. ამასთან, იგი უშუალო კავშირშია პრივატიზების პროცესთან. ერთი მხრივ, ამგვარი ინვესტიციები ხშირ შემთხვევაში კავშირშია მესაკუთრის ცვლილებასთან და არა მწარმოებლური აქტივობის ფორმირებასთან. მეორე მხრივ, უნდა გამოვეყოთ პრივატიზების პროცესთან დაკავშირებული ინვესტიციების რესურსის თანდათანობითი შემცირება. შედეგად, იგი არასრულყოფილად ასახავს ეკონომიკის ზრდის პოტენციალის რეალურ სურათს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ წლებში ნელა, მაგრამ თანდათანობით ხდებოდა ლიბერალური სავაჭრო რეჟიმისთვის წინაპირობების შექმნა. 1992-1996 წლებში გაუქმდა იმპორტზე შეზღუდვები, ხოლო 1995 წლისთვის კვოტირების სისტემა.

საქართველოში ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განვითარებაში არსებითი როლი შეასრულა საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ. 1996 წლის ზაფხულში საქართველოს მიენიჭა დამკვირვებლის სტატუსი, ხოლო იმავე წლის ივლისში გაცხადდა აღნიშნულ ორგანიზაციაში სრულუფლებიანი წევრობის მიღების სურვილი, რაც წარმოადგენდა ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის ფორმირებისკენ წინ გადადგმულ ნაბიჯს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ გატარდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილება, რათა მომხდარიყო კანონმდებლობის მაქსიმალური ჰარმონიზაცია ორგანიზაციის მოთხოვნებთან. შედეგად, გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება, ლიცენზირება, გაუქმდა საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა, შემცირდა აქციზური საქონლის ჩამონათვალი და სააქციზო განაკვეთები. ექსპორტის წახალისების მიზნით საქართველოში გაუქმდა საბაჟო გადასახადი ექსპორტზე, დაწესდა მთელი რიგი შეღავათები საწარმო დანიშნულების საქონლის იმპორტზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, 1999 წლის ოქტომბერში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურმა საბჭომ ხელი მოაწერა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელ მარაკემის შეთანხმებაზე საქართველოს მიერთების ოქმს, ხოლო 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა საქართველოს გაწევრიანების ოქმის რატიფიცირება და 2000 წლის 14 ივნისს საქართველო გახდა ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი.

საქართველომ აიღო ვალდებულება, რომელიც მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა სამწარმოო საქმიანობისა და ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირება, საგადასახადო სისტემა, სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმები, სუბსიდიების გამოყენებას და ა.შ. მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ბმული ტარიფების ცხრილთან მიერთება. იმ სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფები დაფიქსირდა უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე გაწევრიანების მომენტისთვის მოქმედი ტარიფი (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფარმაცევტული პროდუქცია, მანქანა-დანადგარები, ზოგიერთი ნედლეული და ა.შ.), საქართველო გაწევრიანების დღიდან ვალდებული

იყო, მოქმედი ტარიფი შეესაბამებინა “ბმულის” მოთხოვნებისთვის, დაეწესებინა მისი დონის ან უფრო დაბალი ტარიფი (ბმული ტარიფების ცხრილები წარმოადგენს საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის იმ მაქსიმალური განაკვეთების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენების უფლება აქვს საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრებისგან დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე).

ტარიფთა მაღალი დონეები გაწევრიანებისას შეთანხმდა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ალკოჰოლი, ხილის წვენები, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, თამბაქო და ა.შ.), აგრეთვე, მცირე რაოდენობის სამრეწველო პროდუქციაზე (სამშენებლო მასალები, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი და ა.შ.). ზოგიერთ პროდუქციაზე ბმული ტარიფები მომდევნო 5-6 წლის განმავლობაში თანდათანობით შემცირდა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებით აშშ-მ საქართველოს მოუხსნა ე.წ. ჯოქსონ-ვენის შესწორების მოქმედება, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შეზღუდვას და მიანიჭა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მუდმივ ბაზარზე, ხოლო შემდგომ – განზოგადებული პრეფერენციათა სისტემის (GSP) ბენეფიციარის სტატუსი. ამავდროულად, საქართველომ მიიღო უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი 148 ქვეყნის ბაზარზე, რაც ნიშნავდა, რომ საქართველოდან იმპორტირებულ საქონელს მათ ბაზარზე უპირატესობა ექნებოდა სხვა ქვეყნის საქონელთან შედარებით. მსგავსი ხელშეწყობის რეჟიმი, სხვა უპირატესობებთან ერთად, გამოიხატებოდა წევრი ქვეყნების საიმპორტო ტარიფების შემცირებაშიც.

2005 წლისთვის საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+) შედგენითი მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისთვის. ეს რეჟიმი ვრცელდება ევროკავშირის საბაჟო სატარიფო კოდიტ ადნიშნული პროდუქტების დაახლოებით 66%-ზე. შესაბამისად, აღნიშნული რეჟიმი უზრუნველყოფს გაუმჯობესებულ წვდომას, ძირითადად, საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებას ქართული წარმოშობის დაახლოებით 7200-ზე მეტი სახეობის პროდუქტისთვის [ეკონომიკის პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2014:8]. აღნიშნული უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო რეჟიმის ძირითადი მიზანია განვითარებადი ქვეყნების დახმარება მათი მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმის შედეგად გენერირებული დამატებითი შემოსავლების გზით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის პროდუქტები, რომელთა მოძრაობა საზღვარზე მხოლოდ საბაჟო გადასახადის გამო ფერხდება, ძირითადად არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტებია. ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციების გამოყენების შეფასების მიხედვით 2010 წლის მდგომარეობით, საქართველოს პრეფერენციების გამოყენების ძალიან მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა (92.52%), რაც ნიშნავს, რომ ევროკავშირთან სავაჭრო ტვირთბრუნვის 90%-ზე მეტი ნულოვანი ტარიფით განხორციელდა. ყველა დანარჩენი პროდუქტისთვის კი ad volarem (ღირებულების შესაბამისად) დადგენილი გადასახადები შემცირდა 3.5%-ით [ეკონომიკის პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2014:8].

მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სივრცის შესახებ (DCFTA) სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმება. ამ უკანასკნელმა ჩაანაცვლა GSP+, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის ხელმისაწვდომობის ხელის შეშლელი ბარიერების ორმხრივ გაუქმებას. საქართველოს ექნება წვდომა ევროკავშირის 500 მილიონიან ბაზართან და იგი იქნება „ყოვლისმომცველი“, ვინაიდან იგი მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ მიმართულებებთან და „ღრმა“, ვინაიდან გამოიზრდება ყველა სავაჭრო ბარიერის მოსახსნელად “საზღვრებს მიღმა” ბარიერების ჩათვლით. აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს 95%-მდე ტარიფის მოხსნას. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობას, ამ სფეროს შეეხება მთელი რიგი ლიბერალური განაკვეთების დაწესება, გამონაკლისების გარდა.

მიუხედავად ვაჭრობის ლიბერალიზაციისა, აღნიშნულ ინსტიტუციურ ცვლილებებს ეკონომიკაზე თვალსაჩინო ეფექტი ჯერჯერობით არ მოუხდენია. შედარებით დაბალი ხარისხის საქონელი და მაღალი ხარჯები საქართველოს არაკონკურენტუნარიანობის მაჩვენებელია, რაც ხელისშემშლელად მოქმედებს მოსახლეობაზე და იწვევს უარყოფითი სავაჭრო სადღოს ზრდას. მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობი გარემოს ფორმირებას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა საგადასახადო-საბიუჯეტო სექტორში. საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება და საბიუჯეტო-ფინანსური დისციპლინის დამყარება სააკაშვილის ხელისუფლების ძირითადი მახასიათებლებად და მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა, საბიუჯეტო პროცესი და ფისკალური პოლიტიკა ორმხრივად დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკასთან. ერთი მხრივ, ეს სისტემა წარმოადგენს ხელისუფლების ძირითად ბერკეტს, რათა გაატაროს ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური პოლიტიკა, მეორე მხრივ, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში სარკისებურადაა ასახული ეკონომიკაში ჩამოყალიბებული ტენდენციები.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტად საგადასახადო გარემოს ლიბერალიზაცია გამოცხადდა. აღსანიშნავია, რომ „ლიბერალიზაცია“, რომელიც უმთავრესად საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებულ ცვლილებებში გამოიხატა, თან

სდევდა საგადასახადო ადმინისტრირების უკიდურესი გამკაცრება. 2004 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის ბაზას წარმოადგენდა 1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საგადასახადო კოდექსი, აგრეთვე რამდენიმე კანონი, მაგალითად: „საგზაო ფონდის შესახებ“, „საბაჟო კოდექსი“ და ა.შ. 1997-2004 წლებში მოქმედ საგადასახადო კოდექსში მრავალი ცვლილება განხორციელდა, ხოლო 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სრულიად ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2004 წლის 22 დეკემბერს. ძველი საგადასახადო კოდექსის საფუძველზე საქართველოში მოქმედებდა 13 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, 6 ადგილობრივი გადასახადი და 1 საბაჟო გადასახადი, რომელიც რეგულირდებოდა საქართველოს საბაჟო კოდექსით, ანუ სულ 20 გადასახადი.

ახალი საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა 5 საერთო-სახელმწიფოებრივი და 1 ადგილობრივი გადასახადი, რასაც ემატებოდა საბაჟო კოდექსით რეგულირებული საბაჟო გადასახადი. ანუ გადასახადების რაოდენობა 8-მდე შემცირდა. ახალი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნებოდა: საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი; აქციზი; სოციალური გადასახადი. ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნებოდა: ქონების გადასახადი; სათამაშო ბიზნესის გადასახადი. საბაჟო კოდექსით განსაზღვრული იყო საბაჟო გადასახადი.

ამასთან, ახალი საგადასახადო კოდექსით შეიცვალა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, რომელიც 2005 წლის 1 იანვრამდე იყო პროგრესული შემოსავალთან მიმართებაში – 12%, 15%, 17% და 20%, ხოლო დივიდენდებისა და პროცენტებისთვის შეადგენდა 10%-ს, შემოვიდა ერთი პროპორციული განაკვეთი – 12%. დივიდენდის და პროცენტის სახით მიღებულ შემოსავლებზე განაკვეთი უცვლელი დარჩა. არ შეცვლილა არც მოგების გადასახადის განაკვეთი – 20%, დამატებული ღირებულების გადასახადი კი 20%-დან 18%-მდე შემცირდა. 2005-2010 წლებში კვლავ მიმდინარეობდა ცვლილებების განხორციელება საგადასახადო კოდექსში.

2004 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი მოქმედებდა იქამდე, ვიდრე 2011 წლის 1 იანვარს ძალაში არ შევიდა 2010 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსი. ახალი საგადასახადო კოდექსით დადგინდა 6 გადასახადი, რომელთაგან 5 საერთო-სახელმწიფოებრივია – საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, იმპორტის გადასახადი და ერთი ადგილობრივი – ქონების გადასახადი.

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც გადასახადის სახეებსა და განაკვეთებს შეეხო, შედარებით ნაკლებად აისახა საგადასახადო ტვირთის შემცირებაზე: გადასახადების სახეები შემცირდა 20-დან 6-მდე, მაგრამ მიწის გადასახადი, ავტომობილის მფლობელთა გადასახადი რეალურად არ გაუქმებულა და ინტეგრირებულ იქნა ქონების გადასახადში. სოციალური გადასახადის გაუქმების პარალელურად, საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 12%-დან 25%-მდე და მხოლოდ შემდგომ შემცირდა 20%-მდე, ანუ ცვლილებების იმ ეტაპზე ამ ორი გადასახადის ერთგვარ ინტეგრირებასთან გვექონდა საქმე. ცალკე საკითხია ის, რომ სოციალური გადასახადი სოციალურ შენატანად შეიძლება გარდაქმნილიყო სოციალური სისტემის რეფორმის ფონზე, თუმცა ასეთი რეფორმა არ განხორციელდებულა. სათამაშო ბიზნესის გადასახადი გარდაიქმნა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლად. ქონების გადაცემის გადასახადით დაბეგვრის ობიექტი მოექცა საშემოსავლო გადასახადში. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი კი ამავე სახელწოდების მოსაკრებლად გადაიქცა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2004 წლის 1 იანვრამდე არსებული გადასახადის მრავალი სახეობის მიუხედავად, ბიუჯეტში ფისკალური ეფექტი მინიმალური იყო. ძირითადი შემოსავლების მობილიზება, უპირველეს ყოვლისა, არაპირდაპირი გადასახადებიდან (დღგ, აქციზი) და შემდგომ უკვე საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან ხდებოდა. ასე რომ, ამ მხრივაც უშუალოდ საგადასახადო ტვირთის შემცირებაზე გადასახადის რაოდენობის შემცირება ნაკლებად აისახა.

შედარებით შემცირდა ტვირთი საკანონმდებლო კუთხით დღგ-ს განაკვეთის 20%-დან 18%-მდე დაწვეით და მოგების გადასახადის 20%-დან 15%-მდე შემცირებით. საშემოსავლო გადასახადის კუთხით პროგრესული გადასახადიდან 12%-იან პროპორციულ განაკვეთზე გადასვლა მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია იყო. თუმცა შემდგომ მისი განაკვეთის გაზრდამ ჯერ 25%-მდე, შემდგომ 20%-მდე და დაბეგვრის არეალის გაფართოებამ შეასუსტა რეალური საგადასახადო ტვირთის შემცირების ეფექტი. მით უმეტეს, სოციალური გადასახადი (რომელიც გაუქმდა საშემოსავლო განაკვეთის ზრდასთან ერთად) ძირითადად დაქირავებით მომუშავეებზე ვრცელდებოდა, საშემოსავლო გადასახადის არეალმა კი ყველა ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლები მოიცვა და, გარკვეული მორატორიუმების შემდგომ, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც 12%-დან 20%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი იყო საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის თანდათანობით შემცირება (20%-დან ჯერ 18, ხოლო შემდეგ 15%-მდე). 2008 წლის კრიზისით გამოწვეული პრობლემების გამო ეს პროცესი შეჩერდა და გადასახადი კვლავ 20%-ია. ასევე საყურადღებოა, რომ რეფორმების პროცესში, საგადასახადო დაგეგმვისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ იქნა გადასახადის გადამხდელებსა და საგადასახადო ორგანოებს

შორის საგადასახადო დაგების კერძო არბიტრაჟში განხილვა, მაგრამ ამ მუხლის იმპლემენტაციაც ვერ მოესწრო. მუხლი გაუქმდა იმ არგუმენტით, რომ ამით სახელმწიფოს ფისკალური ზიანი მიადგებოდა. ეს ფაქტი ერთგვარი მახასიათებელია მთელი პოსტრეფორმული საგადასახადო პოლიტიკისა, რამდენადაც კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პარალელურად, საგადასახადო აღმინისტრირება მიმდინარეობდა სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების განსაკუთრებული პრესის ფონზე.

ყოველივე ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საფინანსო რესურსების ოპერატიულ მართვაზე და ქვეყნის საფინანსო სფეროში მოაქცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მობილიზებული ყველა საბიუჯეტო სახსრები, რამაც საფუძველი დაუდო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგიონული ხაზინის შექმნას და ქვეყანაში ერთიანი საფინანსო წესრიგის დამყარებას. ამდენად, რეალური საგადასახადო ტვირთი გაცილებით მეტადაა გამოხატული მშპ-თან საგადასახადო შემოსავლების ზრდის დინამიკაში, ვიდრე განაკვეთებთან დაკავშირებულ კალკულაციებში.

დასკვნა

ჩვენი ქვეყნის მცდელობამ, იპოვოს განვითარების თავისი გზა, შეიძლება თვითიზოლაციამდე მიგვიყვანოს, იქამდე, რომ საქართველო ვერ დაიკავებს თავის ღირსეულ ადგილს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. ეკონომიკის წარმატებული განვითარებისთვის კი საჭიროა საქმიანი კონტრაქტების მხარდაჭერა უცხოური კაპიტალის მოზიდვა წარმოების პერსპექტიულ დარგებში. შრომის ნაყოფიერების არსებული დონე ნამდვილად არასაკმარისია, მაგრამ მისი ამაღლების რეზერვები ჯერ კიდევ არ არის ამოწურული, თუმცა მათი გამოყენება ფერხდება წარმოების დაბალი ტექნოლოგიური ბაზის, სამუშაო ძალის სუსტი მობილურობის, ადამიანური კაპიტალის განვითარებისათვის არასაკმარისი დაბანდების გამო.

ეკონომიკის სწრაფ განვითარებას ხელს უშლის მერყევი მაკროეკონომიკური სიტუაცია. დღესდღეობით საქართველოს ეკონომიკაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური სტაბილურობა გამოწვეულია არა რაიმე რადიკალური ეკონომიკური ცვლილებებით, არამედ მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებული კონიუნქტურით. ეკონომიკის ნორმალურ განვითარებისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს უდენფიცტო ბიუჯეტი, რის შედეგადაც შემოსავლების ხარჯზე შესაძლებელია არა მარტო მთავრობის ყველა აქტივობის დაფინანსება, არამედ სახელმწიფო ვალის გარკვეული ნაწილის გადახდა და ეკონომიკის საბიუჯეტო სექტორში განვითარება.

რეფორმების შემუშავების მიმართ არსებული მრავალი მიდგომის მიუხედავად, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მისაღწევად ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს ფასების რეფორმა წარმოადგენს. თითოეულ სახელმწიფოს გააჩნია დიდი არჩევანი აღნიშნულ პროცესში, მაგრამ მათი შემდგომი განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით არსებულ საწყის პირობებზე. კერძოდ, საერთაშორისო პროცესებში მონაწილეობას და პოლიტიკურ სტაბილურობასა და მხარდაჭერაზე.

საწყის ეტაპზე, მიზანშეწონილია, სწრაფი ტემპით გადატრდეს საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ამ უკანაკნელის გატარებით შემცირდება ბიუჯეტის დეფიციტი, ჭარბი ლიკვიდობა და შეიზღუდება საკრედიტო პოლიტიკა, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც სუბსიდიები მშპ-ს მნიშვნელოვან წილს შეადგენს, მაკროეკონომიკური წონასწორობის აღსადგენად უნდა დაწესდეს რეალური ფასები. აუცილებლობას წარმოადგენს ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც შეზღუდავს ხელფასების ზრდას ფასების ზრდის საპასუხოდ. სტაბილიზაციის პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების პირობებში წარმოიქმნება სოციალური დაცვის სისტემის შექმნის აუცილებლობა, რათა რეფორმა მტკივნეულად არ შეეხოს ადამიანების ცხოვრების დონეს.

მიზანშეწონილია, მოკლევადიანი სტაბილიზაციის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების შემდეგ ქვეყანამ დაიწყოს საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და საგარეო ვაჭრობის სტრუქტურული რეფორმები. ამავდროულად, მიზანშეწონილია, ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება საკუთრებითი ურთიერთობების, შრომის ბაზრის სფეროში. მნიშვნელოვანია რეფორმები საბანკო სისტემაში, ხოლო შემდგომ ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის შექმნა, როგორცაა საფონდო ბირჟა.

ავტონომიური საბანკო სისტემა ამსუბუქებს არაპირდაპირ მაკროეკონომიკურ რეგულირებას, ხოლო მისი გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება ისეთ სფეროში, როგორცაა საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა, აქტივების ზუსტი შეფასების მეთოდების სრულყოფა, საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნა და ფასების რეფორმა. საგარეო ბაზარზე ფირმების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, აუცილებელია საგარეო სფეროში კვოტების გაუქმება და შემდგომ ტარიფების თანდათანობითი შემცირება.

ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად არაეფექტიანი სტრუქტურა და სახელმწიფოს ბალანსზე არსებული ზარალიანი საწარმოების დიდი რაოდენობა უნდა დავასახელოთ. ყოველივე ეს ზღუდავს წარმოებაში ინვესტიციების შესაძლებლობას. დასახელებული ნაკლოვანებების თანდათანობით აღმოფხვრა ქვეყანას საშუალებას მისცემს, განამტკიცოს ეკონომიკაში მიმდინარე თუ დაგეგმილი პოზიტიური ცვლილებები, უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკური ზრდის სტაბილური ტემპების მიღწევა და ცხოვრების დონის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლელა ბახტაძე, გარდამავალი ხანის ეკონომიკა: სალექციო კურსი სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრატურისთვის, თბ., 2006.
2. ვლადიმერ პაპავა (თამარ თაფლაძის და არჩილ გეგეშიძის მონაწილეობით), საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები. გამომცემლობა - „ინტელექტი“, თბილისი, 2015.
3. „ლიბერალური აკადემია - თბილისი“ - საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი“ თბილისი 2011
4. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოველმომცველი თავისუფალი სივრცის შესახებ და საქართველო, თბ., 2014.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge;
6. data.worldbank.org;

Giorgi Kharshiladze

SOME REVEALS OF MACROECONOMIC INSTABILITY IN THE TRANSITION PERIOD'S GEORGIA

Summary

In the article is described the macroeconomic instability in the transition period's Georgia, specified it's reasons and elucidated the problem of liberalization, inflation and prices.

During the transition phase any country's peculiarity is its global instability. This determines the macroeconomic problem which should be solved during transition period – that is structural, investment, or technical-technological bases. Urgent solving of this particular issue determines the objectives at the macro levels of economic transformation that faces the country and its institutions. Macroeconomic instability, which has many different forms, has emerged as a result of combination of past and present reforms, of their objective and subjective influences. The preliminary conditions of countries under transition can significantly vary. The difference can be in the degree of macroeconomic instability. The instability can be revealed in budget and foreign trade deficit, foreign debt, limited currency reserves; considerable loses in banking system and state enterprises.

Results point to the importance of domestic investment and macroeconomic stability – as reflected by low levels of inflation and balanced budget – as key driven of growth. In a long term growth framework, deficits are detrimental to growth since they are associated to corruption, rent seeking, an excessive size of government and distortions in the resource allocation. A low rate of inflation suggests an effective degree of market liberalization. Furthermore, in a heavily competitive environment characterized by strong rivalry because of the arrival of foreign firms, price stability is key.

Domestic investment also seems to have been an important driver of growth. Evidence concerning FDI is puzzling, however. The correlation with GDP growth is negative, whereas the sign is positive when GDP in levels is taken as the dependent variable. This is, no doubt, something that needs to be assessed more carefully. Our analysis suggests that, although this group of countries has followed a particular process, with specific features, the key factors explaining growth for other samples of countries are also relevant in this case. The structural adaptation is concerned with the issues of long-term economic growth, namely disorder in production economy, control of prices, interest rates and exchange rate, tough customs tariffs and quotas, introduction of taxes and subsidies. The coincidence of the implementation of abovementioned activities is crucially important for transition economy. Short-term stabilization policy should be supplemented with the structural reforms in the spheres of budgeting and finances, monetary –fiscal and foreign economic affairs, as well as systemic reforms in ownership relations, enterprises, prices and labor market. Long term perspectives of stabilization can be provided only in case of indirect mechanisms of macroeconomic control.

ევგენი პარათაშვილი
ირმა მახარაშვილი
გუგული ყურაშვილი

კრეატიული მენეჯმენტის მნიშვნელობა თანამედროვე მმართველობით საქმიანობაში

ანოტაცია. კრეატიული მენეჯმენტის ელემენტების გამოყენება განვითარების თანამედროვე ეტაპზე იგულისხმობს მართვის პროცესში არატრადიციული ხერხებისა და მეთოდების დანერგვას. იგი, როგორც მმართველობითი მოღვაწეობების სახეობა და მეცნიერულად დასაბუთებული მართვის ინსტრუმენტი, გამოიყენება როგორც სტრატეგიული განვითარების მიზნებისათვის, აგრეთვე მუდმივად აღმოცენებადი საგანგებო და კრიზისული სიტუაციების დასაძლევად; განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საჭიროა განხორციელდეს წინსვლის, ბაზარზე საწარმოს კონკურენტუნარიანობის მძლველის პრინციპულად ახალი გზების მოძიება და რეალიზაცია.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, ინოვაცია, კრეატიული, ინტელექტი, მენეჯერი

შესავალი

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე გლობალური პროცესები მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი მიდგომების ფორმირებას. ახალი მიდგომების კომპლექსში განვითარებისათვის ხელის შემწყობ საშუალებად იგულისხმება სამეურნეო-საფინანსო მმართველობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება.

თანამედროვე მმართველობით საქმიანობაში ხშირად გაისმის მოწოდებები, მმართველობითი პროცესის განხორციელებისას გამოვიყენოთ უკვე გამოცდილი ინოვაციური მენეჯმენტი. კრეატიული მენეჯმენტის ელემენტების გამოყენება განვითარების თანამედროვე ეტაპზე იგულისხმობს მართვის პროცესში არატრადიციული ხერხებისა და მეთოდების დანერგვას. მართვა ხომ საერთო და ზოგადი გაგებით - ესაა ადამიანის შეგნებული მოღვაწეობა ერთობლივი შრომითი ორგანიზაციებისათვის დასახული მიზნების მისაღწევად. საჭიროა მართვა გვესმოდეს, როგორც უნარი, აღწევდეს დასახულ მიზნებს სხვა ადამიანების შრომის, ინტელექტისა და ქცევის მოტივების გამოყენებით.

საწარმოებსა და ორგანიზაციებში საქმიანობისა და მართვის მრავალი სახეობა და ობიექტი არსებობს (მაგ., წარმოება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, ფინანსები, მარკეტინგი, კადრები, მზა პროდუქციის გასაღება და ა.შ.).

უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს უკვე ინოვაციური ეკონომიკის პირობებში მმართველობითი მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს კრეატიული მენეჯმენტი. კრეატიული მენეჯმენტი ტექნოლოგიური ნოვაციების ცვლის ტემპების დაჩქარების პირობებში ასახავს თანამედროვე დარგებისა და საწარმოების მართვის სპეციფიკურ ასპექტს.

დღეს მკვეთრად იზრდება მოთხოვნა გამომგონებლურ მენეჯმენტზე და მენეჯერებზე, რომლებიც ფლობენ გენერირების უნარს, სწრაფად მოახდინონ არასტანდარტული და ორიგინალური იდეების რეალიზაცია, სწრაფად და ეფექტურად გადაწყვიტონ პრობლემური სიტუაციები.

თანამედროვე კრეატიული მენეჯმენტის დევიზით „მე ზუსტად ვიცი, რომ შეუძლებელია!“ მენეჯერი დღეს ვირტუოზულად უნდა ფლობდეს არასტანდარტული, ორიგინალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ხერხებს, წესებსა და ტექნიკას.

ჩვენ, რასაკვირველია, ვერც უარყოფთ და ვერც უგულებელყოფთ ინოვაციურ მენეჯმენტს (ინოვაციების, სიახლეების შემოღების მართვას), რომელიც ახორციელებს ინოვაციური მართვის ისეთი ფუნქციების რეალიზებას, როგორცაა სამეცნიერო გამოკვლევათა პროცესების და ფუნდამენტურ დამუშავებათა ორგანიზება, საცდელი ნიმუშების შექმნა და სიახლეთა დანერგვა საწარმო-ორგანიზაციებში. მაგრამ თანამედროვე ეპოქაში საინფორმაციო და ინოვაციური ეკონომიკის პირობებში უკვე სისტემატურად აღმოცენდება პრინციპულად ახალი პრობლემები და ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ახლის ძიებასთან, განუჭვრეტელობისა და გაურკვევლობის პირობებში მათი გადაწყვეტის არაკომპირებულ მიდგომებთან, აგრეთვე არასტანდარტულ, საგანგებო და კრიზისულ სიტუაციებთან.

სწორედ ეს გარემოება და ვითარება განსაზღვრავს საწარმოთა მიმართ კრეატიული მენეჯმენტის აქტუალურად გამოყენების აუცილებლობას. კრეატიული მენეჯმენტის საფუძველს წამოადგენს კრეატიული აზროვნება, შემოქმედებითი (ინტელექტუალური) უნარები, შესაძლებლობები და აზროვნება. ფართო გაგებით, შემოქმედებით აზროვნებად იგულისხმება და მიიჩნევა ისეთი აზროვნება, რომელსაც მიჰყავართ ნოვაციური იდეებისა და აღმოჩენებისაკენ, პრობლემური სიტუაციების პრინციპულად ახალი გადაწყვეტისაკენ.

ეკონომიკის სფეროს შემოქმედებაში, როგორც წესი, იგულისხმება მოღვაწეობა, რომელიც მიმართულია პრინციპულად ახალი სიკეთეების შექმნაზე.

მმართველობით სფეროსთან მისადაგებით შემოქმედებით აზროვნებაში იგულისხმება უნარი, შემუშავდეს უნიკალური, არასტანდარტული მმართველობითი გადაწყვეტილებები, განხორციელდეს არასტანდარტული ნოვაციური იდეების ძიება.

აღამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობები, დაბადოს ორიგინალური, არასტანდარტული განსხვავებული იდეები, მათ შორის მენეჯმენტში, რეალიზდება მისი კონვერგენტული და დივერგენტული უნარით, ლატერალური აზროვნებისადმი უნარით.

შემოქმედებითი (კრეატიული) აზროვნების მთავარი განსხვავება ლოგიკური აზროვნებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ კრეატიული აზროვნების პროცესში ლოგიკა თამაშობს მხოლოდ მომსახურე როლს მაშინ, როდესაც ლოგიკურ აზროვნებაში მას განეკუთვნება წამყვანი როლი, რამდენადაც ის მართავს გონებას.

რიგი ავტორები გამოყოფენ კრეატიულობის მახასიათებლებს. კერძოდ, სიმარდეს, სინქარეს, სისწრაფეს, ორიგინალურობას, გააზრებულობას, ამთვისებლობას, ტრანსფორმაციულობას, გაერთიანებულობას (ელემენტების დაკავშირებულობას) და სხვა.

და მაინც, კრეატიულობის მთავარ განმასხვავებელსა და დამახასიათებელს წარმოადგენს აღამიანის შესაძლებლობები, აღმოაჩინოს პრობლემური ამოცანების გადაწყვეტის ახალი გზები და საშუალებები, უნარები უარი თქვას აზროვნების წესებისა და საშუალებების სტერეოტიპებზე; ანუ „კრეატიულობის“ დახასიათებისას წინა ხაზზე გამოდის არასტანდარტული აზროვნების ნიშანთვისება, უნარი ახლებურად შეხედოს არსებულ და ცნობილ სინამდვილეებს.

კრეატიულობა ამა თუ იმ სახითა და ხარისხით დამახასიათებელია აღამიანებისათვის, რომლებიც თავიანთ მოღვაწეობას ახორციელებენ სხვადასხვა დარგებში, სფეროებში, სექტორებში.

კრეატიულობას, როგორც უნარს, წარმოქმნას რაღაც ახალი, ადგილი აქვს იმ მუშაკებს შორის, რომლებიც საქმიანობენ და მოღვაწეობენ მატერიალური წარმოების სფეროში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, პოლიტიკაში, საგამომგონებლო მოღვაწეობა-საქმიანობაში და ა.შ.

კრეატიულობის სპეციფიკურ ფორმასა და სახეობას წარმოადგენს მმართველობითი კრეატიულობა. მმართველობითი კრეატიულობის საფუძველს წარმოადგენს მენეჯერის კრეატიული აზროვნება, გაგებული როგორც საშუალება განსხვავებული, სხვადასხვა სახის აზრობრივი კომბინაციების დახმარებით შექმნას ნოვაციური იდეები, ცოდნები, ინსტრუმენტები და მეთოდები, მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობის ამაღლებას.

ამჟამად კრეატიული მენეჯმენტის სახით საწარმოთა, ორგანიზაციებისა და კომპანიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტურად მართვის სისტემაში შემოდის და გეხვდება კიდევ ის ინსტრუმენტები, რომლის გამოყენებაც ერთ-ერთ გადაწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მმართველობით საქმიანობაში დღესდღეობით გამეფებული ქაოსის დაძლევაში.

კრეატიული მენეჯმენტი წარმოადგენს ორგანიზაციის, საწარმოსა და სხვათა შემოქმედებითი (კრეატიული) პოტენციალის მართვის პროცესს, მისი, ე.ი. მოცემული ორგანიზაციის, იურიდიული პირის ეფექტური განვითარების მიზნით საწარმოებისა და ორგანიზაციების მართვის სისტემაში კრეატიული მენეჯმენტის დანერგვის განსაკუთრებული აქტუალობა განისაზღვრება ინოვაციების თაობათა ცვლის დაჩქარების პირობებში, წინასწარი უვარაუდობით, გაურკვევლობით, ამასთან, საგანგებო და კრიზისული სიტუაციების გამო არატრადიციული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის მუდმივი აუცილებლობით.

ობიექტურ წინამძღვრებს, რომელიც განსაზღვრავს კრეატიული მენეჯმენტის აღმოცენებას, წარმოადგენს:

- საწარმოთა საქმიანობაში, ორგანიზაციათა სხვადასხვა სფეროში მუდმივად აღმოცენებული ძნელად გადასაწყვეტი პრობლემები.

- პრინციპულად ახალი ამოცანები, რომლებიც წარმოიშვება გაურკვევლობის პირობებში, საწარმოთა შიგა და გარე გარემოებათა ბუნდოვანებისას:

- ნოვაციური უპირატესობანი სწრაფად ტირაჟირდება კონკურენტების მიერ. ამის შედეგად საწარმო, ფირმა, რათა შეინარჩუნოს თავისი კონკურენტული უპირატესობა, სისტემურად უნდა სრულყოფდეს და ახდენდეს ახალი, ორიგინალური პროდუქტებისა და ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების კვლავწარმოებას;

- მუდმივი ცვლილებები საზოგადოების ყველა სფეროში, რეგულარულად წამოშობილი და წარმოჩენილი საგნები, სიტუაციები და კრიზისები, რომლებიც მოითხოვს და საჭიროებს არატრადიციულ გადაწყვეტილებათა ძიებას, საწარმოთა განვითარების ეფექტური გზების დასაბუთებას;

- მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის უკმარისობა ან აუცილებელი, ცნობილი მექანიზმების, ინსტრუმენტებისა და მეთოდების უქონლობა, აგრეთვე რიგი სხვა გარემოებათა გავლენა.

კრეატიული მენეჯმენტის მიზანია ნოვაციური იდეების გენერაციის პროცესის აქტივაცია და მმართველობითი პერსონალის მიერ ადრე უცნობი, არასტანდარტული, ორიგინალური მმართველობითი გადაწყვეტილებათა დამუშავება.

გამოყოფენ კრეატიული მენეჯმენტის საერთო და სპეციფიკურ ამოცანებს:

- საერთო ამოცანებს წარმოადგენს შემუშავება და რეალიზაცია;
 - საწარმოს, ფირმის განვითარების ორიგინალური სტრატეგია;
 - ორიგინალური ინოვაციური პროდუქტების კონცეფციები;
 - არასტანდარტული ოპერატიული მმართველობითი გადაწყვეტილებები გაურკვევლობის, საგანგებო და კრიზისული სიტუაციების პირობებში;
 - ორიგინალური მმართველობითი სიახლეები;
 - პერსონალის კრეატიული მომზადების სასწავლო პროგრამები და სხვა.
- კრეატიული მენეჯმენტის სპეციფიკურ ამოცანებს, როგორც არასტანდარტული მმართველობითი ამოცანების გადაწყვეტის ინსტრუმენტს, უნდა მივაკუთვნოთ:
- შესაძლო ვარიანტების სიმრავლიდან, გადაწყვეტის სტრატეგიების ალტერნატივებიდან გადაწყვეტის სწორი სტრატეგიის მოძიება და დასაბუთება;
 - ალტერნატიული გადაწყვეტილებების შედარებით ანალიზი შეფასების სხვადასხვა განსაკუთრებული კრიტერიუმების საფუძველზე;
 - არასტანდარტული სისტემების რეალიზაციის მექანიზმების, ინსტრუმენტებისა და მეთოდების დასაბუთება მმართველობითი პერსონალის კრეატიული პოტენციალის ფართო შესაძლებლობათა გამოყენების საფუძველზე;
 - მიზნებისა და ალტერნატიულ მმართველობით გადაწყვეტილებათა კრიტერიუმ-ინდიკატორების ეფექტიანობის მიღწევა სისტემის ადაპტური კონტროლისა და რეალური დროის რეჟიმში მოქმედებათა კორექტირებისათვის გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველზე.
- ვიხილავთ რა კრეატიულ მენეჯმენტს, როგორც მმართველობითი მოღვაწეობის სახეობას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დამახასიათებელია რიგი საერთო და სპეციფიკური პრინციპები. ასეთი პრინციპები ითვალისწინებს ობიექტურ, საერთო და მყარ მუდმივად განმეორებად კავშირებს კრეატიული მენეჯმენტის პროცესებს, მოვლენებსა და ობიექტებს შორის.
- კრეატიული მენეჯმენტის საერთო და სპეციფიკური პრინციპების გაუთვალისწინებლობა საერთო ჯამში ორგანიზაციის (ფირმის, საწარმოს) მართვის სისტემაში იწვევს წინააღმდეგობების, კონფლიქტების, დისპროპორციებისა და დისბალანსის აღმოცენებას.

დასკვნა

ამრიგად, კრეატიული მენეჯმენტი, როგორც მმართველობითი მოღვაწეობების სახეობა და მეცნიერულად დასაბუთებული მართვის ინსტრუმენტი, გამოიყენება როგორც სტრატეგიული განვითარების მიზნებისათვის, აგრეთვე მუდმივად აღმოცენებადი საგანგებო და კრიზისული სიტუაციების დასაძლევად; განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საჭიროა განხორციელდეს გადარჩენის, წინსვლის, ბაზარზე საწარმოს კონკურენტუნარიანობის მიღწევის პრინციპულად ახალი გზების მოძიება და რეალიზაცია.

თავისი შინაარსით კრეატიული მენეჯმენტი წარმოადგენს კრეატიულ-ინოვაციურ მოღვაწეობას ორიგინალური მმართველობითი ინოვაციების შემუშავებასა და რეალიზაციის შემოქმედებითი პროცესის სამართავად. ეს არის მოღვაწეობა (საქმიანობა) არასტანდარტული, ორიგინალური იდეების წამოყენებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციისა და კომერციალიზაციისათვის.

კრეატიული მენეჯმენტი მიმართულია მმართველობით მოღვაწეობაში სიახლეთა დამუშავებასა და დანერგვაზე დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციის, კონტროლის კომუნიკაციებისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგიების საკითხებში; სხვა სიტყვებით ეს არის ორგანიზაციულ-მმართველობითი ნოვაციები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Фаррахов А. Г. „Менеджмент“, М., 2014.
2. „Креативный менеджмент“ учебник. М., 2017.
3. Акатов Н. В. Управление" переходом к инновационным саморазвивающимся организациям: Теория и практика," П., 2012.
4. Андреев В. И. - " Саморазвитие менеджера". М., 2014.

*EvgenyBaratashvili
Irma Makharashvili
Guguli Kurashvili*

THE IMPORTANCE OF CREATIVE MANAGEMENT IN MODERN GOVERNANCE ACTIVITY

Summary

Economic Science calls on the use of creative management elements, which implies the introduction of non-traditional methods and tools in the management process. Management in general sense - is the activity of human consciousness to achieve the goals set for joint labor organizations. It is important to understand that management is an instrument for achieving objectives by using other people's labor, intellectual and behavioral abilities. Creative management, as the type of management as well as the type of scientifically proven management instrument, is used as a

tool for strategic development purposes in continuing emergency and crisis situations; Especially in the situations when it is necessary to save or advance existing potential or find new ways for achieving competitiveness of the enterprise on the market segment.

We must confess that the most important strategic direction of the governing science is a creative management. Creative management, in the rate acceleration process of the technological innovations, reflect the specific aspect of managing contemporary fields and enterprises.

At present there is a sharply increased demand on inventive management and managers, with a generation skill, ability of realization of quick nonstandard and original ideas, quickly and efficiently solve problematic situations.

Naturally, we cannot confirm or ignore innovative management (managing innovations, novelties), who perform realization of the functions of innovative management, such as organization of scientific research processes and fundamental development, creation of test samples and implementation of novelties in organizations. However, in the modern era – in the informational and innovative economic conditions, systematically are rising principally new problems and tasks, which are connected to searching novelties, with the non-copied approaches of solving them in unforeseen and uncertainty conditions, as well, with nonstandard, emergency and crisis situations.

These are the circumstances and conditions, which determine the necessity of active use of creative management in enterprises. The fundamental of the creative management is a creative thinking, creative (intellectual) skill, abilities and thinking. In a broad sense, under the creative thinking we consider and mean the thinking, which leads us to innovative ideas and discoveries, principally new solving of problematic situations. In the economic process, we usually mean the activity, directed to creation of principally new benefits. In relevance with the governing field, creative thinking considers the skill to operate unique, nonstandard managing decisions, perform searches for nonstandard innovative ideas.

The main distinctiveness and characteristic of creativeness are possibilities of a man, to discover new ways and means of solving problematic issues, ability to reject stereotypes of the rules and means; i.e. on the front line of characterizing “creativity” come feature of nonstandard thinking, ability to newly review existed and known realities.

Creativeness in some kind and quality is characteristic for persons, who perform their activities in several social fields, spheres and sectors.

Specific form and type of creativeness is governing creativeness. Understanding of creative management in learning context, together with researching of idea “creativity”, is seldom used another understanding: named – “governing creativity”.

Fundamental of the governing creativity is a creative thinking of a manager, understood as the mean of different, form innovative ideas, knowledge, instruments, methods and mechanisms with different thinking combinations, which ensure rise of social-economic development efficiency of organizations.

At present, creative management, in the efficient management system of enterprises, organizations and companies social-economic development we can see the instruments, use of which is one of the main factor to overcome today’s chaos, ruling in the managing activities.

In its content, creative management is a creative-innovative activity, to develop original managing innovations and managing of realization of creative processes. This is an activity of representing nonstandard, original ideas and their practical realization and commercialization.

Creative management is directed to development and implementation of novelties in the managing activities, in the issues of planning, organization, motivation, control communications and technologies of making managing decisions; in other words, these are the organizational-managing innovations.

*ლია ბიბილაშვილი
ეკატერინე აფხაიძე*

რისკების მართვის აუცილებლობა კომპანიაში

ანოტაცია. რისკების მართვა XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი კვლევის სფერო, რომელიც განუყოფელია ბიზნესისაგან. უამრავი მაგალითი მეტყველებს იმაზე, რომ წარმოების რისკებისაგან სრული დაზღვევა შეუძლებელია, მაგრამ მისი პროგნოზირება და ნეიტრალიზება რისკმენეჯმენტის კვლევის სფეროს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: რისკი, მართვა, კომპანია

შესავალი

რისკების მართვა ნებისმიერი ეკონომიკური პროცესის აუცილებელი და შემადგენელი ნაწილია, რადგან რისკის ზომა გავლენას ახდენს ადამიანის, ორგანიზაციის შემოსავლებთან. რისკის მართვის მიზანია ადამიანზე ან ორგანიზაციაზე მოქმედ საფრთხეებზე აქტიური კონტროლი. იგი საშუალებას იძლევა, მინიმუმამდე შემცირდეს სხვადასხვა რისკების ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზარალი, კატასტროფული დანაკარგების დადგომის ალბათობა. რაც უფრო მოულოდნელია რისკი, მით უფრო მეტი რესურსია საჭირო მისი თავიდან ასაცილებლად ან მის მიერ განპირობებული შედეგების თავიდან ასაცილებლად. რაც უფრო მეტი ცოდნა გვაქვს რისკის შესახებ, მით უფრო მეტი საშუალებაა მისი მართვისათვის. ამიტომ, რისკის მართვის პროცესი რაც

უფრო ეფექტურად არის ორგანიზებული, მით უფრო ეფექტურია ადამიანის ან ორგანიზაციის საქმიანობა.

* * *

რისკის და მისგან განპირობებული ზარალის აცილების ეფექტური საშუალებებია: რისკის მართვა და დაზღვევა. რისკის მართვა წარმოადგენს რისკის და მისი შედეგების თავიდან აცილების ან შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობას.

რისკების მართვის სისტემა მოითხოვს დიდ დანახარჯებს და, ამიტომაც, ძირითადად მსხვილი კორპორაციებისათვის არის ხელმისაწვდომი, მაგრამ მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით ყველა კომპანიას, მათი სიდიდის მიუხედავად, შეუძლია დანერგოს ამ სისტემის ცალკეული ელემენტები, კერძოდ გამოიყოს ძირითადი რისკები და გაატაროს ღონისძიებები მათ შესამცირებლად. დღეს ნებისმიერი კომპანია, ასე თუ ისე, მართავს რისკებს. ერთნი აფასებენ რისკებს მათი დადგომის შემდეგ, რომლებმაც უკვე გამოიწვია მნიშვნელოვანი დანაკარგები, ხოლო მეორენი ამ საქმიანობას ეწევიან გამუდმებით და გეგმაზომიერად. იმისათვის, რომ რისკების მართვის სისტემა იყოს ქმედითი, აუცილებელია, კომპანიის მენეჯმენტი გაერკვეს რისკმენეჯმენტის ტექნოლოგიაში, განახორციელოს რისკების დიაგნოსტიკა, შეაფასოს მათი წარმოშობის ალბათობა და შესაძლო დანაკარგები, ორგანიზება გაუკეთოს რისკების მართვას.

პირველ რიგში კომპანიამ უნდა განსაზღვროს, თუ რა ჩაითვლება რისკად, როგორია მისი სახეები და განმსაზღვრელი ფაქტორები, რას ნიშნავს „რისკების მართვა“ და როგორია მისი მართვის სისტემის შემადგენლები.

რისკები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი სახით:

სტრატეგიული რისკები: ორგანიზაციის გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებული რისკები, კაპიტალის არსებობა, პოლიტიკური გარემოს დინამიკა, კანონმდებლობის ცვლილებები, ბუნებრივი გარემოს ცვლილებები, რეპუტაცია და იმიჯი.

ოპერაციული რისკები: ორგანიზაციის ყოველდღიურ საკითხებთან დაკავშირებული რისკები. საფინანსო რისკები: ორგანიზაციის ფინანსების მართვა, საკრედიტო საშუალებები, ვალუტის კურსის ცვლილება, პროცენტული განაკვეთის დინამიკა;

საკანონმდებლო შესაბამისობის რისკები: კანონმდებლობასთან შესაბამისობა შრომის დაცვის, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, უსაფრთხოების წესების დაცვის მხრივ.

ქონებრივი რისკები: რისკები, დაკავშირებული შენობა-ნაგებობებთან, შიგთავსთან, საინფორმაციო და პროგრამულ უზრუნველყოფასთან, აღრიცხვის, საბუღალტრო-ფინანსურ დოკუმენტაციასთან, ფასიან ქაღალდებთან, ავტომობილებთან, საკომუნიკაციო საშუალებებთან.

საინფორმაციო რისკები: ინტელექტუალური საკუთრება, ინფორმაციის წყაროები, ინფორმაციის შენახვა და გამოყენება, ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენების თანამედროვე ტექნოლოგიები.

პასუხისმგებლობის რისკები: უხარისხო პროდუქცია, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა, მესამე პირთა ინტერესების შელახვა, მომატეხელ საფრთხესთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა.

ბიზნესრისკები: წარმოების გაჩერება, მომარაგება, ლოგისტიკა, კონკურენცია, მარკეტინგი. ადამიანური რესურსების რისკები: ტრავმა, ჯანმრთელობის გაუარესება, გარდაცვალება, უმუშევრობა, სოციალური ვალდებულებები.

უკანონო ქმედებების რისკები: თაღლითობა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ინტელექტუალური საკუთრება, საინფორმაციო უსაფრთხოება.

შემდგომ ეტაპზე კომპანია ახდენს რისკების ძირითადი სახეების იდენტიფიცირებას, რომლებიც დამახასიათებელია მისი ბიზნესისათვის. არსებობს რისკების გამოვლენისადმი ორი მიდგომა - კონსერვატიული და პროგრესული. კონსერვატიული მიდგომის დროს, რომელსაც იყენებს მრავალი კომპანია, რისკების იდენტიფიცირება (დიაგნოსტიკა) ხორციელდება ან ყოველწლიურად, ან საჭიროების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, რისკების განსაზღვრა ან შეფასება ხდება მოვლენის დადგომის შემდეგ.

პროგრესული მიდგომა, რომელსაც იყენებენ წამყვანი კომპანიები, გულისხმობს რისკების გამოვლენის უწყვეტ პროცესს, რომელშიც მონაწილეობს კომპანიის ყველა თანამშრომელი, ხოლო გენერალური და ფინანსური დირექტორები ახორციელებენ საერთო კოორდინაციას. რისკმენეჯმენტის სისტემის აგების მომენტში პრობლემები ხშირად წარმოიშობა იმის გამო, რომ კომპანიის ხელმძღვანელებს არ ესმით, თუ ეს სისტემა როგორ იმუშავებს და რა გავლენას მოახდენს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე. ამიტომ, რისკების მართვის სისტემის დანერგვა უნდა დაიწესოს კომპანიის საქმიანობის იმ სეგმენტებიდან, რომლებშიც რისკი უფრო თვალსაჩინოა. მაგალითად, შესაძლებელია დარეგულირდეს საწარმოო ან სავალუტო რისკების მართვა, შედარდეს კომპანიის საქმიანობის შედეგები სხვადასხვა პირობებში, ამ რისკების მართვის დაწყებამდე და მის შემდეგ, ხოლო მიღებული შედეგები მიეწოდოს კომპანიის ტოპმენეჯერებს. ამის შემდგომ შესაძლებელია რისკების მართვის სისტემის გავრცელება კომპანიის საქმიანობის სხვა სფეროებზეც.

რისკების დიაგნოსტიკის მრავალი მეთოდი არსებობს, მათ შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება: ანკეტირება, ინტერვიუება, საექსპორტო შეფასება და რისკების აუდიტი. რისკების გამოვლენის დიაგნოსტიკის შემდეგ უნდა მოხდეს რისკების რანჟირება დადგომის ალბათობისა და

მოსალოდნელი ზარალის მოცულობის მიხედვით. სასურველია, გამოვლენილი რისკების შეფასება როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად. უდავოა, რომ რისკების ხარისხობრივი შეფასება უფრო მარტივია, მაგრამ ნაკლებად ზუსტი და არასაიმედოა. ამიტომ, შეძლებისდაგვარად, კომპანიები ცდილობენ გამოიყენონ რისკების რაოდენობრივი შეფასება.

კომპანიის რისკმენეჯმენტის ამოცანა უნდა იყოს, რომ განახორციელოს რისკების ანალიზი და მოახდინოს მათი ეკონომიკური შეფასება. კომპანიის რისკების მართვის ორგანომ უნდა შესთავაზოს ხელმძღვანელობას ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას მისცემს კომპანიას, მოახდინოს სარისკო მოვლენების შედეგების მინიმიზაცია, შეიმუშაოს პოზიცია ამა თუ იმ რისკის მიმართ ან მიიღოს ეს რისკი, ან თავი აარიდოს მას. მეთოდები, რომლებსაც ყველაზე უფრო ხშირად იყენებენ კომპანიის რისკმენეჯერები რისკების მართვის პროცესში, შემდეგია: რისკის თავიდან აცილება, რისკის შეკავება, რისკის გადაცემა, რისკის შემცირება, რისკების დაზღვევა.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს წამყვან კომპანიებში რისკმენეჯმენტის სისტემა მოიცავს მათი საქმიანობის ყველა დონეს. ვინაიდან ოპერაციულ რისკებთან შეხება აქვს კომპანიის პრაქტიკულად ყველა ქვეგანყოფილებას, ამიტომ მუშაობა მათი გამოვლენისათვის მიმდინარეობს ყოველ მათგანში. ქვეგანყოფილებები იძლევიან სარისკო მოვლენის დადგომის ალბათობის ექსპერტულ შეფასებას და ახორციელებენ მთლიანობაში კომპანიისათვის შესაძლო შედეგების სასცენარო ანალიზს. კომპანიის რისკების მართვის ორგანო აგროვებს, აანალიზებს და კონსოლიდაციას უკეთებს მიღებულ ინფორმაციას, ესმარება ქვეგანყოფილებებს, შეიმუშაონ მოქმედების გეგმა, რომელიც მიმართული იქნება სარისკო სიტუაციის თავიდან არიდებაზე ან მათი წარმოშობის ალბათობის შემცირებასა და შესაძლო დანაკარგების მინიმიზაციაზე.

კომპანიის რისკების მართვის ორგანო თვალყურს უნდა ადევნებდეს რისკების განვითარებას და განუწყვეტლივ აახლებდეს იმ რისკების ჩამონათვალს, რომლებსაც აწელება კომპანია და მისი ქვეგანყოფილებები. ანგარიში, რომელიც უნდა მომზადდეს რისკმენეჯერების მიერ, წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას, პირველ რიგში გენერალურ და ფინანსურ დირექტორს, მინიმუმ წელიწადში ორჯერ. დამკვირვებელთა საბჭოს წევრებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელმძღვანელობამ, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, უნდა განსაზღვროს კომპანიის ყველაზე ალბათური და მნიშვნელოვანი რისკებისადმი მისი მიდრეკილება და დამოკიდებულება.

ბოლო წლების განმავლობაში რისკების მართვის სფეროში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ სხვადასხვა ქვეყანაში რისკის დონის შემცირებისა და მასზე კონტროლის განხორციელების მიზნით, მრავალმა კომპანიამ, ფინანსური ანგარიშების მომზადების სფეროს საკონტროლო პროცედურების საფუძველზე, დააფინანსა თავისი პერსონალის პროფესიული გადამზადება, ასევე, პროცესების, ტექნოლოგიებისა და რისკების მართვის დახვეწა.

დასკვნა

ამრიგად, რისკების მართვის სტრატეგიის ჩამოყალიბება და განვითარება საშუალებას აძლევს კომპანიას, დიდი სიზუსტით მოახდინოს რისკების წარმოშობის პროგნოზირება. რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობის მიუხედავად, საჭიროა კომპანიაში შემუშავდეს რისკებზე რეაგირების სტრატეგია. რისკმენეჯმენტში გაწეული ინვესტიციების შეფასებამ აჩვენა, რომ მდგრად შედეგებსა და წარმატებას მიაღწიეს მხოლოდ იმ კომპანიებმა, რომლებმაც შექმნეს რისკების მართვის სისტემა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები. თბ., 2013.
2. ბენიძე ნანა, შონია ნანა, ბიწაძე ჯემალ. რისკები და დაზღვევა. თბილისი. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2010.
3. Новоженев Д. Первый опыт риск-менеджмента. Личный опыт: Андрей Р. Ведущий риск-менеджер Hoffman La Roche Ltd.
<http://fd.ru/articles/30818-pervyy-opyt-risk-menedjmenta?ndlin=fa9838bb504980aa1f92686fc2aed4ef>
4. Тонки Деккер. Корпоративное управление. Анализ рисков.
<http://www.ipnou.ru/article.php?idarticle=000539>

*Lia Bibilashvili
Ekaterine Apkhaidze*

RISK MANAGEMENT NECESSITY IN A COMPANY

Summary

Risk management is essential part of any economic process, as risk affects person's attitude to a company income. Risk management aims to actively control threats affecting a person or a company. It implements a reduction of the loss caused by different risks and catastrophic outcomes. The more unexpected the risk is, the more recourses it need to be avoided and the more we know about the risks, the more possibilities there are to deal with them.

The effective means of avoiding risks and losses are: risk management and insurance. Risk management represents the unity of activities used for risks avoidance or reducing.

Risk management requires lots of expenses and that is why it is mainly affordable for huge companies and according to their experience, any of the companies, no matter what size they are, are able to implement certain elements of this system. More correctly, to separate out the main risks and put risk reducing activities into effect.

On the first stage, the company has to define the risks, risk causing factors, risk management and the constituent parts of the management system.

The aim of the company risk-management should be the analysis of the risks and assess them on economic level. The risk management body has to offer activities to minimize risk affects, work out the position towards the risks – to receive or to avoid them. The most commonly used methods in avoiding risks are: Avoiding risks, preventing risks, conveying risks, reducing risks and risk insurance.

The main task for risk-management organ is to observe risk development and permanently renew risk-list the company faces. The report, prepared by risk-managers, is to be sent to the financial director at least twice a year. With cooperation of the observing council (in case it exists) the head office of the company, at least once a year, should define the upcoming risks and the companies dependence and attitude towards abovementioned risks.

ბესიკ ბოლქვაძე

**კორპორაციული ანგარიშგების როლი
ფინანსური ბენეფიციარების სისტემის ფორმირებასა და განვითარებაში**

ანოტაცია. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთ მოთხოვნას კორპორაციული მართვის (მ.შ. ფინანსური ანგარიშგების) სისტემის მოწესრიგება და შესაბამის ევროდირექტივებთან ჰარმონიზაციის მიღწევა წარმოადგენს, რისთვისაც ქვეყანაში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები. კერძოდ, მიღებულ იქნა შესაბამისი კანონი, შეიქმნა მარეგულირებელი ორგანო, განხორციელდა საწარმოთა კატეგორიზაცია, განისაზღვრა ანგარიშგებითი მოთხოვნები, შემუშავდა ნორმატიული აქტები და ა.შ. ნაშრომი, აღნიშნული შედეგების ანალიზის საფუძველზე, ასაბუთებს ისეთი მნიშვნელოვანი სტატისტიკურ-ანალიტიკური ინსტრუმენტის შემუშავების აუცილებლობას, როგორცაა ფინანსური ბენეფიციარი.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგება, აუდიტი, საწარმოთა კატეგორიზაცია, რეგულატორი, ფინანსური ბენეფიციარი.

შესავალი

განვითარების მიმდინარე ეტაპზე ბიზნესსუბიექტების ფინანსური ანგარიშგების პრაქტიკული გამოყენებისა და რეგულირების საკითხს საქართველოში აწესრიგებს 2016 წელს მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, რომელმაც რადიკალურად შეცვალა და სრულყო 2012 წლის კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, რომლის წინამორბედ საკანონმდებლო ბაზასაც შეადგენდა კანონები – „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (1999) და „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (1995). კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც ასევე მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელ ნორმებსაც, აქცენტირდება შემდეგ ძირითად ნოვატორულ მიდგომებზე: 1. ფინანსური ანგარიშგების დიფერენცირება კომპანიების ზომითი კატეგორიების მიხედვით; 2. მმართველობითი ანგარიშგების სისტემის შემოღება; 3. აუდიტის ხარისხის კონტროლის გაძლიერება; 4. ანგარიშგების სისტემის გამჭვირვალობა; 5. ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან მისადაგებულობა.

* * *

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ფინანსური ანგარიშგების მომზადება-წარდგენის აუცილებლობის, საჯაროობისა და აუდიტირების მიხედვით, კომპანიები კლასიფიცირდება ოთხ ძირითად კატეგორიად და საზოგადოებრივი დაინტერესების პირებად (სდა). საზოგადოებრივი დაინტერესების პირი წარმოადგენს ისეთ იურიდიულ პირს, რომლის მიმართაც შედარებით მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი, მათი კაპიტალის ფორმირების ბუნებიდან გამომდინარე. მათ განეკუთვნება: საფონდო ბირჟაზე კოტირებადი ფასიანი ქაღალდების მქონე კომპანიები, კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, არასახელმწიფო საპენსიო სქემის მქონე კომპანიები და მთავრობის მიერ სპეციალური დადგენილებით განსაზღვრული პირები. კომპანიათა ფინანსური ანგარიშგებების მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური [5].

აღსანიშნავია, რომ კომპანიების კლასიფიცირებას ზომითი კატეგორიების მიხედვით საფუძველად უდევს სამი კრიტერიუმი: 1. აქტივების ჯამური ღირებულება; 2. შემოსავლების მაჩვენებელი და 3. დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა [1, მუხლი 2]. წარმოდგენილი მოდელის

მიხედვით, კომპანიის ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი სტანდარტები იყოფა 4 ძირითად ჯგუფად: 1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS); 2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME's); 3. ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები, დადგენილი IV კატეგორიის საწარმოებისათვის; 4. ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები, დადგენილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის. შესაბამისად, სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტი ვალდებულია სხვადასხვაგვარად აწარმოოს ფინანსური ანგარიშგება, სახელდობრ: საზოგადოებრივი დაინტერესების პირები და I კატეგორიის კომპანიები ბუღალტრულ აღრიცხვას და შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას ახდენენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. II და III კატეგორიის კომპანიები ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (თუმცა უფლება აქვთ, გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები). IV კატეგორიის კომპანიები და არასამეწარმეო იურიდიული პირები კი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებენ და წარადგენენ შესაბამისი ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

რაც შეეხება კომპანიათა ფინანსური ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების და წარდგენის აუცილებლობას, იგი სავალდებულოა მხოლოდ საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე პირებისა და I და II კატეგორიის კომპანიებისათვის (მ.შ. შვილობილი საწარმოებისათვის), ხოლო III და IV კატეგორიის კომპანიები და არასამეწარმეო პირები გათავისუფლებულნი არიან ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ვალდებულებისაგან [1, მუხლი 6]. ანალოგიური მიდგომით, ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მმართველობითი ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ვალდებულება აქვთ მხოლოდ საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე პირებსა და I და II კატეგორიის კომპანიებს. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს სამ ძირითად ნაწილს: ა) საქმიანობის მიმოხილვა; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგება; გ) არაფინანსური ანგარიშგება. კომპანიებს აქვთ ვალდებულება, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდონ არა მარტო ზედამხედველობის სამსახურს, არამედ ასევე შემოწმებულ აუდიტორულ კომპანიასაც.

გარდა ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებისა, ცალკეული კომპანიები, რომელთა საქმიანობა მოიცავს წიაღით სარგებლობას ან ცალკეული ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, ვალდებული არიან მოამზადონ და წარადგინონ სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება. შესაბამისად, მსგავსი ნებისმიერი სამეწარმეო სუბიექტი ვალდებულია, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სახელმწიფოს ფინანსური (მ.შ. კონსოლიდირებული) ანგარიშგება, მმართველობითი ანგარიშგება და გადახდების შესახებ ანგარიშგება და, შესაბამის შემთხვევებში, აუდიტორული დასკვნა ერთიანი ანგარიშგების პაკეტის სახით, რომელიც გამჭვირვალობის მიზნით ექვემდებარება სათანადო წესით საჯარო გამოქვეყნებას შესაბამისი სამსახურის მიერ.

ამდენად, ბიზნესსუბიექტების მიერ ანგარიშგებათა წარდგენამ სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოსათვის, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ საჯარო განთავსებამ უნდა უზრუნველყოს საშუალოვადიან პერიოდში: 1. ფინანსურ ანგარიშგებათა საიმედოობის ხარისხის ამაღლება; 2. მმართველობით ანგარიშგებათა მომზადების კონტექსტში – კომპანიების კორპორაციული მართვის ელემენტების დანერგვა; 3. ბიზნესსუბიექტების ფინანსური ანალიზის ინსტრუმენტული სრულყოფა; 4. ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობის დონის ზრდა; 5. კაპიტალისა და საკრედიტო ბაზრების განვითარების ხელშეწყობა; 6. კორპორაციული „ანგარიშვალდებულებითი“ კულტურის დონის ამაღლება.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მოსალოდნელი პოზიტიური მომენტები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სახელმწიფო-ბიზნესსექტორის ანგარიშგებითი ურთიერთობის სრულყოფის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საშუალოვადიან პერიოდში მნიშვნელოვანია მოხდეს სახელმწიფოს (რეგულატორის) მხრიდან ბიზნესსექტორიდან აკუმულირებულ ფინანსურ ანგარიშგებათა ინფორმაციის სისტემატიზაცია, დაჯგუფება და საშუალო ანალიტიკური მანქნებლების (ლიკვიდობის, რენტაბელობის, ფინანსური მდგრადობის, საქმიანი აქტიურობის და სხვ.) გაანგარიშება ბიზნესის ცალკეული სექტორების, ქვესექტორების და საქმიანობის სახეობების ჭრილში, რაც შექმნის თავისებური ფინანსური ბენჩმარკინგის მექანიზმს, რითაც ბიზნესსუბიექტებს ექნებათ საშუალება, თავიანთი ეკონომიკური საქმიანობის პროცესში სისტემატიურად განახორციელონ საკუთარი ფინანსური მახასიათებლების რელატიური შედარება-ანალიზი მოცემული სექტორის კომპანიებთან, რათა მათ შეძლონ საკუთარი ბიზნესის ფინანსური მახასიათებლების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაციის მიღება. მსგავსი ბენჩმარკინგული ფინანსური მექანიზმები წარმატებით გამოიყენება განვითარებული ბაზრების პირობებში [Gitman L.J., Hennessey S.M. 2005. გვ. 87; Fridson M., Alvarez F. 2011. გვ. 229-230]. საქართველოს ეკონომიკურ რეალობაში კი მსგავსი საშუალო სექტორული მიკროფინანსური მანქნებლები პრაქტიკულად არ იანგარიშება. მიგვაჩნია, რომ ფინანსური (და მმართველობითი) ანგარიშგებების კონსოლიდაცია-კონცენტრაცია და კანონმდებლობის დონეზე გამჭვირვალობის

დონის ამაღლება პერსპექტივაში ხელს შეუწყობს მსგავსი ანალიტიკური ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებას, რაც გაზრდის ფინანსური ინფორმაციის, როგორც ანალიზისათვის საჭირო რესურსის, ხელმისაწვდომობას როგორც შიდაფინანსური კორპორაციული გადაწყვეტილებების ეფექტიანობის ამაღლების, ისე კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ მსგავსი ანალიტიკური საინფორმაციო ნაკადების არარსებობა გარკვეულწილად ქმნის საინფორმაციო ასიმეტრიის წინაპირობას, რასაც ემატება საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში ფინანსური ასიმეტრია, ანუ საბანკო სექტორის საპირწონედ კაპიტალის ბაზრის არასაკმარისი განვითარება. ამდენად, ფინანსური ბენჩმარკინგის მექანიზმის დანერგვა-განვითარება, თავის მხრივ, დაეხმარება ბიზნესსექტორის რეალურ სეგმენტს, კაპიტალის ბაზრის სუბიექტებს და სახელმწიფოს რელევანტური გადაწყვეტილებების მიღებაში.

დასკვნა

ამრიგად, „ანგარიშგებითი კულტურის“ დონის ამაღლება, რაც კომპანიათა მიერ მარეგულირებელი ორგანოს მიმართ ფინანსურ და კორპორაციულ ანგარიშგებათა აუცილებელ წარდგენაში და ბიზნესსექტორის ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებაში გამოიხატება, ჩვენი აზრით, უნდა აისახოს ფინანსური ბენჩმარკინგის სისტემის (ბიზნესის საშუალო სექტორული ფინანსური ინდექსების) ფორმირებაში, რაც შეიძენს ღირებულ სტატისტიკურ მნიშვნელობას და იქნება გამოყენებადი არა მხოლოდ ბიზნესსუბიექტების ფინანსურ ანალიტიკაში, არამედ სხვა დაინტერესებული მხარეებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.
2. Gitman L.J., Hennessey S.M. 2005. Principles of Corporate Finance. Toronto, “Addison Wesley”.
3. Greuning H.V. 2009. International Financial Reporting Standards (IFRS). A Practical Guide. Fifth Edition. Danvers, “Copyright Clearance Center”.
4. Fridson M., Alvarez F. 2011. Financial Statement Analysis. Fourth Edition. New York, “Wiley”.
5. www.saras.gov.ge

Besik Bolkvadze

THE ROLE OF CORPORATE REPORTING IN FORMATION AND DEVELOPMENT OF FINANCIAL BENCHMARKING SYSTEM

Summary

One of the most important requirements of Association Agreement with Europe Union is the arrangement of corporate management (including financial reporting) system and achievement of harmonization with the relevant Euro Directives for which some basic reforms were held, namely, the new law is adopted, the regulator entity is formed, normative acts were worked out, etc. The paper gives the scientific evidence of inevitability of elaboration such statistical-analytical tool as financial benchmarking based on proper analyses.

According the author the acting legislation about financial reporting is focused on the following approaches: 1. The differentiation of financial reporting in terms of categories of companies size; 2. Introducing of managerial reporting system; 3. Enhancement of control of audit quality; 4. Transparency of reporting system; 5. Accordance of financial reporting with standards.

The paper refers to the most important issues of the country's corporate finance as follows: classification of enterprises for reporting goals, managerial reporting aspects, functions of regulator state organ, financial statements quality, companies' accountability from auditing point of view, prerequisites of usage of International Financial Reporting Standards (IFRS), inevitability of formation of financial benchmark system.

It should be noted that the average sector benchmarks are not calculated in Georgian transitional economy that makes impossible for companies to compare their financial performance measures to the average sector/subsector financials. The consolidation and concentration process of financial and managerial reporting stimulates the utilization of analytical financial tools which increases the quality and access of relevant and reliable financial information flows. In it turns the implementation and development of benchmarking system supports the real business sector, entities of capital market and the state in adequate policy-making.

The article considers the most topical issues of the contemporary reporting policy, where the role of financial statement quality is underlined, mandatory audit cases are given, importance of enterprises categorization is considered, significance of inevitability of implementation of financial benchmarking system is discussed. Thus, the management of financial and managerial reporting system in transition economy of Georgia requires complex and systematic approach and timely responses by the regulator who is responsible for resolving core problematic issues which themselves are connected with implementation and upgrading of financial benchmarking mechanism in the nearest future.

ОЦЕНКА ВЛИЯНИЯ ЦИКЛОВ НА УСТОЙЧИВОСТЬ ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ПРИ ПОМОЩИ МОДЕЛИ ДОМАРА

Аннотация. Проблема экономического роста, которая находит свое отражение в обширной переработке, является одной из ключевых сфер экономики. Экономический рост напрямую связан с количественным ростом и качественным повышением ВВП, а также с факторами, влияющими на его производство. Экономическая политика, направленная на повышение экономического роста, определяет циклическое развитие каждой страны, создавая условия для стабильности, стагнации и роста экономического роста. Экономический рост обычно измеряется по годовой ставке роста, выраженной в виде процентной ставки. Важнейшими показателями экономического роста на макроэкономическом уровне - рост ВВП или национального дохода, рост ВВП на душу населения и национальный доход считаются наиболее быстрыми темпами роста для промышленных товаров на и на душу населения. Изучение экономического роста неизбежно привело к разработке ряда его моделей. Одной из моделей экономического роста является модель Домара. В отличие от исходных ключевых моделей, эта модель рассматривает инвестиции не только как доходы, но и как фактор создания новых полномочий. Динамический баланс спроса и предложения в модели Домара определяется динамикой капиталовложений, которая генерирует новые силы и доходы. Основная задача здесь - определить масштаб и динамику инвестиций. Модель Домара направлена на решение проблемы равенства, равенства спроса, равенства спроса и предложения.

В статье оцениваются условия, обеспечивающие динамический баланс экономических показателей, определяющих динамический баланс экономического роста с помощью модели Домара для экономики Азербайджана в 2000-2016 гг. и использование полученных результатов. Здесь, в основном, рассчитывались скорость накопления и конечная производительность капитала, а результаты эконометрической оценки выполнялись в программном пакете E-views с помощью эконометрики. Основываясь на оценке программного пакета E-views, статистическая значимость критерия Фишера определялась наличием автокорреляции на оставшейся части модели. Таким образом, последовательный корреляционный тест на остатках модели определялся для определения стабильности модели в течение исследуемого периода и не приводил к автокорреляции и гетероскедастичности в последовательных автокорреляционных остатках. В исследовании выявлена динамика динамического баланса экономического роста, определено влияние добычи нефти и резкое увеличение выручки от ее продажи на равновесном уровне экономического роста и определены темпы роста ВВП в реальном выражении.

Ключевые слова: экономические циклы, экономический рост, модель Домара, уровень равновесия, вероятность, автокорреляция.

Введение

Каждая страна в мире проводит различные экономические политики для увеличения экономического роста. Экономический рост нестабилен в любой стране, поскольку мировые страны развиваются благодаря международному разделению труда во взаимных взаимодействиях. Период экономического роста заменяется спадом с циклом спуска. Все это означает, что экономика каждой страны циклична. Основой экономического цикла являются повторяющиеся экономические кризисы в производстве. Переход производства из одного экономического кризиса в другой называется экономической эпохой.

Экономические циклы различаются по продолжительности, по масштабу, происхождению, формам развития и распространению. Как правило, циклы являются краткосрочными, среднесрочными и долгосрочными, в зависимости от продолжительности их пребывания. Сфера деятельности разделена на промышленную и сельскохозяйственную сферы. Экономические циклы характеризуются изменениями в ценах на нефть, продовольствие, энергию, сырье и обменные курсы. Экономические циклы делятся на структурные и промышленные формы в соответствии с их формами развития и, в соответствии с их сферами, делятся на национальные и международные формы [1]. Самый длинный экономический цикл по продолжительности цикла - цикл Кондратьева 40-60 лет. Эти циклы включают Кузнец в течение 20 лет и цикл Югяра от 7 до 11 лет, а также краткосрочные (3-5 лет) циклические циклы [3].

Циклические изменения в экономической среде экономической ситуации в экономической политике, используются бизнес-цикла точек поворота верхней и нижней части механизмов. Экономические циклы сильно зависят от экономического положения каждой страны и определяются ее показателями экономического роста и уровня инфляции. Уровень инфляции в стране является ключевым показателем экономической стабильности, а экономический рост является ключевым показателем экономического развития. В этом отношении важно определить динамический баланс экономического роста в каждой стране. Оптимальный уровень экономического роста определяется уровнем экономических циклов, что совокупный спрос равен совокупному спросу. В том числе модель Кейнса, неоклассические модели экономического роста относительно шире. Следует отметить, что регулирование экономического роста в модели Кейнса основано на инвестициях в экономику. Основная цель здесь - обеспечить условия для выравнивания растущего спроса и предложения, оптимально управляя инвестициями.

Модель Домара имеет особое значение как простая форма модели Кейнса в регулировании экономического роста в циклических процессах страны. Известно, что оптимальная цена встроенной целевой функции каждой модели определяется предельными условиями, включенными в модель. Оптимальность модели заключается в учете предусловий в ограничении. Домара модель, начальные условия нематериальных преимуществ рыночной модели капитала в последнем пределе производительности неизменности технологического процесса, производственная функция Леонтьев типа описан на рынке труда, излишек рабочей силы предполагает большую стабильность цен, чтобы гарантировать, что совокупный спрос и совокупное прирост инвестиций поставок фундамент остается стабильным и не обесценивается [1, с.234], [5, с.118].

* * *


Особое значение имеет учет роли нефтегазового сектора, который лежит в основе экономики страны при создании модели Домара для регулирования экономического роста в циклических процессах в Азербайджане. Следует иметь в виду, что запасы углеводородов в стране разрабатываются с уменьшением тенденции, и эти запасы исчерпаны. В настоящее время из углеводородов из 81 нефтегазового месторождения на территории Азербайджанской Республики добыто 61 углеводород. Азербайджан имеет 4,6 млрд. тонн нефти и 6,0 млн. кубометров газа в морских и Каспийских морях. Эксплуатация нефтяных остатков будет продолжаться в течение 45 лет. К этому моменту относится продление срока действия «Доклада столетия» к 2050 году [7, 8]. Поэтому, чтобы снизить зависимость экономики от нефтяного сектора, доходы от нефти направляются в нефтяной сектор нашей страны, а другие сектора экономики развиваются за счет Государственного Нефтяного Фонда. Между тем, помимо эффективного управления доходами в нефтяном секторе, такие меры, как доведение этих доходов до иностранных банков, также защищают страну от «голландского синдрома». На следующем графике проиллюстрировано развитие основных экономических показателей экономики страны за счет сырой нефти, добычи природного газа, нефтеперерабатывающей и нефтехимической промышленности [9, 10].

Необходимо определить уровень динамического сбалансированного роста и устранить нынешний уровень экономического роста с этого равновесного уровня, чтобы поддерживать соответствующую экономическую политику, чтобы поддерживать это развитие, наблюдаемое в экономике Азербайджана. Здесь необходимо определить динамический баланс экономического роста с помощью модели Домара для экономики Азербайджана, охватывающей 2000-2016 годы, для определения условий, обеспечивающих динамический баланс экономических показателей за этот период и оценки использования полученных результатов. Эконометрические оценки были сделаны в пакете программного обеспечения Eviews с использованием индекса физического объема и увеличения капитала, выбранного в 2001 году.

Оценка

Основными параметрами модели Домара являются ставка премии и конечный предел капитала, эти показатели рассчитываются в исследовании, а результаты эконометрической оценки определены в таблице 1.

Развитие некоторых социально-экономических показателей Азербайджанской Республики нефтяной промышленностью к 2016 году (%)



Источник: (9, 10) был подготовлен авторами.

Таблица 1

Результат эконометрической оценки параметра нормы сбора модели Домара

Переменная	Коэффициент	Стандартная ошибка	t- статистика	Вероятность
R_ ВВП	0.634128	0.039763	14.95631	0
C	-561.353	300.9516	-1.78618	0.094
Коэффициент детерминации	0.94497	Средняя цена зависимой переменной		4346.899
Уточненный коэффициент детерминации	0.94176	Стандартное отклонение зависимой переменной		3197.992
Стандартная ошибка регрессии	771.982	информационный критерий Хироцугу Акаике		15.92043
Сумма квадратов ошибки	775568	критерий Шварца		15.98683
log соответствие действительности	-119.96	F- статистика		226.1000
Статистика Дарбина-Уотсона	1.21632	Вероятность (F- статистика)		0.00003

Источник: (9, 10) результаты оценки эконометрическим методом по программе Eviews.

Как видно из таблицы, начальные условия эконометрических критериев существенно оплачиваются моделью. Как видно из таблицы, примерно 94% изменения урожая в 2000-2016 годах, согласно коэффициенту определяемости, представляет собой изменение ВВП. Кроме того, значение t-статистики составляет 14.95631, что указывает на его статистическую значимость. Это означает, что ВВП, который был принят как явная переменная, оказывает значительное влияние на зависимую переменную. Как видно из таблицы, критерий FISC (F-статистика) составляет 226.1000. То есть критерий Фишера также статистически значим. Однако коэффициент Дарбина-Ватсона составляет 1.21632. Согласно правилам, это соотношение существенно отличается от отношения двух схем, что может быть связано с автокорреляцией остатков модели [2, 3]. С этой целью на оставшейся части модели была протестирована последовательная корреляция (Breusch-Godfrey Serial Cor-Relationship LMTTest), и результат был показан в таблице 2.

Таблица 2

Результаты теста Серил Корреляции

Бреус-Годфрей Серил Корреляции IM Тестирование :			
t-статистика	4.988637	Вероятность	0.0196
Наблюдения * Коэффициент детерминации	6.998392	Вероятность	0.0198

Источник: (9, 10) результаты оценки эконометрическим методом по программе Eviews.

Рассматривая результаты этого исследования, мы видим, что в остатках существует автокорреляция. Это означает, что тенденция в модели изменится в будущем. Если мы посмотрим на модель, мы увидим, что в моделировании часть периода наблюдается при стабильном экономическом росте и вероятности экономического роста. Это является нарушением стабильности модели. Для этой цели требуется последовательная автокорреляция, чтобы проверить, вызваны ли автокорреляция и гетероскедастичность остатками. Поэтому должны проводиться автокорреляционные тесты остальной части модели [6].

В результате этого исследования было обнаружено, что эта серия автокорреляции не вызывает автокорреляции (Q-статистика) и гетероскедастичности. Это видно из приведенной ниже таблицы для результатов теста автокорреляции и теста на гетероскедастичность для остатка.

Таблица 3

Результаты теста автокорреляции

Автокорреляция (AC)	Частный автокорреляция (PAC)	(AC)	(PAC)	Q- статистика	Вероятность
.	**.	0.29	0.29	3.05	0.07
. * .	. .	0.12	-0.09	3.49	0.14
. .	. * .	-0.04	-0.10	3.64	0.22
. ** .	. * .	-0.21	-0.19	5.42	0.20

. ** .	. ** .	-0.24	-0.01	7.85	0.12
. ** .	. * .	-0.22	-0.13	10.04	0.07
. ** .	. ** .	0.29	0.31	3.05	0.07
. * .	. .	0.11	-0.09	3.49	0.16
. .	. * .	-0.04	-0.10	3.64	0.22

Источник: результаты оценки эконометрическим методом по программе Eviews по данным ГКС Азербайджана

Тестирование стабильности и коэффициенты испытания модели таблица платит. Таким образом, результаты испытаний можно увидеть на множестве экономической мысли. На основе приобретенной модели, учился в течение 1 (одного) миллиона, что приводит к увеличению прироста ВВП в накоплении 063 milyon фунтов. Это означает, что каждый из маната по отношению к стране должен быть заключен на 63 центов. 37 центов идет на потребление. Известно, что воздействие на рост потребления среди населения и уровень рентабельности возрастает. Это означает, что большая часть населения полностью оплачен, спрос на потребление. Следует отметить, что включенные в модель сбережений населения, предприятий и организаций к жатве (таблица 4).

Таблица 4

Тест гетероскедастичность остатка модели

Тест Уайта гетероскедастичности			
t-статистика	2.47	Вероятность	0.1123
Наблюдения *r²	5.10	Вероятность	0.1017

Источник: результаты оценки эконометрическим методом по программе Eviews по данным ГКС Азербайджана.

Домара модель экономического роста для экономики страны, по данным проведенных в динамическом равновесном уровне будет выглядеть следующим образом:

$$(DY) \quad [(T \wedge c) / (Y (T-1) \wedge s) = \sigma = 0,15 \times 0,63 = 0,09 \times Sy$$

уровень экономического роста в стране 28,5% 19,5% отличающегося от динамического равновесия.

Выводы

В результате исследования было установлено, что темпы роста динамического баланса экономического роста составили 9% на основе оценки условий, которые отвечали бы совокупному спросу и совокупному спросу.

Из-за динамичного баланса экономического роста, добычи нефти и резкого увеличения выручки от ее продажи привело к резкому снижению экономического роста с сбалансированного уровня.

Было выяснено, что увеличение ВВП на 1 (один) миллион манатов в реальном выражении привело к увеличению сбора на 0,63 миллиона манатов. То есть в стране 37% каждого маната используется для потребления, а 63% - для удаления.

Литература

1. Агапова Т.А., Серегина С.Ф. Макроэкономика: Учебник. Под общей ред. д.э.н. А. В. Сидоровича; МГУ им. Ломоносова. 4-е изд. перераб. и доп., Москва. Издательство «Дело и Сервис», 2001, стр. 448.
2. Бараз В.Р. Корреляционно-регрессионный анализ связи показателей коммерческой деятельности с использованием программы Excel: учебное пособие / Екатеринбург: ГОУ ВПО «УГТУ-УПИ», 2005. -102 с.
3. Гурбанов Т.М. Некоторые особенности интеграции национальной экономики стран СНГ в// «Вопросы экономики и права», №3, 2011, Москва, стр. 349-354.
4. Гурбанов Т.М. Некоторые аспекты государственного регулирования национальной экономики // «Экономика и финансы», №1 (181) 2011 г. Агентства научной печати (АНП), Москва, стр. 9-13
5. Кудров В.М. Мировая экономика. М БЕК, 2004, 464с.
6. Лебедев В.В. Математическое моделирование социально-экономических процессов. М .: Ижогоров, 1997.
7. Ядигаров Т.А. Анализ уровня инвестиции, направленная в основной капитал в строительного сектора в Азербайджане методом корреляции-регрессии. VOL 1, № 10, (2017) Scientific discussion (Praha, Czeh Republic) .c 55-61
8. Ядигаров.Т.А. Анализ рентабельности производства судоремонтных заводах с применение экономико-математического метода// Конкурентноспособность в глобальном мире: экономика: наука, технологии, Россия, №1, 3, 2017.с.154-157
9. www.azstat.orq.
10. www.economy.gov.az

EVALUATION OF THE IMPACT OF CYCLES ON THE SUSTAINABILITY OF
ECONOMIC DEVELOPMENT BY USING THE DOMAR MODEL

Summary

The problem is economical, as it is reflected in the whole picture, which is one of the key economic spheres. The economic relationship is a strong link with the GDP and good quality of the GDP, as well as the factors that drive its production. Economic policy, given by economic growth, determines the cyclical development of each country, creating conditions for stabilization, stagnation and economic growth. The economic rarity is usually judged by the yearly rate of interest that is quoted in interest rates on interest rates. The key economic benefits of macroeconomic benefits for GDPs or national income, as well as domestic demand, are reflected in the rapidly growing rates for domestic producers of goods and services. The acquisition of economical roots has undoubtedly led to the development of its model. One of the models of the economic model is considering Domara. In addition to modeling models, the model looks at just how much investment is going to be, but as the factor of the new full - fledged. Dynamic balance and supply model in Domar is defined by dynamic capitalization, which generates new moods and delusions. The basic problem here is to define the scale and dynamics of the investment. The model of Domara is focused on solving problems of equality, equity, conveyance and proposals.

The article assesses the situation, envisaging the dynamic balance of economic figures, defining the dynamic balance of the economic model of the Domara economy for Azerbaijan Republic in the years 2000-2016 and the use of the resulting results. Here, in the basics, the speed of capitalization and the production of capital is estimated, and consequently the econometric appreciation of the software is put into the E-views package, with the help by econometrics. Based on the E-views of the software package, the statistical significance criterion for Fischer has been determined by the autocorrelation of the partitioned model. By the way, the subsequent correlation test on the extras of the model was determined for the stability of the model in the study period and did not lead to autocorrelation and heteroscedasticity in the subsequent autocorrelational points. There for the dynamics of the dynamic balance of the dynamics of the dynamics of the research has been determined in the study, the oil and gas industry has been defined as the most economical and substantial increase in sales, and is characterized by the fact that the IMF is in real terms.

თამარ დევიძე
ზაზა კაპანაძე

მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და
მათი ბაზარის ბუმები საქართველოში

ანოტაცია. საქართველოს ეკონომიკის დაბალანსებისათვის უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია მცირე ბიზნესის სწრაფვას, ოპერატიულად აითვისოს რეგიონული ეკონომიკა, სწრაფად დაიკავოს თავისუფალი სივრცეები ადგილობრივ ბაზრებზე. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოსთან. ეკონომიკაში დიდი როლდენობით მცირე საწარმოების არსებობა შესაძლოა თან სდევდეს ეკონომიკისა და საზოგადოების მთელ რიგ დადებით მახასიათებლებს (შრომითი რესურსების დიდი მობილურობა, დამოუკიდებელი და მატერიალურად ძლიერი მოქალაქეების რიცხოვნობის ზრდა და ა.შ.).

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, ბიზნესგარემო, სახელმწიფო.

მცირე მეწარმეობა ობიექტურად არსებობს და ვითარდება, როგორც ბიზნესის დამოუკიდებელი ფორმა და თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის შედარებით დამოუკიდებელი სექტორი. ამან მოითხოვა „მცირე მეწარმეობის“ ცნების დაზუსტება მცირე ბიზნესის როლის გაზრდის გათვალისწინებით, რაც, უწინარეს ყოვლისა, ვლინდება მისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების ცვლილებაში. ჩვენი აზრით, მცირე ბიზნესი ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ როლს, გამოდის საბაზრო კონიუნქტურისა და მისი ნეგატიური შედეგების მკვეთრი რყევების „ამორტიზატორის“ როლში, არბილებს სტრუქტურულ ცვლილებათა შედეგებს, უზრუნველყოფს სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, სწრაფად ადაპტირდება ბაზრის შეცვლილი პირობებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, ხელს უწყობს საშუალო ფენის ფორმირებას, სამუშაო ძალის გამოყენების რაციონალიზაციას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

სახელმწიფოსა და მცირე ბიზნესის ეკონომიკური ურთიერთქმედების სისტემის ჰარმონიულობა ემყარება საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს, გულისხმობს იმ ფორმების კომპლექსის ფორმირებას, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, რეალიზდება მცირე საწარმოთა სტიმულირების მრავალგვარ მიმართულებაში. მხარდაჭერის მეთოდებისა და ფორმების შერჩევას, როგორც მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკის გამოკვლევაში გვიჩვენა, ტარდება მკაფიო გამოიჯგნა ეფექტიანი კონკურენტული გარემოს

ფარგლებში საწარმოთა მხარდაჭერასა და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას შორის (რაც ამასთანავეს მეურნეობრიობის საბაზრო პრინციპებს და არათანაბარ პირობებში აყენებს მწარმოებლებს).

სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ძირითადი რგოლია, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის პირობებს და ასტიმულირებს მცირე საწარმოთა განვითარებას. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვეყოთ მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის ფორმირების პრინციპები (სამეწარმეო სფეროში სახელმწიფოს ჩარევის ზღვრული შეზღუდვა, სახელმწიფო მხარდაჭერის გარანტირებულობა და მოტივირებული მიმართულობა, პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომა მხარდაჭერის მიმართულებების და ღონისძიებების განსაზღვრისადმი, დიფერენცირებული და მიზანმიმართული მიდგომა მხარდაჭერის ფორმების მიმართ, სახელმწიფო მხარდაჭერის თანაბარი ხელმისაწვდომობა თითოეული სუბიექტისათვის, მცირე ბიზნესის მხარდაჭერი ფუნქციების განაწილება სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონეზე), ასევე გამოვალინოთ სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფის ძირითადი ფორმები, მისი პრიორიტეტული მიმართულებებისაგან დამოკიდებულებით ახალ მცირე საწარმოთა გახსნა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინოვაციური საქმიანობის წახალისება მცირე ბიზნესში, ინვესტიციების სტიმულირება ძირითად კაპიტალში, ექსპორტის სუბსიდირება, პრობლემური რეგიონების მცირე საწარმოთა განვითარება.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე სისტემის გამოკვლევამ ამერიკის შეერთებულ შტატებში, შესაძლებლობა მოგვცა განგვესაზღვრა მისი მთავარი მახასიათებლები. მცირე ბიზნესის ამერიკულ (ანგლო-საქსონური) მოდელი ხასიათდება სახელმწიფოსაგან შედარებით დიდი დამოუკიდებლობით (ანუ მეწარმეობის თვითრეგულაციის და მხარდაჭერის სტრუქტურები, მაგალითად, სამრეწველო-სავაჭრო პალატები, როგორც წესი, დამოუკიდებელი არიან სახელმწიფო ინსტიტუტებისაგან, მათში წევრობა ნებაყოფლობითია, რაც არ გამორიცხავს მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო სტრუქტურების არსებობას და სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას), პრაგმატულობით, ინოვაციებზე ორიენტირებულობით და წარმოების მეცნიერებატევადობით. ამასთან, მცირე ბიზნესის ინოვაციურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში შედეგია არა მცირე ბიზნესის “ბუნებრივი” მიდრეკილებით ინოვაციების მიმართ, არამედ ვენჩურული კაპიტალის მიზანმიმართული საქმიანობით, რომელიც მცირე ინოვაციურ ბიზნესში ნახულობს მოგების მაქსიმიზების შესაძლებლობას. მაგრამ ინოვაციური მეწარმეობის წარმატებით განვითარებისათვის საჭიროა არა მარტო ფინანსური წყაროები, არამედ განვითარებული ტექნოსტრუქტურაც.

მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის გამოცდილების გაანალიზებამ ახია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური რეგიონის ქვეყნებში, საშუალება მოგვცა, წარმოგვედგინა მისი ძირითადი თავისებურებები. ასე მაგალითად, მცირე ბიზნესის ფუნქციონირება ტაივანში მნიშვნელოვნად განპირობებულია საოჯახო ბიზნესის ორგანიზაციის ეროვნული სპეციფიკით. მცირე ბიზნესის განვითარებამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სინგაპურის ეკონომიკაში და მას დიდი წვლილი მიუძღვის ამ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში. სინგაპურის ეკონომიკური მოდელი უნიკალურია კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანამშრომლობის თვალსაზრისით; აქ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში მინიმუმამდეა დაყვანილი და ქვეყანა მეორე ადგილს იკავებს მსოფლიოში ეკონომიკის თავისუფლების ინდექსით. სახელმწიფო ინტერვენციების ნათელ მაგალითს წარმოადგენს სამხრეთ კორეა, რომელმაც საკუთარი ინდუსტრიული პოლიტიკის დაფინანსებისათვის აირჩია არა მხოლოდ შიდა დანაზოგების ზრდის პოლიტიკა, არამედ ასევე აქტიურად მოიხიდა უცხოური ინვესტიციები; სახელმწიფო ხელს უწყობდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებას და თითოეულ სექტორში მცირე ბიზნესის დაჩქარებულ ზრდას და აქტიურად ვერდნობდა ისეთი მექანიზმების გამოყენებას, როგორცაა: შედავათიანი სესხები მცირე საწარმოებისათვის, სტრატეგიული დარგების მფარველობა, ბაზარზე შესვლის რეგულირება, მცირე მეწარმეთათვის საგადასახადო შედავათების დაწესება და სხვ. ასევე, ძალზე საინტერესოა მაღაიზიაში მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხის შესწავლა. დღეისათვის მაღაიზია ინდუსტრიული სახელმწიფოა, რომელიც სწრაფად გადადის პოსტინდუსტრიულ ეტაპზე.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მე-2 მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისა და 2010-იან წლებამდე მცირე ბიზნესის განვითარების ევოლუციის შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა, გამოგვეყო ძირითადი ეტაპები, რომელთაგან თითოეულზე გამოველინა სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილების მთავარი ტენდენციები მცირე ბიზნესის მიმართ. მცირე ფორმების სტიმულირების მიზანმიმართულმა სახელმწიფო პოლიტიკამ განაპირობა მცირე მეწარმეობის თანამედვერული განვითარება. ცალკეულ ღონისძიებათა რეალიზაციას არ შეუძლია კეთილსასურველი პირობების უზრუნველყოფა მცირე საწარმოთა საქმიანობისათვის. მოცემული ურთიერთკავშირი შეინიშნება ყველა განხილულ ეტაპზე, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელისუფლების ყველა დონეზე. მცირე საწარმოებმა მნიშვნელოვნად გააღიღეს თავიანთი წილი დასავლეთ ევროპის ქვეყნების ექსპორტში ინოვაციურ სფეროში. 2000-იანი წლების დასაწყისიდან მცირე მეწარმეობის, როგორც ევროკავშირში ბიზნესის ყველაზე გავრცელებული და დინამიურად განვითარებადი ფორმის, სტიმულირება და შემდგომი განვითარება დამკვიდრდა ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად.

საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარებისა და მისი სახელმწიფო მხარდაჭერის თავისებურებების გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ დღეისათვის საჯარო ადმინისტრირების სფეროში არ ფუნქციონირებს არც ერთი კონკრეტული დაწესებულება, რომელიც სრულფასოვან საქმიანობას განახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის ხელშეწყობის სფეროში. შეიმუშავებს მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტს, განახორციელებს მცირე საწარმოთა დახმარების პროგრამებს. რაც შეეხება დარგობრივი სამინისტროების ურთიერთთანამშრომლობას მცირე ბიზნესთან დაკავშირებული პროექტების ფარგლებში, ამას არარეგულარული ხასიათი აქვს და მთავრდება კონკრეტული პროექტის დასრულებასთან ერთად. სრულყოფას მოითხოვს როგორც არსებული საკანონმდებლო ბაზა, ისე საგადასახადო და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერი პოლიტიკა. საჭიროა აგრეთვე შესაბამისი საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემის განვითარება მცირე ბიზნესის მფლობელების და მენეჯერების ინფორმირებულობისა და კომპეტენტურობის ასამაღლებლად, რაც საქართველოს სინამდვილეში სერიოზულ გამოწვევად ყალიბდება.

როგორც კომერციული ბანკების, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის საკმაოდ მაღალია. ბოლო ათი წლის განმავლობაში (2005-2015) კომერციულ ბანკებში გრძელვადიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების მიუხედავად, 20%-დან 15.7%-მდე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე, მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ის კვლავ მაღალია.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისა და ზრდისთვის. გამოკვლეული საწარმოების 13.6% ბიზნესის წარმოების მთავარ დაბრკოლებად სწორედ ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ასახელებს. მსოფლიო ბანკის 2013 წლის საწარმოთა კვლევაში ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მთავარ პრობლემად არის მინიშნული.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“), მეწარმეებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა გრანტებზე, ვინაიდან კომპანიები არ შეიძლება იყოს გრანტის ბენეფიციარი, რაც ქმნის დაბრკოლებას ალტერნატიული დაფინანსების ხელმისაწვდომობის კუთხით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინიციატივის თანახმად, არსებობს ახალი საგადასახადო ინიციატივა. ახალი საგადასახადო ინიციატივა ითვალისწინებს მცირე მეწარმეებისათვის დაბეგვრის შედაგათიანი საგადასახადო რეჟიმის დაწესებას. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება შეამცირებს მცირე ბიზნესის საგადასახადო ტვირთს და ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

მცირე ბიზნესის ხარისხობრივი როლის ამაღლება საქართველოს ეკონომიკაში შესაძლოა მიღწეულ იქნეს სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტების გადახედვის გზით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინოვაციურ მეწარმეობას, ასევე საგარეო ბაზრებზე მცირე საწარმოთა გასვლის სტიმულირებას, რაც დამტიციებულია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით. მცირე საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის სრულყოფისათვის შემოთავაზებულია გასაწვეი მხარდაჭერის ფორმებისა და მეთოდების გაფართოებაზე აგებულ რეკომენდაციათა კომპლექსი, მცირე ბიზნესის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე. მცირე ბიზნესის ეკონომიკური და სოციალური ფაქტორის სრულყოფილად ამოქმედების მიზნით, აუცილებელია განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით. სახელმწიფოს კეთილი ნების დასტური იქნებოდა ახალი კანონის მიღება „მცირე ბიზნესის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრება მცირე ბიზნესის რეალური სტატუსი და დარეგულირდება ყველა სამართლებრივი საკითხი. სასურველი იქნება, ახალი საკანონმდებლო ბაზა საფუძვლად დაედოს ქვეყნის მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის.
2. აბესაძე რ., კაკულია ე., მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2008.
3. ერქომაიშვილი გ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013.
4. თოქმახიშვილი მ. მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა (ღირებულების ზრდის განვითარება). წიგნში „კერძო სექტორი და განვითარება: სადისკუსიო წერილების სერია“, გაეროს განვითარების პროგრამა, 2010.
6. მიკრომეწარმეობა, როგორც სიღარიბესთან ბრძოლის საშუალება. ანგარიში და რეკომენდაციები. სათემო განვითარების ცენტრი, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია. 2013.

7. მესხია ი. ბიზნესის საფუძვლები. თსუ. თბ., 2011.
8. მექვაბიშვილი ე. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობა. <http://social-democrats-georgia.Blogspot.Com/2010/07/blog-post.html> (2.07.2010).
9. პავლიაშვილი ს. რას ნიშნავს პრივატიზაციის „პასიური“ და „აქტიური“ მეთოდები: ინტერვიუ / ს. პავლიაშვილი // ბანკები და ფინანსები. 12, 2011.
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მეწარმეობა საქართველოში: http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/mewarmeoba_2011_.pdf.
11. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ // <http://nasp.gov.ge/geo/static/3051>.
12. www.geostat.ge
13. www.parliament.gov.ge
14. enterprisegeorgia.gov.ge/ge - სააგენტო „აწარმოე საქართველოში“.

*Tamar Devidze
Maia Kapanadze*

SMALL AND MEDIUM SIZE BUSINESS PROBLEMS AND THE WAYS TO SOLVE THEM IN GEORGIA Summary

Small entrepreneurship, with its socio-economic functions, became an independent form of business in the national legislation of the absolute majority of industrialized countries. The dynamics of small enterprises' development depends largely on the state (as its various government structures) and the nature of small business interaction.

The government should make some changes in the existing policies of small businesses, and this attitude should include gradual, accelerated implementation of small business support through gradual changes. Small business promotion policy should be based on the specificity of each stage of economic development, based on the socio-economic situation created in the country.

The good will of the state would be to adopt a new law on "Small Business", which will determine the real status of small business and regulate all legal issues. A new legislative base would be desirable to develop a strategy for promoting the country's small business development.

The world experience of small business development indicates that change of state policy in this sector occurs, with the active involvement of public and business circles, the development of small business development strategies and the implementation of measures for its implementation. Strategy should include the improvement of state banking credit policy and legislative base, access to business consulting and information services, etc.

In order to facilitate the development of small business, the government will solve the following three main issues: one of the small entrepreneurs to encourage as many as unemployed or incompetent workers to start their own business and take the first steps in this regard; Secondly, small business entrepreneurs make more entrepreneurs to take the first steps of their activities as much as possible to make the right decision in terms of both managerial and professional development; Finally, small entrepreneurs help sales to get first revenues that will further motivate them to help find additional resources, acquire and improve production facilities.

*Lia Totladze
Mamuka Khuskivadze*

DETERMINANTS OF HOUSE PRICES: THEORETICAL MODEL AND EMPIRICAL RESULTS

***Annotation.** This article introduces some factors that play a significant role in moving the real estate market. Although some of these factors suggest a theoretical relationship between the factors and the market, in practice, the relationship might be very different. We analyze factors that drive the real estate market. The paper studies the determinants of house prices for transition economies. House price model explain how the fundamental determinants of house prices, such as GDP per capita, real interest rates, housing credit and demographic factors, have driven house prices. The paper also discusses the aspects of dynamics of house prices in Georgia.*

The system of leading economic indicators, first developed by the National Bureau of Economic Research (NBER), has been widely used in the United States to appraise the state of the business cycle. The Organization for Economic Cooperation and Development (OECD) set up a working party to develop this type of analysis and most of the member countries participated. Leading economic indicators are major key markers that shift in advance ahead of the economy. Estimating and use this indicators is very important for transition economies. Residential transactions are among leading indicators and can predict economic activity.

Housing plays an important role in a country's economy and are seen by many to be a leading indicator. Housing can be useful in observing the impact of current monetary policy. For instance, housing starts have a tendency to rise when interest rates regarding construction loans and mortgages are low to developers and potential home buyers. It is important to study the determinants of house prices in transition economies. The main question addressed is how fun-

damental determinants of house prices, such as GDP per capita, real interest rates, housing credit and demographic factors, have driven observed house prices in transition economies. House prices are determined to a large extent by the underlying conventional fundamentals and some transition-specific factors, in particular institutional development of housing markets and housing finance.

* * *

Demand-side determinants (“fundamentals”) are: Real disposable income; Real interest rates – measure both financing and opportunity costs; Labour market trends (employment growth, unemployment rate); Demographic factors (population growth, migration trends, size of households); Credit availability – housing finance products, lending practices.

Supply-side factors are Land for development – availability and price; • Construction costs – construction wages, material costs. On house prices influence also Institutional factors: How developed is the housing finance market; Types of housing loans; Secondary mortgage market; Collateral and bankruptcy legislation; Tax system (mortgage interest deductibility, imputed rents, property and wealth taxes).

Demographics factors are the data that describe the population, such as age, race, gender, migration and population growth. These statistics are significant factor that affects how real estate is priced and what types of properties are in demand. Major shifts in the demographics of a nation can have a large impact on real estate trends. There are several ways how this type of demographic shift can affect the real estate market.

Interest rates also have a major impact on the real estate markets. Changes in interest rates can influence a person's ability to buy a residential property. That is because the lower interest rates go, the lower the cost to obtain a mortgage to buy a home will be, this creates a higher demand for real estate. It's important that as interest rates rise, the cost to obtain a mortgage increases, thus lowering demand and prices of real estate. When looking at the impact of interest rates on an investment, rather than on residential real estate, the relationship can be thought of as similar to a bond's relationship with interest rates.

Key factor that affects the value of real estate is also the health of the economy. This is generally measured by economic indicators such as the GDP, employment rate, the prices of goods, etc. However, the cyclicity of the economy can have varying effects on different types of real estate. For instance, if an interest rates has a larger percentage of its investments in hotels, they would typically be more affected by an economic downturn than an interest rates that had invested in office buildings. Hotels are a form of property that is very sensitive to economic activity due to the type. On the other hand, office tenants generally have longer-term leases that can't be changed in the middle of an economic downturn.

Legal system is also another factor that can have an impact on property demand and prices. Tax credits and subsidies are some of the ways the government can temporarily boost demand for real estate for as long as they are in place.

House price dynamics are usually modelled in terms of changes in housing demand and supply. In models built for house prices on the demand side, key factors are typically taken to be expected change in house prices (PH), household income (Y), the real rate on housing loans (r), financial wealth (WE), demographic and labour market factors (D), the expected rate of return on housing (e) and a vector of other demand shifters (X). The latter may include proxies for the location, age and state of housing, or institutional factors that facilitate or hinder households' access to the housing market, such as financial innovation on the mortgage and housing loan markets:

$$D^H = f(P^H, Y, r, WE, D, e, X) \quad (1)$$

The supply of housing is usually described as a positive function of the profitability of the construction business, which is in turn taken to depend positively on house prices and negatively on the real costs of construction (C), including the price of land (PL), wages of construction workers (W) and material costs (M):

$$S^H = f(P^H, C(P^L, W, M)) \quad (2)$$

Assuming that the housing market is in equilibrium, with demand equal to supply at all times, house prices could be expressed by the following reduced-form equation:

$$P^H = f(Y, r, WE, D, e, X, C(P^L, W, M)) \quad (3)$$

House prices in all countries increase in last years. As we see on table below in most OECD countries prices rise more than 60%

Table 1

Changes in Real House Prices across OECD Countries
1980 (or earliest year available)-2008

Very large increases (90% or more)	Moderate to large increases (20% to 90%)	Stable or declining (less than 20% increase)
Australia	Austria	Chile
Belgium	Canada	Germany
Finland	Denmark	Hungary
Ireland	France	Israel
Netherlands	Greece	Japan
New Zealand	Italy	Korea
Norway	Slovenia	Portugal
Spain	Sweden	Switzerland
United Kingdom	United States	


1. Nominal prices deflated by the consumer price index.
Source: National statistical offices and OECD (2010), OECD Economic Outlook: Statistics and Projections Database.

According Colliers International Research the selling price of newly-built residential flats in Tbilisi varies from USD 400 to USD 3,000 per square m. From 2016-2017, the weighted average selling prices on the primary and secondary markets fell. The primary market price fell to USD 663 per squared m, reflecting a 7% drop, while the secondary market selling price decreased by 1% to USD 612 per squared m. The weighted average selling price on primary market is more correlating, mainly caused by the segment of completed project. Transactions reached their highest point since 2012. In 2017, the number of residential transactions rose to 28,000 units. In accordance with registered sales transactions, the overall transaction volume grew by 10%, reaching USD 1.17 billion. The same trend was seen in other big cities of Georgia (Batumi, Kutaisi). During recent years, the weighted average selling price by segment remained stable in both the primary and secondary markets. However, the average price by market type decreased when compared to 2016, motivated by the drop of premium and medium segment shares in total transactions.

In 2017, the number of residential transactions in Tbilisi increased significantly as compared to 2016. The total number increased by 21% and peaked at 28,000 units. The majority of that number was represented by newly-built flats (54%), which is attributable to the large number of recently-completed projects. Older flat sales grew by 10% as compared to the previous year. Since 2012, the number of residential unit transactions has increased every year with the exception of 2015. In 2017, the total volume of residential unit transactions reached its peak at USD 1.17 billion, reflecting a 10% growth as compared to 2016, and a 45% increase from 2015. The change in advertising regulations, forcing sellers to specify the price of real estate in Georgian Lari instead of US dollars, did not significantly influence residential unit prices. Analyses of residential real estate transactions, however, revealed significant increase in transactions listed in Georgian Lari as they raised from 29% in Q1 2017 to 55% in Q2 2017.

Table 2

Average Selling Prices on Primary and Secondary Markets (Tbilisi)




Source: National Agency of Public Registry, Colliers International

Selling price of residential properties in 2017 amounted 980 USD per square m. In comparison with other cities with transition economies average selling prices of residential properties Erevan – 942USD, Baku – 1145USD, Sofia – 1194USD, Kiev – 1088USD and Vilnius – 1861USD.

On the demand side key factor is incomes per capita. As shows the graph bellow average monthly income per capita rise in last years in Georgia. There are other factors in Georgia affected on house prices.

Table 3



Source: Geostat.ge

References

1. Leading Economic Indicator. New approaches and forecasting record. Edited by Kajah Lahiri and Geoffrey H. Moore. Cambridge University Press. 2007;
2. Marcellino M. Leading Indicators. IEP-Bocconi University, IGIER and CEPR. 2005;
3. Sorensen P. B. & Whitta-Jacobsen H. J. Introducing Advanced Macroeconomics: Growth and Business Cycles, 2th edition, Mc Graw-Hill. 2013;
4. Totladze L. Diffusion Index for Georgia: Selection Leading Economic Indicators. International Reviewed Scientific-Analytical Journal “Economisti”, #2, 2016;
5. Totladze L. DIFFUSION INDEX BASED ON LEADING ECONOMIC INDICATORS AS FORECASTING INSTRUMENT (IN CASE GEORGIA). The Geneva International Conference on Advance Research (GICAR -2107). Geneva, 2017;
6. Turley By Gerard, Peter J. Luke. Transition Economics: Two Decades On. Taylor and Francis Group. London. 2012.
7. www.Geostat.ge

ეთერ კაკულია

**მცირე ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები
განვითარებაზე შვებულებაში**

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია მცირე ბიზნესის განვითარების ტენდენციები მსოფლიო განვითარებაზე ქვეყნებში. საუბარია მცირე ბიზნესის მნიშვნელობაზე, შესაძლებლობებსა და ბუნებაზე. მცირე ბიზნესის ინოვაციური ბუნებით, ინოვაციებში მისი მაღალი ეფექტურობით არის განპირობებული, რომ ევროკავშირსა და მსოფლიოს მთელ რიგ განვითარებაზე ქვეყნებში დღეისათვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერას როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო (მსხვილი საწარმოების) სექტორის მხრიდან, ამასთან ერთად, ხდება „კლასტერები“ და „ეკონომიკური ინოვაციური სისტემის“ დანერგვა.

შესწავლილია მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის სიმბიოზი - „კლასტერი“ და მისი სამი სახეობა.

„კლასტერი“ - ეს არის ეკონომიკურად მჭიდროდ დაკავშირებული და ერთმანეთთან ახლოს განლაგებული მსგავსი პროფილის ფირმების გაერთიანება, რომელიც განაპირობებს ერთმანეთის განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას. ძირითადად ესენია მსხვილი ლიდერი ფირმების არაფორმალური გაერთიანება მრავალ საშუალო და უამრავ მცირე საწარმოსთან, რომლებიც ქმნიან ტექნოლოგიებს, ერთმანეთთან აკავშირებენ საბაზრო ინსტიტუტებს და მომხმარებლებს, ერთად მოქმედებენ ღირებულებათა ერთიანი ჯაჭვის შექმნის ფარგლებში. ისინი თავმოყრილია განსაზღვრულ ტერიტორიაზე და საქმიანობის ერთიანი სქემით ახორციელებენ გარკვეული ტიპის პროდუქციის და მომსახურების წარმოებისა და მიწოდების ერთობლივ საქმიანობას.

მსოფლიო პრაქტიკაში განასხვავებენ „კლასტერის“ სამ სახეობას:

პირველი სახეობა, რეგიონული შეზღუდვის ფორმით „კლასტერი“ - ეს არის ეკონომიკური საქმიანობა მონათესავე სექტორებს შორის რეგიონის შიგნით. ისინი, როგორც წესი, „მიბმული“ არიან ამა თუ იმ სამეცნიერო დაწესებულებასთან (უნივერსიტეტებთან და სხვა).

მეორე სახეობა „კლასტერის“ - ეს არის საქმიანობის ვიწრო სფეროში მოქმედი ვერტიკალური საწარმოო კავშირები, შექმნილი სათავო ფორმის ან ძირითად საწარმოთა ქსელის გარშემო, რომლებიც მოიცავს წარმოების, მიწოდების და გახადების პროცესებს.

მესამე სახეობა არის წარმოების სხვადასხვა სახეობებში აგრეგაციის მაღალი დონის მქონე დარგობრივი „კლასტერი“ (მაგალითად, „ქიმიური კლასტერი“) ან კიდევ უფრო მაღალი დონის აგრეგაციით (მაგალითად, „აეროკოსმოსური კლასტერი“).

ნაშრომში ასევე განხილულია „კლასტერის“ ფორმირების სხვადასხვა ეტაპზე, ფორმათა შორის კავშირების დონის მიხედვით, მათი პირობითი კლასიფიკაცია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე.

მოცემულია საქართველოსა და განვითარებულ ქვეყნებში (აშშ-ს, ევროკავშირის, იაპონიის და სხვების) ინოვაციების და მცირე ბიზნესის განვითარების შესახებ არსებული მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მასალები.

განვითარებულ ქვეყნებში დღეს ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად აღიარებულია „კლასტერები“, რომლებიც დროის გარკვეულ პერიოდში აღწევენ ეკონომიკაში მეტი ინოვაციების დანერგვას, ვიდრე დამოუკიდებლად მოქმედი მცირე საწარმოები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, „კლასტერ - სიმბიოზი“ - მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარების ეს მსოფლიო გამოცდილება - დაინერგოს საქართველოს ეკონომიკაში. „კლასტერის“ დანერგვა, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ტურიზმის ინდუსტრიაში, აგრარულ სექტორში. ინოვაციური ბიზნესის განვითარების მიმართულებით მსოფლიოში არსებული ტენდენციების შესწავლა და საქართველოში დანერგვა ხელს შეუწყობს როგორც მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის, ასევე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ქვეყნის ეკონომიკაში „კლასტერის“ „ეროვნული ინოვაციური სისტემის“ და ინოვაციური მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმის დანერგვა უნდა გახდეს საქართველოს მთავრობის ძირითადი მოქმედების გეგმა, რადგან, როგორც მსოფლიო გამოცდილებიდან ჩანს, ის არის ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, ინოვაციურობის, უმუშევრობის შემცირების და ეკონომიკური ზრდის მაღალი დონის საფუძველი.

გამოყენებული სიტყვები: თანამედროვე ტენდენციები, მცირე ბიზნესის განვითარება, „კლასტერი“, ინოვაცია, „ეროვნული ინოვაციური სისტემა“.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ტენდენციები, მცირე ბიზნესის განვითარება, „კლასტერი“, ინოვაცია, „ეროვნული ინოვაციური სისტემა“.

შესავალი

მცირე ბიზნესი (საწარმო) ეკონომიკის წამყვან სექტორებს შორის ერთ-ერთია, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობას, მთლიანი ეროვნული პროდუქციის ხარისხსა და რაოდენობას.

დღეისათვის მსოფლიო ეკონომიკაში მცირე ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები - ეს არის ინოვაციური და ვენჩერული მცირე საწარმოების ხელშეწყობა ეკონომიკაში მეტი ინოვაციების მიზნით, ასევე აღიარებულია მსხვილი, მცირე და საშუალო საწარმოების „კლასტერი“ და „ეროვნული ინოვაციური სისტემა“.

ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, მაიკლ პორტერმა შექმნა თეორია რეგიონულ კლასტერებზე დაფუძნებული ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის შესახებ. ქვეყნის მთავრობა, კერძო სექტორი, შესაძლებლობები, მოთხოვნა და კონკურენცია ქმნის ისეთ სტრუქტურას, რომლის ინდუსტრიათა ერთობა (განუსაზღვრელად სახელმწიფოს ზომისა) მძაფრ კონკურენციას უწევს მსოფლიოს ბაზარზე წამყვან ბიზნესსუბიექტებს. მან თავის მონოგრაფიაში „ერების კონკურენტული უპირატესობები“ ნათლად განსაზღვრა, რომ აშშ-ს წამყვანი კონკურენტული პოზიცია ინოვაციებში სწორედ კლასტერების ფორმირებით იყო განპირობებული ისეთ სფეროში, როგორცაა ბიოტექნოლოგია, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგია მასაჩუსეტსისა და კალიფორნიის შტატებში, ჰოლივუდსა და ლოს-ანჯელესში [K. Krialashvili, 2017].

მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის სიმბიოზი, „კლასტერ - სიმბიოზი“ ხელს უწყობს მათ განვითარებას თითოეულის კონკურენტუნარიანობის და ეფექტიანობის ამაღლებას, მათი შესაძლებლობების სრულ გამოვლინებას და მათ რაციონალურ ჩართვას უმუშევრობის შემცირების, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ეკონომიკური ზრდის საქმეში.

* * *

განვითარებულ ქვეყნების გამოცდილებამ ცხადყო, რომ მცირე საწარმოებს მსხვილ საწარმოებთან ფუნქციონირებით ეძლევა შესაძლებლობა, თავიდან მოიშოროს მის განვითარებაზე მოქმედი რიგი ნეგატიური ფაქტორები. ბევრ დინამიურად განვითარებად ქვეყნებში, სადაც კარგად მოფიქრებული მეწარმეობის ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური ზრდის მიღწევაზე, თანმიმდევრულად მიმდინარეობს მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის აქტიური ურთიერთობის პროცესი. ამასთან, საბაზრო ეკონომიკის მქონე რიგ

ქვეყნებში გამოიკვეთა საერთო კანონზომიერება, რომელიც გამოიხატება იმ მცირე და საშუალო საწარმოების განსაკუთრებით წარმატებულ განვითარებაში, რომლებიც დაჯგუფებულნი არიან ლიდერი მსხვილი ფირმის გარშემო საწარმოო-ტექნოლოგიური, სამეცნიერო-ტექნიკური და კომერციული კავშირების საფუძველზე გეოგრაფიულად შემოსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში. XXI საუკუნის დასაწყისში მოწინავე ეკონომიკის მქონე თითქმის ყველა სახელმწიფო ხელს უწყობდა ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდაზე ორიენტირებული რეგიონული ინოვაციური სისტემისა და „კლასტერების“ განვითარების პოლიტიკას, როგორც საშუალებას ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის.

კონკურენტუნარიანობის ფენომენი პირველად დეტალურად იქნა შესწავლილი მ. პორტერის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განლაგებული, შედარებით კონკურენტუნარიანი 100-ზე მეტი მსხვილი, საშუალო და უამრავი მცირე საწარმოს დაჯგუფების განვითარებისა და საქმიანობის დაკვირვებით (კვლევით). ერთი დარგის საწარმოთა ამგვარი დაჯგუფებები იქმნება იმიტომ, რომ ერთი ან რამდენიმე მსხვილი ფირმა, მიადევნებს რა მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობას, თავის ზემოქმედებას და საქმიან კავშირებს ავრცელებს უახლოეს გარემოცვაზე, თანმიმდევრულად აყალიბებს და ქმნის საუკეთესო მიმწოდებლების და მომხმარებელთა მდგრად ქსელს. თავის მხრივ, ამგვარი ერთობლიობის წარმატებები დადებითად მოქმედებს ამ დაჯგუფების მონაწილე კომპანიების კონკურენტუნარიანობის შემდგომ ზრდაზე. ამგვარ გაერთიანებას მ. პორტერმა „კლასტერი“ უწოდა. ეს გაერთიანება, მათი ელემენტის ურთიერთზემოქმედების პროცესში, ითვალისწინებს რა მისი ცალკეული ელემენტების თვისებებს, თავად იქნეს ახალ თვისებებს, რომლებიც განსაკუთრებით ნათლად და მრავალმხრივ გამოვლინდება იმ კლასტერებში, რომლებიც შექმნილია ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებით.

„კლასტერი“- ეს არის ეკონომიკურად მჭიდროდ დაკავშირებული და ერთმანეთთან ახლოს განლაგებული მსგავსი პროფილის ფირმების გაერთიანება, რომლებიც განაპირობებს ერთმანეთის საერთო განვითარების და კონკურენტუნარიანობის ზრდას. ძირითადად ესენია მსხვილი ლიდერი ფირმების არაფორმალური გაერთიანება მრავალ საშუალო და უამრავლ მცირე საწარმოსთან, რომლებიც ქმნიან ტექნოლოგიებს, ერთმანეთთან აკავშირებენ საბაზრო ინსტიტუტებს და მომხმარებლებს, ერთად მოქმედებენ ღირებულებათა ერთიანი ჯაჭვის შექმნის ფარგლებში. ისინი თავმოყრილნი არიან განსაზღვრულ ტერიტორიაზე და საქმიანობის ერთიანი სქემით ახორციელებენ გარკვეული ტიპის პროდუქციის და მომსახურების წარმოებისა და მიწოდების ერთობლივ საქმიანობას.

მსოფლიო პრაქტიკაში განასხვავებენ „კლასტერების“ სამ სახეობას:

პირველი სახეობა, რეგიონული შეზღუდვის ფორმით „კლასტერი“ - ეს არის ეკონომიკური საქმიანობა მონათესავე სექტორებს შორის, რეგიონის შიგნით. ისინი, როგორც წესი, „მიბმული“ არიან ამა თუ იმ სამეცნიერო დაწესებულებასთან (უნივერსიტეტებთან და სხვა).

მეორე სახეობა „კლასტერის“ - ეს არის საქმიანობის ვიწრო სფეროში მოქმედი ვერტიკალური საწარმოო კავშირები, შექმნილი სათავო ფირმის ან ძირითად საწარმოთა ქსელის გარშემო, რომლებიც მოიცავს წარმოების, მიწოდების და გასაღების პროცესებს.

მესამე სახეობაა წარმოების სხვადასხვა სახეობებში აგრეგაციის მაღალი დონის მქონე დარგობრივი „კლასტერი“ (მაგალითად, „ქიმიური კლასტერი“) ან კიდევ უფრო მაღალი დონის აგრეგაციით (მაგალითად, „აეროკოსმოსური კლასტერი“).

„კლასტერებს“ შიგნით ახალი ურთიერთობები ასტიმულირებს ინოვაციურ საქმიანობას, განაპირობებს პროგრესული ტექნოლოგიების განვითარების და ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის ყველა ეტაპის სრულყოფას. „კლასტერის“ შიდა კავშირები იწვევს კონკურენტულ უპირატესობათა მიღწევის ახალი გზების შემუშავებას და წარმოქმნის სრულიად ახალ შესაძლებლობებს. „კლასტერის“ შემადგენლობაში არსებული მრავალი საწარმო ურთიერთკავშირების და ურთიერთდაახლოების პროცესში თანდათან თავს აღწევს გათიშულობის, ინერტულობის და თავიანთ პრობლემებზე ჩაკეტილობის მომენტებს, რაც სასიკეთოდ მოქმედებს მათი ტექნიკური დონის და კონკურენტუნარიანობის ზრდაზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს „კლასტერში“, სოციალური კაპიტალის გაძლიერებას.

„კლასტერში“ მისი ფორმირების სხვადასხვა ეტაპზე, ფირმათა შორის კავშირების დონის მიხედვით, რიგ ქვეყანებში (მაგ., ფინეთში) მიღებულია „კლასტერების“ პირობითი კლასიფიკაცია: „ძლიერი კლასტერები“; „პოტენციური კლასტერები“; „ლატენტური კლასტერული სტრუქტურები“.

„ძლიერი კლასტერი“, ამგვარი „კლასტერისათვის“ დამახასიათებელია, როგორც ძირითადი, ასევე თანმიმდევრული წარმოების და სპეციალიზებული სერვისის კარგი ბალანსირება, მაღალი შიდა კონკურენცია, მსოფლიო დონის სამეცნიერო კვლევითი და ინოვაციური პოტენციალი, ინტენსიური შიდა კლასტერული კავშირი ერთობლივი პროექტების ფარგლებში.

„პოტენციური კლასტერი“ წარმოადგენს სხვადასხვა საწარმოს საწარმოო და ტექნოლოგიური ფრაგმენტების ერთიანობის ინტენსიურ განვითარებას.

„ლატენტურ კლასტერულ სტრუქტურებს“ გააჩნია საკმაოდ ძლიერი გამაერთიანებელი ცენტრები და რიგი მცირე და საშუალო საწარმოები, მაგრამ ჯერ კიდევ არ შემდგარი კომუნიკაბელური კავშირების სისტემით.

თითოეული „კლასტერ - გაერთიანების“ სრულყოფის, „სიმწიფის“, მათი ეკონომიკური სიმბიოზის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს თვითრეგულირებადი საზოგადოებრივი გაერთიანებების არსებობა, ნდობისა და მის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლის მაღალი დონე.

„კლასტერები“ ხელს უწყობს ეროვნული დარგების განვითარებას და მათ კონკურენტუბირატესობას ტექნოლოგიურად უფრო განვითარებულ ქვეყნებთან შედარებითაც კი. ურთიერთდაკავშირებული დარგების „კლასტერების“ ყველა წევრი ფირმა ახორციელებს ინვესტიციას სპეციალიზებულ კვლევებში, მსგავსი ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და ასევე ადამიანური რესურსების განვითარებაში, რაც გამოიხატება სინერგიულ ეფექტში და საშუალებას აძლევს მცირე ბიზნესს (მეწარმეობას), გადარჩეს გლობალიზებულ ბაზრებზე გაჩაღებულ მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში.

მცირე საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობს განვითარებული ქვეყნების სხაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმში. ეს განპირობებულია მათი მჭიდრო კავშირით მსხვილ ბიზნესთან, როგორც (სუბ)მომარაგების ასევე სიახლეების შემუშავების ხაზით.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე საწარმოს ერთ დასაქმებულზე სტატისტიკით 2.5-ჯერ მეტი ინოვაციები მოდის ვიდრე მსხვილ საწარმოს ერთ დასაქმებულზე. მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქონლისა და მომსახურების წარმოებაში და მოსახლეობის დასაქმებაში, საცდელ-სამეცნიერო-სამეწარმეო კვლევებში. გარდა ამისა, სამუშაო ადგილების 2/3 იქმნება მცირე საწარმოებში. ამის გამო მცირე საწარმოების რიცხვი მუდმივად იზრდება, განსაკუთრებულად მსხვილ საწარმოებთან ეკონომიკურ სიმბიოზში [H. A. Azarova, 2010].

განვითარებული ქვეყნების „კლასტერ“ გაერთიანებების ძალისხმევა კონცენტრირდება არსებული კლასტერების ხელშეწყობაზე, ახალი „კლასტერების“ და კომპანიების ქსელის შექმნაზე, რომლებიც ადრე არ ეკონტაქტდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებულად ნათლად ახორციელებენ ამგვარ სტრატეგიას ისეთი ქვეყნები, როგორცაა ბელგია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, დანია, იტალია, კანადა, ნიდერლანდები, ფინეთი, საფრანგეთი და სხვა. მაგალითად, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში ფირმების რეგიონული განლაგების ბაზაზე მოქმედებს ბიოტექნოლოგიური „კლასტერების“ შექმნის პროგრამები. ნორვეგიაში მთავრობა „კლასტერების“ შექმნას იმით ასტიმულირებს, რომ ხელს უწყობს საზღვაო სფეროში მოღვაწე სპეციალიზებულ ფირმებს შორის თანამშრომლობას. ფინეთში განვითარებულია „სატყეო კლასტერები“, სადაც შედის მერქნისა და ხის მასალის, ქაღალდის, ავეჯის, პოლიგრაფიული და მასთან დაკავშირებულ მოწყობილობათა წარმოება.

მცირე საწარმოები „კლასტერის“ შემადგენლობაში წარმოადგენს ბაზრის განსაკუთრებულ სუბიექტს, რომლებიც არენაზე გამოდიან არა როგორც ცალკეული საწარმოები, არამედ, როგორც საწარმოთა გაერთიანებული ჯგუფის ელემენტები და ამიტომ მათი ეფექტიანობის შეფასება ხდება როგორც „კლასტერის“ ფუნქციონირების წარმატებულობის, ასევე მის შემადგენლობაში მყოფი ცალკეული მცირე საწარმოების პოზიციიდან. „კლასტერში“ მცირე ბიზნესის ფუნქციონირების შედეგიანობა შეიძლება შეფასდეს როგორც მისი წილით გამოშვებულ პროდუქციაში, ასევე თვით „კლასტერის“ მაჩვენებლებით (მოგება, ინოვაციების დანერგვა, კონკურენტუნარიანობა). „კლასტერის“ ეფექტიანობა გამოვლინდება ეკონომიკურ ზრდაში, სამუშაო ადგილების შენარჩუნებაში, საგადასახადო ბაზის გაფართოებაში, ექსპორტის ზრდასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში.

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მცირე ბიზნესის წარმატებით განვითარება განპირობებულია სწორედ მსხვილი და მცირე საწარმოების კოოპერირების პრინციპით, რომლებიც კი არ ავიწროებენ მცირე ბიზნესს, არამედ ურთიერთს ავსებენ და განაპირობებენ ერთმანეთს, განსაკუთრებით სპეციფიკურ წარმოების და ინოვაციების შემუშავების სფეროში.

„კლასტერ - სიმბიოზი“ - მცირე და მსხვილი ბიზნესის განვითარების ეს მსოფლიო გამოცდილება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაინერგოს საქართველოს ეკონომიკაში, უპირატესად ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიასა და აგრარულ სექტორში რეგიონულ დონეზე.

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გამოცდილებათა გაცნობამ მცირე საწარმოების წარმატებული ინოვაციების ბევრი მაგალითი დაადანტურა. მცირე ინოვაციური ფირმები უნივერსიტეტებსა და ახალგაზრდა მეცნიერებთან თანამშრომლობით ხშირად ახორციელებენ ძირითად ტექნოლოგიურ გარდევებს და ინოვაციებს, რითაც წინ უსწრებენ მსხვილ კორპორაციებს. მცირე ინოვაციური საწარმოები აუცილებელ წყაროს წარმოადგენს ცოდნის შექმნაში, მათი ინოვაციები და ტექნოლოგიები ხშირად შეისყიდება და კომერციალიზდება მსხვილი საწარმოების მიერ.

დღეს განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციების ნახევარს და რადიკალური ინოვაციების თითქმის 100%-ს ახორციელებს მცირე ბიზნესი. გარდა ამისა, ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა მცირე საწარმოებში საგრძნობლად მაღალია ვიდრე მსხვილში.

მაშასადამე, რადიკალური ინოვაციების უმრავლესობას აწარმოებს მცირე ბიზნესი, მაგრამ ინოვაციებზე დაფუძნებული საქონლის სერიული წარმოება ხდება მსხვილი კორპორაციების კონცენტრაციის ხარჯზე.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში მცირე ინოვაციური ბიზნესი დაკავებულია ისეთი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებით, რომლებიც არ ითხოვს ფინანსური რესურსების მსხვილ დანახარჯებს და დასაქმებულთა დიდ რაოდენობას.

მცირე ბიზნესის ინოვაციური ბუნებით, ინოვაციებში მისი მაღალი ეფექტურობით არის განპირობებული ის, რომ ევროკავშირსა და მსოფლიოს მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში დღეისათვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინოვაციური, მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერას. მცირე ბიზნესის განვითარების ეფექტური მექანიზმის არსებობა განპირობებს იმას, რომ დღეს მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური პროცესების ხანგრძლივობა შეადგენს 5-6 წელს, მაშინ როცა საშუალოდ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში იგი უდრის 15-20 წელს [Зарубежный опыт].

განვითარებული ქვეყნებიდან მცირე ბიზნესი უმეტესად განვითარების მაღალი ტენდენციით ხასიათდება აშშ-ში, ევროპასა და იაპონიაში. ამ ქვეყნებში, შეიძლება ითქვას, აამოქმედეს მცირე ბიზნესის ყველა ის მნიშვნელოვანი დადებითი თვისება, რომელიც კი ახასიათებს მას და ჩააყენეს ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამსახურში, რაც ვლინდება შემდეგი მონაცემებითაც:

აშშ-ში ჩატარებული ემპირიული კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ ინოვაციური საქმიანობა მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა იმ საწარმოებში (ფირმებში), სადაც დაკავებულია 100-ზე ნაკლები ადამიანი, მკვეთრად დაბალი ღონეა იქ, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 100 კაცს. ამერიკის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, სკსსს-ის ყოველ ერთ დოლარზე ფირმები, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 100 კაცს, 4-ჯერ მეტ სიახლეს ნერგავს ვიდრე ფირმები, სადაც დასაქმებულია 1000-დან 10 000 ადამიანამდე, და 24-ჯერ მეტს, ვიდრე კომპანიები, სადაც დასაქმებულია 10 000 ადამიანზე მეტი [Мазоль С. 2004]. აშშ-ში ახალი ნაწარმის მნიშვნელოვანი შემუშავების 98% ქვეყანაში განხორციელებულია მცირე ბიზნესის მიერ. მაშინ როდესაც მცირე საწარმოები ხარჯავენ 5%-ზე ნაკლებს ქვეყანაში კვლევებსა და დამუშავებაზე გამოყოფილი საშუალებებიდან [რ. აბესაძე, ე. კაკულია, 2008]. აშშ-ში მცირე ბიზნესში ორჯერ მეტი სამუშაო ადგილები იქმნება ვიდრე საშუალო და მსხვილ ბიზნესში, ორჯერ მეტად ინერგება ახალი ნაწარმი [Зарубежный опыт].

დანახარჯების ეფექტიანობა სკსსს მცირე ინოვაციურ ფირმებში აშშ-ში 4-ჯერ მეტია ვიდრე მსხვილ კორპორაციებში. გარდა ამისა, მცირე ინოვაციური ბიზნესი ქმნის ინოვაციებს 1 დასაქმებულზე 2,5-ჯერ მეტს და ნერგავს მათ ერთი წლით ადრე, ვიდრე მსხვილი ბიზნესი. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ აშშ-ს მთლიან შიდა პროდუქციაში მცირე ბიზნესზე მოდის 60-70%-ზე მეტი [Зарубежный опыт].

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვან სახსრებს აბანდებენ სკსსს-ში. მაგალითად, ამერიკა გამოგონებასა და დანერგვაზე წელიწადში ხარჯავს \$280 მილიარდს, იაპონია - \$100 მილიარდს, ევროკავშირის ძირითადი ქვეყნები კი - \$50-\$60 მილიარდს, ჩინეთმა ეს დანახარჯები 1995-დან 2002 წლამდე 4-ჯერ გაზარდა \$18-დან \$72 მილიარდამდე, ხოლო 2010 წელს გამოყო \$220 მილიარდი.

გერმანიაში მცირე ინოვაციური ფირმები „სკსსს“-ში დაახლოებით თავიანთი ბრუნვის 6.1%-ს [Зарубежный опыт] ხარჯავენ.

დღეისათვის ევროკავშირში 23 მლნ საწარმო ახორციელებს საქმიანობას, რაც საწარმოთა საერთო რაოდენობის 99%-ია. მცირე საწარმოების მიერ შექმნილია 90 მილიონი სამუშაო ადგილი, რაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 67%-ს წარმოადგენს [Зарубежный опыт].

იაპონიაში გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში სკსსს-ის შემსრულებელი მცირე და საშუალო ფირმების წილი უდრიდა 22%-ს; ახლო წარსულში კი შეადგენდა 38%-ს. ამ მხრივ გაწეული რესურსების ხარჯები 75%-ით ნაკლებია მსხვილ საწარმოსთან შედარებით.

კანადაში, ინგლისსა და გერმანიაში მცირე ბიზნესის წილად მოდის ქვეყნის მთლიანი წარმოების 60%-70%. საინტერესოა ის ფაქტი, რომ რიგი ქვეყნების მცირე საწარმოები მონაწილეობას იღებს პროდუქციის ექსპორტზე. საკმაოდ მაღალია ექსპორტის აქტივობის მაჩვენებელი. ასე მაგალითად, გერმანიის და ნიდერლანდების მთლიანი ექსპორტის წილად მცირე ბიზნესი მოდის შესაბამისად 40%-40%, იტალიაში - 25%, აშშ-სა და იაპონიაში შესაბამისად 15% და 15% [Зарубежный опыт].

საქართველოში “გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ („The Global Competitiveness Report“) CI (კონკურენტუნარიანობის ინდექსი)-ის რეიტინგის მიხედვით, 2014-15 წლებში არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს მთელი რიგი მიმართულებით, როგორცაა: ინოვაციური შესაძლებლობები (110), სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი (119), კომპანიის ხარჯი კვლევაზე და განვითარებაზე (126), მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა (122), ინდუსტრიული ინსტიტუტების მონაწილეობა კვლევა-განვითარებაში (128), პატენტებით სარგებლობა (65). ინოვაციების მიხედვით საქართველოს 121-ე პოზიცია უკავია.

CI-ის რეიტინგის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლების საქართველოს რეიტინგი 3 ადგილით გაუმჯობესდა და 69-ე ადგილიდან 66-ზე (4,22-იანი ქულით) გადმოინაცვლა 144 ქვეყანას შორის. ინოვაციები მაჩვენებლების მიხედვით გაუმჯობესდა, მაგრამ

საქართველო ჯერ კიდევ ვერ იკავებს სასურველ პოზიციას, მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა გაუმჯობესდა 9 საფეხურით და 113-ე ადგილზე გადმოინაცვლა. პატენტით სარგებლობის საკითხში თანამშრომლობა გაუმჯობესდა 5 საფეხურით და მე-60 ადგილზე გადმოინაცვლა. მაგრამ იმ ინდიკატორებში, რომლებიც ზომავს ტექნოლოგიების და ინოვაციების დონეს ქვეყანაში, საქართველოს პოზიციები არასახარბიელოა, მათ შორის: ინოვაციების შესაძლებლობა – 121-ე ადგილი; კომპანიის დანახარჯები კვლევაზე და განვითარებაზე – 127-ე ადგილი; უახლეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა – 97-ე ადგილი; ფირმის დონეზე ტექნოლოგიების გამოყენება – 103-ე ადგილი [საქართველოს მცირე...2016].

ეს მაჩვენებლები ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორ ჩამორჩება საქართველო ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებაში.

მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში დღეისათვის ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება-განვითარების საფუძვლად, შეიძლება ითქვას, აღიარებულია კიდევ ერთი მიმართულება – „ეროვნული ინოვაციური სისტემის“ დანერგვა. ნაშრომში [ე. კაკულია, 2017] შესწავლილია ირლანდიის ეროვნული ინოვაციური სისტემა, ნაჩვენებია მისი ეკონომიკური შედეგები. გამოთქმულია მოსახრება ამ მოდელის საქართველოში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. კვლევისთვის ირლანდიის შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ ეს ქვეყანა გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ბუნებრივი კლიმატით ახლოს დგას საქართველოსთან, ხოლო ეკონომიკური მაჩვენებლებით (როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტია ერთ სულზე, უმუშევრობის დონე და ა. შ) კი სრული შეუსაბამობაა. ირლანდია უფრო მაღალი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით ხასიათდება ვიდრე საქართველო.

დასკვნა

მცირე ბიზნესის ინოვაციური ბუნებით, ინოვაციებში მისი მაღალი ეფექტურობით არის განპირობებული ის, რომ ევროკავშირსა და სხვა მსოფლიოს მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში დღეისათვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერას, როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო (მსხვილი საწარმოების) სექტორის მხრიდან.

განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად დღეს აღიარებულია „კლასტერები“, რომლებიც დროის გარკვეულ პერიოდში აღწევენ ეკონომიკაში მეტი ინოვაციების დანერგვას, ვიდრე დამოუკიდებლად მოქმედი მცირე საწარმოები. „კლასტერ-სიმბიოზი“ - მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარების ეს მსოფლიო გამოცდილება - მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაინერგოს საქართველოს ეკონომიკაში. „კლასტერების“ დანერგვა პირველ რიგში უნდა მოხდეს ტურიზმის ინდუსტრიაში, აგრარულ სექტორში. ინოვაციური ბიზნესის განვითარების მიმართულებით მსოფლიოში არსებული ტენდენციების შესწავლა და საქართველოში დანერგვა ხელს შეუწყობს როგორც მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის, ასევე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ანუ ინოვაციების დანერგვას ეკონომიკაში.

ქვეყნის ეკონომიკაში „კლასტერების“ „ეროვნული ინოვაციური სისტემის“ და ინოვაციური მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმის დანერგვა უნდა გახდეს საქართველოს მთავრობის ძირითადი სამოქმედო გეგმა. რადგან, როგორც მსოფლიო გამოცდილებიდან ჩანს, ისინი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, ინოვაციურობის, უმუშევრობის შემცირების და ეკონომიკური ზრდის მაღალი დონის საფუძველს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, ე. კაკულია, მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში, თბილისი, 2009.
2. გაგნიძე ი. ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები: ისტორია და თანამედროვეობა; გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი, 2012.
3. საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. <https://www.google.ge/search?q=>
4. ე. კაკულია, ნ. ბიბილაშვილი, მცირე ბიზნესი: ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ფაქტორი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები, 2017.
5. ე. კაკულია, ირლანდიის ინოვაციური სისტემა. პ. გუგუშვილი ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. X, 2017.
6. K. Krialashvili: რა არის კლასტერი? krialashvili.blogspot.com/2017/08/blog-post.html
7. Н. А. Азарова, Современные тенденции развития малого предпринимательства в мировой экономике. Ж. «Актуальные вопросы экономики и управления», № 4 (020), 2010.
8. Зарубежный опыт государственной поддержки инновационных малых и средних предприятий. <https://kfpp.ru/analytics/material/innovation.php>
9. Мазоль С., Экономика малого бизнеса. Минск., «Книжный Дом», 2004.

10. Муртазин А. С., О роли малого бизнеса для формирования инновационной экономики, 2011. <https://www.google.ge/search?q>
11. Речмен Д., Мескон М., Боуви К., Тилл Д., Современный бизнес, в 2 т., М., «Республика», 1995.

Eter Kakulia

MODERN TRENDS OF SMALL BUSINESS DEVELOPMENT IN DEVELOPED COUNTRIES

Summary

The paper covers the issues of small business development trends in the world's developed countries. The paper deals with the importance, ability and nature of small businesses. The innovative nature of small business and its high efficiency in innovations conditioned the fact that the developed countries of the European Union and the world as well as the state and private (large enterprises) sector today pay the special attention to the support of innovative small businesses.

Small, medium and large business symbiosis - "cluster" and its three species is studied. One of the driving forces of innovative small business today in developed countries are "Clusters". "Clusters" make more innovations in a certain period of time in economics than small enterprises operating independently

"Cluster" - are economically closely related and linked firms that are closely located to each other, thus promoting each other's development and competitiveness. These are mostly informal associations of major leader firms with many medium and many small enterprises that create technologies, connecting market institutions and consumers, together within the frames of creating a single chain of value. They are concentrated on a specific area and carry out joint activities of the production and delivery of certain types of products and services

The three types of clusters are distinguished in world practice:

The first type, in the form of regional restrictions, "cluster" - is the economic activity among the related sectors within the region. They are usually "tied" to some scientific institutions (universities and others).

The second type of "cluster" - is the vertical production connections operating in a narrow field of activity, created by the headwork or the main enterprise network that includes the production, supply and sales processes.

The third type is the classical "cluster" (eg "chemical cluster") or higher level aggregation (for example, "aerospace cluster") with high levels of aggregation in different species of production.

The paper also discusses the different stages of cluster formation, according to the level of links between firms, their conditional classification on the example of different countries. The statistical materials reflecting the current state of innovation and small business development in Georgia and the developed countries (USA, EU, Japan and others) are also given in the article.

In developed countries today, one of the driving force of innovative small business is recognized as "clusters", which in a certain period of time reinforce more innovations in the economy than small independent enterprises. We think it is expedient that "Cluster-Symbiosis" - this world experience of development of small, medium and large businesses, will be introduced in the Georgian economy. Introduction of "Cluster" should first of all be in the tourism industry, in the agricultural sector. Investment in the world of innovative business development and implementation in Georgia will contribute to the development of small, medium and large businesses as well as the country's competitiveness.

The introduction of an effective mechanism for "cluster" national innovation system and innovative small business state support in the country's economy should become the main action plan of the Government of Georgia, as it is evident from the world experience, it is a high level of competitiveness, innovation, unemployment reduction and economic growth of the country's economy.

ელეუჯა კონჯარია

საწარმოს გაკოტრების არსი, ფინანსური სიძნელეები და მათი შედეგები

ანოტაცია. ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორე სისტემაზე გარდამავალი ქვეყნისთვის დამახასიათებელია სისტემური კრიზისი, შესაბამისად მის ძირითად პრობლემას წარმოადგენს საწარმოო სფეროში სტაგნაციის და საწარმოების მასიურად გაკოტრების დაძლევა. ამ პრობლემის გადაწყვეტისას, ორიენტაციამ საწარმოთა მასობრივ ლიკვიდაციაზე, რომელთაც ვერ შეძლეს ადაპტაცია ახალ ეკონომიკურ გარემოში, შესაძლებელია გამოიწვიოს მომავალი განვითარების ეკონომიკური პოტენციალის ნგრევა და მატერიალური წინაპირობების მოშლა.

დღეს საქართველოს საწარმოებისთვის აქტუალური ამოცანა არა გაკოტრებული საწარმოების ლიკვიდაციაა, არამედ კრიზისის დაძლევის პრობლემა იმ საწარმოთა საქმიანობაში, რომლებიც შეძლებენ ჩამოყალიბდნენ საბაზრო პრინციპებით და ჩაერთვნენ ეროვნული ეკონომიკის სისტემაში. შესაბამისად, საწარმოო სექტორის რეფორმირების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს გაკოტრებულ საწარმოთა სანაცია და ეკონომიკური მდგრადობის აღდგენის ამოცანა.

საკვანძო სიტყვები: გაკოტრება. სანაცია. ლიკვიდურობა. გადახდისუნარიანობა. ფინანსური მდგრადობა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეურნეო სუბიექტები სამეწარმეო საქმიანობის პროცესში სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან ფინანსური ურთიერთობების სრულყოფის მიმართულებით, საყურადღებოა ისეთი სიტუაციები, როდესაც ხდება სამეურნეო საქმიანობის გაუარესება, რის შედეგადაც შეიძლება საწარმო გაკოტრდეს. სწორედ ეს საშიშროება უნდა გაითვალისწინონ სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელებმა, რათა ფინანსური სიძნელეების პირობებში მათ შეძლონ დაგეგმილი ფულადი სახსრების მიღება.

საწარმოების გაკოტრება (ქმედუუნარობა) - ეს არის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ანაზღაურების უუნარობა კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე ბიუჯეტებში და ბიუჯეტგარეშე ფონდებში შესაბამისი აუცილებელი გადასახადების გადახდის შეუძლებლობა მისი ქონების ღირებულებებზე დავალიანებათა ვალდებულებების საჭიროების გამო ან მისი ბალანსის არაღამაკმაყოფილებელი სტრუქტურის მიზეზით.

არსებობს მოსაზრება, რომ გაკოტრება ლათინურ სიტყვა „კონკურს“ უკავშირდება, რაც პირთა თავმოყრას ნიშნავს, ანუ კრედიტორების თავმოყრას ერთი მოვალის წინააღმდეგ.

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს გაკოტრების მრავალი განმარტება. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით გაკოტრება განმარტებულია, როგორც ფულადი სახსრების უქონლობის გამო მოვალის უუნარობა, დაფაროს თავისი ვალდებულებები, დააბრუნოს ვალები.

ავტორთა ერთი ჯგუფი გაკოტრებას განმარტავს, როგორც იურიდიულ აქტს, რომელსაც ფინანსური მიზეზები უდევს საფუძვლად, კერძოდ, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის სერიოზული დარღვევები, დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე კომპანიის ფულადი ნაკადების სერიოზული დაუბალანსებლობა, კომპანიის გადახდისუნარიანობის გახანგრძლივება, რის მიზეზსაც კომპანიის ეკონომიკური რესურსების დაბალი აქტივობა წარმოადგენს.

ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოები ვერ ახორციელებენ ინვესტიციებს, ვერ იღებენ კრედიტებს, ვერ იხდიან გადასახადებს, ამიტომ ეს უკანასკნელი საწარმოების გაკოტრებას, აქედან გამომდინარე, უმუშევრობის და არამსყიდველობითუნარიანი მოსახლეობის რიცხვის ზრდას იწვევს.

საწარმოს გაკოტრების (ქმედუუნარობის) გარეგნული ნიშანია მისი მიმდინარე გადასახადების შეჩერება და კრედიტორების მოთხოვნათა უუნარობა გადახდის ვადის დადგომიდან სამი თვის განმავლობაში.

საწარმოო გაკოტრებულად შეიძლება გამოცხადდეს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ნებაყოფილობით. საყურადღებოა ვიცოდეთ, რომ გაკოტრება, რეალობის გარდა, შეიძლება იყოს ფიქტიური და განზრახვით. განზრახვით გაკოტრება ნიშნავს იმას, რომ ხელმძღვანელი ან მესაკუთრე რაღაცის ან ვიღაცის ინტერესებიდან გამომდინარე წინასწარი განზრახვით საწარმოს ხდის გადახდისუუნაროს. ფაქტობრივად, გაკოტრება არის საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადება წინასწარი სიცრუით კრედიტორებისგან განვადების (ნაწილ-ნაწილ გადახდის) უფლების მისაღებად ან ვალების ფასდასაკლებად.

საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადება მოიცავს სამ ძირითად სტადიას.

1. საწარმოს აღიარება გადახდისუუნაროდ არაღამაკმაყოფილებელი საფინანსო სტრუქტურის გამოვლენის შედეგად. ამის შესახებ ის ოდებს შეტყობინებას გაკოტრების დეპარტამენტიდან. ასეთი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო საწარმოს დირექტორს ათავისუფლებს სამუშაოდან და მის ნაცვალად დაინიშნება ახალი მმართველი გარკვეული უფლებებით.

2. დავალიანებულ საწარმოზე შეიძლება მიყენებულ იქნეს სარეორგანიზაციო ან სალიკვიდაციო პროცედურები, აგრეთვე მშვიდობიანი შეთანხმება. სარეორგანიზაციო პროცედურა ნიშნავს მევალის საწარმოს გაჯანსაღებას მესაკუთრეების, კრედიტორებისა და სხვა პირების მხრიდან მისთვის ფინანსური დახმარების გაწვევის გზით. მშვიდობიანი შეთანხმება მევალესა და კრედიტორებს შორის შეიძლება მიღწეულ იქნეს განვადების (ნაწილ-ნაწილ გადახდის) ან ვადის შემცირებით. ამ სტადიაზე უნდა მოხდეს საწარმოს საფინანსო და ეკონომიკური მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზი, რომლის შედეგების საფუძველზე გაკოტრების დეპარტამენტი (სამმართველო) იღებს შემდეგი გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთს:

- საწარმოს გაეწიოს სახელმწიფოს მხრიდან საფინანსო მხარდაჭერა;
- მოხდეს მისი აუცილებელი პრივატიზება განსაკუთრებული, ინდივიდუალური პირობებით;
- გარდაქმნას საწარმოო სახაზინო, ანუ ფაქტობრივად სახელმწიფო საწარმოდ;
- გაიყიდოს საწარმოო ან იურიდიული პირის, ან მეპაიის, ანდა ქონების მესაკუთრის სტატუსის შენარჩუნებით;

- საწარმო გამოცხადდება გაკოტრებულად საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მისი გადახდისუუნაროდ ცნობის შესახებ.

საწარმოს საფინანსო მდგომარეობის შეფასების ეტაპზე არაღამაკმაყოფილებელი საბალანსო სტრუქტურის დადგენისას იწარმოება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის წინასწარი ანალიზი მისი გადახდისუუნარობის დონის დასადგენად.

ბალანსის არაღამაკმაყოფილებელი სტრუქტურა არის მევალის ქონებისა და ვალდებულებების მდგომარეობა, რადგანაც ქონების საშუალებით ვერ ხერხდება ვალდებულებების თავისდროული შესრულება კრედიტორების წინაშე მევალის ქონების ხარისხობრივად არასაკმარისი ლიკვიდურობის გამო.

„გაკოტრება საწარმოს ფინანსური შესაძლებლობების სრულად დაკარგვას და მისი საქმიანობის გაგრძელების მიზანშეუწონლობას ნიშნავს. მას არ აქვს თავისი გადახდისუნარიანობის აღდგენის უნარი. ეს საწარმოს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც მას არ გააჩნია სოციალური მნიშვნელობა, მისი ეკონომიკური და საწარმოო პოტენციალი და მის მიერ გამოშვებული პროდუქცია არ არის კონკურენტუნარიანი. ეს უკვე „დაღუპული“ ორგანიზმია, ამიტომ ექვემდებარება ლიკვიდაციას და გაყიდვას, რათა დაკმაყოფილდეს კრედიტორთა მოთხოვნები“ [ხარაბაძე ე., 2009. გვ. 139].

საწარმოს გადახდისუნარიანობა შეიძლება სხვადასხვა დროს დადგეს ან ისეთი გარე ფაქტორებით იყოს განპირობებული, როგორცაა დებიტორების მიერ გადახდის ვადების გადაცილება, საბანკო გზავნილების შეფერხება, საწარმოს ფინანსური ვალდებულებების მექანიზმის ნაკლოვანებები.

ფინანსური კრიზისის დაძლევა შესაძლებელია საწარმოთა სანაცითით. ცნებები „სანაცია“ და „გადახდისუნარიანობის აღდგენა“ არ არის მთლად ერთნაირი მნიშვნელობის. „სანაცია“ ლათინური „სანატიო“-დან წარმოიშვა, რაც გაჯანსაღებას ნიშნავს. „სანაცია“ საწარმოს, როგორც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სისტემის ელემენტის ცვლილებაა, გადახდისუნარიანობის აღდგენა კი - მეწარმის ორგანიზებული წარმოების მდგომარეობის ცვლილება. სანაციის მიზანია თვით საწარმოს, როგორც სამეურნეო ერთეულის შენარჩუნება.

ამრიგად, სანაცია არის გაკოტრების საფრთხის წინაშე მდგარი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ფინანსური და საკრედიტო ღონისძიებათა სისტემა. სანაციის საფუძველს წარმოადგენს საწარმოს გადახდისუნარიანობის აღდგენის რეალურ შესაძლებლობათა არსებობა.

საწარმოს გაკოტრება მომენტალურად არ ხდება, ეს პროცესი გაეკვეთილი ეტაპებისგან შედგება. თავდაპირველად იწყება საწარმოს ყველა ფუნქციონალური შემადგენელი ელემენტის მნიშვნელოვანი პარამეტრების ქრონიკული დარღვევები, პროდუქციის მოცულობის მკვეთრი შემცირება, არახელსაყრელი ცვლილებები პროდუქციის ასორტიმენტში, კონკურენტებისა და კლიენტების შემადგენლობაში, პრობლემები საწარმოს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაში, მომდევნო ეტაპი ხასიათდება ყველა ფუნქციონალური შემადგენლის პარამეტრების ქრონიკული დარღვევებით. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მიიმეა, ამოწურულია საწარმოს ფინანსური პოტენციალი და მკვეთრად ეცემა საწარმოს ფინანსური აქტივობა, და ბოლოს, იწყება საწარმოს „კიზისი“, რომელიც ხასიათდება ყველა ფუნქციონალური შემადგენლის მრავალი მაჩვენებლის კრიტიკული მნიშვნელობით. იმ მომენტიდან, როდესაც საწარმოს არ შესწევს უნარი, გაუმკლავდეს მის წინაშე წარმოქმნილ პრობლემებს, მოქმედებას იწყებენ საბაზრო ეკონომიკის მიერ გამოშვებული მექანიზმები, რომელთა ფარგლებში საწარმო ვალდებულია მანამ გააგრძელოს ფუნქციონირება ბაზარზე, სანამ არ დაფარავს ვალდებულებებს კრედიტორების წინაშე [სისვაძე ა., 2009, გვ. 471].

ფინანსური კრიზისის დადგომისას იურიდიულად დასტურდება საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების ფაქტი.

საწარმოს გაკოტრებისკენ სვლა შეიძლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდეს და ამ პროცესის ეტაპებიც თავისი ხანგრძლივობით შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

ნებისმიერი საწარმოს ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები, რომელთაგან ზოგი საწარმოს საქმიანობის მასტიმულირებელ, ზოგი კი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამომწვევ ფაქტორად გვევლინება. ამ ფაქტორების დაყოფა პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება: გარე და შიდა ფაქტორებად. როგორც დასავლეთის სპეციალისტები აღნიშნავენ, გაკოტრების 1/3 მოდის გარე ფაქტორებზე, ხოლო 2/3 – შიდა ფაქტორებზე.

ცნობილია საწარმოთა გაკოტრების შემდეგი სტადიები: ფარული სტადია, რომლის დროსაც „საწარმოთა ფასის შემცირება“ ნიშნავს საწარმოთა მოგების შემცირებას.

ფინანსური მერყეობის მეორე სტადიაა ნაღდი ფულის უკმარისობა. ასეთ შეთხვევაში ზოგჯერ საწარმოები აღიღებენ აქციონერების კაპიტალს, რათა გააქარწყლონ ბანკისა და კაპიტალის მფლობელთა ეჭვი.

ზოგჯერ საწარმოს ხელმძღვანელობა ფინანსური სიტუაციის გაუარესების დროს მიმართავს ავანტურასა და მაქინაციებს.

მესამე სტადიაა – ნათელი და იურიდიული გაკოტრება – ე.ი. საწარმოს არ შეუძლია დროულად გადაიხადოს დაგაღიანება.

საწარმოს (ფირმის) სამეურნეო ფინანსური საქმიანობის შეფასება, როგორც წესი, ხდება ყოველწლიურად აუდიტის მიერ. აუდიტის დასკვნაში ნაჩვენებია უნდა იყოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, რომელშიც ნათლად გამოჩნდება ფირმის მიდრეკილება აღმავლობის, მდგრადობის ან გაკოტრებისადმი.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს გაკოტრებით იზრდება კრედიტორების მიერ გაცემული სესხების დაკარგვის ალბათობა, ისინი თავდაპირველად ცდილობენ საწარმოს ფინანსური სიძნელეების სასამართლოს გარეშე მოგვარებას. საწარმოს აძლევენ სამეურნეო საქმიანობის გაგრძელების საშუალებას, რისთვისაც გამოიყენებენ ვალების პროლონგაციას, მოვალისა და

კრედიტორის კომპრომისულ შეთანხმებას. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ეს მიდგომა უფრო სასარგებლოა: ნაკლები – დანახარჯებია, მოხერხებულია შესასრულებლად – ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილება გაკოტრების შესახებ.

თუ ნებაყოფილობითი მოწესრიგება შეუძლებელია, კრედიტორებს უფლება აქვთ საწარმო გაკოტრებულად გამოაცხადონ. საქართველოში საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების შემდეგ ხდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, საქართველოს კანონის – „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ შესაბამისად. საწარმოს შეუძლია შეაჩეროს ნებაყოფილობით ან იძულებით რეორგანიზაცია.

გაკოტრების ცივილიზებულ სისტემაში შედიან არა მარტო საწარმოები და მათთან დაკავშირებული პარტნიორები, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიც. სახელმწიფოს მართვის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ გაკოტრების სისტემის ფუნქციონირება. მათ უნდა უზრუნველყონ მთელი რიგი მეთოდები, რომლებიც გაუადვილებენ საწარმოს ფინანსური, საწარმო-ტექნიკური, მართვის სტრუქტურის, ინვესტიციების გეგმების შედგენის, საგარეო მართვის, სანაცისა და სხვა საკითხებზე გადაწყვეტილების პროგრამების შედგენას [ცაავა გ., 1999, გვ. 524].

საწარმოს წარუმატებელი საქმიანობის, მისი ფინანსური პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელია იმ ფაქტორებისა და მიზეზების გამოვლინება, რომლებმაც შექმნეს ეს პრობლემები.

ზოგიერთი ავტორის აზრით, საწარმოს წარუმატებლობის გამომწვევი შიდა ფაქტორებია: საწარმო-ტექნიკური ფუნქციის, ფინანსური მენეჯმენტის, კადრების მართვის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და მარკეტინგის ფუნქციების არადაამაყყოფილებელი ორგანიზაცია. გარე ფაქტორები თავის მხრივ მოიცავს: მაკროსფეროს და მიკროსფეროს ფაქტორებს. აქედან პირველს მიეკუთვნება: ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური, კულტურული, ტექნიკური და გეოგრაფიული პირობები, ხოლო მეორეს - სამეურნეო სუბიექტები, ინსტიტუციები და ეროვნული ბაზრის ოთხი სეგმენტის ფუნქციონირების მექანიზმები: ფულის ბაზარი, მატერიალური რესურსების ბაზარი, შრომის ბაზარი და საქონლის ბაზარი.

გარე და შიდა ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედების შედეგს საბოლოოდ საწარმოს სრული გადახდისუნარიანობა წრმოადგენს, რაც საწარმოს გაკოტრებით მთავრდება. საწარმოს მიერ ამ ფაქტორების გავლენის შედეგების ლიკვიდაცია საწარმოს კრიზისიდან გამოსვლის და ზოგჯერ მისი წარმატებული განვითარების საწინდარია.

გაკოტრება კრიზისული მდგომარეობის უკიდურესი ფორმაა, როდესაც საწარმოს არ აქვს უნარი, დაფაროს თავისი ვალდებულებები და საკუთარი შემოსავლების ხარჯზე აღადგინოს გადახდისუნარიანობა. გაკოტრება საწარმოს კრიზისული მდგომარეობის განვითარების შედეგს და კაპიტალის გადანაწილების საბაზრო ინსტრუმენტს წარმოადგენს.

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ გაკოტრების რამდენიმე სახეს:

- საწარმოს რეალური გაკოტრება, ანუ საწარმოს უუნარობა, აღიდგინოს თავისი გადახდისუნარიანობა საკუთარი და ნასესხები კაპიტალის რეალური დანაკარგების გამო.

- დროებითი (პირობითი) გაკოტრება ხასიათდება საწარმოს გადახდისუნარობით, რომელიც გამოწვეულია კრედიტორული დავალიანების მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებით, ასევე დიდი ოდენობის დებიტორული დავალიანებებით.

- წინასწარ განზრახული გაკოტრება ხასიათდება საწარმოს ხელმძღვანელებისა და მესაკუთრეების მიერ გადახდისუნარობის მდგომარეობის შექმნით მისთვის ეკონომიკური ზიანის მიყენების მიზნით პირადი ან მესამე პირის ინტერესებისთვის.

- ფიქტიური (ცრუ) გაკოტრება - საწარმოს მიერ ცრუ განცხადების გაკეთება მისი გადახდისუნარობის შესახებ კრედიტორებისთვის თვალის ახვევის მიზნით, რათა მიღწეულ იქნეს მათგან ვალების გადახდის გადავდება.

განასხვავებენ გაკოტრების ფორმალურ და არაფორმალურ ნიშნებს, რომლებიც განიხილება კომპლექსურად. შესაძლო გაკოტრების არაფორმალური ნიშნების არსებობისას საწარმოს ხელმძღვანელობისა და ანალიტიკური სტრუქტურების მიერ ხდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დეტალური შესწავლა.

ტერმინი „ფინანსური სიძნელეები“ თავის არსში საკმაოდ ღრმად შეიცავს გაურკვევლობის ელემენტს, იმის გამო რომ საწარმოს ფინანსური სიძნელეები ერთმანეთისგან განსხვავდება მათი სერიოზულობის ხარისხით.

საწარმო გადახდისუნაროდ შეიძლება გამოცხადდეს მაშინაც კი, როცა იგი ვერ ასრულებს კრედიტორთა მიმდინარე ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს დროებით ფინანსურ სიძნელეებთან. ფინანსურ სიძნელეებს მიეკუთვნება როცა საწარმო ფულადი საშუალებების დეფიციტს განიცდის, გადახდისუნარობა გაკოტრების წინაპირობას მოასწავებს, როცა კომპანიის ვალდებულებები ჭარბობს აქტივებს, სხვა სიტყვებით, მისი საკუთარი კაპიტალი უარყოფითია [ცირამუა ე., 2007, გვ. 268].

იმ საწარმოების გადასარჩენად, რომლებიც დროებით ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან, აუცილებელია შემუშავდეს კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა, სადაც გათვალისწინებული იქნება მდგომარეობის სიმძიმე.

საწარმოში ფინანსური სიძნელეების შექმნის ძირითადი მიზეზია შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების არგატარება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური დაბალანსების მოშლა და საწარმოო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფის უზუნარობა.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოების ფინანსური სიძნელეების გამომწვევი მიზეზები საკმაოდ ბევრია, მათ გაკოტრებაში პასუხისმგებლობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მენეჯერებსა და მესაკუთრეებს ეკისრებათ.

თუ საწარმო გადახდისუუნაროა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, იგი განხილული უნდა იქნეს, როგორც კომერციულად გაკოტრებული, რომლის ძირითადი მიზეზია მენეჯერებისა და საერთოდ ხელმძღვანელთა არაკვალიფიციურობა და არაპროფესიონალიზმი, წარმოების მოცულობის შემცირება, საწარმოს კრედიტორული დავალიანების ზრდა, წარმოების შემოსავლების შემცირება და მოგების შემცირება, საწარმოს აქციების ფასების დაცემა, პროდუქტზე არარეალური ფასის დაწესება სხვა.

საწარმოს ფინანსური სიძნელეების დაძლევა შესაძლებელია არაკრიზისულ გარემოში რიგი ღონისძიებების განხორციელების პირობებში, როგორცაა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სწორი დიაგნოსტიკა, ფინანსური გაჯანსაღების სწორი მიმართულების შერჩევა და სათანადო ღონისძიებათა განხორციელება რისკიანი ბიზნესის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სისვაძე ა., 2009. ფირმის ფინანსური მენეჯმენტი. თბილისი. უნივერსალი, გვ. 471
2. ცაავა გ., 1999. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი. თბილისი, გვ. 524.
3. ცირამუა ე., 2007 ეკონომიკური ანალიზი (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა - მეთოდოლოგია). თბილისი. „მერიდიანი“ გვ. 268.
4. ხარაბაძე ე., 2008. ფინანსური აღრიცხვა. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 139.

Elguja Konjaria

THE MAIN POINT OF BANKRUPTCY OF ENTERPRISE, FINANCIAL DIFFICULTIES AND ITS RESULTS Summary

Under the conditions of market economies, for the proper functioning of an enterprise the special role plays handling agricultural resources and regulation of modern forms.

The importance of above mentioned is proved by the typical systemic crisis caused in transitional period.

This first of all is revealed in stagnation of production sphere and massive bankrupted of enterprise. Above mentioned problem can not be solved by the liquidation of enterprises having financial difficulties, those which were not able to adapt to new economic environment.

This can lead to destruction of economic potential and material precondition of future development. For this reason, the urgent problem for Georgian economy is to overcome crisis in enterprises having financial problems, that will be established according to market principles and function in a national economic system. therefore, handling and regulating agricultural processes with the help of modern methods, first of all, is directed to financial steadiness of enterprise and its improvement. This is the precondition how to avoid the bankruptcy of enterprises.

The problem of bankruptcy on any enterprise is connected simultaneously with two sciences jurisprudence and economy. bankruptcy is juridical fact. the enterprise can be recognized bankrupted only by court.

For making this decision it's important to analyze the financial results and financial condition of an enterprise, because to make a decision about bankruptcy is impossible only according to the act of bankruptcy points. Bankruptcy procedure is in contact with the creditors, owner of enterprise, personnel and state interest. The issue about complexity of bankruptcy needs conducting simultaneously work of highly-qualified lawyers and high class economists. For this, it is advisable to train accredited experts, that can learn the agricultural- financial business of enterprises facing bankruptcy danger.

The detailed study of agricultural- financial processes and detailed factors determining it is the important component of antirecessionary control system.

The strategy and tactics of enterprise development making corresponding management decision is the analysis of enterprise financial situation. Financial analyses means enterprise assets and sources of its financing, liquidity, solvency, business activities, diagnostics of bankruptcy, working out how to get better financial circumstances and discussion of other important issues.

**ტექნოლოგიური ბიზნესის განვითარების
პროგნოზირების მეთოდები**

შესავალი

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამყაროში ობიექტური კანონების არსებობა გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ შევადგინოთ საკმაოდ ზუსტი პროგნოზები მათი მომავალი განვითარების შესახებ. სტატისტიკური და ფაქტობრივი პროგნოზირების მეთოდები იყენებს სხვადასხვა სტატისტიკურ მოდელებს, რომლებიც ეყრდნობა საპროგნოზო ობიექტების რაოდენობრივი მახასიათებლების ანალიზს, რაც პროგნოზების შემუშავების პროცესში წარმოადგენს საინფორმაციო ბაზას. ეს ფაქტობრივი ინფორმაცია ობიექტის შესახებ თავის მხრივ წარმოადგენს რიცხვითი მონაცემების კომპლექსს, რომელიც ახასიათებს ობიექტის მდგომარეობის პროგნოზირებას დროის სხვადასხვა მომენტში. სტატისტიკური მონაცემების რეგისტრაციის, აღწერისა და ანალიზის მეთოდების შემუშავება, რომლებიც მიიღება შემთხვევითი მოვლენების მასობრივი დაკვირვებების შედეგად, წარმოადგენს მათემატიკურ სტატისტიკას. პროგნოზირების სტატისტიკური მეთოდები იყენებს მათემატიკური სტატისტიკის აპარატს, ალბათობის თეორიასა და დიდ რიცხვთა კანონს, რომელიც შემდგენიერად უღერს: „თუ ნიმუში საკმარისად დიდია და არჩეულია შემთხვევით, მასში ნარჩუნდება მთელი გენერალური ერთობლიობის კანონზომიერება“.

1. საკვლევი ობიექტის განვითარების ტენდენციების ექსტრაპოლაციის მეთოდები

სტატისტიკური მიდგომები პროგნოზირების მიმართ შეიძლება დაიყოს ორ ქვეკლასად. პირველი – ესაა დროითი მწკრივების ან დინამიკის პროგნოზირება, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ საკვლევი ობიექტის ცვლილება მხოლოდ დროში (ერთფაქტორიანი მეთოდები). მეორე ქვეკლასი მოიცავს მრავალფაქტორული ანალიზის მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც საკვლევი ობიექტის ცვლილება დგინდება როგორც დროში, ასევე სხვა ფაქტორებთან მიმართებაში, რომლებიც გავლენას ახდენს მასზე.

დროითი მწკრივების პროგნოზირების მეთოდები მოიცავს შემდეგ ჯგუფებს:

- ტენდენციების ექსტრაპოლაციის მეთოდებს, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს უმცირეს კვადრატთა მეთოდს, ექსპონენციალურ მოსწორებას, მცოცავ საშუალოს, S-მრუდებს და ა.შ.
- პუბლიკაციების ანალიზის მეთოდებს: დაპატენტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ნაშრომების დინამიკის ანალიზს.

საკვლევი ობიექტის განვითარების ტენდენციების ექსტრაპოლაციის მეთოდები ეფუძნება საკვლევი ობიექტის შესახებ წარსულში განვითარებულ კანონზომიერებებსა და ტენდენციებს, რომლებიც ვრცელდება მომავალზეც - ის ობიექტს შეისწავლის რეტროსპექტული გადმოსახედიდან. ექსტრაპოლაციის მეთოდები ეფუძნება ინერციულობას, რომელიც ამა თუ იმ დოზით ახასიათებს ყველა პროცესსა თუ მოვლენას, განსაკუთრებით კი მეცნიერების დიდ ობიექტებს, ტექნიკასა და ტექნოლოგიებს¹⁸. მაშასადამე, რაც უფრო მასშტაბურია ობიექტი, მით მეტად განიცდის ის ინერციულობას და შესაბამისად, უფრო მეტია მომავალში მის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ექსტრაპოლაციის შესაძლებლობა.

ტექნოლოგიური პროგრესი (დროის განსაზღვრულ პერიოდში) ექცევა მრავალი (მუდმივი და შემთხვევითი) ფაქტორების გავლენის ქვეშ. ეს ორი ჯგუფი გავლენას ახდენს დინამიური მწკრივების ცვალებადობის დონეებზე. მაგალითისთვის მოცემულია დროითი მწკრივი (ცხრ. 1) იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ბოლო ათწლეულში ახორციელებენ ტექნოლოგიურ ინოვაციებს.

სქემის სახით წარმოვადგინოთ დროითი მწკრივი, რომელიც იცვლება დროში. როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, დროთა განმავლობაში N-ის მნიშვნელობა იზრდება, თუმცა სხვადასხვა პერიოდში შემდეგი მნიშვნელობები ნაკლებია წინაზე.


ცხრილი 1

საწარმოების რაოდენობა, რომლებმაც დაანერგეს ტექნოლოგიური ინოვაციები

T – წლები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
N – საწარმოების რაოდენობა	2	1	4	4	6	8	7	9	12	11

¹⁸ Abhaysinh V. Surve. Study of Technology Forecasting Methods. IJETST- Volume|01||Issue|05||Pages 600-605||July||ISSN 2348-9480. 2014.

შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ დროით მწკრივში შეინიშნება იმ საწარმოთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია, რომლებიც იყენებენ ტექნოლოგიურ სიახლეებს, ხოლო ეპიზოდური რეცესია ატარებს შემთხვევით ხასიათს¹⁹. ეს დაკავშირებულია რიგ ობიექტურ მიზეზებთან, მათ შორის, დაკვირვებათა შეზღუდულ რაოდენობასთან. შემთხვევითობის ელემენტები მნიშვნელობას კარგავს დაკვირვებათა ძალიან დიდი რაოდენობის შემთხვევაში და შემთხვევითი მოვლენები იძენს გარკვეულ კანონზომიერებას. პრაქტიკაში ჩვენ საქმე გვაქვს დაკვირვებათა შეზღუდულ რიცხვთან, ამიტომ დროითი მწკრივისთვის ემპირიული თუ ექსპერიმენტული მრუდები იძენს თეორიული მრუდის სახეს, რომლებიც უკეთესად აღწერენ დამოკიდებულებას $A=D/T$, სადაც A არის რაოდენობა, D – ინოვაციური საქმიანობის დინამიკა, ხოლო T კი – დრო.



სქემა 1. ინოვაციური საქმიანობის დინამიკა (რეალური)


ადეკვატური თეორიული მრუდის შესარჩევად გამოიყენება მოსწორების პროცედურა – დინამიური მწკრივის გამოთანაბრება, ანუ თეორიულად თანმიმდევრული მრუდის შერჩევა, რომელიც წარმოადგენს საპროგნოზო მოდელს. ექსპერიმენტული მრუდების გამოთანაბრების ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს წარმოადგენს უმცირეს კვადრატთა მეთოდი, მცოცავი საშუალოს მეთოდი, ექსპონენციალური განაწილების მეთოდი და ჯამური მრუდების აგების მეთოდი. მათ შორის ყველაზე უბრალოა ჯამური მრუდების აგების მეთოდი, მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საპროგნოზო ფაქტორების (პარამეტრების, მაჩვენებლების) შეზღუდული ჩამონათვალისთვის. არსებული პროგრამული საშუალებები იძლევა გლუვი მრუდების მიღების შესაძლებლობას.

რეალური გლუვი მრუდის შეცვლის შემდეგ (სქემა 1) მიიღება წრფივთან მიახლოებული მრუდი (სქემა 2), რომელსაც გააჩნია შემდეგი მათემატიკური მოდელი:

$$N = a + bt \quad (1)$$

სადაც N საკვლევი ობიექტია; a და b – მუდმივი კოეფიციენტები; t – დრო.

(1) განტოლებაში დროის შესაბამისი (t, t+1, t+2, ..., t+n) მნიშვნელობების ჩასმით გამოითვლება საკვლევი ობიექტის ზუსტი მნიშვნელობა. ხშირად დროითი მწკრივების აპროქსიმაციისთვის იყენებენ წრფივ, ექსპონენციალურ და ლოგიკურ ფუნქციებს.



სქემა 2. ინოვაციური საქმიანობის დინამიკა (მცოცავი საშუალოს მეთოდით)

ცნობილი მკვლევარი ბ. ტვისი²⁰ მოდელს ყოფს 4 ჯგუფად:

- S მრუდები;
- ციკლური მრუდები;
- სტაბილურად ზრდადი ან კლებადი მრუდები;
- არამუდმივი მრუდები.


¹⁹ Lars Fuglsang, Jon Sundbo, Flemming Sorensen. Dynamics of experience service innovation: innovation as a guided activity – results from a Danish survey. “The Service Industries Journal”, Volume 31, 2011-Issue 5.

²⁰ Brian C. Twiss. Forecasting for technologists and engineers. P. Peregineus LTD London, 1992.

ყველა საკვლევი ობიექტის აღწერა შეიძლება ამ მოდელებიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე მათგანის გამოყენებით.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და ბაზრის ზრდა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს S-მრუდის სახით (სქემა 3/ა). ამ მოდელს გააჩნია ასიმტოტა, ანუ შემზღვევლი დონე, რომელიც უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება რიგი სუბიექტური ფაქტორებით, ხოლო შემდგომ – ბაზრის გაჯერებით. მრუდის ფორმისა და მისი ასიმტოტების ცოდნა იძლევა არსებული ინფორმაციის გრაფიკზე ზუსტი ასახვისა და მის საფუძველზე პროგნოზირების შესაძლებლობას.

ციკლური მრუდები (სქემა 3/ბ) – ეს არის მოდელები, რომლებიც მეორდებიან გარკვეული პერიოდულობით. ისინი გამოიყენება ეკონომიკური მონაცემების ბევრი სახეობისთვის. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ბიზნესის განვითარების ხუთწლიანი ციკლი. თუმცა ხანდახან რთულია ციკლისა და ფუნქციების ექსტრემუმების ცვლილების ზუსტი განსაზღვრა. ხშირად ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ ყოველი მოკლევადიანი ტენდენცია შეიცავს მნიშვნელოვან ციკლურ შემადგენელ ნაწილებს, გარდა ამისა, მრეწველობის სხვადასხვა სფეროში შეინიშნება მოთხოვნის სეზონური ცვლილება. ამავე მოდელის გამოყენება შეიძლება დემოგრაფიულ მონაცემებთან მიმართებაში, ისეთების, როგორიცაა ქვეყანაში შობადობის მაჩვენებლის კლება და ზრდა.



სქემა 3. ზრდის მოდელები

არანაკლებ გავრცელებულია მუდმივი ზრდის გრაფიკი (სქემა 3/გ), რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ბაზრისთვის და ასახავს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიანი ექსპონენციალური ზრდის ტენდენცია არ განეკუთვნება არც ერთ მოვლენას. ეს მტკიცება ჭეშმარიტია მაშინაც, როცა ის დასტურდება მხოლოდ მოკლევადიანი ტენდენციებით.

ცვალებად მრუდებს (სქემა 3/დ) ახასიათებს მოულოდნელი, სწრაფი ცვლილება მოკლევადიან პერიოდში. უფრო ხშირად ასეთი მრუდები დამოკიდებულია პოლიტიკურ ან საკანონმდებლო სფეროზე (მაგ.: ეკოლოგიური).

მოკლევადიანი პროგნოზირებისას ახალი პროდუქტის წარმოების მოცულობის დაგეგმვის მიზნით შეიძლება დაგეგმოს შემდეგი შემადგენელი ნაწილების გამოყენება:

- ძველი პროდუქტის ახლით შეცვლის ტემპი (S-მრუდი);
- მთელი ბაზრის გრძელვადიანი ზრდა (მუდმივი ზრდის მრუდი);
- ეკონომიკური მდგომარეობა (სამეურნეო საქმიანობის ციკლი);
- სეზონური მოთხოვნა (12 თვიანი ციკლი).

ამ მხრივ, დროითი მწკრივის პროგნოზირების ამოცანას წარმოადგენს იმ კანონზომიერების ძებნა, რომელიც ხასიათდება ემპირიული მონაცემებით. ამ მეთოდის პრაქტიკული გამოყენება დაკავშირებულია ტექნოლოგიების ეფექტურობის, მოცემული პროდუქტის გაყიდვების დონისა და კონკრეტული ტექნოლოგიის ან პროდუქტის შემუშავების ვადების პარამეტრების პროგნოზირებასთან. მრავალი კომპანია თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ავროვებს ინფორმაციას მნიშვნელოვანი ცვლადების ცვლილების ისტორიული ტენდენციის შესახებ, შემდგომ მას იყენებს სტრატეგიული გადაწყვეტილების მისაღებად.

ტენდენციის ექსტრაპოლაციის მეთოდით პროგნოზის შემუშავების პროცესის ძირითადი პროცედურების მიმდევრობა შემდეგია:

- პროგნოზირების ობიექტის, მისი შემადგენელი ნაწილებისა და ობიექტის არსებითი ტექნიკური მაჩვენებლების შერჩევა; პროგნოზირების მიზნების განსაზღვრა; ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების მეტად პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრა; საკუთარი ადგილის განსაზღვრა მსოფლიო ტექნოლოგიურ განვითარებაში, ქვეყნის, სამეურნეო სფეროს განვითარებაში, წამყვან ფირმებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პოტენციალის ტენდენციის განსაზღვრა, კონკურენტთა პერსპექტივები და ა. შ.;

- პროგნოზირების მიზნების შესაბამისად, საკვლევი ობიექტზე საწყისი ინფორმაციის შეგროვება (სამეცნიერო-ტექნიკური, პატენტური და სხვ.);

- დროითი მწკრივის ფორმირება და მისი წინასწარი ანალიზი (საპროგნოზო ობიექტის ცვლილების ხასიათის დროში [წარსულიდან აწმყომდე] განსაზღვრა);
- დეტერმინირებული საფუძვლის განსაზღვრა (ტრენდი, მოდელი) მწკრივის მათემატიკური დამუშავების გზით;
- პროგნოზირების პერიოდისთვის მიღებული მოდელის ექსტრაპოლაცია და ზუსტი პროგნოზული მნიშვნელობის გამოთვლა (y);
- ნდობის ინტერვალისა და საპროგნოზო სიდიდის ინტერვალური მნიშვნელობის ($Y=\bar{Y}+L$) განსაზღვრა;
- მიღებული შედეგების ანალიზი;
- პროგნოზი.


სტატისტიკური მეთოდების გამოყენება გვაძლევს სისტემატური ცვლილებების შემთხვევითისგან გარჩევის შესაძლებლობას. ტენდენციის ანალიზის ასეთმა სახეობამ მიიღო „სერიული შეფასების“ სახელწოდება. მიღებული სისტემატური ცვლილებების გადატანა ხდება მომავალში, სადაც დრო განხილულია, როგორც ყველა ფაქტორის გარკვეული ხელოვნური ზომა, რომელიც გავლენას ახდენს საპროგნოზო ცვლადზე. თანამედროვე სტატისტიკური მეთოდები იძლევა სისტემატური წრფივების ლოგარითული ან ექსპონენციალური ცვლილებების გამოყოფის შესაძლებლობას არასისტემატური ცვლილებების ფონზე.

2. სამეცნიერო პუბლიკაციის ნაკადების ანალიზის მეთოდები (საპატენტო და არასაპატენტო ინფორმაცია)

სამეცნიერო პუბლიკაციის ნაკადების ანალიზის მეთოდებს საფუძვლად უდევს დაპატენტებისა და სამეცნიერო პუბლიკაციის დინამიკის კანონზომიერება.

საპატენტო და არასაპატენტო ინფორმაცია ყოველი ტექნიკური მიმართულებით გადის განვითარების გარკვეულ ციკლს (სქემა 4).

სქემა 4-ის მიხედვით, დროის t_a პერიოდში ჩნდება კარდინალური შემოქმედება, რომელიც განსაზღვრავს ახალ მიმართულებას ტექნიკაში. მისი რეალიზებისათვის იქმნება მოწოდებლობები და ტექნოლოგია. შემდგომი შემუშავების პროცესში ხდება მოწოდებლობების სრულყოფა, ჩნდება საწყისი იდეის განვითარების ახალი გზები²¹. საპატენტო ინფორმაციის ნაკადი იზრდება მზარდი სისწრაფით (t_a-t პერიოდი). t_1 მომენტიდან საპატენტო ინფორმაციის ნაკადის ზრდის სისწრაფე კლებულობს. როდესაც ხდება ყოველწლიური პატენტუნარიანი იდეების დასტაბილურება ერთ დონეზე, ეს ნიშნავს, რომ საწყისი იდეის გაუმჯობესების შესაძლო გზები ამოწურულია ($t-t_2$ პერიოდი). შემდგომ პერიოდში (t_2) საპატენტო ინფორმაციის ნაკადები კლებულობს.



სქემა 4. დაპატენტების დინამიკის ზოგადი კანონზომიერება

(სადაც t წლებია; N – დაცული დოკუმენტების რიცხვი ან ინფორმაციის სხვა წყარო).


დაპატენტების დინამიკის მათემატიკური გამოსახულება შეიძლება იყოს ექსპონენციალური განტოლება:

$$N = ae^{bt},$$

სადაც N ტექნიკური გადაწყვეტილებების დაცვაზე ყოველწლიურად შემოსული დოკუმენტების რიცხვია; a , b – მუდმივი კოეფიციენტები; t – წლები; e – ნატურალური ლოგარითმის ფუძე.

²¹ Paolo Federico, Florian Heimerl, Steffen Koch. A Survey on Visual Approaches for Analyzing Scientific Literature and Patents. Volume: 23, Issue: 9, Sept. 1 2017.

დაპატენტების დინამიკის ანალიზის დროს²² (შემოქმედებათა დროითი მწკრივები) რეალურ დროით მწკრივებთან გამოსათანაბრებლად იყენებენ კუმულაციური აგების (ჯამური მრუდის) მეთოდს. ამ შემთხვევაში სქემა 4-ზე წარმოდგენილი მრუდი გარდაიქმნება ციკლურ მრუდად. ეს იმით აიხსნება, რომ მას არ გააჩნია მესამე პერიოდი. შემოქმედებათა ყოველწლიური მატების შემცირების დროს მათი ჯამი მინც გაიზრდება, მცირდება მხოლოდ ზრდის ტემპი. მოცემულ მიმართულებაში დაპატენტების შეწვევებისას წინა ჯამს დაემატება ნული, რასაც მრუდი გაჰყავს ზრდის ზედა ზღვარზე ან გაჯერების დონეზე – მეორე პერიოდი.



სქემა 5. დაპატენტების (კუმულაციური) დინამიკა ალტერნატიული ტექნოლოგიებით
(სადაც t – წლებია; Y და ΣN – პატენტთა რიცხვი (მზარდი შედეგებით); t_{in} – მოსალოდნელი კაპიტალდაბანდების პერიოდი).

რამდენადაც ეს ტენდენციის გამოვლენის უმარტივესი მეთოდია, ის ფართოდ გამოიყენება გრაფიკული ექსტრაპოლაციისთვის, რაც ვიზუალურად განსაზღვრავს ანალიტიკურ ფუნქციას. ერთ გრაფიკზე რამდენიმე კუმულაციის დასმით განისაზღვრება მათი შედარებითი პროგრესულობა (სქემა 5).

სქემა 5-თან დაკავშირებით შეგვიძლია შემდეგი კომენტარის გაკეთება:

1. III ტექნოლოგია ვითარდება მეტად სწრაფი ტემპებით. მიუხედავად იმისა, რომ ის გაჩნდა I და II ეტაპებზე გვიან, ის შეიძლება ჩაითვალოს მეტად პროგრესირებად ტექნოლოგიად.
2. I დომინირებული ტექნოლოგიის ზრდის ტემპი დაბალია, რაც მიუთითებს მის ნაკლებ პროგრესულობას.
3. II ტექნოლოგიის ზრდის ტემპი მაღალია I-ზე, მაგრამ III-ზე დაბალი. როგორც ჩანს, ამ ტექნოლოგიის მნიშვნელობა შენარჩუნდება პროგნოზირების პერიოდში.
4. IV ტექნოლოგიის ზრდის ტემპი პრაქტიკულად ნულის ტოლია. როგორც ჩანს, ამ მიმართულებამ ამოწურა თავისი ტექნიკური შესაძლებლობები ან არსებობს ტექნიკური (ტექნოლოგიური) დაბრკოლებები, რომელთა აღმოფხვრა შესაძლებელია განჭვრეტილ მომავალში. ამისათვის საჭიროა მეტად დრმა (ექსპერტული) ანალიზი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განვითარებულ ქვეყნებში, საპატენტო ინფორმაცია გამოიყენება პროგნოზული კვლევების ჩატარებისას, ასევე ანალიტიკური ამოცანების ფართო წრის ამოსახსნელად. კონკურენტი ტექნოლოგიების შედარებით ანალიზს²³ შეუძლია განსაზღვროს წარმატება ან მარცხი არა მარტო ახალი პროდუქციისთვის, არამედ სრულიად კომპანიისთვის. სახელდობრ საპატენტო ინფორმაცია შეიცავს მეტად ღირებულ სისტემატიზებულ ცნობებს ტექნიკის თანამედროვე დონეზე. გამოცდილ ანალიტიკოსს შეუძლია განსაზღვროს როგორც საკუთრივ შემოქმედების მეტად პერსპექტიული მიმართულებები, ასევე არსებული (უკვე დაპატენტებული) ტექნოლოგიის შექმნის ან ახალი იდეების შემუშავებისთვის მისი გამოყენების შესაძლებლობებიც.

საპატენტო-საინფორმაციო ანალიზი გამოიყენება როგორც მაკროეკონომიკურ დონეზე საბოლოო დასკვნებისათვის, ასევე კონკრეტული სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური პრობლემების დონეზე მეტად დეტალიზებული შეფასებების ჩასატარებლად. საქმე ისაა, რომ

²² Yveline Lecler, Tetsuo Yoshimoto. The Dynamics of Regional Innovation: Policy Challenges in Europe and Japan. World Scientific Publishing Co. Pte Ltd. 2012.

²³ Metin Yildirim & Ferda Nakipoglu Ozsoy & Asli Ozpolat & Filiz Cayiragasi, 2017. "Comparative Analysis of Competition Power in High Technology and Low Technology Intensive Manufactures," International Journal of Innovation and Economic Development, Inovatus Services Ltd., vol. 3(4), pages 41-52, October.

არსებობს საკმაოდ მჭიდრო კავშირი შემოქმედების პატენტირებასა და ისეთ მანვენებლებს შორის, როგორებიცაა: ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულების პერსპექტიულობა, გამოშვებული პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური მანვენებლები და ა. შ.


3. რეგრესული ანალიზი. პროგნოზირებაში პროგრესის S-მრუდის გამოყენება

ანალიზის თანამედროვე მეთოდები, ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული პროგრამები იძლევა პრაქტიკულად ნებისმიერი ინფორმაციული მასივის დამუშავების შესაძლებლობას, პროგნოზირებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით. სტატისტიკური გაანგარიშებებისა და გრაფიკების, დიაგრამებისა და კარტოგრამების ასაგებად გამოიყენება ისეთი სტატისტიკური პაკეტები, როგორიცაა Statistica, SPSS, SAS, და Excel.

ექსპონენციალური გამოთანაბრების მეთოდები, ავტორეგრესია და პროგნოზირების სხვა მეთოდები საწყისი დროითი მწკრივის მიხედვით უზრუნველყოფს ევოლუციური ეტაპის დამაკმაყოფილებელ შედეგებს ერთი ხარისხობრივი ნახტომიდან მეორემდე. ერთგვაროვანი ტექნიკური საშუალებებისათვის ასეთი ეტაპი შეიძლება იყოს რამდენიმე. თუ განვიხილავთ ერთგვაროვანი ტექნიკური საშუალებების განვითარებას დროის ხანგრძლივ ინტერვალში, მაშინ ეს განვითარება შეიძლება აღვწეროთ რამდენიმე კერძო ტენდენციით, რომელთა დაჯამება დროში იძლევა განვითარების საერთო ტენდენციის სურათს. საერთო ტენდენცია ასევე იქნება S-მრუდი. იმ კერძო ერთგვაროვანი ტენდენციების გაერთიანებამ ერთიან S-მრუდში, რომლებიც ახასიათებს პროგნოზირების ობიექტს, წარმოადგენს „გარშემო ხრის“ მრუდს.

სქემა 6-ზე წარმოდგენილია გარშემო ხრისა და S-მრუდების ოჯახი ტრანსპორტის სისწრაფისათვის.

რეგრესული ანალიზი შეიძლება ჩაითვალოს სერიული შეფასებების განზოგადებულ ფორმად, თუმცა რეგრესული გამოსახულებები იძლევა ფუნქციაში იმ საპროგნოზო ცვლადების პროგნოზირების საშუალებას, რომლებშიც არ არის გათვალისწინებული დროითი ფაქტორი. რეგრესული ანალიზის მიზანია ცვლადებს შორის კავშირების სივიწროვის განსაზღვრა. მაგალითად, საბურავების გამძლეობა და მათი გასაველი მანძილი შეიძლება განვიხილოთ რეზინის სიმყარის, მეტალის სტრუქტურის, ავტომობილის მასისა და ა. შ. ფუნქციებში. სტატისტიკური დამუშავებისა და რეგრესული ანალიზის მრავალი პროგრამული პაკეტი ამართლებს ამ მეთოდის გამოყენებას, მხოლოდ იმ პირობით, თუ ცნობილია მონაცემები ყოველი ცვლადის რამდენიმე მნიშვნელობის შესახებ.



სქემა 6. გარშემო ხრის მრუდი ტრანსპორტის სისწრაფისთვის

რეგრესული ანალიზის²⁴ ძირითად ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მას შეუძლია აღმოჩენილი კავშირებისა და ცვლილებების მიზეზობრივი გამოკვლევა, რამდენადაც საპროგნოზო ცვლადი იცვლება რაიმე დამოკიდებულებით სხვა ცვლადთან. მაგალითად, საბურავების გარბენი იცვლება ავტომობილის მასის შემცირებით. რეგრესული ანალიზით გაკეთებული პროგნოზის ხარისხი დამოკიდებულია დამოუკიდებელი ცვლადების სწორ შერჩევაზე, ასევე შესაძლო მნიშვნელობების ცოდნაზე. შესაბამისად, პროგნოზირებაში რეგრესული ანალიზის გამოყენება შეუძლებელია იმ შემთხვევებში, როცა უცნობია საპროგნოზო ცვლადის შესაძლო ცვლილების მიზეზი ან

²⁴ Amy Gallo. A refresher a regression analysis. Harvard Business Review. November 4, 2015.

დამოუკიდებელი ცვლადების მომავალი მნიშვნელობები. ამ მხრივ, რეგრესული ანალიზი არ არის სასარგებლო იმის პროგნოზირებისთვის, თუ რომელი ტექნოლოგიური პროცესები გამოჩნდება რამდენიმე წლის შემდეგ. თუმცა მისი დახმარებით მეტ-ნაკლებად შესაძლებელია არსებული ტექნიკური სისტემის ქცევის პროგნოზირება, რაც დამოუკიდებელია ცნობილ ფაქტორებზე. ასეთი პროგნოზის შედეგად შეიძლება განისაზღვროს არსებული ან შემუშავებული ტექნიკური სისტემების შესაძლებლობები. მათი ფუნქციების გამოვლენილი შეზღუდვები გეგარნახობს მომავალ სამეცნიერო და ტექნოლოგიურ გამოგონებათა განვითარების მიმართულებას.

ამდენად, საჭირო მონაცემების ფლობითა და რამდენიმე დამატებითი ძალისხმევით, მონაცემთა დამუშავებისას რეგრესული ანალიზი გვაძლევს მეტად ხარისხიან პროგნოზს, ვიდრე ტენდენციების ექსტრაპოლაცია და სერიული შეფასებები, რაც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ არსებული ტექნიკური სისტემების საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირება.

4. ანალიზის მრავალფაქტორული მეთოდი

მეთოდს, რომელიც იძლევა რამდენიმე რეგრესული გამოსახულების ერთ მრავალფაქტორიან მოდელად²⁵ დაჯგუფების საშუალებას, არის ეკონომეტრიკა. დავუშვათ, საჭიროა განისაზღვროს ის, თუ რამდენს აიწონის მობილური ტელეფონი 3 წლის შემდეგ. პროგნოზის მისაღებად საჭირო საბაზისო განტოლება მობილური ტელეფონის წონას განსაზღვრავს, როგორც კვების წყაროს, ეკრანის, ფოტოკამერის, რადიომიმდებისა და სხვა ტექნიკური მოწყობილობების წონის ფუნქციას. თავის მხრივ, შესაძლებელია კვების წყაროს წონის პროგნოზირება ლითიუმ-იონური ბატარიების ტექნიკური პროგრესის ფუნქციის მიხედვით და ა. შ.

საპროგნოზო მრავალფაქტორიანი მოდელი შეგვიძლია წარმოვადგინოთ (2) განტოლების სახით:

$$Y = f \{(x_1, x_2, x_3, \dots, x_n), (a_1, a_2, a_3, \dots, a_n)\} \quad (2)$$

სადაც Y საპროგნოზო სიდიდეა; $x_1, x_2, x_3, \dots, x_n$ – Y-ის განმსაზღვრელი ფაქტორები;

$a_1, a_2, a_3, \dots, a_n$ – კავშირის კოეფიციენტები.

ეკონომეტრიკის მეთოდი მეტად ეფექტურია, თუ:

- შესაძლებელია მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოვლენა;
- შეინიშნება მიზეზობრივი ცვლადების დიდი ცვლილება დროში;
- შესაძლებელია ამ მიზეზობრივი ცვლადების ცვლილებების მიმართულების წინასწარმეტყველება.

ასეთი მოდელის აგება საკმაოდ ძვირადღირებული და შრომატევადი პროცესია, ვიდრე წინა მეთოდების გამოყენება. თუმცა ეკონომეტრიკული მიდგომის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ გამოვლენილი კავშირების ხასიათი არ იცვლება დროში და მიღებული მოდელის გამოყენება შეიძლება წარსულ ან მომავალ ციკლში იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია დამოუკიდებელი ცვლადების ცვლილების წინასწარმეტყველება მართლზომიერების ფარგლებში და გაუთვალისწინებელი პარამეტრების ზემოქმედების არარსებობა (მაგალითად, პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციაში). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ტენდენციის უბრალო ანალიზისგან განსხვავებით, ეკონომეტრიკული მოდელი არ მიგვიყვანდა XXI საუკუნეში სინათლის წყაროს ეფექტურობის ანომალიურად მაღალ მაჩვენებლამდე (სქემა 6).

გარდა ამისა, მრავალ ნაშრომში აღნიშნულია, რომ ეს კანონზომიერება ყოველთვის არ სრულდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სრულდება, მისი პირდაპირ აღქმა არ შეიძლება. ამავდროულად, ამ მრუდზე დაყრდნობით გაკეთებული პროგნოზები მრავალ კომპანიას დაეხმარა კონკურენტულ ბრძოლაში, ხოლო ამ კანონზომიერების იგნორირებით ბევრმა კომპანიამ განიცადა ზარალი.

S-მრუდის გამოყენებით ეფექტური პროგნოზირების კვანძს წარმოადგენს ანალიზური ტექნოლოგიების გამოყენების წარსული გამოცდილება. თუმცა, თუ დავუშვებთ იმას, რომ ახალი, მეთანოლის საწვავზე მომუშავე ზებეგერთი თვითმფრინავის განვითარების სისწრაფის პროგნოზირებისათვის სასარგებლოა შევისწავლოთ პირველი ტურბინული თვითმფრინავის ისტორია (1936) და იმაში დარწმუნება, რომ ამ თვითმფრინავის პირველი რეალური გამოყენება განეკუთვნება 1940 წელს (კიდევ 10 წელი დასჭირდა ტურბინის სიმძლავრის გაზრდასა და თვითმფრინავის კონსტრუქციის სრულყოფას. ამ პერიოდში თანდათან იზრდებოდა ფრენის სისწრაფე). შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ზებეგერთი თვითმფრინავის ათვისებისა და განვითარების კომერციულიზაცია და სრულყოფას ამდენივე წელი დასჭირდება. თუმცა თანამედროვე პირობებში, სამეცნიერო-ტექნიკური შემუშავებებისა და მათი ათვისების სისწრაფე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ

²⁵ DC Rao, R Wette, WJ Ewens. Multifactorial analysis of family data ascertained through truncation: a comparative evaluation of two methods of statistical inference. Am J Hum Genet, v.42(3); 1988 Mar. 42(3): 506-515.

მაგალითში ჩანს მეთოდის ძირითადი ნაკლოვანება – შესაბამისად განუსაზღვრელია ის, თუ რამდენად ძველი ტექნოლოგია მიესადაგება პრინციპულად ახალ შემუშავებას.

ამ მეთოდის მეტად არსებით სარგებელს წარმოადგენს იმის შეხსენება, რომ ბაზარზე შედწევის, ტექნოლოგიის დიფუზიის ან ტექნიკური პარამეტრების ზრდის ტემპი არ შეიძლება უსასრულოდ იზრდებოდეს.

დასკვნა

სიმულაციის მეთოდს (მოდელირებას) საფუძვლად უდევს გარკვეული მომავლის მოდელი, რაც გამოისახება პირობითი აღნიშვნებით, აღწერებით ან მათემატიკური ფორმულებით. მეორე ელემენტს წარმოადგენს გარკვეული სტრუქტურირებული ქმედებები, რომელთა დახმარებითაც ვლინდება შემავალი პირობების ცვლილების ზემოქმედება საბოლოო შედეგზე. სიმულაციის უბრალო და ყველასათვის ცნობილ მაგალითს წარმოადგენს ჭადრაკი, რაც ქმნის საომარი მოქმედებების სიმულაციას. აღსანიშნავია, რომ პროგნოზულ კვლევებში სიმულაცია უფრო ხშირად გამოიყენება იმ მოდელების შესამოწმებლად, რომლებიც შექმნილია შესასწავლად, პროგნოზირების სხვა მეთოდების გამოყენებით, ვიდრე გადაწყვეტილების მისაღებად რეალურ პირობებში.

დღესდღეობით არსებობს საყოველთაოდ მიღებული პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი, რომელთა გამოყენებაც შეიძლება სისტემის დინამიკის მოდელირებისთვის: Ithink, Vensim, Powersim და ა.შ. მოდელირების მეთოდი გამოირჩევა რიგი ნაკლოვანებით: 1. მოდელირებაში გამოყენებული საბაზისო მოდელები გამოირჩევა სიზუსტის დაბალი ხარისხით, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს მოდელირების მცდარ შედეგებამდე. 2. საბაზისო მოდელების აგება მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს. რაც უფრო ახლოსაა მოდელი რეალობასთან, მით უფრო რთულია იგი და ნაკლებად შესაძლებელია მისი მანიპულირება.

პროგნოზირების მეთოდის შერჩევასას სასურველია გამოვიდეთ მიზნების, კონკრეტული საპროგნოზო ობიექტის თავისებურებების, მეთოდების ღირსებებისა და ნაკლოვანებების შესაბამისად. პროგნოზირების სტატისტიკური (ფაქტორგრაფიული) მეთოდები გამოიყენება მაშინ, როცა აკუმულირებულია საკმარისი მასალა კვლევის ობიექტის შესახებ განსაზღვრულ ისტორიულ დროით ჭრილში, როცა პროგნოზისტი ფლობს საკმარის დროსა და შესაბამის რესურსებს და როცა პროგნოზი მუშავდება მოკლე ან საშუალოვადიან პერსპექტივაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abhaysinh V. Surve. Study of Technology Forecasting Methods. IJETST-Volume||01||Issue||05||Pages 600-605||July||ISSN 2348-9480. 2014.
2. Amy Gallo. A refresher a regresion analysis. Harvard Business Review. November 4, 2015.
3. Brian C.Twiss. Forecasting for technologists and engineers. P.Pereginus LTD London, 1992.
4. DC Rao, R Wette, WJ Ewens. Multifactorial analysis of family data ascertained through truncation: a comparative evaluation of two methods of statistical inference. Am J Hum Genet, v.42(3); 1988 Mar. 42(3): 506-515.
5. Lars Fuglsang, Jon Sundbo, Flemming Sorensen. Dynamics of experience service innovation: innovation as a guided activity – results from a Danish survey. “The Service Industries Journal”, Volume 31, 2011-Issue 5.
6. Yveline Lecler, Tetsuo Yoshimoto. The Dynamics of Regional Innovation: Policy Challenges in Europe and Japan. World Scientific Publishing Co.Pte Ltd. 2012.
7. Metin Yildirim & Ferda Nakipoglu Ozsoy & Asli Ozpolat & Filiz Cayiragasi, 2017. "Comparative Analysis of Competition Power in High Technology and Low Technology Intensive Manufactures," International Journal of Innovation and Economic Development, Inovatus Services Ltd., vol. 3(4), pages 41-52, October.
8. Paolo Federico, Florian Heimerl, Steffen Koch. A Survey on Visual Approaches for Analyzing Scientific Literature and Patents. Volume: 23, Issue: 9, Sept. 1, 2017.
9. Yveline Lecler, Tetsuo Yoshimoto. The Dynamics of Regional Innovation: Policy Challenges in Europe and Japan. World Scientific Publishing Co.Pte Ltd. 2012.
10. Rzepka Agnieszka, Masurashvili Ioseb. Strategic perspectives for Georgian business – an analysis for medium-sized enterprises in EU and Georgia. “Modern Management Review”, Quarterly, Volume XXI (July - September), Research Journal 23 (3/2016). [indexed in ERIH PLUS and Index Copernicus].
11. Masurashvili Ioseb. Easy doing business and future of investments in Georgia. Economics, Buisness and Tourism: Challenges, Achvements and Innovations. Kutaisi. 2017.
12. Masurashvili Ioseb. Development business sector and labor market. Global perspective in labour market. Amelia Aneta Siewiorek Publishing House, Rzeszow, 2017.
13. ი. მასურაშვილი. ტექნოლოგიების მენეჯმენტის აქტუალური საკითხები. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2, 2012.
14. ი. მასურაშვილი. ტექნოლოგიური პარკები და მათი როლი საერთაშორისო ბიზნესში. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, 7-8, 2017.
13. ი. მასურაშვილი, ა.მ.ქვლაძე. ტექნოლოგიების ტრანსფერის ხელშეკრულებები და მათი მიზნები საერთაშორისო ბიზნესში. თსუ პუბლიკაციის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2017.

14. ი. მასურაშვილი. გლობალური ბიზნესი და ტექნოლოგიური მეწარმეობის პერსპექტივები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2016.

*Ioseb Masurashvili
Giga Kikoria
Vladimer Zekalashvili*

FORECASTING METHODS OF TECHNOLOGICAL BUSINESS DEVELOPMENT

Summary

The existence of objective laws in the world of science, technology makes it possible to compile fairly accurate forecasts of their future development. A class of statistical, or factographic, prediction methods uses different statistical models based on the analysis of quantitative characteristics of forecasting objects, which are the information basis for the development process forecasts. This factual information about the object is a collection of numerical data characterizing the state object prediction at different points in time. The development of methods for recording, describing and analyzing statistical data obtained as a result of observing mass random events constitutes subject of special science - mathematical statistics. Statistical methods of forecasting use the apparatus of mathematical statistics, probability theory and the law of large numbers, which If the sample is large enough and selected randomly, then in it the regularity of the whole population is preserved.

From the point of view of statistical approaches to forecasting this class of methods can be divided into two sub-classes. The first is methods forecasting time series, or series of dynamics that allow study the change of the investigated object only in time (one-parameter methods). The second subclass - the methods of multifactor analysis, they allow you to study the change of the object under study both in time and depending on the influence of other factors.

Time series prediction methods include several groups:

- methods of extrapolating trends, which, in turn, include least-squares, exponential smoothing, moving average, S-curve, envelope curves, etc.;
- methods for analyzing publications: analyzing the dynamics of patenting, analysis of the dynamics of scientific and technical publications.

According to a number of researchers, analysis and extrapolation of trends remains the most common approach to forecasting scientific and technological development.

Methods of extrapolation of trends in the development of the investigated object are based on the study of the patterns and tendencies in the development of the object under investigation and their extension to the future, that is, beyond retrospect. At the core methods of extrapolation is the property of inertia inherent in that or other processes and phenomena, especially this is characteristic for large objects of spiders, technology. The bigger object, the greater inertia it possesses, the greater the possibilities of extrapolating the main factors of its development.

Technological development occurs under the influence of a set of constantly (in a certain period of time) acting and random factors. Under the influence of these two groups of factors there is a variation in the levels of the dynamic series. The use of statistical methods makes it possible to distinguish systematic changes from random ones. This kind of trend analysis is called serial ratings. The resulting systematic changes are projected to the future, where time is taken as some artificial measure of all factors that affect on the predicted variable. Modern statistical methods allow allocate systematic linear, logarithmic or exponential changes against the backdrop of unsystematic changes. The regularity of the dynamics of patenting and the publication of information about the state of objects of science, technology in other sources of information is based on methods for analyzing publication flows (patent and non-patent information).

*თამარ როსტიაშვილი
ფიქრია კირკიტაძე*

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მართვის მეთოდები მცირე ბიზნესში

ანოტაცია. ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მართვის მეთოდებს (ოაშმ) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვა მართვითი ზეგავლენებისგან განსხვავებით. ისინი გამოირჩევიან პირდაპირი ხასიათით, ზეგავლენა მოახდინონ პერსონალზე, რომელშიც იგულისხმება კანონით გათვალისწინებული პერსონალისთვის დაკისრებული მითითების, ბრძანებისა და მოვალეობის უპირობო შესრულება. ოაშმ განსაზღვრავს ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას. მცირე ბიზნესში ამ მეთოდების გამოყენებით აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ეკონომიკური ინტერესები, სოციალური მოთხოვნები და პერსონალის ფსიქოლოგიური თავისებურებანი.

საკვანძო სიტყვები: მართვა, ადამიანური რესურსები, ეკონომიკური სისტემა, ბიზნესი, ორგანიზაციული სტრუქტურა.

შესავალი

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ადამიანური რესურსების მართვის შესახებ იდეების ფორმირების ისტორია და პიროვნების მართვის თეორიისა და პრაქტიკის ამჟამინდელი მდგომარე-

ობა, ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების შედეგად გამოწვეული პრობლემები, ღრმად არის ურთიერთდაკავშირებული.

ეკონომიკის განვითარებასთან ერთად წარმოების მართვა და მასთან ერთად ხალხის მართვა, მათი მუშაობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. თუმცა, XIX საუკუნის ბოლომდე და XX საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო მენეჯმენტი და, უფრო მეტიც, პერსონალის მართვის საფუძვლები არ არსებობდა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ეკონომიკურმა და კულტურულმა ცხოვრებამ საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო და ფსიქოლოგიური შრომის ცნობადობის ამაღლებას. მენეჯმენტის თეორეტიკოსებმა 30-იან წლებში ყურადღება გაამახვილეს მუშაობის მოტივაციის პრობლემებზე „ადამიანურ ფაქტორზე“, რადგან პრაქტიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია იურიდიული, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ფინანსური, ეკონომიკური ფაქტორების არსებობა. იმ შემთხვევაში, თუ სამრეწველო ცივილიზაციას სურს მომავალში გადარჩენა, ამისათვის აუცილებელია ადამიანის მოტივაციისა და ადამიანის ქცევის როლის განვითარების ამაღლება ბიზნესორგანიზაციებში, რადგან, ადამიანის ქცევა არის მოტივირებული არა მხოლოდ ლოგიკითა და ფაქტებით, არამედ გრძნობებით. ამ ემოციურობის აღმოფხვრის მცდელობა, გარკვეულწილად ადამიანური ქცევის ირაციონალური ელემენტია.

1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასასრულს, ადამიანის ურთიერთობები სპეციალურ ადმინისტრაციულ ფუნქციად იქცა, რომელმაც მიიღო სახელი "პერსონალის მართვა". მისი მთავარი ამოცანა არის ის, რომ ხელი შეუწყოს თანამშრომლის კეთილდღეობის გაუმჯობესებას და, ამავედროულად, მისცეს მას მაქსიმალური საშუალება, პირადი წვლილი შეიტანოს მთელი საწარმოს ეფექტურ ოპერაციებში. პერსონალის მართვა ძირითადად დაკავშირებულია პერსონალის შერჩევასთან, პერსონალის მომზადებასა და გადამზადებასთან, აგრეთვე პერსონალის დასაქმების, აღჭურვილობის ეფექტურად გამოყენების პრობლემებთან. მეწარმეებსა და მუშაკებს შორის ერთობლივი კონსულტაციების ორგანიზება, ასევე შრომითი დავეების გადაწყვეტის პროცედურები. მენეჯმენტის თეორიაში განვითარებულმა მოვლენებმა ასევე გავლენა მოახდინა თანამშრომლებისთვის მატერიალური სტიმულების სისტემაში გადასახადების ტრადიციული ფორმების ანულირება მყარი რაციონალიზაციის საფუძველზე.

ეკონომიკის მართვა მოიაზრება, როგორც მიზანმიმართული ზემოქმედება ადამიანებზე და ურთიერთობის დამყარება მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მეშვეობით.

ახალი ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარება და, ამავე დროს, შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება, სამუშაო ორგანიზაცია, პერსონალის პროფესიული და კულტურული დონის ზრდა, პერსონალის მართვის საკითხები გახდა გამოყენებითი მეცნიერების ახალი მიმართულება. აღნიშნულ საკითხებს აქვს ღრმა ისტორიული ფესვები და მნიშვნელოვანია მათი სოციალური და შრომითი პრობლემების თავისებურებები და მახასიათებლები საბაზრო პირობებში.

მრავალი თეორიული და პრაქტიკული საკითხია განხილული პერსონალის მართვის შესახებ მეცნიერთა ნაშრომებში. თუმცა, მთავარი ყურადღება ექცევა მცირე საწარმოებსა და ორგანიზაციებში პერსონალის მართვის საკითხებს. პერსონალის მართვის პროცესის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია, ყურადღება გაამახვილდეს მართვის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ მეთოდებზე.

* * *

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მართვის მეთოდები (ოამმ) შეიძლება განისაზღვროს როგორც ზეგავლენის საშუალებები, რომლებიც დაფუძნებულია ობიექტური საორგანიზაციო ურთიერთობების გამოყენებაზე, ორგანიზაციის თანამშრომლების მოთხოვნებზე. ოამმ ორიენტირებულია ისეთი ქცევის მოტივებზე, როგორც არის მოწვევნიერი შრომის გააზრებული აუცილებლობა, მოვალეობის გრძნობა, ადამიანის ლტოლვა, იმუშაოს განსაზღვრულ ორგანიზაციაში და შრომითი საქმიანობის კულტურა. ისინი დაფუძნებულია ძალაუფლების იმ კატეგორიებზე, როგორც არის დისციპლინა, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა.

მცირე ბიზნესის გამოყენება ოამმ-ში ხშირად არაფორმალურ ხასიათს იძენს. თანამშრომლების მცირე ჯგუფებში, რომელთაც ახასიათებთ თავისუფალი კომუნიკაციის თვისება, ყველა ბრძანება და აუცილებელი ზემოქმედებები ხშირად ხორციელდება ვერბალურად. ასეთ შემთხვევაში ბევრ ფორმაში ოფიციალური დოკუმენტაციის წარმოება არ ხდება. თეორიულად ცნობილია, რომ ოამმ ხორციელდება ორგანიზაციული, მასტაბილიზებელი, გამანაწლებელი და დისციპლინური ზემოქმედების ფორმით.

ორგანიზაციულ-მასტაბილიზებელი ზეგავლენა მიმართულია სისტემური მართვის ელემენტების შემადგენლობის დასადგენად მდგრადი საორგანიზაციო კავშირების, მათ შორის, განსაზღვრული პასუხისმგებლობების განმტკიცებით როგორც ერთი მთლიანი სისტემის, ასევე მისი ცალკეული ელემენტების მეშვეობით. ორგანიზაციულ-მასტაბილიზებელი მეთოდების ზეგავლენა მოიცავს რეგლამენტირებას, ნორმირებას და ინსტრუქტირებას.

ორგანიზაციული რეგლამენტირების არსი მდგომარეობს ორგანიზაციული მდგომარეობის მოქმედებაში შეყვანის შემუშავებაში, რომელიც აუცილებელია რომ შესრულდეს ზუსტად განსაზღვრულ ამავე პერიოდში. სტრუქტურული ქვედანაყოფების მდგომარეობა ადგენს ამოცანებს,

ფუნქციებს, უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას ქვედანაყოფისა და საწარმოს სამსახურებსა და მათ ლიდერებს შორს. მდგომარეობის საფუძველზე დგინდება მოცემული ქვედანაყოფის საშტატო ჩამონათვალი და ხდება მისი ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზება. მდგომარეობის გამოყენება საშუალებას იძლევა შეფასდეს ქვედანაყოფის საქმიანობის სტრუქტურული შედეგები, მიიღება გადაწყვეტილება თანამშრომლების მატერიალური და მორალური სტიმულირების თაობაზე. მდგომარეობები არ შეიძლება უცვლელად დარჩეს დიდი ხნის მანძილზე და საჭიროებს რეგულარულ გადახედვასა და კორექტირებას.

ორგანიზაციული ნორმირება განსაზღვრავს, როგორ უნდა იქნეს შესრულებული ამა თუ იმ მართვის ფუნქცია ან პასუხისმგებლობა, რაც მოიაზრება სხვადასხვა ნორმატივების დადგენაში. მართვის პრაქტიკაში ნორმატივების ძალიან დიდი რაოდენობა გამოიყენება. მაგალითად, ხარისხობრივ-ტექნიკური ნორმატივები (სტანდარტული ნორმები), შრომითი ნორმატივები (დონეები, პრემიები), ფინანსურ-საკრედიტო (საკუთარი საბრუნავი საშუალებების ოდენობა და ვალების გასტუმრება), ეკონომიკური სტიმულირების ნორმატივები (ფონდში შემოწირულობები), ორგანიზაციულ გამანაწილებელი ნორმატივები (შიდა განაწილების წესები, გაქირავების გაფორმების განრიგი, დათხოვნა, გადაყვანა, მივლინება) და სხვა. ნორმატივების კომპლექსურ გამოყენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მართვის პროცესში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა სახის სამუშაოებისთვის შეიძლება გამოიყენოთ ნორმატივები.

ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ინსტრუქტირება ხორციელდება სხვადასხვა ინსტრუქციებისა და მითითებების ფორმით, რომელიც მოქმედებაშია საწარმოში. ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური, ინსტრუქტირების აქტებში წარმოდგენილია რეკომენდაციები მართვის თანამედროვე საშუალებების გამოყენების თაობაზე, მხედველობაში მიიღება პერსონალის მიერ დაგროვილი გამოცდილება. ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ინსტრუქტირების აქტებს მიეკუთვნება სავალდებულო ინსტრუქციები, რომლებიც ადგენს უფლებებსა და ფუნქციონალურ ვალდებულებებს ადმინისტრაციულ-მმართველობითი და საინჟინრო ტექნოლოგიური პერსონალის ყველა სამსახურისთვის.

მეთოდოლოგიური მითითებები (რეკომენდაციები), ისინი აღწერენ კომპლექსური სამუშაოების შესრულებას, რომლებიც დაკავშირებულია საერთო მიზნობრივ დანიშნულებასთან. საწარმოები გამოიყენებენ სამრეწველო და რეგიონულ მეთოდოლოგიურ მითითებებს ეკონომიკური განვითარების გეგმების (თვეების, კვარტლების, წლის და ა.შ.) შემუშავებისათვის, კალენდარული და ქსელური დაგეგმარების გამოყენებასა და მართვისთვის და ა.შ.

მეთოდოლოგიური ინსტრუქციები განსაზღვრავს წესრიგს, მეთოდებს და შრომის ფორმებს ცალკეულ ტექნიკურ-ეკონომიკური ამოცანების შესასრულებლად. მაგ., ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური ინსტრუქციები, რომლებიც შედგენილია გეგმიური გამოთვლით ახალ პროდუქციაზე და ა.შ.

სამუშაო ინსტრუქციები განსაზღვრავს მოქმედების თანმიმდევრულობას, რომლისგანაც გამომდინარეობს მართვითი პროცესი. მათში მითითებულია ოპერატიული სამუშაოების პროცესების შესრულება ფუნქციური დანიშნულებით (სამუშაოს ინსტრუქციები და დოკუმენტები და ა.შ.)

მცირე ბიზნესში ძირითადად ხორციელდება ფუნქციურ-ტექნიკური ხასიათის ინსტრუქტირება (აღჭურვილობის ექსპლუატაცია, ტექნიკური მოთხოვნების შესრულება და ა.შ.). განსაკუთრებით ეს ეხება იმ საწარმოებს, რომლებიც ეწევიან ლიცენზირებულ საქმიანობას. რაც შეეხება მართვითი ხასიათის ინსტრუქციებს, ჩვენ მიერ გამოკვლეული ზოგიერთ მცირე საწარმოს აღმოაჩნდა ისეთი ინსტრუქციები, რომელიც მოიცავს პერსონალის ვალდებულებების ჩამონათვალს და არ არის ასახული უფლებების ფორმულირებები, პასუხისმგებლობები და სხვანი და სხვანი, რომლებიც საჭიროა თეორიული თვალსაზრისით.

ორგანიზაციული ნორმირების ზემოთ აღნიშნული აქტები და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ინსტრუქტირება წარმოადგენს ნორმატივებს. ისინი გამოიცემა საწარმოს ხელმძღვანელების მიერ, ხოლო კანონით გათვალისწინებული მოქმედებების შემთხვევაში ერთობლივად ამ შეთანხმებით სრულდება ეს კანონი.

საწარმოს ნორმატიული აქტები სავალდებულო შემოწმებას ექვემდებარება, იგი შესაბამისობაში უნდა იყოს არსებულ კანონმდებლობასთან ერთად.

განაწილებითი ზემოქმედება გამოიხატება ბრძანების ფორმით, რომელიც წარმოადგენს არანორმატიული ხასიათის სამართლებრივ აქტს. ბრძანება ეს არის წერილობითი ან სიტყვიერი მოთხოვნა ხელმძღვანელის მიერ, რომ პერსონალმა გადაჭრას განსაზღვრული საკითხი ან შეასრულოს კონკრეტული დავალება.

განკარგულება ეს არის წერილობითი ან ზეპირი მოთხოვნა პერსონალის მიმართ, გადაწყვიტოს საკითხები. ისინი გამოიცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. განკარგულებები და მითითებები გამოიცემა საწარმოს ხელმძღვანელის მიერ, მცირე საწარმოო სამსახურის და ფუნქციური სამსახურის მონაწილეობით. ადმინისტრაციული ზეგავლენა უფრო ითხოვს კონტროლს და შემსრულებელის შემოწმებას, ვიდრე ორგანიზაციული მასტაბილიზებელი, რომელიც ხედმიწევნით ორგანიზებული უნდა იყოს დაწესებულებაში. ამ მიზნით დგინდება ხარჯთაღრიცხვის ერთიანი წესრიგი, რეგისტრაცია და შესრულებული ბრძანებების კონტროლი,

განკარგულებები და მითითებები ორგანიზაციაში. მცირე ბიზნესში უფრო ჭარბობს ზეპირი ბრძანებები და მითითებები.

დასკვნა

ორგანიზაციული მართვის მეთოდების ჯგუფს მიეკუთვნება დისციპლინური ზემოქმედების საშუალებები, რომელშიც თავისთავად იგულისხმება პასუხისმგებლობა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია. ძირითადად გამოყოფენ პირად, კოლექტიურ, მატერიალურ, მორალურ და საქმიან პასუხისმგებლობებს. სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობების კომბინაცია წარმოადგენს ძირითად მომენტს ორგანიზაციული მეთოდების სწორ გამოყენებაში. ოამმ-ს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვა მართვითი ზეგავლენებისგან განსხვავებით. ისინი გამოირჩევიან პირდაპირი ხასიათით, ზეგავლენა მოახდინონ პერსონალზე, რომელშიც იგულისხმება კანონით გათვალისწინებული პერსონალისთვის დაკისრებული მითითების, ბრძანებისა და მოვალეობის უპირობო შესრულება. ოამმ განსაზღვრავს ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას. გარდა ამისა, თუ გამოიყენება სხვა კონტროლის მეთოდები და აღინიშნება გარკვეული დაგვიანება პროცესში, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ზეგავლენის შედეგები ყველაზე ხშირად ვლინდება. ყველაფერი ეს არცთუ ისე ხშირად, გადაჭარბებულ როლს თამაშობს მცირე ბიზნესის საწარმოებში და შესაბამისად მას ნეგატიური შედეგი აქვს. ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ ზეგავლენას გააჩნია ეფექტური გამოყენების ზღვარი. ხშირ შემთხვევაში პირდაპირ ჩარევას მიყვარებულ პერსონალის პასიურობის გაძლიერებისკენ, ხოლო ზოგჯერ კი ფარული დაუმორჩილებლობისკენაც კი. მცირე ბიზნესში ამ მეთოდების გამოყენებით აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ეკონომიკური ინტერესები, სოციალური მოთხოვნები და პერსონალის ფსიქოლოგიური თავისებურებანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Taylor F.W. Shop Management, N.Y., 1903; FW. Taylor. Principles of Scientific Management, 1911.
2. Banyard P., A. Grayson, Introducing Psychological Research, NY, 2008, - p. 324
3. Bell D. The Coming of Post-Industrial Society. A Venture in Social Forecasting. N.Y., Basic Books, Inc., 1973.
4. Putnam R. The Prosperous Community. Social Capital and Public Life // The American Prospect. 1993. Vol. 4, № 13. P. 1.
5. Rose R. How Much Does Social Capital Add to Individual Health? A Survey Study of Russians // Social Science and Medicine. 2000. Vol. 51. P. 1422.
6. Мордовин С.К. Управление человеческими ресурсами - М • Инфра-М, 2005 - გვ. 9.

*Tamar Rostishvili
Piqria Kirkitadze*

ORGANIZATIONAL-ADMINISTRATIVE MANAGEMENT METHODS IN SMALL BUSINESS

Summary

Throughout human history (before a highly developed industrial production) in the era of the great thinkers HR management issuer was a subject of discussion, however, the process of realistic vision basis emerged from some circumstances, to achieve the overall aims of the joint life period, which had begun in Antic era as far.

The history of the idea of human resource management in the world's leading countries and the current state of managing theory and practice of personality, the problems caused by the formation of an effective human resource management system are deeply interconnected.

With the development of the economy, management of production and management of people, their work become increasingly important. However, by the end of the 19th century and early XX century scientific management and, moreover, the basis for personnel management did not exist.

Management of the economy is considered as a deliberate impact on people, and the establishment of relationships due to their products.

Intensive development of new technologies and at the same time improving labor relations, working organization, the growth of professional and cultural level of staff, the management of personnel became the new direction of applied science. These issues have deep historical roots and the peculiarities and characteristics of their social and labor problems are important in market conditions.

Many theoretical and practical issues are discussed in the work of scientists on the management of personnel. Main attention is paid to the management of personnel in small enterprises and organizations. For improvement of personnel management process it is important to focus on organizational and administrative methods of management.

The organizational and administrative management methods (OAM) have a special place in contrast to other management influences. They are distinguished by the direct character to influence the personnel, which implies unconditional fulfillment of the instructions, orders and obligations imposed on the personnel envisaged by the law. OAM defines the possibility of using economic and social-psychological methods. In addition, if other control methods are

used and some delay is seen in the process, in this case the results of the administrative impact are most often revealed. All this is not so often the overdose in small business enterprises and consequently has a negative effect. The organizational-administrative impacts have an effective use margin. In many cases, direct intervention leads to strengthening the passivity of the personnel, and sometimes even for hidden disobedience. Using these methods in small business, we must take into consideration economic interests, social needs and psychological peculiarities of personnel.

ოლეა ფაჩულია

**ხელმძღვანელობის სტილის გავლენა კონფლიქტების მართვაზე
ორბანიზაციული ცვლილებების პირობებში**

ანოტაცია. ცვლილებები ორგანიზაციაში განაპირობებს კონფლიქტურ პროცესებს, რომლებიც ხასიათდება ადამიანებს შორის გულწრფელობისა და ნდობის ნაკლებობით, ცუდი კომუნიკაციით, ქცევით მოლოდინებით გამოწვეული უთანხმოებით. ასეთ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მენეჯერთა მომუშავეებისადმი დამოკიდებულება, რასაც ეხება წინამდებარე ნაშრომი.

საკვანძო სიტყვები. ხელმძღვანელობის სტილი, კონფლიქტების მართვა, ცვლილებები ორგანიზაციაში, კომუნიკაცია.

ორგანიზაციაში კონფლიქტის წყარო შეიძლება იყოს ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა, რაზეც გავლენას ახდენს აღქმა, ინდივიდუალობა და საჭიროებები. ადამიანები ცვლილებას ხშირად აღიქვამენ, როგორც საფრთხეს და ფიქრობენ, რომ შეიძლება ვერ აითვისონ ახალი უნარ-ჩვევები და დაკარგონ სამსახური. უცნობი სიტუაცია იწვევს სხვადასხვა რეაქციას, მათ შორის – პანიკასა და ძლიერ დაძაბულობას. ადამიანთა უმრავლესობის პირველი რეაქცია ცვლილებებზე არის გაუგებრობა და სიახლის მიუღებლობა, რასაც ზოგჯერ მოსდევს იდეისადმი თანდათანობითი ადაპტაციის სტადია, ზოგჯერ კი შესაძლებელია სრული მიუღებლობა, ძლიერი წინააღმდეგობა და პროცესების რღვევა კი. თვითგადარჩენისა და წარსული სიტუაციის შენარჩუნების მიზნით შესაძლოა ნეგატიური ფსიქოლოგიური რეაქციების გამოვლენაც, რაც ვითარდება სტრესებისა და კონფლიქტების ფონზე. კონფლიქტური ქცევები მკვეთრად ამჟღავნებს პროცესის მიმდინარეობის ემოციურ ფონს, ხოლო ემოციები, თავის მხრივ, სტიმულირებას უწევს კონფლიქტურ ქცევებს. შიდაპიროვნული კონფლიქტი, მაგალითად, ქმნის ფსიქოლოგიური დისკომფორტის მდგომარეობას, რომელიც იწვევს სხვადასხვა ნეგატიურ შედეგს და, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს კომუნიკაციის სისტემის რღვევა, შეამციროს მთელი ჯგუფის მუშაობის ეფექტიანობა. ანალოგიურად, კონფლიქტის დესტრუქციული ფუნქცია ვლინდება ჯგუფთაშორის ურთიერთობებშიც და მისი გავლენა შეიძლება გამოვლინდეს ყოველ ეტაპზე.

კონფლიქტი შეიძლება იყოს დესტრუქციული ერთი თვალსაზრისით და კონსტრუქციული სხვა თვალთახედვით, თამაშობდეს ნეგატიურ როლს განვითარების ერთ ეტაპზე, გარკვეულ კონკრეტულ გარემოებებში და პოზიტიურს – სხვა ეტაპზე, სხვა კონკრეტულ სიტუაციაში.

კონფლიქტის კონსტრუქციული გავლენა ვლინდება მრავალ სიტუაციაში. ასე მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ შიდაპიროვნულ კონფლიქტს აქვს უნარი, არა მხოლოდ უარყოფითი გავლენა მოახდინოს პიროვნებაზე, არამედ აგრეთვე ხშირად სწორედ ის არის პიროვნების განვითარების, მისი სრულყოფის მძლავრი წყაროც (მაგალითად, საკუთარი თავისადმი დაუკმაყოფილებლობის გრძნობით გამოხატული კონფლიქტი). ჯგუფურ და ჯგუფთაშორის ურთიერთობებში კონფლიქტი შეიძლება ხელს უშლიდეს სტაგნაციას და იყოს სიახლეების დანერგვის, განვითარების წყარო (ახალი მიზნების, ნორმების, ფასეულობებისა და ა.შ. გაჩენა).

კონფლიქტის მონაწილეთა ხასიათის ნიშნების გარდა, კონფლიქტი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ გარემოზე, რომელშიც ის წარმოიშობა და ვითარდება. თუმცა ეს განმსაზღვრელი გავლენა არასდროს ხორციელდება უშუალოდ. შუალედურ რგოლს წარმოადგენს კონფლიქტური სიტუაციის იდეალური სურათები და წარმოსახვები, რომლებიც გააჩნიათ კონფლიქტის მხარეებს საკუთარ თავზე, მოტივებზე, მიზნებზე, ფასეულობებზე, შესაძლებლობებსა და სხვ. სწორედ კონფლიქტური სიტუაციის აღნიშნული წარმოსახვები და არა თავად რეალობა არის ის, რაც განსაზღვრავს მონაწილეთა კონფლიქტურ ქცევას.

კონფლიქტის მონაწილეთა გონებაში შექმნილი კონფლიქტის წარმოსახვითი სურათი განაპირობებს მათ ქმედებებს. დაპირისპირებულ ადამიანთა ქმედებები ზემოქმედებს თვით ამ ადამიანებზე და ნებისმიერ კონფლიქტში ისინი იძენენ ურთიერთქმედების ხასიათს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გარდა თავისი უშუალო ფუნქციისა, მაგალითად, საკუთარი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა, მოწინააღმდეგის მიზნების ჩაფუჭვა და სხვა ქმედებები, მოიცავს აგრეთვე მხარეებს შორის ურთიერთობებსაც და ამ თვალსაზრისით იძენენ მნიშვნელოვან ინფორმაციულ ფუნქციას.

კონფლიქტის მონაწილეთა გარკვეულწილად წარმოდგენილი აქვთ სავარაუდო შედეგების წარმოსახვითი სურათები და მათზე დაყრდნობით ირჩევენ მოქმედების მიმართულებებს. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ კონფლიქტური ქმედებების რეალური შედეგები

კონფლიქტური ურთიერთობების პროცესის შემაღენელი ელემენტია. როგორც წესი, კონფლიქტში ქმედებები ხორციელდება ნაწილ-ნაწილ და ამიტომაც ირევა შედეგებში. ამ შედეგების გააზრება და კონფლიქტის მონაწილეების მიერ კონფლიქტური სიტუაციის საკუთარი წარმოდგენის კორექცია კონფლიქტური ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი მომენტი.

ორგანიზაციაში ცვლილებების გატარების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ხელმძღვანელობის სტილზე, რომელიც ასახავს მენეჯერისა და დაქვემდებარებულების დამოკიდებულებას. ხელმძღვანელობის თითოეულ სტილს აქვს გარეგანი გამოვლენის დამახასიათებელი ფორმები. ავტორიტარული ხელმძღვანელისათვის დამახასიათებელია სახის მკაცრი გამომეტყველება, მკვეთრად უკმეხი (ცივი) და მბრძანებლური ტონი, ჯგუფისაგან თავისი თავის გამოცალკეება. დემოკრატიული ხელმძღვანელისათვის კი უფრო მეტად დამახასიათებელია თანაზიარობა, გარეგანი კეთილსასურველობა, განკარგულების მიცემა თხოვნის ან რეკომენდაციის სახით, საუბრისას სიტყვა „ჩვენის“ სიტყვარზე „მე“-სთან შედარებით. ნეიტრალური სტილისთვის დამახასიათებელია ხელმძღვანელის მშვიდი სახე, რომელიც ცდილობს, გარეგნულად იყოს შეუმჩნეველი და რომელსაც თანამშრომლებთან მიმართებისას პირფერული ტონი აქვს [1, გვ. 286].

ხელმძღვანელობის ყოველ სტილს თავისი მოთხოვნები გააჩნია იმ საშუალებების მიმართ, რომლითაც სარგებლობს ლიდერი. მაგალითად, თუკი ხელმძღვანელი არის „მკაცრი“ ტიპი და შემოქმედებითი ნიჭის მქონე თანამშრომლებს აშკარად აგრძნობინებს, რომ ისინი მისთვის არაფერს ნიშნავენ, უყურებს მათ, როგორც მხოლოდ „საგნებს“ ან „ხარჯებს“, ეს ნიშნავს რომ ხელმძღვანელი ასდენს თანამშრომელთა დემოტივაციას. მისი არანაირი დაპირება თუ მსურველე მოწოდება არ იქნება ეფექტური და ვერანაირ შედეგებს ვერ გამოიღებს.

ხელმძღვანელობის ავტორიტარული სტილი ხასიათდება, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილებათა ერთპიროვნული მიღებით, ხელმძღვანელობასა და ქვეშევრდომებს შორის ურთიერთობების ოფიციალური, ნდობის უკმარისობით, თანამშრომელთა აზრისადმი გულგრილი დამოკიდებულებით, რასაც ემატება მაღალი კონფლიქტურობა არა მხოლოდ ცალკეულ თანამშრომელთა შორის, არამედ მთელ სამუშაო ჯგუფში. ლიდერი პირადად მიმართავს კოლექტივის წევრებს, რათა გაიგოს მათი პოზიციები და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ის, აწყვეტინებს მოსაუბრეს არგუმენტაციას, თუკი თვლის, რომ ის არასწორია ან არ ემთხვევა საკუთარს, რითაც ყოველ თანამშრომელს „მის ადგილს მიანიშნებს“. ავტორიტარი ხელმძღვანელი ერთპიროვნულად აკეთებს შეთავაზებულ ვარიანტებიდან არჩევანს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ავტორიტარულ ხელმძღვანელს შეუძლია მიაღწიოს გაცილებით უკეთეს საწარმოო შედეგებს და პერსონალის გაცილებით მაღალმწარმოებლურობას ისეთი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უარყოფითი ხასიათის ნიშნებით, როგორებიცაა: თანამშრომელთა უხეში იძულება, მართვის სტრეს-მეთოდი და ა.შ. თუმცა, ამასთან, არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ასეთ აღმასვლას, როგორც წესი, მოსდევს დეპრესიისა და ვარდნის პერიოდი. თანამშრომელი, უბრალოდ ვერ ასწრებს აღიდგინოს ფიზიკური ძალები ნორმალურ შრომისუნარიან მდგომარეობამდე. ასეთ რეჟიმში ხანგრძლივი პერიოდით მუშაობას საბოლოოდ მიყვავართ ემოციონალურ აფეთქებამდე და ჯანმრთელობის დაკარგვამდე. როგორც ზ. ფროიდი აღნიშნავს, ხშირად „პროდუქტიული მუშაობა, ნაწილობრივ გახლავთ ლიდერის მიმართ აგრესიული დამოკიდებულების გამოხატვის ფუნქცია“. ხელმძღვანელობის ასეთი ტიპის პირობებში ორგანიზაციაში, როგორც წესი, ვერ დამკვიდრდება კრეატიულობის ატმოსფერო. კრიზისული სიტუაციებისა თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როდესაც უცერად ამოვარდება ერთ-ერთი რგოლი, პრობლემის გადაწყვეტაზე იხარჯება გაუმართლებლად დიდი დრო. ასეთ გარემოებებში წარმოდგენილი ტიპი არაეფექტიანია. გარდა ამისა, არსებობს კომუნიკაციის გაწყვეტის ან არასწორი, დამახინჯებული როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად, ინფორმაციის მიწოდების საშუალებაც ტექნოლოგიური ჯაჭვის ცალკეულ რგოლზე. როგორც ვხედავთ, რეალური სურათი ასეთია: მომუშავეს, რომელსაც სურს იყოს აქტიური, სასარგებლო თავისი ორგანიზაციისთვის, ხელმძღვანელობის ავტორიტარული სტილის პირობებში, როგორც წესი, ამის საშუალება არ ეძლევა.

ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილი გაცილებით მეტ თავისუფლებას ანიჭებს შემოქმედებითი, ნოვატორული, გამომგონებლური, მკვლევარის ტიპის ადამიანებს და განსაკუთრებით დიდ ეფექტს იძლევა ისეთი პროფესიის წარმომადგენლებზე, რომელთა სამუშაო პროცესის წარმატებისთვის კრეატიულობა მეტისმეტად მნიშვნელოვანია. ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილი გულისხმობს ადამიანებთან მუდმივ კონტაქტს. ლიდერი, რომელიც მუშაობაში ხელმძღვანელობს ამ სტილით, ხასიათდება ძალაუფლების დელეგირებით, კოლეგიალობის მაღალი დონით მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას. მომუშავეთა შეფასებას იგი ასდენს ობიექტური და თანამშრომლებისთვის წინასწარ ცნობილი კრიტერიუმებით. ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილი ხელს უწყობს დამოუკიდებლობასა და არაორდინალურ აზროვნებას. ასეთ პირობებში ადამიანები თამამად იღებენ პასუხისმგებლობას თავიანთი კომპეტენტურობის ფარგლებში, თანამშრომლებს შორის აგრესიული დამოკიდებულება, კონფლიქტური სიტუაციები და სტრესები საწარმოო პროცესში მინიმუმამდე დაყვანილი და, როგორც წესი, ისინი ატარებენ ლოკალურ, ხანმოკლე ხასიათს. ამასთან, მომუშავეთა ნებისმიერი შემოქმედებითი წამოწყება, ინიციატივა, საერთო მიზნებისა და ამოცანებისკენ მიზანსწრაფვა

მისასაღმებელია ხელმძღვანელობის მხრიდან. ორგანიზაციის ყოველი წევრი თავისუფლად გამოთქვამს თავის აზრს, არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ პოზიციასა და კონცეფციას. ხელმძღვანელი, რომელიც იყენებს დემოკრატიულ სტილს, თანამშრომელთა მხრიდან აღქმული უნდა იქნეს როგორც მზრუნველი, გონიერი მეგობარი და არა ადამიანი, რომელსაც არა აქვს მტრეცე ხასიათი. ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილის პირობებში ორგანიზაციაში ყალიბდება თანამოაზრეთა გუნდი, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციისას პასუხისმგებლობა ნაწილდება ამა თუ იმ თანამშრომლის კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მიხედვით.

ლიბერალური სტილის პირობებში ორგანიზაციაში ადგილი აქვს ძმაცურ დამოკიდებულებას, დაქვემდებარებულთა მუშაობის თვითღინებაზე მიშვებას, მიზანწრაფვის არარსებობას, მნიშვნელოვანი საწარმოო გადაწყვეტილებების მიღებისას ხელმძღვანელის მიერ საკუთარი თავის რწმენის ნაკლებობას, კონფლიქტების წარმოქმნის დიდ ალბათობას მათი კონსტრუქციული გადაწყვეტის გარეშე. როგორც წესი, ასეთ ორგანიზაციებში ხელმძღვანელი არ ერევა ექსპერტების ჯგუფურ მსჯელობებში. ყოველი ექსპერტის აზრი მოისმინება ბოლომდე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად შედეგიანი იქნება ამა თუ იმ აზრის მიღებისას საბოლოო გადაწყვეტილება. ლიდერი არ გამოთქვამს თავის პოზიციას და საუკეთესო შემთხვევაში, უბრალოდ სვამს შეკითხვებს. მსჯელობები და თათბირები ატარებს ხედაობურ ხასიათს, გადადიან ნაკლებმნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი თემების მსჯელობაზე, გადაწყვეტილებები ატარებს არასისტემურ ხასიათს და ერთმანეთს ეწინააღმდეგება. რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელს თანამშრომლები აღიქვამენ როგორც პროგრესულ პიროვნებას, რომელსაც შეუძლია ყველა მოსაზრების მიღება და არ ზღუდავს ინიციატივას. სხვა შემთხვევებში, როგორც გულგრილ, განდევნილ სუბიექტს. ამ მოვლენის ფსიქოლოგიური მიზეზია ხელმძღვანელებში აზროვნების სტერეოტიპულობა და ინერციულობა, ამა თუ იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისა და შეცდომის დაშვების შიში. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ლიბერალი ხელმძღვანელი უბრალოდ ვერ გრძნობს ირგვლივ მიმდინარე ისეთ ცვლილებებს, რომლებსაც დიდი გავლენა აქვს ფირმის საქმიანობაზე. ლიბერალურ ხელმძღვანელთა უმრავლესობას საერთოდ არ სურს არანაირი ცვლილებები, რადგანაც ესმით, რომ ცვლილებებს სჭირდება დიდი ძალისხმევა როგორც ხელმძღვანელობის, ასევე პერსონალის მხრიდანაც. ასეთ ხელმძღვანელს ემუქრება ის, რომ ახლო მომავალში თავისი სტერეოტიპული მიდგომის წყალობით კვლავ წარმოქმნილი პრობლემების მიმართ ის მოწყდება რეალობას, რაც აუცილებლად აისახება მის კარიერაზე. ადრე თუ გვიან, ორგანიზაცია შეეცდება თავიდან მოიშოროს ასეთი ხელმძღვანელი.

ცვლილებების ეფექტიანი მართვის მიზნით საჭიროა კომუნიკაცია დაქირავებულებთან, ახსნა-განმარტება იმისა, თუ რაოდენ აუცილებელია ორგანიზაციისათვის ცვლილების გატარება. კომუნიკაციას შეუძლია წინააღმდეგობის ორი გზით შემცირება. პირველ რიგში, თუ დაქირავებული სრულ ფაქტებს მიიღებს და ყველანაირი გაუგებრობა აშკარა ხდება, წინააღმდეგობა შემცირდება. მეორე მხრივ, კომუნიკაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ცვლილების საჭიროების წინ წამოწევას, მომუშავეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას. რაც მეტი ადამიანი (ვისზეც ცვლილება ახდენს გავლენას) იქნება ჩართული ცვლილებების გარშემო არსებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მით მეტად იქნებიან ისინი ამ გადაწყვეტილების მიღების მსურველნი. იძულება, რომელიც გულისხმობს წინააღმდეგობის დასაძლევად პირდაპირი მუქარის ან ძალის გამოყენებას, ყველაზე ნაკლებსაზრველი საშუალებაა (მაგ., დაწინაურების შესაძლებლობის დაკარგვის, სამუშაოს შესრულებაზე უარყოფითი შეფასებისა და ცუდი სარეკომენდაციო წერილის მიცემის მუქარა). იძულებამ შეიძლება გააძლიეროს ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა, ამიტომ იგი უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენება.

დასკვნა

ორგანიზაციაში ცვლილებების გატარების პირობებში კონფლიქტი, რომელიც არის წინააღმდეგობის გამოხატვის ყველაზე მკაფიო გამოვლინება და თავად შინაგანად წინააღმდეგობრივია, ასრულებს როგორც დესტრუქციულ, ასევე კონსტრუქციულ ფუნქციას. მისი, როგორც რთული და გარდაუვალი პროცესის, ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია ხელმძღვანელობის სტილის გონივრული შერჩევა, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე, კოლექტივის ფორმირების დონეზე, მის წინაშე მდგარ ამოცანებზე, ხელმძღვანელის ხასიათის ნიშნებზე, მის ფსიქოლოგიურ, კომუნიკაციურ და კვალიფიციურ კომპეტენტურობაზე. საჭიროა დაქირავებულების ჩართვა მმართველობით საქმიანობაში, რათა მიღებულ იქნეს თვითკმაყოფილების ეფექტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. პაიჭაძე და ავტორთა კოლექტივი. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბ., 2009, გვ. 286.
2. შენგელია თ., საერთაშორისო მენეჯმენტი. თბ., 2012.
3. Дафт Р. Менеджмент. Питер. 2010.

**THE INFLUENCE OF LEADERSHIP STYLE ON CONFLICT MANAGEMENT
IN THE CONDITIONS OF ORGANIZATIONAL CHANGES**

Summary

The conflict source can be contradictions towards changes. People often contradict changes because they perceive it as a threat. Perception, individuality and sutures effect on changes contradiction. Unknown situations causes different reaction of people, included panic and strong stress. First reaction on changes of most people is misunderstanding and non accepting the novelty, which is followed step by step adaptations stage of idea, sometimes even full non eccptance, strong contradictions and even decomposition of the process. The conflict can be destructive for the first glance and constractive in the other point of view, it can play negative role in the stage of development in some circumstances and pozitive role in another stage and another situation.

In order to handle conflicts effectively in the conditions of organizational changes, the following are essential to do: communication with employee, explanations, that organization changes, employee role in diction making is important. The more people are in the diction making process the more people want to make disitions of changes. Lidership style selection is also important in concrete situation by taking into consideration the formation level of the collective and the tasks facing them.

*ღალი ჩაგელი შეილი-აგლაძე
კობა ჩაგელი შეილი*

კრიზისების მართვის მარკეტინგული ასპექტები თანამედროვე კომპანიებში

ანოტაცია. ბოლო ათწლეულში სულ უფრო ძლიერდება ცოდნაზე დაფუძნებული კრიზისების მართვის საჭიროება თანამედროვე კომპანიებში. კომპანიათა ცხოვრებაში ინოვაციური ეკონომიკის ფართოდ შემოჭრამ, გააძლიერა კონკურენციის მასშტაბები და ნელ-ნელა მცირდება იმ კომპანიათა სასიცოცხლო ციკლი, რომლებიც ფეხს ვერ უწეობენ სიახლეებს, ან არასწორად ახორციელებენ ცვლილებათა მართვას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კრიზისების და ცვლილებების ბუნების ანალიზი, მათგან გამომდინარე კრიზისების მართვის ძირითადი გზებისა და საშუალებების გამოვლენა.

ნაშრომში მნიშვნელოვანი აქცენტი ეთდება კრიზისების მართვის მარკეტინგულ ასპექტზე. ავტორების მიერ შემოთავაზებულია კრიზისების მართვის მარკეტინგული კონცეფცია.

სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, ნაშრომის ბილოს დასაბუთებულია შემოთავაზებული კონცეფციის ეფექტიანობა.

საკვანძო სიტყვები: კრიზისის მართვა, ორგანიზაციული ცვლილებები, მარკეტინგის ფსიქოლოგია, ეფექტიანობა.

შესავალი

თანამედროვე კომპანიები ფუნქციონირებენ მაღალი დონის განუსაზღვრელობის პირობებში, რაც ცვლილებების უწყვეტად განხორციელებას საჭიროებს. ცვლილებების განხორციელების, მუდმივად ცვალებად გარემოსადმი ადაპტირების უნარი დღევანდელი კომპანიებისათვის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. მენეჯმენტის კლასიკური თეორიის თანახმად, ორგანიზაციული ცვლილებების მიზანს, კომპნიის ახალ მდგომარეობაში გადაყვანა წარმოადგენს, რომელიც უფრო მეტდ შეესაბამება მისიას და უზრუნველყოფს მისი ფუნქციონირების ეფექტიანობას.

ორგანიზაციული ცვლილებები შესაძლოა განხორციელდეს როგორც კრიზისის პერიოდში, ასევე კომპანიის წარმატებული განვითარების პერიოდშიც, რომელთა მიმართ განსახორციელებელი სტრატეგიული გადაწყვეტილებები რაღა თქმა უნდა აბსოლუტურად განსხვავებული იქნებიან.

კრიზისის პირობებში კომპანიის ყველა წევრისათვის უმთავრესი, გადარჩენის გზებისა და საშუალებების ძიება ხდება. ამ დროს შესაძლოა წარმოიშვას აზრთა სხვადასხვაობა კომპანიის ხელმძღვანელებსა და მის წევრებს შორის. იმდენად, რამდენადაც კრიზისის პერიოდში შედეგი რაც შეიძლება მაღე უნდა დადგეს, ხელმძღვანელობის მიზანს, კონიუნქტურული ქმედებები წარმოადგენს. კომპანიის წევრების მიზანი კი შიდა ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლებაა, რომელიც ხშირად უფრო გრძელვადიანი და ძვირად ღირებულია.

როგორ უნდა მოიქცეს კომპანიის ხელმძღვანელობა, რომ ინოვაციების სწრაფად ცვალებად და გლობალური კონკურენციის პირობებში გამოიჩინოს მოქნილობა და სწრაფად დაძლიოს კრიზისის პერიოდი?

ეს ის კითხვაა, რომელზეც პასუხის გაცემას შევეცდებით არსებული რეალობისა და კომპანიებში ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე.

კორპორაციათა საქმიანობის ისტორიაში ცვლილებათა მართვის მრავალი მაგალითი არსებობს. 70-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, მრავალმა კომპანიამ განახორციელა ცვლილებები, რომლებიც, როგორც გარე ისე შიდა ფაქტორების ზეგავლენით იყო გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიათა უმრავლესობას შეეძლო ცვლილებებზე რეაგირება, რეაგირების შემდგომი შედეგი მათში ერთნაირი არ ყოფილა. ისეთმა კომპანიებმა, როგორებიც არიან: Apple, Ford, McDonalds და CE კორპორატიული ცვლილებების დანერგვით დადებით შედეგებს მიაღწიეს და ადვილად გაუმკლავდნენ ფინანსურ თუ ორგანიზაციულ-სტრუქტურულ კრიზისს, ხოლო კომპანიებმა, რომლებმაც ფეხი ვერ აუწყეს ახალ კონკურენტულ გარემოს, დამარცხდნენ კონკურენტულ ბრძოლაში (Kodak).

კრიზისებისა და ცვლილებათა მართვის პრობლემების მედია პროექტის ავტორი პაულ ბრაუნი (ინგლისი) [<https://cyberleninka.ru/>] აღნიშნავს, რომ კომპანიის რენტაბელობა და სიცოცხლისუნარიანობაც კი ბევრად და მოკიდებული არა მხოლოდ იმაზე აქვს თუ რა მას შეცვლის უნარი, არამედ ცვლილებათა მართვის უნარზე. Forbs-ის მიერ 2014 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით 93% კომპანიებისა გადიან ცვლილების პროცესს. McKinsey (2013) კი აღნიშნავს, რომ 70%-მდე ცვლილებები განიცდიან წარუმატებლობას [<https://www.thomasinternational.net/>].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია იბადება კითხვა, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ცვლილებათა მართვის წარმატებისა და კრიზისის დასაძლევად?

პირველი, რაც უნდა იცოდეს და ხელთ ქონდეს ნებისმიერი კომპანიის ხელმძღვანელს, ესაა კრიზისის დაძლევის რამოდენიმე სცენარი(კრიზისის ბუნებიდან გამომდინარე). კრიზისის დადგომა მყისველად ხდება და, თუ კომპანიას ანტიკრიზისული გეგმა არ გააჩნია, პრევენციული ზომების მიღება შეუძლებელი იქნება.

კრიზისების სწრაფად პრევენციისათვის კარგად შემუშავებული ანტიკრიზისული სცენარის პირობებში, კომპანიის ხელმძღვანელბამ იცის მოსალოდნელი კრიზისის შესახებ და ზედმეტი დროის დახარჯვა ანტიკრიზისული ქმედებების შემუშავებაზე არ ხდება. კრიზისის ხლომილების შემთხვევაში უნდა მოხდეს კრიზისული სიტუაციისა და კრიზისის ბუნების განსაზღვრა; კრიზისის მიზეზების და ცვლილებების საჭიროების არგუმენტირება.

ანტიკრიზისული პროგრამის ღერძს უნდა წარმოადგენდეს მომხმარებელი, რომლის ინდივიდუალურ მოთხოვნაზე იქნება ორიენტირებული კომპანიის ძირითადი მესიჯები. კრიზისის დროს კომპანიის უპირველესი ამოცანაა მომხმარებლის შენარჩუნება, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს კომპანიის რეპუტაციის და იმიჯის მდგრადობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე პირობებში, როდესაც კორპორატიულ კულტურაში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება და ინერგება ინტერნეტ ტექნოლოგიები, რომელთა საფუძველზეც მარტივად და სწრაფად ხდება კომუნიკაცია B2B და B2C სექტორებთან. ამ დროს კონკურენტის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნას ყველა „ჯანსაღი“ და „არაჯანსაღი“ საშუალებები იმისათვის, რომ ძლიერი მოთამაშე ბაზრიდან იქნას ჩამოცილებული. ამ დროს არის საჭირო წინასწარ შემუშავებული მარკეტინგული გეგმა, რომელიც ანტიკრიზისული გეგმის განუყოფელი შემადგენელია და რომლის საშუალებითაც უნდა განხორციელდეს მყისველი კომუნიკაცია მასმედიის და სოციალური ქსელების აქტიურად გამოყენებით.

თანამედროვე კომპანიები ამ მიმართულებით ფართოდ იყენებენ მარკეტინგული ფსიქოლოგიის ელემენტებს, რომლებიც მომხმარებლის ფასეულობებზეა მიმართული და კრიზისების მართვის ჯგუფისაგან კრეატიულობასა და შემოქმედებითობას მოითხოვს. ამევე დროს მნიშვნელოვანია მუდმივი კონტაქტი ელექტორატთან და მომხმარებლისათვის კომპანიის ანტიკრიზისული ნაბიჯების სრულად გაცნობა, რათა სწორად მოხდეს მოვლენათა აღქმა და რეაქციაც დადებითი შედეგით ხასიათდებოდეს.

ანალიზი

კონკურენციის პირობებში კომპანიის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მომხმარებლის მიერ კომპანიისაგან მიწოდებული ფასეულობების აღქმაზე. მომხმარებლისათვის კომპანიის მხრიდან ძირითადი მესიჯი პროდუქტის სარგებლიანობის სწორად ჩვენებაა, რომლისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნას სტიმულის სიდიდე, ფერი, განთავსების ადგილი, სიახლე. მარკეტინგული საშუალებების კომპლექსურად გამოყენება თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელი გახდა ელექტრონული მარკეტინგის ქსელის გაფართოებით, რაც უზრუნველყოფს ასევე მარკეტინგულ კომუნიკაციებზე გაწეულ დანახარჯები ეფექტიანად გამოყენებასა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართულ სინამდვილეში ჯერჯერობით ისევე დაბალია მარკეტინგული კომუნიკაციის შემოქმედებითი გამოყენება, რაც უშუალოდ მოქმედებს მათი მდგრადობის უზრუნველყოფაზე.

აღნიშნულის დასადასტურებლად ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა, ქართული კომპანიების მიერ კრიზისების დაძლევისა და ცვლილებებთან მზაობის თაობაზე. ამ მიზნით შესწავლილ იქნა მარკეტინგული კომუნიკაციის პროგრამის განხორციელება ქართულ კომპანიებში.

კომუნიკაციის პროცესის მთავარ ელემენტებს წარმოადგენენ შეტყობინების გამგზავნი და მიმღები. ძირითად კომუნიკაციურ ინსტრუმენტებდ გვევლინება შეტყობინება და მედია ანუ

ინფორმაციის გადაცემის საშუალება. ძირითადი კომუნიკაციური ფუნქციებია: კოდირება, დეკოდირება, საპასუხო რეაქცია და უკუკავშირი. ამ მოდელის ასევე მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენენ ხარვეზები - შემთხვევითი ან მიზანმიმართული კონკურირებადი შეტყობინება, დაბრკოლებები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საწყის შეტყობინებაზე. კომუნიკაციის პროცესში კომპანიისათვის მნიშვნელოვანს წარმოადგენს საპასუხო რეაქცია, რომელიც მიმღების რეაქციაა კომპანიის მეორე სწორად ან არასწორად შეთავაზებულ ინფორმაციაზე. უკუკავშირი საპასუხო რეაქციის ნაწილია, რომელსაც მიმღები ატყობინებს კომპანიას (გამგზავნს) მოსწონს თუ არა მომხმარებელს რეკლამის საშუალებით მიწოდებული ინფორმაცია. თუ მომხმარებელს მოსწონს რეკლამა, იმახსოვრებს მას, თუ არ მოსწონს შესაბამისი რეაქციით (სატელეფონო ზარები, კრიტიკა და სხვ) გამოხატავს მას. დაბრკოლებები ინფორმაციის დაუგეგმავი დამახინჯებაა ინფორმაციის გადაცემის პროცესში.

ეფექტური კომუნიკაციის პროგრამის შემუშავების პროცესი რვა ეტაპს მოიცავს: 1. მიზნობრივი აუდიტორიის შერჩევა; 2. კომუნიკაციის მიზნების განსაზღვრა; 3. შეტყობინების შემუშავება; 4. კომუნიკაციის არხების არჩევა; 5. ბიუჯეტის მოცულობის განსაზღვრა; 6. მარკეტინგული კომუნიკაციის კომპლექსის შედგენა; 7. კომუნიკაციის შედეგების შეფასება; 8. ინტეგრირებული კომუნიკაციის პროცესის მართვა.

მიზნობრივი აუდიტორიის ანალიზის ძირითადი საკითხია კომპანიის, მისი პროდუქციისა და კონკურენტების შესახებ აუდიტორიის სტრუქტურული შეხედულებების შეფასება.

პირველ ეტაპზე ფასდება საგნის შესახებ კონტაქტური აუდიტორიის ცოდნა, რომელიც ტარდება გათვითცნობიერების სკალის გამოყენებით:


I კატეგორია	II კატეგორია	III კატეგორია	IV კატეგორია	V კატეგორია
არასოდეს არ მსმენია	გაგონილი მაქვს ერთხელ	მცირედ ვიცნობ	მეტ-ნაკლებად ვიცნობ	ვიცნობ ძალიან კარგად

პირველ ან მეორე კატეგორიაში მოხვედრილი მომხმარებლის შემთხვევაში კომპანიამ უნდა იზრუნოს თავისი აუდიტორიის უფრო მეტი გათვითცნობიერებისათვის. ისინი, ვინც კარგად იცნობენ პროდუქციას, გამოკითხულ იქნებიან მის მიმართ დამოკიდებულების გასარკვევად. ამ შემთხვევაში კი შეგვიძლია გამოვიყენოთ დამოკიდებულების შემდეგი სკალა.

I კატეგორია	II კატეგორია	III კატეგორია	IV კატეგორია	V კატეგორია
მკვეთრად უარყოფითი	უარყოფითი	გულგრილი	დადებითი	ძალიან კარგი

თუ გამოკითხულთა უმრავლესობა პირველი ან მეორე კატეგორია, მაშინ კომპანიას საქმე აქვს უარყოფით სტრუქტურებთან და უნდა იმოქმედოს მის დაძლევაზე. პრობლემების ეფექტურად დაძლევა შესაძლებელი წარმოდგენილი ორივე სკალის ერთად გამოყენება.

კომუნიკაციის მიზნების განსაზღვრა. ამ შემთხვევაში კომპანიამ ზუსტად უნდა იცოდეს თუ აუდიტორიის რა რეაქციაზე უნდა იმუშაოს (ყიდვა; მოთხოვნის დაკმაყოფილება, კეთილგანწყობა). ამ შემთხვევაში გამოიყენება მომხმარებლის საპასუხო რეაქციის მოდელები:



ეს მოდელი უზრუნველყოფს მომხმარებლის არჩევას საქონლის მრავალფეროვანი მოდელის შეთავაზების შემთხვევაში.



მეორე მოდელი გამოიყენება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ვერ შეიგრძნობს განსხვავებას საქონლის კატეგორიებს შორის.

მესამე მოდელის შემთხვევაში კომპანიისათვის მნიშვნელოვანს წარმოადგენს შეგრძნებებზე ზემოქმედება, რადგანაც აუდიტორია ნაკლებადაა დაინტერესებული საქონლით.

კომუნიკაციის პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის, კომუნიკაციის პროგრამაში მარკეტოლოგისათვის აუცილებელია გასათვალისწინებელი ისეთი ქმედებები, როგორებიცაა: გაათვითცნობიერება, ცოდნა, სიმპათია, უპირატესობები, ლოიალობა, შესყიდვა. მომხმარებლისათვის, რომელსაც არაა აქვს ინფორმაცია საქონელზე უნდა შეირჩეს მიმართვის წყარო, ტიპი და შინაარსი. იმისათვის, რომ მომხმარებელს ქონდეს სრული ცოდნა საქონლის შესახებ, სარეკლამო მიმართვაში საჭიროა საქონლის ხარისხსა და მის უპირატესობებზე ინფორმაციის არსებობა. მომხმარებლის საქონლისადმი დამოკიდებულების ანალიზი გვეხმარება დავადგინოთ მომხმარებლის განწყობა. კომპანიისათვის არასასურველი შედეგის არსებობის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს არაკეთილგანწყობის მიზეზი, რის შემდეგაც უნდა დაიგეგმოს ხანგრძლივ კეთილგანწყობაზე მიმართული კამპანია. კომუნიკაციის პროგრამაში არანაკლებ მნიშვნელოვანი და აუცილებელია საქონლის პროპაგანდა.

მომხმარებელთა გარკვეულ ჯგუფს შესაძლოა მოსწონდეს პროდუქტი, მაგრამ იგი არ წარმოადგენდეს მის რჩეულ პროდუქტს. ამ შემთხვევაში საჭიროა საქონლის პროპაგანდაზე მიმართული სარეკლამო კამპანია.

ხშირია შემთხვევა, როდესაც საქონელი მომხმარებელთა შორის სარეგებლობს უპირატესობით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის მას შეიძენს. იმისათვის, რომ პოტენციური მყიდველი მოცემული საქონლის მომხმარებელი გახდეს, საჭიროა მარკეტოლოგმა შეიმუშაოს აუდიტორიის დარწმუნებაზე მიმართული სარეკლამო კამპანია.

შედავათების, ფასდაკლებების და პრემიების კამპანია კი უზრუნველყოფს საქონლის გაყიდვებს მაშინ, როცა მყიდველი ორჭოფობს იყიდოს თუ არა შემოთავაზებული საქონელი ან არ გააჩნია სათანადო სახსრები მის შესაძენად.

შეტყობინების შემუშავების პროცესი გულისხმობს პასუხის გაცემას შემდეგ კითხვებზე: რა ვთქვათ, როგორ ვთქვათ და ვინ უნდა თქვას? შეტყობინების შემუშავებისას გამოიყენება AIDA-ს სქემა, რომელიც მოიცავს მიმართვის სტრუქტურის განსაზღვრას, მიმართვის შინაარსის შემუშავებას, მიმართვის წყაროს შერჩევას და კომუნიკაციის არხების შერჩევას.

ქართულ სინამდვილეში კომპანიები ქაოტურად ახორციელებენ საკუთარი საქონლის გაყიდვებს. ისინი უფრო ხშირად გამოიყენებენ მათ მიერ უკვე გამოცდილ სარეკლამო კამპანიას მომხმარებლის ანალიზის გარეშე. ყველაზე კარგ შემთხვევაში ისინი ანალიზებენ ზოგადად კომპანიის საქონლის გაყიდვებს და არა სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით.

ჩატარებული კვლევის მიხედვით 10 კომპანიიდან მხოლოდ 2 ახორციელებს სარეკლამო კამპანიას ზემოდ აღწერილი სქემის მიხედვით. მიზნობრივი აუდიტორიის ანალიზს კი მოდულების მიხედვით არცერთი არ ხორციელებს. ქვემოთ მოყვანილია კომპანიის მიერ მარკეტინგულ კომუნიკაციის შედეგები.

ცხრილი 1

ელექტრო ტექნიკის მაღაზიათა ქსელის მარკეტინგული გეგმის რეალიზაციის შედეგები

მარკეტინგული კომუნიკაციის გეგმა	ბრუნვა ოქტ - იანვ (დოლ)	ბრუნვა თებ- მარტი(დოლ)
კრიზისამდე	4 551 892	4 086 080
კრიზისის შემდეგ	4 153 600	4 604 256

ტვიტობრუნვის ზრდის ინდექსი
 $I_1 = (4\ 086\ 080 - 4\ 551\ 892) / 4\ 086\ 080 * 100\% = 11,4\%$
 $I_2 = (4\ 604\ 256 - 3\ 153\ 600) / 3\ 153\ 600 * 100\% = 46\%$
 დბ = 1 412 224 დოლ
 შემოსავალი 353 056 დოლ.

დანახარჯები კომპანიისათვის გატარებულ ღონისძიებებზე წარმოადგენ 134 700 დოლარს ეკონომიკური ეფექტიანობა მარკეტინგული კომუნიკაციის შემდეგ 218356 დოლარს.

დასკვნა

აღნიშნული მიდგომით მიიღწევა კომპანიის მოკლევადიანი მოგება, რაც მას კრიზისის დაძლევის შესაძლებლობას მისცემს, რის შემდეგაც მან უნდა გადახედოს შემდგომ ნაბიჯებს და ცვლილებები შეიტანოს კრიზისის გამომწვევ მიზეზებში, ანუ მოაწესრიგოს ორგანიზაციულ-

სტრუქტურული ან ფინანსური პრობლემები, რისთვისაც უნდა განისაზღვროს კომპანიის პირდაპირი საფრთხეები და აქცენტირება გაკეთდეს ყველაზე მნიშვნელოვნებზე.

კრიზისის შემდეგ უნდა მოხდეს:

- ანტიკრიზისული მექანიზმების მხრიდან კრიზისის შეფასება;
- ანტიკრიზისულ საქმიანობაში მონაწილეეთა წახალისება;
- კრიზისის იდენტიფიკაციის პარამეტრების გადახედვა და საჭიროებისამებრ კორექტირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ერიაშვილი ნ.დ. მარკეტინგის ფსიქოლოგია, 2014
2. *Файфер Боб*. Издержки вниз — продажи вверх. 78 проверенных способов увеличить вашу прибыль. М.: Манн, Иванов и Фербер, 2010.
3. *Фокс Джеффри*. Как стать суперзвездой маркетинга. Необычные правила, благодаря которым победно зазвонит ваш кассовый аппарат. — М. : Альпина Паблишер, 2006.
4. *Чалдини Роберт*. Психология влияния. Как научиться убеждать и добиваться успеха. — М. : Эксмо, 2010.
5. *Bate P.* Strategies for Cultural Change, Oxford, Butterworth-Heinemann.
6. *Buchanan, D. and Badhman, R.* Power\$ Hjlitics and Organizational Change, London, Sage.
7. *Integrated Marketign Communications* by David Pickton 2007
8. *Marketing Communications* by John Egan; 2006
9. *Hopwood, A.G.* Accounting and Organization Change, Accounting, Auditing and Accountability Journal.
10. U.S. Treasury and Federal Reserve Board Announce Participation in AIG Restructuring Plan. <http://treas.gov/press/releases/tg44.htm> . March 2, 2009
11. *Weiss*. Organizational Behavior and Change, Minneapolis, West Publishing.
12. <https://cyberleninka.ru>
13. <https://www.thomasinternational.net>
14. <http://ourlifegoeson.wordpress.com/2011/11/09/imc/>
15. <http://prguide.ge/content.php?article.68>
16. <http://www.georgianbrand.ge/index.php?q=ka/node/107>
17. <http://be5.biz/ekonomika/mble/13.htm>
18. <http://brandsystem.biz/ru/kommunikatsii/reklama-kak-marketingovaya-kommunikatsiya.html>
19. <http://www.webstarstudio.com/marketing/res/kommunik1.htm>
20. http://en.wikipedia.org/wiki/Marketing_communications
21. http://en.wikipedia.org/wiki/Integrated_marketing_communications
22. <http://www.uaf.edu/marketing/>

*Lali Chagelishvili-Agladze
Koba Chagelishvili*

MARKETING ASPECTS OF CRISIS MANAGEMENT IN MODERN COMPANIES

Summary

In the last decade, the need for management of knowledge-based crises is increasing in the modern companies. The widest invasion of innovative economics in the lives of companies has increased the scope of competition and slowly decreases the life cycle of companies that do not break the news or misrepresent the change.

The purpose of the present work is to discuss the nature of the crisis, the nature of the changes, and the need to make changes in them. Significant emphasis is placed on the marketing aspect of crisis management, and the authors offer a marketing management concept of crisis management.

On the basis of statistical analysis, the effectiveness of the proposed concept is substantiated by the end of the work.

*გიორგი ჭინჭარაული
მაია კაპანაძე*

წარმოშობის ხარჯების ეფექტიანობა

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია საქართველოში წარმოების კერძო და საზოგადოებრივი ხარჯების ეფექტიანობის დადგენის მახველებები და საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და მიწოდების ხარჯების ეფექტიანობის განსაზღვრაში შექმნილი პრობლემები. ამ საკითხების მიმართულებით ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და შემუშავებული სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა. მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი კანონმდებლობა, სადაც დაკანონდება: ოლიგოპოლიების მონოპოლიური მდგომარეობის აკრძალვა, კონკურენციის შეზღუდვის დასჯადობა და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: წარმოების ხარჯები და ეფექტიანობა, ოლიგოპოლია, ოლიგოპოლიური მონოპოლია.

შესავალი

წარმოების ხარჯების ეფექტიანობის ამაღლება საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც მთლიანობაში, ისე ეკონომიკური გლობალიზაციის დროს. წარმოების ხარჯების ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული გლობალიზაციის რეგულირების ფორმებზე, მიზანსა და ამოცანებზე. თავის მხრივ, ეკონომიკური გლობალიზაციის რაციონალური რეგულირება მოითხოვს წარმოების ხარჯებისა და მათი ეფექტიანობის სრულყოფის გზების ცოდნას. წარმოების ხარჯები საწარმოო და საფასო გადაწყვეტილებების განმსაზღვრელი ფაქტორი და დარგის ორგანიზების მნიშვნელოვანი ბერკეტია. მიუხედავად ამისა, წარმოების ხარჯებთან დაკავშირებული რიგი საკითხები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ბუნებრივია, ყველა ხარჯის სახეს, მით უმეტეს ყველა ასპექტში, აქ ვერ წარმოვადგენთ. შევხებით მხოლოდ კერძო და საზოგადოებრივ (ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ) ხარჯებს.

* * *

წარმოების ხარჯების ეფექტიანობის ამაღლება საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც მთლიანობაში, ისე ეკონომიკური გლობალიზაციის დროს. წარმოების ხარჯების ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული გლობალიზაციის რეგულირების ფორმებზე, მიზანსა და ამოცანებზე. თავის მხრივ, ეკონომიკური გლობალიზაციის რაციონალური რეგულირება მოითხოვს წარმოების ხარჯებისა და მათი ეფექტიანობის სრულყოფის გზების ცოდნას. საზოგადოებრივი წარმოება დაკავშირებულია უამრავი სახის ხარჯებთან, რომელთა ცოდნაც აუცილებელია რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა გამოყოფს შემდეგი სახის ხარჯებს: ძირითადი და ცვალებადი, დროებითი და მუდმივი, პირდაპირი და არაპირდაპირი, მატერიალური და არამატერიალური, წარმოებითი და არაწარმოებითი, სამეწარმეო და არასამეწარმეო, სრული და არასრული, ინდივიდუალური და ერთობლივი, სადამფუძნებლო და არასადამფუძნებლო, ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი, ადმინისტრაციული და არაადმინისტრაციული, ფულადი და არაფულადი და ა.შ. ასევე სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება ხარჯების დაყოფა-დაჯგუფება.

ცნობილია, რომ წარმოების ხარჯები საწარმოო და საფასო გადაწყვეტილებების განმსაზღვრელი ფაქტორი და დარგის ორგანიზების მნიშვნელოვანი ბერკეტია. მიუხედავად ამისა წარმოების ხარჯებთან დაკავშირებული რიგი საკითხები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ბუნებრივია ყველა ხარჯის სახეს, მით უმეტეს ყველა ასპექტში, აქ ვერ წარმოვადგენთ. შევხებით მხოლოდ კერძო და საზოგადოებრივ (ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ) ხარჯებს. აქვე შევნიშნავთ, რომ კერძო და ინდივიდუალური ხარჯების ცნება ერთ შემთხვევაში შეიძლება იდენტურად გამოვიყენოთ, ე.ი. ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ფიზიკური პირია, მეორე შემთხვევაში კი განსხვავებულად. მაგალითად, როცა კერძო კოლექტიურ ერთ ფორმას ინდივიდუალურ საწარმოო ხარჯებად მოვიხსენიებთ, ხოლო ინდემწარმის ხარჯებს ინდივიდუალურ ხარჯებად მივიჩნევთ.

სამეცნიერო და პედაგოგიურ ლიტერატურაში განასხვავებენ: შიდასაფირმო, საფირმო და მთლიან საფირმო ხარჯებს. აღნიშნული ხარჯებიდან გამომდინარე განასხვავებენ საბუღალტრო და ეკონომიკურ მოგებას. ამ მოგებების რესურსების ხარჯებთან თანაფარდობით ანგარიშობენ რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლებს ფირმის მასშტაბით. საზოგადოების მასშტაბით კი წარმოების ხარჯების ეფექტიანობა რომ განვსაზღვროთ, საჭიროა შევისწავლოთ ყველა ის ხარჯი, რომელიც მოიცავს როგორც პროდუქტების უშუალო წარმოებასა და მოხმარებასთან დაკავშირებულ, ისე ამ წარმოებისა და მოხმარების შედეგად გაწეულ სხვა ხარჯებს, ე.ი. ყველა იმ ხარჯს, რომელსაც ეწვეიან როგორც მწარმოებლები, ისე მომხმარებლები და მესამე პირებიც, მოცემული სახის პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების გამო. ამდენად, საზოგადოების მასშტაბით წარმოების ხარჯების ეფექტიანობის დასადგენად მოცემული სახის პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული მოგება უნდა შევუფარდოთ ამ პროდუქტების წარმოებასთან, რეალიზაციასა და მოხმარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ე.ი. ხარჯებს საზოგადოების მასშტაბით.

საქართველოში კერძო და საზოგადოებრივი ხარჯების ეფექტიანობის საკითხი მეტ-ნაკლებად დამუშავებულია თეორიულ ასპექტში, კერძოდ გარე ეფექტების თვალსაზრისით. ასევე იქ, სადაც კერძო და საზოგადოებრივი ხარჯები ერთმანეთს ემთხვევა, მათი რეგულირების საკითხები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი და საქართველოს კანონმდებლობაში ასახული. მაგალითად, ოლიგოპოლიის პირობებში თუ ოლიგოპოლიური ფირმები თანამწრომლობაზე ვერ შეთანხმდნენ და ე.წ. „ოლიგოპოლიური მონოპოლია“ არ შექმნეს, შესაძლოა ზოგიერთი ოლიგოპოლიური ფირმების ხარჯები იყოს არაეფექტიანი, ზოგიერთის კი ეფექტიანი, რაც მთლიანობაში საზოგადოებრივი ხარჯების თვალსაზრისით არაეფექტიანი იქნება ვინაიდან, თუ შეუთანხმებლობის პირობებში აწარმოებენ ბაზრის მოთხოვნილებაზე მეტს, რეალიზაცია არ

მოხდება. ფასები დაეცემა, მომხმარებელთა ხარჯები შემცირდება და ა.შ. თუ აწარმოებენ ნაკლებს, მომხმარებელთა ხარჯები გაიზრდება, ფასები აიწევს, რესურსები არასრულყოფილად გამოიყენება.

არის თუ არა ქართული ბაზარი მონოპოლიური ან ოლიგოპოლიური ან არის თუ არა მომხმარებელი კარტელური გარიგების მსხვერპლი, ეს ოფიციალურად ჯერ არავის შეუსწავლია, რადგან საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახური არ არსებობს, რომელიც ბაზარს შეისწავლიდა და კონკურენციის პირობებს შექმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ ამის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობები არ არსებობს, რადგან ქართულ ბაზარზე მოთამაშეები იმდენად თვალსაჩინოდ ეწევიან „ფარულ“ გარიგებებს, რომ მათი მხილება არ გაჭირდება. ქართულ ბაზარზე მინიმუმ 7 დარგში სრული მონოპოლია ან ოლიგოპოლიაა, რაც პირველ რიგში ხარისხსა და ფასზე აისახება. მონოპოლიური ფასებია: ნავთობპროდუქტების ბაზარზე, ფარმაცევტულ ბაზარზე, რკინიგზაზე, ელექტრომომარაგებაში, წყალმომარაგებაში, კავშირგაბმულობაში.

ნავთობკომპანიები მომხმარებელს არჩევანის საშუალებას არ უტოვებენ, ამ ქსელში ყველა კომპანია ერთნაირად მაღალ ფასებს და დაბალ ხარისხს გვთავაზობს. ზუსტად ანალოგიური სიტუაციაა ფარმაცევტულ ბაზარზე. აქ მთავარი მოთამაშეები არიან ქსელები: ავერსი, პე-ეს-პე და ჯი-პი-სი, საკუთარი სადაზღვევო კომპანიებით. მთავარი მოთამაშეები აარსებენ შვილობილ კომპანიებს, მომსახურებას კი იმავე პირობებით გვთავაზობენ. შეთანხმების საფუძველზე ახდენენ ფასების ფიქსირებას მომხმარებლის წინააღმდეგ და ზღუდავენ კონკურენციას.

როგორც ვხედავთ, საქართველოში ჯანსაღი კონკურენცია და კონკურენციის პოლიტიკა მოქმედებაში მოისუსტებს. აღნიშნულის დასაძლევად საჭიროა კონკურენციის და სხვა კანონმდებლობის სრულყოფა, მის საფუძველზე რაციონალური კონკურენციის პოლიტიკის დამუშავება და ამ პოლიტიკის რეალიზაციის შესაბამისი ინსტიტუტების შექმნა და სათანადო დამოუკიდებელი უფლებამოსილებით აღჭურვა.

საქართველოს კანონმდებლობით მონოპოლიებს და ოლიგოპოლიებს გარკვეული ზომით ეკრძალება ხელოვნურად დეფიციტური მდგომარეობის შექმნა. დემპინგური ფასების დადგენა, სხვა ეკონომიკური აგენტისათვის ხელშემშლელი პირობების შექმნა, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება, ხელშეკრულების დადების იძულება და სხვა ქმედებები, რომლებიც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას ან ეკონომიკური აგენტის და მომხმარებელთა ინტერესების შელახვას. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური აგენტები როცა არღვევენ აღნიშნულ კანონმდებლობას, სახელმწიფო უნდა ატარებდეს კონკურენციის ფორმირების, სრულყოფისა და დაცვისათვის ისეთ რიგ ღონისძიებებს, როგორცაა ფიქსირებული ფასების, რენტაბელობის ზღვრული ნორმის დაწესება; მონოპოლიების დაყოფის (დაწერილერთულების) შესახებ და ა.შ.

ცნობილია, რომ ოლიგოპოლიებში წინ დგას დომინანტური სტრატეგია – საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა, რაც სხვა სფეროებზეც მოქმედებს. აღნიშნულის დასაძლევად საჭიროა სახელმწიფოებრივი რეგულირება, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ოლიგოპოლიის წევრთა თანამშრომლობის შესაძლო საზოგადოებისათვის არასასურველი შედეგი. ასეთ შემთხვევაში ოლიგოპოლიის შიგნით კონკურენციის ფორმირება უნდა იყოს დაცული. მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი კანონმდებლობა, სადაც დაკანონდება: ოლიგოპოლიების მონოპოლიური მდგომარეობის აკრძალვა, კონკურენციის შეზღუდვის დასჯადობა და ა.შ., მაგრამ კანონმდებლობამ შეიძლება არ აკრძალოს ისეთი საქმიანობა, რომლის ეფექტიც ცხადი არ არის. კერძოდ, ასეთ კონკრეტულ საქმიანობას მიეკუთვნება რამდენიმე პროდუქციის კომპლექსური გაყიდვა, ე.წ. „შეკვრა“, საცალო ფასების შენარჩუნება და ა.შ.

კერძო და საზოგადოებრივი ხარჯების ეფექტიანობის დადგენა საზოგადოებრივი პროდუქტის მიწოდების დროსაც დანახარჯ-სარგებლიანობის თანაფარდობის ანალიზით უნდა განხორციელდეს, რადგან საზოგადოებრივი პროდუქტის მიწოდებელი უფრო სახელმწიფოა, ვიდრე კერძო სექტორი, საზოგადოებრივი ხარჯები მეტია კერძოზე. ორივე შემთხვევაში საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და გამოყენების ხარჯებით მიღებული ეფექტიანობის გამოთვლა რთულია. უკეთეს შემთხვევაში მიახლოებითი.

ამდენად, საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისას გარკვეულ პრობლემას ქმნის ხარჯებისა და სარგებლიანობის თანაფარდობის საკითხი. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში საზოგადოებრივი პროდუქტი კერძო პროდუქტის სახესაც იღებს. საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების ხარჯების ეფექტიანობის განსაზღვრა რთულია იმიტომაც, რომ მას არ გააჩნია ფასი. თუმცა ასეთი პროდუქტების სარგებლიანობის მიახლოებითი გამოთვლების ხარჯების ეფექტიანობის დადგენა საქართველოში მოისუსტებს. ფაქტობრივად მეთოდოლოგიაც არ არსებობს. გასათვალისწინებელია ის მდგომარეობაც, რომ სხვადასხვა გარემოებათა გამო ინდივიდუალური ხარჯების ეფექტიანობის დროს საზოგადოებრივი ხარჯები შეიძლება არაეფექტიანი იყოს ან პირიქით. ისეთ ვითარებაში, როცა წარმოიშობა მსგავსი პარადოქსები, საზოგადოებისათვის მისაღები ხარჯების სიდიდეს მხოლოდ საბაზრო მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს თუ არ მოხდა რეგულაცია სახელმწიფოს მიერ სათანადო ეკონომიკური პოლიტიკით, რომელშიც ასახული იქნება არა მარტო კანონმდებლობის ნორმები, არამედ იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის მისაღები ხარჯების ფორმირებას. საქართველოში ასეთი

ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები ჯერჯერობით დაუმუშავებელია, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას. საბოლოოდ კი საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია წარმოების კერძო და საზოგადოებრივი ხარჯები. მოცემულია ამ ხარჯების ეფექტიანობის დადგენის მახვევებელი. გაანალიზებულია ის სირთულეები, რაც პრობლემებს ქმნის საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და მიწოდების ხარჯების ეფექტიანობის განსაზღვრაში.

დასაბუთებულია, რომ საქართველოში წარმოების ხარჯების და ეფექტიანობის საკითხები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ამ მიმართულებით არ არის შემუშავებული სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობდა წარმოების ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებას და საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაპანაძე მ., პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები. თემა: კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. შრომების კრებული. 17-18 ნოემბერი, გვ. 307-310., 2017.
2. ჭინჭარაული გ., ეკონომიკური თეორია, ნაწ.1, თბ., 2001.
3. ჭინჭარაული გ., ეკონომიკური თეორია, ნაწ.3, თბ., 2015.
4. ჭილაძე ი., დანახარჯების აღრიცხვის სისტემები, თბ., 2009.

*Giorgi Chincharauli
Maia Kapanadze*

THE EFFECTIVENESS OF PRODUCTION COSTS

Summary

The paper deals with private and public expenses of production. Indicates the effectiveness of these costs. The difficulties are analyzed in determining efficiency of the production and supply of public products.

It has been proved that the costs and efficiency of production in Georgia have not been properly studied yet. The state economic policy has not been developed in this direction yet, which would facilitate the efficiency of production costs and improvement of public well-being.

It is well known that an oligopoly has a dominant strategy - it is concerned with its own interests only and that affects other areas. In order to avoid undesirable results of an oligopoly activity state regulation is needed. In this case, competition in the oligopoly should be protected. The relevant legislation should be adopted which will legitimize: prohibition of the monopolistic condition of oligopolic, the restriction of competition limitation, etc.

სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციებში მსოფლიო ეკონომიკაში

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია მსოფლიო სოფლის მეურნეობისა და მსოფლიო ეკონომიკის არსი, შექავლილია სოფლის მეურნეობის რიგი თავისებურება, რომელთა ზეგავლენა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგებისა და ქვედარგების განვითარებას.

გეოგრაფიული მდებარეობისა და თერმული სარტყელის მიხედვით ნაშრომში გაანალიზებულია სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა დონე დედამიწის ხუთივე თერმული სარტყელის ტერიტორიაზე.

დარგის განვითარების დონის მიხედვით შესწავლილია განვითარებული ქვეყნების სასაქონლო სოფლის მეურნეობა, სადაც ინტენსიფიკაციის დონე მაღალია მექანიზაციის, წარმოების ქიმიზაციის, ბიოტექნოლოგიის, სელექციის უახლესი მეთოდების გამოყენებით და განვითარებადი ქვეყნების სამომხმარებლო სოფლის მეურნეობა – დაბალი პროდუქტიულობით, განვითარების ექსტენსიურობით, სპეციალიზაციის დაბალი დონით და სხვა. სტატიაში ხაზია გასმული განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობაში არსებულ მნიშვნელოვან სიძნელეებსა და სასურსათო უზრუნველყოფის დაბალ დონეზე, რაც მათი საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების ჩამორჩენით არის გამოწვეული. აღნიშნულის გამო მრავალ განვითარებად ქვეყანაში სოფლის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებს ამ ქვეყნების მოსახლეობის მოთხოვნას სურსათზე, რის შედეგადაც მსოფლიოში 1 მლრდ ადამიანი შიმშილობს. აღნიშნული პრობლემების შესარბილებლად სტატიაში დასახულია რიგი დონისიები.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო სოფლის მეურნეობა, მსოფლიო ეკონომიკა, მემცენარეობა, მეცხოველეობა, სასაქონლო და სამომხმარებლო მეურნეობა.

შესავალი.

სოფლის მეურნეობა მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. იგი ყველაზე ძველი და უფრო მეტად დამოკიდებული დარგია ბუნებრივ პირობებზე, ვიდრე სხვა დარგები, ამასთან დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის იგი ცხოვრების წესია. მისი ძირითადი დანიშნულებაა: უზრუნველყოს მოსახლეობა საკვები პროდუქტებით, ხოლო მრეწველობის მრავალი დარგი (საკონსერვო, საფიქრო, ფარმაცევტული, პარფიუმერია და სხვა) ნედლეულით.

მსოფლიო სოფლის მეურნეობა წარმოადგენს სისტემას, რომელიც შედგება ყველა ქვეყნის აგრარული წარმოებისაგან, განსხვავებული აგრარული ურთიერთობებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სხვადასხვა დონით, მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის განსხვავებული შემადგენლობით, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მართვის სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით.

კაცობრიობის განვითარების ისტორიის ადრეულ სტადიაზე სოფლისმეურნეობრივი წარმოების ადგილობრივი თავისებურებების ფორმირებაში (სოფლის მეურნეობის კულტურათა ნაირსახეობა, შინაური ცხოველების სახეები, აგროტექნიკური საშუალებების გამოყენების ხერხები და მეთოდები) განმსაზღვრელი როლი ტერიტორიის ბუნებრივ პირობებს – კლიმატს, რელიეფსა და ნიადაგის ნაყოფიერებას, ასევე მოსახლეობის მიერ მეურნეობის მართვის ჩვევას – ჰქონდა, რომელიც მიღწეული იყო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით. ყოველივე აღნიშნულის ერთობლიობა წარმოადგენდა ამ ქვეყნების ჩართვის შესაძლებლობას მსოფლიო მეურნეობაში.

* * *

მსოფლიო ეკონომიკა, ეს არის ყველა ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ერთობლიობა, მათი ეკონომიკური ურთიერთკავშირი, რომელიც მოიცავს საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის გატანას, სამუშაო ძალის მიგრაციას და სხვა. მსოფლიო მეურნეობა ფლობს მზარდ საერთაშორისო კავშირებს და განიცდის რთულ ურთიერთგავლენას, რომელიც ექვემდებარება საბაზრო ეკონომიკის ობიექტურ კანონებს, ყოველივე აღნიშნულის შედეგად ყალიბდება წინააღმდეგობრივი, მაგრამ ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური სისტემა, რომელშიც სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული ადგილი და როლი გააჩნია.

სოფლის მეურნეობას რიგი თავისებურება ახასიათებს:

– ამ სფეროში კვლავწარმოების ეკონომიკური პროცესი გადახლართულია ბუნებრივ პროცესებთან (გვალვა, სეტყვა, უხვი ნალექი და სხვა), რომელიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მემცენარეობის დარგების განვითარებაზე.

– მიწათმოქმედების კულტურების ბუნებრივი ზრდა-განვითარების ციკლური პროცესი განაპირობებს ამ დარგში შრომის სეზონურობას.

- მრეწველობისგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიური პროცესები მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწასთან, როგორც წარმოების ძირითად საშუალებასთან. მისი სივრცობრივი მოცულობის განსაზღვრულობის გამო მიწა არამობილურია, ე. ი. შეუძლებელია მისი გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიკაციის შესაძლებლობებს მკვეთრად ამცირებს.

FAO-ს სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მიწის ზედაპირის - ნიადაგის 78% განიცდის მნიშვნელოვან ბუნებრივ შეზღუდულობას მიწათმოქმედების განვითარებასთან დაკავშირებით. ნიადაგის ფართობის 13% გამოირჩევა დაბალი - 6% საშუალო და 3% მაღალი ნაყოფიერებით. ამჟამად დამუშავებულია ხმელეთის 11%, 24% გამოიყენება საძოვრებად. სოფლის მეურნეობის აღნიშნული თავისებურებები მნიშვნელოვნად განაპირობებს მსოფლიოში მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარებას.

მემცენარეობა მსოფლიო სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია, იგი პრაქტიკულად თითქმის ყველგან არის განვითარებული, გარდა ტუნდრისა და მაღალმთიანი რეგიონებისა; სოფლის მეურნეობის კულტურების ნაირსახეობიდან გამომდინარე, მემცენარეობის შემადგენლობა საკმაოდ მრავალფეროვანია.

მემცენარეობაში გამოყოფენ: მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების, მებოსტნეობის, მესილეობის და საკვები კულტურების წარმოებას.

მარცვლეულ კულტურებს მიეკუთვნება: ხორბალი, სიმინდი, ბრინჯი, სელი, ქერი, წიწიბურა და სხვა. მათ შორის წამყვანს წარმოადგენს: ხორბალი, სიმინდი და ბრინჯი, რომლებზედაც მოდის მარცვლეულის მთლიანი მოსავლის 4/5. აღნიშნული სამი კულტურის ძირითადი მსოფლიო მწარმოებელია:

- ხორბლის - ჩინეთი, აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, კანადა;
- ბრინჯის - ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ტაილანდი, ბანგლადეში;
- სიმინდის - აშშ, მექსიკა, ბრაზილია, არგენტინა.

ხორბლის მთავარი ექსპორტიორები არიან: აშშ, კანადა, ავსტრალია; ბრინჯის - ტაილანდი, აშშ; სიმინდის - არგენტინა, აშშ.

სხვა საკვები კულტურებიდან გამოყოფენ ტექნიკურ კულტურებს: სოიოს, მზესუმზირას, არაქისს, კანოლას, ასევე ზეთისხილს; ზეთოვანი კულტურების ძირითადი მწარმოებლებია: სოიოს - აშშ, მზესუმზირის - რუსეთი; კანოლის - ჩინეთი, არაქისის - ბრაზილია. ტექნიკური კულტურებიდან მნიშვნელოვანია შაქრის ლერწმისა და შაქრის ჭარხლის წარმოება; პირველის ძირითადი მწარმოებელია ბრაზილია, ინდოეთი, კუბა; შაქრის ჭარხლისა კი - უკრაინა, საფრანგეთი, რუსეთი, პოლონეთი.

ტუბერიანი კულტურებიდან გამოყოფენ კარტოფილს, რომელიც დიდი რაოდენობით მოჰყავთ ევროპის ქვეყნებს, ინდოეთს, ჩინეთს და აშშ-ს.

ბოსტნეული კულტურების მოყვანა გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. მნიშვნელოვანია მატონიზირებელი კულტურების - ჩაის, ყავისა და კაკაოს წარმოება და ექსპორტი. ჩაის ძირითადი ექსპორტიორია - ინდოეთი, ყავისა - ბრაზილია, კაკაოსი - კოტ-დ'ივუარი.

არასაკვები კულტურებიდან აღსანიშნავია ბოჭკოვანი კულტურები: ბამბა, სელი, ჯუტი, ნატურალური კაუჩუკი, თამბაქო.

ბამბის ძირითადი ექსპორტიორია - აშშ, უზბეკეთი, პაკისტანი, ჩინეთი, ინდოეთი, ეგვიპტე.

თამბაქოს ძირითადი მწარმოებელია ჩინეთი, უფრო მცირე მოცულობით თამბაქოს აწარმოებს ინდოეთი, ბრაზილია, იტალია, ბულგარეთი, თურქეთი, კუბა, იაპონია.

მეცხოველეობა, მემცენარეობასთან ერთად, მსოფლიო სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია, იგი გავრცელებულია თითქმის ყველგან. მეცხოველეობის წამყვანი დარგებია: მესაქონლეობა, მელორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა.

მესაქონლეობა - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყველაზე დიდ რაოდენობას ფლობს აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები. მესაქონლეობაში ანსხვავებენ სამ ძირითად მიმართულებას:

- მერძეული (ძირითადად მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებშია გავრცელებული);

- მერძეულ-მესორცული (გავრცელებულია ტყისა და ტყესტეპის ზონაში);

- მესორცული (ზომიერად მშრალი და სუბტროპიკული სარტყელის რაიონები). მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყველაზე მეტი სულადობა ჰყავს: ინდოეთს, ბრაზილიას, აშშ-ს, ჩინეთსა და რუსეთს.

მელორეობა გავრცელებულია ყველგან ბუნებრივი პირობებისაგან დამოუკიდებლად. მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, მსხვილი ქალაქებისა და ინტენსიური მეკარტოფილეობის რაიონებში. მელორეობის მსოფლიო სულადობის თითქმის ნახევარს ფლობს ჩინეთი, შემდეგ აშშ, რუსეთი, გერმანია, ბრაზილია. **მეცხვარეობა** უპირატესად განვითარებულია იმ ქვეყნებში, რომლებიც ფლობენ საძოვრების დიდ ფართობს. ცხვრის ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავთ ავსტრალიაში, ჩინეთში, ახალ ზელანდიაში, რუსეთში, ინდოეთში, თურქეთსა და ყაზახეთში;

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში ლიდრობენ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები; ხორცის წარმოების 3/4 მოდის აშშ-ზე, შემდეგ მოდის ჩინეთი და რუსეთი;

კარაქის და ზეთის წარმოებაში – რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი;
რძის წარმოებაში – აშშ, ინდოეთი, რუსეთი;
ფრინველის ხორცის – საფრანგეთი, აშშ, ნიდერლანდი;
ცხვრის ხორცის – ახალი ზელანდია, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი;
ღორის ხორცის – ნიდერლანდი, ბელგია, დანია, კანადა;
ძროხის ხორცის – ავსტრალია, გერმანია, საფრანგეთი;
მატყელის – ავსტრალია, ახალი ზელანდია, არგენტინა.

თევზჭერას სოფლის მეურნეობის შედარებით ნაკლები ხვედრიწილი უკავია.

თუ დავაჯგუფებთ რეგიონებს გეოგრაფიული მდებარეობისა და თერმული სარტყელის მიხედვით, ვნახავთ, რომ სოფლის მეურნეობა სხვადასხვა დონით განვითარებულია დედამიწის სუთივე თერმულ სარტყელში მდებარე ტერიტორიაზე, მაგალითად:

1. ცივ სარტყელს უკავია ვრცელი სივრცე ევრაზიისა და ამერიკის ჩრდილოეთით. არასაკმარისი სითბოს გამო მიწათმოქმედება ამ სარტყელში შეზღუდულია და შეიძლება განვითარდეს მხოლოდ დახურული გრუნტის პირობებში, საძოვრების დაბალი ნაყოფიერების გამო აქ განვითარებულია მეირმეობა.

2. გრილ სარტყელს უჭირავს ვრცელი ტერიტორია ჩრდილოეთ ევრაზიისა და ჩრდილო ამერიკაში, ასევე სამხრეთ ამერიკის ანდების წვრილი ზოლი. სითბოს უმნიშვნელო რესურსის გამო შეზღუდულია მრავალფეროვან კულტურათა მოყვანა.

3. ზომიერ სარტყელს სამხრეთ ნახევარსფეროში უკავია პატაგონია, ჩილეს სანაპირო, ტასმანიის კუნძულები და ახალი ზელანდია, სამხრეთით მოიცავს თითქმის მთელ ევროპას, ასევე მონღოლეთს, ტიბეტს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთს, სამხრეთ კანადას და აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ შტატებს. ეს არის მასიური მიწათმოქმედების სარტყელი; აქ ფართო ასორტიმენტით არის წარმოდგენილი სათესი კულტურები: ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, სელი, კარტოფილი, ბოსტნეული. სარტყელის სამხრეთ ნაწილში მოჰყავთ: სიმინდი, მზესუმზირა, ბრინჯი, ყურძენი, ხილი. საძოვრების ფართობი შეზღუდულია, თუმცა განვითარებულია სამომთაბარეო მეცხოველეობა და აქლემების მოშენება.

4. თბილი სარტყელი შეესაბამება სუბტროპიკულ გეოგრაფიულ სარტყელს და წარმოდგენილია ყველა მატერიკზე ანტარქტიდის გარდა; ის მოიცავს ხმელთაშუა ზღვის, აშშ-ის ტერიტორიის დიდ ნაწილს, მექსიკის, არგენტინის, ჩილეს, სამხრეთ აფრიკის, ავსტრალიის და სამხრეთ ჩინეთის ტერიტორიებს. აქ წელიწადში ორი მოსავალი მოჰყავთ – ზამთარში – ზომიერი სარტყელის კულტურები (მარცვლეული, ბოსტნეული) ზაფხულში – ერთწლიანი ტროპიკული (ბამბა) და მრავალწლიანი (ზეთისხილი, ციტრუსი, ჩაი, ბერძნული კაკალი, ღვღვი და სხვა).

5. ცხელ სარტყელს უჭირავს ვრცელი სივრცე აფრიკის, სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიის ჩრდილოეთ და ცენტრალური მაღალიზიის არქიპელაგის, არაბეთის ნახევარკუნძულის, სამხრეთ აზიის ტერიტორიაზე. აქ მოჰყავთ ყავა და კაკაო.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა არაერთგვაროვანია. იგი აერთიანებს სახელმწიფოებს, რომლებიც ერთმანეთისგან გამოირჩევიან სოციალური სტრუქტურის, პოლიტიკური წყობის, საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების განვითარების სხვადასხვა დონით, ასევე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განსხვავებული მეთოდებით, მასშტაბითა და ხასიათით.

სოფლის მეურნეობის როლი სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვნად განსხვავებულია. დარგის განვითარების დონის მიხედვით გამოყოფენ სასაქონლო და სამომხმარებლო სოფლის მეურნეობას.

სასაქონლო სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი პროდუქტიულობით, განვითარების ინტენსივობით, სპეციალიზაციის მაღალი დონით, წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილის ბაზარზე რეალიზაციის გათვალისწინებით. სასაქონლო სოფლის მეურნეობა დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის, სადაც დარგის განვითარება ხდება მექანიზაციის, წარმოების ქიმიზაციის, ბიოტექნოლოგიის, სელექციის უახლესი მეთოდების გამოყენებით. დარგის წარმოების ინტენსიფიკაციამ და ტექნიკურმა გადაიარაღებამ მსხვილი მეურნეობა მიიყვანა ვიწრო სპეციალიზაციის წილის გადიდებად. ამასთან, სასაქონლო სოფლის მეურნეობა ატარებს ინდუსტრიულ ხასიათს, რამდენადაც იგი ჩართულია ერთიან აგროსამრეწველო კომპლექსში გადამამუშავებელ, შემნახველ, სატრანსპორტო და პროდუქციის გასაღების ერთიან სისტემაში.

სოფლის მეურნეობის განვითარებამ მნიშვნელოვნად მაღალ დონეს მიაღწია ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ამ სფეროში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 2-6%. ამ ქვეყნებში სოფლის მეურნეობა ხასიათდება მეცნიერულად დასაბუთებული ორგანიზაციით, მაღალი მწარმოებლურობით, ახალი ტექნოლოგიის, სოფლის მეურნეობაში მანქანათა სისტემის, მინერალური და ორგანული სასუქების, გენური ინჟინერიისა და ბიოტექნოლოგიის გამოყენებით.

სამომხმარებლო სოფლის მეურნეობა დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის. იგი გამოირჩევა დაბალი პროდუქტიულობით, განვითარების ექსტენსიურობით, სპეციალიზაციის დაბალი დონით და სხვა. ამ სახის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია ჩამორჩენილი მიწათ-

მოქმედება გუთნისა და თოხის (ცოცხალი სამუშაო ძალის) გამოყენებით, სადაც განვითარებულია მომთაბარე მესაქონლეობა, თევზჭერა და მონადირეობა.

განვითარებად ქვეყნებში ჭარბობს მცირე სასაქონლო სამომხმარებლო სოფლის მეურნეობა მარცვლეულის დაბალი მოსავლიანობით. აღნიშნული სექტორი წარმოდგენილია წვრილი მეურნეობებით, რომლებსაც მოჰყავთ ძირითადად სამომხმარებლო კულტურები.

განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობაში არსებული მნიშვნელოვანი სიძველეების ძირითადი მიზეზი ამ სფეროში მათი საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების ჩამორჩენაში მდგომარეობს. მაგ., ლათინური ამერიკის რიგი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია ლატიფუნდიები – მიწის ვრცელი მფლობელობა, რომელთა საფუძველს მემამულური ტიპის მეურნეობა წარმოადგენს. აზიისა და აფრიკის უმრავლეს ქვეყანაში, მსხვილი მეურნეობების გვერდით, ფართოდ არის გავრცელებული ფეოდალური და ნახევრადფეოდალური ტიპის მეურნეობები. აგრარული ურთიერთობების თავისებურებებმა და სხვა ფაქტორებმა გამოიწვია ის, რომ მსოფლიოს მრავალ განვითარებად ქვეყანაში სოფლის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებს, გარკვეული ზომით მაინც, ამ ქვეყნების მოსახლეობის მოთხოვნას სურსათზე. დღემდე მოსახლეობის იმ ნაწილის რაოდენობა, რომელიც ვერ ახერხებს მიიღოს აუცილებელი საკვები, საკმაოდ დიდია და ერთ მილიარდს მაინც შეადგენს. კვების რაციონში ცილებისა და ცხიმების ნაკლებობა უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობასა და სამუშაო ძალის ხარისხზე. ამ ქვეყნებში შიმშილით ყოველწლიურად 20 მლნ დამოიანი იღუპება. ექსპერტების გამოთვლით, საკვებზე თვითუზრუნველყოფის ძალიან დაბალი დონე აქვს მსოფლიოში 24 სახელმწიფოს, საიდანაც 22 აფრიკის ქვეყანაა. აღნიშნული მდგომარეობის შერბილების მიმართულებით მოშიმშილე ქვეყნებისათვის სასურსათო დახმარების აღმოჩენაში დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის სურსათის შესაძენად შეღავათიანი კრედიტის გადაცემას ან ფულად-მატერიალური რესურსების უსასყიდლოდ ჩუქებას. ამ ქვეყნებს სასურსათო დახმარებას უწევს მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტის განვითარებული ქვეყნები. ბოლო პერიოდში იზრდება ევროკავშირის ქვეყნების როლი აღნიშნული პრობლემის შესარბილებლად.

სპეციალისტები აღიარებენ, რომ მსოფლიოში საკვების წარმოებას, მოხმარებასა და გადანაწილებას შორის თანაფარდობის სტიქიურობა დაუშვებელია. პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია ამ კუთხით საერთაშორისო სტრატეგიის შემუშავება, რაც შეიძლება რიგ მიმართულებებში გამოიხატოს. პირველი, ეს არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის გადიდება.

ამჟამად საზოგადოება ეფექტურად იყენებს სახნავის მხოლოდ 0,34 ჰა-ს ერთ სულზე, მაშინ როდესაც არსებობს ამ ფართობის გადიდების საკმარისი რეზერვი. ამ რეზერვის არსებობის ხარჯზე სოფლის მეურნეობაში მიწის ფართობი შეიძლება გადიდდეს, მაგრამ ეს პროცესი მაინც შეზღუდულია, რადგან მიწის ფართობის დიდი ნაწილი წვრილკონტურიანობის, მთავორიანობის და სხვა მიზეზის გამო ძნელად ექვემდებარება დამუშავებას ან მისი დამუშავებისთვის დიდი კაპიტალდაბანდება არის საჭირო.

მეორე მიმართულებაა აგრარული წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის ეკონომიკური რესურსების დაბანდების გადიდება. მეცნიერული გათვლებით, თუ დღეს გამოყენებული მიწის ფართობის დასამუშავებლად გამოყენებული იქნება მოწინავე ტექნოლოგიები, მაშინ უკვე შესაძლებელი იქნება, სოფლის მეურნეობის პროდუქციით გამოიკვებოს დღევანდელთან შედარებით გაცილებით მეტი ადამიანი.

განვითარებადი ქვეყნების აგრარულ ურთიერთობებში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად, სოფლის მეურნეობის სტრატეგიული განვითარების მესამე მიმართულებას წარმოადგენს აგრარული რეფორმების ღრმა და თანმიმდევრული გატარება, თითოეული ამ ქვეყნის თავისებურებებისა და სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ნეგატიური შედეგების ლიკვიდაციაზე, რაც დაკავშირებულია აფრიკისა და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში არსებულ ლატიფუნდიებსა და აზიის ქვეყნებში დანაწევრებულ წვრილ გლეხურ მეურნეობებზე. აგრარული რეფორმების გატარებისათვის მიზანშეწონილია, ფართოდ იქნეს გამოყენებული ის დადებითი გამოცდილება, რომელიც დაგროვდა განვითარებულ ქვეყნებში, სახელდობრ: სახელმწიფოს როლის გადიდება სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, მატერიალურ-ფინანსური და საკანონმდებლო მხარდაჭერა წვრილი და საშუალო მეურნეობების განვითარებისათვის და სხვა.

მეოთხე მიმართულებად შეიძლება განვიხილოთ საერთაშორისო თანამშრომლობა და განვითარებული ქვეყნების დახმარება უფრო ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის. ამ თანამშრომლობის მიზანია არა მხოლოდ ყველაზე დიდი პრობლემის – სურსათის უკმარისობის შემსუბუქება, არამედ განვითარებადი ქვეყნების შიდა შესაძლებლობების სტიმულირება, მათი ყოველმხრივი დახმარება როგორც ეკონომიკის, ისე სხვა დარგების განვითარებაში.

მსოფლიო მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის შერბილების მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მიღებული გრძელვადიანი პროგნოზით, რომელიც ერთობლივად შეიმუშავეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების და ΦАО-ს სპეციალისტებმა, განვითარებულ ქვეყნებში შეიძლება ველოდოთ მარცვლეულის მთლიან მოხმარებაში იმპორტის წილის გადიდებას 24-26%-დან 30%-მდე. ამ ქვეყნებ-

ში მეცხოველეობის საკვებად ხორბლის გადიდებული გამოყენების გამო. წარმოების ზრდის უფრო მაღალი ტემპის პროგნოზია ნავარაუდები ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (2050 წლისათვის 2,8-ჯერ 2008 წელთან შედარებით). რითაც 60%-დან 50%-მდე შეიძლება შემცირდეს ამ ქვეყნების დამოკიდებულება იმპორტზე, რაც არ იქნება საკმარისი. ამიტომ უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება იქნება საჭირო განვითარებული ქვეყნების მხრიდან, რათა ხელი შეუწყონ ხორბლის წარმოების გადიდებას უშუალოდ ამ ჯგუფის ქვეყნებში.

ხორციისა და რძის წარმოების განვითარების პროგნოზით რძის წარმოება მსოფლიოში გაიზრდება მაღალი ტემპით და 2050 წლისათვის მან შეიძლება მიაღწიოს 1222 მლნ ტ. რაც 80%-ით მეტია, ვიდრე 2008 წლის მონაცემები. ამ პროცესში დიდი წვლილი უნდა შეიტანოს განვითარებადმა ქვეყნებმა, სადაც რძის წარმოება თითქმის 2,2-ჯერ გაიზრდება. მაგრამ არსებითი განსხვავება მერძეული მეცხოველეობის პროდუქტიულობაში განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის პერსპექტივაში მაინც დარჩება. პერსპექტივაში, განვითარებად ქვეყნებში უნდა ველოდოთ ძროხების სულადობის რამდენადმე შემცირებას მათი პროდუქტიულობის ამადლების ხარჯზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, გავადიდოთ მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი მცენარეული სასურსათო რესურსების წარმოება და მოსახლეობის ღარიბი ფენების სასურსათო რაციონში ავამაღლოთ ცილების წილი.

საპროგნოზო გათვლებით, გაიზრდება ძროხის ხორცის წარმოება და მოხმარება. 2050 წლისათვის ზრდის მაჩვენებელმა შეიძლება 60%-ს გადააჭარბოს; ღორის ხორცის წარმოებამ – 77%-ს, ქათმის ხორცის წარმოება კი შესაძლებელია გაიზარდოს 2,15-ჯერ. ამასთან, პროგნოზით შესაძლებელია მეხორცეული დარგის წარმოების ზრდის წინმსწრები ტემპი განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც შეძლებენ დაიკმაყოფილონ შიგა მოთხოვნა საკუთარი წარმოების ხარჯზე. ნაკლებად განვითარებად ქვეყნებში, პროგნოზით, ძროხის და ღორის ხორცზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკმაყოფილება შიგა წარმოების ხარჯზე, მაშინ, როდესაც ქათმის ხორცის მოხმარების 40% დაიფარება იმპორტით.

პროგნოზით, თუ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, სასურსათო პროდუქტების მოხმარება (ენერგეტიკული ეკვივალენტით) 2001-2030 წლებში გაიზრდება 2950 კკალ-მდე, 2050 წლისათვის ამ მაჩვენებელმა შეიძლება მიაღწიოს 3130 კკალ-მდე. ამასთან, განვითარებად ქვეყნებში სურსათის მოხმარება რამდენჯერმე სწრაფად გაიზრდება, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

აღნიშნული პროგნოზის გარდა, მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივები, რომელიც დაკავშირებულია კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან (დათბობა). ეს გავლენა ხელსაყრელია ზომიერი სარტყელის უფრო ცივ ტერიტორიაზე მდებარე ქვეყნებისათვის და ნაკლებად ხელსაყრელი სუბტროპიკული რეგიონებისთვის. კლიმატის რეგიონულმა ცვლილებებმა უკვე მოახდინა გავლენა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ფიზიკურ და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე. საშუალო და მაღალ განედებზე გაიზარდა მემცენარეობის კულტურების სავეგეტაციო პერიოდი. შეიმჩნევა ცხოველების ეკოლოგიური არეალის გადანაცვლება ზღვის დონიდან უფრო მაღალ განედებზე.

მრავალი პროგნოზის შესაბამისად, ნალექების, გამდინარე წყლებისა და ნიადაგის ტენიანობის საშუალო წლიური ოდენობის შემცირებამ შეიძლება გაამწვავოს ნიადაგის გაუდაბნოების პრობლემა, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ცხოველებისა და მცენარეების მრავალი სახეობის შემცირებას და ნეგატიურად აისახოს ეს პროცესი სოფლის მეურნეობაზე (განსაკუთრებით აფრიკაში).

აზიის მრავალ ქვეყანაში კლიმატურმა პირობებმა შეიძლება გაამწვავოს სოფლის მეურნეობის პრობლემა ზღვის დონის აწევის, წყალდიდობებისა და გვალვების, ტროპიკული ციკლონების და სხვათა გამო. აღნიშნულმა პრობლემებმა შეიძლება ამ რეგიონში სასურსათო უსაფრთხოების შემცირება გამოიწვიოს. აზიის ჩრდილოეთ რაიონებში შეიძლება გაფართოვდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი და ამადლდეს მათი ნაყოფიერება.

ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში კლიმატის ცვლილებებმა ზომიერი სარტყელის კულტურების ზრდაზე თავიდან თუ დადებითი გავლენა იქონია, ამ პროცესის შემდგომი განვითარების შემთხვევაში, პერსპექტივაში, უარყოფითი შედეგია მოსალოდნელი. შეიძლება განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს გარკვეული ბიოლოგიური სახეობები, რომლებიც შეზღუდულ კლიმატურ პირობებში არსებობენ და შორს გადადილების უნარი ნაკლებად გააჩნიათ.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში დათბობის დადებითი გავლენა მოსალოდნელია სოფლის მეურნეობაზე, ხოლო სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წარმოების შემცირებაა მოსალოდნელი.

ჩრდილოეთ ამერიკაში დათბობამ შეიძლება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების შემცირება გამოიწვიოს, ხოლო იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ამ რეგიონის უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს, შესაძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას ჰქონდეს ადგილი. სავარაუდოდ, განვითარებული ქვეყნები შეძლებენ კლიმატის ცვლილებებთან შეგუებას, საპირისპიროდ იმ ქვეყნებისა, რომელთაც ამ უნარის შეზღუდული შესაძლებლობა გააჩნიათ.

დღეისათვის მოწმენი ვართ კლიმატის გლობალური ცვლილების ზოგიერთი გამოვლენის, როგორც არის უხვი ნალექით გამოწვეული წყალდიდობები, ხშირი ტორნადო და ცუნამი, რო-

მელთაც ადგილი აქვს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში (ამერიკის დასავლეთ სანაპირო და რუსეთის ზოგიერთი რაიონი). კლიმატის გლობალური ცვლილებების გამო მილიონობით ადამიანი რჩება საცხოვრებლის გარეშე, რასაც თან ერთვის ამ რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების განადგურება.

აღნიშნული პროცესების ზეგავლენით განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის შემცირდება სურსათის მოხმარების დონეებს შორის განსხვავება, რაც კაცობრიობის უფრო სტაბილური განვითარების გარკვეული საფუძველი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დათუნაშვილი ლ. სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი VIII. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2015.
2. გუროვა ი. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბილისი, 2014.
3. Пузаков Е. П. Мировая экономика. Ростов-на Дону. Феникс, 2008.
4. Халевинская Е. Д. Крозе И. Мировая экономика: Учебное пособие. М. Юристъ, 2008.
5. bestreferat.ru>referat-336759.html МИРОВАЯ ЭКОНОМИКА. на тему: Тенденции развития сельского хозяйства в мировой экономике. 2010.
6. finuni.ru>>tendencii...selskogo...v-mirovoy-ekonomike/ Мировая экономика. Основные тенденции развития сельского хозяйства в мировой экономике. 2010.

Lina Datunashvili

MODERN TENDENCIES OF AGRICULTURAL DEVELOPMENT IN THE WORLD ECONOMY

Summary

The article deals with the essence of world agriculture and world economy; a range of agricultural features is studied the influence of which significantly defines the development of planting (cereals, technical crops, vegetable, fruit-growing, fodder crops etc.) and livestock (cattle-breeding, pig-breeding, sheep-breeding, poultry, etc.) sectors and subsectors.

According to geographical location and thermal belt the article analyzes different levels of agricultural development in all five territorial zones of the earth.

Agricultural farming of developed has been studied according to the development level of the sector, where the intensification level is high by using the latest methods of production mechanization, biotechnology and selection; consumer agriculture of developing countries is characterized by low productivity, extensivity of development, low level of specialization and others. The article emphasizes the significant difficulties in developing countries agriculture and low level of food security which is the backwardness existing in their relations. Because of the above mentioned, agriculture in many developing countries fails to meet the demands of these countries in food and as a result 1 billion people are starving in the world.

This article seeks some measures to mitigate the problems namely, the growth of agricultural land, the increase of economic resource investment in order to raise the efficiency of production, deep and consistent reforms to overcome the existing backlog in agrarian relations and international cooperation and mutual assistance.

The article analyzes the future development potential of agriculture held by long-term forecast of international organizations in the world. The attention is paid to long-term perspective, which is connected with expectable results of global climate changes.

*ნანა კირვალიძე
სოფიო მაჭარაშვილი*

უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ანოტაცია. სტატიაში განხილულია საქართველოში უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების ბაზარი: წარმოების დინამიკა, ასორტიმენტის სტრუქტურა, პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა და ფასწარმოქმნა, ექსპორტ-იმპორტის ტენდენციები, საწარმოების რაოდენობა. აღნიშნულია, რომ ლიდერი კომპანიები უაღკოპოლო სასმელების დასამზადებლად იყენებენ ბუნებრივ მასალებს. ამიტომ ამ პროდუქციის თვითღირებულებაში 70% არის დანახარჯები ნედლეულზე, ხოლო მინერალური წყლები უნიკალურია სამეურნეო თვისებებით.

უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების ექსპორტი ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 4,1-5,8%-ს შეადგენს. საქართველოში უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების მოხმარებას ზრდის ტენდენცია აქვს, რაც გამოწვეულია მზარდი ტურისტული ინდუსტრიითაც. ბაზრის მოცულობის 60-63% ათვისებული აქვს კოკა-კოლას და პეპსიკოს პროდუქციას, ხოლო 40%-მდე ლომონათს.

სტატიაში განხილულია ყველა ასაკობრივი ჯგუფის მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგები.

ავტორები ასევე საუბრობენ უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ბაზრის განვითარების ღონისძიებებზე.

საკვანძო სიტყვები: უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ბაზარი, წარმოება, თვითღირებულება, მოხმარება, ექსპორტ-იმპორტის დინამიკა, მომხმარებელთა გამოკითხვა, სტრატეგიული მიმართულებები.

შესავალი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარება გულისხმობს კონკურენტუნარიანი საწარმოების და პროდუქციის არსებობას და მიწოდებას როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ხილის, სუფთა სასმელი წყლის, მინერალური წყაროებით მდიდარ ქვეყანაში აღდგა და განვითარდა ტრადიციული დარგი, რომლის პროდუქცია აღტაცებას იწვევს ევროპის და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. იგი უნდა განვითარდეს ისეთი მასშტაბებით, რომ დაიზრდოს ტრანსეოცენური ფორმების პროდუქცია. შეიქმნას მეტი ცნობილი სავაჭრო მარკა, მოხდეს მათი პოპულარიზაცია და ხაზგასმა იმ უპირატესობისა, რითაც გამოირჩევა ქართული უალკოჰოლო სასმელები და მინერალური წყლები კონკურენტი პროდუქციისაგან, ათვისებული იყოს საერთაშორისო ბაზრები, დასახული და განხორციელებული ის ღონისძიებები, რომელიც წარმატებებს განაპირობებს.

საქართველოში უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების წარმოებას დიდი ტრადიციები აქვს. ფირმა „ლალიძის წყლები“ 1887 წელს დაარსდა და 130 წელია ფუნქციონირებს ბაზარზე, ხოლო მინერალური წყალი „ბორჯომის“ სამრეწველო ჩამოსხმა 1890 წელს დაიწყო. უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების წარმოებაში მიღწეულ წარმატებებს შემდეგი გარემოებები განაპირობებდა: მეხილეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, უნიკალური ტექნოლოგია, სუფთა სასმელი წყალი, სამკურნალო წყაროების სიუხვე, მათი იშვიათი შემადგენლობა და თვისებები.

საბაზრო მექანიზმის დანერგვის კვალობაზე საქართველოში მრავალი არარენტაბელური და არაკონკურენტუნარიანი დარგი და საწარმო განადგურდა, უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ბრენდები დარჩა. მათ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს მსოფლიო ბაზარზე.

2013-2017 წლებში საქართველოში მინერალური წყლების და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში შექმნილ მთლიან დამატებით ღირებულებას ზრდის ტენდენცია აქვს და მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0,8%-ს შეადგენს (2017 წლის მონაცემებით) (ცხრილი 1). ზრდის ტენდენცია აქვს ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანასაც, რომელიც უალკოჰოლო სასმელების ნედლეულია.

ცხრილი 1

საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი და მ.შ. მინერალური წყლების და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში შექმნილი დამატებითი ღირებულება 2013-2017 წლებში²⁶

მლნ ლარი

	2013	2014	2015	2016	2017*
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	26847,7	29150,5	31755,6	34028,5	38042,2
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	108,6	108,9	107,2	111,8
მ.შ. ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანა	413,7	476,3	499,4	493,0	560,5
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	115,1	104,8	98,7	113,7
მ.შ. მინერალური წყლების და უალკოჰოლო სასმელების წარმოება	211,2	275,3	278,1	279,3	310,6
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	130,4	101,1	100,4	111,2

* 2017 წლის მონაცემები არის წინასწარი.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი 116 საწარმო. უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ლიდერი კომპანიებია: ლალიძის წყალი, კოკა-კოლა, ყაზბეგი, ნატახტარი, ზედაზენი, კასტელი, პეპსიკო, ზანდუკელი. მათ გვერდით არსებობს ბევრი მცირე საწარმო. ლიდერი კომპანიების პროდუქცია მრავალფეროვანია. ამზადებენ პროდუქციას ყველა გემოვნების მომხმარებლისათვის. უალკოჰოლო სასმელების (ლიმონათი) არომატიზებისათვის

²⁶ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

იყენებენ მსხლის, ტარხუნის, ატმის, ჟოლოს, ლიმონის, ფორთოხლის, ბროწეულის, ვაშლის და სხვა ხილის, კენკრისა და ნაღებისაგან დამზადებულ ვეფინებს. პროდუქცია მზადდება გაზირებული და უგაზო, შაქრით და უშაქრო. ჩამოსხმა ხდება მინის, პლასტმასის და მუყაოს ერთჯერად ჭურჭელში. ლიდერ ფირმებს შორის კონკურენტული ბრძოლა მიმდინარეობს საქონლის მახასიათებლებით: ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის, პროდუქციის ხარისხის, სავაჭრო მარკის გავლენის და პრესტიჟულობის, გაყიდვის არხების, გასაღების სტიმულირების, ფასების დონის მიხედვით და სხვა. ლიდერ კომპანიებში უაღკოპოლო სასმელები დამზადებულია უმაღლესი ხარისხის ნედლეულის და ხარისხიანი დამხმარე მასალებისაგან. ნედლეულსა და დამხმარე მასალებს იძენენ როგორც საქართველოში მეხილეებისაგან, ასევე ბელორუსის, ირლანდიის, არგენტინის, სინგაპურის, ბელგიის და სხვა ფირმიებიდან.

საქართველოში წარმოებულმა უაღკოპოლო სასმელებმა ღირსეული ადგილი რომ დაიმკვიდროს მსოფლიო ბაზარზე, იყოს კონკურენტუნარიანი, აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა ხილისაგან მიღებული ვეფინების და დამხმარე მასალების გამოყენება. მაგრამ მცირე საწარმოები და ზოგიერთი ლიდერი კომპანია ბაზარს მიაწვდის ესენციებზე დამზადებულ პროდუქციას. ეს სრულიად დაუშვებელი დამოკიდებულებაა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხისადმი. ისინი უგულვებელყოფენ იმ უპირატესობას, რაც ლიმონათს გამოარჩევს სხვა ალკოჰოლური სასმელებისაგან. საქართველოში დამზადებული ლიმონათის ძლიერებას და ვარგისიანობას მასში არსებული ნატურალური (ხილის და კენკრის) არომატიზატორის არსებობა განაპირობებს.

ლიდერი კომპანია კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას მიერ წარმოებული ბრენდებია: კოკა-კოლა, ფანტა, სპრაიტი, ბერნი, ფიუს თი, ბონაქუა, შვეფსი, კაპი. ეს კომპანია 1996 წელს დაარსდა საქართველოში. როგორც ცნობილია, 2011 წელს საერთაშორისო კომპანია „კოკა-კოლა“-ს თავის რეცეპტში საღებავად 4-მეთილიმიდაზოლის (4- I) გამოყენება აეკრძალა კანცეროგონების გამო.

მინერალური წყალი „ბორჯომი“, „ლიკანი“ „საირმე“ უნიკალურია მსოფლიოში სამკურნალო თვისებებით. მინერალური წყლების მწარმოებელ ფირმებში თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვამ გაზარდა ქართული მინერალური წყლების საექსპორტო პოტენციალი, რაც მნიშვნელოვანია ბაზრის გასაფართოებლად.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების წარმოების დინამიკა საქართველოში (ცხრილი 2).

ცხრილი 2

საქართველოში უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების წარმოება 2013-2017 წლებში²⁷

	2013	2014	2015	2016	2017*
უაღკოპოლო სასმელები ათასი დეკალიტრი	18955,1	22269,8	21872,0	20514,8	16882,3
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	117,5	98,2	93,8	82,3
უაღკოპოლო სასმელები ღირებულებაში (ათ. ლარი)	193192,3	227828,3	233789,6	234327,2	210529,2
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	117,9	102,6	100,2	89,8
მინერალური წყალი ათასი დეკალიტრი	21208,4	24465,0	20301,1	19911,0	17040,2
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	117,9	102,6	100,2	89,8
მინერალური წყალი ღირებულებაში (ათ. ლარი)	229480,1	288269,5	226018,1	221347,7	198388,8
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	125,6	78,4	97,9	89,6

* 2017 წლის მონაცემები არის წინასწარი.

იგი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების საწარმოების მიერ მიღებული წარმატებები დიდია. ე.ი. შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში ფუნქციონირებს საერთაშორისო ფირმები.


უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების ხვედრითი წილი საკვები პროდუქციის (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს მთლიან წარმოებაში საანალიზო პერიოდში (2013-2017) 11-16%-ია.

საქართველოში წარმოებული უაღკოპოლო სასმელები მრავალი საერთაშორისო კონკურსის ჯილდოს მფლობელია. 2017 წელს მოსკოვში ჩატარებული კვების პროდუქტების და სასმელების საერთაშორისო კონკურსზე ფირმა ლადიძის ტარხუნის და ფორთოხლის ლიმონათს მიენიჭა ოქროს მედალი. 2004 წელს მოსკოვში ჩატარებულ კონკურსში წლის საუკეთესო უაღკოპოლო

²⁷ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

სასმელების და მინერალური წყლების გამოსავლინებლად ვერცხლის მედალი დაიმსახურა ფირმა „ყაზბეგის“ ცივმა ჩაიმ კომპით.

უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების ფასების პოლიტიკა მოქნილია, ფასწარმოქმნა ხდება საწარმოო ხარჯების გათვალისწინებით. ითვალისწინებენ კონკურენტების ფასებს. ერთი ლიტრი უაღკოპოლო სასმელის ფასი 1-1,8 ლარია, ხოლო მინერალური წყლების 1-1,2 ლარი. უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების თვითღირებულების სტრუქტურა მოცემულია 1 ნახაზზე.



ნახ. 1. უაღკოპოლო სასმელებისა და მინერალური წყლების თვითღირებულების სტრუქტურა

როგორც ნახაზიდან ჩანს, თვითღირებულების 70%-ს შეადგენს დანახარჯები ნედლეულსა და ტრანსპორტირებაზე. საქართველოში უაღკოპოლო სასმელებსა და მინერალურ წყლებზე მიწოდება აღემატება მოთხოვნას. ერთ სულ მოსახლეზე უაღკოპოლო სასმელების მოხმარება 85-87 ლიტრია წელიწადში და ზრდის ტენდენცია აქვს. მოხმარების ზრდის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ტურიზმის განვითარებაც. 2017 წელს საქართველო მონახულა 7,9 მილიონმა ვიზიტორმა.

უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების ბაზარზე შეიმჩნევა მომხმარებელთა (რესტორნები, საცალო სავაჭრო ფორმები) კონკურენტული გავლენა. მომხმარებელი კარნახობს მიწოდების პირობებს, ფასებს და სხვა.

საქართველოში დამზადებული უაღკოპოლო სასმელები და მინერალური წყლები 16 ქვეყანაში ექსპორტირდება. ექსპორტის მოცულობას არასტაბილური ხასიათი აქვს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 4,1-5,8%-ს შეადგენს. 2013-2017 წლების მონაცემებით, მინერალური წყლების 47,6% ექსპორტირდება რუსეთში. მაგრამ ეს ექსპორტი ყოველთვის დაუბრკოლებლად არ მიმდინარეობს. მოვიგონოთ იძულებითი ზომები რუსეთის მხრივ ემბარგო, რომელიც ჩვენ ექსპორტს დაადგეს. უაღკოპოლო სასმელები ექსპორტირდება დსთ ქვეყნებში, აშშ-ში, იაპონიის, საბერძნეთის, ისრაელის, ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, ირანის, ირლანდიის ბაზრებზე. სტრატეგიულ საექსპორტო ბაზრებად რჩება ჩინეთი, ბალტიისპირეთის და მცირე აზიის ქვეყნები.

ცხრილ 3-ში მოცემულია უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების ექსპორტ-იმპორტის დინამიკა საქართველოში. ექსპორტი 103424,13 ათასი აშშ დოლარი აღემატება იმპორტს (2017 წლის მონაცემებით.)

ცხრილი 3

საქართველოში უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების ექსპორტ-იმპორტი 2013-2017 წლებში²⁸

წელი	ექსპორტი		იმპორტი	
	ათ. აშშ დოლარი	ათასი ლიტრი	ათ. აშშ დოლარი	ათასი ლიტრი
2013	124192,3	154374,4	21821,2	19830,8
2014	165502,1	194561,4	24542,4	21347,5

²⁸ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

2015	100678,8	131665,3	21247,6	21967,2
2016	91198,8	136532,5	18780,8	21508,4
2017	113135,7	174549,1	18922	22636,7

2017 წელს ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

**მინერალური წყლების და უაღკოპოლო სასმელების
ექსპორტი ქვეყნების მიხედვით 2017 წელს²⁹**

	ქვეყანა	ათასი აშშ დოლარი	ათასი ლიტრი
მინერალური და მტკნარი წყლები	რუსეთი	45597,9	67334,1
	უკრაინა	16650,9	30351,0
	ლიტვა	12631,4	19706,1
	ბელორუსი	7323,1	12406,0
	ყაზახეთი	6099,3	7606,6
წყლები, მინერალურის და დაგაზიანებული ჩათვლით, შაქრის დანამა ტების შემცველი -ბით, ხილის და ბოსტნეულის წვენები	აზერბაიჯანი	6103,5	8571,8*
	რუსეთი	5983,3	9164,2
	გერმანია	3423,2	3538,1
	აშშ	2011,4	1898,9
	სომხეთი	1825,9	3727,4

* ტონა

საქართველოში უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების ბაზარზე ტკბილი გაზირებული სასმელების ხვედრითი წილი 49,5%-ია, გაზირებული წყლების 25,5%, წყაროს წყლების 15,5%, ცივი ჩაის 2%, ნატურალური წვენების და ნექტრის 5,5% და სხვა სასმელების 2%. უაღკოპოლო გაზირებული სასმელების ბაზარზე 49%-ით კოკა-კოლა ლიდერობს, ნატახტარს ათვისებული აქვს ბაზრის მთლიანი მოცულობის 17%, პეპსიკოს 12%, ზედაზენს 6%, კასტელი საქართველოს 4%. სხვა დანარჩენ ფირმებს მხოლოდ 6%.

მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად დადასტურდა, რომ ახალგაზრდა მომხმარებელთა 6% ხშირად მიირთმევს მინერალურ წყალს (ნაბეღლავი, ლიკანი, ბორჯომი, საირმე), ახალგაზრდა მომხმარებელთა 18% საერთოდ არ მოიხმარს მინერალურ წყალს, 76% კი იშვიათად სვამს (მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით) მინერალურ წყალს. მინერალური წყლების მოხმარება ასაკთან ერთად იზრდება, 30-55 წლის მომხმარებელთა 43% ხშირად (თითქმის ყოველდღე) მიირთმევს მინერალურ წყალს, 57% კი მინერალურ წყალს სვამს იშვიათად, მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით. ხანშიშესულ მომხმარებლებში მინერალური წყლების მოხმარების სიხშირე უფრო იზრდება. ყველა მომხმარებელი ერთგულია საქართველოში ჩამოსხმული მინერალური წყლის.

უაღკოპოლო სასმელების მოხმარებას სეზონური ხასიათი აქვს. მაისსა და სექტემბერში უაღკოპოლო სასმელების მოხმარება ინტენსიური ხდება. ახალგაზრდა მომხმარებელთა 12% არ სვამს უაღკოპოლო სასმელებს, 64 % კი მიირთმევს მხოლოდ კოკა-კოლას, რადგან მათ მოსწონთ კოკა-კოლას გემო და თელიან, რომ მისი მიღება პრესტიჟულია. კოკა-კოლას ერთგულ მომხმარებელთა 14% ყოველდღე ერთჯერადად სვამს 1-2 ლიტრამდე კოკა-კოლას, დანარჩენები კი უფრო იშვიათად, კვირაში რამდენჯერმე მიირთმევენ ამ უაღკოპოლო სასმელს და ერთჯერადად სვამენ 0,5-1 ლიტრამდე. მომხმარებელთა ეს სეგმენტი იშვიათად მიირთმევს ლიმონათს. ახალგაზრდების 24% უპირატესობას ანიჭებს ქართულ ლიმონათს, მიირთმევენ სადღესასწაულო შეხვედრების დროს, ერთჯერადად სვამენ 0,5-1 ლიტრამდე. ისინი თვლიან, რომ ხილის ვეჟინებით დამზადებული უაღკოპოლო სასმელი უფრო სასარგებლოა, ეკოლოგიურად სუფთაა და არ შეიცავს კანცეროგენურ ნივთიერებებს. 30-35 წლის ასაკის მომხმარებლებში უაღკოპოლო სასმელების მოხმარება მცირდება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, უაღკოპოლო სასმელს მხოლოდ სადღესასწაულო შეხვედრების დროს სვამენ (მომხმარებელთა 60%). ხანშიშესული მომხმარებლები ერიდებიან უაღკოპოლო გაზირებული სასმელების მიღებას. ყველა მომხმარებელი აღნიშნავს, რომ საცალო ქსელში უაღკოპოლო სასმელების არჩევანი ფართოა.

ქართულ უაღკოპოლო სასმელებს და მინერალურ წყლებს საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება მკაცრ, კონკურენტულ გარემოში უწევს, ბაზარი გაჯერებულია ტრანსნეოგენული კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციით. საერთაშორისო ბაზრების ათვისებას კი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

²⁹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების ბაზრის გამოკვლევის საფუძველზე საჭიროდ მიგვაჩნია განხორციელდეს შემდეგი:

უაღკოპოლო სასმელების წარმოებაში გამოყენებული იყოს მხოლოდ ხილის და კენკრის ნახევარფაბრიკატები (ვეჟინები). ნატურალური მასალებით საგებლობა ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი ია ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად;

საქართველოში შეიქმნას მინის ტარის მწარმოებელი ფირმა, რადგან ქვეყანაში არსებული ერთადერთი საწარმო ვერ აკმაყოფილებს ბოთლებზე გაზრდილ მოთხოვნას;

მოხდეს უაღკოპოლო სასმელების პოპულარიზაცია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე;

აღდგენილი და უფრო განვითარდეს უნიკალური „ლაღიძის წყლები“, „ვაზბეგი“, „საირმე“, „ბორჯომი“, „ლიკანი“;

უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების რეკლამა იყოს უფრო დეტალიზებული და სისტემატურად იყოს გამოყენებული გასაღების სტიმულირების საშუალებები: საპრიზო გათამაშება, სადღესასწაულო და მიმდინარე ფასდაკლებები, საცალო სავაჭრო ობიექტებში გაფართოვდეს უაღკოპოლო სასმელების ასორტიმენტი, წარმოდგენილი იყოს ყველა ლიდერი კომპანიის პროდუქცია;

მოწესრიგდეს საზოგადოებასთან ურთიერთობები, პრესაში, ინტერნეტში გამოქვეყნდეს სტატიები, ტელევიზიაში მოეწიოს თემატური გადაცემები, რომლებიც საზოგადოებას უკეთ გააცნობს ქართული ლიმონათის და მინერალური წყლების ღირსებებს;

გამოიკვლიონ მიზნობრივი საერთაშორისო ბაზრები (ჩინეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, იაპონია). შემუშავდეს დივერსიფიკაციის სტრატეგია ახალ ბაზრებზე, ითანამშრომლონ საერთაშორისო სტრატეგიულ ალიანსებთან. შეიქმნას პროდუქციის წინააღმდეგობის ოპტიმალური სისტემა, მომხმარებელს პროდუქცია მიეწოდოს უმოკლეს დროში.

დასკვნა

შედეგებმა ცხადყო, რომ, მიუხედავად სიძნელებისა, უაღკოპოლო სასმელებმა და მინერალურმა წყლებმა აითვისეს საერთაშორისო ბაზრები, პროდუქცია კონკურენტუნარიანია და აქვს სერიოზული წარმატებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საერთაშორისო მარკეტინგი გ. შუბლაძის რედაქტორობით. თბილისი, 2012, გვ. 128-163.
2. საერთაშორისო მარკეტინგი გ. შუბლაძის რედაქტორობით. თბილისი, 2012 წ. გვ. 142-162.
3. მარკეტინგის საფუძვლები. ვ. კოტლერი, გ. ამსტრონგი, მე-14 გამოცემა. თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი, 2015. გვ. 292-325.
4. მ. თოფჩიშვილი. უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების ბიზნესის განვითარების სტრატეგია საქართველოში. ავტორეფერატი. თბილისი, 2016.
5. <https://www.ragio tavisufleba/ge>;
6. www.geostat.ge

*Nana Kirvalidze
Sofio Macharashvili*

DEVELOPMENT PERSPECTIVES OF NONALKOHOLIC DRINKS AND MINERAL WATER MARKET IN GEORGIA

Summary

The article touches upon nonalcoholic drinks and mineral water market: production dynamics the structure of assortments structure of cost of production, pricing export and import tendencies, the number of enterprises. It is noticed that leader companies use natural materials to prepare nonalcohol drinks. Because of that in the cost price of production 70% are expenses on materials, and mineral waters unique by their medical features.

Nonalcohol drink and mineral water export is 4,1-5,8 of whole export in Georgia.

Nonalcoholic drinks and mineral water consumption has tendencies of growth due to use of tourist industry; 60-63% by is occupied coca cola and pepsy production 40% – lemonade.

Article examines all age group consumers results inquiry, authors also discuss nonalcoholic drinks and mineral water market development.

**შიდა ქართლის რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა და
მისი განვითარების პრობლემები**

ანოტაცია. ნაშრომში მოცემულია რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა თანამედროვე ეტაპზე. ასევე განხილულია შიდა ქართლის მხარის ეკონომიკური აქტივობა, რეგიონის ბუნებრივი პირობები, შემოსავლების ძირითადი წყაროები, მრეწველობის განვითარების ძირითადი ხელის შემშლელი პრობლემები, რეგიონის ტურისტული პოტენციალი, ასევე ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს რეგიონის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: რეგიონი, დასაქმება, შემოსავლები, ეკონომიკა, სტრატეგია

შესავალი

საქართველოს მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე განვლილი პერიოდი როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო. ეკონომიკა შორს აღმოჩნდა უსაფრთხო განვითარების აუცილებელი მინიმალური ზღვრული მაჩვენებლებისაგან. მან ფაქტობრივად დაკარგა გაფართოებული კვლავწარმოების და თვითგანვითარების უნარი. საქართველო თავისი ეკონომიკური განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩა აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიის და დსთ-ს ქვეყნებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მაღალგანვითარებულ ევროპულ ქვეყნებზე. დღეისათვის საქართველოში ეკონომიკის განვითარების დონე სასურველისაგან შორსაა. დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია უმუშევრობის დონე, გაზრდილია ინფლაცია. ინფლაცია და სამომხმარებლო ფასების ზრდა წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუარესების ძირითად ფაქტორს. ყოველივე ეს აისახება ქვეყნის რეგიონულ განვითარებაზე. ნაშრომში ნაჩვენებია შიდა ქართლის რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა და მისი განვითარების პრობლემები.

* * *

შიდა ქართლის რეგიონს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა უკავია, კერძოდ: დედაქალაქთან სიახლოვე, საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალისა და სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზის განლაგება. რეგიონის ბუნებრივი პირობები საკმაოდ მდიდარია, რაც სასურველ პირობებს ქმნის მოსახლეობის ყოფაცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობისთვის. რეგიონში წარმოდგენილი ხშირი ჰიდროტექნიკური მდინარე მტკვრის აუზს ეკუთვნის, ეს უკანასკნელი კი რეგიონის მთავარი საწყლოსნო არტერიაა. რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული ბუნებრივი ზონები ხასიათდება მრავალფეროვანი ნიადაგებით, საკმაოდ მდიდარი ფლორითა და ფაუნით.

1990-იანი წლების დასაწყისში, ამ მხარეში წარმოქმნილი ეთნიკურ-პოლიტიკური კონფლიქტების შედეგად, საქართველოს ხელისუფლებამ დაკარგა ფაქტობრივი კონტროლი შიდა ქართლში შემავალი ტერიტორიების ნაწილზე, რაც უარყოფითად აისახა რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივებზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეუღწევადობის, კონფლიქტისპირა ტერიტორიებზე უსაფრთხოების სირთულეებისა და ეკონომიკური აქტივობის უკიდურესი შეზღუდულობის გამო.

შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობა 2013 წელს 313 500 ადამიანს შეადგენდა, 2016 წელს ეს ციფრი 263 800-მდე შემცირდა. სავარაუდოდ, მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირება შიდა და გარე მიგრაციამ გამოიწვია. საქართველოში სულ 250,658 დევნილია, რომელთაგან 14,298 შიდა ქართლში ცხოვრობს, რაც ქვეყანაში დევნილთა 5.7% და რეგიონის მოსახლეობის 4.5%-ს შეადგენს. დევნილთა უდიდესი ნაწილი (თითქმის 70%) გორის მუნიციპალიტეტში და ქალაქ გორში ცხოვრობს. დევნილთა სოციალურ- ეკონომიკური ინტეგრაცია რეგიონის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს. რეგიონში საკმაოდ მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა. წლების განმავლობაში უმნიშვნელოდ გაიზარდა სამუშაო ადგილების რაოდენობა, გაზრდილი უმუშევრობის დონე იწვევს შრომით მიგრაციას. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა კი უშუალოდ არის დამოკიდებული ბიზნესექტორის, ეკონომიკის მწარმოებლური დარგების განვითარებაზე. განსაკუთრებული როლი აღნიშნულ პროცესში საშუალო და მცირე ბიზნესს ენიჭება.

რეგიონში შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს შემოსავლები სოფლისმეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან, ასევე, არაფულადი შემოსავლები, ანუ საკუთარი წარმოების კვების პროდუქტების მოხმარება. რეგიონის შინამეურნეობების ფულად შემოსავლებში მაღალია უცხოეთიდან მიღებული გზავნილებისა და ახლობლებისაგან მიღებული დახმარებების მოცულობა. რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რიცხვიდან თვითდასაქმებულთა წილი 77% შეადგენს, რაც სოფლის მოსახლეობაში წვრილ გლეხურ (საოჯახო) მეურნეობებში დასაქმებულთა წილს ასახავს. ამის შედეგად შიდა ქართლის დასაქმების, აქტივობისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებლები შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლები.

შიდა ქართლში მაღალია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის (დაახლოებით 20%), მათ შორის უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებთა (8%-ზე მეტი) ხვედრითი წილი. ასეთი ვითარება რეგიონში, გარკვეულწილად, დევნილთა დიდი რაოდენობით შეიძლება აიხსნას. რეგიონში ყველა სამედიცინო და სოციალური პროგრამა ხორციელდება, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ასევე მუნიციპალიტეტებში ხორციელდება ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებიც.

შიდა ქართლის მხარის ეკონომიკური აქტივობა ძირითადად შემდეგი დარგების საფუძველზე ხდება: სოფლის მეურნეობა (აგროწარმოება), მრეწველობა, ტურიზმი, ვაჭრობა (კომერცია), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ენერჯეტიკა, მშენებლობა (გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის ჩათვლით) და სხვა. შიდა ქართლში კაპიტალის შემოდინება და ინვესტიციების ბაზარი, ბევრი სხვა სექტორის მსგავსად, 2006 წლიდან (29.1 მლნ ლარი) 2008 წლამდე (118.9 მლნ ლარი) მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ომის შემდგომ პერიოდში კი მკვეთრი დაცემის ტენდენციით გამოირჩა. აღნიშნულის უმთავრეს მიზეზს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი წარმოადგენს.

შიდა ქართლის რეგიონში მრეწველობა არ გამოირჩევა განვითარების მაღალი დონით, არც დარგების მრავალფეროვნებით, დასაქმებულთა რაოდენობით და პროდუქციის გამოშვების მოცულობით. სასაქონლო სტრუქტურის მიხედვით რეგიონის მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქცია ძირითადად იყოფა ორ ნაწილად: კვების პროდუქტები და სამშენებლო მასალები. თავისი მნიშვნელობით რეგიონში გამოირჩევა მრეწველობის ისეთი საწარმოები როგორცაა: ქ. გორში: შპს „ჯეოკონცენტრალი“, შპს „ფორტე“, სს „დილა“, საკონსერვო ქარხანა „კულა“ და სხვა; კასპში: „საქცემენტის კასპის ქარხანა“, „ნატურალპროდუქტი“ (აგურის წარმოება) და სხვა; დაბა აგარაში „შაქრის ქარხანა“.

მიმდინარე ეტაპზე შიდა ქართლის რეგიონში მრეწველობის განვითარების ძირითად ხელის შემშლელ პრობლემებს წარმოადგენს: ინვესტიციების დაბალი მაჩვენებელი, მაღალი საბანკო პროცენტები კრედიტებზე, მოსახლეობის დაბალი შემოსავლები, კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე. თუმცა არსებობს დადებითი მხარეებიც, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელი იქნება ინვესტიციების მოზიდვა და ადგილობრივი კაპიტალის დაბანდების ზრდა. მრეწველობის განვითარების საქმეში დადებით მხარეებად შეიძლება ჩაითვალოს იაფი სამუშაო ძალა, ავტო და სარკინიგზო მაგისტრალბთან სიახლოვე, შედარებით იაფი და მრავალფეროვანი მიწის რესურსი, ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება, ლიბერალური საგადასახადო საკანონმდებლო გარემოს შექმნის შესაძლებლობა და სხვა.

შიდა ქართლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია. მისი მნიშვნელობა საქართველოს მასშტაბით გამორჩეულია მეხილეობის თვალსაზრისით. რეგიონი ყოველთვის განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ვაშლის წარმოებით. ხილის უმეტესი სახეობების წარმოების მოცულობის მიხედვით შიდა ქართლის რეგიონი პირველ ადგილზეა ქვეყანაში; კაკლის წარმოებით II ადგილზეა, ყურძნის წარმოებით IV ადგილზე, ხოლო ბოსტნეულის წარმოებით II ადგილზეა.

აუცილებელია აღინიშნოს შიდა ქართლის ტურისტული პოტენციალიც, რაც ამ მხარეში არსებულ კულტურულ-ისტორიული თუ რელიგიური ღირებულების მქონე ძეგლების სიმრავლეს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, რეგიონის გრძელვადიანი განვითარებისათვის ტურისტული პოტენციალი განიხილება, როგორც მისი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი სფერო. ბოლო წლების დინამიკის მიხედვით შიდა ქართლის რეგიონში ტურისტებისა და ვიზიტორების ნაკადები საგრძნობლად არის გაზრდილი, რაც დადებით ტენდენციას წარმოადგენს. ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობის მატების განმაპირობებელ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია რეგიონულ დონეზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები, ზოგადად კრიმინალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება მსოფლიოს წამყვან მედიაში და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობაც, კერძოდ, დაბალია კოორდინაციის ხარისხი დედაქალაქში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებსა და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არსებული ტურისტული ობიექტების წარმომადგენლებს შორის; ტურისტული ინფრასტრუქტურა საჭიროებს უკეთეს განვითარებას; სასურველია ობიექტების დათვალიერებაზე დაწესებული ტარიფების შემცირება; ტურისტული ობიექტებზე სისუფთავის დაცვის გაძლიერება.

რეგიონს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, თუმცა საჭიროა სწორი ტურისტული ნიშის პოვნა და კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტების განვითარება და შეთავაზება. რეგიონში შესაძლებელია უკეთ განვითარდეს სამკურნალო ტურიზმი, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმი, აქტიური და ექსტრემალური ტურიზმი. ტურიზმის განვითარება, თავის მხრივ, შემოსავლების ზრდისა და მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს. სასურველია ტურიზმისათვის აუცილებელი მეტი კვებისა და დასვენების ობიექტების – პუნქტების, კერძო საოჯახო სასტუმროების შექმნა, ყველა კულტურულ ძეგლთან ტურისტული ცენტრების შექმნა, რაც, თავის მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების საშუალებას წარმოადგენს და დამატებით სტიმულს ქმნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გასაღებისათვის.

შიდა ქართლის რეგიონში მომსახურების სფეროს მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის, რაც პირდაპირ აისახება ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარების დაბალ დონეზე. აღსანიშნავია, რომ რეგიონი განიცდის გართობისა და დასვენების ობიექტების დეფიციტს. გამოდინარე აქედან, ხშირია შემთხვევა, როდესაც ტურისტები რომელიმე ობიექტების ხანმოკლე დათვალიერების შემდეგ კვლავ თბილისში ბრუნდება, არა მხოლოდ დამის გასათევად, არამედ გართობის მიზნითაც კი. რადგან უცხოელი ტურისტები ვერ პოულობენ სხვადასხვა ტიპის გასართობ ობიექტებს (მაგ., კაფეებს, ღამის კლუბებს, გასართობ ცენტრებს და სხვ.). ხშირად ტურისტებს ნაკლებად აქვთ შიდა ქართლის რეგიონში ღამის გათევის სურვილი და ამდენად ისინი მხოლოდ „ტრანზიტულ“ ვიზიტორებად გვევლინებიან, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ტურისტების მხრიდან რეგიონში ფინანსების ხარჯვის შესაძლებლობას.

ბიზნესსაქმიანობის სფეროს თვალსაზრისით, შიდა ქართლში მოქმედი კომპანიებიდან ყველაზე მეტი ვაჭრობის სექტორსა (41%) და კვების მრეწველობაში (12%) ფუნქციონირებს. შიდა ქართლის მხარეში მრეწველობა ძირითადად მცირე და საშუალო საწარმოების სახით არის წარმოდგენილი. მუდმივი ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესი გავლენას ახდენს თანამედროვე წარმოებაზე და აჩენს არსებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის განახლების აუცილებლობას. კონკურენტუნარიანი წარმოება წარმოუდგენელია შედარებით მოძველებული ტექნოლოგიით, ვინაიდან მუდმივად იზრდება მომხმარებლის მოთხოვნილება მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომი ფასისა და თანამედროვე სტანდარტებით წარმოებულ პროდუქციაზე. სახელმწიფოს ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა განაგრძონ მრავალფუნქციური ტექნიკის იმპორტის პროცესი და არსებული პარკის განახლების პოლიტიკის განხორციელება. პრიორიტეტულია გადამამუშავებელი საწარმოების გადაიარაღებისა და მშენებლობების სტიმულირება. აგროწარმოების გამოცოცხლება რეგიონში შემდეგ ინოვაციურ მიდგომებსა და ახალი მეთოდების დანერგვასთანაა დაკავშირებული: ხეხილის თანამედროვე სანერგე მეურნეობების მოწყობა-გაძლიერება და გაფართოება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და კონდიციური ხეხილის ნერვის წარმოებისთვის ხელშეწყობა; ხილის შესანახი თანამედროვე სასაწყობე მაცივრების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა თითოეული რაიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. ასევე მნიშვნელოვანია ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება კიდევ უფრო მეტი მოკლევადიანი კურსების შექმნის მეშვეობით. სათანადო წიგნების, ბროშურების, გაზეთების გამოცემა და სხვა სახის ინფორმაციით დახმარება. საერთაშორისო გამოფენებში ადგილობრივი მეხილე ფერმერების მონაწილეობა, პერსპექტიული, მაღალმოსავლიანი სხვადასხვა ჯიშის ხილის გაშენება შიდა ქართლის რაიონებში; ხეხილის ბაღებში თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემების მონტაჟი; თანამედროვე ორგანიზაციების და სხვა სუბიექტების მონაწილეობის გააქტიურება.

დასკვნა

ამრიგად, ნაშრომში შევეცადეთ გადმოგვეცა შიდა ქართლის რეგიონში ეკონომიკის წამყვან დარგებში – მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის ანალიზი. ხაზი გავუსვით იმ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რომელთა არსებობის გამოც ფერხდება აღნიშნული დარგების განვითარება, და შევეცადეთ დაგვესახა ის აუცილებელი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს რეგიონში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ შიდა ქართლის ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკის ზრდაში არსებული პრობლემები რუსეთ-საქართველოს ომისა და ეკონომიკური კრიზისის უშუალო შედეგია. მხარის განვითარების პერსპექტივა დიდად არის დამოკიდებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობების დარეგულირებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე ი. 2010. „საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი“.
2. მესხია ი., გველესიანი გ. 2010, „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა“
3. გორის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და განვითარების გეგმა, 2011.
4. შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021.
5. ჭითანავა ნ., თაკვანაძე ლ., 2008, სოციალური ეკონომიკა, ნაწ. I., თბილისი, 596 გვ.
6. ჯიბუტი მ., 2008, საქართველოს რეგიონული მოწყობის საკითხისათვის, შრომები.
7. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „სიახლე“, გვ. 157-186.
8. <http://www.GeoStat.Ge>
9. gov.ge/files/275_38364_967251_136417.09.13-1.pdf
10. www.nplg.gov.ge/.../library.exe?
11. www.atsu.edu.ge/en/images/pdf/disertaciebi/disertacia_samchkuashvili%20nino.pdf
12. shidaqartli.blogspot.com/2009/04/blog-post_5241.html

THE ECONOMIC SITUATION OF THE SHIDA KARTLI REGION AND THE PROBLEMS OF ITS DEVELOPMENT

Summary

The period after the achievement of Georgia's political independence to the present day was politically and economically difficult and contradictory. Its economy was far from the basic parameters of safe development. Georgia is far behind the countries of Eastern Europe, the Baltics and the CIS.

At present, the level of economic development of Georgia is far from desired. In the country, low is business activity, high is unemployment, inflation increases, and the national currency is depreciated. Inflation and the growth of consumer prices are a key factor in the deterioration of the level and quality of life of the population. All this affects the regional development of the country. The article shows the economic situation of the Shida Kartli region and the problems of its development.

Shida Kartli is a historical and geographical province and consists of the central part of Shida Kartli. As a result of the ethnic and political conflicts that arose in the early 1990s, the Georgian government lost control over part of Shida Kartli. In the region there is a severe socio-economic situation. The problem of employment is acute.

Economic activity of Shida Kartli is mainly based on the following areas: agriculture, industry, tourism, trade, transport and communications, energy and construction.

The problem of employment in the region is quite acute. Over the past years, the number of jobs has not increased, and the growth of unemployment has led to labor migration. The main source of income in the region is income from the sale of agricultural products. The amount of assistance received from remittances and relatives received from abroad is higher in the monetary incomes of the region.

Shida Kartli is one of the most important regions for the development of agriculture in Georgia. A special place in the region is the production of apples.

It is necessary to note the tourist potential of Shida Kartli, which is connected with the cultural, historical and religious values in the region. Most companies operating in Shida Kartli work in the business sector (41%) and 12% in the food industry.

The article analyzes the situation in the leading sector of the economy of the Shida Kartli region, industry and agriculture. It should also be noted that the economic weakness of this region and the problems of economic growth are a direct result of the war with Russia and the economic crisis. The prospect for the development of the region largely depends on the promotion of political reconciliation between the Georgian government and the separatist regime of South Ossetia.

მედეა მელაშვილი
ქეთევან ქველაძე
ნუნუ ქისტაური

მსოფლიოში საზოგადოებრივი საბანკინგო სისტემები და მათი განვითარების თანამედროვე ტენდენციები

ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება მსოფლიოში ბოლო პერიოდში ყველაზე წარმატებული განვითარების სისტემების ანალიზს, როგორცაა ფინეთის და სამხრეთ კორეის საგანმანათლებლო სისტემები, რომლებიც მრავალი საერთაშორისო კვლევის სარეიტინგო სიებში განუხრელად იკავებენ ლიდერის პოზიციებს. ავტორებს შესწავლილი აქვთ მითითებული ქვეყნების განათლების სისტემები, ჩატარებული აქვთ მათი შედარებითი ანალიზი და განხილული აქვთ მათი განვითარების თანამედროვე ტენდენციები.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო სისტემა, ფინეთის განათლების სისტემა, სამხრეთ კორეის განათლების სისტემა.

2012 წელს კომპანია „Economist Intelligence Unit“-მა 40 ქვეყანაში ჩატარა გამოკვლევა. ეს ქვეყნები შეადარეს სამი სხვადასხვა ინდექსით – შეაფასეს ახალგაზრდებისა და მოსწავლეების კოგნიტური (ცოდნის დაუფლების) შესაძლებლობები, საერთო განათლების დონე, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნა. კვლევის მიხედვით პირველი ათეული ასე გამოიყურება: ფინეთი, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, იაპონია, სინგაპური, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, შვეიცარია და კანადა. ამ დროიდან მოყოლებული, ყოველწლიურ კვლევებში მოწინავე ქვეყნების სია არ შეცვლილა. როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების გათვალისწინებით გამოიკვეთა ლიდერი ქვეყნები – ფინეთი და სამხრეთ კორეა, ჩვენთვის საყურადღებო სწორედ ის აღმოჩნდა, რომ ამ სიას სათავეში ტიპური ევროპული ქვეყანა - ფინეთი უდგას, მას კი ტიპური აზიური ქვეყანა სამხრეთ კორეა მოსდევს. დაგვაინტერესა, რა აახლოვებს ან რა გა-

ნასხვავეებს ერთმანეთისაგან ორ, განათლების მხრივ ყველაზე წარმატებულ ქვეყანას, რითი შედეგს მათ ლიდერობისათვის მიეღწიათ.

ამ ორ ქვეყანაში დამკვიდრებული საგანმანათლებლო სისტემები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. სამხრეთ კორეაში, ისევე როგორც აზიის ქვეყნების უმეტესობაში, მთავარი აქცენტი დაისმის მოსწავლის მიერ მასალის „დასწავლაზე“, რაც მიიღწევა მოსწავლეთა მიერ კლასში მაქსიმალური დროის გატარებით. გარდა ამისა, სამხრეთკორეელი მოსწავლეების უმეტესობა დამატებით დადის კერძო სკოლებში თუ რეპეტიტორებთან. რაც უფრო მაღალ კლასშია მოსწავლე, ასეთი გააკეთილები უფრო და უფრო მრავლდება. სამხრეთკორეული სწავლების მოდელი მოსწავლეებისგან დიდ ნებისყოფას, მიიძე შრომასა და თავდადებას მოითხოვს. ბავშვები მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ როგორც სკოლის კედლებში, ასევე მის გარეთ - კერძო რეპეტიტორებთან. მშობლები აღნიშნავენ, რომ მათი ყოველწლიური ხარჯების ერთი მესამედი შვილების განათლებაზე მოდის. ბავშვებს ტრადიციულად სწამთ, რომ გრძელვადიანი ბედნიერებისთვის მოკლევადიანი უბედურების პერიოდები უნდა განვლონ. აქ პიროვნების მიღწევები განათლებაში, მის სოციო-ეკონომიკურ სტატუსს განაპირობებს. ბავშვების მთელი გარემომცველი სამყარო თავიდანვე ქმნის იმის მოლოდინს, რომ ბავშვმა უნდა ისწავლოს კარგად, რაც შემდგომში ძირითად მოტივს წარმოადგენს მოსწავლეებისათვის, იშრომონ მეტი და მიიღწიონ მეტს. ფინეთში მიდგომა სხვაგვარია. აქ სწავლების მთავარი პრინციპია, დაეხმარონ მოსწავლეს სასწავლო მასალის გაგებაში, რათა შემდეგ მხოლოდ კი არ გაიმეოროს ნასწავლი, არამედ ცხოვრებაში გამოიყენოს საკუთარი ცოდნა. სკოლამ ბავშვებს უნდა მისცეს არა მხოლოდ განათლება, არამედ რეალური უნარები, რომლებიც მათ დღეს და მომავალშიც გამოადგებათ. ფინური სასწავლო მოდელის მიხედვით, მთავარია სწავლა და არა დასწავლა.

ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული მათგანი. სამხრეთკორეული საგანმანათლებლო მოდელის ჩამოყალიბებაზე გარკვეულწილად გავლენა მოახდინა ისტორიულმა პროცესებმა. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იაპონიის გავლენით აქ დამკვიდრდა განათლების პროსიული მოდელი, თუმცა კორეული სკოლების მოსწავლეთა 60%-ს იაპონელი ბავშვები შეადგენდნენ. ამავე დროს, ამ ტიპის (პროსიული მოდელის) სკოლა ახალგაზრდას ძირითადად უმაღლესი სკოლისთვის ამზადებდა, ანუ ამზადებდა ელიტის წევრს. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1945 წლიდან, ამერიკული ოკუპაციის პერიოდში სამხრეთ კორეის საგანმანათლებლო სისტემა დასავლურ (ამერიკულ) მოდელზე გადაეწყო, პროსიული სკოლის გავლენა მაინც ძლიერი დარჩა,

2001 წლიდან სამხრეთ კორეის მთავრობამ პრიორიტეტად გამოაცხადა ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა. აქ შემოღებულია სავალდებულო 9 წლიანი განათლება. სამხრეთ კორეაში არსებობს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაწესებულებით სკოლები. სამხრეთკორეულ საშუალო სკოლაში პრიორიტეტი ენიჭება რამდენიმე საგანს: მათემატიკას, კორეულ და ინგლისურ ენებს, ზუსტ მეცნიერებებს. „დამატებითია“ სახელოვნებო საგნები, ისტორია, ფიზიკური კულტურა, ჩინური იეროგლიფიკა, ეთიკა, საოჯახო ეკონომიკის მართვა, კომპიუტერული განათლება.

სამხრეთკორეულ სკოლებში მოქმედებს რეიტინგული სისტემა. რაც უფრო მაღალი რეიტინგი აქვს მოსწავლეს, მით მეტია უნივერსიტეტში ან კოლეჯში მოხვედრის შანსი. ვინც უნივერსიტეტში ან კოლეჯში არ აბარებს, შეუძლია სწავლა პროფესიულ სასწავლებელში განაგრძოს.

უმაღლესი სკოლები (ჰაისქულები) ორ კატეგორიად იყოფა: საერთო საგანმანათლებლოდ და პროფესიულად. საერთო საგანმანათლებლო უმაღლესი საფეხურის სკოლებში სწავლობენ ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო საგნებს, ხელოვნებას და უცხო ენებს. პროფესიულ ჰაისქულებში ახალგაზრდები ცოდნას იღებენ კომპიუტერულ ტექნიკაში, შეისწავლიან ბიზნესადმინისტრირებას, მანქანათმშენებლობას, სოფლის მეურნეობას და საზღვაო საქმეს. არის არცთუ ისე ბევრი შერეული ტიპის საერო სკოლა, სადაც ისწავლება როგორც საერთო საგანმანათლებლო, ასევე პროფესიული საგნები. უმაღლესი სასწავლებლებიც კოლეჯები და უნივერსიტეტები არის სახელმწიფოც და კერძოც.

ჰაისქულის დასრულება აუცილებელი არ არის. მიუხედავად ამისა, მოსწავლეების 93% სკოლას მოცემულ ვადაში ამთავრებს. მოსახლეობის 68% ფლობს ბაკალავრის ხარისხს 25-34 წლის ასაკში, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია OECD (Organisation for Economic Cooperation and Development) წევრ ქვეყნებს შორის. კორეის სამუშაო ძალა კი ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და მაღალი უნარების მქონეა მსოფლიოში. 2015 წლისთვის ახალგაზრდა სამხრეთკორეელების 97%-მა დაასრულა უმაღლესი სკოლა (ჰაისქული). ამას თავისი მიზეზები აქვს: ვინც ამას ვერ ახერხებს, მას ეკონომიკური და სოციალური წარმატების ნაკლები შანსი რჩება. უმაღლესი განათლების დიპლომი ახალგაზრდა კორეელს სოციალური სტატუსის ამაღლების, მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობას აძლევს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სკოლაში, ისე უმაღლეს სასწავლებლებშიც (უნივერსიტეტში, კოლეჯში) კორეულ ახალგაზრდას საკმაოდ დატვირთული გრაფიკით უწევს სწავლა. საინტერესოა, რომ სამხრეთ კორეაში 5-6 წლამდე ასაკის ბავშვების აღზრდა ძალიან ლიბერალური მეთოდებით მიმდინარეობს, სკოლაში შესვლისთანავე კი ბავშვს უკვე მკაცრი, მომთხოვნი მეთოდებით ზრდიან. სწავლება მეტად დაძაბული გრაფიკით მიმ-

დინარეობს: თითქმის მთელი დღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ასევე – თვის პირველ, მესამე და მეხუთე შაბათს ნახევარი დღე. შაბათობით მოსწავლეები მეცადინეობენ დამატებით წრეებშიც. სამხრეთკორეული სკოლები გამოირჩევა მკაცრი დისციპლინით. იყენებენ დასჯის ფიზიკურ მეთოდებსაც. საერთოდ, გამოკითხული სამხრეთკორეული მშობლების 73% აცხადებს, რომ ბავშვებს ფიზიკურად სჯიან.

როგორც საშუალო სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში დატვირთვა იმდენად დიდია, რომ ახალგაზრდებს დასვენებისა და გართობისთვის ძალიან მცირე დრო რჩებათ. უმაღლესი საფეხურის საშუალო სკოლებში ტესტირება სემესტრში ორჯერაა და ის იმდენადვე მნიშვნელოვანია, რამდენადაც უნივერსიტეტში ან კოლეჯში მისაღები გამოცდები. მიიჩნევა, რომ ასეთი ტესტის დასაძლევად ახალგაზრდებმა 60-დან 100 ფურცლამდე ტექსტი უნდა დაიმახსოვრონ. წარმატებისთვის მათ უწევთ პირად, საზოგადოებრივ თუ ოჯახურ ცხოვრებაზე უარის თქმა. ასევე ძალიან მძიმეა დატვირთვა უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში. ეს „საგამოცდო ჯოჯოხეთი“ და, საერთოდ, სწავლისას მძიმე დატვირთვები მიიჩნევა კორეულ ახალგაზრდებში სუიციდის სისშირის ერთ-ერთ მიზეზად (სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ახალგაზრდების სიკვდილიანობის მიზეზთაგან პირველ ადგილზეა ავტოკარია, ხოლო მეორეზე - სუიციდი).

ახლა რაც შეეხება ფინეთის განათლების სისტემას. ფინელი მოსწავლეები შედარებით მოკლე სასწავლო საათებს ატარებენ საკლასო ოთახებში, დროის ძირითადი ნაწილი კი არასაკლასო საშუალებებს ეთმობა. ფინელებს სჯერათ, რომ ცოდნის ყველაზე დიდი ნაწილი სასწავლო კედლებს გარეთ მიიღება. უმაღლეს კლასებში საგნების მესამედი არჩევითია და მოსწავლეები თავად წყვეტენ არა მარტო იმას, თუ რომელი საგნები ისწავლონ, არამედ იმასაც, თუ რომელი გამოცდები ჩააბარონ. ფინელი მასწავლებლები არ არიან ვალდებული, დაემორჩილონ წინასწარ განსაზღვრულ რეგულაციებს, მათ აქვთ უფლება, შეიმუშაონ საკუთარი ინოვაციური სასწავლო გეგმა და ჩაატარონ ექსპერიმენტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინეთში როგორც დაწყებითი, ასევე უმაღლესი კლასების მასწავლებლებს მოეთხოვებათ მაგისტრის ხარისხის ფლობა. მომავალ მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საუკეთესო აკადემიური მოსწრება.

ფინეთში მოსწავლეები სწავლას 7 წლის ასაკიდან იწყებენ და 16 წლის ასაკში ამთავრებენ საშუალო განათლების მიღებას, რასაც მოსდევს 3 წლიანი არასავალდებულო ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა ან პროფესიული სწავლება, რის შემდეგაც ისინი აბარებენ უნივერსიტეტებში ბაკალავრის ხარისხის დასაუფლებლად. შესაბამისად, მოსწავლეს მიღებული აქვს გარკვეული პრაქტიკული უნარები მისთვის საინტერესო სფეროში და შეგნებულად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა პროფესიის დაუფლება სურს საბაკალავრო საფეხურზე. ფინურ „ნოუ-ჰაუს“ წარმოადგენს გაკვეთილის დაგეგმვის "თანასწავლების" მეთოდი, რაც პროცესში ერთზე მეტი საგნის სპეციალისტის ჩართვას გულისხმობს. მასწავლებლებს, ვინც ამ სისტემაზე გადადიან, ხელფასზე დანამატსაც სთავაზობენ. 2016 წლისათვის სკოლის მასწავლებელთა 70 პროცენტს უკვე ჩაუტარდა ახალ სისტემაზე გადასვლის ტრენინგი.

საერთაშორისო გამოცდილებით, ფინელი მოზარდები მსოფლიოს ყველაზე ჭკვიანთა რეიტინგში ლიდერობენ 15 წლის მოსწავლეებში. ბოლო წლებში ისინი განუხრელად უმაღლეს შეფასებას იმსახურებენ 57 ქვეყნის მონაწილეთა შორის.

სხვა ქვეყნების თანატოლების მსგავსად, ისინი ბევრ დროს უთმობენ კომპიუტერსა და ინტერნეტს, უსმენენ რეკსაც და მძიმე როკსაც, თუმცა საშუალო სკოლაში (მე-9 კლასიდან) სერიოზულად ეკიდებიან მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლას, რომლებსაც ურთულესი პროგრამებით გადიან. ალბათ, საშუალო სკოლაში რთული პროგრამების დაძლევით და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით აიხსნება ის, რომ ფინელები მსოფლიოში ყველაზე კარგ მუშაკებად და მოხელეებად არიან მიჩნეული.

ფინეთი პირველ ადგილს არავის უთმობს პროგრამების საერთაშორისო შეფასებისას, როცა კომბინირებული შეფასებებით მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევები ფასდება ბოლო გამოცდის დროს (რომელიც მსოფლიო მასშტაბით ტარდება ყოველწლიურად). ფინელი სტუდენტები ზოგად მეცნიერებებსა და უმაღლეს მათემატიკაში მუდამ საუკეთესო შედეგებს აჩვენებენ.

ფინელი მოსწავლეების აკადემიურმა წარმატებამ მრავალი ქვეყნის მასწავლებელთა და განათლების სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. ისინი ყოველწლიურად აკვირდებიან და იკვლევენ, თუ როგორ მოახერხა სახელმწიფომ, ჰქონდეს ასეთი განათლების სისტემა, ჰყავდეს ამდენი მაღალკვალიფიციური მასწავლებელი და სისტემატურად ზრუნავდეს მათ პროფესიულ განვითარებაზე.

ბავშვები, უკვე დაწყებით ეტაპზე ბევრ რამეს უფროსების დახმარების და ჩარევის გარეშე აკეთებენ. ყველა საფეხურზე მასწავლებლები გაკვეთილის გეგმებსა და სტრატეგიებს მათთან შეთანხმებით და მათი მონაწილეობით ადგენენ. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში. მოსწავლეთა თვითმმართველობები კი - სკოლის მართვაში. აქ არ არსებობს ვლიტური სკოლები, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები სისტემის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ფინელი მასწავლებლები აქტიურად იყენებენ თანამედროვე ტექნიკურ შესაძლებლობებს, მოსწავლეებს სკოლაში მკაცრად ეკრძალებათ მობილური ტელეფონით

სარგებლობა. პედაგოგები გააკვეთილზე სისტემატურად იყენებენ ინტერნეტრესურსებს, ასევე ინტერნეტის საშუალებით ხშირად ურთიერთობენ მოსწავლეებთან.

ფინელი მოსწავლეები გააკვეთილზე პრაქტიკული სავარჯიშოების კეთებით არიან დაკავებულნი. მასწავლებლების მიზანია მოსწავლემ გააკვეთილზევე აითვისოს ახალი მასალა და შინ ძალიან მცირე პქონდეს გასაკეთებელი. ამიტომ ისინი ყველა გააკვეთილზე იყენებენ ტესტური გამოკითხვის ფორმას, ჯგუფური მუშაობის სხვადასხვა მეთოდს, მცირე კონკურსებს და გააკვეთილის შემდგომ ინდივიდუალურ მეცადინეობას მათთვის, ვისაც ახალი მასალის ათვისება უჭირს.

სკოლებში თვალში საცემია ის, რომ მომსახურე პერსონალის და მასწავლებელთა გარდა, ბევრი სტაჟორია დასაქმებული, რომლებიც აუცილებელ პრაქტიკას გადიან.

მეცნიერები დაობენ რომ, მიუხედავად ნებისმიერი, კერძოდ კი განათლების სამხრეთკორეული სისტემის წარმატებისა საერთაშორისო რეიტინგებში, სადაც ეს წარმატება მიიღწევა ბავშვების სტრესის ხარჯზე, მიზანშეწონილია თუ არა აღნიშნული მოდელის გამეორება.

ფინელები სწორედ იმით ამაყოფენ, რომ მათი სასწავლო სისტემა ნაკლებად სტრესულია და გახსნილია სხვადასხვა ტიპის სწავლების მეთოდებისადმი. შედეგად, განსხვავება ყველაზე საუკეთესო მოსწავლესა და ყველაზე დაბალი მოსწავლეს მოსწავლეებს შორის მინიმალურია მსოფლიო მასშტაბით, ისევე როგორც სამხრეთ კორეაში, ფინეთშიც მაღალია სკოლა-დამთავრებულთა რიცხვი. ყოველწლიურად მოსწავლეთა საშუალოდ 93% ამთავრებს სკოლას.

ფაქტორები, რომლებიც ძირითადად უზრუნველყოფს ჩვენ მიერ შესწავლილი საგანმანათლებლო სისტემების წარმატებას, რამდენიმეა, მაგრამ მათ შორის, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია სოციალურული ფაქტორი. იგი მოიცავს ნაციონალურ ტრადიციებს, ეროვნულ კულტურასა და ყოფას.

ორივე ქვეყნისათვის დამახასიათებელია მშობლების მიერ თავიანთი შვილების განათლების მაღალი დონის პირველხარისხოვან ამოცანად დასახვა. თუმცა აბსოლუტურად განსხვავებულია ამ ამოცანის გადაჭრის გზები: ერთგან გადამეტებული ღიბერალობა, ხოლო მეორეგან ასევე გადამეტებული სიმკაცრე. მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, შედეგი ორივეგან შესაშურია. საქმე ისაა, რომ სწორედ აქ იხენს ნაციონალურ-კულტურულ-ტრადიციული განსხვავება. ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს თავისი ტრადიციები, რომელსაც მისდევს როგორც უფროსი (მშობლების), ასევე უმცროსი (შვილების) თაობები. ევროპულ ქვეყნებში ახალგაზრდები ძალიან ადრე იწყებენ მშობლებისაგან დამოუკიდებელ ცხოვრებას, მაგრამ ასევე ძალიან ადრე ითავისებენ პასუხისმგებლობას საკუთარი მომავლისადმი. აქ მთავარია ახალგაზრდებმა ადრევე გაიგონ განათლების ყველა „სიკეთე“, დანარჩენი მხოლოდ მათ მონდომებაზე დამოკიდებული. მშობლების ფუნქცია ამ „სიკეთის“ სწორად ასხნა და ინსტიტუციური მოწყობაა. აზიურ ქვეყნებში, პირიქით, დღესაც ძალიან ძლიერია უფროსებისადმი ტრადიციული პატივისცემა და მათი გადაწყვეტილებების თითქმის უპირობო მიღება, თუნდაც ეს არანორმალურ შრომას მოითხოვდეს. შვილების ამდაგვარ მორჩილებას მშობლები საგანმანათლებლო სისტემის წარმატებული მოწყობით და შვილების სწავლის თითქმის მთელი პერიოდის ფინანსური უზრუნველყოფით პასუხობენ.

სამხრეთ კორეისა და ფინეთის საგანმანათლებლო სისტემებს საერთოდ აქვთ. ეს არის პროფესიონალი მასწავლებლების მაქსიმალურად მაღალი დონე. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნების განათლების სისტემა დგას არა ნიჭიერ მოსწავლეებზე, არამედ ნიჭიერ მასწავლებლებზე. ორივე ქვეყანაში პედაგოგის ადგილზე კონკურსი ძალიან დიდია. ყოველივე ამის გამო თითქმის ყველა მასწავლებელს ან მაგისტრის, ან სამეცნიერო ხარისხი აქვს. მასწავლებლის პროფესიის ასეთ პოპულარობას უზრუნველყოფს მათი საქმიანობის მაღალი ანაზღაურება. კერძოდ, ფინეთში მასწავლებლის ხელფასი საშუალო ან საშუალოზე ოდნავ მაღალია, ხოლო სამხრეთ კორეაში – საშუალოზე ორჯერ მეტი.

ფინელების წარმატებების ერთ-ერთი მიზეზი სავარაუდოდ ისიცაა, რომ მათ ძალიან უყვართ წიგნები. ყველა სავაჭრო ცენტრსა თუ საოფისე შენობაში შეხვდებით წიგნის მაღაზიას, რომელიც ამავედროულად ბიბლიოთეკაა. ისინი ბევრს კითხულობენ ინგლისურ ენაზე. 2016 წელს ამერიკის განათლების დეპარტამენტის და განათლების ეროვნული ასოციაციის დასკვნაში ფინეთი ინგლისური ენის ცოდნითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სკანდინავიისა და ევროპის არაინგლისურენოვან ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე აღმოჩნდა. რაც შეეხება კორეას, აქ წიგნიერების დონე 100%-ია.

და ბოლოს, უნდა დავაფიქსიროთ, რომ ორივე ქვეყნის - ფინეთის და სამხრეთ კორეის - განათლების სისტემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორივე შემთხვევაში შედეგი დადებითია და ამტკიცებს, რომ წარმატებული განათლების სისტემა, როგორც ნებისმიერი ქვეყნის ინოვაციური სისტემის ძირითადი ელემენტი ქვეყნის მომავალი ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://ka.wikipedia.org/wiki/განათლება>
2. <http://www.mes.gov.ge/content.php?id=7562&lang=geo> სამხრეთ კორეასთან თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადადის
3. <http://mastsavlebeli.ge/?p=2356> განათლება სამხრეთ კორეაში

4. http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=1513 საგანმანათლებლო სისტემის ტოპ-ოცეული - აზიის ქვეყნების წარმატების საიდუმლო
5. <https://edu.aris.ge/news/> როგორია განათლების დონე მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებში და განსაზღვრავს თუ არა მას ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებელი
6. <http://forbes.ge/blog/215/>
7. <https://ru.wikipedia.org/wiki>
8. <http://www.koreya24.ru/zizn-v-severnoi-koree/obrazovanie-v-severnoi-koree> Образование в Северной Корее
9. <http://www.best-country.org/asia/korea/education>
10. https://knowledge.allbest.ru/pedagogics/3c0b65635a3ad79b4d53a88421306c37_0.html Система образования Республики Кореи и КНДР

*Medea Melashvili
Nunu Kistauri
Ketevan Kveladzes*

**THE BEST EDUCATIONAL SYSTEMS IN THE WORLD AND MODERN
TRENDS IN THEIR DEVELOPMENT
Summary**

Successful education system is the basis of the innovative development of any country. In recent years, Finland and South Korea occupy the positions of leaders in many international ratings of the world education system research. Educational systems established in these two countries differ significantly from each other. In South Korea, the main emphasis is placed on the student's studies directly at school. This is achieved by maximizing the time in the class. In addition, most of South Korean students go to private schools and tutors. The approach in Finland is different. The main principle of teaching here is to help the learner to understand the material in order to make it easier in future to use in the life i.e, the main thing here is to study and not learn. Consequently, pupils spend less time in classrooms and most of the time is devoted to non-class practical work.

The South Korean model is strict, it requires hard work. Coreans themselves sometimes refer to it as "learning hell", overcoming of which is possible only by the pupil's laborous work. The Finnish model is very light and liberal. It is not stressful at all.

These two models of teaching are absolutely different, practically polarized. This is mainly due to the traditions of these countries and socio-economic conditions. But they have many in common: this is a special appreciation of the teacher's profession: in both countries, teacher's profession is considered the most prestigious. It can be said that the education system of these countries is based not on talented students but on talented teachers. In our opinion, this is the main basis for the success of the education system of these countries, which in turn is a prerequisite for the success of economic development of these countries.

ზურაბ ნოზაძე

**„მწვანე ეკონომიკის“ მნიშვნელობა და როლი
მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში**

ანოტაცია. სტატიაში განხილულია „მწვანე ეკონომიკის“ წარმოქმნის არსი და წინაპირობები, მოცემულია „მწვანე ეკონომიკის“ მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში. გაანალიზებულია კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები რომლის გათვალისწინება უფრო მდგრად და კონკურენტუნარიანს გახდის ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

„მწვანე ეკონომიკის“ განვითარების პრობლემების კვლევას ბოლო წლებში დიდი ყურადღება ეთმობა მთელ მსოფლიოში. „მწვანე ეკონომიკის“ განვითარება დაკავშირებულია ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ თავისებურებებთან, არსებულ ბუნებრივ რესურსებთან, ქვეყნის ცხოვრების დონესთან. „მწვანე ეკონომიკის“ იდეა გლობალური მოდელის სახით მიღებულ იქნა 2008 წ. გაეროს მიერ მაშინ როდესაც მსოფლიო იდგა რიგი კრიზისების წინაშე როგორც იყო კლიმატური კრიზისი, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის ფაქტი, სათბობის კრიზისი, სურსათის კრიზისი, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი და სხვა.

მოცემული პრობლემების განხილვა მოხდა 2012 წლის კონფერენციაზე მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესახებ, რომელიც შედგა ბრაზილიაში. გარემოს დაცვის პროგრამა, რომელიც შეიმუშავა გაერომ განიხილავს მწვანე ეკონომიკას, როგორც ეკონომიკურ მოდელს, რომელიც აუმჯობესებს ადამიანის ცხოვრებას, უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას, აგრეთვე ამცირებს ეკოლოგიურ რისკს და აბალანსებს ეკოლოგიას.

„მწვანე ეკონომიკური“ პოლიტიკა ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებს, მიადწიონ ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს. მაგალითად, სუფთა ენერგეტიკული ტექნოლოგიების დანერგვით, ენერჯის მიწოდების გაუმჯობესებით, ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენებით,

სუფთა წარმოებისათვის ინვესტიციების დახმარებით, სოფლის მეურნეობაში უფრო მდგრადი მეთოდების გამოყენების გზით ისეთი პროდუქტების წარმოებით, რომელიც უფრო უვნებელი იქნება ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიღწევით და ენერჯის წყაროების დივერსიფიკაციით მცირდება იმპორტის ღირებულება და უზრუნველყოფს სახელმწიფოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, აგრეთვე ზღუდავს ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოზე. „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლა წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ძალას მდგრადი ეკონომიკური პროცესების უზრუნველსაყოფად.

„მწვანე ეკონომიკაში“ ბუნებრივი გარემო განიხილება არა როგორც ნარჩენების გაუვნებელოების ადგილი, არამედ გადამწვევტი ფაქტორი ეკონომიკური ზრდისა, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურ გაუმჯობესებულ მდგომარეობას გრძელვადიან პერსპექტივაში. სხვა სიტყვებით, ეკოლოგიური ფაქტორები „კატალიზატორის“ როლს თამაშობს ინოვაციების გამოყენებისათვის „მწვანე ეკონომიკაში“. „მწვანე ეკონომიკაში“ ფაქტობრივი „ბუნებრივი გარემო“ ძლიერ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე და სოციალურ უზრუნველყოფაზე, აგრეთვე სოციალური სამართლიანობის გაუმჯობესებაზე.

საერთოდ, „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლას აქვს ორი მთავარი გზა: განვითარებული ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ მყარი ფინანსური რესურსები, ხარისხიანი ადამიანური რესურსები, მოწინავე ტექნოლოგიები, „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლა შეუძლიათ ინვესტიციების გზით, ეკონომიკის ახალი მიმართულებების განვითარებით, სოციალური განვითარებით და ეკოლოგიური მდგრადობის გაუმჯობესებით, ხოლო განვითარებადმა ქვეყნებმა თანმიმდევრულად უნდა გადაიყვანონ ტრადიციული ეკონომიკა ეკოლოგიურ-თანამეგობრულ ეკონომიკაზე.

ამ დროისათვის ზოგი ქვეყანა იყენებს ძირითად ზომებს, როგორცაა საინვესტიციო ხარჯების გაზრდა „მწვანე ეკონომიკის“ სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ენერგეტიკაში, ტრანსპორტში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში, კულტურაში, ნარჩენების გადამუშავებაში, ტრადიციული ეკონომიკური შეგნების დონის ამაღლებაში, ეკონომიკის მართვის პოტენციალის გაძლიერებაში, სამუშაო ძალის სწავლებაში, რომლებიც მსახურობენ მწვანე ეკონომიკაში, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების გაფართოებით ეკომარკირებაში, სახელმწიფო დანახარჯების შემცირებაში განუახლებელ ბუნებრივ რესურსებზე, იმ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ქსელების განვითარებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ „მწვანე ეკონომიკის“ მოდელზე გადასვლას, აგრეთვე დონისძიებების სისტემების შექმნით (მაგალითად საქონლისა და მომსახურების სტანდარტებისა და წესების განახლება), საგადასახადო შედავათების გაზრდა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებასა და მომსახურებაზე, სამეცნიერო კვლევის ხელის შეწყობა, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა, გადასახადებისა და გადასახდელების გამოყენება ბუნებრივ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით, სათათბირო გახების გამოფრქვევისათვის გადასახადების ზრდა. შესაკრებელი, არაეფექტური ენერჯის გამოყენებისათვის, გადასახადი სატრანსპორტო საშუალებებზე, საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება ეკონომიკური საქმიანობის მართვის მექანიზმის მიზნით განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

ინვესტიციები „მწვანე ეკონომიკაზე“ და კლიმატის ცვლილების ადაპტაციაზე განვითარებად ქვეყნებში შეადგენს 50% გლობალური „მწვანე ეკონომიკის“ საერთო კაპიტალური დაბანდებიდან.

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით მწვანე ეკონომიკის დანერგვა ზრდის ეკონომიკურ ეფექტიანობას, აფართოებს მთელი ქვეყნის საერთო სიმდიდრეს, რომელსაც მიყვავართ ადღენადი რესურსების განახლებისა და ეკოლოგიური რისკების შემცირებისაკენ. ეს დიდ პრობლემას წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთაც რესურსები უნდა მიმართონ შიმშილის ლიკვიდაციასა და სიღარიბის შემცირებაზე, აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნაზე, ინვესტიციები განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე, ბალანსირებულ სამუშაო ადგილების შექმნაზე და სამუშაო ძალების ოპტიმალურ განაწილებაზე. ამრიგად, ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და „მწვანე ეკონომიკის“ ზრდა აუცილებლად უნდა იყვნენ დაკავშირებულნი შიმშილის ლიკვიდაციასა და სიღარიბის შემცირებაზე.

„მწვანე ეკონომიკა“ – ეს არის ახალი კონცეფცია, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს სტანდარტული ეკონომიკური თეორია, არის მრავალი სხვადასხვა გაგება ამ კონცეფციის, ამიტომ „მწვანე ეკონომიკის“ განვითარება განვითარებად ქვეყნებში წარმოადგენს შესწავლის პროცესს, ექსპერიმენტს და შემოქმედებას. კერძოდ, აუცილებელია, გავაკეთოთ განსაკუთრებული აქცენტები იმ პრობლემების გადაწყვეტაზე, რომელიც ეხება ადამიანურ რესურსებს. ეს მოითხოვს მობილიზაციას, ინვესტიციური რესურსების კონცენტრაციას და ფინანსირების შესაბამის, მისაღებ მექანიზმს, ამავე დროს, რესურსების განაწილება უნდა შეესაბამებოდეს ბაზრის სიგნალებს, წესებს, კანონმდებლობას.

ამასთან ერთად შეიძლება განვიხილოთ მოტივაციის შემდეგი მეთოდები: „მწვანე ეკონომიკისათვის“ ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ; რესურსების მობილიზაციის ინტეგრაცია „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების ინვესტირებისათვის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და დაგეგმვისათვის, სახელმწიფო მმართველობის გაძლიერება, ეფექტიანი ექსპლუატაცია, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შექმნა კლიმატის რე-

გულირებისა და ცვლილებისათვის. მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად ფონდის შემქნა სხვა ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე, ფინანსირების სისტემის გადასინჯვა, საკრედიტო-საფინანსო ოპერაციების განვითარების პოლიტიკური სტიმულები, რომლებიც ეხება ბუნებრივი გარემოს დაცვას.

უნდა მოვკებნოთ ეკონომიკის განვითარების ახალი მოდელი, რომელიც არა მარტო ადადგენს ეკონომიკურ ზრდას კრიზისის შემდეგ, არამედ დაიცავს ბუნებრივ გარემოს, შეამცირებს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის რისკს, უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას, შეამცირებს საზოგადოებრივ უთანასწორობას და შექმნის პირობებს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის.

„მწვანე“ ეკონომიკის განვითარების მიზნით აუცილებელია განვახორციელოთ ორი ცვლილება: წარმოების სტრუქტურის ცვლილება უფრო ენერგოდამზოგავი და მასალადამზოგავი წარმოების მხარეზე, მცირე რაოდენობით გამონაბოლქვით და ნარჩენებით და განახლებადი რესურსების უფრო მაღალი გამოყენებით.

ეკონომიკის განვითარების მიზნით აუცილებელია განვახორციელოთ ორი ცვლილება: წარმოების სტრუქტურის ცვლილება უფრო ენერგოდამზოგავი და მასალადამზოგავი წარმოების მხარეზე, მცირე რაოდენობით გამონაბოლქვით და ნარჩენებით და განახლებადი რესურსების უფრო მაღალი გამოყენებით.

მოთხოვნილების სტრუქტურის ცვლილება ეკონომიკურად სუფთა საქონლისა და მომსახურების მხარეზე (საზოგადოებრივი მომსახურება, კერძო საყოფაცხოვრებო მოთხოვნილება, კორპორაციული მოთხოვნილება).

„მწვანე“ ბაზრის განვითარება იწვევს ეკონომიკის, ეკოლოგიის, ეკონომიკურად უფრო სუფთა წარმოების კომპლექსურ მიდგომას პროდუქციის განვითარებაზე.

ეკონომიკის განვითარების მიზნით აუცილებელია განვახორციელოთ ორი ცვლილება: წარმოების სტრუქტურის ცვლილება უფრო ენერგოდამზოგავი და მასალადამზოგავი წარმოების მხარეზე, მცირე რაოდენობით გამონაბოლქვით და ნარჩენებით და განახლებადი რესურსების უფრო მაღალი გამოყენებით.

„მწვანე ეკონომიკა“ – ეს არის ეკონომიკა, რომელსაც მიყვავართ ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებისა და სოციალური თანასწორობისაკენ, ეკოლოგიური რისკებისა და ეკოლოგიური დეფიციტის შემცირებისაკენ, კერძოდ „მწვანე ეკონომიკა“ წარმოადგენს ეკონომიკის ან ეკონომიკური განვითარების მოდელს, რომელიც დაფუძნებულია მდგრად განვითარებასა და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის ცოდნაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Арутюнов Ю.А. „Повышение роли интеграции в развитии корпоративных структур“. Москва. 2012.
2. Кудинова Г. Э. Парадигма перехода регионов к „зеленой экономике и устойчивому развитию“. Москва. 2014.
3. Крючкова О. М. Гузенко А. Д. „Зеленая Экономика“ как элемент устойчивого развития“. современные состояние и перспективы“. Москва. 2016.

Zurab Nozadze

THE IMPORTANCE AND ROLE OF "GREEN ECONOMY" IN SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT

Summary

The article discusses the essence and prerequisites of the "green economy", the meaning of "green economy" in the development of the country's sustainable economy. The specific proposals and recommendations are analyzed which will make the country's economy more competitive and more sustainable.

*ივლია ონიანი
ნონა ახვლედიანი*

სტატისტიკური მონაცემები, რეზიუმე რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი

ანოტაცია. იმისათვის, რომ სწორად გმართოთ რეგიონის ინვესტიციური კლიმატი, შევიქმნათ და სრულყოთ რეგიონული ინვესტიციური სტრატეგია, საჭიროა სიღრმისეული სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება, რომელთა საფუძველზე უნდა განხორციელდეს ქვეყნის რეგიონების მიხედვით ინვესტიციური კლიმატის ხელსაყრელობის დონის შეფასება.

ნაშრომში განხილულია რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის მაფორმირებელი ფაქტორების ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში შეტანილია ფაქტორები, რომლებიც აყალიბებს რეგიონის ინვესტიციურ პოტენციალს, ხოლო მეორე ჯგუფში – ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს რეგიონის ინვესტიციურ რისკებს, ასევე მოცემულია რეგულაციური სააგენტოს ექსპერტების მიერ შემუშავებული ინვესტიციური მიმზიდველობის განმსაზღვრელი სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა.

გაკეთებულია დასკვნა, რომ განხილულ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დაფუძნებული რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასება და ამ მაჩვენებელთა 89% ფორმირდება სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციური მიმზიდველობა, ინვესტიციური კლიმატი, ინვესტიციური რისკები, ინვესტიციური პოტენციალი.

საქართველოს რეგიონები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, სასოფლო სამეურნეო სავარგულებით, ეკონომიკური, გეოგრაფიული, პოლიტიკური მდგომარეობით, მოსახლეობის უნარ-ჩვევებით, ყოფით, საბაზრო ურთიერთობათა სასტარტო პირობებით, ინვესტიციური მიმზიდველობის ხარისხით და სხვა ფაქტორებით, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოში ინვესტიციური მიმზიდველობის შესწავლა რეგიონების მიხედვით აუცილებელი საკითხია. ამასთან, ქვეყნისათვის დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონების გამოთანაბრების საკითხი. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის განვითარებაში ინვესტიციური რესურსების სწორი დაბანდებით. ინვესტიციების დაბანდებისათვის რეგიონის შერჩევის მთავარ საკითხს წარმოადგენს მისი ინვესტიციური მიმზიდველობის ხარისხობრივი შეფასება, ასეთი შეფასებისათვის კი ამოსავალ ინფორმაციას წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, ინვესტიციური საქმიანობის მარეგულირებაელი საკანონდებლო აქტები, და, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლები უშუალო კავშირშია მათ ხარისხობრივ მხარესთან, პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია რეგიონების მიხედვით სიღრმისეული სტატისტიკური გამოკვლევების გარეშე.

რეგიონების მიხედვით გამოკვლევა პირველ რიგში გულისხმობს პირველადი ინფორმაციის შეგროვებას, სადაც უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ამ ეტაპზე ფორმირდება პირველადი მონაცემები, რომლებიც მომავალში წარმოადგენს სტატისტიკური შენობის ფუნდამენტს. ამიტომ, საჭიროა გულდასმით მოვიფიქროთ და მკაფიოდ განვსაზღვროთ საკვლევი ამოცანა. თუ პირველადი მონაცემების შეკრებისას დაიშვება შეცდომა ან მასალა არასაიმედოა, მაშინ ეს ზემოქმედებას ახდენს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დასკვნების სისწორესა და საიმედოობაზე. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის მახასიათებელი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების, ტენდენციებისა და კანონზომიერებების შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ სისტემური მიდგომით. მაშასადამე, სტატისტიკური კვლევის სხვადასხვაგვარი წესებისა და მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია შესასწავლი ობიექტის შესახებ ამომწურავი და საიმედო ინფორმაციის მიღება.

დღეს რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცნიერების, ეკონომისტების, რეიტინგული აგენტებისა და ინვესტორების მხრიდან, რათა მიღებულ იქნეს სწორი ინვესტიციური გადაწყვეტილებები ინვესტიციების ფორმების მიხედვით (განხორციელდეს კერძო, სახელმწიფო თუ ერთობლივი ინვესტიციები, საშუალოვადიანი თუ გრძელვადიანი ინვესტიციები); სწორად გავერკვეთ მიმდინარე სიტუაციებში და სწორად ვმართოთ რეგიონის ინვესტიციური კლიმატი; შევიმუშაოთ და სრულფეროვანი რეგიონული ინვესტიციური სტრატეგია.

საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელია საინვესტიციო სივრცის არაერთგვაროვნება, რაზეც ნათელ წარმოდგენას იძლევა „საქსტატის“ მონაცემები, რეგიონების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილების შესახებ.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს რეგიონების მიხედვით
(ათასი აშშ დოლარი)**

რეგიონები	2011	2012	2013	2014	2015	2016
სულ	1130 263,5	1022 928,8	1 020 634,4	1 817 981,2	1652 507,5	1602 850,6
ქ. თბილისი	782 813	767692,0	742313,7	1366300,2	1315198,0	1374444,0
აჭარა	95849,6	56287,5	83137,5	169300,2	206563,4	95763,0
კახეთი	2759,9	16563,2	11020,6	15854,1	16118,6	5178,9
სამცხე-ჯავახეთი	12228,8	26370,0	51732,6	74258,9	31536,1	30953,8
ქვემო ქართლი	149882,6	41648,3	16309,7	55650,8	21159,8	29734,5
სამეგრელო, ზემო სვანეთი და გურია	70148,3	61922,4	57229,8	93648,2	51209,5	35444,1
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5325,2	40024,0	59124,4	27951,1	25701,8	28935,8
შიდა ქართლი და	14254,6	12420,4	-241,4	14347,8	-14979,5	2396,5

მცხეთა- მთიანეთი					
---------------------	--	--	--	--	--

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთელი საანალიზო პერიოდისათვის დამახასიათებელი ინვესტიციების არათანაბარი განაწილება რეგიონების მიხედვით. ინვესტიციების 77,7% ორ რეგიონზე მოდის (ქ. თბილისი და აჭარის რეგიონი), დანარჩენი ნაწილდება რვა რეგიონზე. ასევე არათანაბრია ინვესტიციების დინამიკაც. ასე მაგალითად, 2016 წელს, 2011 წელთან შედარებით, სამეგრელო, ზემო სვანეთის რეგიონისა და გურიის რეგიონში მთლიანობაში ინვესტიციების მოცულობა 49,5%-ით შემცირდა, ხოლო შიდა ქართლისა და მცხეთა მთიანეთის რეგიონში, ზოგიერთი წლების მიხედვით, ამ მაჩვენებლის უარყოფითი მნიშვნელობა ფიქსირდება.

მაშასადამე, აუცილებელია, ქვეყნის რეგიონებში ინვესტიციური კლიმატის ხელსაყრელობის დონის შეფასება და იმ პრობლემების განხილვა, რომლებიც ამ მიმართულებით უნდა გადაიჭრას, რადგან დღემდე ამ მხრივ ჯერ კიდევ მთელი რიგი საკითხებია მოსაგვარებელი, კერძოდ:

- ✓ უნდა შემუშავდეს ქვეყნის რეგიონების ინვესტიციური მიმზიდველობის ანალიზისა და პროგნოზირების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგია, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში შექმნილი ინვესტიციური კლიმატის ინტეგრალური დახასიათება;

- ✓ უნდა შეიქმნას ისეთი მიზნობრივი მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც რეგიონების მიხედვით იქნებოდა შესაძლებელი ქვეყნის ინვესტიციური მიმზიდველობის ინტეგრალური რაოდენობრივი დონეების გამოთვლა;

- ✓ უნდა შემუშავდეს კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასება;

- ✓ უნდა ხდებოდეს რეგიონების ინვესტიციური აქტიურობის კომპლექსური რაოდენობრივი შეფასება.

რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის ყველაზე უფრო განზოგადებულ მაჩვენებელს წარმოადგენს **ინვესტიციური კლიმატი**, რომელსაც განაპირობებს რეგიონში არსებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საკანონმდებლო, ეკოლოგიური, კრიმინოგენური, რესურსულ-სანედლეულო, ინფრასტრუქტურული ხასიათის ურთიერთდაკავშირებული პროცესების ფართო წრე, რომლებიც ასახავს რეგიონის ინვესტიციური საქმიანობის განვითარებისა და გაფართოების ობიექტურ შესაძლებლობებს და გვიჩვენებს რეგიონის ინვესტიციურ პოტენციალს.

რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის განმაპირობებელი ფაქტორები შეიძლება დავყოთ ორი ჯგუფად. პირველი ჯგუფი აერთიანებს ფაქტორებს, რომლებიც აყალიბებს რეგიონის **ინვესტიციურ პოტენციალს**, მეორე ჯგუფი ფაქტორებისა კი განაპირობებს რეგიონის **ინვესტიციურ რისკებს**. სხვა სიტყვებით, რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობა ეს ფაქტორების ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავს ინვესტიციების მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობას.

რეგიონის ინვესტიციური პოტენციალი – ესაა რეგიონის ობიექტური ეკონომიკური, სოციალური და ბუნებრივ-გეოგრაფიული თვისებების ერთობლიობა, რომელთაც აქვთ **განმსაზღვრელი მნიშვნელობა** ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოზიდვის საქმეში, კერძოდ, ეს არის სამრეწველო წარმოების ტემპი, რეგიონის ავტოსაგზაო უზრუნველყოფა, მინერალურ-სანედლეულო რესურსები და ა. შ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია რეგიონში **ადამიანური განვითარების ინდექსის** შეფასება, რომელიც გულისხმობს რეგიონის ადამიანურ პოტენციალს. ეს პოტენციალი ფორმირდება რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის, მათი შემადგენლობის და კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ხარჯზე. მაგრამ, იმისათვის, რომ იცხოვროს მოცემულ რეგიონში, უნდა გქონდეს გარკვეული მატერიალური და სულიერი სიკეთეები. ამიტომ პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება **მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებელი**, თუმცა მხოლოდ ეს მაჩვენებელი ვერ ასახავს ვითარების რეალურ სურათს, ამიტომ, გარდა შემოსავლებისა, მიზანშეწონილია, ყურადღება გავამახვილოთ **მატერიალური კეთილდროების დონეზე**. კერძოდ, მნიშვნელოვანია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა და მისი განვითარების დონის შეფასება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა, მივიღოთ შემოსავალი და მივადწიოთ მატერიალური კეთილდროების განსაზღვრულ დონეს, რომელიც თავისთავად გულისხმობს მოსახლეობის ინფორმაციულობის გარკვეულ დონეს, თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ რჩება რთულ ამოცანად, რამდენადაც ფაქტობრივად არ არსებობს საკმარისად საიმედო კრიტერიუმი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მოსახლეობის ინფორმაციულობის ხარისხის შეფასებას.

რეგიონის ინვესტიციური რისკები - ეს არაკომერციული რისკებია, რომელსაც განაპირობებს რეგიონული ხასიათის ფაქტორები. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება რეგიონში სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, შრომითი ურთიერთობების კონფლიქტურობის დონე, ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა, ეკოლოგიური დაბინძურების დონე, არასასურველი კლიმატი, დამნაშავეობების დონე და ა. შ. ამგვარი რისკების არსებობა განსაზღვრავს, რამდენია რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის არასრული გამოყენების ალბათობა.

განვითარებულ ქვეყანებში რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასების უფრო პოპულარულ მეთოდოლოგიას წარმოადგენს **რეიტინგული სააგენტოს ექსპერტების** მეთოდოლოგია. ამ მეთოდოლოგიის თანახმად, ინვესტიციური პოტენციალის მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

- **საწარმოო პოტენციალი**, რომლის მახასიათებელი მაჩვენებელია მშპ მოსახლეობის ერთ სულზე;

- **შრომითი პოტენციალის მაჩვენებლები** – ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, ყოველ 10 000 მცხოვრებზე უმაღლესი პროფესიული განათლების დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხვი.

- **სამომხმარებლო პოტენციალის მაჩვენებლები** – შინამეურნეობების ფაქტობრივი საბოლოო სულადობრივი მოხმარება, 1000 მცხოვრებზე კერძო საკუთრების ავტომობილების რიცხვი, საცხოვრებელი შენობების საერთო ფართობი საშუალოდ ერთ მცხოვრებზე.

- **ინფრასტრუქტურული პოტენციალის მაჩვენებლები** – საერთო სარგებლობის სარკინიგზო გზების საექსპლუატაციო სიგრძე, მყარი საფარის მქონე საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სისქე 1000 კვ.კმ-ზე, ტელეფონიზირებული დასახლებული პუნქტების ხვედრითი წილი.

- **ფინანსური პოტენციალის მაჩვენებლები** – რეგიონული ბიუჯეტის პროფიციტი, გადასახადების, მოსაკრებლებისა და მსგავსი სავალდებულო გადასახდელების შემოსვლა ქვეყნის ბიუჯეტში, გაყიდული საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, პროდუქციის რენტაბელობა.

- **ინსტიტუციური პოტენციალის მაჩვენებლები** – ორგანიზაციების მთლიან რაოდენობაში იმ ორგანიზაციების ხვედრითი წილი, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციებს, შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიების რაოდენობა, ინოვაციური საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხვედრითი წილი.

- **ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მაჩვენებლები** – რეგიონის ტერიტორიის ფართობის თანაფარდობა ქვეყნის მთელ ტერიტორიასთან, მინერალურ სახედლეულო რესურსების მარაგები, რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა.

ინოვაციური რისკის მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

- **ეკონომიკური რისკის მაჩვენებლები** – სამომხმარებლო ფასების ინდექსი, უმუშევრობის დონე, ძირითადი ფონდების ცვეთის ხარისხი.

- **ფინანსური რისკის მაჩვენებლები** – რეგიონული ბიუჯეტის დეფიციტი, გადასახადებისა და მოსაკრებლების მიხედვით დავალიანება, სახელმწიფო ვალის თანაფარდობა რეგიონის ბიუჯეტის შემოსავლებთან, ზარალიანი ორგანიზაციების ხვედრითი წილი.

- **სოციალური რისკის მაჩვენებლები** – ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი, მაღალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის 10%-ის თანაფარდობა დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის 10%-თან, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაზე დემოგრაფიული დატვირთვა.

- **კრიმინოგენური რისკის მაჩვენებლები** – რეგისტრირებული დამნაშავეების რიცხვი 100000 მცხოვრებზე გაანგარიშებით.

- **ეკოლოგიური რისკის მაჩვენებლები** – სტაციონარული წყაროებიდან დაბინძურებულ ნივთიერებათა ვარემოში გატყორცნის ხარისხი, წყლის დაბინძურება და ა.შ.

რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასების ზემოთ განხილული არც ერთი მიდგომა არ გამოდგება ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების გარეშე, რომელსაც წარადგენენ ოფიციალური სტატისტიკური ორგანოები როგორც ქვეყნის, ისე ტერიტორიულ დონეზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მაჩვენებელზე დაფუძნებული რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასება და ამ მაჩვენებელთა 89% კი ფორმირდება სტატისტიკური ანგარიშების საფუძველზე.

მაშასადამე, სტატისტიკური მონაცემების ხარისხზე დამოკიდებული რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის სწორი სურათის ფორმირება. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო სტატისტიკურმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ რეგიონის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის **სისრულეს, საიმედოებასა და თავისდროულობას**. სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მიერ წარმოდგენილი აქტუალური სტატისტიკური მონაცემების მართვისა და კონტროლისათვის საჭიროა დაცული იყოს ISO 9001-2008-სტანდარტის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემა შემუშავებულია ISO-ს სერია 9001-2008-სტანდარტის შესაბამისად. ეს არის ეფექტური მართვის სისტემა საქმიანობის ზუსტი რეგლამენტაციით და შედეგების მიზნობრივი ინდიკატორების მუდმივი მონიტორინგით. ხარისხის მენეჯმენტის სისტემა მოწოდებულია, მართოს სტატისტიკურ მონაცემთა ხარისხი შეგროვებისა და დამუშავების ეტაპიდან დაწყებული, ყველა დაინტერესებული მომხმარებლისათვის ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენის ეტაპამდე.

ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ამაღლების და მომხმარებელთა ინფორმაციით დაკმაყოფილების შეფასების მიზნით, მიზანშეწონილია, საქსტატმა ყოველწლიურად ჩაატაროს მარკეტინგული კვლევები ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციით მომხმარებელთა დაკმაყოფილების ხარისხის შესწავლის მიზნით. კვლევის შედეგები იძლევა შესაძლებლობას, განისაზღვროს სტატისტიკური ორგანოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები მომხმარებელთა უპირატესობის მიკუთვნების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Новикова И., Рябцев В., Тихомирова Е. Сравнительный анализ индикаторов экономического и социального развития регионов ассоциации «Большая Волга» // Вопросы статистики, 1995. №3. с.30-31.
2. Ройзман И., Шахназаров А., Гришина И., Оценка эффективности инвестиционных проектов: учет региональных рисков // Инвестиции в России. 1998. №10

*Ivliia Oniani
Nona Akhvlediani*

STATISTICAL DATA AS THE APPRAISAL INSTRUMENT OF REGION'S INVESTMENT ATTRACTIVENESS Summary

Today, one of the most important problems for Georgia is the equalization of economic development levels of the regions of the country, this problem can be solved by right investing in the development of some of the regions of the country. In order to properly manage the region's investment climate, to develop and complete the Regional Investment Strategy it is required to conduct deep statistical investigations on the basis of which the level of investment climate should be assessed in accordance with the regions of the country.

The paper discusses two groups of formation factors that are responsible for the region's investment potential. The first group included factors that form the investment potential of the region and in the other group-factors causing region's investment risks.

The paper also provides a system of statistical indicators for determining investment attractiveness developed by the rating agency experts.

The conclusion is made that the investment attractiveness of the region is based on the considered statistical indicators and 89% of these indicators are adapted according to statistical data.

თენგიზ ქავთარაძე

მევენახეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

მევენახეობა ძველთაგანვე ქართველი ხალხის მატერიალური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო. ეს დარგი აქ ცნობილი იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეული წლის წინათ. ადგილობრივი მევენახეობის სიძველეზე მიუთითებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი წყაროები, მდიდარი ხალხური ტერმინოლოგია და სხვა. გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა მოწმობს, რომ ძველი წელთაღრიცხვის მე-2 ათასწლეულის ბოლოს მევენახეობა საქართველოში უკვე საკმაოდ დაწინაურებული იყო. ამას ადასტურებს კახეთში აღმოჩენილი ვაზის ნამგლისებური სასხლავი, რომელიც ბრინჯაოსაგან იყო დამზადებული. სოფელ ნინოწმინდის სამაროვანზე ნაოვნია წიპწები, რაც რქაწითელის და მწვანე ვაზის ჯიშის არსებობაზე მიუთითებს და სხვა.

2000 წლისათვის მსოფლიოში ვენახის ფართობები 10 მილიონ ჰა აღწევდა, აქედან (ათას ჰექტარობით) ევროპაში-7200, აზიაში-1300, აფრიკაში-600, ამერიკაში-900, ავსტრალიაში-100. ევროპაში მევენახეობის ძირითადი ქვეყნებია ესპანეთი (1600 ათ. ჰა), იტალია (1400 ათ. ჰა), საფრანგეთი (1300 ათ. ჰა).

ვენახების ფართობების მიხედვით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველო მე-5 ადგილზე იმყოფებოდა და მისი ფართობი 146 ათას ჰა-ს შეადგენდა. საქართველოში გაშენებული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ვენახების 10-14% და ყურძნის მთლიანი მოსავლის 9-10% იწარმოებოდა.

ამჟამად მსოფლიოში 4 ათასამდე ვაზის ჯიშია, მათ შორის 500-მდე ქართული. საქართველოს ვაზის სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილი იყო 41 ჯიში, აქედან 27 ტექნოლოგიური სადვინე ჯიშისა იყო, 14 სუფრისა. გადასამუშავებლად იყენებდნენ მთელი ფართობებიდან მიღებული მოსავლის 96-97% ხოლო სასუფრედ 3-4%. საქართველოში ვაზის ადგილობრივი სადვინე ჯიშებიდან უფრო გავრცელებულია: რქაწითელი – 55%, ცოლიკაური – 10,2%, ჩინური – 7%, საფერავი – 4%, კახური მწვანე – 3,3%, გორული მწვანე – 2,1%. დანარჩენი ჯიშები მცირე ფართობებზეა გაშენებული, თუმცა ადგილობრივი უნიკალური ვაზის ჯიშების განვითარება არათუ კრძალავს, არამედ მეცნიერულად გამართლებულიცაა, რომ მას შეეთანაწყოს ახალი, თუნდაც უცხოეთიდან შემოტანილი ისეთი ჯიშები, რომლებიც ივარგებს საქართველოს პირობებში. ეს შექმნის მრავალფეროვან ჯიშობრივ და ჰიბრიდულ სივრცეს და წარმოების ინტენსიური განვითარების ახალ შესაძლებლობებს.

ამჟამად საქართველოში ვაზის სამრეწველო ჯიშებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია **რქაწითელი**. იგი კახეთის მევენახეობის ძირითადი ჯიშია და საკმაოდ რაოდენობითაა გავრცელებული ქართლში და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში. რქაწითელი იძლევა უმაღლესი ხარისხის ყურძენს და ღვინოს, ამასთანავე კარგად ეგუება სხვადასხვა ბუნებრივ პირობებს, საკმაოდ მოსავლიანი ჯიშია, მოსავალი 1 ჰექტარზე საშუალოდ 80-100 ცენტნერს უდრის, ზოგ

მეურნეობებში კი 150-200 ცენტნერსაც აღწევს. ეს ჯიში კარგად უძლებს სოკოვან დაავადებებს, განსაკუთრებით კი ჭრატს. იგი ყინვაგამძლე და ფიროქსელაგამძლეა. რქაწითელის ყურძენი მეტად გემრიელი, სასიამოვნო საჭმელია. მისგან ამზადებენ მრავალნაირ ღვინოებს, რომელსაც აყენებენ როგორც ადგილობრივი წესით, ისე ევროპულად, მაღალი ხარისხის ყურძნის წვენს და კონიაკის სპირტის ღვინომასალას.

რქაწითელის შემდეგ ყველაზე უფრო გავრცელებულია იმერეთის მთავარი საწარმოო ვაზის ჯიში **ცოლიკაური**. იგი გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში. ცოლიკაური ძლიერი ზრდით ხასიათდება, მაღალმოსავლიანია. კარგად მოვლილი ვენახებიდან ჰექტარზე 80-100 ც ყურძენს ღებულობენ. სოკოვან დაავადებათა და ჭრატის მიმართ შედარებით გამძლეა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოს უხვნაღვებიანი პირობებისათვის. ცოლიკაური მაღალი ხარისხის საკმაოდ ექსტრაქტულ, ჰარმონიულ და სურნელოვან სუფრის ღვინოს იძლევა.

რქაწითელისა და ცოლიკაურის შემდეგ ყველაზე მეტადაა გავრცელებული **ატენური, ანუ ჩინური**. ჩინური გვიანი სიმწიფის ჯიშია. იგი იძლევა მაღალი ხარისხის სუფრის ღვინოს, ძვირფას ღვინომასალას შამანური ღვინოების წარმოებისათვის და კარგია სუფრის ყურძნადაც, მისი გავრცელების არეალი შედარებით მცირეა.

ვაზის ჯიშებს შორის მეოთხე ადგილი უკავია **ციცქას**. ციცქაც თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია იგი უფრო მეტად გავრცელებულია იმერეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ზესტაფონსა და მის მეზობლად მდებარე რაიონების ტერიტორიაზე. ციცქა იმერეთის საწარმოო ვაზის ერთ-ერთი ძირითადი საგვიანო ჯიშია. სრულ სიმწიფეს აღწევს ოქტომბრის მეორე ნახევარში და მაღალმოსავლიანია – 60-დან 100 ც-მდე, განსაკუთრებული მოვლის და კარგ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში 150-200 ც აღწევს. სოკოვან ავადმყოფობასა და ფილოქსერას კარგად უძლებს, უფრო სუსტია ნაცრის მიმართ. ციცქა მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოს იძლევა, რომელიც ხასიათდება სინაზითა და სპეციფიკური არომატით, მისგან მიიღება შამანური ღვინომასალა.

საქართველოში ვაზის ჯიშთა შორის, მეხუთე ადგილი უკავია **კახურ საფერავს**. იგი საკმაოდ რაოდენობითაა გავრცელებული ქართლში. საშუალო მოსავლიანობა 70-90 ც, კარგ პირობებში 130-170 ც აღწევს. მისგან უმაღლესი ხარისხის სუფრის ღვინოს ამზადებენ.

მწვანე – თეთრყურძენა ვაზის ჯიშია. იგი მაღალხარისხოვანია და ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ჯიშთაგანია. ეს ჯიში ძველად ფართოდ იყო გავრცელებული კახეთში, მაგრამ ნაცარმა თითქმის მთლიანად მოსპო. მას შემდეგ, რაც ნაცრის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები იქნა გამოგონილი, ნელი ტემპით დაიწყო მისი აღდგენა. ამჟამად იგი ძირითადად თელავისა და საგარეჯოს რაიონებში გვხვდება. მწვანე საკმაოდ მაღალმოსავლიანია, ამასთანავე ადრე იწყებს მსხმოიარობას, საშუალო მოსავლიანობა 70-90 ც აღწევს. მაღალი სამეურნეო თვისებების ჯიშია. იძლევა მეტად ნაზ სპეციფიკური გემოვნებისა და არომატის როგორც კახური, ისე ევროპული ტიპის ღვინოს.

ქართლის ძირითადი სტანდარტული ჯიში – **გორული მწვანე** გვიან (ოქტომბრის ბოლოს) შედის სიმწიფეში და იძლევა მაღალხარისხოვან თეთრ ღვინოს და შამანურ ღვინომასალას.

შედარებით ნაკლებად გავრცელებული ჯიშია – **ალექსანდროული**, რომელიც გვხვდება უმთავრესად რაჭაში, განსაკუთრებით სოფელ ხვანჭკარაში, ტოლასა და ბუგეულის მიკრორაიონებში. ალექსანდროული შედარებით მცირემოსავლიანი ჯიშია. საშუალო მოსავალი ერთ ვაზზე 750 გრამს უდრის. მისგან მზადდება მაღალი ხარისხის ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო – ხვანჭკარა.

საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშებიდან მიღებული ღვინოები გამოირჩევა უმაღლესი ხარისხით, რაც მათ დიდ სახელს უხვევს მომხმარებელთა შორის. ამიტომ ჩვენი უპირველესი ვალია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ქართული ღვინის ამ ხარისხობრივ მხარეს. არა მარტო უნდა გავზარდოთ ქართული ვაზის საუკეთესო ჯიშების (ხიხვი, თავკვერი, კრახუნა, ოცხანური საფერავი, წულუკიძის თეთრა, უსახელოური, ჩხავერი, ოჯალეში და სხვა) ხვედრითი წონა საქართველოს მევენახეობაში, არამედ უნდა ავადგინოთ ჩვენი წინაპრების მიერ გამოყვანილი ისეთი ტრადიციული ვაზის ჯიშებიც, რომელნიც ისტორიული წარსულის უკულმართობამ განადგურების გზაზე დააყენა. მაგალითად, აჭარაში დიდი პერსპექტივები ისახება მევენახეობის აბორიგენული ჯიშების განვითარება – აღორძინების საქმეში. ვიმედოვნებთ, ახლო მომავალში აჭარული ღვინოები ღირსეულ ადგილს დაიკავენს ბაზარზე კონკურენტუნარიან ბრძოლაში.

საქართველოში მევენახეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ნათლად მოწმობს, რომ ვენახის ცალკეული ჯიშების ფართობებს შორის შეფარდება მეტად არადაბალკაყოფილებულია: მარტო ორ ჯიშს – რქაწითელს და ცოლიკაურს ვენახის მთელი ფართობების ნახევარზე მეტი (65,2%) უკავია, მაშინ როცა საფერავი, რომელიც უძვირფასესი ჯიშია მაღალხარისხოვანი სუფრის წითელი და ბუნებრივად ტკბილი (ქინძმარაული) ღვინოების დასამზადებლად, მხოლოდ 3 ათასი ჰა განესახლვრება, ე.ი. მასზე დაახლოებით 3% მოდის.

ამ ჯიშს დიდი ფართობი აქვს დათმობილი მხოლოდ ყვარლის რაიონში, ხოლო კახეთის დანარჩენ ნაწილში გაცილებით მცირე. კიდე უფრო ნაკლებად არის გავრცელებული (დაახლოებით 1000-1200 ჰა, ანუ 2%) ესა თუ ის შესანიშნავი ჯიში, რომლებიც სუფრის თეთრი ღვინოების წარმოებას ხმარდება. ასეთებია: მწვანე, ალიგოტე, გორული მწვანე, შემდეგ მოდის ალექსანდროული,

კაბერნე და შავი პინო (1,2-0,4%-მდე), ხოლო ბოლოს (50-60 ჰა, ანუ 0,1%): ოჯალეში, ჩხავერი, კრახუნა, უსახელოური და ხიხვი, რომლებიც, განსაკუთრებულ, ბუნებრივად ნახევარდტკბილ ცქრი-აღა და სადესერტო ღვინოებს იძლევიან.

ამრიგად, არა მარტო ზემოთ დასახელებულ პერსპექტიულ ჯიშებს – არამედ ისეთ სტანდარტულ მაღალხარისხოვან ჯიშებსაც კი, როგორცაა ოჯალეში, ჩხავერი, კრახუნა, უსახელოური და ხიხვი, ძლიერ ცოტას ან სრულებითაც არ აშენებენ. თუ დროულად არ იქნება მიღებული გადამწევეტი ზომები, მაშინ უახლოეს მომავალში მხოლოდ 2-3 თეთრყურძნიანი ჯიში (რქაწითელი, ცოლიკაური და ციცქა) დაიკავებს რესპუბლიკის ვენახების მთელ ფართობს და მიუტევებლად გადარიბდება ჩვენი ვაზის ჯიშების მდიდარი შემადგენლობა.

მევენახეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ნათლად მოწმობს, რომ ვენახების ფართობები პერსპექტივაში ჩვენს რესპუბლიკაში საგრძნობლად არ მცირდება, სამაგიეროდ იცვლება ჯიშობრივი სტრუქტურა. ქართული მაღალხარისხიანი ღვინოების დასამზადებლად, მათი მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გასაზიარებლად უნიკალური ჯიშების განვითარებას უპირველესი ყურადღება დაეთმობა. მსოფლიოში სახელგანთქმული ჯიშები, როგორცაა „რქაწითელი“, „ცოლიკაური“, „ციცქა“, თავისთავად უნიკალურნი არიან. მათი გადამუშავებით ფართო ასორტიმენტის პროდუქცია მიიღება. კახეთის ზონაში მნიშვნელოვნად გაიზარდა უნიკალური ჯიშების: „საფერავის“, „კაბერნეს“, „ხიხვის“ ფართობები. ჯიშობრივი სტრუქტურა გაუმჯობესდება შიდა ქართლსა და იმერეთის ზონებში. აქ შამპანური ჯიშის ვენახს უფრო სწრაფი ტემპებით ვააშენებენ.

უნიკალური ჯიშების ფართობები მკვეთრად შემცირდა რესპუბლიკაში ბოლო 15 წელიწადში, ეს გამოწვეულია მათი მგრძობილობით გარემოსადმი და, რაც მთავარია, მცირემოსავლიანობით. სოფლის მეურნეობაში ინოვაციური სისტემების გამოყენებით ხორციელდება კლონური სელექციის გზით ყურძნის მოსავლიანობის ამაღლება. ამ ხაზით დიდი სამუშაოები ტარდება მეზღვების, მევენახეობის და მეღვინეობის ინოვაციურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ტარდება ინოვაციური ღონისძიებები უნიკალური ვაზის 25-მდე უხვმოსავლიანი კლონის დაჩქარებით გასამრავლებლად, რომლებიც 20-25 პროცენტით მეტ მოსავალს იძლევიან იმავე ჯიშის ჩვეულებრივ ნარგავობასთან შედარებით. ამ ღონისძიებით გაუმჯობესდება ვაზის არსებული ასორტიმენტი.

ტექნიკური ჯიშების ნარგავობათა ინოვაციური სტრუქტურის სრულყოფასთან ერთად, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სუფრის ჯიშის ვენახების ფართობების ზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზონა არ არის სუფრის ჯიშებისათვის განკუთვნილი. ამ მიზნით გადაუდებელ საჭიროებად მიგვაჩნია მევენახეობა-მეღვინეობის კადასტრის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ ტიპისა თუ მარკის ღვინის წარმოების სანედლეულო ბაზას; აგრეთვე სისტემაში მოიყვანს სუფრის ყურძნისა და ყურძნის წვეწის წარმოების პოტენციურ შესაძლებლობებს. სპეციალისტების აზრით, საქართველოში ბევრია ისეთი რაიონი, სადაც თავისუფლად შეიძლება მაღალხარისხოვანი სუფრის ყურძნის წარმოება. ასეთებია: გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონები.

თანამედროვე კრიტერიუმებით, სუფრის ყურძნის საბაზრო წარმოება მისაღებია ცხელი ჰავის პირობებში, რომელიც მექანიზებულ დამუშავებას ექვემდებარება. ასეთებია აღმოსავლეთ საქართველოში გარდაბანი, მარნეულ-ბოლნისის ზონა, თბილისის საგარეუბნო ზონა, კახეთში კი დედოფლის წყაროს რაიონის ზილიჩა-ტარიბანას ვაკეები და სამუხის ველი. თუ პირველი ორი ნაწილობრივ უკვე ათვისებულია ორდინალური სუფრის ღვინისა და პორტვინის, აგრეთვე მარცვლოვანი კულტურების წარმოებით, სამუხის ველი (დაახლოებით 20 000 ჰა) წარმოადგენს ყამირს, რომელიც ათვისებასა და გაკულტურებას ელოდება.

დასავლეთ საქართველოში სუფრის ყურძნის წარმოებას შეიძლება დაეთმოს იმერეთის ვაკის, გური-სამეგრელოსა და აჭარის დაბლობი, ვაკე ადგილები ან ფერდობები, რომლებიც ჩაისა და ციტრუსებისათვის გამოუსადეგარია. საუკეთესო პირობები არსებობს სუფრის ყურძნის წარმოებისათვის აფხაზეთში, ოჩამჩირის, სოხუმის, გუდაუთის, გაგრის რაიონებში. ამჟამად მოქმედი აგროწესებით აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისათვის რეკომენდებულია სამი სასუფრე ჯიში (ქართული საადრეო, განჯური, გორულა), ხოლო დასავლეთ საქართველოსათვის – 5 ჯიში (ზემოთ დასახელებულის გარდა, შასლა, ცხენის ძუძუ, აფხაზეთი და ყურაბურნუ). მევენახეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციების თანახმად, პირველად ჩვენი ქვეყნის პირობებში, შედგენილია სუფრის ყურძნის წარმოების ჯიშური კონვეიერის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ახალი ყურძნით მოსახლეობისა და კურორტების მომარაგებას. აღმოსავლეთ საქართველოში 5-10 აგვისტოდან 5-10 ნოემბრამდე, ე.ი. ოთხი თვის განმავლობაში, ხოლო დასავლეთ საქართველოში 10-15 ივლისიდან 10-15 ნოემბრამდე, ე.ი. 5 თვის განმავლობაში.

საქართველოში ვენახების ფართობებით და ყურძნის წარმოებით პირველ ადგილზე ყოველთვის კახეთი იდგა. აქ გაშენებული იყო ქვეყნის ვენახების მთელი ფართობების 44%, მეორე ადგილზე იმყოფებოდა იმერეთი შესაბამისად 14-26%, მესამეზე ქართლი 14-15%. დასანანია, რომ სოფლად გლეხებმა მასიურად დაიწყეს ვაზის აჩეხვა. იმიზეზებენ ყურძნის ჩაბარების და ვაზის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო შხამქიმიკატების შექმნის პრობლემებსა და სხვა ხელშემშლელ მიზეზებს, რამაც განაპირობა მევენახეობის დარგის დაქვეითება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვე-

ნახების დიდი ნაწილი გამეხსერიანებულია, ხანდაზმულია და ხმობის მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდება, რაც უარყოფითად აისახება მსხმოიარობასა და მოსავლიანობაზე. დღესდღეობით ძნელია იმის თქმა, თუ რამდენ ათას ჰა ვენახის ფართობს ფლობენ აღნიშნული რაიონები. ბოლო წლებში შესაბამისი აღრიცხვიანობა აღარ განხორციელებულა.

შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, მევენახეობის განვითარების თანამედროვე ტენდენცია უნდა წარიმართოს სახელმწიფო ინოვაციური სისტემების ინფრასტრუქტურის განვითარებით. უნდა გამოვიყენოთ ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობი გარემო პირობები, ტექნოლოგიური პარკები, განათლების სისტემა, ბიზნესინკუბატორები, კლასტირება, ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერი სახელმწიფო და არასახელმწიფო ფონდები და სხვა.

საქართველოს მევენახეობა 1920-30 წლებში დიდ სიძნელეებს განიცდიდა. საკმარისია ითქვას, რომ ვაზის ნარგავებს 1932 წლის ყველა კატეგორიის მეურნეობებში 34,7 ათასი ჰა ეჭირა, ნაცვლად 52,0 ათასი ჰა-ისა 1913 წელს. ე.ი. ამ ხნის განმავლობაში ვენახის ფართობი 17,3 ათასი ჰექტრით, ანუ 33%-ით შემცირებულა.

ვენახების ასეთი შემცირება გამოწვეული იყო ფილოქსერის გავრცელებით, რომელიც განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში მიქინვარებდა. ვაზის ნარგავების შენარჩუნებისა და მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის ინოვაციური თვალსაზრისით ამ პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვენახების გადაყვანას ამერიკული ვაზის ფილოქსერაგამძლე საძირებზე, რომლის უქონლობის გამო ბევრი ფიქრობდა, რომ მევენახეობა სრული განადგურების გზას დაადგაო.

ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, იმდროინდელმა ხელისუფლებამ ინოვაციური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეების წარმოების გაფართოების მიმართულებით. 1925 წლისათვის სადედეების ფართობმა 349 ჰექტარს მიაღწია, ნაცვლად 30 ჰექტრისა 1921 წელს ე.ი. 11-ჯერ და უფრო მეტად გადიდა. ამავე პერიოდში თითქმის 9-ჯერ გაიზარდა დაფესვიანებული ვაზის გამოშვება. მიუხედავად ამისა, ვენახის ფართობი არ მატულობდა, რადგანაც დაღუპული ვენახები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ახლად გაშენებული.

ვენახების გაშენების დაბალი ტემპი, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ამერიკული ვაზის საძირების ნაკლებობით იყო გამოწვეული. ამიტომ, ხელისუფლებამ 1932 წლისათვის მიიღო გეგმა ამერიკული ვაზის საძირების სანერგის ფართობის 2000 ჰექტრამდე აყვანის შესახებ. 1937 წლებამდე ამერიკული ვაზის სადედეები უფრო მეტად შენდებოდა კახეთში, სადაც მევენახეობა ყოველწლიურად სეტყვის გამო მნიშვნელოვნად ზიანდებოდა და ლერწის გამოსავლიანობა დაბალი იყო. ამიტომ ამერიკული ვაზის სადედეები უპირატესად გააშენეს იქ, სადაც სეტყვა თითქმის არ იცის, კერძოდ მარნეულის, ქარელის და დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში. საქართველოში მევენახეობის აღდგენისა და განვითარებისათვის გატარებულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია შემდეგი: მევენახეობის ძირითადი რაიონები გათავისუფლდა ტექნიკური შრომატევადი კულტურების (ბამბა, კანაფი, სოია და სხვა) წარმოებისაგან, გადიდა ყურძნის დამზადების ფასი და იგი დიფერენცირდა ჯიშებისა და ხარისხის მიხედვით; ღვინისა და ყურძნის დამზადება დასაქონლდა პურით და მანუფაქტურით. კოლმეურნეობებში სათბურების მშენებლობითა და ნამყენის წარმოების გადიდებით უზრუნველყოფილ იქნა ვენახების შემდგომი გაფართოება. 1970 წელს საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობაში ვენახების მთლიანმა ფართობმა შეადგინა 115,1 ათ. ჰექტარი, მათ შორის ნაყოფის მომცემ ასაკში 93,3 ათ. ჰექტარი. ყურძნის მთლიანი მოსავალი შეადგენდა 579 ათ. ტონას, მოსავლიანობა 61,4 ც ერთ ჰექტარზე. 2008 წლის მონაცემებით, ვენახის ფართობი საქართველოში 49,1 ათას ჰექტარს შეადგენდა. მათ შორის მსხმოიარე იყო 46,3 ათასი ჰექტარი. ყურძნის მთლიანი მოსავალი 157,6 ათასი ტონა, ხოლო საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 30,4 ცენტნერი იყო.

რესპუბლიკაში ღვინის მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სამარკო ღვინოების წარმოება. ძირითადი მიზეზი, რომელიც ზღუდავს საქართველოში მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოების გამოშვებას, არის სამარკო ღვინოების დასაძველებელი სარდაფები, აგრეთვე სამარკო ღვინოების დასაძველებლად განკუთვნილი ტექნოლოგიური ტევადობების ნაკლებობა. ამის გამო, ყოველწლიურად, სამარკო ღვინომასალების მნიშვნელოვანი ნაწილი გადადის ორდინალურში. მაგალითად, 1982 წელს ამ მიზეზით შერჩეული სამარკო ღვინომასალების 50% არ იყო ჩაწობილი დასაძველებლად. საქართველოს მაღალხარისხოვანი სამარკო მეღვინეობისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ტექნიკური ბაზის, განსაკუთრებით კი ტექნოლოგიური ტევადობების სტრუქტურის სრულყოფა. უფრო სწრაფი ტემპით უნდა გაიზარდოს იმ ტარა ჭურჭლის ხვედრიწილი, რომლის საბოლოო პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა არა მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით, არამედ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაშიც (ქართული ღვინოებისათვის მიმზიდველი ქვეყნებია ბელგია, უკრაინა და ბულგარეთი).

ბოლო პერიოდში შეინიშნება გლეხური ტრადიციული წესით დამზადებულ ღვინოებზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით ჩამოსული უცხოელი ტურისტების მხრიდან. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები საფინანსო ორგანიზაციებთან ერთად, რათა გაატარონ ფერმერულ-გლეხური მევენახეობის განვითარების ღონისძიებანი. გად-

აუღებელ პრობლემად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, კერძოდ მევენახეობის, განვითარების დაზღვევის მოგვარების მეტად აქტუალური საკითხი. საქართველოს მეღვინეობის ინტენსიური განვითარება ძირითადად ღვინის ტექნოლოგიური ტევადობებით იზღუდება. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, რესპუბლიკაში გაიხსნას სეციალიზებული ინოვაციური სასწავლებელი ქვევრების, მუხის ტარა-ჭურჭლის, აგრეთვე ემალის ცისტერნების წარმოების შესასწავლად. კახური და იმერული ტიპის სამარკო ღვინოების წარმოებისათვის შეუცვლელია ქვევრი. დანარჩენი ტევადობის რკინა ბეტონის რეზერვუარები, ფოლადის, რკინის და ალუმინის ცისტერნები – გამოუსადეგარია სამარკო ღვინოების წარმოებისათვის და საერთოდ ისინი აუარესებენ ქართული სუფრის ღვინოების ხარისხს, თუმცა მათი ღირებულება გაცილებით ნაკლებია მუხის ტარის, ქვევრებისა და ფოლადის მომინანქრებული ტევადობების ღირებულებასთან შედარებით. ბოლო დროს მეღვინეობის ტრადიციულ ქვევრებში გაიზარდა ქვევრზე მოთხოვნილება, რაც ქართული ტრადიციული მეღვინეობის დიდ აღიარებაზე მიუთითებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად საქართველოში ემალირებული ცისტერნების, რკინაბეტონის რეზერვუარების, ქვევრებისა და ბუტების საშუალო ტევადობა თითქმის 1961 წლის დონეზე დარჩა. გარდა ამისა, რესპუბლიკის სამარკო ღვინოების საქვევრებელ სარდაფებში შეუძლებელია მსხვილი ტარის რამდენიმე იარუსად განლაგება, რადგან ჭერის სიმაღლე არ აღემატება სამ მეტრს, რაც ამცირებს ღვინის საცავის ფართობებიდან მიღებული პროდუქციის რაოდენობას.

მაგალითისათვის ავიღოთ ქინძმარაული გვირაბის ტიპის ღვინის საცავი, რომელიც წარმოადგენს გიგანტს, რადგან ერთდროულად შეუძლია დაიტოს 2 მილიონი დეკალიტრი სამარკო ღვინომასალები. გვირაბი გაყვანილია კლდეში, გვირაბის საერთო სიგრძე 8 კმ-ს შეადგენს. საცავი ძირითადად განკუთვნილი იყო ღვინის შესანახად კასრებში. ამიტომ იქ მომინანქრებული რეზერვუარები 800-900 დეკალიტრზე მეტი ტევადობით ვერ თავსდება. ღვინის საცავი არ არის უზრუნველყოფილი ტარა-ჭურჭლით (2 მლ. დეკალიტრის ნაცვლად 856 ათ. დეკალიტრი ტარა-ჭურჭელია განლაგებული), ამდენად, ძირითადი ფონდების გამოყენების კოეფიციენტი დაბალია. ამ ღვინის საცავის ჭერის სიმაღლეა 3 მეტრი. გვირაბის ჰიდროიზოლაცია ცუდ მდგომარეობაშია. თანამედროვე ტექნიკის პირობებში შესაძლებელია ჰიდროიზოლაციის სრული დაცვა, რაც გააუმჯობესებს სამარკო ღვინოების ხარისხს, შესაძლებელს გახდის შედარებით მსხვილი ტარა-ჭურჭლის ეფექტიან გაადგილებას.

ინკერმანის სამარკო ღვინოების ქარხანაში, სადაც ჭერის სიმაღლე 12 მეტრია, 2-5 ათ. ტევადობის ემალირებული ცისტერნები, 1-2 ათ. დეკალიტრი ტევადობის ბუტები და ა.შ. განლაგებულია რამდენიმე იარუსად. წლის განმავლობაში შენარჩუნებულია ოტიმალური ტემპერატურა, ჰაერი კი მშრალია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტექნოლოგიური ტევადობების სტრუქტურის სრულყოფის, უფრო მსხვილი ტევადობების და ღვინის საცავების საწარმოო ფართობის უფრო უკეთესად გამოყენების მიმართულებით მევენახეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციებში დიდი რეზერვები არსებობს რესპუბლიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ინოვაციები ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2014.
2. ამერიკის ეკონომიკა – ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო. 2010.
3. ლორთქიფანიძე თ. მევენახეობისა და ყურძნის სამრეწველო გადამუშავების პროდუქტების როლი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის მართვის მექანიზმი, „მეცნიერება“, თბილისი, 1986.
4. რუსაძე ს. აშშ-ის სახელმწიფო რეგულირების საკითხები, თბ. 1994.
5. ჭავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო, „მეცნიერება“, თბ., 2003.
6. ქისტაური ნ. ინოვაციებისა და ცვლილებების მართვის თანამედროვე პრობლემები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ. 2015.
7. ხარაიშვილი ე. ინოვაციური განვითარების პრობლემები საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ტ. II. თბ., 2012.
8. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. საგამომცემლო ფორმა სიახლე, თბ., 2006.
9. www, fao, org/corp/statistics.
10. Освоение инновации в агропромышленном комплексе опыт и проблемы – М. : ФГУ РССК 2006 – 136.
11. Changes in market organization and practices of the potato industry. Hastings Area. Florida 1958-1968. Washington, 1970.

MODERN TRENDS OF VITICULTURE DEVELOPMENT Summary

In study of viticulture is one of the main sources of material strength of Georgian people. According to the vineyards, Georgia was in the 5th place among the former Soviet republics and its area was 146 thousand hectares. In Georgia, 10-14% of former Soviet Union vineyards were planted and 9-10% of grapes were produced

There are now about 4 thousand grape varieties in the world, including 500 Georgians. In the standard assortment of Georgia, there were 41 varieties, 27 of which were 27 types of wine. 96-97% of the crop obtained from the whole area was used for processing and 34% – tables. In Georgia, local varieties of wine vines are more common: Rkatsiteli - 55%, Tsolikauri - 10,2%, Chinuri - 7%, Saperavi - 4%, Kakheti Green - 3.3%, Goruli Green - 2.1%. The rest of the varieties are grown on small areas. However, the development of local unique varieties does not prohibit, but is scientifically justified, to use new varieties, even from abroad, which will be good for Georgian conditions. It will create a variety of diverse and hybrid space and new opportunities for intensive development of production.

In the 1970s the total area of vineyards in all categories of farm in Georgia amounted to 115.1 thousand hectare, including the age of the fetus – 93,3 t. hectare. The total harvest of grapes was 579 thousand, tonnes and yield of 61.4 centner per hectare.

Kakheti was always in the first place with vineyards and grapes in Georgia. Here, 44% of the country's vineyards were cultivated, Imereti was on the second place – 14-26%, Kartli – 14-15%. It is a pity that the peasants started cutting the vineyards. The cause is the problem of acquisition of chemicals for grape which led to the decrease in the viticulture field. It should also be noted that most of the vineyards are sporadic, elderly and characterized by high levels of dryness, which negatively impact on fertility and harvest. Nowadays it is difficult to say how many areas of vineyards are owned by these regions. In the last years, proper accounting has not been implemented.

Unique varieties of shrubs have sharply declined in the last 15 years, this is due to their sensitivity to the environment, and most importantly, to small yields. In agriculture, innovation systems are implemented using clone selection to increase grape yield. In this line, large works are being conducted at the Innovative Scientific-Research Institute of Horticulture, Viticulture and Winemaking.

Innovative measures are being carried out to accelerate up to 25 clones of unique vineyards, which are 20-25 percent more than the usual yield of the same breed. This event will improve the existing variant of the vine.

Together with the improvement of the innovative structure of the plant varieties, great attention should be given to the growth of the table variety vineyards. It should be noted that not every zone is suitable for table varieties. To this end we need to create viticulture and winemaking cadasters, providing a raw material for the production of a variety of wine; In addition, it will systematize the potentiality of grapes or grape juice production. According to specialists, there are many regions in Georgia that can freely produce high quality grape. These are: Gardabani, Marneuli and Bolnisi regions.

In Western Georgia, the production of table grapes can be given Imereti Vake, Guria-Samegrelo and Adjara lowlands, plains or slopes that are unusable for tea and citrus. The best conditions for producing table grapes are in Abkhazia, Ochamchire, Sukhumi, Gudauta and Gagra districts.

One of the main directions of the development of wine industry in the republic is to produce fine wines. The main mixture that limits the production of high quality fine wines in Georgia is the lack of cellar wines, as well as the lack of technological capacities intended for the purpose of aging wines. Because of this, a significant part of the fine wine material is transferred to the ordinary. For instance, in 1982, 50% of the branded fine wines selected for this reason were not aged. One of the most important challenges for high quality winemaking of Georgia is the improvement of the technical base, especially the technological capacities structure. The yield must be increased at a faster pace the end product of which is of great demand, not only in the country but also in many foreign countries (attractive countries for Georgian wines are Belgium, Ukraine and Bulgaria).

Recently, the tendency of growing demand for wines traditionally produced by peasants, especially from foreign tourists, is observed. Consequently, the government should take effective steps together with financial organizations to take care of the development of wine-making farmers. We consider the urgent issue of agricultural products, particularly the issue of viticulture development insurance. Intensive development of Georgian winemaking is mainly limited by wine technological capacities. In our opinion, it is advisable to open up the specialized innovative institution for studying qvevri, oak tar - dish, as well as enamel cisterns. The qvevri is irreplaceable for the production of Kakhetian and Imeretian branded wines. Ferro-concrete reservoirs, steel, iron and aluminum cisterns of the rest capacity - are unmatched for the production of fine wines, and generally, they are worsening the quality of Georgian table wines, but their value is much less compared to the value of oak tar, qvevri and steel magnets. Recently demand for qvevri in traditional countries of winemaking increased, which indicates great recognition of Georgian traditional winemaking.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი
ღირებულების ჯაჭვის მართვაში

ანოტაცია ნაშრომში განხილულია ღირებულებათა ჯაჭვის მართვისა და განვითარების საკითხები აგრობიზნესში. კერძოდ, საქართველოში არსებული ბიზნესსუბიექტების შესწავლის საფუძველზე გაანალიზებული და შეფასებულია ღირებულებათა ჯაჭვის ფორმირების პროცესი და მასში ჩართული სუბიექტების როლი, რომლებიც ორგანიზებული თანამშრომლობით მომხმარებლებისთვის პროდუქტის ღირებულებას ზრდიან. კვლევის ფარგლებში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესწავლა და საქართველოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების ბიზნეს ციკლის მიმოხილვა. ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციები საქართველოში აგრობიზნესის ღირებულებათა ჯაჭვის მართვის სრულყოფას შეუწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი; ღირებულების ჯაჭვის მართვა; წარმოების დანახარჯები; მიწოდების ჯაჭვი.

შესავალი

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისა და მართვის საკითხების შესწავლის აქტუალურობა განპირობებულია მთლიან შიგა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილის სტაბილურად დაბალი მაჩვენებლით, რომელიც, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ხარჯების სიდიდისა და განხორციელებული პროექტების მასშტაბებისა, არ იზრდება არც ნომინალურ და არც რეალურ მაჩვენებლებში.

მრავალი წლის განმავლობაში ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნება და მოთხოვნათა ცვალებადობა გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურასა და განვითარების მიმართულებებზე. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 33,2%-დან 8,2%-მდე შემცირდა. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელის შემშლელ ერთ-ერთ ფაქტორად ძირითადად 1992-1998 წლებში განხორციელებული მიწის რეფორმა ითვლება, რამაც მეურნეობების მცირე ფართობებზე დანაწევრება და წარმოების ნატურალიზაცია გამოიწვია. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, 1 ჰექტრამდე მიწას ფლობს მიწათმოსარგებლეთა 73,1%, 1-დან 5 ჰექტრამდე ფართობს - 25,5%, ხოლო 5 ჰექტრზე მეტს - მხოლოდ 1,5% [საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 : 22]. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ მეურნეობების კუთვნილი 1 ჰექტარი მიწა 2-3 ნაკვეთადაა წარმოდგენილი. რეალურად კი მომგებიანი და ეკონომიკურად ძლიერი სოფლის მეურნეობის განვითარება მიწების კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარია (42,75%) და მათი ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია თვითდასაქმებული, მთლიან შიგა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი ბოლო რვა წლის განმავლობაში სტაბილურად დაბალია (2015 წლის მონაცემებით შეადგენს 9,2%-ს). მონაცემები ადასტურებს, რომ დღეს ქვეყანაში მოსახლეობის უმსხვილესი დამსაქმებელი დარგია დაბალშემოსავლიანი სოფლის მეურნეობა. უმეტესი აგროსასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი დაბალია, დეფიციტის შევსება კი ხდება იმპორტირებული პროდუქტების ხარჯზე [Jibuti M., 2017].

ქართველ ფერმერთა ძირითადი ნაწილი წარმოების პროცესს კვლავ ძველი ტექნიკითა და ტექნოლოგიით ახორციელებს. მათი კონკურენტუნარიანობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე დაბალია და მეურნეობის მართვის პროცესი ფაქტობრივად არაორგანიზებულ დონის დონეებზეა შემთხვევითი ერთობლიობაა. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ კოოპერაცია საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების წინაპირობაა [საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 : 32-35].

კოოპერაციის პროცესის განვითარება მსოფლიოში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო, როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში წარმოიშვა კოოპერაციული ორგანიზაციები. გერმანიაში შეიქმნა პირველი საკრედიტო კოოპერატივები, ინგლისში – სამომხმარებლო კოოპერატივები, ხოლო საფრანგეთში – საწარმოო კოოპერატივები. ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ევროპის სახელმწიფოთა სოფლის მეურნეობის განვითარებაში, სადაც მცირე ფერმერთა უმრავლესობაა გაერთიანებული. ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელი, რასაც კოოპერატორები იღებენ კოოპერაციის შედეგად, არის ხელმისაწვდომობა ტექნიკასა და მანქანადანადგარებზე, ბაზარსა და ინფორმაციაზე, ხელმისაწვდომობის ზრდა სპეციალიზაციაზე და საქმის განაწილებაზე.

ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება საქართველოშიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ამ პროცესს წინ უსწრებდა მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები: 1909 წელს თბილისში გამოიცა კონსტანტინე კანდელაკის წიგნი „კოოპერაცია. თეორია, ისტორია და პრაქტიკა“, 1911 წლიდან ქუთაისში დაიწყო უკრნალ

„კოოპერაციის“ გამოცემა, სადაც პერიოდულად იბეჭდებოდა ყველა სიახლე აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მკითხველი ეცნობოდა ევროპული ქვეყნების გამოცდილებასა და მიღწევებს კოოპერატივების შესახებ, იკითხებოდა ლექციები აღნიშნულ თემაზე და კოოპერაციული მუშაობა სულ უფრო და უფრო მასშტაბური ხდებოდა. ადამიანებს სჯეროდათ, რომ კოოპერატივები იქნებოდა ეკონომიკური აღმავლობისა და სიღარიბისაგან თავის დაღწევის საშუალება. აღნიშნულ პერიოდში დაარსდა მრავალი კოოპერატივი, სადაც ასობით სუბიექტი იყო გაერთიანებული, მაგალითად, მეცხვარეთა კოოპერატივი „მწვემის“, სავაჭრო ამხანაგობა „კოლხიდა“, „ავლევის“ სამეურნეო ამხანაგობა, სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალი“ და სხვ. აღნიშნულ კოოპერატივებს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ ევროპის წამყვან სახელმწიფოებთან, მათი საქმიანობის მასშტაბები, გასაღების ბაზრები და პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება მუდმივად იზრდებოდა. ამ თვალსაზრისით საქართველოში ყველაზე წარმატებული კახეთის რეგიონი იყო, სადაც, ძირითადად, მევენახეთა კოოპერატივები იქმნებოდა. 1921 წლისათვის საქართველოში 900-მდე კოოპერატივი ფუნქციონირებდა, რომელიც მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებდა. საქართველო დინამიკური და დემოკრატიული განვითარების პროცესებში იყო ჩართული. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ კერძო საკუთრების ფლობისა და მართვის გამოცდილებას ბოლო მოუღო საბჭოთა ოკუპაციამ. ოკუპაციის შემდეგ (1921) კოლექტივიზაციის განხორციელების შედეგად კოოპერატივები საბოლოოდ დაიშალა და ლიდერთა ნაწილი ფიზიკურად იქნა განადგურებული. დროთა განმავლობაში კი ყველაფერი დავიწყებას მიეცა. დღეისათვის კოოპერატივების შექმნისა და განვითარების საკითხი საქართველოს აგრარული სექტორის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს აგრობიზნესის ღირებულებათა ჯაჭვის მართვის პროცესის ანალიზს, პრობლემების გამოვლენას და პროცესის ეფექტიანობის გაზრდისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა ფერმერულ მეურნეობათა განვითარებისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდის შესაძლებლობანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ღირებულების ჯაჭვის ეფექტიანი მართვის გზით.

ნაშრომი მომზადდა დარგის ექსპერტებთან, აგრობიზნესის მენეჯერებსა და ღირებულებათა ჯაჭვში ჩართულ მხარეებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების საფუძველზე მეორადი მონაცემები შეგროვდა საკითხთან დაკავშირებული პუბლიკაციებისა და ღირებულებათა ჯაჭვის ანგარიშების შესწავლით. კვლევის პროცესში აქცენტი გაკეთდა ღირებულებათა ჯაჭვის მართვის პრობლემებზე. წარმოების ზრდისა და განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებად აგრობიზნესში მეწარმის მიერ სრული საწარმოო ჯაჭვის ჩამოყალიბებისა და გამართვის აუცილებლობა გამოიკვეთა, რომელშიც შესაძლებელი გახდება წარმოების დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირება.

კვლევის ძირითადი მიგნებები

2013 წლიდან საქართველოში დაიწყო ფერმერული კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და განვითარების აქტიური ხელშეწყობის პროცესი. აღნიშნულ პერიოდში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერა თანამშრომლობის შეთანხმებას სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის განხორციელების შესახებ (ENPARD). აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოიყო 52 მილიონი ევრო, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდასა და სოფლად სიღარიბის შემცირებას [მცირე ფერმერული კოოპერატივებისათვის ENPARD-ის 18-თვიანი მხარდაჭერის შედეგები]. ENPARD-ის ერთ-ერთ ამოცანას ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივების განვითარება წარმოადგენს, რომელიც დაეხმარება მცირე ფერმერებს წარმოების განვითარებაში. „დღეს ქვეყანაში უმეტესად მცირემასშტაბიანი მეურნეობები ფუნქციონირებენ და ისინი პროდუქტების მხოლოდ თვითმომხმარების ფუნქციას ასრულებენ. ფაქტობრივად მოსახლეობა მეტი იმპორტირებულ აგროსასურსათო პროდუქციას მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს“ [Kharaihvili E., 2016: 1376-1379].

საქართველოში აგროპროდუქტების მცირე მწარმოებელთა უმეტესობა აწყდება ისეთ პრობლემებს, როგორცაა ღირებულების მთელ ჯაჭვზე გადანაწილებული მოგებიდან სასურველი წილის მიღება; მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოება მათთვის ხელმისაწვდომი სათესლე მასალის, სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების პირობებში; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის აგროვადებში განსახორციელებლად ფინანსურ რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა და მათი საქმიანობისთვის დამახასიათებელი ფულადი ნაკადების სეზონურობა; წარმოებული პროდუქტის ტრანსპორტირება, რომელსაც ხშირად აგვარებენ შუამავლებისათვის პროდუქტის დაბალ ფასად მიყიდვის ხარჯზე.

იქიდან გამომდინარე, რომ ღირებულებათა ჯაჭვის მართვა არის მწარმოებელთა, შუამავალთა, გადამამუშავებელთა და ნედლეულის (სერვისის) მიმწოდებელთა ჯგუფების ორგანიზებული კავშირი პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად, ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილენი უნდა ცდილობდნენ წარმოებული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და მის შენარჩუნებას ინოვაციის ხარჯზე. „მათ უნდა შექმნონ და გამოიყენონ სხვადასხვა კონკურენტული სტრატეგია და დაიმკვიდრონ ადგილი გლობალურ სივრცეში“ [Chokheli E., 2016]. ამასთან, კომერციული

პარტნიორების მონაწილეობა ღირებულებათა ჯაჭვში ხარჯების შემცირებასა და ბიზნესის ეფექტიან წარმართვას უნდა უწყობდეს ხელს. „იგი საშუალებას იძლევა, გაირკვეს დანახარჯების სტრუქტურა და დანახარჯების შემცირებით ამალდეს კომპანიის კონკურენტუნარიანობა. ამ მეთოდის მიზანია, შეამციროს დანახარჯები არა მარტო შიგა საქმიანობების, არამედ მომწოდებლების ხარჯზეც მათთან ურთიერთობის ისეთი ფორმების შეთავაზებით, რომლებიც უზრუნველყოფს მოგების ზრდას“ [ჩოხელი ე., 2014].

კვლევების შეჯამებამ და უცხოური გამოცდილების გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ მაშინ, როდესაც ინდივიდუალურად მომუშავე მცირე ფერმერი ვერ იღებს სარგებელს პროდუქციის რეალიზაციის შედეგად, კოლექტიურად მომუშავე ფერმერები, რომლებმაც კოოპერატივების ანალოგიური წარმოების ძლიერი ორგანიზაციული კავშირები დააფუძნეს, უკეთ ახერხებენ საბაზრო შესაძლებლობების გამოყენებას და კრიზისული სიტუაციების თანმდევი უარყოფითი შედეგების შესუსტებას. ცხადია, ფერმერებს აქვთ შესაძლებლობა, რომ შექმნან კოოპერაციული საწარმო, რაც ღირებულებათა ჯაჭვის შემჭიდროების, ხარჯების შემცირებისა და მოგების გაზრდის საშუალებას მისცემთ.

საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია თხილის მწარმოებელი, მეფუტკრეობის, რძის მწარმოებელი და მევენახეობის კოოპერატივები. განვიხილოთ ღირებულების ჯაჭვის ფორმირების პროცესი თხილის მწარმოებელი კოოპერატივის მაგალითზე.


ქართული თხილის წარმოებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში. მსოფლიოში თხილის მწარმოებელ 5 მოწინავე ქვეყანას შორის საქართველო რიგით მეოთხე ადგილზე იმყოფება თურქეთის, იტალიისა და აშშ-ს შემდეგ. ჩვენთან ყოველწლიურად საშუალოდ 32 900 ათასი ტონა თხილი იწარმოება. საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტი რაოდენობით თხილი სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიასა და იმერეთში იწარმოება [საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2016 : 62]. წარმოებული თხილის უმეტესი ნაწილი შუამავლების მეშვეობით ბაზარზე იყიდება; ქართული თხილის ფასის ცვალებადობა დამოკიდებულია მოსავლის რაოდენობაზე თურქეთში, რომელიც მსოფლიო ბაზარზე თხილის მთავარი მიმწოდებელია. თხილის მწარმოებელთა ფრაგმენტაციისა და მცირე მასშტაბების გამო, მათ სხვადასხვა ჯიშის თხილი მოჰყავთ, შესაბამისად მოსავალს სხვადასხვა დროს იღებენ და წარმოებისა და დასაწყობების განსხვავებულ ტექნოლოგიებს იყენებენ, რაც პროდუქტის ხარისხზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს.

როდესაც თხილს აწარმოებს ფერმერი, თხილის რეალიზაცია ხორციელდება ან რეგიონულ ბაზრებზე, ფერმერის მიერ, სადაც პროდუქტს ყიდულობს უშუალოდ მყიდველი (ეს იშვიათი შემთხვევაა), ან ადგილზე, შუამავლის მიერ, რომელიც თხილის ყოველი მეურნეობისაგან შეიძენს პროდუქტს, აგროვებს რეალიზაციისთვის მომგებიან მოცულობას და ასრულებს გადამყიდველის ფუნქციას (ნახ. 1). აღნიშნული საქმიანობიდან შუამავალი იღებს მოგებას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, უფრო მაღალია, ვიდრე პროდუქტის პირველადი მწარმოებლის მიერ მიღებული მოგება.

თხილის მწარმოებელი კოოპერატივის შემთხვევაში ღირებულებათა ჯაჭვის ერთ რგოლში რამდენიმე სუბიექტი ერთიანდება და პროდუქტი რეალიზაციამდე სხვადასხვა ოპერაციას გადის: წარმოებისთვის საჭირო მასალების შექმნა, თხილის მოყვანა, მოსავლის აღება, გაშრობა, ნედლი მასალით ვაჭრობა, ნედლი მასალის გასუფთავება, დამტვრევა, მოხალვა, დაფქვა, ვაკუმიზაცია, გაგზავნა, გაყიდვები ვეროპულ ან აზიურ ბაზრებზე. კოოპერატივი შესაძლებლობას იძლევა, რომ შემჭიდროვდეს ღირებულების ჯაჭვი, რადგან მას პროდუქტის გასაყიდად არ სჭირდება შუამავალი და შესაბამისად ურთიერთობა შემგროვებელ ცენტრებთან (ნახ. 2). ამ შემთხვევაში საქმიანობათა დიდ ნაწილს კოოპერატივი ახორციელებს და მოგების მარჯის დიდი ნაწილიც შესაბამისად კოოპერატივს რჩება.



ნახ. 1. თხილის ღირებულების ჯაჭვი ფერმერებისთვის



ნახ. 2. თხილის ღირებულების ჯაჭვი კოოპერატივებისთვის

თხილის მწარმოებელი კოოპერატივების ღირებულების ჯაჭვის შესწავლამ გვიჩვენა, რომ კოოპერაციის შემთხვევაში შესაძლებელი ხდება კოოპერატივის, გადამამუშავებისა და ექსპორტის მთლიანი ჯაჭვის ერთ რგოლში გაერთიანება (ნახ. 2) და შესაბამისად, ღირებულების ჯაჭვის შემჭიდროება. ანალოგიურ შედეგს იძლევა მეფუტკრეობის, რძის მწარმოებელი და მევენახეობის კოოპერატივების ღირებულების ჯაჭვის გაანალიზება.

ღირებულების ჯაჭვის ფორმირების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიწოდების ჯაჭვი, რომელიც ნედლეულის წარმოებისთვის საჭირო მომსახურებისა და მასალების მიწოდების სტრუქტურას აყალიბებს დამატებული ღირებულების შექმნის გზით. მიწოდების ჯაჭვის კონცეფციაც ღირებულების ჯაჭვის მსგავსია. იგი ინდივიდუალური მეწარმეებისათვის ნედლეულისა და მასალების (მომსახურების) მიწოდებისა და მარკეტინგის ფუნქციებს აერთიანებს. შესაბამისად, მიწოდების ჯაჭვის მართვაც ბიზნესის მართვის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უფრო მეტად უკავშირდება ლოგისტიკას, ვიდრე ბაზრის განვითარებას და წარმოების შემოსავლიანობის ზრდაზე უშუალო გავლენას ახდენს.

მცირე ფერმერთა გაერთიანება კოოპერატივებში ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას და საშუალებას მისცემთ, რომ ჰქონდეთ უფრო მაღალი ხელმისაწვდომობა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებისათვის საჭირო მასალებზე, მომსახურებებსა და ბაზრებზე, უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი მომხმარებლებთან, მათგან მიიღონ ინფორმაცია მათი მოთხოვნის მახასიათებლების შესახებ და აღნიშნულის საფუძველზე განავითარონ პროდუქტის წარმოება ან მომსახურების გაწევა [ქეშელაშვილი გ., 2017: 507].

ცხადია, კოოპერაციის განვითარება ღირებულებათა ჯაჭვის სრულყოფასა და საბოლოო მომხმარებლის კმაყოფილების დონის ზრდას შეუწყობს ხელს, რადგან შესაძლებელი ხდება პროდუქტის საბოლოო ფასის შემცირება ღირებულების ჯაჭვის რგოლების რაოდენობის შემცირების ხარჯზე. ამასთან, კოოპერატივის წევრებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ მიიღონ გაცილებით მეტი მოგება საბოლოო პროდუქტის რეალიზაციის შედეგად, ვიდრე იღებდნენ ინდივიდუალურად, მხოლოდ პირველადი წარმოების შედეგად.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში მოქმედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა უმრავლესობას არ აქვს საჭირო ცოდნა საქმიანობის უკეთ დაგეგმვის, წარმოებისა და ღირებულების ჯაჭვის მართვის, სავარაუდო შედეგების წინასწარი პროგნოზირებისა და მათი მიღწევების შეფასებისათვის.

დასკვნა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლის შესწავლამ ღირებულების ჯაჭვის მართვის პროცესში შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა:

- ქართველი ფერმერები საქმიანობას კვლავ ტრადიციული მეთოდებით აგრძელებენ, არ იყენებენ ინოვაციებს და მათ მიერ მიღებული შემოსავალი ძალიან მწირია. მათ არ გააჩნიათ გრძელვადიანი ხედვა და ძირითადად ორიენტირებულნი არიან მხოლოდ ბიზნესის ერთწლიან გეგმებზე, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, არაორგანიზებულად ხორციელდება და არ ეფუძნება მატერიალურ დოკუმენტებს. ფერმერებს არ აქვთ საჭირო პროფესიული ცოდნა და გამოცდილება მარკეტინგის საკითხებში, რაც კოოპერატივის ღირებულების ჯაჭვში მათ ინტეგრირებას უშლის ხელს.

- კოოპერატივებში გაერთიანება ფერმერებს საშუალებას მისცემთ, შეამცირონ დანახარჯები ღირებულების ჯაჭვის სხვადასხვა რგოლში და უკეთ გამოიყენონ საბაზრო შესაძლებლობები გაყიდვების პროცესში ჩართულობის გაზრდის საფუძველზე; პირველი დონის კოოპერატივებთან ერთად მეორე და მესამე დონის კოოპერატივების შექმნა უფრო მეტად შეამჭიდროვებს ღირებულების ჯაჭვს, შეამცირებს დანახარჯებს და გაზრდის პირველადი მწარმოებლის შემოსავალს, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას შეუწყობს ხელს.

- მნიშვნელოვანია, განხორციელდეს ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება მათი პროფესიული გადამზადების გზით, კოოპერატივების ღირებულებათა ჯაჭვში გააზრებული ინტეგრირებისათვის.

- გრძელვადიან მიზნებსა და სტრატეგიებზე ორიენტირებული კოოპერატივების შექმნა ხელს შეუწყობს მის წევრებს, რომ ორიენტაცია აიღონ მეურნეობათა მდგრად განვითარებაზე და განახორციელონ საქმიანობათა ორგანიზებული მართვა.
- საკრედიტო და სადაზღვევო სისტემის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი წამახალისებელი ფაქტორი გახდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და აგროვადების ეფექტიანი მართვისათვის.
- საქართველოს მთავრობის მხრიდან მნიშვნელოვანია სათანადო რეგულაციების განხორციელება სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დასაახლოებლად, რაც კოოპერატივებში ფერმერთა გაერთიანების სტიმულირებას და კოოპერატივების მიერ შექმნილი პროდუქტის ცნობადობას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა. <http://acda.gov.ge/>
2. საბოლოო ანგარიში – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მდგრადი კავშირების ხელშეწყობა ბაზარზე არსებულ მოთამაშეებთან, ექსტენციის და ფინანსური მომსახურებების მიმწოდებლებთან. <http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2017/12/სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მდგრადი კავშირების ხელშეწყობა. Pdf>
3. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020, გვ.1-66. <http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020.pdf>
4. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2016, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/2016%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf
5. მცირე ფერმერული კოოპერატივებისათვის ENPARD-ის 18-თვიანი მხარდაჭერის შედეგები, <http://enpard.ge/ge/18-months-of-enpard-support-to-small-farmers-cooperatives/>
6. ქეშელაშვილი გ. (2017). სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმირებისა და მართვის ძირითადი ასპექტები საქართველოში. კრებულში: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი, „თსუ“ გვ. 504-510.
7. ჩოხელი ე., (2014). სტრატეგიული ანალიზის თანამედროვე მეთოდებისა და ინსტრუმენტების შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
8. Chokheli E. (2016). "The impact of the competitive strategy on the success of wine companies (The Case of Georgia)," Proceedings of International Academic Conferences 4006536, International Institute of Social and Economic Sciences.
9. Kharashvili, E., (2016). 'Small Farm Diversification Opportunities in Viticulture-Winemaking Sector of Georgia '. World Academy of Science, Engineering and Technology, International Science Index 113, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, 10(5), 1376 - 1379.
10. Keshelashvili G., (2016). General Strategies of Georgian Winemaking Companies' Management in the Conditions of Integrated Development, 23rd International Academic Conference, 27-30 April, Venice, Italy, <http://www.iises.net/proceedings/23rd-international-academic-conference-venice/table-of-content>
11. Keshelashvili G., Jibuti M. (2015). The Commercialization of Ideas and Customer's Needs in the Georgian Market, 15th International Academic Conference, 14-17 April, Rome, Italy, <http://www.iises.net/proceedings/international-academic-conference-rome/front-page>

Giuli Keshelashvili

ROLE OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE VALUE CHAIN MANAGEMENT

Summary

Work offers discussion of the issues of value chain management and development in agribusiness. In particular, based on the study of business entities in Georgia it analyzes and assesses the process of value chain formation and role of the involved stakeholders that increase the product value for the consumers through organized cooperation.

Value chain connects the raw material producers, middlemen, processing enterprises, sales markets, service providers and different parties, whose activities promote competitiveness of one another at marketplace and its maintenance through introduction of innovations in the processes of value chain. Value chain management is the instrument of strategic business analysis and planning that is used for coordination of the value chain components and resources. Effective management of value chain directly affects profitability of the involved stakeholders and satisfaction of consumers.

The work demonstrates the main challenges hindering development and effectiveness of agribusiness management in Georgia, including land fragmentation, low availability of advanced technologies, lack of business management awareness and skills, poor organization of logistics and supply process, low opportunities of negotiating and performing agrarian marketing etc.

In Georgia, most small producers of agrarian goods face such problems as gaining desirable share of profit distributed over the entire value chain; production of high quality goods with available seeds, fertilizers and chemicals; low access to the financial resources for performing agricultural works in due time and seasonality of cash flows characteristic for their activities; problems of transportation of the produced goods that are frequently dealt with through sale of the products to the middlemen at very low prices.

Regarding the value chain management is organized union of the producers, merchants, processors and raw materials / service suppliers for improvement of productivity, the value chain participants should make attempts to improve and maintain competitiveness based on innovations. Participation of the commercial partners in the value chain should contribute to costs reduction and effective performance of business. Availability of the advanced technologies, information, capital, would help them in use of the innovative production techniques and effective marketing management, as a result, they will be able to supply high quality goods to the consumers.

Summarization of the research results and analysis of the international experience showed that while individually working small farmers are unable to gain profits from sale of their products, the farmers working collectively, who have established powerful organizational links in similar production in a form of cooperatives, are better able to take advantage of market opportunities and mitigate negative outcomes of the crisis situations.

Naturally, the farmers can establish the cooperative enterprises. In addition, the primary production cooperatives can establish the new entities in a form of the second-level cooperatives allowing tightening of the value chain, costs reduction and improvement of profits.

Within the scopes of the research various cases of the agricultural cooperatives involved in the sector were studied and business cycles of priority sectors of Georgian agriculture were surveyed. Work was prepared on the basis of in-depth interviews with the industry experts, agribusiness managers and parties involved in the value chain. Secondary data (desk research) were collected through studying of the publications related to the issue and value chain reports.

Seasonality of raw materials production and their insufficiency was found to be one of the main causes of instability of value chain and supply chain in agriculture sector. Participants of value chain do not perceive one another as partners and do not care properly about the quality stability thus reducing competitiveness of their businesses.

In the process of research the emphasis was made on the problems of value chain management. In agribusiness, necessity of formation and setup of the full production chain allowing significant reduction of production costs was identified as one of the significant directions for production growth and development.

Recommendations offered by the work would contribute to improvement of value chain management in agribusiness, in Georgia.

*ქეთევან ქველადე
მედეა მელაშვილი
ნუნუ ქისტაური*


ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ტურიზმის, როგორც ეკონომიკური დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, რომელიც გარკვეულწილად ასახავს ტურიზმის დარგის განვითარების დღევანდელი მდგომარეობის რეალურ სურათს, რომლის ანალიზიც ნათელიყოფს, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ტურიზმის დარგი მუდმივად ფართოვდება, განიცდის დივერსიფიკაციას და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად დარგად რჩება. სხვადასხვა პერიოდში გარკვეული ეკონომიკური რყევების მიუხედავად, ტურიზმის წილი მსოფლიო ეკონომიკაში მუდმივად იზრდება. სტატიაში ასევე განხილულია თანამედროვე ტენდენციების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, განვითარება, ტენდენცია, ტერორიზმის საფრთხე, მდგრადობა, დესტინაცია, ტურისტული მიმართულება.

საერთაშორისო ეკონომიკის განვითარება და ცხოვრების დონის ამაღლება განაპირობებს მოთხოვნებს ტურისტულ მომსახურებებზე და მათ მრავალფეროვნებას. დღეისათვის ტურისტული მომსახურებების განვითარების ძირითადი მიმართულებებია: გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური, სოციალურ-კულტურული, ორგანიზაციული, ხოლო ზემოქმედების ეფექტის მიხედვით: მასტიმულირებელი და დამაბრკოლებელი ფაქტორები. იმ პირობების სპეციფიკას, რომელშიც ფორმირდება ტურისტული შემოთავაზებები, განაპირობებს ერთი მხრივ, გლობალური ტენდენციები და კონკურენციის გამწვავება, მეორე მხრივ ტურისტული მოთხოვნების ტრანსფორმაცია. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ტურიზმის დარგი მუდმივად ფართოვდება, განიცდის დივერსიფიკაციას და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად დარგად რჩება. სხვადასხვა პერიოდში გარკვეული ეკონომიკური რყევების მიუხედავად, ტურიზმის წილი მსოფლიო ეკონომიკაში მუდმივად იზრდება. ამის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია ჩამომსვლელი ტურისტების რაოდენობა. საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის UN-WTO-ს მონაცემების მიხედვით 1950 წელს ეს მაჩვენებელი 2,5 მლნ ადამიანს უდრიდა; 1980 წელს - 278 მლნ; 1995 წელს - 527 მლნ, ხოლო 2016 წელს საერთაშორისო ტურიზმის მოცულობა 4%-ით

გაიზარდა და 1,235 მილიარდი ტურისტული შეადგინა ანუ დედამიწაზე მცხოვრები ყოველი მეშვიდე ადამიანი კვეთს საერთაშორისო საზღვრებს და თავისი წვლილი შეაქვს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაში. დღეისათვის მსოფლიოს 195 სახელმწიფოდან ტურიზმში ჩართულია 155 ქვეყანა და საერთაშორისო ტურისტული ჩამოსვლების დინამიკა ნაჩვენებია 1 სურათზე.



სურ 1. საერთაშორისო ტურისტული ჩამოსვლების დინამიკა 1990-2016 წლებში, მლნ ადამიანი [12].

რაც შეეხება ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით 1950 წლისათვის იგი უდრიდა 2 მლრდ აშშ დოლარს; 1980 წელს – 104 მლრდ დოლარს; 1995 წელს – 415 მლრდ დოლარს და 2016 წლისათვის 1254 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა [4]. 2016 წლისათვის რეგიონულ ჭრილში ეს მაჩვენებელი გაიზარდა ამერიკაში - 8%-ით, აზია-წყნარი ოკეანისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში - 5%-ით, ევროპაში - 3%-ით [5]. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მხრივ ლიდერობს აშშ 207 მლრდ აშშ დოლარით (2016). ტურისტული დანახარჯების თვალსაზრისით, ლიდერია ჩინეთი. 2016 წელს ჩინელი ტურისტების დანახარჯების საერთო მოცულობა 261 მილიარდი იყო. UNWTO-ს მონაცემებით 2016 წელს ტურისტულმა ინდუსტრიამ შეადგინა მსოფლიო მშპ-ს 10%, ტურიზმი მსოფლიო ექსპორტის 7%, ხოლო მომსახურების ექსპორტის 30%.

ტურიზმის მომავალი განვითარების ძირითად ფაქტორებად ითვლება საერთო და დარგობრივი ფაქტორები: კონკურენცია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ავიაგადაყვანები, ტუროპერატორების მომსახურება, ასევე პოლიტიკური და სოციალური პირობები.

ბოლო წლებში მსოფლიოში შეინიშნება მოგზაურთა რაოდენობის ზრდის ტემპის მატების ტენდენცია. მეზობელ უსაფრთხო ქვეყნებში, შორეულ ქვეყნებთან შედარებით. ზოგიერთი ექსპერტი ამას მსოფლიოში ტერორიზმის საფრთხის ზრდით ხსნის (სწორედ ტერორიზმის გაზრდილმა მასშტაბმა გამოიწვია დასავლეთ ევროპაში ტურისტების რაოდენობის კლება. მსოფლიოს ნომერ პირველ ტურისტულ ქვეყანაში – საფრანგეთში უცხოელი ტურისტების 4%-იანი კლება დაფიქსირდა პარიზისა (2015 წ. 13 ნოემბერი) და ნიცის (2016 წ. 14 ივლისი) საზარელი ტერორისტული აქტების გამო. ტურისტების რაოდენობა შემცირდა ბელგიაში 13%-ით ბრიუსელის ტერორისტული აქტის შედეგად. კაიროსა და სხვა ქალაქებში გახშირებული ტერორისტული აქტების შემდეგ ტურისტების რაოდენობამ ეგვიპტეში 42%-ით იკლო. მასობრივმა არეულობებმა და ტერორისტულმა აქტებმა სტამბოლისა და თურქეთის სხვა ქალაქების უსაფრთხო იმიჯის აღქმა მთლიანად შეცვალა, რაც სასტუმროების დატვირთვის მაჩვენებელზე აისახა [10]), სხვები კი – ტურების რაოდენობის ზრდას შეგებულების პატარა მონაკვეთებად დანაწევრების ტენდენციას უკავშირებს. ტურისტული ნაკადების ზრდა და ამით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ცვლილებები გახდა ეკონომიკური ზრდისა და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების არსებითი ფაქტორი.

WTO-ს (მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია) და AEEST-ს (ტურიზმის მეცნიერ-ექსპერტების საერთაშორისო ასოციაცია) მონაცემებით, ტურიზმის განვითარების დღევანდელი თავისებურებები გამოწვეულია მსოფლიოს სხვადასხვა რაიონებში საერთაშორისო ტურისტული ნაკადების არათანაბარი განაწილებით.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების კუთხით ყველაზე მეტად დატვირთულია დასავლეთ ევროპა, რომლის წილადაც მოდის საერთაშორისო ტურისტული ბაზრის 70%, ამერიკაზე – 20% და 10% - აზიაზე, აფრიკასა და ავსტრალიაზე. დასავლეთ ევროპის ბევრმა განვითარებულმა ქვეყანამ, როგორცაა შვეიცარია, ავსტრია, საფრანგეთი, თავიანთი კეთილდღეობის დიდი ნაწილის განვითარება სწორედ ტურიზმის ხარჯზე მოახდინა [1].

დღეისათვის ადგილი აქვს შემდეგი სახის პროპორციებს:

1. მასობრივი, ანუ ჯგუფური ტურიზმი იკავებს მთლიანი ტურისტების რაოდენობის 20-39%-ს;
2. ინდივიდუალური ტურიზმი - 70-80%-ს, ტურისტები, რომლებიც მოგზაურობენ უახლოეს ქვეყნებში.

თუმცა ბოლო ხანებში ეს თანაფარდობა მასობრივი ტურიზმის მკვეთრად ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით: ავიაბილეთების დაბალი ფასი; ჯგუფური ტურისტებისათვის ჩარტერების რიცხვის ზრდა; ტუროპერატორების დაინტერესება ჯგუფური ტურიზმით (რადგანაც მას საკმაოდ დიდი შემოსავალი მოაქვს); სამუშაო ადგილების

რიცხვის ზრდა ჯგუფურ ტურიზმში; ავტობუსებით მოგზაური ტურისტების რიცხვის ზრდა (მგზავრობის დაბალი ფასიდან გამომდინარე); ხანგრძლივპერიოდის შვებულებების რაოდენობის შემცირებით, მის პატარა მონაკვეთებად დანაწევრების ტენდენციის გამო და ამავე დროს დასვენების სიხშირის ზრდით და ა.შ..

ბოლო პერიოდის განსაკუთრებით დამახასიათებელი ნიშანი ხდება ტურიზმის დივერსიფიკაცია – ახალი ტურისტული მიმართულებების ძიება, რომლებიც გათვლილია არა მარტო დასვენებაზე, არამედ ახალი, განსაკუთრებული შთაბეჭდილებების მიღებაზე. ასეთებია: ექსტრემალური, რეკრეაციული, საექსკურსო, სამეცნიერო, საქმიანი, ეთნიკური, სათავგადასავლო, სპორტული, სასწავლო, რელიგიური ან მომლოცველობითი, ჰობი-ტურიზმი, შოპინგ-ტურიზმი. დღეისათვის ძალიან პოპულარულია ინოვაციური ტურიზმის ისეთი სახეობები, როგორცაა ეკოლოგიური, აგროტურიზმი, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, რომანტიკული, კულინარიული, სასოფლო, კოსმიური, ასევე ტურიზმი ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის, აგრეთვე ბავშვებისათვის არდადეგების პერიოდის ტურიზმი და ა.შ..

70-იან წლებში საერთაშორისო ბაზარზე უფრო მეტი იყო საქმიანი ტურიზმის სეგმენტი, ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა რეკრეაციული სეგმენტის სასარგებლოდ (60%) და მხოლოდ 40% მოგზაურობს ბიზნესმიზნებისათვის.

კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც ახალი არ არის, მაგრამ ბოლო პერიოდში გასაკუთრებით აქტუალური გახდა არის სიახლოვე ბუნებასთან და სოფელთან, რასაც განაპირობებს მოსახლეობის სულ უფრო დიდი ნაწილის ცხოვრება მეგაპოლისებში. ამიტომ კვირის ბოლოს მათ მოსწონთ და სტირდებით დასასვენებლად სოფლის მიმართულებით ე.წ. აგარაკზე წასვლა. ნაწილს მართლაც გააჩნია საკუთარი აგარაკი, დიდი ნაწილი კი ირჩევს არატრადიციულ ე.წ. „სასოფლო“ მომსახურებებს (პატარა სახლები, ბუნგალოები, სანადირო სახლები ტყეში და სხვა). ყოველივე ზემოთ თქმულს ძალიან უწყობს ხელს ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, ფართო რეკლამა, პოლიტიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება (გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის 2016-2017 წლების სამ პრიორიტეტს შორის უმათავრესი უსაფრთხო მოგზაურობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია გახდა). ინტერნეტის ფართო განვითარებამ ძლიერი ზემოქმედება იქონია ტურისტული დისტრიბუციის სისტემაზე. იგი ადამიანს საშუალებას აძლევს, უსწრაფესად და იაფად მიიღოს ინფორმაცია ტურპროდუქტზე და შეუკეთოს მისთვის სასურველი ტური. გარდა ამისა, მობილური ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო კარგავს აქტუალობას სატელევიზიო რეკლამა. დღეს ყველაზე აქტიურად სახელმწიფოები ციფრულ მარკეტინგს (Digital Marketing) იყენებენ, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების ასეთმა სწრაფმა განვითარებამ განაპირობა.

ბოლო პერიოდში, განვითარებულ ქვეყნებში თითქმის ყველგან დაკანონდა ანაზღაურებადი შვებულება, რომლის ხანგრძლივობა სულ უფრო იზრდება მაგ., იაპონიაში იგი წელიწადში 7 კვირას შეადგენს. ს, რა თქმა უნდა, ზრდის ადამიანის შესაძლებლობებს, შვებულება უცხოეთში გაატაროს. ხანგრძლივი უცხოური მოგზაურობების უდიდესი ნაწილი ხნიერი ადამიანების (პენსიონერების) წილზე მოდის (ეს, რა თქმა უნდა, იმ ქვეყნის პენსიონერებს ეხება, სადაც პენსია მაღალია და დაგროვილი თანხები მოგზაურობების შესაძლებლობას იძლევა). აქედან გამომდინარე, ტუროპერატორები დიდ ინტერესს იჩენენ მოსახლეობის „ხანშიშესული ჯგუფის“ ე.წ. „მესამე ასაკობრივი ჯგუფი“-ის მიმართ, მოსახლეობის ამ კატეგორიას უამრავი თავისუფალი დრო გააჩნია, აქვს დაგროვილი თანხა, ანუ გააჩნიათ ყველაზე საუკეთესო „ტურისტული“ პირობები.

თუმცა ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტად იზრდება მოგზაური ახალგაზრდების რიცხვიც, ასევე ძალიან პოპულარული გახდა შაბათ-კვირის ხანმოკლე მოგზაურობები, რაც „მესამე ასაკობრივი ჯგუფი“-სგან განსხვავებით, ძირითადად სრულიად ახალგაზრდა თაობის წილად მოდის. ამასთან ერთად ამჟამად თითქმის ყველა ოჯახს ავტომობილი გააჩნია, ამიტომ ისინი ადვილად გეგმავენ მგზავრობას ავტომობილით. წარსულს ჩაბარდა ტენდენცია, როდესაც ადამიანები დასასვენებლად ირჩევდნენ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის კურორტებს მათი პოპულარობის გამო. ბოლო პერიოდში საერთაშორისო ტურისტების სოლიდურმა ნაწილმა უპირატესობა მიანიჭა მათთვის ახალი და უცნობი ადგილების მონახულებას; მსოფლიო რუკაზე ლიდერის პოზიციას ევროპა ინარჩუნებს. ამ ფონზე გაიზარდა მოთხოვნა ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში მოგზაურობაზე. ბოლო ხანებში ტურიზმი, ნამდვილად გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტულ დარგად, რომელიც განვითარების პოზიტიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. საქართველოს ბუნებრივი ტურისტული რესურსები მდიდარია: კლიმატური, ბალნეოლოგიური, ზღვის, მთების, მყინვარების, შიდა სამკურნალო წყლებისა და ბუნების სხვა უნიკალური კომპონენტებით. საქართველო მდიდარია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლებითა და უძველესი ნაგებობებით, აქ ცხოვრობს უძველესი კულტურის მქონე სტუმართმოყვარე ხალხი, რაც საქართველოში მრავალფეროვანი სხვადასხვა ტურისტული მიმართულებების (რომლებიც საინტერესო იქნება ყველა თაობის ტურისტისათვის) წარმატებით განვითარების მთავარი გარანტია. 2017 წელს საქართველოს ცნობადობის ამაღლებისა და დამატებითი ვიზიტორების მოზიდვის მიზნით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- მონაწილეობა 21 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში.
- ონლაინმარკეტინგული კამპანია 19 მიზნობრივ ქვეყანაში.

• სარეკლამო კამპანიები: BBC, Euronews, Discovery, Tripadvisor, Expedia.

• 99 საერთაშორისო პრესტური (საქართველოს ესტუმრა 683 უცხოური მედიის წარმომადგენელი).

• 14 ინფოტური (საქართველოს ეწვია 239 ტუროპერატორი)

• საქართველოს შესახებ სტატიები მოამზადეს შემდეგმა მედიასაშუალებებმა: BBC, National Geographic, National Geographic Traveller India, Forbes, Le Monde, The Independent, The Guardian, Elle, Observer, Birdwatching Magazine UK; Thrilist, Conde Nast; Daily Mail, Vogue; Huffington Post და ა.შ.[11].

საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ტურისტული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის საშუალებების გამოყენებით მიიღწევა. კერძო ორგანიზაციები საკუთარ ინტერესებს ითვალისწინებენ, ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებული სახელმწიფო ინტერესებით. ამიტომ ქვეყნისათვის ტურიტულად მიმზიდველი იმიჯის შექმნა მხოლოდ თვითონ სახელმწიფოს პრეროგატივად რჩება. მაგ., დიდი ბრიტანეთი და ესპანეთი ისედაც არიან ტურისტულად წამყვანი ქვეყნები, მაგრამ მათი მთავრობები საკუთარი ტურიზმის განვითარებისათვის დიდ თანხებს გამოყოფენ ყოველწლიურად: 50,9 და 96,2 მლნ ევრო. შესაბამისად, საშუალოდ ევროპის ქვეყნების მიხედვით ეს მაჩვენებელი 31,7 მლნ ევროს შეადგენს. ამასთან, ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესში უმწვავესი კონკურენციის ტენდენციის გამო, ტრანსნაციონალურ კორპორაციებსაც კი სერიოზული მუშაობა უწევთ, რათა კონკურენტუნარიან გარემოში თავიანთი ადგილი შეინარჩუნონ. მაგ., დაბალბიუჯეტინამა ავიაკომპანიებმა, რომლებიც ამჟამად მომხმარებლებს დაბალფასიან ავიაბილეთთან ერთად მომენტალურად სთავაზობენ სხვადასხვა ტურისტულ მომსახურებებსა და ტურებს მათთვის მისაღებ ფასში (პირდაპირი ტურისტული მომსახურების პროვაიდერების (სასტუმროები, საექსკურსო ბიუროები და სხვა) დახმარებით), მომხმარებელი დააკარგვინეს როგორც ტუროპერატორებს, ისე მსხვილ ავიაკომპანიებს, განსაკუთრებით ის სეგმენტი, რომელიც ევროპის ქალაქებში შაბათ-კვირას მოგზაურობს. ბოლო რვა წლის განმავლობაში Airbnb (ონლაინ საძიებო პლატფორმა განთავსების, კერძო საბინაო და მოკლევადიანი არენდისათვის მთელ მსოფლიოში) გლობალური ბაზრის სერიოზული მოთამაშე გახდა. ის, ვინც ადრე სასტუმროში ჩერდებოდა, დღეს ირჩევს კომფორტულ აპარტამენტში განერებას 50-60 ევროს ფარგლებში, რაც სასტუმრო ნომრებზე გაცილებით იაფია.

XX საუკუნის ბოლოსათვის საერთაშორისო ტურიზმის ბაზარზე ძლიერი ცვლილებები მოხდა, გაჩნდა ახალი, მოდური ტურისტული დესტინაციები: მაგ., აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი: ვიეტნამი (აქ იდება სერიოზული ინვესტიციები შემომავალი ტურიზმის განვითარებისათვის), კამბოჯა, ლაოსი, ლათინური ამერიკა - ჩილე, აფრიკაში - სამხრეთ აფრიკული რესპუბლიკა. ამ ახალმა მიმართულებამ ძალიან სწრაფად შეიძინა პოპულარობა და გაზარდა საკუთარი ქვეყნების კონკურენტუნარიანობა ტურისტულ ბაზარზე.

XXI საუკუნის დასაწყისისთვის მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის წინ მწვავე უარყოფით ტენდენციად დადგა რეკრეაციული რესურსების შენარჩუნების და განვითარების პრობლემა. ამისათვის აუცილებელია სახელმწიფო ორგანოების და სამეწარმეო სტრუქტურების შეთანხმებული მოქმედება ტურიზმის, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ეკოლოგიის საკითხებში. მაგ., სწორედ დღეს, ტექნოკრატიულ პირობებში ცხოვრების პირობების გამო ძალიან მიმზიდველი ხდება ბუნებრივი ლანდშაფტი, სუფთა წყალსაცავები, ტყე, სუფთა ჰაერი. სწორედ ეს იწვევს სასტუმროების, დასასვენებელი სახლების აშენების სურვილს ამ ადგილებში, ხოლო ეს, თავის მხრივ, ანადგურებს იმ ლანდშაპტს, რომელიც თავისი მნიშვნელობით უნიკალური და საინტერესოა. მაგ., ლა-მანშის ბელგიური სანაპირო სრულიად გაანადგურა სანაპირო ზოლზე 62 კმ-იანმა სასტუმროების მშენებლობის ბუძმა, აშენდა დამცავი დამბები, რამაც კატასტროფულად შეამცირა ქვიშის რაოდენობა „პლაჟებზე“ და, რა თქმა უნდა, გააფუჭა ისინი. ასევე მაგ., დასვენების ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილია ჰავაის კუნძულები, სადაც უნიკალური ბუნებრივი და კლიმატური პირობებია, ეკვატორთან სიახლოვის გამო აქ მუდამ სითბოა. აქ ადგილობრივი ტროპიკული ბუნება, კულტურა, ჩვეულებები, ტრადიციები მეტად საინტერესოა ტურისტებისათვის. ჰავაის მოსახლეობის (1 მლნ ადამიანი) ძირითადი შემოსავალი ტურიზმის წილად მოდის. აგრამ, ყველა სიკეთესთან ერთად, ტურიზმს მათთვის ბევრი უბედურებაც მოაქვს; გაფუჭდა და შემცირდა სასმელი წყლის რაოდენობა და ხარისხი, გაქრა ფრინველების და ცხოველების ზოგიერთი უნიკალური სახეობა. ამ პრობლემის გამო გაეროს გარემოს დაცვის კომისიამ და WTO-მ 1982 წელს მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია ტურიზმის და გარემოს შესაძლებლობებს შორის წონასწორობის შენარჩუნების შესახებ, რომელიც, ჩვენი აზრით, დღეს კიდევ უფრო აქტუალურია.

„Sustainable turizm“-მდგრადი ტურიზმი ახალი ტერმინია, რომლისთვისაც WTO-ს მიერ შემუშავებულია მისი განვითარების პრინციპები, რომლებიც პირველ რიგში მიმართულია ეკონომიკის და გარემოს დაცვის ინდუსტრიის წონასწორობაზე ტურიზმის და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე, საზოგადოებრივი და კულტურული ფასეულობების, ჰაერის, წყლის სისუფთავისა და წიაღისეულის შენარჩუნებაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 70-ე გენერალურმა ასამბლეამ 2017 წელი ტურიზმის მდგრადი განვითარების საერთაშორისო წლად გამოაცხადა, რითაც მსოფლიო ლიდერების აღიარებით მსოფლიოს მდგრად განვითარებაში ტურიზმის განვითარების ტენდენციამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა, როგორც ეკონომიკური, სოციალური

და ეკოლოგიური სტრატეგიული მიზნების განხორციელების ერთ-ერთმა ძლიერმა ინსტრუმენტმა. „მდგრადი ტურიზმი“ არ უნდა ეხებოდეს მხოლოდ ადამიანის უფლებას მოგზაურობის თავისუფალ არჩევანზე, ასევე აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მომავალი თაობების ინტერესებს.

მდგრადი განვითარების სწორი და ინტეგრირებული პოლიტიკის განხორციელებით ქვეყანა ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე გრძელვადიან პერიოდში იღებს ეკონომიკურ სარგებელს. საერთაშორისო ტენდენციების გაანალიზებით შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის მდგრადი განვითარება მაღალმთიანი რეგიონებიდან მიგრაციის მასშტაბს ამცირებს. იგი ხელს უწყობს ტურისტულ ადგილებში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის ზრდას და ამცირებს იმპორტირებული საქონლის შემოდინებას. ტურისტული ნაკადების ზრდის პარალელურად სახელმწიფო ახდენს კულტურული მემკვიდრეობის ეფექტიან პრევენციას და ტურისტულ ადგილებში ბუნებრივი სამკურნალო რესურსების დაცვას მათი დაბინძურების, გამოფიტვისა და განადგურებისგან, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი სახის ეკოლოგიური საფრთხე. ადგილობრივი მთავრობების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ტურიზმის მასიური თავმოყრის ადგილებში ტურისტული ნაკადების რეგულირება. ტურისტთა კონცენტრაციამ არ უნდა გადააჭარბოს დესტინაციისათვის დადგენილ გამტარუნარიანობის დონეს და ნორმებს. ეს ცუდად ზემოქმედებს გარემოზე, აჩანაგებს და აფუჭებს სწორედ იმას, რის გამოც ტურისტები ირჩევენ მოგზაურობას სწორედ აქ და არა სხვაგან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. современные тенденции и актуальные вопросы развития туризма ... se.sportedu.ru/sites/se.sportedu.ru/files/sbornik_turizm-2017.pdf
2. Боголюбова Е. В. Современные тенденции и перспективы развития международного туризма // Молодой ученый. — 2017. — №37. — С. 52-55. — URL <https://moluch.ru/archive/171/45573/>.
3. Тенденции развития современного туризма [magref.ru>tendentsii-razvitiya...turizma/](http://magref.ru/tendentsii-razvitiya...turizma/)
4. Барометр международного туризма ЮНВТО [Электронный ресурс] /. — Электрон. Журн. — Режим доступа: http://www.rmat.ru/wyswyg/file/news/2014-2015/24082015_unwto.pdf
5. В 2016 году число туристов в мире достигло 1,235 млрд. - Всемирная туристская организация. [Электронный ресурс] // <http://www.finmarket.ru/database/news/4452635>
6. Мировой туризм в 2016 году вырос на 3,9%. [Электронный ресурс] // <http://www.atorus.ru/news/press-centre/new/38014.html>
7. В первой половине 2016 г. число международных прибытий возросло на 4 %. [Электронный ресурс] // <http://media.unwto.org/ru/press-release/2016-1017/v-pervoi-polovine-2016-g-chislo-mezhdunarodnykh-pribytii-vozroslo-na-4> (дата обращения: 24.02.2017).
8. Современный международный туризм: тенденции...[sci-article.ru>Тенденции и перспективы](http://sci-article.ru)
9. [ekonomikaSi.turizmis.wilis.mixedvitT.saqarTvelo.msoflloSi...www.bm.ge/ka/article/ekonomikashi-turizmis-wilis-mixedvit-saqartvelo...e.../3306](http://ekonomikaSi.turizmis.wilis.mixedvit.saqarTvelo.msoflloSi...www.bm.ge/ka/article/ekonomikashi-turizmis-wilis-mixedvit-saqartvelo...e.../3306)
10. Forbes Georgia - turizmi, turistebi, UNWTO forbes.ge/news/2714/turizmis-efeqti
11. <http://www.economy.ge/?page=news&nw=482> 2017 წელს საქართველოს 7.5 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია.
12. UNWTO World Tourism Barometer - Advance Release January 2017. – [Электронный ресурс] – Режим доступа: http://tourlib.net/wto/UNWTO_Barometer_2017_01.pdf

*KetevanKveladze
Medea Melashvili
NunuKistauri*

MODERN TRENDS IN TOURISM DEVELOPMENT Summary

The article discusses modern trends of tourism, as modern trends of economic development, reflecting the real picture of current state of development of tourism field. Over the last decades, the tourism industry is constantly expanding, diversifying and remains one of the fastest growing field in the world, and international arrivals are close to 1 billion. In different periods, despite some economic fluctuations, the share of tourism in the world economy continues to grow. There are also discussed positive and negative sides of modern trends.

In recent years, the world has a tendency to increase the number of travelers in neighboring safe countries in comparison to distant countries. Some experts explain this as a threat to terrorism in the world, and others connect the growth of tours because of smaller sections of vacation. This tendency should be taken into account when forming state policy. There is also an uneven distribution of international tourist flows in different regions of the world. The analysis of the trends studied in the article makes clear that the main condition when choosing the successful tourism markets is the country's sustainable economy and political stability. If the desired market is characterized by economic recession, serious investment in such a country is unsuccessful in terms of popularization of the country. Also, the level of economic, social and cultural development of the desired country population and the income, whether there is direct air traffic or visitor profile and so on.

მთის რეგიონის ტურისტული პოტენციალი აჭარაში

ანოტაცია. სამეცნიერო თემაში განხილულია დაამუშავებულია მთის რეგიონის ტურისტული პოტენციალი აჭარის მაგალითზე, დასაბუთებულია რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ძირითადი ფაქტორები და ამ მიმართულებით მთის რეგიონის განვითარებისათვის ძირითადი ხედვები და ამოცანები. განხილულია ტურიზმის განვითარებით რეგიონში ძირითადი პრობლემების გადაწყვეტი გზები და სტრატეგიები, რომელიც აისახება მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაცხოვრებაზე და საერთოდ რეგიონის ცხოვრების დონის გაზრდისაკენ.

შესავალი

საკუთარი მძლავრი ეკონომიკური პოტენციალის შექმნა და მისი შემდგომი განვითარება დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვანძო პრობლემაა. ეს პირველ რიგში მიღწეული უნდა იქნეს იმ სტრატეგიულ დარგთა კომპლექსური განვითარებით რისი პოტენციალიც ქვეყანას გააჩნია, კერძოდ, სახელმწიფომ პრიორიტეტად უნდა აღიაროს ის დარგები, როგორც წარმოების, ისე მომსახურების სფეროში, რომელთა განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაზრდასა და საერთო ეკონომიკურ წინსვლას.

ეკონომიკური ზრდის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების სფეროს განვითარებას, რადგან მასზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებული მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის (დასაქმება, შემოსავლების გაზრდა და ა.შ.) გადაჭრა. აღნიშნული, სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რადგან ამ სფეროში გამოუყენებელი პოტენციალი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ დიდია.

სწორედ ამიტომ, ტურიზმი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის სწრაფად ინვესტირებადი დარგი, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის წარმატებული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. მისი განვითარების როლი და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება.

ნაშრომის ძირითადი ხედვები და დასახული ამოცანები:

ტურიზმი დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან ბიზნესმიზნებით მოგზაურობას ნიშნავს. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ტურისტებს შემდეგნაირად განმარტავს: „ხალხი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ გარემოს და მიემგზავრება სხვა ადგილას ერთ თანმიმდევრულ წელზე ნაკლები ხნით დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან სხვა მიზეზით“.

როგორც აღნიშნეთ, ტურიზმის განვითარება მეტად მნიშვნელოვანი საკითხი ქვეყნისთვის განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებითა და მნიშვნელოვანი, საინტერესო კულტურული მემკვიდრეობით. ამ მხრივ საქართველო ყოველთვის ტურისტთა ყურადღების ცენტრშია და დღესდღეობითაც ჩვენს ქვეყანას მრავალი უცხოელი სტუმრობს.

ამასვე ადასტურებს საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის მიერ ჩატარებული კვლევისა და SWOT ანალიზის საფუძველზე შემუშავებული ტურიზმის განვითარებისათვის დადებითი და უარყოფითი მხარეები:

დადებითი:

1. სანახაობა და გეოგრაფიული მრავალფეროვნება;
2. გამორჩეული ქართული კულტურა, ფოლკლორი და სტუმართმოყვარეობა;
3. ხარისხიანი ხელნაკეთი ნაწარმი;
4. მდიდარი კულტურული, ისტორიული და არქეოლოგიური მემკვიდრეობა;
5. ქართული სამზარეულო და ღვინის კულტურა
6. დაბალი კრიმინოგენული სიტუაცია.

უარყოფითი:

- 1) ეკონომიკური არასტაბილურობა;
- 2) სოციალური განვითარების დაბალი დონე;
- 3) უმუშევრობის და ცხოვრების დაბალი დონე;
- 4) გარემოს დაბინძურება;
- 5) ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი ნიშნებისა და ინფორმაციის გავრცელების ნაკლებობა;

6) ცუდი ინფრასტრუქტურა, კერძოდ, მოუვლელი, სოფლის დანგრეული გზები.

ტურიზმმა ჩვენს ქვეყანაში თავისი ღირსეული, პრიორიტეტული ადგილი უნდა დაიკავოს. ამის საფუძველს იძლევა ის მთავარი ფაქტორი, რომ საქართველოს უნიკალური რესურსული პოტენციალი

გაანხია ტურიზმის თითქმის ყველა მიმართულებით. გამომდინარე აქედან, მთის რეგიონი მთლიანად, განსაკუთრებული ტურისტული რესურსია არაერთი ტურისტული მიმართულებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს შემუშავებული აქვს დარგის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეყრდნობა ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აპრობირებულ პრინციპებს და აშკარა უპირატესობას ანიჭებს ბაზრის მოთხოვნის სტიმულირებას. აქცენტები გამახვილებულია შემდეგი მიმართულებებით :

1. თანამშრომლობა აჭარის ტურიზმის დარგში მოქმედ კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან;

1.1 პერიოდული შეხვედრების ორგანიზება კერძო სექტორებთან სხვადასხვა საინტერესო თემაზე;

2. ახალი და გაუმჯობესებული პროდუქტების ხარჯზე სეზონის გაფართოება – მეტი ტურისტის მოზიდვა არასეზონურ პერიოდებში;

ა. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ტურიზმის მნიშვნელობის პროპაგანდა.

ბ. მიზნობრივი საინტერესო ცენტრების ან წარმომადგენლობის გახსნა და მათი საქმიანობის ფექტურობის განვითარება.

3. აქტიური როლის შესრულება სტუმართა შთაბეჭდილებების გასაუმჯობესებლად.

მთავრობის მხრიდან მხარდამჭერი ღონისძიებები ტურიზმისა და მომსახურების სფეროს ინდუსტრიის მდგრადი ეკონომიკური ზრდის საფუძველი გახდება.

გეოგრაფიული მონაცემების თანახმად, საქართველოს მთელი ტერიტორიის 54,4% მთიანია. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს მთიანეთის სამი ძირითადი ნაწილი – აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი მთიანეთები, მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ტრადიციებით და რესურსული პოტენციალით, ასევე განვითარების შესაძლებლობებითაც.

ჩვენი რეგიონის კონკრეტული უპირატესობა შეიძლება დავაფუძნოთ მთის ზონაში ტურიზმის განვითარებას. მთის რეგიონები ზოგადად საქართველოში, კერძოდ კი აჭარაში აუთვისებელია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ტურისტების მიერ. ამ კუთხით ტურიზმის ბაზარი ძალიან სწრაფად მზარდი და პერსპექტიულია მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც.

სწორედ ამიტომ, მთის განვითარების პროგრამაში ტურიზმი უნდა გახდეს მთის ეკონომიკურად განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი. ის მნიშვნელოვნად წაადგება რიგი პრობლემების ნაწილობრივ გადაწყვეტას, როგორებიცაა: სოფლად ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების დაბალი დონე, საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ინტეგრირების ნაკლებობა ტურიზმის კუთხით, უმუშევრობა და გაუმართავი ინფრასტრუქტურა, სოფლის დაბერებისა და მიგრაციული პროცესების გაუარესება და ა.შ.

სუსტად განვითარებული სოფლის მეურნეობა, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელის შემშლელ ფაქტორს ზოგადად სოფლის განვითარების, კერძოდ კი მთის რეგიონის განვითარებისათვის. ამიტომ, სახელმწიფოს მიერ დასახული დარგობრივი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის კუთხით გამართლებულია, თუკი პარალელურად მოხდება ტურიზმის აღნიშნული მიმართულებით განვითარების ხელშეწყობა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით.

ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონს გააჩნია ტურისტული პოტენციალი, აქედან მინდა გამოვეყო შავიზღვისპირეთის რეგიონი – აჭარა. როცა ვსაუბრობთ ტურიზმის განვითარებაზე, აუცილებელია აგრობიზნესის განვითარებაზეც ვიზრუნოთ, აქვე უნდა გავითვალისწინოთ აჭარის რესურსული პოტენციალი და შესაძლებლობებიც.

საქართველო ტრადიციული აგრარული ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, სადაც იწარმოება ქვეყნის ეროვნული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მიმზიდველობა, სუფთა ბუნებრივი გარემო, გულითადი მასპინძელი, ადგილობრივი პროდუქტი – ეს არის ის ძირითადი კომპონენტები, რაც სოფლად და მთის რეგონში ტურისტულ მოთხოვნას ქმნის. ორგანული მეურნეობები სუფთა და ჯანსაღი პროდუქციით კი ის დამატებითი კომპონენტია, რაც ტურისტულ შეთავაზებას უფრო მიმზიდველსა და ღირებულს ხდის. ამ შემთხვევაში ადგილობრივ გლეხს, ფერმერს და თავად ტურისტს გააზრებული აქვთ ბუნების მიმართ პასუხისმგებლობა.

საქართველოს, კერძოდ აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ თავისი ბუნებრივი რესურსებით შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ისეთ ტურისტულად განვითარებულ ქვეყნებს, როგორებიცაა: საფრანგეთი, ჩინეთი, იტალია. ტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: ეკოტური, რეკრეაციული ტური, სალაშქრო ტური, მთის ტური, ველოტური, უფრო მრავალფეროვანს გახდის საქართველოს მიერ შეთავაზებულ ტურისტულ პროდუქტს. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ტურისტებისათვის მაღალმთიანეთი საინტერესო ადგილი იყოს მოგზაურებისთვის, რათა მათ ზღვაზე დასვენების

პარალელურად შეეძლოთ მოინახულონ ეროვნული პარკები, ულამაზესი მთიანი აჭარა თავისი ბუნებითა და სტუმართმოყვარე ხალხით. სოფლად ტურიზმის განვითარებისათვის აჭარის სოფლებში შეიქმნა ტურისტული მეურნეობები, სადაც ტურისტებს საშუალება აქვთ, დატკბნენ სოფლად ტურიზმით და ჩაერთონ სხვადასხვა საქმიანობებში, როგორცაა: მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, აქვე შესაძლებელია გაეცნონ ხალხური რეწვის სახეებს: ხის ნაწარმით დაწნული ნივთების დამზადებას, ხისა და ქვის დამუშავებას, საკრავი და სამუშაო ინსტრუმენტების დამზადებასა და რთვა-ქსოვას. აჭარის სოფლებში ტურისტებს საშუალება ეძლევათ იჯირითონ ცხენზე, ითევზაონ, მოაწყონ ლაშქრობები, დააგემოვნონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისაგან დამზადებული ადგილობრივი კერძები და გაეცნონ ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს. აჭარული სამზარეულო მსოფლიოში კარგად ცნობილი ქართული ტრადიციული სამზარეულოს განუყოფელი ნაწილია, თუმცა, ამავდროულად, განიცდის აზიური კულინარიის კულტურულ ზეგავლენას. მთიანი აჭარის სამზარეულოში რძის პროდუქტები ჭარბობს. აჭარული სამზარეულო წარმოუდგენელია აჭარული ხაჭაპურის გარეშე, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტკბილეულობასა და ღვინოს, რადგან აჭარამ უკვე თავისი სიტყვა თქვა რეგიონში ღვინის ტურიზმის განვითარების მხრივ.

რეგიონის ისტორიულ-კულტურულ სიმდიდრეს ადასტურებს როგორც აჭარის ტერიტორიაზე შემორჩენილი უძველესი ძეგლების ნაშთები, ისე თვითმყოფადი კულტურული მემკვიდრეობა. უძველესი დროიდან იღებს სათავეს მთელ მსოფლიოში ცნობილი ქართული ფოლკლორის გამორჩეული ცეკვები „ხორუმი“ და „აჭარული“, რომლებიც ჩვენი რეგიონის იდენტობის საუკეთესო გამოხატულებაა. მნიშვნელოვანია რეგიონის სიმდიდრე არქეოლოგიური თვალსაზრისითაც, ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარა-ბათუმი გამორჩეულია კულტურული ღონისძიებების სიმრავლით. იგი ყოველწლიურად მნიშვნელოვან კულტურულ, სპორტულ და სამეცნიერო ღონისძიებებს, სახალხო დღესასწაულებს, საერთაშორისო მუსიკალურ თუ კინოფესტივალებს მასპინძლობს.

როგორც აღვნიშნეთ, მთიანი აჭარის პოტენციული განუზომლად დიდია, რომელიც ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ. საჭიროა გარკვეული ღონისძიებების გატარება იმისათვის, რომ საკურორტო ინფრასტრუქტურა უფრო მეტად განვითარდეს და სამთო ტურიზმის უდიდეს ცენტრად გადაიქცეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამთო ტურიზმის განვითარების ყოველი წელი წინაზე უკეთესია, მაგრამ აუცილებელია მთის კანონპროექტებზე მუშაობა, რომლის მიზანიც იქნება სწორედ მთიან სოფლებში ეკონომიკური პერსპექტივებისა და დასაქმების ხელშეწყობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონს, გარდა საზღვაო კურორტისა, სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარების დიდი პოტენციული გააჩნია. აჭარის მაღალმთიან ზონაში პავა ნოტიოა. ზამთარი შედარებით ცივი და ხანგრძლივია, ხოლო ზაფხული ხანმოკლე და გრილი. ბოლო წლებში მაღალმთიან აჭარაში დაიწყო სამთო კურორტების გაშენება. მათ როგორც სამკურნალო-რეკრეაციული, ასევე გასართობი დანიშნულება აქვთ და ისინი წლის ოთხივე სეზონზე არის გათვალისწინებული. აქტიურად დაიწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთო-სათხილამურო კურორტების ინფრასტრუქტურული განვითარება. გაშენების პროცესშია შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების შემდეგი კურორტები: შუახევის მუნიციპალიტეტში: კურორტი „გომარდული“, ხულოს მუნიციპალიტეტში – „ქედლები“, „გოდერძი“ და საზაფხულო კურორტი „ბეშუმი“.

აჭარის მაღალმთიანი კურორტებიდან აღსანიშნავია ბეშუმი, რომელიც მდებარეობს ხულოს მუნიციპალიტეტში ზღვის დონიდან 1850-1900 მ სიმაღლეზე. გზა ბათუმიდან ბეშუმიმდე გადადის გოდერძის უღელტეხილზე (2000-2100 მ ზღვის დონიდან). ეს გზა განსაკუთრებით ღამაზია. კურორტის ტერიტორია დაფარულია მდიდარი წიწვოვანი ტყით. ბეშუმის ტემპერატურული მერყეობა მკვეთრად განსხვავდება ზღვისპირისაგან. ბეშუმი სუსტი ქარების მოქმედებას განიცდის, აქ ღრუბლიანობის ხარისხი მერყეობს 40-50% შორის. ბეშუმი კლიმატური კურორტია, ამიტომ მზეს, როგორც სამკურნალო ფაქტორს, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება. უნდა აღინიშნოს, რომ ბეშუმში არის გოგირდწყალბადიანი და რკინიანი მინერალური წყაროები, რომლებსაც მოსახლეობა სხვადასხვა დაავადებების დროს იყენებს. აქ გატარებული ავადმყოფების გამოჯანსაღების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბეშუმის კლიმატი კარგად მოქმედებს სასუნთქი გზების ქრონიკულ ანთებებზე, ნევრასტენიასა და მეორად ანემიაზე.

რაც შეეხება კურორტ გოდერძის, თავისი მდებარეობითა და კლიმატური პირობებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი მდებარეობს ხულოს მუნიციპალიტეტში გოდერძის უღელტეხილზე, ზღვის დონიდან 2350 მ. კურორტმა პირველი ტურისტი 2012 წელს მიიღო, ხოლო 2015 წელს იგი ოფიციალურად გაიხსნა. გოდერძი დამსვენებლებს ზაფხულსა და შემოდგომაზე მოემსახურება, როგორც სამთო-კლიმატური კურორტი, ხოლო ზამთრის სეზონზე, როგორც სამთო-სათხილამურო კურორტი. ამგვარად, კურორტი იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურისტთა დატვირთვას. კურორტზე ზაფხულობით შესაძლებელია ალპური მთისა და ტყის პაიკინგი (ლაშქრობა), ველოსიპედითა და ცხენით გასეირნება, პარაპლანით

ფრენა და გოლფის თამაში. ამჟამად, კურორტ გოდერძიზე ორი ტიპის საბაგროა – 2000 მეტრის სიგრძის ღია სავარძლებით და 1800 მეტრის სიგრძის – გონდოლებიანი.

აღსანიშნავია, რომ კურორტ გოდერძის ერთდროულად შეუძლია 700-მდე ვიზიტორის მიღება. კურორტზე ამ ეტაპზე განთავსებულია 6 საცხოვრებელი სახლის ტიპის კოტეჯი, თითო კოტეჯი 12 ადამიანზე გათვლილი, სულ განთავსდება 72 ადამიანი და 1 სასტუმრო ტიპის კოტეჯი, რომელშიც შესაძლებელია 36 ადამიანის განთავსება. ასევე ფუნქციონირებს სასტუმრო „მეტეო“, რომელიც გოდერძის უღელტეხილიდან 4 კმ-ში მდებარეობს. რაც შეეხება ფასებს, აღნიშნულ სერვისებში 80-150 ლ მერყეობს.

მაღალმთიან აჭარაში, კურორტი გოდერძი მესამე წელია მასპინძლობს დამსვენებლებს. 2017/2018 წლის ზამთრის სათხილამურო სეზონის თანახმად, გასულ წელთან შედარებით წელს ვიზიტორების რაოდენობა 129 პროცენტითაა გაზრდილი. მიმდინარე სეზონზე კურორტ გოდერძიზე 10283 ვიზიტორმა დაისვენა.

დასკვნა

საქართველოს მთიანეთში ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ტურიზმის ინდუსტრიის წინაშე მდგრადი იდენტური ამოცანების გამოვლენა და შესაბამისი ზოგადი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება, მათგან აღსანიშნავია:

- შეღავათები მაღალმთიანეთში ტურიზმის განვითარებისთვის;
- ტურისტთა უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა;
- ქვეყანაში ტურისტების შემოსვლის, ასევე გასვლისა და ქვეყნის შიგნით კომფორტული გადაადგილებისთვის შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა;

გადაადგილებისთვის შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა;

- საინფორმაციო და სარეკლამო სისტემის შექმნა;
- კულტურული და ისტორიული ღირსშესანიშნაობების დაცვა.

ტურიზმის განვითარება მაღალმთიანეთში და მათ შორის აჭარაში გამოიწვევს:

- რეგიონში ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას;
- დასაქმების დონის გაზრდას;
- გარემოს დაცვის მრავალფეროვნების შენარჩუნებას;
- სოფლად ცხოვრების დონის ამაღლებას;
- სოფლად თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნას;
- კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას;
- მოსახლეობის ეკონომიკურ გააქტიურებასა და სამეწარმეო საქმიანობაში ჩაბმას.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ეს ყველაფერი ის სიკეთეა, რაც კი შეიძლება მოჰყვეს ტურიზმის განვითარებას აჭარის მთიანეთში ცხოვრების დონის ზრდის გათვალისწინებით.

ჩვენი აზრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთის რეგიონებში ტურიზმის განვითარება კარგ შესაძლებლობას იძლევა რეგიონის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში. კარგი იქნება, თუ მთის რეგიონი სახელმწიფოს მიერ იქნება პრიორიტეტად აღიარებული თავისი ტურისტული პოტენციალით და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება კერძო სექტორთან ურთიერთთანამშრომლობის გასაუმჯობესებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მიქაშავიძე ვ. „საქართველოს ტურისტული რესურსები“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო კურსი, 2018.
2. ჩარლზ რ.გენდლერი, ჯ.რ. ბრენტ რიტჩი, „ტურიზმის საფუძვლები“, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, საქართველო 2013.
3. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის კვლევები 2016-2017-2018.

*Tsira Tsetskhladze
Marika Bolkvadze
Levan Tsetskhladze*

TOURIST POTENTIAL OF THE MOUNTAIN REGION OF AJARA

Summary

As we have noted, creating its own powerful economic potential and further development is one of the key issues for the independent country. In the economic growth process, special importance is given to the development of the service sector, since many socio-economic problems (such as: employment, increasing revenue etc) depends on it.

Along with many other problems, it is one of the most important, since the unused potential in this field is quite large in our country.

That is why tourism development is a very important issue for the country, especially if the country is rich in the cultural heritage and natural resources. Georgia has always been in the centre of attention, and even nowadays a lot of tourists visit our country.

The advantage of our region can be based on the development of tourism in the mountain zone. Mountain region in Georgia and in particular in Ajara is untapped by both Georgian and foreign tourists. In this regard, the tourism market is very fast and prosperous throughout the world, including Georgia.

That's why tourism must be one of the contributing factor to the development of mountain economy. It will significantly help in solving a number of problems such as: low level of economic and social life in rural areas, lack of communication and integration with society in terms of tourism, unemployment and faulty infrastructure, rural aging and migration problems.

Based on the above, "The Recreational Potential of Mountain Region of Adjara" deals with the importance of tourism, its advantages and disadvantages, the main peculiarities that promote the socio-economic situation of both the country and the region.

In the thesis we highlighted the mountain projects implemented by the government of Adjara. Priorities for development of tourism and its particular directions for mountain regions and future development is proved.

It is necessary to identify sustainable goals of the tourism industry at regional, national and international levels for development of tourism in Georgia's mountainous areas and work out general policy, the following are worth mentioning:

- Benefits for high mountain areas for tourism development
- Determination of tourism safety policy;
- Entrance and leaving of tourists in the country;
- Creation of appropriate transport infrastructure for comfortable commuting;
- Creation of information and advertising systems;
- Protecting cultural and historical sights;

Development of tourism in high mountainous regions in Adjara will stimulate:

- Prolong the tourist season in the region;
- Increase employment level;
- Maintaining the diversity of environmental protection;
- Raising the level of living in rural areas;
- Preserving cultural identity
- Economic activation and entrepreneurial activity of the population.

Based on the above mentioned, this is all the good things that can lead to development of tourism in the mountains of Adjara, taking into account the growth of living conditions.

The main part of the work is devoted to the mountainous region, in particular, Ajara tourism recreational potential, its peculiarities, its directions and the projects fulfilled by the Government. Future strategies and development priorities for the mountainous region and its specific directions.

*ცირა ცეცხლაძე
ქეთევან ზოიძე*

ტურიზმის დარგში მარკეტინგის როლი

ანოტაცია. ჩვენ მიერ დამუშავებულ სამეცნიერო ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღებაა დათმობილი ტურიზმის დარგში მარკეტინგის როლსა და მნიშვნელობაზე. ვინაიდან მარკეტინგი გვეხმარება სწორედ სერვისის ორგანიზების მომხმარებელამდე სწორად და ეფექტურად მიწოდების უზრუნველყოფის საშუალებად, რადგან ქვეყანაში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციული საჭიროებს სწორ მარკეტინგულ ხედვას ბიზნეს-მომსახურების ნაწილში იმისათვის რომ მომსახურების სერვისის კულტურა მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე მორგებული იყოს.

შესავალი

თანამედროვე ეპოქაში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებში ტურიზმი გვევლინება, როგორც დარგთაშორისი კომპლექსი, რის გამოც იგი ქვეყნის ეკონომიკაში ერთდროულად ორმაგ – როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო ფუნქციას ასრულებს. გამომდინარე აქედან, ტურიზმს მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტი ახასიათებს. მას შეუძლია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრება. ამ მიმართულებით ტურიზმის განვითარება გარკვეულწილად სტიმულატორის (კატალიზატორის) როლს ასრულებს. ამიტომ ამ დარგს, ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, მოკლე დროში მნიშვნელოვანი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მოტანა შეუძლია.

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრია და გლობალური საქმიანობა გახდა, განსაკუთრებით 2010 წლის შემდეგ, როცა მსოფლიო მასშტაბით მოგზაურთა რიცხვმა 940 ათას მილიონ ადამიანს მიაღწია. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში ტურიზმისადმი ინტერესი მსოფლიო მასშტაბით პროგრესულად იზრდება.

ძირითადი ხედვები და დასახული ამოცანები

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებამ და სფეროს სპეციფიკამ განაპირობა მარკეტინგთან მჭიდრო კავშირის დამყარების აუცილებლობა. როგორც ვიცით ტურიზმის მარკეტინგი წარმოადგენს კვლევის, ანალიზისა და დასახული ამოცანების გადასაწყვეტად გამოყენებული ძირითადი მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობას, მიმართულს იმ შესაძლებლობების გამოვლენისაკენ, რომლებიც, მომხმარებელთა ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, სრულად დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს.

ვინაიდან, ზოგადად, მარკეტინგი ორიენტირებულია სამომხმარებლო ფორმებზე, სტიმულირებასა და გაყიდვების გაფართოებაზე, ამიტომ მარკეტინგის სფერო ახლო და საჭირო მიმართულებაა ტურიზმის ინდუსტრიისთვის, განსაკუთრებით კი „მომსახურების მარკეტინგი“ რადგან ეს მიმართულება უზრუნველყოფს სერვისის ორგანიზებას და მომხმარებელად სწორ და ეფექტურ მიწოდებას, სწორედაც რომ სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიის მთავარი ამოცანაა ბიზნესმომსახურების ნაწილში განვითარებული იყოს მომსახურების სერვისის კულტურა.

მომსახურების მარკეტინგის სფეროში დასაქმებულთა მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ ტურისტული მომსახურების ოთხი თავისებურების გათვალისწინება, ესენია:

- ✓ არახელშესახებობა;
- ✓ მომსახურების განუყრელობა პერსონალისგან;
- ✓ მომსახურების ხარისხი არ არის მუდმივი;
- ✓ მომსახურება არ ინახება.

ოთხივე კომპონენტის გათვალისწინების და სრულყოფის მიზნით აჭარის კურორტების და ტურიზმის დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული რეგიონში არსებული პრობლემების გადაჭრის საკითხებში. დეპარტამენტში უკვე მე-8 წელია არსებობს ცალკე განყოფილება, სერვისის განვითარების სამსახური. დეპარტამენტი გასული წლიდან ასრულებს შემდეგ აქტივობას, ის გამოცემს ბროშურას სახელწოდებით „რეკომენდირებულია“, რის შედეგადაც რეკომენდაციებისა და მითითებების გაცემა ხდება სერვისის წარმომადგენლებისადმი. ასევე, ინდუსტრიის ხარისხის შესამოწმებლად დეპარტამენტი ატარებს კვლევას სახელწოდებით „იდუმალი სტუმარი“, რომელიც განხორციელდა 2014, 2015, 2016 წლებში და 2018 წლისთვისაც იგეგმება და კვლევის მიზანია მომსახურების დონის დადგენა, რეალური სურათის დადგენა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კვლევის შედეგად გამოვლენილი, მომსახურების სერვისში არსებული სისუსტეების დასაძლევად გაცემული რეკომენდაციების კონტროლი.

ჩვენი აზრით ყოველივე ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ტურიზმის ინდუსტრია არის მომსახურების სფერო და საჭიროა მაღალი ხარისხი, საერთაშორისო სტანდარტების ქონა და მუდმივად მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინება, მათ აზრზე მორგება.

ტურიზმის ინდუსტრიაში მომსახურების მარკეტინგს დიდი როლი აკისრია, რადგან ეს არა მხოლოდ გაყიდვებს და რეალიზებას უწყობს ხელს, არამედ პროდუქტის ხარისხის მაღალ დონეს უზრუნველყოფს, რაც ითვალისწინებს ტურპროდუქტის სწორ შეფუთვას და სერვისის მომხმარებელად სწორად მიწოდებას. ყველაფერი ეს ღრმა და შრომატევადი პროცესია, სადაც უნდა გაითვალისწინებოდეს დეტალი პროდუქტის წარმოებიდან დაწყებული, მომხმარებელზე მიწოდებით დამთავრებული. ამიტომ, სწორად შერჩეული მარკეტინგული ხერხი და სტრატეგია გაზრდის მომსახურების ეფექტურობას და მომხმარებლის კმაყოფილების დონეს.

ასევე სერვისის სწორად მიწოდებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ მნიშვნელოვანი შემდეგი საკითხები: სარეკლამო საშუალება, ვიზუალური იმიჯი ე.წ „საფირმო გაფორმება“ შენობის გარეგანი სახე, პერსონალის ჩაცმულობა რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სასტუმროს ტიპს და სტანდარტებს. ასევე ყურადსაღებია ის, რომ პერსონალი პირველ ეფექტს და შთაბეჭდილებას ტოვებს მომხმარებლისთვის გაწეულ მომსახურებაში, იგი ბაზარზე მოქმედი კარგი მარკეტინგული საშუალებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მარკეტინგის განყოფილებამ მჭიდროდ უნდა იმუშაოს კადრების სამსახურთან და იზრუნოს მათ გადამზადებაზე. ამ კუთხით რეგიონის დეპარტამენტი, უკვე 2011 წლიდან, არასეზონურ პერიოდში არსებულ სფეროში დაინტერესებულ თუ დასაქმებულ პირთა გადამზადებას ახდენს ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებაში (გიდების, განთავსებისა და კვების სექტორის პერსონალის, ტუროპერატორების, ტურაგენტების) რადგან ჩვენთან ჩამოსული ტურისტი უნდა წავიდეს ძალიან კმაყოფილი იმდენად დადებითი ემოციებით, რომ მან რეკომენდაცია და დადებითი PR გაუწიოს ჩვენს რეგიონს. 2016-2017 წლის კვლევების მიხედვით, უცხოელ

ვიზიტორთა უმეტესობამ გამოთქვა სურვილი, კიდევ ერთხელ ეწვიოს რეგიონს და გაუზიაროს მიღებული შთაბეჭდილება ნაცნობებს – მოინახულონ აჭარა.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ტურიზმში მარკეტინგის სამ ფუნქციას გამოყოფს:

✓ განვითარება – რომელიც გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, უწყობს ხელს ახალი ინოვაციების გაცნობასა და გამოყენებას.

✓ კონტროლი – რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე პროცესების დაკვირვებას, პერსონალის გადამზადებას, შემცველების საქმიანობის ახლო გაცნობას.

✓ კლიენტებთან კონტაქტის დამყარება, ანუ მომხმარებლების მოთხოვნილებების, სურვილების და უპირატესობების გაცნობა.

ტურიზმში მომსახურების მარკეტინგი ეფექტური და შედეგიანი რომ იყოს, მომსახურების საქმიანობაში უნდა იყოს:

✓ კონკურენტული ბრძოლა კლიენტების მოსაპოვებლად ბაზარზე.

✓ მომსახურების მაღალი ხარისხის და მრავალფეროვანი ასორტიმენტის შეთავაზება მომხმარებელზე.

✓ ტურისტული ორგანიზაციის სწორი ორგანიზება.

✓ თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები.

✓ საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა და დანერგვა ორგანიზაციაში.

ამ მხრივ რეგიონს სწრაფი და აქტიური მოქმედება სჭირდება რიგ საკითხებში, როგორცაა: სერვისის გამართულობა ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი დონის სიძებების ორგანიზებული დაგეგმვა და ჩატარება. ასევე მნიშველოვანი პრობლემური საკითხია რეგიონში ის, რომ ხარისხი უნდა განსაზღვრავდეს ფასს, ფასთან შეუსაბამო ხარისხი მომხმარებლის გაღიზიანებას და უკმაყოფილებას იწვევს, ამიტომ ჩატარებული კვლევების შედეგად ნომერ პირველ უკმაყოფილებათაგან ტურისტების მხრიდან სწორედ ეს დასახელდა, ეს მეტწილად გამოწვეულია სექტორში მიმწოდებლების მხრიდან ვიზიტორების მიმართ არალოიალური დამოკიდებულებით, რაც გამოიხატება შემდეგში: ტურისტსა და ადგილობრივ მოსახლეობას რადიკალურად განსხვავებული ფასით აწოდებენ პროდუქტსა თუ მომსახურებას.

გამომდინარე აქედან, საქართველოში მომსახურების მარკეტინგი ახალი მიმართულებაა და მისი ბაზარზე გამოჩენა გამოიწვია არსებულმა მდგომარეობამ, მარკეტოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საკმარისი არ იყო მხოლოდ პროდუქტის გაყიდვების უზრუნველყოფა, არამედ პროდუქტის შექმნის ტექნოლოგიაზე ფიქრი და მიწოდებაც ერთ-ერთი გადამწყვეტი რგოლია რეალიზაციისთვის, რის გამოც, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტურიზმის დეპარტამენტი აქტიურად ჩაერთო მსგავსი საკითხების მოგვარებაში და უკვე 2011 წლიდან არსებობს სერვისის ამადლების სამსახური, განყოფილების წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული ხარისხის გაუმჯობესების და სერვისის ხარისხის ამადლების პრობლემის დაძლევაში.

დასკვნა

ამრიგად, აარ ტურიზმი მზარდი და პროგრესული მიმართულებაა, რეგიონის მრავალფუნქციურობისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ტურიზმის პოტენციალი დიდი და მრავალფეროვანია, განვითარებულია ზღვის ტურიზმი, ღვინის ტურიზმის, ეკოტურიზმი და ა.შ. ამჟამად მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მთის ტურიზმი, რომ მოხდეს სეზონის გახანგრძლივება და შემოსვლების მატება, ამავედროულად ინფრასტრუქტურის განვითარება. ასევე, რეგიონში წარმატებით ჩატარებულმა ადგილობრივმა თუ საერთაშორისო დონის დონის სიძებებმა ჩვენს რეგიონს, როგორც MICE-ტურიზმის ცენტრს, წარმატებით გაუთქვა სახელი საერთაშორისო ბაზარზე. ახალი პროექტები, რომლებიც მიმართულია რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნისაკენ, ხელს უწყობს საერთაშორისო დონის გამოყენების და დონის სიძებების ჩატარებას, იზიდავს MICE-სექტორში მომუშავე პროფესიონალებს არა მარტო ზაფხულის პერიოდში, არამედ მთელი წლის განმავლობაში. აჭარის რეგიონმა მთაბოგა კულტურული ცენტრის სტატუსი და იგი ყოველწლიურად მასპინძლობს მნიშვნელოვან კულტურულ თუ სხვადასხვა ტიპის დონის სიძებებს, საერთაშორისო მუსიკალურ თუ კინოფესტივალებს, სწორედ ამიტომ, 2018 წლისათვის იგეგმება მსოფლიო საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა, რაც კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი იქნება რეგიონის ცნობადობის ასამაღლებლად.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო რეგიონში ტურისტული ნაკადების ზრდასა და მათი კმაყოფილების დონის მატებას, რაც აისახება ტურისტების რაოდენობაზე ბოლო წლების სტატისტიკის მონაცემებით. რეგიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (სასტუმრო / სასტუმროს ტიპის დაწესებულება) და არარეგისტრირებული (კერძო ბინები, რომლებიც ქირავდება ტურისტებზე) ტურისტთა განთავსების ობიექტებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს აჭარის არ-ს 871 455 ტურისტი სტუმრობდა. აქედან, საქართველოს მოქალაქე – 472 861

ტურისტი, უცხო ქვეყნის მოქალაქე – 398 594 ტურისტი, 2017 წლის მონაცემებით ნაკადმა 19.5%-ით იმატა.

არსებული შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რეგიონს აქვს სწორი მარკეტინგული ხედვა და შესაბამისი სტრატეგიები, რაც ეხმარება როგორც აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრასა და დაძლევას, ასევე ეტაპობრივად სერვისის ხარისხის გაუმჯობესებას. ჩვენი აზრით, სწორი ხედვა იქნება თუკი სახელმწიფო და კერძო სექტორის ინტერესები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიმუშავენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც გაითვალისწინებს მომსახურების სერვისისათვის აუცილებელ პირობას – ხარისხი უნდა განსაზღვრავდეს ფასს, რაც დაგვეხმარება, დროის ცვლილების მიუხედავად, მუდმივად ვიყოთ მორგებული მომხმარებლის მოთხოვნებზე იმისათვის, რომ გამოვიწვიოთ მათი კეთილგანწყობა კმაყოფილების დონის ამაღლების ხარჯზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბახტაძე ე. საღეჭციო კურსი “ტურიზმის მარკეტინგი” ტურიზმის ფაკულტეტი 2017 წ.
2. ჩარლ ქ. რ. გელდნერი ჯ.რ. ბრენტ რითი, ტურიზმის და მასპინძლობის საფუძვლები, მეთორმეტე გამოცემა, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, საქართველო 2013.
3. მამულაძე გ. მარკეტინგის საფუძვლები, თბილისი, 2010.
4. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ოფიციალური ვებგვერდი <http://www2.unwto.org/>
5. geostat.ge 2016-2017-2018.
6. აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტის კვლევები 2016-2017.

*Tsira Tsetskhladze
Ketevan Zoidze*

ROLE OF MARKETING IN TOURISM SECTOR

Summary

In the work tourism is discussed as inter-sectoral complex which plays dual, productive and non-productive function. Tourism sector multiplication effect is proved which enables to equal the economic development level in regions of country. Tourism is discussed as rapidly invested sector, which supports the improvement of existing social and economic condition.

Important attention is driven to the role and significance of marketing in tourism sector as the marketing is the right tool for delivering service to the customer in a right and effective way; Also, the tourism-recreational potential in the country requires proper marketing vision in the business-service area in order to satisfy the needs of consumers.

Since the marketing focuses on consumer forms, stimulation and sales expansion, the marketing area is very close and necessary direction for tourism industry especially the "service marketing", as this direction provides service organization and delivering it to the customer in a correct and effective way. It is the main objective of hospitality industry to ensure developed service culture in business service area.

People employed in the field of service marketing should take into consideration four features of tourism services:

- ✓ Non-tangibleness;
- ✓ Service and personnel are inseparable;
- ✓ Quality of service is not permanent;
- ✓ Services are not stored.

In the work is analyzed Ajara Tourism and Resorts Department's active engagement results, which implies solving existing service problems in the region by taking into consideration abovementioned 4 components. We studied and evaluated the main projects, surveys and strategies conducted by the Department. As a result, it has been revealed that the department has a separate service development division for 8 years. Since last year, department has issued brochure by the name "recommended", as a result recommendations and instructions are given to the service providers. Also, to check the quality of the industry, the department conducted survey called "mysterious guest", which was implemented in 2014, 2015, 2016 years and it is also planned for 2018 as well. The goal of the research is to identify the level of service, make a real picture and most importantly control the recommendations provided to overcome the weaknesses in the service area revealed by the survey.

The article discusses and analyzes the results of the major research conducted by A.A.R. Tourism Department during the last 5 years. The main problems are identified, the tasks and recommendations are set considering of which will significantly improve the service sector in the region. Coming out from the results, we can conclude that the region has the right marketing vision and the relevant strategies selected, which helps to eliminate and tackle these problems as well as gradually improve the quality of service.

In our opinion, it would be right if government and the private sector develop mutual policy that will consider the necessary conditions for service delivery: quality should determine the price.

**საქართველოში განათლების მდგომარეობის სტატისტიკის
პირითა და მარჯვენა მხარის ანალიზი**

შესავალი

ბოლო ათწლეულების მანძილზე აქტიურად განათლების სისტემაზე დისკუსია, მიმდინარე რეფორმების კრიტიკა, თუმცა არაფერია აღნიშნავს იმას, რომ ეს სწორედ ის სფეროა, რომლის გარდაქმნა მარტივად არ ხდება და რამდენიმე თაობას უხდება გაველა იმ რთული, “ექსპერიმენტული” პროცესებისა, სანამ საბოლოო სახით ჩამოყალიბდება. ამასთან, პროცესები შეუქცევადია და მუდმივი განახლების პროცესშია. სიახლის დანერგვა ნებისმიერ სფეროში მტიკონეულია, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც შედეგის ასახვა მომენტალურად არ ხდება.

განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების დახასიათებისთვის საქსტატში განუწყვეტლივ ხორციელდება სტატისტიკური კვლევის კითხვარების დახვეწა იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ბოლო პერიოდში დანერგილი და განვითარებული სისტემა საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართული მოსწავლე/სტუდენტების რეესტრის წარმოება, წინ გადადგმული ნაბიჯია. ზოგადად, რეესტრების სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლა, რა თქმა უნდა, სასურველიცაა და აუცილებელიც. თუმცა აღნიშნული სამუშაო საკმაოდ ძვირადღირებულია.

ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა მიიღონ ისეთი განათლება, რომელიც აღიარებული იქნება საერთაშორისო მასშტაბით. გაცვლითი პროგრამების მეშვეობით ხორციელდება მოსწავლეების/სტუდენტების მსოფლიოს ქვეყნებში გაგზავნა, რომელიც ჩვენი თანამემამულეებისთვის დიდი გამოცდილების მომტანია, ეცნობიან მათი სწავლების სისტემას, სახელმძღვანელოებს, პრაქტიკული მეცადინეობის თავისებურებებს და სხვ.

ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა დასაქმება მიღებული პროფესიის შესაბამისად. საქართველოში არ ჩატარებულა ოფიციალური სტატისტიკური კვლევა, თუმცა მიმართა, რომ აუცილებელია. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, განათლების მიღება მომავალი ჯანსაღი თაობების აღზრდის მნიშვნელოვანი ბერკეტი. სწორედ აქეთაა მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა.

1. საქართველოს განათლების სისტემის ზოგიერთი მაჩვენებელი

სკოლამდელი განათლების მონაცემების რამდენიმეწლიანი სიცარიელე აღმოფხვრა საქართველოს კანონმა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, მუხლი 12, რომელიც პირდაპირ მიუთითებს მონაცემების შეგროვების და გამოქვეყნების ვალდებულებას. დღეისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ სახელმწიფო სკოლამდელი დაწესებულებების მონაცემები, რომლის მიხედვითაც, 2017 წლის სექტემბრისთვის ის შეადგენდა 1438 დაწესებულებას, მასში ჩართული იყო 153.2 ათასი აღზარდელი და 12.4 ათასი აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე.

2017-2018 სასწავლო წლის დასაწყისისთვის საქართველოში აღირიცხებოდა 2308 ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიშიც სწავლობდა 575.2 ათასი მოსწავლე; აქედან 223 კერძო სკოლაა 57.2 ათასი მოსწავლით. კერძო სკოლების რაოდენობა 19 ერთეულითაა შემცირებული 2015-2016 სასწავლო წელთან შედარებით, თუმცა მოსწავლეთა რიცხოვნობა გაზრდილია 2.2 ათასი მოსწავლით.

მოსწავლეთა რიცხოვნობა განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCED 2011) შესაბამისად, საფეხურების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: დაწყებითი განათლების საფეხურზე - 305.6 ათასი, საბაზო განათლების - 147.2 ათასი, ხოლო საშუალო განათლების - 122.4, ზოგადად, საშუალო სკოლაში ჩაბმის მაჩვენებელი შესაბამისი ასაკის მოსახლეობასთან მიმართებაში - 108.2 %.

ცხრილი 1

საბაზო და საშუალო განათლების მიღების მაჩვენებლები

%	2010		2017	
	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი
მიიღო:				
საბაზო განათლება (დაასრულა 9 კლასი)	48	52	47	53
საშუალო განათლება (დაასრულა 12 კლასი)	49	51	48	52

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.


საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ხელი შეუწყო მრავალი კერძო, ფასიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩამოყალიბებას, თუმცა დროთა განმავლობაში ეს პროცესები დარეგულირდა კანონმდებლობით და 2017–2018 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონირებდა 20 სახელმწიფო და 55 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

სტუდენტთა რიცხოვნობამ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2017–2018 სასწავლო წელს ბაკალავრიატის პროგრამებზე 71559 სტუდენტი შეადგინა, მაგისტრატურასა ან რეზიდენტურაზე 18481 და პროფესიულ პროგრამაზე 3587. იმავე მაჩვენებელმა კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეადგინა შესაბამისად 37163; 11803; 1215 სტუდენტი.

რაც შეეხება პროფესიული განათლების პროგრამებს, 2017 წლის ბოლოსათვის ფუნქციონირებდა 125 დაწესებულება, რომელთაგან 11 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა, 34 - პროფესიული კოლეჯი, 49 - საზოგადოებრივი კოლეჯი, 31 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. აღნიშნული დაწესებულებები განახორციელებენ სწავლების 5 საფეხურს. არსობრივი სხვაობა საზოგადოებრივ და პროფესიულ კოლეჯს შორის შემდეგია:

საზოგადოებრივი კოლეჯი – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად ახორციელებს მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო ან/და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე უფლებამოსილია, განახორციელოს ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა; ხოლო **პროფესიული კოლეჯი** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

2017 წლის ბოლოსათვის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 15.6 ათასი სტუდენტი (აქედან 7356 ქალია და 8276 კაცი), ხოლო ამავე წელს დაასრულა სწავლა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტით 9774 კრსდამთავრებულმა (აქედან 4622 ქალია და 5152 კაცი).



გრაფიკი 1


წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობა გაორმაგდა 2011/2012 სასწავლო წელთან შედარებით, ხოლო სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 32.0%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში 6-ჯერ გაიზარდა უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა. უცხოელი სტუდენტების უმეტესობა სწავლობს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (71.0%), ხოლო 22.0% - სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის პროგრამებზე.

მნიშვნელოვანი მაჩვენებელია კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რამდენადაც სტუდენტების გარკვეული ნაწილი სხვადასხვა მიზეზებით იჩერებს სტატუსს, რომელიც 5 წლითაა შესაძლებელი. კურსდამთავრებულთა რაოდენობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, სტუდენტების საერთო რიცხოვნობის შესაბამისად იზრდება.

რაც შეეხება სადოქტორო პროგრამებს, 2017 წლის მონაცემებით 2011 წელთან შედარებით, რიცხოვნობა შემცირებულია 7.0%-ით. სადოქტორო პროგრამებიდან ყველაზე რეიტინგულ მიმართულებებს წარმოადგენს: სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის სფეროები, ხოლო ყველაზე ნაკლებად მოთხოვნადია სოფლის მეურნეობა.

2016 წლის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გამოყოფილმა ხარჯებმა შეადგინა მთლიანი ხარჯების 12.2%, ხოლო წილი მშპ-ში - 4.9 %.



გრაფიკი 2

ამასთან, საქართველოს მოსახლეობის მიერ განათლებაზე გაწეულმა საშუალო თვიურმა ხარჯებმა მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში 2016 წელს შეადგინა 3.5%, ნაცვლად 2012 წლის 4.3%-ისა.

2. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ზოგიერთი მაჩვენებელი

განათლების მიღების შემდეგ შრომის ბაზარზე შესვლა ყველა ახალგაზრდის წინაშე მდგარი გამოწვევაა. განათლების დასრულების შემდეგ სამუშაოს ძიება მაღალკონკურენტულ შრომის ბაზარზე ბევრი ახალგაზრდისთვის არის როგორც საინტერესო, ასევე იმდგაცრუებებით სავსე ეტაპი მათ ცხოვრებაში. მოსახლეობის აღწერა მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მოსახლეობის აღწერა ყველაზე მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველია, რომელიც უამრავ ინდიკატორს იძლევა საქმიანობის ყველა მიმართულების მიხედვით, ერთ-ერთია ქვეყნის მოსახლეობის განათლების მიღწეული დონის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. საქართველოში ძალიან მცირეა დაწყებითი განათლების არმქონე პირთა რაოდენობა. 25-64 წლის ასაკის მთლიანი მოსახლეობიდან დაახლოებით 5 000-მა მიუთითა, რომ არ ჰქონდათ მიღებული დაწყებითი განათლება, თუმცა შეეძლოთ წერა და კითხვა. ამ ჯგუფის დაახლოებით 6 000-მა პირმა კი განაცხადა, რომ იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარი. 25-29 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ პირები, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება (109 000 პირი). ამჟამად, 25-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში 755 000 პირს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, ხოლო 482 000 პირს - პროფესიული განათლება. განათლების მიღწეული დონე ახალგაზრდა თაობაში უფრო მაღალია, ვიდრე წინა თაობაში.

25-29 წლის ასაკის ახალგაზრდებში უმაღლესი განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი (39,8%) თითქმის ემთხვევა 30 - 39 წლის ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა საგრძობლად აღემატება 40-49 წლის ასაკობრივი ჯგუფისას (33,7%). ასაკის მატებასთან ერთად მცირდება უმაღლესი განათლების მქონე პირთა წილი მოცემული ასაკობრივი ჯგუფის შიგნით. უმაღლესი განათლების მიღწეული დონის მხრივ, ქალების პროცენტული წილი მნიშვნელოვნად აღემატება მამაკაცებისას. 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ქალების 44,1%-ს აქვს უმაღლესი განათლება მაშინ, როცა მამაკაცების მხოლოდ 35,5%-ია უმაღლესი განათლებით, სხვაობა მათ შორის 8,6%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლის თვალსაზრისით სქესთა შორის სხვაობა შედარებით ნაკლებია უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის. 30-39 წლის ასაკობრივ ჯგუფში სხვაობა შეადგენს 6,2%-ს. 50-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში სხვაობა უმნიშვნელოა,

ხოლო 60 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში უმაღლესი განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი უფრო მაღალია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში.

განათლების მიღწეული დონის თვალსაზრისით ახალგაზრდა ქალების მაღალი მანქნებელი არ შემოიფარგლება მხოლოდ უმაღლესი განათლებით. პროფესიული განათლების მქონე პირების წილი ასევე უფრო მაღალია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში. 20 – 24 წლისა და 25 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფებში, პროფესიული განათლების მხრივ უფრო მაღალი წილი მოდის ქალებზე, ვიდრე მამაკაცებზე.

პროფესიული განათლების მქონე პირების პროცენტული წილი გაცილებით მაღალია უფროსი ასაკის თაობაში, ვიდრე ახალგაზრდებში, რაც აშკარად მიუთითებს ახალგაზრდებში პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაზე გადასვლის ტენდენციაზე. საქალაქო დასახლებებში განათლების დონე უფრო მაღალია ახალგაზრდებში, უფროს თაობებთან შედარებით. მაგ., 25-29 წლის ასაკის ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარს, ანუ 86 000 პირს, მიღებული აქვს უმაღლესი განათლება მაშინ, როცა 60 - 64 წლის ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 40%-ია უმაღლესი განათლებით (45 000 პირი). რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, აქაც, უმაღლესი განათლების მქონე პირების წილი უფრო მაღალია ახალგაზრდებში, ვიდრე უფროს თაობაში, თუმცა ახალგაზრდებს შორის უმაღლესი განათლება მხოლოდ 20%-ს აქვს.

დასკვნა

მიმდინარე სტატისტიკის და მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ მოსახლეობის განათლების რაოდენობრივი მანქნებლები დამაკმაყოფილებელია. ამ თვალსაზრისით, საქართველო ყოველთვის იყო და არის მოწინავე პოზიციებზე. თუმცა მხოლოდ რაოდენობრივი მანქნებლები არ არის დამახასიათებელი ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაფასებლად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ხარისხობრივი მანქნებლების ანალიზი.

მოსახლეობის აღწერის მონაცემების დეტალური ანალიზი ბევრი საინტერესო გამოწვევის წინაშე დააყენებს საქართველოს მოსახლეობას, მმართველობის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებს. ჩემი კვლევა კვლავ გრძელდება იმ მიმართებით, რომ დავადგინო, მიღწეული განათლება როგორ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ამ მისიის შესრულება იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება, ჩემი მთავარი გამოწვევაა. ამას აძლიერებს ისიც, რომ მდგრადი განვითარების (SDG) მიზანი – „ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის“ მიღწეული უნდა იყოს 2030 წლისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Gagnidze, I.(2018) The Role of International Educational and Science Programs for Sustainable Development (Systemic Approach), *Kybernetes*. Vol. 47, No. 2, pp. 409-424. <https://doi.org/10.1108/K-03-2017-0114> (Accessed 16 February, 2018).

2. Gagnidze, I. and Maisuradze, N., (2016) “Systemic effects of international educational and scientific links. Proposals for the development of educational and scientific national system in Georgia”, *Int. J. Markets and Business Systems*, Vol. 2, No. 1, pp.25-44. <http://www.inderscience.com/info/inarticle.php?artid=78102> (Accessed 23 February, 2018).

3. Lia Charekishvili (2015), *Higher Education System in Georgia: Reforms and Modern Challenges*.<http://www.iises.net/proceedings/teaching-education-conference-amsterdam/table-of-content/detail?article=higher-education-system-in-georgia-reforms-and-modern-challenges-pp.61-68>. (Accessed 27 February, 2018).

4. ჩარექიშვილი ლ., უმაღლესი განათლების სისტემის ანალიზი საქართველოში, თსუ “ეკონომიკა და ბიზნესი” N3, გვ. 123-142

5. ჩარექიშვილი ლ., მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის საკითხები თანამედროვე საქართველოში, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 2013 წ. 17 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, “გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში”. გვ. 131-135

6. „საქსტატის“ ვებგვერდი (www.geostat.ge).

7. ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქსტატი, (თბილისი 2017).

8. ახალგაზრდები საქართველოში, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, თბილისი 2017, გვ. 46-49.

http://census.ge/files/results/publication/ge/5.%20YOUTH-Print-GEO_F.pdf [28. 02. 2018]

ANALYSIS OF MAIN STATISTICAL DATA ON CONDITION OF EDUCATION IN GEORGIA

Summary

Over the decades the discussion on education system is criticism of ongoing reforms, however, nobody notes that this is the area that can not be easily transformed, and several generations have to go through complex, "experimental" processes until will be finalised. In addition, the processes are irreversible and are constantly in the process of renewal. The process is painful, especially when the outcome is not instantaneous.

In order to characterize the ongoing processes in the field of education, Geostat has been continuously improving the statistical survey questionnaires by the recommendation of UNESCO Institute of Statistics and other international organizations.

The IT system implemented and developed by the Ministry of Education and Science of Georgia has been a step forward in the pupils/student's register in secondary and higher education system. In general, transition step by step to registers, of course, is desirable and necessary. However, this work is quite expensive.

The most important thing for our country is to insure that in Georgia, young people get education that will be recognized internationally. Through exchange programs, Pupils/students are going to the foreign countries, which is a great experience for our new generation, get acquainted with their learning system, manuals, peculiarities of practical training, etc.

Finally, most important is how graduates are employed within their profession. There is no official statistical survey in Georgia, but I think it is necessary. Nevertheless, getting the education is an important tool for upcoming healthy future generations. This is the policy of the state bodies.

The number of persons with no primary education is very low in Georgia. For all persons 25 – 64 years of age, about 5 thousand indicated they had no primary education but could read and write and about 6 thousand reported to be illiterate. The largest educational group of people 25 - 29 years of age and over is formed by those with a higher education (109 thousand). Currently, 755 thousand people in age group 25 -74 years of age have a higher education, while 482 thousand have a professional education.

The 2014 General Population Census showed that younger cohorts have higher levels of educational attainment than older cohorts. Figure 3.8 shows the percentage of people with higher education by sex and broad age-groups. Obviously, at younger ages the percentage of persons with higher education is low or non-existent, simply because people did not have the opportunity to finish their education. If we look at the percentage of people 25 – 29 years old who have finished higher education (39.8 percent), it is about the same as for those in age-group 30 – 39 years but considerably higher than for those between the age of 40 and 49 (33.7 percent). At older ages percentages are even lower. Higher educational attainment is considerably higher for females than for males. In the age-group 25 – 29 years, 44.1 percent of all women have a higher educational diploma versus 35.5 percent of males, a difference of 8.6 percent. It is noteworthy that the difference between males and females becomes smaller in the older cohorts. In the age-group 30 – 39, the difference is 6.2 percent. Between age 50 and 59, the difference is almost non-existent and above age 60 the percentage of males with a higher education is bigger than the percentage of females.

The trend of higher female educational attainment is not restricted to advanced education alone. Also at the professional educational level females score is higher than their male counterparts. Age-groups 20 – 24 and 25 – 29 years both have higher percentages for females than for males. In terms of overall levels, older cohorts had higher professional levels. This is caused by a clear shift among young people from studies at the professional level to higher education.

For urban populations, it is clear that younger generations are more educated than older generations. For example, about half of the age-group 25-29 or 86 thousand individuals had a higher education, compared to 40 percent of 60 - 64 year olds (45 thousand). As for the rural population, the youngest generations are also the ones with the highest education, though this only accounts for about 20 percent. The most common type of education attained in rural areas is secondary education, while in urban areas it is higher education

Based on current statistics data and general population census 2014, it may be noted that quantitative indicators of education are satisfactory. From this point of view, Georgia has always been and is on advanced positions. However, only quantitative indicators are not characteristic to assess the current situation in the country and not less important is the analysis of qualitative indicators.

Detailed analysis of the population census data will bring many interesting challenges to the population of Georgia, representatives of the relevant government Bodies. My research object is to study how is used achieved education in everyday life, and this mission is my main challenge, taking into consideration. This also strengthens that sustainable development Goal 4: "Ensure inclusive and equitable quality education and promote lifelong learning opportunities for all" should be reached for 2030.

იზოლდა ჭილაძე

მეცნიერების აკადემიის პრობლემები საქართველოში

ანოტაცია. სტატიის მიზანია გამოიკვლიოს მეცნიერების განვითარების რა პრობლემები და პერსპექტივები არსებობს თანამედროვე საქართველოში და როგორი გამოწვევების წინაშე დგას

იგი. შესწავლილია მეაბრეშუმეობის დარგის წარსული, დღევანდელი ვითარება და მომავალი განვითარების შესაძლებლობები. გადმოცემულია ამ დარგის მნიშვნელობა სოფლად მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის საქმეში.

კვლევის მიზანია საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის შეწყვეტის მიზეზების შესწავლა და მისი აღდგენის შესაძლებლობების ღონისძიებების შემუშავება.

შრომის დასკვნაში წარმოდგენილია ის აუცილებელი ღონისძიებები, რომელიც უნდა გატარდეს აბრეშუმის ჭიის თესლის, აბრეშუმის ჭიის და თუთის ხეების მოშენების, ასევე, სათანადო ეკოლოგიური გარემოს შექმნისა და დაცვის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: აბრეშუმის ჭია, აბრეშუმის პარკი, აბრეშუმის გრენა (თესლი), თუთის პლანტაციები, აბრეშუმის უხეში ძაფი, რეაბილიტაცია.

შესავალი

აბრეშუმი საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა. ისტორიული წყაროების თანახმად, ძველ კოლხეთში (დასავლეთ საქართველო) ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნეში იცოდნენ როგორც სელის, ასევე აბრეშუმის ძაფის დამზადების საიდუმლო. საქართველო „აბრეშუმის გზის“ არეალში მდებარეობდა და ეს მეაბრეშუმეობის განვითარებასაც უწყობდა ხელს. მას აბრეშუმის ქსოვილები უცხოეთშიც გაჰქონდა. მაგრამ, მტრების გამუდმებული თავდასხმებისა და ომების შედეგად აბრეშუმის ჭიის მოყვანა ორგანიზებული ხასიათის არ იყო. აბრეშუმი კუსტარულად მზადდებოდა. როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში, ქალაქ ბათუმიდან უცხოეთში 10.6 ტ გრენი (ჭიის თესლი) გაუტანიათ [1].

ქართული აბრეშუმი გამორჩეული თვისებებით ხასიათდებოდა, რის გამოც 1850 წელს ტუნისსა და 1862 წელს ლონდონში მოწვობილ საერთაშორისო გამოფენებზე მან მედლები დაიმსახურა. 1998 წელს კი თუთის აბრეშუმმხვევის ქართული ჯიშების პარკიდან ცივად ამოხვეული ძაფით დამზადებულმა ქსოვილმა ესპანეთში მოწვობილ გამოფენაზე ევროპის ხარისხის კომიტეტის ჯილდო – პლატინის ვარსკვლავი მიიღო [4. გვ.45; 10. გვ.118].

XX საუკუნეში მეაბრეშუმეობა საქართველოში იყო მოსახლეობის მასობრივი დასაქმების საშუალება და ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო. გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში იწარმოებოდა 4,0-4,4 ათასი ტონა პარკი და ფულადი შემოსავალი 15,5-16,5 მილიონ მანეთს შეადგენდა. აბრეშუმის პარკის წარმოებაში დასაქმებული იყო 100-120 ათასი ოჯახი, ხოლო აბრეშუმის მრეწველობაში – 5-6 ათასი კაცი. დარგში კონცენტრირებული იყო მძლავრი ინტელექტუალური რესურსი და სოლიდური კაპიტალური დაბანდება. სამწუხაროდ, სწორედ ამ ეტაპზე გავრცელდა თუთის დაავადება, რომელმაც 15 მილიონამდე ძირი მცენარე გაანადგურა, აბრეშუმის პარკის დამზადება კატასტროფულად დაეცა. საქართველოში მომხდარი შიდა პოლიტიკური მოვლენების შედეგად კი 2002 წელს აბრეშუმის ჭიის პარკის დამზადება მთლიანად შეწყდა [4; 5; 8].

ამდენად, საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის რეაბილიტაცია და განვითარება დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

1. ისტორიული ექსკურსი

აბრეშუმის ჭიის ჯიშებს გეოგრაფიული წარმოშობის მიხედვით ხუთ მთავარ ჯგუფად ყოფენ: 1. დასავლეთ აზიის (მასში შედის მცირე და შუა აზიის პირობებში წარმოშობილი ჯიშები); 2. ევროპული; 3. იაპონური; 4. ჩინური; 5. კავკასიური [2. გვ. 72].

საქართველოში, რომელიც მისი არსებობის მინიმუმ სამი ათას წელს ითვლის, აბრეშუმის ჭია ჩინეთიდან გავრცელდა და მეაბრეშუმეობა მისი ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა. თვით ჩინეთში აბრეშუმის წარმოებას დიდი ისტორია აქვს. დასავლეთში კი საუკუნეების მანძილზე ძალიან ცოტა რამ იცოდნენ აბრეშუმისა და მისი დამამზადებლების შესახებ.

აბრეშუმის შესახებ წერდნენ აბრეშუმის გზის ცნობილი მოგზაურები: ფუ ჯეზი (Fu Jiezy. I ძვ.წ), ბენ ჩაო (Ban Chao, I ს. ახ.წ.), ბენ იანგ (Ban Yong, II ს. ახ.წ.), ჯენჩი კიან (Zhang Qian. II ძვ.წ), ხუანხენგ (Xuanzang, VII ს. ახ.წ.), მარკო პოლო (Marco polo, XII ს. ახ.წ.) და სხვები. მათ თავიანთ ჩანაწერებში მრავლად აქვთ ინფორმაცია აბრეშუმის პარკის და ქსოვილებით ვაჭრობის შესახებ ჩინეთსა და აზიაში, მათ შორის, საქართველოში [6; 9; 10; 12].

აბრეშუმის დიდი გზა ტრადიციულად იყო ჩინეთის, სპარსეთის, თურქეთის, ყირგიზეთის ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებთან აკავშირებდა. ამ გზით ვაჭრობას დასაბამი მიეცა ძვ.წ. მე-2 საუკუნეში. აბრეშუმის დიდი გზა ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისკენ. ერთი, ჩრდილოეთის გზა, კასპიის ზღვის გავლით ამიერკავკასიას უკავშირდებოდა, გადაკვეთდა საქართველოს და ფასისიდან (ახლანდელი ფოთი) შავი ზღვით ბიზანტიასა და რომს უკავშირდებოდა.

საქართველოში, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობს, დიდი ხნიდან არსებობდა როგორც აბრეშუმის პარკის პირველადი გადამამუშავებელი, ისე აბრეშუმის ქსოვილების დამზადების შინა მრეწველობა. შრომის მეთოდები, რა თქმა უნდა, პრიმიტიული იყო. სტრაბონი გადმოცემს, რომ საქართველო უძველესი დროიდან განთქმული იყო მატყლის, აბრეშუმის, სელისა და სხვა ძვირფასი

ქსოვილების წარმოებით, რომელიც მზადდებოდა შინამრეწველური წესით. თბილისში მრავლად იყვნენ ფეიქრები და აბრეშუმის ქსოვილის დამამზადებლები, რომელთაც ზოგჯერ სპარსეთსა და რუსეთში იწვევდნენ. XIX საუკუნის ბოლოს, მარტო ზუგდიდის მაზრაში 300-ზე მეტი აბრეშუმის საქსოვი მარტივი დაზგა აღმოჩნდა. აბრეშუმის ნაწარმი უმთავრესად იყიდება ხონის, ლანჩხუთის, სენაკის, ზუგდიდის, აბაშის, დიდი ჯიხაიშის და ქუთაისის ბაზრებზე [1. გვ.42].

ცხადია, ასეთი შინამრეწველობის პირობებში დამზადებული აბრეშუმის ძაფი რუსეთის იმპერიის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. 1827 წელს ქ. თბილისში იტალიელმა კასტელამ, იმპერატორის ბრძანებით ძაფსართავი ფაბრიკის მშენებლობისათვის 80000 მანეთი ვერცხლი მიიღო. ახლად აშენებულ ფაბრიკაში დაიდგა 10 დაზგა და მუშაობდა 20 მუშა. 1829 წელს ეს წარმოება გადაკეთდა აბრეშუმის ძაფის ამოსახვევ სასწავლო სახელოსნოდ. მას უნდა მოემზადებინა ძაფის ამომხვევები საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან. მაგრამ, ეს წარმოება, რომელიც უფასო შრომას და უფასო ნედლეულის გამოყენებას ემყარებოდა, სასურველ შედეგს ვერ იძლეოდა და ეს გასაკვირი არც იყო. რის გამოც, მთავარმართებელმა გოლოვინმა აღძრა შეამდგომლობა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე ამ სასწავლო-სახელოსნოს დახურვის მოთხოვნით, რაც დაუყოვნებლივ განხორციელდა [3, გვ. 341].

ამის შემდეგ, კიდევ რამდენიმე უცხოელის მიერ (ბერძენი მარკო პოლო, ფრანგი როზმორდუკი, კ. დეფურე) გახსნილი ფაბრიკებიც მალევე დაიხურა. 1901 - 1902 წლებში მოსკოვის სავაჭრო პალატამ დაბა სამტრედიის ააგო ძაფსაღები და ძაფსართავი ფაბრიკა, რომელიც იმ დროისათვის საუკეთესოდ ითვლებოდა მთელ კავკასიაში. სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იგი ჩამოერთვა კერძო მფლობელებს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს გადაეცა.

ამდენად, აბრეშუმის გზის მეშვეობით საქართველოს მსოფლიო ბაზარზე გაჰქონდა აბრეშუმის პარკი, გრენა (ჭიის თესლი), ქსოვილები და სხვა ნაწარმი. მეაბრეშუმეობამ საქართველოში წარმატებით გაუძლო მრავალსაუკუნოვან ისტორიას და მისი საყოველთაო სახალხო სიყვარულით დღემდე არსებობს.

2. მეაბრეშუმეობა XX საუკუნის საქართველოში

XX საუკუნის დასაწყისში საქართველო მეფის რუსეთის კოლონია იყო და მეაბრეშუმეობის განვითარებას აქ დიდი ყურადღება არ ექცეოდა. საბჭოთა კავშირის პერიოდში მთლიანად აბრეშუმის მოყვანისა და წარმოების ინდუსტრია ორ ძირითად დარგად იყოფოდა და შესაბამისი სამინისტროების პასუხისმგებლობის ქვეშ იყო. კერძოდ, მეაბრეშუმეობა გრენის შექმნიდან აბრეშუმის პარკის მიღებამდე სოფლის მეურნეობის სამინისტროს განკარგულებაში იყო, ხოლო მიღებული აბრეშუმის პარკიდან ძაფის ამოხვევასა და ქსოვილების დამზადებას მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო მართავდა. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ძაფსახვევი და საქსოვი ფაბრიკები გაიხსნა თბილისში, ქუთაისში, თელავში, წულუკიძეში და ა.შ., რამაც აბრეშუმის ქსოვილების წარმოების მოცულობაც გაზარდა.

მეაბრეშუმეობა მოიცავდა შემდეგ რგოლებს (ღირებულებათა ჯაჭვი):

1. **საწყისი სპეციალური რესურსები**, როგორცაა ა) აბრეშუმის თესლის (ანუ გრენის) სელექცია და დამზადება; ბ) თუთის ჯიშების სელექცია და სანერგე ბაზა;

2. **ნედლი პარკის წარმოება**: ა) აბრეშუმის ჭიის გამოკვებას და გამოზრდას; ბ) ნედლი პარკის გაშრობას;

3. **ხამი ძაფის წარმოება** - აბრეშუმის პარკისაგან ძაფის ამოხვევა;

4. **ხამი ძაფის რეალიზაცია**.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო მეაბრეშუმეობის სამმართველო, რომელიც, თავის მხრივ, მართავდა „რაი აბრეშუმს“ (აბრეშუმის რაიონული სამმართველო), სასელექციო სადგურს, საგრენაჟე (გრენის ანუ აბრეშუმის თესლის მწარმოებელ) ქარხანას და ასევე მონიტორინგს უტარებდა კოლმეურნეობების მფლობელობაში არსებულ თუთის სანერგეებს. იმ პერიოდისთვის არსებობდა 48 აბრეშუმის რაიონული სამმართველო, ორი სასელექციო სადგური, სადაც აბრეშუმის თესლიდან ჭიის გამოყვანა ხდებოდა და ხუთი საგრენაჟე (სათესლე) ქარხანა. „რაი აბრეშუმს“ ეკუთვნოდა 150 პარკსახმობი, სადაც ხდებოდა აბრეშუმის ნედლი პარკის გაშრობა და ასევე გააჩნდა თუთის საკუთარი სანერგეები საკვები ბაზის უზრუნველსაყოფად [8].

მაშასადამე, საქართველოში მზადდებოდა აბრეშუმის ჭიის თესლი ანუ გრენა, აბრეშუმის პარკი და აბრეშუმის ხამი ძაფი. გავრცელებული იყო სანერგე ბაზა თუთის ხეების პლანტაციების სახით.

საქართველოში თუთის მეცნიერულ სელექციას თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს. XX საუკუნის 60-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში დარაიონებული თუთის შვიდი ჯიშიდან ხუთი საქართველოში იყო გამოყვანილი. იმავე პერიოდში აბრეშუმის პარკის წლიური დამზადება 4-4,5 ათას ტონას აღწევდა, ხოლო ფულადი შემოსავალი 16 მლნ მანეთს აღემატებოდა. დარგში სეზონურად დასაქმებული იყო 100-120 ათასი ოჯახი, ხოლო მიღებული პროდუქციის გადამამუშავებას 5-6 ათასი კაცი ემსახურებოდა. თუთის აბრეშუმისხვევის ჯიშებიდან ცნობილია „მზიური 2“, რომლის პაერმშრალი პარკის აბრეშუმთანობა 50%-ს, ხამი ძაფის გამოსავლიანობა 43%-ს, ხოლო პარკის ძაფის სიგრძე 2232 მეტრს შეადგენდა [10. გვ. 119].

მეაბრეშუმეობის ძირითადი პროდუქციის საერთო დინამიკა როგორც აჩვენებს (ცხრილი 1), მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან აბრეშუმის პარკის დამზადება საქართველოში პერმანენტულად მცირდებოდა. მეაბრეშუმეობის კრიზისი განაპირობა 1964 წლიდან დასავლეთ საქართველოში გაჩენილმა თუთის მიკროპლაზმურმა დაავადებამ „ფოთლის სისუჭუჭემ“, რომელმაც 15 მლნ ძირზე მეტი თუთის ხე გაანადგურა [8; 10; 11].

ცხრილი 1

მეაბრეშუმეობის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა მე-20 საუკუნის საქართველოში

მაჩვენებლები	1910	1913	1920	1930	1935	1940	1950	1960	1970	1980	1990	2000
1. აბრეშუმის პარკი (ტ)	2560	1520	8 32	-	-	2490	3 440	3763	2120	1900	1557	2
2. აბრეშუმის გრენი (კვ)	-	-	-	-	-	-	2700	3579	-	-	-	0
3. თუთის ხეები (მლნ ძირი)	-	7	-	-	11	-	18	16	2	2	20	2
4. აბრეშუმის ხამი ძაფი (ტ)	-	-	-	-	-	-	415.1	-	-	-	268	0

წყარო: [4, გვ. 94] და საქართველოს სტატისტიკური კრებულები: 1909, 1921, 1923, 1970, 2000 წწ.

საგანგებო ღონისძიებების გატარების შედეგად (მ.შ. ახალი ნერგების დარგვა), ოპერატიული მონაცემებით, საქართველოში 1990 წელს აღრიცხული იყო 20 მლნ თუთის მცენარე, რომელიც 24%-ით აღემატებოდა 1964 წლის მაჩვენებლებს. „სამწუხაროდ, 1964-1990 წლებში გაწეული ძალისხმევა, მიღწეული წარმატებები და კაპიტალური დაბანდება ჩვენი უყაირათობის შედეგად თითქმის მთლიანად გადაყრილი აღმოჩნდა“ [11]. ამასთან, 1980-იანი წლებიდან ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების კიდევ უფრო ნეგატიური ზეგავლენის შედეგად, აბრეშუმის პარკის წარმოება კატასტროფულად დაეცა და ბოლოს, 2002 წლიდან მთლიანად შეწყდა. ასე რომ, ყველაფერი თავიდან დასაწყები გახდა.

3. მეაბრეშუმეობის პერსპექტივები საქართველოში

XX საუკუნის მეორე ათწლეულში საქართველოში აბრეშუმის პარკის წარმოების აღდგენის რამდენიმე მცდელობა არსებობდა. ყველა ეს მცდელობა არცთუ ისე წარმატებული აღმოჩნდა და მათი უმეტესობა მცირე ზომის კუსტარული წარმოების გამართვაზე იყო ორიენტირებული. 2007 წელს ბოლნისში დამზადებულა აბრეშუმის პარკი, მაგრამ, მთავრობის მიერ გამოყოფილი არასაკმარისი თანხების გამო შემდეგი საფეხურების გავლა ვერ მოხერხდა.

2014-2015 წლებში საქართველოში შეიქმნა რამდენიმე კოოპერატივი (ლანჩხუთის, ვანის, მარნეულის, ხარაგაულის, ახმეტის რაიონებში), რომელთა საქმიანობას აბრეშუმის პარკის წარმოება წარმოადგენდა. 2016 წელს გურჯაანშიც ერთმა ოჯახმა დაიწყო აბრეშუმის ჭიის მოშენება. 2015 წელს „ქართული აბრეშუმის კორპორაციის“ მიერ შემოტანილ იქნა 100 ათასი თუთის ჰიბრიდული ნერგი, რომელიც უფასოდ დაურიგდათ ქართველ ფერმერებს, მაგრამ მათი საქმიანობა ჯერ ისევ ფრაგმენტული ხასიათისაა.

მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ძირითადად აქცენტი კეთდებოდა (პუბლიკაციები, ღონისძიებები, მცირე ზომის პროექტები და ა.შ.) თუთის და ჭიის გენოფონდის აღდგენაზე და გლეხური მეურნეობების ჩართულობით და დასაქმებით დარგის აღდგენაზე. 2015 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტროს კვლევითი ცენტრის მიერ გამოცემულ იქნა ცნობარი „აბრეშუმის ჭიის მოვლა“ [7].

ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს „ინდუსტრიული განვითარების ჯგუფის“ მიერ 2015 წელს დამუშავებულ იქნა მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის პერსპექტიული ბიზნეს-პროექტი „აბრეშუმის სახლი“. იგი წარმოადგენს აბრეშუმის ხამი ძაფის წარმოების მასშტაბური ხასიათის ბიზნეს-მოდელს, რომელიც მოიცავს: ხამი ძაფის ამოხვევის საწარმოს; აბრეშუმის ჭიის გამოკვების საწარმო ფართს და მასთან არსებულ ნედლი (ცოცხალი) აბრეშუმის პარკის შენახვისათვის საჭირო ფართს და დანადგარებს; თუთის ხეების ინდუსტრიულად გაშენებულ პლანტაციებს. მაშასადამე, აღნიშნულ მოდელში იწარმოება ერთი დასახელების შუალედური პროდუქტი - აბრეშუმის ნედლი (ცოცხალი) პარკი; ერთი დასახელების საბოლოო პროდუქტი - აბრეშუმის ხამი ძაფი [8, გვ.3].

აღნიშნული მოდელი არ წარმოადგენს კონკრეტული საწარმოს ბიზნეს-გეგმას და საჭიროებს დამატებით დამუშავებას კონკრეტული საწარმო შესაძლებლობების გამოსაკვები ბაზის შერჩევის შემთხვევაში. ამასთან, იგი ითვალისწინებს გლეხური მეურნეობების მიერ წარმოებული აბრეშუმის პარკის შესყიდვებს მაგრამ არ ითვალისწინებს აბრეშუმის პარკის შრობის საწარმო პროცესს, რაც მის ხარვეზად მიგვაჩნია.

„აბრეშუმის სახლის“ ბიზნესმოდელის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან სტრატეგიული და ფინანსური მხარდაჭერის მეშვეობით, აღნიშნავენ პროექტის ავტორები.

რაც შეეხება სს „საქაბრეშუმს“, მის ბალანსზე ამჟამად დარჩენილია გარკვეული რაოდენობის შენობა-ნაგებობები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ასევე სასოფლო და არასასოფლო მიწის ნაკვეთები. სს „საქაბრეშუმი“ გაკორტების პროცესშია და ამჟამად არ მიმდინარეობს არანაირი მცდელობა ან ინვესტიციის ჩადება მეაბრეშუმეობის ინდუსტრიის განახლებისთვის [5, გვ.9].

2016 წლის 28 ივლისს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მოეწყო მრგვალი მაგიდა თემაზე: „მეაბრეშუმეობის დარგის რეაბილიტაცია, კოოპერირება და ნედლეულის წარმოება“. გაიმართა დისკუსია BACSA-ს (მეაბრეშუმეობის საერთაშორისო ასოციაციის), როგორც საქართველოში აბრეშუმის ჭიის გენოფონდის აღდგენისა და მეაბრეშუმეობის დარგის განვითარების კოორდინატორის შესახებ. გამოითქვა ბევრი საინტერესო წინადადება [11]. ასევე, 2017 წელს ახერბაიჯანის ქ. შეკში გაიმართა მეაბრეშუმეობის საერთაშორისო ასოციაციის (BACSA) მერვე საერთაშორისო კონფერენცია, სადაც საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის არსებულ მდგომარეობასა და განვითარების საკითხებზეც იმსჯელეს.

ამრიგად, საქართველოში მყოფი მეაბრეშუმეობის დარგის მეცნიერები, პრაქტიკოსები, აბრეშუმის მუზეუმი თუ ახლად შექმნილი კვლევითი ცენტრები, აქტიურად არიან ჩართული საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის რეაბილიტაციის პროექტების დამუშავების საქმეში, მაგრამ, პრაქტიკული შედეგები ჯერჯერობით არ ჩანს.

4. ბაზრის მოთხოვნები აბრეშუმის პროდუქტებზე

მეცნიერები წერენ, რომ ნატურალური აბრეშუმი მსოფლიოში ჯერჯერობით შეუცვლელია. ეს მისი მრავალი კეთილშობილური თვისებითაა გამოწვეული. ამასთან, აღმოჩნდა რომ, ხელოვნური ბოჭკოს (კაპრონის) და აბრეშუმის ძაფის სათანადო შერევით მიიღება ჯანმრთელობისათვის უვნებელი, გამძლე და ლამაზი ქსოვილი, რომელიც არ იჭმუჭნება და აქვს მიმზიდველი შესახედაობა, ხოლო მისი თვითღირებულება ნატურალურ აბრეშუმთან შედარებით 20-25%-ით დაბალია. ყოველივე ამის შედეგად, აბრეშუმის ბუნებრივი ბოჭკოს წარმოება მსოფლიოში ზრდის ტენდენციით ხასიათდება [4, გვ. 42].

„აბრეშუმის სახლის“ პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევებით ირკვევა, რომ საქართველოში ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა აბრეშუმის პარკს, თესლსა და აბრეშუმის ხამ ძაფზე, მართალია მცირედ, მაგრამ, თანდათან იზრდება. 2014 წელს საქართველოში შემოსულია მცირე ოდენობის აბრეშუმის პარკი 0.44 (ცხრილი 2), აბრეშუმის ძაფი 0.12 და აბრეშუმის ქსოვილები 66.05 ათ აშშ დოლარის ოდენობით. სულ 66,44 ათ. თუმცა უცნობია, რომელი ქვეყნიდან [8, გვ. 11].

ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა შემოიფარგლება მხოლოდ აბრეშუმის ძაფის, ქსოვილებისა და უშუალოდ აბრეშუმის ტანსაცმელსა და აქსესუარებზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 2014 წელს ადგილობრივ ბაზარზე 66 ათასი აშშ დოლარის ღირებულების აბრეშუმის ნაწარმი შემოვიდა, მათ შორის აბრეშუმის ძაფი, ქსოვილები და მცირე ღირებულების აბრეშუმის პარკი (ცხრილი 2). ბოლო 3-4 წლის მანძილზე ყველაზე დიდი ღირებულების პროდუქცია 2012 წელს შემოვიდა, ხოლო 2015 წლის იანვარ-ივნისის პერიოდისათვის მხოლოდ მცირე ღირებულების აბრეშუმის ძაფის იმპორტი დაფიქსირდა.

ცხრილი 2

2012-2015 წლებში საქართველოში იმპორტირებული აბრეშუმის ნაწარმი (ათასი აშშ დოლარი)

	2012	2013	2014	2015
აბრეშუმის პარკი	-	-	0,44	-
აბრეშუმის ძაფი	-	0,17	0.12	0.02
აბრეშუმის ქსოვილები	166,36	38.68	66.44	-
სულ	66.36	38.85	67.0	0.02

წყარო: [8, გვ. 12]

ადგილობრივ ბაზარზე შემოსული აბრეშუმის ნაწარმი ძირითადად საქართველოში რჩება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ადგილობრივი წარმოება ბაზრის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. საერთაშორისო ბაზარზე კი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აბრეშუმის ჭიას, გრენას და პარკს [8, გვ. 12].

აბრეშუმის საერთაშორისო ბაზარზე ძირითად სავაჭრო პროდუქტებს წარმოადგენს აბრეშუმის პარკი, ხამი ძაფი და ასევე აბრეშუმის პარკის ნარჩენები. აბრეშუმის პარკის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი ქვეყნები ძირითადად აზიაშია. მსოფლიოში ყველაზე დიდი ექსპორტიორები და იმპორტიორები არიან: ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, ესპანეთი. თუმცა ასევე მნიშვნელოვანი მწარმოებელია ბრაზილია, ტაილანდი, ვიეტნამი, ირანი, კორეა.

ჩინეთის მიერ წარმოებული აბრეშუმის პარკის რაოდენობა იზრდება ყოველწლიურად, დანარჩენი ქვეყნების კი (ყაზახეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი უზბეკეთი) მეტ-ნაკლებად ფიქსირებულია (ცხრილი 3).

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, ჩინეთი წარმოადგენს როგორც მსოფლიოს უმსხვილეს აბრეშუმის მწარმოებელს, ასევე უმნიშვნელოვანეს სავაჭრო რეოლსაც, რომელიც გამოირჩევა იმპორტისა და ექსპორტის დიდი მოცულობით. თუმცა ბოლო პერიოდში მისი პოზიციები თანდათან ეცემა.

ცხრილი 3

აბრეშუმის პარკის წარმოება (ტ)

ქვეყნები	2008	2010	2015	2016	2017
ჩინეთი	683 400	655 000	637 000	590 000	420 000
ყაზახეთი	1,64	2,33	6,9	9,2	18,5
ტაჯიკეთი	30,2	2 785	3 550	3 650	3 880
თურქმენეთი	4 000	4 025	4 010	4 010	4 010
უზბეკეთი	23 443	25 159	27 900	28 900	30 000

წყარო: [4, გვ: 40-41-42]

უზბეკეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა აბრეშუმის ბაზარზე. იგი ამჟამად აწარმოებს აღნიშნული რეგიონის აბრეშუმის 80%-ზე მეტს. კავკასიის რეგიონში შემაგალი ქვეყნებიდან ირანი, აზერბაიჯანი და თურქეთი აქტიურად არიან ჩართულნი აბრეშუმის ინდუსტრიაში. რაც შეეხება საქართველოს, სომხეთსა და რუსეთს, აღნიშნული ქვეყნები შედარებით უფრო პასიური მოთამაშეები არიან, თუმცა მათი დაინტერესების შემთხვევაში კავკასიის რეგიონის სავაჭრო ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდება.

საქართველოს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა ამჟამად შემოიფარგლება მხოლოდ აბრეშუმის ძაფის, ქსოვილებისა და უშუალოდ ტანსაცმლისა და აქსესუარების საბაზრო მოთხოვნით. რაც შეეხება საერთაშორისო ბაზარს, აბრეშუმის ინდუსტრიის განვითარების დონე ქმნის მოთხოვნას ისეთ პროდუქტებზე, როგორცაა აბრეშუმის ჭია, გრენა და პარკი.

სპეციალისტების გათვლებით, კავკასიის რეგიონში საქართველოს აქვს პოტენციალი, დაიკავოს მნიშვნელოვანი საბაზრო წილი. ამ მხრივ საქართველოს უპირატესობას წარმოადგენს მისი ტერიტორიული მდებარეობა და არსებობს აბრეშუმის პარკისა და ხამი ძაფის გატანის შესაძლებლობა აზერბაიჯანში, თურქეთსა და რუსეთში [8].

5. მებრეშუმეობის დარგის გამოწვევები საქართველოში

საქართველოში მებრეშუმეობის დარგი ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებს. გრენის სელექცია და მომზადება ხორციელდება მცირე მოცულობით, ძირითადად სამეცნიერო მიზნებისათვის. მოქმედ მდგომარეობაში შენარჩუნებულია მხოლოდ ხონის სასელექციო სადგური.

საბჭოთა პერიოდში პარკის შეგროვება, პირველადი დამუშავება და ხამი ძაფის ამოხვევა ორგანიზებული იყო „საქაბრეშუმის“ დაქვემდებარებაში მყოფი და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სადგურების დახმარებით. დღესდღეობით აღნიშნული ინფრასტრუქტურა განადგურებულია, ხოლო 22 არასასოფლო-სამეურნეო ობიექტი წარმოადგენს სს „საქაბრეშუმის“ ქონებას და ამჟამად ამ საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი მიმდინარეობს, მაშინ როდესაც მცირე და საშუალო ფერმერებს არ გააჩნიათ საკმარისი რესურსი ნედლი პარკის დამუშავებისა და ხამი ძაფის ამოხვევის პროცესის სათანადოდ ორგანიზებისათვის. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პროდუქტის სტანდარტიზაციისა და ხარისხის შენარჩუნების თვალსაზრისით, არ არის მიზანშეწონილი ხამი ძაფის ამოხვევა კუსტარულ პირობებში.

ასევე, დარგის სპეციალისტების მოსაზრებით, წლების განმავლობაში დარგის უმოქმედობის გამო, აბრეშუმის ჭიის შენარჩუნებული ადგილობრივი ჯიშების ვარგისიანობა ინდუსტრიული გაშენების თვალსაზრისით და ჯიშების მდგრადობა დაავადებების მიმართ საეჭვოა. თუმცა, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სათანადო ბიოქიმიური მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია აბრეშუმის ჭიის დაავადებების თავიდან აცილება და პარკის გამოსავლიანობის ამაღლება [2, 5].

საქართველოში ჯერ კიდევ დაუცველია ეკოლოგიური გარემო. დღემდე, პრაქტიკულად, არაფექტურია გარემოზე სისტემური ზედამხედველობისა და რეაგირების დონისძიებათა სისტემა. საფრთხეები ცნობილი ხდება მხოლოდ არასასურველი ფაქტის მოხდენის შემდეგ. რეალობა ადასტურებს, რომ საქართველოს ბუნება დიდი ეკოლოგიური საფრთხეების წინაშე იმყოფება. ყოველივე ეს ასევე საფრთხეს უქმნის თუთის ახალი ჯიშების მდგრადობას. ამიტომ, აბრეშუმის ჭიის ადგილობრივი გენოფონდის აღდგენა/შექმნა და თუთის პლანტაციების დაცვა დაავადებებისაგან დიდ ყურადღებას მოითხოვს მთავრობის და მთელი საზოგადოების მხრიდან.

ასევე, მთავრობამ დღემდე ვერ შეძლო სისტემური ხასიათი მისცემოდა აბრეშუმის პარკის წარმოებას საქართველოში. ვერ განახორციელა ინვესტიციები დარგის რეაბილიტაციის მიზნით.

მიუხედავად მრავალი საინტერესო პროექტის და წინადადებების არსებობისა, დღესათვის მებრეშუმეობის დარგი საქართველოში, და მასთან ერთად მებრეშუმეობის სამეცნიერო კვლევითი

ინსტიტუტი, განადგურებულია. მასზე ზრუნვა თითოთოროლა ენთუზიასტი მეცნიერის და პრაქტიკოსის ინიციატივაზეა მიტოვებული. ასევე უყურადღებოდაა აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი, რომლის კედლები ლამის ჩამოინგრეს, მაშინ როდესაც იგი ის იშვიათი ადგილია, სადაც ქართული აბრეშუმის ისტორიის გაცნობა არის შესაძლებელი. ადგილი, სადაც ლამაზი წარსულის გვერდით, გორგუნავს დღევანდელი მტკვრემიერილი სინამდვილე.

6. მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის გზები საქართველოში

მეაბრეშუმეობა ეკოლოგიურად სუფთა დარგია, რადგან წარმოების პროცესში გამოყოფილი ნარჩენების უტილიზაცია ან მათი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა დანიშნულებისათვის, რაც კიდევ უფრო ხელსაყრელია მეაბრეშუმეობისთვის.

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, მეაბრეშუმეობის განვითარება ხელსაყრელია ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც ხასიათდებიან შემდეგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით: ინდუსტრიალიზაციის დაბალი დონე; სოფლის მოსახლეობის მაღალი წილი; უმუშევრობის მაღალი დონე; იაფი მუშახელი. მაშასადამე, საქართველოში ამ დარგის აღდგენა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც სასურველია.

მეაბრეშუმეობის დარგის აღდგენის მიზნით საქართველოს შეუძლია არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ საკუთარი გამოცდილებებიც გამოიყენოს. საქართველოში იმყოფებიან მოცემული დარგის მეცნიერებიც და პრაქტიკოსებიც, რომლებსაც ამ მიმართულების ადეკვატური პროექტები აქვთ შექმნილი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ე.წ. - „აბრეშუმის სახლი“, რომელზეც ადრე ვისაუბრეთ. ამ მოდელის წარმატებულობა კი დამოკიდებულია საკვები ბაზის ხარისხსა და მდგრადობაზე. აბრეშუმის ჭიის იმპორტი არ არის დაკავშირებული განსაკუთრებულ სიძნელეებთან, მაგრამ, საქართველოს პირობებზე ადაპტირებული აბრეშუმის ჭიის ჯიშების მისაწვდომობა კრიტიკულია ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობისათვის. აგრეთვე, აღნიშნული ბიზნესმოდელის განხორციელებისას მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩართულობა საკვები ბაზის უზრუნველყოფის მიმართულებით, როგორცაა, თესლნერგების გამოყვანა.

მდგრადი საკვები ბაზა გულისხმობს თუთის პლანტაციების საქართველოს კლიმატურ და მიწის პირობებზე ადაპტირებულ და საქართველოსთვის დამახასიათებელი, თუთის დაავადებების მიმართ მდგრადი ჯიშების არსებობას და გაშენებას. მაგალითად, ქართველი მეცნიერების მიერ დამუშავებულია ბუნებრივი თბილი წყლით გამთბარ გრუნტში დაავადებათა გამძლე თუთის ჯიშების კალმების დაფესვიანებით სანერგეების მოწყობა [2; 5].

„აბრეშუმის სახლის“ ბიზნესმოდელის პრაქტიკაში 1000 ჰა-ზე მეტი მოცულობის საკვები ბაზის (თუთის პლანტაციების) მქონე ერთეულებად განხორციელება გართულებულია პრივატიზების შედეგად მიწის ფონდის დანაწევრებულობის და ერთიანი მიწის ფონდის ნაკლებობის გამო. შესაბამისად, „აბრეშუმის სახლის“ ბიზნეს მოდელის განხორციელება პრაქტიკაში უფრო მოსახერხებელია საშუალო ზომის ბიზნეს ერთეულების სახით - 100-200 ჰა საკვები ბაზის უზრუნველყოფით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „აბრეშუმის სახლის“ ბიზნესმოდელის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან სტრატეგიული და ფინანსური მხარდაჭერის მეშვეობით.

აბრეშუმის პარკის დამზადებაში უფრო მარტივია ოჯახების ჩართვა, რადგან ასეთი პრაქტიკა საქართველოში არსებობდა და მოსახლეობასაც აქვს აბრეშუმის მოვლის გამოცდილება. ამასთან, მიწებიც პრივატიზებულია.

მეაბრეშუმეობა მოითხოვს ხელით შრომას, ამიტომ იგი მისაღებია საქართველოსნაირი განვითარებადი ქვეყნისათვის. იგი სოფლის მოსახლეობის დასაქმებას იწვევს, სჭირდება შედარებით ნაკლები ინვესტიცია და ნედლეულით უზრუნველყოფს ქსოვილების წარმოებას. ბაზრის მოთხოვნა კი აბრეშუმის ქსოვილზე, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღია, როგორც უკვე ითქვა, სულ უფრო იზრდება. ამასთან, აბრეშუმის ერთეულის ფასი თითქმის ოცჯერ აღემატება ბამბის ერთეულის ფასს.

დასკვნა და წინადადებები

ამრიგად, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში თუთის ფოთლის დაავადების გავრცელების შედეგად და, ასევე, მომხდარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების გავლენით, მეაბრეშუმეობის ინდუსტრია თანდათან შეიკვეცა და ბოლოს, პრაქტიკულად არსებობა შეწყვიტა. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე იყო მისი აღდგენის ფრაგმენტული მცდელობა, მაგრამ საერთო სახელმწიფოებრივი კოორდინაციის არარსებობის გამო ყველა კერძო მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, იგი ჯერჯერობით ისევ გაჩერებულია. ვითარება ძალიან მძიმეა, რაც საქართველოს მთავრობისა და ქართული ბიზნესის დიდ უპასუხისმგებლობად მიგვაჩნია.

კვლევაში აჩვენა, რომ საქართველოში დღეისათვის არსებობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებული საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფის და მეაბრეშუმეობის დარგის მეცნიერებისა და პროფესიონალების მიერ დამუშავებული მნიშვნელოვანი პროგრამები, ღონისძიებები და რეკომენდაციები,

რომელთა განხორციელება რეალურად გააცოცხლებს მეაბრეშუმეობას საქართველოში. მაგრამ, სამწუხაროდ, არ ჩანს მთავრობის პოლიტიკური ნება და ადეკვატური პასუხისმგებლობა პრობლემების რეალური მოგვარების მიმართულებით.

ჩვენი აზრით, აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

შეიქმნას მეაბრეშუმეობის აღდგენის და განვითარების სახელმწიფო გეგმა მთავრობის მიერ, რომლის განხორციელებას ზედამხედველობას გაუწევს საქართველოს პარლამენტის სოფლის მეურნეობის სათანადო კომიტეტი მეაბრეშუმეობის დარგის მეცნიერებთან ერთად;

უპირატესობა უნდა მიენიჭოს აბრეშუმის პარკის ოჯახურ წარმოებას, სადაც თანდათან დაინერგება გამოკვების ახალი მეთოდები და სხვა შესაბამისი ტექნოლოგიები. შემდეგ ეტაპზე შეიძლება შეიქმნას კოოპერატივები (ამხანაგობები);

დიდი მუშაობაა ჩასატარებელი საქართველოში თუთის და თუთის აბრეშუმხვევიის მდიდარი გენოფონდის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, რაც მეცნიერების მიერ თეორიულად დამუშავებულია და განხორციელება სჭირდება;

შესაძლებელია საბოლოო პროდუქტის წარმოება (ხამი ძაფი, ქსოვილი, გრენა) მოხდეს ეტაპობრივად;

მეაბრეშუმეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო პარკის ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ პარკში აბრეშუმისა და პროცენტის ამაღლებას, რაც ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანას და დანერგვას მოითხოვს;

საჭიროა მეაბრეშუმეობის დარგში განათლების ახალი, თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში შეიძლება გაიზარდოს მეაბრეშუმეობის სპეციალისტების ის რაოდენობა, რომლებიც, სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, მუდმივ ზედამხედველობას და დახმარებას გაუწევენ საქართველოს რაიონებში მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების პროცესს;

საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის და აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის აღდგენა-განვითარების დაფინანსება;

ეკრძო ბიზნესმა, მ.შ. კომერციულმა ბანკებმა სოციალური პასუხისმგებლობების პროგრამების ფარგლებში დააფინანსონ ოჯახების მომარაგება დაავადებების მიმართ გამძლე ჯიშის თუთის ნერგებით;

ქვეყანაში მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი თუთის ხეებისა და აბრეშუმის ჭიის დაავადებების გავრცელების რისკი;

მოყვანილი ღონისძიებების დანერგვის შედეგად მოხდება მეაბრეშუმეობის აღდგენა და განვითარება საქართველოში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სოფლად ქალების, მოზარდების, მოხუცების და უნარშეზღუდული პირების დასაქმებასაც კი და შესაბამისად, ოჯახების შემოსავლების ზრდას.

მეაბრეშუმეობის განვითარების შედეგად, საქართველო თანდათან აბრეშუმის ექსპორტსაც შეძლებს, რაც ხელს შეუწყობს უცხოური ვალუტის მოზიდვას ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბოცვაძე ს. მეაბრეშუმეობა საქართველოში. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964
2. ბრეგვაძე თამარ. გამა რადიაციის გავლენა თუთის აბრეშუმხვევიას ცხოველმყოფელობაზე. დისერტაცია, თბ., 2016.
<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000177/tamar%20bregadze%20disertacia.pdf>
3. გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის განვითარება ამიერკავკასიასა და საქართველოში. თბ., 1941.
4. ნიკოლეიშვილი გ., შაფაქიძე ე., მეაბრეშუმეობა - შავი, კასპიის ზღვების და ცენტრალური აზიის რეგიონების ქვეყნების (BACSA)) საერთო საზრუნავია. თბ., 2014.
5. ნიკოლეიშვილი გ. შაფაქიძე ე. საქართველოს მეაბრეშუმეობა: პრობლემები, რაბილიტაცია, აღორძინება. თბ., 2016.
6. აბრეშუმის დიდი გზა. <https://ka.wikipedia.org/wiki/wiki/>
<https://ka.wikipedia.org/wiki/%>
7. აბრეშუმის ჭიის მოვლა. საქართველოს სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრი.
http://srca.gov.ge/files/%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AD%E1%83%98%E1%83%90.pdf
8. ბიზნეს მოდელი „აბრეშუმის სახლი“, აბრეშუმის წარმოების შესაძლებლობები და ბაზრის კვლევა. თბ., 2015
9. მოგზაურები აბრეშუმის შესახებ. <https://www.travelchinaguide.com/silk-road/history/>
10. საქართველო, ჩვენი ფსევდოლოგიები, სოფლის მეურნეობა, მეაბრეშუმეობა საქართველოში. გამომცემლობა პალიტრა, თბ., 2016 [გვ. 118-119].
11. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რეკომენდაცია. თბ., 2014.
http://www.gaas.dsl.ge/pdf/recomendations_2014-2015/2014-
12. Chinese Silk – Silk History, Production, and Products.

PROBLEMS WITH REHABILITATION OF SERICULTURE IN GEORGIA
Summary

The purpose of the article is to study the development perspectives of the sericulture in Georgia. The subject of research is the silkworm culture in Georgia. The study uses historical and statistical analysis methods.

Silk is an integral part of Georgian history. It was located on the way to the Great Silk Road, and as-yet in the 15th century BC, the silk worm's seed and silk cocoon were exporting to foreign countries. But, for reason the constant attacks of hostile countries, the sericulture was often hindered in Georgia. In the twentieth century, sericulture was a massive employment for the Georgian population and an important source of monetary revenue.

In the 60s of the last century, 4.0-4.4 thousand tons of cocoon was produced in Georgia and the money income was 15.5-16.5 million rubles. Silk cocoon production was employed by 100-120 thousand households, and 5-6 thousand men in the silk industry. Unfortunately, at this time the mulberry disease, which destroyed about 15 million plants, made the silk cocoon catastrophically fell. Herewith, as a result of the political events that took place after the announcement of independence of Georgia, getting silk cocoon was completely stopped from 2002.

As a result of the research, the Georgian Agricultural Research Center, Silk Museum of Georgia, and the Ministry of Sustainable Development of Georgia are currently working on the programs the restoration of the gene pool of the mulberry and silkworm in Georgia, but the sericulture industry is stopped still in Georgia. No attempts are currently underway to make an investment in renewing industry of sericulture. Mean while the demand and price for silk products on the world market are growing. For example, the price of the 1 kg silk rough thread is 58-55 dollars.

Thus, the death of the silk industry is a big irresponsibility for the government of Georgia. Rehabilitation of the sericulture industry is necessary, which requires greater support from the government. In the silkworm production should be actively involved the farming industry, which will also promote the strengthening of the village. The serious challenges are ecological threats and the government needs very active and very thoughtful actions.

For rehabilitation of sericulture in Georgia is necessary:

Must be created a state plan for rehabilitation of sericulture in Georgia;

The preference should be given to silk production by the families;

The Government of Georgia shall provide financial support for the development of the Silk State Museum and the Scientific Institute of the Sericulture;

Private business and commercial banks to fund the population with the new varieties of mulberry plantation within the frames of the social responsibility programs.

To minimize risks of the spread outbreak diseases of mulberry trees and silk worm;

It is necessary to establish a new modern system of education of the sericulture industry.

Implementation of this recommendations in Georgia will facilitate the development of the sericulture and in the future it will be able to bring the foreign currency

*მანანა ხარხელი
გიორგი მორჩილაძე*

ინოვაციების მართვისას არსებული გამოწვევები მომსახურების სფეროში

ანოტაცია. იმისთვის, რომ კომპანიამ შეძლოს თავის დამკვიდრება ბაზარზე, იყოს კონკურენტუნარიანი როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში, აუცილებლად სჭირდება მუდმივი ზრუნვა შემოსავლების ზრდასა და ხარჯების შემცირებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებს იყოს მომგებიანი. გამოწვევაც, რომლის წინაშეც დღეს დგანან მომსახურების სფეროს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიები, მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას ისეთი ინოვაციების მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ნახსენებ ორ საკითხზე თანამშრომლების კონცენტრირებას. ნაშრომში განხილულია მიდგომები და მოყვანილია რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება კომპანიების მენეჯმენტს ნახსენები გამოწვევების დაძლევაში.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციის პროცესის, მომსახურების ინოვაცია, ინოვაციების მენეჯმენტი.

* * *


*ადამიანს გონებისაკენ სამი გზა აქვს: აზროვნება, მიბაძვა, გამოცდილება.
აზროვნება - ყველაზე კეთილი გზაა, მიბაძვა - ყველაზე ადვილი,
გამოცდილება ყველაზე ძნელი.
კონფუცი*

წარმატებული კომპანიები გრძელვადიანი პერიოდში ახერხებენ, მუდმივად იყვნენ ინოვაციურები, შესთავაზონ სხვადასხვა სახის სიახლეები მომხმარებელს. კონკურენცია, ვალდებულს

ხდის ნებისმიერ კომპანიის მენეჯმენტს, შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც მუდმივად იქნება უნარიანი, შესთავაზოს მომხმარებელს რაღაც ახალი, სხვა შემთხვევაში ის წარუმატებლობისთვისაა განწირული.

ინოვაციების მართვა არის რთული და კომპლექსური პროცესი. თავდაპირველად საჭიროა, მენეჯმენტი ჩამოყალიბდეს იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ინოვაციის სტრატეგიის შემუშავება, ხოლო შემდეგ კი მისი განხორციელება.

მნიშვნელოვანი გამოწვევა კომპანიებისთვის დღესდღეობით არის თავის დამკვიდრება ფასეულობათა ჯაჭვში და კომპანიების ქსელში, რომლებიც ქმნიან ბაზარს. აღნიშნულ კონტექსტში, ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია ინოვაციების მეხუთე დონის მოდელების ანალიზი, რომლის შესაბამისადაც ნათლად ჩანს მჭიდრო ურთიერთკავშირი ერთმანეთთან სისტემა „ნოვატორი“, სისტემა „ორგანიზაცია“ და სისტემა „გარემო“ -ს შორის და რომ ეს კავშირი არ არის ცალმხრივი.



დიაგრამა 1. ინოვაცია, როგორც ურთიერთზეგავლენის პროცესი (ჯ. გაგლოშვილის ადაპტირებული ვარიანტი)

გამომდინარე იქიდან, რომ კომერციული ორგანიზაციის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა, ინოვაციების მართვისას კომპანიის მენეჯმენტის ყურადღება, ჩვენი აზრით, მიმართული უნდა იყოს ორ რამეზე: ა) შემოსავლის ზრდაზე და ბ) ხარჯების შემცირებაზე. ამდენად, კომპანიის მენეჯმენტმა უნდა იზრუნოს იმგვარი ინოვაციების მართვის სისტემის შექმნაზე, სადაც ორივე მიმართულებით იქნება აქცენტი გაკეთებული. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

შემოსავლის ზრდა კომპანიას შეუძლია შემდეგი გზით: ა) მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდით; ბ) უკვე არსებული მომხმარებლების მიერ, შესყიდვების მოცულობის გაზრდით; გ) პროდუქტზე ფასის შემცირებით ან გაზრდით, მოთხოვნის ელასტიკურობიდან გამომდინარე. მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა ან ერთი მომხმარებლის მიერ განხორციელებული შესყიდვის ზრდა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის პრიზმიდან განვიხილავთ კომპანიის შეთავაზებას, გამოვიტანთ სწორ დასკვნებს, შევიშუშავებთ სტრატეგიას მასზე დაყრდნობით და შემდეგ კი კარგად განვახორციელებთ გაწერილ სტრატეგიას.

მომხმარებელი პროდუქტს აფასებს იმის მიხედვით, თუ როგორ შესაბამისობაშია ერთმანეთთან მის მიერ გადახდილი თანხა და მიღებული სარგებელი. სხვა თანაბარ პირობებში, მომხმარებელი ირჩევს იმ პროდუქციას, რომელიც ა) მეტ სარგებელს იძლევა კონკურენტის პროდუქტთან შედარებით, ხოლო ფასი კი იგივეა; ბ) იმავე სარგებელს იძლევა, რასაც კონკურენტის პროდუქტია, ხოლო ფასი კი უფრო დაბალია. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფასეულობის/ფასის თანადობა განსაზღვრავს იმას, თუ რა პროდუქტზე შეაჩერებს მომხმარებელი არჩევანს. სხვა თანაბარ პირობებში კი იმ კომპანიის პროდუქტიაზე შეჩერდება არჩევანი, რომელსაც აღნიშნული პროპორცია ყველაზე მაღალი ექნება.

თავის მხრივ, პროპორცია შედგება ორი კომპონენტისგან, კერძოდ კი: ფასი და ფასეულობისგან. საჭიროა კომპლექსურად განვიხილოთ თითოეული მათგანი, იმისთვის, რომ შევძლოთ მოცემული პროპორციის ცვლილება.

ამდენად მივიღივართ კითხვასთან, თუ რა არის მნიშვნელოვანი ფასეულობა მომხმარებლისთვის? აქ მნიშვნელოვანია ორი რამ: ა) არსებულ ბაზარზე კონკურენტული ბრძოლის იარაღები რა არის, ასე მაგალითად, ღვინის ბიზნესს რომ გადავხედოთ საქართველოში ვნახავთ, ქართული კომპანიები კონკურენტებისგან გამორჩევას ცდილობენ: გემოს სიმდიდრეს, დაძველებას, მარნის ისტორიას და სხვ. ინსტრუმენტებით. ბ) სხვა, დამატებითი, კონკურენტებისგან განსხვავების საშუალებების აღმოჩენა.

დამატებითი სარგებლის აღმოჩენის და შეთავაზების კონტექსტში. საკმაოდ საინტერესო და დიდი პრაქტიკული ღირებულების მქონეა ვ. ჩან კიმისა და რ. მობორნის კვლევა - „ლურჯი ოკეანის სტრატეგია“, რომლის შესაბამისადაც, კონკურენტისგან შესაძლო განმასხვავებლის პოვნა შესაძლებელია შემდეგი გზებით [ვ.ჩ.კიმი, რ. მობორნი, 2005, 106] :

- შემცველი პროდუქტების ბაზრის კვლევა;
- დარგის სტრატეგიული ჯგუფების შესწავლა;
- ფასეულობათა ჯაჭვის შესწავლა;
- დამატებით პროდუქტების და სერვისის შესწავლა;
- პროდუქტის ფუნქციური და ემოციონალური მიმზიდველობის ანალიზი;
- ტენდენციების ანალიზი.

შემცველი პროდუქტი, ეს არის „პროდუქტი, რომელსაც შეუძლია ერთი და იმავე მომხმარებლის იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც სხვა პროდუქტს“³⁰, (ასე მაგალითად, შემცველ პროდუქტად შეგვიძლია განვიხილოთ ყავა და ენერგეტიკული სასმელი). იმ პროდუქტის ბაზრის ანალიზი, რომელიც მსგავს სარგებელს სთავაზობს მომხმარებელს, მენეჯმენტს აძლევს საშუალებას, მოშალოს ბაზრის საზღვრები და შემცველი პროდუქტის მომხმარებელი, თავის კლიენტად აქციოს ის (შემცველი პროდუქტის განსხვავებული ფასეულობის გადმოღებით).

მომხმარებლებისთვის დამატებითი ფასეულობის შეთავაზება შესაძლებელია ასევე, კომპანიის საქმიანობის ინდუსტრიაში სხვა სეგმენტებზე კონცენტრირებული კონკურენტების მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული ფასეულობების დანახვით და ამის საფუძველზე ფასეულობათა ახალი კომბინაციის მომხმარებლებისთვის შეთავაზებით.

რომ გავანალიზოთ რა დამატებითი ფასეულობის შეთავაზება შეიძლება იყოს მომხმარებლისთვის, შეიძლება კომპანიას გამოადგეს ასევე ფასეულობათა ჯაჭვის ანალიზი იმისთვის, რომ დაინახოს თავისი პროდუქტის საბოლოო მომხმარებელს ხომ არ სურს სხვა დამატებითი სარგებელი. ფასეულობათა ჯაჭვის ანალიზი მოგვცემს საშუალებას, დაინახოთ საბოლოო მომხმარებელზე შეთავაზებული ფასეულობის სტრუქტურა (მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე ორიენტირებულმა კომპანიამ, რომელიც თავის პროდუქტს აწვდის ბიზნესებს, შეისწავლოს რა მოთხოვნები აქვთ მთ. ბუღალტრებს).

დამატებითი გზა არის ასევე იმის გაანალიზება, თუ რა ხდება კომპანიის მიერ შეთავაზებული პროდუქტის მოხმარებამდე, მოხმარების პროცესში და მომსახურების დასრულების შემდეგ. მოცემული პროცესის ანალიზი დაეხმარება კომპანიას იმაში, რომ დაინახოს ის პოტენციური ფასეულობები, რომლებიც შეიძლება მომხმარებლებისთვის საინტერესო იყოს.


პოტენციურ ფასეულობათა ანალიზის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია დაკვირვება ინდუსტრიაში არსებულ ტენდენციებზე, რომელიც მეტყველებს იმაზე, თუ რაზე იქნება ხვალინდელ დღეს მოთხოვნა. ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია სტრატეგიული აზროვნების პროცესშიც. გარემოს სკანირება გვაძლევს საშუალებას, თადარიგი დავიჭიროთ მომავალზე (ასე მაგალითად, აუდიტორულ ბიზნესში დღეს ნათლად ჩანს ტენდენცია პროცესის მაქსიმალურად ავტომატიზაციისა და კომპიუტერიზაციისკენ ³¹)

მას შემდეგ, რაც გავარკვევთ იმას, თუ რა არის კომპანიის საქმიანობის სფეროს ბაზარზე არსებული და პოტენციურად შესათავაზებელი ფასეულობები, საჭიროა მენეჯმენტი ჩამოყალიბდეს, კერძოდ, რომელი პროდუქტის მახასიათებელში აპირებს გაძლიერებას, რომელში შემცირებას, აპირებს თუ არა რომელიმე ახალი ფასეულობის საშუალების დამატებას ან პირიქით, შემცირებას. მაგალითად, თუ კომპანია არის საცალო მოვაჭრე და ფასეულობათა ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ სწრაფი მომსახურება არის პრიორიტეტული მომხმარებლისთვის, ხოლო ადგილზე კონსულტანტისთვის რჩევის კითხვა არა, სტრატეგიის შემუშავებისას უნდა დაივგემოს მოდარეობერატორების დამატება, ხოლო მოძრავი კონსულტანტების რაოდენობის შემცირება. თავის მხრივ, საჭიროა, შემუშავებული სტრატეგია იყოს მკაფიო, გასაგები და ნათლად იძლეოდეს იმის გაგების საშუალებას, თუ საით მიჰყავს კომპანია.

ჩ. კიმის და ე. მობორნის წიგნში „ლურჯი ოკეანის სტრატეგია“ შემოთავაზებული მიდგომა რომ წარმოვადგინოთ ილუსტრაციის სახით, ექნება შემდეგნაირი სახე:

³⁰ <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/substitute-product>

³¹ <http://www.ey.com/gl/en/issues/managing-finance/ey-cfo-need-to-know-future-of-audit>



დიაგრამა 2. ლურჯი ოკვანის სტრატეგიის თანმიმდევრობა (ჩ.კიმი და ე. მობორნი)

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ იმაზე, რომ ინოვაციების მართვისას საჭიროა აქცენტი გაკეთდეს როგორც შემოსავლების ზრდაზე, ასევე ხარჯების შემცირებაზე. ზემოთ მოყვანილი მიდგომა, თავშივე გულისხმობს დანახარჯების შემცირებას, რადგან მის საფუძველზე ხდება მომხმარებლებისთვის ისეთ ფასეულობათა კომბინაციის შეთავაზება, რომლებიც მათთვის საუკეთესო იქნება, ეს კი ზედმეტი და ნაკლებმნიშვნელოვანი ფასეულობების შემცირებას ან საერთოდ გაუქმებას გულისხმობს, რაც გამოიწვევს დანახარჯების მინიმიზაციას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კომპანიამ დანახარჯების მინიმიზაციისა და შემოსავლების ზრდისთვის მუდმივად უნდა ეცადოს მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ფასეულობის კომპლექსის მაქსიმალურად გაზრდა როგორც ახალი ფასეულობის დამატებით, ასევე კლიენტისთვის უმნიშვნელო სერვისის შემცირებით. თავის მხრივ, ანალიზი იმისა, თუ რა დაამატოს და რა გამოაკლოს, მოყვანილია კვლევაში. ყოველივე ეს კი, უზრუნველყოფს როგორც შემოსავლების ზრდას, ასევე ხარჯების შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები. "უნივერსალი" 2008 (195 გვ.).
2. ჯ. გაგლოშვილი, ინოვაციური პროცესების კვლევა და კომპიუტერული მოდელირება (სადისერტაციო ნაშრომი), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2016.
3. Дафт Р.Л., Менеджмент. "Питер", 2008 (864 ст).
4. Коен А., Курс по менеджменту. "Алпина Публишер", 2006. (512 ст).
5. Коена А., Курс М по менеджменту. "Алпина Бизнес Курс", 2007 (3.520).
6. Коленсо М., Стратегия кайзен для успешных организационных перемен. "ИНФРА-М", 2002 (175 с.).
7. А.И.Орлов., "Теория принятия решений", МОСКВА, «Март», 2004, (1069 г.).
8. Робинз С., Коултер М., Менеджмент. Москва, „Вильямс“, 2007 (1056 ст).

9. Ларичев О.И., Теория и методы принятия решений. “Логос”, Москва, 2000, (296 с.).
10. Alam I (2010) Does service innovation process differ across cultures? *Asia Pac J Mark Logistics* 22(4), (pp. 460 – 472).
11. Aurobindo, Sri. *The synthesis of yoga*. Pondicherry: Sri Aurobindo ashram trust. ISBN 978-0-9415-2465-0. 2014. (pp. 799–800).
12. Anderson L., , Anderson D., *The Change Leader's Roadmap: How to Navigate Your Organization's Transformation*. “Pfeiffer“, 2010 (400 p.).
13. Artz KW, Norman PM, Hatfield DE, Cardinal LB (2010) A longitudinal study of the impact of R&D, patents, and product innovation on firm performance. *J Prod Innov Manag* 27 (5),(pp.725 – 740).
14. Barreto L, Kypreos S (2004) Endogenizing R&D and market experience in the “ bottom-up ” energy-systems eris model. (Pp. 629).
15. Bessant J, Tidd J (2007) *Innovation and entrepreneurship*. John Wiley, , England, (pp 604).
16. Borisoff, D. & Victor, D.A. ., (1998) *Conflict Management: A Communication Skills Approach*. Needham Heights: Allyn & Bacon, A Viacom Company. (Pp 80).
17. Boedker C, Vidgen R, Meagher K, Cogin J, Mouritsen J, Runnalls J (2011) *Leadership, culture and management practices of high performing workplaces in Australia: the high performing workplaces index*. SKE, Sydney, (pp. 65).
18. Brans, J.P. and Vincke, Ph. "A preference ranking organization method", *Management Science*, 31, 647-65, (1985).
19. W.chan kim, R. Mauborgn, “Blue Ocean Strategy”, Harvard Business School Publishing Corporation, 2005, 257.
20. Cooper R.G. (1994). *New Products: The Factors that Drive Success*. In: *International Marketing Review*, Vol. 11, Iss. 1, pp. 60-76.
21. Dyer, R.F. and Forman, E.H. (1992) “Group decision support with the Analytic Hierarchy Process”, *Decision Support Systems*, 8, 99-124.
22. Figueira, J., Greco, S. and Ehrgott, M. (Eds.) (2004) *Multiple Criteria Decision Analysis: State of the Art Surveys*, Springer, New York.
23. P. Lencioni, 2005, “Overcoming the Five Dysfunctions of a Team: A Field Guide for Leaders, Managers, and Facilitators”, Jossey – Bas, 69 -81.
24. S. Berkun, *The Myths of Innovation* ,1 edition, Canada, “ O'Reilly Media”, 2007. (p. 248).
25. P. Goodwin, *Decision Analysis for Management Judgment* 3 Edition, England, John Wiley & Sons Ltd, 2004, (p.493).
26. M.Kharkheli, G.Morchiladze., *International Journal of Management and Commerce Innovations* ISSN 2348-7585 (Online) Vol. 3, Issue 1, pp: (425-428), Month: April 2015 - September 2015, Available.
27. Hayes J., *The Theory and Practice of Change Management*. “Palgrave Macmillan“, 2008 (496 p.).
28. http://www.decision-making-solutions.com/decision_making_techniques.html
29. <http://managementhelp.org/management/development/index.htm>
30. <http://www.managementexchange.com/story/hacking-paradigm-its-roots.htm>
31. <http://www.organizedchange.com/strategicplanninghome.htm>
32. <http://www.businessinsider.com/s?q=organizationchange.htm>
33. http://www.decision-making-solutions.com/decision_making_techniques.html
34. <http://www.innovation-management.org/>
35. <https://hbr.org/2006/02/the-why-what-and-how-of-management-innovation>
36. <https://hbr.org/topic/innovation>

Manana Kharkheli
Giorgi Morchiladze

INNOVATION MANAGEMENT CHALLENGES IN THE SERVICE FIELD

Summary

Successful companies are able to constantly innovate in the long-term period and they can offer a different kind of novelties to consumers. Competition makes it mandatory for any company management to create a system that is constantly capable of offering customers something new, other wise, they will fail in competition.

Innovation management is a difficult and complex process. At first, management needs to establish on how to develop right innovative strategies, and then to implement it well.

Due to the fact that, the main purpose of the commercial organization is to earn profit, during innovation management company management should focus on two milestones:

- How to increase revenue
- How to decrease expenses

Accordingly, company management should create such an innovation management system, where in both directions will be the emphasis.

A company can increase the number of customers, only if management analyzes what is important value for customers. Related to this, considerable practical value has the research of W. Chan Kim and R.Mauborgne about "Blue Ocean Strategy", according to which the potential difference between Competitors can be found in the following ways.

- Define their industry similarly and focus on being the best within it;
- Look at their industries through the lens of generally accepted strategy;
- groups (such as luxury automobiles, economy cars, and family vehicles), and strive to stand out in the strategic group they play in;
- Focus on the same buyer group, be it the purchaser (as in the office equipment industry), the user (as in the clothing industry), or the influencer (as in the pharmaceutical industry);
- Define the scope of the products and services offered by their industry similarly;
- Accept their industry's functional or emotional orientation;
- Focus on the same point in time — and often on current competitive threats in formulating strategy [W.Chan Kim, R.Mauborgne, 2005:48].

After analyzing, management should establish, how will change the value offered to consumers, what component of offered value will be: increased, decreased, added and canceled. In turn, developed strategy should be easy to understand and determine, what is the direction of the company.

In conclusion, it can be said, that management has to constantly try to maximize the value offered to consumers by adding new benefits, as well as minimizing non important customer services, because of reduction expenses and increasing revenue.

რიკარდოს ეკვივალენტი ანუ სახელმწიფო ვალის წარმოშობისა და
პრაქტიკული დანიშნულების აზრი

ანოტაცია. ჩვენი კვლევა აღწერს სახელმწიფო ვალის არსს და მის დანიშნულებას, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა დათმობილი გვაქვს ეფექტზე, რასაც სახელმწიფო ვალი ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაზე. ეკონომისტებს შორის არ არის კონსენსუსი ამ ეფექტის შედეგზე. როდესაც სახელმწიფო ვალს ფულს, ის ვაპირდება რომ გადავიხდით. ამ გადახდის (გადახდების) უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ზრდის ბეგარას (თუ ამის საჭიროება აქვს), რათა გადაიხადოს ეს ვალი სხვა მრავალ მიმდინარე გადასახდელთან ერთად. ამ მხრივ ეკონომიკური ეფექტი დიდწილად განპირობებულია თუ როგორ აღიქვამს ბეგარის ვადახდელი ამ სამომავლო გადასახადს. ამის აღქმის გაზომვა ერთობ რთულია და ვერც ეკონომისტები და ვერც სხვა პროფესიის მიმდევარი ვერ შექმნის ზუსტ და რეალურ ბეგარის აღქმის ფორმულას.

ჩვენი ანალიზით გადაწყვეტი ფაქტორია დრო და მოსახლეობის გაცნობიერებულობის დონე ამ საკითხზე (საფრთხეზე), თუ რასთან აქვს საქმე და იმის განსაზღვრა, თუ რა ეფექტს იწვევს ობლიგაციური სესხით ეკონომიკის დაფინანსება.

თუ საზოგადოების ყოველი წევრი გააცნობიერებს, რომ სამომავლო ბეგარა გააქარწყლებს მისაღები სესხის ძირითად თანხას და მასზე დარიცხულ პროცენტს, ამ შემთხვევაში ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი გაუტოლდება ბეგარის განაკვეთის სიდიდეს. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ვალს არანაირი ეფექტი და გავლენა აღარ ექნება. ეს პიპოთეზა ცნობილია, როგორც რიკარდოს ეკვივალენტი (ტოლობა) (ლიცარდიან ექვივალენცე), რომლის ავტორია ცნობილი ეკონომისტი დავით რიკარდო (ავიდ ლიცარდო). რიკარდომ პირველმა განიხილა ეს საკითხი თავის ნაშრომში.

განხილულია სრული ეკვივალენტურობა და მისი გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტზე, როდესაც მხოლოდ ბეგარის ოდენობის ცვლილებისას საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს შესაძლებლობა, განჭრიტოს ეს მოვლენა და მოახდინოს პოზიციების კომპენსირება. თუ ადგილი აქვს ამ მოვლენას, არანაირ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლილებებს და შედეგს ადგილი არ ექნება.

არასრული ეკვივალენტურობის პირობებში დეფიციტს აქვს ეკონომიკაზე გავლენა, თუმცა ამის შედეგის განჭვრეტა რთულია.

ჩვენი პიპოთეზაა, რომ მოსახლეობა არ აღიარებს გადაწყვეტილების მიღებისას ახალი ბეგარის შემოდებას თუ არსებული ზრდას, მიუხედავად რეალობაში არსებული მიმდინარე დეფიციტისა. ასეთ სიტუაციაში, თუ საწყის ეტაპზე მოხდება ბეგარის თანხის ნაწილობრივ ნანაცვლება სახელმწიფო სესხით, ეს შექმნის საზოგადოებაში განცდას, რომ მიმდინარე ცხოვრება გაუმჯობესდა და მოსახლეობის შემოსავალმა იმატა. ამ პიპოთეზას თან მოსდევს რაციონალური გადაწყვეტილება - საზოგადოების წევრები იწყებენ მეტი თანხის ხარჯვას. თუმცა, საბოლოო შედეგი იქნება ის, რომ სახელმწიფო ბეგარა იმ ოდენობის უნდა იყოს აკრეფილი, რომ სახელმწიფომ სრულად გაისტუმროს არსებული დაეალიანება მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლით. აქ ადგილი ექნება მოულოდნელობის ეფექტს: რადგან ბეგარის ზრდას საზოგადოება არ ელოდა, თითოეულ წევრს მოუწევს ხარჯების შემცირება იმისდა მიუხედავად, თუ როდის ხდება ბეგარის გადახდა.

დასკვნა, რაც შეიძლება გამოვიტანოთ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, არის შემდეგი: დეფიციტი თუ პროფიციტი გავლენას ახდენს გადაწყვეტილებებზე არა მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ამ დისბალანსს, არამედ მომდევნო პერიოდშიც, რაც მოლოდინის ეფექტია. საკმაოდ რთულია ამ მოვლენის ეფექტის ზომისა და ვადის პროგნოზირება.

ამ ანალიზს მიყვარათ დასკვნამდე, თუ როდის არის საჭირო და რა გზით ამ მოვლენის გამოყენება ეკონომიკის სხვადასხვა მდგომარეობის გამოსასწორებლად. ჩვენი მოსაზრება შეიძლება სხვაგვარად წარმოვაჩინოთ - როგორ შეიძლება დეფიციტის მიზანმიმართული გამოყენება ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად. სახელმწიფო დეფიციტის შევსების წყარო კი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ემისიაა.

ჩვენ მიერ განხილული თეორიული ასპექტი და პრაქტიკული სცენარი გვაძლევს საშუალებას, რომ გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა - დეფიციტი არის საჭირო, როდესაც ეკონომიკაში ადგილი აქვს ეკონომიკურ ვარდნას და ეკონომიკურ კრიზისს. აღნიშნული მოსაზრება ემყარება იმ აზრს, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიით მიღებული რესურსი გადაფარავს ეკონომიკური დაცემის პერიოდში შემცირებულ ბეგარას და, ამასთანავე, შესაძლოა ბეგარის განაკვეთის შემცირება, რაც შეამსუბუქებს მოსახლეობის ფართო ფენის ეკონომიკურ მდგომარეობას.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ვალი, რიკარდოს ეკვივალენტი, არასრული ეკვივალენტი, ბიუჯეტის დეფიციტი, მოსახლეობის აღქმა

* * *

სახელმწიფო ვალი წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მაკროეკონომიკურ პარამეტრს, ობიექტსა და ინსტრუმენტს. სახელმწიფო ვალის არსებობა შესაძლებელია ახდენდეს როგორც დადებით, ასევე უარყოფით გავლენას რეალურ, ფინანსურ და სხვა სექტორებზე. ვალის დადებითი გავლენა ვლინდება ხელისუფლების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში, ხოლო ნეგატიურ შედეგს წარმოადგენს ვალდებულებების მომავალ თაობებზე გადაცემა. ამ მხრივ, სახელმწიფო ვალის მართვა - ეს არის სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია, რომელიც მიმართულია დაფინანსების აუცილებელი მოცულობის მოზიდვასა და ვალის სასურველი პარამეტრების მიღწევაზე, როგორცაა რისკი, მომსახურების ღირებულებასა და სხვა მიზნებზე, კერძოდ შიგა ვალის ეფექტიანი ბაზრის შექმნა.

სახელმწიფო ვალი³² წარმოადგენს მთავრობის დაუფარავ ვალდებულებას. საზოგადოებისგან სესხის აღების მიზნით სახელმწიფო ახორციელებს სავალ ვალდებულებების გამოშვებას. როდესაც სახელმწიფო იღებს სესხს, ის ჰპირდება კრედიტორებს ვალის გადახდას და იზიდავს მათ სესხის პირობებით, სადაც აღნიშნულია სესხის ძირითადი თანხა, საპროცენტო განაკვეთი, რაც დაერიცხება ძირითად თანხას და დროის პერიოდი, როდესაც მოხდება პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდა. ამრიგად სახელმწიფო ვალი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ყველა სახელმწიფო სავალ ფასიანი ქაღალდის ჯამურ თანხას, რომელიც ჯერ არ არის გასტუმრებული.

საერთაშორისო გამოცდილების ჩვენეული კვლევის შედეგად მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ახორციელებს რამდენიმე სახის სავალ ფასიანი ქაღალდის გამოშვებას (ემისიას), რომელიც შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვა კატეგორიით³³.

ერთ კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდეს ერთი მსგავსი ტიპის გამომშვები სახელმწიფო ორგანო - ცენტრალური მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობა თუ ცალკეული სამინისტრო. დასაშვებია ამ კატეგორიების ქვეკატეგორიებად დაყოფა - მაგალითად ადგილობრივი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი შეიძლება იყოს რაიონის, დაბის თუ ქალაქის მიერ გამოშვებული სავალ ფასიანი ქაღალდი.

მეორე მიდგომაა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გრადაცია მათი დაფარვის ვადის მიხედვით. როდესაც ვსაუბრობთ ათწლიან ან ოცდაათწლიან სახელმწიფო ობლიგაციაზე, ეს ნიშნავს, რომ განხილვის საგანია დროითი მონაკვეთი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის გამოშვებიდან დაფარვამდე.

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს უფრო მიღებული და გავრცელებული დაყოფა. მაგალითად აშშ ფედერალური მთავრობის ვალი დაყოფილია სამ ფართოდ გავრცელებულ კატეგორიაში მათი დაფარვის ვადის მიხედვით³⁴:

- სახაზინო ვალდებულება ერთ წლამდე ვადის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდია (შეიძლება იყოს სამთვიანი, ექვსთვიანი, ერთწლიანი და სხვა);
- სახაზინო თამასუქის ვადა მერყეობს ერთი წლიდან ათ წლამდე პერიოდის მონაკვეთში;
- სახაზინო ობლიგაციის საწყისი ვადა არ უნდა იყოს ათ წელზე ნაკლები.

სახელმწიფოსა და ადგილობრივი მთავრობების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მიღებული და ფართოდ გავრცელებული სახელწოდებაა ობლიგაცია, რაც არ არის უშუალო კავშირში მათ ვადიანობასთან.

უვადო ობლიგაციის სახელწოდებაა პერპეტუიტი (perpetuity). ასეთ შემთხვევაში ობლიგაციას არ გააჩნია დაფარვის ვადა, ანუ მას ყოველთვის ერიცხება საპროცენტო სარგებელი, თუმცა არ არსებობს მისი ძირითადი თანხა, რომელიც უნდა დაიფაროს. ასეთი სახის უვადო ობლიგაციებს ერთ დროს უშვებდა დიდი ბრიტანეთის მთავრობა და მათი სახელწოდებაა კონსოლი (consols).

კლასიფიკაციის მესამე მიდგომა ახარისხებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს წყაროს მიხედვით, რომელიც პასუხისმგებელია მათ დაფარვაზე.

- საერთაშორისო პრაქტიკაში გვხვდება "საზოგადო ვალდებულების ობლიგაცია" (General obligation bonds), რომელიც გადაიხდება საზოგადოების დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლით;
- საშემოსავლო ობლიგაციები (revenue bonds) გადახდის წყაროა ის ბეგარა, რომელიც ამოღებულ იქნება სპეციფიკური კატეგორიის მომხმარებლისგან, მაგალითად ხიდის ან გვირაბის მშენებლობის გადასახადი გამგელებს ავტორიზაციისგან. ეს მიდგომა გამოიყენება მხოლოდ სახელმწიფო და ადგილობრივი სავალ ფასიანი ქაღალდების გრადაციის დროს.

³² Eisner, Robert. "Budget Deficits: Rhetoric and Reality." Journal of Economic Perspectives 3 (Spring 1989): 73-93.

³³ Cox, W. Michael. "The Behavior of Treasury Securities: Monthly, 1942-1984." Journal of Monetary Economics 16 (September 1985): 227-240.

³⁴ Cox, W. Michael. "The Behavior of Treasury Securities: Monthly, 1942-1984." Journal of Monetary Economics 16 (September 1985): 227-240.

მსოფლიო საზოგადოებაში სახელმწიფო ვალის სიდიდე განსაკუთრებული ინტერესის საგანია. ერთობლივი სახელმწიფო ვალი წარმოადგენს ყველა სახის სახელმწიფო ორგანოთა მიერ ინდივიდუალურად გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ჯამს. აღნიშნული მანქნებელი ხშირად ქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, იხილება სხვადასხვა სატელევიზიო თუ პოლიტიკური დებატის დროს, თუმცა უბრალოდ ჯამური ციფრი არ არის მრავლისმეტყველი, თუ ის არ არის დაზუსტებული.

დაზუსტებაში პირველ რიგში იგულისხმება ინფლაცია. ობლიგაციის ნომინალური ღირებულება ეს არის ის თანხა, რომელიც გადაიხდება ობლიგაციის დაფარვისას. ეს თანხა თავიდანვე ცნობილია ობლიგაციის მიმღებლისათვის. თუმცა, ობლიგაციის რეალური ღირებულება წარმოადგენს იმ საქონლისა და მომსახურების ერთეულთა ჯამს, რისი შეძენა ამ ობლიგაციით არის შესაძლებელი კონკრეტულ პერიოდში. ობლიგაციის ნომინალური ღირებულება არის უცვლელი და ის არ იცვლება ინფლაციის მანქნებლის ცვლილების კვალდაკვალ, თუმცა მისი ყოველდღიური რეალური ღირებულება იცვლება.

ამრიგად, საზოგადოების წევრი, რომელიც ფლობს სახელმწიფო ფასიან ქაღალდს, დაინტერესებულია მისი რეალური და არა ნომინალური მსყიდველობითი უნარით.

მეორე მნიშვნელოვანი დაზუსტება შეეხება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას. მიმოქცევაში მყოფი სავალ ობლიგაციის ფასი იცვლება ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების კვალდაკვალ. ობლიგაციის საბაზრო ფასი მყისიერად რეაგირებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე და ობლიგაციის ნომინალური ღირებულება საკმაოდ განსხვავდება ობლიგაციის საბაზრო ფასისგან³⁵.

ამის საილუსტრაციოდ წარმოვიდგინოთ რომ შეძენილი გვაქვს 5,000 ლარის ერთწლიანი სახაზინო ობლიგაცია (ანუ ჩვენ ვასესხეთ სახელმწიფოს 5,000 ლარი) პირველ დღეს. ობლიგაციას ერიცხება 10 პროცენტი წლიური სარგებელი, რაც გამოიხატება პროცენტის სახით ყოველი წლის ბოლოს 500 ლარის სარგებლის მიღებაში. შეძენიდან რამდენიმე დღეში საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც იწვევს შემდგომში გამოსაშვები თქვენი ობლიგაციის მსგავსი ახალი ობლიგაციის სარგებლის დაწევას 9 პროცენტ წლიურ განაკვეთამდე. ანუ თქვენი ობლიგაცია სარგებლობს მეტი პრივილეგიით, რადგან მას კვლავ მოაქვს თქვენთვის 10 პროცენტი წლიური სარგებელი, ნაცვლად ახალი გამოსაშვები 9 პროცენტის სარგებლის ობლიგაციებისგან. ეს კი გვაძლავს ლოგიკურ და რაციონალურ შესაძლებლობას, გავყიდოთ ჩვენს ხელთ არსებული ობლიგაცია 5,000 ლარზე მეტ ფასში. ამის მიუხედავად საპროცენტო სარგებელი, რადგან ახალი ობლიგაცია მხოლოდ 450 ლარის წლიურ სარგებლის მომტანია, ნაცვლად ჩვენს ხელთ არსებული 500 ლარი შემოსავლის მომტანი აქტივისაგან.

ამ მხრივ, ადრე გამოშვებული ობლიგაციების გადაფასება ბაზარზე არსებული რეალიების გათვალისწინებით, იწვევს ამ სავალ ინსტრუმენტის ფასის აწევას ან დაწევას, კონკრეტული ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე. თუ საპროცენტო განაკვეთი ობლიგაციაზე ეცემა, ეს ნიშნავს, რომ არსებული (წინა გამოშვების) მაღალი საპროცენტო შემოსავლის მომტანი ობლიგაციის ფასი მატულობს, ხოლო თუ პირიქით ხდება, მაშინ ადრე გამოშვებული ობლიგაციების ფასი ეცემა. ამ მხრივ სხვაობა საბაზრო და ნომინალურ ღირებულებას შორის გამოიხატება საპროცენტო განაკვეთის სიდიდეში. ჩვენი ანალიზით დგინდება, რომ, სამწუხაროდ, სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებზე სრული ინფორმაცია არ არის დროულად ხელმისაწვდომი ინვესტორთა ფართო ფენისათვის, რადგან, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, სახელმწიფოთა უმრავლესობა არ ახდენს ამ ინფორმაციის გასაჯაროებას და ეს ინფორმაცია არ აისახება ადეკვატურად ფინანსურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში (გაზეთები, ჟურნალები)³⁶.

სახელმწიფო ვალის სიდიდეზე უფრო მნიშვნელოვანია ის ეფექტი, რასაც სახელმწიფო ვალი ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაზე. ეკონომისტებს შორის არ არის კონსენსუსი ამ ეფექტის შედეგზე. როდესაც სახელმწიფო სესხულობს ფულს, ის გაბრძობა რომ გადაიხდით. ამ გადახდის (გადახდების) უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ზრდის ბეგარას (თუ ამის საჭიროება აქვს), რათა გადაიხადოს ეს ვალი სხვა მრავალ მიმდინარე გადასახდელთან ერთად. ამ მხრივ ეკონომიკური ეფექტი დიდწილად განპირობებულია თუ როგორ აღიქვამს ბეგარის გადამხდელი ამ სამომავლო გადასახადს. ამის აღქმის გაზომვა ერთობ რთულია და ვერც ეკონომისტები და ვერც სხვა პროფესიის მიმდევარი ვერ შექმნის ზუსტ და რეალურ ბეგარის აღქმის ფორმულას.

ამ მოვლენის შესაფასებლად, ჩვენ განვიხილეთ ვირტუალური მაგალითი. ვთქვათ, სახელმწიფო ყოველწლიურად შეიძენს 100 მლრდ ლარის საქონელსა და მომსახურებას. გადახდას კი აწარმოებს ბეგარის აკრეფის გზით, რომელსაც იხდის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შინამეურნეობები. მიღებული თანხით სახელმწიფო იძენს საქონელსა და მომსახურებას. ტოლობა სახეზეა - შემოსავალი უტოლდება ხარჯებს და სახელმწიფო ბიუჯეტი დაბალანსებულია. ახლა

³⁵ Butkiewicz, James L. "The Market Value of Outstanding Government Debt: Comment." Journal of Monetary Economics 11 (May 1983): 373-379.

³⁶ Butkiewicz, James L. "The Market Value of Outstanding Government Debt: Comment." Journal of Monetary Economics 11 (May 1983): 373-379.

წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფომ გადაწყვიტა შეცვალოს არსებული დანახარჯების დაფინანსების მეთოდი, თუმცა უცვლელი დატოვა ხარჯის ჯამური ოდენობა.

ჩვენი გამოკვლევისათვის დაეუშვათ, რომ პირველ წელს სახელმწიფო ამცირებს ბეგარას 10 მლრდ ლარის ოდენობით და შემცირებულ საშემოსავლო ნაწილს ავსებს 10 მლრდ. ლარის სახელმწიფო ობლიგაციების ემისიის განთავსებით, რომლის საპროცენტო განაკვეთი 10 პროცენტის ტოლფასია, ხოლო ვადიანობა 1 წელს უტოლდება.

მომდევნო წელს აღნიშნული ობლიგაცია იფარება და სახელმწიფო ვალდებულია გადაიხადოს 10 მლრდ ლარის ძირითადი თანხა, რასაც ემატება 1 მლრდ ლარის საპროცენტო თანხა. პირველი წლის ბეგარა ჩვეულებრივ დონეზე 10 მლრდ ლარით ნაკლებია, თუმცა მეორე წელს ბეგარა 11 მლრდ ლარით მეტია. ამ მხრივ მთავარი საკითხია რა გავლენას ახდენს ბეგარის ეს დროებითი გადაადგილება მოსახლეობაზე. პირველ წელს მოსახლეობა უფრო მდიდარია, რადგან მას ნაკლები ბეგარის გადახდა უწევს. თუმცა მეორე წელს უწევს 11 მლრდ ლარით გაზრდილი ბეგარის გასტუმრება, რაც მოსახლეობის მიერ შექმნილი და პროცენტით უკან მიღებული თანხის ტოლფასია. ანუ სახელმწიფო იღებს თანხას სესხის სახით, რომლის გასასტუმრებლად ზრდის ბეგარას. ეს მიდგომა სამართლიანია ნებისმიერი ვადიანობის მქონე ობლიგაციის შემთხვევაში, იქნება ის 1 წლიანი, 10 წლიანი თუ უვადო პერპეტუიტი.

ჩვენი ანალიზით გადაწყვეტი ფაქტორია დრო და მოსახლეობის გაცნობიერებულობის დონე ამ საკითხზე (საფრთხეზე) თუ რასთან აქვს საქმე და იმის განსაზღვრა თუ რა ეფექტს იწვევს ობლიგაციური სესხით ეკონომიკის დაფინანსება.

თუ საზოგადოების ყოველი წევრი გააცნობიერებს, რომ სამომავლო ბეგარა გააქარწყლებს მისაღები სესხის ძირითად თანხას და მასზე დარიცხულ პროცენტს, ამ შემთხვევაში ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი გაუტოლდება ბეგარის განაკვეთის სიდიდეს. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ვალს არანაირი ეფექტი და გავლენა აღარ ექნება. ეს ჰიპოთეზა ცნობილია, როგორც რიკარდოს ეკვივალენტი (ტოლობა) (Ricardian equivalence)³⁷, რომლის ავტორია ცნობილი ეკონომისტი დაეით რიკარდო (David Ricardo). რიკარდომ პირველმა განიხილა ეს საკითხი თავის ნაშრომში³⁸.

თუ საზოგადოება არ ითვალისწინებს ყველა მომავალ გადასახადს, რაც გამომდინარებს სახელმწიფო ვალიდან, მაშინ ისინი თავს უფრო მდიდრად გრძნობენ, როდესაც ვალი გამოიცემა და გადარიბებულად გრძნობენ თავს მომავალში, როდესაც, მოულოდნელად, მათ უნდა გადაიხადონ გაზრდილი გადასახადები, რათა დაფინანსდეს სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხა და დარიცხული საპროცენტო გადასახადები³⁹.

ამ მხრივ, ჩვენი ანალიზით, უმთავრესია მოსახლეობის მოლოდინი. სამწუხაროდ, როგორც ჩვენი კვლევა და ამ საკითხზე საერთაშორისო დისკუსია მოწმობს, არ არსებობს სარწმუნო გზა, რომელიც დაადგენს ხალხის მოლოდინს მომავალ გადასახადებზე. ამრიგად, რიგმა საერთაშორისო მკვლევარმა სხვა მეთოდი გამოიყენა სახელმწიფო ვალის ეკონომიკაზე ეფექტის გასარკვევად.

ჩვენი ანალიზის მიხედვით ამ საკითხის კვლევა მიმდინარეობს მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან და ის უკვე რამდენიმე ათწლეულს მოიცავს, თუმცა კონსენსუსი ეკონომისტებს შორის დღემდე არ არის მიღწეული. პრინციპში, შესაძლებელია ვალის ეფექტის გაზომვა ეკონომიკურ აქტივობაზე, თუმცა ამ დამოკიდებულების პრაქტიკაში ასახვა საკმაოდ რთულია. საერთო შეხედულებით, ეკონომისტები ემხრობიან დაეით რიკარდოს ტოლობას. თუ სახელმწიფო ვალი ეკვივალენტურია ბეგარის ოდენობასთან, ამ შემთხვევაში ე.წ. „დეფიციტის პრობლემის“ განხილვა საზოგადოების მხრიდან უმრავლეს შემთხვევაში აზრს მოკლებულია.

სრული ეკვივალენტურობის ცნების ქვეშ იგულისხმება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მხოლოდ ბეგარის ოდენობას ცვლის იმ დროს და იმ ოდენობით, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს შესაძლებლობა, განჭვრიტოს ეს მოვლენა და მოახდინოს პოზიციების კომპენსირება. თუ ადგილი აქვს ამ მოვლენას, არანაირ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლილებებს და შედეგს ადგილი არ ექნება⁴⁰. არასრული ეკვივალენტურობის პირობებში⁴¹ დეფიციტს აქვს ეკონომიკაზე გავლენა, თუმცა ამის შედეგის განჭვრეტა რთულია.

ჩვენი ჰიპოთეზაა, რომ მოსახლეობა არ აღიარებს გადაწყვეტილების მიღებისას ახალი ბეგარის შემოღებას თუ არსებულის ზრდას, მიუხედავად რეალობაში არსებული მიმდინარე დეფიციტისა. ასეთ სიტუაციაში, თუ საწყის ეტაპზე მოხდება ბეგარის თანხის ნაწილობრივ ჩანაცვლება სახელმწიფო სესხით, ეს შექმნის საზოგადოებაში განცდას, რომ მიმდინარე ცხოვრება გაუმჯობესდა და მოსახლეობის შემოსავალმა იმატა. ამ ჰიპოთეზას თან მოსდევს რაციონალური გადაწყვეტილება - საზოგადოების წევრები იწყებენ მეტი თანხის ხარჯვას. თუმცა, საბოლოო შედეგი იქნება ის, რომ სახელმწიფო ბეგარა აკრეფილი იყოს იმ ოდენობის, რომ სახელმწიფომ სრულად გაისტუმროს

³⁷ Seater, John J. "Ricardian Equivalence." *Journal of Economic Literature* 31 (March 1993): 142-190.

³⁸ David Ricardo, "Essay on the Funding System" in *The Works of David Ricardo. With a Notice of the Life and Writings of the Author*, by J.R. McCulloch, London: John Murray, 1888

³⁹ Seater, John J. "Ricardian Equivalence." *Journal of Economic Literature* 31 (March 1993): 142-190

⁴⁰ იქვე.

⁴¹ Barro, Robert J. "The Ricardian Approach to Budget Deficits." *Journal of Economic Perspectives* 3 (Spring 1989): 37-54.

არსებული დავალიანება, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლით. აქ ადგილი ექნება მოულოდნელობის ეფექტს: რადგან ბეგარის ზრდას საზოგადოება არ ელოდა, თითოეულ წევრს მოუწევს ხარჯების შემცირება იმისდა მიუხედავად, თუ როდის ხდება ბეგარის გადახდა.

დასკვნა, რაც შეიძლება გამოვიტანოთ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, არის შემდეგი: დეფიციტი თუ პროფიციტი გავლენას ახდენს გადაწყვეტილებებზე არა მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ამ დისბალანსს, არამედ მომდევნო პერიოდშიც, რაც მოლოდინის ეფექტია. საკმაოდ რთულია ამ მოვლენის ეფექტის ზომისა და ვადის პროგნოზირება.

ამ ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, თუ როდის არის საჭირო და რა გზით ამ მოვლენის გამოყენება ეკონომიკის სხვადასხვა მდგომარეობის გამოსასწორებლად. ჩვენი მოსაზრება შეიძლება სხვაგვარად წარმოვანინოთ - როგორ შეიძლება დეფიციტის მიზანმიმართული გამოყენება ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად. სახელმწიფო დეფიციტის შევსების წყარო კი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ემისიაა.

თუ ადგილი აქვს რიკარდოსეულ სრულ ეკვივალენტურ ტოლობას, ანუ დეფიციტი და ბეგარის ოდენობა ერთმანეთის ტოლია, რაიმე ჰიპოთეზას აზრი არა აქვს, რადგან ეს სიტუაცია თავისივე შინაარსით გამოირიცხავს გრძელვადიანი და გავლენის მომხდენი სახელმწიფო ვალის საჭიროებას.

ჩვენი ნაშრომის კვლევის საგანია რიკარდოსეული არასრული ეკვივალენტურობის⁴² მდგომარეობა, რომელიც პირდაპირ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ პროცესებზე და ადამიანების ცხოვრების დონეზე. ამ დისპროპორციის მთავარი შედეგია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი. ჩვენ მიერ განხილული თეორიული ასპექტი და პრაქტიკული სცენარი გვაძლევს საშუალებას, რომ გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა - დეფიციტი არის საჭირო, როდესაც ეკონომიკაში ადგილი აქვს ეკონომიკურ ვარდნას და ეკონომიკურ კრიზისს. აღნიშნული მოსაზრება ემყარება იმ აზრს, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიით მიღებული რესურსი გადაფარავს ეკონომიკური დაცემის პერიოდში შემცირებულ ბეგარას და, ამასთანავე, შესაძლოა ბეგარის განაკვეთის შემცირება, რაც შეამსუბუქებს მოსახლეობის ფართო ფენის ეკონომიკურ მდგომარეობას.

ჩვენი აზრით, ამ მიდგომას აქვე მეორე დამატებითი პოზიტიური ეფექტი - ეს შექმნის სიტუაციას, როდესაც საზოგადოების ფართო ფენა თავს უფრო მდიდრად იგრძნობს და დაიწყებს მეტ ხარჯვას. ეკონომიკაში ხარჯების ზრდის მიზანი კი ეკონომიკური აქტივობის, ბიზნესის გამოცოცხლება და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლაა. ამ ვითარებას თან სდევს პრობლემები, რასაც ჩვენ „გვერდითი ეფექტი“ შეიძლება ვუწოდოთ. ერთ-ერთი პრობლემა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ზემოთ მოყვანილი, ერთი შეხედვით, დადებითი ეფექტი ეფუძნება მხოლოდ იმ ფაქტს, რომ საზოგადოება და მისი თითოეული წევრი ვერ აღიქვამს სამომავლო ბეგარის ზრდას, რათა დაიფაროს მიმდინარე დეფიციტი (ანუ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია)⁴³.

შესაბამისად, დეფიციტის გავლენა ეკონომიკაში იგრძნობა მაშინ, როდესაც საზოგადოება გრძნობს (და რეალობაში ცდება ამ გრძნობაში), რომ უფრო შეძლებული გახდა.

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ჰიპოთეზას, რომელიც ნაშრომში დეტალურად გვაქვს გაშლილი და მოცემულია შესაბამისი არგუმენტაცია, ემატება ახალი ლოგიკური ჯაჭვი: სახელმწიფო ვალის, დეფიციტის საკითხები, ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა - ეს არის მაკროეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები.

შესაბამისად, ამ საკითხებზე ზეგავლენა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა (დღევანდელი ყოფითი მდგომარეობის გამოსწორება და მომავალში ამის სანაცვლოდ გაზრდილი ბეგარის გადახდა) ხშირად ხდება პოლიტიკური სპეკულაციებისა და პოლიტიკურ მიმდინარეობათა ცვლილების საფუძველი. ამ მხრივ მსოფლიოში ამის თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ს პრეზიდენტის რონალდ რეიგანის მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის დროს აშშ-ს სახელმწიფო ვალი მკვეთრად გაიზარდა, თუმცა 1980 - 1988 წწ. მოსახლეობამ იგრძნო მეტი ფუფუნება და ნაკლები ბეგარა (სახელმწიფო ვალი გრძელვადიანი იყო). ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა 2007 - 2012 წ. როდესაც აშშ-ს სახელმწიფო ვალი ყოველწლიურად საშუალოდ 1 ტრილიონი აშშ დოლარით იზრდებოდა და ამჟამად 21 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია⁴⁴.

სახელმწიფო ვალის ზრდამ და ბეგარის შემცირებამ გამოიყვანა აშშ-ს ეკონომიკა კრიზისიდან, მაგრამ უახლოეს მომავალში აშშ-ს მოსახლეობას მოუწევს ამ პროცესის უარყოფითი მხარის გაცნობა - ეკონომიკური აღმავლობის კვალდაკვალ გაიზრდება გადასახდებები, ბეგარა, რაც მოულოდნელი ეფექტის მქონე მოვლენა (რიკარდოსეული არასრული ეკვივალენტურობა) იქნება, რომელიც შეამცირებს საზოგადოების კეთილდღეობას.

ჩვენი ანალიზით, რომელიც ეფუძნება არაერთი საერთაშორისო მკვლევარის პოზიციას, არასრული ეკვივალენტურობა იწვევს დაუფარავი სესხის სტრუქტურის შემადგენლობისა და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას ერთი და იმავე მიმართულებით. მაგალითად, რეცესიის დროს ეკონომიკაში ადგილი აქვს საპროცენტო განაკვეთის ზრდას. ეს კი ამცირებს ინვესტიციებს და

⁴² Seater, John J. "Ricardian Equivalence." *Journal of Economic Literature* 31 (March 1993): 142-190.

⁴³ Barro, Robert J. "The Ricardian Approach to Budget Deficits." *Journal of Economic Perspectives* 3 (Spring 1989): 37-54.

⁴⁴ <http://www.usdebtclock.org/>

ეკონომიკურ ზრდას. ამის შედეგი კი წარმოების საერთო ღონის შემცირებაა. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ობლიგაციები და სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იყოს ამ მიმართულების საწინააღმდეგო ნაბიჯების ერთობლიობა - მოხდეს საპროცენტო განაკვეთის შემცირება, გაიზარდოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია და სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებით ეკონომიკაში შეიცვალოს ეკონომიკური რეცესიის ტენდენცია ეკონომიკური ზრდის მიმართულებით. ანუ დეფიციტის გამოყენებით ხორციელდება ეკონომიკის სტიმულირება არსებულ კრიზისულ რეალობაში, რათა გაუმჯობესდეს წარმოების მაჩვენებლები და შეწყდეს დაცემა, თუმცა ამის საფასურის გადახდა ხორციელდება აღმავლობის პერიოდში გაზრდილი ბეგარის სახით.

მსჯელობის საგანია, რომელიც საჭიროებს განმარტებას და დასაბუთებას, წარმოადგენს თუ არა ეს ურთიერთკავშირი ღირებულ და თანასწორ გაცვლას ეკონომიკაში.

ჩვენს ნაშრომში განხილულია ყველა აქ მოყვანილი ჰიპოთეზების გაშლა, განხორციელებულია მათი დადასტურება და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Alexander, M. Erin, and John J. Seater. (2012) "The nonlinear federal income tax," working paper, North Carolina State University.
2. Barro, Robert J. (1979) "On the determination of the public debt," *Journal of Political Economy* 87: 940-971.
3. Carter, Susan B., Scott Sigmund Gartner, Michael R. Haines, Alan L. Olmstead, Richard Sutch, and Gavin Wright. (2006) *Historical statistics of the United States : earliest times to the present*, New York: Cambridge University Press.
4. Daileader, Philip. (2007) *The late middle ages*, Chantilly, VA: The Teaching Company.
5. Harberger, Arnold C. (1964) .The measurement of waste.,*American Economic Review* 54: 58.76.
6. Lindert, Peter H. (2004) *Growing Public: Social Spending and Economic Growth Since the Eighteenth Century*, New York: Cambridge University Press.
7. Reinhart, Carmen M. Debt-to-GDP Ratios, <http://www.carmenreinhart.com/data/browse-by-topic/topics/9/>
8. Reinhart, Carmen M., and Kenneth S. Rogoff. (2009) *This Time Is Different: Eight Centuries of Financial Folly*, Princeton, NJ: Princeton University Press.
9. Ricciuti, Roberto. (2003) "Assessing Ricardian equivalence," *Journal of Economic Surveys* 17: 55-78.
10. Seater, John J. (1993) "Ricardian equivalence," *Journal of Economic Literature* 31: 142-190.
11. U.S. Department of Commerce. National Economic Accounts, <http://www.bea.gov/national/>

*David Aslanishvili
Kristine Omadze*

RICARDIAN EQUIVALENT, THE ORIGIN OF STATE DEBT, ITS MEANING AND PRACTICAL PURPOSE

Summary

Our research describes the essence of the state debt and its purpose, but we have pay a special significance on the effect of the state debts to the economy of a particular country. There is no consensus among the economists about the outcome of this effect. When the state borrows money, it promises you to pay. To make this payment (payments), the state increases the bargain (if required) to pay this debt along with many other current payments. The economic effect in this regard is due to the fact that the tax payer perceives the future taxes. The measurement of the perception is difficult and neither the economists nor the other professors are able to form a precise and realized perfection formula.

Our analysis is a decisive factor in the time and level of consciousness of the population on this issue (the threat) and determine what is the effect of financial borrowing on bond loans.

If every member of the society realizes that the future taxpayer will defect the principal amount of the loan and the interest accrued on it, in this case the interest rate of the bond will be equal to the rate of payments. In such circumstances the state debt will have no effect and influence. This hypothesis is known as the Ricardian equivalent (Ricardian equivalent of the famous economist David Ricardo). Ricardo first considered this issue in his work.

The overall equivalence and its impact on the state budget deficit is seen when each member of the society has the opportunity to correct this phenomenon and to compensate the positions when it changes in the amount of payments. If there is a phenomenon, there will be no significant economic changes and the outcome will not take place.

Under incomplete equivalence, the deficit has an impact on the economy, but it is difficult to foresee the outcome.

We have a hypothesis that the population does not recognize the introduction of new taxes or the increase of existing ones, despite the current deficit in reality. In this situation, if the initial stage of the payout is partially replaced by the state loan, it will create a sense of the current life and improvement of the population's income. This hypothesis is accompanied by a rational decision - community members begin to spend more money. However, the final result will be that the state taxpayer must be tied to the amount that the state will fully lend to the existing debt, with interest accrued on it. There will be an unexpected effect here: since the society does not expect the increase of the bargain, each member will have to cut costs even when the payoff is paid.

The conclusion that we can take out of these factors is the following: Deficit or Profit affects decisions not only in the period when this imbalance occurs, but in the next period, which is the effect of expectation. It's hard to predict the size and timing of the event.

This analysis leads to the conclusion when it is necessary and how to use this phenomenon to rectify the economic situation. Our opinions may be otherwise different - how can we use the deficit in order to improve the economic situation. The source of state deficit is the emission of state securities.

The theoretical aspect and practical scenario discussed by us gives us the following conclusion: A deficit is needed when the economy is in place with an economic downturn and economic crisis. This view is based on the fact that the resource received by the government securities emissions will cover the reduced budget and, at the same time, the reduction of the rate of pay is possible which will ease the economic condition of the wider population.

დავით ბიძინაშვილი

**სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის გაძლიერების ბზები და
პერსპექტივები საქართველოში**

ანოტაცია. გარე აუდიტისაგან განსხვავებით, შიდა აუდიტორული საქმიანობა შედარებით ახალი პროფესიაა საქართველოსთვის, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოსათვის. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ეს პროფესია მუდმივად იცვლება და იხვეწება.

აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტისათვის დამახასიათებელი თვისება უნიკალურია ყველა დაწესებულებაში და დამოკიდებულია დაწესებულებაში შექმნილ გარემოზე, ამიტომ შიდა აუდიტის განხორციელებისათვის საჭიროა დაწესებულების კულტურის, პოლიტიკისა და „ბიზნესპროცესების“ სიღრმისეულად შესწავლა და გაცნობიერება.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი; ფინანსური ანგარიშგება; აუდიტორული დასკვნა; სახელმწიფო ფინანსები; აუდიტის დაგეგმვა.

შესავალი

სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ფინანსურ კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს ადგილი უპირველესად კონტროლის ობიექტით, ანუ სახელმწიფო ფინანსებით განისაზღვრება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და გამოყენების სფეროებს, ასევე, იმ სახელმწიფო ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გამოყენებასთან დაკავშირებულ მმართველობით საქმიანობას უკავშირდება და, როგორც წესი, მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროების სუბიექტების საწარმოო და ფინანსურ საქმიანობას [1, გვ. 10].

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის გაძლიერება სახელმწიფო სექტორის ფინანსების მართვის რეფორმის მთავარი კომპონენტია, რომელიც მთავრობას ეხმარება, ჩამოაყალიბოს თანამედროვე კონტროლის გარემო საჯარო ადმინისტრაციაში, უზრუნველყოს გონივრული რწმუნებით, რომ ყველა ოპერაცია შეესაბამება კარგი მენეჯმენტის, პროდუქტიულობის, გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და ეკონომიურობის პრინციპებს, ასევე მარეგულირებელ კანონმდებლობას, ხოლო შიდა აუდიტი ხელმძღვანელების ხელში არის ინსტრუმენტი – იარაღი, რითაც მიიღწევა ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლები.

* * *

გარე აუდიტისაგან განსხვავებით, შიდა აუდიტორული საქმიანობა შედარებით ახალი პროფესიაა საქართველოსთვის, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოსათვის. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ეს პროფესია მუდმივად იცვლება და იხვეწება.

აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტისათვის დამახასიათებელი თვისება უნიკალურია ყველა დაწესებულებაში და დამოკიდებულია დაწესებულებაში შექმნილ გარემოზე, ამიტომ შიდა აუდიტის განხორციელებისათვის საჭიროა დაწესებულების კულტურის, პოლიტიკისა და „ბიზნესპროცესების“ სიღრმისეულად შესწავლა და გაცნობიერება. თანამედროვე შიდა აუდიტორები სწავლობენ სისტემებს, აკვირდებიან ეფექტიანობას – აუდიტის ობიექტის მიერ საქმიანობის განხორციელებისას გამოყენებული რესურსებიდან მაქსიმალური შედეგების მიღწევას, ეკონომიურობას, ეფექტურობას – აუდიტის ობიექტის მიერ დასახული ამოცანების მიღწევის ხარისხს განხორციელებული საქმიანობის ფაქტობრივი და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით და, საჭიროების შემთხვევაში, იძლევიან რეკომენდაციებს. შიდა აუდიტორები შეისწავლიან აგრეთვე ფინანსურ, საოპერაციო, სტრატეგიულ და მათ შესაბამისობასთან დაკავშირებულ რისკებს, რათა უზრუნველყონ დაწესებულების კონტროლის სისტემის მდგრადობა. ისინი ახორციელებენ შეფასებას და განსაზღვრავენ, თუ რისი გაუმჯობესება შეიძლება. შიდა აუდიტორების ძირითადი ფუნქციაა ხელმძღვანელობისათვის დახმარების გაწევა დაწესებულების მიზნების მიღწევაში.

შიდა აუდიტის მიზანი, ესაა საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა გონივრული რწმუნებით იმასთან დაკავშირებით, რომ საბიუჯეტო სახსრები და რესურსები გამ-

ოყენებული იქნება ეკონომიურად და ეფექტურად, ფინანსური ანგარიშგება იქნება სრულყოფილი, სანდო და ამომწურავი, განხორციელებული ოპერაციები შესაბამისობაში მარეგულირებელ კანონმდებლობასა და წესებთან, აქტივები, ინფორმაცია და სხვა რესურსები დაცული იქნება დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისა და დაზიანებისაგან, ასევე, შეისწავლოს, გააანალიზოს და შეაფასოს კონტროლის სისტემის ნაკლოვანებები და სისუსტეები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ადამიანისეული შეცდომების მოხდენის ალბათობა.

შიდა აუდიტორთა საერთაშორისო ინსტიტუტის (IIA) განმარტების შესაბამისად, „შიდა აუდიტი არის დამოუკიდებელი, ობიექტური მტკიცებულებითი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც ქმნის დამატებით ღირებულებას და აუმჯობესებს დაწესებულების ფუნქციონირებას. იგი დაწესებულებას ეხმარება მიზნების მიღწევაში, რისკის მენეჯმენტის, კონტროლისა და მართვის ავტონომიური პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაში სისტემური, ორგანიზებული მიდგომის გამოყენებით“.

შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის ძირითადი მიზნებია საკითხების სისტემური, კომპლექსური შესწავლისა და რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების შეფასების გზით დაწესებულების საქმიანობის სრულყოფა, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა, დაწესებულების ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრა და პრევენცია.

შიდა აუდიტი უნდა განხორციელდეს აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) დამოუკიდებლობა;
- ბ) ობიექტურობა;
- გ) პროფესიონალიზმი;
- დ) საჯაროობა;
- ე) გამჭვირვალობა;
- ვ) კანონიერება [2, გვ.6].

შიდა აუდიტის სუბიექტის უფლებამოსილება ვრცელდება დაწესებულებაზე ან/და დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფზე (ერთეულზე), ან/და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ერთეულზე.

შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის მიზნებია:

- ა) დაწესებულების წინაშე არსებული რისკების დადგენა და შეფასება;
- ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;
- გ) დაწესებულების სისტემის ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;
- დ) დაწესებულების ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ეკონომიურობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
- ე) დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან/და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის საქმიანობაში მოსალოდნელი დარღვევების ან/და სამსახურებრივი გადაცდომების პრევენცია, ან/და მათი რისკ-ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი;
- ვ) დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის), ან/და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის თანამშრომელთა მიერ სამართალდარღვევათა და სამსახურებრივ გადაცდომათა ჩადენის ფაქტების გამოძვევი და ხელშემწყობი მიზეზების დადგენა;
- ზ) წინასწარი კონტროლის ღონისძიებების განხორციელება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ამ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;
- თ) დაწესებულების სისტემის ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი;
- ი) დაწესებულების სისტემის ორგანოებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, დაწესებულების მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სამსახურებრივ გადაცდომათა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა, ამ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;
- კ) დაწესებულების მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ჩადენის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და დაწესებულების ხელმძღვანელისთვის წარდგენა;
- ლ) დაწესებულების მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, დაწესებულების სისტემის ორ-

განოების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით დაწესებულების ხელმძღვანელისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

მ) დაწესებულების მოსამსახურეების ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, მათ მიერ სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

ნ) დაწესებულების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, კანონიერების დაცვის სფეროში საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება;

ო) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ამ კანონის მიზნებს და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს [2, გვ. 8].

შიდა აუდიტის სუბიექტი უფლებამოსილია, დაწესებულების ხელმძღვანელთან და ცენტრის უფროსთან შეთანხმებით, ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოაქვეყნოს შიდა აუდიტორული დასკვნა, ანგარიში ან/და მოხსენება.

დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ადეკვატური და ეფექტიანი ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, აგრეთვე რისკის მართვის სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირებისათვის.

თავის კომპეტენციის ფარგლებში შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შესწავლისა და ანალიზის ობიექტი შესაძლებელია იყოს დაწესებულების სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო.

შიდა აუდიტის ობიექტის თანამშრომლები ვალდებული არიან ითანამშრომლონ შიდა აუდიტორებთან მათი საქმიანობის განხორციელების დროს და უზრუნველყონ მათი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციისა და დოკუმენტის ხელმისაწვდომობა ან/და ქმედების განხორციელება.

სახელმწიფო ფინანსების კონტროლის სფეროში შიდა აუდიტის სუბიექტები თანამშრომლობენ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და ამ მიზნით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ აუდიტის ობიექტებთან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ურთიერთობის კოორდინაციას და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნით შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.

შიდა აუდიტი უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონის მოთხოვნებისა და შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის მიერ ამ კანონის შესაბამისად გაცემული შიდა აუდიტორული დავალების საფუძველზე.

შიდა აუდიტორული დავალების მიზანსა და მოქმედების სფეროს დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი.

შიდა აუდიტი უნდა შედგებოდეს შემდეგი ეტაპებისაგან:

ა) აუდიტის დაგეგმვა;

ბ) აუდიტის განხორციელება;

გ) ანგარიშგება;

დ) შემდგომი ღონისძიებები, შეთავაზებული რეკომენდაციების შესრულებისა და მონიტორინგის მიზნით.

შიდა აუდიტორული დავალების საფუძველზე განსახორციელებელი შიდა აუდიტი შესაძლებელია იყოს შემდეგი სახის:

ა) თემატური აუდიტი;

ბ) შესაბამისობის აუდიტი;

გ) ოპერაციული აუდიტი;

დ) ეფექტიანობის აუდიტი;

ე) ფინანსური აუდიტი;

ვ) კამერალური აუდიტი.

დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს შიდა აუდიტორების დამოუკიდებლობა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელების, ანგარიშგების პროცესში და არ უნდა დააკისროს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს ან/და შიდა აუდიტორებს სხვა ფუნქციების შესრულება და საქმიანობის განხორციელება, გარდა იმ საქმიანობისა, რომელიც დაკავშირებულია შიდა აუდიტთან, რისკის მართვასა და ინსპექტირებასთან.

შიდა აუდიტის განხორციელების შედეგად, შიდა აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად, უნდა შედგეს შიდა აუდიტორული დასკვნა.

შიდა აუდიტორული დასკვნა უნდა მოიცავდეს შიდა აუდიტორის მიერ ცალკეული პროცესის, სისტემის ან შიდა აუდიტისადმი დაქვემდებარებული სხვა საკითხების შესახებ მიღებული ინფორმაციის, დოკუმენტაციის და სხვა მტკიცებულებების ობიექტურ შეფასებას.

შიდა აუდიტის სუბიექტი უნდა იყოს დამოუკიდებელი, ხოლო შიდა აუდიტორები - ობიექტური შიდა აუდიტის განხორციელებისას.

შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით შიდა აუდიტის სუბიექტი ორგანიზაციულად უშუალოდ დაწესებულების ხელმძღვანელის (მინისტრის, სახელმწიფო რწმუნებულის, მერის და სხვ.) დაქვემდებარებაში უნდა იყოს. შიდა აუდიტორს დაწესებულების ხელმძღვანელთან ღია პროფესიული ურთიერთობის საშუალება უნდა ჰქონდეს, თუმცა შიდა აუდიტის სუბიექტს უნდა ჰქონდეს ნებისმიერი სფეროს თავისუფლად შერჩევისა (თუნდაც შიდა აუდიტის სუბიექტის ხელმძღვანელს განსხვავებული მოსაზრება გააჩნდეს) და შემოწმების საშუალება, რომლის დროსაც მიიჩნევა, რომ არსებითი შეცდომების რისკი არსებობს [3, გვ.28].

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შიდა აუდიტის სუბიექტის მოქმედების სფეროს შერჩევის, საქმიანობის განხორციელებისა და შედეგების ანგარიშგების ფორმის განსაზღვრისას უნდა იყოს დამოუკიდებელი.

აუდიტის მტკიცებულება არის მოპოვებული, გაანალიზებული და შეფასებული ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება აუდიტორული დასკვნა. მტკიცებულება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კონცეპტუალურ მოთხოვნებს და უნდა იყოს:

ა) საკმარისი - წარმოადგენს მტკიცებულების ოდენობის (მოცულობა) საზომს; მოპოვებული და შეფასებული უნდა იქნეს საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ გონივრულად ინფორმირებული, მიუკერძოებელი პირი დაეთანხმოს შიდა აუდიტორის დასკვნებს;

ბ) საიმედო - წარმოადგენს მტკიცებულების წყაროს და მტკიცებულების მოძიების მეთოდის საიმედოობისა და შესაფერისობის საზომს; საზოგადოდ, მესამე, დამოუკიდებელი მხარისაგან მიღებული ინფორმაცია უფრო საიმედოა, ვიდრე აუდიტის ობიექტისაგან მიღებული; მტკიცებულება საიმედოა, როდესაც იგი მოპოვებულია უშუალოდ ფიზიკური შემოწმების, დაკვირვებისა და ინსპექტირების გზით, და როდესაც მიღებულია დოკუმენტური სახით და არა ზეპირსიტყვიერად. მტკიცებულების საიმედოობის ხარისხი იზრდება, როდესაც იგი რამდენიმე წყაროდანაა მიღებული;

გ) შესაფერისი - წარმოადგენს მტკიცებულების შესაფერისობის საზომს; მტკიცებულება ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს იმასთან, რის დასამტკიცებლადაც ხდება მისი მოძიება. აუდიტის მტკიცებულება შეიძლება იყოს ფიზიკური, აღიარებითი, დოკუმენტური და ანალიტიკური.

როგორც წესი, აუდიტის მტკიცებულების მოპოვებისათვის სხვადასხვა ხერხს და მეთოდს იყენებენ. მტკიცებულების მოძიების მეთოდების შერჩევა ხდება მეთოდების მახასიათებლებისა და აუდიტის კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით. აუდიტის მტკიცებულებების მოძიების მეთოდები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან (მაგ., შეიძლება იყოს უფრო საიმედო მეთოდი, მაგრამ მეტ დანახარჯებს მოითხოვდეს; შეიძლება უფრო მეტ ტექნიკურ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდეს და სხვ.) [4, გვ.9].

აუდიტის მტკიცებულების მოპოვების გავრცელებული მეთოდებია:

ა) გასაუბრება - ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება მტკიცებულების მოსაპოვებლად. გასაუბრების ჩასატარებლად საჭიროა ადეკვატური მომზადება და სათანადო უნარ-ჩვევები. გასაუბრების მეშვეობით შეიძლება გამოიკვეთოს პრობლემა, მოპოვებულ იქნეს მტკიცებულება აუდიტის დასკვნის გასამყარებლად და შეჯერდეს აუდიტორისა და აუდიტის ობიექტის პოზიციები აუდიტის დაკვირვებით აღმოჩენილი ხარვეზებისა და რეკომენდაციების თაობაზე;

ბ) აუდიტის ტესტი - ტესტირება ნიშნავს შერჩეული ქმედებების/ღონისძიებების ან ოპერაციების შემოწმებას მათი ხარისხობრივი მახასიათებლების გამოსავლენად. აუდიტის ტესტები ორი სახისაა: შესაბამისობის ტესტირება და დეტალური შემოწმება.

შესაბამისობის ტესტის მიზანია კონტროლის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შემოწმება.

ძირითადი პროცედურები გულისხმობს შერჩეული ოპერაციების/ჩანაწერების დეტალურ შემოწმებას.

ხშირად ტესტი ორივე მიზანს ემსახურება. მაგალითად, გაანგარიშების შემოწმებამ შეიძლება გვიჩვენოს, გამართულად მუშაობს თუ არა (შესაბამისობის ტესტი) შიდა კონტროლის მექანიზმი, აგრეთვე, თუ რამდენად ზუსტად არის სისტემაში ასახული თანხა (ეს ტესტი ამავედროულად დეტალური შემოწმების მიზანსაც ემსახურება).

ტესტის ტიპის შერჩევის შემდეგ განისაზღვრება, თუ რომელი ოპერაციების/ჩანაწერების ტესტირება განხორციელდება. შესაძლებელია ტესტირების კონკრეტული ობიექტი შეირჩეს განსჯის საფუძველზე (მაგ., მათი მოცულობის, რისკის ან სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით). ასეთ შემთხვევაში გაკეთებული დასკვნა გავრცელდება მხოლოდ ტესტირების მოცემულ ობიექტებზე.

შესაძლებელია ტესტირების ობიექტი ისე შეირჩეს, რომ შერჩეული ერთობლიობა წარმომადგენლობითი იყოს გარკვეული ოპერაციების/ჩანაწერების ჯგუფისათვის/პოპულაციისათვის. ასეთ შემთხვევაში გაკეთებული დასკვნა გავრცელდება არა მხოლოდ ტესტირების ობიექტებზე, არამედ მთელ პოპულაციაზე (ჯგუფზე).

გ) შერჩევა - პროცესი, რომლის მეშვეობით ხდება პოპულაციის ნაწილის შერჩევა მთლიანი პოპულაციის მახასიათებლებისა და პარამეტრების განსაზღვრისათვის. ეს მეთოდი მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს და უფრო ეფექტურს ხდის შიდა აუდიტის სუბიექტის ფუნქციონირებას, რის გამოც იგი ძალიან ფართოდ გამოიყენება.

დ) გამოკითხვა – დიდი პოპულაციიდან ინფორმაციის მოპოვების სტრუქტურული მიდგომა. მონიტორინგის გამოყენების მაგალითია მომსახურების მიმღებთა აზრის გაგება მიღებული მომსახურების ხარისხისა და დროულობის შესახებ. მისი ძირითადი ელემენტია ტესტირებული, სტრუქტურული კითხვარი. გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს პირადი შეხვედრების, ტელეფონის, ინტერნეტის ან ფოსტის მეშვეობით;

ე) შემოწმება – ჩანაწერების, დოკუმენტების ან მატერიალური რესურსების არსებობის დადასტურება. მატერიალური აქტივების შემოწმება იძლევა საიმედო ინფორმაციას აღნიშნული აქტივების არსებობისა და მათი მდგომარეობის შესახებ. ჩანაწერების შემოწმებამ შეიძლება დაადასტუროს ან არ დაადასტუროს სააღრიცხვო ჩანაწერების პირველადი დოკუმენტების არსებობა;

ვ) დიაგრამა – პროცესის ან სისტემის გრაფიკული აღწერა, რომელიც იძლევა რთული ოპერაციების/სისტემების ანალიზის, კონტროლის მექანიზმების არსებობის დადგენისა და პროცესში ხედმეტი/უსარგებლო ქმედებების აღმოჩენის საშუალებას;

ზ) მოდელირება – მეთოდი, რომელიც მათემატიკური და სტატისტიკური მოდელებით რეალური პროცესების სიმულაციით აადვილებს გადაწყვეტილებათა მიღებას. მოდელები შეიძლება იყოს აღწერილობითი ან შეცნობითი. აღწერილობითი მოდელით ხდება ცვლადების კლასიფიკაცია და მათ შორის ურთიერთკავშირის ახსნა. შეცნობითი მოდელის მეშვეობით კეთდება პროგნოზი – როგორ შეიცვლება ცვლადებს შორის ურთიერთკავშირი, თუ ერთი ან რამდენიმე მათგანი შეიცვლება.

თ) დაკვირვება – შემოწმების მსგავსი. დაკვირვება გულისხმობს პროცესის ან პროცედურის პირადად შემოწმებას. არის შემთხვევები, როდესაც ოპერაციებისა და შიდა კონტროლის მექანიზმების ფუნქციონირების შეფასება შესაძლებელია მხოლოდ მათ მუშაობაზე უშუალოდ დაკვირვების შედეგად;

ი) დადასტურება – წერილობითი მოთხოვნა აუდიტის ობიექტის ან მესამე მხარისადმი, რომ აგრეთვე წერილობით დაადასტუროს ესა თუ ის ინფორმაცია;

კ) ანალიზი – მოპოვებული ინფორმაციის კვლევა და მისი გამოყენება დასკვნების გასაკეთებლად, აუდიტის ობიექტის საქმიანობის შედეგების ინდიკატორებთან, წარსულში მიღწეულ შედეგებს ან სხვა დაწესებულებაში მსგავსი ოპერაციების შედეგებთან შესადარებლად ან დაწესებულების პოლიტიკასა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დასადგენად.

დასკვნა

აუდიტის არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. უნდა შემუშავდეს აუდიტის სრულყოფის მარეგულირებელი მექანიზმი, ტექნიკური და ეთიკური სტანდარტები, პრაქტიკული და თეორიული რეკომენდაციები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა და განხორციელება უზრუნველყოფს აუდიტის აუცილებელ ხარისხს.

2. უნდა შემუშავდეს შემოწმების ისეთი პროგრამა როგორც შიდა საფირმო, ისე ამ ფუნქციების განმახორციელებელი უფლებამოსილი უწყებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს აუდიტის ხარისხის გასაუმჯობესებლად დასახული ღონისძიებების პოლიტიკისა და პროცედურების ობიექტურ შემოწმებას, ნაკლოვანებების გამოვლენას და ხელს შეუწყობს მათ გამოსწორებას.

გამართული და ძლიერი შიდა აუდიტის ინსტიტუტების დანერგვისათვის საჭიროა არსებობდეს ხელშემწყობი გარემო, დაწესებულების ხელმძღვანელების, შიდა აუდიტორებისა და ასევე „ჭარმონიზაციის ცენტრისა“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური მითითებები. კორდინირებული მუშაობით, ინიციატივით და შესაბამისი მხარეების დახმარებით შესაძლებელი გახდება დასმული პრობლემების დროული და უმტკივნეულო მოგვარება.

საჭიროა დრო, რომ მოხდეს შიდა აუდიტის სამსახურების უმნიშვნელოვანესი და დადებითი როლის გაცნობიერება, რომ კარგად ფუნქციონირებადი შიდა აუდიტის ერთეული არის ორგანიზაციის შიგნით დამოუკიდებელი, ობიექტური, მიუკერძოებელი სტრუქტურა, რომელიც სისტემის რეგულარული გადასინჯვისა და რისკების შეფასების გზით დაეხმარება დაწესებულებას დასახული მიზნების მიღწევაში.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი ადასტურებს, რომ აუდიტორული სამსახური მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ პრესტიჟულ და მეტად საჭირო საქმიანობად ითვლება, რადგან ის საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღებისა და წინსვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი – „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“; 08.06.2016წ; 5386-III;

2. საქართველოს კანონი – „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“; 26.03.2010წ; 179-რს;

3. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის დადგენილება – „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;

4. სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სტრატეგიული ხედვა, საქართველოს მთავრობა, თბილისი, 2009;
5. <http://sao.ge/>
6. <https://saras.gov.ge/>
7. <http://www.mof.ge/>

Davit Bidzinashvili

STRENGTHENING STATE INTERNAL FINANCIAL CONTROL AND PERSPECTIVES IN GEORGIA

Summary

The financial control of the public control is a special place. This place is primarily determined by the control unit of the state finances, which includes the state budget and the fields of application, as well as the elements of the unity of the country's national wealth management-related activities and usually includes natural resources, production, distribution, consumption areas and subjects of industrial and financial activities.

PIFC strengthen is a key component of public sector management reform that helps the government to establish a modern public administration in control of the environment, to provide reasonable assurance that all operations comply with good management, productivity, transparency, efficiency and principles of economy and regulations, and Internal Audit is a tool in the hands of authorities- a weapon which can be achieved by the above figures.

Unlike external audit, internal audit activity is a relatively new profession for Georgia, as well as for the whole world. Therefore, it is not surprising that this profession is constantly changing and improving. It should be noted that the characteristic feature of the internal audit is unique in every institution and depends on the environment created in the institution, so in order to conduct internal audit it is necessary to study and understand the institution's culture, policy and "business processes". Modern internal auditors are looking into systems, monitor the effectiveness – to achieve the greatest results from the resources used efficiency, effectiveness – when implementing the auditee's activities quality of achievement of the objectives of auditee considering the actual activities and the expected results make recommendations if needed. Internal auditors will also study the risks associated with financial, operational, strategic and their compliance to ensure the instrument control system sustainability. They evaluate and define what can be improved. The main function of internal auditors is to assist in management to achieve the objectives of the institution. The purpose of the internal audit, is to provide public institution management software with reasonable assurance regarding the budget and the resources will be used effectively and economically, the financial statements will be complete, reliable and comprehensive, the operations in compliance with regulations and rules, assets, information and other resources will be protected from loss, improper use and harm, and, also, to study, to analyze and evaluate the control system faults and failings in order to minimize human error probability. In accordance with the International Institute of Internal Auditors (IIA), "Internal Audit is an independent, objective and advisory activity that creates additional value and improves the functioning of the institution. It helps the institution in achieving goals, using systemic, organized approach to assess and improve the autonomous processes of risk management, control and management ». The main objectives of the internal audit subject are through assessment of systemic, complex study and risk management, control and management processes, improvement of the institution's activities improving financial management, expenditure and use of funds, other material values and enhancement of legality, purpose protection and effectiveness promotion, elimination and prevention of the functionality of the institution's functioning and management procedures, legal, technical and functional deficiencies.

The internal audit should be carried out in accordance with the audit standards, the Code of Ethics of Internal Auditors and the following principles: A) independence; B) objectivity; C) professionalism; D) publicity; E) transparency; F) legality. The authority of the internal audit subject shall apply to the institution and / or on the structural subdivision of the institution (unit) and / or the unit subject to the institution.

The internal audit entity is entitled to publish an internal audit report, report and / or report in the official printing press in agreement with the Head of the Institution and the Head of the Center. The head of the institution is responsible for the adequate and effective financial management and control system, as well as the implementation and operation of a risk management system. Within the scope of its competence, the subject of study and analysis by the internal audit entity can be all processes and activities of the institution system. The Internal Audit Officers are obliged to cooperate with the internal auditors during their activities and ensure availability and / or action of all information and documents related to the issue assigned to their competence. State Financial Control in the field of internal audit units cooperate with the Chamber of Control and in order to ensure their competence, "the Chamber of Control" of the law of the audited CCG coordinate relations with the Chamber and request appropriate information provided. Internal audit shall be carried out by the requirements of the law "On Internal Audit and Inspection" and the Head of Internal Audit Subjects based on the Internal Audit Order issued under this Law.

There should be a facilitating environment, institution management, internal auditors and "harmonization center" and methodological guidelines developed by "Accounting and Reporting and Audit Surveillance Service". With the coordinated work, initiative and with the help of the relevant parties, it will be possible to solve timely and painless problems. The time is required to realize the most important and positive role of internal audit services is that the well-functioning internal audit unit is an independent, objective, impartial structure within the organization that will help the

institution to achieve the goals set by regular review and risk evaluation. The above statement confirms that the audit service is considered one of the most prestigious and most important activities in the world, as it is one of the most important factors in improving the economic life of the country in terms of market economy.

თენგიზ ვერულავა

აგროდაზღვევის განვითარების პრობლემები საქართველოში

ანოტაცია. აგროდაზღვევის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს დაზღვევისადმი უნდობლობა. ამ მხრივ მიზანშეწონილია სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესახებ დამზღვევთა (ფერმერთა) ინფორმირებულობის ამაღლება. იგი ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას, რაც დადებითად იმოქმედებს დამზღვევის მიერ მისთვის სასურველი სადაზღვევო კომპანიის თავისუფალი არჩევის უფლებაზე. საჭიროა, სადაზღვევო კომპანიებსა და დამზღვევებს შორის არსებული სადავო საკითხების, საჩივრების შემთხვევაში, დამოუკიდებელი ორგანოს, მედიაციის სამსახურის ამოქმედება, რომელიც შეძლებს დაიცვას დამზღვევთა უფლებები.

საკვანძო სიტყვები: აგროდაზღვევა, დაზღვევა, სოფლის მეურნეობა, ფერმერი

შესავალი

სოფლის მეურნეობის ძირითადი საფრთხეებისა და რისკების ჩამონათვალი ძალიან დიდია. საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის შემდეგი რისკებია მნიშვნელოვანი: წარმოების რისკები (არახელსაყრელი კლიმატური პირობები: გვალვა, ჭარბი ნალექი, წყალდიდობა, ქარიშხალი, ყინვა, სეტყვა, მწველი მზე, თოვლი; პარაზიტები ან დაავადებები; ხანძარი); ბუნებრივი რესურსების რისკები (ნიადაგის არახელსაყრელი პირობები: სიმშრალე, ზედა ქანების ეროზია და არანოციერი ნიადაგი, წყლის ხარისხის გაუარესება - წყლის დაბინძურება, სარწყავი წყლის ნაკლებობა); ფინანსური რისკები; მარკეტინგის და ფასის რისკები.

აგრორისკები ძირითადად იყოფა სოფლის მეურნეობის ორი მსხვილი მიმართულების მიხედვით: ა) მემცენარეობა და მასთან დაკავშირებული რისკები; ბ) მეცხოველეობა და მასთან დაკავშირებული რისკები. აღნიშნული რისკების შესამცირებლად გამოიყენება დაზღვევის უადრესად სპეციალიზებული და კომპლექსური სახე - აგროდაზღვევა.

აგროდაზღვევა მოიცავს მოსავლის, პირუტყვის, აკაკულტურისა და სათბურების დაზღვევას. აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას ფერმერები და მოახდინოს მათი შემოსავლების სტაბილიზაცია, აქტივობების უწყვეტობა მათი ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით იმ შემთხვევაში, თუ ფერმერის მიერ დაზღვეული მოვლენა გახდა მოსავლის დანაკლისის ან მოუსავლიანობის მიზეზი. აგროდაზღვევა ვრცელდება კულტურების ოთხ ძირითად ჯგუფზე: ერთწლიანი მინდვრის მოსავალი, მრავალწლიანი მოსავალი (ხეხილის ჩათვლით), სათბურის მოსავალი, ტყეები.

მემცენარეობაში სადაზღვევო კომპანიები ანაზღაურებენ ძირითადი რისკებით (შტორმი, სეტყვა, ნაადრევი ყინვა, მეწყერი) გამოწვეულ ზარალს, ხოლო სახელმწიფო ანაზღაურებს ზარალს, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი კატასტროფების შედეგად (ძლიერი გვალვა, წყალდიდობა, ძლიერი ყინვა) [შატბერაშვილი ე., 2011].

აგროდაზღვევის პროდუქტებია: ა) წარმოების ხარჯების დაზღვევა, რომელიც აზღვევს ფინანსური რესურსების ოდენობას, რაც გამოყენებულ იქნა მოსავლის მთელი ციკლისათვის (თესვა, მოვლა, მოსავლის აღება); ბ) მოსავლის დაზღვევა, რომელიც აზღვევს სავარაუდოდ მისაღები მოსავლის ოდენობას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება, განსაკუთრებით კი მემცენარეობა, სეზონურია. მემცენარეობაში პროდუქციას იღებენ წელიწადის განსაზღვრულ პერიოდში და არა უწყვეტად მთელი წლის მანძილზე. ასევე, რძის წარმოებაში პროდუქტიულობა სეზონზეა დამოკიდებული. ამასთან, მრავალწლიანი კულტურები გაშენებიდან რამდენიმე წელი არ იძლევა მოსავალს. სოფლის მეურნეობის ეს თავისებურება გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაში.

გამოყოფენ ერთი რისკის და კომბინირებულ აგროდაზღვევას. ერთი რისკის დაზღვევა გულისხმობს ა) ერთი საფრთხის ან რისკის დაზღვევას (მაგ. სეტყვა), ბ) ორი საფრთხის ან რისკის დაზღვევას, რომელთაგანაც ერთ-ერთს არასისტემური ხასიათი აქვს (მაგ. ერთი მხრივ სეტყვა, და, მეორე მხრივ, ხანძარი, ყინვა ან ქარი, როგორც დამატებითი რისკი).

კომბინირებული, ანუ მრავალრისკიანი დაზღვევა, რამდენიმე რისკის ერთდროულ დაზღვევას გულისხმობს. ამ ტიპის დაზღვევა ფარავს, მაგალითად, ყინვისა და სხვა მეტეოროლოგიური მოვლენებისაგან მიყენებულ ზარალს. ეს სქემა გულისხმობს გარანტირებული მოსავლის (მოსავლოდნელი მოსავლის 50-70%) ღირებულების ანაზღაურებას.

ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარება დადებითად აისახება სოფლის მეურნეობაზე. იგი მნიშვნელოვნად ამცირებს სოფლის მეურნეობაში არსებულ რისკებს. აგროდაზღვევა სოფლის მოსახლეობას ეხმარება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის შემცირებაში, რაც სტაბილურს

გახდის მათ შემოსავლებს. აგროდაზღვევა ასევე ზრდის სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ საფინანსო ინსტიტუტების ინტერესს. კერძოდ, ფერმერისათვის ხელმისაწვდომი ხდება ფინანსური რესურსი, რაც ხელს უწყობს დარგის სტაბილურ განვითარებას.

სოფლის მეურნეობაში დაზღვევის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ფერმერმა, რომლისთვისაც მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შემოსავლის ერთადერთი წყაროა, სხვადასხვა სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის გამო შესაძლოა მთელი წლის სარჩო-საბადებელი დაკარგოს. მხოლოდ 2014 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სტიქიის (სეტყვა, გვალვა, ქარიშხალი, წვიმა და ა.შ.) შედეგად მიყენებული ზარალი ციფრებში შემდეგნაირად გამოისახება: დაზარალებული ადამიანების სავარაუდო რაოდენობა -108 360, დაზიანებული ფართობები - 107 043 ჰა, მიყენებული ზარალი - 136 236 343 ლარი. აქედან, მარცვლოვნების დაზიანებული ფართობი შეადგენს - 63 695 ჰა-ს, მხესუმშირა - 9 516 ჰა, ლობიო - 384 ჰა, კარტოფილი - 3 194 ჰა, ბალჩეული კულტურები 1 708 ჰა, ვენახი - 10 957 ჰა, ხეხილი - 1 595 ჰა, თხილი - 15 898 ჰა, კაკლოვნები -79 ჰა, ფრინველი - 2 661 ფრთა და 95 ფუტკრის ოჯახი.

სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარებაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ ამ დარგისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რომელიც თვითონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნებიდან გამომდინარეობს. სოფლის მეურნეობაში წარმოების ეკონომიკური პროცესი წარმოების ბუნებრივ პროცესებთან არის გადაჯაჭვული. სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წარმოების ბუნებრივ გარემო-პირობებზე (ნიადაგები, ჰიდრორესურსები, კლიმატური პირობები, ეკოსისტემები), ბუნებრივი კატაკლიზმების ინტენსიურობასა და ხარისხზე, მაგნიტუდა დაავადებათა გავრცელებაზე. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო დაზღვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

აგროდაზღვევა ბევრ ქვეყანაში საკმაოდ აქტუალური ხდება. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. სტატიის მიზანია საქართველოში აგროდაზღვევის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესწავლა და ანალიზი.

მსოფლიო გამოცდილება

ევროპის ქვეყნებში დაზღვევის სამი მოდელი ფუნქციონირებს: სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი (საბერძნეთი); სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობაზე დაფუძნებული (ესპანეთი, პორტუგალია); კერძო სექტორის მიერ კონტროლირებადი (გერმანია, დიდი ბრიტანეთი) [შატბერაშვილი ე., 2011].

განვითარებულ ქვეყნებში, მთელი რიგი ეკონომიკური ფაქტორების გამო, მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო რისკების მრავალპროფილიანი დაზღვევა. საპირისპირო სურათია განვითარებად ქვეყნებში, სადაც ფერმერებს არ აქვთ საშუალება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ინვესტირებისა და მათი ეკონომიკური სტაბილურობა არ არის გარანტირებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგალითად, მათ მიერ აღებული კრედიტის გადახდამდე.

ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო რისკები, რომლებმაც შეიძლება ფერმერულ მეურნეობებს ზიანი მიაყენოს, დიდად არის განპირობებული ისეთი ადგილობრივი ფაქტორებით, როგორცაა ლანდშაფტი, ნიადაგის ტიპი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკა. განვითარებად ქვეყნებში ამას ემატება მთელი რიგი სხვა ფაქტორები, მათ შორის ეფექტური სადრენაჟე, წყალდიდობის კონტროლის ან ირიგაციის სისტემების არსებობა. შესაბამისად, ჩვეულებრივ, განვითარებად ქვეყნებში სადაზღვევო კომპანიები ახდენენ სასოფლო-სამეურნეო რისკების შერჩევას, რომელთა დაზღვევასაც განახორციელებენ.

კომპანიები, როგორც წესი, მხოლოდ განსაზღვრულ რისკებს აზღვევენ (ჩვეულებრივ, ეს არის სეტყვა და ხანძარი). ამ მდგომარეობის გასანეიტრალებლად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთავარმა ექსპორტიორმა ქვეყნებმა ფერმერული მეურნეობების რისკების ეფექტური კომპენსირებისათვის შექმნეს კერძო დაზღვევის ეროვნული სისტემები, რომელთაც ძლიერი სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა აქვთ. ამ ტიპის სადაზღვევო სისტემებში სადაზღვევო პრემიის ნაწილს სახელმწიფო ანაზღაურებს, რაც ზღუდავს სასოფლო-სამეურნეო რისკების შერჩევითი დაზღვევის პრაქტიკას. ეს საშუალებას იძლევა, მიუხედავად კომპანიის მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული სადაზღვევო პროდუქტების სახეობისა, მოხდეს თანხების გადანაწილება სოფლის მეურნეობის დაზღვევაში მონაწილე სადაზღვევო კომპანიებს შორის.

სოფლის მეურნეობის დაზღვევაში სახელმწიფოს მონაწილეობა გავლენას ახდენს მის განვითარებაზე. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაში სახელმწიფოს მონაწილეობა შეიძლება სადავოდ მივიჩნიოთ, რადგან იგი მხარს უჭერს იმ რისკებს, რომლებიც სტატისტიკურად წამგებიანია. მაგალითად, ფერმერებს შესაძლებლობა ეძლევათ მოიყვანონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არახელსაყრელ გარემო პირობებში. სახელმწიფო ასევე უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანიებისათვის გადაზღვევის ხელმისაწვდომობას, რითაც არახელსაყრელი კლიმატური პირობების დროს იცავს მათ კატასტროფული დანაკარგებისაგან. ეს პირობა სადაზღვევო კომპანიებს, კომპანიის კაპიტალის მისაღები რენტაბელურობის პირობებში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის ბაზარზე შესვლის საშუალებას აძლევს. ამ ტიპის სახელმწიფო გადამზღვევი სისტემის შექმნა გავლენას ახდენს სადაზღვევო ბაზრის ფორმირებაზე. მაგალითად, მან შეიძლება ხელი

შეუწყოს სადაზღვევო ბაზრიდან მცირე სადაზღვევო კომპანიების გაქრობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ყველა სადაზღვევო კომპანიას ქვეყანაში თანაბარი პირობები შეექმნას ბაზარზე დასამკვიდრებლად.

ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო მნიშვნელოვნად არის ჩართული აგროდაზღვევის განვითარებაში, შეიქმნა სპეციალური სტრუქტურები, რომლებიც უმეტესად სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროებს ექვემდებარებოდა. მათ ჰქონდათ უფლება, განესაზღვრათ ან შეეფასებინათ კერძო სექტორის მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პროდუქტის შესატყვისობა სახელმწიფოს ინტერესებთან და ამის მიხედვით გაეწიათ დახმარება.

ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს აგროდაზღვევის სუბსიდირებაში. მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებული შტატები აგროსადაზღვევო პრემიების პორტფელის მოცულობით მსოფლიოში ლიდერი ქვეყანაა. აშშ აგროდაზღვევაში 11 650 მილიონ დოლარს გასცემს; მეორე ადგილზეა – იაპონია – 3 900 მილიონი დოლარი, შემდეგ ბრაზილია - 640 მილიონი დოლარი, მექსიკა - 500 მილიონი დოლარი, არგენტინა - 280 მილიონი დოლარი და თურქეთი – 245 მილიონი დოლარი.

პოლონეთში ძირითადად განვითარებულია აგროდაზღვევის ორი მიმართულება: მოსავლისა და საქონლის დაზღვევა. 2009 წლიდან აგროდაზღვევაში სახელმწიფო მონაწილეობს და აფინანსებს მოსავლის დაზღვევის 40%-ს და საქონლის დაზღვევის 50%-ს.

ავსტრიაში სადაზღვევო პრემიის 50%-ს იხდის ფერმერი, 50%-ს კი – სახელმწიფო. ავსტრიაში დაზღვეულია მთლიანი მინდვრების 75%, ვენახების - 60%, ბოსტნეულის - 90%, ბაღჩეულის - 80% და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის – 30%.

ყველაზე გავრცელებული სადაზღვევო პროდუქტი ევროპაში მცენარეული კულტურების დაზღვევაა. მასზე მოდის სადაზღვევო პრემიების 90%, შესაქონლეობის დაზღვევას უკავია 4%, ხოლო თითო პროცენტს შეადგენს აკვაკულტურის, მეტყვევობისა და სათბურების დაზღვევა.

აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყანაში მოქმედებს როგორც ერთი რისკის, ასევე კომბინირებული დაზღვევა. გამონაკლისია ბალტიისპირეთის ქვეყნები, სადაც ერთი რისკის დაზღვევაა გავრცელებული. შესაქონლეობის დაზღვევა ევროპაში უმთავრესად ერთი რისკის დაზღვევის სისტემით ხორციელდება და მოიცავს ძირითადად არაეპიდემიური ხასიათის დაავადებებსა და უბედურ შემთხვევებს. ეპიზოტურ დაავადებებს უფრო იშვიათად აზღვევენ, უმეტესად სახელმწიფოს მონაწილეობით.

სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ბაზრის შექმნასა და შემდგომ განვითარებას ხელს უშლის დაბალი ურთიერთნდობა და რისკის კონტროლის არაეფექტური სისტემა. დაზღვევის ბაზრის შექმნა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც დაზღვევის მომხმარებლები ხშირად 1 ჰა-მდე მიწის ფართობს ფლობენ, ძალიან რთული ამოცანაა. იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი უკიდურესად მცირე მეურნეობები დომინირებს, სოფლის მეურნეობის დაზღვევა ხშირად არც არსებობს მისი დაბალშემოსავლიანობის გამო.

დაზღვევის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს საფინანსო ინსტიტუტები, რადგან ისინი სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის ნატურალური სასოფლო მეურნეობიდან საბაზროზე გადასვლისას ბუნებრივი შუამავლები არიან. მათ გააჩნიათ დეცენტრალიზებული ფილიალების დიდი ქსელი და სოფლის მეურნეობის ფინანსური ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვთ. მათ შეუძლიათ მოითხოვონ დაზღვევა, როგორც სესხის მიღების სავალდებულო ეტაპი.

სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაზე მომუშავე კომპანიების ბანკებთან თანამშრომლობა მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. მაგრამ, ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბანკების ინტერესები განსხვავებულია მზღვეველთა ინტერესებისაგან. ბანკისათვის დაზღვევა კრედიტის უზრუნველყოფაა, რომლის დროსაც რისკის დიდი ნაწილი ბანკიდან სადაზღვევო კომპანიაზე გადადის. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ დასაზღვევი ობიექტების შერჩევა და რისკის კონტროლი, დანაკარგების რეგულირების ჩათვლით, დაექვემდებაროს მზღვეველის პასუხისმგებლობასა და ინიციატივას. მაგალითად, 1990-იან წლებში თურქეთში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იმპორტზე კრედიტი მიბმული იყო დაზღვევასთან, რომელიც ძირითადად ბანკების მიერ იყო ინიცირებული და სოფლის მეურნეობის კატასტროფული შედეგები გამოიწვია დაზღვევის ბაზარზე.

აგროდაზღვევა საქართველოში

საქართველოში მოქმედებს სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევას შემდეგი რისკებისაგან: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა. პროგრამის განმახორციელებელია სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან.

სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსების თანხა შეადგენს მაქსიმუმ 30 000 ლარს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში - 50 000 ლარს. პროგრამაში ჩადებულია ფრანშიზა - სადაზღვევო ლიმიტის 10%, რომელიც არ

ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას და მისი გამოქვითვა ხორციელდება ყოველი/თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის.

საქართველოში ყველაზე მეტი დაზღვეულია ვაზის ფართობი, ხოლო მეორე-მესამე ადგილი უკავია მარცვლეულ და ციტრუსოვან კულტურებს. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობას ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ არა უმეტეს 5 ჰექტარი (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში არაუმეტეს 15 ჰა) ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი. სახელმწიფო სუბსიდირება 60%-მდეა. ფრანშიზა და ზარალი ითვლება რეალური მოსავლიანობიდან. დაინერგა ზარალის შეფასების საერთო მეთოდი თითოეული კულტურის შესაბამისად.

2015 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევა [ვერულავა თ., 2015] ადასტურებს, რომ ფერმერთა უმრავლესობამ იცის აგროდაზღვევის შესახებ, რასაც მათი დიდი ნაწილი აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შემოღებას უკავშირებს. როგორც ჩანს, სახელმწიფოს ამ ინიციატივამ დადებითად იმოქმედა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე აგროდაზღვევის კუთხით. აქვე აღსანიშნავია, რომ ფერმერთა მცირე ნაწილი სარგებლობს აგროდაზღვევით. ამის უმთავრესი მიზეზი ნდობის ფაქტორი. ცალკეული ფერმერები სკეპტიკურად არიან განწყობილი დაზღვევის მიმართ, რის მიზეზადაც ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც ზარალი არ აანაზღაურეს წინასწარ სიტყვიერად დაუთქმელი იმ პირობების გამო, რაც შემდგომ ხელშეკრულებაში იქნა ასახული და შინაარსი ფერმერისათვის არ იყო დეტალურად მიწოდებული. ფერმერების აზრით, არის შემთხვევები, როცა ზარალის შეფასების დროს ვერ თანხმდებიან დაზიანების პროცენტზე, რის გამოც დამზღვევი (ფერმერი) უკმაყოფილო რჩება [ვერულავა თ., 2015].

ასევე, მნიშვნელოვანია დაზღვევის არახელსაყრელი პირობების თემაც. ცალკეული სადაზღვევო კომპანიები განსხვავებული პირობით ახდენენ სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებას. მაგალითად, ვაზის დაზღვევა გულისხმობს ზარალის ანაზღაურებას ვაზის ყვავილობიდან გამოოსვლის შემდეგ დაზიანების შემთხვევაში. თუმცა, საქართველოს მთავრობის განკარგულებაში აგროდაზღვევის პროგრამის შესახებ, მითითებულია რომ ვაზის დაზიანების შემთხვევაში მზღვეველის ვალდებულება ძალაში შედის „როდესაც მტევანი გაშლილი და ვიზუალურად გარჩევადია“. აგრონომები და სპეციალისტები კი, (რომ აღარაფერი ვთქვათ ფერმერებზე) თანხმდებიან, რომ მტევანი არათუ ყვავილობის პერიოდში, არამედ მანამდეც – ოთხი-ხუთი ფოთლის გამოჩენის შემდეგ, უკვე ვიზუალურად გარჩევადია. ეს პერიოდი არის ვაზის ვეგეტაციის პერიოდის დასაწყისიდან 2-3 კვირაში (დაახლოებით 10-12 აპრილიდან), ხოლო ყვავილობის დამთავრება ხდება დაახლოებით 5-15 ივნისის ფარგლებში. სეტყვის მოსვლის ყველაზე დიდი ალბათობაც სწორედ ამ პერიოდზე მოდის. გამოდის რომ, როცა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ყველაზე დიდი ალბათობაა, სწორედ მაშინ არის მოსავალი, ასე ვთქვათ, დაუზღვეველი. ყვავილობამდე პერიოდში დაზიანებით გამოწვეული ზარალი გაცილებით დიდია, ვიდრე მის მერე (ვერულავა თ., 2015).

მეცხვარეებს არ აქვთ საშუალება, დაახლოებით ცხვარი სხვადასხვა სტიქიური უბედურებისგან, რომელიც მომთაბარეობის პირობებში (მათში ხშირი სეტყვა, ქარიშხალი, ზვავსაშიშროება და სხვ.) მათ დიდ სირთულეს უქმნის. სადაზღვევო კომპანიები კი არ სთავაზობენ მათ სასურველი რისკებისაგან დაზღვევას [ვერულავა თ., 2015].

კვლევის მიხედვით [ვერულავა თ., 2015], ფერმერების უმრავლესობა (80%), რომლებსაც უსარგებლიათ დაზღვევით, კმაყოფილები არიან აგროდაზღვევით. ფერმერთა გარკვეული ნაწილის უკმაყოფილების მიზეზია დაზღვევისადმი უნდობლობა და დაზღვევის არახელსაყრელი პირობები. არის შემთხვევები, როდესაც სეტყვით მიყენებული ზარალი ფერმერს არ აუნაზღაურეს იმ მიზეზით, რომ მისი ყურძენი ჯერ არ იყო ყვავილობიდან გამოსული. ზოგჯერ სადაზღვევო კომპანიები ზარალს აფასებენ 19 დღის დაგვიანებით. ამ შემთხვევაში სადაზღვევო ხელშეკრულების პირობები არ ითვალისწინებს კონკრეტულ ვადას ზარალის შეფასებასთან დაკავშირებით. აგროდაზღვევით კმაყოფილთა დიდი რაოდენობა, სავარაუდოდ, უკავშირდება იმ ფაქტს, რომ მათი ნაწილი მონაწილეობს სახელმწიფო პროგრამაში [ვერულავა თ., 2015].

დასკვნა

ფერმერთა აგროდაზღვევის უკმაყოფილების მთავარ მიზეზს წარმოადგენს დაზღვევისადმი უნდობლობა. სადაზღვევო კომპანიები სხვადასხვა სადაზღვევო პირობებს სთავაზობენ, რაც ხშირ შემთხვევაში გაურკვეველობას იწვევს ფერმერებს შორის. ამ მხრივ, ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებისათვის აუცილებელია აგროდაზღვევის შესახებ ცოდნის გავრცელება, ფერმერების ინფორმირებულობის ამაღლება, დაზღვევის სისტემისადმი ნდობის ამაღლება. ფერმერებს უნდა მიეწოდოს სათანადო, ამომწურავი ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიების მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პირობების შესახებ. იგი ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას, რაც დადებითად იმოქმედებს დამზღვევის მიერ მისთვის სასურველი სადაზღვევო კომპანიის თავისუფალი არჩევის უფლებაზე. ასევე, მიზანშეწონილია, სადაზღვევო კომპანიებსა და დამზღვევებს შორის არსებული სადავო საკითხების, საჩივრების შემთხვევაში დამოუკიდებელი ორგანოს, მედიაციის სამსახურის ამოქმედება, რომელიც შეძლებს დაიცვას დამზღვევთა უფლებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვერულავა თ., ობგაიძე ნ., 2015. აგროდაზღვევის პრობლემები საქართველოში. ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა. № 2.
2. ვერულავა თ. 2017. სადაზღვევო საქმის საფუძვლები. ჯანდაცვისა და დაზღვევის ცენტრი. თბილისი, 2017.
3. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ., 2011. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა 2013.
5. შატბერაშვილი ე., ალასანია ბ., 2011. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა და კრედიტები. ბიომეურნე.
6. ჩარკვიანი ვ., ჭინჭარაული თ., შატბერაშვილი ე., 2010. სასოფლო-სამეურნეო კრედიტებისა და დაზღვევის კვლევის შედეგები.

Tengiz Verulava

PROBLEMS OF AGRO INSURANCE IN GEORGIA

Summary

Agriculture is Georgia’s lifeblood. Fifty-three percent of the country’s working population is engaged in agriculture, many working on small plots of one hectare or less. The agriculture sector employs more than half of Georgia’s workforce but accounts for only 10 percent of GDP. Any business includes risks but some risks in agro-business like natural disasters are beyond control and if it happens one can lose everything without insurance.

The role of agro insurance is particularly important in terms of reducing damage caused by the recent natural disaster. Agro insurance is purchased by agricultural producers, including farmers, ranchers, and others to protect themselves against either the loss of their crops due to natural disasters, such as hail, drought, and floods, or the loss of revenue due to declines in the prices of agricultural commodities. Agricultural risks not only affect farmers, they also affect the whole agribusiness value chain. Each of the participants along the supply chain, from the suppliers of inputs to the end consumer, are subject to these risks. The goal of the article is to study and analyze the main tendencies of agro-insurance development in Georgia.

The government of Georgia is working to build a positive culture around agricultural insurance. In September 2014, the Agricultural Projects Management Agency (APMA) rolled out the Agro Insurance Program. By combining financial subsidies with a program to raise awareness, APMA hopes to increase the prevalence of insurance, which should reduce both overall risk and dependence on government bailouts. Farmers are able to purchase insurance against hail, excess rainfall, storms, and autumn frost. The insurance is provided by private companies in partnership with APMA. In 2014, the government covered 94 percent of the tab on every insurance policy sold; farmers were liable for the rest. The program sold 20,952 policies and saw 18,596 hectares of land insured during the first year. However, its very success highlighted a serious problem. Farmers bought insurance largely because it was heavily subsidized.

The main reason for the aggravation of farmers' agro-insurance in Georgia is the distrust of insurance. Insurance companies offer different insurance conditions, which in most cases lead to uncertainty among farmers. Farmers indicating a low level of trust, less awareness about the terms of the insurance contract. In this regard, for the development of agro-insurance in the country, it is necessary to spread awareness about insurance within farmers, increase confidence in the insurance system. The farmers should provide adequate and exhaustive information on the insurance conditions offered by different insurance companies. It will promote competition among insurance companies. Also, it is advisable to initiate establishment of mediation service, which will be able to protect the rights of insurers.

თამარ ზირაქაშვილი

კომერციული ბანკების საქმიანობა საგადასახადო აღმინისტრირების ფორმირებასა და ბანკოთმარობაში

ანოტაცია. მითითებული ზომები მოწოდებულია, აამაღლოს საგადასახადო შემოწმების ხარისხი, ოდენობა, სიღრმე და საგადასახადო მუშაკების შრომის ნაყოფიერების და ეფექტურობის ზრდა. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს საბიუჯეტო შემოსავლების გადიდებას, გააძლიერებს საგადასახადო ორგანოების ინფორმირებულობას, რაც განაპირობებს გადასახადებზე დამატებითი ჯარიმებისა და სანქციების გამოყენებით ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. ყოველივე თავიდან აგვაცილებს ბანკების მიერ ფინანსური ნაკადების ოპტიმიზაციისას სხვადასხვა სქემების გამოყენებას და შეამცირებს დანახარჯებს გადასახადებზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საკრედიტო ორგანიზაციებისათვის თავისდროული და კანონმდებლობით დასაბუთებული გადასახადის ბიუჯეტში გადახდა აქტუალური და აუცილებელია, რომლის რეალიზაცია ხდება საგადასახადო მენეჯმენტის მეშვეობით.

ამგვარად, საგადასახადო მართვა და საგადასახადო კონტროლი შეიძლება განხორციელდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე უშუალოდ ბანკების მიერ. ბიუჯეტში გადასახადის სრულად და თავისდროულად გადახდის შესახებ მეთოდების და ხერხების ერთობლიობის განზოგადებამ, შესაბამისად, როგორც სახელმწიფოს კანონმდებლობით, ასევე, კომერციული ბანკების მეშვეობით, განაპირობა „საგადასახადო ადმინისტრირების“ ტერმინის შემოღება, რომელიც, ვფიქრობთ, არის საერთაშორისო საგადასახადო ფონდის და მსოფლიო ბანკის დამსახურება.

როგორც აღვნიშნეთ, გადასახადების მართვა და საგადასახადო კონტროლის განხორციელება აქტუალური და აუცილებელია, როგორც სახელმწიფოს, ასევე გადასახადის გადამხდელისათვის. აქედან გამომდინარეობს, რომ საგადასახადო ადმინისტრირების აუცილებლობა და დანიშნულება მოიცავს არა მარტო სახელმწიფოს მიერ კონტროლის გატარებას – არამედ ეს ცნება არის შედარებით ფართო.

საგადასახადო მართვის აუცილებლობა, როგორც მაკრო, ასევე მიკროდონეზე, განსაზღვრავს საგადასახადო ადმინისტრირების სტრუქტურას გარეგანი ფორმით და შინაგანი არსით.

გარეგანი ფორმით საგადასახადო ადმინისტრირება მოიცავს: *ჯერ ერთი*, გადასახადის გადამხდელის აღრიცხვაზე აყვანას; *მეორე*, საგადასახადო კანონმდებლობის განმარტებებს; *მესამე*, კამერალური და გასვლითი საგადასახადო შემოწმებების განხორციელებას; *მეოთხე*, ბანკების მიერ გადასახადების სრულად და თავისდროულ გადახდაზე კონტროლს; *მეხუთე*, კომერციული ბანკებიდან საგადასახადო შემოსავლების კონტროლის ანალიზს; *მექვსე*, კომერციული ბანკებიდან ამა თუ იმ გადასახადების ამოღების ეფექტურობას და მიზანშეწონილობას; *მეშვიდე*, სადავო საკითხების გამოვლენის და გადაწყვეტის მიზნით საგადასახადო კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად შესაბამისი წინადადებების შემუშავებას.

გარეგანი ფორმის საგადასახადო ადმინისტრირების შემადგენელ ნაწილად გვევლინება საგადასახადო შემოწმებების ჩატარება. თანამედროვე პირობებში კომერციული ბანკების საგადასახადო შემოწმებების ჩასატარებლად არსებული მეთოდოლოგიური რეკომენდაციების ზუსტი, კონკრეტული და ინფორმაციულად სრული დოკუმენტის არარსებობა. საგადასახადო ორგანოების მიერ საკრედიტო ორგანიზაციების საგადასახადო შემოწმების ჩატარების გამოკვლევამ უფლება მოგვცა, დავასკვნათ, რომ ის ტარდება ხარისხობრივად დაბალ პროფესიულ დონეზე.

მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, გასვლითი შემოწმების წინ, გამოკვეთილი უნდა იყოს არა მარტო მისი განსაზღვრული მიზანი, არამედ ის ზუსტად უნდა იყოს დაგეგმილი. ამიტომ გასვლითი საგადასახადო შემოწმება უნდა დავეოთ შემდეგ ეტაპებად:

- 1) შესამოწმებელი პერიოდის განსაზღვრა;
- 2) შემოწმების ობიექტის განსაზღვრა;
- 3) შესრულებული ოპერაციების შერჩევის პროცესი;
- 4) აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი;
- 5) აუცილებელი ინფორმაციის შეკრება და მისი ანალიზი;
- 6) შემოწმების შედეგების განზოგადება;
- 7) შემოწმების შედეგების ზუსტი დოკუმენტური გაფორმება.

შემოწმების ობიექტი შეიძლება იყოს როგორც კომერციული ბანკების ცალკეული ოპერაციები, ასევე ცალკეული სახის გადასახადების გაანგარიშება და გადახდა (გადასახადი ქონებაზე), აგრეთვე კომპლექსური შემოწმება ყველა გადასახადის გამოთვლის წესების და ბიუჯეტში გადახდის შესახებ.

ერთიანი (მთლიანი) შემოწმება საკმაოდ რთულია დროის და მნიშვნელოვანი შრომითი და ნახარჯების გამო, ამიტომ შერჩევა უნდა განხორციელდეს შემდეგი დებულებებიდან გამომდინარე. ოპერაცია უნდა დავეოთ ტიპურად და არატიპურად.

თანამედროვე პირობებში საგადასახადო ორგანოების მიერ უმნიშვნელო საინფორმაციო ყურადღება ეთმობა სხვადასხვა დოკუმენტებში (მ.შ. პირველადში) ბანკის საქმიანობის ასახვას. ამ დროს ასეთი დოკუმენტები გვევლინება გადასახადების სწორად გამოანგარიშების და დაკავების ბაზად. ამგვარად, საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის საგადასახადო შემოწმებების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად საჭიროა განვსაზღვროთ ამისათვის საჭირო საბანკო დოკუმენტები: 1. სადამფუძნებლო დოკუმენტები; 2. საანგარიშებო პერიოდის ბალანსები; 3. მოგება-ზარალის ანგარიშები; 4. მოგების გამოყენების ანგარიში; 5. სააღრიცხვო პოლიტიკა; 6. საგადასახადო პოლიტიკა (ან გადასახადით დაბეგვრისათვის სააღრიცხვო პოლიტიკა); 7. საკრედიტო პოლიტიკა; 8. შიდასაბანკო ანგარიშთა გეგმა; 9. კონკრეტული ანგარიშების მიხედვით ამონაწერები; 10. საგადასახადო აღრიცხვის რეგისტრები; 11. ბანკის კომიტეტების, დეპარტამენტების (ფინანსური, საკრედიტო და სხვა) მიერ სხვადასხვა საბანკო ინსტრუმენტებისათვის განაკვეთების და ტარიფების დაწესება; 12. წინა საგადასახადო შემოწმების, აგრეთვე სხვა მაკონტროლებელი ორგანოების შემოწმების შედეგ

გები (ეროვნული ბანკის, საგადასახადო ორგანოების, საფინანსო პოლიციის და ა.შ.); 13. ურთიერთ-დაკავშირებული პირების სია (იურიდიული და ფიზიკური).

ამგვარად, გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს იმის კანონმდებლობით განმტკიცება, რომ მოხდეს აუდიტორული ფირმების, აუდიტორული საბჭოს და საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმების ერთობლივი აკრედიტაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ბანკების შემოწმებაში ამ ფირმების პროფესიული დონის ამაღლებას.

აუდიტორული ფირმების აკრედიტაციაში ვგულისხმობთ იმას, რომ დაგეხმაროთ აუდიტორული ფირმებს კომერციული ბანკების გასვლით შემოწმებებში და ამ შემოწმებელთა ეფექტურობის ამაღლებაში. სახელმწიფოსათვის, მოცემული წინადადების დადებით ასპექტებად გვევლინება ბანკების შედეგად და შედარებით სრული შემოწმებების შესაძლებლობა, აგრეთვე შემოწმებათა ოდენობის გაზრდა, აუდიტორული და საგადასახადო შემოწმებების ხარისხობრივი დონის ამაღლება, შემოწმებათა ჩატარებისას ხარჯების შემცირება, ბიუჯეტში გადასახადებზე სანქციების და ჯარიმების გაზრდა, აგრეთვე უცხოეთში კაპიტალის გადინების შესაძლებლობის აღმოფხვრა.

აუდიტორული ფირმებისათვის მისი განსაკუთრებული სტატუსის გამო – როგორც საგადასახადო დეპარტამენტის აგენტი, მოცემული წინადადება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც რეკლამა, რაც გამოიწვევს დამატებით კლიენტების მოზიდვას და მოგების გადიდებას, აგრეთვე, ბანკის შიგა დოკუმენტებზე, მასალებზე, წერილებზე, რეკომენდაციებსა და სხვა დოკუმენტებზე საგადასახადო ორგანოთა თანამშრომლობის ხელმისაწვდომობას.

მოცემული წინადადების უარყოფითი და ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით შესაძლებელად მიგვაჩნია აუდიტორული კომპანიების აკრედიტაციის შემდეგი წესი:

1. აუდიტორული ფირმა ავზაენის განცხადებას აკრედიტაციაზე (კანონით დადგენილ ორგანოში);

2. შესაბამისი ორგანო კომპლექსურად უკეთებს ანალიზს ყველა ფირმა პრეტენდენტზე ინფორმაციას: მის ბუღალტრულ და საგადასახადო ანგარიშს, კლიენტების სიას, კონკურენტთა გამოსმაურებას, ხელმძღვანელთა ბიოგრაფიას, ზედამხედველი ორგანოების პარლამენტთან არსებულ საბჭოს მონაცემებს, ფინანსური პოლიციის მონაცემებს და სხვა.

3. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ ფირმა-პრეტენდენტის ერთობლივ შემოწმებას;

4. აუდიტორული ფირმის ყველა შესაბამისი აუცილებელი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში მას უნდა მიეცეს გამოსაცდელი ვადა საგადასახადო ინსპექციის სპეციალისტთა ზედამხედველობის ქვეშ.

თანამედროვე პირობებში საკრედიტო დაწესებულებებში ნაკლებად არის დამოუკიდებელი საგადასახადო ქვეგანყოფილება, ან, თუ არის, ამ ფუნქციას ასრულებს ორგანიზაციის ორი ან, შესაძლოა, უფრო მეტი აღრიცხვის სექტორის თანამშრომელი, რომელიც დაკავებულია გადასახადების გაანგარიშებით. შიდა კონტროლის სამსახურში ან საკონტროლო-სარევიზიო სამსახურში ყოველთვის არ არიან ისეთი თანამშრომლები, რომლებზედაც იქნებოდა დაკისრებული საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის შემოწმების ვალდებულებები.

შესაძლებელია კომერციული ბანკის საგადასახადო ქვეგანყოფილებების სტრუქტურულ-ფუნქციური დაყოფა:

1. საგადასახადო სამმართველო (სამსახური, განყოფილება) უნდა შედგებოდეს: გადასახადების გაანგარიშების განყოფილებისაგან (სექტორისაგან) და საგადასახადო დაგეგმვის (ანდა დაბეგვრის მეთოდოლოგიის) განყოფილებისაგან (სექტორისაგან);

2. საგადასახადო დანაყოფი საკონტროლო-სარევიზიო სამსახურში ანდა შიგა კონტროლის სამსახურში.

გადასახადების გადახდის განყოფილების თანამშრომელთა ფუნქციონალური დანიშნულება უნდა იყოს გადასახადების გაანგარიშება, მისი თავისდროული და სრული გადახდა, ბანკებიდან გადასახადების დაკავებაზე კონტროლი (გადასახადის გაანგარიშება ფიზიკური პირების შემოსვლებიდან, გადასახადი უცხოეთის იურიდიული პირების შემოსვლებზე და ა.შ.).

გადასახადების დაგეგმვის (ან გადასახადების დაბეგვრის) მეთოდოლოგიის განყოფილება დაკავებული უნდა იყოს გადასახადის აღრიცხვისა და მეთოდოლოგიის სამუშაოებით, ბანკის მუშაკებისათვის საგადასახადო კანონმდებლობის ახსნა-განმარტებებით, აგრეთვე საგადასახადო დაბეგვრის და საგადასახადო რისკების შემცირების თვალსაზრისით, ბანკის ინსტრუმენტების ანალიზით.

საგადასახადო ქვედანაყოფები (მისი თანამშრომლები), შიგა კონტროლის სამსახურები ანდა საკონტროლო სარევიზიო სამმართველოები ვალდებულნი არიან, შეამოწმონ ყველა გადასახადის გაანგარიშებათა სისწორე, მათი დაკავების და გადარიცხვის თავისდროულობა, აგრეთვე გადასახადის ბიუჯეტში გადახდის სისრულე, რომელსაც ბანკები იხდიან, როგორც საგადასახადო აგენტები. შიდა კონტროლის სამსახურის მიერ საგადასახადო კონტროლის ფუნქციის შესრულება იმით არის განპირობებული, რომ საგადასახადო დაბეგვრა არის ბანკის საქმიანობის მნიშვნელოვანი მონაკვეთი. გარდა ამისა, ბანკებსა და მის სამსახურებში ტექნიკური და აზრობრივი შეცდომების დაშვების ალბათობა ყოველთვის არსებობს და განსაკუთრებით დიდი დოზით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. კაკულია. ფინანსების თეორია, თბ., გამომცემლობა "თერფი" 2004.
2. რ. კაკულია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები. თბ., 2003. გვ. 324-340.
3. გ. ხელაია, ფული, ბანკები და ბირჟები, თბ., გამომცემლობა "სამთავისი", 1996.
4. ზირაქაშვილი თ. ,, საქართველოს კომერციულ ბანკებსა და საგადასახადო სისტემას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების გზები“. თბ., სამაგისტრო ნაშრომი.

Tamar Ziraqashvili

**THE ACTIVITIES OF COMMERCIAL BANKS
IN FORMATION AND DEVELOPEMENT OF TAXING ADMINISTRATION
Summary**

Indicated measures are due to improve the quality, amount and depth of taxing control as well as the growth of working efficiency of the employees. All the above mentioned issues will result in increase of revenue income, make taxing field more informed and ensure the growth of the budget because of extra fines and sanctions . All these will help to avoid using various schemes while optimisation process by the banks and will decrease taxing expenses.

თვა კასრაძე

**ოფიციალური ფინანსური ნაკაღები –
ბანკითარების დაფინანსების მნიშვნელოვანი ფაქტორი**

ანოტაცია. თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებსა და კვლევებში, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებსა და გამოცემებში ხშირად გვხვდება ტერმინი „განვითარების დაფინანსება“. ფართო საზოგადოებისთვის იგი საგარეო გრანტებთან, შეღავათიან სესხებს და დახმარებებთან ასოცირდება და კონკრეტულად თუ რა სახის დაფინანსებას გულისხმობს, რა არის ამგვარი დაფინანსების დანიშნულება/მიზანი და როგორია რეალურად მისი შედეგები, ხშირად გაუგებარი და ბუნდოვანია. სწორედ ამ საკითხებში მცირედი სიცხადის შეტანას ემსახურება წარმოდგენილი ნაშრომი.

საკვანძო სიტყვები: განვითარება, განვითარების ოფიციალური დაფინანსება, ათასწლეულის განვითარების მიზნები, მდგრადი განვითარების მიზნები

შესავალი

თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებსა და კვლევებში, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებსა და გამოცემებში ხშირად გვხვდება ტერმინი „განვითარების დაფინანსება“ Financing for Fvelopment (FfD). იგი გულისხმობს მთელ მსოფლიოში მდგრადი განვითარების ხელშეწყობას საჭირო პოლიტიკისა და რესურსების ყოვლისმომცველი, ინტეგრირებული უზრუნველყოფით [1].

ფართო საზოგადოებისთვის იგი საგარეო გრანტებთან, შეღავათიან სესხებსა და დახმარებებთან ასოცირდება და კონკრეტულად თუ რა სახის დაფინანსებას გულისხმობს, რა არის ამგვარი დაფინანსების დანიშნულება/მიზანი და როგორია რეალურად მისი შედეგები, ხშირად გაუგებარი და ბუნდოვანია. სწორედ ამ საკითხებში მცირედი სიცხადის შეტანას ემსახურება წარმოდგენილი ნაშრომი.

რა არის განვითარება და რით ფინანსდება იგი

განვითარება რთული, კომპლექსური ცნებაა. მისი უნივერსალური განმარტება და შესაბამისად, არც საზოგადოებას არ არსებობს, რადგან იგი გარკვეულწილად ადამიანების აღქმებსა და შეგრძნებებზეა დაფუძნებული და ხშირად ეს შეგრძნებები სტატისტიკური მანვენებლების საწინააღმდეგოა.

ტრადიციული გაგებით, განვითარების ქვეშ ეკონომიკური ზრდა მოიაზრება. იგი არის პროცესი, რომლის დროსაც ქვეყანა და საზოგადოება ვითარდება, პროგრესირდება და უფრო მდიდარი ხდება. შესაბამისად, განვითარების ტრადიციულ საზომადაც ეკონომიკური მანვენებლები გამოიყენება, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული პროდუქტი. განვითარების ამგვარი განმარტების ფესვები კოლონიურ პერიოდს უკავშირდება.

მოგვიანებით შეიცვალა განვითარებაზე შეხედულებები. ახალი, უფრო თანამედროვე განმარტებით, განვითარება – ეს არის ცვლილებების პროცესი, რომელიც აუმჯობესებს ადამიანების კეთილდღეობას, ცხოვრების ხარისხს, სოციალურ კეთილდღეობას და იძლევა მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალებას. ეკონომიკური ზრდა შეიძლება განხილულ იქნეს ამგვარი განვითარების როგორც ხელშეწყობ, ისე ხელის შემშლელ

საშუალებად. ამგვარი განვითარების საზომად უფრო მეტად ხარისხობრივი ინდიკატორები გამოიყენება, ვიდრე რაოდენობრივი, რომელთა მეშვეობით შეიძლება ცხოვრების ხარისხის გაზომვა.

უახლესი შეხედულებები განვითარების განსაზღვრებასთან დაკავშირებით მე-20 საუკუნის ბოლოს ჩნდება, როდესაც ე.წ. მდგრადი განვითარების ცნება შემოდის. მდგრადი განვითარება არის განვითარება, რომელიც ხელს უწყობს კეთილდღეობასა და ეკონომიკურ შესაძლებლობებს, სოციალურ კეთილდღეობასა და გარემოს დაცვას. იგი საუკეთესო გზაა ყველგან ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად [2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაცობრიობამ განვითარების არსზე საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო ფიქრი, თუმცა 21-ე საუკუნიდან განვითარების სრულიად ახალი ერა იწყება, როდესაც 2001 წელს გაეროს წევრი სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები შეთანხმდნენ, რომ ხელი შეეწყოს 2015 წლის ბოლომდე ათასწლეულის განვითარების რვა მიზნის მიღწევისთვის (Millennium Development Goals (MDGs)).

თეორიულად, MDGs ყველა ქვეყანას ეხებოდა, მაგრამ რეალურად ამ მიზნების მიღწევა ღარიბი განვითარებადი და ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებისთვის იქნა დასახული მდიდარი, განვითარებული ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. თავდაპირველად 2001 წელს ვარაუდობდნენ, რომ მიზნების მისაღწევად დამატებით წელიწადში \$61 მილიარდი გარე დახმარება იქნებოდა საჭირო, შემდეგ ეს ციფრი 2002წ-ში \$63-\$72 მილიარდამდე გაიზარდა, 2005 წ-ში კი ფიქრობდნენ, რომ ეს ციფრი \$82 - \$152 მილიარდს შორის იქნებოდა. 2011 წლის დასაწყისში კი OECD-ის განვითარების ცენტრმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მხოლოდ პირველი 6 მიზნის მიღწევა გლობალურად წელიწადში \$120 მილიარდზე მეტ დაფინანსებას მოითხოვდა, რაც მხოლოდ გარე დახმარებების ხარჯზე ვერ მოხერხდებოდა, მით უმეტეს რომ განვითარებული, მდიდარი ქვეყნების ეკონომიკები კრიზისში იმყოფებოდა. ანგარიში ღარიბი განვითარებადი და ტრანზიტული ქვეყნების შიდა რესურსების (გადასახადების და სხვა შემოსავლების) ამ მხრივ მიმართვის აუცილებლობაზე მიანიშნებდა.

განვითარებისათვის საჭირო ფინანსურ ნაკადებში შეიძლება 2 კომპონენტი გამოვყოთ [3]:

1. განვითარების ოფიციალური დაფინანსება (Official Development Finance (ODF)), რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს:

- საკუთრივ განვითარებადი ქვეყნის მთავრობის შემოსავლები (შიდა დაფინანსება), რომელთა ზრდა ამცირებს გარე დაფინანსების საჭიროებას;

- განვითარების ოფიციალური დახმარება (Official Development Assistance (ODA)) - ორმხრივ და მრავალმხრივ შეღავათიან სესხებს და გრანტებს;


- ორმხრივ და მრავალმხრივ არაშეღავათიან დაფინანსებას (განვითარებადი ქვეყნების მთავრობების მიერ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან ან კერძო სექტორიდან მოზიდული ან გარანტირებული არაშეღავათიანი სესხები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება ინფრასტრუქტურული ან სხვა შემოსავლიანი პროექტების დასაფინანსებლად);

2. კერძო საგარეო ფინანსებს, ძირითადად უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ან პორტფელური ინვესტიციების ფორმით, რომლებიც ძირითადად ზრდაზეა ორიენტირებული და არ გამოიყენება სოციალური მიზნებისთვის.

განვითარების დაფინანსებაში დიდ როლს თამაშობს კერძო დაფინანსება, თუმცა ჩვენ ამ ნაშრომში მხოლოდ ოფიციალურ დაფინანსებას შევხებით. გავაანალიზებთ მათ წვლილს განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს განვითარების დაფინანსებაში.

განვითარების ოფიციალური დაფინანსების შიდა წყაროები


განვითარების დაფინანსებაში განსაკუთრებული წილი ქვეყნის შიდა შემოსავლებს უჭირავს, განურჩევლად იმისა, მაღალშემოსავლიანია ქვეყანა თუ დაბალშემოსავლიანი. საჯარო ფინანსები წარმოადგენს მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი ინვესტიციების მთავარ წყაროს. 2011 წელს განვითარებადი ქვეყნების (ჩინეთისა და ინდოეთის გარდა) მიერ 2,8 ტრილიონი დოლარი იქნა მობილიზებული განვითარების დასაფინანსებლად, საიდანაც 2,3 ტრილიონი მთავრობების მიერ შიდა შემოსავლების სახით მობილიზებული სახსრები იყო, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია თუმცა, იგი ვერ აკმაყოფილებს მდგრადი განვითარების მიზნების საერთო მოთხოვნებს [4]. ბოლო წლებში ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ გააუმჯობესა გადასახადების მშპ-სთან თანაფარდობის მაჩვენებელი, მაგრამ განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს შორის კვლავ დიდი სხვაობაა.



დაიგრამა 1. საგადასახადო შემოსავლების მშპ-სთან თანაფარდობა %-ებში.

წყარო: <https://data.worldbank.org/indicator/GC.TAX.TOTL.GD.ZS?locations=XN>

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო ბევრად უსწრებს არა მარტო რეგიონის ქვეყნებს, არამედ ბევრ მაღალშემოსავლიან ქვეყანასაც, თუმცა, ბევრი განვითარებადი ქვეყნის მსგავსად, შიდა შემოსავლები საკმარისი არ არის განვითარების დასაფინანსებლად და კვლავ საჭიროებს გარე მხარდაჭერას.



დაიგრამა 2. საგადასახადო შემოსავლების მშპ-სთან თანაფარდობა საქართველოს და რეგიონის სხვა ქვეყნებში %-ებში.

წყარო: <https://data.worldbank.org/indicator/GC.TAX.TOTL.GD.ZS?locations=XN>

განვითარების ოფიციალური დაფინანსების გარე წყაროები

განვითარების საგარეო დაფინანსების წყაროებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განვითარებისთვის ოფიციალურ ფინანსურ დახმარებას. არის ფულადი ნაკადები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის გამოყოფილი, შედგება მინიმუმ 25%-იან გრანტ ელემენტებს. იგი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული სამხედრო მიზნებისათვის. OECD განსაზღვრავს და პერიოდულად განახლებს იმ განვითარებადი ქვეყნების სიას, რომლებზეც გაიცემა ODA. ამ ქვეყნებში წლიური შემოსავალი 1 სულ მოსახლეზე 12 276 აშშ დოლ-ზე ნაკლები უნდა იყოს. ჯერ კიდევ 1970 წელს დაისახა გაერომ გრძელვადიან მიზნად


განვითარებად ქვეყნებში ODA/GNI (Official Development Assistance/Gross National Income) ინდექსის 0,7%-იანი მაჩვენებლის მიღწევა, მაშინ როცა ეს ინდექსი ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, 2015 წლისთვის 3,29%-ს შეადგენდა⁴⁵.

ODA/GNI ინდექსი შემოსავლების მიხედვით დიფერენცირებული ქვეყნების კატეგორიებში 2015 წლისთვის ასე გამოიყურება:

- მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყანა – 0%;
- დაბალი შემოსავლების ქვეყანა – 8,67%;
- საშუალოზე დაბალი – 0,8%;
- საშუალოზე მაღალი – 0,08%.

საიდანაც ჩანს, რომ ოფიციალური ფინანსური დახმარებების წვლილი განვითარებად, დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში დიდია, რასაც, დადებით ეფექტებთან ერთად, რიგი უარყოფითი მხარეებიც აქვს. ოფიციალური ფინანსური დახმარებები შეიძლება საფრთხის შემცველი გახდეს ამა თუ იმ ქვეყნისათვის, რადგან ჩნდება მასზე „დამოკიდებულების“ პრობლემა.

განვითარებისთვის გამოყოფილმა ოფიციალური ფინანსური დახმარებების მთლიანმა მოცულობამ მსოფლიო მასშტაბით 2016 წელს ახალ პიკს - 142,6 მილიარდ აშშ დოლ-ს მიაღწია, რაც 8,9%-იანი ზრდაა 2015 წელთან შედარებით⁴⁶. მსოფლიო ODA/GNI ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 0,178% 2000 წელის შემდგომ 2012 წელს დაფიქსირდა, 0,196% იყო 2013 წლისათვის, 0,204% კი 2014 წლისათვის. 2015 წელს ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა. მსოფლიო მასშტაბით ერთ სულ მოსახლეზე საერთაშორისო ფინანსური დახმარების წილი 21 აშშ დოლარს შეადგენს⁴⁷. მეტი ინფორმაციისთვის გრაფიკულად წარმოვადგინო მსოფლიოს, საქართველოსა და რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის განვითარებისთვის 2007-2015 წლებში ოფიციალური ფულადი ნაკადების დინამიკას.



დიაგრამა 3. განვითარების მთლიანი ოფიციალური ფინანსური ნაკადები, მლნ აშშ დოლ.


წყარო: http://www.oecd-ilibrary.org/development/data/oecd-international-development-statistics/total-official-development-financing-odf_data-00071-en

საქართველოსა და რეგიონის რამდენიმე ქვეყანაში განვითარებისათვის ოფიციალური ფინანსური რესურსების დინამიკა 2007-2015 წლებში ასე გამოიყურება:

⁴⁵ https://data.worldbank.org/indicator/DT.ODA.ODAT.GN.ZS?name_desc=false

⁴⁶ <http://www.oecd.org/dac/financing-sustainable-development/>


⁴⁷ <http://wdi.worldbank.org/table/6.11>



დიაგრამა 4. განვითარების ოფიციალური ფინანსური ნაკადები საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში, მლნ აშშ დოლ.

წყარო: www.worldbank.org, data from "Net official development assistance and official aid received, current us\$"


რეგიონში განვითარების ოფიციალური დაფინანსების ანალიზისათვის წარმოვადგენთ სტატისტიკას განვითარებისთვის მიღებულ წმინდა რესურსებს, როგორც მთლიანი ეროვნული შემოსავლის პროცენტს (ODA/GNI):



დიაგრამა 5. ODA/GNI ტენდენცია საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში

წყარო: <http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=2&series=DT.ODA.ODAT.GN.ZS&country>

ეს უკანასკნელი გრაფიკი ცხადყოფს, რომ საქართველოში, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ოფიციალური დახმარებების მოცულობა ერთობლივ ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში კლების ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ კვლავ საკმაოდ მაღალია და დაფიქრებას საჭიროებს. დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ცენტრალური ხელისუფლების ხარჯებში ODA-ს პროცენტული წილის კლება, რაც განვითარების დაფინანსების შიდა წყაროს ზრდაზე მიგვანიშნებს.



დიაგრამა 6. წმინდა განვითარების ოფიციალური დახმარება (%-ულად საქართველოს მთავრობის ხარჯებთან მიმართებაში)

წყარო: <https://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators>

რაც შეეხება სახელმწიფო და სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ სესხებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და სხვა წყაროებიდან, მათი წვლილი განვითარების დაფინანსებაში, სხვა წყაროებთან შედარებით მცირეა ნებისმიერი კატეგორიის ქვეყანაში.

დასკვნა

ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის ვადები 2015 წელს ამოიწურა. როგორც ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ცხადყოფს საკმაოდ დიდი შიდა და საგარეო ფინანსური ნაკადები იქნა მობილიზებული განვითარების მიზნების მისაღწევად, მაგრამ მსოფლიოში დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანი კვლავ უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, მოიხმარს რა დღეში 1,25\$-ზე ნაკლებს (მსოფლიო ბანკის კრიტერიუმით) და 800 მლნ ადამიანზე მეტს არ აქვს სკარისი საკვები.

სწორედ ამიტომ შემუშავდა მდგრადი განვითარების 17 მიზანი (sustainable Development Goals (SDG))[5], რომლის მიღწევის ვადად 2030 წელი განისაზღვრა. SDGs-ის, ისევე როგორც MGD-ის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა საჭირო ფინანსების მოძიებაა. მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში საჯარო ფინანსებს და დახმარებებს უდიდესი როლი აკისრია. მსოფლიო ბანკის პროგნოზით, SDG-ს მიზნების მისაღწევად საჭირო თანხების 50-80% სწორედ შიდა რესურსებით უნდა დაფინანსდეს, რის უპირველეს წყაროდაც ეკონომიკური ზრდა უნდა იქცეს. MDG-ს ცხადად არ აკეთებდა აქცენტებს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე, SDG-ს მე-8 მიზანის - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა - ორიენტირს კი მშპ-ს წლიური 7%-იანი ზრდა წარმოადგენს დაბალგანვითარებულ ქვეყნებში. სწორედ ეკონომიკური ზრდა არის მიზნების მისაღწევად საჭირო უზარმაზარი ფინანსური რესურსების მობილიზების მნიშვნელოვანი პირობა. დიდია ODA-ს წვლილიც. 2016 წელს ჯამურმა განვითარების ოფიციალურმა დახმარებამ პიკს - 142.6 მილიარდ დოლარს მიაღწია. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კერძო ინვესტიციების წვლილიც SDG-ს მიღწევაში. თუმცა, კერძო ინვესტიციების მოძიება მდგრადი განვითარების დასაფინანსებლად ბევრ წინააღმდეგობასთანაა დაკავშირებული. მდგრადი განვითარების სექტორში ინვესტიციების მიმდინარე დონე წლიურად 2,5 ტრილიონ დანაკლისს განიცდის. ექსპერტთა მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით კი მომავალ პერიოდში განვითარებადი ქვეყნებისათვის საინვესტიციო საჭიროება 3,3-დან 4,5 ტრილიონ აშშ დოლარამდე შუალედში იქნება.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, ფინანსები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განვითარებისთვის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობებს, რომლებსაც მეტი შემოსავლები აქვთ, უფრო დიდი პროგრესი აქვთ ამ მიმართულებით. კარგი ინსტიტუტები და გამჭვირვადე, ანგარიშგაღებულდებაზე დაფუძნებული მმართველობა ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს განვითარების მიზნების მიღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Financing for Development, https://ec.europa.eu/europeaid/policies/financing-development_en

2. Promote Sustainable Development, <http://www.un.org/en/sections/what-we-do/promote-sustainable-development/>
3. Homi Kharas (2014). Financing for Development: International Financial Flows after 2015, <https://www.brookings.edu/research/financing-for-development-international-financial-flows-after-2015/>,
4. Bizikova L. Denton P. (2017). How Should We Measure Sustainable Development? http://www.huffingtonpost.ca/development-unplugged/sustainable-development-goals_b_9829340.html
5. The Guardian, Sustainable development goals: all you need to know (2015), <https://www.theguardian.com/global-development/2015/jan/19/sustainable-development-goals-united-nations>

Tea Kasradze

OFFICIAL FINANCIAL FLOWS – AN IMPORTANT SOURCE OF FUNDING FOR DEVELOPMENT

Summary

The term of financing for development (FfD) frequently features in modern academic works and researches, reports of states and international organisations.

For a broader public this terminology is associated with grants, concessional loans and financial aids; however, it is often unclear and obscure exactly what kind of financing this implies; what the purpose/objective of the financing is and what the actual outcomes are. This article aims at shedding a light on these very issues.

Development is a complex concept. There is no universal interpretation for it and, hence, there are no measures, as, to a certain extent it is based on individual perceptions and attitudes and often these perceptions ran counter to statistics.

In a traditional understanding, development implies economic growth. This is a process under which country and society develops, progresses and becomes richer. Accordingly, traditional measures for development are economic indicators such as GNP and GDP. The roots of such interpretation are related to colonization period.

Later, views about development have changed. According to the new and more comprehensive definition, this is a process of changes that improve the welfare of people and quality of their life, their social welfare, and allows meeting population's needs. Economic growth can be considered to be both favourable and unfavourable for such development. Qualitative indicators are preferred to be used over quantitative indicators according to which it is possible to measure the quality of life.

The recent views about the definition of development were formed by the end of the 20th century, when the concept of the so-called sustainable development emerged. Sustainable development is development that promotes prosperity and economic opportunity, greater social welfare, and protection of the environment – offers the best path forward for improving the lives of people everywhere.

As mentioned above, the mankind started to think about the essence of development quite a long time ago, however, from the 21st century, completely new era of development started when member states of the UN and international organisations agreed to combine efforts to achieve eight Millennium Development Goals (MDGs) by the end of 2015. Later 17 Sustainable Development Goals (SDG) have been elaborated by UN that could transform the world by 2030.

In theory, MDGs concerned all countries but in reality these goals were to be achieved for the countries with poor, developing and transit economy with the financial support of rich, developed countries and international organisations. Originally, in 2001, the UN supposed that in order to reach the goals, USD 61bn per year would be additionally necessary; later in 2002, this figure increased to USD 63-72bn; in 2005, it was supposed that this figure was from USD 82 to USD 152bn; and in the beginning of 2011, OECD Development Centre published a report *Revisiting MDG Cost Estimates*, according to which achieving first 6 goals only at the global stage required financing over USD 120bn per year, which was unrealistic at the expense of external funding only. Moreover, the economies of reach countries were in crisis at the time and the report indicated the need to direct internal resources (tax and other revenues) of the poor, developing and transit countries towards this aim.

There can be two components implied in financial flows necessary for development:

1. Official development financing (ODF), which in turn comprises of:
 - domestic revenues of developing countries (internal financing) the growth of which decreases the need for external financing;
 - Official development assistance (ODA) – bilateral and multilateral concessional loans and grants;
 - bilateral and multilateral non-concessional financing that are mobilised from international financial institutions or private sources and are mainly used for infrastructure or for funding other income generating projects;
 - Private external financing, by means of foreign direct investment and other portfolio flows, which are mostly aimed at growth and are not used for social objectives.

Private external financing plays a significant role in funding development, however only the role of official funding in development of the developing and transitional countries is discussed in this paper.

Official finances and aids have great role in achieving sustainable development goals. According to the prognosis made by the World Bank, 50-80% of the funds necessary for achieving SDGs, should be mobilized through internal resources, economic growth being the primary source. MDGs did not make express focus on economic development of

countries, while one of the targets of the eighth sustainable development goal – decent work and economic growth - is 7% growth of GDP in the least developed countries. The very economic growth is the significant precondition for mobilising huge financial resources needed for achieving the goals. The contribution of ODA is great too. However, It should be borne in mind that accessibility of the required financing only is not enough. While finances are vital for development, it does not mean that the countries with more income have greater progress in achieving the development goals. Good governance based on transparency and accountability and adequately functioning institutions are similarly vital in achieving these goals.

ხათუნა შალამბერიძე

**კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი
და მისი ხარისხის შეფასების მაჩვენებლები**

ანოტაცია. საქართველოს საკრედიტო ბაზარი განსხვავდება მსოფლიოს წამყვანი ბაზრებისგან, უპირველესად საკრედიტო ინსტიტუტების განვითარების დონით. ინსტიტუტების განვითარება ამცირებს საკრედიტო რისკის დონეს და ხელს უწყობს სტაბილური და თანმიმდევრული ეკონომიკური ზრდის მიღწევას. საქართველოს საკრედიტო ბაზარზე წარმოდგენილი კომერციული ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტები გვევლინება ძირითად მოთამაშეებად, რომელთა საკრედიტო პორტფელის ცვლილებებზე შემოქმედებს როგორც მაკროეკონომიკური ფაქტორები, ასევე ამ ინსტიტუტების მენეჯმენტის ცვლილებები.

საკვანძო სიტყვები: საკრედიტო პორტფელი, ფაქტორები; ხარისხის კრიტერიუმები; ხარისხის შეფასების მაჩვენებლები.

შესავალი

თანამედროვე საკრედიტო სისტემა წარმოადგენს სასესხო კაპიტალის ბაზრის ძირითად ელემენტს, რომელიც მოიცავს საკრედიტო ურთიერთობებს და ამ ურთიერთობებზე აგებული ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს ფულადი დანაზოგებისა და შემოსავლების აკუმულაციას და მათი კრედიტის სახით განთავსებას ფირმებში, კორპორაციებში, სახელმწიფოსა და მოსახლეობაში.

კომერციული ბანკების მიერ სახსრების აკუმულაციისა და განთავსების ოპერაციების ეკონომიკური საფუძველია ფულადი საშუალებების მოძრაობა, როგორც ობიექტური პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს სასესხო ღირებულებების ფორმირებასა და გამოყენებაზე. ასეთი ოპერაციების დროს კომერციული ბანკი გამოდის, როგორც საწარმო, რომელიც მოხიდულია სახსრების მომგებიან განთავსებას ახორციელებს.

განვითარებული ქვეყნების კომერციული ბანკები ასრულებენ კლიენტების მომსახურების მრავალრიცხოვან ოპერაციებს, რომელთა შორის საყურადღებოა: დეპოზიტური ანგარიშების წარმოება, სესხების უნაღლო გადარიცხვები, სხვადასხვა სახის სესხების გაცემა, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ფასეულობათა სეიფებში შენახვა და სხვა.

კომერციული ბანკების შემოსავლების მიღების ანალიზის კუთხით მნიშვნელოვანია მათი საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასება, რომელიც არსებით წარმოდგენას გვაძლევს მათ საქმიანობასა და შესაძლებლობებზე.

კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული მის ხარისხთან. კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტები თავისი ხარისხის მიხედვით იყოფა ხუთ კატეგორიად: I კატეგორია (უმაღლესი) – აქ განიხილება სტანდარტული სესხები, ისინი საკრედიტო რისკისმატარებელი არ არის; II კატეგორია (არასტანდარტული სესხები), აქ განიხილება ზომიერი საკრედიტო რისკის მატარებელი სესხები; III კატეგორია (საეჭვო სესხები), აქ განიხილება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის მატარებელი სესხები; IV კატეგორია (პრობლემური სესხები) აქ განიხილება მაღალი საკრედიტო რისკის მატარებელი სესხები; V კატეგორია (უიმედო სესხები), აქ განიხილება დაბრუნების ალბათობის არმქონე სესხები, როდესაც მსესხებელი უარს ამბობს საკრედიტო ვალდებულების შესრულებაზე.

მთლიანობაში, ხარისხის კატეგორია განეკუთვნება რთულ კატეგორიათა რიცხვს. საკრედიტო პორტფელში აუცილებელია ურთიერთკავშირში იქნეს განხილული სასესხო და მასთან გათანაბრებული დავალიანებები, ასევე აუცილებლად გავითვალისწინოთ ურთიერთკავშირი საკრედიტო პორტფელის ელემენტებს შორის და დავახასიათოთ ახალი ეკონომიკური კატეგორიის პოზიციიდან. ამიტომ, საკრედიტო პორტფელის ხარისხზე საუბრისას არ შეიძლება გავჩერდეთ მხოლოდ საკრედიტო რისკის შეფასებაზე.

თანამედროვე ეკონომიკური კრიზისების დროს საკრედიტო პორტფელის „პრობლემურობა“ გვევლინება პირველ ადგილზე, რადგან საკრედიტო პორტფელის დროული დიაგნოსტიკა გვაძლევს საშუალებას, შევამციროთ პორტფელში გადაგადაცილებული ამოღების, უიმედო კრედიტთა რაოდენობა და დაბლა დავწიოთ ბანკის შესაძლო დანაკარგები.

ბანკის საკრედიტო აქტივობა კი ახასიათებს ბანკის საკრედიტო პოლიტიკის, მოზიდული და განთავსებული სახსრების დაბალანსებულობის ხარისხს, ხოლო საკრედიტო საქმიანობის ეფექტიანობა გვიჩვენებს ბანკის მიერ გატარებული საკრედიტო პოლიტიკის შემოსავლიანობას და მომგებიანობას, რაც, საბოლოო ჯამში, კომერციული ბანკის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს.

* * *

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომლებიც შეიძლება დაგავსდეთ მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურად. საკრედიტო პოლიტიკაზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორები – ეს ის ფაქტორებია, რომლებზეც კომერციულ ბანკს გავლენის მოხდენა არ შეუძლია: მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენციები; ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაცია; ქვეყნის ფულადი ბაზრის მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები; კონკურენტი კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკაზე მოქმედ მიკროეკონომიკურ ფაქტორებს განეკუთვნება: ბანკის ფილიალების ქსელის სიდიდე; ბანკის პერსონალის კვალიფიკაცია; პერსონალის უზრუნველყოფა შესაბამისი ტექნოლოგიური და ინფორმაციული საშუალებებით; ბანკის საპროცენტო პოლიტიკა; ბანკის რესურსული უზრუნველყოფა. კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასებისთვის აუცილებელია: პორტფელის ანალიზი ეკონომიკის სექტორებისა და ვალუტის ჭრელში, ვადიანობისა და გირაოს მიხედვით; საკრედიტო პორტფელის რისკის დონის შეფასება, ანუ რამდენად ადეკვატურია საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი; საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია, ვადიანობის ანალიზი და შეფასება; ჩამოწერილი სესხების მოცულობა და მათი ცვლილება შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

„გამჭვირვალობის წესის“ მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ პერიოდულად სავალდებულო წესით გამოსაქვეყნებელ ინფორმაციაში შედის 18 ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელთაგან ხუთი აქტივების ანალიზის საშუალებას იძლევა. ეს მაჩვენებლები წარმოაჩენს აქტივების სტრუქტურას, მათში ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხების ხარისხსა და მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპს. კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხის განსაზღვრისას აუცილებელია ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინება, რადგან თითოეული მათგანი წარმოადგენს კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს.

კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებელია საბანკო რეიტინგების შეფასების სისტემა, საქართველოში Forbes Georgia-ის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და Ernst & Young-ის თანამშრომლობით Forbes-ის პერიოდულად ახორციელებს საქართველოს საბანკო სექტორის რეიტინგების შეფასება-გამოქვეყნებას. ბანკების შეფასება 4 ძირითადი ინდიკატორის მიხედვით ხდება: სრული აქტივები; გაცემული სესხები; ვალდებულებები და ანაბრები; კაპიტალი. შეფასებები ეროვნული ბანკისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საჯარო სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით კეთდება.

ბანკის საკრედიტო პორტფელის ქვეშ იგულისხმება: პრობლემურობის, რისკიანობის, საკრედიტო აქტივობის, ეფექტიანობის, ბრუნვადობის და საკრედიტო დაბანდებათა უზრუნველყოფის კომპლექსური ერთობლიობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ყველა ბანკი აწესებს მკაცრ კონტროლს საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. სამწუხაროდ, დღემდე საბანკო საქმის თეორიასა და პრაქტიკაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა. საერთაშორისო პრაქტიკაში საკრედიტო პორტფელის შეფასებისათვის გამოიყენება რეიტინგი, რომელიც დაფუძნებულია აგრეგირებულ მაჩვენებლებზე და მათ მახასიათებლებზე. იგი გვაძლევს საშუალებას, განვახორციელოთ ბანკების რანჟირება მათი საკრედიტო პორტფელის მიხედვით. კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შიდა ანალიზი შესაძლებელია ეფუძნებოდეს ექსპერტულ შეფასებას. უცხოელი მკვლევარები ექსპერტული აზრის ქვეშ გულისხმობენ კვალიფიციურ მოსაზრებას, რომელიც ეფუძნება ექსპერტის ცოდნას და გამოცდილებას.

კომერციული ბანკი საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასებისას ეფუძნება (ფინანსურ კოეფიციენტებს) შემდეგ მაჩვენებლებს:

1. კრედიტების ხვედრით წილი ბანკის აქტივების საერთო მოცულობაში, წარმოდგენას გვაძლევს ბანკის საკრედიტო აქტივების მოცულობაზე. საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად წარმოდგენილი მაჩვენებელი თუ აღემატება 65%-ს, ბანკს ეძლევა რეკომენდაცია, გადახედოს საკუთარ საკრედიტო პოლიტიკის, რომელიც რისკის მაღალი დონის მატარებელია;

2. ბანკის საკრედიტო პორტფელის მთლიან მოცულობაში მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სესხების ხვედრითი წილი, ასევე ეკონომიკის ცალკეული სექტორების მიხედვით სესხების მოცულობები ცალკეული სახის კრედიტების მიხედვით;

3. ვადაგადაცილებულ დავალიანებათა რაოდენობა და მისი წილი კრედიტების მთლიან მოცულობაში;

4. ვადაგადაცილებულ დავალიანებათა მოცულობის ზღვრული დონე აქტივებში, რომლებსაც მოაქვთ შემოსავალი და ბანკს შეუძლია იგი დაფაროს საკუთარი წმინდა მოგების და რეზერვების ხარჯზე;

5. მაღალი რისკის მატარებელ საკრედიტო დავალიანებათა დონის მაჩვენებელი. ასეთ დავალიანებას მიეკუთვნება მე-4 და მე-5 ჯგუფის სესხები, ფასიანი ქაღალდები, ფაქტორინგი, ლიზინგი და სხვა;

6. საეჭვო და უიმედო დავალიანებები;

7. სხვადასხვა დარგების მსესხებლებზე გაცემული კრედიტის ხვედრითი წილის თანაფარდობა საკრედიტო პორტფელის მთლიან მოცულობასთან;

8. სასესხო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების თანაფარდობა საკუთარ სასხრებთან;

9. სესხებიდან მიღებული ზარალის დასაფარად გამოყოფილი სარეზერვო ფონდის თანაფარდობა საკრედიტო პორტფელის მოცულობასთან;

10. თანაფარდობა „მომუშავე“ და „არამომუშავე“ აქტივებს შორის;

11. ნეტო და ბრუტო აქტივებს შორის თანაფარდობა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ბანკის აქტივების რაციონალურ სტრუქტურაზე და მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საკრედიტო პორტფელის ხარისხზე;

12. სხვა კოეფიციენტები.

წარმოდგენილი მაჩვენებლები გვაძლევს საშუალებას, გავაანალიზოთ ბანკის საკრედიტო პოლიტიკა, განვსაზღვროთ საკრედიტო პორტფელის რაციონალური სტრუქტურა, აქტიური ოპერაციების რისკის დონე და მათი ზემოქმედება ბანკის ლიკვიდობაზე, შემოსავლებსა და რენტაბელობაზე. საერთაშორისო პრაქტიკაში საკრედიტო პორტფელის ხარისხის რეიტინგის შეფასების ძირითად მეთოდებს განეკუთვნება ნუმერაციის, ბალების და საინდექსო სისტემები.

ნუმერაციის სისტემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რისკის ცალკეული ჯგუფებისთვის განისაზღვრება მაჩვენებელთა ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც ხდება მათზე საკრედიტო პორტფელის კონკრეტული ელემენტის მიკუთვნება. ნუმერაციული სისტემის შესწავლისას უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ძირითადად აგებულია ექსპერტულ აზრზე, რომელიც ძალიან ძნელია გამოვხატოთ რაოდენობრივად, რამდენადაც სუბიექტური იქნება აღნიშნული სისტემა, მით მეტი შეცდომა იქნება დაშვებული საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასებისას.

უფრო რთული მეთოდის ფარგლებში რეიტინგის აგებისთვის გამოიყენება შეფასების ბალური სისტემა, რომელიც იძლევა საშუალებას, შევადგინოთ ცალკე აღებული სესხი ბალებში და მივანიჭოთ თითოეულს შეფასების მაჩვენებელი. ბალური შეფასების სისტემის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს და შემუშავდება ბანკის, კლიენტისა და საკანონმდებლო ბაზის თავისებურებიდან გამომდინარე. მის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ცუდი ადაპტაცია ცალკეული კატეგორიის სესხების და მსესხებლის მიმართ. მსესხებლებისგან ინფორმაციის საიმედოობის სირთულე და ა.შ.

ზემოთ აღნიშნულ სისტემებთან ერთად, მსოფლიო საბანკო რეიტინგების სისტემის პრაქტიკაში გამოიყენება რეიტინგების ინდექსური მეთოდი, რომლის გამოყენებისას ინდექსის გამოთვლა წარმოებს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის თითოეული მაჩვენებლის მიხედვით. გაანგარიშება აწარმოებს საბაზრო მაჩვენებლებზე დაყრდნობით ან გასაშუალებული მაჩვენებლების გამოყენებით, დინამიკაში რამდენიმე წლის განმავლობაში ცალკეული მაჩვენებლების ინდექსების გამოთვლის შემდეგ გადადიან კომბინირებული ინდექსების გამოთვლაზე.

კომერციული ბანკები საკრედიტო პორტფელის ხარისხის განსაზღვრისთვის იყენებენ საკრედიტო რეიტინგებს, რომლებიც დგინდება წამყვანი სარეიტინგო კომპანიების მიერ, მაგალითად “Standard&Poor’s”, “Fitch IBCA”, “Moody’s Investors Service”. თითოეული სააგენტო ყველა მნიშვნელოვანი საბაზრო ფაქტორის მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს. ასევე, ეკონომიკური და პოლიტიკური მონაცემების შეგროვებას და მათი ანალიზის საფუძველზე ანიჭებს რეიტინგს (ოფიციალური საიტი სააგენტო „Standard&Poor’s“. www.standardpoors.com). საკრედიტო რეიტინგი ხშირად გამოიყენება ბანკებისა და სხვა საფინანსო შუამავლების მიერ დაკრედიტების დროს გადაწყვეტილების მისაღებად.

ფინანსური გლობალიზაციისა და საბანკო საქმის ინტერნაციონალიზაციის შეუქცევადმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა საბანკო ზედამხედველობის ერთიანი პრინციპების საერთაშორისო დონეზე უნიფიცირების საკითხი. ამ მიზნით 1974 წელს შეიქმნა „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი“. ბაზელის კომიტეტის ძალისხმევა მიმართულია საბანკო ზედამხედველობის ხარისხის ამაღლებისაკენ, უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას ცენტრალურ ბანკებს შორის. საზედამხედველო საკითხებთან დაკავშირებით ბაზელის კომიტეტმა მიიღო ცნობილი დოკუმენტები: „ეფექტიანი ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები“, „ბაზელ-I“ ითვალისწინებს თითოეული ბანკისთვის საკრედიტო რისკის შეფასების შიდა რეიტინგების მოდელის გამოყენებას, რეიტინგების სისტემა კი უნდა აკმაყოფილებდეს რეგულატორების მოთხოვნებს. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი რეგულარულად ახორციელებს საზედამხედველო მოთხოვნების გადასინჯვას კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის, საკრედიტო რისკების,

რეზერვების შექმნას სიდიდის და მოცულობის მიმართ. „ბაზელ-II“-ის შესაბამისი ფინანსური მაჩვენებლები განსაზღვრულია ბაზელის კომიტეტის დირექტივებში საბანკო ზედამხედველობის შესახებ, რომელიც საკრედიტო რისკის შეფასების სამი მიდგომიდან ერთ-ერთის შერჩევას შესაძლებლობას იძლევა: – სტანდარტიზებული მიდგომა – საკრედიტო რისკის გაზომვა სარეიტინგო აგენტების საგარეო შეფასების საფუძველზე, რისკების განაწილება აქტივების კატეგორიების შესაბამისად ბაზელ II-ში, ყველაზე მარტივი მეთოდებით კაპიტალის გაანგარიშებას; – საბაზო მიდგომა შიდა რეიტინგების მიხედვით – IRB Foundation: საბაზო მიდგომისას ბანკებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გამოავლინონ დეფოლტის ალბათობა, რისკის დანარჩენი კომპონენტების შეფასების გამოყენებით; – წინ წაწეული მიდგომა შიდა რეიტინგების საფუძველზე – IRB Advanced: ბანკებს მინიჭებული აქვთ უფლება, დამოუკიდებლად შეაფასონ რისკის ყველა კომპონენტი: დეფოლტის ალბათობა, დანაკარგების ხვედრითი წილი კონტრაგენტის დეფოლტისას.

დასკვნა

კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხის ანალიზისას გაირკვა რომ ამ პროცესის მართვაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. კომერციული ბანკებიც საკრედიტო პორტფელის ხარისხის განსაზღვრისთვის იყენებენ საკრედიტო ხარისხის შეფასების სხვადასხვა მეთოდებს. მათან შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე მათგანი, რომლებიც გამოიყენება ბანკებისა და სხვა საფინანსო შუამავლების მიერ დაკრედიტების დროს გადაწყვეტილების მისაღებად.

საკრედიტო პორტფელში აუცილებელია ურთიერთკავშირში იქნეს განხილული სასესხო და მასთან გათანაბრებული დავალიანებები, ასევე აუცილებლად გაეთვალისწინოთ ურთიერთკავშირი საკრედიტო პორტფელის ელემენტებს შორის და დავახასიათოთ ახალი ეკონომიკური კატეგორიის პოზიციიდან;

თანამედროვე ეკონომიკური კრიზისების დროს საკრედიტო პორტფელის „პრობლემურობა“ გვევლინება პირველ ადგილზე, რადგან საკრედიტო პორტფელის დროული დიაგნოსტიკა გვაძლევს საშუალებას, შევამციროთ პორტფელში ვადაგადაცილებული ამოღების უიმედო კრედიტთა რაოდენობა და დაბლა დაწვით ბანკის შესაძლო დანაკარგები;

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების დაჯგუფება მიკროფაქტორებად და მაკროფაქტორებად;

კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხის განსაზღვრისას აუცილებელია კრიტერიუმების გათვალისწინება, რადგან თითოეული მათგანი კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს წარმოადგენს;

კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებელია საბანკო რეიტინგების შეფასების სისტემა, საქართველოში Forbes Georgia-ის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და Ernst & Young-ის თანამშრომლობით Forbes-ის პერიოდულად ახორციელებს საქართველოს საბანკო სექტორის რეიტინგების შეფასება-გამოქვეყნებას.

ამრიგად, წარმოდგენილი მაჩვენებლები გვაძლევს საშუალებას, გავანალიზოთ ბანკის საკრედიტო პოლიტიკა, განვსაზღვროთ საკრედიტო პორტფელის რაციონალური სტრუქტურა, აქტიური ოპერაციების რისკის დონე და მათი ზემოქმედება ბანკის ლიკვიდობაზე, შემოსავლებსა და რენტაბელობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარბაქაძე ხ., საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში, თბ., 2016.
2. ბერიძე რ., საბანკო მენეჯმენტი, თბ., 2009.
3. ბალცეროვიჩი ლ., სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბ., 2002.
4. გოგოხია მ., საბანკო საქმე, თბ., 2007 წ.
5. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2014.
6. ქოქიაური ლ., საბანკო საქმის საფუძველები, თბ., 2014.

Khatuna Shalamberidze

CREDIT PORTFOLIO OF COMMERCIAL BANKS AND ITS QUALITY ASSESSMENT INDICATORS Summary

Quality analysis of the commercial banks' credit portfolio show that many factors affect the management of this process. Commercial banks also use different methods of credit quality assessment to determine the quality of credit portfolio. It may be possible to identify some of those who use banks and other financial intermediaries to make a decision on lending.

In the credit portfolio it is necessary to review the lending and equal debt in the relationship, as well as to consider the relationship between credit portfolio elements and characterize the new economic position.

While defining the quality of the credit portfolio of commercial banks it is necessary to take into account criteria, as each of them represents the different aspects of the credit activities of the commercial bank;

The performance of commercial banks' performance is estimated by Forbes Georgia, in cooperation with the National Bank of Georgia and Ernst & Young. Forbes periodically carries out ratings of Georgian banking sector ratings.

While defining credit portfolio quality, the commercial bank is based on the following indicators:

1. The share of credits in the total volumes of the bank's assets, shows the bank's credit assets volume it according to international standard the indicator is higher than 65%, the bank it is recommended to review its own credit policy, which has a high level of risk;

2. In the bank's credit portfolio's overall volume, and the share of short, medium long-term loans, and the volume of loans depending on the individual types of credits according to different sectors of economy;

3. The number of overdue debts and its share in the volume of credit as a whole;

4. Marginal level of overdue debts in assets that bring income and the bank can cover it at the expense of its own net profit and reserves;

5. High risk credit debts level indicator 4 and 5 group loans, paid papers, factoring, leasing and others to belong such debts;

6. Suspicious and desperate debts;

7. The ratio of share of credit to the borrowers of different branches the total volume of credit portfolio;

8. Ratio of revenues from loan operations with their own means;

9. Ratio of the reserve fund allocated with cover the loss of loans to the volume of credit portfolio;

10. Ratio between "working" and "non-working" assets;

11. Ratio between net and brutto Assets, which show the rational structure of the bank's assets and significantly depends on the credit portfolio quality.

12. Other coefficients.

Thus, the presented indicators allow us to analyze the bank's credit policy, determine the rational structure of the credit portfolio, the risk of active operations and their impact on liquidity, revenue and profitability of the bank.

სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების სექცია

ზაირა ბერიძე
პაატა აროშიძე

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების თვითმმართველი ერთეულების ცხოვრების დონეზე
(აჭარის მცხოვრებლების მახალითზე)

ანოტაცია. დღეს სპორტული ტურიზმის ბუმია და ეს სფერო მომავალში აუცილებლად კიდევ უფრო განვითარდება, რაც, ტურიზმის განვითარებასთან ერთად, სპორტის სამომავლო პოპულარიზაციის გარანტიაც გახდება.

საქართველო ამ მხრივ უიმედო ქვეყანათა რიცხვში ნამდვილად არ არის და აქ სპორტული ტურიზმის განსაკუთრებულად რესურსები არსებობს. შეიძლება ჩვენთან არ არის მსოფლიოში ცნობილი კლუბები, რის სანახავადაც ჩამოსული ტურისტი ფულს გადაიხდის, მაგრამ საინტერესო ნოვაციების მოფიქრება ჩვენს ქვეყანაში მაინც შესაძლებელია, ტურისტული პროდუქტები, სხვა რესურსებთან ერთად, გარკვეულ სარგებელს მოუტანს თვითმმართველი ერთეულებების მოსახლეობას.

საკვანძო სიტყვები: სპორტი, სპორტული ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი.

შესავალი

აჭარაში უნიკალური ბუნებრივი პირობებია შექმნილი ტურიზმის თითქმის ყველა სახეობის განვითარებისათვის. ტურიზმის სხვადასხვა სახეობებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით აჭარაში ზღვაზე დასვენების ტურიზმი და ეკოტურიზმი (ღვინის ტურიზმი, ფრინველებზე დაკვირვება, ჯომარდობა) სარგებლობს. ბოლო წლებში აჭარაში ტურიზმის ისეთი სახეობები იწყებს განვითარებას, როგორცაა სოფლად ტურიზმი, სამთო-სათხილამურო ტურიზმი, საკრუიზო ტურიზმი, MICE ტურიზმი და სათამაშო ტურიზმი. თუმცა, თავისი ბუნებრივი თავისებურებებით ასევე აქტუალური ხდება სპორტული ტურიზმის განვითარება სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად, როგორცაა სამთო-სათხილამურო ტურიზმის პერსპექტივები და აქტივობები აჭარის რეგიონში. ტურიზმის ამ მიმართულების პოპულარიზაცია მოცემული რეგიონისათვის მრავალი დადებითი აქცენტის მომტანი შეიძლება გახდეს როგორც უშუალოდ აქტივობების განვითარების და ტურისტებზე ხარისხიანი მომსახურების გარანტი, ასევე ადგილობრივი მცხოვრებლების ეკონომიკური სარგებლიანობის წინაპირობა.

* * *

თანამედროვე მსოფლიოში სპორტი და სპორტის ინფრასტრუქტურა გლობალური მოვლენაა. სპორტს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში. სპორტი გავლენას ახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე, ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებასა და ადამიანთა ქცევაზე, საფინანსო-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე. სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი, ისე ეკონომიკური ფუნქცია. იგი ასევე ხელს უწყობს ქვეყანაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. ამის ნათელი მაგალითია ოლიმპიური მოძრაობა და ევროპის სპორტის ქარტია, გაეროს მიერ სპორტის, როგორც მშვიდობისა და თანასწორობის საუკეთესო საშუალების გამოყენება კონფლიქტურ ზონებში.

სპორტული ტურიზმი ერთ-ერთი მოთხოვნადი და განვითარებადი ტრენდია მსოფლიოში. საქართველოს აქვს შესანიშნავი შესაძლებლობა, ამ სფეროში მსოფლიოს მოწინავე პროფესიონალების გამოცდილება გაიზიაროს და ასევე აქტიურად ჩაერთოს ამ მიმართულების განვითარებაში.

სპორტული ტურიზმი მთელ მსოფლიოში დასვენებისა და გართობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფორმა ხდება. განსაკუთრებით ზაფხულობით, როდესაც ფართომასშტაბიანი ტურნირები ეწყობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ერთი სიტყვით, მთელ მსოფლიოში სპორტული ტურიზმის ბუმია და ეს სფერო მომავალში აუცილებლად კიდევ უფრო განვითარდება, რაც ტურიზმის განვითარებასთან ერთად, სპორტის სამომავლო პოპულარიზაციის გარანტიაც გახდება. რა თქმა უნდა, „ხელი ხელს ბანს“ და სადაც ბევრი ფული იტრიალებს, იქ ყველა კმაყოფილი და მონდომებული იქნება. და აქვე არ არის ფუჭი იდეა ის, რომ უახლოეს მომავალში შესაძლებელია საქართველოში სპორტული ტურიზმი განსაკუთრებულად განვითარდეს, რადგან საინტერესო ნოვაციების მოფიქრება აქ შესაძლებელია.

მსოფლიოს ტურისტულ ბაზარზე ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა სათავგადასავლო, კერძოდ, ექსტრემალური ტურიზმი, რომლის შეთავაზების პრივილეგია, პირველ რიგში, ისეთი ბუნებრივი პირობების მქონე ქვეყნებს შეუძლიათ, როგორც საქართველო. დღესდღეობით, ერთ-ერთ პოპულარულ ექსტრემალურ პროდუქტად შეგვიძლია ჯომარდობა მივიჩნიოთ.

საქართველო, თავისი ბუნებრივი და ისტორიული ღირსშესანიშნაობებით, თანდათან იმკვიდრებს ადგილს მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე. ჩვენი ქვეყნის პოტენციალი, ასე თუ ისე, ფარ-

თო მასებისთვის ჯერ კიდევ უცნობია, თუმცა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩაბმული საქართველოს პოპულარიზაციაში, რაც, თავისთავად გულისხმობს საერთაშორისო მოთხოვნების კვლევას და მათ შესაბამისად განვითარებას, ტურისტული დანიშნულების ადგილების თანამედროვე სტანდარტებით მოწოდებას და სხვადასხვა სიახლეების დანერგვას. ამ დარგის განვითარება კი ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან, ტურიზმი ცნობილია, როგორც ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი.

მსოფლიოში არსებული ტენდენციის მიხედვით, ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ გამოცდილებაზე/თავგადასავალზე დაფუძნებული ტურისტული პროდუქტის მოხმარებასა და ახალი ადგილების აღმოჩენას. ამ კუთხით საქართველოს უპირატესობა გააჩნია იმიტომ, რომ ის მოგზაურებისთვის ჯერ კიდევ უცნობი ადგილია თავისი მრავალფეროვანი ლანდშაფტით. საქართველოს ტერიტორია საშუალებას იძლევა სხვადასხვა ექსტრემალური სპორტის განვითარებისთვის – სამთო/ალპინისტური კუთხით კავკასიის მთიანეთი, საწყალოსნო ტურიზმის კუთხით – წყალუხვი და სწრაფი მდინარეები – რიონი, მტკვარი, ხობისწყალი, თერგი. სპელეოტურიზმისთვის კი შესანიშნავ პირობებს ქმნის დასავლეთ საქართველო (სამეგრელო, რაჭა).

ნებისმიერი მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება ყოველთვის სასურველია, თუმცა ანალოგიური გამოცდილებების პირდაპირ გადმოტანა საქართველოში არ არის მიზანშეწონილი სხვადასხვა ეკონომიკურ, სოციალურ თუ გეოგრაფიულ მიზეზთა გამო. ექსტრემალური ტურიზმის მიმართულებაც თავისთავაში აერთიანებს სხვადასხვა სახეობებს, რომელსაც განვითარების ინდივიდუალური სპეციფიკა გააჩნია და კომპლექსურად უნდა იქნეს განხილული. ექსტრემალური ტურიზმი ერთ კონკრეტულ ქვეყანასთან არ ასოცირდება. ტურიზმის ადმინისტრაცია პერიოდულად თანამშრომლობს უცხოელ სპეციალისტებთან ერთად და იზიარებს მათი ქვეყნის მაგალითს.

ტურისტული პროდუქტისა და მცირე ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული ტურისტული პროდუქტის განვითარებაზეც, განსაზღვრული აქვს ყოველწლიური ბიუჯეტი და სამოქმედო გეგმა.

„დაიჭირე და გაუშის“ პრინციპის დაცვით, საქართველოში უკვე სპორტული თევზაობის ტურნირი ჩატარდა. ტურნირი მტირალას ეროვნულ პარკში, მდინარე ჩაქვისწყალზე გაიმართა და მისი მიზანი საქართველოში სპორტული თევზაობის დანერგვა და ახალი ტურისტული სერვისის წარდგენა იყო.

ტურნირი საქართველოს გაშოლტვით მეთევზეთა კლუბის ორგანიზებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერით ჩატარდა.

„მსგავსი მოქმედებებით პოპულარიზაციას ვუწევთ სარეკრეაციო თევზაობას, რაც დაჭერილი თევზის უკან, მდინარეში დაბრუნებას გულისხმობს. ეს სიახლე ქართულ რეალობაში და მას პოპულარიზაცია სჭირდება. სპორტული თევზაობა, დაჭერა გაშვების პრინციპით, ბუნებას არ აზიანებს და ეკოტურიზმის მიმართულებითაც ძალიან მნიშვნელოვანია, უცხოეთში ამ სპორტის მოყვარულები, რომლებიც მთელ მსოფლიოში მოგზაურობენ, ძალიან მრავლად არიან და ეს საქართველოში ამ ტიპის ტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია სპორტული თევზაობის მხარდაჭერას აქტიურად აპირებს“.

სპორტული ტურიზმის ძირითად მომხმარებლებად ითვლება ჯგუფი, რომელიც შედგება ჩვეულებრივი ადამიანებისაგან, რომელთაც სურვილი აქვთ, მოგზაურობის დროს დააკავდნენ შერჩეული სპორტის სახეობით;

დასავლეთ საქართველო და, უფრო კონკრეტულად, აჭარა სპორტული ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო დესტინაციაა სხვადასხვა მიმართულებებით:

- ა) „ბერდვოჩინგი“ ნიშნავს ფრინველებზე დაკვირვებას;
- ბ) სამთო-სათხილამურო ტურიზმის სპეციალურ სახეებს მიეკუთვნება, რადგანაც ის ტურიზმის კომბინირებულ სახედ ითვლება და მოიცავს სამკურნალო-გამაჯანსაღებელ, სპორტულ, სამოყვარულ და ეკოლოგიური ტურიზმის ელემენტებს.

დასკვნა

ზემოთ ნახსენები ტურიზმის მიმართულებები, გარდა კონკრეტული აქტივობებისა, ასევე მოითხოვს დამატებით თუ ძირითად რესურსებს საქმიანობის სრული გამართულობისათვის. მაგ., განთავსების საშუალებები იმ ტურისტებისათვის, რომლებიც ჩამოდიან უცხოეთიდან კონკრეტული აქტივობებისათვის, აქვე მათთვის საჭიროა კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის გამართულობა და ა.შ. რაც მოიცავს, რომ მხოლოდ ერთი რესურსი არ არის საკმარისი ტურიზმის განვითარებისათვის, რაც თავისთავაში გულისხმობს რა თქმა უნდა, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას სხვადასხვა აქტივობებით, გესტჰაუზების მომსახურებებით, კვებითი პროდუქციის მიწოდებით თუ სხვა, და, შესაბამისად, ეტაპობრივად, ეს საქმიანობები ადგილობრივი მოსახლეობის (ფინანსური) კეთილდღეობის წინაპირობა ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი სპორტის შესახებ, თბ., 1996.
2. საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცებისა და აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ - „საკანონმდებლო მაცნე“, 2015 წ. 11.06.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის მიზნობრივი პროგრამები, ბათუმი, 2016.
4. საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტი, „სიახლეები“
5. <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14775080500101502?src=recsys>

Zaira Beridze
Paata Aroshidze

THE IMPACT OF SPORT INDUSTRY ON THE STANDARD OF LIVING OF SELF-GOVERNING UNITS (A CASE OF AJARA)

Summary

This research outlines the construction of a detailed regional economic accounting model and describes its application to assess the economic impact of sporting activities, sports events and sport tourism in the regions and localities of Ajara.

The model traces the geography of the event or activity itself and the supply chain from the local area through neighbouring areas to the regional, national and global levels. It accounts for the supply chain in each region and locality not only in terms of sales and purchases, but also in terms of gross value added, incomes and jobs.

By taking account of the different structures of local economies the model is able to address some of the social and economic concerns of sports and national, regional and local public bodies.

Sport tourism provides the host country with high media coverage. This coverage will cover not only the sporting event but also provide important information about the country's cultural and entertainment locations as well as an overall country profile.

As the range of leisure options available to the public has grown, attention has been directed to the issue of service quality and its influence on both customer acquisition and retention. This essay utilizes the literature in the areas of services marketing, tourism and service quality in an attempt to complement and enhance the existing sport tourism literature. In doing so it presents a range of concepts, models and frameworks that develop management's understanding of the multi-dimensional nature and complexities of achieving service quality in a sport tourism environment. Examples are used to relate the generic literatures to sport tourism.

ციცინო გვრიტიშვილი

სტუდენტთა ჯანმრთელობის მიმართ დამოკიდებულების სოციალურ-დემოგრაფიული ასპექტები

ანოტაცია. სტატია ეფუძნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2016-2017 წწ. სტუდენტთა შორის ხატარებელი სოციოლოგიური გამოკითხვის მასალებს, რომლის მიზანიც იყო მათი ჯანმრთელობის მიმართ დამოკიდებულების და თვითმოვლითი ქცევის თავისებურების შესწავლა.

სოციოლოგიური გამოკითხვის გრძელი მასალიდან სტატიაში გაანალიზებულია ზოგიერთი სოციალურ-დემოგრაფიული ასპექტი. კერძოდ, სტუდენტთა ჯანმრთელობის ფასეულობა ფასეულობათა იერარქიაში, მათ მიერ საკუთარი ჯანმრთელობის თვითშეფასება, ჯანმრთელობაზე ზრუნვის დონე, ჯანმრთელობაზე ზრუნვის ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: ჯანმრთელობის სოციოლოგია, ჯანმრთელობის მიმართ დამოკიდებულება, თვითმოვლითი ქცევა.

შესავალი

ჯანმრთელობისადმი დამოკიდებულება ადამიანის, საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებელია, რომელიც მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს. კაცობრიობის განვითარების ყოველ საფეხურზე თითოეული ეპოქა და კულტურა ამ დამოკიდებულებას გაიზარებდა არსებული ფასეულობებისა და ტრადიციების ჩარჩოებში. ჯანმრთელობისა და მასთან დამოკიდებული ქცევის პრობლემისადმი ინტერესი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან გაიზარდა, როდესაც დაავადებების და მოკვდაობის მიზეზთა სტრუქტურაში პირველ ადგილზე გამოვიდა დაავადებები, გამოწვეული არა გარეგანი, არამედ შიგა, ქცევითი მიზეზებით.

საქართველოში შექმნილი მძიმე დემოგრაფიული ვითარების გამო, როდესაც იკლებს ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა, სახეზეა დემოგრაფიის მასობრივი გავრცელების საშიშროება, ხოლო

ოჯახის მოდერნიზაციის პირობებში ფასეულობათა იერარქიაში ოჯახის ფასეულობა პირველობას თმობს, დიდია ქვეყნიდან შრომისუნარიანი და განსაკუთრებით ახალგაზრდათა გაღივების მასშტაბი, როდესაც გაეროს დემოგრაფთა შეფასებით, ქვეყანა „დემოგრაფიულად მომაკვდავია“, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების დემოგრაფიული ქცევების, კერძოდ მისი ერთ-ერთი სახის – თვითმოვლთი ქცევის თავისებურებების შესწავლა, ანუ აქტივობების გამოვლენა, რომელიც მიმართულია ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდისაკენ, რადგანაც ეს ჯგუფი წარმოადგენს რა ქვეყნის შრომითი და პოპულაციური რესურსის პოტენციალს, ხასიათდება დემოგრაფიულ მანევრებელთა, მ.შ. მოკვდაობის არცთუ სახარბიელო ტენდენციებით.

ახალგაზრდების ჯანმრთელობის მდგომარეობა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია მოქცეული, რადგან ნაადრევი სიკვდილიანობის შემთხვევების 2/3 და უფროსი ასაკის ადამიანების საერთო ავადობის 1/3 უკავშირდება ცხოვრების პირობებს და ქცევის ნორმებს, რომლებიც სწორედ ახალგაზრდა ასაკში ყალიბდება [მოზარდთა და ახალგაზრდების ჯანმრთელობა საქართველოში, 2015: 4].

* * *

ასეთი ვითარების გამო 2016-2017 წლებში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კვლევის ობიექტად შეირჩა სტუდენტი ახალგაზრდების თვითმოვლთი ქცევის შესწავლა. აქვე აღვნიშნავთ, რომ 15-29 წლის ახალგაზრდები შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის 22,5%, მათგან ყოველი მეექვსე სტუდენტია [შელია მ., 2017: 8], რაც მთელი მოსახლეობის 3,77%-ის ტოლია [გომელაური ნ., 2017: 114].

ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევა სტუდენტების თვითმოვლთი ქცევის თავისებურების გამოსავლენად, მეცნიერულის გარდა, პრაქტიკულადაც სიახლეა. კვლევის შედეგები ასახვას პოვებს ახალგაზრდობის სფეროში სოციალური პოლიტიკის განსაზღვრისას, რაც გარკვეულწილად ესმინება 2014 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე მსოფლიოს ქვეყნებისადმი მოწოდებას – მოზარდთა და ახალგაზრდათა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შემუშავდეს ეროვნული სტრატეგიები და პროგრამები შესაბამისი მიზნების და ინდიკატორების განსაზღვრით [Improving young people's health and wellbeing. 2014: 7].

სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა თბილისის უნივერსიტეტში. შემთხვევითი შერჩევის წესით გამოკითხა 1200 სტუდენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯანმრთელობის მიმართ დამოკიდებულების და თვითმოვლთი ქცევის შესწავლის მეთოდოლოგიური მიდგომები, მიუხედავად წარმატებებისა, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და შემდგომ კონცეპტუალურ განვითარებას მოითხოვს.

ჯანმრთელობის მიმართ დამოკიდებულება ჯანმრთელობის სოციოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის საფუძვლების ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვის XIX-XX საუკუნის სოციოლოგიის კლასიკოსებს: დიურქჰეიმს [Дюркгейм Э. 1998], ვებერს, რუტენემს, აბელს [Cockerham W... 1997: 321-342]. საკითხის განხილვა თანმიმდევრულად ხდებოდა სხვადასხვა თეორიულ პარადიგმებში, მიმდინარეობდა მკვლევართა ინტერესების გადანაცვლება ავადმყოფის, ექიმის და მედიცინის მნიშვნელობის როლიდან ჯანმრთელი ინდივიდის, მისი ჯანმრთელობის განმაპირობებელი ფაქტორების ანალიზზე.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან კი იწყება ჯანმრთელობის შესწავლის საკუთრივ სოციალური პარადიგმების დამუშავება, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია თვითმოვლთი ქცევის შესწავლა. ასეთ ვითარებაში გამოიკვეთა ის მეთოდოლოგიური სირთულეები, რაც ჯანმრთელობასთან დამოკიდებულების სოციოლოგიური ასპექტების შესწავლას ახლავს თან.

პირველ მეთოდოლოგიურ სირთულეს წარმოადგენს თვით „ჯანმრთელობის“ ცნების განსაზღვრა, რომელთან მიმართებაში მსოფლიო მედიცინაში არ არსებობს ერთიანი აზრი, რომელიც ინტეგრირებულად დაახასიათებდა ამ კატეგორიის ყველა ელემენტს [Журавлева И.В. 2006: 26].

შემდეგ მეთოდოლოგიურ სირთულეს წარმოადგენს იმ ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი, რომლებიც ზოგადად მოსახლეობის და კერძოდ ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობას განსაზღვრავს. გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ სხვადასხვა ფაქტორმა შეიძლება დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს ჯანმრთელობაზე, იყოს მუდმივი ან ცვალებადი მნიშვნელობის, ჰქონდეს ზემოქმედების სხვადასხვა ძალა და ხასიათი და ა.შ.

21-ე საუკუნიდან გაიზარდა ინტერესი ჯანმრთელობაზე მოქმედი კულტუროლოგიური ფაქტორების მიმართ, როგორებიცაა: ისტორიული და ეროვნული ტრადიციები, სოციალიზაციის თავისებურებები, სოციალური ნორმები და ფასეულობები, ფსიქოლოგიური ფაქტორები.

ამავე დროს, საყოველთაოდ იქნა მიღებული, რომ ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორებიდან ცხოვრების წესზე მოდის 50%, გარემოზე – 20%, გენეტიკაზე – 15-20% და ჯანდაცვაზე – 10-15%. თუმცა ეს დაყოფაც საკმაოდ პირობითია ქვეყნების ეკონომიკური დონიდან გამომდინარე. როგორც ვხედავთ, ჯანმრთელობის შესწავლისას ძირითადია ცხოვრების წესის კვლევა. ცხოვრების წესი სხვადასხვა ქცევით ასპექტში გამოხატული ცხოველმყოფელობის სისტემაა. ის ასახავს ამა თუ იმ კონკრეტული საზოგადოების ადამიანთა ცხოვრების ტიპურ ფორმას, მატერიალური და სულიერი

ცხოვრების სფეროში ადამიანთა ურთიერთობების ძირითად ნიშნებს [წულაძე გ., 2006: 288]. ჯანმრთელობის სოციოლოგიაში ცხოვრების წესის განხილვის განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ მისი საშუალებით ირკვევა, თუ როგორ მოქმედებენ განსხვავებული დემოგრაფიული, სტატუსური, ეროვნული, რელიგიური და სხვა მაჩვენებლების მქონე ადამიანები კეთილდღეობის ამა თუ იმ დონის დროს, ანუ წინა პლანზე გამოდის ინდივიდთა ქცევა.

თანამედროვე ეტაპზე ქცევით ფაქტორს წამყვანი ადგილი უჭირავს ჯანმრთელობის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის. ჯანმრთელობის სფეროში ინდივიდის ქცევას თვითმოვლთი ქცევა წარმოადგენს. ეს არის ადამიანის აქტივობათა და ურთიერთობათა სისტემა, რომელიც მიმართულია ჯანმრთელობის დაცვისკენ სიცოცხლის სრული ციკლის განმავლობაში და სიცოცხლის ვადის გახანგრძლივებისკენ ამ ციკლის ფარგლებში. ის შეიძლება იყოს გაცნობიერებულიც და გაუცნობიერებულიც. თვითმოვლთი ქცევა ეფუძნება საკუთარი ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მოთხოვნილებას [წულაძე გ., 2006: 99], თუმცა სოციალური ქცევის დონისას შეიძლება ამ მიმართულებით ითვალისწინებდეს სხვა ადამიანის მოთხოვნილებებსაც. ის პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს წარმოადგენს, თუმცა მასში გაერთიანებულია ბიოლოგიური ელემენტებიც [Антонов А.И. 2010: 437-438].

ინდივიდის ჯანმრთელობისადმი დამოკიდებულება, რომელიც მის თვითმოვლთი ქცევაში აისახება, გულისხმობს: 1) ინდივიდის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას; 2) ჯანმრთელობასთან, როგორც სასიცოცხლო ფასეულობასთან მიმართებას; 3) საკუთარი ჯანმრთელობით და ცხოვრებით კმაყოფილების გამოვლენას; 4) ინდივიდის ქმედებებს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

ჯანმრთელობასთან დამოკიდებულების შესწავლის დროს განსაკუთრებით საყურადღებოა ობიექტური და სუბიექტური მაჩვენებლები.

ობიექტური მაჩვენებლები რეალურად ასახავს ინდივიდის, ჯგუფის, მოსახლეობის ჯანმრთელობას დაავადებათა შესაბამისი მაჩვენებლების მეშვეობით, ჯანმრთელობისადმი დამოკიდებულების სუბიექტურ მხარეს ასახავს ჯანმრთელობის სფეროში მოქმედი მოტივების სტრუქტურა. მოტივების კომპლექსში გამოყოფენ ორიენტაციას კარგ ჯანმრთელობაზე, როგორც თვითმიზანს (ფუნდამენტური ფასეულობა) და ჯანმრთელობაზე, როგორც წარმატებული მუშაობის, კარიერის, გარკვეული მიზნების მიღწევის საშუალებას. ჯანმრთელობის სფეროში მოტივაციის სტრუქტურა ყალიბდება ადამიანის სიცოცხლის მანძილზე და ასახავს მისი სოციალიზაციის თავისებურებებს.

ამჟამად საზღვარგარეთ ყველაზე უფრო გავრცელებულია აბრაჰამ მასლოუს მოტივაციის „პერსონოლოგიური“ თეორია, რომლის მიხედვითაც, ჯანმრთელად ყოფნის მოთხოვნილება უმაღლესი დონის – თვითრეალიზაციის შემადგენელი კომპონენტია [Маслоу А. 2002; Маслоу А. 1999].

ჩვენ ვიზიარებთ ქართველი დემოგრაფების – გ. წულაძის და ა. სულაბერიძის მოსაზრებას, რომ „ისე როგორც რეპროდუქციული ქცევის შემთხვევაში, თვითმოვლთი ქცევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლად საგნებით გამოსადეგია განწყობის ფსიქოლოგია. თვითმოვლთი ქცევის განწყობა წარმოადგენს პიროვნების მზადყოფნას ფსიქოფიზიკური აქტივობისკენ, რომელიც მიმართულია ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდისკენ“ [წულაძე გ., სულაბერიძე ა. 2015: 227].

დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2016 წ. ჩატარებული კვლევა სტუდენტების თვითმოვლთი ქცევის და სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხებზე სწორედ ამ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე იყო აგებული. ანკეტა მოიცავდა 28 კითხვას, სიცოცხლის ხანგრძლივობის და მ. როკინის ფასეულობათა ორიენტაციების გამოსავლენ ტესტებს.

სტატის ფორმატიდან გამომდინარე ჩვენ არ განვიხილავთ ყველა შედეგს, წარმოვადგენთ მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს.

კვლევით გამოვლინდა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა მეოთხედისთვის ჯანმრთელობა ფასეულობათა იერარქიაში პირველ ადგილზეა. ამასთან, ვაჟების მაჩვენებელი (32%) თითქმის 2-ჯერ აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს (17%).

იმ რესპონდენტებიდან ვისთვისაც ჯანმრთელობა პირველი რიგის ფასეულობაა, მხოლოდ 33% ზრუნავდა მასზე მუდმივად, დანარჩენი 67%-დან 38% ზრუნავდა მხოლოდ ავადმყოფობისას, 37%-ის პასუხები კი ერთობ შემამოფოთებელი და დამაფიქრებელი იყო. ჯანმრთელობაზე არზრუნვის მიმართ დამოკიდებულებას ხსნიდნენ ისეთი მიზეზებით, როგორცაა „არაფერში არ მინდა შევიზღუდო თავი“, „არ მყოფნის ნებისყოფა“, „არ ვიცი როგორ ვიზრუნო“.

ჯანმრთელობის თვითშეფასებით გამოვლინდა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 44,6% საკუთარ ჯანმრთელობას აფასებდა „კარგად“ (მ.შ. მამაკაცთა 52,0% და ქალები 37,1%), „დამაკმაყოფილებლად“ – 47,5% (40,1% მამაკაცი, 54,7% ქალი), „ცუდად“ – 5,7% (მამაკაცი – 6,2%, ქალი – 5,2%). პასუხი არ მიუთითა – 2,2%.

მამაკაცების მხრიდან საკუთარი ჯანმრთელობის „კარგად“ თვითშეფასების უფრო მაღალი მაჩვენებელი ქალებთან შედარებით – ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ტრადიციული მამაკაცური და ქალური ქცევის მოდელების დადასტურებაა. მამაკაცები ყოველთვის უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ საკუთარ ჯანმრთელობას!

მიუხედავად საკუთარი ჯანმრთელობის მაღალი შეფასებისა, სტუდენტი ვაჟები უფრო ნაკლებად ზრუნავენ მასზე, ვიდრე გოგონები: ექიმს უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდა, თვითმკურნალობას ეწეოდა, მკურნალობდა ხალხური მედიცინის საშუალებებით, იღებდა წამლებს ახლობელთა რჩევით – გამოკითხულ ვაჟთა 51,9%. ქალებისათვის ეს მაჩვენებელი 39,1%-ის ტოლია.

გამოიკვეთა, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვის ფაქტორებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცხოვრების წესს, ვიდრე სამედიცინო შემოწმებებს. ცხოვრების წესის შემაღლებელი კომპონენტებიდან პირველ ადგილზე დასახელდა ჰიგიენის წესების დაცვა – 34,3% (მამაკაცები – 31,3%, ქალები – 37,3%), შემდეგ კვების სწორი რეჟიმი – 25% (მამაკაცები – 21,2%; ქალები – 29,3%), სისტემატური სამედიცინო შემოწმება – 14% (მამაკაცები – 12,4%; ქალები – 16,2%), საკმაოდ დაბალია სისტემატური სპორტული დატვირთვის მაჩვენებელი, განსაკუთრებით ქალი სტუდენტებისათვის – 5,4%, ვაჟებში ანალოგიური მაჩვენებელი – 20,8%-ის ტოლია. ასევე დაბალია დასვენების რეჟიმის მაჩვენებლები – 10,6% (მამაკაცები – 11,7%, ქალები – 9,3%).

რაც შეეხება ჯანმრთელობაზე ზრუნვის პროფილაქტიკური შემოწმების მაჩვენებლებს, მათთვისაც კი, ვისთვისაც ჯანმრთელობა პირველი რიგის ფასეულობაა – ის დაბალია – 15,6%, რაც, სავარაუდოდ, ფასეულობების და პრიორიტეტების აცდენით შეიძლება აიხსნას [მენაბდიშვილი ლ. 2017: 93]. ამასთანავე, თუნდაც ექიმის მიერ დანიშნულ რეკომენდაციებს არ ან ნაწილობრივ ასრულებს სტუდენტთა დაახლოებით 45%. ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ სტუდენტთა საკმაოდ დიდ ნაწილში თვითმოვლათი ქცევის ნორმები მყარი არ არის და აიხსნება ოჯახში მათი სოციალ-იზაციის პროცესში დაშვებული ხარვეზებით. გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ სტუდენტთა 17%-ის ოჯახებში ჯანმრთელობაზე ბავშვობიდან ზრუნვა მიღებული არ ყოფილა.

სტუდენტთა მოსაზრებების ანალიზით ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ, შემდეგი სურათი გამოიკვეთა. პირველ ადგილზე დასახელდა ცხოვრების პირობები – 36%. შემდეგ საკუთარ თავზე ზრუნვა – 32,3%, მემკვიდრეობითობა (გენეტიკა) – 15% და ბოლოს ეკოლოგია – 14%.

სტუდენტებში სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ჯანმრთელობაზე ზრუნვის გავლენა შესწავლილ იქნა სიცოცხლის ხანგრძლივობის ტესტით. შეკითხვები ეხებოდა რესპონდენტთა საცხოვრებელ გარემოს, ოჯახურ მდგომარეობას, სპორტულ დატვირთვას, ძილს, ბედნიერების ხარისხის და ფსიქიკური წონასწორობის თვითშეფასებას, გენეტიკურად სიცოცხლის ხანგრძლივობის დონეს, წონას, სივარცის წყვის და ნარკოტიკების მოხმარების სიხშირეს. შევეხებით მხოლოდ რამდენიმე მათგანის შედეგებს, მ.შ. ისეთ მანვე ჩვენებთან დამოკიდებულებას, როგორცაა თამბაქოს, ნარკოტიკული საშუალების და ალკოჰოლის მოხმარება სტუდენტებში.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ ვაჟ სტუდენტთაგან თამბაქოს ეწეოდა 29,7% (მ.შ. – ვაჟების – 41,1%; ქალების – 18,2%), ნარკოტიკული საშუალებები არასოდეს ჰქონდა გასინჯული გამოკითხულ რესპონდენტთა 73,8%, მაგრამ ვაჟების 32,2 და ქალების 5,9% გასინჯული ჰქონდა ერთხელ მაინც. ხშირი მოხმარებელი იყო – ვაჟების 2,5 და გოგონების 0,4%. რაც შეეხება ალკოჰოლის მოხმარებას – 36,9% მას თვეში ერთხელ მიმართავდა (ვაჟების 35,7%; გოგონების 38,0%), სავსებით არ სვამდა – 31,1% (მამაკაცების 13,5% და ქალების 48,9%).

საინტერესო პასუხები დაფიქსირდა მარიხუანას ლეგალიზაციასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა – 52% ამ მოსაზრებას არ იზიარებდა [მენაბდიშვილი ნ. 2017: 108].

ჯანმრთელობაზე მოქმედ ნეგატიურ ფაქტორთა შორისაა სტრესული სიტუაციები ოჯახში და ოჯახის მიღმა სოციალურ გარემოცვაში.

ცნობილი მკვლევარის, ფსიქოლოგის, კონფლიქტოლოგის გ. სელიეს აზრით, „ბევრ თანამედროვე დაავადებას, უპირველეს ყოვლისა ქრონიკულს, აერთიანებთ ერთი რამ – სტრესის მიმართ დარღვეული ადაპტაცია, ანუ „ადაპტაციის დაავადებები“, ფართო გაგებით – ეს „მოქმედებაა ადამიანის ორგანიზმზე“ [Селье Г.О. 1975; Селье Г.О. 1979].

სტრესი, სტრესული სიტუაციები თანამედროვე ადამიანის მუდმივი თანამგზავრია და სოციალურ მახასიათებლად იქცა. მუდმივად სტრესულ სიტუაციაში ყოფნა განაპირობებს არა მარტო ფსიქოსომატურ დაავადებებს, არამედ სოციალურსაც (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ახარტული თამაშებით გატაცება, ტუბერკულოზი და სხვა).

საინტერესო სურათი გამოიკვეთა შიგა ოჯახური ურთიერთობების სტუდენტთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების კვლევისას. სტუდენტთა 70,4% მიუთითებს, რომ მისი ოჯახის წევრებს შორის კარგი ურთიერთობებია, მაგრამ მხოლოდ 55%-მა მიუთითა, რომ ოჯახური ურთიერთობები მასზე დადებითად მოქმედებს. რთული გასარკვევია, რამდენად გულწრფელები იყვნენ ამ შემთხვევაში რესპონდენტები. ოჯახში ურთიერთობების ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას მიუთითა მხოლოდ 9,7%. ეს მაჩვენებელი 1,25-ჯერ აღემატება ოჯახის გარეთ ცუდი ურთიერთობების გავლენის მომხდენ მაჩვენებელს – 7,7%.

თვითმოვლათი ქცევის დასახასიათებლად ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია სიცოცხლის იდეალურ, სასურველ და სავარაუდო (მოსალოდნელ) ხანგრძლივობას [წულაძე გ., სულაბერიძე ა. 2015: 229].

სიცოცხლის იდეალურ ხანგრძლივობად სტუდენტებმა დაასახელეს 83,1 წელი (მამაკაცებმა – 84,8; ქალებმა – 86,4 წელი), სასურველ ხანგრძლივობად – 82,5 წელი (მამაკაცებმა – 83,2; ქალებმა – 83,9), მოსალოდნელ ხანგრძლივობად – 73,3 წელი (მამაკაცებმა – 78,3; ქალებმა – 79,2). კითხვაზე „დიდხანს სიცოცხლე“ – ეს ნიშნავს იცოცხლოთ ... რამდენ წელს? პასუხები შემდეგნაირად განაწილდა – გამოკითხული სტუდენტებისთვის დიდხანს სიცოცხლის მახვენებელი 93,5 წელია. მამაკაცებისთვის – 95,7, ხოლო ქალებისთვის 93,5.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, სტუდენტებს შორის არსებობს დიდხანს სიცოცხლის განწყობა, რასაც ვერ ვიტყვით თვითმთავლითი ქცევის დონეზე.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდობასთან დაკავშირებით ისეთი გონივრული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც შესაბამისი იდეოლოგიის ფარგლებში აამაღლებს ახალგაზრდების თვითმთავლითი ქცევის კულტურას. გახდება სტიმული ჯანმრთელობის შენარჩუნების და რისკების თავიდან აცილების საქმეში. როგორც ჯანმრთელობის სოციოლოგიის ცნობილი მეკლევარი მეკანიკი აღნიშნავს, „ქცევა ჯანმრთელობის სფეროში არ საჭიროებს გაცნობიერებულ მოტივაციას და განსაკუთრებულ ძალისხმევას. ქცევა უფრო მეტად საზოგადოების კულტურის და სოციალური სტრუქტურის ზემოქმედების შედეგია, ვიდრე პიროვნული მოტივების და რწმენისა. შეგნებულ მოტივაციაზე დამოკიდებული ქცევების სქემები ნაკლებად მყარია, ვიდრე ისინი, რომლებიც სოციალურ ნორმათა და ტრადიციების უშუალო შედეგებს წარმოადგენენ. მაგ., საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოხმარების აკრძალვა, გამაჯანსაღებელი სირბილით მასობრივი გატაცება და ა.შ. მოსახლეობაზე უფრო მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე ნებისმიერი ინდივიდუალური ქცევის შეცვლისკენ მიმართული ნებისმიერი პროვიდაქტიური პროგრამა“ [Mechanic D. 1990: 16-22].

გამოყენებული ლიტერატურა

1. გომელაური ნ., 2017. ახალგაზრდების სოციალური ჯანმრთელობა და სოციალური უსაფრთხოება. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული. თბ.
2. მენაბდიშვილი ლ., 2017. საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა სტუდენტებში. დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული. თბ.
3. მენაბდიშვილი ნ., 2017. სტუდენტთა დამოკიდებულება ცხოვრების ჯანსაღი წესისადმი. დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული. თბ.
4. მოზარდთა და ახალგაზრდების ჯანმრთელობა საქართველოში. 2015. NCDC.
5. შელია მ., 2017. საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევის თავისებურებები. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული. თბ.
6. წულაძე გ., 2006. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ.
7. წულაძე გ., სულაბერიძე ა. 2015. დემოგრაფიის საფუძვლები. სახელმძღვანელო. თბ.
8. წულაძე გ., სულაბერიძე ა. 2015. დემოგრაფიის საფუძვლები. სახელმძღვანელო. თბ.
9. Cockerham W., Rutten A., Abel T. 1997. Conceptualizing Contemporary Health Lifestyles: Moving Beyond Weber//Sociological Quarterly 38.
10. Improving young people's health and wellbeing. 2014. – A. framework for public health – Public Health England.
11. Mechanic D. 1990. The Promoting Health//Society, 27(2).
12. Антонов А.И. 2010. Редактор. Социология семьи. М.
13. Дюркгейм Э. 1998. Самоубийство, СПбБ.
14. Журавлева И.В. 2006. Отношение к здоровью индивида и общества. М.
15. Маслоу А. 1999. Мотивация и личность. СПб: Евразия.
16. Маслоу А. 2002. По направлению к психологии быта. М., Эксмо-Пресс.
17. Селье Г.О. 1975. О стрессах. Здоровье мира. М., 1975.
18. Селье Г.О. 1979. Стресс без дистресса. М., 1979.

Tsitsino Gvritshvili

SOCIAL-DEMOGRAPHIC ASPECTS OF STUDENTS' ATTITUDE TOWARD HEALTH

Summary

The article is based on the materials of sociological survey, carried out among students by Ilia State University Institute of demography and sociology in 2016-2017, the aim of which was to study their attitudes toward health and peculiarities of their self-preservative behavior.

Concentrating attention on the research of youth's, among them students' attitude toward health is stipulated by the fact that the mentioned group, posing as the potential of a country's labor and population resources, is characterized by not so enviable tendencies of demographic indicators, including mortality.

In addition to the results of the sociological survey, the article also incorporates materials from 2014 Georgian population census, together with the works of Georgian and foreign scientists holding jobs in the field of sociology. The presented article deals with the approved methodological approaches, which are important in terms of social-demographic analysis of population's attitude toward health.

Out of the vast material derived from the sociological survey conducted on the basis of the mentioned methodological approaches, the article analyzes only some of the social-demographic aspects. Namely, how students value their health in the hierarchy of value system, self-assessment of their own health, the level and factors of healthcare.

With the help of the data received from life expectancy tests, the work further investigates attitudes toward such harmful and risky behaviors as smoking, consumption of alcohol and narcotics among students.

Lastly, the article touches upon the impact of family and beyond-family relationships on the health of students, as well as their opinions regarding ideal, desired and expected life expectancy.

ნინო გომელაური

თვითმოვლითი ქცევა და ახალგაზრდების სოციალური უსაფრთხოება

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ახალგაზრდების ჯანმრთელობა, როგორც საზოგადოების სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებელი. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მიმდინარე ცვლილებებმა გამოიწვია მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა, შემცირდა სიცოცხლის ხანგრძლივობა, რაც დემოგრაფიული კრიზისის ერთ-ერთი ფაქტორია.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ჯანმრთელობა, თვითმოვლითი ქცევა, სოციალური უსაფრთხოება, დემოგრაფიული კრიზისი.

შესავალი

საზოგადოების სოციალური პოტენციალი და მისი უსაფრთხოება განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა, მისი სოციალური ჯანმრთელობის დონით, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის. ახალგაზრდების ჯანმრთელობა ასახავს თანამედროვე და მომავალი საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობას, ასევე განიხილება, როგორც საზოგადოების სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებელი. უსაფრთხოების მოთხოვნილება დამახასიათებელია როგორც ცალკეული ინდივიდისთვის, ასევე ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. თანამედროვე საზოგადოებაში ეს მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება, ასახავს სოციალური რისკების გავრცელების პროცესს სხვადასხვა მიმართულებით. სოციალური უსაფრთხოება სოციალური სისტემის ფუნქციონირების საშუალებაა, უზრუნველყოფს საზოგადოების მთლიანობას, მდგრადობას და სიცოცხლისუნარიანობას.

* * *

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმებში დაშვებულ შეცდომებს მოჰყვა ქვეყანაში ცხოვრების დონის დაცემა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის დეფორმაცია; საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, დევიციური ხასიათის სოციალური და კულტურულ-მორალური ქცევის გავრცელებამ ნეგატიური სოციალური შედეგები მოიტანა და მნიშვნელოვნად გააუარესა მათი სოციალური ჯანმრთელობა. მოსახლეობის საერთო დაავადებათა და მოკვდაობის ზრდის ფონზე სტაგნაციას განიცდის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა, რომლის მაჩვენებელმა 2016 წელს მამკაცებში 68,64, ხოლო ქალებში – 77,24 წელი შეადგინა [Tsuladze G. 2016: 264]. უფრო მეტიც, საგანგაშოა, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მათ შორის არსებული მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის არსებული სხვაობის მაღალი მაჩვენებელი (8-9 წელი), რაც შობადობის შემცირების, ემიგრაციის მაღალი დონის და სხვა სოციალურ-დემოგრაფიულ პრობლემებთან ერთად, აღრმავებს დემოპულაციის პროცესს. ყოველივე აღნიშნული, სხვა პრობლემებთან ერთად, კიდევ უფრო ამძაფრებს ქვეყნის საერთო უსაფრთხოებაში არსებულ კრიზისს. ამ თვალსაზრისით ერთობ საგანგაშო ვითარებაა სოციალური ჯანმრთელობის მიმართულებით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

სოციალური ჯანმრთელობა წარმოგვიდგება, როგორც ისტორიული და სოციოკულტურული ფაქტორებით განპირობებული კატეგორია. მას მნიშვნელოვნად განაპირობებს „ცხოვრების ხარისხი“ და „ცხოვრების წესი“. ზოგიერთი მეცნიერი ცხოვრების მაღალი ხარისხის ძირითად მაჩვენებლებად მიიჩნევს იმ ინდიკატორთა ერთობლიობას, რომლებიც ასახავს ინდივიდის მდგომარეობას მოცემულ საზოგადოებაში [Беляева Л. А. 2009: 36-37].

ცხოვრების წესი ასახავს კონკრეტულ ისტორიულ პირობებში საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სოციალური ყოფის სპეციფიკური ფორმებისა და საშუალებების რეალიზაციას.

სოციალური ჯანმრთელობის ძირითად ელემენტს წარმოადგენს ინდივიდის ან ჯგუფის თვითმოვლითი ქცევა. თვითმოვლითი ქცევის წესებისა და ნორმების, ქმედებებისა და ურთიერთობების დარღვევა გარდაიქმნება თვითგამანადგურებელ ქცევაში. თვითმოვლითი ქცევის საფუძველია ინდივიდის დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობისადმი და ყალიბდება მისი სო-

ციალიზაციის პროცესში. ოჯახი და სკოლა, თვითაღზრდასთან ერთად სოციალიზაციის ძირითადი აგენტებია თვითმოვლეთი ქცევის კულტურის ფორმირების გზაზე, რამდენადაც ინდივიდის დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობისადმი, ფიზიკური შესაძლებლობებისა და უნარებისადმი წარმოადგენს აღზრდის ინტეგრირებულ შედეგს,

ახალგაზრდების ჯანმრთელობას და ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მთელ მსოფლიოში, რაც იმითაა განპირობებული, რომ ნაადრევი სიკვდილიანობის შემთხვევების 2/3 და მოზრდილი ადამიანების საერთო ავადობის ტვირთის 1/3 უკავშირდება ცხოვრების პირობებს და ქცევის ნორმებს, რომლებიც სწორედ ახალგაზრდა ასაკში ყალიბდება [მოზარდთა და ახალგაზრდების ჯანმრთელობა საქართველოში 2015: 4]. გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე აღიარებულ იქნა მოზარდთა და ახალგაზრდათა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ეროვნული სტრატეგიების და პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობა შესაბამისი მიზნების და ინდიკატორების განსაზღვრით. ასამბლეის ანგარიშის მიხედვით, უპირატესად ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვას, მათი უფლებების დაცვას, სოციუმში სწორად ადაპტირებას და ა.შ. ჯანმრთელი ახალგაზრდა უკეთ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირებას, უნარ-ჩვევების სრულყოფილად გამოყენებას [Improving young people's health and wellbeing., 2014: 7].

საქართველოს მოსახლეობის 1/5-ზე მეტს (22.5%) 15-29 წლის ახალგაზრდები წარმოადგენენ 20-24 (8.1%) და 25-29 (8.0%) წლის ასაკობრივი ჯგუფების ახალგაზრდების წილი მთლიან მოსახლეობაში თითქმის თანაბარია, ხოლო 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების რაოდენობა შედარებით მცირეა (6.3%). საქართველოში ყოველწლიურად მატულობს სტუდენტთა რაოდენობა. 2016 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოში სწავლობს 140300 სტუდენტი, რაც მთელი მოსახლეობის 3.8%-ია [www.geostat.ge] აქედან გამოდინარე, სტუდენტების ჯანმრთელობაზე ზრუნვა ახალგაზრდების ჯანმრთელობის შენარჩუნების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ მოზარდობისა და ახალგაზრდობის პერიოდი ცხოვრების ჯანსაღ პერიოდს მიეკუთვნება, რამდენიმე მნიშვნელოვანი დაავადება თუ ჯანმრთელობის პრობლემა/მდგომარეობა სწორედ ამ წლების განმავლობაში იქნება. ეს პრობლემები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს: ნაადრევი და დაუგეგმავი ორსულობა; სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები; აივ ინფექცია; ფსიქიკური პრობლემები; ავტო-საგზაო შემთხვევები; თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარება; ძალადობა/თვითმკვლელობა; წამალდამოკიდებულება; კვება.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებებით, 2012 წელს მსოფლიოში 1,3 მილიონი მოზარდი გარდაიცვალა, მათ შორის 2/3 - პრევენტაბელური მიზეზებით. შემთხვევათა 97% დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში დაფიქსირდა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიშის – „მოზარდთა და ახალგაზრდების ჯანმრთელობა საქართველოში“ (2015) – მიხედვით, ახალგაზრდების ავადობის და სიკვდილიანობის მიზეზთა უმეტესობა ძირითადად პრევენტაბელურია. ჯანმოს უახლესი მონაცემებით, ახალგაზრდების სიკვდილიანობის მიზეზებია: საგზაო ტრავმატიზმი, აივ ინფექცია, თვითმკვლელობა, ქვედა სასუნთქი გზების ინფექციები და ძალადობა.

ქვეყნის ერთ-ერთ პრობლემას აბორტი წარმოადგენს, რომელთა ლეგალური რაოდენობა 1989-2015 წლებში 68883-დან 32429-მდე შემცირდა, თუმცა, როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ეს მაჩვენებელი არაზუსტია, რამდენადაც საკმაოდ მაღალია არალეგალურ აბორტთა რაოდენობა და 2015 წლის შეფასებით მათი რეალური რაოდენობა 70 ათასს აღარბებს.

ცხრილი 1

ლეგალური აბორტები ახალგაზრდა ქალთა ასაკის მიხედვით (1000 ქალზე) 2000-2015 წწ.

წლები	ასაკობრივი ჯგუფი			
	-15	15-19	20-24	25-29
2000	0,0	5,1	24,1	27,0
2005	0,0	7,4	33,0	48,0
2010	0,1	11,5	38,2	45,5
2015	0,1	11,9	49,2	66,9

წყარო: G. Tsuladze. Demographic yearbook of Georgia 2015. Tbilisi, 2016.

როგორც ცხრილი 1 გვჩვენებს, 2000-2015 წლებში ლეგალური აბორტები ყველა ასაკობრივ ჯგუფში გაიზარდა, განსაკუთრებით საგანგაშოა 15 წლამდე და 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში ლეგალური აბორტების ზრდა, რაც, უკეთეს შემთხვევაში, ქალის უნაყოფობას იწვევს, ხოლო უარეს შემთხვევაში, ქალის გარდაცვალებით შეიძლება დასრულდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეპროდუქციულ და კონტრაცეფციულ ქცევათა ერთობლიობა, სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა ფაქტორებთან ერთად, საბოლოოდ ჯამში განაპირობებს ოჯახში შვილიანობის დონეს, რაც

საქართველოში მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მახვენებელზე დაბალია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასამაღლებელია ახალგაზრდა ქალთა კონტრაცეფციული ქცევის განათლების დონე, რაზედაც დღეს პრაქტიკულად ნაკლებად ზრუნავენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც სკოლაში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში.

დღეისათვის საქართველოში ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ნარკომანიის ზრდა ახალგაზრდებში. ექსპერტების ვარაუდით, 250 ათასი ნარკოტიკისა და 50 ათასი მუდმივი, ანუ ინტრავენური მომხმარებელია აღრიცხვაზე. მათგან უმრავლესობა ახალგაზრდობაა. ნარკოდამოკიდებული ადამიანების მკურნალობის სპეციალური სახელმწიფო პროგრამა არსებობს, მათ შორის „მეტადონით“ ნარკოტიკების შეცვლის მეთოდი. ამ პროგრამაში ნარკომანთა 11.5% ირიცხება. პროგრამით შეიძლება ისარგებლონ ნარკომანებმა, რომლებიც დამოკიდებულების მოცილებას პირველად ცდილობენ, აივინფიცირებულებმა, 18-დან 25 წლამდე ასაკის ადამიანებმა და სოციალურად დაუცველებმა. ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, სულ საქართველოში ნარკოდამოკიდებულებისგან 2.2 ათასი ადამიანი მკურნალობს, მათგან 95 პაციენტია.

აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების თვალსაზრისით საქართველო დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს მიეკუთვნება, თუმცა უკანასკნელ წლებში საქართველოში აივ-ინფექციის ინციდენტობის მახვენებელი მზარდი დინამიკით ხასიათდება. 2015 წელს გამოვლინდა აივ-ინფექციის სიცოცხლეში პირველად დადგენილი 717 შემთხვევა და შიდსით გარდაცვალების 94 შემთხვევა. 15-24 წლის მოსახლეობაში აღირიცხა აივინფექციის 81 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მახვენებელი 100000 შესაბამისი ასაკის კაცზე – 16,9), რაც საერთო რაოდენობის 11.3%-ს შეადგენს.

საქართველოში თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვადასხვა საბაზისო გამოკვლევის მონაცემებით, სადღეისოდ თამბაქოს ეწევა ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 37-40%. მამაკაცებს შორის მწვევლია 50-65%, ხოლო ქალებს შორის – 16-22%. ძალზე საყურადღებოა მდგომარეობა მოზარდებს შორის. სკოლის მოსწავლეების 22.1% მწვევლია, ხოლო ქალებს შორის მწვევლობის პროგრესი კატასტროფულია – იგი ბოლო 16 წლის განმავლობაში თითქმის 6-ჯერ გაიზარდა (მათ შორის, გახშირდა თამბაქოს მოხმარება ორსულებშიც). სავარაუდოდ, ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული სხვაობა თანდათან შემცირდება, რადგან მწვევლი გოგონების რაოდენობა იზრდება, რაც მათი მომავალი რეპროდუქციული ქცევის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ახალშობილების რაოდენობის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორია.

ზემოაღნიშნულის შემდეგ გასაკვირი არ უნდა იყოს ქალთა, განსაკუთრებით მამაკაცთა დაბადებისას სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი დონე (2015 წლის შეფასებითი მახვენებლით) შესაბამისად 76,30 და 67,41 წელი. დამაფიქრებელია მათ შორის საკმაოდ სოლიდური სხვაობა **889** წელი, რაც ჩვილ ვაჟთა მოკვდაობის მაღალ დონეზე მიუთითებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტმა 2016 წელს თბილისში, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაატარა სტუდენტთა სოციოლოგიური გამოკვლევა „თვითმოვლითი ქცევა და სიცოცხლის ხანგრძლივობა“, სადაც გამოკითხულ იქნა 1118 სტუდენტი. მწვევლია გამოკითხულ ვაჟ რესპონდენტთა 42%, ხოლო გოგონა – 18%.

თვითმოვლითი ქცევაზე ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტები სამედიცინო მომსახურებით ვერ სარგებლობენ შემდეგი მიზეზების გამო: მათი 2.6% ვერ იხდის სამედიცინო მომსახურების გადასახადს, 4.8%-თვის სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი არ არის, 1.0% დროის არქონის მიზეზით, 31.4% სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურებისთვის დიდხანს ლოდინის გამო. ეს მიზეზები ერთი შეხედვით თითქოს არსებითი არ არის, მაგრამ ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანია.

გამოკითხულ სტუდენტთა 44.5% თავის ჯანმრთელობას აფასებს კარგად, 47.5% დამაკმაყოფილებლად და მხოლოდ 5.7% აფასებს ცუდად. გამოკვლევამ აჩვენა სტუდენტთა არასერიოზული დამოკიდებულება ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართ. მათი 29.7% ეწევა, 9.8% ალკოჰოლს ღებულობს კვირაში რამდენჯერმე ან ყოველდღე, 10.6% არ ეწევა ფიზიკურ აქტივობას, 22.8% არ ყოფილა ექიმთან ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

ზემოთ მოყვანილი სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი პროფესორ ა. სულაბერიძის მიერ შედარებულ იქნა ევროპის 20 ქვეყნის ანალოგიურ მახვენებლებთან, რომელთა რანჟირება მოყვანილია ცხრილში 2. რანჟირება დალაგებულია უმცირესი მახვენებლიდან სიდიდის მიხედვით. როგორც ცხრილიდან ირკვევა, საქართველოში სივარეტის მწვევლთა მახვენებელი ადემატება 9 ქვეყნის მახვენებელს და რანჟირებით მეოთხთმეტე ადგილზეა. არასასიამოვნოა, რომ კვირაში ერთხელ ან ყოველდღე ალკოჰოლის მიღების მახვენებელი ევროპის 20 ქვეყანას შორის ყველაზე მაღალია და რანჟირების მიხედვით პირველ ადგილზეა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სლოვენის მახვენებელი 0,0%. ჩვენ ვერ შევიტანთ ეჭვს გამოკვლევის ჩამტარებელთა კვალიფიკაციაში და, ვფიქრობთ, რომ იგი პასუხთა გაბნევაში არსებული სიმცირის შედეგია. გასაკვირია საქართველოსთან შედარებით რუსეთის, ლიტვის, ბულგარეთის და ზოგიერთი იმ ქვეყნის დაბალი მახვენებელიც, რომლებიც ალკოჰოლის მოხმარების მაღალი დონით ხასიათდებიან. მოყვანილი

მონაცემებიდან ევროპის ქვეყნებთან შედარებით ყველაზე საუკეთესოა ჯანმრთელობის თვითშეფასების მაჩვენებელი, რაც სასიამოვნო სიურპრიზია და რომლის რანჟირებით პირველ ადგილზე ვართ. ყველა მაჩვენებლის შეფასებით რანჟირებათა ჯამის მიხედვით საქართველო ევროპის 20 ქვეყანას შორის მე-17 ადგილზეა და მხოლოდ ლიტვაზე და რუსეთზე უკეთესი რანჟირების ჯამური მაჩვენებელი გააჩნია [სულაბერიძე ა., 2017: 38].

ცხრილი 2

18-29 წლის ახალგაზრდების თვითმოვლითი ქცევა ზოგიერთი პარამეტრით საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში 2016 წელს

	ევროპა	ალკოჰოლს დებულობენ კვირაში რამდენჯერმე ან ყოველდღე	ფიზიკურ აქტივობას არ ეწევიან	ექიმთან არ ყოფილან ბოლო 1 წლის მანძილზე	ჯანმრთელობის ცუდი ან დამაკმაყოფილებელი თვითშეფასება	ქვეყანა	ალკოჰოლს დებულობენ კვირაში რამდენჯერმე ან ყოველდღე	ფიზიკურ აქტივობას არ ეწევიან	ექიმთან არ ყოფილან ბოლო 1 წლის მანძილზე	ჯანმრთელობის ცუდი ან დამაკმაყოფილებელი თვითშეფასება	ჯამი რანგების მიხედვით
რუსეთი	38.6	5.5	34.7	37.3	22.7	3	6	1	4	2	16
ლიტვა	37.9	4.4	18.7	35.9	20.2	4	9	4	5	3	25
საქართველო	29.7	9.8	10.6	22.8	53.2	11	1	10	13	1	36
ბულგარეთი	48.2	1.0	33.0	42.4	4.2	1	15	2	2	18	38
დიდი ბრიტანეთი	26.3	6.3	9.1	24.9	18.8	15	4	11	8	4	42
ჩეხეთი	30.4	2.5	13.5	33.2	2.6	10	3	6	6	19	44
პოლონეთი	28.2	4.8	12.6	28.5	12.5	13	7	8	7	11	46
ბელგია	20.6	8.4	12.2	14.2	14.8	18	2	9	19	7	55
ხორვატია	45.6	2.0	14.6	41.2	4.4	2	14	20	3	17	56
შვეიცარია	36.2	5.7	5.7	23.1	2.1	7	5	14	12	20	58
დანია	26.2	4.7	3.7	23.3	14.7	16	8	17	10	8	59
პორტუგალია	32.4	0.6	13.3	18.4	12.6	8	18	7	16	10	59
გერმანია	36.5	3.7	8.1	12.7	11.5	6	10	13	20	12	61
სლოვაკეთი	36.7	0.4	19.8	16.4	4.9	5	19	3	18	16	61
ნიდერლანდები	22.2	3.2	4.3	18.9	16.0	17	11	16	15	6	65
საფრანგეთი	30.5	2.4	8.8	17.3	9.4	9	13	12	17	14	65
ფინეთი	28.5	0.6	2.2	23.3	13.2	12	17	18	11	9	67
სლოვენია	28.0	0.0	1.4	45.5	10.3	14	20	19	1	13	67
	სულ ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება	სულ ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება	სულ ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება
მამაკაცი	27,4	29,2	27,7	29,8	27,5	29,5
ქალი	23,6	26,4	21,6	25,0	22,9	25,9

წყარო: საქსტატი მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებული გაანგარიშება ბარტ დე ბრუნი და მაკა ჭითანავას მიერ.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ქორწინების მინიმალურ ასაკად განსაზღვრულია 18 წელი. ადრეულ ასაკში ქორწინება მიიჩნევა კანონის დარღვევად, ასევე, ბავშვთა უფლებების დარღვევად და მისი დარეგულირება ხდება სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსით. ახალგაზრდების 15-18 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქორწინების ძირითადი თავისებურება მდგომარეობს რეგისტრაციის საკითხში. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ მათთან არარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვი აღემატება რეგისტრირებულს. 16 წლის ახალგაზრდებში 1,9-ჯერ მეტია არარეგისტრირებული ქორწინებები რეგისტრირებულზე. 17 წლის ახალგაზრდებში კი 1,5-ჯერ. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. არასრულწლოვანის ქორწინების იძულება კი სისხლის სამართლის დანაშაულია. რაც შეეხება 18 წლის ახალგაზრდებს, აქ პირიქითაა, 1,2-ჯერ მეტია რეგისტრირებული ქორწინება არარეგისტრირებულზე. აღწერის მასალებში არ მოიპოვება მონაცემები 15 წლამდე ასაკის პირთა ქორწინების შესახებ. ხშირ შემთხვევაში ადრეული ასაკის პირთა ქორწინების დარეგისტრირება არ წარმოებს, რის გამოც შესაძლებელია, რომ პრობლემა უფრო მწვავე იყოს.

ადრეულ ასაკში ქორწინება გენდერული უთანასწორობის გამოვლინებად არის მიჩნეული, რადგან ის უფრო მეტად აღინიშნება გოგონებში ვაჟებთან შედარებით. ბოლო აღწერით, საქართველოში 15-19 წლის ასაკის დაქორწინებული ქალების პროცენტული წილი ყველა ტიპის ქორწინებაში შეადგენდა 7,1%-ს, ხოლო რეგისტრირებული ქორწინება - 2,4%-ს. დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავება თვალშისაცემია. საქალაქო დასახლებებში ყველა ტიპის ქორწინება 4,4%, ხოლო რეგისტრირებული ქორწინება 1,5%-ია. მაშინ როცა სასოფლო დასახლებებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 10,9% და 3,8%-ს შეადგენს. დასახლების მიხედვით 15-17 ასაკის დაქორწინებული ქალების პროცენტული წილი ყველაზე მაღალია ქვემო ქართლში (14,4%), კახეთში (12,4%), გურიაში (10,2%) და აჭარაში (9,4%).

15 წლის ახალგაზრდების დაქორწინების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი აღმოჩნდა (2,9%) ქვემო ქართლში და ის 1,4-ით აღემატება ქვეყნის მასშტაბით ამ ასაკის ახალგაზრდებში დაფიქსირებულ მაჩვენებელს. 16 წლის ახალგაზრდებშიც დაქორწინების მაჩვენებელი ყველაზე დიდია ქვემო ქართლსა (5,6%) და კახეთში (4,9%). იგივე ტენდენციაა 17 წლის ახალგაზრდებშიც. მათთან 8,7% ქორწინება დაფიქსირდა ქვემო ქართლში, ხოლო 7,2% კახეთში. 16-17 წლის ახალგაზრდების მოყვანილი მაჩვენებლები საგრძნობლად აღემატება ქვეყნის მასშტაბით მათივე ასაკის ახალგაზრდების შესაბამის მაჩვენებელს. ამგვარი ტენდენცია გამოწვეულია მოცემულ რეგიონებში მუს-

ლიმი მოსახლეობის სიჭარბით. მათი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, ადრეულ ასაკში ქორწინება გამართლებულია.

ადრეულ ასაკში ქორწინებას ხელს უწყობს ეთნიკური ადათწესები და ტრადიციები, რელიგიური მრწამსი, განათლების დაბალი დონე, სასოფლო დასახლებებში ცხოვრება. ბავშვთა ქორწინებას საქართველოში არა აქვს განზოგადებული ხასიათი. მას ძირითადად ადგილი აქვს რელიგიურ უმცირესობათა შორის. ადრეული ასაკის ქორწინებები განსაკუთრებით მაღლია მუსლიმი აღმსარებლობის მოსახლეობაში (19,6%). ეს მაჩვენებელი 3,6-ჯერ აღემატება მართლმადიდებელი ქრისტიანების, 3,8-ჯერ სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრებს და 5,4-ჯერ კათოლიკებს. მოყვანილი ციფრები ხაზს უსვამს რელიგიის მნიშვნელოვან გავლენას ადრეულ ქორწინებაზე.

იმავე მონაცემებს თუ განვიხილავთ ეთნიკურ ჯგუფში, დავინახავთ, რომ 15–17 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის აზერბაიჯანელ მოსახლეობაში (27,4%), შემდეგ მოდიან რუსები (12,3%) და იეზიდები (9,9%).

ზოგადად, განქორწინების ზრდა და ქვრივობა ხელახალი ქორწინების წინაპირობაა. თუმცა ხელახალი ქორწინების რაოდენობის ზრდა უშუალო კავშირშია განქორწინების რიცხვის ზრდასთან. საქართველოში ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა განქორწინების რიცხვი, რაც მნიშვნელოვნად შეინიშნება ახალგაზრდებში. განქორწინების ზრდის პარალელურად იზრდება ხელახალი ქორწინებების რიცხვი. ხელახალმა ქორწინებამ 2014 წელს შეადგინა მთელი ქორწინების 10,1% მამაკაცებში, ხოლო 8,6% ქალებში. 2015 წელს ეს მაჩვენებლები გაიზარდა და მამაკაცებში გახდა 11,7%, ხოლო ქალებში – 9,9%.

ცხრილი 3

ქორწინების განაწილება სქესის, ასაკის და რიგითობის მიხედვით (%)

ასაკი	ყველა ქორწინება		პირველი ქორწინება		ხელახალი ქორწინება	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
16 – 19	2,5	12,6	2,7	14,0	0,0	0,4
20 – 24	24,7	32,3	27,2	35,1	3,3	7,1
25 – 29	26,3	21,9	28,1	22,6	10,8	15,3
30 – 34	17,3	13,3	17,4	13,0	17,2	18,1
35 – 39	11,2	7,9	10,7	7,3	15,8	15,7
40 – 44	6,8	4,7	6,0	3,7	14,4	15,2
45 – 49	4,1	2,7	3,2	1,9	11,9	10,8
50 – 54	2,8	1,8	1,8	1,1	11,0	8,2
55 – 59	1,4	1,0	0,8	0,1	6,6	4,8
60 +	1,9	0,8	1,0	0,05	8,7	4,2
უცნობი	1,0	1,0	1,1	0,15	0,3	0,2

წყარო: საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, 2015 წელი.

ხელახალი ქორწინებების რიცხვი განსაკუთრებით მაღლია 16–44 წლის ასაკობრივ ჯგუფში. ის მამაკაცთა ხელახალი ქორწინების 61,4%-ს შეადგენს, ხოლო ქალებს 71,8%-ს. თუ 2014 წელს ქორწინების კოეფიციენტი 1000 კაცზე შეადგენდა 8,5, მომდევნო წლებში მოხდა მისი კლება (2015 წელი – 7,8, ხოლო 2016 წელი – 6,7), ხელახალი ქორწინებების შემთხვევაში პირიქითაა, აქ ზრდაა. 2015 წელს 16–44 წლის ასაკობრივ ჯგუფში ხელახლა დაქორწინდა მამაკაცთა 63,5% და ქალები 72,5%.

დასკვნა

2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით საქართველოში ქორწინება ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

- ქორწინების სამი ფორმიდან ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს რეგისტრირებულ ქორწინებას, თუმცა მოხდა არარეგისტრირებული ქორწინების რიცხვის ზრდა და ეს უკანასკნელი მხოლოდ 0,3%-ით ჩამორჩება რელიგიურ ქორწინებას.
- თანაცხოვრების/არარეგისტრირებული ქორწინების რიცხვი განსაკუთრებით მაღლია 18–24 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებში.
- ზოგადად ქორწინების ასაკსა და რეგისტრირებული ქორწინების ასაკს შორის სხვაობაა, რომელიც აისწნება იმით, რომ პირველ შემთხვევაში ქორწინების საშუალო ასაკი მხოლოდ პირველი ქორწინებით გამოითვლება, ხოლო მეორე შემთხვევაში ყველა ქორწინებით.
- ქორწინების საშუალო ასაკი განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვით. საქალაქო დასახლებაში მცხოვრები ქალები უფრო გვიან ქორწინდებიან, ვიდრე სასოფლო დასახლებაში მცხოვრებნი, მამაკაცების შემთხვევაში კი პირიქითაა.
- ბავშვთა ადრეულ ქორწინებას საქართველოში არ აქვს განზოგადებული ხასიათი. ამგვარი ქორწინების ხელის შეწყობი ფაქტორებია: ეთნიკური ადათწესები და ტრადიციები, რელიგიური

მრწამსი, სასოფლო დასახლებაში ცხოვრება. საქართველოში ადრეული ქორწინებების მნიშვნელოვანი წილი მოდის ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებში (აზერბაიჯანელ მუსლიმებში).

● ბოლო პერიოდში სულ უფრო იზრდება ხელახალი ქორწინებების რიცხვი. ამ უკანასკნელის ზრდა ძირითადად ხდება განქორწინების ხარჯზე და მისი მახვენებელი განსაკუთრებით მაღალია 40 წლადე ასაკობრივ ჯგუფში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2014.
2. ქ. კალპუნი, დ. ლაითი, 2007. სოციოლოგია. თბილისი.
3. ფრენკ ილენსი, 2017. ახალგაზრდები საქართველოში, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა. თბილისი.
4. გ. წულაძე, 2016. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული 2015. თბილისი.
5. რაღფ ჰაკერტი, ნანა სუმბაძე, 2017. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზი გენდერულ ჭრილში. თბილისი.
6. Van de Kaa, D.I. The Idea of a Second Demographic Transition in Industrialized Countries. Paper presented at the Sixth Welfare Policy Seminar of the National Institute of Population and Social Security, Tokyo, Japan, 29 January 2002.

*Lela Menabdishvili
Vano Shushtakashvili*

PECULIARITIES OF MARRIAGE IN GEORGIA ACCORDING TO THE GENERAL POPULATION CENSUS 2014

Summary

There are three forms of marriages in Georgia: civil marriages, religious marriages and cohabitation. According to the figures of the 2014 census, the data with regard to the forms of marriages are as follows: civil marriages – 88,5%, religious marriages - 5,9% and cohabitation / unregistered marriages - 5,6%. Unregistered marriages are more widespread in young people of small age. An unregistered marriage rate is the highest among the young people aged 15-24 years. It's make up 32,2% in men, and - 28,3% in women.

According to the figures of census from 2014, of the population 15 years old and the older, have never been married 24,7 % of men and 16,5 % of women. At the same time have never been married 74,7% of men and 48,5% of women between the ages of 20 and 24 years. With the increase in age, the number of young people who have never been married, as well as for the 25 - 29 year age group this index makes up 44,4% for men, and 22,5% for women. Whereas of the men of aged 40-44 years has never been in marriage 9,0% and of the women – 13,8%. The percentage of women who have never been married is less in the rural areas in comparison with urban settlement, and women living in rural settlement are married 3-4 years earlier than living in urban settlements.

The average age of men marriages exceeds by 4,6 years to the same index for women (men – 27,5 years, women – 22,9 years). The difference was marked in general between the age of marriages and the age of registered marriages. In the case of registered marriages, the average age of marriage for women is 25,9 years, and for men - 29,5 years. This can be explained by the fact that the conventional average age of marriage envisages only the first marriage, and in the case of registered marriages, re-marriages are taken into consideration as well. The average age of women marriage in rural communities is two years lower than the same index of women in urban settlements. In the case of men, it exceeds the average age of men marriages in urban settlements by 0,3 years.

Child marriage has not common character in Georgia. It takes place mainly among the religious and ethnic minorities. The early age marriages index is especially high among the Muslim population (19,6%). This figure exceeds by 3,6% the same figure of Orthodox Christians; by 3,8% - the followers of the Armenian Apostolic Church and by 5,4% the Catholics. The highest rate of married women between ages of 15-17 years is observed among the Azerbaijan population (27,4%), followed by Russians (12,3%) and Yezides (9,9%).

The number of re-marriages is especially high in the 16-44 year age groups. It makes up of 61,4% of men's re-marriages, whereas – 71,8% of women's. If the marital coefficient per 1000 population per 2014 year made up 8,5, in the following years the decline of this figure occurred (in 2015 - 7,8; whereas in 2016 - 6,7). Just the contrary is marked in the case of re-marriages - there is an increase here. In 16-44 year age group, 63,5% of men and 72,5% of women have re-married in 2015.

The increase in the number of new marriages is directly linked to the increase in the number of divorces. The number of divorces has increased especially recently in Georgia, this tendency is significantly observed among the young people.

ემიგრაციის გავლენა დემოგრაფიულ პროცესებზე

ანოტაცია. ნაშრომი ეხება ემიგრაციული პროცესების გავლენას დემოგრაფიულ პროცესებზე. საკითხი განხილულია 2002 და 2014 წლის საყოველთაო აღწერების მონაცემებზე დაყრდნობით და მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით. ემიგრაციული პროცესები განხილულია სქესისა და ასაკის მიხედვით. ნაჩვენებია, რომ მნიშვნელოვნადაა მოსახლეობის რიცხვი შემცირებული და, ამასთან, მოსახლეობა დაბერების პროცესშია. ამ უარყოფით ტენდენციებზე კი მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ემიგრაციულ პროცესებს.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, ემიგრაცია, მოსახლეობის დაბერება, ემიგრაციის ფაქტორები.

შესავალი

მიგრაცია გლობალური ფენომენია და თანამედროვეობის გამოწვევას წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო თანდათან გახდა გლობალური მიგრაციული სისტემის ნაწილი. ადამიანებს მიეცათ თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა და უფლება, თავად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი, თვითონ გადაწყვიტონ სად იცხოვრებენ და როგორი ცხოვრებაა მათთვის მისაღები და უკეთესი. ნებაყოფლობითი მიგრაცია მთელ მსოფლიოში მზარდი ტემპით მიმდინარეობს, რასაც განაპირობებს სულ უფრო დიდი დისონანსი მსოფლიოს ქვეყნების განვითარების დონებს შორის. მიგრაციულ პროცესებს ხელს უწყობს ტექნოლოგიების განვითარება და მის საფუძველზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

გლობალიზაციის ეპოქაში მიგრაცია სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს როგორც გამცემში, ისე მიმღებში ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და საგრძნობლად ცვლის დემოგრაფიულ სურათს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა მიმდინარე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ მოსახლეობის ნაწილი აიძულა სამშობლოდან წასულიყო. საქართველოში ამჟამად უმთავრეს გამოწვევად რჩება სიღარიბის და ქრონიკული უმუშევრობის დაძლევა, ეს გადაუჭრელი პრობლემა კი შრომით ემიგრაციას უწყობს ხელს. ინტენსიური ემიგრაციული ნაკადები დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე, რაც აქტუალურს ხდის ემიგრაციული პროცესების კვლევას.

* * *

საქართველოში გარე მიგრაციის დინამიკაში წამყვანი ადგილი ემიგრაციას უჭირავს. 2002 წლიდან 2014 წლამდე საქართველოდან ემიგრირებული პირების რაოდენობამ 1,15 მილიონი შეადგინა, საქართველოში იმიგრირებული პირთა რაოდენობა კი 875 000. თანაც ეს რიცხვი უცხოელებსაც მოიცავს, თუმცა უმრავლესობა სამშობლოში დაბრუნებული ქართველია [ბარტ დე ბრუნი, 2017; 61].

ემიგრაციულმა პროცესებმა მნიშვნელოვანი ასახვა პოვა ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. 2002 და 2014 წლების საყოველთაო აღწერების შედარებით ანალიზმა აჩვენა, რომ აღწერათაშორის პერიოდში მოხდა მოსახლეობის 15 პროცენტით კლება, რამაც 657 731 კაცი შეადგინა. კლება შეეხო როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობას. სასოფლო დასახლებაში მოსახლეობის კლებამ 23,7 პროცენტი, ხოლო ქალაქის მოსახლეობის კლებამ 7,1 პროცენტი შეადგინა.

საქართველო 1989 წლიდან მოყოლებული, 2014 წლამდე მოსახლეობის შემცირებით ხასიათდება. მოსახლეობის შემცირების მაღალი ტემპი ძირითადად 1992 წლის შემდგომი მაღალი ემიგრაციული პროცესებითაა განპირობებული. ამ უკანასკნელმა გადაფარა ამ წლებში არსებული მოსახლეობის ბუნებრივი მატება. ქვეყნის მოსახლეობა 2014 წლისთვის 1989 წელთან შედარებით თითქმის 22 პროცენტითაა შემცირებული.

ამასთან, საქართველოს მოსახლეობა კლებასთან ერთად დაბერების ტენდენციითაც ხასიათდება. 2002 წლის აღწერის მონაცემების შედარება 2014 წლის აღწერის მონაცემებთან თვალნათლივ გვანახებს, რომ 65 და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 1,6 პროცენტითაა გაზრდილი და შეადგინა მთლიანი მოსახლეობის 14,2 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დაბერების პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ემიგრაცია.

ბოლო აღწერის შედეგების მიხედვით ემიგრანტთა რაოდენობამ შეადგინა 88,5 ათასი კაცი, მათ შორის 45,4 პროცენტი მამაკაცია, ხოლო 54,6 პროცენტი ქალი. ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დღეისათვის, მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, საქართველო განვითარებული ქვეყნების, ხოლო გარე მიგრაციის თვალსაზრისით – ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მსგავსია, რაც საქართველოს განასხვავებს მსოფლიოს ზოგადი დემოგრაფიული ვითარებისგან.

ქვეყანაში არსებული დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა და შრომის ანახლადურების დაბალი დონე უბიძგებს მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს, დატოვოს სამშობლო და არსებობისათვის საჭირო წყარო საკუთარი სამშობლოს ფარგლებს გარეთ ეძებოს. იმ ფაქტორებს შორის, რომელიც ემიგრაციას განსაზღვრავს, უმთავრესი ეკონომიკური ფაქტორებია. სწორედ ამ უკანასკნელმა განაპირობა მიგრანტთა არანაკლებ 34–ში საქართველოდან წასვლა [არჩვაძე ი., 2017; 81].

ახასიათებს რა საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობას, ეკონომიკის მეცივრებათა დოქტორი, დემოგრაფი, ექსპერტი ავთანდილ სულაბერიძე აღნიშნავს: დღეისათვის 20–50 წლის შრომითი ემიგრანტები თითქმის ორჯერ აღემატებიან ქვეყანაში დარჩენილ ამ ასაკის მოსახლეობას. ქვეყნიდან გასული 1,7 მლნ-ზე მეტი მიგრანტიდან, შეფასებითი გაანგარიშებით, მოსალოდნელია, უკან აღარ დაბრუნდეს დაახლოებით, 800 ათასი კაცი [სულაბერიძე ა, 2017; 11–13].

2002 წელს მიგრაციული საღლო უარყოფითი იყო და – 27,8 ათასი კაცი შეადგინა. 2014 წლისთვის მიგრაციული საღლო კვლავ უარყოფითია ოღონდ 2002 წელთან შედარებით თითქმის 4,3-ჯერაა შემცირებული და შეადგინა –6,5 ათასი კაცი. 2016 წელს კი – 8,1 ათასი კაცი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დადებითი ცვლილებები განხორციელდა, კვლავ უმთავრეს ამოცანად რჩება მასობრივი უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევა; შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა. შრომით ბაზარზე არსებული ნაკლოვანებები კვლავ უბიძგებს შრომისუნარიანი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, დატოვოს სამშობლო და საზღვარგარეთ წავიდეს სამსახურის საძებნელად. ბოლო აღწერის მონაცემებით, ემიგრანტების 75,1 პროცენტს შეადგენს 20–54 ასაკობრივი ინტერვალის მოსახლეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ემიგრანტებად ძირითადად ფერტილური ასაკის ადამიანები გვევლინებიან. ეს კი აუცილებლად აისახება არა მხოლოდ ქვეყნის დემოგრაფიულ პროცესებზე არამედ ეკონომიკურ მდგომარეობაზეც.

მაღალმა ემიგრაციულმა ნაკადმა არსებითი გავლენა იქონია 0–29 ასაკობრივი ინტერვალის ახალგაზრდების რაოდენობრივ შემცირებაზე, რის შედეგადაც მათი რაოდენობა 1989 წელთან შედარებით 1686,2 ათასით შემცირდა. ემიგრაციის განსაკუთრებით მაღალი ტემპი აღინიშნება 15–25 ასაკობრივი ინტერვალის ახალგაზრდებში. მაღალმა ემიგრაციულმა პროცესებმა, ბუნებრივი მატების შემცირებასთან ერთად, 2014 წელს 15–29 ასაკობრივი ინტერვალის ახალგაზრდების 529,8 ათასით შემცირება განაპირობა 1989 წელთან შედარებით. ყურადღებაა გასამახვილებელი ემიგრანტთა სქესთა თანაფარდობაზე. 39 წლამდე ასაკის ემიგრანტებში მამაკაცები ჭარბობენ ქალებს, ხოლო 40 წლის და უფროსი ასაკის ემიგრანტებში საპირისპირო სურათია – ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცების რაოდენობას. 50 წლისა და უფროსი ასაკის ემიგრანტი ქალები 2-ჯერ მეტია შესაბამისი ასაკის ემიგრანტ მამაკაცთა რაოდენობაზე.

ემიგრანტ ქალთა უმრავლესობა (56,9%) დაქორწინებულია. რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზეა იმ ემიგრანტ ქალთა რაოდენობა, რომლებიც ქორწინებაში არასოდეს ყოფილან (20,6%), შემდეგ მოდიან ქვრივი ქალები (10,3%) და განქორწინებულები (7,7%). ემიგრანტი ქალების მიმართ (საქმე ეხება ქორწინებაში მყოფ ქალებს და იმ ქვრივ და განქორწინებულ ქალებს, რომლებმაც შვილები სამშობლოში დატოვეს), არსებული განწყობა არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, ოჯახის – შვილის დატოვება და საზღვარგარეთ საცხოვრებლად და სამუშაოდ წასვლა არ არის გამართლებული. გაუმართლებელია იმ მხრივ, რომ ქალი-დედა ტოვებს ოჯახს ხშირად გაურკვეველი – ხანგრძლივი დროით და სამშობლოში ტოვებს რა შვილს (შვილებს), აღარ ერევა მათ აღზრდა/სოციალიზაციაში. ეს, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურად საკმაოდ მძიმე გადასატანია როგორც დედის, ისე შვილისთვის, რადგან ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ყველაზე მჭიდრო ემოციური კავშირი სწორედ დედასა და შვილს შორის არის, ამ კავშირის გაწყვეტა კი ხშირად მაშინ ხდება როცა შვილები არასრულწლოვნები არიან. მეორე მხრივ კი ის ფინანსური დახმარება, რომლებსაც ემიგრანტი ქალები საკუთარ ოჯახს უზღავნიან, მეტად მნიშვნელოვანია როგორც ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის, ასევე საკუთარი შვილების განათლების ინვესტირებისთვის.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში მოხდა ახალგაზრდების სქესობრივ-ასაკობრივი გადანაწილების რაოდენობრივი ცვლილება, რაც, შობადობასა და მოკვდავობასთან ერთად, აქტიურმა ემიგრაციულმა პროცესებმა განაპირობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ცვლილებები აუცილებლად აისახება დემოგრაფიულ პროცესებზე, კერძოდ, ქორწინებასა და შობადობაზე. სქესობრივ-ასაკობრივი დისბალანსი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც ისაა, რომ ახალგაზრდა ასაკის ემიგრანტებს შორის მამაკაცები ჭარბობენ ქალებს, ეს კი აუცილებლად გამოიწვევს „საქორწინო ბაზარზე“ მამაკაცების ნაკლებობას.

გლობალიზაციის პროცესმა თანამედროვე ახალგაზრდებს გაუფართოვა განათლების მიღების არეალი. ერთი მხრივ, პროგრესულად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდას ეძლევა საშუალება, მიიღოს ცოდნა იქ, სადაც მას სურს და არ შემოიფარგლოს მხოლოდ საკუთარი ქვეყნით. ეს ფაქტი მით უფრო მიმზიდველია, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილის საზღვარგარეთ სწავლა მასპინძელი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების მიერ ფინანსდება. 2014 წლის აღწერით მიღებული მონაცემებით, შინამეურნეობათა 11 პროცენტში ოჯახის წევრი საზღვარგარეთ განათლების მიღების მიზნითაა წასული. მათგან 73,4 პროცენტი 20–39 წლის ასაკობრივი ინტერვალის ორივე სქესის წარმომადგენელია – სულ 7 122 პირი. საყურადღებოა, რომ ემიგრანტ ქალებს შორის, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან 25 წლამდე ასაკის ქალები. ისინი 69,9 პროცენტს შეადგენენ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოდან საზღვარგარეთ სასწავლებლად წავიდა 2013–2014 წლებში – 562; 2014–2015 წლებში – 434; 2015–2016 წლებში – 403 სტუდენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები არ არის ზუსტი, რადგან ეს არის ის მონა-

ცემები, რასაც სასწავლებლები აწვდიან სახელმწიფოს, ამიტომ ის ასახავს მხოლოდ იმ სტუდენტთა რაოდენობას, ვინც გაცვლითი პროგრამითაა წასული, მასში არ შედის საკუთარი ინიციატივით წასული სტუდენტების რაოდენობა.

ქვეყანაში დასაქმებასთან დაკავშირებული მდგომარეობა ასეთია — საზღვარგარეთ განათლებამიღებული ადამიანები უფრო კონკურენტუნარიანები არიან, ვიდრე ისინი, ვინც უმაღლეს განათლებას საქართველოში იღებენ. თუმცა ჩვენი ქვეყანა გამონაკლისი არ არის, მსგავსი რამ ხშირად ხდება ისეთ ქვეყნებში, სადაც დასაქმების შესაძლებლობები დაბალია. როდესაც სამუშაო ადგილები ცოტაა, დასაქმების მსურველი კი ბევრი დამსაქმებელი არჩევანისას უპირატესობას ანიჭებს იმას, ვისაც განათლება უცხოეთში აქვს მიღებული. ამიტომ ახალგაზრდების ის ნაწილი, ვისაც მყარად აქვს საზღვარგარეთ სწავლა გადაწყვეტილი და ვერ მოხვდა გაცვლით პროგრამაში ეძებს საზღვარგარეთ წასვლის სხვა გზებს. საზღვარგარეთ წასვლის მსურველთათვის კი დაფინანსების მოპოვების სხვადასხვა პროგრამა არსებობს. ასე რომ, მსურველთათვის გზა ხსნილია.

სასწავლებლად წასული ახალგაზრდები ხშირ შემთხვევაში იქვე ახერხებენ სამუშაოს დაწყებას და მათი სამშობლოში დაბრუნების დრო გაურკვეველი ვადით გადაიწვევს, რაც აუცილებლად აისახება ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, მნიშვნელოვნად იმოქმედებს ქორწინებისა და შობადობის მაჩვენებლებს შემცირებაზე.

ზოგადად, საქართველოდან დროებით ემიგრაციაში წასვლის მსურველთა პროცენტული წილები გაცილებით მაღალია ვიდრე მუდმივ ემიგრაციაში წასვლის მსურველები. ქალების შემთხვევაში 5,8-ჯერ მეტია დროებითი ემიგრაციის მსურველები, ხოლო კაცების შემთხვევაში 3,4-ჯერ. საყურადღებოა, რომ მათ შორის 70 პროცენტი არასოდეს ყოფილა ქორწინებაში.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყნის დემოგრაფიული დაბერების პროცესში ერთგვარ გარე მიგრაცია. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, 2030 წლისთვის ქვეყანაში დემოგრაფიული დაბერება კრიტიკულ ზღვართან შედარებით 2,4-ჯერ მაღალი იქნება, რაც განპირობებული იქნება შობადობის შემცირებით, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდით, შრომისუნარიანი მოსახლეობის გარე მიგრაციით, ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ასკვნა

საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თანდათან გახდა გლობალური მიგრაციული სისტემის ნაწილი. გარე მიგრაციის დინამიკაში წამყვანი ადგილი ემიგრაციას უჭირავს. ემიგრაციულმა პროცესებმა მნიშვნელოვანი ასახვა პოვა ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. სულ რაღაც თორმეტ წელიწადში საქართველოს მოსახლეობა 15 პროცენტით შემცირდა. ამასთან, საქართველოს მოსახლეობა, კლებასთან ერთად, დაბერების ტენდენციითაც ხასიათდება. მოსახლეობის დაბერების პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ემიგრაცია. ემიგრანტებად ძირითადად ფერტილური ასაკის ადამიანები გვევლინებიან. ეს კი აუცილებლად აისახება არა მხოლოდ ქვეყნის დემოგრაფიულ პროცესებზე, არამედ ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. მოხდა ახალგაზრდების სქესობრივ-ასაკობრივი გადანაწილების რაოდენობრივი ცვლილება. სქესობრივ-ასაკობრივი დისბალანსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ახალგაზრდა ასაკის ემიგრანტებს შორის მამაკაცების სიჭარბე ქალებთან შედარებით, რაც აუცილებლად გამოიწვევს „საქორწინო ბაზარზე“ მამაკაცების ნაკლებობას. ინტენსიურმა ემიგრაციულმა პროცესებმა საქართველო მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილ რეჟიმამდე მიიყვანა. ამჟამად ქვეყანა მომაკვდავ ერთა სიაშია. ვფიქრობთ, მდგომრეობა საგანგაშოა და სასიცოცხლოდ აუცილებელია აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რომლის განხორციელებაც უნდა მოხდეს ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის პარალელურად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე ი., 2017. შრომითი მიგრანტების მიერ თანხების რეპატრიაციის ბუნებისა და მასშტაბების შესახებ. ჟ. „ემიგრაცია“. №879–94.
2. სულაბერიძე ა., 2017. ინტერვიუ. ქვეყნიდან გასული 1.7 მლნ-ზე მეტი მიგრანტიდან მოსალოდნელია, 800 ათასი უკან აღარ დაბრუნდეს, გაზეთი „ქრონიკა“, №37 (214), 7.11 – 13.11 2017.
3. შელია მ., ქალთა შრომითი ემიგრაცია საქართველოდან 2017, ჟ. „ემიგრაცია“ №8, 114–132.
4. ბარტ დე ბარუნი, ჭითანავა მ., 2017; მოსახლეობის დინამიკა. 61–69.
5. რაღფ ჰაკერტი, სუნბაძე ნ., 2017; 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზი გენდერულ ჭრილში, 71-76.
6. www.geostat.ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

THE IMPACT OF EMIGRATION ON DEMOGRAPHIC PROCESSES

Summary

Emigration takes the leading place in the dynamics of external migration in Georgia. This fact has significantly affected the demographic status of the country. In the period between the 2002 and 2014 general censuses, the total population decrease by 15% took place.

The population of country has decreased by almost 22% in 2014 in comparison to 1989. Besides, the Georgian population is characterized by an aging tendency along with decrease. Between the period of census 2002 and 2014, the share of 65 years old and older people in the total population has increased by 1,6%. Emigration is one of the factors contributing to the population aging process. According to the latest census data, the number of immigrants amounted to 88,5 thousand persons, including 45,4% males and 54,6% females.

Despite the positive changes in terms of economic development in recent years in Georgia, the main challenge remains overcoming mass unemployment and poverty; as well as ensuring the effective employment of the employable population. The deficiencies at the labor market still push the part of the employable population to leave the homeland and go abroad to find a job. According to the latest census data, 75,1% of emigrants comprise 20-54 year age interval population, i.e., emigrants are the mostly fertile people. This necessarily will affect not only the demographic process of country, but also the economic situation.

It is important to emphasize the sex ratio of emigrants. Among the emigrants of the age up to 39, number of men exceeds the women, whereas among the emigrants aged 40 and older, there is a completely different picture - the number of women exceeds the number of men. The number of emigrant women aged 50 and older are 2 times more than the number of emigrant men of the relevant age.

According to figures from 2014 census, 11% of households have a family member abroad for the purpose of education. 73,4% of them are the representatives of both sexes of 20-39 year age group. Among the immigrant women who have never been married, the most numerous group make up women under the age of 25 (69,9%). Intensive emigration processes have led Georgia to bring the population to a reduced order of reproduction. Now The *United Nations* has put the country on the list of "Dying Nations".

Since the independence, there has been a change in number of young people's gender-age distribution in the country. An active emigration with the birth and mortality processes have contributed to this. These changes will certainly affect the demographic processes, namely marriage and birth. The gender-age imbalance is obvious, and the one of the important reasons for this is the fact that among young immigrants the number of men exceeds that of women, which will inevitably lead to the lack of men at the "wedding market". As experts predict, by 2030, the demographic aging in the country will be 2,4 times higher than the critical edge, which will be associated with a decrease in birth rate, an increase in life expectancy, an external migration of employable population, this will certainly create some problems for the socio-economic development of the country.

ვლადიმერ სულაბერიძე

**მოსახლეობის აღწარმოების უახლესი „ცივილიზებული“
თუ დეკოლუზიური ტიპი?**

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია დეპოპულაციის, როგორც მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის თეორიული საკითხები, მოცემულია დეპოპულაციის ფაზების განვითარების ავტორისეული ჰიპოთეზური ვარიანტი და მოყვანილია მისი ფორმირების პროცესი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მოცემულია მისი მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები.

საკვანძო სიტყვები: დეპოპულაცია, ცივილიზებული ტიპი, თანამედროვე ტიპი, ფაზა, ტიპ-თაშორისი პერიოდი.

შესავალი

ა. ლანდრი მიიჩნევდა, რომ მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპს შესაძლებელია მოჰყოლოდა მოსახლეობის რეგრესი. მე-20 საუკუნის ბოლოდან უკვე ბევრი დემოგრაფი აღნიშნავდა მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის ფორმირებას, რომლის დროსაც მოკვდაობა აჭარბებს შობადობას და მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნაცვლად სახეზეა კლება და იწყება მოსახლეობის ბუნებრივი შემცირება.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში უკვე აღინიშნა მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის მესამე ფაზა, რასაც ადასტურებს 2010-2015 წწ. მოკვდაობის მინიმალური დონის (7,77%) დაფიქსირება და მისი ზრდის ტენდენციის დაწყება, მასთან ერთად კი, შობადობის შემცირების ტემპის ზრდა. რაც შეეხება უახლეს ტიპს, არსებული დემოგრაფიული ტენდენციის თანახმად, გაეროს პროგნოზით, 3000 წლამდე ნაკლებადაა მოსალოდნელი [www.esa.un.org].

ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს თანამედროვე დემოგრაფიული განვითარება მრავალფეროვნებით ხასიათდება. თუ ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში მოსახლეობის აღწარმოების

თანამედროვე ტიპი უახლესით იცვლება, ზოგიერთში იგი ბოლო ფაზაშია, ხოლო ზოგიერთში კი თანამედროვე ტიპის მეორე ფაზაა.

საინტერესო ვითარებაა სამხრეთ კავკასიაშიც, თუ აზერბაიჯანში ახლა იწყება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის მესამე ფაზა (მოკვდაობის დონე 2015 წლისთვის 5,7 %-მდე დაეცა და მასთან ერთად აღინიშნება შობადობის მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია 2016 წლისათვის 16,5 %-მდე), სომხეთში მესამე ფაზა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისად აღინიშნება და გაეროს მონაცემების თანახმად 2020-2025 წლებშია მოსალოდნელი მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დამთავრება და უახლესი ტიპის დაწყება [www.esa.un.org].

რაც შეეხება საქართველოს, მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი გასული საუკუნის 90-იან წლებში დამთავრდა და 1992 წლიდან იმყოფება თანამედროვედან უახლეს ტიპზე გარდამავალ პერიოდში [სულაბერიძე ა., 2016: 14-23] და 2020 წლიდან მოსალოდნელია მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის საბოლოო ფორმირება, რომლის დროსაც, როგორც ა. ლანდრი აღნიშნავდა, მოსალოდნელია მოსახლეობის რეგრესი [Landry A. 1934: 203], ანუ მოსახლეობის მოკვდაობის დონე გადააჭარბებს შობადობის დონეს და იქნება ბუნებრივი მოძრაობის უარყოფითი ბალანსი, რაც დეპოპულაციის დაწყებაზე მიუთითებს.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ საქართველო ხასიათდება ევროპული ტიპის დემოგრაფიული ქცევით და კარგა ხანია მიეკუთვნება დემოგრაფიულად განვითარებულ ქვეყნებს, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ევროპის სხვა განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით იგი ზოგიერთი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის მსგავსად (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი), ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნების რიგშია.

ამრიგად, დემოგრაფიული გადასვლის კონცეფციის თანახმად, ევროპაში და მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნების მსგავსად, თანდათან მთავრდება შობადობის და მოკვდაობის მაღალ დონეზე კვაზი-წონასწორობის ერა და დგება შობადობისა და მოკვდაობის დაბალ დონეზე წონასწორობის ახალი ეტაპი, რომლისთვისაც, განსხვავებით წინა პერიოდებისა, ნაცვლად მოსახლეობის ახალგაზრდული სტრუქტურისა (მოსახლეობის სტრუქტურის პროგრესული ტიპი), ძირითადად დამახასიათებელია დაბერებული მოსახლეობა (მოსახლეობის სტრუქტურის რეგრესული ტიპი) [Иванов С. 2002].

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის თაობაზე, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ ფრაგმენტულ სტატიებს, ა. ლანდრისეული კონცეფციის მსგავსი კლასიკური თეორია ჯერ კიდევ არ შემუშავებულია.

ზოგიერთი დემოგრაფი მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებს მიიჩნევს მოსახლეობის აღწარმოების უახლეს „ცივილიზებულ ტიპზე“ გადასვლის მსოფლიო ზოგად კანონზომიერ ტენდენციად [Гундарев И.А. 2001: 123].

რაც შეეხება ქართველ დემოგრაფებს, ამ საკითხზე მოსაზრება ჯერჯერობით არავის არ გამოუთქვამს, თუმცა მათ შორის არსებობს ერთიანი აზრი, რომ საქართველოში არსებულ კრიტიკულ დემოგრაფიულ სიტუაციას აუცილებლად დეპოპულაცია მოჰყვება [Сулаберидзе А. 2001; ჩიქავა ლ. 2004; წულაძე გ. 2016; თოთაძე ა. 2001; სახვაძე ა. 2002].

ამდენად, 1960-იანი წლების შუა პერიოდში მეორე დემოგრაფიული გადასვლის თაობაზე დაწყებული მსჯელობა, მე-20 საუკუნის ბოლოს მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დასრულების და აღწარმოების უახლეს „ცივილიზებულ ტიპზე“ გადასვლის დისკუსიით გაგრძელდა [Carlson A. 1990: 63; Kaa Van de D. 1987: 57].

ჩვენ ვიზიარებთ მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის თაობაზე არსებულ შეხედულებებს, თუმცა მიგვაჩნია, რომ ძნელია უწოდო მოსახლეობის აღწარმოების ისეთ ტიპს „ცივილიზებული“, სადაც მოკვდაობა ჭარბობს შობადობას და თავი რომ დავანებოთ მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას, არ არსებობს მოსახლეობის ბუნებრივი მატება მიხერულ დონეზე მაინც.

ამ პრობლემის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საკითხებზე მსოფლიოს დემოგრაფთა შორის მსჯელობა ნაკლებად შეინიშნება. ამ თვალსაზრისით, აუცილებლად მიგვაჩნია განვიხილოთ, რომელი უფრო მართებულია „ცივილიზებული“ თუ დეპოპულაციური ტიპი.

* * *

ტერმინი – დეპოპულაცია, ფრანგული სიტყვაა („depepules“) და გულისხმობს მოსახლეობისგან ტერიტორიის დაცარიელებას, გაუკაცრიელებას, ამოხოცვას. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიურ ლექსიკონში იგი განმარტებულია, როგორც ქვეყნის ან რომელიმე ტერიტორიის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის შემცირება ან მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება, რომლის დროს მომდევნო თაობების რიცხოვნობა ნაკლებია წინაზე. დეპოპულაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე ჭარბობს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეს [წულაძე გ. 2012: 79].

ა. სახვაძე, გამოდის რა ფრანგული სიტყვის დეპოპულაციის პირდაპირი გაგებიდან – ტერიტორიის დაცარიელებიდან, გაუკაცრიელებიდან, მიიჩნევს, რომ იგი შესაძლებელია როგორც

ბუნებრივი, ისე მექანიკური (მიგრაციული) კლემით. ანუ ამა თუ იმ ტერიტორიის ნებისმიერი ფორმით მოსახლეობის აბსოლუტურ შემცირებას იგი დეპოპულაციად მიიჩნევს [სახვაძე ა. 2002: 52].

ა. სულაბერიძის აზრით კი, დეპოპულაციის პროცესი წლების მანძილზე ბუნებრივად მიმდინარე მოსახლეობის ბუნებრივი კლემის შედეგია და არა მიგრაციის უარყოფითი საფლასი. დავუშვათ, ორგანიზებული მიგრაციით ერთი ტერიტორიიდან მეორეზე გადავიყვანეთ მოსახლეობა და ის ტერიტორია დაცარიელდა, გაუკაცრიელდა. ეს დეპოპულაცია იქნება? მოსახლეობის ის რაოდენობა სხვა ტერიტორიაზე ხომ არსებობს, არ ამოხოცილა. „დეპოპულაცია“ უწინარესად უნდა განვიხილოთ ზოგადად, აბსტრაქციაში, როგორც დემოგრაფიული მოვლენა, მისი ზუსტი არსი კარგად ჩანს პლანეტის მასშტაბით, თუმცა დეპოპულაციის პროცესი აღინიშნება (იწვება) ჯერ რომელიმე ტერიტორიაზე, შემდეგ სახელმწიფოში, მსოფლიოს სუბრეგიონში, კონტინენტზე და ბოლოს პლანეტაზე – დედამიწაზე. თითოეულ მათგანში განვითარებული დეპოპულაციის პირობებში, მოცემული ტერიტორია უკვე დგება ამოწყდომისა და გაუკაცრიელების საშიშროების წინაშე. დედამიწის მოსახლეობის ბუნებრივი კლემის შედეგად, სხვა პლანეტიდან მიგრაციის არარსებობის გამო, დედამიწის გაუკაცრიელებას ვერ ავიცილებთ. ამიტომ დეპოპულაცია უწინარესად შობადობაზე მოკვდაობის გადაამეტებაში აისახება.

ამასთან, მივიჩნევთ, რომ არსებობს ფარული და ღია სახის დეპოპულაცია, თუ ტერიტორიის რაოდენობრივი შემცირების შეჩერება ან ზრდა მიგრაციით მალავს ავტოქტონური მოსახლეობის დეპოპულაციის პროცესს და მას ფარული ხასიათი აქვს.

თუ მოსახლეობის ბუნებრივი მატება არსებობს, მაგრამ იგი ვერ ფარავს მიგრაციის უარყოფით საფლას, მაშინ საქმე გვაქვს მოსახლეობის აბსოლუტურ შემცირებასთან და არა დეპოპულაციასთან. თუ ბუნებრივი კლება აღემატება მიგრაციის დადებით საფლას, მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის შემცირებით, მიგრაციის დადებითი საფლას მიუხედავად, დეპოპულაცია უკვე ღია ფორმის იქნება. ხოლო თუ მოსახლეობის ბუნებრივ კლებას ფარავს (აჭარბებს) დადებითი მიგრაციული საფლას, იგი ფარული ფორმის დეპოპულაცია იქნება. გარდა ამისა, დეპოპულაციის პროცესის ტენდენციის პროგნოზი უმჯობესია განისაზღვროს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტით, სადაც, მიუხედავად ჰიპოთეზურობისა, კომპლექსურად აისახება მოსალოდნელი დეპოპულაციის პროცესი [სულაბერიძე ა... 2004: 63-76].

თუ დემოგრაფიულ ენციკლოპედიაში დეპოპულაციაზე მოყვანილი შინაარსით ვიმსჯელებთ, იქ ნათლადაა განმარტებული, რომ: „დემოგრაფიული ანალიზისას, ჰიპოთეზური თაობის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ტერმინით „დეპოპულაცია“ ჩვეულებრივ აღნიშნავენ მოსახლეობის აღწარმოების ისეთ რეჟიმს, რომლის დროსაც მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის სიდიდე ნაკლებია ერთზე“ [წულაძე გ. 2012: 79], პირდაპირ გულისხმობს, როგორც მიზეზს და არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მიგრაციით გამოწვეული მოსახლეობის აბსოლუტური შემცირება დეპოპულაციაა.

ამდენად, დეპოპულაციის შინაარსში უწინარესად უნდა ვიგულისხმეთ მხოლოდ მოსახლეობის ბუნებრივი შემცირება. აღნიშნულს ასევე ადასტურებს პროფ. ლ. ჩიქავაც სტატიაში: „დეპოპულაცია გადაშენებით გვემუქრება“, სადაც წერს, რომ: „... შობადობის მკვეთრი დაცემა, მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის) ზრდა და, როგორც ამის ლოგიკური შედეგი, ყოველწლიურად გარდაცვლილთა გადაამეტება დაბადებულთა რიცხოვნობაზე, რომელსაც დემოგრაფიულ ენაზე დეპოპულაციას უწოდებენ“ [ჩიქავა ლ., 2004].

ჩვენ მიერ დეპოპულაციის მოსახლეობის აღწარმოების ტიპად მიჩნევის ერთ-ერთი არგუმენტი მისი, როგორც მოსახლეობის ბუნებრივი კლემის რეალობა. მართალია, იგი ადრეულ წლებში, როგორც რეალობა არსებობდა და ახლაც არსებობს ცალკეული ქვეყნების, როგორც შიგა ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში, ისე თვით ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ იგი მაინც ფრაგმენტული იყო და მისი დაბალი დონე გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკით შემცირების შეჩერებისა და ზრდის საშუალებას იძლეოდა.

საქართველომდე, სადაც დეპოპულაცია მის ცალკეულ რაიონებში (რაჭა-ლეჩხუმი, გურია-იმერეთის სოფლები) 1970-იანი წლების შუა ხანებში დაფიქსირდა [სულაბერიძე ა. 2007], იგი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, გერმანია) აღინიშნა. მისი ფრაგმენტული ხასიათი დროის გარკვეულ პერიოდში გატარებული აქტიური სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკით აღიკვეთა და მომდევნო წლებში ამ ქვეყნებში მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოებაც კი იყო.

წინა პერიოდებში ცალკეულ ქვეყნებში იგი ლოკალურ ხასიათს ატარებდა, დღეისთვის კი დეპოპულაციამ ბევრი ქვეყანა მოიცვა და დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერების თანახმად, იგი თანდათან საყოველთაო ხდება. მოკვდაობასთან შედარებით შობადობის წინმსწრები ტემპით შემცირების შედეგად ბუნებრივი მატების აშკარა შემცირება აღინიშნება ბუნებრივი მატების დამახასიათებელ განვითარებად ქვეყნებშიც.

მოსახლეობის აღწარმოების წინა ტიპისგან განსხვავებით, დემოგრაფიული დაბერების მაღალი ტემპის პირობებში დემოგრაფიული სტრუქტურის გაუარესების, ისედაც დაბალ დონეზე არსებული შობადობის შემცირების და მოკვდაობის ზრდის მაღალი ტემპის გლობალური ტენდენცია აშკარად ადასტურებს ფრაგმენტულის ნაცვლად, მსოფლიოს მასშტაბით მის კანონზომიერ

ხასიათს, რაც დემოგრაფიული განვითარების მომდევნო ეტაპზე არ გამოირიცხება არც ერთ ქვეყანაში.

დეპოპულაცია, გლობალურთან ერთად, უკვე ხანგრძლივი დროის მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმის პირობებში კიდევ უფრო გაუარესდება დემოგრაფიული სტრუქტურა, ხოლო შობადობის სფეროში არსებული ოჯახის დაგეგმვის გლობალური პოლიტიკა კიდევ უფრო შეამცირებს შობადობის დონეს განვითარებად ქვეყნებშიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ განვითარებულ ქვეყნებზე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიო მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება ორმხრივად მიმდინარეობს. ერთი მხრივ, შობადობის შემცირებით, მეორე მხრივ, მოკვდაობის ზრდით. განსაკუთრებით საშიში მასშტაბები შეიძინა ამ პროცესმა დეპოპულაციისა და დაბალი აღწარმოების მქონე ქვეყნებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დეპოპულაცია უკვე წარმოგვიდგება როგორც მოსახლეობის აღწარმოების ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოსახლეობის უარყოფითი ბუნებრივი მატების საყოველთაო პარამეტრები. კერძოდ, შობადობას რამდენადმე აღემატება მოკვდაობა.

ამდენად, ა. ლანდრის მიერ შემოთავაზებული მოსახლეობის აღწარმოების ტიპებთან პრიმიტიულთან, ტრადიციულთან და თანამედროვესთან ერთად, ჩვენ დასაშვებად მივიჩნევთ მოსახლეობის აღწარმოების რეგრესული – უახლესი ტიპის დეპოპულაციის სახით არსებობას.

ძნელია ივარაუდო, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება დეპოპულაცია როგორც აღწარმოების ტიპი. მოსახლეობის აღწარმოების სხვა ტიპებისგან განსხვავებით, შეიძლება იგი ნაკლებ ხანს გაგრძელდეს, მაგრამ მალთუსის ორი საუკუნის წინ ფაქტობრივად პროგნოზირებადი მოვლენა მოსახლეობის აღწარმოების ტიპად უნდა განვიხილოთ. რაც შეეხება ფაზათა რაოდენობას, ისევე როგორც ჩვენეულ ჰიპოთეზას აღწარმოების უახლესი ტიპის თაობაზე, შემდგომი კვლევისა და დემოგრაფთა კამათის შედეგად უნდა დადგინდეს. იგი შეიძლება იყოს როგორც ერთფაზიანი, ისე მრავალფაზიანი.

ჩვენეული ჰიპოთეზით, დეპოპულაცია, როგორც მრავალფაზიანი მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების ტიპი, შეიძლება შემდგენიარად განვითარდეს. პირველ ფაზაში მოკვდაობის ზრდის ტემპი ჩამორჩება შობადობის შემცირების ტემპს ან თითქმის თანაბარია, მაგრამ მოკვდაობისა და შობადობის დონეთა შორის სხვაობა თანდათანობით პირველის სასარგებლოდ იზრდება. პირველი ფაზის დაწყების პერიოდში დასაშვებია პერიოდულად შობადობის და მოკვდაობის დონეთა გათანაბრებით მოსახლეობის ნულოვან ფარგლებში მატებაც (0,1, 0,2... 0,9).

მეორე ფაზაში მოკვდაობის ზრდის, ხოლო შობადობის შემცირების მაღალი ტემპის გამო, იზრდება მათ შორის სხვაობა მოკვდაობის სასარგებლოდ და შესაბამისად ბუნებრივი კლება აბსოლუტურად მატულობს.

მესამე ფაზაში მოკვდაობა აღწევს მაქსიმუმს და სტაგნაციის ფონზე იწყებს კლებას, შესაბამისად შობადობის თანდათანობითი ზრდის ფონზე ეცემა დეპოპულაციის დონე, რაც ბუნებრივი კლების მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენციაში აისახება. მესამე ფაზის ბოლოს, დემოგრაფიული სისტემის თვითრეგულაციის გააქტიურების შემთხვევაში, საზოგადოებისა და ოჯახის დემოგრაფიული ქცევის მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვევს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის წინა პლანზე წამოწევას. შედეგად, მოსალოდნელია შობადობისა და მოკვდაობის ჯერ გათანაბრება, შემდეგ ბუნებრივი მატება დაბალ დონეზე.

მეორე ფაზა, დროის ხანგრძლივობით, პირველ და მომდევნო – მესამე ფაზაზე მეტ ხანს უნდა გაგრძელდეს, რამდენადაც ამ პერიოდში მოსალოდნელია მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის ხარჯზე, და განვითარებად ქვეყნებში ოჯახის დაგეგმვის ფორმების ფართოდ გავრცელების შედეგად, შობადობის შემცირებით მსოფლიო მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ზრდა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მოკვდაობის დონეს. ამ პერიოდში ასევე მოსალოდნელია, მოკვდაობის ზრდაზე (განსაკუთრებით რეპროდუქციულ ასაკებში) გავლენა იქონიოს როგორც ეგზოგენური, ისე ენდოგენური ფაქტორებით გაზრდილმა დაავადებებმა. პირველი მათგანი მოსალოდნელია მზარდი ეკოლოგიური დაბინძურების პირობებში, ინფექციურ დაავადებათა ზრდით [OOH., 2001: 77], ხოლო მეორე, დღეისათვის ჯერჯერობით დაუძლეველი, უკურნებელი დაავადებების (ავთვისებიანი სიმსივნე, შიდსი) და ჯერ კიდევ უცნობი, მოსალოდნელი ენდოგენური დაავადებების ზრდით. ამდენად, არ არის გამორიცხული შობადობასთან შედარებით, ორივე ფაქტორით მოკვდაობის მაღალი დონე.

ეფიქრობთ, განსხვავებით მოსახლეობის აღწარმოების წინა ტიპებისგან, უახლესი ტიპის მეორე ფაზაში შობადობა და მოკვდაობა (შობადობა 5-8%, ხოლო მოკვდაობა 10-15%) უფრო დაბალ დონეზე იქნება, თუმცა მოსახლეობის ბუნებრივი კლების მანვენებელი საკმაოდ მაღალი იქნება და იგი 5-10 პრომილეს ფარგლებში იქნება. ამის საფუძველს გვაძლევს, გაეროს ექსპერტთა პროგნოზების შესაბამისად, შობადობისა და მოკვდაობის სტაბილიზაცია ერთობ დაბალ დონეზე.

გაეროს ექსპერტთა პროგნოზების 2017 წლის გადასინჯვის [www.esa.un.org] შესაბამისად ეფიქრობთ, რომ მესამე ფაზა ამ საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ პერიოდში უნდა დაიწყოს. პლანეტის დეპოპულაციის ერთობ კრიტიკული დონე დღის წესრიგში დემოგრაფიულ უსაფრთხ-

ოებას საყოველთაოდ დააყენებს. სწორედ ამ პერიოდისთვისაა მოსალოდნელი, დემოგრაფიული სისტემის თვითრეგულაციის შედეგად, შობადობის ზრდის დაწყება და მოკვდაობის სტაბილიზაცია მასთან შედარებით მაღალ დონეზე. ამ პერიოდიდან მოკვდაობის დონის მრუდის ზემოდან ქვემოთ დაცემის საპირისპიროდ მოსალოდნელია შობადობის დონის მრუდის ქვემოთ ზემოთ გაზრდა და ფაზის ბოლოს მათი ერთ დონეზე გათანაბრება.

ბუნებრივია, დეპოპულაციის ფაზათა ჩვენეული ვარიანტი ჰიპოთეზურია და იგი შემდგომი კვლევის ობიექტია, ამიტომ მის სიზუსტეზე პრეტენზიას ვერ განვაცხადებთ. ამასთან, შემოთავაზებული სახელის „ცივილიზებული ტიპის“ ნაცვლად, ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნება მას ეწოდოს „დეპოპულაციური ტიპი“, ან მალთუსის თეორიიდან გამომდინარე – „მალთუსისეული ტიპი“, რაც, ალბათ, მიუხედავად გარკვეული უთანხმოებისა, სამართლიანად დაიმსახურა მალთუსმა.

მოსახლეობის აღწარმოების წინანდელი ტიპებისგან განსხვავებით, უახლესი ტიპის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს მცირერიცხოვანი ერების ფიზიკური უწყვეტობის შენარჩუნება. არ გამოირიცხება ცალკეულ ქვეყნებში „ეგზოტიკური მოსახლეობის“ წარმოქმნა, რაც დღის წესრიგში აყენებს მცირერიცხოვანი ერების დემოგრაფიული უსაფრთხოების პრობლემებს [სულაბერიძე ა., 2002: 5-11].

გარემოსა და განვითარების საკითხებზე, ჯერ კიდევ გაეროს 1992 წლის კონფერენციაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, გამართულიყო ცალკე კონგრესი ხალხთმოსახლეობის, გარემოსა და უწყვეტი ურთიერთკავშირის თაობაზე, რომლის პრაქტიკულ დადასტურებას წარმოადგენდა ხალხთმოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე 1994 წელს კაიროში გამართული გაეროს კონფერენცია. ამასთან, 1997 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე მიღებულ იქნა 21-ე საუკუნეში ხალხთმოსახლეობის სფეროში შემდგომი მოქმედების პროგრამა, სადაც აღინიშნა, რომ მიმდინარეობს მოსახლეობის ზრდის ტემპების შემცირება გლობალური მასშტაბით და მისი ტენდენციების შენარჩუნება მიგვიყვანს 21-ე საუკუნის შუახანებში მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობრივ სტაბილიზაციამდე. ამიტომ აუცილებელია ვაღიაროთ დემოგრაფიული ტენდენციებისა და მდგრადი განვითარების ფაქტორების უწყვეტი ურთიერთკავშირი [OOH., 2001].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, პოლიტიკურ და სხვა ფაქტორთა ურთიერთკავშირთა შორის მნიშვნელოვანი როლი დემოგრაფიულ უსაფრთხოებასაც ენიჭება, განსაკუთრებით კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მცირერიცხოვან ერებში.

ა. სახვადის აზრით, „დეპოპულაცია შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოების, როგორც მთლიანი სოციალური ორგანიზმის „საერთო მექანიზმის“ მოშლის ერთ-ერთ ობიექტურ კრიტერიუმად“ [სახვადე ა. 2002: 52].

პროფ. ა. ანტონოვი „დეპოპულაციის ყველაზე მეტ საშიშროებას უახლოეს ათწლეულში, რიგი „მინი-ერების“ და ხალხთა მთლიანად გაქრობაში ხედავს, რასაც ერთაშორისი კონფლიქტების გამწვავება მოჰყვება“.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია პროფ. ლ. ჩიქავას აზრი: „სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო იმ სახელმწიფოთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც (თუმცა შორეულ მომავალში) თავისი გენოფონდის გადაშენების საშიშროება ემუქრებათ. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს მისი დღევანდელი მწვავე დემოგრაფიული ვითარებიდან, მოსახლეობის აღწარმოების, მკვეთრად გამოხატული ტენდენციებიდან, რომელმაც უკანასკნელ ხანებში აშკარად დემოგრაფიული კრიზისის ხასიათი მიიღო“ [ჩიქავა ლ., 2004].

ძნელია არ დაეთანხმო ა. ანტონოვის და ლ. ჩიქავას მიერ გამოთქმულ შიშს, მით უფრო, რომ სამხრეთ კავკასიის, ბალკანეთისა და მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში 1990-2000 წლებში მცირერიცხოვან ერებს შორის არსებული ეთნოკონფლიქტების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს, რეალურად, მათი ფიზიკური უწყვეტობისა და თვითყოფადობის უსაფრთხოებისთვის ბრძოლა წარმოადგენდა. განსაკუთრებით გამწვავდა ეს კონფლიქტები ახლადწარმოქმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებში, სადაც თავის დროზე, კომუნისტური რეჟიმის პირობებში გატარებული არასწორი ეროვნული პოლიტიკის შედეგად დაგროვილმა პრობლემებმა მონათესავე ერთა შორისაც კი, დაძაბული ვითარების ფონზე ეთნოკონფლიქტების წარმოქმნას შეუწყო ხელი [Антонов А.1999: 13].

ჩვენ მივეკუთვნებით დემოგრაფთა იმ ნაწილს, ვინც დეპოპულაციას განიხილავს, როგორც კაცობრიობის ეთნიკური საგანძურიდან რომელიმე მცირერიცხოვანი ეთნოსის გაქრობის საშიშროებას.

ჩვენ ვეთანხმებით ა. ანტონოვს, რომ „დეპოპულაცია საზოგადოებისა და ოჯახის ქცევის მნიშვნელოვან სახეცვლილებასთან ერთად, გამოიწვევს პროგრესული კაცობრიობის მიერ აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის წინა პლანზე წამოწევას“ [Антонов А.1999: 15].

დასკვნა

ამდენად, მოსახლეობის უახლესი ტიპი – დეპოპულაცია, როგორც კანონზომიერი დემოგრაფიული პროცესი, რაც უფრო მოკლევადიანი იქნება ქვეყანაში, მით უფრო უსაფრთხოა იგი ქვეყნისა და ერის არსებობისათვის. ამიტომ, ამ თვალსაზრისით აუცილებელია, საზოგადოებამ და ხელისუფლებამ ჯეროვანი დასკვნების საფუძველზე, დეპოპულაციის დროული აღმოფხვრის მიზნით, შეიმუშაოს და გაატაროს სათანადო აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. 2012. შემდგენელი გ. წულაძე. თბილისი.
2. თოთაძე ა. 2001. ახალი დემოგრაფიული საფრთხე. ჟ. „დემოგრაფია“, №2, გვ. 70-81.
3. სახვაძე ა. 2002. დემოგრაფიული ეტიუდები. ტ. 1. თსუ.
4. სულაბერიძე ა. 2002. დემოგრაფიული ექსპანსია. ჟ. სოციალური ეკონომიკა, №5.
5. სულაბერიძე ა., სულაბერიძე ვ. 2004. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის, ფაზათაშორისი, ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდის შესახებ. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. 2, თბილისი.
6. სულაბერიძე ა. 2007. ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე.
7. საქართველოს უსაფრთხო დემოგრაფიული განვითარების პოლიტიკა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კონფერენციის კრებული. 2015.
8. სულაბერიძე ა. 2016. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ზოგადი ტენდენციები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. მონოგრაფია. საქართველოში მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი.
9. ჩიქავა ლ. 2004. დეპოპულაცია გადაშენებით გვემუქრება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №29-32. თებერვალი,
10. წულაძე გ., სულაბერიძე ა. 2016. საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები.
11. Carlson A. 1990. Family questions: Reflection on the American Social Crisis. New Brunswick; Oxford, p. 63
12. Kaa Van de D. 1987. Europe's Second Demographic Transition //Population Bulletin. Vol. 42(1).
13. Landry A. 1934. La revolution demographique..
14. Антонов А.И. 1999. Политическая демография, проблемы противодействия, упадок семьи и депопуляция. В сб. «Демографические процессы и семейная политика: региональные проблемы». Материалы Российской н/п конференции. Липецк- Москва.
15. Гундарев И.А. 2001. Демографическая катастрофа в России: причины, механизм, пути преодоления. М.
16. Иванов С. 2002. Новое лицо брака в развитых странах. Информационный бюллетень Центра демографии и экологии человека Института народохозяйственного прогнозирования РАН №63. июнь.
17. Народонаселение, окружающая среда и развитие. Краткий доклад Организации объединенных наций. Нью-Йорк, 2001.
18. Сулаберидзе А. 2001. Депопуляция в странах с переходной экономикой. Ж. «Социологические исследования». №11-01.
19. Сулаберидзе А. 2014. Особенности демографического перехода в Грузии на фоне посткоммунистических стран. XIV Апрельская международная научная конференция по проблемам развития экономики и общества. т. 2. 11. М.
20. Сулаберидзе А. Сулаберидзе В. 2014. Проблемы формирования социальной структуры населения Грузии в переходный период. Демографические исследования. Выпуск 23. МГУ им. М.В. Ломоносова. Экономический факультет. Центр по изучению проблем народонаселения. Москва.
21. www.esa.un.org/unpd/wpp

Vladimer Sulaberidze

THE NEWEST “CIVILIZED” OR DEPOPULATED TYPE OF POPULATION REPRODUCTION!?

Summary

A. Lundry thought the modern type of population reproduction could lead to the regress of population. Since the end of 20th century many demographers noted the formation of the newest type of population reproduction, during which mortality exceeds childbirth and instead of natural growth of population the contrary, namely, its loss is apparent, and the natural depopulation takes place.

In this regard, the modern demographic development of the world is characterizes by diversity and if in some developed countries the modern type of population reproduction is replaced by the newest type, in others it is in the last phase, and still in some other countries the second phase of the modern type of population reproduction is noticed.

Therefore, the era of quasi-equilibrium on the upper levels of childbirth and mortality is replaced by the new era of equilibrium on the lower levels of the same. As opposed to the last type of population reproduction, the demographic structure became worse during the high rate of demographic aging, and the global tendency of depopulation, as well as the high rate of mortality growth, already existing on the lower level, clearly confirms its predictable rather than fragmental nature worldwide, which is not excluded in the next stage of demographic development in any country.

There is an interesting situation in South Caucasus as well. Unlike Azerbaijan, where the third phase of the modern type of population reproduction has just started, in Armenia it was noted in the 90s of the last century and by 2025 the newest type of population reproduction is expected to begin. As regards Georgia, we think that the modern type of population reproduction, where mortality exceeds childbirth, is apparent and there is not even the smallest natural growth of population. Instead of the term “civilized type” it is more proper to call it “depopulated”, or according to Malthus’s theory – “Malthusian type” as is well-deserved by Malthus.

The work also critiques the views regarding the essence of depopulation. We think that depopulation, first of all, denotes the reduction of population which is only stipulated by excessive rates of mortality relative to childbirth and not by the reduction of absolute number of population which is the result of negative balance of migration. Consequently, there are invisible and visible types of depopulation.

According to our hypothesis, depopulation as the multiphase, curtailed type of population reproduction can develop in the following manner: within the first phase the growth of mortality rate lags behind the decrease rate of childbirth or is nearly equal, however the distinction between the levels of mortality and childbirth gradually increases in favor of the former. In the beginning of the first phase, the population growth within the boundary of zeros (0,1, 0,2...0.9) is feasible by periodically equalizing the levels of childbirth and mortality,

In the second phase, as a result of the slow growth of mortality rate, on the one hand and the high rate of childbirth reduction on the other hand, the distinction between them increases in favor of mortality and thus, natural depopulation grows.

During the third phase, depopulation reaches its limit and after the period of stagnation it starts reduction, therefore, in light of gradual growth of childbirth we notice the decrease in the level of depopulation, which is reflected in the significant tendency of reduction of natural depopulation. By the end of the third phase, in case of activating self-regulation of demographic system, the significant change in the demographic behavior of society and family will cause an active demographic politics to come to the forefront, which must first result in equating childbirth and mortality and then in natural growth on lower level.

The second phase, in terms of duration, must continue longer than the first and third phases, as during this period it is expected in developed countries, at the expense of growth of population’s life expectancy, and in developing countries, as a result of wide dissemination of the forms of family planning, that it will lead to childbirth reduction and subsequently to the growth of population’s demographic aging. It will, in turn, substantially increase the level of mortality. It is also possible in this period that exogenic and endogenic factors will play a role in multiplying diseases, which will have an impact on the growth of mortality (especially during reproductive ages).

We do not exclude single-phased depopulation, which must be established by further research and debate among demographers. In contrast with earlier types of population reproduction, one of the main problems of the newest type of population reproduction is to preserve physical continuity of small nations. This stresses the problems of demographic security of smaller nations in the existing agenda.

Therefore, depopulation as the natural demographic process and the curtailed type of population reproduction is the safer for the existence of a country and nation the shorter it is in a given country. In this regard, based on all the mentioned information, it is necessary that society and government draw proper conclusions, come up with and implement an active demographic policy in order to root out depopulation in a timely manner.

*ქეთევან შენგელია
ანა ჯიქია*

**ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების
პირითაღი ტენდენციები საქართველოში**

ანოტაცია. თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება“. ამ პრობლემას სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ევროპის ქვეყნებში, საქართველო კი თანდათან ევროპის ნაწილი ხდება.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტულობა განპირობებულია მრავალი გარემოებით, რომელთა შორის უმთავრესია ეკონომიკის ზრდის არამატერიალური ფაქტორების როლის გადიდება, რაც დაკავშირებულია ადამიანური პოტენციალის განვითარებასთან. დღეისათვის ფირმის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, უპირატესად განისაზღვრება ხარისხობრივი მაჩვენებლებით. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანური, ინტელექტუალური, სოციალური კაპიტალი, ანუ სამუშაო ძალის ხარისხი და მუშაკთა მოტივაცია. სწორედ ეს გარემოება აძლევს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას ეკონომიკურ იმპერატივებს.

ახალ ათასწლეულში, ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში, შემუშავებულია მოსახლეობის სოციალური დაცვის მაღალი სტანდარტები. ამიტომაც აუცილებელი ხდება მსხვილი ბიზნესის სოციალური ფუნქციის ამაღლება, მათი ურთიერთობა სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან სოციალური განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის. მრავალი უცხოელი მეცნიერი თვლის რომ, თუ მსხვილმა ბიზნესმა თავის თავზე არ აიღო სოციალურ პრობლემათა გადაჭრის პასუხისმგებლობა, თავადვე გახდება სოციალური პრობლემების მსხვერპლი.

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტულობა განპირობებულია მრავალი გარემოებით. მათ შორის აღსანიშნავია საბიუჯეტო რესურსების არასაკმარისობა სრულყოფილი სოციალური პოლიტიკის გასატარებლად. აქედან გამომდინარე, მსხვილ კომპანიათა როლი ამ პროცესებში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს, რის შედეგადაც ბიზნესი თანდათან გადავა ერთგანზომილებიანი საბაზრო სკალიდან მრავალგანზომილებიანზე, სადაც ასახული უნდა იყოს მისი საქმიანობის ეკონომიკური, სოციალური და ეთიკური ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, სოციალური პასუხისმგებლობა, საქართველოს ეკონომიკა

შესავალი

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტულობა განპირობებულია მრავალი გარემოებით, რომელთა შორის უმთავრესია ეკონომიკის ზრდის არამატერიალური ფაქტორების როლის გადიდება, რაც დაკავშირებულია ადამიანური პოტენციალის განვითარებასთან.

სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია შემდეგ საკითხებს მოიცავს:

ა) სამუშაო გარემო და ადამიანის უფლებები - რამდენად შეესაბამება სამუშაო გარემო შრომის კანონმდებლობას, არის თუ არა საკონტაქტო სისტემა, დაცულია თუ არა ადამიანის უფლებები.

ბ) დასაქმებულთა სოციალური დაცულობის დონე - სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვა, საპენსიო უზრუნველყოფა, არსებული ადამიანური რესურსების განათლება და განვითარება.

გ) გარემოს დაცვა - რამდენად ხორციელდება არსებული გარემოს კვლევა, გარემოსდაცვითი, რეციკლირების პროგრამების დაფინანსება.

დ) მოსახლეობასთან ურთიერთობა და სოციალური პროექტები - კერძო, სათემო, მუნიციპალური ან სამთავრობო. აქ მოიაზრება ფინანსური, პროდუქტებით, მომსახურებით, ტექნიკით, მატერიალური და ადამიანური რესურსებით დახმარება შემდეგ სფეროებში: განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის სფეროში.

ევროკავშირში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) მიმართულებით ჩატარებული აქტიური ღონისძიებების შედეგად, 2016 წელს შეიქმნა 1 მილიონამდე ახალი სამუშაო ადგილი და მოხდა ბიზნესპროცესებში ჩართული 4 მილიონამდე პირის გადამზადება.

ევროკავშირის CSR-ის ისტორია იწყება 1995 წლიდან, როდესაც ევროკავშირის პრეზიდენტმა მოუწოდა საწარმოებს სოციალური აქტიურობისა და მეტი სამუშაო ადგილის შექმნისკენ.

ევროკავშირი შეეცადა ცალკეული ქვეყნების სოციალური პრობლემები განეხილა ერთ მთლიან კონტექსტში და 1993 წელს აამოქმედა 4 თავისუფლება. იგი გულისხმობს კაპიტალის, მუშახელის, მომსახურების და პროდუქციის თავისუფალ გადაადგილებას ევროპის ქვეყნების ბაზრებზე. აღნიშნულ კონტექსტში მუშახელის თავისუფალი გადაადგილება გულისხმობს თითოეული წევრი სახელმწიფოს მოქალაქის უფლებას, იცხოვროს ან ეკონომიკური საქმიანობა აწარმოოს მეორე წევრ სახელმწიფოში. თუკი საწყის ეტაპზე ევროკავშირის ძირითადი მიზანი იყო უსაფრთხოება და შემდგომ უკვე ეკონომიკური პროცესები (ვაჭრობა, უმუშევრობა), დროთა განმავლობაში იგი ჩაანაცვლა გარემოსდაცვითმა ღონისძიებებმა, რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ევროკავშირისთვის.

* * *

ეკონომიკური აქტივობის მოკლევადიანი პერიოდის რყევებმა ყველა ქვეყანაში შეიძლება იჩინოს თავი, თუ მას არ შევაჩერებთ მაკროეკონომიკური რეგულირებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჯონ მენარდ კეინზის შეხედულებები. XX საუკუნის 30-იანი წლებში, ცივლიზებულ ქვეყნებში მიმდინარე მძლავრი ეკონომიკური რყევის შემდეგ, ჯ.მ. კეინზმა საზოგადოებას საკუთარი თეორია წარუდგინა, სადაც მან მთლიანად უარყო სახელმწიფოს შესახებ კლასიკოსების შეხედულებები. მისი მოსაზრებების სათავეებთან გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსები იდგნენ, პირველ რიგში: ი. გ. ფიხტე, სამეურნეო კუთხით კი, გერმანელი კამერალისტები კ. იუსტი, ა. ზენერფელდე, ასევე აღსანიშნავია ფ. ლისტე და ჟ. სისმონდი. კეინზის თეორიას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „კრიზისული“, რადგან იგი ეკონომიკას დეპრესიულ მდგომარეობაში განიხილავს. მისი თეორიის მიხედვით, სახელმწიფო აქტიურად უნდა ერეოდეს ეკონომიკურ პროცესებში, ამის მიზეზი თავისუფალი ბაზარია, რომელსაც ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისთვის რეალური მექანიზმები არ გააჩნია. კეინზი თვლიდა, რომ სახელმწიფო ერთობლივი მოთხოვნის ზრდისათვის უნდა ზემოქმედებდეს ბაზარზე, რადგან საბაზრო ეკონომიკის კრიზისის მთავარი მიზეზი საქონელთა ჭარბი წარმოებაა. ხოლო 70-იან წლებში, როცა კვლავწარმოების პირობები მკვეთრად გაუარესდა, უ. ფილიპსმა აღნიშნა რომ, არ შეიძლება ერთდროულად ადგილი ჰქონდეს ინფლაციასაც და დასაქმების ზრდასაც, ეს წინააღმდეგობრივი პროცესია. მაშასადამე, კრიზისიდან გამოსვლის კეინზური გზა არ არის სრულყოფილი, ზოგიერთ შემთხვევაში იგი კიდევ უფრო ამწვავებდა ეკონომიკურ პრობლემებს, ხოლო ეკონომიკური რყევა უფრო მწვავეს ხდის სოციალურ პრობლემებს, რამაც თავისთავად მოითხოვა კეინზური მოდელის შეცვლის აუცილებლობა.

თანამედროვე პერიოდში მრავალი ეკონომისტ-მეცნიერი მიიჩნევს, რომ ახალი რეგულირების ძირითად მიმართულებად ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამადლება უნდა იქცეს. შეიძლება ითქვას, რომ რ. მანდელისა და ვ. ებენსტიანის გრძელვადიანი ეკონომიკური მოდელები

და პროგნოზები სულ უფრო და უფრო რელევანტური გახდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში⁴⁸.

2010 წელს „CSR ევროპის“ ინიციატივით შეიქმნა „საწარმო 2020“, რომლის მიზანი იყო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიების ევროკავშირის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა. საწარმო 2020-ის საშუალებით დღის წესრიგში დადგა ისეთი საკითხები, როგორცაა არსებული ცხოვრების წესი, სამუშაო, კომუნიკაცია, განათლება, მოხმარება და რესურსების გაზიარება. სულ მალე საწარმო 2020 გარდაიქმნა ევროპულ მოძრაობად იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ავითარებდნენ ბიზნესინოვაციებს პრაქტიკაში და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მუშაობდნენ არსებულ სოციალურ პრობლემებზე.

2015 წელს უმუშევრობის, კლიმატური ცვლილებებისა და დემოგრაფიული პრობლემების გადასაჭრელად შეიქმნა საწარმო 2020-ის მანიფესტი. იგი მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას:

1. მუშაობის შესაძლებლობა და ჩართულობა მენეჯმენტის და მიწოდების ჯაჭვის ყველა დონეზე (დამსაქმებელმა უნდა იზრუნოს დასაქმებულის უნარ-ჩვევების განვითარებაზე, საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს თანამშრომლების გადამზადება, ყველა დასაქმებულს უნდა ჰქონდეს ერთნაირი შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში, აქტივობებში).

2. წვერი კომპანიების წახალისება, რათა განახორციელონ პროდუქციის წარმოების პროცესისა და მოხმარების განვითარება ქალაქსა და რეგიონთან ერთობლივი მუშაობის შედეგად (ინოვაციური პროდუქტის, მომსახურების, ბიზნესმოდელის შექმნა და ადგილობრივ მთავრობასა და საზოგადოებასთან მუდმივი თანამშრომლობა. ამასთანავე, წარმოების პროცესში გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება და ბუნებრივი რესურსების შეზღუდული გამოყენება, პარალელურად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიკის გაძლიერება).

3. გამჭვირვალობა და ადამიანის უფლებათა დაცვა ბიზნესის წარმოების პროცესში (დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და გაუმჯობესებული მართვის სისტემები მიწოდების ჯაჭვის პროცესში).

მიუხედავად მოკლე დროისა, ევროკავშირმა ძალიან დიდი ღონისძიებები განახორციელა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. დღესდღეობით ევროპაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ბიზნესის წარმოების პროცესში. ევროკავშირმა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნით ხელი შეუწყო ბიზნესების ეფექტურ, ნაყოფიერ მუშაობასა და მათ დადებით გავლენას საზოგადოებაზე.


სამართლებრივი ბაზის შემნის ნათელი მაგალითია 2011 წელს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შემუშავებული სახელმძღვანელო (კომპენდიუმი) „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა - ეროვნული საჯარო პოლიტიკა ევროკავშირში“, სადაც ამ მიმართულებით 8 ყველაზე მწვავე საკითხი იქნა მოკვლეული.

რაც შეეხება საქართველოს, „ასოცირების ხელშეკრულების“ 352-ე მუხლის მიხედვით, საქართველო ვალდებულია, ხელი შეუწყოს „კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებას“ და „ბიზნესპასუხისმგებლობის პრაქტიკას, როგორცაა მთელი რიგი საერთაშორისო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო რეკომენდაციების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკა და განსაკუთრებით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო რეკომენდაციები მრავალეროვანი კომპანიებისთვის“, ასევე „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში ცნობიერების ამაღლება და დიალოგის ხელშეწყობა“ (მუხლი 349, i პუნქტი).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოში სუსტად არის შესწავლილი, თუ რა ღონეზეა განვითარებული ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა. მხოლოდ 2005 წელს იქნა ჩატარებული კვლევა ფონდი „ჰორიზონტის“ მიერ „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში“ Unocal Foundation-ის დახმარებით. კვლევის ძირითადი მიზანი იყო რეალური სურათის წარმოჩენა ქართულ კომპანიებში. ძირითადად ყურადღება ეთმობოდა ისეთ საკითხებს, როგორცაა ადამიანური რესურსები და მათი სწავლება; წახალისების და დაზღვევის სისტემები; მომხმარებელთან ურთიერთობა; სოციალური პროექტების დაფინანსება და სხვა. გამოკითხული 63 კომპანიიდან 28 მიეკუთვნებოდა მსხვილ ბიზნესს, ხოლო 35 საშუალოს. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ გამოკითხულ კომპანიათა 22% საერთოდ არ გამოყოფდა თანხებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად⁴⁹.

⁴⁸ ქეთევან შენგელია, ეკონომიკური რეგულირების სპეციფიკა საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა“, № 3-4, 2014, გვ. 14.

⁴⁹ <http://www.nplg.gov.ge>



საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მსხვილი კომპანიების 88% გამოყოფდა თანხებს ამ მიმართულებით, ხოლო საშუალო კომპანიათა მხოლოდ 70,6% გამოყოფდა თანხებს ამ მიზნით. ასევე ძალიან მცირეა იმ კომპანიათა რაოდენობა, რომლებიც აზღვევს თანამშრომელთა სიცოცხლეს. ასეთ კომპანიათა რაოდენობა იყო მხოლოდ 19%. გამოკითხულ კომპანიათაგან 12 კომპანია საერთოდ არ იღებდა მონაწილეობას სოციალურ პროექტებში.

რა მდგომარეობაა დღეისათვის საქართველოს კომპანიებში ამ მიმართულებით, გამოკვლეული არ არის. არადა პრობლემები რომ მრავლადაა, ამაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს (გავისხენოთ თუნდაც 6 დაღუპული ადამიანი ტყიბულის შახტაში).

კონსულტაციებისა და სასწავლო პროგრამების საშუალებით კომპანიებს დახმარება უნდა გაეწიოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის ჩამოყალიბებასა და შესაბამისი სტრუქტურის დანერგვაში. ამ საკითხში მთავრობას აკისრია უდიდესი როლი, რათა სავალდებულო გახდეს კომპანიებისთვის სოციალური პასუხისმგებლობის ამოქმედება.

დასკვნა

საბოლოო ჯამში, შეიძლება დავასკვნათ, რომ მდგრადი ბიზნესის განსავითარებლად, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პროცესში უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების დაცვა, შრომითი ურთიერთობების კანონმდებლობით დარეგულირება, გარემოზე ზრუნვა და ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარება. პასუხისმგებლიანი ბიზნესი წარმოქმნის იმავე ღირებულებებს და პრინციპებს თავისი საქმიანობის სფეროში, რა პრინციპებითა და ღირებულებებით თავად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობის ბიზნესპროცედურებთან შეერთებით და კულტურული მთლიანობის დამყარებით, კომპანიები არა მხოლოდ იცავენ მათ ძირითად ვალდებულებებს ხალხისა და პლანეტის წინაშე, არამედ საფუძველს უყრიან საკუთარ გრძელვადიან ეკონომიკურ წარმატებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქეთევან შენგელია, ეკონომიკური რეგულირების სპეციფიკა საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა“, № 3-4, 2014, გვ. 14.
2. ქეთევან შენგელია, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა: გლობალური კონტექსტი და საქართველოს რეალიები. ჟურნ. „ეკონომიკა“, № 7, 2006, გვ. 180.
3. National public policies in the European Union – Compendium 2014.
4. Focus CSR: The new communication of the EU commission on CSR and National CSR strategies and action plans – European sustainable Development network – 2011.
5. Social Responsibility: Implications for Businesses Operating in the United States and the European Union - Kaitlyn Sapp University of Connecticut – 2016.

*Ketevan Shengelia
Ana Jikia*

THE MAIN TENDENCIES OF RAISING OF THE SOCIAL RESPONSIBILITIES OF THE BUSINESS IN GEORGIA Summary

In the modern period it is the most important the “Raising of the Business Social Responsibilities”. To this problem is paid the special attention in Europe, and Georgia is gradually becoming the part of Europe.

The priority of the business social responsibilities is determined by various occasions, and the principle is the increase of the nonmaterial factors of the economy, which is connected with the development of the human potential. For

today the competitiveness of the company on the world market, mainly is determined by the qualitative indicators. Among them the most important is the implementation of the innovations and new technologies the background of which is human, intellectual, social capital or in the other words the quality of the working force and motivation of the employees. Exactly this circumstance gives economic imperatives to the business social responsibilities rising.

In new millennium, mainly in the developed countries, the high standards of social defense are developed. That's why it is necessary to raise the social function of the large business, their relation with the state and processing of the social development strategy with the society. Many foreign scientists consider that if the large business does not take the responsibilities up on itself to solve the social problems, it will become the victim of the social problems itself.

In Georgia, the priority of the business social responsibilities is conditioned with many occasions. Among them must be indicated the lack of the budget recourses for the implementation of the complete social policy. So, the role of those companies in these processes must be increased importantly and as result of this business will transfer from the one-dimensional market school to the multidimensional where must be indicated the aspects of their economic, social and ethic aspects.

ჯილდა ჭეიშვილი

მოსახლეობის დამოკიდებულება თაობათა განახლების პროცესზე

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია მოსახლეობის შეხედულებები თაობათა ცვლის და განახლების პროცესისადმი. ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული კრიზისის, კერძოდ, მოსალოდნელი დეპოპულაციის შესწავლის მიზნით, ჩატარეთ სოციოლოგიური გამოკვლევა, რამაც საშუალება მოგვცა, გამოვველინა მოსახლეობის დამოკიდებულება ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ, კერძოდ შობადობის ტენდენციებზე.

საკვანძო სიტყვები: მოსახლეობა, შობადობა, მოკვდაობა, კრიზისი

აქტუალობა

უკანასკნელ ათასწლეულში საქართველოში განვითარებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლამ, დევნილთა ნაკადმა, გაზრდილმა უმუშევრობამ, ასევე მიგრაციისა და ურბანიზაციის მომატებულმა ინტენსივობამ უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე. საქართველოში შვილების თაობა მშობლების თაობის დაახლოებით 70-80%-ს განაახლებს.

გაეროს მიერ გამოქვეყნებული პროგნოზების მიხედვით, მოსახლეობის კლების ასეთი ტენდენციით გაგრძელების შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 2050 წლისათვის განახევრდება, რის შედეგადაც ქართველი ერი გადაშენების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

საქართველოს თანამედროვე დემოგრაფიული მდგომარეობა სისტემური კრიზისის ხასიათს ატარებს, რომელიც შემდეგ პრობლემებს მოიცავს: მოსახლეობის რაოდენობის და შობადობის შემცირება, მოკვდაობის ზრდა დემოგრაფიული დაბერების ინტენსივობის პირობებში, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაცია და რეგრესული ტიპის სტრუქტურის ჩამოყალიბება, გარე და შიდა მიგრაციის ფართო მასშტაბები და ა.შ.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება თაობათა განახლების პროცესისადმი, კერძოდ:

1. ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ ტენდენციაზე;
2. შობადობის შემცირებაზე;
3. დემოგრაფიულ პოლიტიკაზე (განსაკუთრებით შობადობის წამახალისებელი რეგულაციების).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა სტრატეგიცირებული, მრავალსაფეხურიანი, რანდომული შერჩევის მეთოდოლოგიით და შეირჩა საქართველოს ორი რეგიონი, სადაც ძირითადი დემოგრაფიული ინდიკატორების მახასიათებლები ყველაზე განსხვავებულია (იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი).

საკვლევ რეგიონში გამოიყო 16 სტრატა. პიროვნებების შერჩევა მოხდა მრავალსაფეხურიანი კლასტერული რანდომული შერჩევის მეთოდოლოგიით, ე.წ „კიშის ცხრილის“ საშუალებით.

კვლევის შედეგად მიღებული მასალის ანალიზისას შეირჩა გარკვეული მახასიათებლები (ცვლადები). დამუშავდა მონაცემები SPSS (ვერსია N23) პროგრამის საშუალებით. მეთოდებიდან გამოყენებულ იქნა ადწერილობითი ანალიზი მარტივი T-ტესტისა და რეგრესული ანალიზის მეთოდის საშუალებით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 780 მოქალაქემ, ქალი რესპონდენტების რაოდენობა აჭარბებდა მამაკაცებისას. 64.4% იყო დაქორწინებული, უმეტესობას მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, სამუშაო სტატუსის მიხედვით დაფიქსირდა ყველაზე დიდი რაოდენობა არაანაზღაურებადი სამუ-

შო სტატუსის მქონე პირების (უმუშევარი შრომისუნარიანი). კომლის წლიური შემოსავლების საშუალო მაჩვენებელი შეადგინა 1587.4 ლარი.

კვლევის შედეგები

ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ტენდენციის შესწავლისას გამოკითხული მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტული გადანაწილება მოდის 18-44 წლის მამაკაცებზე, რომლებმაც სწორად და ზუსტად იციან, რომ საქართველოს დემოგრაფიული მომავალი საფრთხეშია. დაახლოებით 14.7-18%-ზე არის გადანაწილებული იმ ქალებისა და მამაკაცების რიცხვი (ყველა ასაკის შემთხვევაში), რომელთაც საწინააღმდეგო აზრი აქვთ და თვლიან, რომ მოსახლეობის რაოდენობა მატულობს საქართველოში, ხოლო, რაც შეეხება შობადობის ტენდენციის შეფასებას, რესპონდენტებიდან ქალების 14% და მამაკაცების 22.9% ფიქრობს, რომ შობადობის რაოდენობა მატულობს ქვეყანაში.

განათლებასთან მიმართებაში, დემოგრაფიული და შობადობის ტენდენციის შეფასებისას, გამოიკვეთა პოზიტიური კორელაცია განათლების დონის მიხედვით. ეს ლოგიკურიცაა. რაც იზრდება განათლების დონე, დემოგრაფიული, კონკრეტულად შობადობისადმი ინტერესი მეტია, ვიდრე დაწვებითი ან საშუალო განათლების მქონე პირებში.

ქვეყანაში არსებული შობადობის ტენდენციის შესწავლისას მოსახლეობის 11% -ს მიაჩნია, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ „ბობოქრობს“ შობადობის „ბუმი“.

შობადობის ზრდის შესახებ აზრის დაფიქსირება, ჩვენი აზრით, გამოწვეულია ბოლო წლებში ქვეყანაში დაბადებული საერთო რაოდენობაში მესამე და შემდგომი ბავშვების წილის ზრდით, რაც პატრიარქის მიერ მესამე შვილის ნათლობის ინიციატივის შედეგია, რამდენადაც გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა ამ კითხვის პასუხად ასახელებდა პატრიარქის მიერ ბავშვთა საყოველთაო ნათლობას (სამი და მეტი შვილის შემთხვევაში), ხოლო ბოლო წლებში ქვეყანაში შობადობის კლების ტენდენციაზე, როგორც ჩანს, მოსახლეობა ჯერ არ არის ინფორმირებული.

იმისათვის, რომ შეგვეფასებინა გამოკითხული რესპონდენტების განწყობა შობადობაზე, დავსვით კითხვა – რამდენი შვილი გყავთ და რამდენი შვილის გაჩენას აპირებთ სამომავლოდ - საგარეო პასუხებში მიუთითეთ ვარიანტები, რომელზეც შესაძლებელია ეფიქრა რესპონდენტს, სქესობრივ-ასაკობრივი, განათლების დონის, ოჯახური მდგომარეობის და დასაქმების მიხედვით.

პირველი დამოკიდებული ცვლადი შევადარეთ დამოუკიდებელ ცვლადს ოჯახური მდგომარეობის შესაბამისად. კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ მოსახლეობა პოზიტიურადაა განწყობილი შვილის გაჩენის (ყოლის) მიმართ, განსაკუთრებით, ქორწინებაში ჯერ არმყოფი რესპონდენტები (64.7 %).

განათლების დონესთან მიმართებაში აღნიშნული ინდიკატორის შეფასებისას გამოიკვეთა უარყოფითი კორელაცია, კერძოდ, რაც იზრდება განათლების დონე (არასრული საშუალო, სრული საშუალო, პროფესიული, უმაღლესი) შვილის გაჩენის სურვილი თანდათან ქვეითდება.

შობადობაზე ასაკთან დამოკიდებულებაში გამოიკვეთა მოსახლეობის პოზიტიური განწყობა, სადაც ჭარბობს 18-24 წლის ასაკობრივი ჯგუფი (28.2%). ყველაზე ნაკლებს ამავე ინდიკატორთან მიმართებაში შეადგენს 35-44 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები (19.2%).

აღმოჩნდა, რომ მოსახლეობაში ბავშვის ყოლის სურვილი (მიუხედავად იმისა, ჰყავთ თუ არა) პოზიტიურ კორელაციაშია დასაქმებასთან.


ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო რეგულაციების ეფექტიანობის გასარკვევად შევისწავლეთ შობადობის წახალისების მიზნით ქვეყანაში დღეს არსებული საკანონმდებლო აქტები და კანონები, კერძოდ:

1. „დემოგრაფიული პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის დადგენილება №262), რომელიც ითვალისწინებს შობადობის მატერიალურ წახალისებას ყოველი მესამე და შემდგომი შვილის გაჩენის დროს (იმ რეგიონში, სადაც ბავშვის (ბავშვების) დაბადების წლის წინა მე-2 და მე-3 წელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი არ ფიქსირდებოდა).

მთიან რეგიონებში მცხოვრებლებს მესამე და მომდევნო შვილზე ეძლევათ ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, ხოლო ბარში მცხოვრებლებს - 150 ლარი. თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემა მანამ, სანამ პატარა ორი წლის გახდება. პროგრამა 2014 წლიდან შეეხება შემდეგ რეგიონებს: გურიას, იმერეთს, კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, სამეგრელო/ზემო სვანეთს და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს. 2017 წლის 1 იანვრიდან კი პროგრამაში ჩაერთო სამცხე-ჯავახეთი 218 .

2. კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ (დამტკიცებული 16 ივლისი 2015 წ. 4036-რს) (ე.წ. „მთის კანონი“).

კანონის მე-4 მუხლი - ე პუნქტი მოიცავს: „ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 100 ლარის – მიცემას, ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის – 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 200 ლარის – მიცემას“.



გრაფიკი 1.
გსმენიათ თუ არა ყოველი „მესამე“ და შემდგომი ბავშვის გაჩენის შემთხვევაში სახელმწიფოს დახმარების შესახებ

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ აღნიშნული პროგრამის მიმღები ოჯახების რაოდენობა მიმდინარე წელს მატულობს წინა წლებთან შედარებით, განსაკუთრებით იმერეთში, კახეთსა და გურიაში, ხოლო ე.წ. „მთის კანონის“ მიმღებთა რაოდენობა (2017 წლის მონაცემები) ყველაზე მაღალი ფიქსირდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ასევე ხაზგასასმელია რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მონაცემები, სადაც 2015 წელს ყველაზე მაღალი იყო ბენეფიციართა რაოდენობა, ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, გაზრდილი ურბანიზაცია უნდა იყოს, რადგან ასეთი მკვეთრი კლება ვერ მოჰყვებოდა თუნდაც შობადობის შემცირებას.


კვლევის შედეგად მიღებული მასალების საფუძველზე გამოიკვეთა რომ, რესპონდენტების 39.5%-ს იმერეთში და 29.8%-ს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში, არცკი სმენიათ აღნიშნული პროგრამის შესახებ. ჩვენს შემთხვევაში ბენეფიციარის მიმღები რესპონდენტების რაოდენობა ოთხი ერთეულით განსხვავდება ორივე რეგიონში. გამოკითხული რესპონდენტების დაახლოებით ნახევარმა იცის აღნიშნული პროგრამის არსებობის შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდად არ მოქმედებს ეს ფულადი დახმარება მოსახლეობის მენტალიტეტზე, რადგანაც ნამდვილად არ გამოუწვევია შობადობის ისეთი მატება, როგორც პატრიარქის საყოველთაო ნათლობის შედეგად განხორციელდა ქვეყანაში.

იმისათვის, რომ გამოგვეკვეთა მოსახლეობის აზრი იმ სურვილებთან და მოლოდინებთან დაკავშირებით, რასაც შესაძლოა მოჰყვეს შობადობის წახალისება ქვეყანაში, ჩამოვყალიბეთ ღია კითხვა: „თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, რომ მეტი ახალშობილი გაჩნდეს ქვეყანაში“. ამასთან, რესპონდენტებს მივეცით საშუალება, თავად გაეცათ პასუხი, რა სურვილები და მოლოდინები აქვთ სახელმწიფოდან, რომ მათი ტენდენცია და მიმართულება შობადობასთან დაკავშირებით შეიცვალოს.

სხვადასხვა პასუხები დავაჯგუფეთ შემდეგნაირად:

1. შეიქმნას მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები მშობლებისათვის -რესპონდენტების უმეტესობა (34%) ზემოთ აღნიშნულ აზრს გამოხატავს შემდეგი სიტყვებით: „მეტი შემოსავალი მეტი შვილების გაჩენაში დაძვინძვრება“, „მაღალშემოსავლიანი სამსახური დაძვინძვრება კიდევ მეტი შვილების გაჩენაში“ და ა.შ.
2. მეტი უპირატესობა მიეცეს 2 წლამდე ბავშვის მშობლებს სამსახურში (შვებულება). 29% რესპონდენტებისა გამოხატავს ამ აზრს. „ორი შვილის დედა ვარ და 8 საათამდე მიწევს სამსახურში ყოფნა 500 ლარად. ჩემი ქმარიც გასულია და მუშაობს, არც კი გვიფიქრია მეტი შვილის გაჩენაზე“.
3. 22% რესპონდენტების აზრი დავაჯგუფეთ პასუხში: გაიცეს მეტი ფულადი დახმარება. ისინი ამბობენ : „მე თუ ვიმუშავე ბავშვს გაზრდა ხომ უნდა“, „ბავშვებს მეტი სჭირდებათ“ და ა.შ.
4. რესპონდენტების 15% თვლის, რომ თუ ქვეყანაში დეკრეტულის ვადა გაიზრდება ეს ზეგავლენს მოახდენს შობადობაზე. რესპონდენტი გვიყვება: „ჩემი ორსულობის მე-7 თვეზე გაკვეთილს ვატარებდი, როდესაც ვიგრძენი, რომ გული მიმდიოდა და იმავე დღესვე ამიღეს ანალიზები და სასწრაფო საკეისრო გამიკეთეს დაწყებული პრეეკლამფისის (ორსულობის მოგვიანებით პერიოდში განვითარებული ჰიპერტენზია) გამო“. მეორე რესპონდენტი: „სააფთიაქო ქსელში ვიმუშაობ, მშობიარობიდან მე-2 თვეზე გავედი სამსახურში, ძალიან მიჭირდა მთელი დღე ფეხზე

დგომა, თავს სუსტად ვგრძობდი, მხოლოდ გვიან ვნახულობდი ჩემს პატარას, ბუნებრივი კვებაც მთლიანად შევაწყვეტინე, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა ოჯახს“ და ა.შ. ყველა პასუხი ასახულია გრაფიკზე მე-2



გრაფიკი 2

რესპონდენტების უმეტესობა თვლის: – იმისათვის, რომ გაიზარდოს ქვეყანაში შობადობა, სასურველია შეიქმნას მეტი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები. ეს მიდგომა, ერთი მხრივ, ძალიან კარგია, რომ მოსახლეობა ცდილობს თვითრეალიზებას ერთიანი სრული ოჯახის ფონზე. ბევრი კვლევა დაეთმო იმ საკითხის შესწავლას, სად არის მთავარი გასაღები ადამიანის შვილის გაჩენის სურვილის დროს? სად გადის ეს გზა, შეგნებაზე თუ ეკონომიურ მდგომარეობაზე? როგორც ვიცით, მსოფლიო მოსახლეობის მატება ეკონომიურად დაბალ შემოსავლიანი ქვეყნების ხარჯზე ხდება, და მაინც, რა სჭირდება ქართველ ახალგაზრდებს მეტი თაობის გაჩენისათვის? კვლევებმა აჩვენა, რომ უმუშევრობის შემცირება პირდაპირპროპორციულად ზრდის შობადობის „ხარისხს“ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. ქართველებისათვის ხომ არ არის კავშირი არა მარტო შვილის გაჩენასთან, არამედ „ხარისხიანი“ მომავალი თაობის გაჩენასთან? როგორც კვლევიდან ირკვევა, მოსახლეობას შემწეობაზე მეტად მაღალანაზღაურებადი სამსახური სჭირდება. უმუშევრობა და მაღალანაზღაურებადი სამსახური ქვეყნის განვითარების საკმაოდ ძლიერი ინდიკატორია.

დასკვნა

საქართველოში თაობათა განახლების პროცესი რეგრესიული ხასიათისაა, მოსახლეობას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია დემოგრაფიისა და შობადობის ტენდენციებზე ქვეყანაში. მოსახლეობა უკმაყოფილოა ქვეყანაში შექმნილი საკანონდებლო რეგულაციებით, რომლებიც ნაკლებად ან თითქმის არ განაპირობებს შობადობის წახალისებას;

გამოყენებული ლიტერატურა

1. სულაბერიძე ა., წულაძე გ., გვრიტიშვილი ც., გომელაური ნ., 2015. „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“. შრომების კრებული.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
3. სოციალური მომსახურების სააგენტო. სტატისტიკა.
4. ქინქლაძე ი. (2014). საქართველოს მოსახლეობის ჰიფსომეტრიული განაწილების დინამიკა XX-ში (Doctoral dissertation, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).
5. წულაძე გ., სულაბერიძე ა., 2016 „საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები“.
6. Amos, B., McDonald, M. P., & Watkins, R. (2017). When Boundaries Collide: Constructing a National Database of Demographic and Voting Statistics. *Public Opinion Quarterly*, 81(S1), 385-400.
7. Zhang, J. (2017). The evolution of China's one-child policy and its effects on family out-comes. *The Journal of Economic Perspectives*, 31(1), 141-159.
8. Bacci, M. L. (2017). *A concise history of world population*. John Wiley & Sons.
9. Norheim, O. F., Jha, P., Admasu, K., Godal, T., Hum, R. J., Kruk, M. E., ... & Suraweera, W. (2015). Avoiding 40% of the premature deaths in each country, 2010–30: review of national mortality trends to help quantify the UN Sustainable Development Goal for health. *The Lancet*, 385(9964), 239-252

COMMUNITY ATTITUDE TOWARD THE GENERATION RENEWAL PROCESS IN GEORGIA

Summary

The social-economic crisis during the last decade in Georgia, several wars, increasing number of refugees, increasing unemployment, and dramatically increased number of emigrants – have affected negatively on the population of Georgia, simultaneously decreasing the demographical development through the Country.

In Georgia a new generation is less than parents' generation, it can recover old generation for only 70-80 %.

According to figures published by the United Nations, if this trend continues, the population will decrease by 28% in 2050, which may result in significant population loss (United Nations, 2015).

While the growth rate for the past three years has shown a small upward trend in population numbers, the overall picture is not changed.

The modern demographic situation has the nature of the crisis, which includes the following problems: Reduction of the natural population growth, Sex-Structure deformation, Extensive internal and external migration, Low level of Community management, Low level of management demographical problems

According to the problems above, it is important to analyze the attitude toward community renewal process through the Country.

Results. 780 respondents participated in the survey. Women participants were more than man. 64.4 % of the respondents were registered in marriage, more than half of them have high education level.

The data were analyzed using descriptive statistics. Most of respondents were Georgians by nationality, Orthodox Christians. The income for each family was 1587.4 GEL.

Respondents with high education have more information about ongoing demographical situation, comparing with the respondents with less education level.

Main findings. It is regressive type community renewal process in Georgia. Community has not enough information about demographical and birthrate tendency through the Country. Georgian community feels unsatisfactory about the legislation regulations that can not fully encourage the birthrate through the Country.

მანანა ხარხელი
ანი ქიმაძე

შრომითი ემიგრაცია საქართველოდან და მისი სახელმწიფოებრივი რეგულირება

ანოტაცია. სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს დღევანდელი დემოგრაფიული სურათი, მისი მოსალოდნელი პროგნოზი და მოსახლეობის შემცირებაზე გარე მიგრაციის უარყოფითი გავლენა.

გლობალიზაციის ფონზე, როდესაც ქვეყნებს შორის წაიშალა საზღვრები, გარე მიგრაცია და სამუშაო ადგილის არჩევანი ადამიანის ხელშეუხებელ უფლებად იქცა. მაგრამ, სტატიის ავტორები გამოთქვამენ აზრს, რომ თუ საქართველოდან ემიგრაცია არ შენედება, მაშინ ქვეყანა დაიცლება ქართველებისგან.

საკვანძო სიტყვები: ემიგრაცია, მიგრანტები, ემიგრანტები, დასაქმება, დემოგრაფიული ვითარება.

შესავალი

კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დემოგრაფიული საკითხები ყველა ქვეყნის ყურადღების ცენტრში იდგა. ნებისმიერი ქვეყანა იყო დაინტერესებული იმით, რომ არ დარღვეულიყო დემოგრაფიული კანონზომიერება, კერძოდ, სიკვდილიანობას არ გადაეჭარბებინა შობადობისთვის, მოსახლეობა ყოფილიყო ახალგაზრდული სტრუქტურის, ზომიერი ყოფილიყო მიგრაცია და ა. შ.

საქართველოსთვის ეს საკითხები პრობლემად იქცა 1990 წლიდან. მოცემულ სტატიაში შევხებით მიგრაციულ პროცესებს, კერძოდ, შრომითი რესურსების ემიგრაციის გაძლიერებას საქართველოდან, რომელიც, თუ მომავალშიც ასეთი ტემპით გაგრძელდება, ეთნოსის დაღუპვას გამოიწვევს.

1. საქართველოს მოსახლეობის სადღეისო დემოგრაფიული პორტრეტი

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს მოსახლეობამ 2017 წლის დასაწყისში შეადგინა 3718,2 ათასი კაცი, ანუ 1682,6 ათასით ნაკლები, ვიდრე 1989 წელს (ცხრილი 1). მათ შორის სოფლის მოსახლეობა შემცირდა 819,9 ათასით, ქალაქისა კი, 862,7 ათასით. მაშასადამე, 1989-2016 წლებში საქართველოს ყველა ტიპის დასახლებაში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის შემცირებას, რომელიც აიხსნებოდა ან შობადობაზე სიკვდილიანობის სიჭარბით, ან გარე მიგრაციის ინტენსიურობით, ანდა ორივეს ერთად. ცხადია,

არც ერთი არ არის მისაღები ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი მოვლენები მისთვის დემოგრაფიულ საფრთხეს შეიცავს.

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა 1989-2016 წლებში
[საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, 2017, გვ. 18]

წლები	მთელი მოსახლეობა, ათასი კაცი	მათ შორის:	
		ქალაქის	სოფლის
1989	5400,8	2991,3	2409,5
2002	4371,5	2284,8	2086,7
2005	4321,5	2257,5	2064,0
2010	4436,4	2350,5	2085,9
2015	3713,7	2122,9	1590,8
2016	3718,2	2128,6	1589,6
ცვლილება 1989-2016 წლებში	-1682,6	-862,7	-819,9

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები მეტად შემაშფოთებელია. დემოგრაფიული პრობლემების შემსწავლელი კომისიის პროგნოზით, 2050 წლამდე საქართველოს მოსახლეობის კლების ტენდენცია ექნება. არსებული დემოგრაფიული ვითარების შენარჩუნების პირობებშიც კი, 2025 წლისთვის იგი 3600,0 ათას, ხოლო 2050 წლისთვის, სავარაუდოდ, 3000 ათას კაცამდე შემცირდება (ცხრილი 2).

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის პროგნოზი 2050 წლისთვის
[კალატოზიშვილი თ., 2010, გვ. 17]

წლები	მაღალი ვარიანტი	საშუალო ვარიანტი	დაბალი ვარიანტი
2020	4236	4063	2889
2025	4177	3945	3710
2030	4099	3807	3516
2035	4018	3653	3305
2040	3943	3487	3074
2045	3872	3313	2828
2050	3797	3134	2575

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, საქართველოს მოსახლეობის პროგნოზული გაანგარიშება სამყაროშია. მათგან ყველაზე პესიმისტური არის დაბალი ვარიანტი, რომლის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისთვის 2575 ათას კაცამდე, ანუ დღევანდელ დონესთან შედარებით 1143,2 ათასი კაცით შემცირდება.

პროგნოზისტები ამ არასასიამოვნო პროგნოზის მიზეზად ასახელებენ როგორც მოსახლეობის ბუნებრივ კლებას (მოკვდაობის სიჭარბე შობადობაზე), ისე გარე მიგრაციას. ორივე ისეთი პროცესებია, რომელთა მართვა და რეგულირება ქვეყნის მთავრობას შეუძლია. უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა მოხდეს მოსახლეობის ადგილზე დასაქმებით და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით.

2. მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია საქართველოდან

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოდან მოსახლეობის ემიგრაცია 1991 წლიდან დაიწყო. ემიგრაციის ყველაზე დიდი ტალღით 1991-1996 წლები ხასიათდებოდა, რადგან, ეკონომიკური კრიზისის გარდა, ამ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარეობდა ეთნოკონფლიქტები, პარტიული დაპირისპირებები და მრავალი სხვა უარყოფითი მოვლენა, რაც პირდაპირ აისახებოდა მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე – ერთ სულ მცხოვრებზე მთლიანი შიდა პროდუქტი იყო მხოლოდ 440 დოლარი [კალატოზიშვილი თ., 2010, გვ. 236], უმუშევრობის დონე 35,9%, სიღარიბის დონე საარსებო მინიმუმის მიმართ 45,2%, სიღარიბის სიმწვავე და სიღრმე კი შესაბამისად 8,7 და 16,8% [Нищета переходного периода. 1998, გვ. 75-77]. იგი იმდენად გაუარესდა, რომ ინტენსიური შრომითი ემიგრაცია, სრულიად ბუნებრივი გახდა. ის სიკვდილისაგან თავის დასხნის ერთადერთი საშუალება იყო.

აღნიშნულის მიზეზით, 1991 წლიდან 1996 წლის ჩათვლით, საქართველოდან გავიდა 232,1 ათასი კაცი (ცხრილი 3).

მოსახლეობის ემიგრაცია საქართველოდან
[საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, თბ., 1999, გვ. 46]

წლები	მოსახლეობის ემიგრაცია საქართველოდან (კაცი)	ცვლილება 1991 წელთან შედარებით	ემიგრანტ მოსახლეობის პროცენტი საერთო მოსახლეობასთან (%)
1991	60,6	-	1,1
1992	49,6	-11	0,9
1993	39,8	-21,7	0,7
1994	44,2	-16,4	0,8
1995	25,9	-34,7	0,5
1996	12,9	-47,7	0,2
სულ	232,1	-	-

ცხრილი 3-დან ჩანს, რომ ქვეყნიდან მოსახლეობის გასვლის ტალღა მაღალი ტემპით დაიწყო და შემდეგ თანდათან შემცირდა. 1991 წელს ქვეყნიდან გავიდა მთელი მოსახლეობის 1,1%, 1996 წელს კი – 0,2%.

აღნიშნული ვითარება დღემდე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ქვეყანაში კვლავაც ეკონომიკური კრიზისია, მოსახლეობის 50% სიღატაკესა და სიღარიბეშია, მოსახლეობის 11,8% უმუშევარია. შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი საქართველოში 170 ლარი, ანუ დღეში 5,6 ლარია. ანუ დღევანდელი კურსით 2,3 დოლარი (5,6 : 2,45 = 2,9 დოლარი). თუ მივიღებთ ცნობად, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სიღარიბის ზღვრად დღეში 2,0 დოლარი შემოსავალი განსაზღვრა, მაშინ გამოდის, რომ შრომისუნარიანი მამაკაცის თვიური 170 ლარი უზრუნველყოფს მხოლოდ მის სიცოცხლეს და არა მის შრომისუნარიანობას.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით 2016 წელს საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე ანგარიშით თვიური საშუალო შემოსავალი 294,2 ლარს, ანუ დღეში 9,8 ლარს შეადგენდა. 2016 წლის დოლარის კურსით ეს იყო 4,2 დოლარი (9,8 : 2,30 = 4,2 დოლარი). უფრო ნაკლები იყო იგი წინა 2001-2015 წლებში. ასე რომ, 21-ე საუკუნესაც საქართველოს მოსახლეობა უკიდურესად გაჭირვებული შეხვდა. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის ემიგრაცია საქართველოდან შემცირდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი 2005 წლიდან ოფიციალურად ასაჯაროებს მხოლოდ მიგრაციის საღდოს, ანუ სხვაობას ქვეყნიდან გასულ და ქვეყანაში შემოსულ მიგრანტთა რაოდენობებს შორის.

ამ ინფორმაციით (ცხრილი 4), 2005-2016 წლების პერიოდში, ანუ 12 წლის განმავლობაში ქვეყნიდან შემოსულთა რიცხვი აღემატებოდა გასულთა ანუ ემიგრანტთა რიცხვს – 2006 წელს – 12,1 ათასი კაცით, 2007 წელს – 20,7 ათასი კაცით, 2008 წელს – 10,2 ათასი კაცით, 2012 წელს – 21,5 ათასი კაცით, 2013 წელს – 2,6 ათასი კაცით, 2014 წელს – 6,5 ათასი კაცით, 2015 წელს – 3,4 ათასი კაცით, ხოლო 2016 წელს – 8,1 ათასი კაცით. მხოლოდ ოთხ წელს (2005, 2009, 2010 და 2011 წლები) იყო ემიგრანტთა სიჭარბე საქართველოში იმიგრირებულთა რიცხვთან შედარებით.

მოსახლეობის ემიგრაცია საქართველოდან
[საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, თბ., 2017, გვ. 32; 7, გვ. 35]

წლები	მიგრაციის საღდო (ათასი კაცი)	
	გასულთა ნაკლებობა შემოსულზე (-)	გასულთა მეტობა შემოსულზე (+)
2005	-	76,3
2006	-12,1	-
2007	-20,7	-
2008	-10,2	-
2009	-	34,2
2010	-	18,1
2011	-	20,2
2012	-21,5	-
2013	-2,6	-
2014	-6,5	-
2015	-3,4	-
2016	-8,1	-

ანალიზით აღმოჩნდა, რომ 2012 წელს საქართველოში ახალი მთავრობის მოსვლის მიუხედავად, რომელთა საარჩევნო პროგრამა ითვალისწინებდა ახალი საშუალო ადგილების შექმნას და მოსახლეობის დასაქმებას, მოსახლეობის ემიგრაცია საზღვარგარეთ მაინც გრძელდება. ამის

მიზეზი სწორედ დაპირებების არ შესრულებაა. GFSIS-ის კვლევის თანახმად, საქართველოში უმუშევრობა არა 11,8%, არამედ, თითქმის 30%-ია [საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, თბ., 2016, გვ. 14]. მოსახლეობის ამ ნაწილს სხვა გამოსავალი აღარ აქვს და ისინი შრომით ემიგრაციაში მიემგზავრებიან.

3. შრომითი ემიგრაციის რეგულირება და სრულყოფა

ემიგრაციის საკითხი დღეს მწვავე დისკუსიის თემას წარმოადგენს. ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში ის ფაქტობრივად არც არსებობდა. მას შემდეგ, რაც გლობალიზაცია გაფართოვდა, ქვეყნებს შორის საზღვრები წაიშალა, შრომითი რესურსების მიგრაცია ინტენსიური გახდა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე სოციალისტური ბანაკის დაშლის შედეგად წარმოშობილმა კრიზისმა, ეთნოკონფლიქტებმა, ცხოვრების დონის დაცემა და საკუთარ ქვეყანაში არსებობის უიმედობამ.

შრომით ემიგრაციას აქვს უარყოფითი მხარეც და დადებითიც. უპირველესად იგი „მშობელ“ ქვეყანას ეკონომიკურ ზიანს აყენებს, რადგან პროდუქციას სხვა ქვეყანაში ქმნის. ასევე, მას უქმნის დემოგრაფიულ და პოლიტიკურ საფრთხესაც.

მაგრამ ემიგრაციას აქვს დადებითი მხარეებიც. კერძოდ, პირველ რიგში გზავნილები დასაქმებული ემიგრანტების მხრიდან, გარდა ამისა, ისინი ეცნობიან უცხოეთის ქვეყნების წარმატებებს და ნერგავენ მათ თავის ქვეყანაში, ხელს უწყობენ ღია საზოგადოების ჩამოყალიბებას.

საქართველოდან სამუშაო ძალის ემიგრაციის „შუქ-ჩრდილები“ ჯერჯერობით კომპლექსურად შესწავლილი არ არის. ეს თემა შესწავლას ელოდება. თუმცა, თუ გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია და თუ მსოფლიომ უნდა იცხოვროს „საზღვრების გარეშე“, ადამიანებს ვერ დაეშვით გააკეთონ დასაქმების ადგილის არჩევანი.

დასკვნა

ყოველივე ზემონათქვამის მიუხედავად, ჩვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ემიგრაციის ტემპის შესამცირებლად და მიგრანტთა უკან დასაბრუნებლადაც; შეუქმნას მათ სამშობლოში დასაქმების და ღირსეული ცხოვრების პირობები. ეს თუ თავისდროულად არ მოხდა, საქართველო დაიცლება ქართველი მოსახლეობისგან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კალატოზიშვილი თ., 2010. საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული პორტრეტი მიმდინარე საუკუნის დასაწყისისთვის, კონფერენციის მასალები, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტი.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, თბ., 2017.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, თბ., 1999.
4. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, თბ., 2000.
5. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, თბ., 2017.
6. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, თბ., 2016.
7. ხუნდაძე ტ., უმუშევრობის თავსატეხი, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 12.02.2018.
8. Нишета переходного периода. 1998. Региональное бюро по странам европы и СНГ. М.

*Manana Kharkheli
Ani Kimadze*

LABOR EMIGRATION FROM GEORGIA AND ITS STATE REGULATION

Summary

In the article is considered the problem of migration and its bitterness for Georgia. Emigration of work force from the country violates its demographic balance. In large countries it balances with immigration flows, but in a small poor country, particularly in Georgia, emigration-migration is negative, ie, the flow of exceeds exceeds flows of incomes.

Against this backdrop, Georgia's demographic perspectives are much cheaper. By 2050, its population will be reduced to 2575 thousand people by pessimistic predictions. Prognosticists claim the reason for external migration growth and decrease in childbirth.

The largest emigration flows from Georgia in the 90s have gone. This was the period of civil wars, internal conflicts and economic-political chaos. In 1991, 60,6 thousand people went to emigrate. Then the number of emigrants has decreased, but the attitude of leaving the country has not changed. The reason for this is unemployment, poverty and material hardship. According to the President of Georgia, 19% of the population is on the brink of poverty.

According to GRSIS studies, unemployment rate in Georgia is not 11.8% but 30%. This part of the population has no other way to save it from death and goes to immigration. For the last 12 years, immigrants from the country exceeded the number of immigrants in 2005 with 76.3 thousand in 2005, 34,2 thousand in 2009, 18.1 thousand in 2010 and 20,2 thousand in 2011. The number of immigrants in the following years exceeds the number of immigrants.

It is true that emigration is not only negative but positive as well, but in our view, the Georgian government should do everything to reduce the emigration rate and allow immigrants to get back to them.

ეკონომიკური გლობალიზაცია

ანოტაცია. მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაცია სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს. ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში ჩართულია სხვადასხვა ქვეყნები, რომლებიც ერთმანეთთან ვაჭრობით და სხვადასხვა შეთანხმებებით დღით დღე განვითარების ახალ ეტაპზე გადადიან. ეკონომიკურმა გლობალიზაციამ სამყარო ახალ საფეხურზე აიყვანა. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ეკონომიკური გლობალიზაცია – ეს არის პროცესი, რომელიც უაღტერნატივოა. სწორედ ეს ფაქტი მიგვანიშნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის ცხოვრებაში ეკონომიკური გლობალიზაცია.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკური გლობალიზაცია, ტრანსნაციონალური კომპანიები.

შესავალი

გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც ასახავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის ერთიანი გზების ძიებას. ეს შეიძლება იყოს, როგორც ეკოლოგიური, ეკონომიკური, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სფეროების მომცველი. ერთი შეხედვით გლობალიზაციის იმანენტური ბუნება სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკების ერთიანი სოციალური ორიენტაცია. ინდუსტრიული საზოგადოების გადასვლამ პოსტინდუსტრიულში ახალი ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარებას და დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა. გლობალიზაციის პროცესი ხასიათდება მთელი რიგით ფაქტორებით. მათგან შეიძლება გამოვეყოთ ტრანსნაციონალური ქსელების განვითარება, საფინანსო სფეროს სწრაფი გლობალიზაცია, ინფორმაციულ ტექნოლოგიათა განვითარება და მსოფლიო ეკონომიკების ლიბერალიზაცია. რაც ყველაზე მთავარია, მიმდინარეობს ინტეგრაციული რეგიონული ეკონომიკური ბლოკების შექმნა, რომლებიც მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვანი სუბიექტები გახდნენ.

ეკონომიკური გლობალიზაცია

მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაცია ბოლო წლებში სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების წინსვლამ საგრძნობლად შეამცირა კომუნიკაციისა და გადაზიდვების შემაფერხებელი ფაქტორები. დღეისათვის ოკეანეში გადაზიდვების ღირებულება ნახევარია, ვიდრე ეს იყო 1930 წელს. კომპიუტერის ღირებულება შემცირდა 80%-ით, ვიდრე ეს იყო 1990 წელს. მნიშვნელოვნად შემცირდა საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ღირებულება. სწორედ ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგია გლობალური წარმოება. მაგალითად: “ფორდი მორტორსის” რეკონსტრუქცია. მისი მართვა და კონტროლი აღარ ხორციელდება ერთი ცენტრიდან და განაწილებულია მთელ მსოფლიოში. ეს ცენტრები დაკომპლექსებულია ადგილობრივი კადრებით. ამ ტიპის გლობალური წარმოება შესაძლებელი გახდა ტექნოლოგიური წინსვლის შედეგად. თუ ეკონომიკურ წინსვლას და ეკონომიკურ განვითარებას ვივარაუდებთ, როგორც ეკონომიკური გლობალიზაციის ტექნოლოგიურ მამოძრავებელ ძალას, მაშინ ბაზარზე განხორციელებული რეფორმა მთელ მსოფლიოში უნდა განვიხილოთ, როგორც ამ ტენდენციის ინსტიტუციური მამოძრავებელი ძალა. ბევრმა ქვეყანამ შეამცირა სატარიფო და არასატარიფო ბარიერები, უფრო და უფრო მეტი ქვეყანა სხვა ქვეყნებში ქმნის მიმდინარე ანგარიშებსა და კაპიტალს. ეს ყველაფერი სტიმულს აძლევს ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებას.

მულტინაციონალური კორპორაციები გახდა ეკონომიკური გლობალიზაციის მთავარი მატარებელი. ისინი მსოფლიო წარმოების ორგანიზებითა და რესურსების განაწილებით ახდენენ საკუთარი მოგების მაქსიმიზაციას. 1996 წელს მსოფლიოში 44 000 მულტინაციონალური კორპორაცია არსებობდა, რომლებსაც 280 000 შვილობილი კომპანია და ფილიალი ჰქონდათ. 1997 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 80%-ს მულტინაციონალური კორპორაციები ფლობდნენ. ტექნოლოგიური გზავნილების 70% მოდიოდა მულტინაციონალურ კორპორაციებს შორის.

გლობალიზაციის ფინანსური სექტორი ეკონომიკური გლობალიზაციის სწრაფად განვითარებადი და ყველაზე გავლენიანი ასპექტია. საერთაშორისო ფინანსები პირველ რიგში ემსახურება საერთაშორისო ვაჭრობას და საინვესტიციო საქმიანობას. თუმცა ეკონომიკური გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად ის უფრო და უფრო დამოუკიდებელი ხდება. საქონლისა და შრომის ბაზართან შედარებით, ფინანსური ბაზარი ერთადერთია, სადაც აქტიურად მიმდინარეობს გლობალიზაციის რეალური პროცესები. 1970 წლიდან ტრანსსასაზღვრო კაპიტალის მოძრაობა უფრო მზარდი გახდა. 1980 წელს ტრანსსასაზღვრო ოპერაციების საერთო მოცულობა, აქციები და ობლიგაციები ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში იყო არანაკლებ 10%-ისა, თუმცა ეს ციფრი გაიზარდა და 1995 წელს 100%-ს მიაღწია.

განვითარებული ქვეყნები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში. მათი ეს როლი ამ პროცესში არის ის ფაქტი, რომ სწორედ ისინი განსაზღვრავენ წესებს საერთაშორისო ეკონომიკურ ბირჟებზე. არსებულ წესებს საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობაში კარგი ასპექტი აქვს მასობრივი წარმოების სოციალიზებით, ეს წესები განსაზღვრულია განვითარებული ქვეყნების მიერ. განვითარებული ქვეყნები ხელს უწყობენ გლობალიზაციის განვითარებას. ისინი ეკონომიკური გლობალიზაციის ბენეფიციარები არიან. 2010 წლის ნოემბერში შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ჩინეთი გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. ამ ნაბიჯით ჩინეთი, კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთო მსოფლიო ვაჭრობაში. აღნიშნული ხელშეკრულება ხაზს უსვამს გლობალიზაციის მასშტაბებს.

ეკონომიკური გლობალიზაცია არის გლობალური ინტეგრაციის გაზრდა არა მარტო ბაზარზე, არამედ ფინანსურ სისტემაში, სავაჭრო, საკომუნიკაციო და ტექნოლოგიურ სისტემაში, კანონებში, რომელიც გზას უვლის ტრადიციულ ეროვნულ, კულტურულ, ეთნიკურ და სოციალურ საზღვრებს. ეკონომიკური გლობალიზაციის წესები შეიქმნა სავაჭრო შეთანხმებების, საერთაშორისო სამართლის და დომინირებული ქვეყნების მიერ. ეს წესები აუმჯობესებს კაპიტალის კონტროლს, ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, საჯარო მომსახურებას და იმ სუსტ კანონებს, რომლებიც იცავს შრომის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესებს.

ეკონომიკური გლობალიზაცია თანამედროვე ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესი საკმაოდ დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ უკანასკნელ წლებში საერთაშორისო ინტეგრაციის კუთხით დაგროვილმა რაოდენობრივმა და თვისებრივმა პოტენციალმა და ამ სფეროში მიმდინარე სწრაფმა ცვლილებებმა მსოფლიო ეკონომიკა ახალ პარადიგმაზე აიყვანა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს ახალი შინაარსი შესძინა. ერთი მხრივ, მსოფლიო არენაზე წარმოიქმნა ახალი ბაზრები, მეორე მხრივ, გლობალურ დონეზე მიმდინარე ინტეგრაციულმა პროცესებმა ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონულ გაერთიანებებს შორის ადრე არსებული საზღვრები თანდათანობით წაშალა. გლობალიზაციამ შექმნა პირობები საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და ტექნოლოგიების ურთიერთხელსაყრელი გაცვლისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ერთ „დიდ ქალაქად“ გადაიქცა, სადაც ყველა ცდილობს მოგების მიღებას. ასეთია ზოგადად გლობალიზაცია და მათ შორის ეკონომიკური ინტეგრაციის ფილოსოფია, რომელიც აიძულებს ქვეყნებს და რეგიონებს, უზრუნველყონ კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოება, რათა საკუთარი ადგილი იპოვონ მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

გლობალიზაციის მასშტაბების ზრდისა და გაღრმავების პროცესში უადრესად დიდ როლს ასრულებს ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც ძირითადად ბაზირებული არიან დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. ისინი სწრაფად და დაუბრკოლებლად ახერხებენ სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკური საზღვრების გადალახვას და უცხო ყვევებში ეკონომიკური გავლენის მოპოვებას.

	დასაქმებულთა რაოდენობა	ღირებულება (მილიონი დოლარი)
1. Apple	66 000	617 588.49
2. Alphabet	69 953	531 970
3. Microsoft	114 000	483 160.28
4. Berkshire Hathaway	360 000	404 390
5. Exxon Mobile	73 500	374 280
6. Amazon	222 400	356 768.42
7. Facebook	15 724	332 548
8. Jonson & Jonson	128 000	313 432.46
9. General Electric	333 000	279 545.92
10. China Mobile	438 645	246 357.32

მონაცემები აღებულია weforum.org-დან (2017წ.)

მოცემულ ცხრილში კარგად ჩანს ტრანსნაციონალური კომპანიების როლი მსოფლიო ეკონომიკაში, მათი საბაზრო ღირებულებიდან და დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე. მათი პროდუქტი და მომსახურება იყიდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 10 უდიდესი კომპანიიდან 5 მათგანი ტექნოლოგიურ მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს. ეს ფაქტი მიუთითებს ტექნოლოგიების მნიშვნელობაზე დღევანდელ მსოფლიოში.

ეკონომიკურ გლობალიზაციას ფართო გასაქანი მისცა სოციალისტური სისტემის მსხვერველამ, რომლის დროსაც თითქმის შეუვალი იყო ამ ბანაკში შემავალი ქვეყნების საზღვრები. მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც ხელი შეუწყო ეკონომიკური გლობალიზაციის დანქარების

პროცესს, მდგომარეობს იმაში, რომ ბოლო წლებში მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიები თანდათან თავისუფალი და შეუზღუდავი გახდნენ თავიანთ საქმიანობაში. მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა სახის ბიზნესსტრუქტურები, იმდენად ძლიერი და დამოუკიდებლები გახდნენ, რომ მათ შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ გლობალური პროცესების მართვაში.

გლობალიზაცია – ეს არის პროცესი, რომელსაც უამრავი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს. მომხრეები ამტკიცებენ, რომ გლობალიზაციას მთელი მსოფლიო ეკონომიკისთვის სარგებლის მიცემის უზარმაზარი პოტენციალი აქვს. ვაჭრობაზე შეზღუდვების მოხსნამ და კონკურენციის გამძაფრებამ ცალკეული ქვეყნები და კომპანიები იძულებული გახადა გლობალურად ეაზროვნათ, გლობალურად დაეგეგმათ და გლობალურად ემოქმედათ. ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, მეტად სწრაფად ვრცელდება და ქვეყნები, რომლებიც ამ ტექნოლოგიების გამოყენებით აწარმოებენ საქონელს და მომსახურებას, ბაზარზე არსებულ კონკურენციაში იმარჯვებენ და ლიდერებიც ხდებიან. გლობალიზაცია – ეს არის პროცესი, რომელშიც ნებისმიერი ქვეყანა უნდა ჩაერთოს მსოფლიო საზოგადოების კეთილდღეობისთვის. გლობალიზაციის დადებითი მხარეები უდავოდ ძალიან ბევრია. მათ შორის ძირითადია: სპეციალიზაციის გაღრმავება და შრომის საერთაშორისო დანაწილება, მასშტაბის ეკონომია, თავისუფალი ვაჭრობის ურთიერთსარგებელი, კონკურენციის გაძლიერებით ახალი ტექნოლოგიების განვითარების წახალისება, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ხელშეწყობა, ფინანსური რესურსების მობილიზება, საერთო საკაცობრიო პრობლემების გადაწყვეტა.

გლობალიზაციას უარყოფითი მხარეებიც აქვს. მათ შორის მნიშვნელოვანია: ქვეყნებს შორის შემოსავლების არათანაბარი განაწილება, ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს როლის შემცირება, სოციალური დაძაბულობის ზრდა, სახელმწიფოს როლის შემცირება სოციალურ სფეროში, დასავლური ღირებულებების თავსმოსხვევა და ეროვნული ტრადიციების უგულვებლყოფა. ერთი რომელიმე მსხვილი ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის გავრცელება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

მიუხედავად ზემოაღნიშნული უარყოფითი მხარეებისა, გლობალიზაციის პროცესზე გვერდის ავლა ფაქტობრივად შეუძლებელია, იგი უალტერნატივოა, რის გამოც მისგან თავის არიდება ნიშნავს ქვეყნის იზოლაციაში ყოფნას. გლობალიზაცია უნდა შეფასდეს, როგორც კანონზომიერი პროცესი, რომელიც ეხმარება ყველა ქვეყანას წინსვლაში.

ამრიგად, გლობალიზაცია კარგიც არის და ცუდიც. ბუნებრივია, ქვეყანას უნდა შეეძლოს კარგის გამორჩევა და ცუდის თავიდან აცილება. გლობალიზაცია იძლევა ცოდნისა და სამცნიერო-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების სწრაფი გავრცელების შესაძლებლობას, ეკოლოგიური კირიზისების დაძლევას. გლობალიზაცია იწვევს სახელმწიფოთა ეკონომიკური სისტემების გახსნილობას, ნებისმიერ ბაზარზე მონაწილეობის შესაძლებლობას, საფინანსო ოპერაციების და წესების უნივერსალიზაციას. რეალურად მსოფლიო იძენს ახალ სტანდარტებს.

დასკვნა

დღეს მთავარი ამოცანაა, საერთაშორისო ბაზარზე დინამიზმის შენარჩუნებით ხელი შეეწყოს ეკონომიკური გლობალიზაციის სამართლიანობას, თავისუფლების და პასუხისმგებლობის ამაღლებას. გლობალიზაციის პროცესში ქვეყნების მთავარი ამოცანაა, უკეთესად გაიგონ ეკონომიკური გლობალიზაციის სირთულეები, სწრაფად ჩაერთონ გლობალიზაციის პროცესში და სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთქმედებით დააჩქარონ განვითარების ტემპი, რითაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებენ მოსახლეობის კეთილდღეობას. დრმა გლობალური ცნობიერება ავსებს ჩვენს ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ სულიერებას. გლობალიზაცია ნიშნავს დედამიწაზე არსებული რესურსების გადანაწილებას მთელი მსოფლიოს მოსახლეობისთვის და არა ერთ კონკრეტულ ერზე. ურთიერთვაჭრობა ყველასთვის მომგებიანია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. შენგელია, გლობალური ბიზნესი. თბილისი, 2010.
2. ი. მესხია, საერთაშორისო ვაჭრობა. თბილისი, 2011.
3. ნ. ჭითანავა, გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები.
4. რ. გოგოხია, შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელური, განვითარების ტენდენციები. თბილისი, 2004.
5. François Chesnais, Grazia Letto-Gillies, Roberto Simonetti, European Integration and Global Corporate Strategies, Publishing House “Routledge”, 2000.
6. John H. Dunning, Sarianna M. Lundan, Multinational Enterprises and the Global Economy, Edward Elgar Publishing, Publishing House “Routledge”, 2008.principes of economic – N. Gregory Mankiw – 8th edition - 2015.
7. <https://www.weforum.org/agenda/2017/01/worlds-biggest-corporate-giants/>

ECONOMIC GLOBALIZATION

Summary

Economic globalization is to increase the interdependence of the world economy by increasing the flow of goods, and communications between countries. One thing that economic globalization focus on is to increase the trade between developing countries and developed countries. In order to do that, trade barriers like tariffs are reduced and this is known as trade liberalization. And when countries decides to remove tariffs to make goods flow in and out of the countries more easily is free trade. As goods are flowing around the world more easily, many corporations are trying to seek ways to make profits from economic globalization. And this cause transnational corporations to open up around the world.

Globalization in the world economy is becoming more and more extensive. Various countries are involved in the process of economic globalization, which are transitioning to a new stage of development in trade with each other. Economic globalization has taken the world to a new level. Economic globalization based on today's reality is a process that is without any alternatives. This fact shows us how important is global economicization in the lives of each individual.

Орхан Мугабиль оглы Байрамов

**НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ СТРАХОВАНИЯ В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ
НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ АЗЕРБАЙДЖАНА**

***Аннотация.** В статье раскрывается специфика агрострахования в ее тесной взаимосвязи с особенностями функционирования аграрной сферы. Автор выделяет пять основных особенностей, среди которых можно отметить: использование земли, в качестве основного средства производства в сельском хозяйстве; отсутствие полноценно функционирующего рынка, сельскохозяйственных земель и их ипотечного кредитования; взаимосвязь процесса производства в сельском хозяйстве с естественными процессами развития живых организмов и природными явлениями; необходимость аккумуляции для страхования рисков не только финансовых средств, но и материальных ресурсов в натуральном виде; а также диспаритет цен на промышленную и сельскохозяйственную продукцию. Таким образом, рассмотрев и проанализировав специфику аграрной отрасли, автор выделяет основные особенности страхования в сельском хозяйстве на современном этапе развития экономики Азербайджана.*

***Ключевые слова:** Азербайджан, страхование, агрострахование, сельское хозяйство, экономика, аграрная сфера.*

Предпринимательство и страхование тесно взаимосвязаны между собой. Предприниматели, при использовании инструмента страхования, уверены в том, что финансовые ресурсы и производственные средства надежно защищены от случайных негативных факторов. Это позволяет предпринимателю сосредоточить основное внимание на решении проблем, которые непосредственно относятся к производственной деятельности.

Во многих странах с развитой экономикой именно страхование выступает в качестве ключевого способа управления всевозможными рисками. Но в Азербайджане сегодня, в связи с различными субъективными и объективными причинами, этот инструмент используется в предпринимательской практике недостаточно. Этим обуславливается необходимость и актуальность в дальнейшем исследовании теоретических основ страхования. Кроме того, должна быть разработана методологическая база страхования и обоснованы конкретные механизмы страхового дела. Эти механизмы должны быть внедрены в практику функционирования предпринимательских субъектов, независимо от отрасли экономики.

Следует отметить, что страхование сельскохозяйственных культур играет огромную роль в аграрном секторе. Безусловно, страхование в аграрном секторе является специфическим процессом, особенности которого определяются спецификой функционирования сельскохозяйственной отрасли. Особенности такой отрасли материального производства, как сельское хозяйство, обуславливаются, в первую очередь, биологическими и природными факторами. Характерная черта этих факторов заключается в преимущественной управляемости на базе биологических законов и в относительном постоянстве.

В целях более полного и точного понимания специфических особенностей страхования в сельскохозяйственном секторе, рассмотрим процесс исторического развития практики страхования в данной отрасли. Институт страхования возник в связи с естественным стремлением людей снизить потери и убытки, возникающие вследствие случайных событий в ходе хозяйственной деятельности или просто в процессе жизни.

Необходимость страховой защиты, осознанная обществом и человеком, сформировала страховой интерес, через который начали образовываться соответствующие страховые отношения [Шахов В., 2000].

За продолжительный период своего существования институт страхования не только не утратил своей актуальности, но и приобрел новые формы, став неотъемлемой составляющей жизни современного человеческого общества. Как показывает многовековая история страхования, оно выступает в качестве мощного фактора, оказывающего положительное воздействие на национальную экономику.

На наш взгляд, специфика страхования в аграрном секторе имеет тесную и неразрывную связь со специфическими особенностями функционирования аграрной сферы. В частности:

1. Главным фактором, оказывающим влияние на особенности страхования в аграрном секторе, является использование земли в качестве основного средства производства в сельскохозяйственной сфере. Так как в качестве основного средства производства в сельскохозяйственной сфере выступает земля, то в целях поддержания ее плодородия нужно своевременно проводить соответствующие агротехнические мероприятия.

Подчеркнем, что в последние несколько лет, в Азербайджанской Республике обеспечено устойчивое и динамичное развитие сельского хозяйства. Сельскохозяйственный сектор играет огромную роль в повышении уровня занятости населения, а также в развитии ненефтяного сектора, выступающего в качестве важнейшей отрасли экономики страны. Предпринимаются шаги в сфере рационального использования земли, пригодной для посева, и водных ресурсов. К посевному обороту привлечено несколько тысяч гектар площадей. В результате, в производстве продукции сельского хозяйства сформировались тенденции стабильного роста.

Для достижения большего роста в зерноводстве, хлопководстве и производстве иных растений и продукции животноводства, принимаются меры, направленные на улучшение обеспечения посевных площадей оросительной водой, а также передачи в пользование новоорошаемых земель. Построено и сдано в эксплуатацию несколько насосных станций, водохранилищ, магистральных каналов и иных объектов водного хозяйства. Подчеркнем, что вопросы мелиорации находятся сегодня под строгим контролем Президента [2] и АО «Мелиорация и водное хозяйство Азербайджана» [3].

Наряду с этим, мелиорация продолжает оставаться одной из наиболее актуальных проблем, с которыми сталкиваются сельхозпроизводители Азербайджана. В этом аспекте особой важностью обладает работа по опреснению вод Каспийского моря [4]. Еще один важнейший фактор заключается в использовании и внесении минеральных удобрений. Следует отметить, что импорт минеральных удобрений в Республику в 2017 г. составлял около 180,5 тысяч тонн. Это на 8,2 процентов превышает уровень 2016 года. При этом совокупная стоимость минеральных удобрений, которые были импортированы в Азербайджан в 2017 году, составляла 54 373,4 тысяч долларов США. В сравнении с уровнем 2016 года рост составил 5,3 процентов [5].

На наш взгляд, в качестве наиболее рискованного события, связанного с землей как средством производства, выступает потеря или уменьшение ее плодородия, то есть способности обеспечивать растения необходимыми питательными веществами, в достаточном количестве. Физические, технологические, механические и иные характеристики земли должны позволять осуществлять эффективный технологический процесс производства продукции сельского хозяйства.

Соответственно, с методологической позиции целесообразнее страховать риск потери плодородия земельных площадей, проводя непосредственную оценку состояния земельных ресурсов, исходя из агротехнических, агрохимических и иных показателей. Но как показывает практика, наличие плодородности земли еще не является гарантией устойчивого получения высоких урожаев. Земельное плодородие, хотя и выступает в качестве необходимого условия такой устойчивости, тем не менее, оно не всегда является достаточным. Поэтому в страховании оценка риска потери плодородия земли осуществляется опосредованно – путем проведения оценки урожайности сельскохозяйственных культур.

Итак, можем выделить *первую отличительную черту* агрострахования, заключающуюся в отсутствии прямой зависимости между качественными характеристиками земли, выступающей в качестве объекта страхования, и количественными последствиями возникновения рисков, а также в отсутствии эффективных методов и методик оценки данной взаимозависимости.

2. Отсутствие полноценного рынка земель сельскохозяйственного назначения, а также ипотечного кредитования таких земель. В Азербайджанской Республике сельскохозяйственные земли практически отсутствуют в свободном обращении на рынке. Следствием этого является невозможность установления объективной рыночной цены на землю. В соответствии с 50 статьей Земельного Кодекса Азербайджана, в долгосрочное пользование на срок до 99 лет могут передаваться земли, которые находятся в частной собственности. Те земли, которые находятся на муниципальном или государственном балансе, могут передаваться во временное пользование на срок от 15-ти до 49-ти лет [6]. Следовательно, земельные угодья никак не могут являться предметом залога или источником финансирования потерь либо обеспечения обязательств.

Этим обуславливается сложная система расчетов и оценки страховой премии и сельскохозяйственном секторе. Это выступает в качестве *второй отличительной черты* агрострахования. В частности, чтобы установить размер страхового тарифа по объекту недвижимости, достаточно определить текущую рыночную стоимость аналогичных объектов, чего нельзя в настоящее время сделать для сельхозугодий в АР.

Таким образом, можем выделить *третью отличительную черту* агрострахования, заключающуюся в отсутствии возможности установления взаимосвязи между размером страхового тарифа (премии) и стоимостными характеристиками земли.

3. Сельскохозяйственный производственный процесс неразрывно связан с естественным процессом развития живых организмов (животных, птиц, растений), жизнедеятельность которых находится в зависимости от природных явлений. Это обуславливает неблагоприятные, а иногда и катастрофические для сельскохозяйственного производства последствия неблагоприятных природно-климатических явлений (сильные морозы, оползни, наводнения, засухи, град и др.), связанных с непредсказуемостью времени и места наступления.

В течение последних нескольких лет в Азербайджане неоднократно наблюдалась засуха. Уменьшение объемов снега зимой, возникновение ветровой эрозии и дефицита пресной воды в почве – все это снижает влажность почвы до 30-40 процентов, чего недостаточно для урожайности. Эта проблема наблюдается, в основном, в Шамахинском, Агусинском и Габалинском районе. Также происходит снижение уровня воды в реках Турьянчай, Гейчай, Гирдиманчай и Агсучай. По мнению специалистов, выход из ситуации заключается в экономном использовании оросительных вод [7]. В отдельных регионах Азербайджана, особую тревогу в сельском хозяйстве вызывают заморозки в весенне-осенний период, периодический сильный ветер, что приводит к значительным потерям урожая. Чтобы смягчить такие последствия, необходимо страховать посевы.

Развитие животных и растений (особых средств производства в сельском хозяйстве) обуславливается их биологическими особенностями. Стадии их развития строго последовательны, и разграничены во времени. Особой важностью обладает то, чтобы каждый этап цикла воспроизводства был материально обеспечен в необходимое время. При задержке сева по причине нехватки семян, несвоевременного обеспечения удобрениями или ГСМ, либо в связи с поломкой техники возникает значительный ущерб, гораздо больший, чем ущерб, вызываемый перерывами производства в промышленных отраслях.

4. Спецификой сельхозпроизводства определяется такая отличительная черта агрострахования, как необходимость аккумулирования для покрытия страхования рисков финансовых и материальных ресурсов в натуральном выражении. Этим обуславливается необходимость в формировании страховых запасов кормов и семенных фондов, то есть тех видов ресурсов, которые при возникновении неблагоприятных событий невозможно будет приобрести за деньги либо цена на которые, будет настолько высокой, что не позволит осуществлять производство, эффективное с точки зрения экономической выгоды.

Этим объективно определяются более высокие затраты на агрострахование в сравнении с иными экономическими отраслями. Эти затраты связаны с необходимостью дополнительного производства, заготовки, обеспечения сохранности и контроля качества страховых резервов в натуральном виде.

5. Рисковая ситуация в сельскохозяйственном секторе обостряется еще и диспаритетом цен на продукцию сельскохозяйственного и промышленного производства. На нынешнем этапе развития национальной и мировой экономики, ценовые риски в сельскохозяйственном секторе является второй по значимости группой рисков в АПК.

Таким образом, после рассмотрения и анализа специфики аграрной отрасли, выделим ряд ключевых особенностей страхования в сельскохозяйственной отрасли на современном этапе развития азербайджанской экономики.

В первую очередь, осуществление предпринимательской деятельности в аграрном секторе в связи с объективными причинами, связанными со спецификой самого сельхозпроизводства, является более рискованным занятием в сравнении с иными народно-хозяйственными отраслями. Это выступает в качестве основного фактора, снижающего интерес страховых компаний в плане развития страхового бизнеса в этой области.

Во вторую очередь, высокий уровень производственных рисков в сельскохозяйственном секторе обуславливает высокий уровень страховых премий (взносов).

В третью очередь, финансовое положение многих сельскохозяйственных организаций, особенно в условиях финансово-экономического кризиса (девальвация национальной валюты, падения мировой цены на нефть), не дает им возможности активно участвовать в существующих сегодня программах страхования.

В четвертую очередь, отсутствие разнообразия программ страхования и низкий уровень культуры страхования со стороны страховых компаний.

В пятую очередь, субъективизм в принятии решений со стороны руководства сельскохозяйственных организаций, большинство из которых, как правило, предпочитают отказаться от страхования рисков в надежде на наступление страхового случая.

Спецификой страхования в сельскохозяйственной отрасли обуславливается необходимость страхования ценовых рисков, что подтверждается современным финансово-экономическим кризисом. На наш взгляд, на современном этапе развития экономики Азербайджана и мировой экономики в целом, в качестве основных факторов ценовых рисков в сельскохозяйственной отрасли выступают:

- Снижение уровня покупательной способности населения;
- Территориальная монополия заготовительных и перерабатывающих организаций и предприятий;
- Изменение мировой цены на основные ресурсы и сырье (металл, электроэнергия, газ и нефть);
- Ценообразование в территориальной инфраструктуре агро-промышленного комплекса (транспорт, хранение), нередко обладающее характером картельных соглашений и т. д.

Также отметим, что рискованность кредитования сельскохозяйственной отрасли обуславливается рисковым характером предпринимательской деятельности и особенностями аграрного сектора. Наряду с этим, потребность в кредитах у сельскохозяйственных предприятий гораздо выше, чем у предпринимателей остальных народно-хозяйственных сфер. Это обусловлено выраженной сезонностью производства, а также высокой потребностью в немалых разовых инвестициях.

Определяя производственные риски, необходимо учитывать еще один фактор – эластичность и гибкость составляющих производственной системы, заключающихся в возможности адекватной реакции на изменение внутренних и внешних условий деятельности. Подчеркнем, что ресурсы производства в сельскохозяйственной отрасли характеризуются высоким уровнем иммобильности, а производственная деятельность – ярко выражен-

ным сезонным характером. Это в значительной степени ограничивает возможности сельскохозяйственных предприятий изменять структуру производства на протяжении технологического цикла.

Выводы

Вышеизложенное позволяет сделать правомерный вывод о том, что страхованию сельхозпроизводства должно отводиться важнейшее место среди многочисленных мер сохранения устойчивости аграрного сектора. С одной стороны, оно выступает в качестве весомого дополнения к деятельности по подкреплению сельского хозяйства страны вместе с повышением плодородия земель, мелиорацией и иными мероприятиями по повышению производительности сельскохозяйственной отрасли. Но, с другой стороны, страхование в аграрном секторе обладает важнейшим значением в поддержании уровня цен и уровня доходов населения. Страхование, предоставляя предприятиям-товаропроизводителям защиту от убытков при физической потере урожая от разнообразных рисков, еще и положительно сказывается на развитии процесса стабилизации производства сельскохозяйственной продукции, делая его более эффективным и масштабным.

Литература

1. Шахов В.В., 2000. Страхование: Учебник для вузов / В.В.Шахов. - М.: ЮНИТИ.-311 с.
2. Азербайджанское Государственное Информационное Агентство "АЗЕРТАДЖ" [Электронный ресурс]: Prezident İlham Əliyev Sabirabadda əkin sahələrinin su təminatının yaxşılaşdırılmasına 22 milyon 358 min manat ayırıb. - Режим доступа: <https://azertag.az/xeber/1141866>
3. Агентство международной информации "Trend" [Электронный ресурс]: Азербайджан в 2018 году увеличит орошаемую посевную площадь. - Режим доступа: <https://www.trend.az/business/economy/2839121.html>
4. Новостное агентство "Sputnik" [Электронный ресурс]: Государство готовит для предпринимателей бизнес "под ключ". - Режим доступа: <https://ru.sputnik.az/economy/20170926/412028024/azerbajdzhan-biznes-pod-kljuch-agropromyshlennyj-kompleks.html>
5. Информационное агентство «Интерфакс-Азербайджан» [Электронный ресурс]: Азербайджан увеличил в 2017 году импорт минеральных удобрений на 8%. - Режим доступа: <http://interfax.az/view/726414>
6. Азербайджанское Государственное Информационное Агентство "АЗЕРТАДЖ" [Электронный ресурс]: Azərbaycan Respublikasının Torpaq Məcəlləsində dəyişiklik edilməsi haqqında Azərbaycan Respublikasının Qanunu. - Режим доступа: <https://azertag.az/xeber/918605>
7. Новостное агентство "Sputnik" [Электронный ресурс]: Засуха в Азербайджане может привести к продовольственной проблеме – эксперты. - Режим доступа: <https://ru.sputnik.az/economy/20140820/300803867.html>

Orkhan Muqabil oglu Bayramov

SOME FEATURES OF INSURANCE IN AGRICULTURE AT THE PRESENT STAGE OF DEVELOPMENT OF THE ECONOMY OF AZERBAIJAN Summary

In many advanced economies, insurance is the key way to manage all sorts of risks. But in Azerbaijan today, due to various subjective and objective reasons, this tool is used in entrepreneurial practice insufficiently. This makes it necessary and relevant to study the theoretical basis of insurance more deeply. In addition, a methodological base for insurance should be developed and concrete mechanisms of the insurance business substantiated. These mechanisms should be introduced into the practice of the functioning of business entities, regardless of the branch of the economy.

The article reveals the specificity of agricultural insurance in its close relationship with the features of the functioning of the agrarian sphere. The author outlines five main features, among which we can mention: the use of land as the main means of production in agriculture; lack of a fully functioning market, agricultural land and their mortgage lending; the interrelation of the production process in agriculture with the natural processes of development of living organisms and natural phenomena; necessity of accumulation for insurance of risks not only financial resources, but also material resources in kind; as well as the disparity of prices for industrial and agricultural products. Thus, after reviewing and analyzing the specifics of the agrarian sector, the author outlines the main features of insurance in agriculture at the present stage of development of the Azerbaijani economy.

Author comes to the conclusion that insurance of agricultural production should be given the most important place among the numerous measures to maintain the stability of the agricultural sector. On the one hand, it serves as a significant addition to the activities to reinforce the country's agriculture, together with increased land fertility, land reclamation and other measures to increase the productivity of the agricultural sector. But, on the other hand, insurance in the agricultural sector is of paramount importance in maintaining the level of prices and income levels of the population. Insurance, providing enterprises-producers with protection against losses in the event of physical loss of crops from various risks, also positively affects the development of the process of stabilizing agricultural production, making it more efficient and large-scale.

**ინსტიტუციურ-ეკონომიკური რეფორმების ზემოქმედება
უძრავი ქონების საბაზრო ფასის ჩამოყალიბებაზე საქართველოში**

ანოტაცია. უძრავი ქონების საბაზრო ფასის ჩამოყალიბებაზე მუდმივად ახდენს გავლენას ფინანსური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული თუ დემოგრაფიული ცვლილებები ქვეყანაში. ეკონომისტებისთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ინსტიტუციურ-ეკონომიკური რეფორმები, ვინაიდან, სწორედ აღნიშნული რეფორმების შედეგია ყველა დანარჩენი ცვლილება ქვეყანაში ეკონომიკური თვალსაზრისით.

ნაშრომში განხილულია საქართველოში 1990 წლის შემდგომ პერიოდში განხორციელებული ინსტიტუციურ-ეკონომიკური რეფორმები. აღნიშნულმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოში სხვადასხვა პერიოდში უძრავი ქონების საბაზრო ფასის ფორმირებაზე.

უძრავი ქონების ფასის განსაზღვრა რთული და დინამური პროცესია, განსაკუთრებით საქართველოში, ინსტიტუციური რეფორმების, ეკონომიკური გარდაქმნების პირობებში. უძრავი ქონების ფასის განსაზღვრისათვის ინფორმაციის მოძიება ხდება საქართველოს ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების (არაფინანსური კორპორაციების სექტორი, ფინანსური კორპორაციების სექტორი, არაკომერციული ორგანიზაციები, სახელმწიფო მმართველობა, შინამეურნეობები) მიერ შენობა-ნაგებობების ყიდვაზე, შენობა-ნაგებობის მშენებლობასა და კაპიტალურ თუ მიმდინარე რემონტზე დარიცხვული ხარჯების შესახებ; მიწის ყიდვასა და მის არსებით გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების შესახებ; აგრეთვე ინფორმაცია ინსტიტუციური სექტორების მიერ ამა თუ იმ პერიოდში შექმნილი ობიექტების ღირებულებისა და მოცულობის შესახებ. აღნიშნული ფაქტორების ცვლილება იწვევს უძრავ ქონებაზე მოთხოვნის ცვლილებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს უძრავი ქონების საბაზრო ფასის ფორმირებას. კვლევამ აჩვენა, რომ უძრავ ქონებაზე მოთხოვნის ცვლილებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე, სხვადასხვა პერიოდში მოსახლეობის შემოსავლების ცვლილება, ეს განსაკუთრებით საგრძნობია უძრავი ქონების ფასზე თბილისში. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქში კომეციული ფართის ფასი დაახლოებით 2-ჯერ (ზოგიერთ უბნებში მეტად) აღემატება საცხოვრებელი ფართის და კიდევ უფრო მეტად მიწის საბაზრო ფასებს. რასაკვირველია, თბილისის შემთხვევაში გასათვალისწინებელია დემოგრაფიული ფაქტორის ცვლილება დროთა განმავლობაში.

რეფორმების პერიოდში ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება ხისტი და რთულად პროგნოზირებადია. თუმცა აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ინსტიტუციურ-ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, ძირითადად საზოგადოების კეთილდღეობის საერთო დონის ამაღლებაზე აისახა. საბოლოოდ, საქართველოში უძრავი ქონების საბაზრო ფასი თითქმის შეუფერხებლად (ავვისტოს ომის პერიოდს თუ არ ჩავთვლით) მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. მიუხედავად ამისა, საქართველოში უძრავი ქონების საბაზრო ფასი საგრძნობლად ჩამორჩება მეზობელ ქვეყნებში იმავე მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით რეგულარული კვლევა ქვეყანას შესაბამისი ეკონომიკური ორიენტირის და სტრატეგიის განსაზღვრის შესაძლებლობას მისცემდა.

შესავალი

საქართველო ისტორიულად ერთ-ერთ ტრანსფორმირებად სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც მუდმივად გამოწვევების წინაშე იდგა. ეს განპირობებული იყო მისი გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის გამო (ევროპა - აზიას შორის ტრადიციულად არასტაბილურ გეოპოლიტიკურ საზღვარზე). ამას ემატებოდა წარმოშობის სხვაგვარი თვისებების და აზროვნების მქონე მოსახლეობა, ორი აქტიური და ასევე რამდენიმე ფარული კონფლიქტი (კავშირიდან გასვლის გამო) და ის ფაქტიც, რომ საქართველოს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ეფექტურ სახელმწიფო მოწყობის ისტორიულ ტრადიციას დაბრუნებოდა. გამომდინარე აქედან, ხაზგასმით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესი უზარმაზარი ტვირთით მიმდინარეობდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობის მოპოვებისას დაიწყო დისკუსია პირველი ეკონომიკური სტრატეგიის შესახებ. 1990 წელს შეიქმნა უმაღლესი საბჭო, რომელსაც უნდა მიეღო რეფორმისტული ეკონომიკური კანონები. 1992 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა რამდენიმე რეფორმის გატარება, თუმცა ეს უკანასკნელი წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან უძრავი ქონების განაწილება, უფრო სწორედ, მოსახლეობისთვის უფასოდ გადაცემამ, ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობის და მშენებლობის სექტორებს. გარდა ამისა, შემოსავლის დონისა და ეროვნული წარმოების კლებასთან ერთად, უმუშევრობამ და ინფლაციამ საგრძნობლად იმატა, წარმოების კლებასთან ერთად მოხდა სამუშაო ძალის შემცირება და გამოქვეყნდა გეგმური ეკონომიკის ხელოვნური მოთხოვნა და პროდუქციის მწარმოებელი ფირმების არაეფექტურობა, მიწოდება-მოთხოვნის შეუსაბამობა და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის არარსებობა.

ამრიგად, გეგმური ეკონომიკიდან ლიბერალური საბაზრო ეკონომიკისკენ გრდაქმნისა და ევროპასთან ინტეგრაციის მცდელობების განმავლობაში, საქართველოში მუდმივად იცვლებოდა ეკონომიკური მდგომარეობა, ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა უძრავი ქონების საბაზრო ფასის ფორმირების საკითხი.

მიმოხილვა

საქართველოში ეკონომიკის დეგრადაცია გრძელდებოდა 1990 წლიდან დაახლოებით 5-6 წლის განმავლობაში, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო პოლიტიკურ დაპირისპირებებთან. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნიდან საქართველოში, თითქმის, ყველაზე მოგვიანებით – 1995 წლიდან დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრების მცდელობა და ეკონომიკის ტრანსფორმაცია⁵⁰.

1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკაში შემსუბუქდა კრიზისული მდგომარეობა, რასაც ხელი შეუწყო ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა. ეკონომიკის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 1997 წელს, როცა მშპ-ს ზრდის ტემპმა 10.7% შეადგინა⁵¹ (რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო “ვარდების რევოლუციამდე”). შემდგომ ზრდის ტემპი მკვეთრად დაეცა და 1998 წელს რუსეთის საფინანსო კრიზისმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკის განვითარება. 1996 წელს საქართველოს მშპ-მ შეადგინა 3,868.5 მლნ ლარი (3,064.6 მლნ აშშ დოლარი), 1999 წელს – 5,668.7 მლნ ლარი (2,814.1 აშშ დოლარი), 2003 წელს კი – 8,564.1 მლნ ლარი (3,990.8 მლნ აშშ დოლარი)⁵². ამ პერიოდიდან ჯერ კატასტროფულმა ინფლაციამ გამოიწვია უცხოური ვალუტის (დოლარის) მნიშვნელობის ზრდა საქართველოში, ხოლო შემდგომ კი ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის კვალობაზე დოლარის ხვედრითმა წილმა 2003 წლის ბოლოს მიადწია მაქსიმალურ ნიშნულს – 86%-ს.

საქართველოში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ორგანული ზონა: ეროვნული ვალუტა ემსახურებოდა მიმდინარე გადასახდელებს, მცირე სამეწარმეო გარიგებებსა და სამომხმარებლო ხარჯებს, ხოლო დოლარი – მსხვილ სამეწარმეო გარიგებებსა და სამომხმარებლო ხარჯებს, აგრეთვე საინვესტიციო მიზნებს. რეალურად, ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფო ვერ ახერხებდა, უზრუნველყო სახელმწიფო ფინანსების ქმედითობა და ამოეღო გადასახადები. სახელმწიფო ბიუჯეტის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში უმნიშვნელო იყო. მან 1995 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 5% შეადგინა, შემდგომ პერიოდში გაიზარდა, თუმცა 12%-ს ვერ გადააჭარბა⁵³. 2004 წლამდე ეს იყო ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამდენად, სახელმწიფოს გააჩნდა სუსტი ფინანსური, ეკონომიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობები იმისათვის, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოეხდინა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

1994-1998 წლებში გატარდა რიგი რეფორმები ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის მიმართულებით, რის შედეგადაც ცვლილებები განიცადა და განვითარდა საბანკო სისტემა, შემოდებულ იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი, დაიწყო მცირე და საშუალო საწარმოების პრივატიზება, დაიწყო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ეს იყო ეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების რეფორმა, რომლის მიზანი იყო ჰიპერინფლაციის შეჩერება, ქვეყნის ეკონომიკის დაბალანსების მცდელობა და საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის ინსტიტუციური პირობების შექმნა.

საქართველოში ჯერ კიდევ 1992 წელს დაწყებული პრივატიზების პროცესი, სხვა მიზნებთან ერთად, მიმართული იყო იმისკენ, რომ სახელმწიფოსაგან გათავისუფლებულიყო ის საწარმოები, რომელთა ეფექტიანი მართვა მას არ შეეძლო. შესაბამისად, მათი შემდგომი მუშაობისა და განვითარებისათვის აუცილებელი იყო დამატებითი ფინანსური რესურსები, რომელიც სახელმწიფოს არ გააჩნდა და არც სესხის სახით შეიძლება ყოფილიყო აღებული. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად, საწყის ეტაპზე, პრივატიზებას დაექვემდებარა მცირე და საშუალო საწარმოები. კანონმდებლობით⁵⁴ განისაზღვრა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები, ხოლო ე.წ. არასტრატეგიული დანიშნულების ობიექტები დაექვემდებარა განსახელმწიფოებრიობას, რაც მიზნად ისახავდა კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებას.

მრავალი საწარმო იძულებული იყო, შეეჩერებინა საქმიანობა ხოლო ვადაგადაცილებული დავალიანების მქონე საწარმოების რიცხვი მკვეთრად მატულობდა რამდენიმე მიზეზის გამო: მათ პროდუქციას არ ჰქონდა ბაზარი, საწარმოს ასამუშაველად არ არსებობდა საკმარისი კაპიტალდაბანდება, ხელმძღვანელობას არ გააჩნდა საბაზრო ეკონომიკის საკმარისი გამოცდილება, საბანკო სისტემა ვერ პასუხობდა ბიზნესის მოთხოვნებს, მათი საპროცენტო განაკვეთები ხელმეწიფდომელი იყო ბიზნესისათვის და სხვ. 1999 წელს 16 ათასზე მეტი საწარმო დავალიანებამ სახელმწიფო

⁵⁰ თ. ბურდული, უფროსი მკვლევარი, ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე, ეკონომიკა და საბანკო საქმე, 2015, ტ. 3 (2).

⁵¹ <http://www.iset-pi.ge/index.php>

⁵² www.geostat.ge

⁵³ თ. ბურდული,...

⁵⁴ საქართველოს კანონი “სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ” 1997 წლის 30 მაისი. N 743 – II.

ბიუჯეტის წინაშე 338.4 მილიონი ლარი შეადგინა⁵⁵, რაც იმ პერიოდში სახელმწიფო შემოსავლების ნახევარზე მეტს შეადგენდა. 1998 წელს მიღებულ იქნა კანონი “საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისა და შესახებ”⁵⁶, რომელმაც ხელი შეუწყო დავალიანებების გადავადებას და ამით, კიდევ უფრო მნიშვნელოვნად - “შეკლარი” ეკონომიკის ფორმირებას.

როგორც აღვნიშნეთ, “ვარდების რევოლუციის” შემდეგ საქართველოში დაიწყო საბანკო სისტემის მნიშვნელოვანი გაფართოება. ამ მხრივ გარდატეხის პერიოდი იყო 2004-2006 წლები, როდესაც სესხების ხვედრითი წილი მშპ-ში გაიზარდა 9.2%-დან 19.4%-მდე. რაც შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ბანკების მიერ გაცემული რესურსებით ვითარდებოდა ეკონომიკა. იზრდებოდა ბანკების მნიშვნელობა და მათი მონაწილეობა ქვეყნის მშპ-ს ზრდაში. ეს ტენდენცია 2008 წლამდე გაგრძელდა. ბანკების რაოდენობა და ფინანსების ზრდის ტემპი მკვეთრად აღემატებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების ზრდის ტემპს. აღსანიშნავია, რომ გაფართოვდა სესხებზე ხელმისაწვდომობის არეალი. 2003 წლამდე ბანკებში დეპოზიტების მოცულობა მშპ-თან მიმართებაში დაბალი იყო. ამ პერიოდში დეპოზიტების მოცულობამ მშპ-ში შეადგინა 22%, შედარებისთვის - 2011 წელს ეს მაჩვენებელი 40%-ზე მეტია; მონეტიზაციის კოეფიციენტი 12%-დან (2003) - 2011 წლისთვის 21%-მდე გაიზარდა⁵⁷. საქართველო ამ მაჩვენებლებით შეეცადა, მიახლოებოდა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს. სავარაუდოა, რომ მკვეთრად გაიზარდა ბანკების მიერ ეკონომიკის უზრუნველყოფა კრედიტით. “2004 წლის 1 იანვრისთვის ეკონომიკის დავალიანება ბანკების მიმართ შეადგენდა 747,911 ლარს, ხოლო 2011 წლის 1 დეკემბრისთვის ამ მაჩვენებელმა 7,269,145 ლარი შეადგინა, ანუ 10-ჯერ გაიზარდა 2003 წლის შემდგომ პერიოდში” [თ. ბურდული, უფროსი მკვლევარი, ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე, ეკონომიკა და საბანკო საქმე, 2015, ტ. 3 (2)].

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2012 წელს (საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია) იპოთეკურმა სესხებმა შინამეურნეობებისთვის, სესხებმა მშენებლობისა და უძრავი ქონებით ოპერაციებისათვის ჯამში 25.1% შეადგინა⁵⁸. ამ სამ სექტორზე გაცემული სესხები, შესაძლებელია, არსებითად, გააერთიანოთ “მშენებლობის და უძრავი ქონების” ერთიანი სექტორის ქვეშ. შესაბამისად, ამ სფეროში გაცემული სესხების თითქმის მეოთხედი პირდაპირ ზეგავლენას ახდენდა მშენებლობის სფეროს გაფართოებაზე, რაც 2007 წლის ბოლომდე განსაკუთრებულად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2007 წლიდან (ამ მიმართულებით) კრიზისი ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე და მსოფლიო კრიზისამდე დაიწყო. აღნიშნული პერიოდიდან დაიწყო ინვესტიციების შეკვეცა, ბანკებმა კი კვლავ განაგრძეს კრედიტების გაცემა. მშენებლობის და იპოთეკური სესხების განმსაზღვრელი ნაწილი უშუალოდ ბინათმშენებლობაზე იყო მიმართული. ბინათმშენებლობა, როგორც ფაქტორი, ზეგავლენას ახდენდა მშპ-ს ზრდაზე, მაგრამ “კაპიტალიზაცია” ამ შემთხვევაში პირობითი იყო, რადგან უპირატესად სამომხმარებლო დანიშნულების აქტივების ფორმირება ხდებოდა. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში 2005-2008 წლებში ჩამოყალიბებულმა “იპოთეკურმა ბუმი” მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია უძრავ ქონებაზე ფასების ზრდაზე. თუ წინა წლებში, თბილისში საცხოვრებელი ფართის საშუალო ფასი განუხრევლად იზრდებოდა, რუსეთთან ომმა, როგორც ერთგვარმა შოკმა, ბუნებრივი იყო, ფასების ვარდნა გამოეწვია. ამ პერიოდში საშუალო გასაყიდი ფასი 1 კვადრატულ მეტრზე (2007 წლიდან 2008 წლამდე) 13.4%-ით შემცირდა და 745 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2009 წელს კიდევ 12.8%-ით შემცირდა და 650 აშშ დოლარი შეადგინა⁵⁹. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა 3.7%-ით შემცირდა. ამასთან საინტერესოა ისიც, რომ უძრავი ქონების სექტორში ფასების ვარდნის ერთგვარი კომპენსაცია მოხდა დადებული გარიგებების რაოდენობის ზრდის ხარჯზე (გარიგებების რაოდენობა 2008 წელს 2.3%-ით გაიზარდა, ხოლო 2009 წელს - 6.4%-ით) [„Colliers International Georgia“ კვლევითი ცენტრი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა. 2015].

საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე გაანგარიშება ძირითადად აშშ დოლარებში ხდება. ფასის ზრდასთან ერთად, გრძელვადიან პერიოდში საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე დადებული გარიგებების რაოდენობის ზრდაც შეინიშნება, განსაკუთრებით - შედარებით მცირე ფართობის ბინების ხარჯზე.

⁵⁵ თ. ბურდული...


⁵⁶ საქართველოს კანონი “სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ”, 1998.

⁵⁷ თ. ბურდული...

⁵⁸ საქართველოს ეროვნული ბანკი. 2018. <https://www.nbg.gov.ge>

⁵⁹ „Colliers International Georgia“ კვლევითი ცენტრი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა. 2015.

უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზ რაოდ. 2014-2018 წ.წ. (ათასი ერთეული)



გრაფიკი 1.1.

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

გარიგებების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში მუდმივად იზრდებოდა. ამ უკანასკნელში საცხოვრებელ ბინებზე დადებული გარიგებების დიდი მოცულობა მოსახლეობის შემოსავლების ზრდამ განაპირობა. აღნიშნული წლების მანძილზე ოჯახების შემოსავლები საშუალოდ 15%-ით იზრდებოდა და ერთ ოჯახზე თვეში 2007 წელს არსებული 348 ლარიდან, 2013 წლის მონაცემებით, 800 ლარამდე გაიზარდა⁶⁰. ამ მაჩვენებელში ასევე გათვალისწინებულია უცხოეთში მომუშავე ოჯახის წევრების გზავნილებიც.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც უძრავი ქონების ბაზრის ზრდის პოტენციალს განსაზღვრავს, დემოგრაფიული თავისებურებებია. ამჟამად საქართველოში ოჯახის წევრების რაოდენობის მაჩვენებელი შედარებით მაღალია: ერთ ოჯახზე 3.7 ადამიანი მოდის, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნების უმეტესობაში ეს მაჩვენებელი 2.0-2.8-ს შორის მერყეობს. საქართველოში ერთ ადამიანზე არსებული საცხოვრებელი ფართი საშუალოდ 23 კვადრატული მეტრია. თბილისში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია – ერთ სულ მოსახლეზე 17 კვადრატული მეტრი მოდის, რასაც ბოლო პერიოდში ქალაქში ცხოვრების მსურველთა დიდი რაოდენობაც განაპირობებს. ევროპის ბევრ ქალაქში იგივე მაჩვენებელი 2-ჯერ და 3-ჯერ მაღალია და დაახლოებით 30-50 კვადრატულ მეტრს შეადგენს⁶¹.

აღნიშნულ წლებში შემოსავლების ზრდამ და საპროცენტო განაკვეთების შემცირებამ იპოთეკური სესხები უფრო ხელმისაწვდომი გახადა და უძრავ ქონებაში ინვესტიციების ზრდა გამოიწვია. 2013 წლის განმავლობაში კი გაცემული იპოთეკური სესხების მოცულობა წინა წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა და 690 მლნ ლარს მიაღწია.⁶² სულ იპოთეკური სესხების პორტფელმა 2013 წლის ბოლოსთვის 1.1 მლნ ლარს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, იპოთეკური სესხების მოცულობა მაინც დაბალ დონეზე იყო და ქვეყნის მშპ-ის მხოლოდ 4%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნების უმრავლესობის მაჩვენებელი 15%-ზე მაღალი იყო⁶³. იპოთეკური სესხი საქართველოს მოსახლეობის (დაახლოებით) 2%-ზე ნაკლებს ჰქონდა აღებული.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის, უძრავი ქონების ფასის კვლევის 2013 წლის მონაცემებით, უძრავი ქონების შეძენაზე დარიცხული ხარჯების უმეტესობა (57,4 %) ⁶⁴ არაფინანსურ კორპორაციებზე მოდის, განსაკუთრებით დიდია საოფისე შენობებსა და სავაჭრო ობიექტებზე გაწეული ხარჯები. სულ 2013 წელს უძრავი ქონების შესაძენად გაწეულმა ხარჯებმა 180.1 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაზე დადებული გარიგებების რაოდენობამ 19 187 ერთეული⁶⁵. ზოგადად, 2007 წლიდან, 2013 წლის ჩათვლით, უძრავი ქონების ფასი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა⁶⁶.

⁶⁰ Colliers International Georgia“ კვლევითი ცენტრი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა. 2015.

⁶¹ საქართველოს უძრავი ქონებისა და ინვესტიციების მართვის კომპანია, GALT & TAGGART-ის ანალიტიკური ჯგუფი, 2015.

⁶² საქართველოს ეროვნული ბანკი. 2018. <https://www.nbg.gov.ge>


⁶³ „Colliers International Georgia“ კვლევითი ცენტრი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა. 2015.

⁶⁴ www.geostat.ge

⁶⁵ საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო.

⁶⁶ საქართველოს უძრავი ქონებისა და ინვესტიციების მართვის კომპანია, 2015.

საშუალო გასაყიდი ფასი ერთ კვადრატულ მეტრზე, აშშ დოლარი



გრაფიკი 12⁶⁷

2009 წლის შემდგომ პერიოდში, საქართველოში, ლარის კურსის დაცემის ფონზე, სესხებზე მოთხოვნის ზრდა დროებით შეჩერდა. თუმცა კრიზისის გადალახვის შემდეგ იპოთეკური სესხების რაოდენობაც და მოცულობაც (მშპ-სთან მიმართებით) ეტაპობრივად დაუახლოვდა საშუალო ევროპულ მაჩვენებლებს, რაც მკვეთრ ზრდას გულისხმობს. მოსახლეობის შემოსავლების ზრდასთან ერთად, მოსალოდნელია ასევე გაიზარდოს მოთხოვნა მშენებლობის ხარისხზე, მრავალფეროვნებასა თუ ინდივიდუალური მოთხოვნილებების (როგორცაა უძრავი ქონების ადგილმდებარეობა და სხვ.) დაკმაყოფილებაზე.

დღეისათვის, განსაზღვრული მიზეზებით გამოწვეული მოთხოვნის ზრდის, ახალი მშენებლობების სიმრავლის თუ სამშენებლო სტანდარტების ამაღლების გამო, გრძელვადიან პერიოდში, საქართველოში უძრავი ქონების ფასის ზრდის ტენდენცია არის მოსალოდნელი. ამჟამად, საშუალო გასაყიდი ფასები უძრავ ქონებაზე თბილისსა და მთლიანად საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამორჩება აღმოსავლეთევროპული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. თუმცა ეკონომიკური განვითარების დონესთან დაკავშირებული ფაქტორები (დაქირავებულ მუშახელზე არც ისე მაღალი ხარჯები, მიწის დაბალი ღირებულება და სხვ.) და ნაკლები რეგულაციები საქართველოში, მოკლევადიან პერიოდში, უძრავი ქონების შედარებით დაბალ ფასებს განაპირობებს.

საქართველოში უძრავი ქონების ინდექსს (GREI) ქმნის უძრავი ქონების ბაზრის ლაბორატორია. “REM lab“ (უძრავი ქონების ბაზრის ლაბორატორია) თიბისი ბანკის და “ISET” (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა) ერთობლივი პროექტია, რომელიც “JumpStart Georgia”-ის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის მიზანია ქართული უძრავი ქონების ბაზრის რეგულარული კვლევა და, სხვა ინდიკატორებთან ერთად, უძრავი ქონების ინდექსის გაანგარიშება.⁶⁸

უძრავი ქონების ინდექსით შესაძლებელია დადგინდეს უძრავ ქონებაზე ფასების ცვლილება და უძრავი ქონების ფასების დინამიკა. უძრავი ქონების ბაზრის კვლევისას (მაგალითად, თუ დაკვირვების ობიექტია 1 კვ. მ-ის საცხოვრებელი ქონების ფასი), უძრავი ქონების საშუალო ფასი შეიძლება გაიზარდოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიმდინარე თვეში უფრო ძვირი ბინები იყიდება ბაზარზე, ვიდრე წინა თვეს. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ზოგადად საცხოვრებელი ქონების ფასები გაიზარდა. სწორედ ამისათვისაა საჭირო უძრავი ქონების ინდექსი, რომ მხოლოდ ფასების რეალური ცვლილება დაავადგინოთ. “GREI”-ის მეშვეობით საზოგადოება გაიგებს, გაიზარდა თუ შემცირდა ფიქსირებული უძრავი ქონების ფასი მიმდინარე თვეში, ანუ შესაძლებელი იქნება უძრავი ქონების ფასის რეალური დინამიკის დანახვა.

საერთაშორისო პრაქტიკაში უძრავი ქონების ფასებზე დაკვირვებისას იყენებენ ლასპეიერსის, პააშეს და ფიშერის ინდექსებს⁶⁹. საქართველოში უძრავი ქონების ინდექსისათვის მონაცემები (განთავსებული განცხადებები) ყოველთვიურად მიიღება და მუშავდება უძრავი ქონების ერთ-ერთი

⁶⁷ საქართველოს უძრავი ქონებისა და ინვესტიციების მართვის კომპანია 2015.

⁶⁸ პროექტს საფუძვლად უდევს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც ISET თიბისი ბანკის დახმარებით უზრუნველყოფს უძრავი ქონების ბაზრის კვლევისათვის მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს.

⁶⁹ თიბისი ბანკის, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტისა და JUMPSTART-ის ერთობლივი პროექტი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა. 2016

ყველაზე მსხვილი ვებსაიტიდან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო). 2016 წელს თბილისის მასშტაბით, საშუალოდ, თვეში 5000 განცხადების დამუშავება ხდებოდა.

თბილისის ბანკის ინფორმაციით, 2016 წელს ქართული უძრავი ქონების ბაზარი მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაყიდვების რაოდენობამ 89 120 ერთეულს მიაღწია.

პარალელურად, 37.5%-ით გაიზარდა თბილისის უძრავი ქონების ბაზარიც, რომლის წილმა ქვეყნის მასშტაბით უძრავი ქონების გაყიდვებში 38.6% შეადგინა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, დედაქალაქში 2016 წელს 34 440 გაყიდვის ტრანსაქცია დაფიქსირდა, თვეებს შორის კი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა დეკემბერი (3 593 ტრანსაქცია).

თბილისის გაუთვალისწინებლად, 2016 წელს საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი 11.3%-ით გაიზარდა. ამასთან, ქვეყნის რეგიონებს შორის უძრავი ქონების გაყიდვებში მაღალი წილით გამოირჩეოდა კახეთი (12.0%) და აჭარა (9.6%).

დედაქალაქის რაიონებს შორის ტრანსაქციების თითქმის ნახევარი, უძრავი ქონების ბაზარზე, შემდეგ რაიონებზე მოდიოდა: ვაკე, საბურთალო და სამგორი. 2016 წელს ყველაზე მეტი გაყიდვა ვაკეში (6 892 ერთეული, თბილისის გაყიდვების 20.0%) დაფიქსირდა, შემდეგ კი - საბურთალო (5 909 ერთეული, 17.2%) და სამგორი (3 748 ერთეული, 10.9%).

2016 წელს ახალი უძრავი ქონების მიწოდება (დასრულებული მშენებლობების რაოდენობა და მოცულობა) თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე მნიშვნელოვნად გაიზარდა:

ახალი შენობების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 42.7%-ით გაიზარდა და 765 ერთეული შეადგინა (604 საცხოვრებელი უძრავი ქონება, 161 კომერციული უძრავი ქონება). ახალი შენობების მოცულობა კი წინა წელთან შედარებით 65.4%-ით გაიზარდა და 1.44 მილიონი კვ.მ შეადგინა (1.16 მილიონი კვ.მ საცხოვრებელი უძრავი ქონება, 0.28 მილიონი კვ.მ კომერციული უძრავი ქონება) [თბილისის ბანკის, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტისა და JUMPSTART-ის ერთობლივი პროექტი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა. 2016].

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის დეკემბერში საცხოვრებელი ქონების გაყიდვის ფასის ინდექსი წინა წელთან შედარებით 3.8%-ით შემცირდა, ხოლო ქირის ფასის ინდექსი 2.1%-ით გაიზარდა. ამასთან, 1 კვ.მ საცხოვრებელი უძრავი ქონების გაყიდვის საშუალო ფასმა 866 აშშ დოლარი, ხოლო ქირის საშუალო ფასმა 7.20 აშშ დოლარი შეადგინა. 2016 წელს მთაწმინდა იყო დედაქალაქის ყველაზე “ძვირი” რაიონი (გაყიდვის საშუალო ფასი 1 033 აშშ დოლარი), ხოლო ყველაზე იაფი რაიონი - სამგორი (გაყიდვის საშუალო ფასი 547 აშშ დოლარი).

დეკემბრის თვეში (წინა წელთან შედარებით) შემცირდა კომერციული ქონების გაყიდვის ფასის (11.7%-ით) და იჯარის ფასის (12.5%-ით) ინდექსები. ამასთან, 1 კვ.მ კომერციული უძრავი ქონების გაყიდვის საშუალო ფასი 1 087 აშშ დოლარის, ხოლო იჯარის საშუალო ფასი - 10.28 აშშ დოლარის დონეზე დაფიქსირდა. [თბილისის ბანკის, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტისა და JUMPSTART-ის ერთობლივი პროექტი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა. 2016].

2017 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით, თბილისში ახლადაშენებული ბინების საშუალო გასაყიდმა ფასმა 1 კვადრატულ მეტრზე 603 აშშ დოლარს მიაღწია⁷⁰. საანგარიშო პერიოდში ახლადაშენებული ბინების საშუალო ფასი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3%-ით ნაკლებია.

სამომავლოდ, საქართველოში, და განსაკუთრებით თბილისში, მოსახლეობის შემოსავლების ზრდის პარალელურად, უძრავი ქონების საბაზრო ფასის ზრდას ვარაუდობენ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ყოველწლიურად უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის რეგისტრაცია ყველაზე მეტი რაოდენობით ხდება თბილისში, აჭარასა (ბათუმი) და კახეთში (თელავში).

დასკვნა

ამრიგად, 1990 წლის შემდგომი პერიოდიდან, საქართველოში ეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების რეფორმის მიზანი იყო ჰიპერინფლაციის შეჩერება, ქვეყნის ეკონომიკის დაბალანსება და საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის ინსტიტუციური პირობების შექმნა.

თუ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში წარმოების დაცემის პერიოდი საშუალოდ 4 წელი იყო, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მან 7 წელი შეადგინა. როგორც ჩანს, საქართველოში დაცემის პერიოდი იყო შედარებით ხანმოკლე, მაგრამ ყველაზე ღრმა. ამასთან, ეკონომიკამ დიდწილად ჩრდილოვან სექტორში გადაინაცვლა.

ინსტიტუტები, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესს, მეორე მხრივ, ეკონომიკისაგან საზოგადოებისთვის სასარგებლო შედეგების მიღებას, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

უძრავი ქონების ბაზარი მგრძობიარეა ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ. ბოლოდროინდელმა საგარეო და საშინაო ეკონომიკურმა ცვლილებებმა, განსაკუთრებით დოლართან მიმართებით ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის ვარდნამ, შეიძლება უძრავი

⁷⁰ <http://www.iset-pi.ge/index.php>

ქონების ბაზარზეც გამოიწვიოს გარკვეული ტენდენციები. მაგალითად, შესაძლებელია შემცირდეს მოთხოვნა იპოთეკურ კრედიტებზე. უძრავი ქონების ბაზარზე ნეგატიური გავლენის საფრთხეს შეიცავს ასევე უცხოეთში დასაქმებული ქართველების მხრიდან საქართველოში განხორციელებული ტრანსფერების შემცირებაც.

გარკვეული გადახრა გრძელვადიანი ტენდენციებიდან (2008-2009 წლის მსგავსად), ამჟამადაც მოსალოდნელია. თუმცა ამ ცვლილებების ხასიათი შესაძლებელია მაშინდელისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს, რადგანაც განსხვავებულია ეკონომიკური მდგომარეობის თავისებურებებიც და ბაზრის სასტატო მდგომარეობაც. დღეისათვის არ გვაქვს შეიარაღებული კონფლიქტის შოკური ეფექტი (მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებულია) და ეკონომიკის შემცირებაც, ზრდის ტემპის შენელების მიუხედავად, ჯერჯერობით პროგნოზირებული არ არის. ამ ფონზე, ჩვენი აზრით, უძრავი ქონების საბაზრო ფასის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი ლარის მკვეთრი გაუფასურება იქნება, რაც, თავის მხრივ, განსხვავებულ შედეგებთანაა დაკავშირებული.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ახალ მშენებლობებზე დოლარებში ფასის კლების შესაძლებლობები შეზღუდულია როგორც წინასწარ გაწეული ხარჯებით, ისე იმპორტირებული მასალების ღირებულებით. შესაბამისად, კურსის ცვლილებით გამოწვეულმა შემოსავლების კლებამ (დოლარებში) მოსალოდნელია მოკლევადიან პერიოდში ბაზარზე მოთხოვნა შეამციროს. თუმცა, მუშახელისა თუ ადგილობრივად წარმოებული მასალების გაიაფების შესაძლებლობის გამო, ფასების კლების გარკვეული პოტენციალიც არსებობს.

ახალ მშენებლობებთან შედარებით, მეტი მოქნილობა შესაძლებელია ძველი ქონების ბაზარზე, რადგანაც ინდივიდუალურ მფლობელს არა აქვს მშენებლობისა და საოპერაციო ხარჯებით განსაზღვრული ხისტი ქვედა ზღვარი. კურსის ცვლილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეფექტი დოლარებში აღებული სესხების გაძვირება და მათი დაფარვის გართულებაა. ამან შესაძლოა გაზარდოს კრიტიკული აუცილებლობით გამოწვეული გაყიდვები. მეორე მხრივ, ლოგიკურია, რომ ფასების კლების შემთხვევაში ბევრი ადამიანი მოერიდოს უძრავი ქონების გაყიდვას, რაც ჯამურ მიწოდებას შეამცირებს.

სხვაგვარად, ღირებულებაზე ასევე გაქირავების ფასებმა შეიძლება იმოქმედოს, რადგანაც მოქმედებს კერძო მფლობელისა თუ პოტენციური მყიდველის მოლოდინზე, თუ რა შემოსავალი შეიძლება მიიღოს უძრავი ქონებიდან. ამ მხრივ, ფაქტორებს შორისაა როგორც დოლარებში შემოსავლების კლება (რაც ზღუდავს ბინის ქირაობის რესურსებს ადგილობრივებისთვის), ისე უცხოელი ვიზიტორების რაოდენობისა, და, შესაბამისად, მათგან საცხოვრებელზე მოთხოვნის შემცირება. თუმცა კურსის კლებამ ასევე შესაძლოა გააიაფოს საქართველო უცხოელებისთვის, რაც ვიზიტორების კლების დაბალანსების პოტენციალს შეიცავს. ამ მხრივ ერთადერთი შემაბრკოლებელი შესაძლოა სავიზო, ბინადრობაზე დაწესებული თუ სხვა შემზღუდავი რეგულაციები იყოს.

სამწუხაროდ, უძრავი ქონების ინდექსი და სხვა ინდიკატორები, რომლებიც უძრავი ქონების ბაზრის ტენდენციებს ასახავს, ქვეყანაში რეგულარულად არ იწარმოება. ბანკები არ ფლობენ ამ სეგმენტის დეტალურ სტატისტიკურ მონაცემებს და ეპიზოდურად უკვეთავენ სხვადასხვა კომპანიას ერთობლივი შეთანხმებით, უძრავი ქონების ბაზრის სეგმენტურ კვლევებს. ცხადია, ბაზრის მაჯისცემის შეგრძნება აუცილებელია სწრაფი და ეფექტური ბიზნესგადაწყვეტილებების მისაღებად, თუმცა ამას რეგულარული სახე უნდა ჰქონდეს და არა ერთჯერადი ან ეპიზოდური.

იმისთვის, რომ მოსალოდნელი დინამიკის უფრო ზუსტი განსაზღვრა შევძლოთ, საჭიროა გაითვალისწინოთ ძირითადი ინსტიტუციური ფაქტორები, რომლებიც უძრავი ქონების ფასებზე ახდენს გავლენას. ისევე, როგორც სხვა სექტორებში, განმსაზღვრელი მოთხოვნა-მიწოდებაა, რომელზეც, თავის მხრივ, ისეთი ფაქტორები მოქმედებს, როგორცაა დემოგრაფია და მისი ცვლილებები, მოსახლეობის შემოსავლების დინამიკა, კრედიტებზე ხელმისაწვდომობა, ეკონომიკური ზრდა, დეველოპერების დანახარჯები და მიწის ფასები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი “სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ”, 1997 წლის 30 მაისი.
2. თ. ბურდული, უფროსი მკვლევარი, ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე, ეკონომიკა და საბანკო საქმე, 2015.
3. საქართველოს უძრავი ქონებისა და ინვესტიციების მართვის კომპანიის კვლევა 2015.
4. თიბისი ბანკის, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტისა და JUMPSTART-ის ერთობლივი პროექტი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა. 2016.
5. „Colliers International Georgia“ კვლევითი ცენტრი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა. 2015.
6. <http://www.geostat.ge/>
7. <http://www.iset-pi.ge/index.php>
8. <https://www.nbg.gov.ge>
9. <https://napr.gov.ge>
10. www.tbcbank.ge

**INSTITUTIONAL REFORMS AND ECONOMIC IMPACT
ON THE REAL ESTATE MARKET PRICE DETERMINATION IN GEORGIA
Summary**

The financial, economic, political, cultural and demographic changes is permanently affect real estate market price in the country. Institutional-economic reforms are of particular interest to economists, as it is the outcome of the mentioned reforms all the other changes in the economic sense of the country.

The article deals with institutional and economic reforms implemented in Georgia in the 1990s. These reforms had a significant impact on the formation of real estate market price in different periods of time.

Determining the real estate price is a complex and dynamic process especially in terms of institutional reforms, economic transformation in Georgia. Gathering information for determination of real estate price is being acquired by the institutional sectors of the Georgian economy (non-financial corporations, financial corporations, non-profit organizations, state governments, households), purchasing and construction of buildings and capital or ongoing renovation regulations on the expenses incurred on land acquisition and its substantial improvement; As well as information on the value and volume of the facilities purchased by institutional sectors within a given period. Changes in these factors lead to a change in demand for real estate, which in turn determines the formation of real estate market price. The study also showed that the change in demand for immovable property also has a significant impact on the change in population revenues in different periods, especially for real estate prices in Tbilisi. It should be noted that the cost of the commercial area in the capital is about 2 times (in some areas) exceeds the living space and even more land market prices. In the case of Tbilisi, the change of demographic factor should be taken into consideration over time.

The change in economic indicators during the reforms is hard and predictable. However, it is noteworthy that almost all institutional and economic reforms have been reflected in the overall level of public well-being. Finally, the market value of real estate in Georgia was almost uninterrupted (with regard to the August war), with a steady growth trend. Nevertheless, Georgia's real estate market price is significantly lower than in the neighboring countries. It is noteworthy that regular research in this direction would allow the country to identify the relevant economic orientation and strategy.

სალომე დავითიშვილიანი

**საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის
უწყებულების მიერ და მკვლევარების მიერ**

შესავალი

ტრანსპორტი საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, სატრანსპორტო მომსახურების აუცილებლობით ეკონომიკისათვის საერთოდ და, მეორე მხრივ, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობით, რაც სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის უპირატესობას ქმნის ტვირთთა გადაზიდვისათვის აზერბაიჯანის და სომხეთის, ნაწილობრივ, შუა აზიის ქვეყნებისთვისაც.

ტვირთების გადაზიდვის მოცულობა საქართველოში დინამიურად იზრდება, მხოლოდ სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის მოცულობამ 2016 წ. შეადგინა 42 318.9 ათასი ტონა და დაახლოებით ამდენივე მილსადენი ტრანსპორტით ტვირთების გატარებამ [1]. ამასთან, პოტენციური გაცილებით მაღალია, რის სრულყოფილად ამოქმედებასაც რიგი მიკრო და მაკროეკონომიკური სრულყოფილად ამოქმედება განაპირობებს.

* * *

მსოფლიოს ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვან სფეროს, ტრადიციულად, მომსახურების სფერო წარმოადგენს. ამიტომაცაა, ბოლო წლებში მომსახურების წილი ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში იზრდება (ცხვ. 1). როგორც მონაცემებიდან ჩანს, მომსახურების წილი საშუალოდ 81%-ზე მეტს შეადგენს.

ცხრილი 1

**განვითარებული ქვეყნების მომსახურების სფეროს
დინამიკა მთლიან შიდა პროდუქტში [2]**

	1970	1980	1990	2000	2010	2013	2014	2016
გერმანია	48%	57%	61%	68%	71%	78%	80%	81%
იტალია	52%	56%	65%	69%	73%	75%	77%	79%
იაპონია	51%	58%	60%	67%	71%	79%	81%	80%
დიდი ბრიტანეთი	55%	57%	64%	72%	78%	82%	83%	84%
აშშ	61%	64%	70%	75%	79%	84%	85%	85%

საშუალოდ განვითარებული ქვეყნები, %	53%	57%	62%	68%	71%	80%	81%	81,8%
------------------------------------	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-------

მაღალკონკურენტუნარიანი და ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის მომსახურების სფეროს დაბალანსებული განვითარება ამ სფეროს სეგმენტზე, წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის განვითარების აუცილებელ ფაქტორს. თუ რა განაპირობებს მომსახურების სფეროს განვითარებას მსოფლიოს ქვეყნების სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში გამოყოფენ შემდეგ ფაქტორებს:

- სახელმწიფოს პოლიტიკა და სახელმწიფო რეგულირება;
- სამეწარმეო სფეროს ტრადიციები;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება;
- ინტერნაციონალიზაცია და სხვ.

“მომსახურება მოიცავს არაწარმოებით იმ დარგებს, რომლებიც ემსახურებიან უშუალოდ მოსახლეობის მატერიალურ, სულიერ და ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მომსახურების სფერო, როგორც ფართო გაგებით, ისე ვიწრო გაგებით არ ემთხვევა არაწარმოებით სფეროს”, აღნიშნავს პროფ. რ. ასათიანი.

ფრანგმა ეკონომისტმა ჟ.ბ. სეიმ მოგვცა “მომსახურების” ფართო ლექსიკონური განმარტება. “მომსახურებას” იგი განსაზღვრავდა როგორც გაცვლას, რომელიც ხდება არა მხოლოდ ადამიანებს შორის, არამედ ადამიანებსა და გარემოს შორის. ხოლო ამერიკელმა მარკეტოლოგმა ფ. კოტლერმა, მარკეტინგის კუთხით, მომსახურებას უწოდა ნებისმიერი დონისძიება ანუ სარგებელი, რომელსაც ერთი მხარე აწვდის მეორეს, ამასთან იგი უწინარია, შეუძლებელია მისი შენახვა და წარმოებისაგან განუყოფელია.

მომსახურებისათვის, როგორც ეკონომიკური საქმიანობა, დამახასიათებელია განსაკუთრებული თვისებები და სახეობები. მის კლასიფიკაციას იძლევა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (BTO), სადაც 183-ზე მეტი სხვადასხვა სახის მომსახურება გაერთიანებულია სექტორებად, რომელთა შორის ერთ-ერთია სატრანსპორტო მომსახურება, რომელსაც ეკონომიკის უადრესად მნიშვნელოვან საკვანძო სეგმენტს მიაკუთვნებენ. ტერმინი “სატრანსპორტო” ლათინურია და “transporto” – „გადაამაქეს“ გულისხმობს. უწინარესად იგი წარმოადგენს:

- ეკონომიკის დარგს, რომელიც მომსახურებას ახდენს სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებებით;
- ეკონომიკის დარგი, რომელიც სახალხო მეურნეობის ინფრასტრუქტურას აყალიბებს;
- რთული დარგთაშორისი სისტემა და საწარმოო ძალების ტერიტორიულ ორგანიზაციაში საკვანძო ადგილი უკავია;
- სახელმწიფოს ერთ-ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფეროა;
- წარმოებასა და წარმოებული პროდუქციის მოხმარებას შორის ურთიერთობის უწყვეტი შესრულების ტერიტორიული საშუალებაა;
- საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საშუალებაა და მისი ამდლების კატალიზატორი.

ეკონომიკურ საქმიანობაში ტრანსპორტი, ერთი მხრივ, გამოდის როგორც ბაზრის ინფრასტრუქტურული ელემენტები, როდესაც მოსახლეობას უწევს მომსახურებას, ხოლო მეორე მხრივ, სატრანსპორტო სფერო როგორც საბაზრო ურთიერთობის ელემენტი – გადაადგილებს ნებისმიერ საგანს, ნივთს, ცოცხალ ობიექტს და სხვ. ამდენად, სატრანსპორტო მომსახურება გვევლინება სატრანსპორტო მომსახურების ბაზრად, თავის მხრივ, იგი მოითხოვს შესაბამის ფინანსებს, ინფორმაციას, უფლებებსა და რესურსულ უზრუნველყოფას. სატრანსპორტო მომსახურება, თავისი სპეციფიკური თვისებებიდან გამომდინარე, ქმნის არანივთიერ პროდუქტს. ამასთან, არ ხდება ამ პროდუქტის დაგროვება და დასაწყობება, რთული დასასტანდარტებელია, ხოლო ხარისხის ფიქსაცია შეუძლებელი და ნაკლებად დასამტკიცებელი. სატრანსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის არ არის საჭირო საწარმოო ნედლეული, რაც განასხვავებს სხვა სფეროს მომსახურების თვითღირებულების სტრუქტურისაგან. გარდა ამისა, მიწოდების შესაძლებლობა დროსა და სივრცეში ნივთებისათვის რთულია.

სატრანსპორტო მომსახურების ბაზრის ძირითადი ნიშნები, როგორც სპეციფიკური ეკონომიკური სისტემისა, შემდეგია:

1. სატრანსპორტო მომსახურების ბაზრის შემადგენლობაში შედის: მწარმოებლები, კლიენტები, მიმწოდებლები, შუამავლები, სახელმწიფო, როგორც მოცემული ბაზრის მარეგულირებელი სუბიექტი და სხვ;
2. სატრანსპორტო სისტემის ბაზრის კომპონენტებისათვის დამახასიათებელია ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, ამასთან, ისინი იმყოფებიან მუდმივ დინამიკაში. მათ შორის ძირითადი კავშირები არსებობს: ა) მატერიალურ რესურსებსა და მიწოდებას შორის; ბ)

საფინანსო, როცა ხორციელდება ფულადი რესურსებით ოპერაციები; გ) ინფორმაციული (ინფორმაციის მიწოდება სატრანსპორტო კვანძებს შორის);

3. სატრანსპორტო სისტემის ბაზრის ძირითადი თვისებებია: პირდაპირი და უკუკავშირების სტაბილურობა, ადაპტაცია, თვითორგანიზაცია, არასტაციონალურობა და იერარქიულობა.

როგორც ნებისმიერი ბაზარი, ასევე სამგზავრო სატრანსპორტო სისტემის ბაზარიც ყალიბდება და ვითარდება სხვადასხვა მაკროფაქტორების გავლენით, მათ შორისაა: პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, ეკოლოგიური, ბუნებრივ-გეოგრაფიული, ტერიტორიული, ბუნებრივ-კლიმატური, ტექნოლოგიური.

სატრანსპორტო მომსახურების პროცესი წარმოადგენს ერთ-ერთ ეკონომიკურ საქმიანობასა და რთულ სტრუქტურას. სატრანსპორტო ტექნიკა და ტექნოლოგიური საშუალებები ურთიერთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ასეთი კავშირები ერთი მხრივ, იძლევა სატრანსპორტო სისტემაში მართვის განხორციელებას – საწარმოო სიმძლავრეების ოპერატიული მანევრირებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ სისტემაში კონკურენცია მაღალია, ყოველთვის არსებობს ჭარბი სიმძლავრეები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ტრანსპორტის ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირება.

ტრანსპორტის სისტემის სივრცობრივი სპეციფიკა, რომელიც მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ დამოკიდებულია ბუნებრივ-კლიმატურ, გეოგრაფიულ, ტერიტორიულ ფაქტორებზე. სატრანსპორტო სისტემის ბაზრის განვითარებაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური და სამართლებრივი ფაქტორები, მაგრამ ისინი ვერ ზემოქმედებენ ბუნებრივ-გეოგრაფიულ და ბუნებრივ-კლიმატურ ფაქტორებზე.

სატრანსპორტო სისტემის საკვანძო ეკონომიკური ფაქტორებიდან გამოიყოფა: ა) მოსახლეობის შემოსავლები; ბ) საგადასახადო და ფისკალური პოლიტიკა; გ) სახელმწიფოს და კერძო ფირმების საინვესტიციო აქტივობა ინფრასტრუქტურაში; დ) ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის არსებობა სატრანსპორტო სისტემაში; ე) საცხებ-საწვავის ბაზრის მდგომარეობა და ფასწარმოქმნა; ვ) მომსახურების შრომის ღირებულება; ზ) კონკურენციის დონე და სხვ.

სამგზავრო სატრანსპორტო სისტემა მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამებთან, აგრეთვე ტექნოლოგიურ ინოვაციებზე, როგორცაა: პროგრამული კონტროლი, ტექნიკისა და სიმძლავრეების ოპტიმალური განაწილება, კომფორტული სამგზავრო ტრანსპორტი და სხვ.

ზემოთ აღნიშნული მაკრო გარემო ფაქტორები თავის მხრივ, გავლენას ახდენს საერთო სატრანსპორტო სისტემის მიკროგარემოზე. მიკროგარემოს ფაქტორებია: სამგზავრო სატრანსპორტო მიწოდება; სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების ბაზარზე კონკურენცია; მოსახლეობის კერძო ტრანსპორტი; მომხმარებლები (ფიზიკური და იურიდიული პირები); ძირითადი ინფრასტრუქტურა (საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, სალიზინგო კომპანიები, სადაზღვევო კომპანიები, აუტსაიდერი კომპანიები, სარეკლამო და მარკეტინგული კომპანიები); ინსტიტუტები (მომსახურების ბაზრის ოპერატორთა გაერთიანებები, მგზავრთა გადაყვანის არასახელმწიფო ორგანოები, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანოები; საფინანსო ინსტიტუტები და სხვ.); სახელმწიფო ორგანოები (სატრანსპორტო მომსახურების მარეგულირებელი სტრუქტურები, საგადასახადო ორგანოები, ფასწარმოქმნის რეგულირების ორგანოები, სხვა სახელმწიფო სტრუქტურები).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა ფაქტორი გავლენას ახდენს სატრანსპორტო ბაზრის ორ საკვანძო მხარეზე როგორც მოთხოვნაზე, ისე მიწოდებაზე და შედეგად, ერთიან სატრანსპორტო სისტემის მთელ სახალხო მურნეობრივ ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, რომელთა განსაზღვრა ხდება ეფექტიანის სხვადასხვა კრიტერიუმებით როგორც სამგზავრო გადაყვანების, ისე ტვირთების გადაადგილების დროს. შესაბამისად, სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას.

დასკვნა

საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის სრულად ამოქმედებისათვის საჭიროა ისეთი მაკროეკონომიკური ფაქტორების გაუმჯობესება, როგორებიცაა საბაზრო ინფრასტრუქტურა, ფულად-საკრედიტო სისტემა და პოლიტიკა, საგადასახადო გარემო და სამეურნეო კანონმდებლობის სამართლიანობა და ოპერატიულობა, ხოლო მიკროეკონომიკური ფაქტორებიდან მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომების და ინფორმაციის ავტომატური, მექანიზებული დამუშავების დანერგვა, პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის სრულყოფა, მოწინავე და ეკონომიური სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებას. საქართველო საზღვაო ქვეყანაა, თუმცა იმ გამონაკლისი ქვეყნების რიცხვშია, რომელსაც საზღვაო ფლოტი არ გააჩნია და საზღვაო ტრანსპორტი მხოლოდ საზღვაო პორტებით შემოიფარგლება. ფლოტის ჩამოყალიბებაში აუცილებელია სახელმწიფოს ჩართვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2017. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2017. გვ. 195.

2. შედგენილია: IMF/International Monetary Fund [URL]. – <http://www.imf.org/en/data> 29.11.2016.
3. Васильева О.Е. Эффективность сервисного обслуживания продукции. М.: Экономика, 2007. с. 16.
4. Балаева О., Предводителева М. Сфера услуг в мировой экономике. тенденции развития // Мировая экономика и международные отношения. 2007. № 3.

Salome Davituliani

MICRO AND MACRO FACTORS OF THE EFFICIENCY OF THE UNIFIED TRANSPORT SYSTEM OF GEORGIA

Summary

Transport is an important part of the economy of Georgia that is stipulated due to the necessity of transportation service for the economics in general on the one hand and the geopolitical location of the country on the other hand that takes the advantage in transit transportation for Azerbaijan and Armenia traffic, partly in Central Asia.

The service sector is traditionally an important area of the national economy of any developed country. That's why in recent years the share of services in the GDP growth is increasing.

The development of the service sector, including transportation services, is shared by the following factors in the structure of the world countries national economy:

- _ State policy and state regulation;
- _ Traditions of entrepreneurial sphere;
- _ Information technologies development;
- _ Internationalization, etc.

For full enactment of the Georgia transport potential is the necessary improvement in such macro-economic factors, as market infrastructure, monetary system and policy, tax environment and economy legislation validity and operationability, while implementation from microeconomic factors due modern management approaches and information about automation, mechanized processing, professional and qualification improvement, application of advanced and efficient means of transport.

Special attention should be paid to the use of marine transport. Georgia is a maritime country, but it is in the number of exceptional countries that do not have a naval fleet and maritime transport is limited to marine ports. In the formation of the fleet it is necessary to involve the state.

თამარ დოლიძე

ინოვაციური ეკონომიკის ძირითადი საკითხების თეორიული განხილვა

ანოტაცია. ინოვაციური ეკონომიკა არის საზოგადოების ეკონომიკური ქცევის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ექვემდებარება დროსა და სივრცეში ცვალებადობას. განვიხილავთ ინოვაციურ ეკონომიკას ცივილიზაციურ მოდელებთან კავშირ-ურთიერთობაში. განვსაზღვრავთ ინოვაციური ეკონომიკის ცნების არსს და მის სემანტიკურ ასპექტს;

განვიხილავთ ი. შუმპეტერისა და ნ. კონდრატევის ეკონომიკურ თეორიებს ინოვაციურ ეკონომიკასთან კავშირში; გაავანალიზებთ ნდობის ფაქტორზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ ფორმებს და მოვახდენთ მაღალი საზოგადოებრივი ნდობის ფორმის იდენტიფიცირებას და განვსაზღვრავთ მაღალი ნდობის საზოგადოებრივ ფორმაში ინოვაციური ეკონომიკის ეფექტურ განვითარებას; ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, გაანალიზებული იქნება ინოვაციური ეკონომიკის ინვესტირების საკითხი.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ეკონომიკა; პოსტინდუსტრიული საზოგადოება; პოსტ-კაპიტალიზმი; ნდობა; ფორმაციული მოდელი.

შესავალი

ინოვაციური ეკონომიკა მომავლის ეკონომიკაა, რომელიც განპირობებულია საზოგადოების ევოლუციური განვითარების შედეგად. ვინაიდან ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტი მოთხოვნა-მიწოდების კანონია და საზოგადოება თავისი ბუნებით მუდმივად მიდრეკილია სიახლეებისადმი, ამდენად, ინოვაციური ეკონომიკა ამ კანონზომიერების შედეგია. საინტერესოა, ეკონომიკურ მეცნიერებაში თუ არსებობს მეცნიერთა შორის შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, თუ რა და რა დადგენილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მივიჩნით ინოვაციურ პროდუქტად? რამდენად არის ძველი (უკვე ბაზარზე არსებული) საქონლისა თუ მომსახურების ცოტათი, საშუალოდ, სრულად გაუმჯობესება ინოვაცია? რამდენად არის შესაძლებელი, არსებულის გაუმჯობესება მივიჩნით ინოვაციად? თუ ინოვაცია არის სრულიად ახალი საქონელი და მომსახურება?

ვინაიდან უამრავი კითხვა და საკითხი არსებობს, რომელიც მეცნიერ-ეკონომისტთა საზოგადოებაში უწყვეტი განხილვის ფაზაშია, ამდენად, ინოვაციური ეკონომიკა არის აქტუალური საკითხი. ინოვაციური ეკონომიკის აქტუალობას ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს, მაგრამ უმთავრესია

ის, რომ სწორედ ინოვაციურ ეკონომიკას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მომავალი საზოგადოების პოსტკაპიტალისტურ საზოგადოებად ფორმირებაში.

ინოვაციური ეკონომიკა თავისი არსითა და დანიშნულებით არის მეტად აქტუალური საკითხი, რადგანაც ყველაზე მეტად პასუხობს საზოგადოების მუდმივად მზარდ სიახლეებზე ორიენტირებულ მოთხოვნილებებს.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები რეალურად იმყოფებიან დეინდუსტრიალიზაციისა და რეინდუსტრიალიზაციის ფაზაში. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან მცირე რაოდენობის ქვეყნები იმყოფება რეინდუსტრიალიზაციის ფაზაში. აქედან გამომდინარე, ინოვაციური ეკონომიკის აქტუალობა სწორედ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის იქნეს უდიდეს მნიშვნელობას.

ინოვაციური ეკონომიკის უძირითადესი რესურსი არის მეცნიერება და მეცნიერებატევადი დარგები. ამ უძირითადესი კრიტერიუმების მიხედვით ძალზე სავალალო მდგომარეობაა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. ამდენად, ინოვაციური ეკონომიკა აქტუალურია ამ მიმართებითაც, რადგანაც საკითხი შეეხება ინოვაციური ეკონომიკისთვის ისეთივე საჭირო წიაღისეულ საბადოებს, როგორცაა მრეწველობისთვის ქვანახშირის, მანგანუმის, ნავთობისა და გაზის საბადოები, იმავე მნიშვნელობისაა ინოვაციური ეკონომიკისთვის მეცნიერება და, მით უფრო მეცნიერებატევადი დარგების განვითარების ადეკვატური დონე. რადგანაც განვითარებადმა ქვეყნებმაც შეძლონ ღირსეულად ჩართვა მსოფლიო სამეურნეო სისტემაში. აქ კი გადაამწყვეტი რესურსია სამეცნიერო ტექნიკურ-საკონსტრუქტორო დამუშავებები და გამოგონებები.

* * *

ინოვაციური ეკონომიკა წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობის ტიპს, რომელიც დღეს ასეთი ფორმით არსებობს და მომავალში აუცილებლად შეიცვლება ეკონომიკური საქმიანობის სხვა ფორმით. თუ გავანალიზებთ ვიკოს, ტიურგოს, კონდორსეს, სენ-სიმონის, ჰერდერის, ჰეგელის მოსაზრებებს, სტადიურ-ფორმაციულ მიდგომასთან მივალთ, რომელსაც ორი განშტოება აქვს – ფორმაციული (მარქსი და ენგელსი) და ლიბერალურ-მოდერნიზაციული.

ცივილიზაციის განვითარების ფორმაციული მოდელი ითვალისწინებს პირველყოფილი საზოგადოებიდან კომუნისტური საზოგადოებისკენ განვითარებას მარქსის ვარიანტით, ხოლო როსტოუ, ბელი, ტოფლერის მიხედვით, პირველყოფილი საზოგადოებიდან პოსტინდუსტრიული საზოგადოებისკენ. ისტორიული განვითარების სხვა კონცეფციებიდან საინტერესოა დანილევსკი, შპენგლერი, ტონინი, კრებერი, კვიკლი, ბეგბი, კულბორნი, აიხენშტადტის ცივილიზაციური მოდელები. მეცნიერთა შეხედულებით, ისტორიული ცვლილებების სივრცე ერთიანი კი არ არის, არამედ ურთიერთისაგან იზოლირებულ ნაწილებად – ცივილიზაციებად არის დაშლილი. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ნაწილი, პრინციპში, ერთნაირად არის მოწყობილი და მათ ციკლური სტრუქტურა აქვთ: ჩასახვა-ზრდა-აყვავება-გაბზარვა-დაშლა. ტონინის თანახმად, ცივილიზაციები იბადებიან, იფურჩქნებიან, ბერდებიან და კვდებიან, მათი ნაშთები კი ახლად წარმოქმნილი და განვითარებადი ცივილიზაციების საზრდო ხდება [ჩოგოვაძე გ., 2003:25].

საგულისხმოა ტონინის კონცეფციიდან ორი უძირითადესი კითხვა: 1) რა აიძულებს ცივილიზაციას სტადიიდან სტადიისაკენ სვლას? 2) რა არის ცივილიზაციის განვითარების თავისებური მამოძრავებელი?

ტონინიმ ვერ შეძლო ამ კითხვებისთვის მკაფიო პასუხი გაეცა. მხოლოდ არსებობს სამეცნიერო წრეებში გაზიარებული ვარაუდი, რომ ასეთი მამოძრავებელი პირველ რიგში ინფორმაცია და ინფორმაციული მიმოცვლაა. მეტად საგულისხმო ვარაუდია, რადგანაც ფაქტია, რომ დღეს კაცობრიობის განვითარებული ნაწილი იმყოფება სწორედ ინოვაციური ეკონომიკის სტადიაზე. ვინაიდან ადამიანი იმყოფება მუდმივცვალებადი სამყაროს ცენტრში, მინიმუმ, ადამიანს უნდა შეეძლოს ცვალებადი ეკონომიკური სიტუაციის პირობებში სწრაფი ადაპტირების უნარი და ეს ყველაფერი შეუძლებელია ინოვაციური ეკონომიკის ძირითად საკითხებში სიღრმისეული გარკვევის გარეშე. სოციალურ მეცნიერებაში დროსა და სივრცეში სწრაფად იცვლება ცნებები, პრინციპები, თეორიები, მოდელები და ასე შემდეგ.

რასაკვირველია, ინოვაციის ცნების მნიშვნელობაც იცვლება. აღსანიშნავია, რომ ცნება ინოვაცია პირველად კულტუროლოგებმა გამოიყენეს XIX ს-ში. ი.შუმპეტერმა “ეკონომიკური განვითარების თეორიაში” 1912 წელს ინოვაცია განიხილა, როგორც მოგების გადიდების სამეწარმეო ხერხი. მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, ეკონომიკური ზრდის უძირითადესი განმსაზღვრელი ტექნოლოგიური ნოვაციებია. მეცნიერულად დასაბუთებულია ის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება, რომ ეკონომიკა ყოველთვის არ არის ტექნოლოგიური ნოვაციების მიმღები. ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, ეკონომიკა მისი განვითარების გარკვეულ პერიოდებში იღებს ტექნოლოგიურ ნოვაციებს და დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ ტექნოლოგიური ნოვაციები გამოიმუშავენ სოლიდურ დამატებულ ღირებულებას.

ნ. კონდრატევიჩმა იმ პერიოდებს, როცა ეკონომიკა კარგახსნილია ინოვაციებისთვის, ეკონომიკური კონიუნქტურის გრძელი ციკლები უწოდა, რაც ეკონომიკურ თეორიაში „კონდრატევიჩის გრძელი ტალღების (ან დიდი ციკლების)“ სახელით დამკვიდრდა. ეს საკითხი

მნიშვნელოვანია, რადგანაც მასზე დაყრდნობით ი. შუმპეტერმა შეიმუშავა გრძელი ტალღების ინოვაციური თეორია და ეკონომიკური ზრდის ზოგად ინოვაციურ თეორიაში მოაქცია. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სწორედ ი. შუმპეტერის აღნიშნული თეორია გახდა ეკონომიკური ზრდის თანამედროვე ევოლუციური თეორიის საფუძველი.

ი. შუმპეტერი ზემოთ აღნიშნულ თეორიაში ამტკიცებდა, რომ ინოვაციები აჩენს საქმიანი აქტივობის გრძელ ციკლებს. შუმპეტერი ავითარებდა მოსაზრებას იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნება ეკონომიკაში ინოვაციების დანერგვის პერიოდში ე.წ. „აღმშენებლობითი ნგრევა“, რომელიც ბაზრიდან განდევნის მოძველებულ ტექნოლოგიებს და მენეჯმენტის ძველ სტრუქტურებს, მათ აღვივებს ახალი, ტექნოლოგიურად აღჭურვილი დარგები იკაებენ, რაც იწვევს ეკონომიკურ ზრდას და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას.

ერთმნიშვნელოვნად, ინოვაციები ეკონომიკური განვითარების უაღტერნატივო საშუალებაა, რომელიც ეკონომიკის ეფექტიანობასა და შრომის ნაყოფიერებას ამაღლებს. უფრო მეტიც, პაულ ს. ადლერი სტატიაში წერს, რომ არსებობს ჰიპოთეზა იმის შესახებ, თუ კაპიტალიზმი ანგრევს ტრადიციულ ნდობას და ხელს უწყობს თანამედროვე ნდობის წარმოშობასა და განვითარებას, შესაძლოა ვივარაუდოთ ახალი ფორმის საზოგადოების წარმოშობა [Adler P, 2001: 228].

აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ მარქსის პარაფრაზირებით და გამდიდრებით შუმპეტერი წერს – „კაპიტალიზმი ქმნის აზროვნების კრიტიკულ ჩარჩოს, რომელიც მას შემდეგ, რაც დაანგრევს ასე მრავალი ინსტიტუტის მორალურ ავტორიტეტს, ბოლოს შემობრუნდება საკუთარი თავის წინააღმდეგ: ბურჟუა აღმოაჩენს, რომ რაციონალისტური მიდგომა არ ჩერდება მეფეების და მღვდლების დონეზე და უტევს კერძო საკუთრებას და ბურჟუას ღირებულებათა მთელ სისტემას. კაპიტალისტური პროცესი ანგრევს არა მარტო საკუთარ ინსტიტუტურ გარემოს, არამედ აგრეთვე წარმოშობს შესაძლებლობებს სხვა სისტემისთვის. ამ ყველაფრის შემდეგ დანგრევა არ უნდა იყოს მთლად სწორი სიტყვა. შესაძლოა ვისაუბროთ ტრანსფორმაციაზე. პროცესის გამოსავალი არ არის უბრალოდ რაღაცის მოხდენა; საგნები და სულები ტრანსფორმირდება ისე, რომ სულ უფრო მზარდად იქნება მიმართული ცხოვრების სოციალისტური ფორმებისკენ. ყოველი ქმედების კაპიტალისტური სტრუქტურა ანგრევს სოციალისტური გეგმის შეუძლებლობას [Schumpeter J., 1976(1942): 143, 162].


შუმპეტერის ნაშრომიდან კაპიტალიზმის, სოციალიზმისა და დემოკრატიის შესახებ ვრცელი ციტატის მოყვანა საჭიროდ იმიტომ მივიჩნით, რომ ეხება საზოგადოებრივი ფორმაციის ახალ ეტაპს – პოსტკაპიტალიზმის ფორმირებას, რაშიც ინოვაციურმა ეკონომიკამ გადამწყვეტი ამოცანები უნდა გადაჭრას.

ზემოთ აღნიშნული სტატიის ავტორი პაულ ს. ადლერი წერს, რომ შუმპეტერის თეზის ცოცხალია და მისი რევიზია აუცილებელია.

ი. შუმპეტერის ხედვით, დიდმა კორპორაციებმა განავითარეს ინოვაციების ინსტიტუციონალიზაცია და რეგულაციური შეჯიბრებითობის მნიშვნელობა. ტიპური შეჯიბრებითი კაპიტალისტური ფირმა, რომელსაც ფლობს და ხელმძღვანელობს მეწარმე, პროგრესულად ჩანაცვლდა დიდი ბიუროკრატიული ფირმის დისპერსიული მფლობელობით და პროფესიონალი მენეჯერებით. ბაზარი თანდათანობით შეიცვალა იერარქიით. კაპიტალიზმის საკუთარი განვითარება და კერძოდ მისი გადასვლა დიდ ბიუროკრატიულად ორგანიზებულ ფირმაზე, წარმოაჩენს კაპიტალიზმის დისფუნქციონებს სულ უფრო მეტად და ხდის ამით უსარგებლოს და აუტანელს. კაპიტალიზმის, როგორც საზოგადოების ფორმის ლეგიტიმურობა, დაფუძნებული პროდუქტიული რესურსების კერძო საკუთრებაზე, პროგრესულად ირყევა. უფრო მეტიც, იმავე პროცესის მიხედვით, კაპიტალისტის განვითარება “წარმოშობს შესაძლებლობებს სხვა” ინსტიტუციური ჩარჩოსთვის, რომელიც ანაცვლებს კერძო მფლობელობას საზოგადოებრივი მფლობელობით – სოციალიზმით [Adler P, 2001: 228-229].

საგულისხმოა განვიხილოთ სურათი 1 – საზოგადოებრივი ფორმების ტიპოლოგია, რომელიც დაფუძნებულია ნდობის ფაქტორზე.

საზოგადოებრივი ფორმების ტიპოლოგია



სურათი 171

წყარო: Market, Hierarchy, and Trust: The Knowledge Economy and the Future of Capitalism, Paul S. Adler, pp230.

სურათის მიხედვით, საზოგადოებრივი ფორმები უნდა განვიხილოთ ბაზრის მაღალი და დაბალი კრიტერიუმით და იერარქიის დაბალი და მაღალი კრიტერიუმით.

სურათის მიხედვით, დაბალი ნდობის საზოგადოებრივი ფორმებია ასოციალური ჯგუფი, შეჯიბრებითი კაპიტალიზმი, ფაშისტური კორპორატივიზმი, სახელმწიფო სოციალიზმი.

მაღალი ნდობის საზოგადოებრივი ფორმები არიან ინდუსტრიული რეგიონები, პრიმიტიული კომუნიზმი, საბაზრო სოციალიზმი და დემოკრატიული დაგეგმვა [Adler P,2001:230].

თანამედროვე სამყაროში ნდობის ფაქტორი იძენს უმნიშვნელოვანეს მნიშვნელობას. მაღალი ნდობის საზოგადოებრივი ფორმები, სადაც იქნება უფრო განვითარებული სხვა ფაქტორებთან ერთად, იქ უფრო ხელსაყრელი პირობები იქნება ინოვაციური ეკონომიკის განსავითარებლად. მაღალი ნდობის საზოგადოებრივი ფორმები სადაც იქნება უფრო განვითარებული სხვა ფაქტორებთან ერთად, იქ უფრო ხელსაყრელი პირობები იქნება ინოვაციური ეკონომიკის განსავითარებლად. მაღალი ნდობის საზოგადოებრივი ფორმებიდან ყველაზე დიდი ალბათობით ყველაზე კარგად ინოვაციური ეკონომიკა განვითარდება საბაზრო სოციალიზმში, შემდეგ ინდუსტრიულ რეგიონებში და დემოკრატიული დაგეგმვის საზოგადოებრივ ფორმაში. ზემოთ აღნიშნული ლოგიკური ანალიზის შედეგად ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ნიადაგი სკანდინავიის ქვეყნებს აქვს, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს.

ინოვაციური ეკონომიკის ფუნდამენტია მეცნიერება, განათლების დარგი, ფუნდამენტური და გამოყენებითი დარგების განვითარების დონე, სატელეკომუნიკაციო კომპანიები, კომპიუტერიზაციისა და ავტომატური მართვის საკითხები, პატენტები, გამოგონებები, აღმოჩენები, ნოუ-ჰაუ. ეს არის ის ბირთვი, რაზეც დგას ინოვაციური ეკონომიკა.

ამერიკულმა ორგანიზაციამ „რენდ ქორფორეიშენ“ 2016 წელს გამოაქვეყნა 150-ზე მეტი სახელმწიფოს სამეცნიერო პოტენციალის გამოკვლევის შედეგი. საქართველო რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან ერთად ჩამორჩენილი ქვეყნების კატეგორიაში მოექცა პანამასა და ბურკინა-ფასოს შორის. მაჩვენებლები, რომლითაც წარმოებდა შეფასება, ასეთი იყო: მეცნიერებაზე წლიური ხარჯები, გამოხატული მთლიანი შიგა პროდუქტის პროცენტით, მეცნიერთა რაოდენობა და სამეცნიერო ორგანიზაციათა რაოდენობა ერთ მილიონ მოსახლეზე გაანგარიშებით.

⁷¹ დაბალი ნდობის ფორმები მოთავსებულია დაბალ მარცხენა სამკუთხედებში. მაღალი ნდობის ფორმები – ზემო მარჯვენა სამკუთხედებში.

„რენდ ქორფორეიშენმა“ 2016 წელს გამოაქვეყნა ანგარიში ქვეყნების ინოვაციური პოტენციალის შესახებ. გამოკვლეულ იქნა ქვეყნების უნარი, 2020 წლისთვის ათვისონ 16 უმნიშვნელოვანესი (კრიტიკული) ტექნოლოგია სხვადასხვა სფეროში. საქართველო აღმოჩნდა უსუსტესი ქვეყნების ჯგუფში (კამერუნი, ჩადი), რომლებიც შეიძლება 16-დან არაუმეტეს ხუთის ათვისებას.

2016 წელს მეცნიერებასა და კვლევა-დამუშავებებზე მსოფლიო მასშტაბით გაწეული დანახარჯები ძირითადი ცენტრებისა და რეგიონების მიხედვით ასეთ სურათს ქმნიდა:

ცხრილი №1

ქვეყანა	მლრდ დოლარი	ხვედრითი წილი %
ამერიკა	437,1	38,2
აშშ	83,5	33,6
აზია	386,9	33,8
იაპონია	144,6	12,6
ჩინეთი	142,5	12,5
ინდოეთი	24,1	2,1
ევროპა	280,2	24,5
სხვა ქვეყნები	39,0	3,4
სულ	1143,2	-

წყარო: RDD Magazine.www.rdmag.com

მსოფლიოში სულ უფრო იზრდება ინოვაციური ქვეყნების რაოდენობა, სადაც მატულობს მეცნიერულ კვლევა-ძიებათა დაფინანსების მოცულობა. მეცნიერთა უდიდესი ნაწილის მოსაზრებით მეცნიერებატევადობა განვითარებულ ქვეყნებზე უფრო მეტად ჩინეთში, ინდოეთსა და რუსეთში გაფართოვდება, რაც XXI საუკუნის პირველ მეოთხედში მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი თავისებურება იქნება. ინოვაციური ეკონომიკისთვის პერსპექტიული დარგები იქნება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ენერგეტიკა, ეკოლოგია, ჯანდაცვა, ბიო და ნანოტექნოლოგიებისა და კოგნიტური მეცნიერების კონვერგენცია. აქეთკენაა მიმართული სახელმწიფო დაფინანსება, ტექნოლოგიური ალიანსების ზრდა, ვენჩერული კაპიტალის ნაკადები და სასწავლო კურსის შინაარსის შეცვლაც კი (А.Дынкин, Мировой кризис-импульс для развития инновации, Uptp.ru/content/Disp-Art.php?Num=1892).

ცხრილი №2

საინოვაციო საქმიანობის დაფინანსების დანახარჯები 2016წ.

რეგიონები	მშპ ტრლ დოლ	დაფინანსება ტრლნ დოლარი	დაფ. ხ.წ.მშპ-ს მიმართ, %
ევროზონის ქვეყნები	14,62	0,28	1,92
აშშ	14,22	0,38	2,67
ჩინეთი	8,46	0,14	1,65
იაპონია	4,31	0,15	3,14
ინდოეთი	3,50	0,024	0,69
დანარჩენი	26,32	0,166	0,63
მთელი მსოფლიო	71,43	1,14	1,59

წყარო :www.rdmag.com ; www.rian.ru

სამეცნიერო წრეებში განხილვის საკითხია ინოვაციური ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია – ინერციული ან ინოვაციური.

ინერციული სტრატეგია დაფუძნებულია ნეოლიბერალიზმისა და საბაზრო ფუნდამენტალიზმის იდეოლოგიას.

ინოვაციური სტრატეგია ემყარება ბიზნესს, საზოგადოებას, სახელმწიფოს ძალისხმევას კონცენტრაციას ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ათვისებაზე, მოძველებული საწარმოო აპარატის ინოვაციურად განახლებაზე, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაზე, ინოვაციური პროცესების გააქტიურებაზე. მეცნიერთა დიდი ჯგუფი უპირატესობას ინოვაციურ სტრატეგიას ანიჭებს, რადგანაც მხოლოდ ინოვაციური სტრატეგიის შედეგი შეიძლება იყოს შრომის ნაყოფიერების რამდენჯერმე ზრდა პოსტინდუსტრიულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, პირველადი (ბუნებრივი) რესურსების მოხმარების აბსოლუტური შემცირება და ბუნებაზე მავნე ზემოქმედების არსებითად შეკვეცა [Цветков В,2008:24–42].

ინფორმაციული ბაზრის განვითარება უძირითადესი ფაქტორია ინტელექტუალიზაციისათვის, რომელიც „ახალ ეკონომიკას“ უქმნის საფუძველს. თანამედროვე სახელმწიფოების სიძლიერეს განაპირობებს არა მანკეტენის ერთ კვ. მეტრზე ახალი ტექნოლოგიების კონცენტრაცია, არამედ ახალი ტექნოლოგიების ნამრავლი ეროვნულ ისტორიასა და კულტურაზე [Мальцев В, 2006:22–24].

საინტერესოა განვიხილოთ განვითარებული ქვეყნების განვლილი პერიოდი, რადგანაც ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის. XIX-ს II ნახევარში და XX-ს დასაწყისში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეკონომიკა განავითარა ევროპიდან შემოტანილი ტექნოლოგიებით. უახლოეს პერიოდში კი მსოფლიო ეკონომიკაში გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია ტექნოლოგიური უპირატესობისა და წარმოების პოტენციალის წყალობით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონია აშშ-ის გზას გაჰყვა და სწრაფი განვითარება უზრუნველყო დასავლური ტექნოლოგიების დანერგვით. იაპონიამ დასავლური ქვეყნების დონეს მიაღწია ისეთი მაგისტრალური ინოვაციების წარმატებით გამოყენების გამო, როგორცაა ფოლადი, ავტომობილები, ნავთობქიმია, საფეიქრო ნაწარმი, ელექტრომომწობილობა და მიკროელექტრონიკა. დარგობრივად ძალზე დატვირთული ინოვაციების ურთიერთქმედების სინერგეტიკული ეფექტის წყალობით განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა და კეთილდღეობა სულ უფრო მატულობდა. ბოლო 100 წელიწადში აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტი 30-ჯერ გაიზარდა, იაპონიისა 80-ჯერ. საყურადღებოა, რომ 1950-1960-იან წლებში იაპონიამ შეძლო აშშ-სგან 100-წლიანი ჩამორჩენის დაძლევა სწორედ ინოვაციურ-ტექნოლოგიური გარღვევის საფუძველზე. იგივე გზა განვლო სამხრეთ კორეამ 1970-2000 წლებში და ამ პერიოდში მისი საშუალო წლიური ზრდის ტემპი 10%-ზე მაღალი იყო. დაახლოებით ამდენივე იყო იაპონიის ეკონომიკური ზრდის ტემპები 1950-1970-იან წლებში. ყოველივე აქედან ცხადია, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში ნამდვილი ინოვაციურ-ტექნოლოგიური გარღვევა მხოლოდ ორნიშნა რიცხვებით გამოხატული ზრდის ტემპების პირობებშია შესაძლებელი [Халтурита Д., Коротаев А., 2009: 141–162].

საზოგადოების განვითარების დღევანდელ პოსტინდუსტრიულ ეტაპზე მთავარ სიმძივრედ ცოდნა ითვლება. უამრავი ტერმინი არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში საზოგადოების განვითარების ამჟამინდელი ეტაპის შესახებ: პოსტინდუსტრიული ეკონომიკა, ინოვაციური ეკონომიკა, ცოდნის ეკონომიკა, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა, ცოდნის საზოგადოება, ინტელექტუალური ეკონომიკა, მაღალ-ტექნოლოგიური ეკონომიკა, მაღალტექნოლოგიური ცივილიზაცია, ინფორმაციული ეკონომიკა, ინფორმაციული საზოგადოება, ელექტრონულ-ციფრული ეკონომიკა, ახალი ეკონომიკა, ინტერნეტ-ეკონომიკა, პროგრამირებული ეკონომიკა, საზოგადოების განვითარების ახალი ერა, ცოდნაზე დამყარებული ქსელური საზოგადოება, ქსელური წარმოების ეკონომიკა. ყველა ეს ტერმინი როგორც თვისებრივი, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, აკუმულირებულია ინოვაციურ ეკონომიკაში და შესაძლოა ამ ყოველივეს კრებისით გამოხატულებად მივიჩნიოთ ტერმინი ინოვაციური ეკონომიკა.

ინოვაციური ეკონომიკის ძირითადი საკითხებია:

- 1) ცოდნის ადგილი და როლი ინოვაციურ ეკონომიკაში;
- 2) საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების როლი ინოვაციურ ეკონომიკაში;
- 3) ინტერნეტ-ეკონომიკა;
- 4) მომსახურების სფეროს განვითარების ტენდენციები ინოვაციურ ეკონომიკაში;
- 5) მეცნიერება როგორც უშუალო მწარმოებლური ძალა და ინოვაციური ეკონომიკა;
- 6) ინოვაციური ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი ამადლების გზები;
- 7) წარმოების რენტაბელობის ნორმა და მოგების ნორმა ინოვაციურ ეკონომიკაში [ჩიქავა ლ., 2006: 11-12].

ინოვაცია – ეს არის ორი კომპონენტის – ტექნიკისა და ბიზნესის მჭიდრო ურთიერთკავშირის ნაყოფი. როცა რადიკალური ცვლილებები ტექნიკისა და ტექნოლოგიის დონეზე ხდება, შუამპერერი მას გამოგონებას უწოდებს, როცა ამ ცვლილებებში ბიზნესი ერთვება, საქმე გვაქვს ინოვაციასთან [ჩიქავა ლ., 2006: 12].

ვ. მედინსკი და ლ. სკამაი, ტ. ბრაიანის ნაშრომზე – „მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების მართვა“ (მოსკოვი, 1989) – დაყრდნობით აღნიშნავენ, რომ ინოვაციის ცნება, ეს არის პროცესი, რომელშიც ინტელექტუალური საქონელი – გამოგონება, ინფორმაცია, ნოუ-ჰაუ ან იდეა იძენს ეკონომიკურ შინაარსს [Медынский В, Скамай Л, 2002: 43].

ინოვაციური პროდუქტი უმეტესწილად ინტელექტუალური შრომის შედეგია. ინტელექტუალური პროდუქტებია: მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქცია – იდეები, ჰიპოთეზები, თეორიები, აღმოჩენები, გამოგონებები, ნოუ-ჰაუ, საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებები, პროექტები, უახლესი ტექნიკის საცდელი ნიმუშები, ახალი (ტრადიციულისაგან არსებითად განსხვავებული) ნაწარმი; ინფორმატიკული პროდუქცია – პროგრამული დამუშავებები, მრავალფეროვანი რადიო და ტელეპროგრამები [ჩიქავა ლ., 2006: 13].

ინოვაციური ეკონომიკისთვის დამახასიათებელია მომსახურების სექტორის გაზრდა, რისკიანობის მაღალი დონე და დადებითი შედეგების მიღების დიდი ალბათობა. სპეციალისტთა

გათვლებით, ინოვაციური კვლევის სახეობებისა და ხასიათიდან გამომდინარე, დადებითი შედეგების მიღების ალბათობა 5-დან 95%-მდე მერყეობს. ინოვაციურ დამუშავებათა მხოლოდ 10% აღწევს საბოლოო კონდიციამდე, დამუშავებათა 90% წარუმატებელია. აღნიშნული ფაქტორი მეტად ართულებს ინოვაციური პროექტების დაფინანსებას. მით უფრო, ინოვაციური ეკონომიკა ვენჩურული ანუ „სარისკო კაპიტალით“ ფინანსდება ძირითადად და უპირატესობა ეძლევა მეცნიერებატევადი დარგების დაფინანსებას.

ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ეპოქები ძირითადად მწარმოებლურ ძალთა განვითარების დონით განსხვავდება და არა ცოცხალი შრომის განვითარებულ შრომასთან შეერთების წესით. ინოვაციურ ეკონომიკაში კი მწარმოებლური ძალები მაღალგანვითარებული სახით არის წარმოდგენილი. მეცნიერ-ეკონომისტთა შორის არის ასეთი მოსაზრება, რომ ინოვაციური ეკონომიკა ფუნქციონირებს სულ სხვა ეკონომიკური კანონების ბაზაზე ვიდრე ტრადიციული ეკონომიკა. ინოვაციური ეკონომიკა ტრადიციული ეკონომიკის წიაღიდანაა აღმოცენებული, ამდენად, შეუძლებელია იმართებოდეს განსხვავებული ობიექტური ეკონომიკური კანონებით, თუმცა შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ამ კანონების მოქმედების თავისებურებებს.

მეცნიერ-ეკონომისტების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ინოვაციური ეკონომიკა მომავლის ეკონომიკაა. XXI საუკუნის დასაწყისში იგი მხოლოდ ფორმირების პროცესშია, რომლის კონტურები გამოიკვეთა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალიზაციის პირობებში ძალზე აქტუალური ხდება ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნა, რომლებიც ინოვაციურ პროდუქტებს შექმნიან ეროვნულ ფასეულობათა სისტემებზე, ეთნოკულტურულ თავისებურებებზე დაყრდნობით.

დასკვნა

ზემოთ განხილული საკითხების შედეგად შესაძლოა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

ინოვაციური ეკონომიკა არის სამეცნიერო ტერმინი.

ცივილიზაციის განვითარების ფორმაციული მოდელის კონტექსტში ინოვაციურ ეკონომიკას აქვს ციკლური სტრუქტურა.

ინოვაციური ეკონომიკის შესახებ არსებობს ი.შუმპეტერისა და ნ.კონდრატევის ეკონომიკური თეორიები.

ინოვაციური ეკონომიკის შესახებ არსებობს თეორიული ბაზა და შესაძლოა მისი დანერგვა ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ი.შუმპეტერისეული დოქტრინა კაპიტალიზმის შესახებ წარმოშობს ახალი ტიპის საზოგადოებრივ ფორმაციას პოსტკაპიტალიზმს, რომლის სამეურნეო სისტემაში უდიდესი ადგილი ინოვაციურ ეკონომიკას უჭირავს.

ნდობის ფაქტორზე დაფუძნებულ საზოგადოებრივი ფორმების ტიპოლოგიაში ყველაზე ეფექტურად განვითარდება ინოვაციური ეკონომიკა.

ინვესტირების თვალსაზრისით ინოვაციური ეკონომიკა განეკუთვნება მაღალრისკიან ბიზნესს.

გლობალიზაციის ეპოქაში ძალზე აქტუალურია ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქავა ლ., 2006. *ინოვაციური ეკონომიკა*. თბილისი, „სიახლე“.
2. ჩოგოვაძე გ., 2003. *ინფორმაცია*. თბილისი, „ნეოსტუდია“.
3. Adler P. S., 2001. Market, Hierarchy, and Trust: The Knowledge Economy and the Future of Capitalism. *Organization Science*, vol.12, Issue 215-234.
4. Schumpeter J., 1976 (1942). *Capitalism, Socialism and Democracy*. New York. "Harper".
5. Мальцев В.А., 2006. Парадокс усама Бен Ладена. *ВЭС*, №1. ст 22-24.
6. Медынский В.Г., Скамай Л.Г., 2002. *Инновационное предпринимательство*. М., ст 43.
7. Халтурита Д.А., Коротаев А.В., 2009. *Мониторинг глобальных и региональных рисков 2008/2009*. М.: УРСС, ст 141-162.
8. Цветков В.А. 2008. *Инновационная экономика как форма постиндустриального развития*. *Промышленная политика РФ*, №1, ст 24-42.

Tamar Dolidze

THEORETICAL GENERALIZATION OF MAIN PROBLEMS OF INNOVATIVE ECONOMY

Summary

The article discusses the following issues: the innovative economy as a scientific term; Definition of the concept of innovative economics and its semantic aspects; Innovative economy in the context of civilization development formal model; J. Schumpeter and N. Kondratiev's theories in connection with the innovative economy; J. Schumpeter's doctrinal opinions about the transformation of capitalism and the creation of a new type of postcapitalism; We have analyzed the types of social forms based on the trust factor and identified how the type of public form is possible to fully develop the innovative economy; the key issues and fields of innovative economics are distinguished based on

functional criteria; We analyzed the relevant international research organizations with the parameter of the positive economy; Two strategies for the development of innovative economics - inertial and innovative; In the historical context we analyzed the experience of developed countries in terms of formation of innovative economics; We discussed the issue of financing the innovative economy; The issue of necessity for the creation of national innovation systems in terms of globalization.

Based on the research we can make the following conclusions:

The innovative economy is a scientific term.

There is an explanation of the concept of innovative economics.

The innovative economy is based in its essence on a formal model of civilization development.

With the theories of J. Schumpeter and N. Kondratiev, we have ensured the theoretical generalization of the issue and the practical actions for economic policies.

The doctrinal opinions of Schumpeter in relation to the transformation of capitalism are highly relevant in western scientific circles and in developed countries there is a real prerequisite for that.

Trust in the modern world is the key factor. As a result of the research we have created high level of public confidence and we have defined efficient development of innovative economics in the model of market socialism.

As a result of the research we found that the actual data on the innovative economy is not perfect at all and accordingly the theoretical generalization is non-systematic.

შოთა ვაშაიძე

საწარმოო პერსონალი – კომპანიის უმნიშვნელოვანესი რესურსი

ანოტაცია. თანამედროვე აგრესიულ ბიზნესგარემოში, როდესაც ტექნოლოგიების განვითარების დონე კომპანიებს აძლევს იმის საშუალებას, რომ მოკლე ვადაში გაიმეორონ „გუშინდელი“ ინოვაცია, საიმედო კონკურენტული უპირატესობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანური ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ დღეს საწარმოო პერსონალის წარმატებულ მართვაზე დამოკიდებული ნებისმიერი ორგანიზაციის მწარმოებლურობის ამაღლება და განვითარება.

ადამიანური რესურსის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე აქცენტის გადატანას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ეკონომიკური სისტემის ყველა რესურსის საერთო თავისებურებების (შეზღუდული რაოდენობით არსებობა, ცვეთა და განახლების აუცილებლობა) ფონზე ადამიანური რესურსები გამოირჩევა მთელი რიგი მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებებითაც, რითაც ფაქტობრივად გამოიხატება მისი განსაკუთრებული ადგილი და როლი ეკონომიკურ სისტემაში. მანქანებისა და ნედლეულისაგან განსხვავებით, ადამიანი არის პიროვნება, რომელსაც ინტელექტი და ემოცია ახასიათებთ. ამ სახის რესურსის პროდუქტიულობას საზღვარი არ აქვს, ამიტომ სწორედ მასშია ყველაზე დიდი რეზერვი ორგანიზაციის მწარმოებლურობის ამაღლებისა და მისი კონკურენტუნარიანობის მიღწევისათვის.

შეიძლება ითქვას ისიც, რომ წარსულში რჩება ტექნოკრატიული მიდგომის უპირატესობა, დაფუძნებული რობოტიზაციაზე, კომპიუტერიზაციაზე, კიბერნეტიკასა და მათემატიკურ პროგრამირებაზე, სადაც ადამიანის ინტელექტის ჩანაცვლების მრავალი მცდელობა იყო. დღეს ორგანიზაციის მაღალი მწარმოებლურობის მისაღწევად აუცილებელია ტექნოკრატიული და ჰუმანიტარული (ადამიანური) მიდგომების დაბალანსება.

საწარმოო პერსონალის მართვისას ყველას და განსაკუთრებით კი მენეჯერებს უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანების მართვა შეუძლებელია განხორციელდეს სტანდარტული მეთოდებით, რომ ესა თუ ის საქმე “მხოლოდ ასე უნდა გაკეთდეს”. შესაბამისად, არ შეიძლება არსებობდეს “სტანდარტული ადამიანი”, სწორედ ამიტომ ადამიანთა მართვა ხელოვნებაა, რომელიც არა მხოლოდ მათ ფუნქციურ ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს, არამედ მათ გრძნობებს, განწყობას, სულიერებას და სხვა პიროვნულ მახასიათებლებსაც უკავშირდება. ეს თავისებურებები აუცილებელია სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული პერსონალის მართვის სტრატეგიის შემუშავებისას და გამოყენებულ იქნეს მისი რეალიზების პროცესში.

შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანური რესურსების მართვა ნებისმიერი ორგანიზაციის სტრატეგიული ფუნქციაა, ანუ როცა ადამიანურ კაპიტალსა და ადამიანური რესურსების სტრატეგიულ მართვაზე საუბარი, მთელი პრინციპულობით უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში ინვესტიციების შეზღუდვა, ადამიანის ფაქტორის იგნორირება, პერსონალის არასათანადო მოტივაცია და სოციალური დაუცველობა ბუმერანგივით უბრუნდება ორგანიზაციის წინსვლასა და განვითარებას.

შესავალი

თანამედროვე აგრესიულ ბიზნესგარემოში, როდესაც ტექნოლოგიების განვითარების დონე კომპანიებს აძლევს საშუალებას, რომ მოკლე ვადაში გაიმეორონ „გუშინდელი“ ინოვაცია, საიმედო კონკურენტული უპირატესობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანური ფაქტორის ეფექტიანი

გამოყენების საფუძველზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სადღეისოდ, საწარმოო პერსონალის წარმატებულ მართვაზე დამოკიდებული ნებისმიერი ორგანიზაციის მწარმოებლურობის ამაღლება და განვითარება. თუ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საწარმოო რესურსების ოთხეულში (მატერიალური, ფინანსური, ადამიანური და ინფორმაციული) ორგანიზაციის სამეწარმეო გარემოს, მისი განვითარების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად იცვლებოდა თითოეული მათგანის სტრატეგიული მნიშვნელობა, ახლა უკვე, ორგანიზაციის წარმატების ძირითად წყაროდ სწორედ ადამიანური რესურსებია მიჩნეული.

* * *

დღეს მენეჯმენტის პრაქტიკულად ყველა სპეციალისტი აღიარებს, რომ XXI საუკუნეში წარმატებას ძირითად განაპირობებს ორგანიზაციაში არსებული სამუშაო ატმოსფერო, ადამიანური ურთიერთობები, გუნდურობა, მენეჯერის ლიდერობა და ა.შ. აღნიშნულ პრობლემებს მიეძღვნა, ზუსტად 10 წლის წინ (2008), კალიფორნიაში ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელსაც მსოფლიოს ყველა ცნობილი მენეჯმენტის თეორეტიკოსი ესწრებოდა. კონფერენციის მისასალმებელ სიტყვაში გ. ჰემელმა აღნიშნა – „თანამედროვე მენეჯმენტის მოდელი წარმოადგენს ერთიან ინტეგრირებულ მიდგომას მართვისადმი, იგი არ შეიძლება მარტივად, მექანიკურად დაგანაწევროთ შემადგენელ ელემენტებად და რომ მართვისადმი ახლებური მიდგომები მოითხოვს ადამიანურ შესაძლებლობათა რადიკალურ მობილიზაციას“ [ეჯიბაძე ო. 2015].

კონკურენტული უპირატესობის მიღწევაში საწარმოო პერსონალის განსაკუთრებული მნიშვნელობის დასტურად მინდა აღვნიშნო ისიც, რომ მიუხედავად თანამედროვე, არნახული ტექნიკური პროგრესისა, რამაც მეტ-ნაკლებად მთელი მსოფლიო მოიცვა, ადამიანი იყო, არის და ყოველთვის იქნება ამ პროგრესის მთავარი წამომწყები, განმახორციელებელი, განმავითარებელი და მასთან ერთად – შეუცვლელი ფაქტორი. უფრო მეტიც, თანამედროვე საწარმოო, პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა ნებისმიერ პროცესებში ადამიანის ფაქტორის, მის მოქმედებათა სამელობის როლი განუზომლად გაიზარდა. მაგ., თუ წარმოვიდგენთ „ამქრული წარმოების“ პერიოდს, რომელიც ცალკეულ პიროვნებათა მიერ დამზადებული, პერსონალიზებული პროდუქციით გამოირჩეოდა, ჩაქუჩის არასწორი გამოყენების შედეგი შეიძლება ყოფილიყო უხარისხო პროდუქცია ან ჩაღურჯებული თითი. ახლა კი წარმოვიდგინოთ, რა შეიძლება მოჰყვეს თანამედროვე ადამიანის შეცდომას, როცა ის ატომურ რეაქტორს, ხალხით სავსე გემს, ავიალაინერს, დამღუპველი რადიაციისა თუ ვირუსების გავრცელების შემზღუდველ პროცესებს მართავს და ა. შ.

ადამიანური რესურსის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე აქცენტის გადატანას განაპირობებს ის გარემოებაც რომ, როგორც ცნობილია, ეკონომიკური სისტემის ყველა რესურსის საერთო თავისებურებებთან (შეზღუდული რაოდენობით არსებობა, ცვეთა და განახლების აუცილებლობა) ერთად, ადამიანური რესურსები გამოირჩევა მთელი რიგი მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებებით, რითაც ფაქტობრივად გამოიხატება მისი განსაკუთრებული ადგილი და როლი ეკონომიკურ სისტემაში. მანქანებისა და ნედლეულისაგან განსხვავებით, ადამიანი არის პიროვნება, რომელსაც ინტელექტი და ემოცია ახასიათებს. ამ სახის რესურსის პროდუქტიულობას საზღვარი არ აქვს, ამიტომ სწორედ მასშია ყველაზე დიდი რეზერვი ორგანიზაციის მწარმოებლურობის ამაღლებისა და მისი კონკურენტუნარიანობის მიღწევისათვის. უფრო მეტიც, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლეების დანერგვას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაქვს სასურველი შედეგი, თუ არსებული სიახლე ინტეგრირებული და კოორდინირებულია ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკასთან. ადამიანური რესურსის ეს სპეციფიკური თავისებურებებია [ჯუღაიძე ე. 2011: 8].

- თანამედროვე ეპოქაში, ყველა რესურსი სწრაფად ძველდება. ადამიანები კი, მათი პირადი მოტივაციიდან გამომდინარე, მუდმივი სრულყოფისა და განვითარების ძიებაში არიან. ამიტომ ეს რესურსი კი არ ძველდება, არამედ უფრო მდიდრდება. როგორც წესი, ისინი სრულყოფენ თავიანთ უნარ-ჩვევებს და საკუთარ პროფესიონალიზმს, რომელსაც ზედა ზღვარი არ გააჩნია;

- ადამიანებში ცოდნა და კვალიფიკაცია არათანაბრადაა გადანაწილებული. მათ სხვადასხვა უნარები და კომპეტენციები გააჩნიათ, რაც კადრების შერჩევისა და დასაქმების საფუძველს წარმოადგენს. თუმცა, ყველა მათგანს სჭირდება სწავლება და პერიოდული გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება, ტრენინგი და ა.შ.;

- ყველა სხვა რესურსისაგან განსხვავებით, პიროვნება მოქმედებს არა მხოლოდ საკუთარი მიდრეკილებებიდან გამომდინარე, არამედ გარემო პირობების გათვალისწინებითაც. მათი შრომითი მოტივებიც განსხვავებულია, ამიტომ პერსონალის მოტივაციის მართვა მენეჯმენტის საკვანძო ამოცანაა;

- თანამედროვე ადამიანის შრომითი მოდუაწეობა ხანგრძლივია (40-50 წელი), ანუ ადამიანური რესურსების კვლავწარმოებას გრძელვადიანობა ახასიათებს.

შეიძლება ითქვას ისიც, რომ წარსულში რჩება ტექნოკრატიული მიდგომის უპირატესობა, დაფუძნებული რობოტიზაციაზე, კომპიუტერიზაციაზე, კიბერნეტიკასა და მათემატიკურ პროგრამირებაზე, სადაც ადამიანის ინტელექტის ჩანაცვლების მრავალი მცდელობა იყო. მაგ., ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ჰერბერტ საიმონი და მისი კოლეგა ჯეიმს მარჩი

მიიხვედნენ, რომ დადგება დრო, როდესაც მანქანები შეძლებენ ადამიანის ყველა ფუნქციის შესრულებას [ჯულაყიძე ე. 2013: 60]. თუმცა, მაინც დადასტურდა, რომ ორგანიზაციის მაღალი მწარმოებლურობის მისაღწევად აუცილებელია ტექნოკრატიული და ჰუმანიტარული (ადამიანური) მიღწევების დაბალანსება.

საწარმოო პერსონალის მართვისას ყველას და განსაკუთრებით კი მენეჯერებს უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანების მართვა შეუძლებელია განხორციელდეს სტანდარტული მეთოდებით, რომ ესა თუ ის საქმე “მხოლოდ ასე უნდა გაკეთდეს”. შესაბამისად, არ შეიძლება არსებობდეს “სტანდარტული ადამიანი”, სწორედ ამიტომ ადამიანთა მართვა ხელოვნებაა, რომელიც არა მხოლოდ მათ ფუნქციურ ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს, არამედ მათ გრძნობებს, განწყობას, სულიერებას და სხვა პიროვნულ მახასიათებლებსაც უკავშირდება. ეს თავისებურებები აუცილებელია სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული პერსონალის მართვის სტრატეგიის შემუშავებისას და გამოყენებულ იქნეს მისი რეალიზების პროცესში. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანური რესურსების მართვა ნებისმიერი ორგანიზაციის სტრატეგიული ფუნქციაა.

იმის მიუხედავად, რომ დასავლეთში ადამიანის ფაქტორს ძალზე დიდ ყურადღებას აქცევენ, მათ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც შეხვდებით ჩანაწერებს, რომ ადამიანები მათი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია, მაგრამ ეს სფერო ყველაზე უფრო ნაკლებად აქვთ ხოლმე განვითარებული, ვიდრე, მაგალითად, ფინანსების, წარმოების, მატერიალური რესურსებით მომარაგების მენეჯმენტი. ქართულ სინამდვილეში, ამ მხრივ, ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმება, ისიც ეკონომიკის განვითარების, ადამიანთა დასაქმების, მოტივირებისა და ცხოვრების დონის ძალზე ცუდ ფონზე.

დასკვნა

როცა ადამიანურ კაპიტალსა და ადამიანური რესურსების სტრატეგიულ მართვაზე საუბარი, მთელი პრინციპულობით უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში ინვესტიციების შეზღუდვა, ადამიანის ფაქტორის იგნორირება, პერსონალის არასთანადო მოტივაცია და სოციალური დაუცველობა ბუმერანგით უბრუნდება ორგანიზაციის წინსვლასა და განვითარებას. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელშიც თითოეული თანამშრომელი შეძლებს თავისუფლად აკეთოს საქმე და რომელიც უზრუნველყოფს მათი იდეების პრაქტიკულ დანერგვას. ეს კი უკვე კონკურენტული უპირატესობის მიღწევის გარანტიაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეჯიბაძე ო. 2015. მართვის მომავალი, ელექტრონული ჟურნალი, „საზოგადოებრივი მეცნიერებები“, www.education.ge
2. ჯულაყიძე ე. 2011. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ.
3. ჯულაყიძე ე. 2013. მენეჯმენტის საფუძვლები, ქუთაისი, გამომცემლობა „ხანძთა“.

Shota Vashakidze

ORGANIZATION STAFF - THE MOST IMPORTANT RESOURCE OF THE COMPANY

Summary

In the modern, aggressive business environment, when technology development level allows companies to repeat the "yesterday's" innovation, a reliable competitive advantage can be achieved only by the effective use of the human factor. Moreover, it can be said that today's successful management of production personnel depends on the promotion and development of any organization.

The emphasis on the importance of human resources is also conditioned by the fact that, with the general peculiarity of all the resources of the economic system (the limited amount of existence, depreciation and necessity), human resources are characterized by a number of specific peculiar characteristics, which literally express its specific place and role in the economic system. In contrast to cars and raw materials, the person is the human who has the intellect and the emotions. The productivity of this type of resource has no bounds, so it is the largest reservoir for increasing the productivity of the organization and its competitiveness.

It can also be said that the the advantage of based on technocratic approach remains robotization, computerization, cybernetics, and mathematical programming in the past where there were many attempts to replace human intellect. Today it is necessary to balance technocratic and humanitarian (human) approaches to achieve high production of the organization.

While managing industrial personnel, everyone and especially managers should remember that people can not be managed by standard methods to "do so only". Consequently, there can not be a "standard human being", that is why human management is art not only with their functional obligations and powers but their feelings, moods, spirituality and other personal characteristics. These peculiarities are necessary to take into account in the elaboration of the personnel management strategy and use in its realization process.

Consequently, we can conclude that human resources management is a strategic function of any organization. When talking about human capital and strategic management of human resources, with all the principle, it should be noted that the limitation of investments in this sphere, ignoring the factor of the person, improper motivation of the personnel and social insecurity returns as boomerang to the advancement and development of the organization.

ინება ვაწაძე

**სოფლის ტურიზმის ბიზნესის განვითარება როგორც
ინკლუზიური ეკონომიკის ზრდის კონცეფციის რეალიზაციის შაქტორი**

ანოტაცია. დასაბუთებულია, რომ სოფლის ტურიზმი თანამედროვე მსოფლიოში სპეციალისტთა მიერ მიხნეულია სოფლის მოსახლეობის დასაქმების ყველაზე პერსპექტიულ სფეროდ. ნაშრომში სოფლის ტურიზმის ეს მახვენებელი დაკავშირებულია საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ინკლუზიური განვითარების კონცეფციასთან. კონცეფციის რეალიზაცია, რაც მიიღწევა სოფლად ტურისტული ბიზნესის განვითარების გზით, ხელს შეუწყობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას - უმუშევრობის შემცირებას და ცხოვრების დონის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: სოფლის ტურიზმი, ინკლუზიური ეკონომიკა

შესავალი

ახალი ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესისათვის დამახასიათებელ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, მიუხედავად მათი პოზიტიური შედეგისა, არ აღმოჩნდა საკმარისი სოციო-ეკონომიკური პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის. ქვეყანაში დღემდე მწვავედ დგას უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემა, რამაც განაპირობა ამ პრობლემისადმი ახლებური მიდგომის აუცილებლობა, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყო 2014 წელს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის (შემდგომში „საქართველო 2020“) შექმნით [3]. „საქართველო 2020“ დღევანდელი მთავრობის მაკროეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ინოვაციას წარმოადგენს. ამ ინოვაციის არსი გამოიხატება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაზე ორიენტაციაში, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩაბმას ეკონომიკის ზრდის პროცესში. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევისათვის აუცილებელია, რომ, პირველ ყოვლისა, მიღწეულ იქნეს მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ჩართვა ეკონომიკურ საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს მეურნეობის იმ სექტორის განვითარებაზე, რომლებშიც მეტია დასაქმების შესაძლებლობა და ნაკლებია ამ პროცესის ხელშემშლელი პირობები.

ჩვენი მოხსენების მიზანია ლიტერატურული წყაროების მიმოხილვის საფუძველზე იმის ჩვენება, რომ სოფლის ტურიზმი წარმოადგენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის კონცეფციის რეალიზაციის ერთ-ერთ პერსპექტიულ საშუალებას.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის კონცეფცია

ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაში საქართველოს დღევანდელი მთავრობა, ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის შექმნაში ყველა სოციალური ფენის ჩართვასთან ერთად მოიაზრებს შესაბამისი ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული სიკეთის მეტ-ნაკლებად თანაბარ გადანაწილებას [1]. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის კონცეფციით აკადემიური წრეები განსაკუთრებით დაინტერესდნენ მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელმა ორგანომ – ზრდისა და განვითარების კომისიამ (Commission on Growth and Development) რომელსაც მსოფლიო ბანკთან ერთად ავსტრალიის, ნიდერლანდების, გაერთიანებული სამეფოსა და შვედეთის მთავრობებიც აფინანსებდნენ, გამოაქვეყნა ანგარიში მდგრადი და ინკლუზიური განვითარების (The Growth Report: Strategies for Sustained Growth and Development) შესახებ(2008).

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის კონცეფციისადმი სპეციალისტთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. შესაძლებელია ურთიერთ-საწინააღმდეგო, მკაფიოდ ჩამოყალიბებული ორი პოზიციის დაფიქსირება. ერთი ჯგუფი მთლიანად იზიარებს მსოფლიო ბანკის ექსპერტთა გამოკვეთილ პოზიციას, რომლის მიხედვით ინკლუზიური ზრდა არის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მოდელი, რომელიც მოიცავს ორ საკვანძო პრინციპს. ერთი მათგანის მიხედვით ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის პროცესში უნდა იყოს ჩაბმული საზოგადოების ფართო ფენები. მეორე პრინციპი ითვალისწინებს ზრდის შედეგების სამართლიან განაწილებას. განაწილების დროს წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა კი ხდება ეკონომიკურ მეცნიერებაში აპრობირებული სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ მოდელის მიხედვით პრიორიტეტი ენიჭება ისეთ პოლიტიკას, რომელიც რესურსების, პირველ რიგში, ადამიანური რესურსების, მაქსიმალურ ათვისებას უწყობს ხელს [2]. მსოფლიო ბანკის შეფასებით ეკონომიკური ზრდა უდაოდ

აუცილებელია სიღარიბის შესამცირებლად, მაგრამ იმისათვის, რომ ზრდა იყოს მდგრადი, მან უნდა უზრუნველყოს სამუშაო ძალის ფართო ჩართულობა ზრდის პროცესში.

ამის საპირისპირო პოზიციაზე მდგომი სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ინკლუზიურობა ხელს კი არ უწყობს ეკონომიკურ ზრდას, არამედ პირიქით, აფერხებს მას. ამ შეხედულების მიმდევრები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ეკონომიკის ინკლუზიური ზრდა ღარიბთა შემოსავლის ზრუნვა ვერ იქნება. პრაქტიკაში სიმდიდრის უფრო თანაბარი განაწილება, რაც ინკლუზიური ზრდის კონცეფციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, საკმაოდ ხშირად სიმდიდრის გადანაწილებით მიიღწევა. სიმდიდრის გადანაწილების ძირითდი ინსტრუმენტები კი არის მაღალშემოსავლიანი სეგმენტის უფრო მეტად დაბეგვრა, ქონების კონფისკაცია და ღარიბთათვის დარიგება, ქველმოქმედება და სხვ., რომლებიც ეკონომიკისათვის აშკარა ანტისტიმულების შემცველი ღონისძიებებია და იწვევენ ბაზრის დამახინჯებას, ბიზნესაქტივობების და ინვესტორთა ნდობის შემცირებას და სხვა სრულიად აშკარა უარყოფით შედეგებს.

წინამდებარე სტატია არ ითვალისწინებს ინკლუზიური კონცეფციის ირგვლივ გამართულ თეორიულ დისკუსიაში ავტორის ჩაბმას. ჩვენ ფიქრობთ, რომ ინკლუზიური ეკონომიკის მომხრეთა პოზიცია უფრო მეტად არის დასაბუთებული. აქედან გამომდინარე ჩვენს ამოცანას წარმოადგენს იმის ჩვენება, რომ სოფლის ტურიზმის განვითარების საფუძველზე შესაძლებელია სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმება, შესაბამისად, რეგიონისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღწევა.

სოფლის ტურიზმის კონცეფცია

სოფლის ტურიზმი ეწოდება ტურიზმის ყოველგვარ სახეობას, რომელიც ხორციელდება სოფლად, ადგილობრივი რესურსების და სპეციფიური ტექნოლოგიის გამოყენებით და უზრუნველყოფს სპეციფიური ტურისტული პროდუქტის შექმნას. როგორც დეფინიციიდან ჩანს, ტერმინი „სოფლის ტურიზმი“ წარმოადგენს კრებსით ცნებას. სხვადასხვა ავტორები სხვადასხვანაირად აყალიბებენ ამ ცნებით ნაგულისხმევ ტურისტული მიმართულების ნომენკლატურას. მაგრამ ეს ნომენკლატურები იდენტურნი არიან და ყოველთვის მოიაზრებენ ტურიზმის ისეთ მიმართულებას, როგორცაა „აგროტურიზმი“, „ღვინის ტურიზმი“, „რეკრეაციული ტურიზმი“ და სხვ. სოფლის ტურიზმის არსის ინტერპრეტაციის დროს სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ ყოველგვარი ტურისტული მოთხოვნილების - განთავსების, კვების, ექსკურსიების, დასვენების, სპორტული ღონისძიებების და სხვა ორგანიზაციულ-სამეურნეო უზრუნველყოფას კისრულობს მასპინძელი ოჯახი, რომელიც გაწეული მომსახურების გაყიდვით იღებს შემოსავალს [4, 23]. ამრიგად სოფლის თემის ჩართულობა ტურიზმის ინდუსტრიაში ხელს უწყობს ოჯახების დამატებითი შემოსავლების გაზრდას და სოფლად მეწარმეობის განვითარებას [24,8]. სპეციალისტთა მიერ იდენტიფიცირებულია სოფლის ტურიზმისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომელთა გამო მომხმარებელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა უპირატესობას ანიჭებს სოფლის ტურიზმს. ადამიანები ირჩევენ ტურიზმის ამ სახეობას იმის გამო, რომ ექმნებათ

- ✓ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შფოთიანი გარემოდან თავის დაღწევის და წენარ, მშვიდ იდილიურ პირობებში დასვენების,
- ✓ ბუნებასთან უშუალო ურთიერთობის,
- ✓ ეკოლოგიურად სუფთა გარემოთი სარგებლობის,
- ✓ ეკონომიურად ხელმისაწვდომობის შესაძლებლობები.

დასვენების ამ ფორმისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ავლენენ ასაკიანები -ბებიები და ბაბუები, რომელთაც სურთ თავიანთ შეილებთან და შვილიშვილებთან დასვენება იმისათვის, რომ შეუქმნან მათ სოფლის ცხოვრების გაცნობის შესაძლებლობა [12]. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოს რეგიონების სოფლის ტურიზმის ბაზრის კვლევის დროს რადგანაც, როგორც ცნობილია, მოსახლეობის დაბერება წარმოადგენს თანამედროვე ქართულ სინამდვილეში დემოგრაფიული პროცესის ტრენდს.

სოფლის ტურიზმის წარმოშობას მეცნიერთა ერთი ნაწილი აკავშირებს 50-70-იან წლებში ევროპის რეგიონში განვითარებულ ინტეგრაციულ პროცესებთან. მაგალითად, ვ. ი. ვოსკრესენსკი თვლის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენციის გამწვავებამ ევროპულ ბაზარზე საფრანგეთში გამოიწვია მოსახლეობის გამაღებელი მიგრაცია უპერსპექტივო სოფლებიდან მსხვილ ქალაქებში, რის გამოც საფრთხე შეექმნა სოფლის არსებობას. საჭირო შეიქმნა სასწრაფო ღონისძიებების გატარება სოფლის შენარჩუნებისათვის. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ ამოცანად დაისახა იმის ჩვენება, რომ სოფლად ფულის გამომუშავების საშუალება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოება არ არის. ამის დასამტკიცებლად სახელმწიფომ სოფლად რამდენიმე ათეული მიტოვებული კარმიდამო ადადგინა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასთან ერთად ამ კარმიდამოებმა დაიწვეს ქალაქელი ტურისტების მიღება. დადასტურდა, რომ ამ გზით შესაძლებელია მოგებიანი ბიზნესის გამართვა არასასოფლო-სამეურნეო წარმოების ბაზაზე. ამასთან ნაჩვენებია იყო, რომ ეს ბიზნესი არ მოითხოვს დიდ ფინანსურ ინვესტიციებს [6. გვ.401]. აგრარულ ჭარბწარმოებაზე რეაქციას წარმოადგენდა 1980-იან წლებში ევროპის ქვეყნების მიერ აღიარებული სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონების გადაყვანას

აგროწარმოების სფეროდან მომსახურების სფეროში, კერძოდ ახალ სფეციფიკურ ეკონომიკურ საქმიანობაში - სოფლის ტურიზმში მოსახლეობის ჩაბმას [10].

სტატის მიზანი უშუალოდ გამომდინარეობს „საქართველოს 2020-ის“ კონცეფციიდან და შეესაბამება „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ-ს“ (შემდგომში „სტრატეგია 2015-2020“). „სტრატეგია 2015-2020“-ში დაფიქსირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და დასახულია ამ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის აუცილებელი ღონისძიებები. „სტრატეგია 2015-2020“-ის მიხედვით აქამდე სოფლის მეურნეობაში დასაქმებულად ითვლება ქვეყნის დასაქმებული სამუშაო ძალის 52%, საიდანაც 98% თვითდასაქმებულია. დაბალია სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობები, დაბალია სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა დიდი ნაწილი ნატურალური მეურნეობის ტიპისაა და მათ მიერ წარმოებული პროდუქტები ძირითადად გამიზნულია საკუთარი მოხმარებისათვის. ეს იწვევს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ზრდას, შესაბამისად აგრარული პროდუქციის წარმოებისა და საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოფის მაჩვენებლების შემცირებას, რაც სერიოზული პრობლემის წინაშე აყენებს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას. ყოველივე ეს განაპირობებს აგრარული პოლიტიკისადმი ახლებური მიდგომის აუცილებლობას. ეს მიდგომა ჩამოყალიბებულია „სტრატეგია 2020“-ში და გულისხმობს უახლოეს წლებში სოფლად აგრარული პროდუქციის ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებას. ჩვენი მიზანია იმის დასაბუთება, რომ სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ყველაზე რაციონალურ გზას დღეისათვის წარმოადგენს სოფლის ტურიზმის განვითარება.

სოფლის ტურიზმი დღეისათვის აღიარებულია მთელს მსოფლიოში ტურისტული ინდუსტრიის ყველაზე დინამიურ, სწრაფადმზარდ და პერსპექტიულ მიმართულებად, რომელმაც გავრცელება კპოვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შეფასებით სოფლის ტურიზმი შედის 2020 წლამდე ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ხუთეულში. სპეციალისტთა დაკვირვებით ევროპაში სოფლის ტურიზმის წილად მოდის ტურისტული ინდუსტრიიდან მიღებული შემოსავლის 10-20% [13]. სოფლის ტურიზმის სწრაფად გავრცელებას ხელი შეუწყო იმან, რომ ტურისტული ინდუსტრიის ეს მიმართულება ხასიოდება სოფლად სამუშაო ადგილების შექმნისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მაღალი პოტენციალით. სოფლის ტურიზმმა სწრაფად მოიპოვა დიდი პოპულარობა, რაზეც მეტყველებს მისი პრობლემებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების სიხვევა.

სოფლის ტურიზმს მთელს მსოფლიოში განიხილავენ როგორც სასოფლო თემის გამოცოცხლების ფუნდამენტურ მექანიზმს [17]. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ეკონომიკურ შესაძლებლობას იმ მცირე შესაძლებლობებიდან, რაც სოფელს გააჩნია დეპრესიიდან თავის დასაღწევად [29]. Gulcan U. თანამშრომლებთან ერთად ადასტურებს, რომ სოფლის ტურიზმს აქვს იმის პოტენციალი, რომ პირდაპირი სარგებელი მოუტანოს ადგილობრივ საზოგადოებას ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, კერძოდ, რეგიონული იდენტურობის, ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნების და სოფლად ახალგაზრდობის დასაქმების მიხედვით [22,19]. სოფლის ტურიზმი, განსაკუთრებით მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციის პირობებში, დადებით გავლენას ახდენს სოფლის ტერიტორიის შენარჩუნებასა და განვითარებაზე, მისი რესურსული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებაზე. სტიმულს სძენს პირადი, დამხმარე მეურნეობების განვითარებას, აფართოებს მოთხოვნილებას ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალურ კვების პროდუქტებზე, სტიმულს აძლევს სოფლის ტერიტორიის უკეთ მოწვობას, ხალხური რეწვის, კულტურისა და თვითმყოფადობის განვითარებას, ანუ ხელს უწყობს სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოგვარებას [5,9]. სოფლის ტურიზმის, როგორც სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უშუალოდ ტურისტული დანიშნულების ადგილზე შექმნის შესაძლებლობა. საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში იგი მიჩნეულია სოფლის ტურიზმის პრიორიტეტულ ამოცანად [28]. სოფლის ტურიზმის, კერძოდ, მისი მნიშვნელოვანი სახეობის - აგროტურიზმის დადებითი გავლენა ეკონომიკისა და სოციალურ სფეროზე, დადასტურებულია მსოფლიო გამოცდილებით: რეგიონებში, სადაც განვითარდა აგროტურიზმი, გაიზარდა სოფლის მცხოვრებთა შემოსავლები, გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ასორტიმენტი, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, დაიწყო ინფრასტრუქტურული ქსელის განვითარება, გააქტიურდა შიგა ტურიზმი [11].

სოფლის ტურისტული ბიზნესი

როგორც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საშუალება

დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალშემოსავლიანობა მწვავე პრობლემად დგას არა მხოლოდ ჩამორჩენილი და განვითარებადი, არამედ, მათთან ერთად განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნების მთავრობის წინაშე. უილიამ გარტნერი, მინოსეტას (აშშ) უნივერსიტეტის გამოყენებითი ეკონომიკის პროფესორი, რომელმაც ჩაატარა სოფლის ეკონომიკის საფუძვლიანი მიმოხილვა სექტორული ანალიზის გამოყენებით [21] მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამერიკის სოფლის ეკონომიკა განიცდის ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ამცირებენ მრავალი სასოფლო

თემების სიცოცხლისუნარიანობას. გარტნერის მიხედვით უკანასკნელი 30 წლის მანძილზე აშშ-ში სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობის გაზრდის პირობებში, სოფლად სამუშაო ადგილების რაოდენობა სისტემატურად მცირდებოდა. ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რომელზედაც ისტორიულად სოფლის თემი იდგა, ამჟამად საჭიროებს მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ეს საქმიანობა იქ, სადაც იგი ჯერ კიდევ არსებობს. გარტნერი თვლის, რომ დღეისათვის სოფლის ტურიზმი წარმოადგენს დომინანტ ეკონომიკურ ძალას ამერიკის სოფელში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოფლად საქმიანობის განვითარების ძველი მოდელები ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი არიან. გარტნერს მიაჩნია, რომ დღეისათვის სოფლის რაიონების განვითარება ძლიერ, ვიდრე ოდესმე, დამოკიდებულია ტურიზმზე, რამდენადაც სხვა სექტორების მნიშვნელობა დროთა განმავლობაში თანდათან მცირდება ან მოითხოვს გადასახადების გადამხდელთა მხარდაჭერას იმისათვის, რომ განაგრძონ ფუნქციონირება. სოფლის ტურიზმის განვითარება, გარტნერის შეხედულებით, განხილული უნდა იქნეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივობის კონტექსტში, რაც ნაკლებად არის დაკავშირებული გართობასა და თამაშებთან. გარტნერის შეფასებით არ არის ეკონომიკური საქმიანობის სხვა ფორმა, რომელსაც უკანასკნელი 35 წლის მანძილზე გამოველინებინოს სამუშაო ადგილების გაზრდის ისეთი შესაძლებლობა, როგორც ეს შეძლო სოფლის ტურიზმმა.

შედარებით ახალი კაპიტალური მიმოხილვის [21] წინასიტყვაობაში, კრებულის რედაქტორი K. Dascher - ი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი 25 წლის გამოცდილება მიუთითებს სოფლის ტურიზმის აქტიურ ზრდაზე. ამის მაჩვენებლად ავტორი სამართლიანად მიიჩნევს ქალაქის მოსახლეობის სწრაფვას სოფლისაკენ.

ტურიზმის ცნობილი ექსპერტი A. Dake ადასტურებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალშემოსავლიანობას და აღნიშნავს, რომ სოფლის ტურიზმის, კერძოდ აგროტურიზმის ფილოსოფია გამოიხატება სოფლის მეურნეობის განვითარებით, ფერმერთა და სოფლის საზოგადოების შემოსავლებისა და და ცხოვრების ხარისხის ამაღლებით. ამ ავტორის რწმენით აგროტურიზმი ადამიანებსა და საზოგადოებას აძლევს ცოდნას სოფლის მეურნეობის შესახებ და, შესაბამისად, ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას ადამიანთა დასაქმებით, ადგილობრივი პროდუქტების პრომოუშენისა და დამატებული ღირებულების შექმნის გზით. ადგილობრივთა დასაქმებითა და შემოსავლების გაზრდის ხელშეწყობით აგროტურიზმი ხელს უწყობს ურბანიზაციის დონის შემცირებას [18].

S. Zoto და მისი თნამშრომლები აფიქსირებენ, რომ დღეისათვის მრავალი ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის დაბალი რენტაბელობა; ამ ავტორების მიხედვით აგროტურიზმი მიზნად ისახავს სოფლის საზოგადოების, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ცხოვრების დონის ამაღლებას. ისინი აღნიშნავენ, რომ თუ ადრეულ ეტაპზე ტურიზმი მხოლოდ ტურისტული ღირსშესანიშნაობით ტკბობას გულისხმობდა, სოფლის ტურიზმის კონცეფციით დღეს იგი წარმოადგენს ტურისტული და სოფლის მეურნეობის სექტორების პარალელურად განვითარების საფუძველზე რეგიონის განვითარების მოდელს [30].

ტ. ტროფიმოვას სპეციალური გამოკვლევით [14] დადგენილია, რომ სოფლის ტურიზმი წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკის არასასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიან დარგს, რომელსაც ახასიათებს შემდეგი თავისებურებები:

- არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას;
- ბიზნესის დაწყება შესაძლებელია ხელთარსებული მცირე ფინანსური შესაძლებლობებითაც;
- ბიზნესში შეიძლება ჩაებას მეწარმის მთელი ოჯახი და, შესაბამისად, შესაძლებელია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა საკუთარი სახლიდან გაუსვლელობის პირობებშიც.

სოფლის ტურიზმის და ტურიზმის სხვა სახეების შედარებითი ექსპერტული შეფასებით ტ. ტროფიმოვამ დაადგინა, რომ მცირე ხარჯების გაწევის პირობებში „სოფლის სახლის“ (განთავსების გაერცელებული საშუალება) რენტაბელობამ 300% შეადგინა და 15-19-ჯერ აჯობა ტრადიციული ტურიზმის სახეების რენტაბელობას (16-20%).

სოფლის ტურიზმის ხელშეწყობის იდეა დაფუძნებულია იმის მოლოდინზე, რომ თუ ტურისტები შეიძენენ ცოდნას და გააცნობიერებენ სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას. ეს ხელს შეუწყობს მიწათმოქმედთა (ფერმერთა) ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რომლებშიც სოფლის მეურნეობა ჯერაც ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია [16]. მართლაც, სპეციალური გამოკვლევებით [25] დადასტურდა, რომ სოფლის ტურიზმის განვითარება განსაკუთრებულ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს ავლენს ისეთ ქვეყნებში, სადაც დიდია სოფლის მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. მაგალითად, ინდოეთში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეკონომიკაზე სოფლის ტურიზმის გავლენა გამოიხატება, პირველ ყოვლისა, მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავლების გაზრდაში. ამასთან, სოფლის ტურიზმი ხელს შეუწყობს რეგიონში (ქვეყანაში) უცხოური ვალუტის შემოდინებას, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნილების გაზრდას, სახელმწიფო შემოსავლების გაზრდას, სოფლის მეურნეობისა და სხვა სასოფლო საქმიანობის მოდერნიზაციას, სასოფლო თემის განათლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, კულტურების გაცვლას, აგროკულტურებისა და სოფლის კუსტარული ნაწარმის ბაზრის გაფართოებას. ძალზე მნიშვნელოვანი

ეფექტია ის, რომ სოფლის ტურიზმის განვითარების შედეგად მცირდება სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში სოფლის ტურიზმის განვითარების შედეგებითი ანალიზის საფუძველზე Anestis K.Fotidis -ი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სოფლის ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს როგორც ეკონომიკურად დაწინაურებული, ასევე შედარებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნის შემდგომ განვითარებას [20]. იმავე ავტორის მიხედვით ევროპის ყველა ქვეყანაში სოფლის ტურიზმს განიხილავენ არა როგორც საბაზო, არამედ როგორც დამატებით საქმიანობას.

საქართველოს სოფლის ტერიტორიები 1990-იანი წლებიდან მოყოლებული სტაგნაციის მდგომარეობაში იმყოფებიან. ცნობილია, რომ ასეთი მდგომარეობისათვის დამახასიათებელია უმუშევრობა, გაღარიბება, სოფლიდან ადამიანთ მიგრაცია და საბოლოო ჯამში, სოფლის გაჩანაგება. ამ პრობლემას, მიუხედავად მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებებისა, დღემდე სიმწვავე არ დაუკარგავს. როგორც ბოლო დროს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემები მოწმობენ, სოფლის მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში სწრაფი ტემპით მცირდება. თუ 2001 წელს სოფლის მოსახლეობის წილი 48,2%-ს შეადგენდა, 2015 წლისათვის ეს მაჩვენებელი 42,6%-მდე შემცირდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა საქართველოს მთიან რეგიონებში, მათ შორის რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში, სადაც სისტემატურად მატულობს დაცარიელებული სოფლების რიცხვი. იმისათვის, რომ თვიდან ავიცილოთ საქართველოს მთიანი რეგიონების სოფლების სრულიად რეალური უახლოესი ტრაგიკული მომავალი, საჭიროა სასწრაფო საგანგებო ღონისძიებების განხორციელება. ამ ღონისძიებების შერჩევის დროს უნდა ვიხედოდვანელოთ პრინციპით, რომლის მიხედვით არ არსებობს „არასიცოცხლისუნარიანი“ სოფელი და არასაკმარისი აგრარული პოტენციალი შეიძლება ჩანაცვლებული იქნეს საქმიანობის სხვა ეფექტიანი სახეებით.

სოფლის ტურიზმი გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალზე პირდაპირ, როგორც ფერმერთა დამატებითი შემოსავლის წყარო, ამასთან არაპირდაპირაც, იმით, რომ ხელს უწყობს რეგიონში ფულის შემოდინებას. სოფლის ტურიზმი წარმოადგენს ალტერნატივას მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელსაც არ შეუძლია მხოლოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით თვის რჩენა. სოფლის ტურიზმი ხელს უწყობს სოფლის ბუნებრივი რესურსების დაცვას და პოპულარიზაციას. ეს მშობლიურ სოფელში დარჩენის სტიმულს აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას [27]. იმისათვის, რომ ტურიზმით დასაქმდნენ, ფერმერებს ორი ალტერნატივა აქვთ: მათ შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პარალელურად მოემსახურონ ტურისტებს საცხოვრებლით ან ექსკურსიების ორგანიზაციით. ამ შემთხვევაში ფერმერი ხდება მეწარმე სოფლის ტურიზმის სფეროში. მეორე ვარიანტი იმით გამოიხატება, რომ ფერმერი თავის პროდუქციას - საკვებ პროდუქტებს, ხელოსნობის ნიმუშებს აწვდის ტურიზმის ეკონომიკას. ამ შემთხვევაში ფერმერები წარმოადგენენ ტურიზმის სექტორში საქონლის მიმწოდებლებს, რაც თავისი ხასიათით, გაცილებით უფრო ახლოა მათ ძირითად ბიზნესთან - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასთან. სოფლის ტურიზმის განმასხვავებელი ნიშანია ტურისტისათვის ინდივიდუალური ტურისტული გამოცდილების, სასოფლო ადგილების კულტურული და „ადამინური ურთიერთობის გარემოს“ მიწოდება და ტურისტის სურვილისამებრ, იმის პირობების შექმნა, რომ ტურისტმა მონაწილეობა მიიღოს სოფლის ცხოვრებაში, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში [15].

ი. ლ. პოლიაკოვა და მ.პ. გრიგორიევა, რომლებიც სპეციალურად იკვლევდნენ სოფლის ტურიზმის თვისებურებებს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ სფეროში ბიზნესის ორგანიზება შეიძლება განხორციელდეს ყველაზე ნაკლები დანახარჯებით, რადგანაც, როგორც წესი, არ მოითხოვს თნამშრომელთა შტატის შესანახ განსაკუთრებულ დანახარჯებს, არ წარმოადგენს დიდ მეურნეობას [12].

მსოფლიოში ცნობილი სოფლის ტურიზმის მოდელები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ტურისტის დაბინავების ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური თვისებურებებით. დაბინავება სოფლის ტურისტული პროდუქტის მთავარი კომპონენტია, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს ტურისტის ღირებულებას, მაშასადამე, მასპინძლის შემოსავალს. სოფლის ტურიზმის კონტექსტში დაბინავების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის მცხოვრებლები, რომელთაც აქვთ ცარიელი სახლები, სართულები ან ოთახები საკუთარ საცხოვრებელში, მიაქირავენ სტუმრებს ბინებს მინიმალური ავეჯით, სამზარეულო ჭურჭლით, თეთრეულით და ა. შ., ორი დღიდან დაწყებული რამდენიმე თვის ვადით. მასპინძლის მიერ გაწეული მომსახურება ამ შემთხვევაში ამოიწურება, თნამედროვე ტურისტული ტერმინი რომ ვიხმართ „განთავსებით“. რა თქმა უნდა, მოლაპარაკების შესაბამისად შეიძლება სხვა სახის მომსახურებაც (ვთქვათ რაიმე გასართობი ღონისძიებების შეთავაზება).

განთავსებასთან დაკავშირებული მომსახურება შეადგენს საოჯახო სასტუმრო ბიზნესის არსს. მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სოფლის ტურიზმის განვითარება მცირე საოჯახო სასტუმრო ბიზნესის სახით დღეს წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის ნაწილის არასასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში გადართვის, შესაბამისად, დასაქმების მსხვილ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამას [10].

დასკვნა

შესწავლილი ლიტერატურული წყაროებით სარწმუნოდ დასტურდება, რომ სოფლის ტურიზმის განვითარება შეიძლება მიხედული იქნეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე სტრატეგიის ძირითადი კონცეფციის - ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების მიღწევის საშუალებად, რომელიც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ სოფლის რესურსები, შედარებით მცირე ფინანსებით ვაწარმოოთ ბიზნესი სოფლად, მივაღწიოთ ინვესტირებადი კაპიტალის სწრაფ და ეფექტიან უკუგებასა და დაგეგმილი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების, კერძოდ სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდასა და სიღარიბის დონის შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე ს. ინკლუზიური განვითარება ქართულად //„Forbs Georgia”, 2016, 11.07
2. გოთუა გ. ინკლუზიური ზრდა და შესაძლებლობებზე ორიენტირებული მიდგომა - ალტერნატივები საქართველოს განვითარების პოლიტიკისათვის //ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი JDFJ. 2015, 10.10. <https://idfi.ge/...linc/usive-growth-capability-approach-altern>.
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია (საქართველო 2020).
4. Башмачникова Е. В. Сельский туризм - одно из направлений сельских территории России. <https://www.mtk.filajankohtasta /uutiset/uutiset/ -2011/ f: Bashmachnikova.doc>.
5. Волков С. К. Сельский туризм в РФ: тенденции и перспективы развития ..Экономика, предпринимательство и право. 2012 № 6 (17) с.30-38
6. Воскресенский В. Ю. Международный туризм. 2- е изд. –М. : ЮНИТИ- ДАНА 2013.- 463 с.
7. Заричная А. А. Европейский опыт развития сельского туризма//Экономика Крыма. 2011. № 4 (37).
8. Казьмина Э. Б. Развитие услуг Сельского туризма в Российских регионах. Автореф. Диссерт. на соиск. Уч. Степ. К. Эк. Науки. Москва. 2012.
9. Кундиус В. Ф. Чермянина В. В П. Проблемы и перспективы агротуризма в регионе //Известия Адытского гос. Университета. 2011, № 2.
10. Основы концепции развития эко-агротуризма в российской провинции Ассоциация мирового экономического развития. www.wildnet.ru/images/ierg/2013/06/ 04dx.
11. Остапенко И. И. Агротуризм зарубежный опыт и практика //Актуальные проблемы гуманитарных и естественных наук. 2013, № 3.
12. Полякова И. Л. Григорьева М. П. Сельский туризм: классификация и особенности организации //Сетевой научный журнал - Сервис в России и за рубежом. 2017 т. II, № 5 (75).
13. Семиглазова В Ф Оценка развития Сельского туризма в Российских регионах //Экономика и социум, 2015. № 1 (14).
14. Т рофимова Т. Территориальная организация Сельского туризма в Байкальском регионе. Автореф. Диссерт. на соиск. Уч. Степ. К. географических. Наук.- Улан-Удэ . 2005.
15. Agriterra. Rural tourism development, between dreams and realities 2009, [http://www.agri terra.org/fr/news/57066/rural tourism – development –dreams – realities? Page=10\(access:11.07.2013\)](http://www.agri terra.org/fr/news/57066/rural tourism – development –dreams – realities? Page=10(access:11.07.2013)).
16. Akpınar N., Talay I., Ceylan C., Gundus S. (2005) „Rural women and Agrotourism in the context of sustainable rural development : Acase Study From Turkey”. Environment Development and Sustainability, pp 473-486
17. Costa C. A. and Chalip L. Adventure sport tourism in rural revitalization: An ethnographic evaluation //European Sport Management Quarterly. 2005. 5 (3).
18. Dake A. Agrotourism is an Immerging field of Sustainable Development fir Rural Area: A case study of Bhor Tahsil of Maharashtra //International research journal of Multidisciplinary Studies. 2016, vol. 2, №1.
19. Dimitrovski D.D., Todorovic A.T. and Valjarevic A.D. Rural tourism and the region of Gruta, SERBIA //Procedia Environmental Science, 2012, 14.
20. Fotiadis K.Anestis. Acomparative analysis of rural tourism development in Hungary and Greece //African Journal of B usiness Management. 2011. Vol. 5 (19).
21. Gartner W.C.A Perspective on Rural Tourism Development //The journal of Regional Analysis. 2005.35
22. Guican Y., Kuctepeli Y. and Akgınngor S. Public and development of the tourism industry in the Aegean region //European Planning Studies. 2009, 17 (10).
23. Kurlito M. The specificity of rural tourism development from the perspective of innovative driving forces //journal Manegment Sciens and Education. 2014, Volum 3, issue 2.
24. Merican R., Ruzian M.and Azol A. Homestay industries: Surviving the Legal Challenges//Pertanika journal of Social Scienses & Humanities, 2014, 22, 309-328.
25. Nisha Ratore. Rural tourism impast, challenges andopportunittes //Zenith International Journal of Business Economics & Management Research. Vol. 2 Issuez, february 2012.
26. Rural Tourism: An International Perspective. Edited by Katherine Daschper. Cambridge scholars Publishing, UK 2014. P. 421.428.
27. Seraphin N. Entrenership in tourism os a driver for recovery and sustainabledevelopment of countryside in Haltl. The guest houses as a strong potential option. The guest houses as a strong potential option, The University of Winchester, UK 2013.

28. Vangjeli E., Zoto S., Xhemo F. Agrotourism the Alternative for a constant rural development (study case Korca,s Region) 2014.
29. Wilson S., Fesenmaier D., Fesenmaier J. and wan Es J.C.Factors for success in rural tourism //Journal of Travel Research. 2001. №20.
30. Zoto S., Qirici E., Polena e. Agrotourism – A. Sustainable Development for Rural Area of Korea // European Academic research. Vol. 1. Issue 2. May, 2013.

Ineza Vatsadze

DEVELOPMENT OF RURAL TOURISM BUSINESS AS A REALIZATION FACTOR OF GROWTH CONCEPT OF INCLUSIVE ECONOMY

Summary

Recently the Georgian Government made effective steps with a positive impact but still it is not enough to make dramatic changes in improvement of the social-economic situation of the country. Unemployment and poverty is still a challenge for the country.

Therefore it was necessary to elaborate new approaches for solving these problems and to create the “Strategy on Social-Economic Development of Georgia (Georgia2020) in 2014.” This strategy is an important innovation of the macro-economic policy of Georgian Government.

The idea is to focus on increasing support for inclusive economy. It implies engaging more population in the process of increasing economy. Based on this, economic policy of the country should be focused on developing the sector of the industry, which has more potential of employment and less hindering processes.

The main purpose of my paper based on the reviewed literature resources is to show that developing rural tourism is one of the promising tools of realization of the concept of inclusive economic growth.

Georgian government in the growth of inclusive economy suggests involving all social layers in creating GDP and equal distribution of the wealth obtained as a result of appropriate economic growth.

The experts have different approaches to the concept of inclusive economic growth.

One group of specialists fully support declared position of The World Bank experts. According to which, inclusive growth is one of the models of economic growth which demands involvement of wide range of all social layers in the process of economic growth and fair distribution of received wealth using the established standard instruments.

Another group of experts think that inclusive method does not assist economic growth; on the contrary, it delays the process and the main tool of fair distribution of the common wealth is to increase taxes for the large tax payers, expropriate their property and distribute among the poor people and etc.. Such kinds of activities are truly disincentive and damaging market economy.

We think that those who support inclusive economy have more arguments to prove their position. Based on this our objective is to prove that it is possible to employ rural population on the basis of development of rural tourism for achieving effective results in social-economic growth within the region and throughout the country.

Nowadays Rural Tourism is recognized as a dynamic, rapidly growing and promising direction all over the World, which is already very popular in the west European countries. WTO has considered rural tourism as one of the five main developing strategic directions of tourism until 2020.

Studied literature resources truly approve that development of rural tourism can be recognized as an achieving tool of Inclusive Economic development, - as a main concept of modern strategy for Georgian social-economic development.

This will enable us to rationally use rural resources, to do rural business spending few finances, to get quick and effective turnover from invested capital and to achieve planned social-economic results - such as increasing jobs, employment and decreasing poverty level.

გია ზოიძე

**ინტელექტუალური კაპიტალი და ინოვაციური რესურსები:
პრობლემები და გამომწვევები**

ანოტაცია. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მოთხოვნის შესაბამისად, ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეში გათვალისწინებულია ინფორმაციის, ცოდნის, გამოცდილების, ტექნოლოგიების გამოყენების უნარი. ადამიანური კაპიტალი არის ცოდნის, სიმარჯვის, უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელიც ადამიანის და მთლიანად საზოგადოების მრავალმხრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება. თავდაპირველად ადამიანური კაპიტალის ცნებაში განიხილებოდა განათლება და პროფესიული ჩვევები, როგორც ინვესტიციების ერთობლიობა ადამიანში, რომელიც მის შრომის უნარს აძლიერებდა. ამჟამად მასში ჩართულია სამომხმარებლო დანახარჯები - ოჯახის ხარჯი კვებაზე, ტანსაცმელზე, საცხოვრებელზე, განათლებასა და კულტურულ ღონისძიებებზე, ასევე სახელმწიფო დანახარჯები ამ მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: განათლება, ადამიანური კაპიტალი, ინტელექტუალური კაპიტალი, ინოვაციები, ინოვაციური რესურსები, ინსტიტუციური ცოდნა, გლობალიზაცია, უმუშევრობა.

ადამიანები იძენენ, ინარჩუნებენ, იყენებენ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს (ადამიანური კაპიტალი) და ქმნიან ინტელექტუალურ კაპიტალს. მათი ცოდნა ღრმავდება ერთმანეთთან ურთიერთობით (სოციალური კაპიტალი), რაც ქმნის ინსტიტუციურ ცოდნას, რომელიც ხდება ორგანიზაციის საკუთრება (ორგანიზაციული კაპიტალი).

ადამიანური კაპიტალი ორგანიზაციაში წარმოადგენს ადამიანურ ფაქტორს, იმ ინტელექტს, უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებას, რაც ორგანიზაციას გამორჩეულ ხასიათს აძლევს. ორგანიზაციის ადამიანური ელემენტები გულისხმობს ორგანიზაციის შესაძლებლობას, ისწავლოს, შეცვალოს, განაახლოს, შემოქმედებითად მიუდგეს, რასაც სწორი მოტივაციის შემთხვევაში შეუძლია დიდი ხნით უზრუნველყოს ორგანიზაციის არსებობა.

ადამიანებს აქვთ თანდაყოლილი უნარ-ჩვევები, შესაძლებლობები, ქცევა და ენერჯია, რაც ქმნის ადამიანურ კაპიტალს, რომელსაც ეს ადამიანები იყენებენ მუშაობისას. ამ კაპიტალის მფლობელები არიან თავად ეს ადამიანები და არა მათი დამქირავებლები. ისინი თავად წყვეტენ როდის, როგორ და სად გამოიყენონ ეს კაპიტალი, ანუ მათ აქვთ არჩევანის უფლება. მუშაობისას ხდება შესაძლებლობებისა და ფასეულობების ორმხრივი გაცვლა და არა მუპატრონის მხრიდან რესურსების ცალმხრივად ექსპლუატაცია.

ადამიანური კაპიტალის შემადგენელი ნაწილებია:

- ✓ ინტელექტუალური კაპიტალი;
- ✓ სოციალური კაპიტალი;
- ✓ ორგანიზაციული კაპიტალი;
- ✓ ადამიანური კაპიტალის თეორიის მნიშვნელობა.

ადამიანური კაპიტალი: ეკონომიკური განვითარების ინტენსიური საწარმოო ფაქტორია; საზოგადოებისა და ოჯახის განვითარების დონის საზომია, რომელიც შრომითი რესურსების განათლებულ ნაწილს მოიცავს; ცოდნა; ინტელექტუალური და მმართველობითი შრომის ინსტრუმენტი; ცხოვრების და შრომითი საქმიანობის გარემოა, რომელიც ადამიანური კაპიტალის, როგორც განვითარების საწარმოო ფაქტორის, ეფექტურ და რაციონალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. რაც უფრო განვითარებულია ეკონომიკა, მით უფრო მაღალია მოცემული საზოგადოების ეროვნულ სიმდიდრეში ადამიანური კაპიტალის წილი.

ადამიანური კაპიტალი საწარმოო ფაქტორების ხარისხის მიხედვით შეიძლება დაყვით როგორც **უარყოფითი (დესტრუქციული)** და **დადებითი (შემქმნელი)**.

უარყოფითი ადამიანური კაპიტალი არის დაგროვილი ადამიანური კაპიტალის ნაწილი, რომელიც ჩადებულ ინვესტიციაზე სასარგებლო უკუგებას არ იძლევა: გამოუსწორებელი დამნაშავე, დაქირავებული მკვლელი დაკარგული ინვესტიცია ოჯახისა და საზოგადოებისათვის.

დადებითი ადამიანური კაპიტალი კი დაგროვილი ადამიანური კაპიტალია, რომელიც ინვესტიციებისაგან სასარგებლო უკუგებას უზრუნველყოფს, თუმცა იგი ინერციული საწარმოო ფაქტორია, რომელიც უკუგებას გარკვეული დროის შემდეგ იძლევა.

ამჟამად, ადამიანური კაპიტალის თეორიისა და პრაქტიკის ბაზაზე შეიქმნა და სრულყოფილი ხდება აშშ-სა და წამყვანი ევროპული ქვეყნების განვითარების წარმატებული პარადიგმა. ამ თეორიის მიხედვით შევდეთმა მოახდინა თავისი ეკონომიკის მოდერნიზაცია და მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია დაიბრუნა. ფინეთმა კი დროის ისტორიულად მცირე მონაკვეთში მოახერხა ნედლეულის ეკონომიკიდან ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა. ამ ქვეყანამ შექმნა რა საკუთარი კონკურენტუნარიანი მაღალი ტექნოლოგიები, უარი არ უთქვამს თავისი მთავარი ბუნებრივი სიმდიდრის (ტყის) სიღრმისეულ გადამუშავებაზე. ფინეთი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა **კონკურენტუნარიანი ეკონომიკის რეიტინგის** მიხედვით⁷². უფრო მეტიც, ტყის ისეთ საქონლად გადამუშავებით მიღებული შემოსავლით, რომელშიც მაღალი დამატებული ღირებულებაა.

ეკონომიკის ინოვაციური სექტორი, ელიტის კრეატიული ნაწილი, საზოგადოება და სახელმწიფო საერთო ჯამში მაღალხარისხიანი დაგროვების წყაროებია ადამიანური კაპიტალისათვის, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მისი განვითარების მიმართულებას და ზრდის ტემპს. **სწორედ ქვეყნის ელიტა საზღვრავს მისი განვითარების მიმართულების ვექტორს.** ინვესტიციები კოლექტიურ სამოქალაქო ინტელექტს ქმნის, რომელიც შენებაზეა მიმართული. განვითარებად ქვეყნებში არ არის საკმარისი რესურსი, რათა მასობრივად შეიქმნას კონკურენტუნარიანი კომფორტული პირობები მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებისათვის. ამიტომ იქმნება სპეციალური ეკონომიკური ზონები, ტექნოპოლისები და ტექნოპარკები.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ადამიანური კაპიტალი არის ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ნაწილი. ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე მოიცავს ფიზიკურ, ადამიანურ, ფინანსურ და ბუნებრივ კაპიტალს; ეროვნული ადამიანური კაპიტალი კი სოციალურ, პოლიტიკურ კაპიტალს, ეროვნულ ინ-

⁷² <https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2017-2018>

ტელექტუალურ პრიორიტეტებს, ეროვნულ კონკურენტულ უპირატესობებს და ქვეყნის ბუნებრივ პოტენციალს.

ადამიანური კაპიტალის პროცენტულ წილზე არსებითად მოქმედებს ბუნებრივი რესურსების ღირებულება. კერძოდ, რუსეთში ბუნებრივი რესურსების ღირებულება შედარებით დიდია, რაც ადამიანური კაპიტალის წილს ამცირებს. მსოფლიო ადამიანური კაპიტალის ძირითადი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებშია თავმოყრილი, სადაც ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში 2-3-ჯერ მეტია, ვიდრე ინვესტიციები ფიზიკურ კაპიტალში.

საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეში ადამიანური კაპიტალის შედარებით დაბალი წილი შეიძლება აიხსნას არა ბუნებრივი რესურსების სიუხვით, არამედ ეკონომიკაში შექმნილი სირთულეებით და ყველაზე კვალიფიციური და რეპროდუქციული უნარის მქონე სამუშაო ძალის ქვეყნიდან ინტენსიური გადინებით.

ამასთან, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება⁷³ და ვიზალიბერალიზაცია ფართო შესაძლებლობას იძლევა, საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მიმართული იყოს საბაზო, უმაღლესი და დიპლომის შემდგომი უწყვეტი განათლების ერთიანი მწყობრი სისტემის შესაქმნელად. ეს კი პროგრესული ნაწილის - ადამიანური კაპიტალის - წილს კიდევ უფრო გაზრდის ეროვნულ სიმდიდრეში. შედარებით მწირი ბუნებრივი რესურსების პირობებში მეცნიერებატევადი წარმოების განვითარება საშური საქმეა როგორც ადგილობრივი ინტელექტუალური ძალების, ასევე, უცხოეთში წასული ჩვენი თანამემამულეების დაბრუნების ხარჯზე, რომელთაც უკვე ათვისებული აქვთ პროფესიული უნარ-ჩვევები და თანამედროვე შრომის კულტურა.

ამჟამად ბუნებრივი რესურსების გამოყენებაც ცოდნაზეა დამოკიდებული. ამის ნათელი მაგალითია კაცობრიობის წინსვლა გარემოს ინტელექტუალური ათვისების გზით. ერთი სიტყვით, ცოდნის დაგროვება, გადაცემა და გამდიდრება საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელ ძალად იქცა.

ინფორმაციულმა რევოლუციამ დიდად შეუწყო ხელი ბაზრის გლობალიზაციას და, რაც მთავარია, შექმნა ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციის ახალი ფორმები (ელექტრონული ვაჭრობა) და ახალი ეკონომიკური აქტივები (ელექტრონული ფული), რაც ახლო მომავალში არსებითად შეცვლის ეკონომიკურ პრაქტიკას. სწორედ ამ ობიექტური ტენდენციების ერთობლიობამ წამოწია პირველ პლანზე ინტელექტუალური რესურსების როლი და მნიშვნელობა.

გამოწვევები, რომელთა წინაშე დღეს საქართველო დგას, თვისებრივად არ განსხვავდება იმ გამოწვევებისგან, რომლებიც გააჩნდა ბევრ განვითარებად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას. განსხვავებით ბევრი სხვა ქვეყნისაგან, რომლებმაც წარმატებით (ან წარუმატებლად) გაიარეს ის ეტაპი, რომელზეც დღეს საქართველოა, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, გავითვალისწინოთ ამ ქვეყნების გამოცდილება, გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები და ჩვენი გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია სწორედ ამ გამოცდილების, ამ ქვეყნების წარმატებისა თუ მათ მიერ დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით იქნეს შედგენილი.

როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება, ისე მეცნიერული კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამოქალაქო თავისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. გამართული ინსტიტუტები უზრუნველყოფს განვითარების მდგრადობას, ამცირებს ბიზნესციკლების მერყეობას, განაპირობებს ეკონომიკური ზრდის უწყვეტობას საარჩევნო ციკლებს შორის და გარკვეულწილად ქმნის ავტოკორექციის უნარის მქონე ეკონომიკურ სისტემას. აზრების და იდეების თავისუფალი გაცვლა აუცილებელია კრეატიულობის, ინოვაციის, განათლებისა და კულტურული წინსვლის უზრუნველსაყოფად, ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს ენდოგენურ, ცოდნაზე დაფუძნებულ ზრდას, რომელიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის.

გლობალიზაციის პროცესის აქტუალობა გამოიხატება იმაში, რომ ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოების არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ განვითარებაზე. მათ გათვალისწინებას აქვს როგორც პრაქტიკული, ასევე უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა, რამდენადაც, იძლევა ადამიანური პროგრესის ყველაზე გავრცელებული საკითხების გამოყოფის, გლობალიზაციის ძირითადი გამოწვევების განსაზღვრის საშუალებას.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალური სისტემის აღწარმოების წინააღმდეგობები იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად იგი ექვემდებარება არა იმდენად მსოფლიო საზოგადოებრივ ინტერესებს, რამდენადაც ბიზნესელიტის ინტერესებს. იგი მიმდინარეობს ბუნებრივ-კლიმატური და შრომითი რესურსების, სიმდიდრის, პოლიტიკაზე ეკონომიკის დამოკიდებულების არათანაბარი მდგომარეობის პირობებში. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ნამდვილად მიმდინარეობს შესაძენი ტენდენციები ცვლილებებისკენ - ჩამოყალიბდა სრულიად ახალი კონკურენტული ვითარება ყველა სახის რესურსის მოპოვებისთვის, გამკაცრდა კონკურენტული ბრძოლის მეთოდები, იმატა სოციალური და პოლიტიკური ხასიათის სანქციებმა, კონფლიქტებმა საცხოვრებელი და სამუშაო

⁷³ <http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf>

ადგილების დაკარგვის გამო, ბრძოლამ უკეთესი მომავლისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია გულისხმობს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა სფეროს: საერთაშორისო ვაჭრობის, ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემის, შრომის ბაზრის, ინოვაციების, სამეცნიერო მოღვაწეობის, და ბოლოს, სოციალური, ეკონომიკური და ინსტიტუციური ურთიერთობების გლობალიზაციას. დღეისათვის მსოფლიო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სულ უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების, ინოვაციების გამოყენებასა და დინამიურ განვითარებას. ადამიანებს აღარ სურთ მხოლოდ ნაციონალური საზღვრების ფარგლებში არსებობა, მათი სურვილია პლანეტის საკუთარ სახლად გადაქცევა.

გლობალიზაციის პროცესის განვითარებასთან ერთად, შესამჩნევი ცვლილებები მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაშიც. საქართველო უფრო ღია, დემოკრატიული, მსოფლიო პროცესებში ინტეგრირებული გახდა. ჩვენი მოქალაქეებისათვის გაიხსნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საზღვრები, შესაძლებელი გახდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან საქმიანი ურთიერთობების, პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული კავშირების დამყარება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ გზაზე მსოფლიო საზოგადოება საკმაოდ ბევრი სირთულის წინაშე დადგა - ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, სიღარიბე, დაავადებები, ეკოლოგიური საფრთხეები, დასაქმების პრობლემები და მრავალი სხვა, რაც არც ჩვენი ქვეყნისთვის არის უცხო. ასეთი პრობლემები ნაკარნახევია მსოფლიო რესურსების დიდი ნაწილის დაპყრობის ინტერესით, ქვეყნებისა და რეგიონების, დარგებისა და ოჯახების განვითარების უთანასწორობით, მათი კულტურული და სამართლებრივი მდგომარეობის დიფერენცირებით, მოტივების განუსაზღვრელობითა და მრავალი სხვა წინააღმდეგობებით.

მეთოდური თვალსაზრისით, სამართლიანი იქნებოდა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არა რაიმე იდეების დონეზე, არამედ ფასეული და პრაქტიკასთან გონივრული კავშირის საფუძველზე, უპირველესად, გამოწვევებზე პასუხით, რომელსაც მთელ მსოფლიოს უგზავნის გლობალიზაციის პროცესი. მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი გლობალურ ეკონომიკაში შეღწევა, მისი მიღწევების გამოყენება ქვეყნის სასიკეთოდ და არასასურველი, ზოგჯერ კი სახიფათო შედეგების თავიდან აცილება.

უპირველესად, გლობალიზაციის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის სტაბილური ზრდის, სოციალური განვითარებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა. მასთან არის დაკავშირებული ადამიანის ცხოვრების ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორებიცაა, გაფართოებული კვლავწარმოება და წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, ადამიანთა ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესება, სიმდიდრის დაგროვება, ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ფორმირება, მართვის ხარისხის გაუმჯობესება როგორც ბიზნესის, ასევე სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორში.

გლობალიზაციის პირობებში ჩვენი ქვეყნისთვის მთავარ გამოწვევად რჩება უმუშევრობისა და მასთან დაკავშირებული სიღარიბის და სოციალური უთანასწორობის პრობლემა. სამუშაო ადგილების შექმნისთვის უდიდესი როლი ენიჭება მთავრობის მხრიდან ბიზნესის განვითარების წახალისებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს სხვადასხვა დარგების და ინფრასტრუქტურის განვითარებას. უმუშევრობა ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური ხარჯების ზრდაში გამოიხატება.

უმუშევარი ადამიანი - ეს არის სამუშაო ძალა, რომლის რაციონალურად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა დამატებითი პროდუქციის წარმოება. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს უწევს უმუშევრებისთვის კომპენსაციის გადახდა, რაც მას კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვება. ჩვენს ქვეყანაში ეს ასე არ არის. უმუშევრები არანაირ კომპენსაციას სახელმწიფოსგან არ იღებენ. ამიტომაც უმუშევრობის ტვირთი მხოლოდ უმუშევრებს აწვებათ. დროთა განმავლობაში ხდება უმუშევრების კომპეტენციის, უნარ-ჩვევების და გამოცდილების დაქვეითება, რაც, თავის მხრივ, მათ სამუშაოსადმი მოტივაციას უკარგავს, ამას კი უმუშევრობის ფსიქოლოგიური ხარჯების ზრდისკენ მიყვავართ. აქ იგულისხმება იმ სტრესულ სიტუაციაში ყოფნა, რომელსაც უმუშევარი ადამიანები და მათი ოჯახები ეკონომიკური კრიზისის დროს მწვავედ განიცდიან. სწორედ რომ მოსახლეობის სტრესული მდგომარეობა განაპირობებს ეკონომიკური კრიზისის პირობებში სხვადასხვა სახის დანაშაულისა და სოციალური პრობლემების ზრდას ქვეყანაში. ეს პრობლემები კი ისევ სახელმწიფოს აწვება მძიმე ტვირთად, ვინაიდან აღნიშნულ პრობლემებთან გამკლავება კვლავ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

უმუშევრობის დონის შემცირებისა და ეკონომიკის სტიმულირებისათვის სახელმწიფომ დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტები უნდა განახორციელოს, სამუშაო ადგილების შექმნისთვის უდიდესი როლი ენიჭება მთავრობის მხრიდან ბიზნესის განვითარების წახალისებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სხვადასხვა დარგების და ინფრასტრუქტურის განვითარებას. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით გაუმჯობესდება ბიზნესგარემოც და შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები. ასევე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო სახრსების ეკონომიკაში

ინვესტირებით მოხდება ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირება, რაც ბუნებრივად გააჩნის ახალ ბიზნესშესაძლებლობებს და შექმნის დამატებითი კერძო ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას.

თანამედროვე პირობებში ინოვაციური ტიპის განვითარებაზე უარის თქმა და ამ მხრივ ჩამორჩენა საფრთხის მომტანია ეროვნული ეკონომიკისთვის. ინოვაციური განვითარების, მეცნიერების ინტეგრირების, წარმოებისა და მომსახურების ხარისხის მხრივ, ჩვენ საკმაოდ ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს თანამედროვე ტექნოლოგიების, მენეჯმენტის ხარისხის და თანამშრომელთა მოტივირებულობის დონით. ამ მიმართულებით პროგრესი გულისხმობს მნიშვნელოვან წინსვლას სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებისა და ინსტიტუციურ დონეზე, მათი მიღწევების პრაქტიკაში გამოყენებას, საზოგადოების განვითარების ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური მოდელების ფორმირებისთვის.

ჩემი აზრით, ისინი უნდა ემყარებოდნენ საღ აზროვნებას, რეალურ სინამდვილეს, რეალურ მიზნებსა და ამოცანებს, გამოკვლევებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც აისახება როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის, ისე ცალკეული ადამიანისა და მსოფლიოს ინტერესებში. გლობალიზაციის აღნიშნული გამოწვევები მნიშვნელოვანია ქვეყნის დონეზე, თუმცა შესაძლებელია კიდევ რამდენიმე მათგანის გამოყოფა.

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში არსებითად იცვლება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ფაქტორების ბუნება, მათი თანაფარდობა და ურთიერთკავშირი. აშკარაა, რომ ეკონომიკის შიდა სტრუქტურული ცვლილება აუცილებლად უნდა მიმდინარეობდეს არა ექსტენსიური (რაც დაკავშირებულია რაოდენობრივ ზრდასთან, გაფართოებასთან) ზრდის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ხარისხობრივი (ინტენსიური) ცვლილებებით და ინოვაციური განვითარების საფუძველზე. გარკვეულწილად იგი დამოკიდებულია კაპიტალდაბანდების მოცულობაზე, მათ ინოვაციურობასა და ადამიანური კაპიტალის ხარისხზე, ინსტიტუციურ გარემოზე და ქვეყნის პოლიტიკაზე. ეს კონკურენტუნარიანობის ეგრეთ წოდებული სტრუქტურული ფაქტორებია. ივარაუდება, რომ ეს ფაქტორები განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად წარმატებულად უწევს ქვეყანა კონკურირების სხვა ქვეყნებს მსოფლიო ბაზარზე თავისი საბაზრო წილის მოსაპოვებლად ან ინვესტიციების მოსაზიდვად.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კაპიტალის ეფექტურ დაბანდებასთან მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. ამ მიმართულებით გაწეული ეკონომია გულისხმობს საზოგადოების ეფექტიანობის საგრძნობლად დაქვეითებას და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გართულებას. ინოვაციური განვითარების, მეცნიერების ინტეგრირების, წარმოებისა და მომსახურების ხარისხის მხრივ, ჩვენ საკმაოდ ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს თანამედროვე ტექნოლოგიების, მენეჯმენტის ხარისხის და თანამშრომელთა მოტივირებულობის დონით.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ ინვესტიციების გარეშე, განსაკუთრებით ახალ, ინოვაციური ტიპის ძირითად კაპიტალში, წარმოუდგენელია საზოგადოებრივი კვლავწარმოების საკითხის წარმატებით გადაწყვეტა. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა ყოველთვის აისახება წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივ პარამეტრებზე, რაც ზრდის მის კონკურენტუნარიანობას. ამასთან, ეკონომიკაში საჭიროა ისეთი ინსტიტუციური ურთიერთობების დამყარება, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ უცხოური, არამედ ადგილობრივი კაპიტალის მოზიდვასაც.

მრავალი გამოკვლევის შედეგი ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობების ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებაზე გადასვლა, ძლიერი მატერიალური და მორალური მოტივაციის შექმნა, ყველა დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის გამოცდილების დაგროვება. ამ მიზნების მიღწევის სირთულე ხშირად გამოწვეულია მათი გადაწყვეტისათვის ჩვენეული მენეჯმენტის არასაკმარისი დონით, წარმოების მეცნიერებასთან სუსტი კავშირით, არაოპტიმალური ინვესტიციებით ადამიანურ რესურსებში, განსაკუთრებით - კომპეტენციების ამაღლებაში, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვაში, ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ., გლობალიზაცია ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბილისი, 2010.
2. ბარათაშვილი ე., გეზბაია ბ., ღლონტი ვ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები, თბილისი, 2012.
3. სტიგლიცი ჯ., გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, გამომცემლობა „რადარამი“, თბილისი, 2012.
4. ჯოლია გ., სენიაშვილი დ., ცოდნის ეკონომიკა და მართვა, სტუ, თბილისი, 2015.
5. ჯოლია გ., კრეატიული ეკონომიკა და განვითარება, სტუ, თბილისი, 2016.
6. <https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2017-2018>
7. <http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf>

**INTELLECTUAL CAPITAL AND INNOVATIVE RESOURCES:
PROBLEMS AND CHALLENGES**

Summary

According to the national reports system requirements national riches include the ability to use information, knowledge, experience and technology. Human capital is the unity of knowledge, simplicity, and skills that are used to satisfy multi-sided requirements of human and whole society. Initially, the concept of human capital was considered - education and professional habits, as a combination of investments in the human capacity that strengthened its labor skills. Currently it includes consumer costs - family costs on food, clothes, housing, education and cultural events, also state spending in this direction.

The efficiency of the economy depends heavily on the preparation of highly skilled staff with effective investment. The economy in this direction implies a decrease in efficiency of the society and the complication of integration into the world economy. On innovative development, integration of science, production and service on quality hand, we are quite falling down to the developed countries with modern technologies, quality of management and the level of motivation of employees.

Without investments, especially in the new, innovative type of capital, it is unthinkable to successfully solve the issue of public reproduction. The introduction of innovative technologies will always reflect the quality parameters of manufactured products which increases its competitiveness. In addition, the economy needs to establish institutional relations that will facilitate not only foreign but also to attract local capital.

The results of many studies show that for the creation of competitive advantages of the Georgian economy, it is important to move on to use of the latest technologies, create a strong material and moral motivation, accumulate experience to improve competitiveness in all fields. The difficulty of achieving these goals is often caused by the lack of our management, the weak link with the production science, in the human resources with non-optimal investments, especially in the development of competencies, the introduction of the latest technologies, infrastructure development.

The challenges facing Georgia today are not qualitatively different from the challenges that many developed and least developed countries have. Unlike many other European countries, which have successfully (or unsuccessfully) through the stage in which Georgia is today, we have an opportunity to bear in mind experience of these foreign countries, then let's draw the relevant conclusions and our long-term development strategy must be based on experiences, successes or mistakes of these countries.

Currently, the use of natural resources depends on knowledge. The clearest example of this is the mankind's progress through intellectual development of environment. In short, accumulation of knowledge, transmission and enrichment has become the driving force of public progress.

სალომე მალუძე

მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის (CRM) ავტომატიზებული სისტემის როლი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებაში

ანოტაცია. ბოლო პერიოდში ტექნოლოგიური სიახლეები აქტიურად იწერება სხვადასხვა სფეროში, რაც კომპანიებს კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას აძლევს. ერთ-ერთი მათგანია მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის (CRM) საუნივერსიტეტო სისტემა, რომლის მთავარი ღირებულებაც ერთ სივრცეში თავმოყრილი ინფორმაციაა, რომლის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საშუალება ეძლევა, შეინარჩუნოს სტუდენტებთან გრძელვადიანი ურთიერთობა, მოიზიდოს ახალი და შეინარჩუნოს არსებული კონტინგენტი, ჩამოაყალიბოს კურსდამთავრებულებთან მჭიდრო ურთიერთობა და განახორციელოს სასწავლო პროცესის მონიტორინგი.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში დახერხილი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების დროს ვლინდება გარკვეული ხარვეზები, სისტემის დახმარებით არ ხორციელდება სტუდენტთან უწყვეტი განათლების რეჟიმის ამოქმედება, არ არის ჩამოყალიბებული მოქნილი კომუნიკაციის სისტემა, იგი არ მოიცავს სტუდენტის ინტერესების შესახებ დეტალურ მონაცემებს, უნივერსიტეტი არ აგრძელებს კურსდამთავრებულ სტუდენტებთან მჭიდრო ურთიერთობას, თუმცა ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შესრულებას ავადლებულებს უნივერსიტეტებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) ავტორიზაციის სტანდარტები (2017 წელი). კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინების შედეგად შესაძლებელი გახდება არსებული სტანდარტების მარტივად დაძლევა და გამოვლენილი ხარვეზების მოგვარება.

საკვანძო სიტყვები: მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა, კონკურენტული უპირატესობა, ანალიზი, მჭიდრო ურთიერთობა, უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტები.

შესავალი

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს ინფორმაციული ეკონომიკის ფენომენი, რომლის საფუძველიც მართვის ავტომატიზებული სისტემების სრული გავრცელება და ფლობაა. ხვალის ეკონომიკა კი ინოვაციური ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენების სფეროა, რომელიც კონკურენტუნარიანი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის გარეშე წარმოუდგენელია. აღნიშნულის საფუძველს იძლევა ისიც, რომ თანამედროვე სამყაროში მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის მარტივად მოპოვება და დამუშავება მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას აძლევს კომპანიებს. სწორედ მსგავსი სიახლეა მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის (Customer Relationship Management System CRM)⁷⁴ სისტემა, მისი დახმარებით კომპანიები ქმნიან მონაცემთა ბაზებს, სადაც გროვდება მყიდველის შესახებ ყველა ტიპის ინფორმაცია, მიღებული მონაცემებისა და სწორი ანალიზის საფუძველზე კომპანიას შესაძლებლობა ეძლევა, განსაზღვროს: მომხმარებლის მსყიდველობითი უნარი, დამატებით შეიმუშაოს ახალი სამომხმარებლო სეგმენტი, მოახდინოს მომხმარებლის დიფერენციაცია, განსაზღვროს კლიენტის არსებული სურვილები და შესთავაზოს მისთვის მისაღები პროდუქტი თუ სერვისი. მსგავსი სისტემის მეშვეობით კომპანიას შესაძლებლობა ეძლევა, ჩამოაყალიბოს მყიდველთან გრძელვადიანი ურთიერთობა, რაც თავისთავად გულისხმობს ერთგული მომხმარებლების რაოდენობის ზრდას. ერთგული და კმაყოფილი მომხმარებელი კი წარმატების ერთ-ერთი მასტიმულირებელი ფაქტორია. ამას ადასტურებს პარეტოს პრინციპიც, რომლის თანახმადაც, კომპანიის მომხმარებლების მხოლოდ 20%-ს მოაქვს კომპანიის მთლიანი შემოსავლების 80%, რაც გულისხმობს იმას, რომ ლოიალური მომხმარებლის ზრდა პირდაპირპროპორციულია გაყიდვების ზრდისა. ეს უკანასკნელი საგანმანათლებლო სივრცეზეც ვრცელდება და აქ უფრო მეტად საყურადღებო ხდება, რადგანაც სწორედ სწორი და თანამედროვე ცოდნითა და კომპეტენციებით აღჭურვილი კადრები განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და მის მდგრადობას. აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ ფაქტორების სწორი და საფუძვლიანი კვლევა.

კვლევის მიზანი იყო საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში CRM სისტემების გამოყენების შესწავლა, მის ფუნქციონირებაში საჭირო კომპონენტების სიღრმისეული კვლევა, სტანდარტული (მსოფლიო ბაზარზე მოღვაწე, წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიების მიერ, შექმნილი CRM სისტემა)⁷⁵ CRM სისტემებისა და უნივერსიტეტებში არსებული სისტემების შედარება; დარგში არსებული პრობლემების შესწავლა და მათგან გამომდინარე შედეგების ანალიზი, რომლის საფუძველზეც მოვახდინეთ ქართული საუნივერსიტეტო სივრცის მზაობის დონის განსაზღვრა; სტანდარტული CRM სისტემების დასანერგად დარგში არსებული ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა და მიღებული შედეგების მიხედვით უნივერსიტეტებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებიდან სატელეფონო და ონლაინინტერვიუ, ასევე ანკეტური გამოკითხვა, ჩაღრმავებული ინტერვიუ.

საქართველოში მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემა ნაკლებად არის შესწავლილი, ჩდ -ის ფუნქციონირება განხილულია ანა გველესიანის, ნატო ასათიანისა და ნათია ლომაურაძის სამაგისტრო ნაშრომში „მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტის სისტემის ეფექტურობა ქართული ფარმაცევტული კომპანიების მაგალითზე“, თბ., 2017; ხოლო მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის საუნივერსიტეტო სისტემის გამოყენება და ფუნქციონირება ამ ეტაპზე არ არის შესწავლილი და გამოკვლეული. უცხოურ ლიტერატურაში საკითხები შესწავლილია ავტორთა მიერ: Noel Yee-Man Siu „Customer Relationship Management and Recent Developments“ Hong Kong, 2016; Dr Sreenivasan Jayashree, Somayeh Shojaee, Solmaz Pahlavanzadeh „A critical analysis of Customer Relationship Management from strategic perspective“ Hong Kong, 2011; Katherine Grayson „Managing the Student for Life“ Pennsylvania, 2010;

CRM-ის გავლენა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე

თანამედროვე ბიზნესის სამყაროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ნაბიჯი მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის (CRM) სისტემაა, რომელიც გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო და მომხმარებლების შესახებ მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მარკეტინგის, გაყიდვების, მომსახურებისა და მიწოდების ჯაჭვი ფუნქციურად გამარტივებულია და ავტომატიზებული⁷⁶. გაზრდილი კონკურენციის პირობებში კომპანიები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ნებისმიერი საქმიანობის წარმატების მთავარი რგოლი მომხმარებელი იყო, შესაბამისად, ფირმებმა

⁷⁴ მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემა (Customer Relationship Management System) - CRM

⁷⁵ სტანდარტულ მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემა მსოფლიო ბაზარზე მოღვაწე, წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიების მიერ შექმნილი CRM სისტემა.

⁷⁶ Siu, N., Customer Relationship Management and Recent Developments; 2016; Administrative Science; pg 1.

მათზე კიდევ უფრო გამორჩეულად დაიწვეს ზრუნვა და დაახლოება. მათ მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდისა და შენარჩუნების მიზნით შექმნეს მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემა, რომლის ისტორია 1980 წლიდან იწყება. განვითარების საწყის ეტაპზე ის იყო საინფორმაციო სისტემა (CIS) მომხმარებლის შესახებ, რომლის ერთადერთი ფუნქცია კონკრეტული თანამშრომლისთვის მომხმარებლის შესახებ მინიმალური ინფორმაციის მოწოდებას გულისხმობდა. 1990 წლიდან CIS გარდაიქმნა და CRM სისტემად ჩამოყალიბდა. ხოლო პრაქტიკულად CRM-ის, როგორც სისტემის, მნიშვნელოვანი გამოყენება 1998 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდში მის ძირითად ფუნქციებში შედიოდა: მომხმარებლის მომსახურების გაუმჯობესება და მისი მოტივაციის ამაღლება (ბონუსების, საჩუქრების და სხვა მსგავსი ტიპის შეთავაზებებით), რაც, საბოლოო ჯამში, გაყიდვების ზრდასა და მომსახურების სერვისის გაუმჯობესებაზე აისახებოდა⁷⁷.

ამ საუკუნის დასაწყისიდან კი რეალურად მიმდინარეობს მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემების ფუნქციონირება. იგი უკვე მნიშვნელოვნად ერგება მომხმარებლის სურვილებსა და მოთხოვნილებებს, სისტემის დახმარებით მყიდველთან, მოთხოვნილებისა და სურვილების გათვალისწინებით, ასორციელებენ სწორ შეთავაზებას. სწორედ CRM სისტემა აერთიანებს და ამარტივებს მარკეტინგის, გაყიდვებისა და კლიენტთა მომსახურების ერთობლივ მუშაობას, რომლის საბოლოო მიზანი მომხმარებლის კმაყოფილების გაზრდაა.

კონკურენციის ზრდამ კომპანიებს ნათლად დაანახვა ერთგული მომხმარებლის მნიშვნელობა ბიზნესში წარმატებისთვის, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან სექტორში, როგორცაა უმაღლესი განათლება. რეიტინგული უნივერსიტეტების მენეჯმენტი მიხვდა, რომ სტუდენტებთან გრძელვადიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის, სწავლის ხარისხის გარდა, დამატებითი მომსახურების შეთავაზებაა საჭირო.

2002 წელს, ჩრდილოეთ ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში პირველად დაინერგა მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემა, რომლის მიზანი სტუდენტებთან გრძელვადიანი ურთიერთობა, მათი შენარჩუნება, მონიტორინგი და კურსდამთავრებულებთან მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბება იყო⁷⁸.

CRM სისტემის მეშვეობით ერთ სივრცეში გროვდება სტუდენტების, თანამშრომლებისა და კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაცია, რომლის გამოყენების შემდეგ შემცირდება სტუდენტების კონკურენტ უნივერსიტეტებში გადასვლის რაოდენობა, უნივერსიტეტს ექნება შესაძლებლობა, სწორი მიმართულებით შეიმუშაოს სამომავლო გრძელვადიანი გეგმები, სტუდენტებს შესთავაზოს ახალი ტექნოლოგიური სიახლეები, გაზარდოს ახალი სტუდენტების რაოდენობა და მაქსიმალურად შეინარჩუნოს ისინი, გააგრძელოს ურთიერთობა კურსდამთავრებულებთან, აწარმოოს მათი პროფესიით დასაქმების სტატისტიკა, რაც მოთხოვნილია საქართველოს ავტორიზაციის სტანდარტებშიც,⁷⁹ ასევე გაზარდოს უნივერსიტეტის ცნობადობა საერთაშორისო საგანმანათლებლო სფეროში. არსებული სისტემის დახმარებით უნივერსიტეტი მარტივად დაძლევს ახალ გამოწვევებს და მუდმივად ფებს აუწყობს თანამედროვე სტანდარტებს.

მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემის გამოყენებით ამერიკის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სტუდენტებთან ურთიერთობის ხარისხი, გამყარდა სტუდენტებთან ურთიერთობის ჯაჭვი, ყურადღება გამახვილდა სტუდენტის მოლოდინსა და სურვილებზე, რამაც დადებითი ფინანსური შედეგი მოუტანა მსოფლიო წამყვანი ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემას⁸⁰. სწორედ, CRM სისტემების გამოყენებამ შესძინა უმაღლესი განათლების წარმომადგენლებს კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა, ასევე მიღებული მონაცემების გაანალიზებით დახმარება გაუწია ახალი სტრატეგიების შემუშავებას, რამაც დიდი გავლენა მოახდინა სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გრძელვადიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე.

დღეს მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემები განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს და შემოსავლების ეტაპობრივ ზრდაზე მიგვიითობს.

მსოფლიოს წამყვანი კომპანიებისთვის უკვე წარმოუდგენელია CRM სისტემების გარეშე ბაზარზე მოღვაწეობა, თუმცა 2016 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ბაზარზე არსებული კომპანიებიდან უმაღლესი განათლების სფეროს არც ერთი წარმომადგენელი არ იყენებს CRM-ის ავტორიზებულ სისტემას.

კვლევისათვის სამიზნე ჯგუფებად შეირჩა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები; ადმინისტრაცია, აკადემიური

⁷⁷ Jayashree,S., Shojaee,S.,Pahlavanzadeh,S., A critical analysis of Customer Relationship Management from strategic perspective;2011; IACSIT Press,pg 340-344.

⁷⁸ Grayson; K., Managing the Student for Life;2010; Campus Technology,pg 22-29.


⁷⁹ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; 2017; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები; მოძიებულია 20 იანვარი, 2018. http://eqe.ge/res/docs/Standards_2017.pdf.

⁸⁰ MarketLine, a Progressive Digital Media business ,2008 april, CRM: on brink of widespread adoption across higher education market, pg 255-256


პერსონალი, საერთაშორისო ბაზარზე სტანდარტულ მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის უმაღლესი განათლების სფეროს წარმომადგენლები და აკადემიური პერსონალი.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების მიხედვით ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა ყველა იმ უნივერსიტეტის სტუდენტთან, რომლებშიც დანერგილია სასწავლო პროცესის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა (იგივეა, რაც მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის საუნივერსიტეტო სისტემა), რათა სწორად განგვესაზღვრა სტუდენტების დამოკიდებულება და მათი კმაყოფილების დონე არსებულ სისტემასთან დაკავშირებით, სადაც მონაწილეობა მიიღო 181-მა სტუდენტმა. ძირითადად კითხვები შეეხებოდა თუ რამდენად ჰქონდათ ინფორმაცია უნივერსიტეტის მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემასთან დაკავშირებით, თავად სტუდენტები რამდენად აქტიურად იყენებენ ზემოაღნიშნულს და როგორ აფასებენ მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემის თითოეულ კომპონენტს.

სასწავლო პროცესის მართვის სისტემის გამოყენების დინამიკა მოცემულია პირველ დიაგრამაზე.




სტუდენტების მხრიდან სასწავლო პროცესის მართვის სისტემის გამოყენების დინამიკა კი ასე გადანაწილდა (დიაგრამა 2).




სასწავლო პროცესის მართვის სისტემის შეფასება სტუდენტების მხრიდან შემდეგნაირად გამოიყურება (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. სასწავლო პროცესის მართვის სისტემის შეფასება სტუდენტების მხრიდან



სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ფუნქციების შეფასება სტუდენტების მხრიდან ასეთი შედეგით მივიღეთ (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ფუნქციების შეფასება სტუდენტების მხრიდან



გამოკითხვის მიხედვით, სტუდენტები მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემაში ახალი შესაძლებლობების დამატების სურვილს გამოთქვამენ:

- პირად გვერდზე უნდა დაიდოს სტუდენტთა GPA, რეიტინგი, საგამოცდო და სასწავლო ცხრილი, წინასწარ უნდა იყოს ცნობილი საგნების სილაბუსები, სასწავლო პროცესის დაწყება-დამთავრების თარიღი;

- მათ მიაჩნიათ, რომ ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს მართვის სისტემების თანამედროვე სტანდარტებთან მიხედობა იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი გაუმჯობესდეს და აიწიოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება;

- გამოირიცხოს სტუდენტის მიერ საგნის არასწორად არჩევის შესაძლებლობა, დაიხვეწოს კომუნიკაციის სისტემა სტუდენტებსა და უნივერსიტეტს შორის, ასევე ყველა სიახლე მიიღონ ელექტრონულად;

- დაემატოს მობილური აპლიკაციისა და ელექტრონული განცხადების ფუნქცია;

- მოხდეს ონლაინჩატის დამატება, რომლის დახმარებით ინფორმაციას მიიღებენ უმოკლეს დროში და შეეძლოთ მაღალი ტევადობის მქონე ფაილების ატვირთვა;

სისტემის დამატებითი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად სატელეფონო ინტერვიუ განხორციელდა სხვადასხვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, ონლაინინტერვიუ ჩაეწერეთ საერთაშორისო ბაზარზე სტანდარტულ მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის უმაღლესი განათლების სფეროს წარმომადგენელთან, რათა შეგვეძლებოდა საქართველოსა და უცხო ქვეყნის CRM სისტემების ფუნქციების შედარება.

ჩაღრმავებული ინტერვიუ განხორციელდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსთან და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პირადი ინტერვიუ კი აკადემიურ პერსონალთან, რომელსაც უშუალო შეხება ჰქონდა სასწავლო პროცესის მართვის (CRM) სისტემასთან.

ასევე ჩავატარეთ საქართველოში არსებული მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემებისა და Microsoft Dynamics მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციების შედარება, რომლის შედეგიც ასე გამოიყურება (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოში დანერგილი სასწავლო პროცესების მართვის სისტემასა და Microsoft Dynamics მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის საგანმანათლებლო სისტემების ფუნქციების შედარება

	საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროს მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემების შესაძლებლობები	Microsoft Dynamics-ის მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის საგანმანათლებლო სისტემების შესაძლებლობები
სისტემის გაგრძელების არეალი	✓	✓
სხვადასხვა ენაზე თარგმნის შესაძლებლობა	✓	✓
სტუდენტის შესახებ პირადი ინფორმაცია	✓	✓
სასწავლო ბარათის შესახებ ინფორმაცია	✓	✓
ინფორმაცია სტუდენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ	✓	✓
სასწავლო ცხრილის შესახებ ინფორმაცია	✓	✓
სტატისტიკური მონაცემების დამუშავება	✓	✓
შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობა	✓	✓
ტექნოლოგიურ მოწყობილობებთან თავსებადობა	✓	✓
პედაგოგებისა და გავლილი	✓	✓

კურსების შეფასების შესაძლებლობა		
სტუდენტთა მონაცემების შედარების ფუნქცია		✓
უნივერსიტეტის აქტივობების ველი		✓
კურსდამთავრებული სტუდენტების შესახებ პირადი მოღვაწეობისა და აქტივობების ველი		✓
მარკეტინგის ველი		✓
სოციალური მედიის ველი		✓

არეალი: საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემის გავრცელების არეალი მაქსიმუმ 60 დაწესებულებამდე აღწევს, ხოლო საერთაშორისო ბაზარზე Microsoft Dynamics CRM საგანმანათლებლო სისტემის 40000-ზე მეტ დაწესებულებას 80 ქვეყანაში, რაც მსოფლიო ბაზარზე პოზიციონირების მყარი გარანტიაა.

თარგმნის შესაძლებლობა: საქართველოს უნივერსიტეტებში დანერგილი სასწავლო პროცესების მართვის სისტემებს გააჩნია მაქსიმუმ 3 ენაზე თარგმნის შესაძლებლობა, ხოლო Microsoft Dynamics მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის საგანმანათლებლო სისტემას - 40 ენაზე, არსებული ფაქტი თავისთავად სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების მეტ დაინტერესებასა და მათთვის მრავალი შესაძლებლობის ზრდაზე მიუთითებს, რაც ერთ-ერთ დადებით მხარედ მიიჩნევა.

სტუდენტის შესახებ პირადი ინფორმაცია: საქართველოს უნივერსიტეტებში დანერგილი სასწავლო პროცესების მართვის სისტემის შესაძლებლობა სტუდენტის შესახებ მინიმალური ინფორმაციის მოპოვებაა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი და სხვა), ხოლო Microsoft Dynamics სტუდენტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ფლობს (მისი ჰობის, აქტივობებისა, ჯანმრთელობის მდგომარეობის, საუნივერსიტეტო მოსწრების შესახებ), ზემოაღნიშნული, არსებული კონკურენციის პირობებში, უპირატესობის მოპოვების ერთ-ერთი მეთოდია.

სასწავლო ბარათის შესახებ ინფორმაცია: საქართველოს მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის საუნივერსიტეტო სისტემა ძირითადად მოიცავს მხოლოდ არსებულ უნივერსიტეტში ჩაბარებული საგნებისა და კრედიტების შესახებ ინფორმაციას (მობილობის შემთხვევაში მშობლიური უნივერსიტეტიდან მოტანილი კრედიტების აღიარების შესახებ მონაცემებს), ხოლო Microsoft Dynamics CRM სისტემის კი სტუდენტის ყველა სასწავლო საფეხურზე მიღებული განათლებისა და ნიშნების შესახებ მონაცემებს, რაც გარკვეულ ინფორმაციას აწვდის უნივერსიტეტს არსებული სტუდენტის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

სტუდენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია: არსებულ ფუნქციას ერთნაირი გამოყენება აქვს როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო სისტემების ფუნქციონირების დროს.

სასწავლო ცხრილის შესახებ ინფორმაცია: არსებული ფუნქცია წარმოდგენილი სისტემების ორივე მხარეს ერთნაირად ემსახურება და დეტალურ ინფორმაციას აწვდის უნივერსიტეტს სტუდენტის სასწავლო ცხრილთან დაკავშირებით.

სტატისტიკური მონაცემების დამუშავება: საქართველოს სასწავლო პროცესების მართვის სისტემას გარკვეული ტიპის სტატისტიკის შესაძლებლობა აქვს სტუდენტის მონაცემებთან დაკავშირებით (მათი გადახდების, აკადემიური მოსწრების, გავლილი კრედიტების მიხედვით), ხოლო Microsoft Dynamics საგანმანათლებლო CRM-ს ნებისმიერი სტატისტიკური ანალიზისა და დიაგრამებზე გამოხატვის შესაძლებლობა გააჩნია, იგი სტუდენტის შესახებ შევსებული ყველა ინფორმაციის მიხედვით ახარისხებს მონაცემებს და მათ სტატისტიკურად ამუშავებს (როგორებიცაა სტუდენტის ინტერესების მიხედვით დალაგება, კონკრეტულ აქტივობებში ჩართული სტუდენტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება, სხვადასხვა მარკეტინგულ კამპანიაში მათი ჩართულობის დონის განსაზღვრა და სხვა). სისტემის არსებული ფუნქციის უპირატესობაა ნებისმიერ დროს ფართო სურათის დანახვა და ინტერესის სრული დაკმაყოფილება, ასევე, სამომავლო აქტივობების უფრო სწორი მიმართულებით დაგეგმვა.

შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობა: საქართველოში არსებულ მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის საუნივერსიტეტო სისტემას მეილის ან არსებული ბაზის დახმარებით სტუდენტისთვის შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობა გააჩნია, რაც შეეხება Microsoft Dynamics CRM სისტემას, იგი შეტყობინების გაგზავნის მრავალნაირ საკომუნიკაციო არხს ფლობს. ამ სისტემის დახმარებით შესაძლებელია როგორც მეილზე, ასევე არსებულ ბაზაში, სოციალურ ქსელსა და სტუდენტის პირად მობილურ ტელეფონზე ინფორმაციის მიწოდება, რაც მის მოქნილობას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

ტექნოლოგიურ მოწოდებობებთან თავსებადობა: საქართველოში დანერგილი სასწავლო პროცესის მართვის სისტემა თავსებადია ტექნოლოგიურ მოწოდებობებთან, როგორცაა: სხვადასხვა ბრაუზერით დაკავშირება, წვდომა კომპიუტერთა და პლანშეტების დახმარებით, მობილური აპლიკაციის დამატებას ამ ეტაპზე ახორციელებს ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის მხრიდან, ხოლო Microsoft Dynamics უმაღლესი საგანმანათლებლო სფეროს CRM სისტემა, მიჰყვება მსოფლიოში დანერგილ სხვადასხვა ტექნოლოგიურ სიახლეს და ამ ხერხითაა დამკვირდებული ბაზარზე.

პედაგოგებისა და გაგვილი კურსების შეფასების შესაძლებლობა: არსებულ ფუნქციას როგორც ორივე მხარე თანაბრად იყენებს.

სტუდენტების მონაცემების შედარების ფუნქცია: კონკრეტული ფაქტის დასაბუთებად შესაძლოა, უნივერსიტეტს რამდენიმე სტუდენტის პირადი ან გრაფიკული მონაცემის შედარება დასჭირდეს. საქართველოს საუნივერსიტეტო CRM სისტემას არსებული ფუნქციის ბაზაშივე გამოყენება არ გააჩნია, Microsoft Dynamics საუნივერსიტეტო CRM კი სისტემაშივე ახერხებს მონაცემების დახარისხებას და მათ შედარებას, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, გრაფიკულად გამოხატავს.

უნივერსიტეტის აქტივობების ველი: Microsoft Dynamics მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის საგანმანათლებლო სისტემა მოიცავს უნივერსიტეტის აქტივობების ველს, იგი ეხმარება სასწავლო დაწესებულებას, ბაზაშივე დაგეგმოს, შექმნას და გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა ღონისძიებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული ფუნქციის მეშვეობით უმაღლესი სასწავლებლის მიერ ყველა ჩატარებული აქტივობის ხილვას შესაძლებელია, ამ ველის დახმარებით უნივერსიტეტს საშუალება აქვს, გაარკვიოს კონკრეტული აქტივობით დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობა, შეაფასოს ჩატარებული ღონისძიების შედეგი, ნაყოფიერების დონე და მხედველობაში მიიღოს სამომავლო გამოსასწორებელი თუ გასათვალისწინებელი ფაქტები, რაც საქართველოს სასწავლო პროცესის მართვის (CRM) არც ერთ სისტემას არ გააჩნია.

კურსდამთავრებული სტუდენტების შესახებ პირადი მოღვაწეობისა და აქტივობების ველი: უწყვეტი განათლების რეჟიმისთვის კურსდამთავრებულ სტუდენტთან ურთიერთობის გაგრძელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. Microsoft Dynamics CRM საუნივერსიტეტო სისტემის მეშვეობით უნივერსიტეტს მუდმივად აქვს კურსდამთავრებული სტუდენტების შესახებ დეტალური მონაცემები როგორც საუნივერსიტეტო, ასევე კარიერული მოღვაწეობის შესახებ. არსებულ სტუდენტთან უწყვეტი ურთიერთობა ერთ-ერთი ფუნქციაა, თუმცა ამ ეტაპზე საქართველოს უსდ-ს ჩდ სისტემას მსგავსი ფუნქცია არ გააჩნია.

მარკეტინგის ველი: Microsoft Dynamics CRM საუნივერსიტეტო სისტემა მოიცავს მარკეტინგის ველს, რომლის დახმარებითაც უნივერსიტეტს ბაზაშივე შეუძლია განახორციელოს და გაავრცელოს მარკეტინგული კამპანია, რაც საქართველოს უსდ-ს სიტემებში არსად ვლინდება.

სოციალური მედიის ველი: Microsoft Dynamics CRM საგანმანათლებლო სისტემა იყენებს სოციალური მედიის ველს (Facebook, Twitter, Instagram და სხვა), რომელიც მიზნულია სტუდენტის პირად მონაცემებზე და ინფორმაციის გავრცელებისა და მიწოდების ყველაზე მარტივ და მოქნილ საშუალებად მიიჩნევა. არსებული ფუნქცია საქართველოს უსდ-ს სიტემებში არსად იკვეთება.

დასკვნა

კვლევაში ცხადყო, რომ საქართველოში დანერგილი სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში არ არის ჩამოყალიბებული მოქნილი კომუნიკაციის სისტემა, იგი არ მოიცავს სტუდენტის ინტერესების შესახებ დეტალურ მონაცემებს. უნივერსიტეტის მოკვლევიანი და გრძელვადიანი (სტრატეგიული) დაგეგმარების დროს არ არის დამუშავებული და გათვალისწინებული, სტუდენტების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, უნივერსიტეტი არ აგრძელებს კურსდამთავრებულ სტუდენტებთან მჭიდრო ურთიერთობას, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოუქნელი სასწავლო პროცესის მართვის სისტემაა. ზემოაღნიშნული საკითხების სრულყოფილ შესრულებას ავალდებულებს უნივერსიტეტს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ახალი ავტორიზაციის სტანდარტი. ჩვენი შეხედულებით, არსებული პრობლემების მარტივად მოგვარების გზა მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის მულტიფუნქციური სტანდარტული სისტემაა.

ონლაინგამოკითხვის მიხედვით, სტუდენტები მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემაში ახალი შესაძლებლობების დამატების სურვილს გამოთქვამენ, ზემოაღნიშნულის მოგვარების გზად სისტემის სრულყოფას მოვიაზრებთ, რათა დაკმაყოფილდეს როგორც განათლების სამინისტროს მოთხოვნები, ისე სტუდენტთა საჭიროებები.

სტანდარტულ მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის უმაღლესი განათლების სისტემას დამატებით გააჩნია ისეთი შესაძლებლობა, როგორცაა:

მარკეტინგის ველი, რომლის დახმარებით უნივერსიტეტს შეუძლია არსებულ სისტემაში განახორციელოს და გაავრცელოს მარკეტინგული კამპანია, სისტემაშივე მოიძიოს ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიებისა და კამპანიების შესახებ, განსაზღვროს, თუ რა შედეგი მიიღო ამით უნივერსიტეტმა და რა მიმართულებით გაავრცელოს მუშაობა. მოიპოვოს ინფორმაცია ყველა იმ პარტნიორი თუ დაინტერესებული ორგანიზაციის შესახებ, რომლებთანაც ურთიერთობს უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულება. მოიძიოს უცხოელი სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, რაც უნივერსიტეტს ავტორიზაციის სტანდარტის ერთ-ერთი მოთხოვნის მარტივად დაკმაყოფილებაში დაეხმარება.

სოციალური მედიის ველი (Facebook, Twitter, Instagram და სხვა) მიზნულია სტუდენტის პირად მონაცემზე და ინფორმაციის გავრცელებისა და მიწოდების ყველაზე მარტივ და მოქნილ საშუალებად მიიჩნევა. მისი დახმარებით სტუდენტის შესახებ კიდევ უფრო მეტ მონაცემს ფლობს უნივერსიტეტი და შედარებით მარტივად ურთიერთობს მასთან.

სტუდენტთა მონაცემების შედარების ფუნქცია, უნივერსიტეტის აქტივობების ველი, კურს-დამთავრებული სტუდენტების შესახებ პირადი მოღვაწეობისა და აქტივობების ველი და სხვა ზემოაღნიშნული ფუნქციები საქართველოს საუნივერსიტეტო სისტემას არ გააჩნია. მიგვაჩნია, რომ ახლო მომავალში ჩვენ ქვეყანაში არსებულმა უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ მსგავსი შესაძლებლობების დამატება, რათა მარტივად შეასრულონ საქართველოში დადგენილი და საერთაშორისო სტანდარტები.

არსებული მონაცემების შედეგებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი ქვეყნისა და Microsoft Dynamics მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციების განვითარება მუდმივად მიმდინარეობს, თუმცა გაცილებით უფრო მოქნილ და დიდ მასშტაბზეა გათვლილი Microsoft-ის საუნივერსიტეტო სისტემა. იგი მიჰყვება თანამედროვე სტანდარტებს და რეალურად არსებული სტუდენტის შენარჩუნებასა და ახლის მოზიდვაზეა ორიენტირებული. საქართველოს სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა კი ამჟამად დახვეწისა და განვითარების საფეხურზეა. არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, იგი არ ემსახურება ზემოაღნიშნული სისტემის მთავარ დანიშნულებას, ამ ეტაპზე მხოლოდ აადვილებს სტუდენტთან მომსახურების გაწევას და მეტწილად ტექნიკურ საქმიანობას ასრულებს. ჩვენი აზრით, აუცილებელია, საქართველოს საუნივერსიტეტო სისტემა იმ დონემდე დაიხვეწოს, რომ მან არსებულის დახმარებით შეძლოს უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო ბაზარზე, მოიზიდოს ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტები, მოახერხოს მათი შენარჩუნება და მარტივად დააკმაყოფილოს სხვადასხვა სტანდარტი.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სტანდარტული საუნივერსიტეტო სისტემის დანერგვა ჩვენს ბაზარზე საკმაოდ რთული პროცესი იქნება, თუმცა აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტებს ამ სისტემის დანერგვით მნიშვნელოვნად გაუმარტივდებათ ახალი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესრულება. საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში დანერგილი სისტემა მსგავსი ან თითქმის იდენტურია და მოიცავს მხოლოდ სტუდენტის იდენტიფიცირების და მათ მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას, რაც საკმაოდ მწირია უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარების შესახებ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ენუქიძე ნინო. „სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში.“ დისერტაცია, თბილისი, 2014, 14.
2. ზურაბიშვილი თინათინ. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.
3. სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების. www.mes.gov.ge. November 21, 2014. <http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf>.
4. ფონდი, საქართველოს ხარისხის. http://gqf.ge/portal/alias__GQF/lang__ka-GE/tabid__0/default.aspx. 2017. http://gqf.ge/portal/alias__GQF/tabid__3958/default.aspx.
5. წულაძე ლია. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2008.
6. Cummings, John. Salesforce Announces Fiscal 2016 Fourth Quarter and Full Year Results. February 24, 2016. <http://investor.salesforce.com/about-us/investor/investor-news/investor-news-details/2016/Salesforce-Announces-Fiscal-2016-Fourth-Quarter-and-Full-Year-Results/default.aspx>.
7. Dr Sreenivasan Jayashree, Somayeh Shojaee, Solmaz Pahlavanzadeh. "A critical analysis of Customer Relationship Management from strategic perspective." IPEDR vol3. Hong Kong: IACSIT Press, 2011. 340-344.
8. E.W.T. Ngai, Li Xiu, D.C.K. Chau. "Application of data mining techniques in customer relationship management." Expert Systems with Applications, 2009: 2592-2602.
9. Explore the Strategy of One-to-One Marketing. 2012. <http://www.marketing-schools.org/types-of-marketing/one-to-one-marketing.html>.
10. Fayerman, Michael. "Customer Relationship Management." New Directions for Institutional Research, spring 2002: 57.
11. Grayson, Katherine. "Managing the Student for Life." Campus Technology, Feb 2010: 22-29.
12. "https://edu.aris.ge/news/umaglesi-saganmanatleblo-dawesebulebis-avtorizaciis-standarti-da-cvllilebebi-ministris-brdzanebashi.html." edu.aris.ge. May 17, 2017. <https://edu.aris.ge/news/umaglesi-saganmanatleblo-dawesebulebis-avtorizaciis-standarti-da-cvllilebebi-ministris-brdzanebashi.html>.

13. <https://www.custora.com/>. 2013. <https://university.custora.com/for-marketers/clv/basic>.
14. Jóhannesson, Ingólfur Ásgeir. "The politics of historical discourse analysis: a qualitative research method?" *Humanities Source*, 2010: 251-264.
15. MarketLine, a Progressive Digital Media business. "CRM: on brink of widespread adoption across higher education market." *Round-up., MarketWatch: Global*, APRIL 2008: 255-256.
16. Ponduri S.B and Edara Suma Bala. "Role of Information Technology in Effective Implementation of Customer Relationship Management." *Journal of Marketing & Communication*, 2014: 3-4.
17. Raymond Ling, David C. Yen. "Customer Relationship Management: An Analysis Framework and Implementation Strategies." *Journal of Computer Information System*, 2001: 82-97.
18. Rogen Baran, Christopher Zirres & Michel Zirres. "Customer Relationship Management." *bookboon.com*. 2014. <http://bookboon.com/en/customer-relationship-management-ebook>.
19. Siu, Noel Yee-Man. "Customer Relationship Management and Recent Developments." *Administrative Science*, July 2016: 1.
20. Swift, Ronald S. *Accelerating customer relationships: using CRM and relationship technologies*. United States of America: Upper Saddle River, NJ : Prentice Hall PTR, 2001.
21. Taylor, Mark. <http://www.superoffice.com/blog/crm-software-statistics/>. December 20, 2016. <http://www.superoffice.com/blog/crm-software-statistics/>.
22. Vogt, Henrik. *Open Source Customer Relationship Management Solutions*. Humburg: Diplomica Verlag, 2008.

Salome Maludze

THE ROLE OF AUTOMATIZED SYSTEM OF CUSTOMER RELATIONSHIP MANAGEMENT (CRM) IN THE FUNCTIONING OF HIGHER EDUCATIONAL INSTITUTIONS

Summary

In recent years, technological innovations are actively implemented in different areas, allowing companies to gain competitive advantages. Customer relationship management (CRM) university system is one of them, whose main value represents collected information in a single area. On the basis of its analysis, the following points are conducted: forming long-term interaction with students, attracting new ones, retaining old students, monitoring and establishing close relationship with graduate students. Research reveals that there are some shortcomings in the functioning of the system, no continuation of the education mode with the student, no flexible communication system, it does not include detailed information about the student's interests, the university does not continue to work closely with the graduate students. It obliges the implementation of existing criteria to universities, by Authorization Standards for Higher Education Institutions. We call the introduction of a standard Customer Relationship Management system to the Georgian university market, or improving the level of functioning and capabilities of our systems in order to approach the standard CRM systems, which is a near future perspective. Based on the analysis of the results of the survey, recommendations have been elaborated, which will facilitate the simplification of existing standards and the shortcomings identified.

Мехман Фуад оглы Наджафли

О НЕКОТОРЫХ АСПЕКТАХ ИНВЕСТИЦИОННОГО КЛИМАТА И ГОСУДАРСТВЕННЫХ ИНВЕСТИЦИЙ В АЗЕРБАЙДЖАНЕ

***Аннотация.** В статье раскрывается роль инвестиций в поступательном развитии экономики страны. Рассмотрена существующая законодательная и нормативно-правовая база, которая регулирует инвестиционную деятельность в экономике Азербайджана. Отмечено, какое влияние оказывает инвестиционный климат на привлечение инвестиций в экономику страны. Раскрыты отдельные стороны сущности частных и государственных инвестиций. Рассмотрены правительственные меры, направленные на улучшение инвестиционного климата в государстве.*

***Ключевые слова:** Азербайджан, инвестиции, государственная политика, государственные инвестиции, экономическое развитие.*

В качестве первичного необходимого условия реализации инвестиционной государственной политики выступает политическая стабильность внутри государства и его поступательное экономическое развитие. В последние годы экономическое развитие и политическая стабильность Азербайджана способствуют не только повышению заинтересованности со стороны зарубежных государств в долгосрочных инвестициях в экономику Азербайджана, но и увеличению объемов внутренних инвестиций.

К настоящему времени в Азербайджане принят ряд важнейших законов, связанных с неприкосновенностью имущества; обеспечением равных условий для функционирования зарубежных и местных предпринимателей; защитой интересов и прав инвесторов; свободным использованием полученной прибыли. Таким образом, можно говорить о наличии необходимой правовой базы.

В настоящее время инвестиционная деятельность в Азербайджане регулируется такими законодательными документами, как:

- Закон АР «О защите иностранных инвестиций» (подтвержден Указом Президента АР № 57 от 15.01.1992 г. [1];
- Закон АР «Об инвестиционной деятельности» (подтвержден Указом Президента АР № 952 от 13.01.1995 г. [2];
- Указ Президента АР от 18.01.2016 г. «О дополнительных мерах по поощрению инвестиций» [3];
- Распоряжение Президента АР от 18.01.2018 г. «О ряде мер, по поощрению инвестиционной деятельности и защите прав иностранных инвесторов» [4].

Подчеркнем, что двумя вышеуказанными Законами определяются общие правовые и социально-экономические условия инвестиционной деятельности в Азербайджане. Оба закона направлены на активное привлечение инвестиций в азербайджанскую экономику, их рациональное использование для развития экономической и социальной сферы республики, а также развитие международной экономической интеграции и сотрудничества. Ими обеспечивается равная защита прав инвесторов, в независимости от формы собственности.

Упомянутый выше Указ от 18.01.2016 года был издан Президентом Азербайджана в соответствии:

а) с п. 32 ст. 109 Конституции АР, с целью повышения промышленного производства, улучшения бизнес-среды, расширения инвестиционной деятельности и подготовки механизма и нормативного правового акта, связанных с вовлечением инвестиций;

б) с п. 5.2 Плана мероприятий по реализации «Государственной программы по развитию промышленности в Азербайджанской Республике на 2015-2020 гг.» (программа утверждена Распоряжением Президента АР № 964 от 26.12.2014 г.).

В соответствии с положениями «Стратегической дорожной карты Азербайджанской Республики по перспективам национальной экономики», которая утверждена Указом Президента АР № 1138 от 06.12.2016 г., обеспечение в Республике благоприятной бизнес-среды для привлечения потоков инвестиций обозначено в качестве важнейшего приоритета.

Чтобы увеличить объемы инвестиций, вкладываемых в национальную экономику, целесообразно расширить реформы в данной сфере. Кроме того, необходимо и в дальнейшем совершенствовать бизнес-среду и инвестиционную среду, направленную на поддержку частных инициатив. Также должно совершенствоваться и законодательство в сфере защиты инвестиций. Как показывает практика, зарубежные инвесторы повышенное внимание уделяют тому, чтобы в государстве была сформирована благоприятная система защиты инвестиций, основанная на отношениях партнерства. С этой позиции, создание рамок, которые позволят расширить инвестиционные возможности, обладает стратегически важным значением.

К числу целей, которые поставлены Республикой до 2025 г., относится обеспечение бизнес-среды, создающей благоприятные условия для деятельности зарубежных инвесторов в согласии с мировым стандартом. Реформы, которые предстоит провести в данной сфере, поспособствуют активному увеличению доли частных инвестиций в национальной экономике.

Принимая во внимание вышесказанное, отметим, что для создания в Азербайджане благоприятной инвестиционной среды, Президент Республики, руководствуясь п. 32 ст. 109 Конституции АР, издал вышеупомянутый Указ от 18.01.2018 г.

Итак, в ближайшее время в Азербайджанской Республике будет подготовлен новый проект закона «Об инвестиционной деятельности». Этот проект закона должен учесть ряд важнейших вопросов, в частности:

- приоритетные направления политики государства в области инвестиционной деятельности;
- правила, регулирующие выплату инвесторам неполученной прибыли и возмещение ущерба;
- способы решения возникающих спорных вопросов в арбитраже и суде;
- перечень механизмов защиты инвесторов;
- свод мероприятий и мер, направленных на поддержку инвестиционной деятельности;
- правила, регулирующие выдачу государственных гарантий [5].

Чтобы улучшить бизнес-среду в Азербайджане и увеличить государственную заботу в данной области, в Республике функционируют соответствующие структуры [Багиров Ф., 2015: 98].

В 2006 году в целях урегулирования единым центром государственной политики, реализуемой в области оказания поддержки развитию предпринимательского сектора, а также в целях обеспечения роста инвестиционной привлекательности страны, была учреждена ОАО «Азербайджанская инвестиционная компания» (ОАО «АИК»). К числу основных задач компании относится работа по устранению проблем, имеющих в данной сфере, и обеспечение вовлечения инвестиций в экономику Азербайджана. Главная цель инвестиционной деятельности ОАО «АИК» заключается в принятии участия в паях уставного капитала акционерных обществ, действующих в нефтяном секторе экономики Азербайджана, и иных коммерческих организаций, включая долгосрочные инвестиционные вклады, осуществляемые путем приобретения акций.

В 2003 году в целях оказания содействия экономическому развитию посредством привлечения зарубежных инвестиций и стимулирования экспорта в нефтяном секторе был создан AZPROMO (Азербайджанский фонд поощрения экспорта и инвестиций) [7]. AZPROMO, выступая в качестве уникального органа, работающего по принципу «единого окна», оказывает консультативную помощь зарубежным организациям, заинтересованным в изучении и дальнейшем использовании инвестиционных возможностей в Республике. Фонд имеет

значительные международные сетевые возможности и поддерживает тесные взаимоотношения с различными международными агентствами и организациями по вовлечению инвестиций, взаимодействует с торговыми палатами и иными учреждениями по продвижению бизнеса. За несколько лет были подписаны меморандумы о партнерстве и сотрудничестве более чем с 80 такими компаниями из 373 стран. AZPROMO оказывает зарубежным инвесторам помощь в реализации их инвестиционных проектов.

ორგანიზაციული კულტურა არის ორგანიზაციის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი და, სწორედ ამიტომ, იმსახურებს ყურადღებას. იმისთვის, რომ მივიღოთ ხარისხიანი კულტურა, აუცილებელია ის ჩამოვაყალიბოთ ისე, რომ შევუთავსოთ ორგანიზაციის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. უკვე აღვნიშნეთ, რომ ორგანიზაციული კულტურა არეგულირებს წევრების ქცევებს, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ასევე განაპირობებს თაანამშრომლების მიღწევებს, მათ სტაბილურობასა და კმაყოფილებას. ორგანიზაციული კულტურა შეიძლება მოიცავდეს ბევრ საკითხს, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ასხალი კულტურის დანერგვისას გათვალისწინებული იდებები იქნება განსხვავებული უკვე არსებული ორგანიზაციების კულტურებისგან. ამის მიზეზი არის ისიც, რომ მიუხედავად იმისა, თუ როგორ ადაპტირდებიან თნამშრომლები არსებულ კულტურასთან, გარკვეულწილად ყველას თავისი წვლილი შეაქვს ორგანიზაციულ კულტურაში

* * *

ორგანიზაციული კულტურა გულისხმობს შემდეგს:

- კულტურა არის ის, თუ „როგორ აკეთებს საქმეს“ ორგანიზაცია“;
- დიდწილად, კულტურა კომპენსაციის შედეგია“;
- ორგანიზაციულ კულტურას განსაზღვრავს ორგანიზაციის წევრების მიერ გაზიარებული ცოდნა ორგანიზაციაში“;
- ორგანიზაციული კულტურა არის ფასეულობებისა და რიტუალების ერთობლიობა, ის ორგანიზაციის წევრების „წებოა“;
- „ორგანიზაციული კულტურა სამუშაოს ცივილიზაციაა“;
- „კულტურა არის ორგანიზაციის იმუნური სისტემა“;
- ორგანიზაციულ კულტურას ქმნის სოციუმი, საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობთ“;
- „ორგანიზაცია არის არსებობის კულტურა . რომელიც რაც შესაძლებელია სწრაფად ახდენს ადაპტაციას რეალობასთან“.

ყოველი ორგანიზაციის მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ორგანიზაციული კულტურა დიდ გავლენას ახდენს სტრატეგიის რეალიზებაზე. თუ კულტურის ელემენტები შეესაბამება სტრატეგიას და მის მიზნებს, მაშინ ორგანიზაციული კულტურა დადებით გავლენას ახდენს სტრატეგიის რეალიზებაზე, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი აფერხებს მას. მყარი და სტრატეგიასთან შეხამებული ორგანიზაციული კულტურა ძლიერი იარაღია სტრატეგიის წარმატებული რეალიზების საქმეში

სტრატეგიული დაგეგმარება ორგანიზაციის სტრატეგიის შეფასებისა და შემუშავების პროცესია. სწორი სტრატეგიის შემუშავებისათვის მთავარი ფაქტორები არსებული სიტუაციისა და საფრთხეების ანალიზი და მათი გათვალისწინებით, დასახული მიზნების მისაღწევად კონკრეტული ამოცანების დასახვაა. სიტუაციის ანალიზის საფუძველზე ორგანიზაციის შიგნით არსებული ღირებულებების, რესურსების, ხედვებისა და მიზნების სწორად მიმართვა, ორგანიზაციის გრძელვადიან პერიოდში წარმატებული არსებობის გარანტია. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს ორგანიზაციის ტოპმენეჯმენტის გუნდი შემდეგი საკითხების გადახედვით, განხილვით და შეთანხმებით უნდა იწყებდეს:

ორგანიზაციის არსებული მისია / დანიშნულება.

1. მომავლის ხედვა – დაუშვათ, სამწლიან პერსპექტივაში ვინ იქნებიან ჩვენი ძირითადი მომხმარებლები, მთავარი პროდუქტი/სერვისი რა იქნება, ჩვენი კონკურენტული უპირატესობა რა იქნება, რის გამოც ჩვენ ავირჩიევს მომხმარებელი, რაში გვინდა გვექონდეს დაგროვილი სტრატეგიული კომპეტენციები, რასაც არ შევიძენთ გარედან, საქმიანობის მასშტაბს ამ დროისთვის რითი გავზომავთ და რისთვის უნდა გვექონდეს მიღწეული და ა.შ. ამ კომპონენტების გადახედვა და შეჯერება.

2. სტრატეგიული ამოცანები – გადახედვა რამე ხომ არ შეიცვალა არსებულ ჩამონათვალში, რამე დასამატებელი, ამოსადები, გასაყოფი ან შესაცვლელი ხომ არ არის. პრიორიტეტების ხელახლა მიმოხილვა – რაზე უნდა დახარჯოს უფრო მეტი ძალისხმევა ორგანიზაციამ მომდევნო წელს, რა მიმართულებას სჭირდება ყველაზე მეტად გაძლიერება არსებული მოთხოვნებიდან, ორგანიზაციის მდგომარეობიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი გარემოს ანალიზია. გარე ანალიზი (ან გარემოს ანალიზი) – ესაა იმ ცვლადი სამყაროს ობიექტური შეფასება, რომელშიც ორგანიზაციას უწევს მუშაობა და გამიზნულია „ადრეული გამაფრთხილებელი სისტემის“ შესაქმნელად, რომელიც გამოავლენს პოტენციურ საფრთხეებს და შესაძლებლობებს. ნებისმიერი ბიზნესსტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ყველა ამ გარე ძალას, რათა განსაზღვროს შესაძლებლობები და საფრთხეები და ორგანიზაციამ შეძლოს, თავისი შიდა ძლიერი მხარე შეუსაბამოს გარე შესაძლებლობებს და ამგვარად წარმატებისკენ გაიკვლიოს გზა.

ამ საფეხურზე მენეჯერის მიზანია გარემოს ყველა შესაძლო პოზიტიურ და ნეგატიურ ტენდენციასზე სრული ინფორმაციის მოძიება და მისი შეხამება ორგანიზაციის საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებთან, რათა კომპანიამ კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნოს და ცვლილებებთან ადაპტაციაც იოლად მოახერხოს. ამ მიზნისთვის შეგვიძლია სხვადასხვა ანალიტიკური ინსტრუმენტები გამოვიყენოთ, რომლებიც მართვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების სისტემურად და კომპლექსურად შემუშავებაში დაგვეხმარება:

- **SWOT ანალიზი** (ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი)
- **PEST ანალიზი** (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური გარემოს ანალიზი)
- **ICEDRIPS** სია - რვა მიმართულებით კვლევა.

SWOT ანალიზი - ამ მიდგომით სტრატეგიის ფორმირებისას მიზნებისა და მიმდინარე ამოცანების შემოწმება ხდება SWOT ძლიერი (strengths) და სუსტი (weaknesses) მხარეები, შესაძლებლობები (opportunities) და საფრთხეები (threats) ანალიზით, რის საფუძველზეც განისაზღვრება სტრატეგიული ალტერნატივები. შემდეგ ისინი გაიცხრილება საწარმოს ხელმძღვანელობაში ჩამოყალიბებული ფასეულობათა სისტემის საფუძველზე და შეირჩევა „საუკეთესო“, რომელიც გამოყენებული იქნება პრაქტიკაში (იხ. ნახაზი).



SWOT ანალიზის ჩასატარებლად პასუხი უნდა გავცეს შემდეგ კითხვებს:

1. როგორია საწარმოს ძლიერი მხარეები?
2. როგორია საწარმოს სუსტი მხარეები?
3. რა შესაძლებლობები იქმნება მომავალში საწარმოსათვის?
4. რა საფრთხეებმა შეიძლება შეგვიშალოს ხელი დასახული მიზნების მიღწევაში?


საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეები გამოვლენილი უნდა იყოს ისეთ ფუნქციურ სფეროებში, როგორცაა: წარმოება, ფინანსები, სამუშაო ძალა, მარკეტინგი, მართვა, ორგანიზაციული სტრუქტურა.

ხელმძღვანელები ფირმის ძლიერ მხარეებს უფრო ადვილად ხედავენ, ვიდრე სისუსტეებს. მაგრამ მათი გამოვლენის გარეშე ვერც ერთი საწარმო ვერ შეძლებს წარმატების მიღწევას. სისუსტეებია ის ცოდნა, გამოცდილება, კომპეტენცია, რომელიც არ გააჩნია საწარმოს. ეს შეიძლება იყოს - საქმიანობისათვის მოუხერხებელი და მცირე ზომის შენობა, მისი არახელსაყრელი მდებარეობა, უხარისხო ნაწარმი, სუსტი მარკეტინგის სამსახური, გამოუცდელი თანამშრომლები და სხვა.

შესაძლებლობებისა და საფრთხეების შეფასებისას ხდება ბიზნესის გარე გარემოს ანალიზი, როგორცაა: **კონკურენცია, მიმწოდებლების და მომხმარებლების პოზიცია, სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული ფაქტორები.** მაგალითად, ბაზარზე ძლიერი და აგრესიული კონკურენტების გამოჩენა წარმოადგენს საფრთხეს, ხოლო ახალი მიმწოდებლების გამოჩენა, პირიქით - აიაფებს ნელეულებს და ქმნის ახალ შესაძლებლობებს საწარმოსათვის.

ერთი სიტყვით, SWOT ანალიზით ყალიბდება მენეჯერის ხედვა ბიზნესის შიდა და გარე გარემოს შესახებ, რაც სტრატეგიული ალტერნატივების გენერაციის საშუალებას იძლევა, საიდანაც ოპტიმალური ვარიანტი უნდა შეირჩეს.

PEST ანალიზი - წარმოადგენს აკრონიმს პოლიტიკური (Political), ეკონომიკური (Economic), სოციალური (Social) და ტექნოლოგიური (Technological) ანალიზის გამოსახატავად. ის გამოიყენება ამ ოთხი გარე ფაქტორის ბიზნესთან ურთიერთკავშირის შესაფასებლად. PEST-ანალიზი ეხმარება ბიზნესებს განსაზღვრონ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენის არეალი მათ გრძელვადიან საქმიანობაზე. მას ხშირად ისეთ მეთოდებთან ერთად იყენებენ, როგორცაა SWOT-ანალიზი. განვიხილოთ თითოეული ფაქტორი ცალ-ცალკე:



• **პოლიტიკური** – იგი ასახავს რამდენად ახდენს გავლენას ბიზნესგარემოსა და სავაჭრო მარკეტზე მთავრობის რეგულაციები და საკანონმდებლო ჩარჩოები; რა მდგომარეობაა ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის, საგადასახადო პრინციპების, სავაჭრო და უსაფრთხოების რეგულაციების, შრომის კოდექსის კუთხით.

• **ეკონომიკური** – ამ ფაქტორის საშუალებით ბიზნესები აფასებენ ისეთ ეკონომიკურ პირობებს, რომლებსაც შეუძლია კომპანიის მუშაობა დადებითი ან უარყოფითი მიმართულებით შეცვალოს. იგი მოიცავს ინფლაციას, საპროცენტო განაკვეთებს, ეკონომიკურ ზრდას, უმუშევრობის დონეს და ა.შ.

• **სოციალური** – სოციალური ფაქტორის საშუალებით ბიზნესმა შეიძლება შეაფასოს საკუთარი ბაზრების სოციო-ეკონომიკური გარემო. იგი ითვალისწინებს მომხმარებელთა დემოგრაფიას, კულტურულ შეხედულებებს, ცხოვრების სტილსა და განათლებას. მისი დახმარებით კომპანიამ შეიძლება დაადგინოს როგორ ყალიბდება მომხმარებელთა საჭიროებები და რა სტიმული უბიძგებთ მათ ყიდვისკენ.

• **ტექნოლოგიური** – ტექნოლოგიას შეუძლია პოზიტიურად ან ნეგატიურად იმოქმედოს პროდუქტის/მომსახურების პოზიციონირებაზე. ტექნოლოგიური პროგრესი, ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლი, ინტერნეტის როლი, მთავრობის მიერ ტექნოლოგიის კვლევაზე გაწეული ხარჯი – ეს ყველაფერი ტექნოლოგიურ ფაქტორებად მოიაზრება.

PEST-ანალიზის გავრცობილ ფორმას წარმოადგენს PESTLE-ანალიზი, რომელიც ზემონახსენები ფაქტორების გარდა სამართლებრივ და გარემო ფაქტორებსაც განიხილავს. ისინი კომპანიაზე პოტენციურად გავლენის მოხდენის შესაძლებლობის მატარებელი არიან.

• **სამართლებრივი** – მოიცავს შემდეგ ფაქტორებს: დისკრიმინაციული კანონები, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების კანონები, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონები, საავტორო უფლებისა და პატენტის მარეგულირებელი კანონები.

• **გარემო** – ითვალისწინებს ისეთი ფაქტორების ანალიზს, როგორებიცაა: ამინდისა და კლიმატის ცვლილება, დაბინძურებისა და ნარჩენების გადამუშავების რეგულაციები, ნარჩენების მართვა, ეკო-მეგობრული პროდუქციის ან პრაქტიკის გამოყენება და ა.შ.

PEST-ანალიზის ფაქტორების მნიშვნელობა სხვადასხვა ტიპის კომპანიის შემთხვევაში განსხვავებულია. მაგალითად, სერვისზე ორიენტირებულ კომპანიებს უფრო სოციალური ფაქტორები აინტერესებთ, ხოლო გლობალურ კონტრაქტორებს – პოლიტიკური ფაქტორები. ის ფაქტორები, რომლებიც დროში ცვალებადია და შეიძლება კომპანიაზე სასიკეთოდ ან საზიანოდ აისახოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მაგალითად, კომპანია, რომელმაც დიდი თანხა აქვს სესხის სახით აღებული, მუდმივად ადევნებს თვალს ეკონომიკურ ფაქტორებს (განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთებს).

ICEDRIPS სია - რვა მიმართულებით კვლევა.

ინოვაცია მოიცავს ახალ ტექნოლოგიებს და ინტერნეტს (რასაკვირველია), მაგრამ აგრეთვე სხვა, კონკრეტული ინდუსტრიისთვის სპეციფიკურ ინოვაციებსაც.

კონკურენტები. ესენი არიან არა მხოლოდ უშუალო კონკურენტები, არამედ საფრთხეებიც, რომლებიც მომდინარეობს შემცველი პროდუქტების, ბაზარზე ახლად შემოსულების, მომწოდებელთა ცვლადი შესაძლებლობების და მომხმარებელთა ცვლადი შესაძლებლობებისგან.

ეკონომიკური ფაქტორები, როგორცაა ინფლაცია, გაცვლის კურსები, ინდუსტრიის დადამავლობა, მომხმარებელთა მიერ ხარჯვის შემცირება, ა.შ.

დემოგრაფია – ასაკის, გენდერის, გეოგრაფიული, სოციალური კლასების და ა.შ. და მათში მომხდარი ცვლილებების შესაბამისი სტატისტიკა.

რეგულაციური გარემო – ანუ კანონები, რეგულაციები, მოლაპარაკებები და შეთანხმებები.

ინფრასტრუქტურა, როგორცაა სატელეკომუნიკაციო ქსელები, ტრანსპორტი, სახელმწიფო მომსახურებები და კომუნიკაციები.

პარტნიორები – სტრატეგიული მოკავშირეობა სხვა კომპანიებსა და ორგანიზაციებთან.

სოციალური ტენდენციები მოიცავს ტექნოლოგიის მიღებისთვის მზადყოფნას, დასვენების დროის გამოყენებას, ქცევის მანერას და ცვლად შეხედულებებს.

ICEDRIPS-ის გამოყენების საუკეთესო ხერხია, სწრაფად ჩამოწეროთ ბევრი იდეა – შეიძლება, ჯგუფურადაც – თავიდან გაანალიზების და შედავების გარეშე. მოგვიანებით ისინი უნდა გაიცხრილოს და ბევრი უმნიშვნელოდან რამდენიმე მნიშვნელოვანი შეირჩეს.

სტრატეგიული მართვის მეორე ეტაპი - ორგანიზაციის მისიისა და გრძელვადიანი გეგმების ჩამოყალიბებაა. პროგრამული დოკუმენტების შემუშავებამდე მენეჯერებმა უნდა ჩამოაყალიბონ ორგანიზაციის მისია – ესაა ორგანიზაციის დანიშნულებისა და ფილოსოფიის კონსტატაცია, სარეკლამო სლოგანი, რომელიც კომპანიის საქმიანობის შინაარსს ასახავს.

არიან ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, რომელთა ინტერესებიც მისიის განსაზღვრისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული – მფლობელები, თანამშრომლები, საქონლის/მომსახურების მყიდველები, საქმიანი პარტნიორები, ადგილობრივი საზოგადოება და მთლიანად საზოგადოება.

მარკეტინგის ცნობილი სახელმძღვანელოების ავტორის, ეკონომისტის ფილიპ კოტლერის თანახმად, ორგანიზაციის მისია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით ისაზღვრება:

- ფირმის ისტორია;
- მესაკუთრეთა და მმართველთა ქცევის სტილი და ქმედებები;
- ორგანიზაციის გარემოს მდგომარეობა;
- ორგანიზაციის რესურსები;
- ორგანიზაციის განმასხვავებელი თავისებურებები.

მისიის დეტალურ გაშიფვრაში ასახული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

- მიზნობრივი ორიენტირები (ორიენტაცია მომხმარებელზე, ორიენტაცია წარმოებულ პროდუქტსა თუ მომსახურებაზე);
- ორგანიზაციის ფილოსოფია (ფასეულობები);
- საქმიანობის სფერო;
- გამოყენებული ტექნოლოგიები;
- კონკურენტული უპირატესობები.

მისიის საფუძველზე ორგანიზაციის მიზნების სისტემა ყალიბდება. მიზანი – ესაა მოქმედების წამახალისებელი მოტივი, ორგანიზაციის ცალკეული მახასიათებლების კონკრეტული მდგომარეობა, რომელთა მიღწევაც მისთვის სასურველია და რისკენაც მისი საქმიანობაა მიმართული. მიზნებისადმი მოთხოვნები შემდეგია: ისინი უნდა იყოს მიღწევადი, რესურსებით უზრუნველყოფილი, შესაბამისი და შეთანხმებული (კომპანიის მისიასთან, ერთმანეთთან, მათ მომავალ შემსრულებლებთან).

სტრატეგიული მართვის მესამე ეტაპი - სტრატეგიული ალტერნატივების შემუშავება და ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის შერჩევაა. სტრატეგიული ალტერნატივების განსაზღვრისთვის ყველაზე ხშირად ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის (BCG) მატრიცას იყენებენ.

ბოსტონის მატრიცა, ზრდა/წილი ბაზრის გრაფიკი, რომელიც ახასიათებს კომპანიის სტრატეგიულ ბიზნესერთეულებს და ზომავს დაბრუნებას წარმოებიდან;

ბოსტონის მატრიცა, რომელიც ბიზნესს (წარმოებას) ყოფს შემდეგ კატეგორიებად:

ვარსკვლავი (Star) – ამ პროდუქტს აქვს მაღალი ზრდის ტემპი და კომპანიის გაყიდვებში იკავებს დიდ წილს. ამ პროდუქტზე უნდა დაიხარჯოს ბევრი ფული, რომელიც პირდაპირ აისახება გაყიდვების ზრდაზე, ანუ ეს პროდუქტი სწრაფად ზრდადია და შესაბამისად მაღლე მიაღწევს სიმწიფის ფაზას, სადაც უკვე გახდება ე.წ. „მეწველი ძროხა“ (Cash Cow).

„მეწველი ძროხა“ (Cash Cow) – ეს პროდუქტი ჩამოყალიბებულია, შესულია სიმწიფის ფაზაში, აქვს დაბალი სტაბილური ზრდა და მაღალი გაყიდვების წილი. ასეთი ტიპის პროდუქტზე ბევრი ინვესტიცია არ იხარჯება მარკეტინგსა და გაყიდვებში, რადგან ბაზარი უკვე ათვისებული აქვს და ცნობადობა მაღალია.

„დაღლი“ (Dog) – ამ პროდუქტს აქვს დაბალი ზრდის მაჩვენებელი და გაყიდვებშიც დაბალი წილი უკავია. ამ პროდუქტმა ვერ გაიარა ბრენდის განვითარების პირველი ეტაპი, ანუ გამოშვების და ვერ გადავიდა ზრდის ეტაპზე, რის შედეგადაც აჩვენა დაბალი გაყიდვები. ასეთი ტიპის პროდუქტების მინიმიზაცია უნდა მოხდეს და გარკვეული პერიოდის შემდეგ – ან რებრენდინგი, ან წარმოებიდან ამოღება.

კითხვის ნიშანი (Question Marks) – პროდუქტები, რომლებიც აჩვენებენ კითხვის ნიშნებს. აქვთ მაღალი ზრდა, თუმცა კომპანიისთვის არ ტოვებენ მოგებას, აქვთ დაბალი გაყიდვების წილი. ასეთი ტიპის პროდუქტებმა თუ ზრდა შეწყვიტეს და ვერ გაზარდეს ბაზრის წილი ხდებიან ე.წ. ძაღლები და საბოლოოდ ამოსადებია წარმოებიდან. ამ ბრენდზე უნდა დაიხარჯოს ბევრი ფული ან საერთოდ მოხდეს წარმოებიდან ამოღება.

განვითარების ალტერნატივების განსაზღვრის შემდგომი საფეხური მათი სტრატეგიულ გეგმებად დაყვანაა.

სტრატეგია ორგანიზაციის განვითარების გრძელვადიანი, ხარისხიანად განსაზღვრული მიმართულებაა, რომელსაც ის მიზნების რეალიზაციამდე მიჰყავს და ასევე, გარემოს შეცვლისა და იქ გაჩენილი ალტერნატივების ხარჯზე უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობასაც გულისხმობს. მენეჯმენტის დონის თვალსაზრისით სტრატეგიის რანჟირება შემდეგნაირად ხდება:

- კორპორაციული სტრატეგია – ხორციელდება დივერსიფიცირებულ კომპანიებში და გულისხმობს: კომპანიის სტრუქტურული ქვედანაყოფების მაღალპროდუქტიული სამეურნეო პორტფელის შექმნა და მართვა; მონათესავე სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის სინერჯის მიღწევა; საინვესტიციო პრიორიტეტების ჩამოყალიბება.

- საქმიანი სტრატეგია: ფირმის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისა და კონკურენტული უპირატესობების შენარჩუნებისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება; გარე ცვლილებებზე რეაგირების მექანიზმის ფორმირება; კომპანიის ძირითადი ფუნქციური ქვედანაყოფების სტრატეგიული საქმიანობის გაერთიანება.

- ფუნქციური სტრატეგია: საქმიანი სტრატეგიის მხარდამჭერი საქმიანობა; ქვედანაყოფის მიზნების შესრულებისკენ მიმართული საქმიანობა.

- საოპერაციო სტრატეგია: ქვედანაყოფის (ფუნქციური, ტერიტორიული) ვიწროსპეციალიზებული პრობლემების მოგვარებისკენ მიმართული საქმიანობა.

- პროდუქტის, ბაზრის, დარგის, მასში არსებული სიტუაციისა და გამოყენებული ტექნოლოგიების მდგომარეობის ცვლილების თვალსაზრისით განსხვავებულ ასევე ზრდის, სტაბილიზაციისა და შეკვეცის სტრატეგიას.

დასკვნა

ორგანიზაციული განვითარების ერთ-ერთი საოცრება იმაში მდგომარეობს, რომ რამდენად რთული პრობლემების წინაშეც არ უნდა იდგეს ორგანიზაცია გარეთ, როგორც გამოუვალიც არ უნდა ჩანდეს მდგომარეობა, საკმარისია მენეჯმენტი მიხედეს რა არის მისი ორგანიზაციის დანიშნულება (სწორედ მიხედეს და არა გადაწყვიტოს ან აირჩიოს), მთელი საკუთარი ყურადღება იმ შიდა ცვლილებებზე დააკონცენტრიროს, რომელიც ორგანიზაციას საკუთარი დანიშნულების უკეთ განხორციელებაში დაეხმარება და ყველაფერი გარეთ, ყველა პრობლემა და სირთულე თავისით იწყებს გადაწყვეტას და მოგვარებას. შეიძლება ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს ასე ხდება ზუსტად, და არა ხშირ შემთხვევაში, არამედ ყოველთვის.

ძლიერი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას განაპირობებს სამი ფაქტორი:

- ძლიერი ლიდერის არსებობა, რომელიც ამკვიდრებს იმგვარ ფასეულობებს, მეთოდებს და პრინციპებს, რომელიც კეთილსასურველია კლიენტურისთვის, კონკურენტული ბრძოლის წარმართვისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის;

- კომპანიის მიერ არსებული ტრადიციების დაცვა, რაც ღიად ეხმარება გადაწყვეტილებების მიღებას და სტრატეგიის რეალიზებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კულტურის ნორმებს;

- სამ საკვანძო პარტნიორზე - კლიენტებზე, თანამშრომლებსა და აქციონერებზე გულწრფელი ზრუნვა.

კულტურა მუდმივად დინამიურია. იგი იცვლება შიდა და გარე ფაქტორების მოქმედების ან გავლენის შედეგად. შეგვიძლია რომ კულტურა ვმართოთ და ვცვალოთ მუდმივად, რაც უფრო ამტკიცებს მოსაზრებას, რომ კულტურისთვის სტაბილური „ადგილმდებარეობა“ არ არსებობს და მისი მიღწევა შეუძლებელია, ამიტომ ორგანიზაციის კულტურაში მუდმივად უნდა იყოს სწრაფვა განვითარებისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Total Quality Management and Operational Excellence: Text with Cases 4th Edition, John s.oakland ,University of ulster,2014
2. <https://hbr.org/>
3. <http://old.press.tsu.ge>

Nino Sebiskveradze

ESTABLISHING THE ORGANIZATIONAL CULTURE IN CORPORATIONS

Summary

Every company has its own organizational culture, comprising the philosophy and principles of business management, the system of value, the standards of the behavior, the ways of solving problems, decision making tools, the labor atmosphere, the “folklore”-i.e the history of the company's values, taboo system or "unacceptable decisions". Organizational culture is a way of thinking and action means, which grew into habits and became a tradition. It is shared for some extent with all the employees of the organization. It should also be acquired and partially recognized by newcomers, otherwise they will not become full members of the collective. Organizational culture is a combination of behaviors, symbols, rituals and myths that match the values characterized by the organization and its shared values and transmitted to each member in a verbal form as a life experience.

Influence of organizational culture and effect on business success, at first glance, is difficult to measure or evaluate. However, nobody argues that corporate culture, mission and values clearly create a successful or unsuccessful business.

What is the organizational culture? Definition is too much, for example Jack Walech says that "Organizational culture is the rules in which business is done"; the inventor and businessman Alan Adler believes that "the organizing culture is the civilization of the workplace". Despite the multitude of opinions, organizational culture is the immune system that determines "organizational metabolism".

ლაია ტაბატაძე

СОВРЕМЕННОЕ ПОНЯТИЕ ТЕОРИИ МАКРОЭКОНОМИКИ

Аннотация. В статье рассматриваются вопросы о современном понятии макроэкономической науки в условиях глобальной экономики. Представлены выводы на будущее успешное развитие макроэкономической науки.

Введение

Макроэкономика изначально возникла не как научная дисциплина, а как одна из разновидностей экономической политики. Возникновение макроэкономики было обусловлено беспрецедентным в истории экономическим упадком – «великой депрессией» 30-х годов XX столетия, который поставил под большой вопрос жизнеспособность капиталистической системы вообще (автобиографические эссе видных экономистов Лоуренса Клейна, Франко Модильяни, Поля Самуэльсона, Роберта Соллоу, Джеймса Тобина наглядно показывают, что именно экономическая депрессия стала главным источником их профессионального роста).

* * *

Развитию макроэкономической науки способствовали два типа экономистов – те, которые рассматривали макроэкономику как инженерию, и те, которые в макроэкономике видели чистую науку. «Инженеры являются людьми, которые решают конкретные задачи. Целью ученых является объяснить, как устроена вселенная» [1, 39].

Первое поколение макроэкономистов преимущественно было сконцентрировано на решении конкретных задач, а последующее поколение больше внимания уделило разработке теоретических принципов. Менкью признает, что между этими двумя группами макроэкономистов и до сих пор существуют противоречия, которые он считает унизительным для всей макроэкономической науки фактом. С незапамятных времен ученые интересовались макроэкономическими проблемами (инфляция, безработица, экономический рост, деловой цикл, монетарная и фискальная политика и т.п.), однако термин «макроэкономика» впервые появился в академической литературе в 40-х годах XX столетия. В эпицентре дискуссий, развернутых вокруг макроэкономических проблем, оказалась «общая теория занятости, прибыли и денег» Дж. Кейнса (1936).

К концу 1960-х годов монолитное здание кейнсианской макроэкономической теории дало трещину. С одной стороны, возникли разногласия между кейнсианцами, а с другой стороны, начали возрождаться классические взгляды. Развитие новой классической экономической теории включает в себя несколько этапов. Первым этапом можно считать монетаризм, основоположником и выдающимся представителем которого является М. Фридман. Он раскритиковал кейнсианскую функцию потребления, которая являлась основой мультипликаторов фискальной политики. Если предельная склонность к потреблению от временного дохода мала, как это подразумевается в теории Фридмана, то влияние платежной политики на равновесный доход должно быть меньше, чем рассчитывали многие кейнсианцы. В книге «Монетарная история Соединенных Штатов» М. Фридман и А. Шварц уже непосредственно исследуют проблему делового цикла и критикуют кейнсианскую парадигму. Большинство кейнсианцев рассматривало экономику как нетвердую систему, которая подвергается мощному влиянию «животных инстинктов» инвесторов [2, 79-80].

На втором этапе, который представляла теория рационального ожидания, Р. Лукас, опираясь на теорию Фридмана, обосновал, что использование кейнсианских моделей в экономической политике невозможно по причине того, что они не предусматривают ожидания. Лукас предложил теорию делового цикла, основанную на несовершенной информации, рациональных ожиданиях и рыночном равновесии, согласно чему монетарная политика значительна только в той мере, в какой она неожиданна для агентов и не дает им возможности определиться в динамике сопоставимых цен. Т. Сарджент и Н. Уоллес более тщательным образом развили эту теорию и отметили следующее: ввиду невозможности постоянного осуществления неожиданных шоков, систематичная монетарная теория, рассчитанная на стабилизацию экономики, обречена на провал. Третий этап развития новой классической макроэкономической теории связан с моделями делового цикла Кидланда-Прескота и Лонга-Плоссера. В этих моделях, подобно моделям Фридмана и Лукаса, подразумевается, что цены приспосабливаются к переменам и уравнивают рынки. А это уже был радикальный разрыв связи с теорией Кейнса.

Исследование новых кейнсианцев делится на два этапа. На первом этапе основное внимание уделяется проблеме общего неравновесия. В частности, как распределяются ресурсы, если не происходит чистка рынков. Заработанная плата и цены в них считаются заданными. Неравновесие одного рынка влияет на неравновесие других рынков. Согласно этим теориям, экономика может находиться в одном из этих режимов, в зависимости от того, какие рынки испытывают избыток предложения и какие – избыток спроса. Самым интересным режимом функционирования является т.н. «режим Кейнса», когда на товарном рынке и рынке труда имеет место избыток спроса. В кейнсианском режиме возникает безработица, поскольку спрос на труд очень низок для обеспечения полной занятости в условиях существующей заработной платы [3, 13-14].

Для второго этапа исследования новых кейнсианцев характерно исследование следующих проблем: как может быть использована теория рационального ожидания в моделях в то время, как не существует предпосылки уравнивания рынка. Они показали, что посредством системной денежно-кредитной политики возможна стабилизация экономики, несмотря на существование рационального ожидания. На данном этапе для кейнсианцев свойственно углубленное исследование инфляции.

Кейнсианцы третьей волны поставили себе целью разобраться, почему заработная плата и цены неспособны уравновесить рынки. Они предложили несколько разных гипотез: фирмы, с целью увеличения производительности труда своих рабочих, платят им более высокую зарплату, чем равновесная рыночная цена. Те, кто устанавливает цену и заработную плату, нерациональны. Гр. Менкью, Дж. Акерлоф и Дж. Иелен подчеркивают тот факт, что в случае фирмы, обладающей рыночной властью, в условиях твердых цен равновесие является рациональным.

В 80-х годах XX века центральной проблемой макроэкономических исследований стал экономический рост. В трудах П. Ромера и других экономистов эта проблема рассматривается в контексте анализа существующих противоречий между богатыми и бедными странами. Еще одной причиной актуальности проблемы был исторически беспрецедентный рост экономики США в тот период. На фоне общей эйфории все больше усиливалось мнение, что проблема делового цикла уже не имела никакого практического значения. В то же самое время, в большей степени усилилась дискуссия между новыми кейнсианцами и новыми классиками, о которой Соллоу написал полушутя: допустим, что рядом с вами садится некто и объявляет, что он Наполеон Бонапарт. С вашей стороны самым ошибочным поступком будет вступить с ним в дискуссию и начать беседу о технических сторонах тактики кавалерии в битве при Аустерлице. В этом случае вы ввязываетесь в ту игру, в соответствии с которой этот человек на самом деле является Наполеоном [4, 69-70].

К концу 1990-х годов возникла более точная теория, изучающая экономические флуктуации, которую Марвин Гудфренд и Роберт Кинг назвали «неоклассическим синтезом». Эта теория и соответствующая модель широко используются при изучении современной монетарной политики. Самым широким образом данный подход передан в трудах профессора Колумбийского университета Майкла Вудфорда, который отмечает: Я думаю, что в отношении принципиальных вопросов разнообразие мнений между макроэкономистами гораздо меньше, чем это было в прошлом». В новом синтезе, как и в раннем неоклассическом-некейнсианском синтезе, передана попытка объединения лучших сторон двух конкурентных теорий.

Выводы

В чем сегодня соглашаются экономисты разных направлений? Первое – в использовании моделей в экономическом анализе, основанных на межвременном общем равновесии. Это дает возможность рассматривать

краткосрочные флуктуации экономики и долгосрочный рост на единой основе; второе – ученые соглашаются в том, что и микроэкономический, и макроэкономический анализ не основаны на фундаментально различных принципах. Следовательно, необходимо рассматривать отдельные семейные хозяйства, фирмы, модели функционирования отдельных рынков в унисон с агрегированными моделями экономики; третье – в настоящее время достигнуто соглашение между макроэкономистами о том, что реальные колебания являются значительным источником экономических флуктуаций. Гипотеза о том, что колебания делового цикла, в основном, объясняются случайными экзогенными изменениями монетарной политики, практически не находит поддержки; четвертое – подобно 1980-м годам, воздействие технологических шоков на реальный деловой цикл и сегодня остается в центре внимания макроэкономистов. На фоне взаимосближения двух основных макроэкономических теорий, все же остаются определенные методологические противоречия между ними. По мнению Вудфорда, на сегодняшний день уже созрели условия для продуктивного диалога, с одной стороны, между теоретиками и эмпириками, а с другой стороны – между теоретиками и практиками. Именно такой диалог дает большую надежду на будущее успешное развитие макроэкономической науки.

Литература

1. Мэнкью Н., Тэйлор М. Экономикс, Питер, 2013.
2. Бланшар О. Макроэкономика, М., 2015.
3. Журавлева Г.П., Экономическая теория – Макроэкономика - 1,2 Метаэкономика - Экономика трансформаций, М., 2016.
4. Булатов А.С., Макроэкономика, М., 2017.
5. Тарасевич Л.С., Гребенников П.И., Леусский А.И., Питер, 2017.

Lasha Tabatadze

MODERN COMPREHENSION OF MACROECONOMIC THEORY

Summary

The present article discusses the issues of modern understanding of macroeconomic science in global economy, development aspects of macroeconomics as a science from decision of specific tasks to the formation of theory. There is overviewed on the one hand, the key issues of Keynesian models, macroeconomics research problems and their actuality, and on the other hand, the theory of new neoclassical synthesis, which is widely used in modern monetary policy studies

The article describes some methodological contradictions between the two main macroeconomic directions – in the context of interaction of Keynesian and neoclassical macroeconomic theories. For example, Classical economists believed in the perfect market and “the invisible hand” managing the market equilibrium. The term ‘invisible hand’ was used by Adam Smith to denote un-observable market force that helps the demand and supply to reach equilibrium automatically. The theory rightly says that individuals out of their interests will indulge in productive work that will create economic growth.

Classical economics says that government intervention in the market can be detrimental as it will discourage private sector. It says that for long run growth of the economy the growth should come from the market forces. As for the Keynesian theory, its recommendation of government’s intervention to stimulate growth got wide attention and was followed by major economies to bring them out of the great depression of 1930’s. They recommended that government intervention is required to stimulate growth in the economy and short-run survival/growth is must for performing in the long-run. In present scenario the idea of “less government more governance” is to encourage private sector to lead the economic growth while government creates an environment to grow. This is similar to classical theory. At the same time creating fiscal deficit and managing (lower) interest rates to spur the economic growth is similar to Keynesian theory.

However, it should be noted that the successful development of macroeconomic science is possible as a result of dialogue between theorists and practitioners. The conclusions for future successful development of macroeconomic science are presented, too.

*ნიკა ქიტოშვილი
ანა ანუშიძე*

აზერბაიჯანის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები

ანოტაცია. ნაშრომის მიზანია აზერბაიჯანის, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნის, ეკონომიკური პოლიტიკის მახასიათებლების განხილვა.

1. პირველ რიგში, მოკლედ ვისაუბრებთ 2003 – 2013 წლებში აზერბაიჯანის ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ.

2. შემდეგ, განვიხილავთ აზერბაიჯანის თანამედროვე ეკონომიკურ პოლიტიკას როგორც ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას.

3. ბოლოს შევაჯამებთ აზერბაიჯანის ეკონომიკური პოლიტიკის მახასიათებლებს, და ვაკეთებთ შესაბამის დასკვნებს.

ნაშრომი ეყრდნობა ორ მთავარ საკვლევ კითხვას:

• რაში მდგომარეობს აზერბაიჯანის ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურება?

• არის თუ არა ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკებს შორის მნიშვნელოვანი მსგავსება და კავშირი, თუ ისინი თანამედროვე მოცემულობით და აქამდე განვლილი გზების თავისებურებებით იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ რთულია რომელიმე ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური მახასიათებლების ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების განზოგადება დანარჩენებზე?

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკა, პოსტსაბჭოთა ქვეყანა, ენერგეტიკული სექტორი.

შესავალი

აზერბაიჯანი არის ახალგაზრდა, დამოუკიდებელი, ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა რეგიონში მდიდარი ენერგეტიკული რესურსებით, გამორჩეულია გეოგრაფიული მახასიათებლებით, მდებარეობს ორი კონტინენტის შესაყარზე. ქვეყნის სტრატეგიულ მნიშვნელობას დიდწილად განაპირობებს მის ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენები და გაზსადენები. აზერბაიჯანმა რთული და გამოწვევებით სავსე პერიოდი გაიარა დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან. აღნიშნული პერიოდი სამ ფაზად იყოფა: 1. 1991 – 1993; 2. 1993 – 2003 და 3. 2003-დან თანამედროვე პერიოდის ჩათვლით. მთლიანობაში, სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის მიმართულებით განვითარების სტრატეგიები და პრიორიტეტები.

აზერბაიჯანის, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნის, ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა

თანამედროვე აზერბაიჯანი არის ლიდერის სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, საიმედო საერთაშორისო პარტნიორი ენერგეტიკის სფეროში, მდიდარი ენერგორესურსებით და წევრი საერთაშორისო საზოგადოების. აზერბაიჯანმა რთული და გამოწვევებით სავსე გზა გაიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებიდან დღემდე. აღნიშნული სირთულეები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს. პირველი: სირთულეები, რომლებიც ობიექტურად აქვს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, და ეს დაკავშირებულია გამოცდილების, ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობასთან; როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ ასპარეზზე ადგილის დამკვიდრებასთან; სახელმწიფო მექანიზმის ჩამოყალიბების რთულ და მეტად შრომატევად პროცესთან; შიდა პოლიტიკური სისტემის არამდგრადობასთან, და, რაც განსაკუთრებულად ართულებდა სიტუაციას, ეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაზე მუშაობა დღემდე გრძელდება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რთული ვითარება იყო როგორც რეგიონში, ისე საერთაშორისო არენაზე. მე-20 საუკუნის დამდეგს, ვარშავის პაქტის დაშლით და საბჭოთა კავშირის კრახით, ძველმა ბიპოლარულმა სისტემამ და ბიპოლარული სისტემისთვის დამახასიათებელმა წესებმა აზრი დაკარგა, მსოფლიოში დამყარდა ახალი წესრიგი და ბიპოლარული სისტემა ერთპოლუსიან სისტემად გარდაიქმნა. ამ დროს რეგიონსა და მსოფლიოში მნიშვნელოვანი გარდაქმნები მიმდინარეობს: გერმანიის გაერთიანება, იუგოსლავიის დაშლა, ჩეხოსლოვაკიის გაყოფა, გეოპოლიტიკური ძვრები, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დასავლური ორიენტაციის ფორმირება, ევროპა-ცენტრულობის და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კულმინაცია. ამასთან, გაიზარდა ლოკალური კონფლიქტების და ომების რაოდენობა. დაკვირვება გვაჩვენებს, რომ ამ ლოკალურმა კონფლიქტებმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში. საერთაშორისო სამართლის პრინციპების არად ჩაგდება, მათ შორის ლოკალური კონფლიქტების მიმართ, ეჭვები დაბადა ახალი მსოფლიო წესრიგის სამართლიანობასთან დაკავშირებით. მე-20 საუკუნე ხასიათდება ერთპოლუსიანი წესრიგიდან მრავალპოლუსიანზე გადასვლით. საბჭოთა კავშირის კრახის შემდეგ, 15 ყოფილი მოკავშირედან: ლატვია, ლიტვა და ესტონეთი - მაშინვე ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას დაადგინეს. სამივე მათგანი გახდა ევროკავშირის და ნატოს წევრი. დანარჩენები კი შეუერთდნენ რუსეთის მიერ დაფუძნებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებას (დსთ). მათმა უმრავლესობამ ვერ შეძლო მტკიცე საგარეო პოლიტიკის გატარება ვერც შემდეგი ორი ათწლეულის მანძილზე. ცენტრალურ აზიაში ქვეყნების საგარეო პოლიტიკის მთავარი გამოწვევა იყო შეჯიბრი წყლის რესურსების მოპოვებისთვის, ხოლო კავკასიაში, მოლდოვეთსა და უკრაინაში კონფლიქტების საფუძველი იყო ეთნიკურ-ტერიტორიული კონფლიქტები. საუკუნის მანძილზე საერთაშორისო და შესაბამისად რეგიონული წესრიგის ცვლილება, ბიპოლარულიდან უნიპოლარულიდან და უნიპოლარულიდან მრავალპოლარულიდან, დამატებული ლოკალური კონფლიქტებით, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებით, მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საერთაშორისო საზოგადოების, მისი თითოეული წევრის და განსაკუთრებით კი, ჯერ კიდევ ახალ დამოუკიდებლობამოპოვებული სახელმწიფოებისთვის, მათ რიცხვში იყო აზერბაიჯანიც (De Waal, 2016).

ამასთან აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა, დამოუკიდებლობის დასაწყისში იდგა იმ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რომლებიც საერთო იყო თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის. აღნიშნულ გამოწვევებთან დაკავშირებით საუბარია ალექსანდრე რონდელის მონოგრაფიაში „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“. „საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოებში უადრესად სუსტია სამოქალაქო საზოგადოების ელემენტები, ადგილობრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კულტურაში პრაქტიკულად არ იგრძნობა დემოკრატიის ტრადიციები და თვითშეგნებისა და თვითიდენტურობის ძირითადი და ხშირად ერთადერთი ფორმა ეთნიკური კუთვნილებაა. ამ სახელმწიფოთა საზოგადოებაში მძლავრობს „საბჭოთა“ მენტალიტეტი და მართვის „საბჭოური“ კულტურა. მოსახლეობაში კორუფციასთან ერთად ფესვები აქვს გადგმული ინიციატივის უქონლობას და ძლიერი ლიდერის იმედად ყოფნას, ეთნიკურ და რელიგიურ ქიშპს, ნაციონალიზმს და შოვინიზმს და ამის შედეგად სეპარატიზმსა და ირიდენტიზმს. ამავე დროს, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში შემორჩენილი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების მსხვერვა და ახალზე გადასვლა მიმდინარეობს. გარდამავალ პერიოდში კი ღრმა სოციალური და ეკონომიკური კრიზისი შეიმჩნევა და სახელმწიფო უკიდურესად არის დასუსტებული. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში არსებული სახელმწიფო საზღვრები ხშირად იყო გავლენიანი ვოლუნტარისტულად და პოლიტიკურ თუ კულტურულ წანამდღვრებს არ ეფუძნებოდა, რაც ეთნიკური და რელიგიური ქიშპის სერიოზული წყარო გახდა. როგორც წესი, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ოთხი მთავარი პრობლემა აქვთ: საზოგადოებრივი ინსტიტუტების გარდაქმნა, ეკონომიკური პროგრესის მიღწევა, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეთნიკური და კონფენსიური მშვიდობის უზრუნველყოფა“ (რონდელი, 2009).

რაც შეეხება თავისებურებებს, აზერბაიჯანის, როგორც დღეს რეგიონის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნის მახასიათებლებზე საუბრისას აღვნიშნე მისი მდებარეობა, ენერგეტიკული რესურსები, მასზე გამავალი სატრანსპორტო გზები, საიმედო საერთაშორისო პარტნიორის მყარი სტატუსი ეს სწორედ ის თავისებურებებია, რომლებიც განსაზღვრავს აზერბაიჯანის ეკონომიკას დღეს და მის სამომავლო წინსვლას.

მნიშვნელოვანია, აქვე ვახსენოთ ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც ჩამოყალიბდა მეორე ფაზის დროს აზერბაიჯანში და რომელთა ერთგულმა მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა აზერბაიჯანს სხვადასხვა, მათ შორის ეკონომიკის სფეროში. ეს პრიორიტეტებია:

- საბაზრო ეკონომიკაზე და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული პლურალისტური დემოკრატიის განვითარება.
- აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის უსწრაფესი აღდგენის მიზნით დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება.
- ქვეყნის უსაფრთხოების, პოლიტიკური დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებების და ქმედებების გაქარწყლება.
- სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება ლისაბონის სამიტის პრინციპებზე დაფუძნებით, ეუთოს მინსკის ჯგუფის მოლაპარაკებების ფორმატში.
- მეზობელ ქვეყნებთან მეგობრული და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების განვითარება.
- ეკონომიკის დივერსიფიკაციის დაჩქარება, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს განვითარების, აზერბაიჯანის საუკეთესო სტრატეგიული და გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენების გზით.
- ევროპული სატრანსპორტო კორიდორის განვითარება.
- რეგიონში უსაფრთხოების და სტაბილურობის გაძლიერება.
- იარაღის და ნებისმიერი სახის უკანონო ტვირთბრუნვის აღკვეთა.
- არსებული გლობალური რეჟიმების ერთგულება, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, სამხრეთ კავკასიაში არაბირთვული ზონის შექმნა.
- კასპიის ზღვის დემილიტარიზაცია.
- ევროპული და ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების სტრუქტურებთან თანამშრომლობა და ინტეგრაცია.

აზერბაიჯანმა დაუჯერებლად რთული და მძიმე პერიოდი გაიარა დამოუკიდებლობის დასაწყისში. სომხეთი აგრძელებდა ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციას. ირღვეოდა ძველი სისტემა. ეკონომიკა განიცდიდა რეცესიას. ირღვეოდა შიდა სტაბილურობა. სომხეთი დიასპორა მისი სომხური ლობით, ითვლება სომხეთის მთავარ დასაყრდენად და ქმნიდა სათანადო განწყობებს საერთაშორისო არენაზე აზერბაიჯანის საწინააღმდეგოდ, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი მსხვერპლი იყო საომარი აგრესიის. დამოუკიდებლობის პირველ წლებში აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკას მნიშვნელოვან წინაღობებს უქმნიდა სომხეთის მხრიდან აზერბაიჯანის ტერიტორიის ოკუპაცია და საერთაშორისო არენაზე სომხური ლობის მხრიდან აქტიური ანტიაზერბაიჯანული განწყობების დანერგვა. დამოუკიდებლობის პირველ წლებში, პირველ ფაზაში, აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის იმპულსური ხასიათის და სისტემური მიდგომის არარსებობის შედეგად, აზერბაიჯანი იზოლირებული გახდა საერთაშორისო არენაზე. სომხური დიასპორის გავლენით აზერბაიჯანს ურთიერთობა გაუფუჭდა მეზობელ ქვეყნებთან. ქვეყანა მოექცა საინფორმაციო

ბლოკადაში. ამიტომ დამოუკიდებლობის პირველი წლები, როგორც წესი, ფასდება როგორც აზერბაიჯანის ისტორიის დაკარგული წლები (De Waal, 2016).

ქვეყნის აღმავლობა დაიწყო 1993 წელს, ალიევის მმართველობაში დაბრუნების პერიოდიდან. საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, რომლის ინიცირებაც მან მოახდინა მიმართული იყო ქვეყნის გადარჩენისკენ, ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენისა და შემდგომი განვითარებისკენ. ამ საგარეო პოლიტიკამ სრულად შეცვალა აზერბაიჯანის მდგომარეობა საერთაშორისო არენაზე. გადარჩა საერთაშორისო იზოლაციისგან, იჭერდა ბალანსირებულ საგარეო პოლიტიკას, გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციას, ამასთან ეკონომიკურ პოტენციალს ეფექტიანად იყენებდა თავისი საგარეო პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

ბალანსირებული საგარეო პოლიტიკა, მრავალექტორულობა, თანამშრომლობა, თანაბარი ურთიერთობები საერთაშორისო აქტორებთან, საიმედო პარტნიორობა, პრაგმატული პოლიტიკური კურსი, გამყარებული დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელების პრინციპით, იყო ჰეიდარ ალიევის მიერ შემუშავებული ქვეყნის განვითარების, საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკის სტრატეგიის საფუძვლები. აზერბაიჯანში დაიწყო დაბალანსებული და მრავალექტორული პოლიტიკის გატარება, ამასთან ითვალისწინებდნენ მათ განსაკუთრებულ მდებარეობას რეგიონში. ეს იყო ძირითადი პრინციპები, რომლებიც დღესაც მოქმედებს. აზერბაიჯანმა გააკეთა ცხადი არჩევანი სტრატეგიის თვალსაზრისით 1993-2003 წლებში და ამან მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყნის წარმატება. დამოუკიდებელი პოლიტიკა, დაფუძნებული ეროვნულ ინტერესებზე, წარმოადგენს აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ გლობალიზაციის პირობებში დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება რთულია. აზერბაიჯანმა დაიწყო დაბალანსებული და მრავალექტორული საგარეო პოლიტიკის გატარება, მიიღო რა მხედველობაში რეგიონში მისი მდებარეობის უნიკალურობა (Habibbeyli, 2017).

დასკვნა

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობასთან დაკავშირებული რეფორმები ფართო მასშტაბის უკმაყოფილებას იწვევს, რადგან მოსალოდნელი საერთო კეთილდღეობის ნაცვლად, ისინი საზოგადოების მკვეთრად არათანაბარ გადანაწილებას და საერთო დაძაბულობას ქმნის, ეს კი მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზაზე. ამას ემატება ის გამოწვევები, რომლებიც, როგორც წესი, საერთოა პოსტსაბჭოური ქვეყნებისთვის: საზოგადოებრივი ინსტიტუტების გარდაქმნა, ეკონომიკური პროგრესის მიღწევა, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეთნიკური და კონფენსიური მშვიდობის უზრუნველყოფა. საზოგადოებრივი ინსტიტუტების ეფექტიანი მუშაობა დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ეკონომიკის ზრდა, რესურსების გონივრულ, მდგრად გამოყენებასთან, უცხოური კაპიტალდაბანდებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნასთან, საზოგადოებრივი ინსტიტუტების გამართულ მუშაობასთან, ადამიანური კაპიტალის გონივრულ მართვასთან არის დაკავშირებული. აზერბაიჯანმა თავისი გეოგრაფიული მდგომარეობა, ენერგეტიკული რესურსები მთავარ დასაყრდენად აქცია საბაზრო ეკონომიკის განვითარების საქმეში. ამას დამატება მტკიცე ნაბიჯების გადადგმა საიმედო საერთაშორისო პარტნიორობის სტატუსის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის, რამაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მოუტანა აზერბაიჯანს როგორც ერთი მხრივ ენერგეტიკული რესურსების ექსპორტიორ და როგორც ტრანზიტ ქვეყანას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რონდელი, ალექსანდრე. 2009. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში.
2. De Waal, Thomas. 2016. Azerbaijan at 25: A New Era of Change and Turbulence.
3. Habibbeyli, Arastu. 2017. Reconsidering Azerbaijan's Foreign Policy on the 25 th Anniversary of Restored Independence.
4. International Journal of Business and Social Research (IJBSR), Volume -3, No.-5, May, 2013, The Glaring Socioeconomic Meltdown in Post-Soviet Ukraine, Moldova, and Belarus: A Distorted Mindset in Search of a Way Out, Olesia Ghedrovici Moldavian Academy of Economic Studies Chişinău, Moldova, Nikolai Ostapenko University of the District of Columbia Washington, D.C.
5. Former Soviet Union Countries at Twenty-five: Social and Economic Trends, By Mariya Pak, PhD, The European Research and Analysis – ERA Institute
6. 19th International Conference Enterprise and Competitive Environment 2016, ECE 2016, 10–11, March 2016, Brno, Czech Republic, The post-soviet countries – development and structure of economy: Is there any potential for future regional integration? Irena Benešová*, Luboš Smutka, Czech University of Life Sciences in Prague, Kamýcká 129. Prague 6 – Suchbát, 165 21, Czech Republic

THE SPECIFIC ASPECTS OF THE ECONOMIC POLICY OF THE REPUBLIC OF AZERBAIJAN

Summary

The purpose of this essay is to identify special aspects in the sphere of the economy of the Republic of Azerbaijan. We will use several methods for our purpose.

1. Therefore, first of all, we will present a brief description of the economy of the Republic of Azerbaijan in 2003 - 2013.

2. Secondly, we will analyze all current processes in the economy of the Republic of Azerbaijan as a former Soviet country.

3. Finally, we will use economic and IR theories, as well as other examples of post-Soviet countries in the economy, in order to summarize the results and make an objective conclusion about special aspects of the economy of the Republic of Azerbaijan

As for our goal, the article raises two key questions:

- First, what are the special aspects of the economy of the Republic of Azerbaijan?
- Secondly, are there similarities between the post-Soviet countries, in the sphere of the economy, or are they too different from each other to generalize our results?

The post – Soviet republics represent a very diverse group of countries. One unifying feature is their shares history, with most of the countries having been either part of Tsarist Russia and subsequently the Union of Soviet Socialist Republics, or having ties to Tsarist Russia. Individual states differ in terms of population, area, religion and geographical position.

The economies of the countries looked at display a high level of connection and synchronization of their economic cycles. There is a marked potential for economic co – operation between individual countries, and this can be deepened significantly if a number of tensions and conflicts in terms of politics and power which exist between the countries looked at can be solved. The countries have a population of more than a quarter of a billion available to them and their GDPs have also reached significant values. If working regional economic integration can be achieved within the region, then there is very high potential for further growth in the region's economy.

Many of the former Soviet states are still going through a painful metamorphosis on a confusing path toward acceptance of freedom and democratic values. The idea we wish to highlight there is the impact of the Soviet moral and psychological legacy on the socioeconomic transition now under way in the East European countries that once were republics of the Soviet Union. It is important to shed light on the reasons why, after 20 years of formal independence, the region is still struggling to find its way forward.

Why do all post – Soviet countries not share the same economic conditions and problems now?

The Soviet mentality which evolved over generations, represents a promising area of research for the field of behavioral economics. Many economic decisions should be described as irrational from the point of view of classic economic theory. However taking into consideration the specific post – Soviet conditions, predominant mentality, and shared values, these choices were logical and easy to comprehend.

There are many factors that can potentially influence the direction of a country's development after liberation from an imperial dictatorship. In fact the important question of modern economic theory is how to predict, understand and explain numerous preconditions and social behavior under these circumstances.

Similar processes are occurring in the post – Soviet countries after two decades of independence. Their experience provides grounds for ascribing the delay in development to commonly shared Soviet – style values and assumptions. The logical conclusion is that to break through and reemerge in a viable form, it is necessary not only to improve the economic indicators but also to abandon the old mentality and change the old mindset. It is a long and difficult social process, but one that is of vital importance in bringing about a better future for these fledgling nation.

Medea Shapatava

